

27 629
K 4



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთავო

ქართული ენა და დიფენსიუზია

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

ქართული ენა

2009





გ ა მ ო ც დ ე ბ ი ს ე რ ო ვ ნ უ ლ ი ც ე ნ ტ რ ი

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ა დ ა
ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ტომი I

ქართული ენა

თბილისი
2009



ISBN 978-9941-0-3226-4
ISBN 978-9941-0-3227-1

(ხუთივე ტომის)
(პირველი ტომის)

ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს ა დ ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს ჯ გ უ ფ ი

რედაქტორები:

*ელენე ბაბუნაშვილი
მზექალა შანიძე*

© სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2009.

დები პუნქტის გამგემ, რომ ვკითხვ, სუფრას ღაჭუბი რად ამჩნევია-მეთქი, თავაზიანად ამიხსნა”.

შესაბამისად ამ მაგალითებში უნდა ყოფილიყო გამოყენებული ფორმები: დაანეგს დაღს, კვალს არ ანეგს, აწნია ან აწნეფია. თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამჩნევს (დაამჩნევს), დაამჩნია ფორმებს ეტყობა ასეთი შინაარსის წინ წამოწევა: შესამჩნევს ხდის, შესამჩნევი გახდა. ალბათ ამით აიხსნება მათი უფრო ხშირი გამოყენება, ვიდრე აწნევს, დაანეგს, დააწნია ფორმებისა.

პარონიმია უფრო მოსალოდნელია ზეპირ მეტყველებაში ან მოსწავლეობა და აბიტურიენტთა ნაწერებში, განსაკუთრებით, უცხო სიტყვების გამოყენებისას. ზემოთ განხილულს გარდა, გვხვდება პარონიმის ამგვარი შემთხვევები: დიპლომატი – დიპლომანტი, ადრესატი – ადრესანტი, ფორუმი – კვორუმი, ხასმისი – ხასმელი... მაგალითების გამრავლება საჭირო აღარ უნდა იყოს ასეთი დასკვნის გასაკეთებლად: მშობლიური ენის ლექსიკური შესაძლებლობების იმდენად კარგად ცოდნა აუცილებელი, რომ მსგავსი აღრევის ფაქტები არ დასტურდებოდეს.

შ ე ს ა გ ა ლ ი

„მასწავლებლის ბიბლიოთეკის“ I ტომი შეიცავს სტატიებს, რომლებშიც განხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა – ქართული დამწერლობის ჩამოყალიბებისა და მწიგნობრობის განვითარების ძირითადი ეტაპები; ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პერიოდებად დაყოფის პრობლემა; თაობათა და შეხედულებათა ბრძოლა სალიტერატურო ენის განვითარების საკითხების შესახებ; ქართული ენის როლი და მნიშვნელობა ქართველური ტომების ეროვნული და სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პროცესში; ნაჩვენებია ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა შორის; მოცემულია ქართველური ენების ზოგადი დახასიათება; წარმოდგენილია თანამედროვე სალიტერატურო ქართული, როგორც მრავალფუნქციური სახელმწიფო ენა.

ამ ტომში ფართოდ არის წარმოდგენილი გამოკვლევები ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის საკითხების შესახებ. გამახვილებულია ყურადღება გავრცელებულ სტილისტურ ხარვეზებსა და მეტყველების კულტურასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებზე.

კრებულში დაბეჭდილია როგორც ლინგვისტური გამოკვლევები, ისე სამეცნიერო-პოპულარული სტატიები. გარდა ამისა, დიდი ადგილი ეთმობა პუბლიკაციებს, რომლებიც საგანგებოდ მასწავლებლებისათვის მომზადდა და სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ჟურნალებში: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ და „ბალავარი“.

უფიქრობთ, ეს კრებული სათანადო დახმარებას გაუწევს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს სასერტიფიკაციო გამოცდისათვის მომზადებაში და, რაც მთავარია, სასწავლო პროცესის წარმართვაში.

ტექსტების ნაწილი გადმოტანილია სრულად, ნაწილი კი – კუპიურებით.

აპტ(ო)ია სტილი ყველბან ღაცულია.

გამოცდების ეროვნული ცენტრი პასუხს არ აგებს სტატიების ავტორთა სადავო დებულებებსა თუ ცალკეულ უზუსტობებზე.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პერიოდები¹

ქართული სალიტერატურო ენის უძველესი წერილობითი ძეგლები V საუკუნის I ნახევართი თარიღდებიან. ამდენად, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს დოკუმენტურად შევიხივათ ქართული ენის განვითარება თხუთმეტ-ნახევარი საუკუნის მანძილზე.

ენა ისტორიული კატეგორიაა. დროთა განმავლობაში იცვლება ენის ფონეტიკური, გრამატიკული, ლექსიკური, სემანტიკური მხარეები. სალიტერატურო ენის მდიდარი ტრადიცია გვაწვდის სათანადო ინფორმაციას ენაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ. რა თქმა უნდა, აქ უსათუოდ უნდა გაითვალისწინოთ ის, რომ ქართული სამწერლობო ენა ნორმირებულია და საკმაოდ ხშირად შორდებოდა ხოლმე (და ზოგ შემთხვევაში დღესაც შორდება) ცოცხალ მტკველელებს. მიუხედავად სალიტერატურო ენის ნორმათა და ცოცხალი მტკველელების ერთგვარი დაცვებისა, ქართული ენის უძველეს წერილობით ძეგლებშივე საკმაოდ კარგად აისახება ცოცხალი მტკველეებისათვის დამახასიათებელი მოვლენები. ამგვარი ფაქტების რაოდენობა თანდათანობით იზრდება და დგება მომენტო, როცა ენის განვითარების ერთი საფეხური იცვლება მეორეთი. აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ესა თუ ის ენობრივი მოვლენა, რაც ადრეულ საფეხურზე ნეოლოგიზმია, სალიტერატურო ენაში გაბატონებულ ნორმას უპირისპირდება, ენის განვითარების ახალ საფეხურზე უკვე ნორმად იქცევა. დავიმოწმოთ ორიოდვე ნიმუში.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ძველ ქართულში ადამიანის საკუთარი სახელი სახელობითსა და მოთხრობითში, როგორც წესი, ბრუნვათა ნიშნებს არ დაირთავდა, ასევე არ მიიღებდა მიცემით, ნათესაობითსა და მოქმედებითში ემფატიკურ ხმოვანს. მაშინ როგორღა უნდა შეეფასათ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული იაკობი, იაკობმან, იაკობსა და მისთ. ფორმები? ისინი სალიტერატურო ენის ძეგლებში შევიდნენ ცოცხალი მტკველეებიდან და ძველი ქართული ენის არსებობის მანძილზე უპირისპირდებიან სალიტერატურო ენის ნორმებს, მაგრამ, რაკ ეს ფორმები უშუალოდ ასახავენ ცოცხალი მტკველეების ვითარებას, მათი რაოდენობა სალიტერატურო ენის ძეგლებში თანდათან მატულობს და ამის გამო იცვლება ენის ნორმაც. XII-XIII საუკუნეთა საერო ლიტერატურის ძეგლებში გვხვდება როგორც ძველი, ისე ახალი ფორმები, ხოლო აღორძინების ხანის ქართველ მწერალთა ნაწერებში იმარჯვებს ახალი სისტემა. ბუნებრივია, რომ ამიერიდან ნორმა დაეითი, დაეითმა, დაეითსა და მისთ. ფორმები, ხოლო დაეით (სახ. მოთხ.) და მისთანანი განიხილებიან, როგორც ნორმის დარღვევები, არქაიზმები.

ძველი ქართული ენის ნორმის მიხედვით, ზმნისწინები ასე წარმოივლიდებიან: ად, ადმო, გან, წარ, წარმო, შთა, შთამო და ა.შ. მაგალითად: ადვინა, ადმოვინა, განვინა, წარვინა, წარმოვინა, შთავინა, შთამოვინა... აღსანიშნავია ისიც, რომ ძველი წერილობითი ძეგლები არაიშვიათად ამ ზმნისწინთა ახალქართულისებურ ვარიანტებსაც გამოაფენენ. ასე მაგალითად, ა- ზმნისწინთა პირველად ხანმეტ ლექციონარში (VII ს.) გვხვდება და შემდგომში საკმაოდ გავრცელებულია, გა- ვარიანტი პირველად ატენის ერთ-ერთ წარწერაში (VIII-X სს.) დასტურდება და თანდათან ხშირდება IX-XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში და ა. შ. ცხადია, ძველი ქართულის დონეზე ზმნისწინთა ახალი ვარიანტების გამოვლენა უნდა მივიჩნიოთ სალიტერატურო ენის ნორმის დარღვევად, მაგრამ უკვე XI საუკუნის ბოლოსათვის ცოცხალი მტკველეების სუბაგლენით იცვლება სალიტერატურო ენის ნორმა. ნიშანდობლივია, რომ გიორგი მთაწმინდლის „იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრების“ ტექსტში (XI ს.) უპირატესად ზმნისწინთა ახალქართულისებური ვარიანტები იხმარება. ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე სალიტერატურო ენის ნორმაა: ა, გა, წა და მისთ. ზმნისწინები, ხოლო ად, გან, წარ და მისთ. ფორმები კი არქაიზმებად უნდა მივიჩნიოთ. ეს მით უმეტეს ითქმის XII-XIII საუკუნეთა და შემოდგომის ხანის ენის მიმართ.

¹ ბალავარი, 1-6, 1991.

კარგადაა ცნობილი, რომ გარდამავალ ზმანთა I თურმეობითში მწკრივის ნიშნად ძველ ქართულში -იე სუფიქსი გეჰქონდა (ეს არ შეეხება მხოლოდ -ავ და -ამ თემისნიშნად ზმნებს): დამიწერვის, აღმიშენებეს და სხვ. უკვე VIII საუკუნის II ნახევრიდან სალიტერატურო ენის ძველწერის -ია დაბოლოება იხმარება: დამიწერია, აღმიშენებია და ა. შ. ამგვარ ფორმათა რიცხვი თანდათან მატულობს და X საუკუნის დასასრულს -იე და -ია სუფიქსიანი ფორმები თითქმის თანაბრად იხმარება, ხოლო „ითანესა და ევთემეს ცხოვრებაში“ უპირატესად -ია დაბოლოება გვაქვს. ამ შემთხვევაშიც ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმათა თანდათანობითმა რაოდენობამ უზრდამ გამოიწვია სალიტერატურო ენის ნორმის შეცვლა. სრულიად არ არის შემთხვევითი, რომ „ეფესისტკაოსანში“ მხოლოდ -ია დაბოლოებიანი ფორმებია გამოყენებული.

კიდევ მრავალი ნიმუშის დასახელება შეიძლება, მაგრამ იმის ნათელსაყოფად, რომ ცოცხალი მეტყველების ზეგავლენით სალიტერატურო ენაში ხდება დიდი ძვრები, ვფიქრობ, ესეც საკმაოა. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ცვლილებები მეტ-ნაკლებად ენის ყველა მხარეს ეხება. ცვლილებათა თანდათანობითი დაგროვება, ამასთან ერთად პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ფაქტორთა რიგი შეაპირობებს ენაში მომხდარ ისეთ კარდინალურ ძვრებს, რომლებიც უფლებას გვაძლევს, გამოვყოთ გარკვეული საფეხურები ენის განვითარების ისტორიაში. ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ დიდი წერილობითი ტრადიციების მქონე სალიტერატურო ენის პერიოდიზაცია მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული და ზშირად სადავოცაა.

აქად. ა. შანიძე მიიჩნევს, რომ ქართული სალიტერატურო ენის ისტორია სამ საფეხურად (პერიოდად) უნდა დაიყოს: I - ძველი ქართული ენა (V-XI სს.); II - საშუალო ქართული ენა (XII-XVIII სს.); III - ახალი ქართული ენა (XIX საუკუნიდან დღემდე).

მოკლედ დავახასიათოთ უძველესი პერიოდი (ცხადია, ქართული ენის განვითარების მომდევნო საფეხურებთან შეპირებობით). ტერმინით „ძველი ქართული ენა“ აღინიშნება ქართული ენის ჩვენთვის ცნობილი უძველესი საფეხური. ძველი ქართული სალიტერატურო ენა არსებითად ნორმათა მტკიცველ ჩამოყალიბებულ სისტემას გვიჩვენებს. ძველი ქართული ენითა დაწერილი V-XI საუკუნეთა ქართული მწერლობის ისეთი შედევრები, როგორცაა: „შუ-შანიკის წამება“, „ეგისტეთი მცხეთელის წამება“, „აბოს წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვება“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „ითანესა და ევთემეს ცხოვრება“ და მისთ. ძველი ქართული ენის ნორმებთაა გამართული ძველი და ახალი აღიქმის უძველეს თარგმანთა შემცველი ხანმეტი და პამეტი ძეგლები (VI-VIII სს.), ადიშის ოთხთავი (897 წ.), ოპიზის ოთხთავი (913 წ.), ჯრუჭის ოთხთავი (936 წ.), პარხლის ოთხთავი (973 წ.), ოშკის ბიბლია (978 წ.) და სხვები. ძველი ქართული ენის ბრწყინვალე ძეგლებია: სინური მრავალთავი (864 წ.), უდაბნოს მრავალთავი (IX-X სს.), კადის ლექციონერი (X ს. I ნახევარი), შატერდის კრებული (973-976 წწ.), მიქაელ ხელრეკიდის იადვარი (981-988 წწ.), სვანური მრავალთავი (X ს.), ათონის მთა-ზე დაწერილი ხელნაწერი Ath-32 (981 წ.), რომელიც ევთემე მთაწმიდლის მიერ ნათარგმნ თხზულებებს შეიცავს, პარხლის მრავალთავი (X ს.) და მრავალი სხვა, რომელთა მონაცემებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენისა და, საზოგადოდ, ქართული კულტურის ისტორიისათვის.

ძველი ქართული სალიტერატურო ენა თავისი ფონეტიკური სისტემით, გრამატიკული წყობითა და ლექსიკური შედგენილობით მკვეთრად უპირისპირდება ქართული ენის განვითარების სხვა საფეხურებს - საშუალო ქართულსა და ახალ ქართულს. დავასახელებთ რამდენიმე განმასხვავებელ ნიშანს.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ძალზე იშვიათია **ჭ** და **ხ** გრაფიკათა ურთიერთმონაცვლეობის შემთხვევები, ხოლო საშუალო ქართულში საკმაოდ გავრცელებულია ამ გრაფიკათა საურთიერთო შენაცვლების ფაქტები, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ენაში მოიხდებოდა **(ჭ)**, იგი **(ხ)**-ს დაემთხვა. ახალ ქართულ სალიტერატურო ენას **(ჭ)** არ მოეპოვება.

ძველ ქართულში გეჰქონდა /ა ო/, /ე ო/, /ო ო/, /უ ო/ დამავალი დიფთონგები, აგრეთვე /უ ა/, /უ ე/, /უ ი/ დამავალი დიფთონგები. საშუალო და ახალ ქართულ სალიტერატურო ენას ეს დიფთონგები არ გააჩნია.

ძველ ქართულში სახელის მრავლობით რიცხვს უპირატესად აწარმოებდა -ნ, -თა სუფიქსები, -ებ მრავლობითის ნიშანი იშვიათად იხმარებოდა. საშუალო ქართულში -ებ მრავლობით-

თის მაწარმოებელი თანდათანობით იმარჯვებს, ხოლო თანამედროვე ქართულში -ნ, -თა მრავლობითის სუფიქსთა ხმარების არე საკმაოდ შემოფარგლულია, -უბ ნიშანი კი გაბატონებულია.

ძველ ქართულში ნათესაობითში დასმული მსახდრელი, როგორც წესი, სახდერულს მოსდევდა ხოლმე: ძე კაცისა, ასული მეფისა და მისთ. საშუალ და ახალ ქართულში გაბატონებულია შებრუნებული წყობა: პირველ ადგილზე მართული მსახდრელი დგას, ხოლო სახდერული მას მოსდევს: ძმის მეგობარი, ხის სახლი და მისთ.

ძველ ქართულ ზმნას მოვპოვებოდა მრავალგზისობის კატეგორიის გამოხატველ ფორმათა მდიდარი სისტემა (აწმყოს ხოლმეობითი, უწვევტლის ხოლმეობითი, II ხოლმეობითი, III ხოლმეობითი). საშუალ ქართულში ამათგან უწვევტლის ხოლმეობითი და II ხოლმეობითი შემოვრჩნა, ახალ ქართულ სალიტერატურო ენას კი არც ეს მწკრივები გააჩნია.

ძველ ქართულში უსრული და სრული ასპექტის ფორმები, როგორც წესი, სერიათა მიხედვით უპირისპირდებიან ერთმანეთს: I სერიაში მდგარი ზმნა უსრული ასპექტისა იყო (მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, ზმნას დაერთოდა თუ არა ზმნისწინი), II სერიაში მდგარი კი - სრული ასპექტისა. საშუალ ქართულში საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ზმნის უსრულ და სრულ ასპექტს სერიათა მიხედვით დაპირისპირება კი არ განარჩევს, არამედ ის, ზმნისწინიანია ზმნა, თუ უზმნისწინო (ამ მოვლენის ჩანახაზი ძველ ქართულშივე იჩენს თავს). ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში ზმნის სრული და უსრული ასპექტის ფორმათა დაპირისპირება თითქმის უგამონაკლისოდ ემყარება ზმნისწინის დართვა - დაურთველობას.

ძველ ქართულში სუფიქსიან ვნებითს აწარმოებდა -ენი -ნ და -დ. საშუალ ქართულში -ენი -ნ სუფიქსი იშვიათია, ხოლო ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში სუფიქსიანი ვნებითის ნიშნად მხოლოდ -დ გვაქვს.

ძველ ქართულ სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტი, რომლის მრავლობითობა -ნ სუფიქსითაა გამოხატული, ზმნას რიცხვში ითანხმებდა (კაცმან ალაშენა სახლი), საშუალ ქართულში ძალზე ხშირია ამ სინტაქსური წესის დარღვევის შემთხვევები, ახალ ქართულში კი ეს წესი საერთოდ აღარ მოქმედებს.

ძველ ქართული ენის ძველებში გვხვდება მრავალი სიტყვა, რომლებიც საერთოდ აღარ გვაქვს თანამედროვე ქართულში ან შემოვრჩნენ, ოღონდ მნიშვნელობა დიდად აქვთ შეცვლილი.

I. ძველ ქართულში იხმარებოდა და თანამედროვე ლექსიკოსათვის უცხოა:

აბბა, აბა - მამა; აღარი - მარტი; ავაჯი - კილო, ხმა; ავლინი - ეზო; აზნა - კეთილშობილი; აკუში - ტაბლა; ალაბასტრი - მინის ჭურჭელი; ალქატი - ღარიბი; ამპოლი - ზეთის ჭურჭელი; ანაზღაითი - უეცარი; ანგროვანი - ცხერის ფარა, პირუტყვი; ანთიპატისი - პიტიახში; აპნისი - იანვარი; აპარანი - სასახლე; არზანიგი - ღირსი, ახალსაძალი - პატარძალი; ავაფი - აფერი; ბაგის-ყოფა - დაცინვა; ბალარჯობა - ებრაელთა დღესასწაული; ბალახუ - ღალი; ბარკალსხელი - ბარძაყი; ბელზუბული - ეშმაკთა მთავარი; ბრკიადება - ელვარება; გოინი - სენი სიეთილისა; კარშიკი - რგოლი; კიშტე - კოლოფი, ყუთი; კირჩხიბი - კობი; კოტორი - ღლეკი; ლაკუა - აუზი, ჭა; ტყება - მოთქმა; ქაწილი - ფეხსაცმელი; კუედა - ური; ჯარბი - შხამიანი გველი; ჯეკა - ძლიერ; ჯერკუალი - ბორტი და მრავალი სხვა.

II. სიტყვები შემოვრჩნა, ოღონდ მათი მნიშვნელობა დიდადაა შეცვლილი:

ალაგი - ძველ ქართულში ბილიკს ნიშნავდა;
ავარაკი - ძვ. ქართულში - სახნავ-ნათესი ადგილი;
ანაზური - ძვ. ქართულში - თავისუფალი; წარჩინებული;
არწივი - ძვ. ქართულში - ორი;
ასაკი, ჰასაკი - ძვ. ქართულში - სიმაღლე; ძალა;
აჩრილი - ძვ. ქართულში - ჩრდილი;
ბეგრა - ძვ. ქართულში - დიდი ხმა, დგრიალი;
ბევერი - ძვ. ქართულში - ათი ათასი;
ბიჭი - ძვ. ქართულში - ნამცეცი;
გონება - ძვ. ქართულში - სინდისი;
მედგარი - ძვ. ქართულში - ზარმაცა;



ცხოველი - ძვ. ქართულში - ცოცხალი;
ცხედარი - ძვ. ქართულში - საწოლი და სხვა მრავალი.

ხემათ წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვიდანაც აშკარად ჩანს, რომ ძველი ქართული ენა საკმაოდ სხვაობს საშუალო და ახალი ქართულისაგან. სწორედ ამითაა შეპირობებული ის, რომ ძველი ქართული ენა დამოუკიდებელ ერთულად შეისწავლება.

ძველი ქართული ენის შესწავლის მნიშვნელობა უადრესად დიდია. თავისთავად ის ფაქტი, რომ ქართული მწერლობის ძველი უძველესი წერილობითი ძეგლი ქართულ ენაზეა დაწერილი, განაპირობებს ძველი ქართულის საფუძვლიანად ცოდნის აუცილებლობას. ძველი ქართული ენის ღრმად დაუფლება სჭირდებათ ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებს, აგრეთვე საქართველოს ისტორიის, ქართული ფილოსოფიის ისტორიის და სხვა მრავალი ქართველოლოგიური მეცნიერების მკვლევართ. ა. შანიძე 1934 წელს წერდა: „ლიტერატურის ძველი, პირველ ყოვლისა, არის ენის ძეგლი, რომლის ცალკეული სიტყვები თუ მთლიანი გამოთქმები სწორედ იმგვარად უნდა იქნეს გაგებული, როგორც თავის დროზე ესმოდა ავტორსაც და მკითხველსაც. თუ ეს არ იქნა მიღწეული, შეუძლებელია სათანადოდ დავასდგეს ძველი ლიტერატურის ძველი კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით“ (ა. შანიძე, აღ. ბარამიძე, ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, გვ. IV).

ცხადია, ძველი და საშუალო ქართული ენის კარგად ცოდნა მოეთხოვება ქართული ენისა და ლიტერატურის მსწავლეებელს. მან არა მარტო ლექსიცა უნდა შეასწავლოს მოსწავლეებს, არამედ გაარკვიოს ისინი რთულ გრამატიკულ ფორმებშიცა. უამისოდ შეუძლებელია ლაპარაკი ნაწარმოების ტექსტის გაგებაზე. ხოლო თუ მოსაწავლემ სათანადოდ ვერ გაიაზრა ტექსტი, სრულად ვერ შეიგრძნობს ამ ნაწარმოებთა სულს, მათ დიდ მხატვრულ ძალას, სწავლებას ექნება ფორმალური ხასიათი, შესაძლოა, მოსწავლეს საერთოდ აუცრუდევს გული ძველ ქართულ მწერლობაზე.

ა. შანიძეს კარგად აქვს გათვალისწინებული ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის პერიოდებად დაყოფის პირობითობაც. XII-XVIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში არსებითი ხასიათის სხვაობანა შეინიშნება იმისა თხევით, თუ რომელ ენის მიკუთვნება თხზულება, ან რომელ ლიტერატურულ სკოლას - მისი ავტორი ან მთარგმნელი. ამ დანიშნობების ჯერ კიდევ XI საუკუნეში ჩაყვარა საფუძველი. ერთი მხრივ, ყველაზე მთაწმიდლის, გიორგი მთაწმიდლის, გიორგი მცირის და ზოგი სხვა მწერლის ნაწერები უადრესად დახვეწილი, ამასთან ცოცხალ მეტყველებასთან საკმაოდ ახლოს მდგომი ენითაა შესრულებული, მაშინ როცა ყურემ მცირე, განსაკუთრებით კი იოანე პეტრიწი, არსენი იყალთოელი და მათი მიმდევრები წერენ ცოცხალი მეტყველებისაგან დიდად დაშორებული, ხშირად ხელოვნური ფორმებით გააღებრთული ენით.

XII-XVIII საუკუნეებში ვაჟაქეს **სასულიერო მწერლობა**, რომელიც ტრადიციულად იყენებს ძველ ქართულ ენას. ცხადია, რომ სალიტერატურო ენა ამ შემთხვევაში დიდადაა დაშორებული ცოცხალი მეტყველებისაგან. ზოგჯერ მწერლებმა, თუ გაღამწერებმა სათანადოდ აღარ იცნან ძველი ქართულის ნორმები და ამის გამოც უშეუბუნებლად შეცდომები.

ამ ეპოქის **საერო ლიტერატურის** ენა უპირატესად ცოცხალ მეტყველებას ემყარება, მაგრამ, ბუნებრივია, ჯერ კიდევ ძლიერია ძველი ქართული მწერლობის ენისა და სტილის ზეგავლენაც, ამიტომაც ერთმანეთის გვერდით ხშირად გვხვდება ხოლმე არქაიზმები და ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები. გასათვალისწინებელია აგრეთვე მწერლის ნიხიცაც. შოთა რუსთაველის უდიდესი დამსახურებაც (რა თქმა უნდა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებული სალიტერატურო ენის ისტორიაში გარდატეხა. შოთამ მაქსიმალურად დაახლოვა ქართული სალიტერატურო ენა ცოცხალ მეტყველებას. ამით მან გააღრმავა ის ტრადიცია, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ იაკობ ცურტაველმა ჩაუყარა. იაკობ ცურტაველის „შუშანიის წამება“ მისაბაძია ენის ხალხურობითაც (რა თქმა უნდა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით). ეს ხაზი გაგრძელდა იოვანე საბანისძის, გიორგი შერაზულის, მთაწმიდლების ნაწერებში და მისი საბოლოოდ გამარჯვება შეაპირობა შოთა რუსთაველის პოემის უდიდესმა მხატვრულმა ძალამ. შოთა რუსთაველი მკვეთრად გაემიჯნა ყვერემ მცირის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის და ზოგი სხვა მწერლის ენობრივ პრინციპებს. რა თქმა უნდა, ჩვენ არ გავანინია რაიმე დოკუმენტი ამის თაობაზე, მაგრამ თვით „ვეფხისტყაოსნისა“ ამ შემთხვევაში ყვე-

ლაზე უფრო დიდი საბუთი ამ დაპირისპირების სამტკიცებლად. რასაკირველია, შოთას ენის ხალხურობას რამდენადმე შეაპირობებდა ჟანრიც, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ფაქტორად „ეფეხისტკაოსანია“ პირველი დიდი საერო პოეტური ნაწარმოები. ამრიგად, თვით შოთამ შექმნა ქართული პოეზიც და მისი ენობრივი ნორმებიც. ქართული საერო მწერლობა შოთას მიერ ნაწილები გზით წავიდა. მხოლოდ ანტონ კათალიკოსი და მისი მიმდევრები შეკაცდნენ ამ გზიდან გადახვევას და მათი მარცხიც საცხებით კანონზომიერი იყო.

XII-XVIII საუკუნეთა მწერლობის ენა, ზოგადად რომ ვიმსჯელოთ, ხასიათდება, ერთი მხრივ, არქაიზმებით, მეორე მხრივ, ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმებით. ძველი ნორმები და ნეოლოგიზმები თანაარსებობენ, ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ გაუმარჯვნია ახალს. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ ერთი და იმავე ეპოქის, ზოგჯერ თვით ერთი და იმავე ავტორის თხზულებიან მეკვთრად განირჩევიან ერთმეორისაგან იმისდა მიხედვით, თუ რომელ ენარს მიეკუთვნებიან. ამის შესახებ კარგად შენიშნავდა ა. შანიძე: „ზედმიწვენილობით საზღვრის დადება ძველსა, საშუალსა და ახალ ქართულს შორის არ შეიძლება. მაგ. „ქილილა და დამანას“ ენა რომ შევედაროთ „სიბრძნე-სიცრუისას“, ენახავთ, რომ (ეს აქ დაბეჭდილი ნაწიკვთებიდანაც ჩანს) „ქილილა და დამანას“ უფრო ძველ სიტყვებსა და ფორმებს ხმარობს, ვიდრე „სიბრძნე სიცრუის“ წიგნი, ესენი კი ერთისა და იმავე ეპოქის ძეგლებია“ (ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, წიგნი: ა. შანიძე, აღ ბარამიძე, ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ტფილისი, 1934, გვ. 01, შენ. 2). მეტიც შეიძლება ითქვას, თუთ ერთი ნაწარმოების ფარგლებშიც შეინიშნება სხვაობები.

სულხან-საბასა და დავით გურამიშვილის უაღრესად ხალხური ენის ფონზე საცხებით მდგრად მოჩანს ანტონის ენობრივი პოზიცია. დიდია ანტონის დამახასიათებელი ქართული ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის ისტორიის წინაშე, მაგრამ ამასთანავე არასწორია მის მიერ არჩეული გზა: ეტკონად ავლო იოანე პეტრიწის ენა; ბუნებრივია, რომ შეუძლებელი გახდა ამ მიზნის მიღწევა. ანტონის ტრაგედია ამ შემთხვევაში ისიც იყო, რომ ძველი ქართული (თუნდაც იოანე პეტრიწის ენობრივი ნორმები და სტილი) ხეირიანად არც მან იცოდა და არც მისმა მიმდევრებმა. ანტონისა და მისი მიმდევრების ენას შეიძლება ფსევდო-ძველი ქართული ვუწოდოთ. აი, როგორი სტილით წერს ანტონი თავისი დრამატის შესავალში: „ამისთვის შეცა განმსჯელმან, ვითარმედ ერთ-გონიერებაჲ ძმათა განაშუენებს სიბრძნესა, ხოლო ერთ-გონიერებაჲ ძმათა ერთისა სარწმუნოებისად და ერთისა სასოებად და სიყმარულისად მიგუყუანებს, რომლისა კიდე ზიარებაჲ დუთისად ვერ შემძლებელ არს თუნიერ სიბრძნისა შოგებისა, რომლითამც სხუთ რაითმე მოიგებეს, უკუყო არა სიბრძნითუე.“

ხოლო თუ სადამე კარი სიბრძნისა არა შევკლემოცა, სადათმცა იქმნა მისლუაჲ ჩუენი სიბრძნისა მიმართ. ამისთვის ორგზის არა ვპრიდე შრომად ქმნისადმი დრამატისაჲსა“ (ანტონი, ქართული დრამატისა, ტფილისი, 1885, გვ. III).

ანტონის სკოლის წევგებენა იგრძობა ქართველი რომანტიკოსების ნაწერებშიც. ამით აიხსნება არქაიზმთა (ზოგჯერ ფსევდოარქაიზმთა) მოჭარბებული ხმარება ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ე. ორბელიანის ნაწერებში. აი, ზოგიერთი ნიმუში:

„უწყალო სენმან, ყოვლთ მაწყენმან გეიკოდა გულნი,
გვეო ჭირთა მომენად, მგლოვარენად ყოვლნი სულდგმულნი.
სუსტ-გეჭქნა ვათაგან მითიებაგან დაშორებულნი;
გარნა უფრ ამაღ, და ყოვლ ეამად ვართ გულმოწყალუნი“ (ალ. ჭავჭავაძე,
„უწყალო სენმან“ კრებულში:
ქართველი რომანტიკოსები, თბ., 1978, გვ. 44).

ამ სტროფში ნამდვილ არქაულ სიტყვებთან ერთად გვხვდება მგლოვარენად (მრ. რიცხვის ვით. ბრუნვის ფორმის ფუნქციით), რაც ფსევდოარქაიზმია.

„მრავალგზის ვფუცავ, არ გნახო, მაგრამ ყოველ ეამს
გეძიებ,
როს გხვდავ, გულსა სახმილსა მდუმარედ მყოფსა
აღმიგზნებ.
მაშინ მე, შმაგი, ყოველთა გარე ჩემს საგანთ ვივიწყებ;

ხანა ვაჟაფხაძე შენთა სიტურფეთ და ხან კი მათვე ვაღმერთებ“ (ვრ. ორბელიანი, „ნ.დმი“, იმავე კრებულში, გვ. 81).

ფსევდოარქაიზმია: „ოყავნ ქალაქნი“, რაც „სადღევრძელოს“ ტექსტში გვხვდება... ძველი ქართული ნორმათა მიხედვით იქნებოდა: იყვნედ ქალაქნი. იყვნედ ფორმაც ორმარცვლიანია და სრულიად არ დაარღვევდა მეტრი:

„დაივით ჰსოქჳი: იყვნედ ქალაქნი! და აღმოცენდნენ ქალაქნი“.

„ენახე სიზმარი: აღვსულიყავ მას მთას წმიდასა, სადაც გალობენ ანგელოზნი ღვთის დიდებასა. ჩვენი სამშობლო, მშვენიერი ჩვენი ივერი, მაგრამ ივერი უსულდგმულო, ივერი მკვდარი, გარდაშლილიყო ზღვის კიდემდინ ჩემთ თვალთა წინა“ (ვ. ორბელიანი, „ორი სიზმარი“, იმავე კრებულში, გვ. 149)

„მარქჳი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღოქმანი? რად მომიხიბლუ, აღმირიე წრფულნი ზრახვანი?“ (ბ. ბარათაშვილი, „სული ბოროტო“, იმავე კრებულში, გვ. 195).

„დიდაზე ადრე მოვალს მსაჯული ქსნის ხეობაში, დაფიქრებულნი“ („ბედი ქართლისა“, გვ. 210) და სხვ.

არქაიზმებით და ფსევდოარქაიზმებით გადატვირთულია XIX საუკუნის 60-იანი წლების ურუნალ-გაზუთებში გამოქვეყნებული ძველი თაობის წარმომადგენელთა ნაწერები. მგ. აღ. ორბელიანი სტატიასში „ივერიელთა გალობა, სიმღერა და ლილი“ („ცისკარი“, 1861 წ. №1) წერს: „მე გორნია, ვგოდენი ისტორიული სხუა და სხუაგვარი შემთხვეულებანი არავის არ გადახვდია თავისა, როგორთაც თუმცა ივერიანელებს, ჩვენს წინაპართა, რომელნიცა არა სპინელს შემთხვევაში თავიანთსა ათახობითსა წლებისა, ყოველსა კარგსა ღირსებასა, ანუ ხასიათსა, ანუ ჩვეულებასა, ანუ ზნეობასა არა ჰსკარგავდნენ და არც ივიწყებდნენ არას დროს“ (გვ. 141).

1861 წლის „ცისკრის“ აპრილის ნომერში დ. ბაქრაძე აქვეყნებს სტატიას იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ შესახებ. იგი წერს: „ასე გულგრილათ რომ არ ვიყენეთ ჩვენს ენაზედ, ჩემნი ტუმლის წიგნებით აქამომდე, რასაკერძოლია, ერთი და ორი ბიბლიოტეკა დაეფუძნებოდა ქუთაისში და ტფილისში, და ყოველივე, რაც კი ვისმე ამ გუარო რამ დაშთენია მამა-პაპათაგან, იმ ბიბლიოტეკაში წარმოიგზავნებოდა, ღონისძიებასაც მოვიხმარებდით, რომ შესანიშნავი ამ წიგნებთაგანი დაბეჭდილიყო“ (გვ. 555).

თავისთავად საყურადღებო ეს მოხაზრებანი შერყენილ-არქაიზმული ფორმის გამო ფართო მითხვევის გულსა და სმენას ვერ სწვდებოდა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50-იან წლებში „თურგდაღელულთა“ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლამდე, დაისვა ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხი. პროფ. ჯ. ჭუმბურიძე სამართლიანად მიუთითებს: „ამ პერიოდის ქართულმა კრიტიკამ არ გაიზიარა „სამი სტილის“ თეორია და წამოაყენა ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხი. იგი შეეცადა ეწვევინა სალიტერატურო ენის სახაუბრო ენასთან დაახლოების აუცილებლობა. ასევე ქართული კრიტიკა შეეცადა დაეცვა ენის სიწმინდე და სხვ.“ (გ. გვ. 147). ისიც უნდა ითქვას, რომ აპას რაიმე თვალსაზრისით შედეგი არ მოჰყოლია.

იღ. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას უდიდესი დამსახურებაა, რომ საბოლოოდ გაიმართლა ახალმა ქართულმა სალიტერატურო ენამ, გაიმარჯვა ცოცხალი მეტყველებისა და სალიტერატურო ენის კავშირმა. ამ კავშირის გაწვევა მოასწავებდა ქართული სალიტერატურო ენის სიკვდილს. ეს ისე არ უნდა გავივით, რომ ქართული ენა მოკვდებოდა, არა, ქართული ენა (ხალხის ენა) იარსებებდა, იარსებებდა სალიტერატურო ენაც. მაგრამ სალიტერატურო ენასა და ცოცხალ მეტყველებას შორის ძალზე დიდი სხვაობა იქნებოდა. იღ. ჭავჭავაძის უდიდესი დამსახურებაა ის, რომ ქართულ სალიტერატურო ენასა და ცოცხალ მეტყველებას შორის იმდენად უმნიშვნელო სხვაობაა, რომ ხშირად ამბობენ ხოლმე: ქართულად ისევე ვწერთ, როგორც ვლაპარაკობთ, და ეს არსებითად სწორია.

ამრიგად, V–XI საუკუნეთა ქართული სალიტერატურო ენა შეიძლება მივიჩნიოთ ძველ ქართულად. ამ ეპოქაში ჩაისახა არსებითი ხასიათის ნეოლოგიზმები, მაგრამ სალიტერატურო ენის ნორმები მაინც მტკიცედია დაცული. XII–XVIII საუკუნეებში მწერლობის ჯანთა მრავალგვარობამ შეაპირობა სტილთა ნაირფეროვნება, ამასთან ენობრივი ნორმების დადგენა ჭირს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ჯანრთან ერთად გადამწყვეტია მწერლის ენობრივი პოზიცია: ზოგი მწერალი ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმებს იყენებს უპირატესად, ზოგი კი არქაულ ფორმებს არჩევს. ამ ეპოქის ენას შეიძლება საშუალო ქართული ვუწოდოთ და იგი მივიჩნიოთ გარდამავალ საფეხურად ძველი ქართულიდან ახალი ქართულისაკენ.

XIX საუკუნის I ნახევრის ქართული მწერლობის ენა უთუოდ ახალი ქართულია, მაგრამ ქართველი რომანტიკოსების ნაწარმოებებში მრავლად გვხვდება არქაიზმები.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის გამარჯვების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ილ. ჭავჭავაძის სტატიამ „ორიოდე სიტყვა თავად რევავ შალვას ძის ერისთავის მიერ კახლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“. ამ სტატიაში ილიამ ჩამოაყალიბა თავისი თეორიული პრინციპები. „შეშლილის“ თარგმანის განხილვა ვახტა საბაბი ილია ჭავჭავაძისათვის, გამოეთქვა თავისი შეხედულებანი ლიტერატურის, და საერთოდ ხელოვნების არსისა და დანიშნულების, თარგმნის, ენის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. მან თავისი დიდი შემოქმედებით მოგვცა ახალი ქართული სალიტერატურო ენის უბრწყინვალესი ნიმუშები. ილიას აღმოაჩინდნენ ღირსეული თანამებრძოლები: აკაკი, იაკობი, ვაჟა და სხვები. სწორედ მათი დამსახურებაა ახალი ქართული სალიტერატურო ენის საბოლოო გამარჯვება და მისი განვითარება.

ცხადია, ახალი ქართული სალიტერატურო ენის სრულყოფის პროცესი გაგრძელდა XX საუკუნეშიც. განსაკუთრებული ღვაწლი ამ საქმეში მიუძღვით: მ. ჯავახიშვილს, გ. ტაბიძეს, კ. გამსახურდიას, გ. ლეონიძეს და სხვებს. დიდი ქართველ ენათმეცნიერთა დამსახურებაც თანამედროვე ქართულის დახვეწის საქმეში.

ამრიგად, ა. შანიძის თვალსაზრისი ქართული სალიტერატურო ენის სამ პერიოდად დაყოფის შესახებ დღეისათვის არსებითად სწორად ასახავს საქმის ვითარებას. ძნელად გასახიზრებელია ზოგი ენათმეცნიერის ვარაუდი, თითქოს XII საუკუნიდან ახალი ქართული ენა გვეჩვენდეს. რა თქმა უნდა, „ეუფხისტყაოსნის“, „ვისრამიანის“, „ამირანდარეჯანიანის“ (რომ არაფერი ვთქვათ საბას „სწავლათა“, ანტონის თხზულებათა შესახებ) ენა არ არის ახალი ქართული. რასაკვირველია, „ეუფხისტყაოსანსა“ და საერო მწერლობის სხვა ძეგლებში მძლავრად იგრძნობა ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ მოვლენათა შემოჭრა, მაგრამ საკმაოდ დიდია არქაიზმთა ხვედრითი წილიც. ამის გამო მათი ჩათვლა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებად არ არის გამართლებული.

ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის სამ საფეხურად დაყოფაც პირობითია. ამ საკითხის გადაჭრა შესაძლებელი გახდება ქართული ენის ყველა ძეგლის ანალიზის შემდეგ. ეს მომავლის საქმეა.

ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემა¹

1. დამწერლობის ტიპები ზოგადად

დამწერლობა გრაფიკულ ნიშანთა ან გამოხატულებათა მეშვეობით სამეტყველო ინფორმაციის ფიქსაციის საშუალებაა. დამწერლობას ყოფენ ტიპებად იმისდა მიხედვით, თუ მეტყველების რომელი ელემენტები გადმოიცემა ნიშნებით: 1) ფრაზოგრაფიული დამწერლობა, რომელიც მთლიანად, გრაფიკულად სიტყვებად თითქმის დაუნაწევრებელ ამბავს გადმოსცემს. მოიცავს ორ სახეს: ხატოვანს, პიკტოგრაფიას (ლათ. სიტყვიდან pictus „ხატოვანი“ და პერძ. სიტყვიდან „graphia“ „წერა“) და უძველეს პირობით ნიშნებს (საკუთრების აღმნიშვნელი სიმბოლოები, ტაბუ, თავდაპირველი ორნამენტის სიმბოლური ელემენტები და სხვ.), რომლებიც აგრეთვე მთლიან ინფორმაციას გადმოსცემენ. 2) ლოგოგრაფიული (ბერძნული სიტყვიდან logos „სიტყვა“ და „graphia“ „წერა“) და იდეოგრაფიული (ბერძნული სიტყვიდან idea „ცნება“ და „graphia“ „წერა“) დამწერლობა, რომლის ნიშნები გადმოსცემენ სიტყვებსა და ცნებებს; 3) მორფოგრაფიული დამწერლობა, რომლის ნიშნები გამოხატავენ მორფემებს; 4) მარცვლოვანი (სილაბური) დამწერლობა, რომლის ნიშანი გამოხატავს მარცვლას; 5) ბგერით ფონეტიკური დამწერლობა, რომლის ნიშნები გამოხატავენ ფონემებს ან ალოფონებს. ეს უკანასკნელი ტიპი, თავის მხრივ, იყოფა ორ ჯგუფად: ა) კონსონანტური, რომლის ნიშნები მხოლოდ თანხმოვან ფონემებს გამოხატავენ და ბ) კონსონანტურ-ვოკალიზებული, რომლის ნიშნები გამოხატავენ ორგანულ თანხმოვან, იხე ხმოვან ფონემებს.

ამა თუ იმ ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებულ დამწერლობას, თავისი ნიშნების ფორმითა და მნიშვნელობით, დამწერლობის სისტემა ეწოდება. ნიშანთა ერთობლიობას, დალაგებულს ტრადიციული მიმდევრობის მიხედვით, ანბანი ჰქვია, ხოლო ანბანის შემთავსებელ ნიშნებს გრაფემებს (ახლესი) უწოდებენ. სხვადასხვა სისტემაში გრაფემებთან ერთად გამოიყენება დამატებითი და დამხმარე ნიშნები, მაგ.: 1) ციფრები; 2) პუნქტუაციის ნიშნები; 3) დიაკრიტიკული ნიშნები; 4) ლიგატურები (ლათ. სიტყვიდან ligō „კავრებ“).

თავდაპირველად დამწერლობა პიკტოგრაფიული იყო. პიკტოგრამები გამოხატავდნენ მთელ თხრობით კომპოზიციას, ან წარმოადგენდნენ ერთმანეთთან დაკავშირებულ ნახატთა სერიას („მოთხრობები სურათებში“). პიკტოგრაფიული დამწერლობა მეხოლითის ან ნეოლითის ეპოქაში შეიქმნა. იგი თავისი წარმოშობით უკავშირდება სახვით ხელოვნებას. პიკტოგრაფიული დამწერლობის წარმოშობა შეპირობებული იყო იმ ეპოქაში ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რთული ფორმებით. საჭირო გახდა ტომების, ტომთა კავშირების ჩვეულებათა, რიტუალურ-მაგიურ ტექსტთა ფიქსაცია, აგრეთვე სამხედრო თუ სხვა სახის ცნობათა მანიპულაცია გადაცემა. პიკტოგრაფიის მეორე სახეობა – უძველესი პირობითი ნიშნები – აღმოცენდა ზემო პალეოლითის მიწურულში ან მეხოლითის ეპოქაში. ამ ნიშანთა დიდი ნაწილი გადავიდა პიკტოგრაფიულ, შემდგომში კი ლოგოგრაფიულ დამწერლობაში. პიკტოგრამებს მხოლოდ უმარტივესი ცნობების გადმოცემა შეეძლოთ. საზოგადოების განვითარებასთან ერთად პიკტოგრაფიული გამოხატულებები იშლებოდა ცალკეულ გამომსახველობით ნიშნებად, რომლებიც ხუნდ უფრო და უფრო სტაბილურნი ხდებოდნენ. ამ პროცესის შედეგად პიკტოგრაფია გარდაიქმნა უფრო სრულქმნილ, მაგრამ რთულ ლოგოგრაფიულ დამწერლობად. მისი უძველესი სისტემები (ეგვიპტური, წინააზიური, წინაინდური, კრიტიული, ჩინური) შეიქმნენ ჩვენს ერამდე მე-4 ათასწლეულის მიწურულს – მე-2 ათასწლეულის დასაწყისში. მათი ჩამოყალიბება შეპირობებული იყო სახელმწიფოთა წარმოქმნით, რომელთაც სჭირდებოდათ მოწესრიგებული დამწერლობა. წმინდა ლოგოგრაფიული დამწერლობა იშვიათად გვხვდებოდა (ძველი ჩინური, შუმერული). როგორც წესი, ლოგოგრაფიული დამწერლობანი, თავიანთი გან-

¹ ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997.

ეთარების ადრინდელ ეტაპზე, იყენებდნენ პიკტოგრაფიის ელემენტებს, ხოლო მოგვიანებით, მორფემის, მარცვლოვან და ბგერით ნიშნებს. ამის მიუხედავად, ლოგოგრაფიული დამწერლობა მრავალ ნიშანს საჭიროებდა, რის გამოც იგი მხოლოდ მცირეპიჯივან პირთათვის (ქურუმები, სახელმწიფო მოხელეები, პროფესიონალი მწერლები) იყო ხელმისაწვდომი. მისი ნაკლები იხივ არის, რომ არ ძალუქდა მხოლოდ ლოგოგრაფების საშუალებით გადმოეცა სიტყვათა გრამატიკული ფორმები.

ჩვენს ერამდე მე-3 ათასწლეულში, როცა წარმოიქმნენ ზემო და ქვემო ეგვიპტის სახელმწიფოები, ეგვიპტური დამწერლობა გარდაიქმნა ლოგოგრაფიულ-კონსონანტურ სისტემად და მასში სულ უფრო მეტად გამოიყენებოდა კონსონანტური ნიშნები. ძირების მნიშვნელობათა დასახულებლად შემოიღეს დეტერმინატივები. თანდათან მოხდა ეგვიპტური დამწერლობის გრაფიკული შეცვლაც. ეგვიპტურის განშტოება პირველი აფრიკული ბგერითი დამწერლობა (მე-3 ს. წევნს წ.-მდე - მე-4 ს. წ. წელთაღრიცხვით).

თანდათან ლოგოგრაფიულ-მარცვლოვანი ხასიათი მიიღო წინააზიურმა დამწერლობამ. მისი უძველესი ძეგლები შუმერებს მიეკუთვნება და თარიღდება ჩვენს ერამდე მე-4 ათასწლეულის მე-2 ნახევრით - შუმერთა პირველი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ეპოქით. უკვე მესამე ათასწლეულის დასაწყისში ზოგი ერთმარცვლოვანი ლოგოგრაფია გამოიყენება მარცვლის გამომხატველ ნიშნად. მე-3 ათასწლეულის ნახევრისათვის დამწერლობანი ტრანსფორმაციას განიცდიან - იქცევიან ლურსმნული ნიშნების კომბინაციებად. ეს შეპირობებული იყო თიხით - საწერი მასალით.

მნიშვნელობით ლოგოგრაფიულ-სილაბური და ფორმით ლურსმნული იყო წინა და მცირე აზიის დამწერლობათა უმრავლესობა, რომლებიც სათავეს შუმერულიდან იღებენ: ელამური (ჩვენს ერამდე მე-3 ათასწლეული), უძველესი აქადური (მე-3 ათასწლეული), ასურულ-ბაბილონური (მე-3 ათასწლეულის ნახევარი - I ათასწლეული ჩვენამდე), ხეთური ლურსმნული (მე-2 ათასწლეული ჩვენამდე). ხეთები მე-2 ათასწლეულის ნახევრიდან ძველთაღრიცხვის მე-8 საუკუნემდე იყენებდნენ იეროგლიფურ დამწერლობასაც, ურარტული (მე-9 საუკ. დასაწყისი - მე-8 საუკ. დასაწყისი ჩვენამდე) და სხვა. კონსონანტური ხასიათისა იყო უგარითული დღევანდელი დამწერლობა (მე-15-მე-14 ს. წევნს ერამდე). აქმენიდთა ბატონობის დაცემის შემდეგ ლურსმნული დამწერლობის ადგილი ბერძნულმა და არამეულმა დამწერლობებმა დაიკავეს.

ლოგოგრაფიულ-მარცვლოვანი იყო ამერიკის ყველაზე განვითარებული წერითი სისტემა - მაიას დამწერლობა (ჩვენს ერის დასაწყისი - მე-16 ს. თვლიან, რომ ამ ტიპის უნდა ყოფილიყო აგრეთვე პროტონიდური (მე-3 ათასწლეული ნახევარი - მე-2 ათასწლეულის ნახევარი).

უძველეს ლოგოგრაფიულ დამწერლობათაგან ყველაზე უფრო დაუახლოვდა მარცვლოვანს კრიტული (იგი ოთხ ისტორიულ სახესხვაობად იყოფა: იეროგლიფური A - დაახლოებით 2100-1900 ჩვენამდე - და B - დაახლოებით 1900-1700, ხაზოვანი A - დაახლოებით 1750-1400 და B - დაახლოებით 1400-1200 ჩვენამდე).

სხვა გზით - ლოგოგრაფიიდან მორფემოგრაფიისაკენ - განვითარდა ჩინური დამწერლობა. ეს შეპირობებული იყო ჩინური ენის თავისებურებით. ამ პროცესმა, თავის მხრივ, განაპირობა ჩინური ლოგოგრაფიული დამწერლობის შემონახვა. ჩინურის უძველესი ძეგლები მე-2 ათასწლეულის ნახევრით თარიღდება. თანამედროვე ჩინური დამწერლობა იყენებს 6-8 ათას იეროგლიფს და 214 დეტერმინატივს. ჩინური დამწერლობა დაელო საფუძვლად მოუკლ რიცხისტემებს აღმოსავლური დამწერლობისას (იაპონური, კორეული, ვიეტნამური და სხვ.).

მიუხედავად ლოგოგრაფიულ სისტემებში მარცვლოვანი და ბგერითი ნიშნების გამოყენებისა, თითქმის არც ერთი მათგანი არ ქცეულა წმინდა მარცვლოვან ან ბგერით სისტემად. საზოგადოების განვითარების შედეგებით მაღალმა დონემ, დამწერლობის გაერცვლებამ და მისი გამოყენების საჭიროებამ აშკარა გახადა ლოგოგრაფიული დამწერლობის მოუხერხებლობა. ამ ფაქტორებმა შეპირობებდა ახალი, უფრო მარტივი თანმიმდევრულად მარცვლოვანი სისტემების ჩამოყალიბება. დამწერლობის მარცვლოვანი სისტემები შეიქმნა ლოგოგრაფიული დამწერლობის შინაგანი ევოლუციის შედეგად (მაგ., კრიტული), ან ხელთნერად ნასესხები ლოგოგრაფიული დამწერლობის დამატებად (მაგ., იაპონური, კორეული). განსაკუთრებით გაერცვლდა მარცვლოვანი დამწერლობა ინდოეთსა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში.

ბგერითი დამწერლობის განვითარება დაიწყო კონსონანტური სისტემების წარმოქმნით. პირ-

ველად თანხმოვანთა აღმნიშვნელი ერთეულები განხდა ეგვიპტურ დამწერლობაში. დამწერლობის პირველი თანმიმდევრული თანხმონური სისტემა ჩვ. ერამდე მე-2 ათასწლეულში შექმნეს ფინიკიელებმა, უგართიელებმა და სხვა დასავლურ სემიტურმა ხალხებმა. უადრესი მნიშვნელობა ენიჭება ფინიკურს, რადგანაც მისგან მომდინარეობს თითქმის ყველა ბგერითი დამწერლობა. ფინიკური დამწერლობის უძველესი ძეგლები თარიღდება ჩვ. წ.-მდე მე-12-11 სს.-ით, ხოლო ყველაზე ახალი ჩვ. წ.-ის მე-2-მე-3 სს.-ით. ჩვენი ერის დასაწყისისათვის ფინიკური დამწერლობა გამოდევნა არამეულმა (რომელიც ახლოს იყო ფინიკურთან). ფინიკურში არსებობდა თანხმონთა აღმნიშვნელი 22 გრაფემა. თითოეულ გრაფემაზე თავისი სახელწოდება ჰქონდა. ისინი ღვადებოდნენ გარკვეული რიგის მიხედვით. წერის მიმართულება იყო მარჯვნიდან მარცხნისაკენ.

ბგერითი დამწერლობის გავრცელება იწყება ჩვეს ერამდე I ათასწლეულში. ეს შეიძლება იყოს ამ დამწერლობის სიმარტივით. აღმოსავლეთში ფინიკურის საფუძველზე შეიქმნა არამეული დამწერლობა, რომელიც, თავის მხრივ, საფუძველად დაედო აზიის ყველა კონსონანტურ და ზოგ სხვა სისტემას. დასავლეთში ფინიკურის საფუძველზე ჩამოყალიბდა ბერძნული დამწერლობა, რომლისგანაც მოდის თითქმის ყველა კონსონანტურ-ვოკალიზებული ანბანი.

არამეელები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ წინა და მცირე აზიის პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამით არის შეპირობებული არამეული ანბანის (უძველესი ძეგლები თარიღდება ჩვ. წ.-მდე მე-8-9 საუკუნეებით) უდიდესი მნიშვნელობა. თავდაპირველად არამეულში მხოლოდ თანხმონები აღინიშნებოდა. შემდგომში ხმოვნების გამოსახატავად დიაკრიტიკულ ნიშნებს იყენებდნენ, ან ხმოვანს აღნიშნავდნენ მასთან არტიკულაციურად ახლო მდგომი თანხმონის გამოხატველი ნიშნით, უფრო იშვიათად ხმოვნებისათვის ქმნიდნენ დამოუკიდებელ გრაფემებს (ავესტური, უიგურული, მონღოლური, მანჯურული).

აღმოსავლური დამწერლობის სისტემები ქმნიდა ოთხ ჯგუფს: ებრაული, სირიული, ირანული და არაბული. მათი განვითარება დაკავშირებული იყო იუდაიზმთან (ებრაული), აღმოსავლურ ქრისტიანობასთან (სირიული), ზოროასტრიზმთან (ირანული) და მუსლიმანობასთან (არაბული).

ებრაული დამწერლობა გრაფიკულად გამოიყო ფინიკურისაგან ჩვ. ერამდე მე-2 ათასწლეულის ბოლოს. ჩვ. წ.-მდე მე-3-მე-2 საუკუნეებში პოლიტიკური პირობების გამო ებრაელები გადავიდნენ არამეულზე, რის საფუძველზე შეიქმნა ებრაული ე.წ. კადრატული დამწერლობა, რომელიც დღესაც გამოიყენება ისრაელის სახელმწიფოში.

სირიული დამწერლობის თითქმის ყველა სისტემა გადმოსცემდა სირიისა და პალესტინის არამეულ ენას. ამ დამწერლობის უმნიშვნელოვანესი სახეობებია: პალმირული (ჩვ. წ.-მდე მე-2-1-ლი - ჩვ. წ.-ის მე-3 სს.), ესტრანჯელუ (ჩვ. წ.-მდე 1-ლი - მე-8 სს), სირიულ-პალესტინური, ნესტორიანული, იაკობიტური დამწერლობები, რომლებიც შეიქმნენ მე-5 საუკუნეში სირიელ ქრისტიანთა სექტებად გათიშვის შედეგად და სხვ.

არაბული დამწერლობა შეიქმნა არამეული დამწერლობის ნაბატეური ვარიანტის საფუძველზე. უძველესი არაბული წარწერები თარიღდება მიახლოებით ჩვ. წ.-ის 300 წლით. ხალიფების შექმნის შემდეგ (მე-7 ს.) არაბებმა თავიანთი დამწერლობა გაავრცელეს ხალიფატში შემავალ სახელმწიფოებში. მე-20 საუკუნეში რიგმა ხალხებმა (თურქები, ინდონეზიელები) არაბული შეცვალეს ლათინურის საფუძველზე შექმნილი დამწერლობით.

ისტორიულად პირველი კონსონანტურ-ვოკალიზებული დამწერლობა იყო ბერძნული (მისი უძველესი წარწერები ჩვ. წ.-მდე მე-8-მე-7 საუკუნეებით თარიღდება). თავდაპირველად არაბული ბერძნული დამწერლობა თითქმის ემთხვეოდა ფინიკურს (არ იყო ϕ , χ , ψ , ω), ხმოვნები ζ არ კიდევ არ აღინიშნებოდნენ ზუსტად. წერდნენ მარჯვნიდან მარცხნივ. ფინიკურს ემთხვეოდა გრაფემათა სახელწოდებანი და რიგი.

ბერძნებმა ხმოვნების ამსახველ ნიშნებად გამოიყენეს ფინიკურის იმ თანხმონთა გამოხატველი ნიშნები, რომლებიც ბერძნული ფონეტიკური სისტემისათვის უცხო იყო, შეცვალეს გრაფემათა ფორმები და მათი სახელწოდებანი. თანდათან შეიცვალა წერის მიმართულება - ათქვე მე-6-მე-5 სს.-ებში ბერძნებმა დაიწყეს წერა მარცხნიდან მარჯვნივ. 403 წელს ჩვ. წ.-მდე ერთეულ შეიქმნა კლასიკური ბერძნული ანბანი, რომელიც გავრცელდა საბერძნეთსა და მის კოლონიებში.

ბერძნულის საფუძველზე ჩვ. წ.-მდე 1-ლი ათასწლეულის ნახევარში შეიქმნა ეტრუსკული და ლათინური დამწერლობანი, მე-2-მე-3 სს-ებში - კობტური დამწერლობა. ბიზანტიური ბერძნული დამწერლობა დაედო საფუძველად თანამედროვე ბერძნულ. ვითურ (შექმნილია მე-4 სს-ში ეპისკოპოს ვულფილას მიერ), სლავურ, სომხურ და სხვა დამწერლობებს.

ლათინურ დამწერლობას იყენებენ იტალიელები, ფრანგები, ინგლისელები, ესპანელები და სხვა ხალხები.

ბიზანტიური ბერძნულის საფუძველზე მე-9 საუკუნეში ჩამოყალიბდა ძველი სლავური „კირილიცა“, რომლის პარალელურად სამხრეთ-დასავლეთის სლავები იყენებდნენ „გლაგოლიცას“ (მისი წარმოშობის საკითხი ჯერ გარკვეული არაა). X საუკუნეში „კირილიცა“ ოფიციალურ დამწერლობად იქცა რუსეთში. მისგან განვითარდა თანამედროვე რუსული, ბულგარული და სერბული დამწერლობები.

2. ცნობები ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ

ქართული კონსონანტურ-ვოკალიზებული დამწერლობაა. იგი ერთ-ერთი უძველესთაგანია. მისი წარმომავლობის შესახებ მრავალი, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი, მოსახრება არსებობს. ქართული ანბანის შექმნის თაობაზე ძველ წერილობით წყაროებში ორი ცნობაა დაცული.

XI საუკუნის ცნობილი მოღვაწის ლეონტი მროველის მიერ დაწერილი თუ გადაწერილი „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ქართული დამწერლობა შექმნილია მეფე ფარნავაზის დროს: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განაერცო ენაჲ ქართული და არღარა იზრახებოდა სხუად ენაჲ ქართლსა შინა თჳნიერ ქართლოსსა.. და ამან შექმნა მწიგნობრობაჲ ქართული“ (ქართლის ცხოვრება, I, ს. ყუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1955, გვ. 26).

მემკვიდრის ამ ცნობის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ქართულ საისტორიო მწერლობაში ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ ლეონტი მროველის თხზულებაში გვხვდება ცნობა ქართული ანბანის გამოგონების დროისა და შემდგენლის პიროვნების შესახებ. მას ქართული „მწიგნობრობა“ ფარნავაზ მეფის შემოღებულად მიიჩნია. რადგან ეს ფარნავაზი XI საუკუნის ამ ისტორიკოსს საქართველოს სახელმწიფოს და საზოგადოებრივი წეს-წყობილების, იმგვარადვე როგორც სარწმუნოების შემოქმედად პყავს გამოყვანილი და უხადარულ პიროვნებად არის ქცეული, ამიტომ ლეონტი მროველის ცნობას ქართული ანბანის შესახებ ფაზის ეკარგება. აქ მხოლოდ ის ვარაუდობაა საყურადღებო, რომ XI საუკუნის ქართველ ისტორიკოსს ქართული ანბანი ქრისტეს წინადროინდელ აღმოჩენად ჰქონდა წარმოდგენილი, ძველისძველად მიიჩნდა და სხვებით ქრისტიანობის შენახენად არ თვლიდა. იქნებ მომავალმა გამოარკვეოს, ჰქონდა თუ არა ლეონტი მროველს ამისთვის რაიმე საფუძვლიანი წყაროები ან ისტორიული ზემოქმედამოცემა“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, გვ. 194).

მეორე ცნობა ქართული ანბანის შექმნის შესახებ დაცულია სომხურ წყაროებში. უპირველესად უნდა დავასახელოთ კორიუნის „მაშტოცის ცხოვრება“. მესროპ მაშტოცი (დაახლ. 361-440) იყო ცნობილი სომეხი მოღვაწე. იგი წარმოშობით ტარონაკანის გავარის (მხარის) სოფელ ხატუკადიდანაა (მდებარეობს ვანის ტბის დასავლეთით. ამჟამად მოქცეულია თურქეთის ფარგლებში). მესროპ მაშტოცი ერთხანს სამეფო კარზე მსახურობდა, სამხედრო პირი იყო. შემდეგ შედგა ბერად, წავიდა გოლთის (ახლა ნახჩევანი) გავარში და მოაქცია ამ მხარის მოსახლეობა. სწორედ აქ მოუვიდა მას აზრად, შეექმნა სომხური დამწერლობა. კარგა ხნის მოსახლეობდა. სწორედ აქ მოუვიდა მას აზრად, შეექმნა სომხური დამწერლობა. კარგა ხნის შემდეგ იგი ვახლა სომეხთა კათალიკოსს საპაკს. მათ მოითხოობრეს და მაშტოცის განხრახ-ვა შეტყობინეს სომეხთა მეფეს ვრამშაპუის (389-414). მეფემ მაშინ უამბო მათ იმის შესახებ, რომ ვინმე სირიელად, ეპისკოპოს დანიელს, უცვრად აღმოუჩენია სომხური დამწერლობა. მათ დაარწმუნეს მეფე. ეზრუნა ამ საქმისათვის. მაშინ მეფემ გაავაზუნა ვინმე ვახრიკი სამეფო სივლით აბელ მღვდელთან, რომელიც დანიელ სირიელს ეპისკოპოსის ახლობელი იყო. აბელი დაუყოვნებლივ მივიდა დანიელთან, თავდაპირველად თვითონ გამოაკითხა დანიელს ამ დამწერლობის შესახებ. მეფე მიიღო მისგან ანბანი და გაუკმაზუნა სომეხეთს მეფეს უფლება, ესწავლებინა ბავშვებისათვის დამწერლობა, ხოლო, როცა ბერმა მათგანმა აითვისა, მეფემ

K 27. 623
4



ბრძანა, ყველგან ესწავლებინათ ეს ანბანი. ორი წლის განმავლობაში მესრობ მაშტოცი ასწავლიდა ამ დამწერლობას, რის გამო მან დაიმსახურა მოძღვრის (ვარდაპეტის) საპატიო წოდება.

მაგრამ შემდეგში გამოიჩინა, რომ ეს დამწერლობა, დამყარებული სხვა ენობრივ სისტემაზე და შექანიკურად გადმოდებული სომხურისათვის, არასაკმარისი იყო, რადგანაც იგი ვერ გამოიხატავდა სომხურის ყველა ფონემას, მაშინ მათ (მესრომმა და საპაკმა) ხელახლა დაიწყეს ზრუნვა სომხური დამწერლობისათვის და ერთხანს ეძიებდნენ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს (Корюн, Жизнь Маштоца, გვ. 89-90).

ასე მარცხიანი გამოდგა სომხური ანბანის შექმნის პირველი ცდა. თავი რომ დავანებოთ ავტორის საკმაოდ თავისუფალ სტილს, რაც შეუფერებელია ისტორიული თხზულებისათვის, სომხური ანბანის შემოღების პროცესი საკმაოდ უცნაური ჩანს. განა დიდი ხანი და სკოლებში სწავლებით შემოწმება იყო აუცილებელი იმის დასადგენად, რომ სირიული (ან მასზე დამყარებული) ანბანი, რომელსაც აკლდა სომხურისათვის ნიშანდობლივი თვითი რიგი ფონემების გამოხატველი გრაფიკები, სომხურს არ გამოადგებოდა? ამ ანბანით ხომ შეუძლებელი იქნებოდა სომხურ სიტყვათა ერთი, საკმაოდ დიდი, ნაწილის ჩაწერა? განა ყოველივე ეს არ მეტყველებს, რომ თურმე მესრობ მაშტოცს ენობრივი ადლო და ენათმეცნიერული ცოდნა, რაც აუცილებელია ანბანის შექმნისას, მშობლიური დამწერლობის შემუშავებისთვისაც კი არ აყოფინიდა?

ამის შემდეგ მესრობ მაშტოცმა თავისი მოწაფეებითურთ შუამდინარეთისაკენ აიღო გეზი. იგი მივიდა ქალაქ ედესასა (ურბაში, რომელიც მდინარე ეფრატის სანაპიროზე მდებარეობდა) და ამიღეში (დიარბეკირი, ტივროსის სანაპიროზე) და ორად გაყო თავისი მოწაფეები. ზოგი დატოვა ედესაში სირიულის შესასწავლად, ხოლო დანარჩენები გაგზავნა ბერძნულის შესასწავლად სამოსატში (ეფრატის მარჯვენა სანაპიროზე, ედესის ჩრდილოეთით). თვითონ მაშტოცი თავის მოწაფეებთან ერთად მიეცა მისთვის ჩვეულ ლოცვას, მღვიძარებასა და ცერემონიან ევდრობას; ცხოვრობდა ასკეტურად, ძლიერ იღვრება და ზრუნავდა თავისი ქვეყნისათვის. ამგვარად, მან მრავალი გატორვება გადაიტანა, რომ თავისი ხალხისათვის დახმარება აღმოეჩინა. მას დმურებმა მიანიჭა ესოდენი ბუნდოვნება: თავისი მარჯვენით, როგორც მამამ შექმნა ახალი და მშენიერი პირში — სომხური ანბანი. იქ, ედესაში, მან ნაჩქარევად მოხაზა, მისცა სახელწოდებანი და რიგზე დააღაფა გრაფიკები.

ამის შემდეგ იგი თავის მოწაფეებთან ერთად მიემგზავრება ქალაქ სამოსატში, სადაც იპოვა ვინმე როფანოსი, ბერძნული კალიგრაფიის მცოდნე, მისი დახმარებით მაშტოცმა საბოლოო სახე მისცა სომხურ ანბანს. იქვე დაიწყო მან მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მოძღვარს ეხმარებოდნენ მისი მოწაფეები: იოანე და იოსებო. მათ პირველად მთარგმნეს სოლომონის იგავნი. თხზულება გადაწერა კალიგრაფმა როფანოსმა, რომელიც ასწავლიდა (წერთნიდა) მაშტოცის მოწაფეებს.

მესრობი სომხეთში დაბრუნდა ვრამშაპუკის მეფობის მეექვსე წელს (=395 წ.) იგი ამი შემდეგ იწყებს არარატის მიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომების განათლებას, რაც წარმატებით დაასრულა თავისი მოწაფეებთან ერთად („ეს ტომები იყვნენ ძნელად მისადგომნი არა მარტო სატანისებური წეს-ჩვეულებების, არამედ დამახინჯებული და უხეშო ენის გამოც. მესრომმა და მისმა მოწაფეებმა ხელი მოჰკიდეს მრავალი თაობის აღზრდას და იხინი ნათლად მეტყველად, მჭკვრემეტყველად და განათლებულად აქციეს, აზიარეს ღმრთისაგან ბოძებულ სიბრძნეს. და ისე ღრმად შეითვისეს ამ მხარის მცხოვრებლებმა ღმრთის კანონები და აღთქმა, რომ სრულიად გათავისუფლდნენ თავიანთი ადრინდელი ჩვეუებისაგან“ (Корюн, დასახელებული ნაშრომი, გვ. 95).

ამის შემდეგ მაშტოცმა და მისმა მოწაფეებმა ხელი მიჰყვეს სახარების თარგმნას, გადაწერას და სწავლებას (Корюн, გვ. 95). შემდგომში საპაკმა და მესრომმა დაიწყეს სომხეთის განსწავლა, სომხეთის პროვინციებში გაგზავნეს თავიანთი მოწაფეები, ხოლო თვითონ წარმინებულებს ასწავლიდნენ (გვ. 98).

² ამჟამად ფიქრობენ, რომ სომხური ანბანი შექმნილია არა 395, არამედ 405 წელს.

ასე გადმოგვეცემს კორიუნი, მესრობ მაშტოცის ერთ-ერთი მოწაფე, სომხური ანბანის შექმნის ისტორიას. ამავე თხზულებაში ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ ნათქვამია: გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მაშტოცმა იხრუნა ბარბაროსი ქვეყნებისთვისაც. იგი შეუდგა ქართული დამწერლობის შექმნას „ღმრთისაგან მისთვის ჰოიებელი მადლით“. მან მოხაზა, დააღაგა და დააწყო, როგორც საჭირო იყო, ქართული გრაფემები³. მესრობმა თან წაიყვანა ზოგი თავისი საუკეთესო მოწაფე და გაემგზავრა ივერთა (ქართველთა) ქვეყანაში, მივიდა ქველში და წარუდგა მეფე ბაკურს (გარაზ-ბაკურს) და კათალიკოს მოსეს. „მეფემ და ჯარი ყველა მხარისაგან ერთად ღმრთის ბრძანებით მორჩინად უსმენდნენ მას. მაშტოცმა მათ თვალწინ გადაუშალა თავისი ხელთნება და არიგებდა მათ, ხოლო მათ ივადლებულეს მისი სურვილის აღსრულება. მაშინ იპოვეს ერთი მთარგმნელი ქართულად, კაცი განათლებული და მორწმუნე, რომელსაც ერქვა ჯაღა (ჯაღა). ამის შემდეგ ქართველთა მეფემ ბრძანა, სხვადასხვა მხრიდან შეეკრიბათ ბავშვები და მიებარებინათ ისინი მოძღვრისათვის (ანუ მესრობ მაშტოცისათვის) სასწავლებლად. ხოლო მან ისინი გამოაწროთ თავისი მოძღვრების გრდემელში, ჩამოაცილა მათ ბოროტსუნიანი ქანები და კერპთა ცრურწმენით თავყანისცემის ჭკუეი, და ისე დააშორა წინაპრების ადათებს, რომ მათ სრულიად დაივიწყეს თავიანთი წარსული“ (Корюн, გვ. 100-101).

მესრობ მაშტოცი მხოლოდ მას შემდეგ დაბრუნდა სომხეთში, რაც საქართველოში ყველგან მოაწესრიგა ღმრთისმსახურების საქმე (Корюн, გვ. 102).

ამრიგად, კორიუნის თხზულების მიხედვით, მესრობ მაშტოცს არა მარტო შეუქმნია ქართული დამწერლობა, არამედ მისი ხელმძღვანელობით დაუწყიათ ჩვენში ლიტერატურული საქმიანობა. მასვე უდიდესი დამსახურება მიუძღვის საქართველოში ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვებასა და ქართული მღვდელთმსახურების მოწესრიგებაში.

დაახლოებით ამავე სქემის მიხედვით არის გადმოცემული ალბანური დამწერლობის შექმნის ამბავი: მას შემდეგ, რაც მესრობ მაშტოცმა ქართველებს შეუქმნა ანბანი, ის გაემგზავრა ალბანთა ქვეყანაში, მივიდა მეფეთა რეზიდენციაში, ინახულა ალბანთა ეპისკოპოსი იერემია, აგრეთვე მათი მეფე არსვახი და ყველა დიდებული. ყველამ მორჩინად მიიღო იგი ქრისტეს სახელით. ხოლო როცა მათ ჰკითხეს, მესრობმა მოახსენა თავისი მოსვლის მიზეზი. მაშინ ეპისკოპოსმა და მეფემ თანხმობა განაცხადეს, მიეღონ ეს ანბანი და ბრძანება გასცეს, თავიანთი სამფლობელოების სხვადასხვა ოლქიდან და ადგილებიდან მოეყვანათ ბავშვები, რომ ესწავლებინათ ანბანი. როცა ეს ყველაფერი შესრულდა, იერემია ეპისკოპოსი დაუყოვნებლივ შეუდგა საღმრთო წიგნთა თარგმნას, რომელთა დახმარებით ალბანეთის ყველურმა, უმჯად მოხეტიალემ და სასტიკმა ხალხმა მაშინვე შეიცნო წინასწარმეტყველები, მოციქულები, გათავისა სახარებანი, აგრეთვე ყველა საღმრთო ადათი (კანონი). მით უმეტეს, რომ ღმრთის მოშიშმა ალბანთა მეფემ სასწრაფოდ უბრძანა სატანის ცთუნებაში მყოფ და კერპთა მისყიდულ ხალხს, უარ-ყო ცრუ ადათები და დამორჩილებოდა ქრისტეს უმსებუქეს უღელს“ (Корюн, გვ. 106-107).

კორიუნის ამ ვერსიას უყოყმანოდ იზიარებს თითქმის ყველა სომეხი სპეციალისტი, აგრეთვე მრავალი არმენოლოგი უცხოეთში. ამ ვერსიას შეხედებით მრავალ ენციკლოპედიაში. შეიძლება დაგვესახელებინა ერთ-ერთი ბოლო გამოცემა: „Советская историческая энциклопедия“, სადაც ნათქვამია, რომ კორიუნმა „გადმოსცა ყველაზე ხანლო ისტორია სომხური, აგრეთვე ქართული და ალბანური დამწერლობის შექმნისა“ (მე-7 ტომი, 987-ე სვ.). ასე მუდრდება ეს ლეგენდა სხვადასხვა ავტორის წიგნსა და სტატიაში ისე, რომ ბევრს საჭიროებს არ მიაჩნია, ოდნავ მაინც დაფიქრდეს, რამდენად ობიექტურად ასახავს საქმის ვითარებას კორიუნის თხზულების ჩვენამდე მოღწეულნი (ეს ხელნაწერები ხომ უპირატესად XVII-XIX საუკუნეებით თარიღდება. არსებობს მხოლოდ ორი ხელნაწერი XIV-XV საუკუნეებისა, ამის შესახებ იხილეთ Корюн, გვ.155-156).

³ ისე, რომ არ დახტორეგებია კალიგრაფის დახმარება, რაც აუცილებელი გახდა სომხური დამწერლობის შექმნისას!

ყველაზე საფუძვლიანად კორიუნის თხზულებაში დაცული ცნობა განიხილა ივ. ჯავახიშვილმა. იგი წერდა: „სომხურსა და სხვა სპეციალურ მწერლობაში კორიუნის მონათხრობი სრულ ჭკმარტივებად ითვლება და მისი ნაშრომის ცნობებს ეყარებიან, ვითარცა თანამედროვისა და თვითმხილველისაგან აღწერილ მოთხრობას.“

ასეთი ნდობა რომ კორიუნის ნაწარმოების კრიტიკული განხილვა-გაცხრილვის შემდგომ დაიყარებოდა, სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ძეგლის კრიტიკულად განხილვა და კორიუნის განცხადება-ცნობის სასწორის შემოწმება არავის მოსწონია ახრად. ასეთი თავალებით ნდობა კი, რა თქმა უნდა, სახიფათოდ არის და არც შეიძლება“ (ივ. ჯავახიშვილი. ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, გვ. 156-157).

ივანე ჯავახიშვილმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ ცნობა მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ მერმინდელი ჩანართია (ეგრძელ, VI საუკუნის დამლევსა). ამას მოჰმობს ის, რომ V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ლაზარ ფარაპეცი (ფარაპელი), რომელიც კარგად იცნობდა კორიუნის თხზულებას⁴, მაშტოცს მიიჩნევს მხოლოდ სომხური დამწერლობის შემქმნელად (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 170-171). ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა აგრეთვე ზოგი ანატიკონის შესახებ, რაც კორიუნის თხზულების ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში დასტურდება (დასახ. ნაშრ. გვ. 172-173). სხვათა შორის, კორიუნის თხზულების ამგვარი კრიტიკა თვით სომეხ სპეციალისტებსაც გამოუთქვამთ. მაგალითად, შ. აბელიანი თვლის, რომ ამ თხზულებას, როგორც საისტორიო ნაწარმოებს, არავითარი ღირებულება არ გააჩნია სომხეთის ისტორიისათვის, თუმცა მას შესაძლებლად მიაჩნია დაეშუხა, რომ ავტორმა სწორად გადმოგვცა დამწერლობათა შექმნის ისტორია (იხ. K. A. Мелик-Оганджян, Корюн и его «История Маштоца», გვ. 64-65).

ყვეაობოთ, ზედმეტი არ იქნება, გავეცნოთ იმას, თუ როგორ არის მოთხრობილი ანბანთა შექმნა მოგესს ხორენაცის (მოსე ხორენელის) „სომხეთის ისტორიაში“, მით უმეტეს, რომ ამ ისტორიკოსის ძირითად წყაროდ კორიუნის თხზულება ითვლება. ხორენაცის მიხედვით: „სანატრელმა მესროპმა არამცირედი გაჭირვება გადაიტანა მოძღვრობის ჭამს, რამეთუ თვითონ იყო წიგნის მკითხველიცა და მთარგმნელიც. თუ ვინმე სხვა კითხულობდა, როცა მესროპი იქ არ იმყოფებოდა, ხალხი ვერაფერს იტებდა მთარგმნელის არყოფის გამო. მაშინ (მესროპმა) განიზრახა, მოეხერხებინა ასოების შექმნა სომხური ენისათვის. იგი გადაეგო ამ საქმეს, ფრიად დაშურა, ბევრი იწვალა“ (მოგესს ხორენაცი „სომხეთის ისტორია“, გვ. 216). თვით ანბანთა გამოგონება კი ასეა აღწერილი: „ვრამა უბრძანა ჩვენს მეფეს ვრამშაპუსს, რომ ჩასულიყო შუამდინარეთში, მშვიდობა და წესრიგი დაემყარებინა იქ, პასუხი მოუთხოვა ორივე მხარის მოხელეებისათვის. ვრამშაპუკი გაეშურა ამ საქმის მოსაგვარებლად, მაგრამ ძალიან ვაწვალდა მწიგნობრის მიხეზით, რამეთუ მას შემდეგ, რაც მესროპი გაცვალა სამეფო კარს, ვეღარ იბოგა დახელოვნებულ მწერალი, რადგან ისინი სპარსულ ასოებს იყენებდნენ. მაშინ მეფეს წარუდგა ერთი მღვდელი. სახელად აბელი, და აღუთქვა, რომ სომხური ენისათვის გაამზადებდა ასოებს, რომელნიც მისმა მახლობელმა, დანიელ ეპისკოპოსმა შეადგინა. მეფემ ყურადღება არ მიაქცია მას, მაგრამ სომხურში რომ მოვიდა, დიანახა, რომ საპაქ დიდთან და მესროპთან შეკრებილიყო ყველა ეპისკოპოსი სომხური ანბანის შექმნის თაობაზე. შეიტყო რა ეს, ვრამშაპუკმა გადასცა მათ მონახების ნათქვამი. ეს რომ მოისმინეს, ისინი შეეხვეწნენ მეფეს, ეზრუნა ეგზომი საშური საქმისათვის.“

ამის გამო (ვრამშაპუკმა) ხსენებულ აბელთან მოციქულად გააზანა თავისი ერთგული, აღნიშნული საქმის თავგამოდებული მომხრე, ჩვენი ქვეყნის საპატრი კაცი, სახელად ვაზირი, ხადუნთა გვარისშვილი. მან წაიყვანა (აბელი) და ერთად წაიყვინენ (დანიელთან). დანიელმა საფუძვლიანი განმარტება მიაწოდა მათ და ბერძნული რიგის მიხედვით დაალაგეს ადრევე შედგენილი ანბანი. მათ მოიტანეს იგი და გადასცეს საპაქ დიდსა და მესროპს. ისინი შეუდ-

⁴ აი რას წერს ლაზარ ამბაჟაცა და სომხური ასოების პოეზის შესახებაც, თუ როდის, ხად ან ვის მიერ იქნა აღმოჩენილი სომხეთის მეფის ვრამშაპუკის მხრებელ ევდოხობთ. ეს როგუც დააწყო და ხსენებით აღწერა ზემოხსენებულმა სულიერმა კაცმა კორიუნმა. მეც იქიდან მოვადგამის წაკითხვით გავიგე ეს ჭკმარტივად“ (იხ. ლ. ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარაპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 40).

გნებ მის შესწავლას, რამდენიმე წელიწადს ბავშვებიც ავარჯიშეს, მაგრამ დარწმუნდნენ, რომ ასობით შეუძლებელი იყო სომხური ენის ბგერების ხელმოწევა, დამაკმაყოფილებლად ვადმოცემა. ანბანი მწირი გამოდგა“ (მოვსეს ხორენაცი, „სომხეთის ისტორია“, გვ. 222). „ამის შემდეგ თვითონ მესროპი გაეშურა თავისი მოწაფეებით ხსენებულ დანიელთან შუამდინარეთში, მაგრამ დამატებით ვერაფერი შეიტყო და გაემართა ედესისაკენ, ვინმე პლატონთან, წარმართ მტკვერმეტყველთან, არქიბის გამგებელთან. მან სიამოვნებით მიიღო (მესროპი), შეისწავლა სომხური სიტყვებიც, მაგრამ, ბევრი ცდის მიუხედავად, ვერაფერს გახდა; მაშინ რიტორმა აღიარა თავისი უცოდინარობა. მან მიასწავლა (მესროპს) სხვა ვინმესთან, ფრიად გონიერ კაცთან, რომელიც ადრე მისი მოძღვარი ყოფილა, ხოლო შემდეგ ედესის იმავე არქივიდან წაუღია სწავლულთა ნაწერები, წასულა და გაქრისტიანებულა; მას კვიფანე ერქვა: ეძებე ის, იპოვე და შეგისრულებს გულსწადილს.“

მაშინ მესროპმა ბაბილოს ეპისკოპოსის დახმარებით გაიარა ფინიკია და გაეშურა სამოსში; საქმე ისაა, რომ ეპიფანე გარდაცვლილიყო და მას დარჩენილი ერთი მოწაფე, სახელად რუფინუსი, ბერძნულ წერაში საოცრად დახელოვნებული, რომელიც სამოსში იყო განამტკიცებული. მესროპი მივიდა მასთან, მაგრამ აქაც ვერაფერი იპოვა და მიენდო ლოცვებს. მაშინ იხილა მან სულის სიღრმეში, გინების თვალთ და არა ძილის დრძის სიზმრად ან მღვიძარემ მონივნებით, მარჯვენა ხელის მტკვანი, რომელიც წერდა კლდეზე ისე, რომ მასზე ვითარცა თოვლზე რჩებოდა ხაზების კვალი. ეს არა მარტო გამოისახა (მესროპის) თვალწინ, არამედ ყველა (ასოს) დამახასიათებელმა თვისებებმა მოიყარეს თავი მის გონებაში, როგორც რამე ჭურჭელში, ლოცვის დამთავრების შემდეგ (მესროპი) წამოდგა და შექმნა ჩვენი ანბანი, რუფინუსთან ერთად საბოლოო ხაზს მისცა მის მიერ დამზადებულ ასოებს, რომლებსაც ბერძნული ბგერების სიზუსტე შესძინეს. (მესროპი) მაშინვე შეუდგა თარგმნას, შეგნებულად დაიწყო (სოლომონის) იგაგებიდან. მან გადმოიღო (სომხურად) ოცდაორი ცნობილი წიგნი. თავი მოწაფეებთან, პოპან ეკელეციაცისა და პოხეფ პაღნაცისთან ერთად სომხურად თარგმნა ახალი ადოქსაჲ. ამავე დროს იგი წერის ხელოვნებას ასწავლიდა თავის ყმაწვილ მოწაფეებს“ (მოვსეს ხორენაცი, დასახ. თხ.ს, გვ. 223-224).

ქართული და აღბანური დამწერლობის შექმნა ხორენაციის ნაწარმოებში ასეა აღწერილი: „რაც შეეხება მესროპს, იგი წავიდა ქართველთა ქვეყანაში და მადლის ზეგარდმო მონიჭებით მათც შეუქმნა ანბანი ენისმე უჯალასთან ერთად, რომელიც სომხური და ბერძნული ენებიდან თარგმნიდა. (მესროპს) ხელს უწყობდნენ მეფე ბაკური და მოსე ეპისკოპოსი. მან შეარჩია ბავშვები, გაყო ისინი ორ ჯგუფად და მოძღვრად დაუტოვა თავისი ორი მოწაფეთაგანი, ტერ ხორენაცი და მუშე ტარონაცი.“

ამის შემდეგ მესროპი გადავიდა აღბანეთში იქაურ მეფე არსვალენტთან და იერემია მთავრებისკომოსთან. მათ თავიანთ ნებით შეიწყნარეს მესროპის მოძღვრება და გადასცეს მას დამორჩეული ბავშვები. (მესროპმა) მოიხმო ვინმე ბენიამინი, ნიკოეზი მთარგმნელი, რომელიც დაყოფილიყო გაგზავნა მას სირიის სხელისუფალმა, ყმაწვილ ვასაკამ, თავისი ეპისკოპოსის ანანის თანხლებით. მათი შექვევნი (მესროპმა) შექმნა ანბანი გარგარელთა ხორისხიზური, არაკეთილხშოვანი, ბარბაროსული და უხეში ენისათვის. მან იქ შეთვალყურედ დატოვა თავისი მოწაფე პოენათანი, გაამწვას აგრეთვე სამეფო კარის ხუცესნი, ხოლო თვითონ სომხეთში დაბრუნდა“ (მოვსეს ხორენაცი, „სომხეთის ისტორია“, გვ. 223-224).

ადვილად შესაძენვეია ის არსებითი ხასიათის სხვაობანი, რაც შეინიშნება კორინთის თხზულებასა და მოვსეს ხორენაციის „ისტორიას“ შორის. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ ლეგენდა მესროპ მაშტოცის მიერ ქართული და აღბანური დამწერლობის შექმნის შესახებ გვიანდელი ჩანარობა (იხილ ალხაიშნავია, რომ ხორენაციის მოღვაწეობის ხანა საბოლოოდ დადგენილი არაა, მისი თხზულების ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრეული ნუსხები XIV საუკუნით თარიღდება). საფიქრებელია, რომ „სომხეთის ისტორიაში“ წარმოდგენილი ჩანართის წყაროს კორინთის თხზულების კომპილატორის ნამოღვაწარი წარმოდგენენ.

ძალიან საინტერესოა ნ. ალექსიძის დასკვნა, რომელიც მან გააკეთა „ეპისტოლთა წიგნის“ ტექსტოლოგიური ანალიზის საფუძველზე: „ეპისტოლეთა წიგნის“ ძველ რედაქციებში (X საუკუნემდე) არ ყოფილა ცნობა მაშტოცის მიერ ქართული და სომხური დამწერლობის გამოგონების შესახებ და იგი გვიანდელი ინტერპოლაციაა“ („ეპისტოლეთა წიგნი“, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გვ. 041). ნ. ალექსიძე მიიჩნევს, რომ ლეგენდა მაშტოცის მიერ

ქართული ანბანის გამოგონების შესახებ სომხურ წყაროებში ჩნდება X საუკუნის შემდეგ (დასახ. ნაშრ., გვ. 046; უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, გვ. 293-319). ხ. ალექსიძე წერს: „ეპისტოლეთა წიგნი“, სადაც შეკრებილია სომხეთის ეკლესიის მესვეურთა მიმოწერა სხვა ქვეყნის ეკლესიის მეთაურებთან V-XIII საუკუნეების მანძილზე, არაერთგან ეხვებოდათ მაშტოცის სახელს, ყველგან საუბარია მის შესახებ, როგორც ქრისტიანული მოძღვრების მქადაგებლისა და სამაც კათალიკოსის თანამებრძოლზე და არსად არ არის რაიმე ნათქვამი მის მიერ თუნდაც სომხური ანბანის გამოგონების შესახებ. მხოლოდ ერთგან XIII საუკუნის მოღვაწე სომეხი ვარდაპეტი ამბობს: „...მესროპმა მისცა მათ (ქართველებს) ანბანი და მესროპავე უკურთხა ვარძიის ჯვარი“. გასაოცარი ანაქრონიზმი (მესროპმა აკურთხა ვარძიის ჯვარი) სრულიად არ აწუხებს სომეხ ვარდაპეტს. ცხადია, ასეთი რედაქტორები ან გადაამწვრობენ ვერ გასძლებდნენ ცთომულებას და ძველ ტექსტებს თავისი შეხედულებებისა და სურვილისამებრ შეაკეთებდნენ“ („ეპისტოლეთა წიგნი“, გვ. 046-047).

ამრიგად, აშკარაა ქართული ანბანის (აგრეთვე ალბანური დამწერლობის) შემოქმედად მაშტოცის გამოცხადების მცდარობა. ამ საკითხზე სიტყვის მეტად გაგრძელება არც ღირს, ოღონდ მიუვითებთ ზოგი მოამბის შესახებ.

ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ არსებითი სხვაობაა ქართული და სომხური ასოების მოხაზულობაში: „საკმარისია, აღამიანმა სომხური და ქართული ხუცური ასომთავრული უძველესი მოყვანილობის ასოები ერთიმეორეს გულდასმით შეადაროს, რომ დარწმუნდეს, რამდენად დაშორებულია და არ მიაგავს ერთმანეთს ქართული და სომხური ანბანი. ორიოდე ასოს გარდა, ორივე ანბანის ყველა ასო მოხაზულობით არსებითად განსხვავდება.“

თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ ბერძნულ ანბანს თავის წარმომშობელ ფინიკელთა ანბანის ასოებთან 5-6 საუკუნის შემდგომაც ისეთი მსგავსება ემჩნევა, რომ მათი ნათესაობა ცხადი ხდება, ქართული და სომხური ასოების მოხაზულობა ერთი-ორი საუკუნის შემდეგ ისე როგორ უნდა შეცვლილიყო, რომ მათ ნათესაობას გულდასმით დაკვირვებაც ვერ ამჩნევს, თუ მათი შემდგენელი ერთი და იგივე პირი იყო და მართლაც V ს-ში მოღვაწეობდა ქ.შ.“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა, გვ. 198-199).

დგება საკითხი, რატომ არ გამოიყენა მესროპმა სომხური ანბანი ქართულისათვის? (ამ გარემოების შესახებ იხ. Н. Бердзенишвили, И. Джавахишвили, С. Джанашия, История Грузии, I, გვ. 95). ქართული და სომხური ენების ფონეტიკური სისტემა ამის საშუალებას თავისუფლად იძლეოდა.

იმის გამო, რომ ქართულ და სომხურ ასოებს შორის მეტისმეტად დიდი სხვაობაა მოხაზულობის თვალსაზრისით, ძირეულად განსხვავდება ქართული და სომხური გრაფემების მიმდევრობაც. შევადაროთ ერთმანეთს ქართული და სომხური ასო-ნიშნების რიგი და რიცხვითი მნიშვნელობანი.

ქართული	სომხური	ქართული	სომხური	ქართული	სომხური	ქართული	სომხური
ა	1	Ա	1	კ	20	Ի	20
ბ	2	Բ	2	ლ	30	Լ	30
გ	3	Գ	3	მ	40	Խ	40
დ	4	Դ	4	ნ	50	Մ	50
ე	5	Ե	5	შ	60	Կ	60
ვ	6	Վ	6			չ	70
გ	7	Է	7	ო	70	Ջ	80
მ	8	Ը	8	პ	80	Ղ	90
თ	9	Թ	9	ყ	90	Ճ	100
ი	10	Ի	10	რ	100	Մ	200
				ს	200		
				ც	300	Յ	300
				ძ	400	Ն	400
				წ	500	Շ	500
				ჭ	600	წ	600
				ხ	700	ჩ	700
				ც	800	ძ	800
				ვ	900	წ	900
				გ	1000		
				წ	1000	ჩ	1000
				ძ	2000	შ	2000

ასოთა რივის მკვეთრი სხვაობა აშკარაა. ამიტომ სამართლიანია ივ. ჯავახიშვილის მოხაზულობა: „ცხადია, ასოთა რივისა და მათი რიცხვითი მნიშვნელობის ასეთი თვალსაზრისით, არსებითი განსხვავება ქართულსა და სომხურ ანბანში შეუძლებელია ყოფილიყო, მათი შემდგენელი რომ მართლაც ერთი და იგივე პირი ყოფილიყო, როგორც სომხურ მერმინდელ

შვერლობაში კორიუნის გადაკეთებული და მოხე ხორენელი ამტიცებდნენ“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა, გვ. 199).

რა თქმა უნდა, მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნა სრულიად გამორიცხულია იმ მიზეზის გამოც, რომ მან არ იცოდა ქართული ენა. ამის შესახებ პირველად მიუთითა ი. ოქროშვილიშვილმა (И. Л. Окромчедлов, Об изобретении грузинского алфавита, გვ. 227. იხ. აგრეთვე მ. ჯანაშიელი, რა დროს და საიდან შემოიღეს ქართული ანბანი, „ივერია“, 1887, №7; ზ. ხარჯველიძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესახებ, გვ. 68; თ. გამყრელიძე, „მწიგნობრობა ქართული“). ასევე ზღაპრულია ცნობა მაშტოცის მიერ აღბანური დამწერლობის შექმნის შესახებ (მან ხომ არც აღბანური ენა იცოდა?). დამწერლობის შექმნა გულისხმობს დიდ ენათმეცნიერულ აღლოსა და სათანადო თეორიულ მომზადებას. სრულიად წარმოუდგენელია, კაცს, რომელმაც მშობლიური ენისათვის დამწერლობის შექმნა დიდი და დაძაბული შრომის შემდეგ ძლივს მოახერხა („იგი გადაეგო ამ საქმეს, ფრიად დაშურა, ბევრი იწვალა“, „სომხეთის ისტორია“ გვ. 216), ასე ადვილად შეექმნა მისთვის უცნობი ენებისათვის დამწერლობები.

უკანასკნელ ხანებში გაირკვა ისიც, რომ სომხური ანბანის შემქმნელი იცნობდა და იყენებდა ქართულ ანბანს. რ. პატარიძემ აჩვენა, რომ სომხური ნიშნები გრაფიკული მსგავსების მიხედვით სამ ჯგუფს ქმნიან: ხემურ (ე.წ. „ნალისებურ“) გრაფიკათა ჯგუფს, ბერძნულ (ე.წ. „კუთხოვან“) გრაფიკათა ჯგუფსა და ქართულ (ე.წ. „კუთხოვან“) გრაფიკათა ჯგუფს. მკვლევრის აზრით, რამდენიმე სომხურ ასოს (შ ნ ც ძ ჳ ჭ) საფუძვლად დაედო ქართული ასომთავრული Ⴀ გრაფემის მოხაზულობა (რ. პატარიძე, ერკათაგირის გრაფიკული საფუძვლები, გვ. 171-204; ქართული ასომთავრული, გვ. 528-584).

ცხადია, ლეგენდა ქართული დამწერლობის მაშტოცის მიერ შექმნის შესახებ საბოლოოდ უნდა იქნას უარყოფილი.

როგორც ზემოთ ვნახეთ, კორიუნის თხზულებაში არის სანდო ცნობა იმის შესახებ, რომ მაშტოცმა გამოიყენა სირიული და ბერძნული დამწერლობანი. საფიქრებელია, კორიუნის ნაწარმოების თავდაპირველ ვარიანტში ყოფილიყო მითითება იმის შესახებ, რომ მაშტოცმა ქართული ანბანითაც იხარგებლა, ხოლო შემდგომში ეს ცნობა ამოიღეს და ჩაურთეს ლეგენდა ქართული ანბანის მაშტოცის მიერ შექმნის შესახებ.

3. ივ. ჯავახიშვილის თეორია ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ

ივანე ჯავახიშვილი გრაფიკული შედარების მეთოდით იკვლევდა ქართული დამწერლობის წარმომავლობის საკითხს. იგი მიუთითებდა: „უმთავრესი მნიშვნელობა, რასაკვირველია, თვით ასოთა მოყვანილობა-მოხაზულობის მსგავსებასა და იგივეობას აქვს“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა, გვ. 203). მეცნიერი ფიქრობდა, რომ უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული მრგოლოვანი დამწერლობა გვიანდელია, მას კუთხოვანი დამწერლობა უსწრებდა (დასახ. ნაშრ. გვ. 204).

ივ. ჯავახიშვილმა გრაფიკული თვალსაზრისით შეადარა ქართული, ბერძნული და სემიტური დამწერლობანი და დაასკვნა, რომ „ბ“, „გ“, „ჟ“, „ა“ და „ზოგიერთი სხვა ასოს მდებარეობა ქართულ ანბანს თვალსაჩინოდ აშორებს ბერძნულ ანბანს, ხოლო ფინიკურ-არამეულ და მათგან წარმომდგარ ანბანებს უახლოვებს“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა, გვ. 232). ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებით გახაზავდა ქართული ასომთავრული ჟ-ს თავშეკრული ვარიანტის არქაულობას და მის წყაროდ ფინიკური ან არამეული დამწერლობები მიანდა. იგი წერდა: „ქართულ თავდაპირველ ანბანს თავშეკრული „ბ“-ს შეთვისება

⁵ სხვათა შორის, არსებობს ასევე ლეგენდარული ცნობა იმის შესახებ, რომ სომხები ადრე ქართულ ანბანს იყენებდნენ: „რაცა თვის-ვეყის მწიგნობრობასა, არა იყო მათ (სომხეთა) შორის ძეგლთა შინა საკუნეთა“, ამიტომ „იგინა (სომხენი) სარგებდნენ პირველ ბერძულთა წიგნთა და ქართულთა. ქრისტეს მოსვლითგან მრავალთა წელთა განაღდეს, მერმე ქნეს სომეხთა წერილი თვისა, რომელსაცა იტყვიან თინი მოძღვრისად მათისა მესროფისათვის, ვითარმედ მან განაწესა და ქნა ასოინი მათინ მგავსად ქართულისა ხუცურისა წერილისა“ (გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, I, გვ. 123).

შეეძლო ან ფინიკელთაგან უშუალოდ, ან არამეელთაგან უძველეს ხანაში, ქ. წ. VII საუკუნემდე ფინიკელთაგანაც ქართველებს უშუალოდ მხოლოდ იმ ხანაში შეეძლოთ შეთვისება, როდესაც მათთან შედარებით ახლო იყვნენ და საურთიერთო დამოკიდებულება ქონდათ, ე. ი. VII საუკუნემდე, ხანამ ტუბალები და მოსოხები მცირე აზიაში ცხოვრობდნენ და როდესაც, იეზეკიელის სიტყვით, „თოხალ და მოსოხ ვაჭრობდეს“ ფინიკიის ქალაქ ტვიროსში და, სხვათა შორის, გასაყვიდად რეალის ჭურჭელი მიჰქონდათ ხოლმე (XXVII, 13) (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 234).

ივ. ჯავახიშვილი ითვალისწინებდა იმ გარემოებასაც, რომ ასე ადრეული ხანის ქართული წერილობითი ძეგლები არ მოიპოვება, თუმცა თვლიდა, რომ უძველესი წერილობითი წყაროები ისეთ მხატვრულად ჩამონაკეთილ, უაღრესად განვითარებულ და სრულიად დასრულებულ დამწერლობის ნიმუშებს გამოავლენენ, რომ ქართული ანბანის განვითარების ხანგრძლივი ტრადიცია უნდა ვივადაუფოთ (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 234-235).

ივ. ჯავახიშვილი დაასკენდა: „ერთი მხრით, ჯერხნად ცნობილი VI საუკუნის ქართული დამწერლობის ძეგლები ისეთი მალაქარისხოვანი კალიგრაფიული განვითარების საფეხურს წარმოადგენენ, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა სულ ცოტა 7-8 საუკუნით უწინარეს არის საეულიანსებელი. მეორე მხრით, ქართული ანბანის ასეთი რიგობითი მიმდევრობა ფინიკურ-სემიტური ანბანისას მშვენიერად იცავს, რაც ადრეთვე მისი სიძველის მომასწავლებელია: ფინიკურ-სემიტური ანბანის უძველესი მოხაზულობის მსგავსად, ქართულ ზეგრ ასოს პირი მარცხნივ აქვს მობრუნებული და, დასასრულ, ასო „პ“-ანის ქართული თავშეკრული მოხაზულობა შესაძლებელია მხოლოდ ფინიკელთა, ებრაელები და არამეელთაგან ყოფილიყო შეთვისებული VII ს-ზე არა უკვიანეს ქ. წ. როდესაც თვით არამეელიც ჯერ კიდევ თავშეკრულ „პ“-ს ხმარობდნენ და როცა ქართული ტომები ტუბალ-მოსოხებიც აზიაში ცხოვრობდნენ და ფინიკელებთან აღებ-მოცემობაც ქონდათ“ (დასახ. ნაშრ., გვ. 235-236).

ივ. ჯავახიშვილი თავის თეორიას ჰიპოთეზას უწოდებდა, რომლის სიმართლე მომავალს უნდა გამოერკვია, თუმცა დაბეჯითებით აცხადებდა, რომ, „ესეა მაინც საშუალოდ უკუაღებულ უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის V საუკუნეში გამოტარების შესახებ ქ. წ. და უნდა განჩინდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიაში და არა საბერძნეთში უნდა ეკითხ“ (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 236).

ივ. ჯავახიშვილის ძირითად დებულებებს იზიარებს რ. პატარიძე, ოღონდ მიიჩნევს, რომ ქართული დამწერლობა შექმნილია ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში (იხ. რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, გვ. 78).

ქართული დამწერლობის დაკავშირება სემიტურ სამყაროსთან შესაძლებლად მიიჩნდა მ. ჯანაშვილსაც. იგი ფიქრობდა, რომ ქართული ანბანი შეიქმნა არა უადრეს XIV საუკუნისა ჩვ. წელთაღრიცხვამდე (მ. ჯანაშვილი, რა დროს და საიდან შემოიღეს ქართული ანბანი „ივერია“, 1887, 3127; 128).

ივ. ჯავახიშვილის თეორიის გაზიარებას მრავალი დაბრკოლება ედოებოდა, რომელთაგან უმთავრესია:

1. დამტკიცებულად ვერ ჩათვლით იმას, რომ ტუბალები და მოსოხები ქართული ტომები (ამდენად პრობლემატურია ფინიკელებთან და სემიტურ ტომებთან ქართული ტომების ურთიერთობა ძვ. წელთაღრიცხვის VIII-VII საუკუნეებში). კ. კეკელიძე ამ საკითხთან დაკავშირებით მიუთითებდა: „თავისთავად იგულისხმება, რომ ანბანის შესახებ ამა თუ იმ ერისაგან შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ერთან უშუალო კავშირი და ურთიერთობა არსებობს. ამიტომაც არის, რომ თოხელსა და მოსოხს ფინიკელებთან აღებ-მოცემობა ჰქონდათ (XXVII,13). ამის შესახებ, პირველ ყოვლისა, უნდა შევირწოთ, რომ დასახლებულ ადგილას ეზეკიელის წიგნში თოხელსა და მოსოხს არ იხსენიებენ არც სეპტანტა, რომელსაც როგორც მეცნიერებაში ცნობილია, ეზეკიელის წიგნი უკეთესად შემოუნახავს, ვიდრე ებრაულ ვულგატას, არც მისგან მომდინარე წიგნები. აქ „თუქალ“ (თოხელ) გაგებულა, როგორც „ყოველი“, ხოლო „მეშე“ (მოსოხ) წარმოებულია „მაშაი“-საგან, რაც „განერცობას“ ნიშნავს. ჩანს, 70 თარგმანთა შორისა საბუთი ასეთი გაგებისა, თორემ რაღა აქ არ მოიხსენიეს ეს ტომები და იმავე ეზეკიელის სხვა ადგილას – კი (XXXII,26, XXXVIII,2, XXXIX,1). მეორე, თოხელსა და მოსოხში კიდევაც რომ უცილობლივ ქართველი ტომები ვიცნოთ (ეს აქსიომა არ არის, არსე-

ბობს სხვაგვარი შეხედულება ამის შესახებ ვეზუგეტიკაში, აქედან მხოლოდ იმ დასკვნას მივიღებთ, რომ ფინიკიელებთან აღებ-მიცემობა ჰქონდათ თობგლსა და მოსოხს, ის ანბანი კი, რომელსაც ქართული ეწოდება, როგორც სახელიდან ჩანს, შემოღებულია არა თობგლ-მოსოხის, არამედ ქართველი ტომის მიერ, რომელსაც „ქართ“ ეწოდებოდა“ (კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღეხსაწეული, „მნათობი“, №5-6, გვ. 156). კ. კეკელიძე იმასაც ვახსავს, რომ ასურულ წყაროთა მიხედვით მუშუკებს ხუთი მეფე (გვართა მეთაური) ჰყოლიათ, ტუბაღებს – 24. უზუგიულის მიხედვით, მოსოხი და თობალი იყვნენ საშინელი ბარბაროზები, რომლებიც „ვაჭრობდნენ ხელებსა კაცობასა“, მძარცვეულები, ყაჩაღები (კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 159).

2. ჯერჯერობით უდავო თარიღიანი წერილობითი ძეგლები V საუკუნეში გვაქვს. როცა იგ. ჯავახიშვილი ქართული დამწერლობის მრავალსაუკუნოვან პრეისტორიას ვარაუდობდა, იგი იმედოვნებდა, რომ არქეოლოგიური კვლევა-ძიების განვითარების შედეგად აღმოჩნდებოდა უფრო ადრინდელი წერილობითი ძეგლები. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამ მოსახრების შემამარტებელი ნივთიერი მასალა არსად ჩანს, რაც იგ. ჯავახიშვილის მოსახრებისათვის არსებითი ხასიათის დაბრკოლებაა.

3. იგ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ ქართული დამწერლობის ჩვენამდე მოღწეული ძეგლების ჩამოკვლილობა გულისმობს ხანგრძლივი განვითარების გზას. ამ მოსახრების გაზიარებაც ჭირს, რადგანაც X საუკუნის ქართული ანბანი V საუკუნის ანბანთან შედარებით არ არის უფრო სრულყოფილი, ჩამოკვეთილი. ამდენად, ეს საბუთი ანბანის სიძველის სამტკიცებლად ვერ გამოდგება.

4. იგ. ჯავახიშვილი იყენებს გრაფიკული შედარების მეთოდს, რაც ანბანთა წარმომავლობის ძიებისას გადამწყვეტად ვერ ჩაითვლება (სხვა ნიშნებზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

4. ვ. წერეთელი ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ

1940 წლის 25 ნოემბერს მცხეთის მახლობლად, არმაზში, აღმოაჩინეს ორენოვანი წარწერა, რომელიც ცნობილია არმაზის ბილინგვის (ლათ. bi „ორი“ lingua „ენა“) სახელწოდებით. წარწერა შესრულებულია ბერძნულად და არამულად. იგი შეიცავს ძვირფას ცნობებს ქართლის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიისათვის. ამ წარწერის ბერძნული ტექსტი გამოხსენს ს. ყაუხჩიშვილმა (საქ. მეცნ. აკად. მოამბე, II, №1-2, გვ. 171-175) და ა. შანიძემ (საქ. მეცნ. აკად. მოამბე, II, №1-2, გვ. 184-185).

არამულ ტექსტს რამდენიმე გამოკვლევა მიუძღვნა ვ. წერეთელმა (ვ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა: ენიმკის მოამბე, XIII, გვ. 1-48; Г. В. Церетели, Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита, I; Эпиграфика востока II, გვ. 90-101; Эпиграфика востока III, გვ. 59-71). ვ. წერეთლის აზრით, ეს წარწერა გამოავლენს არამული დამწერლობის თავისებურ სახეს. იგი წერს: „მისი დუქტუსი იმდენად თავისებურია, რომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს გამოვყოთ სემიტური დამწერლობის დამოუკიდებელი შტო“ (ვ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, გვ. 5). ვ. წერეთელმა მას არმაზული დამწერლობა უწოდა. მკვლევრის აზრით: „სოფიერთი არმაზული ნიშანი გარკვეულ ნათესაობას აქვდავენს ქართულ ასოებთან. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ისევ არ დაისვათ ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი. ამ საკითხის განხილვა სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ქართულ ასოებში, რომლებიც გაცილებით უფრო გვიანდელ ძეგლებშია ფიქსირებული, ვიდრე არმაზის წარწერაა, ზოგჯერ უფრო მეტ არქაულობა იქნეს თავს ვიდრე არმაზის სათანადო ნიშნებში. ქართული ნუსხური ყ ვაცილებით უფრო ძველია თავისი მოხაზულობით, ვიდრე არმაზის წარწერის სათანადო ნიშანი. ამიტომ სწორი არ იქნება ვამტკიცოთ, რომ ქართული დამწერლობა ასოების ერთმნიშვნელო განვითარებას წარმოადგენს უფრო საფიქრებელია, რომ ერთიგა და მეორეც ერთ საერთო წყაროსაგან, ფინიკიურსა და ძველი არამეულისაგან წარმოდგება, როგორც ამას ჯერ კიდევ განსვენებული აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ფიქრობდა. შესაძლებელია, ქართულსაცა და არმაზულსაც საფუძვლად დაედო ძველი არამეული დამწერლობის თავისებური შტო, რომელთანაც ხშირად არმაზული უფრო ახლოს დგას, ვიდრე ქართული, ზოგჯერ პირიქით“ (ვ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, გვ. 13-14).

გ. წერეთელი ფიქრობდა, რომ არმაზული დამწერლობა არის შუალედური რგოლი, რომელიც ქართულს ქრონოლოგიურად აკავშირებს ფინიკურ-არამეულთან (Армзаское письмо, გვ. 63). მისი აზრით, ცალკეულ ქართულ და არმაზულ ასოებს შორის მნიშვნელოვანი მსგავსებაა. ამასთან, წერის სტილი, დამატებითი ელემენტები აგრეთვე აახლოებს არმაზულ დამწერლობას ქართულთან. გვაქვს ცალკეულ ასოთა დაწერილობის მსგავსებაც (Армзаское письмо, გვ. 63-64). გ. წერეთელმა მიუთითა, რომ არმაზული წადე და ქართული წილი თითქმის იდენტურია (არმაზის ბილინგვა, გვ. 16; Армзаское письмо, გვ. 64). უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ქართული წ გადამოსცემს სემიტურ s-ს (Армзаское письмо, გვ. 64).

გ. წერეთელი მიიჩნევდა, რომ არამეული (წადე) ასოს მოხაზულობასთან დიდ სიახლოვეს იწინეს ქართული გრაფემები ც, ლ, წ, და შესაძლოა, მათი პროტოტიპები უნდა ვეძიოთ სემიტურში (Армзаское письмо, გვ. 66-67).

გ. წერეთელი განსაკუთრებით გახაზავს ქართული ყ ნიშნისა და ძველი არამეულის (ბეთ) გრაფიკათა სიახლოვეს (Армзаское письмо, გვ. 67). ასევე ქართული ჯ ნიშნის მოხაზულობა წაგავს სამარიტელის (გიმმელ) ასოს დაწერილობას, მას დაუცავს ამ ნიშნის თვადაპირველი სახე (იქვე, გვ. 68).

გ. წერეთელი ფიქრობდა, რომ ქართული ჳ და ზ ნიშნები გაცილებით არქაული დაწერილობისაა, ვიდრე სათანადო არმაზული ნიშნები (Армзаское письмо, გვ. 68). „ამიტომ სწორი არ იქნება ვამტიკოთ, რომ ქართული ასოები არმაზის ასოების შერძინდელ განვითარებას წარმოადგენს. უფრო საფიქრებელია, რომ ერთი და მეორეც ერთი საერთო წყაროსაგან, ფინიკურისა და ძველი არამეულისაგან, წარმოადგება, როგორც ამას განსვენებული აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ფიქრობდა. შესაძლებელია, ქართულსაც და არმაზულსაც საფუძვლად დაედო ძველი არამეულის დამწერლობის თავისებური შტო, რომელითაგანაც ხშირად არმაზული უფრო ახლოს დგას, ვიდრე ქართული, ზოგჯერ კი პირიქით“ (არმაზის ბილინგვა, გვ. 13-14). არმაზის ბილინგვა უნდა დაეთარიღოთ ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნით (გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, გვ. 34).

ქართული დამწერლობის წარმოშობის კონკრეტულ თარიღს გ. წერეთელი არ მიუთითებს, მაგრამ აშკარად გამოიქვეამს თვალსაზრისს ქართული დამწერლობის წინარეკისტიანულ ხანაში შექმნის შესახებ.

გ. წერეთელი არამეულს უდარებდა ქართული დამწერლობის ერთ-ერთ სახეს – ნუსხურს. მას მიანდა, რომ დ. ბაქრაძის, ივ. ჯავახიშვილისა და სხვათა მიერ მიღებული ქართული ანბანის განვითარების გზა: ასომთავრული → ნუსხური → მხედრული არაა სწორი. მისი აზრით, ასომთავრული და ნუსხური მომდინარეობს საერთო წყაროდან. ზოგ შემთხვევაში ნუსხურს დაუცავს არქაული ნიშნები, ზოგჯერ – ასომთავრულის (Армзаское письмо, გვ. 70). უნდა აღენიშნათ, რომ დ. ბაქრაძემ, დ. კარიბაშვილმა, ივ. ჯავახიშვილმა, ა. შანიძემ, ი. აბულაძემ, ე. მაკავარიანმა და სხვებმა ნათლად აჩვენეს, რომ ქართული დამწერლობის უძველესი სახეობას ასომთავრული წარმოადგენს, მისგან მივიღეთ ნუსხური, მხედრული კი შედარებით ახალია და ნუსხურისაგან მომდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ გაურკვეველი დარჩა, რომელ ენაზეა დაწერილი ქვემო ტექსტი. ა. შანიძე მიუთითებდა: „ამ ტექსტში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში საკუთარ სახელსა და საზოგადო სახელთა გამოკრებებს, სულ არის, ნაწილაკითურთ, 32 სიტყვა, რომელთაგან 29 არამეულია, სამი სპარსული. ეს – ლექსიკური შედგენილობის მიხედვით. გრამატიკული თვალსაზრისით ტექსტი გვიჩვენებს ისეთ მოვლენებს, რომლებიც აშკარად დადავებენ, რომ ეს არ არის სემიტური. მსაზღვრელს დაისმის საზღვრულის წინ (კლ. ბტქშ „მცირე პიტიახ-ში“), ქალის მიმართ მამრობითი ფორმებია ნახმარი და სხვ. ყველაფერი ეს აშკარად გვეუბნება, რომ ენა არ არის არამეული“ (ა. შანიძე, რეცენზია გ. წერეთლის ნაშრომზე „არმაზის ბილინგვა“, გვ. 143).

სხვა დაბრკოლებებთან ერთად, რომლებსაც ქვემოთ მივუთითებთ, არსებითი გ. წერეთლის თეორიისათვის ისაა, რომ არამეულთან შესადარებლად აღებულია ნუსხური და არა ქართული დამწერლობის უძველესი საფეხური – ასომთავრული.

აქვე შევნიშნავთ, რომ ქართული დამწერლობის არამეულიდან მომდინარეობის აზრი ადრეც გამოუთქვამთ, კერძოდ, ფრ. მიულერს (*Über den Ursprung der armenischen Schrift*, გვ. 431-438). ი. ტიელიორს (*The Alphabet*, ტ. II, გვ. 268)⁶, ს. გორგაძეს (წერილები საქართველოს ისტორიიდან, I, გვ. 69-75).

ს. გორგაძე წერდა: „ქართული ასომთავრული არც ერთ ანბანს ისე ძლიერ არ ჰგავს, როგორც არამეულსა და იმის პროტოტიპს – ძველებრაულ-ფინიკიურ ალფაბეტს; არც ერთი ანბანისაგან ჩვენი ასომთავრულის წარმოება ისე ადვილი არაა, როგორც ამ ორი ანბანიდან. მხოლოდ სამი თუ ოთხი ასოა ბერძნულიდან ნასესხები და ისიც მხოლოდ ის ასოები, რომელნიც არამეულსა და ძველ-ებრაულ-ფინიკიურ ანბანში არ მოიპოვება. დანარჩენი ასოები კი ან ძველი არამეულის პირდაპირ განმეორებას წარმოადგენს, ან მცირეოდენს შეცვლას“ (ს. გორგაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 70).

ს. გორგაძეს ფარნავაზი მიაჩნდა ქართული ანბანის შემქმნებ-რეფორმატორად და ქართული მწიგნობრობის შემომღებლად. „ანბანი ქართველ ხალხს, განსაკუთრებით მის მოწინავე თემს, აღაროდიებლეს, ფარნავაზზე გაცილებით ადრე უნდა ჰქონებოდა, მაგრამ, შესაძლოა, ამ ანბანს ბევრი ნაკლი ჰქონიდაც, ვეფოება ისე ადვილი სძების გამოხატველი ვერ ყოფილიყოს და ფარნავაზს შეეცხოს იგი ახალი ასოებით, შესაძლოა, აგრეთვე, ფარნავაზს წერა-კითხვა დანარჩენ თემებშიც გავრცელებინოს, თანაც უცხო ენებიდან რამდენიმე წიგნი გადმოე-თარგმნინებინოს და, ამგვარად, საფუძველი ჩაეყაროს ქართული მწიგნობრობისათვის. ერთი სიტყვით, ფარნავაზს უნდა ეკუთვნოდეს დაწვება „მწიგნობრობის“ ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით და არა ანბანის შემოღება. აი ამას უნდა ნიშნავდეს, ჩვენის ფიქრით, „ქართლის ცხოვრების“ სიტყვები ფარნავაზის შესახებ: „ამანვე შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (დასახ. ნაშრ., გვ. 74).

ქართულ დამწერლობას პ. იუნკერი ავესტურს უკავშირებდა (Heinrich F. J. Junker, *Das Awestaalphabet und der Ursprung der armenischen und georgischen Schrift*). ჯერ კიდევ 1881 წელს ილია ოქროსმჭდლიშვილმა გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართული მხედრული ანბანი მომდინარეობს ზენდავესტურისგან (И. Л. Окрочмедлов, *Об изобретении грузинского алфавита*, გვ. 225). და ფურცელაძის აზრით, ქართული ანბანი ეთიოპიურიდან მომდინარეობს და თანადროულია ძველი აღმოსავლური (იგულისხმება ეთიოპური, სანსკრიტი, ებრაული, სომხური, – ანტ.) ანბანებისა (იხ. Труды V археологического съезда в Тифлисе, გვ. XLII).

5. ქართული დამწერლობის ბერძნულიდან მომდინარეობის თეორია

1876 წელს ვ. ვარდღვაშუენმა აღნიშნა, რომ ქართული დამწერლობა ბერძნულიდან უნდა მომდინარეობდეს V. Gardthausen, *Über den griechischen Ursprung der armenischen Schrift*, გვ. 74-80). ეს აზრი მან გაიმეორა თავის ცნობილ მონოგრაფიაში „*Griechische Paläographie*“.

1881 წ. თბილისში ჩატარებულ არქეოლოგთა V კონგრესზე დიმიტრი ბაქრაძემ წაითხა მოსხვედრა, რომელშიაც იგი ცდილობდა დაესაბუთებინა ქართული დამწერლობის ბერძნულიდან მომდინარეობა. კერძოდ, ე. ბაქრაძე მიუთითებდა, რომ ქართული ასოების რიგი მიჰყვება ბერძნულს; ნასესხებია ზოგი ტერმინი: კალამი, მელანი (Д. Бақраძе, *Грузинская Палеография*, გვ. 208-209); უს დაწერის წესი ბერძნულის მსგავსია (გვ. 209); ზოგი ასოს მოსაზრება ბერძნულს ენათესავება (გვ. 209). ავტორის აზრით, ქართული დამწერლობა შემოღებულია ბერძნულის ზეგავლენით ჯერ კიდევ შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის პერიოდში (გვ. 208).

ქართული ანბანი ბერძნულიდან მომდინარედ მიაჩნდა დ. კარიჭაშვილს. იგი მიიჩნევდა, რომ ქართული ანბანის წარმოშობის სამტკიცებლად ასოთა შედარების მეთოდს კი არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ ფონეტიკურ შესაბამისობას. აი, რას წერდა დ. კარიჭაშვილი: „მსგავსება ასომთავრული ანბანისა არამეულსა და ბერძნულიან აიხსნება იმით, რომ ბერძნული და არამეული წარმომდგარნი არიან ერთის ანბანიოთგან – ებრაულ-ფინიკიურიოთგან, და ამიტომ ერთმანეთს ჰგვანან. ამის გამო გასაკვირველი არ არის, რომ ქართული

⁶ ოლნდ, მიხი ვარაუდით, ქართული ანბანი არამეულს ფალაურის გზით უკავშირდება.



ანბანი, ერთ-ერთის ამ ანბანისგან წარმომდგარი, ჰვავდეს მუორესაც. გადამწყვეტი იმ საკითხისა, თუ რომლის ანბანითგან წარმოსდგა ქართული — ბერძნულისგან თუ არამეულისგან — იმოდენად მსგავსება არ არის, რამდენადაც სხვა მოსახრებები.

საკმე ის არის, რომ არამეულსა და ბერძნულს ანბანში ასოები ერთნაირ რიგზე არიან დალაგებულნი, მაგრამ მნიშვნელობა კი ყველას ერთნაირი აქვთ. ეს იმით აიხსნება, რომ ბერძნულმა ებრაულ-ფინიკურის ანბანის გადმოღების დროს ზოგიერთს ასოს მიათვისეს სხვა ხმა. მაგალითად, შერვე ასო, არამეულში რომ გამოხატავდა ხმას ჰ, ბერძნულში მიიღეს ალბანიშნავად ხმისა ჰ, მეთერთმეტე ასო, რომელიც არამეულში გამოხატავდა ხმას ჰ, ბერძნულში მიიღეს ალბანიშნავად ხმისა კ, აგრეთვე მეთხუთმეტე ასო არამეულში აღნიშნავდა ხმას ჰ, ბერძნულში კი მისს ჰ, მეთერთმეტე ასო, რომელიც არამეულში გამოხატავდა ხმას ჰ, ხოლო ბერძნულში იხვე ხმას კ, რისთვისაც ბოლო დროს აღარ იხმარებოდა და დარჩა ანბანში მხოლოდ რიცხვის გამოსახატავად. მეოცე ასო არამეულში გამოხატავდა ხმას ჰ, ხოლო ბერძნულში ხმას ჰ.

მის შემდეგ დ. კარიჭაშვილი წერს: „ქართული ასოები ანბანში მისდევს ბერძნული ასოების რიგს ისე, როგორც ისინი დალაგებული არიან რიცხვების აღნიშნავად. იმ შემთხვევაში, როდესაც ბერძნული ასო გამოხატავს ქართულში არარსებულ ხმას, ქართულს ანბანში მითითებული აქვს სხვა რომელიმე წმინდა ქართული ხმა. ასეა მაშინაც, როდესაც რომელიმე ბერძნული ასო იმეორებს წინად აღნიშნულს ხმას. ხმას უ ბერძნულ ანბანში არა აქვს თავისი გამოხატველი განსაკუთრებული ასო. იგი გამოიხატებოდა ორი ასოთი. აგრეთვე იყო ძველს ქართულს ასომთავრულს ანბანშიც (ლუ). რიცხვითი მნიშვნელობები ქართული ასოებისა ისეთივეა, როგორც ბერძნულში იმ ქართულის ხმების აღსახიშნავად, რომელთა მსგავსი არ მოიპოვებიან, ასოები საგანგებოდ არიან შედგენილნი ბერძნული ასოებითგან და მოქცეულნი ბოლოში.“

ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ ქართული ანბანი წარმოებულია ბერძნულითგან. არამეულის ანბანითგან რომ ყოფილიყო წარმოებული, უკუკვლია, ქართული ხმები იმ რიგით იქნებოდნენ აღნიშნულნი, როგორც არამეულშია. მაგ. შერვე ასოს ექნებოდა ხმა ჰ და არა ჰ, მეთერთმეტე ასოს ჰ და არა კ, მეთხუთმეტეს ჰ და არა ჰ, მეჩვიდმეტეს ფ და არა ჰ, მეთორმეტე ასოს ჰ და არა ჰ, მეოცეს შ და არა ჰ, ოცდამეშვიდე ასოს ეჭირებოდა მეთერთმეტე ადგილი და ექნებოდა მნიშვნელობა ხმისა ც ან წ (დ. კარიჭაშვილი, ხუცური ანბანი, გვ. 30-32).

რაც შეეხება ასოთა ქართულ სახელებს, თუ მათში „რომელიმე მიაგავს ბერძნულს (მაგ. ხან) ან არამეულს (მაგ. შინ), ეს მსგავსება აიხსნება შემთხვევით და არა გავლენით (დ. კარიჭაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 32); იხ. აგრეთვე, Т. В. Гамкрелидзе, Происхождение и типология алфавитной системы письма, II, გვ. 10 და შმდგ.).

დ. კარიჭაშვილის მოსახრებები დღესაც ხაინტერესოა და ანგარიშგასაწყვი.

კ კმაქლიძემ 1929 წელს ჟურნალში „მნათობი“, №5-6 გამოაქვეყნა ვრცელი ნაშრომი „ქართული კულტურის ორი დღესასწაული“. მისი აზრით, ქართული დამწერლობა ბერძნულისაგან მოდის. ამ თვალსაზრისს, კ კმაქლიძის ვარაუდით, შემდეგი არგუმენტები უმაგრებს ზურგს: 1) ანბანის შემოდებისას „ბერძნულს, როგორც ქრისტიანობისა და მისი მწერლობის პირველწყაროს, მეტი კულტურული და მისაბაძი ღირებულება ექნებოდა ქართველობისათვის, ვიდრე სხვა ერებს, კერძოდ, სომხებს, სემიტებს და ირანელებს“; 2) წერასთან დაკავშირებული ზოგი ტერმინი ქართულში ნახესხებია ბერძნულიდან (კალამი, მელანი, წიხნი, თოყოს, ბერძნულში ნახესხებია ლათინურიდან); 3) ქართულში, ისე, როგორც ბერძნულში, გვაქვს ხმოვანთა გამოხატველი ნიშნები. ეს ნიშნები პირველად ბერძნულში შემოიღეს; 4) წერის მართლებსა საერთოა ბერძნულთან; 5) ასოების რიგი და თანამიმდევრობა ბერძნულისას ემთხვევა. ამას გარდა, „როდესაც ერთი ერი მეორე, უფრო კულტურთსანი, ერისაგან ანბანს სესხულობს, ის ჯერ გამოიყენებს ორივე ენისათვის საერთო ასოებს და მერე ზრუნავს თავისი საკუთარი ბუნების გამოსახატავი ნიშნებისათვის, რომელთაც ანბანის ბოლოში ათავსებს. ასე მოიქცნენ თავის დროს ბერძნები, ასევე უნდა მოქცეულიყვნენ ქართველებიც. მარტაც, ქართულ ანბანში „ა“-ნიდან „ჟ“-ანამდე, იგივე 24 (ან უკეთ 25, თუ მხედველობაში გვაქნება ი, რომელსაც უდრის ქართული იჟ) ასო გვაქვს, ორი გამოინაკლისის გარდა (ი, ჟ

- წ, ჟ, რაც ბერძნულში, და იმავე თანმიმდევრობით, როგორც ბერძნულში. ბოლოში, „ქ“-ის შემდეგ, ბერძნულის გაგრძელებად, მოთავსებულია სპეციფიკური, ბერძნულთან შედარებით, ქართული ბგერების გამოხატულებები ნიშნები: ლ, ყ, შ, ჩ, ძ, წ, ჳ, ხ, ჳ, კ, მ (თურქულ, შესაძლებელია, უკანასკნელი შემოღებული იყოს როგორც შესატყვისი ბერძნული ანბანის უკანასკნელი ასო თ-ისა). სპეციფიკურ ქართულ ბგერათა გამოხატულებულია აგრეთვე „ა“ და „ჟ“, მაგრამ ისინი ბანალია საერთო ასოთა სვეტში, იმ ორი ბერძნული ასოს (წ, ჟ) რიცხობრივ მნიშვნელობის შესატყვისად, რომელნიც ქართულში არ მოიპოვებიან, 6) ქართულ ასოებს შემოესახავთ უცვლელად არა მარტო თანმიმდევრობა ბერძნული ანბანის ასოების „ქ“-ანამდე, არამედ მათი რიცხობრივი მნიშვნელობაც“ (კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 156). კ. კეკელიძე მიუთითებს, რომ თუ გრაფიკულ მეთოდს მივიღებთ, 24 ქართული ასოდან (ანიდან ქანამდე) 21 „უფრო ადვილად, ბუნებრივად და ძალდაუტანებლად შეიძლება გამოყვანილ იქნეს ბერძნული ასოებიდან, ვიდრე ფინიკურ-სემიურიდან“ (კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 158; იხ. აგრეთვე, კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 35-36).

ა. შანიძე მიიჩნევდა, რომ ქართული ანბანი ბერძნულს ემყარება. ვ. წერეთლის არმაზის ბილინგვალთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ რეცენზიაში („მნათობი“, 1942, №9) ა. შანიძე წერდა: „რაც შეეხება ვ. წერეთლის მოსაზრებას ქართული ანბანის ფინიკურსა და ძველ არამეულთან ნათესაობის შესახებ, უნდა მოგახსენოთ, რომ ამისათვის მის გასახიარებლად არც წ-ს მოსახულობა საკმარისი და არც სხვა ასოების მსგავსების შემთხვევები (ფ-სი, ხ-სი) ეს მოსაზრება, ვაკერით გამოთქმული შენიშვნაში (გვ. 18) და რამდენადმე აგრეთვე თვით ტექსტში (გვ. 13-14), შეიძლება სამუშაო თორიად იქნეს მომარჯვებული, მაგრამ მას დამტკიცება უნდა ქართული ანბანისა და არამეულის მთლიანად შედარების საფუძველზე. ამ შედარებისას, რა თქმა უნდა, არ შეიძლება უგულებელყოფილ იქნეს სომხურისა და ბერძნულის ურთიერთობა ქართულთან, როგორც ამას გვიჩვენებს არა მარტო ისეთი შეხვედრები, როგორიცაა დიდი მსგავსება ფუნქციურებს შორის (ბერძ. φ X, ქართ. ფ ე თ), არამედ აგრეთვე ანბანის რიგი ამ ენებში, უ და ტ ასოების შენაცვლება ქართულ-სომხურ-ბერძნულში, ხმოვნების ხმარება საზოგადოდ და კერძოდ, უ ხმოვის გადმოცემის ხერხი, კ ასოთა მსგავსება ქართულსა და სომხურში (ქართ. ყ და სომხ. ყ) და სხვა და სხვა. ეს საკითხები ყველა მჭიდროდა დაკავშირებული. საზოგადოდ, ქართული ანბანის გენეზისის პრობლემა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად გადაწყდეს (ცალკე, სომხურისა და ბერძნული ანბანის გენეზისის საკითხების შესწავლასთან დაუკავშირებლად“ (გვ. 140).

1957 წელს ახერხიანის ისტორიის მუზეუმის შრომების II ტომში გამოქვეყნდა ა. შანიძის ნაშრომი „Порядок букв грузинского, армянского и албанского алфавитов“ (გვ. 33-41). იგი მიუთითებს, რომ ქართულ ანბანზე ზეგავლენა მოუხდენია ბერძნულს, კერძოდ, ქართულ ანბანში ბერძნულის ზეგავლენით არის შემოღებული მ, შ; უ-ს დაწერილობის წესი. ის, რომ უ-ს ქართულ ანბანში მე-9 ადგილი უჭირავს, ხოლო ტ-ს 29-ე, ა. შანიძის აზრით, შეპირობებულია ბერძნულის გავლენით. ქართული ანბანი, რომ სემიტური დამწერლობების ტრადიციას იცავდეს, პირიქით იქნებოდა (A. Г. Шанидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 33-34).

ბერძნულის ზეგავლენა განსაკუთრებით იმენს თავს ქართული ანბანის შემქმნელის ტენდენციად, ბერძნულთან საერთო ნიშნებს აუცილებლად შეუნარჩუნოს ბერძნულისათვის დამახასიათებელი რიცხობრივი მნიშვნელობები. ამის გამოა, რომ ბერძნული ჳ და ვ გრაფემების ადგილას, რომელთა შესატყვისები ქართულს არა აქვს, ქართულში გვაქვს ე და ჟ, რომელთა შესატყვისები არ მოვაპოვება ბერძნულს. ბერძნული დიგამის (F) ადგილი დაიკავა ვ-მ, ხოლო ბერძნული დ-ს ზეგავლენით შემოღებული მ ნიშნის წინ, იქ, სადაც ბერძნულში არის ფ - და რომლის შესატყვისი არ გვაქვს ქართულში, ჩვენს ანბანში განაღდაგეს ქართულისათვის სპეციფიკური ბგერის გამოხატულები 12 ნიშანი. ამრიგად, ბერძნული და ქართული 22 ნიშნის რიგი და რიცხვითი მნიშვნელობა ერთმანეთს ზუსტად შეესატყვისება (A. Г. Шанидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 34).

ქართული დამწერლობის პრობლემას 70-იანი წლების დასაწყისიდან სისტემატურად იკვლევს აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, რომლის მონოგრაფია „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“, 1989 წ., გამოსცა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

თ. გამყრელიძე ქართულ დამწერლობას მიიჩნევს ერთ-ერთ სრულყოფილ ანბანურ წერით სისტემად გრაფიკული სიმბოლოების (ასო-ნიშნების) ენის ფორმურ ერთეულებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. იგი არის ანბანური დამწერლობის ტიპური ნიმუში, „რითაც უძველეს წერილობით სისტემათა ტიპოლოგიაში ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს იმკვიდრებს“ (გვ. 23). ავტორის თვალსაზრისით, ქართული დამწერლობის წარმოშობა ტიპოლოგიურად უკავშირდება დამწერლობათა შექმნას იმ მიზნობელ ქვეყნებში, რომლებთანაც საქართველოს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა. სწორედ ამის გამო „ძველი ქართული დამწერლობის წარმოშობისა და შექმნის პრობლემა უნდა განიხილებოდეს ამგვარ არეალებში დამწერლობათა წარმომავლობისა და განვითარების ფართო ტიპოლოგიურ ფონზე“ (გვ. 23).

ქართული ანბანის შექმნის პრობლემა ნაშრომში სწორედ ამ მეთოდოლოგიური მოთხოვნის შესაბამისად არის განხილული.

მონოგრაფიის პირველი თავია „ძველი სემიტური კონსონანტურ-ხილაბური დამწერლობა“ (გვ. 24-66). როგორც ცნობილია, ასოთდამწერლობის (კონსონანტური დამწერლობის) უძველესი ნიმუშია ძველი ჩრდილო-სემიტური წერითი სისტემა.

ეს არის დამწერლობა, რომელშიაც სპეციალური პირობითი ნიშნებით გამოიხატება მხოლოდ თანხმოვანი ფონემები. იგი დამწერლობის ისტორიაში უდიდეს პროგრესს მოასწავებდა, რადგანაც პირველად შეიქმნა ისეთი სისტემა, როცა ყოველი ცალკეული თანხმოვანი ფონემა გამოიხატებოდა ცალკეული გრაფიკით. მისი უპირატესობა პიქტოგრაფულ და ხილაბურ წერით სისტემებთან შედარებით უადრესად თვალსაჩინოა. ბუნებრივია, რომ ეს მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, როდესაც მოხერხდა ენის ბგერათისისტემის უმცირესი ერთეულების – ბგერების – გამოყოფა.

თამაზ გამყრელიძის შეფასება წერილობითი სისტემის პარადიმატიკისა და სინტაგმატიკის ცნებები. იგი მიუთითებს: „წერილობითი სისტემის პარადიმატიკის შესწავლა გულისხმობს... გრაფიკულ სიმბოლოთა ურთიერთმიმართების განხილვას მიმდევრობაში, წერილობით ნიშნათა თანმიმდევრობის შესწავლას სისტემაში; ამისგან განსხვავებით, წერილობითი სისტემის სინტაგმატიკა გულისხმობს ნიშნათა შეერთების წესებს სიტყვებით, წერით სიმბოლოთა ურთიერთმიმართებებს სიტყვის ფარგლებში და საზოგადოდ წერის მიმართულებასთან დაკავშირებულ კანონზომიერებებს“ (გვ. 42-43).

ავტორის აზრით, წერითი სისტემა არის სტრუქტურა, რომელსაც აქვს ორი მხარე (პლანი): გამოხატულებისა და შინაარსისა. წერითი სისტემის გამოხატულების პლანი მოიცავს: გრაფიკათა სახედწოდებებს, ნიშნათა რიგს, ნიშნათა განლაგების პრინციპებს, წერის მიმართულებას. შინაარსის პლანს განეკუთვნება გრაფიკათა ფონეტიკური და რიცხვითი მნიშვნელობანი.

თ. გამყრელიძე განიხილავს ძველი სემიტური კონსონანტური დამწერლობის შექმნის შესახებ არსებულ ორ სხვადასხვა თვალსაზრისს. იგი უარყოფს ვარაუდს ძველი სემიტური ანბანის დამოუკიდებლად შექმნის შესახებ.

ნაშრომის II თავი ბერძნული დამწერლობის წარმოშობისა და ევოლუციის საკითხს ეძღვნება. ცნობილია, რომ ბერძნებმა ანბანი ფინიკელებისაგან ისუსხეს, მაგრამ მოახდინეს მისი რადიკალური რეფორმა – ხმოვანი აღნიშნეს სპეციალური გრაფიკით. ამრიგად, ბერძნებმა შექმნეს პირველი თანმიმდევრული ანბანური დამწერლობა.

ბერძნებმა პროტოტიპად აიღეს ფინიკიური ანბანი, რომელიც შეიცავდა მთელ რიგს ისეთი ბგერითი ერთეულების გამოხატველი ნიშნებისას, რომელთა შესაბამისი ბგერები (ფონემები) ბერძნულს არ მოეპოვებოდა. ბერძნული დამწერლობის შემოქმედმა სწორედ ასეთი ნიშნები გამოიყენა ხმოვნების გამოსახატავად.

ბერძნულს მჭიდროდ სშულებისათვის ჰ და გ გამოიყენეს ის ნიშნები, რომლებიც სემიტურშიც ჰ და გ მჭედრ სშულებს გამოხატავდნენ. სემიტური ემფატიკური თანხმოვნები ბერძნულში ფშვინეირებით ვადმოიცემა. მაგალითად, სემიტური ემფატიკური (რომელსაც თ. გამყრელიძე გლოტალიზებულადაც თვლის) ტ თანხმოვის შესაბამისი ნიშნი გამოიხატება ბერძნული ფშვინეირი ღ (დანარჩენი ფშვინეირებისათვის სპეციალური ნიშნები ჟ და ჭ მოგვიანებით შეიქმნა).

თუ ბერძნული ანბანის პარადიმატიკას სემიტურიისას შეუვადრებთ, აღმოჩნდება, რომ ბერძნულში გვაქვს ყველა ასო-ნიშანი იმავე რიგით, როგორც სემიტურში. ერთადერთი გამო-

ნაკლისია წადგ, რომელიც ბერძნულმა არ გადმოიღო. ამრიგად, ბერძნულმა შეითვისა 21 სიმბოლო, მიანიჭა მათ სემიტურისაგან განსხვავებული ფონეტიკური მნიშვნელობანი (ზოგ ასონიშანს მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობადა მოეპოვებოდა გვიანდელ ბერძნულში: დიგამა, კოპა, სამპი).

თ. გამყრელიძის წიგნის III თავი (გვ. 118-205) ქართული ანბანის ბერძნულიდან მომდინარეობის თეორიის დასაბუთებას ეძღვნება. თ. გამყრელიძე ქართული ანბანის წარმოშობას იკვლევს როგორც ენათმეცნიერი, ოღონდ მთლიანად არ გამოირჩეხავს გრაფიკულ მხსავსებათა მნიშვნელობასაც, ამგვარი ძიებისას უნდა დაეიცვათ მტკიცე მეთოდლოგიური პრინციპი.

თ. გამყრელიძე თავის ნაშრომში მოკლედ მიმოიხილავს არქაული ქართულის ბგერით შედგენილობას (გვ. 125-128) და აღნიშნავს, რომ „არქაული ქართულის ამ ბგერითი სისტემის შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო სწორედ ძველი ქართული ანბანის შექმნა“ (გვ. 129). ავტორი ხაზგასმით მიუთითებს ქართული დამწერლობის შემოქმედის უდიდეს ლინგვისტურ აღლოს – ქართული ენის ყველა ბგერითი ერთეული გამოყოფილია აბსოლუტური სიზუსტით. ამ ფაქტზე მეცნიერულმა აღლომ გახადა შესაძლებელი ბგერითი სისტემისათვის ზუსტად შესაბამისი დამწერლობის შექმნა.

ქართული დამწერლობის წარმოშობის კვლევის ძირითადი პრობლემაა: რომელი ანბანი გამოიყენა ქართული ანბანის შემოქმედმა ნიმუშად? „ეს არის არსებითად პრობლემა ძველი ქართული ანბანის წარმოშობისა, დაყვანილი სრულიად კონკრეტულ ამოცანაზე, სახელდობრ იმის გარკვევაზე, თუ რომელ წერილობით სისტემას ემყარება ქართული დამწერლობა როგორც ნიმუში, როგორც პროტოტიპულ მოდელს, რომელიც განსაზღვრავს მის წყობასა და პარადიგმატიკას“ (გვ. 130).

როგორც ჩანს, ქართული ანბანის შემოქმედს პროტოტიპად შეეძლო აეღო ძველი სემიტური ან ბერძნული დამწერლობა.

ქართული ანბანის პროტოტიპად ძველი სემიტური დამწერლობის მიჩნევა თუნდაც იმიტომ არ არის საგარაუდო, რომ იგი ნარევი „კონსონანტურ-სილაბური წერითი სისტემაა, მაშინ, როდესაც ქართულ დამწერლობაში მკაცრად და თანმიმდევრულადაა გატარებული წერის „ანბანური პრინციპი“, რაც პირველად დამწერლობათა ისტორიაში ბერძნულ წერით სისტემაში განხორციელდა ძველი სემიტური სისტემის სტრუქტურული გარდაქმნის შედეგად“ (გვ. 131-132).

ქართული ანბანის პროტოტიპად ბერძნულს „მიჩნევა სასუსხით გასაგებს ხდის ქართული სისტემის სტრუქტურასა და პარადიგმატიკას, მისი „ძირითადი“ და „დამატებითი“ ნაწილების ხასიათსა და ბგერით შედგენილობას“ (გვ. 132).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ „ყველა ის თავისებურება ბერძნული დამწერლობისა, რითაც ეს უკანასკნელი განსხვავდება ძველი სემიტურისაგან, ყველა ის სპეციფიკური, საკუთრივ ბერძნულისათვის დამახასიათებელი სტრუქტურული ნიშანი, წარმოქმნილი ბერძნულ ანბანში მისი შექმნისას სემიტურისაგან და ავტორთა მისი შემდგომი განვითარების პროცესში, ასახულია სრულად ქართულ ანბანში, რაც ნათლად მოწმობს ძველი ქართული დამწერლობის ბერძნული (და არა უშუალოდ სემიტური) სისტემისაგან წარმომავლობას“ (გვ. 132).

ქართული ბგერითი ერთეულების გამოხატველი ასონიშნების რიგი მიიყვება ბერძნული ენის ბგერათა აღმნიშვნელ სიმბოლოთა რიგს.

თ. გამყრელიძე დავრიდებით განიხილავს ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის პარადიგმატიკას ბერძნულ და სემიტურ სისტემებთან შედარებით (გვ. 134-139) და დამაჯერებლად აჩვენებს, რომ ქართული ანბანის ძირითადი ნაწილი შემოიღებულა ბერძნული ნუგავალით. საესებთ განსაზღვრებელია ავტორის დებულება: „ქართული ანბანის შექმნისას წერით ნიმუშად სემიტური სისტემის აღების შემთხვევაში ქართულ ანბანს სულ სხვა წყობა და სტრუქტურა ექნებოდა, ანბანის „ძირითადი“ და „დამატებითი“ ნაწილები სულ სხვაგვარი შედგენილობისა იქნებოდა, ვიდრე ეს ძველ ქართულ დამწერლობაშია დადასტურებული“ (გვ. 132). ქართული ანბანის ბერძნულზე დამოკიდებულება ჩანს იმითაც, რომ ქართულ ასოთა რიგი და რიცხვითი მნიშვნელობა ბერძნულს მისდევს. ავტორის აზრით, ბერძნულის მიხედვით არის დადგენილი ქართული ასოები ანდანი შინამდე (გვ. 149, 150, 151).

ქართული ანბანის დანართი ნაწილში შედის იმ ბგერითი ერთეულების ამსახველი ნიშნები, რომლებიც ქართული ენის ფონეტიკური სისტემისათვის სპეციფიკურია ბერძნულთან მარბრებით. ესენია: ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჳ მ (გვ. 155). ამ დანართი ნიშნების პარადიგმატიკა,

თ. გამყრელიძის აზრით, „არ ემთხვევა რომელიმე კონკრეტულ წერით პროტოტიპს, იგი საფუძვლიან უფრო გარკვეული ფონეტიკური პროცესის მიხედვით განლაგებულ ბგერათა წყობით განისაზღვრება“ (გვ. 154-155). კერძოდ, ავტორი მიუთითებს ერთ მერად მნიშვნელოვან გარემოებაზე: „ქართული ანბანის დანართი ნაწილის ცენტრალურ წვერს წარმოადგენს მღვდრი ძ აფრიკატი, რომლის მარცხნივ და მარჯვნივ (resp. ზემოთ და ქვემოთ) მოთავსებულია სიმეტრიულად განლაგებული ბგერები, შესაბამისად ყრუ (ფშვინიერი) და (ყრუ) გლოტალიზებული აფრიკატები“ (გვ. 155).

ქართული დამწერლობის პროტოტიპად სემიტური წერითი სისტემა რომ აღვთ, „დანართ“ ნაწილში არ მოხვედებოდა / y / / ʃ / / ʋ / თანხმონათა გამოშხატეული ნიშნები.

თ. გამყრელიძე სპეციალურ პარაგრაფს უძღვნის ასომთავრული ანბანის სიმბოლოთა გრაფიკულ ანალიზს (გვ. 159-169). ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ ქართული ასოები ბადეს ქმნიან („ქართული პალეოგრაფია“, გვ. 170). ეს იმას ნიშნავს, რომ მას საფუძვლიან პუნქტს აქვს გაცნობიერებული, რომ ქართული ანბანი აგებულია გეომეტრიული პრინციპის მიხედვით. უკანასკნელ ხანებში ამ საკითხს შესახებ ბევრი დაიწერა (ე. მაჭავარიანი, რ. პატარიძე, თ. ჩხეიძე... განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ვინფრედ ბოედერის საინტერესო გამოკვლევა). თ. გამყრელიძე დეტალურად აანალიზებს ქართულ ასოთა აგების პრინციპებს: ვეაძლევის თითოეული გრაფემის შექმნის წესს.

გრაფიკულ მსგავსებას ქართული ანბანი ბერძნულთან იჩენს. „ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა ასახავს ბერძნულ გრაფიკას... თავისი ზოგადი მონუმენტურობით და გრაფემათა გეომეტრიული ხასიათით“ (გვ. 171). ზოგ შემთხვევაში ქართული ასო-ნიშნები „შეიძლება დაუკავშირდეს სემიტურ სიმბოლოებს. გარკვეული ნიშნები (ჰარი, ჯანი, ჩანს, აკროფონიული პრინციპის მიხედვითაა შეთხზული (გვ. 176).

თავისთავად კი „ასო-ნიშნათა ვერგულ მსგავსებას სხვა სისტემის სიმბოლოებთან მხოლოდ მაშინ აქვს გარკვეული ღრმობა და მნიშვნელობა, თუ მოცემული დამწერლობის ამ სისტემიდან მომდინარეობა სხვა, უფრო არსებითი მონაცემების საფუძველზე იგარაუდება“ (გვ. 180). ბერძნულის დაშვება პოტოტიპად ქართული გრაფიკისათვის ემართება იმას, რომ „ქართული წერითი სისტემა არსებითად ემთხვევა სწორედ ბერძნულ სისტემას და არა სემიტურს ან რომელიმე სხვა სისტემას მთელი რიგი შინაგანი სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით, და ამდენად, უფრო სავარაუდებელია ძველი ქართული დამწერლობის ნიშნებისათვის“ (გვ. 180).

აქვე უნდა ითქვას: თ. გამყრელიძემ ნათესაო, რომ „გლაგოლიცის“ დანართი ჯგუფის პარადიმატიკა შეპირობებულია ძველი ქართული ასომთავრული ანბანის ზეგავლენით (გვ. 192).

თ. გამყრელიძე მკვეთრად ემიჯნება ქართული ანბანის სიმბურიდან მომდინარეობის თეორიას. იგი მიუთითებს, რომ მესროპ მაშტოცმა არ იცოდა ქართული, რაც თავისთავად გამორიცხავს მის მონაწილეობას ქართული ანბანის შექმნის პროცესში. თ. გამყრელიძე ვარაუდობს, რომ ქართულ ანბანს გარკვეული ზეგავლენა უნდა მოეხდინა სომხურზე, კერძოდ, სომხური ონიშნის სახეობაზე /*ԻՆ*/ ქართულიდან ჩანს შეთვისებული (გვ. 158).

1975 წ. ქართული ანბანის სტრუქტურის შესახებ უდრესება საინტერესოა ნარომი გამოაქვეყნა ოლდერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ვინფრედ ბოედერმა (W. Boeder, Zur Analyse des altgeorgischen Alphabets). მან ქართული ანბანი გრაფიკული თვალსაზრისით განიხილა და მთელი უდრესად საინტერესო დასკვნები:

1) ქართული ასოები ავსებენ კვადრატს, ან მის ნახევარს. ქართული გრაფემების ძირითადი ელემენტებია: სწორი ხაზი და ნახევარწრე. წრე შეიძლება განვიხილოთ ორი ნახევარწრის კომბინაციად. ქართულში არის ასოები, რომლებიც ერთმანეთისაგან განიხილვიან სწორი ხაზით, ან ნახევარწრით, მაგრამ არ გვაქვს ისეთი ასოები, რომლებიც სხვა ელემენტებით განირჩეოდნენ. ქართული ასოები შეიძლება „ერთმანეთის შემადგენლობაში“ შედიოდნენ, მაგ., ასომთავრული ინი ვინ-სა და ენ-ში. ეს უკანასკნელი გან-სა და მკე-ში და სხვა.

ბერძნული ასოებიც შედგება სწორი ხაზისა და ნახევარწრისაგან, ოღონდ ქართულში გვაქვს ღია ნახევარწრე ბერძნულის საპირისპიროდ.

ამრიგად, ქართული ანბანი გეომეტრიულ პრინციპებზეა აგებული, ისე, როგორც ბერძნული დამწერლობა. ცალკეული სხვაობები, რა თქმა უნდა, არის, ოღონდ გრაფემათა აგების

პრინციპში დიდი მსგავსებაა (W. Boeder, დასახ. ნაშრ., გვ. 2-8). უნდა ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილი იყო პირველი მკვლევარი, ვინც ეს პრინციპი შენიშნა. იგი მიუთითებდა, რომ ქართული ასოების სიმადლე და სივანე ავსებს ოთხხაზოვან ბადეს (ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 107). ე. მაჭავარიანმა 1970 წელს გამოთქვა საინტერესო შეხედულებები ქართული ანბანის აგების პრინციპის შესახებ (ქართული ხელნაწერები, გვ. 14). ქართული ანბანის გეომეტრიულ პრინციპზე აგებას ასაბუთებს თ. ჩხენკელი (თ. ჩხენკელი, ასომთავრულის გეომეტრიული სტრუქტურა).

2) მეორე პრობლემა, რომელსაც ე. ბოედერმა მიაქცია ყურადღება, არის ქართულისათვის სპეციფიკურ ფონემათა გამოხატველი ნიშნების განლაგება. მისი აზრით, ქართული სპეციფიკური ფონემების შესატყვისი გრაფემები განლაგებულია ბერძნული კლასიკური ფონეტიკური მოძღვრების გათვალისწინებით. ამ მოძღვრების მიხედვით კარგად იხსნება წინანუნისმიერი აფრიკატების ც-ჲ მიმდევრობა. ქ „მეღერი“ არის საშუალო „ფშენიერი“ ც-სა და „მკეთორ“ წ-ს შორის (W. Boeder, დასახ. ნაშრ., გვ. 8-9).

შეიძლება ითქვას, რომ დღევანდის გამოყენებითაა ნიშნათა კომპლექსი, რომლის მიხედვითაც, ქართული დამწერლობა უახლოვდება ბერძნულს და უპირისპირდება სემიტურს. ეს ნიშნებია:

1. წერის მიმართულება ქართულს ისეთივე აქვს, როგორც ბერძნულს – მარცხნიდან მარჯვნივ. ამგვარივეა წერის მიმართულება ყველა იმ დამწერლობაში, რომლებიც ბერძნულიდან მომდინარეობენ. სემიტურ დამწერლობაში წერის მიმართულება საპირისპიროა.
2. ქართულ ანბანში, ისე, როგორც ბერძნულში, გვაქვს ხმოვნების გამოხატველი ნიშნებიც. სემიტური კონსონანტური ანბანი ბერძნულში „გახაზოვანეს“ პირველად.
3. ქართულ ანბანში ანიდან ქანამდე ასოთა მომდევნობა და რიცხვითი მნიშვნელობა (ორიოდე გამონაკლისის გარდა) ბერძნულის იდენტურია. ქს შემდეგ კი მოთავსებულია ქართული ენის ფონეტიკური სისტემისათვის სპეციფიკური თანხმოვნების გამოხატველი გრაფემები.
4. ქართულში ბერძნულიდან არის ნასესხები წერასთან დაკავშირებული არაერთი ტერმინი (მელანი, კალამი, წიგნი, ტომარი, ქარტა, ეტრატ).
5. ზოგი ქართული ასოს დაწერილობა ბერძნულიდან არის გადმოღებული, ან ძალიან ახლოს დგას მასთან.

უპირველეს ყოვლისა, უნდა მივუთითოთ ასომთავრული ა გრაფემისა და ბერძნული α-ს თითქმის იდენტობაზე (აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ზოგ ქართულ წერილობით ძეგლში გვაქვს ბერძნულის იდენტური ვარიანტიც).

ბერძნული ზეგავლენის შედეგია ასომთავრული ა-ს ნიშნით გადმოცემა, შდრ. ბერძ. α (Д. Бакрадзе, Грузинская Палеография, გვ. 209; დ. კარიჭაშვილი, ხუცური ანბანი, გვ. 31 და სხვ.). იხიც აღსანიშნავია, რომ ა ნიშნის შემადგენლობაში შემავალი ჲ ზოგჯერ ბერძნული α-ს შემადგენელი მეორე კომპონენტის ა-ს შესატყვისად იხმარება: პაკულ (შდრ.: ბერძნული Πασα), ეფთუმე (შდრ.: ბერძნ. Ξυθμισα), კურაიკე (შდრ.: ბერძ. χυραχικε და სხვა). ეს იმასაც მოწმობს, რომ ჲ გრაფემა ქართულში შემოიღეს, როგორც ბერძნული α-ს კვივივალენტი. მას დაეკისრა /ჲ/ დიფთონგის გამოხატვა, რაც აგრეთვე ბერძნულის გავლენაა (იხ. Т. В. Гамкрелидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 16-17).

ბ ნიშანი ქართულში შემოღებულია ბერძნულის ზეგავლენით (А. Г. Шанидзе Порядок букв, გვ. 33-34). გ. წერეთელს ბ ნიშანი Н ნიშნიდან გამოჰკავს (იხ. უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, გვ. 36, აგრეთვე W. Boeder, დასახ. ნაშრ., გვ. 7).

კარგადაა ცნობილი, რომ ძველი ქართული ბ ნიშანი თავდაპირველად /ჲ/ დამავალ დიფთონგს გამოხატავდა. ეს ფუნქციაც ბერძნულის ზეგავლენით არის შეპირობებული. ბერძნულში Н ნიშანი ძვ.წ-ის VI – ახ.წ-ის IV საუკუნეებში გადმოსცემდა /ჲ/ დიფთონგს (იხ. Schwyzzer, Griechische Grammatik, I, გვ. 168). ამრიგად, ქართულში ბ ნიშანი ბერძნულის მიხედვით შემოიღეს და ბერძნულის ზეგავლენითვე დაეკისრა მას /ჲ/ დიფთონგის გამოხატვა (თ.

გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა, გვ. 135-137).

უდავოა, რომ ბერძნულის ზეგავლენით არის შემოღებული აგრეთვე მ ნიშანი (გ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 70; W. Boeder, დასახ. ნაშრ., გვ. 7 და სხვ.).

გარკვევით უნდა ვთქვათ, რომ თითქმის ყველა ზემოთ განხილული შემთხვევა ეწინააღმდეგება ქართული ანბანის ძირითად ფონეტიკურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, ერთი გრაფიკა გამოხატავს ერთ ბგერას და ერთი ბგერითი ერთეული წერისას ერთი ნიშნით გადამოცემა.

ა. შანიძემ მიუთითა აგრეთვე ქართ. φ α + ნიშნების ბერძნულთან სიახლოვეზე (ა. შანიძე, რეცენზია გ. წერეთლის ნაშრომზე „არმაზის ბილინგვა“, გვ. 140).

უდავოდ ბერძნულიდან მომდინარეობს ძველი ქართული γ ნიშანი.

6. ქართული დამწერლობის შექმნის ეპოქა

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა დიდი სხვადასხვაობაა ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ.

დ. ბაქრაძე მიიჩნევდა, რომ ქართული ანბანი შექმნილია დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში ბერძნული კოლონიების არსებობის ეპოქაში (Д. Бахрадзе, Грузинская Палеография, გვ. 208). მ. ჯანაშვილის აზრით, ქართული ანბანი შეიქმნა არა უადრეს XIV საუკუნისა ჩვ. წ-მდე (მ. ჯანაშვილი, რა დროს და საიდან შემოიღეს ქართული ანბანი, „ივერია“ 1887, №127-128), ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ჩვ. წ-მდე არა უადრეს VII-VI საუკუნეებისა (ქართ. პალეოგრაფია, გვ. 235-236). რ. პატარაძე ადრე ასახვლებდა V საუკუნეს (ქართული ასომთავრული; მისივე: ქება ქართულისა ენისა, გვ. 146). ამ ბოლო ხანს - 284 წელს (რ. პატარაძე, ქება ქართულისა ენისა, გვ. 158). 284 წელს შექმნილად მიანდა ქართული დამწერლობა პ. ინგოროყვასაც (პ. ინგოროყვა, თხზულებანი, IV, გვ. 250). ქრისტიანობამდელია ქართული ანბანი გ. წერეთლის აზრითაც (გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები, გვ. 47-48).

ქართულ ანბანს ქრისტიანობის უკავშირებენ კ. კეკელიძე, ა. შანიძე, თ. გამყრელიძე, ვ. ბოლდვირი და სხვ. კ. კეკელიძე წერს: „ქართულ ტომებში ანბანისა და მწიგნობრობის შემოღებისათვის საჭირო პირობები, ყოველ შემთხვევაში ქრისტიანულ ეპოქამდე, კიდევ არ არსებობდა. მე მგონია, ასეთი პირობები არ არსებობს ჩვენში ქრისტეს შემდეგაც მოთხოვ საუკუნის ნახევრამდე, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში ორი მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი მოხდა. საქმე ისაა, რომ ანბანისა და მწიგნობრობის შემოღებისათვის ნიადაგი შეიქმნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ საქართველოში მოხდა პოლიტიკური გაერთიანება ორი უმნიშვნელოვანესი ქართველი ტომისა, საკუთრივ იბერიისა და ქართლ-გუგარქისა, რასაც ადვინაჲსი ეპონდა 349 წელს ქრისტეს შემდეგ“ (კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული, გვ. 160). კ. კეკელიძე მიიჩნევდა, რომ ქართული დამწერლობა შეიქმნა V საუკუნეში (დასახ. ნაშრ., გვ. 165).

ა. შანიძე ფიქრობს, რომ ქართული ასომთავრული ანბანი IV-V საუკუნეებში ჩამოყალიბდა იმ ხანით, რა სახითაც მან ჩვენამდე მოაღწია (A. Г. Шанидзе, Порядок букв, გვ. 33).

თ. გამყრელიძის აზრით, „ძველი ქართული „ასომთავრული“ ქრისტიანული ხანის ეროვნული დამწერლობაა, შექმნილი ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადების შემდეგ, ისევე, როგორც ეს მოხდა სხვადასხვა დროს სათანადო ქვეყნებში კოპტური, გოთური, ძველი სომხური და ძველი სლავური დამწერლობების შემთხვევაში, რომლებიც თავსდებიან ბერძნულზე დამყარებულ ადრექრისტიანულ დამწერლობათა საერთო ტიპოლოგიურ ჯგუფში“ (თ. გამყრელიძე, „მწიგნობრობა ქართული“) თ. გამყრელიძე ქართული ანბანის შექმნის დროდ მე-4 საუკუნის ბოლოს ან V საუკუნის დასაწყისს მიიჩნევს (დასახ. ნაშრ.)⁷.

ქართული ასომთავრული ანბანის კავშირს ქრისტიანობასთან მოწმობს ის ფაქტი, რომ + გრაფიკა ქრისტეს აკროფონიულ ნიშანს წარმოადგენს (Г. В. Церетели, Армазское письмо...)

⁷ ქართული დამწერლობა ეროვნული ხუროთმოძღვრების საფუძველზე აღმოცენებულად მიანია ე. მაჭავარიანს (ე. მაჭავარიანი, ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, გვ. 114-116).

Эпигр. вост. 3, გვ. 70; შდრ.: კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული, გვ. 158). ე. მაკავარიანის აზრით, ძველი ქართული α იესუ ქრისტეს აკროფონიული დამწერლობაა: „ი, ე, სუ“ + „ქრისტე“. α მიღებულია γ და τ ასოთა კომბინაციის გზით (ე. მაკავარიანი, ასომთავრული დამწერლობის მხატვრული თავისებურებანი..., გვ. 238-239; მისივე, ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, გვ. 111).

ქართული ანბანის შემოღება ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ სახეგლო იმის გამო, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში დაწერილებით არის მოთხრობილი ქართლის გაქრისტიანების შესახებ, მაგრამ არაფერია ნათქვამი დამწერლობის შემოღების თაობაზე. ცხადია, შემგატიანე ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ასეთ მნიშვნელოვან ფაქტს უთუოდ აღნიშნავდა. ამ გარემოების შესახებ მიუთითა ე. ხინთიბიძემ (E. Chintibidze, Das problem der georgischen Schrift- und Schriftumsentstehung, , გვ. 39).

საფიქრებელია, რომ ჩვენში უკვე I საუკუნიდან არსებობდნენ ქრისტიანული თემები. ისინი II-III საუკუნეებისათვის ალბათ იმდენად მომკლავდნენ, რომ აუცილებელი გახდა ქრისტიანული ლიტურგიისათვის აუცილებელი წიგნების ქართულად თარგმნა, ამ საჭიროებისათვის უნდა შექმნილიყო დამწერლობა ჩვენში ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურ სარწმუნოებად მიღებამდე.

„ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილია კერპთა მსხვერვეის ამბავი (I, გვ. 89-91). ამ ფაქტმა თურმე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია: „ხოლო დღესა მორგესა გამოვიდა მირიან მეფე და ყოველი იგი ერი, ეძიებდეს ღმერთთა მათთა და არა კპოვებდეს, რომლისათსუ-იგი დაეცა მათ შიში და ძრწოლა. და იგლოვდეს გულფიცხელი ერი იგი და იტყოდეს, ვითარმედ: „ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩუენი ესე ღმერთი არამაჲ ყოვლადვე მტერ არიან: ამან სამეფოს ზედა ზღუა მოაქცია, და აწ მან შური იძია და მის მიერ მოიწია ესე“. ხოლო რომელიმე იტყოდეს: „რომლისა ღმრთისა ძალითა თრდატ მეფე ეშუად იქმნა და მისვე ღმრთისა ძალითა კაცად იქმნა, და მან უკუე ღმერთმან მოაწია ესე. რამეთუ სხუა ღმერთი ვერ შემძლებელ არს ძვეითარსა ქმნად“. ესეითარისა ამას იტყოდეს, რამეთუ ვინათგან თრდატ მეფე ქრისტეს ძალით ეშუად ქმნილ იყო, და ქრისტეს ძალითვე კუალად კაცად მოქცეულ იყო, მიერთგან ქება-დიდება ქრისტესი არღარა ფარულად ითქმოდა ქართლსა შინა, რამეთუ მადლსა ღმრთისასა ეწყო მიუყნად აღმოსავლეთს“ („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 92).

ქართული დამწერლობა IV საუკუნის I ნახევარში უკვე რეალურად არსებობდა. ამას მოწმობს, ერთი მხრივ, ის, რომ „წიგნიცა რომელი ჰქონდა მეფესა ნებროთისი, და მასცა წიგნსა შინა პოვა წერილი ესრეთ“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 105); „მაშინ გულისხმა-ყო მეფემან მირიან, რამეთუ ძუელნი წიგნი და ახალნი ეწამებოდეს და ნებროთის წიგნიცა დაამტკიცებდა“ (იქვე, გვ. 105). ამრიგად, მირიანს ჰქონია ნებროთის წიგნი (საფიქრებელია, ქართულად); მეორე მხრივ, ის, რომ ნინოს ამბავი ჩაიწერეს აბიათარ მღვდელმა და სიდონიამ (მათი ჩანაწერი შესულა „ქართლის ცხოვრებაში“). საინტერესოა, რომ ნინოს ისტორია ჩაუწერიათ ავრთვექ სალომე უჯარმელსა და პეროვაჟორი სივნიელს („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 127).

ფარნავაზის მიერ ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ ცნობა ალბათ სახელმწიფო საჭიროებისათვის, საკანცელარიო მიზნებით ბერძნულის ან არამეულის გამოყენებას გულისხმობს. სხვაგვარად ძველად აიხსნებოდა ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნიად აღრეული ხანის ბერძნული, არამეული ძეგლები, მაგრამ ქართული არ ჩანს. სხვათა შორის, თვით არმაზის ჰიეროგლიფი მოგვიითხრობს იბერიის სამეფო კარზე მომხდარ ამბავს ბერძნულად და „არამეულად“, მაგრამ ქართულად კი არა. იმ დროისათვის ქართულ დამწერლობას თუ კივარაუდებ, ამ ფაქტს აუცილებლად დასტორდება ახსნა.

ლიტერატურა

ი. აბულაძე, წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი ქართული ტერმინი: თსუ, შრ, XXXIX, თბ., 1950.

თ. გამყრელიძე, „მწიგნობრობა ქართული“: „ლიტერატურული საქართველო“, 20, XI, 1987.

თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმოშობა, თბ., 1989.

ბ. გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, I, ტფ., 1906.

ე. მატყაძე, წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლეულია და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968.

პ. ინგოროყვა, თხზულებანი, IV, თბ., 1978.

დ. კარიჭაშვილი, ხუცური ანბანი, ტფ., 1914.

კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული: „მნათობი“, №6-7, 1929.

კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980.

ე. მატყაძე, ასომთავრული დამწერლობის მხატვრული თავისებურებანი ქართული ხელნაწერების მიხედვით (V-XII სს): მრავალთავი, II, თბ., 1973.

ე. მატყაძე, ასომთავრული, ქართული ხელნაწერები, თბ., 1970.

ე. მატყაძე, ასომთავრული, ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები: „საბჭოთა ხელოვნება“, №10, თბ., 1977.

რ. პატარიძე, ერკათაგირის გრაფიკული საფუძვლები: „მაცნე“, 1970, №3.

რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980.

რ. პატარიძე, ქებაი ქართულის ენისაი: „მნათობი“, №11, 1981.

ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970.

მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978.

უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975.

ქართლის ცხოვრება, I, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1955.

ს. ყაუხჩიშვილი, არმაზი აღმოჩენილი ბერძნული წარწერები: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, II, №1-2, თბ., 1942.

ა. შანიძე, რეცენზია გ. წერეთლის ნაშრომზე „არმაზის ბილინგვა“: „მნათობი“, 39, 1942.

ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

გ. შარაძე, თემიურაზ ბაგრატიონი, I, თბ., 1972.

თ. ჩხენკელი, ასომთავრულის გეომეტრიული სტრუქტურა: „საბჭოთა ხელოვნება“, №7, 1977, №3, 1978.

გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა: ენიკის მოამბე, XIII, თბ., 1942.

გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.

გ. წერეთელი, არამული წარწერა ურბნისიდან: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 133, №1, თბ., 1989.

მოუსეს ხორენაცი, სომეხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმანა, შესავალი და შენიშვნები დაურთო აღ. აბდალაძემ, თბ., 1984.

ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ტფ., 1926; ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.

ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, ტფ., 1935.

ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945.

ივ. ჯავახიშვილი, რადროს და საიდან შემოიღეს ქართული ანბანი: „ივერია“ 1887, №127-128.

დ. ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარაბეჯის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962.

И.В. АБУЛАДЗЕ, К открытию алфавита кавказских албанцев: ენიკის მოამბე, 1938, №4, ნაკ. I.

Д. БАКРАДЗЕ, Грузинская палеография, Труды V археологического съезда в Тифлисе, М., 1887.

Н. БЕРДЗИНИШВИЛИ, И. ДЖАВАХИШВИЛИ, С. ДЖАНАШИЯ, История Грузии, Тб., 1946.

Т. В. ГАМКРЕЛИДЗЕ, Происхождение и типология алфавитной системы письма: Вопросы языкознания, М., №5-6, 1988.

- И. ГЕЛЬБ, Опыт изучения письма (Основы грамматики), М., 1982.
- Д. ДИРИНГЕР, Алфавит, М., 1963.
- Л. ДОИЕЛЬ, Завещанное временем, М., 1980.
- Р. ЗИНДЕР, Очерк общей теории письма, Л., 1987.
- КОРЮН, Житие Маштоца, Ереван, 1962.
- К. А. МЕЛИК-ОГАДЖАНИАН, Корюн и его «История Маштоца», (წიგნობა Корюн, Житие Маштоца, Ереван, 1962).
- И. Л. КОРОМЧЕДЛОВ, Об изобретении грузинского алфавита: Труды V археологического съезда в Тифлисе, М., 1887.
- ФАВСТОС БУЗАНД, История Армении, Ереван, 1953.
- И. ФРИДРИХ, История письма, М., 1979.
- ХРОНОГРАФИЧЕСКАЯ ИСТОРИЯ, составленная Отцом Мхитаром Вардапетем Аираванским, С-Пб., 1869.
- Г. В. ЦЕРТЕЛИ, Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита, I Эпиграфика востока, II, Л., 1948; III, Л., 1949.
- А.Г. ШАНИДЗЕ, Данные Греческо-пехлевийской билингвы из Армази для истории термина ქონხმოდ-ჯარი в древнегрузинском: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, II, N1-2, თბ., 1941.
- А.Г. ШАНИДЗЕ, Порядок букв грузинского, армянского и албанского алфавитов: Труды Музея истории Азербайджанской ССР, 2 (материалы по истории Азербайджана): Баку, 1957.
- А.Г. ШАНИДЗЕ, Язык и письмо кавказских албанцев и его значение для науки: საქ. მეცნ. აკად. საზ. მეცნ. ჯანყ. მოამბე, II, N1, 1960.
- W. BOEDER, Zur Analyse des altgeorgischen Alphabets: Zeitschrift für Russischunterricht, Hamburg, 1975.
- E. CHINTIBIDZE, Das problem der georgischen Schrift- und Schriftumsentstehung: Georgica, 8, Iena-Tbilisi, 1985.
- G. DEETERS, Das Alter der georgischen Schrift: Oriens Cristianus, 39, 1955.
- V. GARDTHAUSEN, Griechische Paläographie, II, Leipzig, 1913 (მეორე გამოცემა).
- V. GARDTHAUSEN, Über den griechische Ursprung der armenischen Schrift: ZDMG, 1876.
- HEINRICH F. JUNKER, Das Awestaalphabet und der Ursprung der armenischen und georgischen Schrift: Caucasica, 2, 1925: 3, Leipzig, 1926.
- FR. MÜLLER, Über den Ursprung der armenischen Schrift (Sitzungsberichte der Wiener Akademie), B. 48, Wien, 1864.
- P. PEETERS, რეცენზია ა. ბუნკერის ნაშრომზე: Analecta Bolandiana, t. 26, Fasc. III-IV, 1928.
- K. SALIA, Note sur l'opgine et l'âge l'alphabet géorgien: Bedi Kartlisa, 15-16 (N43-44), Paris, 1963.
- E. SCHWYZER, Griechische Grammatik, I, München, 1939.
- I. TAYLOR, History of the Alphabet, An account of the Origin and Development of Lettres, v. II, London, 1899.

ქართული ანბანის განვითარების საფეხურები¹

ქართულმა დამწერლობამ ჩამოყალიბებიდან დღემდე სამი საფეხური განვლო: ასომთავრული (ანუ მრგლოვანი), ნუსხური და მხედრული.

V-IX საუკუნეების ქართული წერილობითი ძეგლები (წარწერები და ხელნაწერები) შესრულებულია ანბანის იმ სახეობით, რომელსაც ასომთავრულს ან მრგლოვანს ვუწოდებთ. შეიძლება დავასახელოთ: პალესტინის, ბოლნისის, მცხეთის, უკანგორის, წყისის, ურბნისის წარწერები, ხანმეტი და პაემეტი ტექსტები, სინური მრავალთავის უდიდესი ნაწილი, აღიშის ოთხთავი და სხვ.

IX საუკუნიდან გვაქვს ნუსხური დამწერლობის ნიმუშები. უკანასკნელ ხანებამდე ითვლებოდა, რომ ნუსხური ანბანის ყველაზე ადრინდელი ნიმუშია 864 წლის სინური მრავალთავის ანდერძი. საინტერესოა, რომ თითო ამ ანდერძის უმეტესი ნაწილი ასომთავრული ანბანითაა შესრულებული. ამ ბოლო დროს გ. აბრამიშვილმა გამოაქვეყნა ატენის ერთ-ერთი წარწერა, რომელიც 835 წლით თარიღდება. ამ წარწერის მხოლოდ ფრაგმენტებმა მოაღწიეს ჩვენს დრომდე. იგი ნუსხური დამწერლობის უძველესი ნიმუშია (გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის უცნობი წარწერები, გვ. 170).

X საუკუნეში ნუსხური ანბანით გადაწერილი ძეგლის რიცხვი თანდათან მატულობს. ნუსხური ანბანითაა შესრულებული ისეთი ძეგლები, როგორცაა: სინური ლექციონარი (Sin-37); სინური ოთხთავი (Sin-15, 978 წ.); სინური პარაკლიტონი (Sin-26, 954 წ.); იოვანეს გამოცხადება (H-1346, 978 წ.); ასკეტიკონი (H-622); ოშკის ბიბლია (978 წ.); ჭიღერატის იადგარი (H-2123); A-144 (კლარჯული მრავალთავი) და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი აღთქმის შემცველი წიგნები უპირატესად ასომთავრული ანბანითაა გადაწერილი.

მთელ რიგ ხელნაწერებში ერთი ნაწილი ასომთავრულადაა დაწერილი, ნაწილი – ნუსხურად. ასეთია, მაგალითად: სვანური მრავალთავი (A-19, X ს.); სინური ლიტურგიული კრებული (Sin-34, X ს., შუა წლები) და სხვ.

არის ძეგლები, რომლებიც ასომთავრულადაა დაწერილი, ოღონდ ანდერძი ნუსხურად დაუწერიათ. გვაქვს ხელნაწერებიც, რომელთა ძირითადი ტექსტი ნუსხურადაა დაწერილი, ანდერძი კი – ასომთავრულად.

ხშირია, შემთხვევები, როცა ასომთავრულ ტექსტში გადამოწმებისას ნუსხურად შეუტანილი გამოჩენილი ფრაზა, სიტყვა, ან ასოები და, პირიქით, ნუსხურად დაწერილ ტექსტში – ასომთავრულად.

საზოგადოდ, ნუსხურად გადაწერილ ხელნაწერებში ასომთავრული ანბანით წერდნენ ხოლმე სათაურებს. ასომთავრული ასოებით იწყებდნენ აბზაცებს, ზოგჯერ ასომთავრული ასო გამოყენებულია, როგორც მოსართავი, იგი თითქმის მთელი გვერდის სიმაღლეზეა განფენილი.

X-XVIII საუკუნეთა წარწერების დიდი უმრავლესობა შესრულებულია ასომთავრული ანბანით.

ძველ ქართულში გვაქვს ტერმინი ასომთავარი:

„და ყოველი ასომთავარი, ოქრომელნითა დაწერილი“, A-484 (ოთხთავი, X-XI სს.).

აქედან არის ნაწარმოები ტერმინი ასომთავრული, რომელიც შედარებით მოგვიანო პერიოდშია დღვასტურებული. 1578-1605 წლებში გადაწერილი გულანის (Q-87) ერთ-ერთი გადამწერი ალნიშნავს: „ასომთავრული წაძიკვა და გული გამომცეკლა“ (810v).

უფრო ადრინდელ ძეგლებში გვხვდება მრგლოვანი. Q-220 (სეინაქსარის ფრაგმენტები, XI ს.) ხელნაწერს შემოუღსახავს XI-XII საუკუნეთა ხელით მინაწერი: საკითხავი იძიე მრგლოვანსა

¹ ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997.

შინა (5რ).

ნუსხური ნაწარმოებია სიტყვისაგან **ნუსხა**. საბა წერს: „ნუსხა ჩქარად აღწერილ არს“. **ნუსხა** დედანსაც ერქვა: „ესე სიტყუანი თუთ წმიდისა მამისა წუენისა ფუთუმესნია. ვითა **ნუსხასა** ეწერა, მეცა ვერე აღწერე“ (A-1103, კრებული, XI ს., 219რ). **ნუსხური**, როგორც ანბანის ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელი ტერმინი, ძველ ხელნაწერებში თითქოს არ ჩანს.

საინტერესოა, რომ **მრგლოვანი**, **ასომთავრული** ისე შეუვიწროვებია XII საუკუნეში **ნუსხურს**, რომ ზოგი სასულიერო პირისათვის მრგლოვანის კითხვა ძველ საქმეებში ითვლებოდა. პავლე მტკვებარი წერს, რომ „მრგლოვანის კითხვა საჭირო იყო, დიად **იქტივლდეს**“ (ტბეთის სახარების ანდერძი). ამიტომ პავლემ ოთხთავი გადააწერინა **ნუსხურად**.

ე. მაკავარიანი, გ. აბრამიშვილი და ზ. ალექსიძე მხედრული ანბანის ყველზე ძველ ნიმუშებს X საუკუნით ათარიღებენ. გ. აბრამიშვილისა და ზ. ალექსიძის აზრით, ატენის სიონის უძველესი მხედრული წარწერა 982-986 წლების ახლო ხანით უნდა დავათარიღოთ (გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე, მხედრული დამწერლობის სათავეებთან, გვ. 144).

მხედრულისაკენ გარდამავალი ხელი გვხვდება Sin.-34-Si. XI ს.-ის მხედრული მინაწერი დასტურდება „შატბერდის კრებულში“ (იხ. ზემოთ).

მხედრული ანბანი თანდათან ვრცელდება XI-XII საუკუნეებში. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული ანბანის იმ სახეობას, რომელსაც ს. ბაქრაძის, თ. ყორღანიას, ე. თაყაიშვილის, ნ. მარის, ა. შანიძის, ი. აბულაძის და სხვათა აზრით, **მხედრული** შეიძლება ვუწოდოთ, ა. ცაგარელი და ივ. ჯავახიშვილი თვლიდნენ გარდამავალ საფეხურად ან მრგლოვან **ნუსხა-ხუცურად**. ისინი ვარაუდობდნენ, რომ მხედრული დამწერლობა ყალიბდება XIV საუკუნისათვის. მკვლევარი ამჟამად ამ თვალსაზრისს არ იზიარებენ. ითვლება, რომ X-XI საუკუნეებში უკვე გააქვს ე.წ. მხედრული ანბანი.

აზრით, უკვე X საუკუნეში თანარსებობს ქართული დამწერლობის სამი სახეობა: ასომთავრული, **ნუსხური**, მხედრული. ასომთავრულსა და **ნუსხურს** საერთო სახელად **ხუცურს** უწოდებენ მხედრულის საპირისპიროდ იმიტომ, რომ ასომთავრული და **ნუსხური** ანბანი უპირატესად გამოიყენებოდა სასულიერო მწერლობის ძეგლებში, მხედრული კი - საერო მწერლობის ძეგლებში.

ხუცური მხედრულის საპირისპიროდ გვხვდება 1348-1365 წლებში გადაწერილი ხელნაწერის ანდერძში, სადაც გადაწერილი ჩამოთვლის, თუ რა და რა ხელობა იცის. მესამე კვლად (ანუ ხელობად) დასახელებულია წერად **ხუცურისად** (310v).

საინტერესოა, რომ ჩვენამდე მოღწეული უძველესი საისტორიო ან იურიდიული საბუთები **ნუსხურადაა** დაწერილი, თუ მისი გამცემია საეკლესიო პირი, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტის გამცემი საერო პირია, იგი შედგენილია მხედრულად. რა თქმა უნდა, არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სასულიერო ხასიათის ძეგლი მხედრული ანბანითაა დაწერილი. ამის ნიმუშია A-65 ხელნაწერი, რომელშიაც შეტანილია 1188 წელს მხედრულად გადაწერილი ანონიმი ავტორის ვრცელი თხზულება: თარგმანებად ქებისა ქებათაფსად (ეს საინტერესო ძეგლი დღითორავალი წვლით გამოცვა ა. შანიძემ 1924 წელს).

მხედრული ანბანით არის გადაწერილი XVII-XVIII საუკუნეებში მრავალი სასულიერო ხასიათის ძეგლი. საინტერესოა Q-752 (XVII ს.) ხელნაწერის ანდერძი. ეს ხელნაწერი შეიცავს მხედრული ანბანით გადაწერილ ოთხთავს. გადაწერილი ვეამცრობს: „ხოლო მონობისაცა უღირსი, ვითარმედ მონა ღვთისა ვინმე ფრიად ცოდვილი ესე, რომელი მე ესწერ უფენსა ამას წმიდისა სახარებათასა, რომელი არა ფერ იყო წერიტაა მკედრულითა, არამედ შენდობასა ვითხოვ ამისთვის, რამეთუ მრავალთა კაცთა მკედრად და ერისაგან განწესებულთა გული უოქამით ჭეშმარიტთა სახებითა, რათამც ღირს იქმნენ გულისქმის-ყოფად ესევეითართა საქმთა და გონება მიუწვდომელთა სასწაულთა და საკვირველთა მკედრებათა უფლისა წუენისა ქრისტესა, და არა ძალ-უძს წიგნთა ხუცურთა აღმოკითხვად“ (175r-v). ამგვარივე ანდერძი ერთვის H-2384 ხელნაწერს (ოთხთავი, მხედრული ხელით დაწერილი, XVIII ს.): „მონობისაცა ყოვლად უღირსი, კუალად მონა უკმარი ვინმე ფრიად ცოდვილი, რომელი ესწერ პატიოსანსა წიგნსა ამას სახარებასა უფლისა იესო ქრისტესა ღმრთისა წუენისა, განმანათლედ ბელსა გონებისა და მომცემელისა... აღწეშინის მე კვლ-ყოფად წერად კვლითა მხედრულითა დიდი ესე ძლიერება მისი და სიტყუისა ღმრთისა, არამედ მოვითხოვ შენდობასა ამისათუ

ის, რამეთუ მრავალთა კაცთა მკვდრად განწესებულთა გული უთქუამს ჭეშმარიტთა სასოუბითა სიყვარული უფლისა იესო ქრისტესი და მწებავსთ, რათამცა გულისკმა-ყონ საქმენი და საკუთრელებანი მისინ და არა ძალ-უცს წიგნისა ხუცურისა აღმოკითხვად“.

როგორც ვხედავთ, Q-75-სა და H-2384 ხელნაწერთა გადამწერები აშკარად ამბობენ, რომ სახარება არ უნდა გადაწერილიყო მხედრულად, მაგრამ თავს იმით იმართლებენ, რომ საერო პირთ უნდათ სახარების წაითხვა, მაგრამ ვერ კითხულობენ ხუცურად დაწერილს.

ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ადასტურებს ერთი ძველი ქართული ხელნაწერიც, რომელიც ამჟამად სინის მთაზე ინახება (Sin-78). 228v-ს აშიაზე ვიდაცას გვიან მხედრულად მიუწერია: „ნეტარ, რას იტყვის ესე ზემო ასოები. არა ვიცი, თავი სით უც“.

თითქოს გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგჯერ თვით სასულიერო პირთაც არ სცოდნიათ კარგად ხუცური ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში ინახება ოსე გაბაშვილის (ბეიკის ძმის) მიერ 1793 წელს გადაწერილი „სადღესასწაულო“. იგი ნუსხურადაა დაწერილი. ოსე წერს: „მე, უდიდსმან იეროდიაკონმან, მოძღურის ძემან ოსე, აღვწერე სადღესასწაულო ესე, მაგრამ გამთუცდელ ვიყავ ხუცურისა წერისა“.

უვიქრობთ, ფრიად საინტერესოა ნიკოლოზ ორბელიანის, დიდი სულხან-საბას ძმის, გამოწვევით ანოთაგრაფიული ანბანის შესახებ: „მოთავრნი ესე ასოთანი ძველადვე ქართველთა ეწესა. და არდარავინ იყო სწავლულ ამისა თვინიერ უხუცესისა ძმისა ჩემისა სულხან-საბა ორბელის ძისაგან კიდევ. მასცა მამისაგან ჩემისა ესწავა და მან მე მასწავა. ვამს მას, რომელთა ინებებს ჳელთაგან ჩემთა ისწავეს, არამედ ვერა სწორქმულთა ჩემთასა. მის ჟამისა მეფენი და შემდგომნი მოწლელ ძველადწერილნი ამა წერათა“ (1728 წელს ნ. ორბელიანისეული ნაწილი შესულა S-200 ხელნაწერში, გვ. 274).

იყვნენ ისეთი გადამწერები, რომელთაც ხუცური ასოებით წერა უფრო ემარჯვებოდათ. XII საუკუნის ერთ ხელნაწერს (A-27) შემოუნახავს გვიანდელი მინაწერი: „ერთობ დიდი ხანი არის, რომე მკვდრული ჳელი არა მიწერია, ჳელი უკუდადამიდა“.

საინტერესოა, რომ XVIII საუკუნის 20-იან წლებში ყოფილა ცდა, შემოეღოთ სახელო (დიდი) ასოები მხედრულ ანბანში. ნიკოლოზ ორბელიანი 1728 წელს წერდა: „მხედრული ასოთაგრული ძველითგან არ ყოფილ არს. აწ მე გავაკეთე“ (S-200, გვ. 274).

ლიტერატურა

გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის უცნობი წარწერები: „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების... სერია), №1, 1976.

გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე, მხედრული დამწერლობის სათავეებთან: „ცისკარი“, 1978, №5-6.

ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, თბ., 1973.

დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი (უძველესის დროიდან მე-X საუკ. დასასრულამდე), ტფ., 1889.

ე. მაჭავარიანი, მხედრული დამწერლობის ადრეული ნიმუშები: მრავალთავი, III, თბ., 1973.

თ. ჟორდანიია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, I, ტფ., 1892.

ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.

Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка. Л. 1925.

Е. Такашвили, Сигель грузинского царя Баграта IV (1027-1072): Записки Восточного отделения Русского археологического общества, IX, С-Пб., 1893.

А. Церетели, Сведения о памятниках грузинской письменности, С-Пб., 1886.

სამი სტილის თეორია ქართულ მწერლობაში¹

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიას ორ ძირითად პერიოდად ყოფენ: ერთი - მე-5 საუკუნიდან მე-11 საუკუნის დამდეგამდე - ძველი ქართული სამწერლობო ენის ბატონობის პერიოდი, ენისა, „რომელიც არსებითად საეკლესიო მწერლობის ენა იყო, საეკლესიო მწერლობის სტილს შეესაბამებოდა“ (დაყოფა ჩვენია - ე. ბ.) და რომელიც, მიუხედავად თავისი არაერთფეროვნებისა, „საკმაოდ მკაცრად ნორმალიზებულ სალიტერატურო ენას წარმოადგენდა“².

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის მე-2 ძირითადი პერიოდი, პერიოდი, როდესაც მოხდა ახალი ქართული ენის ჩამოყალიბება-განმტკიცება, მე-12 საუკუნიდან იწყება და ჩვენს საუკუნემდე აღწევს. რა თქმა უნდა, ამ საუკუნეების მანძილზე ეს ენაც - ახალი ქართული სალიტერატურო ენა - არ იყო სავსებით ერთგვაროვანი, მაგრამ ძველი ქართული სამწერლობო ენისაგან განსხვავებით, ახალ ქართულ სალიტერატურო სამწერლობო ენას მთელი ამ საუკუნეების მანძილზე ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი მოეპოვება: ეს არის სალიტერატურო ენის თანდათან დაახლოება ცოცხალ სასაუბრო მეტყველებასთან.

„წამყვან როლს ამ პროცესში აღმოსავლეთ საქართველოს ცოცხალი სასაუბრო მეტყველება და აღმოსავლეთ საქართველოს ძირითადი დიალექტები - ქართლური და კახური - ასრულებდნენ. გადამწევეტი როლი შეასრულა ამ პროცესის დანქარებაში საერო მწერლობის სწრაფმა განვითარებამ. საერო მწერლობამ არსებითად უკუაგლო ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმები და ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას დაემყარა“ (დაყოფა ჩვენია - ე. ბ.).

ამ ძირითადი ნიშნის მიხედვით ბუნებრივად და შეუფერხებლად ვითარდებოდა ახალი ქართული სალიტერატურო ენა მე-18 საუკუნის 60-იან წლებამდე, სანამ სამოღვაწეო ასპარეზზე არ გამოვიდა მე-18 საუკუნის გამოჩენილი მოღვაწე ანტონ I, რომელმაც მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებული შეხედულებით მთელი საუკუნით განდევნა მწერლობიდან ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებული ახალი ქართული სალიტერატურო ენა. ანტონმა შემოიტანა და დახვრა საქართველოში ე. წ. „სამი სტილის თეორია“, რომელიც მანამდე გავრცელებული იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოსთან ისეთ მჭიდრო ურთიერთობაში მყოფ ქვეყნებშიც, როგორც იყო რუსეთი და სომხეთი.

იყო თუ არა ნაირსტოდოვანი ლიტერატურული ენის გამოყენების შემთხვევები ანტონის წინააღმდეგ ქართულ მწერლობაში? ამ საკითხზე პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ იმის შემდეგ, რაც დაწვრილებით იქნება შესწავლილი ყოველი ქართველი მწერლისა და მთარგმნელის ადგილი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში. მანამ კი მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას: როგორც უკვე აღნიშნული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის ისტორიაში მკაფიოდ გამოიყოფა ორი ძირითადი საფეხური, ქართული ენა არ იყო ერთგვაროვანი ამ საფეხურებს შიგნითაც და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ეს არაერთგვაროვანება გამოწვეული იყო არა მარტო უნიფიცირებელი ნორმების მქონე ენაში სხვადასხვა დიალექტიდან მომდინარე ცოცხალი სასაუბრო მეტყველების მძლავრი ნაკადის შეჭრით, არამედ თავისი დროის სალიტერატურო ენისადმი ცალკეული მწერლების სხვადასხვანაირი დამოკიდებულებითაც. ნიმუშად საკმარისია მოვიყვანოთ მთორმეტე საუკუნის გამოჩენილი მოაზროვნის იოანე პეტრიწის ფილოსოფიური შრომების ენა.

სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ იოანე პეტრიწის ენა მკვეთრად განსხვავდებოდა მიხივე ეპოქის სხვა მოღვაწეების ნაწარმოებთან

¹ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 96, 1963.
² ივ. გიგინეი შვილი, ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 69, 1958, გვ. 48.
³ იქვე, გვ. 48-49.

ენისაგან. როგორც პროფესორი მოსე გოგიბერიძე აღნიშნავს, იოანე პეტრიწის აზრით, ფილოსოფიური აზროვნებისათვის საჭირო იყო ენა „მესხური მდებრიონთაგან“, ე. ი. განსხვავებული მდებრიონისაგან⁴. ხოლო რადგან იგი ხედავდა, რომ მისი დროინდელი ჩვეულებრივი სალიტერატურო ქართული ამ მიზნებისათვის არ გამოდგებოდა, რადგანაც „ვერასგზით ვერ გამოხატავდა იმ ცნებათა უდიდურეს განყენებულსა და კოლასტიკურ კონსტრუქციას, იმ გაუმთავებელ დიალექტიკური კვანძებით ფორმალისტურ სიტყვათა და ცნებათა თამაშს, რომელსაც ადგილი აქვს პროკლეს „თოლოგიაში“ (ბერძნული ენა ათასი წლებით მუშავდებოდა ასეთი დიალექტიკური კვანძების გამოსათქმელად), ამიტომ პეტრიწი, ფილოსოფოსი და მოაზროვნე, გადასწევდა ქართველებსაც შეუქმნას ასეთი დიალექტიკური და თეორეტიკული ენა“⁵.

შეველია, ასეთი ენა ხელოვნური უნდა ყოფილიყო და ამ ხელოვნურობის მისაღწევად იოანე პეტრიწს საკმაოდ თავისებური გზა აურჩევია: „იგი იღებს ჩვეულებრივი ქართული სიტყვის ძირს და აკეთებს აქედან ფილოსოფიური ცნების გამომხატველ ტერმინს, ანდა იხმარებს მთლიანდელ ქართული ენის ერთ-ერთ დიალექტს, ახე აკეთებს ახალ ქართულ სიტყვას. სადაც ესეც არ ყოფილი, აქ იგი მიბაძავს ბერძნულს. ქართულ სიტყვებს აწყობს ბერძნული სიტყვების მიხედვით და ქართული სიტყვიდან აქმნის ისეთსავე სიტყვების დიალექტიკურ თამაშს, რაც ფილოსოფიური ბერძნულისათვის დიდი ხნიდან დადგენილი და გასავები იყო. იგი თარგმნის ქართულად ბერძნულ სიტყვებს...“⁶.

აღსანიშნავია, რომ, როგორც ჩანს, იოანე პეტრიწი ხელოვნური, ძნელად გასავები და მიძიმე სტილის შექმნას ძირითადად დექსიკური საშუალებებით, ქართულ ენაში ახალი სემასიონოლოგიური ერთეულების შემოტანით აღწევდა, რაც შეეხება მისი ენის მორფოლოგიურ და სინტაქსურ მხარეს, აქ პეტრიწი სრულიად არ ჩანს მომხრე ენის დამძიმებისა, გახელოვნურობისა და განსაკუთრებით არქაიზაციისა. ეს კარგად ჩანს თუნდაც იქედან, რომ იოანე პეტრიწი თავის ნაწარმოებებში ძალიან ბევრ შემთხვევაში ცოცხალ სალაპარაკო ენაში გაერცვლებულ გრამატიკულ ფორმებსაც კი ხმარობს⁷.

მე-12 და განსაკუთრებით მომდევნო საუკუნეებში, როცა ძველი სალიტერატურო ენის მკაცრი ნორმები დაირღვა და განსხვავება ძველ სალიტერატურო ენასა და ახალ, ცოცხალ სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოებულ სალიტერატურო ენას შორის განსაკუთრებით ცხადი გახდა, შესაძლებლობა შეიქნა ორ, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ენაზე წერისა. ძველი, V-XI საუკუნეების სალიტერატურო ენა შემორჩა საეკლესიო ნაწარმოებებს, მაშინ როდესაც, ამის გვერდით საერო მწერლობაში ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზე დამყარებული ახალი ქართული სალიტერატურო ენა დამკვიდრდა⁸. საერო და საეკლესიო მწერლობაში ნაირგვაროვანი ენის გამოყენება ისე დიდხანს გაგრძელდა, რომ, როგორც ეს სათანადო სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, სულხან საბა-ორბელიანი, მჭვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეთვრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედის დიდი ქართველი მწერალი, რომლის ენაც ჩვეულებრივ ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზე დამყარებული ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნიმუშად მოჰყავი⁹, არა იშვიათად თავის ნაწარმოებებში ძველი ქართული სასულიერო მწერლობის სტილს მიმართავდა: მის „ნაწარმოებთა ენა ერთგვარი არაა და არც ერთგვარად საინტერესო და მნიშვნელოვანი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის თვალსაზრისით... დამახასიათებელია, რომ საბა ორბელიანი, ავტორი „სიმრძნე სიცრუის წიგნისა“, რომლის ენა არსებითად ახალი ქართულია, თხზულებას „სწავლანი

⁴ მოსე გოგიბერიძე, იოანე პეტრიწი და მისი მსოფლმხედველობა, იოანე პეტრიწის შრომები, ტ. 1, 1940, გვ. XXXIII
⁵ იქვე, გვ. XXXIII.
⁶ იქვე, გვ. XXXIII.
⁷ ამის შესახებ დაწვრილებით: სიმ. ყაუხიშივილი, იოანე პეტრიწის ენა, იოანე პეტრიწის შრომები, ტ. 1, გვ. III-XVIII.
⁸ ი თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო შედეგი უნდა გამოიღოს XVI-XVIII საუკუნეების ქართული სასულიერო და საერო მწერლობის ცალკეულ წარმომადგენელთა დაწვრილებითა შესწავლამ.
⁹ არჩ. ნიქობაძე, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი დექსიკონი, ტ. 1, თბილისი, 1950, გვ. 019.

ანუ ქადაგებანი“ ძველი ქართული სასულიერო მწერლობის სტილით წერს¹⁰.

მეტეც შეიძლება ითქვას: ერთგვარი არ არის თვით საბას „ლექსიკონის“ ენაც: ფილოსოფიურ თუ საღვთისმეტყველო მწერლობაში ნახმარ სიტყვებსა და ტერმინებს საბა ძველი ქართულით განმარტავს, მაშინ, როცა ქართული ენის ძირითადი ფონდის სიტყვების განმარტებანი ლექსიკონში ახალი ქართულითაა შესრულებული¹¹.

დოც. ივ. გიგინეიშვილის აზრით, საბას ნაწარმოებებში ნაირგვაროვანი ენის გამოყენების ფაქტი შეიძლება აიხსნას იმ გარემოებითაც, რომ საბას, როგორც თავისი დროისათვის დიდად განსწავლულ პიროვნებას, რომელიც ამასთან ერთად პირადად ეზიარა ევროპული განათლების ელემენტებსაც, გამორიცხული არ არის ზოგი არა სცოდნობა ნაადრევი კლასიციზმის წარმომადგენელთა და მათ შეხედულებათა შესახებ სწორედ ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენის თეორიის თვალსაზრისით¹².

თავისთავად ასეთი ახსნა, რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია სინამდვილეს შეეფერებოდეს, მაგრამ, უდავოდ ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებებსაც, რომ საბას, ქართული საერო და სასულიერო მწერლობის შესანიშნავ მცოდნეს, არ შეეძლო არ შეეგნინა ის სტილებრივი სხვაობა, რომლითაც იმდენხებოდა ერთმანეთისაგან სასულიერო და საერო ნაწარმოებები მის წინადროინდელ მწერლობაში. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ის უფრო თავისი ლიტერატურული წინაპრების ტრადიციას იცავდა, ვიდრე ევროპული ნაადრევი კლასიციზმის წარმომადგენელთა გავლენას განიცდიდა¹³. ამ დებულებას ის ფაქტიც უნდა უჭერდეს მხარს, რომ საბას ნაწარმოებები უპირატესად ორი განსხვავებული სტილით არის დაწერილი და არა სამით, როგორც ამას ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენის მომხრეები მოითხოვდნენ.

ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული ამ ასპექტში იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ თვით ანტონი, შემდგომში მამამთავარი და დამამკვიდრებელი ქართულ მწერლობაში ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენის თეორიისა, ჯერ კიდევ მაშინ წერდა უაღრესად მიმიე, ძნელად გასაგებ, ხელოვნური, მისი აზრით, ძველ საეკლესიო სამწერლობო ენასთან ახლო მდგომი ენით, როცა ის არ იცნობდა სამი სტილის თეორიის არსს. ნიშუშად შეიძლება დავასახელოთ თუნდაც მისი „შზამეტყველების“ ენა. „შზამეტყველების“ წერა კი მან დაასრულა 1752 წლის 11 მარტს¹⁴, ე. ი. ერთი წლით ადრე, ვიდრე ის თავისი გრამატიკის I რედაქციას დაწერდა მხითარ აბა სებასტიელის გრამატიკის¹⁵ უშუალო გავლენითა და გამოყენებით¹⁶. როგორც ჩანს, ანტონი ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენის თეორიულ დასაბუთებას პირველად სწორედ

¹⁰ ივ. გიგინეიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1959, გვ. 33.

¹¹ იქვე გვ. 34.

¹² იქვე გვ. 48-49.

¹³ რა თქმა უნდა, საბას ნაწარმოებებში გამოყენებული არც საეკლესიო და არც ხადა სტილი მისი წინამორბედი მწერლების ენის უცვლელ გამოყენებას არ წარმოადგენს (ამის შესახებ დაწერილებით: ივ. გიგინეიშვილის დასახელებული წერილი: სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის), მაგრამ ამაჟამად ეს არ შეადგენს ჩვენი განხილვის საგანს.

¹⁴ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, ძველი ქართული მწერლობა, თბილისი, 1960, გვ. 378.

¹⁵ პირველად გამოიცა ვენეციაში 1730 წელს.

¹⁶ ერთი კია, რომ თუმცა „შზამეტყველების“ ენა საკმაოდ მიმიეა და ძნელი გასაგები, მაგრამ ენის ეს სიმძიმე და ხელოვნურობა ძირითადად ლექსიკის ხარჯზეა განხორციელებული, წინადადებათა მორფოლოგიურ-სინტაქსურ მხარე კი შედარებით მისაღებია (რა თქმა უნდა, ძველი ქართული თვალსაზრისით). გვიანდელ თხზულებებში ანტონი ენის სირთულისა და სიმძიმის მისაღწევად უკვე გრამატიკულ საშუალებათა ნებისმიერ შეცვლასა და შექმნასაც აღარ ერიდება და სწორედ მისი გვიანდელი ნაწარმოებების ენა იძლევა საფუძვლს დაჯახისათვის იგი, როგორც „ენა დღეარტნილი, როულ წინადადებათა მორფოლოგ. მიმდგომებით მდიდარი, ზმნებით ღარიბი, ძნელად გასაგები“ (არნ. ნიქოზია, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 021).

ამ გრამატიკის წყალობით გაეცნო და თითქმის უცვლელად, იმ სახით, როგორც ეს მხითარს ჰქონდა, გადმოიტანა კიდევაც თავის გრამატიკაში¹⁷.

ანტონის მსჯელობა სამი სტილის თეორიის შესახებ გადმოცემულია, როგორც უკვე აღნიშნეთ, მისი გრამატიკის I რედაქციის III ნაწილის XVI თავში¹⁸.

ანტონ კათალიკოსი ძველ ქართველ და უცხოელ მწერალთა ნაწერებს სამ სახედ ყოფს: პირველი სახის ნაწერები ნაკლებად შეიცავს რჩეულსიტყვაობას, მაგრამ ყველასათვის ადვილ გასაგებია. ასეთია, ანტონის აზრით, სვინაქსართა და მოთხრობათა ენა. მეორე სახის ნაწერებში რჩეულსიტყვაობა მეტი ოდენობითაა წარმოდგენილი, მაგრამ სამაგიეროდ ნაკლებ გასაგებიც არის პირველი სახის ნაწერებთან შედარებით. ასეთია საღვთო წერილის ენა. რაც შეეხება მესამე სახის ნაწერებს, მათ სრულად მოეპოვება რჩეულსიტყვაობაც და ტკბილ-მეტყველებაც, მაგრამ ისინი მხოლოდ მეცნიერთათვის არიან გასაგები და ხელმისაწვდომი. იქვე ანტონი ჩამოთვლის მესამე „სტილით“ ნაწერი ნაწარმოებების ავტორებს.

ისევე, როგორც მხითარი, ანტონი მოითხოვს, რომ ნაწარმოების სახითი განსაზღვრავდეს ნაწარმოების სტილს. თუ ნაწარმოები ხალხისათვის არის განკუთვნილი, იგი პირველ სახის ენით უნდა იწერებოდეს. თუ ნაწარმოები სწავლას ან მოძღვრებას გადმოგვცემს, ანდა წინადაწინა წერილებს განმარტავს, საჭიროა მეორე სახის ენა, რომ სიტყვათა კეთილშობილება წინადადებათა კეთილშობილების შესაბამისი იყოს და ღრმა აზრმა უბიძგოს მეცნიერთა გონებას მეტი სიღრმისაგან, ხოლო თუ ნაწარმოები არც სხვის განსწავლას ეხება და არც მდაბიურთათვის არის განკუთვნილი, არამედ ბრძენთა და განსწავლულთათვისაა დანიშნული, მაშინ ის უნდა იწერებოდეს მესამე სახის ენით, რადგანაც სიტყვათა ბრწყინვალეობა და ფრაზების მჭკვერმეტყველება მკითხველების გონებას გადააჩუქებს სიზარმაცეს, აღაფრთოვანებს და, ამავსარად, უფრო დაინტერესებს მათ ასეთი ნაწარმოებებით.

დასასრულად, ანტონი, მხითარის მსგავსად, აღნიშნავს, რომ პირველი და მეორე სახის ენის მაგალითების დაძებნა ადვილად შეუძლია მოსწავლეს, მესამისა კი ძნელიაო. ამიტომ ის საჭიროდ ცნობს მიაწოდოს მოსწავლეს ასეთი მაგალითები უმეტესად საღვთო წერილიდან ან მსოფლიო კვლევის მოღვაწეთა და ქართველ მოძღვართა ნაწარმოებებიდან.

სანამ ანტონის ზემოთყვანილ შეხედულებებს გააგრძნობ, საჭიროდ მიგვჩანია შევეხებოთ რუსეთში სამი სტილის თეორიის დამფუძნებლისა და მამამთავრის მიხედვით ვასილის ძე ლომონოსოვის შეხედულებებსაც ამ საკითხზე¹⁹.

ლომონოსოვის მოღვაწეობის დასაწყისი მე-18 საუკუნის პირველ ნახევარზე მოდის. რუსული სალიტერატურო ენა ამ დროს, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, საკმაოდ სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა და წარმოადგენდა გადაშენების ზეახტე დამდგარი ძველი სლავური საეკლესიო ენისა და ბარბარისზმებით სავსე რუსული ცოცხალი ხსასუბრო ენის ნარევი, ჩამოუყვადიბებელი ორთგარაფიითა და დაუმუშავებელი პუნქტუაციით²⁰.

ასეთ პირობებში საჭირო იყო კაცი, რომელიც სალიტერატურო ენას „გაწმენდა“ ზედმეტი ელემენტებისაგან და სწორ გეზს მისცემდა მის შემდგომ განვითარებას. ამ ამოცანის შესრულება ლომონოსოვს ხელა წილად და მან ეს ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა კიდევც, როგორც პარადოქსალურად არ უნდა მოგვეჩვენოს ეს ფაქტი, სწორედ ნაირსტილოვანი

¹⁷ ეს აღნიშნულია პროფ. ილ. აბულაძის წერილში „ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიულ თხზულების შესახებ“, ენიშის მოამბე, ტ. III, თბილისი, 1938.

¹⁸ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდის №531 ხელნაწერი, გვ. 173-182.

¹⁹ სამი სტილის თეორიის შესახებ მის. ლომონოსოვისა და ანტონ კათალიკოსის შეხედულებათა შეპირისპირებას წევნ იმ მიზნით არ ვახდენთ, რომ ვამტკიცოთ ან უარყოთ მის. ლომონოსოვის გაკვლევა ანტონზე ამ მხრით. ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ უარყოფითად უნდა გადაწყდეს იმ სრულიად უბრალო საბუთის საფუძველზე, რომ ანტონმა თავისი გრამატიკის ეს რედაქცია 1753 წელს დაწერა, ხოლო მ. ლომონოსოვის «О пользе книг церковных в российском языке», ხაღვც ეს თეორიაა გადმოცემული, 1757 წელს გამოვიდა (ამის შესახებ: П. Н. Берков, Ломоносов и литературная полемика его времени, М., 1936, გვ. 79). ეს დღეი ხანია და არაერთხელ აღნიშნულია სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში.

²⁰ В. И. Чернишев, М. В. Ломоносов и его «Российская грамматика», Русский язык в школе, М., 1940, №2, გვ. 5.

ლიტერატურული ენის თეორიის გამოყენებით.

ლომონოსოვის მსჯელობა სამი სტილის შესახებ მოცემულია მის ცნობილ წერილში «О пользе книг церковных в российском языке»²¹.

ლომონოსოვისათვის ამოსავალ დებულებას წარმოადგენს რუსულ სალიტერატურო ენაში ორი ენის არსებობა: ერთი მხრით, მწიგნობრული საეკლესიო-სლავურისა და მეორე მხრით – ცოცხალი სასაუბრო რუსული ენისა.

ორივე ამ ენისათვის დამახასიათებელი საუკეთესო ელემენტებისაგან იგი ადგენს სალიტერატურო ენის სამ სტილს: მაღალს, საშუალოსა და დაბალს.

პირველი, მაღალი სტილი, მისი აზრით, შედგება სლავურ და რუსულ ენებში ხმარებული საერთო სიტყვებისაგან. ამ ენით იწერება გამორეული პოემები, ოდები და პროზაული ნაწარმოებები «მნიშვნელოვან მატერიებზე».

მეორე, საშუალო სტილის საფუძველს რუსული სიტყვები შეადგენს. ამ სტილით წერისას შეიძლება ვიხმაროთ, ერთი მხრით, წმინდა სლავური სიტყვებიც, და, მეორე მხრით, ზოგი რუსული „დაბალი“ სიტყვაც, მაგრამ დიდი სიფრთხილისა და ზომიერების დაცვით. ამ სტილით, ლომონოსოვის აზრით, უნდა დაიწეროს თეატრალური ნაწარმოებები (ტრაგედიები და დრამები), მეგობრული წერილები ლექსები, სატირა, ეკლოგები, ელეგიები. პროზაში ამ სტილით უნდა იწერებოდეს ისტორიული და მეცნიერული ნაწარმოებები.

შესაშვ, დაბალ სტილს ქმნის სასაუბრო რუსული სიტყვები. ამ სტილით იწერება კომედიები, ეპიგრამები, სიმღერები, პროზაში – მეგობრული წერილები, ჩვეულებრივი საქმეების აღწერილობა. ამ სტილით წერისას შეიძლება ვიხმაროთ უბრალო, ხალხური „დაბალი“ სიტყვებიც.

როგორც ვხედავთ, ლომონოსოვმა მოძღვრებაში სამი სტილის შესახებ ოსტატურად შეათვსა ორივე – საეკლესიო-სლავური და რუსული ენის ელემენტები, თუმცა უნდა ითქვას, რომ მან უპირატესობა მაინც უკანასკნელს მიანიჭა.

ამგვარად, როგორც ანტონმა, ისე ლომონოსოვმა გაიზიარეს იმ დროისათვის საკმაოდ მორალური ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენის თეორია და აუცილებლად მიიჩნიეს სალიტერატურო ენაში სამი განსხვავებული სტილით წერის საჭიროება. ეს არის ერთადერთი, რაც აერთიანებს მათ შეხედულებებს ამ საკითხზე, დანარჩენში კი მათი შეხედულებები პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან: ლომონოსოვისათვის სტილებს შორის განსხვავებას ქმნის სალიტერატურო ენაში ძველი საეკლესიო მწიგნობრული სიტყვებისა და რუსული სასაუბრო მეტყველების კუთვნილი სიტყვების სხვადასხვა ოდენობით გამოყენება, ხოლო ანტონისათვის, მხითარისდა კვლად, განსხვავების კრიტერიუმში გაუგებრად და გასაგებად წერაშია. ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება აიხსნას ერთი შეხედვით თითქოს გაუგებარი შემდეგი ფაქტი ანტონის მოღვაწეობაში: ცნობილია, რომ ანტონი 1757 წლიდან 1764 წლამდე იმყოფებოდა რუსეთში. შეუძლებელია, რომ ის ამ დროს არ გასცნობოდა ლომონოსოვის წერილს «О пользе книг церковных в российском языке» და მის «Российская грамматика»-ს. მიუხედავად ამისა და წინააღმდეგ ყოველგვარი მოლოდინისა, ანტონმა თავისი გრამატიკის II რედაქციაში, რომელიც მან 1760 წელს დაამთავრა, სულ აღარ შეიტანა მსჯელობა სამი სტილის თეორიის შესახებ. საფიქრებელია, რომ ანტონმა ეს გააკეთა სრულიად შეგუბუნად და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ძალაში დაეტოვებინა სამი სტილის თეორიის სქოლასტიკური, ძველი, მხითარისეული გაგება და არაფერი ეთქვა ამავე თეორიის ლომონოსოვისეულ გაგებაზე, რადგანაც ამ უკანასკნელს არა მარტო დასაშვებად მიანიჭა სალიტერატურო ენაში სამი სტილის არსებობა, არამედ თავის «Российская грамматика»-ში ყოველ ფეხის ნაბიჯზე იძლეოდა იმის წესებსა და რეკომენდაციებს, როგორი სტილისტური ხერხები უნდა იყოს ხმარებული თითოეული სტილით წერისას ლიტერატურულ ნაწარმოებში.

ანტონისათვის ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენის თეორია მისდებოდა იყო იმდენად, რამდენადაც ეს თეორია მას შესაძლებლობას მისცემდა ეწერა და საერთოდ გაეცრეკლებინა მაღალი, ხელოვნური სტილი. საშუალო და განსაკუთრებით დაბალი სტილი მისთვის არც

²¹ ლომონოსოვის მსჯელობა მოგვეყვს В. И. Чернишев-ის დახაზვებული წერილის მიხედვით, გვ. 6.

ბობდა მხოლოდ თეორიულად, პრაქტიკულად კი ის მოითხოვდა მწიგნობრული ერთ წერას. ამდენად ანტონის ნორმატიულმა, სქოლასტიკურმა თეორიამ, რომელიც არსებითად უგულვებელყოფდა ცოცხალ, სასაუბრო ენას ლიტერატურასა და მეცნიერებაში, უარყოფითი დადი დასავა მისი დროისათვის უკვე ჩამოყალიბებული ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას და მის შემფერხებლად მოგვევლინა.

სამწუხაროდ, ანტონის ეს თეორია ანტონის ავტორიტეტისა და მისი სალიტერატურო სკოლის გავლენით მთელი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა და გზას უხშობდა ცოცხალი, სასაუბრო მეტყველების ფორმების ხმარებას სალიტერატურო ენაში. ანტონის გრამატიკის მიხედვით დაიწერა ყველა ქართული გრამატიკა, რომელიც მე-19 საუკუნის I ნახევარში შეიქმნა. ანტონის მძლავრ გავლენას განიცდიდნენ ქართული ლექსის ისეთი უბადლო ოსტატები, როგორც იყენენ ჩვენს რომანტიკოსებში: ალ. ჭავჭავაძე, ნიკ. ბარათაშვილი, ვრ. ორბელიანი... „მაგრამ მალალი სტილის უკულმართი შედეგები განსაკუთრებით მხატვრული პროზის დარგში აღმოჩნდა სავალალო. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში და თუმცე, მესამეცე წლებამდე, ქართულ ენაზე არ შექმნილა მხატვრული პროზის არც ერთი თვალსაჩინო ნიმუში“²².

ყველაზე უფრო სამწუხარო ამ მხრით ის იყო, რომ, რადგანაც ნაირსტილიანი ლიტერატურული ენის თეორია ანტონის ინტერპრეტაციით არ იძლეოდა სტილებრივი სხვაობის არავითარ წესებს და ამდენად, არ არსებობდა განსაკუთრებით საშუალო და მალალი სტილის ერთმანეთისაგან გამოჯენის არავითარი ობიექტური კრიტერიუმი, აღარავის „შეეძლო გაერჩია ერთმანეთისაგან მალალი, საშუალო, საშუალო თუ დაბალი სტილით ნაწერი. სამი სტილით თეორია მხოლოდ თეორიულად არსებობდა, არსებითად კი საკითხი იდგა გაუგებრად და გასაგებად, წიგნიერად და უწიგნიერად წერის ურთიერთობისა მხოლოდ“²³. ლიტერატურული ნაწარმოებების (რა უნდა იყოს უნდა ყოფილიყო ეს ნაწარმოები) დაბალი სტილით წერას, რადგანაც ის ჩვეულებრივ, ბუნებრივ სასაუბრო მეტყველებას ემყარებოდა, შედარებით ერიდებოდნენ²⁴, თუმცე ზოგჯერ მაინც მიმართდნენ მას (როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს დამოკიდებული იყო მხოლოდ და მხოლოდ მწერალზე).

ზემოთქმულის შესანიშნავ საილუსტრაციო მაგალითებს, ერთი მხრივ, გაუგებარი, მიმივ და, მეორე მხრივ, სადა, მარტივი ერთ ერთმანეთის გვერდით წერისას გვაწვდის ქურნალი „ცისკარი“, გასული საუკუნის შუა წლების ერთადერთი ბუკლეით ორგანო, რომელიც, როგორც ცნობილია, ანტონის ეპოქათა ტყვეობაში აღმოჩნდა. ყველაზე საინტერესო ამ მხრით ის არის, რომ თუმცა ანტონის მიმდევრების უმეტესი ნაწილი თეორიულ წერილებში, რომლებიც ქართული ენის „სიწმინდეს“ შეეხებოდნენ, და, უნდა ითქვას, ასეთი წერილები საკმაოდ მრავლად იბუკლეებოდა, განსაკუთრებით 1857-1860 წლების „ცისკრის“ ნომრებში, არ უშვებდნენ განმეორებას ანტონის შეხედულებების შესაბამისად ქართულ სალიტერატურო ენაში სამი განსხვავებული ენა, სამი განსხვავებული სტილი გაერჩიათ²⁵, მაგრამ ზოგჯერ უნებურად, როგორც ჩანს, ფაქტობრივი ვითარება აიძულებდა ზოგ მათგანს ედიარებინა, რომ არსებითად მხოლოდ ორი ენა არსებობს. ამ მხრით დამაზახსიათებელია ალ. ორბელიანის შემდეგი მსჯელობა: „აქ ჩვენს ქვეყანაში ორგვარი მწერლები არიან ეხლა, პირველები მისდევენ ძველი მსაგავლულების წერასა და მეორეები მდაბიურსა (ხაზი ჩვენია - ე. ბ.). ამ ორ გვართა მწერლებთა შორის არის ცილობა, პირველები თავიანთსას ამჯობინებენ და მეორე

22 ივ. გიგინეიშვილი, ილია ჭავჭავაძე და ახალი სალიტერატურო ენა, გვ. 50-51.
23 იქვე, გვ. 50-51.
24 ეს ენა როგორც ცნობილია, ძირითადად მხოლოდ საქმიან-საკანცელარო საბუთებში და ჩვეულებრივ საუბარშია შემორჩა.
25 მაგალითად: ალ. ორბელიანი თავის ცნობილ წერილში „ქართული უბნობა ანუ წერა“ აღნიშნავდა „ქართულის ენის თვისებას რომ ერთიც ზედ დაუმატოც ზედ დაუმატოც: პირველი სადმითო წერილად ანუ ეკლესიურად, მეორე მდაბიურად ანუ დარბაისვლით უბნობად და მესამე გლეხკაცების ენად“ (ცისკარი, 1860, №6, გვ. 91). დიმი. ბაქრაძე წერილში „წიგნი მოწერილი თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისადმი შესახებ მისის „ქართულის უბნობისა ანუ წერისა“ მიმართავს ალ. ორბელიანს: „თქვენ აქოფთ უპირატეს ქართულს ენასა სამ ნაწილად: სადმითო წერილად ანუ საეკლესიურად, მდაბიურად ანუ დარბაისვლით უბნობად და გლეხკაცების ენად ეს კეშმარტივია“ (ცისკარი, 1860, №8, გვ. 323) და ა. შ.

ბი თავიანთსა²⁶...

რედაქციის სახელით „ცისკარში“ 1860 წელს დაიბეჭდა წერილი, რომელიც სალიტერატურო ენის საკითხებს შეეხება და რომელშიც ვკითხულობთ: „მოელი ლიტერატურა რომ ჯერ ამ ორ ნაწილად არის გამოყოფილი, პროზათა და პოეზიით, ახლა ეს ორივე ნაწილი ისევე შეერთებულად წარმოვიდგინოთ და ისე ვიფიქროთ, ვითომც გაყოფაზედ ჯერ სულ არა გვეთქვას რა; - ახლა სხვა ორ ნაწილად განიყოფება კიდევ შვიგნობობა: მაღალ-ფრაზად და მდაბალ-ფრაზად (ხაზი ჩვენია - ე. ბ.); სადიდებულად, დიდებულათათვის, მეცნიერთათვის, შვიგნობობაში დახელოვნებულათათვის საწერად, - და სამდაბიოდ, ან ისეთ საწერად, რომ გაგონება არც სწაველულს უჭირდებოდეს, არც უსწავლელსა“²⁷.

დ. არდაზიანის აზრით: „ორ გვარი ფორმა გვაქვს ენისა: საღმთო წერილისა და საერო (სახალხო).

ფორმა საღმთო წერილის ენისა საკუთრად არ არის ძირეული ფორმა ქართული ენისა. საღმთო წერილი გადმოდებულა სიტყვა სიტყვით ბერძნულ ენიდამ. ამიტომ რომ არ შეიძლებოდა ნებისითი თარგმანი ღვთის სიტყვისა. ამასობაში კი უნებლიეთ შემოგვეპარა შიგადაშიგ რომელიმე ფორმაცა ბერძნულის ენისა. სულიერნი მაშინ განსაკუთრებით სწვრდნენ მიზანძიეთ ამ წერილის ფორმით, და არავინ მოიფიქრა გარდევცვალათ ეს ფორმა თავიანთ სიტყვაში საერო ენაზე...“

ფორმა საერო ენისა სრულებით არ მიემგვარება საღმთო წერილის ფორმასა. საერო ენით ლაპარაკობდა ხალხი, სწვრდნენ მოღვექსენი და სხვა მწერალნი, მეფენი, მსაჯულნი. საერო ენა განვითარდა: დამტკიცებული სახსოვრები გვიწყვიდა თვალწინ. როდესაც-ღა შემიუსრენ ჩვენი ყოველი საერო სწავლა, წერილები და მწერალნი, მაშინ შემოგვჩნენ მხოლოდ მიზანღულნი მონასტრებში საღმთო სწავლა და სულიერ მამათა წერილები. უკანასკნელ საუკუნეებში მრავალნი ერისგანნი სწვრდნენ უფრო საღმთო წერილის ფორმით, და მცირედენ, ისიც მოღვექსენი, საეროს ენით“²⁸.

ინტერესს მოკლებული არც ეს გარემოება უნდა იყოს, რომ წინააღმდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრისა²⁹, ჟურნალ „ცისკარში“ განსხვავებული - მაღალი და დაბალი სტილით წერა სულაც არ იყო გაპირობებული სხვადასხვა შინაარსის მასლით, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს კაცს. ვფიქრობთ, რომ ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, რამდენადაც, როგორც უკვე აღინიშნა, ანტონისეული სამი სტილის თეორია ლიტერატურული ნაწარმოებების დაყოფა-დახარისხებას ამ თვალსაზრისით არც იძლეოდა. მართალია, ჟურნალ „ცისკარში“ მოთავსებულ ზოგ თეორიული ხასიათის წერილში არის ცდა ჟანრების მიხედვით სამი სტილის (უკეთ: ორი სტილის) კლასიფიკაციისა³⁰, მაგრამ ეს კლასიფიკაცია

²⁶ ალ. ორბელიანი, ქართულის ენისათვის, 1856, გვ. 5-6.

²⁷ რედაქციისაგან, ცისკარი, 1860, № 2, გვ. 177-178.

²⁸ დ. არდაზიანი, Беглый обзор 12 книжек «Заря» с января по декабрь 1858. в. ბერძენოვისა, ცისკარი, 1859, № 9, გვ. 82-84.

²⁹ არნ. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, ენიმის მოამბე, II, 1937, გვ. 6-7. მისივე ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 022; ც. კალაძე, „სამი სტილის“ საკითხისათვის ქართულში, ითუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, № 7, 1955, გვ. 305.

³⁰ მაგალითად, ზემოხსენებულ წერილში რედაქციის სახელით ვკითხულობთ: „მაღალ ფრაზით წერა მაშინ არის კარგი და გამოხადება, როდესაც საღმთოსა რასმე საგანს შეეხება: ღრმის სწავლასა და მტყინებებს; დახამოდებულსა და შესამეტნებელს რასმე ღვთის მტყვევლებითა თუ საცილობილო აზრსა; ზრახვასა რასმე მაღალსა, გონიერების გამაღვიძებელსა და ჭკუის მავარჯიშებელსა; ამგვარად ნაწერი ასში რომ ათმა გაიფოს, ისიც ხაკიათა.“

ამ საქმეზედ გარდა ქვეყნებში ბევრი ისეთი რამ არის კიდევ დასაწერი, - რომ თუ გაგონება გაჭირდა, თუ დიდი ჩაუჭირდა მოუნდა, თუ ასში ოთხმოც და ათმა ადვილად ვერ გაიფოს და წამით-ხელმა დრო ისეთის სამომენტით ვერ გაატარა, როგორც კარგი საუბარი გაატარებინებს, კარგი ცხოველი და ზრდილობიანი ლაპარაკი, - მაშინ წერილიც ყოველს თავის დირსებას დაკარგავს და მწერალსაც შრომა ამაოდ ნაუგლის. - რაც კი მოსახსობელი არის რამე, ან ამბავი თუ ისტორია, რომანი, დეკანდა, ტრადიცია, - ისე უნდა დაიწერებოდეს, როგორც საზოგადოებაში ლაპარაკი შეეფერება; თუ არა და, სულ რომ არ დაიწეროს, ის მსჯობია... მოსახსობელი წერა პირად ლაპარაკის

თეორიულად არსებობდა მხოლოდ, პრაქტიკულად კი სხვადასხვა სტილით წერა ამა თუ იმ ცალკეულ მწერალზე იყო დამოკიდებული, მაგალითად „ცისკრის“ 1853 წლის მე-7 ნომერში დაბეჭდილია „საძია“, როგორც იქ წერია: „რომანი უფლისა როჟე დე ბოჟოარ რუსულით გარდამოღებული ქართულად ხარდით ალექსიე-მესხივეისაგან“, რომელიც ასე იწვევა:

„უშმშვენიერესთა ვენეციის პალაცცოთაგანსა, საწოლსა შინა განცხრომით მორთულსა საოცარისა გემოვნებისამებრ დროთა ღუი მეთახუთმეტისა, სჯდა ვახშმად მარკიზა გრიმანი, დედაკაცი წლისა ოროცისა, მაგრამ ჯერეთ მოახალგაზრდე და არა უყვარდ, ცოლი უფანათ-დედაყვის ვენეციის რესპუბლიკის პროკურატურისა. სენიორ გრიმანი არ იყო შინ, - ვჰშირად სხუათა და სხუათა მიზეზთა გამო წარვიდოდა ისი სახლად თუსად პადუას; მაგრამ მარკიზა უიძისოდ არ მოიწყენდა. აწცა მას“ დღესასწაულისთვის დაეთხოვნა ყოველი კერძობა თუსი გარდა სარწმუნოსა მოახლისა თუსისა შორენიტისა და არა მარტოდ ვახშობდა, - გვერდით მისა სჯდა მშვენიერი კაცი წლისა ოცდაათისა³¹.

„ცისკრის“ 1857 წლის მე-3 ნომერში დაბეჭდილია მოთხრობა „ვაჭრის შვირიდი“, დაწერილი ხადა, მარტივი ენით:

„არა, ჩემო გაბრიელე, შენი იფანე მოგიკვდეს, თუ ჩუენ აქ ხეირი ვნახოთ რამე. სამი წელწადია აქ ვაჭრის შვირიდები ვართ და საძჯერ არ გაგვიგონია მაგისაგან ტკილი სიტყვა, მე კი ვეღარ დაედგები და შენც გირჩევ სხუა ალაგი მოძებნოთ. ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ ორნი შვირიდნი ერთს ღუქანში. საღამოზე ღუქნები რომ დაკეტეს, გაბრიელე შინათკენ მოდიოდა დაფიქრებული და აგონებოდა თავის ამხანაგის სიტყვები, რომელიც უხატავდნენ შემდეგსა ბნელად და ამ უიმედო ფიქრში რომ იყო, ერთის თავის ნაცნობის სახლიდგან დიდი სძიანობა მოეხმა და იფიქრა, ერთი შვევალ და გავიგებ, რა ამბავიაო³².

სტატიები სხვადასხვა სამეურნეო საკითხების შესახებ აგრეთვე სხვადასხვა ენით იწერება, მაგალითად „ცისკრის“ 1852 წლის მე-2 ნომერში ვკითხვლობთ:

„ახალი მაჭარი თუ გინდათ რომ ძველათ გააკეთოთ, რომ ვერეინ იცნოს, ასე უნდა: ქვაბში ჩაასხით წყალი და ჩაწყეთ ბუთილკები ღვინით. პირამდინ წყალში იყოს, შედგით ცეცხლზედა და წყალი ნელ-ნელა წამოადუღეთ და მერე ისევ გააციეთ. ვერეინ შეიტკობს, რომ ახალი ღვინოა³³.

როგორც ვხედავთ, ენა სადაა, მაგრამ ახლა „ცისკრის“ 1858 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილ ზ. მამაცოვის სტატია „მიზეზისათვის ვახის სნეულებისა და მისი წამლობა“ წაითკითხეთ:

„ნაკლულეანი მოსავალი ღვინისა ზედიზედ ორს ანუ სამს წელს შეიქმნა ესრეთს უბედურად, რომ მოქმედება მისი განგრძელდა უშორეს იმ მკვრეთა, სადაც მოდის ყურძენი. დიდი შეცდომილება იქმნება თუ ვიფიქროთ, რომ ვითოიც ამ უბედურებაში შთაცეცხვან მხოლოდ განცხრომით მცხოვრებნი კაცნი... კუნძულსა ზედა დადერისა ამ ნაკლულეანებას მოახდინა ნამდვილი უსატკიცის სახის შიმშილი: მეორედ, მრთელი მუშაკთ საზოგადოება და დარბიი ხალხი იმ მხარეთა შინა, სადაც მოდის ღვინო, შთაცეცხვან სიღალახის წარმომადგენელს უბედურებაში, და დაელო მალალი ფასი პურსა, რომელიცა შეადგენს მათს უპირვე-

მაგიერად არის შემოღებული და, რაც პირად ღალაპაკს არ შეეფერება, ის არც წერას უნდა შეეფერებოდეს“ (ცისკარი, 1860, № 2, გვ. 178-180).

³¹ ცისკარი, 1853, № 7, გვ. 8-9. ხაერთოდ ხარდით ალექსიე-მესხივეი ყველაფერს განურჩევლად ხელფერნის სტილით წერს. ანტონ ფურცელაძე კრიტიკულ სტატიაში „მიმოგზაური ურია (თარგმნილი უფ. ალექსიე-მესხივეისაგან)“ 1862 წლის „ცისკრის“ მე-11 ნომერში ხარდით ალექსიე-მესხივეის ენის შესახებ საკმაოდ მახვილგონიერულად შენიშნავს: „...ახლა, აძენეს სიკეთეს რომ ენაც დაეუმატოთ უფ. ალექსიე-მესხივეისა, რომელიცა სწერს თარგამოს ქართველთ მაშის ენითა, რომელიცა ეხლა ხუცესს პეტრე დაველაურსაც აღარ ეყურება. გამოვა ჩუენთვის სრულებით ფუჭი (ცისკარი, 1862, № 11, გვ. 281). შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ბრძოლაში ენისათვის, რომელიც ილიამ წამოიწყო, უფ. ხარდით ალექსიე-მესხივეი ანტონის ორთოდოქსალური მიმდევრების ბანაკში აღმოხნდა და მისფრად შეურტა ილიას თავის ცნობილ წერილში „უსტარი ანტიკრიტიკული“ (ცისკარი, 1861, № 6).

³² ცისკარი, 1857, № 3, გვ. 49.

³³ ცისკარი, 1852, № 2.

დღეს საზრდოებას... მოუსვენლობისა გამო ყურძნისა, საჭიროდ შეიქმნა გამოსახველოთ ოტკისა მრავალი სხუა იმ მხარეთ მოსავალი³⁴.

1857 წ. „ცისკრის“ მე-6 ნომერში რედაქციის სახელზე დაბეჭდილია ორი წერილი, ერთი მათგანი ეკუთვნის ალ. ორბელიანს, რომელიც, როგორც ეს „ცისკრის“ სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი მისი ნაწარმოებებიდან ჩანს, სხვათა შორის, პრაქტიკულად არ ჩანს ხელოვნური ენის დიდი მოტრფიალე, ხოლო მეორე – დავით მაჩაბელს, მოგვყავს ორივე:

„პატრესაცემელო უფალო რედაქტორო, წრფელის გულით გეტყვით, ბევრს მოსწონს თქუენი გამოცემული ჟურნალი და მეც იმათ შორის ვაქებ. ნამეტნავად ის თქუენი ძლიერი შრომა ქართულის ჟურნალისათვის, რომელიც მე ვიცი და არაუარს სხვამ, ეს დიახ მოსაწონია და საქმეელი. მაგრამ უპირველეს შესავალსა ქართულს ჟურნალში თქუენი ლექსი რომ იბეჭდებოდა ხოლმე დიდროანის ასოებით და სხვებისა მცირედითა, მეონია, ჟურნალს არ მოუხდება ამგვარი სხვა და სხვის ზომის ასოები“³⁵.

სტილი სადაა, გასაგები და მარტივი. ახლა მეორე წერილი ვნახოთ:

„მადლობა რედაქტორისადმი
ჟურნალისა ამის მიმღებისაგან და მცირე რაიმე შენიშვნა სასარგებლოდ ჟურნალისა.
ვექსონია და წარმოთხულოთა.

უფაღს რედაქტორს ჟურნალისა ამის ცისკრისას, არ შეიძლება რომ არ განუცხადოთ მადლობა სრულისა მისისა გულის-მოდგინებისათვის წარმატებისა ზედა ამა ჟურნალისა. და ამასთანავე ესეც მიუცილებულად საჭიროა შევნიშნოთ, რომელ, მსხანს, მისი ნაბორშიკი, რომლისაცა მცოდინარებობაზედ ის არს დარწმუნებული, არა ყოფილა ქართულის წერილისა კარგად აღმოთქიხუელი, და ხშირი შეცთობა აღბეჭდუაში რაოდენმე ამახინჯებს შეუნიერთა გამოხატულებათა“³⁶... და ა. შ.

ერთი და იმავე პუნრის ნაწარმოებების სხვადასხვა სტილით წერის ნიმუშების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება, ამიტომ ჩვენ ამით დაეკმაყოფილებით, ოღონდ ერთი კი უნდა აღვნიშნოთ, რომ „ცისკარში“ თანამშრომელ მწერალთაგან განსაკუთრებით მძიმე ენით გამოირჩეოდნენ ირაკლი ლორთქიფანიძე, დიმიტრი ბაგრატიონი, ლუკა ისარლოვი, დავით ციციშვილი, ზ. მამაცოვი, სარდით ალექსივე-მესხიევი, ბარბარე ჯორჯაძე, ალ. სავანელი და სხვ. ხალი, მარტივი ენით წერდნენ დიმი. ყიფიანი, გ. ერისთავი, ივ. კერესელიძე, ლ. არდაზიანი, დ. ჭონჭაძე, და, როგორცადაც გასაკვირად უნდა მოგვეჩვენოს ეს, ალ. ორბელიანი. ყუიქრობთ, რომ ის ცნობილი ფაქტი, რომ ზოგი ავტორი „ცისკარში“ სადა, მარტივი ენით წერდა, იმით კი არ უნდა ავსხნათ, რომ ამას ნაირსტილოვანი დიტიტრატურული ენის თეორია მოითხოვდა, არამედ იმით, რომ ანტონის „ონიფხვათი“ სიარულის შეუძლებლობას გრძნობდნენ არა მარტო ზემოთ დასახელებული რედაქტორი მწერლები, რომლებიც სამი სტილის თეორიის ყოველგვარი აღიარების გარეშე შეგნებულად უახლოვებდნენ თავიანთ ენას, ცოცხალ, სასაუბრო მტყუყულებას, არამედ თვით ანტონის ყველაზე მკაცრი დამცველებიც. აკი ბოლოს წწორედ სამი სტილის თეორიის მიმდევრებმა ვერ მოითმინეს და სხვადასხვანაირი სტილით წერის საჭიროება კითხვის ქვეშ დააყენეს, ამ მხრით საყოველთაოდ ცნობილია წერილები ალ. ორბელიანისა³⁷, დიმიტრი ბაქრაძისა³⁸ და ლ. არდაზიანისა³⁹.

ამ წერილებში საკმაოდ ხალი მოსაზრებები საკმაოდ მკვეთრად გამოითქვა, მაგრამ შედეგი არსად ჩანდა და არც მათი საქმით განმახორციელებული იყო ვინმე⁴⁰, ხანამ სალიტერა-

³⁴ ცისკარი, 1858, № 1, გვ. 53.
³⁵ ცისკარი, 1857, № 6, გვ. 64.
³⁶ ცისკარი, 1857, № 6, გვ. 65.
³⁷ „ქართული უბნობა ანუ წერა“, ცისკარი, 1860, № 6.
³⁸ „წიგნი მოწერილი თ. აღ. ჯამბაკურ-ორბელიანისადმი შესახებ მისი ქართულის უბნობისა ანუ წერისა, ცისკარი, 1860, № 8.
³⁹ Беглый обзор 12 книжек «Заря» с января по декабрь 1858 г. берძენოვისა, ცისკარი, 1859, № 9. შინა-არსი ამ წერილებისა არა ერთხელ იყო გადმოცემული სათანადო სამეცნიერო-ლიტერატურაში, ამიტომ მათ დაწერილობით განიხილავს ჩვენ აღარ გამოვლდებით.
⁴⁰ ივ. გიგინეიშვილი, ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტ. ენა, გვ. 53.

ტურო ენის დიდი რეფორმის აუცილებლობის ძნელი და პასუხისმგები საქმე არ იტყვიოთა დიდმა ილიამ, რომელიც თამამად გამოვიდა ანტონის ორთოგრაფიული წესების წინააღმდეგ, ერთბაშად უკუაგდო მანამ ჩვენს ენაში გაბატონებული ხელოვნური კონსტრუქციები, არ მოერიდა მაღალი სტილისათვის უჩვეულო სიტყვებისა და გამოთქმების ხმარებას და მისცა ქართველ საზოგადოებას გასაგები, ჭეშმარიტად ხალხური ენის გამოყენების ნიმუში⁴¹.

მიუხედავად იმისა, რომ ილიას პროგრესულმა შეხედულებებმა სამი სტილის თეორიის მიმდევართა ბანაკში დიდი შემოთება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია, გამარჯვება მაინც ილიას და მის მომხრეებს ხვდა წილად, რადგანაც „სამი სტილის“ თეორიის პრინციპებზე აღმოცენებული, ხელოვნურად შეკოწიწებული „მაღალი სტილი“ თვით ცხოვრებამ უარყო.

ასე დამთავრდა სამი სტილის თეორიის ბატონობის უკუღმართი ხანა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში.

⁴¹ იქვე, გვ. 53.

უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო¹

I. ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში

ტფილისის უნივერსიტეტის მოამბეში დაბეჭდილია ჩემი პატარა გამოკვლევა: „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში“, რომელიც დამყარებულია უმთავრესად მცხეთის ჯვრის საყდრისა და ბოლნისის სიონის წარწერების ენის გარჩევაზე. აღნიშნული გამოკვლევა დაიბეჭდა ჩემი პეტროგრადში ყოფნის დროს. როდესაც ჯერ კიდევ მოსკოვში ვიყავი; იანვარში 1923 წელს, ერთ დღეს იდით პროფ. კ. კეკელიძის უკითხავს ჩემთვის: რა იქნება, აკაკი, რომ აღმე ამოგორდეს ქვა მუქქესე საუკუნის წარწერით ასე თხუთმეტოდე სტრიქონით, და მე ამაზე მიპასუხინა: „სულ ხანებით იქნება ხავსე“-მეთქი. მე ამის საბუთს, მართალია, მცხეთა-ბოლნისის წარწერების ფორმები მაძლევდა, მაგრამ აბა რას ვიფიქრებდი, თუ ამ დროს თბილისში პროფ. ჯავახიშვილი პალეოგრაფიული საკითხების კვლევა-ძიების დროს ყურადღებას მიიქცევდა ოქსფორდის ქართულ-გერმანულ პალიმფესტს და შიგ უძველესი ქართული ტექსტების ნიმუშების აღმოჩენის გამო მას სინარულისაგან გული შეუწუხებდებოდა! რას წარმოვიდგენდი, თუ ამ სასინარულო ამბავს მოჰყვეოდა რევიზია ქართული პალიმფესტებისა ჩვენს წიგნთსაცავებში და აღმოჩენა იმავე პროფ. ჯავახიშვილის მიერ უძველესი ქართული ლიტერატურის ძეგლების! როგორ ვიფიქრებდი, თუ შემორე დასახელებულს ჩემს გამოკვლევაში მოყვანილს რამდენსამე გასაკვირად ფორმას ასე მალე გამოუჩნდებოდა აუარებელი პარალელები, ოდინდ არა მიწიდან ამოდებულ ქვების წარწერებში, არამედ გადარეცხილ-გადაფეკილი ეტრატის ფურცლებზე.

უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენა ფართო პორიზონტებს გვიშლის თვალწინ მრავალ მხრივ. თუ ჯერ-ჯერობით არ ხერხდება მათი ქრონოლოგიურად განსაზღვრა სრული ზედმოწვნილობით, ის მაინც ცხადია, რომ აქ ყოველ შემთხვევაში, არაბობამდელ ლიტერატურასთან გვექვს საქმე. მაშასადამე, არაბთა შემოსევის წინა ხანებში (ე. ი. მეშვიდე საუკუნის ნახევრამდე) არსებული ქართული მწერლობა არ დაღუპულა ისე კატასტროფულად, როგორც ეს აქამომდე გვეგონა, ვინაიდან, ჩვენდა ბედად, ზოგი რამ ამ ეპოქისა დაღუპვის გადაურჩენია პალიმფესტებს. ეს ფაქტი უადრესი მნიშვნელობისაა როგორც ქართული ლიტერატურისა და ენის ისტორიის, ისე პალეოგრაფიისათვისაც. ამიერიდან ქართული ისტორიული დიალექტოლოგია მკვიდრ საფუძველს პოულობს და შესაძლებელი ხდება მრავალი ბუნდოვანი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხის გამოკვლევა.

ერთი ასეთი საკითხთაგანია ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ, რომელიც დაცულია მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში და რომელიც აქამომდე გაუგებარი იყო.

* * *

ეს ცნობა მოიპოვება გიორგი მთაწმიდლის ანდერძში, რომელიც დართული აქვს (იოანეს თავის ბოლოს) მისი რედაქციით გამართულს ქართული სახარების ტექსტს, რომელიც მას ბერძნული ტექსტის მიხედვით შეუსწორებია.

საყურადღებოა თავისთავად გამოკვლევა იმისი, თუ როგორ ესმოდა გიორგი მთაწმიდელს თავისი მოღვაწეობა, როგორ აფასებდა მას და როგორი იყო მისი ანდერძის პირვანდელი სახე. მაგრამ ეს ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს და არც ეხება ჩვენს პირდაპირ საგანს. ვიტყვი მხოლოდ, რომ, თუ ლიტერატურულ ფაქტებს გავითვალისწინებთ, უფრო დასაჯერებელია გიორგის რედაქტორობა, ვიდრე მისი მთარგმნელობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მთარგმნელადვე გამოყვანილი ვანის სახარების ანდერძშიც, რომელსაც მოსდევს მეტად მნიშვნელოვანი მინაწერი მისი გადამწერლისა, რომელსაც თავისი გადმონაწერი სახარება ასყავს

1 აკაკი შანიძე, თხზ., ტ. II, თბ., 1981 (იბეჭდება შემოკლებით).

თვით გიორგი მთაწმიდლის იმ ავტოგრაფამდე, რომელიც „ნუსხად მდებარე“ ყოფილა „დიდსა წიგნის საცავსა“: ათონის ქართულელთა მონასტერში. აი რას ვტყობილობთ ამ მინაწერში:

„საეუარელნო ჯერ-არს, რათაა წმიდისა ამის სახარებისა ვითარობაი განებარტის სიწმიდესა თქვენსა, და არა თვთჯულობით ჰგონოთ შეცვლამ სიტყუათაი წმიდისა ამის სახარებისა ანუ ანდერძისათა, არამედ ესე საცნაო იყავნ ყოველთა, რამეთუ ყოველნივე ქართულნი სახარებანი, მთაწმიდით აღწერილნი და გამოსულნი, ღირსისა მამისა გიორგის თარგმნილნი, საკლესიოსისა სახარებისაგან, რომელ მთაწმიდელნი იკმარებენ, აღწერილნი არიან და არა მისგან, რომელი თვთ გიორგი თარგმნა და ნუსხად მდებარე იყო დიდსა წიგნის საცავსა, არამედ მისგან გადაწერილისაგან. და მას ნუსხასა თანა ფრიადი ნაკლულვეგანება აქუს და გვგონებ, რომელ თვთჯულობით ვითმე ეკადროს მას შინა შეცვლამ სიტყვსაი, გინა ანდერძისაი, ვიდრე მწერლისაგან ვაზრუნად. ხოლო ჩუენთა ამთ შინა ეამთა დიდი მოღუაწეთა შორის ბერი ზაქარია მი-რია-ვიდა მთასა წმიდასა, ძიება-ყო გიორგის მიერ აღწერილისა წმიდისა მის სახარებისათვის და შოა დიდსა წიგნის საცავსა შინა და აღივსო სიხარულითა. და მიერ გადმოუწერა შატბერდელსა ხუცესსა სტეფანეს და, აღმო-რია-ვიდა რომანანს, მე კლდევევ ცოდველმან იოვანე აღწერად, რამეთუ ადრითგან სწეუროდა სულსა ჩემსა მოგებად წმიდისა სახარებისა. აწ ვინცა სწერდეთ, ვითა აქა პპოთ, ვგრე დაწერეთ წგნტილთა და პტი-ვითა ზედა მგორითა სიტყვთა, რამეთუ ანდერძი, ვითა აქა სწერია, ესრე პოვნიდ არს ნუსხასა.“

ძნელი სათქმელია, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს აქ მოყვანილი ცნობა, რომელიც შეეხება „თვითშჯულობით“ ცვლილებათა შეტანას გიორგისეული სახარების ტექსტში. რადგანაც გიორგისეული რედაქციის ტექსტები ჯერ-ჯერობით არ არის შედარებული და შე-წამებული ერთმანეთთან. რაიცა შეეხება ანდერძს, იგი მართლაც შეცვლილი, ყოველ შემ-თხვევაში ორი რედაქციით არის ჩვენამდე მოღწეული. ანდერძის ორსავე რედაქციაში ერთნა-ირად იკითხება ის ადგილი, რომელიც შეიცავს ცნობას ახლად აღმოჩენილის უძველესი ქარ-თული ხელნაწერების შესახებ: „და თუ არა რამე გაწმინდეს, ჩუენის ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნი და კეთილად - ხან მტინცა და საბაწმიდურნი-ცა, - მუთნო დაწერეთ და ღმრთისათვის ერთმანეთსა ნუ გაბრევთ“. „პირველითგან წმიდად და კეთილად თარგმნილ“ სახარებათგან გიორგი მთაწმიდელი ასახელებს ორ რედაქციას: ხანმეტსა და საბაწმიდურს, რომელთა ვაგებში მკვლევარნი სხვადასხვა აზრისანი იყვნენ.

კაცმა რომ თქვას, ამ ორ ტერმინში მკვლევართათვის ნაკლებ დაბრკოლებას „საბაწმიდურ-ნი“ წარმოადგენდა, თუმცა მის განმარტებაშიც არ იყო სრული თანხმობა: მიუხედავად იმი-სა, რომ თითქმის ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ საბაწმიდური არის საბაწმიდაში შემუშავებული რედაქციაო, ჩვენებთ არავის უწინებია მაინც კონკრეტულად, თუ რომელი სახარება უნდა ვივლარისხმით სახელდობრ საბაწმიდურ რედაქციად და რას წარმოადგენს იგი ფორმით და შინაარსით, ან რა განსხვავებაა მასა და სხვებს შორის.

რაიცა შეეხება „ხანმეტს“, იგი ხომ დაუძღვეული ტერმინი აღმოჩნდა და ყველამ თავიხე ბურად გაიგო იგი:

მ. ბროსე ხანმეტში კომენტარებს ხედავდა.

დ. ბაქრაძეს ხანმეტში მიანიხა სახარების დანართად. იგი მას ამ სიტყვით თარგმნიდა: с прибавлениями, თუმცა, ალბათ, ეჭვებოდა ასეთი ვაგება, როდესაც კითხვას სვამდა: ხანმე-ტად ხომ არ უნდა გაივითო ის, რაც სახარებაში შევიდა და ტექსტს არ კუთვინისო?

ა. ცაგარელი გამოუკამათა რაც. ბაქრაძეს და ის აზრი გამოთქვა, რომ ამ ტერმინით უნდა გაივითო თითქუ სრული სახარება და არა გამოკრებული სახარება, როგორცია თვით გიორგის მიერ თარგმნილიო.

ბუნდოვანი იყო ამ ტერმინის მნიშვნელობა აგრეთვე თ. ჟორდანიასთვისაც, რომელ-საც ხანმეტში პირველად გეოგრაფიულ პუნქტად მიანდა, თუმცა ეს ცორტა ეჭვებოდა და კითხვით ნიშნას უსვამდა, ხოლო შემდეგ წერდა: „სიტყვა „ხანმეტი“ აღნიშნავს ფრიად ძეგლს, თუ ეს ლექსი გეოგრაფიული სახელი არ არის“-ო.

მ. ჯანაშვილს „ხანმეტი“ ზოგჯერ მეტი ვიწინა და ამიტომ როული სიტყვის ნაწი-ლები (ცალკეად) დაწერა („ხან მეტი, ხან ნაკლები“).

პროფ. ეკეკელიძემ „ხანმეტი“ დრო-მეტად გაიგო და მას ქრონოლოგიური მნიშ-

ენლობა მისცა, ხოლო პროფ. ნ. მარმა ტერმინის პირველ ნაწილში სპარსული ხანა დანახა, რომელიც სომხური ტუნისა და არაბული ბეითის მნიშვნელობასთან დაკავშირებით მუხლად გაიგო, „ხანმეტი“ მუხლ-მეტად ახსნა და სცადა კიდევ, რომ ასეთი ახსნა დაეხატუებინა.

არც ერთი ამ განმარტებათაგანი სწორი არ არის, ვინაიდან ხანმეტი, რომელიც ასე საცილობელი გამხდარა, ნამდვილად სულ სხვახა ნიშნავს. ამ ტერმინის გაგება და უცილობლად და ქუკ-მოუტანლად მისი მნიშვნელობის გამორკვევა შესაძლებელი ხდება ახლად აღმოჩენილ უძველეს ქართულ ძეგლთა ფორმების გათვალისწინებით; სახელდებო:

პალიმფსესტების სახით ჩვენამდე მოღწეულის არაბობამდინდელი ლიტერატურული ძეგლების ენას ერთი რამ ახასიათებს, რომელიც მას მეტად განახსევავებს აქამომდე ცნობილი ხელნაწერების ენისაგან. ეს არის ხანების ხმარება პრეფიქსებად სამი ფუნქციისათვის: ზმნებში მეორე პირის სუბიექტისა და მესამე პირის ობიექტის გამოხატავად, ხოლო სახელებში ზედსართავთა შედარებით-აღმატებითი ხარისხის საწარმოებად. მართალია, როგორც ნაშთები ასეთი მოვლენისა, ხ დღევანდლამდეც კი გვქონდა შემორჩენილი რამდენიმე სიტყვაში; მაგ., არს და ვალ ზმანში მეორე პირის სუბიექტის გამოხატავად დღესაც იგივე ხანია (ზ., მი-ხ-ვად), მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსად კი ხანს ჩვენ დღევანდლამდე ერთს გაერკველებულს გეოგრაფიულ სახელში ვხმარობთ, რომელიც არის ხერთვისი და რომელიც ქვს ადგილას მაინც გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში²; ხოლო შედარებით-აღმატებითი ხარისხის წარმოებისათვის ხანის ხმარების კვალი შემორჩენილია ხუცეს³ში, რომლის მეორეული შესატყვისია უნაში („უფროსი“) და სვანური ხონა („უფროსი“) და რომელიც ჩვეულებრივი ნორმების მიხედვით უნდა გვქონოდა ამ სახით: *უცესი (←*ჰუცესი) და არა ხუცესი ან მით უმეტეს უხუცესი (მჩრობლი პრეფიქსით)³. მაგრამ ეს მხოლოდ მცირეოდენი ნაშთია ოდესმეც ერთ კილოში საყოველთაოდ გაერკვებული მოვლენისა, რომელმაც, როგორც უკვე ვიცოდით, ბოლნისის სიონისა და მცხეთის აჯრის წარწერებში იჩინა თავი მეზუთუ-მეშვიდე საუკუნეებში. ეს კია ოღონდ, რომ ამ წარწერებში ხანის მხოლოდ მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსის ფუნქციის მატარებელია (მეოხ ხეყა, შეხეწავი, შეხუბათ). რაიც შეეხება მის ორ სხვა ფუნქციას, ეს წარწერებით დამოწმებული არ არის, სამაგიეროდ ახლად აღმოჩენილ უძველეს ხელნაწერებში უხვად გვხვდება იგი სამივე ფუნქციით⁴. ფრიად დამახასიათებელია ამ ძეგლებისათვის, რომ ხანის ხმარება თითქმის სისტემატარ არის გატარებული ინაწ ნებთში.

პრეფიქსის ხანეც აღნიშნულ ხელნაწერებში გვხვდება როგორც ხმოვნების წინ, ისე თანხმოვნების წინაც, მაგრამ ზედსართავთა შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმებში იგი მხოლოდ ხმოვნის წინ მოდის (ხ-უ), ხოლო ზმნებში – იქაც და აქაც. IX-XI საუკუნეთა ქართული ძეგლების ენაში ამ ხანების ადგილას თანხმოვანთა წინ ჰაე იხმარება (მამის ბგერების წინ), ან კიდევ ხანი ან შინი (დედის ბგერების წინ), ხოლო ხმოვნების წინ თეორიულად მოსალოდნელი ჰაე სრულებით დაკარგულია.

არაბობამდელი ძეგლების ენაში, პირის ნიშნების ხმარების თვალსაზრისით, არ იცის ზმნების დაყოფა მათი დასაწყისი ბგერების მიხედვით ხმოვინად და თანხმოვინად ფუტყებად, ხოლო თანხმოვინად ფუტყებში კიდევ მამისა და დედის ბგერების გარჩევა, როგორც ეს არის IX-XI საუკუნეთა და მერმინდელ სალიტერატურო ენაში, ან ზოგიერთ დღევანდელ კილოში; აქ ხმოვნისა თუ თანხმოვნის წინ, მამის ბგერისა თუ დედის ბგერის წინ⁵, ყველანა და ყოველთვის

² ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართ. ზმნებში (ამავე კრებულში).

³ აკად. ნ. მარმა სწორად აღნიშნა, რომ ხანი ხუცეს-ში არ არის ძირეული, მაგრამ იგი შეცდა, როცა ხუცეს-ი ქართულში სვანურიდან ნასესხებ ფორმად აღიარა.

⁴ პროფ. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ყოფილა აგრეთვე შემთხვევა ხანის უარყოფითი უ ნაწილში წინ ხმარებისა, მაგრამ ხანი აქ ანალოგიურად განეთარებულა მანს, რასაც ამტკიცებს სვანურ ფორმებთან შედარება: უნა („უბერადელი“), უღაბრა („უკვდავი“), უტხი („დაუმრუტებელი“) და სხვ.

⁵ მამის ბგერები უწუფოდ იმ თანხმოვნებს, რომელთაც IX-X-XI საუკუნეებისა და მერმინდელ ძეგლებში მეორე პირის სუბიექტურ და მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსად ჰაე მოუდის წინ; ეს თანხმოვნებია: კ

ორი ერთსახე პრეფიქსის ფუნქციას ასრულებს ხანი.

ამის მაგალითებს მრავლად იპოვის კაცი პროფ. ი. ჯავახიშვილის მოხსენების ბოლოს დართულს უძველესი ქართული ტექსტების ნიმუშებში. აქ მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე ადგილს და, რომ ნათელი იყოს, თუ რა არსებითი განსხვავებაა უძველესი წერილობითი ძეგლებს ფორმებსა და მერმინდელ სალიტერატურო ენის ფორმებს შორის, პარალელურად მოვიყვან იმავე ადგილებს მეცხრე-მეათე-მეთერთმეტე საუკუნეების ძეგლების ორთოგრაფიით.

სახარება მათისი

V-VII

- 1A ნუ დახშვით, რათა არა დახისაჯნეთ.
2. რამეთუ რომლითა ხშვით, მითცა ხისაჯნეთ და რომლითა საწყაულით მიხუწყვიდეთ, მოგეწყოს თქუენ.
3. რაიცა ხხედავ წუელსა ძმისა შენისა თუალსა და თუ[ა]ლსა შენსა დიერესა არა ხხედავ?
4. ანუ ვითარ ხეტყვ ძმისა შენსა: მაცადე და აღმოგიდო წუელი იგი თვალთ შენით და აჰა ეგერა დირ[მ] || AB ეგე თუალსა შინა შენსა გიც?
5. ორგულო აღმოიდე-და პირველად დირმ თუალისაგან შენისა და მაშინ ხიხილო აღმოდებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა.
6. [ნ]უ მიხცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუ დახუდებთ მარგალიტსა თქუნსა წინაშე ღორთა, რათა [და]თრგუნონ იგი ფერკითა მათითა და მოგეცენ და განგხეთქდენ თქუენ.
7. ხითხოვდი და მოგეცეს თქუენ, ხეიბდით და ხპოთ, ხირეკდით და განგელოს თქუენ.
8. რამეთუ ყოველი რომელი ხითხოვს, მიიღის; || B და რომელი ხეიბებს, პოვის; და რომელი ხირეკს, განგელის.
9. ხიყოს-მე ვინ თქუენგანი კაცი, რომელი ხითხოვდეს ძმ მისი პურსა, ქუაი ნუ მიხცესა მას?
10. ანუ თუ [სა] თევზსა ხითხოვდეს, გუელი ნუ მიხცესა?
11. უკეთუ თქუენ უკეთურთა ხიცით ნიჭისა კეთილისა || AB მიცემაი შეიღთა მათ თქუენთა რაოდენად არა ხუფროს მამამან თქუენმან ზეცათამან მოგცეს კეთილი, რომელი ხითხოვდეს მას.

IX-XI

1. ნუ და[ქ]შვით, რათა არა დაისაჯნეთ.
2. რამეთუ რომლითა (ქ)შვით, მითცა ისაჯნეთ და რომლითა საწყაულით მიუწყვიდეთ, მოგეწყოს თქუენ.
3. რაიცა (ქ)ხედავ წუელსა ძმისა შენისა თუალსა და თუ[ა]ლსა შენსა დიერესა არა (ქ)ხედავ?
4. ანუ ვითარ ეტყვ ძმისა შენსა: მაცადე და აღმოგიდო წუელი იგი თვალთ შენით და აჰა ეგერა დირ[მ] || AB ეგე თუალსა შინა შენსა გიც?
5. ორგულო აღმოიდე-და პირველად დირმ თუალისაგან შენისა და მაშინ იხილო აღმოდებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა.
6. [ნ]უ მიხცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუ დაუდებთ მარგალიტსა თქუნსა წინაშე ღორთა, რათა [და]თრგუნონ იგი ფერკითა მათითა და მოგეცენ და განგხეთქდენ თქუენ.
7. ითხოვდი და მოგეცეს თქუენ, ეიბდით და პპოთ, ირეკდით და განგელოს თქუენ.
8. რამეთუ ყოველი რომელი ითხოვს, მიიღის; || B და რომელი ეიბებს, პოვის; და რომელი ირეკს, განგელის.
9. იყოს-მე ვინ თქუენგანი კაცი, რომელი სითხოვდეს ძმ მისი პურსა, ქუაი ნუ მიხცესა მას?
10. ანუ თუ [სა] თევზსა სითხოვდეს, გუელი ნუ მიხცესა?
11. უკეთუ თქუენ უკეთურთა იცით ნიჭისა კეთილისა || AB მიცემაი შეიღთა მათ თქუენთა რაოდენად არა უფროს მამამან თქუენმან ზეცათამან მოგცეს კეთილი, რომელი სითხოვდეს მას.

ყ დ ხ კ ე ჯ ს ზ შ ე რ ლ ე მ მ კ პ ზ, სულ ცხრამეტი თანხმოვანი (მოკლე იქნებოდა თეორიულად კ, რომ ამ ბგერით ერთი ზმნა მაინც იწყებოდა), ხოლო დედის ბგერები დავარქვი იმ თანხმოვნებს, რომელთა წინ ზმნებს იმავე პრეფიქსებად ჰქვს მავერიად მისი ბგერინაცვალა ხანი აქვთ; ესენია: ტ და თ წ ძ ც ჳ ჯ ჩ, სულ ცხრა თანხმოვანი (სამი უკანასკნელის წინ ხანს ხანდახან შინი ენაცვლება). ამ სახელწოდებათა საფუძველი ის არის, რომ მამა სიტყვის თანხმოვანი (მ) პირველ ვჯვეს პოსუენის, ხოლო დედა სიტყვისა (დ) კი - მეორეს.

მოყვანილი ფორმების შედარებით ცხადი ხდება, რომ უძველესი ძეგლების ენასა და გიორგი მთაწმიდლის სამწერლო ენას შორის განსხვავებას უმთავრესად პრეფიქსული ხანები ქმნის: იქ, სადაც უძველეს ხელნაწერებში ხანია, გიორგი მთაწმიდლის ენაზე ან ჰაე არის (მამის ბგერების წინ), ან არა და სანი და შინი (დღესის ბგერების წინ), ან კიდევ სულ არაფერია (წმინდანების წინ). განსაკუთრებით დიდია ეს განსხვავება ხმოვნებისა და დღესის თანხმოვნების წინ. თავისი დროის სალიტერატურო ძეგლებზე სკოლაგავილი გიორგი მთაწმიდლის არ შეიძლება თვალში არ სცემოდა ძველი ტექსტების ხანები და ყურში უცნაურად და მეტად უწვეულოდ არ მოასმოდა გამოთქმა ხანიანი ფორმებისა, სადაც ხანი მისთვის, რა თქმა უნდა, ზედმეტი იყო. ზედმეტი იყო იგი არა თუ გიორგისა და მისი დროის ლიტერატორთათვის, არამედ უფრო ადრეც, მეცხრე და მეათე საუკუნეების მწერალთათვისაც, რომელთაც, ალბათ, საშინლად ეჩოთირებოდათ ხანიანი ფორმები. მართლაც, როგორც ვკინეზებს ენა სინარაიონის მამათა მოსრვისა, რომელიც გამოცემულია უძველესი ქართული თარიღიანი ხელნაწერის მიხედვით (სახელდობრ, სინას მთაზე დაცულის 864 წლის მრავალთავიდან), უკვე მეცხრე საუკუნეში ყოფილა უკუგდებული ხანის ხმარება პრეფიქსებად. და თუ ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნეში იყო უარყოფილი ხანიანი ფორმები სალიტერატურო ენაში სახმარებლად, მთ უმეტეს დასაწერი და უარსაყოფი უნდა ყოფილიყო იგი შეთერთმეტე საუკუნეში, გიორგი მთაწმიდლის მიღვაწის დროს. რაკი უძველესი ტექსტების ხან თავსართები ზედმეტი იყო მეცხრე-მეთექვსთერთმეტე საუკუნეების ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, რომლებზედაც აღზრდილი იყო გიორგი მთაწმიდელი, ამიტომ გასაგებია, რომ ამ გამიჯნილ მწერალს მათთვის სახელად ხანმეტი ეწოდებინა⁶. აი ეს არის ნამდვილი მნიშვნელობა ამ ტერმინისა, რომელიც ამდენ ხანს გაუგებარი იყო. ამიტომ, როდესაც გიორგი მთაწმიდელი თავის ანდერძში ამბობს: „ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნი და კითხლად — ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა“-ო, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ჩვენს სახარება პირველთგან წმიდად და კარგად არის თარგმნილი, ისინიც, რომელმაც შიცი ზედმეტი ხანები მოიპოვება, და ისინიც, რომლებიც საბაწმიდურები არიანო.

რომელია სახელდობრ გიორგი მთაწმიდლის მიერ მოხსენებული საბაწმიდელი იმ სახარებათა ცადლებში, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ გიორგის წინა დროინდელი ხანიდან, ამის თქმა ჯერჯერობით გადაჭრით არ შეიძლება, მაგრამ ის კი ცხადზე უცხადესია, რომ გიორგი მთაწმიდლის მიერ დასახელებული ოთხთავის ხანმეტ რედაქციად უნდა ვიგულისხმეთ უთუოდ პროფ. ი. ჯავახიშვილის მიერ პალიმფსესტებში აღმოჩენილი უძველესი ტექსტი სახარებისა, რომელსაც ხანის „ზედმეტი“ ხმარება ახასიათებს პრეფიქსების სახით.

მაშასადამე, გიორგი მთაწმიდლის სახარების ანდერძში ჩვენ მოგვეპოვება ძვირფასი ცნობა უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლების შესახებ და მათი ენის ხსარტული დახასიათება.

II. პეუმეტობა ადიშის სახარებაში

უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენამ მრავალი საკითხი წამოაყენა და ერთბაშად წასწია წინ ჩვენი ისტორიისა, ლიტერატურისა, ენისა და პალეოგრაფიის შესწავლის საქმე. ნამთხველილი სამეცნიერო დარგების მუშაკთა შორის ამ ამბავმა გამოიწვია ცხოველი აზრთა გაცეკლა-გამოცეკლა და ზოგიერთ ძველ დებულებათა და შეხედულებათა საფუძვლიანი გადასინჯვა. მართალი იყო ჩემი კორესპონდენტი, რომელიც რუსეთში მყოფი მწერდა, რომ ქართულ ფილოლოგიაში რევოლუცია ხდებაო.

ამ რევოლუციის ერთი ეტაპათგანია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუხეუმის ერთი პალიმფსესტის ამოტიცევა (ხელნაწერი № 1329), რომელიც გან-

⁶ მისაღება პროფ. ჯავახიშვილის მიერ ამ მოხსენების წაკითხვის შემდეგ გამოთული ხელბაისის დროს გამოთქმული მოსაზრება, რომ ხანმეტი, როგორც ტერმინი, ალბათ გიორგი მთაწმიდელზე ადრეც უნდა ყოფილიყო ხმარებული უძველესი ქართული ტექსტების აღსანიშნავად.

საკუთრებით ძვირფასია და საყურადღებო იმიტომ, რომ იგი ჯერჯერობით თითქმის განმართლებით დგას ენის ფორმების მხრით.

აღნიშნული პალიმფსესტი ჯერ ქიმიურად დამუშავებული და ძველი ტექსტი გაცხოველებული არ არის, მაგრამ ისე ამოკითხული რამდენიმე ადგილი მაინც საკმაო საბუთს გვაძლევს, ვაეთვალისწინოთ მისი დიდი მნიშვნელობა და ჯერონად დაეფასოთ იგი. ამ ძეგლის ენაზე დაწერილებით ახლო მომავალში შექნება საუბარი. ესლა კი ორიოდ სიტყვით მოვეჭრი: როგორც ჩანს, ძველი ტექსტი, დაახლოვებით მერვე საუკუნისა, წარმოადგენს ნაწყვეტებს „იერუსალიმის განჩინებისა და განწესების“ წიგნიდან, რომელშიც მოყვანილი ყოფილა საკითხავები სახარებიდან. ენა ამ ძეგლისა იმით არის საყურადღებო, რომ შიგ მერვე სუბიექტურისა და შესამე პირის ობიექტური პრეფიქსის გამოსახატავად იხმარება არა ხანი, არამედ ჰაე, რომელიც (ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად) ხმოვნების წინაც კი შენახულია: პიცოდუე, მიპუგო, პუბრძანა, დაპუტევა, პონდა, დაძთესი, ვი. იხმარება ისეთი ფორმები, რომელთა მიხედვით შეიძლება ამ ძეგლის ენას (და აგრეთვე მსგავსი მოვლენით დახასიათებულ სხვა ძეგლების ენასაც, თუ კი ასეთები აღმოჩნდება) ჰაემეტი ვუწოდოთ, გიორგი მთაწმიდლის ხანმეტის ანალოგიით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჰაემეტ ძეგლებშიც ინიან ენებითში ჰაე გეხვდება იმგვარადვე, როგორც ხანმეტ ტექსტებში ხანი: პიყო || ხიყო.

უნდა აღინიშნოს ერთი საყურადღებო გარემოება: აღნიშნული პალიმფსესტის ენას რამდენადმე მხარს უჭერს ადიშის სახარებაც, რომელიც, როგორც საბოლოოდ გამოარკვია პროფ. კაკეკელიძემ, გადაწერილია მეცხრე საუკუნის დასასრულს, ვინაიდან მის თარიღებში არავითარი წინააღმდეგობა არ არის, - ხამივენი (სოფლის დასაბამითგან, ქრისტესით და ქართული ქრონიკონით) ერთურთს უდგებიან და ყველანი 897 წელს გვაძლევენ⁷. ეს 897 წელს შატბერდში გადაწერილი და ადიშში დაცული სახარება⁸, როგორც ესლა ირკვევა, გადაწერილი ყოფილა ჰაემეტი დედნიდან, რადგანაც გადამწერელს რამდენიმე შემთხვევაში უნებურად ჰაე გაჰპარვია ხმოვნების წინ⁹; ეს დარჩენილი კვადი ჰაეს „ხედმეტად“ ხმარებისა ბევრ რასმე ამჟღავნებს. მცირეა ამ შემთხვევათა რიცხვი, მაგრამ დიდია მათი მნიშვნელობა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ეტაპებისა და ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხების გამორკვევისათვის.

7 კ. კაკეკელიძე, როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება, ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, II.
8 სოფელია სენეთში (ხვანურად პადში თქმის).
9 ხაკველა, რომ დედანი კი არა, არამედ თვით გადამწერი ყოფილიყოს ჰაემეტი კილოს წარმომადგენელი.

სალიტერატურო ენის ხალხურობისათვის¹

I.

სალიტერატურო ენა ხალხის განვითარებული კულტურის ნაყოფია. იგი კულტურის მაღალ საფეხურზე ჩნდება, — და მით უფრო ძველ კულტურას ამჟღავნებს ხალხი, რაც უფრო ადრე მაღალა მან ამ საფეხურს.

სალიტერატურო ენა კულტურის მაღალ საფეხურზე ჩნდება და განენისთანავე თვითონ იქცევა კულტურის შემდგომი განვითარების მძლავრ ბერკეტად.

სალიტერატურო ენა ესაა მხატვრულ, პუბლიცისტურ, მეცნიერულ ნაწარმოებთა ენა, — ენა, რომელიც ხელს უწყობს მონათესავე ტომების ჩამოყალიბებას ხალხად, ხალხის ჩამოყალიბებას ენად. თანახმად მარქსისტული მოძღვრებისა, ენის ერთობა — ტერიტორიისა, ეკონომიკური ცხოვრებისა და ფსიქიკური წყობის ერთობასთან ერთად — ერის განმსაზღვრელი ნიშანია.

სალიტერატურო ენის სიცოცხლისუნარიანობა ხალხთან მჭიდრო კავშირით განისაზღვრება. მისი განვითარება წარმოუდგენელია ხალხის ცოცხალ მეტყველებასთან სისხლბორცვეული კავშირის გარეშე. სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების გარეშე ურთიერთდამოკიდებულება სხარტად დაახასიათა მაქსიმ გორკიმ: „ენას ქმნის ხალხი. ენის დაყოფა ლიტერატურულად და ხალხურად მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ გვაქვს, ასე ვთქვათ, „ნედლი“ ენა და ოსტატებისაგან დამუშავებული ენა“.

სალიტერატურო ენა ხალხურია თავისი წარმოშობითაც, აკებულებითაც, განვითარების კანონებითაც.

მაშინადაც, სალიტერატურო ენის განვითარებისა და სრულყოფისათვის ბრძოლა არსებობდა ნიშნავს ბრძოლას ენის ხალხურობისათვის. ამ ბრძოლის უდიდესი მნიშვნელობა საყოველთაოდ ნათელი და უდავოა.

როგორც ცნობილია, სალიტერატურო ენას ჩამოყალიბების პროცესში საფუძვლად ედება რომელიმე დიალექტი. ჩვეულებრივ, ესაა იმ კუთხის მეტყველება, რომელიც წამყვან როლს ასრულებს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. შემდგომში სალიტერატურო ენა თანდათანობით მდიდრდება, იკვება სხვა დიალექტების მონაცემებით და ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ერთად ჩამოყალიბების პროცესში საერთო-სახალხო, ერთნაირ ენად იქცევა. ასე, მაგალითად, რუსულ ეროვნულ ენას საფუძვლად დაედო მოსკოვური დიალექტი, უკრაინულს — პოლტავა-კიევის დიალექტი, ფრანგულს — იღ დე ფრანსისა, იტალიურს — ტოსკანისა, სომხურს — ერევნისა და ა. შ. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის საფუძველს ქართლ-კახური ცოცხალი მეტყველება წარმოადგენს. მსგავსადვე არიან წარმოქმნილი სხვა სალიტერატურო ენები. ყოველ მათგანს საბრძოლველად ხალხის ცოცხალი მეტყველება უდევს.

სალიტერატურო ენის ბგერობლივი შემადგენლობა, დექსიკა, მორფოლოგიური და სინტაქსური ელემენტები და მათი ურთიერთშეფარდება, — ერთი სიტყვით, ენის აკებულების ყოველი მხარე აგრეთვე ცოცხალ მეტყველებას ემყარება.

სალიტერატურო ენა ხალხურია თავისი განვითარების კანონების მიხედვითაც. იგი განუწყვეტლივ მდიდრდება და ვითარდება მხოლოდ სახალხო ენასთან მჭიდრო კავშირში. საკმარისია ეს კავშირი შესუსტდეს, — და სალიტერატურო ენაც დაქვევდება გზას დაადგება, ხოლო თუ ეს კავშირი გაწყდება, მაშინ სალიტერატურო ენის დაღუპვა გარდუვალია: იგი ვეღარ განვითარდება, გაიყინება და მოკვდება. ცნობილია, რომ ასე მოუვიდა, მაგალითად, ლათინურს, რომლის ენობრივ ნორმათა მკაცრმა სტაბილიზებამ გზა გადაუკეტა ცოცხალი მეტყველების ნაკადს. ხალხის სახალხო ენაში მომხდარი ცვლილებები სალიტერატურო ენამ ვეღარ ახახა და ამრთავდ იგი თანდათანობით დაშორდა ცოცხალ მეტყველებას, აბრეშუმის

¹ ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1956.

ჭიასავით გამოემწყვედა ერთხელვე შემუშავებულ ნორმათა გარსში და დაიღუპა, ხოლო მისი დიპლემტები განვითარდნენ და შემდგომში საფუძვლად დაედნენ ახალ სალიტერატურო ენებს: იტალიურს, ფრანგულს, ესპანურს, პორტუგალიურს...

ზოგჯერ, როცა ესა თუ ის სალიტერატურო ენა თანდათანობით დაშორება ცოცხალ მეტყველებას, საკვირთა გამხდარა მნიშვნელოვან ცვლილებათა მოხდენა, ერთგვარი რეფორმა ხალხის სახაზურო ენასთან დასახაზოვებლად. ჩვეულებრივ, ასეთი ამოცანის შესრულება უხდებოდათ ხოლმე დიდ მწერლებს, რომელთა თხზულებები გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ სალიტერატურო ენის განვითარებაში. ამის ნიმუშია, მაგალითად, „ვისრამაინის“ ქართული თარგმანი და „ვეფხისტყაოსანი“, რომელთა ენა საფუძვლიანად განსხვავდება ადრინდელი ლიტერატურული ძეგლების ენისაგან და დასაბამს უდებს ახალ ეტაპს ქართული ენის ისტორიაში. ასეთივე როლი შეასრულეს გახულ საუკუნეში ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის ნაწერებმა. მათ გარდაღვიეს ანტონ კათალიკოსის „სამი სტილის“ თეორიის ჯებორები და გუა გაუსხსნეს ციოტხალი მეტყველების მძლავრ ნაკადს სალიტერატურო ენაში.

სამი სტილის თეორიას, რომელიც ანტონ კათალიკოსმა დანერგა ქართულში, ანტიკური ხანის ბერძნულსა და რომაულ რიტორიკებში ჰქონდა ფესვები. ამ თეორიის მიხედვით, მხოლოდ ჩვეულებრივი, საყოველთაოვრებო აზრების შესახებ შეიძლება მარტივად და გასაგებად წერა ან საუბარი, ხოლო რაც უფრო „მაღალ მეტყველებს“ შეეხებოდა მსჯელობა, მით უფრო მაღალფარდოვანი და აღზევებული უნდა ყოფილიყო სტილიც. „რიტორიკის ნორმები – სამი სტილის თეორია – პრინციპში უარყოფდა ერთი სალიტერატურო ენის საკმარისობას: ერთი სალიტერატურო ქართულის ნაცვლად უნდა შეექმნათ სამი სახის წიგნური მეტყველება – სამი სტილის ქართული“².

თუმცა ქართველი საზოგადოების ნაწილი თავიდანვე უარყოფითად შეხვდა ენის ასეთ ხელოვნურ დაყოფას, მაგრამ ამ თეორიამ მაინც შეძლო მაგარად მოეკიდებინა ფეხი და სერიოზული ზიანიც მიყენა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას. „ანტონ პირველმა დააკანონა მაღალი სტილისათვის ძველი ქართულის თავისებური სუროვატი, – ენა დღვარ-ჭნილი, რთულ წინადადებათა მოტრფიადე, მიმელობებით მდიდარი, ზმნებით ღარიბი, გასაგებად ძნელი“³. მაგრამ საბოლოოდ ანტონისა და მისი სკოლის უმართებულო ექსპერიმენტმა მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ ხელოვნური ენა ვერ გამოდგება აზროვნების იარაღად და ურთიერთობის საშუალებად, იგი მნიშვნელოვნად აბრკოლებს ხალხის კულტურულ წინსვლას.

ერთიანი, ყველასათვის გასაგები სალიტერატურო ენის საჭიროება განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ქართველი ხალხის ვრად ჩამოყალიბების პროცესში. სწორედ ამ პერიოდში თავი იჩინა სამი სტილის თეორიის გადასინჯვის ტენდენციებმა, ხოლო ეს თეორია საბოლოოდ გააცამტვერა ილია ჭავჭავაძემ. იმათ საპასუხოდ, ვინც ამტკიცებდა, რომ „წერა არის სამგვარი: მაღალი, საშუალო და მდაბალი“, ილია წერდა: „შემიტყვიან კი, რომ ძველს რიტორიკებში მაგრიფად ჰყოფდნენ ენასა, რომელიცა ერთი უნდა იყოს ლიტერატურაში და არა სამგვარი. ვინცერთი და ჭკეის ხელსაღები საფუძველი მიწვენენ, რომ დავიჯვრო ვერეთი განყოფა მისი, რაც ბუნებით განუყოფელია. ჩვენ მარტო ეს ვიცით ძალიან კარგად, რომ ლიტერატურას შეჰყავს წარმატებაში ენა, ესეც კარგად ვიცით, რომ ლიტერატურის განზრახვაც ის არის, რომ ერთგვარი ენა შესდგეს და არა მრავალსტილიანი. უწინ რომ შეყოფდნენ მაგრიფად, იმ საფუძვლიანა შეყოფდნენ, რომ არიანო ქვეყნად სამგვარნი საგანნი: მაღალი, საშუალო და მდაბალი, რომელთა გამოსახატავად უნდა იყოს კიდევცო სამგვარი ენა; მაღალ საგნისთვის – მაღალი, საშუალო საგნისთვის – საშუალო და მდაბლისთვის – მდაბალი. აბა ყელა ერთი მიბრძანეთ, არიან ქვეყნიერობაზედ ევ სამგვარნი საგანნი? ვანა ყოველი საგანი თვის კვადლობაზედ არ არის მაღალი, მაღალ დეკაბერიობის სიბრძნის გამოითქმელი? ყოველი საგანი ერთი დალია თვის კვადლობაზე. მაშასადამე, ყოველი საგანი ღირსია ერთნაირად გამოთქმისა. ევ სამგვარად განყოფა ენისა ძველი უსაფუძვლობაა, და გთხოვთ ნულარ გააღვიძებთ კანონს,

² არნ. ჩიქინაძე, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1, 1950, გვ. 021.
³ იქვე, გვ. 021.

რომელიც დიდი ხანია რაც დაიმარხა და რომელიც, ვიდრე იყო თვის მოქმედებაში, რკინის საღებავით ავიწროვებდა კაცის მენტეველობასა და აზრს⁴.

ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოქალაქეებმა არა მარტო თეორიულად, არამედ, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკულად უარყვეს ძველი სქოლასტიკური ნორმები. მათ თავის უფლებებში აღადგინეს ხალხის ცოცხალი მეტყველება და კვლავ საფუძვლად დაუდვეს იგი სალიტერატურო ენას.

„ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანით თეორეტიკალი“, – ასე ჩამოაყალიბა ილიამ ენის ხალხურობის პრინციპი. სალიტერატურო ენა, ამ პრინციპის თანახმად, ხალხის სასაუბრო ენას უნდა ემყარებოდეს, თუ სურს პქონდეს წინსვლისა და განვითარების შესაძლებლობა.

ხალხის სასაუბრო ენაზე დამყარება, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, თითქოს სალიტერატურო ენა პირდაპირ და მთლიანად მიჰყვება მას. ა. პუშკინი წერდა: „შეიძლება თუ არა, რომ სამწერლო ენა სავსებით ჰგავდეს სასაუბროს? არა, ისევე, როგორც არ შეიძლება სასაუბრო ენა სავსებით ჰგავდეს სამწერლოს... სამწერლო ენა ყოველ წუთს მდიდრდება საუბარში დაბადებული გამოთქმებით, მაგრამ მან საუკუნეთა განმავლობაში შექმნილზედც არ უნდა ადლოს ხელი. მხოლოდ და მხოლოდ სასაუბრო ენით წერა ენის უკოდინარობის ნიშანია“⁵.

სასაუბრო ენა ძალდაუტანებლად ვითარდება თავისი შინაგანი კანონების მიხედვით, სალიტერატურო ენა კი ნორმირებულია, მას ფიზიკური მეთვალყურე ჰყავს. ხევაიანად შეუძლებელიცაა, რადგან ხალხის ცოცხალი მეტყველება მრავალფეროვანია, დიალექტები ყოველ ენაში რამდენიმეა, სალიტერატურო ენა კი ერთია და მან მეტყველების სტიქიადან უნდა უკუაგდოს შემთხვევითი და ფონეტიკურად დამახინჯებული ფორმები, უნდა შეითვისოს მხოლოდ მგარი, ფართოდ გავრცელებული და ენის ბუნების შესაფერისი მოვლენები და ფორმები. ამ შერჩევის დროსაც გადაამწყვეტი კრიტერიუმში ხალხურობის პრინციპია: მთელი ხალხის სასაუბრო ენის ხათვის საერთო მოვლენები შეუძლებელია არ მიიღოს და არ ახახოს სალიტერატურო ენაში.

მართალია, არ შეიძლება შევადაროთ ეს დებულება და ვთქვათ, რომ სალიტერატურო ენისათვის მისაღები არაა არაფერი, რაც საერთო არ არის მიუღი ხალხის სასაუბრო მეტყველებისათვის, პირიქით, – სალიტერატურო ენა ხშირად ითვისებს ისეთ ფორმებსაც, რომლებიც მხოლოდ ცალკეულ დიალექტებში გვხვდება, მაგრამ ხალხურობის პრინციპი ამით მაინც არ ირღვევა, რადგან ამგვარი ფორმები შესაბამებიან ენის განვითარების შინაგანი კანონებს და პრინციპურად შეიცავენ საერთო ენაში დამკვიდრების შესაძლებლობას.

როგორც ცნობილია, ენა ვითარდება მისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით. ცხადია, რომ ენის განვითარების ეს შინაგანი კანონები ობიექტური ხასიათისაა. ენა საზოგადოებრივი მოვლენაა და სავსებით აშკარაა, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ თავიანთი ნებასურვილისამებრ შეცვალონ ენის განვითარების კანონები. მაგრამ ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ მეცნიერების კანონები, შეიცნონ ისინი. ენის განვითარების შინაგანი კანონების შესწავლა წარმოადგენს სწორედ ენათმეცნიერების მთავარ ამოცანას. ამ კანონების აღმოჩენითა და შესწავლით შეუძლია ენათმეცნიერებას ხელი შეუწყოს სალიტერატურო ენის განვითარებას⁶.

მიჰყვება რა განვითარების შინაგანი კანონებს, რომლებიც ცოცხალ მეტყველებაში მუდამ ნდებია, სალიტერატურო ენა აუშჯობესებს თავის გამომსახველობითს საშუალებებს და ამ

⁴ ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, III, 1953, გვ. 446-447.

⁵ А. С. Пушкин, Полное собрание сочинений, XII, 1937, стр. 96.

⁶ მდარია მოსაზრება, თითქოს წერით მეტყველებას საკუთარი – ზეპირი მეტყველებისაგან განსხვავებულობა – განვითარების შინაგანი კანონები გააჩნდეს (იხ. ი. მეგრელიძის წერილი: შინაგანი სასკოლო მეტყველებაზე, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, №50(451), 12 დეკემბერი 1952 წ.). არავის შეუძლია დაახახვლოს თუნდაც ერთი საკეიფიკური, განვითარების შინაგანი კანონი, რომელიც საკუთრივ წერით მეტყველებას ახასიათებდეს. ოთოზოგოფიისა და პუნქტუაციის წესები არასეხით არ შეიძლება გაკუთანაბროთ ენის განვითარების შინაგანი კანონებს, რადგან არ შეიძლება ერთმანეთში აფუროთ მეცნიერების კანონები, რომლებიც იქმნება ადამიანთა ნებით და რომელთაც მხოლოდ იურიდიული ძალა აქვთ.

გზით ინარჩუნებს ხალხურ ბუნებას.

ამრიგად, ხალხურობა წარმოადგენს სალიტერატურო ენის არსებობისა და განვითარების საფუძველს, მის ძირითად პრინციპს. ენის ხალხურობის მოთხოვნა იმას ნიშნავს, რომ სალიტერატურო ენაში უნდა მისდოს სასაუბრო ენის განვითარებას, უნდა შეითვისოს ხალხის მეტყველებითი კულტურის მიღწევები, უნდა გამოავლინოს ის საუკეთესო თვისებები, რაც ცოცხალ მეტყველებას მოეპოვება აზრის უფრო ზუსტად, სწორად და ემოციურად გამოსათქმევლად.

სალიტერატურო ენა უნდა იყოს მოქნილი, ლაღი და ზუსტი. მან უნდა დაატკონს მკითხველი თუ მსმენელი აზრის სიგზადით და ფრახის კეთილზომანებით, თორემ, რა თქმა უნდა, ყოველგვარი „სიღამაზის გრძობას“ დაუკარგავს კაცს ასეთი „თვალტანადობის“ წინადადება: „ამიერიდან დაე თქვენმა ლაპარაკმა ურთიერთშორის აღზარდოს ბავშვებში სიღამაზის გრძობა“.

„რა კარგია განთიადი დილით!“ წერს ერთი ახალგაზრდა პოეტი. ეს სტრიქონი მოგვაგონებს მეორე ლექსს, რომელსაც ერთ ხანს ბაიათის პანჯზე მღეროდნენ და ასე იწყებოდა: „მწყემსსა დედა ადგიებდა განთიადის ალიონზე...“ სხვა ლექსში, რომელიც რუსულიდან არის თარგმნილი, კეთილზომობა: „ტოლებთან ერთად აისრულებ ნანატრ საწადელს“.

ეს არის პირდაპირ ანექლოტური მაგალითები, რომლებსაც ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში უპოვიათ ადგილი (ზუსტი მისამართის დასახელება ამ შემთხვევაში საჭიროდ არ მიგვაჩნია).

„ხედავთ იმის მტკიცება, თუ რამოდენა უაზრობაა ასეთ ფრახებში: „ნანატრი საწადელი“, „განთიადის ალიონი“, „განთიადი დილით“... მაგრამ ამ სახის დამახინჯებანი არ წარმოადგენენ დიდ საფრთხეს სალიტერატურო ენისათვის, რადგან ყოველი ქართულის მცოდნე ადვილად შეამჩნევს მათ უაზრობას და სასაცილოდ აივლებს იმთ, ვინც ასე წერს. თუ ჩვენ მაინც მივაქცივთ ყურადღება ასეთ მაგალითებს, ეს სწორედ იმიტომ, რომ მათში კარგად ჩანს, სადამდე მიდის ზოგჯერ უყურადღებობა, უსულკულო დამოკიდებულება მშობლიური ენისადმი. ამგვარი დამოკიდებულების შედეგი კი ყოველთვის ასე აშკარა როდია და სწორედ მაშინ მოაქვს მას განსაკუთრებულად ხიანი, რადგან უყარვის ფორმა მით უფრო იოლად იკედებს ფეხს, რაც უფრო ძნელი შესამჩნევია მისი უსწორობა.

ძნელია, მაგალითად, ვედავით ასეთი ფრახის აეტორს: „ქუჩაზე პატარა ბიჭი დგას“. ქართულის კარგად მცოდნე ყოველი კაცი იტყვის, რომ უნდა იყოს „ქუჩაში დგას“ და არა „ქუჩაზე დგას“, მაგრამ რატომ, — ეს უკვე, ცოტა არ იყოს, ძნელი დასამტკიცებელია. საამისოდ საჭიროა გავითვალისწინოთ ის ნიუანსი, რაც განასხვავებს დამოთქმებს „გზაზე დგას“ და „გზაში დგას“ (ვთქვათ: „გვაფი გამოსწორების გზაზე დგას“, მაგრამ — „გვაფი გზაში დგას და მრიაშს ესუბრება“).

ანდა, ავიღოთ ასეთი ფრახა: „შარვალი აიკვცა და მდინარის განაკადი გადაიარა“. თითქოს ყოველი სიტყვა სწორადაა ნახმარი და რაიმე ენობრივ დამახინჯებას ადგილი არ აქვს, მაგრამ ხალხის მეტყველების ღრმად მცოდნე პირი „შარვალი აიკვცაო“, ამის მაგიერ იტყობა: „აიკარწახა“, „მდინარის განაკადის“ ნაცვლად იხმარდა „ტოტო“ ან „ფშანს“, „გადაიარას“ ასე უცვლიდა: „გასტოტა“. რამდენად უფრო მეტ ემოციურ ძალას შეიძინდა მაშინ ფრახა, რამდენად უფრო მოკვეთილი და შთაბეჭდავი გახდებოდა იგი! ამგვარ დეტალებში გარკვევა მოითხოვს სწორედ ცოცხალ სასაუბრო ენაზე სისტემატურ დაკვირვებას, ხალხის სამეტყველო კულტურის მიღწევათა ღრმად ცოდნას. ამგვარი დეტალებისა და ნიუანსების ცოდნა ივულისხმება, უპირველეს ყოვლისა, როდესაც ვლაპარაკობთ სალიტერატურო ენის ხალხურობის შესახებ.

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები არა ერთხელ მიუთითებდნენ, თუ რა ამოურწყავ საუნჯეს წარმოადგენს ხალხის მეტყველება. ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებლებმა ილიამ, აკაკიმ, იაკობ გოგებაშვილმა, ევა-ფშაველამ და სხვა გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა დაამკვიდრეს სალიტერატურო ენაში მრავალი სიტყვა და ფორმა, რომლებიც მათ ხალხში პქონდათ გაგონილი. მათი განსაკუთრებული მზრუნველობა რომ არა, ვინ იცის, რამდენი კარგი და საჭირო სიტყვა დააკლავებოდა ჩვენს ენას. ამგვარივე ზრუნვა და ხალხის მეტყველების ყურისხელება მართებთ აშკამადაც ჩვენს მწერლებს, პრესის მუშა

ეებს, ლიტერატორებს. რასაკვირველია, ჩვენ გვეყავს არა ერთი და ორი ისეთი მწერალი, რომლის ენაც გეხიბლავს ხალხური სურნელებით, მდიდარი გამომსახველობითი საშუალებებით. სიტყვის ცნობილ ოსტატთა გამოცდილებით შესწავლა და განზოგადება მრავალმხრივ სახარვედლო და საჭირო საქმეა. თანამედროვე ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა ნაწერებზე დაკვირვების გზით შეიძლება გავითვალისწინოთ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციები.

მაგრამ ვიდრე კონკრეტული ენობრივი მოვლენების განხილვაზე გადავიდოდეთ, ბუნებრივად დგება საკითხი: რა მიმართება არსებობს სალიტერატურო ენასა და მხატვრული ლიტერატურის ენას შორის? ეს ორი სხვადასხვა ცნებაა და მათი გაიგივება არ შეიძლება. მხატვრული ლიტერატურის ენა შედარებით ფართოა და ისეთ ენობრივ ერთეულებსაც მოიცავს, რომლებიც სალიტერატურო ენის ფარგლებს გარეთ მდებარეობენ (მაგალითად, - დიდიექტიზმები, არქაიზმები, ბარბარიზმები...). უფრო მეტიც, მხატვრული ნაწარმოების ენაში შეიძლება შეგვხვდეს ენის აშკარა დამახინჯების ფაქტებიც.

გაეხსენოთ, მაგალითად, მოსე გქელაძის ბარათი, მიწერილი ლუარსაბ თათქარიძესთან:

„ჩემო აღმატებულ ბედნიერო გვაროვანო სიძეთა თქმაც დიდად უღნიერო ვარ რომელიცა რომა შენგანა ვარ დღეს მოხუცებული ბედნიერი და გული ჩემი სიხარულით ადავსე ნეტართა სიძობითა თქვენითა და თვალი ჩემი აახილე რომელიცა რომა დანახა ისევე გაზაფხული მუხთაღისა სოფლისა ამისა ფრიად სიხარულში ვარ რომელიცა ესედა ვარ ჩემო აღმატებულო გვაროვანო სიძეთ რომელიცა ვითხოვ გამოგზავნო ნიშანი რომა საქმემ არ დაიგვიანოს დიდი ხალხი არ გამოგზავნო რომელიცა რომა მე მოხუცებული კაცი ავადა ვარ სნეული და პატივი და მასხლათი და ქვიფი რომელიცა აწ მე აღარ ძალიძის რომელიცა ფრიად შეაწუხებენ ქორწილში რომელიც თვეკ იქნებთ ჩემს სახლში მასპინძელი დიად დიდი ხალხი მოვიწვიოთ თქვენიცა დიდი და პატიოსანი ნათესავნი გავიხს რომელიცა არც მე ვარ უნათესაო და ბლომად შევევართ ისე როგორათაც შეფუფრის დიდებულს გვაროვნობასა თქვენსა და ჩემსა ოჯახს სახლკარიანობასა ჩემსა...“

სხვებრ ბრანდებოვდეთ ბედნიერებით იესო ძე ლეთის მიერ ვითხოვ თქვენს ბედნიერებას რომელიცა რომა მსურს ნახვა თქვენი.

თქვენი სიმაპრი ბრწინავალე თავადი მოსე ნოშრევანისძე გქელაძე.“

ეს არის მართლაც ბრწინავალე ნიმუში „ბრწინავალე თავადის“ სტილისა! აქ გამომუდგენულია წერილის ავტორის მიუღი გონებრივი ავლადიდება, მიუღი ცოდნა და განათლება, ნაწილენება უკიდურესი სიღარიბე აზრისა და უმწველბა სიტყვისა. მაგრამ ყოველივე ეს გაქრებოდა, მწერალს რომ ლიტერატურული ნორმების მიხედვით გაემართა ეს წერილი, ან თავისი სიტყვებით გადმოეცა მისი შინაგანი.

ამრიგად, მწერლის განზრახვასა და გამოყენებულ მხატვრულ-ენობრივ საშუალებებს შორის ამ შემთხვევაში უსუსტი შესაბამისობა არსებობს. ენის დამახინჯება აქ ოსტატურად გამიზნული ხერხია და იგი მკითხველს სრულიადაც არ ეხამუშება, პირიქით - სათანადო ეფექტს მოაგვრდ ამ გზით იქნება.

შევადართ განხილულ მაგალითს არსენას წერილი ინგლისში თავის დედაშვილთან (შ. ჯავახიშვილის რომანიდან „არსენა მარაბდელი“). აქ უკვე რა თქმა უნდა, ენობრივი შეცდომების წინ წამოწვევა სწორი არ იქნებოდა და მწერალმაც არსენას განათლების დონე მის წრილში უშთავრესად სტილიზებული საშუალებებით გეიჩვენა. მაგრამ არსენა მინც ცხოვრების სიბრძნით სავსე გლენხია და, რომანის მიხედვით, განათლებულ წრეებშიც ტრიალებს. ამიტომ უზოგუბი იქნება შესადარებლად უფრო მკაფიო მაგალითს მიემართოთ: ჩეხოვის ერთ-ერთი მოთხრობის გმირი პატარა ვანკა უკუკოვი წერილს სწერს ბაბუას. მან მისამართის დაწერაც კი არ იცის და კონკრეტულ აწერს: „სოფელში ბაბუას“. რასაკვირველია, ასეთ განუთლებულ და მცირეწლოვან გლენხის ბიჭს სინამდვილეში შეიძლება არანაკლებ მძიმე ენობრივი შეცდომები დაეშვა, ვიდრე „ბრწინავალე თავადს“ მოსე გქელაძეს. მაგრამ რამდენად გამართლებული იქნებოდა ამ შეცდომების უსუსტად დაცვა მხატვრული თვალსაზრისით?

მწერლის მიზანი იყო ქვენებინა პატარა შეგირდის უმწველ ბედი, ადგობა სიბრალული მისჯამი. მის წერილში შეცდომებზე ყურადღების გამახვილება კი დაარდევდა ავტორის ჩანოჟიქს და სულ სხვა შედეგს გამოიწვევდა, - სიბრალულის მაგიერ დიმილს მოპოვებდა მკითხველს. დიდი მწერალი, რასაკვირველია, შესანიშნავად გრძობდა ამას და ამიტომ ენობ-

რთვი შეცდომები მხოლოდ გაკერით, აქა-იქ გამოიყენა წერილის რეალისტური ხახის შესანარჩუნებლად.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მხატვრულ ნაწარმოებში ამა თუ იმ ენობრივი ფაქტის შეფასებისას მთავარია, თუ რა ფუნქცია აქვს მას, რა მიზნით არის ნახშირი და რამდენად შეესატყვისება ამ მიზანს. ამიტომ მხატვრული ლიტერატურის ენას თავისუფლად შეუძლია მიმართოს არალიტერატურულ ენობრივ მასალას იქ, სადაც ეს გამართლებულია მწერლის შინაფიქრით, ნაწარმოების კომპოზიციურ-ჟანრობრივი თავისებურებებით თუ გმირის ხასიათით.

ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, არ არსებობს ისეთი ენობრივი ელემენტი, ლიტერატურული იქნება ის თუ არალიტერატურული, რომლის გამოყენებაც მხატვრულ ნაწარმოებში შეუძლებელი იყოს, თუკი ამას შემთხვევა მოიტანს.

მაგრამ სინამდვილეში მხატვრული ლიტერატურის ენა ძირითადად მაინც სალიტერატურო ენის ფარგლებში რჩება და არალიტერატურულ ელემენტთა ხედვითი წონა შედარებით მცირეა. ეს იმით, რომ ნაწარმოებში ნახშირი ყოველი ენობრივი საშუალება, როგორც აღვნიშნეთ, გამართლებული უნდა იყოს გარკვეული მხატვრული ფუნქციით, არალიტერატურულ ელემენტთა ამგვარი ფუნქცია კი შეიძლება გამომჟღავნდეს მხოლოდ ლიტერატურული ენის ფონზე. განმასხვდრეველი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, რომ ნაწარმოები გასაგები უნდა იყოს ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

„იქ, სადაც ეს გამართლებულია მწერლის იდეური შინაფიქრითა და ნაწარმოების კომპოზიციით, მხატვრული ლიტერატურის ენას უფრო თავისუფლად, ვიდრე საერთო-სახალხო, საერთო-ეროვნულ ენას, შეუძლია მიმართოს ძველებური ძველებების საარქივო ფონდს, კუთხური კიდობებს, ლიტერატურული ძველების ენას, მაგრამ მას არ შეუძლია მნიშვნელოვნად გადაუხვიოს საერთო-სახალხო ენის სტრუქტურას, მის საფუძველს, მის გრამატიკულ წყობას და ძირითად ლექსიკურ ფონდს, უამისოდ იგი აღარ იქნება საყოველთაოდ გასაგები. უფრო გაბეჭდილად და მნიშვნელოვნად გადახვევა საერთო-ეროვნული ენის რომელიმე მწერალს შეუძლია მხოლოდ ლექსიკური შეზღუდვების სფეროში“⁷.

როგორც ვხედავთ, ენის ფუნქციები მხატვრულ ნაწარმოებში ფართოვდება და რთულდება. ეს სირთულე გამოწვეულია იმით, რომ ენა, რასაკვირველია, მხატვრულ ნაწარმოებშიაც ინარჩუნებს თავის ძირითად დანიშნულებას – იყოს გაგებინების საშუალება, გამოხატოს აზრი, მაგრამ ამავე დროს მხატვრულ ნაწარმოებში განსაკუთრებით დიდია ენის ესთეტიკური როლი, ექსპრესიული ფუნქცია.

მეტყველებას საერთოდ ახასიათებს ექსპრესიულობა, რამდენადაც სიტყვებს საგნობრივ-ლოგიკურ მნიშვნელობასთან ერთად აქვთ აგრეთვე გარკვეული ემოციური იერი, მაგრამ ეს იერი არსად არ ჩანს ისე მკაფიოდ და არ ასრულებს ისეთ მნიშვნელოვან როლს, როგორც მხატვრულ ნაწარმოებში.

თავიანთი ემოციური იერის მიხედვით სიტყვები ქმნიან გარკვეულ სინონიმურ მწკრივებს, სტილისტიკურ შრეებს. მათი უმრავლესობა სალიტერატურო ენის ფარგლებში ექცევა, მაგრამ ზოგი სტილისტიკური ერთეული კი იმ ფარგლებს სცილდება.

სტილისტიკის საკითხებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ განასხვავებენ სუბიექტურ სტილსა და ობიექტურს. „ობიექტური სტილი სტილისტიკური მინიმუმის ფარგლებს არ სცილდება... ობიექტური სტილის სორმათა ფარგლებში სუბიექტური სტილი საშარაგებს იმ ამოურწყავე შესაძლებლობებს, რომლის საფუძველიცაა გადმოსაცემი შინაარსისადმი მეტყველის დამოკიდებულება, გადმოსაცემი შინაარსის სხვადასხვა თვალსაზრისით დახასიათება... არ, თუ ორი მწერლის სტილი არ არის ერთი და იგივე, ორი მათემატიკოსის „ენაც“ განსხვავებულად ხომღვ: ყოველდღიურ მეტყველებაში ცალკე პირთა სტილი ისევე განირჩევა ერთმანეთისგან, როგორც სიარული, ხმის ტემპი და ნაწერის ხელი“⁸.

სტილისტიკური მინიმუმის დარღვევის შემთხვევები შედარებით ადვილი შესამჩნევია. აქ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ნათქვამის სიზუსტეს, მის შესატყვისობას გადმოსაცემ შინაარ-

⁷ В. В. Виноградов. Насущные задачи советского литературоведения. Вопросы литературоведения в свете трудов И В Сталина по языкознанию, 1951, стр. 10.

⁸ არნ. ნიქობაძე, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 317.

სთან. ნათქვამისა და გადმოსაცემი შინაარსის ზუსტ შესატყვისობას, ორპარტნიორებსა და დახვეწას, ე. ი. სტილის სიცხადესა და სისადავეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ ნაწარმოებში, იურიდიულ დოკუმენტებში, კანონებში. სუბიექტური სტილის ხვედრითი წონა განსაკუთრებით თვალსაჩინოა მხატვრულ ნაწარმოებებში, სადაც დიდია სიტყვის ექსპრესიული ძალა.

მაგრამ სუბიექტური სტილის დამახასიათებელი ნიშნების გამოვლენება ისევე ძველია, როგორც ვინმეს ხმის ტემბრის თავისებურებათა დახასიათება: ახლობლები, ჩვეულებრივ, შესანიშნავად ცნობენ ერთმანეთს ხმაზე, მაგრამ აბა ჰკითხეთ, — რით განიზრჩევა ერთის ხმა მეორისაგან? ბევრმა შეიძლება ვერაფერი გიპასუხოთ, ან მხოლოდ იმის თქმა მოახერხოს, ამა თუ იმ პირს ბოხი ხმა აქვს თუ წერილი!

სუბიექტური სტილის თავისებურებანი თვით ადამიანის აზროვნებით არის განსაზღვრული. ენა აზროვნების იარაღია, ანუ როგორც მარქსი ამბობდა, „ენა აზრის უშუალო სინამდვილეა“. როგორც არის აზროვნების ტიპი, ისეთივეა მეტყველების სუბიექტური სტილიც. „იდეალური სტილი საუკეთესო შეფარდებაა სათქმელსა (გადმოსაცემ შინაარსსა) და თქმულს (გადმომცემ ენობრივ საშუალებას) შორის. ეს „საუკეთესო“ მეცნიერული ნაწარმოების ენაში მეტყველების კლასიკურ სიმარტივესა და აზრის სიცხადეს ნიშნავს. მხატვრულ შემოქმედებაში კი ეს „საუკეთესო“ თავისებურად ესმის თითქმის ყოველ ლიტერატურულ სკოლას, მაგრამ ყველასათვის საერთოა ძირითადი მიზანი: სიტყვის ექსპრესიული მაქსიმუმის მიღება“⁹.

მხატვრული ნაწარმოების სტილი დიდადაა დამოკიდებული ავრთვე უნარობზე თავისებურებებზე: ტრაგედია, კომედია, ნოველა, რომანი, სატირული ქმნილება და ეპიკური — შეუძლებელია ერთნაირი სტილით იყოს ნაწერი. მწერალს სხვადასხვა შემთხვევაში ნაირ-ნაირ სტილისტურ ხერხებსა და საშუალებებს მიმართოს.

ყოველივე ზემონათქვამიდან ვფიქრობთ, ნათელია, რა ხირთუღებები ახლავს მხატვრული ნაწარმოების ენის ანალიზს. ის, რითაც სამწერლო ენა სცილდება ინფორმაციას, შინაარსის აუსტ გადმოცემას, — სტილისტიკის სფეროს უკავშირდება. ამიტომ მხატვრული ნაწარმოების ენობრივი და სტილისტიკური ანალიზი განუყოფელია დაკავშირებული ერთმანეთთან. მეორე მხრივ, ასეთი ანალიზი მოითხოვს სხვა მხატვრული ხერხების გათვალისწინებას, ენობრივი ელემენტების განხილვას კომპოზიციურ და უნარობრივ თავისებურებებთან დაკავშირებით, მოქმედ გმირთა ხასიათებთან დაკავშირებით.

მაგრამ დავებურუნდეთ ისევ დასმულ კითხვას: რა მიმართება არსებობს სალიტერატურო ენასა და მხატვრული ლიტერატურის ენას შორის. როგორც დავინახეთ, მხატვრული ლიტერატურის ენა შეიცავს არალიტერატურული ენის ელემენტებსაც, მაგრამ ძირითადად იგი მაინც სალიტერატურო ენის ყალიბს ემორჩილება. ცალკეული გადახვევები და არალიტერატურული ფორმები მხატვრულ ნაწარმოებში უნდა შეფასდეს კონკრეტულად იმ ფუნქციების გათვალისწინებით, რაც ამკვარ გადახვევებს ენიჭება ნაწარმოებში საერთო ლიტერატურული ენის ფონზე. აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ ხალხურობის მოთხოვნა მხატვრული ლიტერატურის ენასაც სავსებით შეეხება.

2.

ლექსიკას, როგორც ენის საშენ მასალას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ლექსიკის სიმდიდრე განსაზღვრავს ენის სიმდიდრეს, მაგრამ იგი განიზომება არა ერთი რომელიმე დარგის ლექსიკის სიმდიდრით, არამედ მისი მრავალფეროვნებითაც: რაც უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია ლექსიკური შემადგენლობა, მით უფრო მდიდარი და განვითარებულია ენა.

ლექსიკური შემადგენლობა, როგორც ცნობილია, ენაში ყველაზე ცვალებადია, რადგან იგი უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის ყოველგვარ საქმიანობასთან. ენის ლექსიკური შემადგენლობა განუწყვეტლედ მდიდრდება ხალხის სამეურნეო და კულტურულ წინსვლასთან ერთად. „თუ ხალხი ცხოვრობს, განვითარებაში არის, ე. ი. აზრიანობა, გამაჯღოლობა ემატება, სიტყვაც მოემატება, ენაც გაუმდიდრდება“, — წერდა ილია ჭავჭავაძე და იქვე

⁹ იქვე, გვ. 314.

ასახელებდა ახალი სიტყვების შემოტანის რამდენიმე გზას. ახალი სიტყვების მოგონება-წარმოქმნას, თარგმნას, უცხო ენის სიტყვის ხმარებას¹⁰.

ლექსიკის შევსება-გამდიდრების სხვადასხვა საშუალებათა შორის მთავარი ადგილი ეკუთვნის ახალი სიტყვების წარმოქმნას არსებული მარაგიდან, ძირითადი ლექსიკური ფონდიდან. შეიძლება დავასახელოთ არა ერთი და ორი სიტყვა, რომლებიც ასეა შექმნილი თანამედროვე ქართულში: აღმავლობა, შევებულება, მანევრებლობა, კავშირგაბმულობა, ხაშკები, საგზური, ხუთწლელი, ათწლელი, ფრიადოსანი, ჩქაროსანი, მერგოლური, კლამეურნი, რაიკომი, შრომადღე, მქავე, წნევა, რხევა... ეს სიტყვები, რომ იტყვიან, პირდაპირ ჩვენ თვალწინ გაჩნდა, ისე, რომ ჩვენ ბევრი მათგანის შესახებ შევიძლია ვთქვათ - ვინ მოიგონა ისინი, ვინ იხმარა პირველად.

განსაკუთრებით ბევრი ახალი სიტყვა შექმნა და დაამკვიდრა ქართულში ილია ჭავჭავაძემ. ასეთებია, სახელობები: აგებულება, მიმართულება, მოთხოვნილება, ღირებულება, წოდება, უფლება, რწმუნება, სინამდვილე, შინაარსი, დედაარსი, მიმოქცევა, პირტუში, საეპო, საყოველთაო, საქონელი, დასაქონლება, განყენებულობა, განყენებულობა, დიდკაცობა, აღებ-მიცემობა, თვითმართველობა, უმადლეხი მთავრობა და სხვანი¹¹.

საგულისხმოა ამ მხრივ ახალი სალიტერატურო ქართულის მეორე ფუძემდებლის აკაკი წერეთლის ღვაწლიც. აკაკი თავად აღნიშნავდა, რომ მან შემოიტანა ქართულ ენაში სიტყვები: გაიძვერა, ბობოლა, შეხმატკბილება და სხვანი, რომლებიც მანამდე არავის უხმარია¹².

ისეთი კომპოზიტივი წარმოება ახალი სიტყვებისა, როგორცაა „შეხმატკბილება“, განსაკუთრებით დამახასიათებელია აკაკის ენისათვის („შეუფხმატკბილე ერთმანეთს“... „მივეხმატკბილე ჩიტუნას“, „ჩაიკვნეს-ჩაიციკცია, თითქოს თქვა „ღიახ-ღიახ“ და სხვ.). ამ სახის სიტყვათწარმოების დიდი ნოვატორი ჯერ კიდევ რუსთაველი იყო. კლასიკოსთა ამ ტრადიციას განავრთობენ თანამედროვე ქართველი მწერლებიც.

საყოველთაოდ გავრცელებულ სიტყვებზე აფიქსთა დართვის გზით ახალი სიტყვების წარმოქმნა განსაკუთრებით ხშირია პოეზიაში: მოხედნილად იყენებენ ამ ხერხს სიტყვის გამომხინველი ოსტატები გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე. მოვიყვანოთ ამის ორიოდე ნიმუში: „შეხაყვებია კლდეები კლდეებს“ (გ. ტაბიძე - „შობლიური ფეხმერა“), „შეფუჭურთა სული შენს სულსა“ (გ. ლეონიძე - „თოლია“), „საჯერითო ტაშირი ჰქონდათ ნამიწის-ძვრალი“ (გ. ლეონიძე - „გმირი და პოეტი“) და სხვ.

რა თქმა უნდა, ახლად ნაწარმოები ყველა სიტყვა ვერ იკავებს გზას და ვერ მკვიდრდება სალიტერატურო ენაში. მოქალაქეობრივ უფლებას მათგან მხოლოდ ის სიტყვები მოიპოვებენ, რომლებსაც არ აზის ხელოვნურობის დადი და ნაწარმოები არიან საყოველთაოდ ცნობილი ძირეული სიტყვებისაგან ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ენის ბუნების შესაბამისად, ისევე, როგორც ხალხში გავრცელებულ-დამკვიდრებული მრავალი სხვა ანალოგიური სიტყვა.

ლექსიკა მდიდრდება აგრეთვე სხვა ენებიდან სიტყვათა შემოტანით, სესხებით. ნახსენები სიტყვები მეტ-ნაკლები რაოდენობით ყოველ ენაშია. არ არსებობს აბსოლუტურად წმინდა ენა, რომლისთვისაც სიტყვათა სესხება სავსებით უცნობი იყოს. მაგრამ უცხო სიტყვათა შემოდების დროს საჭიროა განსაკუთრებული ზომიერება. ენის დანაგვიანებულ მიიჩნევა ისეთი უცხო სიტყვების ხმარება, რომელთა შესატყვისად ენას საკუთარი მოეპოვება, ან ადვილად შეუძლია აწარმოოს არსებულ სიტყვათა საფუძველზე.

¹⁰ ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, III, 1953, გვ. 471-472.

¹¹ ა. შანიძე, ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებლისათვის. ილია ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამ., 1939, გვ. 23-24; ი. ბალახაშვილი, რამდენიმე ნიმუში ახალი სიტყვების შემოტანისა ი. ჭავჭავაძის მიერ, ეურნ. „მნათობი“, №5, 1951; გ. შალამბერიძე, ი. ჭავჭავაძის ენათმეცნიერული შეხვედრები, ეურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, №3, 1956, გვ. 57-59.

¹² აკაკი, ნაღული. გახ. „თემი“, 1911, 28. III. №12.

მეორე მხრივ გამართლებული არაა აგრეთვე გადაჭარბებული პურიზმი და ყოველი უცხო სიტყვის ნაცვლად ხელოვნური ტერმინების თხზვა.

უცხო სიტყვების ხმარებისადმი დაკავშირებით ბ. ბელინსკი ამბობდა: „რუსი გლეხისათვის სიტყვა კუჩკრი ნამდვილი რუსულია; „კოზნიცა“ კი ისეთივე უცხოა, როგორც ავტომობილია. ხალხათვის... და კვიტანციის იდეისათვის (ე. ი. ცნებისათვის; ზ. ჭ.) გლეხებსაც კი არა აქვთ უფრო ვასაგები და უფრო რუსული სიტყვები, ვიდრე სალდათი... და კვიტანციცა. რა ვუყოთ ამას? დიღს თუ არა ამისთვის წყვილი? დაე იყოს სიტყვა, საკუთარია თუ უცხო, ოღონდ გამოხატავდეს მასში მოქცეულ აზრს, – და თუ უცხო სიტყვა უკეთ გამოხატავს მას, ვიდრე საკუთარი, იყოს უცხო, საკუთარი კი წაიღეთ ძველმანების საკუჭნაოში“¹³. ბელინსკის მრავალი მაგალითი მოჰყავდა იმის საიდუმტრაციოდ, რომ უცხო სიტყვები დამკვიდრდა რუსულ ენაში, მიუხედავად პურისტების დიდი ცდისა.

ანალოგიური ვითარება დასტურდება ქართულშიაც: „ქართველი პურისტები ერთ დროს წინადადებას იძლეოდნენ „ლექსიკონი“ შეცვლილიყო „სიტყვარ“-ით. პურისტები მათემბრეკაში ცდილობდნენ „ცილინდრის“ ნაცვლად „გოდლედი“ ეხმარათ, „გრადუსის“ მაგიერ „მენაკი“, „თერმომეტრის“ წილ „თბოღანდელი“...

ასეთ ქართულ ტერმინებს ქართველი კაცი ვერ გაიგებს უფრო ადვილად, ვინემ „გრადუსს“ და „თერმომეტრს“, რომელნიც მთელ რივ ენებში არიან დამკვიდრებული. პურიზმს საღიტრატურო ენათა ისტორია არ ამართლებს; ვერც ხალხურობაზე მითითება დაახსბუთებს პურიზმის საჭიროებას. საჭირო შემთხვევაში სიტყვების სესხება ენის ნორმალურ განვითარებას ეგუება“¹⁴.

მსოფლიოს მრავალ ენაშია შესული ისეთი სიტყვები, როგორიცაა ფაბრიკა, ტრაქტორი, კომბაინი, რევოლუცია, დემონსტრაცია, კონსტიტუცია, დელეგატი, დემუტატი, სტუდენტი, ინსტიტუტი, დირექტორი, რედაქტორი, ლიტერატურა, პოეზია, კრიტიკა და სხვანი. ეს სიტყვები ისეა საყოველთაოდ გავრცელებული, რომ მათი თარგმნა და შესატყვისთა ძიება უაზრობა იქნებოდა.

საგულისხმოა, რომ ამგვარი საყოველთაოდ გავრცელებული უცხოური სიტყვები არა ერთი და ორი იხმარა თავის პირველსავე კრიტიკულ სტატიაში ილია ჭავჭავაძემ, რომელმაც იმავე წერტილში სასტიკად დაგმო „ოსტროვების“, „ლინიების“ და სხვა ამგვარი „გარმინული სიტყვების“ ხმარება. ამ ფაქტში ილიას მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენლებს მომაკედინებელი წინააღმდეგობა მოელოდათ და მაშინვე ყითნა დასცეს. საპასუხო წერილში ილია ასე ასაბუთებდა თავის შეხედულებას: „კრიტიკა“ – ამის თანახმად მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართულ ენაზე და არც ძალიან საჭიროა რომ იყოს... ევ სიტყვა ესეა მთელ კაცობრობას ეკუთვნის და ყოველი ხალხი, ცოტაოდენად განათლებული, ხმარობს თავის ენაში. მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ევ სიტყვა ჩვენში იხმარებოდეს“¹⁵. „ორიგინალი, სენტიმენტალური და სხვანი მაგ-გვარი სიტყვები... მართალია, ქართული სიტყვები არ არი, მთელი კაცობრობა კი ხმარობს. ყოველ ხალხსა, ცოტაოდენ განვითარებულს და ფესმდგომულს ევროპის განათლებაში, შემოუტანია და მიუღია ევ სიტყვები, როგორც თავის დევილი ენის დეკსნი; მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ჩვენც ვიხმაროთ... მე „ოსტროვები“, „ლინიები“ და სხვა გარმინული სიტყვები... ამისთვის დავძრახებ, რომ მაგის თანახმად მნიშვნელობის სიტყვები არ არიან ჩვენს ენაში და ისინი, რომელნიც ჩემს აპრილის სტატიაში მე იხმარებოდა, ვერ ამოვიან თავიანთ მნიშვნელობის სიტყვებს... თუნდ რომ მე არ ვიხმარო ევ სიტყვები, მაინც კიდევ უთუოდ შემოგვეპარებიან, როგორც შემოგვეპარნენ: პოემა, პოეზია, ფილოსოფია, კრიტიკა, სტატია, ლოდიკა და სხვანი მრავალნი. ევ არა ხალხს არ დავძრახებ, ის ცრუობს, რომელიცა ძრახავს მაგ-გვარ სიტყვების შემოტანას ენაში“¹⁶.

საზოგადოდ, ვიდრე გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი მტკიცე აქვს, ენის თვითმყოფობას საფრთხე არ მოეღის და სიტყვის სესხებაც არ შეიძლება ჩაითვალოს მის-

¹³ B. Белинский, Полное собрание сочинений, VI, стр. 214.

¹⁴ ანდ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 195.

¹⁵ ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, III, 1953, გვ. 34.

¹⁶ იქვე, გვ. 52-53.

თვის საზიანოდ. პირიქით, ამგვარ პირობებში უცხოურიდან შემოსული სიტყვები ესისხლბორცვიან ენის ლექსიკურ-გრამატიკულ სისტემას და ამდიდრებენ მას. ბევრი სიტყვა ისე იცვლის სახეს დროთა განმავლობაში, რომ მისი სადაურობის გარკვევა საკანონო ერთმეცნიერულ ძიებას მოითხოვს. ასეა შეთვისებული და სახეცვლილი მრავალი სიტყვა ქართულში. როგორც აკაკი წერეთელი ამბობდა, „ვერც ერთი ენის ძალას ვერ დაურღვევია ჩვენი ენის კანონები, ვერ გაღურვია, ვერ გაღურჯულვია, დაუთმია ჩვენი ენისთვის და ჩვენსკენ თვითონ გაღმრჯურლებულა... იმ ძალაურებურ შეტაკებაში მაინც ძლიერაბოხილი დარჩენილა დღემდე“¹⁷.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს საწინააღმდეგო და არასასურველი ტენდენცია, რაც ზოგჯერ შეინიშნება ხოლმე. ესაა ტენდენცია, რომ ახლად შემოსულ უცხო სიტყვებს ქართულში შეუნარჩუნონ მაინცდამაინც ზუსტად ის ფორმა, რაც მათ ფუძეენის დამწერლობაში ან წარმოთქმაში აქვთ. ამის ნიმუშია, როცა ზოგიერთი ბუჭველითი ორგანო დაიწებობთ ხმარობს ბუხპალტერს, თუმცა ასე არააინ გამოთქვამს ამ სიტყვას. მიუღი ხალხის სასაუბრო ენაში მან დიდი ხანია იცვალა სახე და გამოთქმის ბუღადტერი. ხა ქართულისთვის არადამახასიათებელი, შეუწყნარებელი ბუგრატიკულიცაა, ვერ ნახათ ვერც ერთი წმინდა ქართულ სიტყვას, სადაც ეს ბუგრები ამ სახით გუხვდებოდეს. ამიტომაც, რომ ხსენებულ სიტყვაშიც ხა-ს არაინ გამოთქვამს. „ბუხპალტერს“ არ გამოთქვამენ, მაგრამ მის ასეთ ფორმას კი დაიწებობთ იცავენ ზოგიერთები. უცნაურია, მაგრამ ფაქტი! ეს ხდება მაშინ, როცა ქართული ენა გამოირჩევა წერისა და გამოთქმის შესაბამით, ერთგვარობით: ქართულად ისევე იწერება, როგორც გამოთქმის.

ზოგიერთი ენის დამწერლობაში ამა თუ იმ სიტყვის ტრადიციულად დაკანონებულ ფორმას არ ცვლიან, თუმცა გამოთქმა დროთა განმავლობაში საკმაოდ იცვლება. ამრიგად იქმნება განსხვავება წერასა და გამოთქმას შორის: იწერება ერთი - გამოითქმის სხვა. ქართულ ენა ასეთ გადაჭარბებულ კონსერვატიზმს არ იჩენს: გამოთქმის კვადრატულად იცვლება და მარტივდება წერაც. როცა მეტყველებიდან გადავარდა ძველი ქართულის დამახასიათებელი ზოგიერთი ბუგრა, ამ ბუგრათა გამოხატუვლ ასოებს მაინც ხმარობდნენ ანტონ კათალიკოსი და მისი მიმდევრები, მაგრამ იღია ჭკავაბაძემ იმთავითვე უარყო ეს ასოები და ამ მხრივაც გაამარტივა ხალიტერატურო ენა.

რაკი ქართულ გამოთქმასა და წერას შორის თითქმის სრული შესატყვისობაა, ამიტომ სწორი არ იქნებოდა უცხო სიტყვები გადმოგველო და გვეწერა ისე, როგორც გამსესხებულ ენაში (ეტიმოში) იწერება, ხოლო გამოთქვითა დაწერილისაგან განსხვავებულად, ამ სიტყვის დედაენისეული გამოთქმის შესაბამისად. მაგალითად, გერმანული სიტყვა **Kapellmeister** არ შეიძლება დაწეროთ ქართულად ასე: კაპელმეისტერი, ხოლო წაეკითხოთ „კაპელმეისტერი“, როგორც გერმანულად იკითხება. წერაშიც და მეტყველებაშიც უნდა დამკვიდრდეს ერთი ფორმა (ამ შემთხვევაში კერძოდ - მეორე¹⁷). ქართულში შემოტანის დროს უცხო სიტყვის ფორმა დედაენისეულ დაწერილობას კი არ უნდა შეეფარდოს, არამედ გამოთქმას, რამდენადაც იგი შეეგუება ქართული ენის ბუნებას.

უცხო, ნახსენებ სიტყვის ერთი თუ მეორე ფორმის დამკვიდრებაზე მსჯელობა დასაშვებია ამ მხრივ მაშინ, თუ ჭკავს ფორმათა მერყეობა, თუ სიტყვა სხვადასხვა გზით არის შემოსული (მაგ., ზვირი და წიგნური გზით) და ამის გამო ფორმებიც სხვადასხვაობენ; ხალხში უკვე განმტკიცებული ფორმების რევიზიის ცდა კი ყოველად გაუმართლებელია, რაგინდ სწორი პრინციპისაც გნებავთ ეყარებოდეს იგი.

მაგალითად, ზოგიერთი მოთხოვნა არ რამდენიმე ხნის წინათ, რომ ქართულად პარიზის ნაცვლად გეგზმარა პარი, ვაშინგტონის ნაცვლად - უოშინგტონი, ლისაბონის მაიერ - ლიჰბონი, ასევე შეგვეცვალა პოლანდია, ირლანდია, ისლანდია და მათ ნაცვლად შემოგველო პოლანდი, ირლანდი, ისლანდი და სხვანი¹⁸. ზოგი ასეთი ფორმა კიდევ შეუტანიათ გეოგრაფიის სახელმძღვანელოში. ასე რომ მივეყვით, გერმანიას

¹⁷ დავა ხრულია ზედმეტია, თუ უცხო სიტყვას შესატყვისი მოეპოვება. მაგალითად, გროსხმეისტერიც მიუღებელია და გროსმაისტერიც, რაკი ქართულში არსებობს მისი მოხდენილი შესატყვისი: დიფოსტატი.

¹⁸ ჭ. ხუნდაძე, ნახსენები სიტყვების მართლწერისათვის, კურნ. „მნათობი“ №10, 1951.

ამერიდან უნდა ეუწოდოთ დოიჩლანდი, ინგლისს - ინგლანდი და ა. შ. საკითხავია, - ესთვის იქნებოდა საჭირო და სასარგებლო ამგვარი ცვლილებები? ასეთი დონკისოტური მხრეწევლობა მხოლოდ დაბნეულობასა და გაუგებრობას გამოიწვევდა ენაში.

არ შეიძლება დავეთანხმით მწერალ კ. გამახსუდიას, როცა იგი თავის უკანასკნელ რომანში „ვაზის ყვავილობაში“ ხმარობს „ჟენდარმს“, „ვახტანგისტერს“ ნაცვლად ქართულში უკვე დამკვიდრებული ფორმებისა (კანდარმი, ვახშისტრი).

ასეთ ცვლილებებს არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ენისათვის, არ აუმჯობესებს მის გამოხატველობის საშუალებებს, არ ამარტივებს გამოთქმას და, მაშასადამე, მხოლოდ გაუგებრობის წყაროდ შეიძლება იქცეს.

უცხო სიტყვათა ხმარებასთან დაკავშირებით საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოებაც. რამდენიმე წლის წინათ ჩვენს სალიტერატურო პრესაში კამათი გაიმართა, თუ როგორ უნდა გამოითქვას ესა თუ ის უცხო სიტყვა, მაგალითად, სცენიდან, - და ზოგი იქამდეც კი მივიდა, რომ ამტკიცებდა - უცხო სიტყვები უცხოური ელფერით უნდა წარმოითქვას¹⁹. მაშასადამე, უნდა გამოითქვას, მაგალითად, ტუქლი, φιლოსოფია, რუსული გზით შემოსულ სიტყვებში რუსული გამოთქმას თუ ანგარიშს ვაგუწევთ, უნდა გამოვთქვათ იძიოტი, ძეპუტატი, სწილი, დიწურატურა და ა. შ. ამგვარ სუტ-თეორიებს ჯერ კიდევ იღია ჭავჭავაძე ებრძოდა, რომელიც მის ხმარების გამო წერდა: „ეგ ასო ახალი შემოდგულისა, არ ვიცო-კი რისთვის. ეგ ასო ქართულს ენახედ „ფ“-ად იცვლებოდა ხოლმე, მაგ. ფილოსოფია. ამას გარდა ქართულ გლეხებს (თუ ბატონთან არ არის ნამყოფი) მაგ ასოს ხმას ვერც-კი გამოათქმევინებთ, „ფ“-ს მაგიერად სულ „ფ“-ს გამოთქვამს, მინამდინ ბევრჯელ არ გაამეორებინებთ. სნანს, ეგ ასო ჩვენს ენის თვისებისა არ არის და რაღადა ხმარობთ?“²⁰

როგორც ცნობილია, ყოველ ენაში მოქმედებენ ენის განვითარების შინაგანი კანონები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება იცვლებოდეს ამა თუ იმ სიტყვის ფორმა გამსესხებულსა ან მსესხებულ ენაში. საკვლადებულო როდია, რომ ეს ცვლილებები ერთნაირი იყოს და ერთსა და იმავე შედეგებს გვაძლევდეს, ანდა რა სახესაც ერთ ენაში მიიღებს სიტყვა, ისევე შეეცვალოთ იგი მეორე ენაშიც.

ამრიგად, უცხო სიტყვათა სესხების დროს ენის ხალხურობის პრინციპი არ ირღვევა, ჯერ ერთი, იმის წყალობით, რომ ენა სესხულობს მხოლოდ აუცილებლად საჭირო სიტყვებს, რომელთა ბადალი თვად არ მოეპოვება; მეორეც, - ნახესხები სიტყვები სახეს იცვლიან იმ ფონეტიკურ-მორფოლოგიური კანონების მიხედვით, რომლებიც ხალხის ცოცხალ მეტყველებას ახასიათებს. დროთა განმავლობაში ნახესხები სიტყვები ესისხლხორციებიან ენის ბუნებას და მკვიდრად შედიან მის ლექსიკურ შემადგენლობაში.

სალიტერატურო ენის ლექსიკის გამდიდრების სხვა საშუალებათა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სიტყვათა შემოტანას დიალექტებიდან, და სწორედ აქ განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს სალიტერატურო ენის კავშირი ცოცხალ კილოებთან.

როგორც ცნობილია, ადგილობრივ ანუ ტერიტორიულ დიალექტებს აქვთ საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთო-სახალხო ენისა და დიალექტების გრამატიკული წყობა ან ლექსიკა არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ სხვადასხვა ენებთან გვექნებოდა საქმე და შეუძლებელი გახდებოდა ერთი ენისა და მისი დიალექტების შესახებ ლაპარაკი. საერთო-სახალხო ენისა და ტერიტორიული დიალექტების გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი ბევრის მხრივ ერთსევეა ანდა მსგავსია. მაგრამ ამავე დროს არსებობს საკმარისი დიდი განსხვავებანი დიალექტში: ტერიტორიულ დიალექტებს ახასიათებს მთელი რიგი ფონეტიკური თავისებურებანი, ასევე - თავისებურებანი გრამატიკული ფორმებისა და

¹⁹ დოქ. მადლიკო მრეველი შვილი, ქართული სასცენო მეტყველების ფონეტიკური საფუძვლები, სასცენო მეტყველების ტექნიკა, 1949, გვ. 83-85. მისივე - „სასცენო მეტყველების საკითხები“, „ლიტერატურული გაზეთი“, №21 (833), 1953 წ.

²⁰ ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, III, 1953, გვ. 41.

მათი გამოყენების მხრივ და, დახასრულ, თავისებურებანი ლექსიკურ სისტემაში, — როგორც საერთოდ ლექსიკურ შემადგენლობაში, ისე კერძოდ ძირითად ლექსიკურ ფონდშიაც.

რითაა გამოწვეული სხვადასხვა დიალექტის ლექსიკურ სისტემათა (ძირითადი ლექსიკური ფონდის თუ საერთოდ ლექსიკური შემადგენლობის) განსხვავებანი? ისინი, ჩვენი აზრით, შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

უპირველეს ყოვლისა, ამა თუ იმ დიალექტის ლექსიკური შემადგენლობის ნაწილი ახაზავს ამ დიალექტის მომხმარებელი კოლექტივის ცხოვრების ისეთ სპეციფიკურ მხარეებს, რაც დამახასიათებელი არ არის სხვებისათვის. მაგალითად, შევენახულობასთან დაკავშირებული სიტყვათა უმრავლესობა არ შეიძლება ახასიათებდეს იმ კუთხის წარმომადგენლის მეტყველებას, სადაც ვაზი სულ არ ხარობს; სუბტროპიკული კულტურების გავრცელების რაიონებში ამ კულტურებთან დაკავშირებით ხმარებული ზოგიერთი სიტყვა სხვა კუთხის მცხოვრებისათვის გაუგებარი იქნება ან შესაძლოა სხვა მნიშვნელობას ატარებდეს და ა. შ. მაგალითად, შევენახულობასთან დაკავშირებული ისეთი ტერმინები, როგორცაა ისრიმა, კიმპალი (კუმპალი), ჩენხო, დანეკვა, ვამორჩვა, ორხელი, ორშიცა, ინდურში, სარქველი და სხვანი, რომელნიც იმერეთში იხმარება, უცნობი აღმოჩნდება მთის კილოების წარმომადგენლისათვის. სამაგიეროდ, მთაში, სადაც მეცხვარეობას მისდევენ, იხმარება სიტყვები, რომლებიც არ შეგვხვდება დასავლეთ საქართველოს დიალექტებში: თოხლი, შიშაქი, ჭედილა, ნოტო, რისვი, დუქარდი და სხვ.

ცალკე უნდა გამოიყოს ისეთი სიტყვები, რომელთა არსებობა ერთ დიალექტში და არარსებობა მეორეში მაინცდამაინც ცხოვრების სპეციფიკით არ აიხსნება. აქ შეიძლება ვაღამწვეტი იყოს ის გარემოება, რომ სიტყვათა მნიშვნელობის განვითარების გზები მრავალფეროვანია: შესაძლოა სიტყვის მნიშვნელობა ერთ დიალექტში ვაფართოვდეს, მეორეში პირიქით — დავიწროვდეს, მესამეში იგივე დარჩეს და ა. შ. მნიშვნელობა აქვს სხვა ენებთან დიალექტთა დამოკიდებულებასაც. მაგალითად, ბუნებრივია, რომ დანარჩენ ქართულ კილოებთან შედარებით უცხო სიტყვათა განსაკუთრებული სიმაღლე ახასიათებთ ფერეიდნულსა და ინდოლორს, რომლებიც სხვა ენების (სპარსულის) და აზერბაიჯანულის გავლენის სფეროში არიან მოქცეული. ასევე — მესხურ-ჯავახურსა და აჭარულში ბევრია მათი მომიჯნავე (ტერიტორიულად) თურქული ენის სიტყვები და სხვ.

ზოგჯერ ერთი და იმავე შინაარსის გამოსახატავად დიალექტებს სულ სხვადასხვა სიტყვა გააჩნიათ, ე. ი. საქმე გვაქვს სინონიმებთან, რომელთაგან ერთი ერთ დიალექტში დასტურდება (და მასთან ერთად შესაძლოა — ხალიტერატურო ენაშიც), მეორე — სხვა დიალექტში ან დიალექტებში. ამგვარ სიტყვებს შეიძლება სინონიმური დიალექტიზმი ვუწოდოთ.

ასე, მაგალითად, შევენახულობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საგნისა თუ პროცესის სახელწოდება სხვა არის კახეთში (კერძოდ, გურჯაანის რაიონში) და სულ სხვა — იმერეთში (სახელდობრ, ქუთაისსა და ჭიათურის რაიონებში). ასეთია, მაგალითად: ვაზი და ვენახი, კიწი და კიმპალი (კუმპალი), წაღამი და ლერწი, ჭივო და ხარდანი, ქვეყრი და ჭური, კოკა და ჩაფი, თათადა და ფელამუში, ჭივოს ჩანჩეკვა და ხარდნის დამახევა, ვაზის შეუყვება და ვენახის ახევევა, გაფურჩნება და გამორჩვა და ა. შ.

ამგვარი სინონიმური დიალექტიზმები სხვაც მრავლად შეიძლება დავახსენოთ (უშთაერესად ერთმანეთს უპირისპირდებიან ამოსავლური და დასავლური კილოები): ბაბა — ბაბა, დიდედა — ბებია, მამა — ბაბა, შვილიშვილი — ბაღში, ძაღო — ბიცოლა, ბატკანი — კრავი, იხვი — კვარტი, წვერა — მურწა, ლოქო — დღავი, თხუნელა — მუღო, მურყანი — თხმელა, იფანი — კომიტი, თუთა — ბჟოღო, კომში — ბია, გოგრა — კვახი, თამბაქო — თუთუნი, თირკმელი — ჭაჭა, ელენთა — ტყლიპი (ტიარი), სეტყვა — კოხი, ბოლი — კვამლი, ცული — ნაჯახი, ხედადგარი — სამფეხი, ფილა — როდინი, ჭუჭყი — წვირტ სვილი — ჭეაგი, ცემა — გაღახევა და ა. შ.

დასასრულ, გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა სიტყვის ფუძე საერთოა, მაგრამ დიალექტური განსხვავებანი ფონეტიკური პროცესების ან სხვადასხვა აფიქსთა დართვის შედეგია. ასეთია, მაგალითად: მობრუნება და მობრუნვა (მაბრუნვა), დატოვება და დატევა, ახევევა და ახოვა, სიკვდილი და სიკვტილი, კლდე და კტე, გვარი და გორი, კვამლი და კომლი, ტკბილისკვერი და ტბილისკვერი, სარცხლი და სარცხელი, სარქველი და სარქვეველი, ფოთოლი და ფოთელი და მრავალი სხვა.

ახლა ვიკითხოთ: როგორ უნდა მოექცეს ამ სხვადასხვა დიალექტურ ლექსიკურ ერთეულს სალიტერატურო ენა, რა არის აქედან მისადები და რა უკუსაგდები, როგორაა დაცული ხალხურობის პრინციპი მათი შერჩევის დროს?

ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ ცნობილი დებულება, რომ ყველა სიტყვა, რომელიც ამა თუ იმ დიალექტში დასტურდება და სალიტერატურო ენაში კი არა, არ წარმოადგენს დიალექტიზმს (ამ სიტყვის ვიწრო გაგებით). ყოველ დიალექტში მოიპოვება სიტყვათა გარკვეული რაოდენობა, რომლის შესატყვისი, ბადალი, სალიტერატურო ენას არ გააჩნია, მაგრამ არ გააჩნია იმიტომ, რომ არ ყოფილა საჭიროება მათი ხმარებისა. თუკი ამგვარი საჭიროება გაჩნდა, დიალექტში ხმარებული სიტყვა თავის ადგილს დაიკავებს და სალიტერატურო ენის კუთვნილებად იქცევა, ე. ი. ის აღარ იქნება დიალექტიზმი. შეიძლება ასეთი სიტყვა შემოვიდეს სალიტერატურო ენაში ცოტად თუ ბევრად შეცვლილი მნიშვნელობითაც. ამრიგად, ლექსიკურ დიალექტიზმებში გამოიყოფა გარკვეული რაოდენობა სიტყვებისა, რომელიც გამოადგება სალიტერატურო ენას.

სხვათა შორის, ამგვარი სიტყვები საკმაოდაა შეტანილი „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, რომლის წინასიტყვაობაშიც ნათქვამია: „სალიტერატურო ენა ვერ ამოწურავს სიტყვათა მარაგს; მრავალი ისეთი სიტყვა, რომელიც არ დასჭირდება მწერალს და ამიტომ არ ჩანს წიგნის მეტყველებაში. მაგრამ საჭიროების შემთხვევაში იხმარს და სიტყვა ლიტერატურის ფაქტი გახდება. „საჭიროების შემთხვევათ“ რომ ვთქვით, ვგულისხმობთ, რომ საამისო შინაარსის გადაზომაცემი სხვა სიტყვა სამწერლობო ენაში არ გაგაჩნია. დიალექტიდან შემოსული ახალი სიტყვა თავისუფლად ადგილს იკავებს და სალიტერატურო ენას ამდიდრებს.

ამრიგად, ლიტერატურაში უხმარი სიტყვა მხოლოდ ამის გამო არალიტერატურულად არ მიიჩნევა.²¹

იქვე დასახელებული რამდენიმე მაგალითი, როცა ამგვარი დიალექტური სიტყვები შემოტანილია დამკვიდრებული იქნა სალიტერატურო ენაში: ლიღვი, რომელიც გურიაში ურმის ღერძს ნიშნავს, ქართლ-კახეთში კი საქსოვი დაზვის ნაწილს, ტექნიკურ ტერმინოლოგიაში გამოიყენებული იქნა რუსული вал-ის აღსანიშნავად. აქედან ნაწარმოებია ახალი სიტყვაც ლიღვაკი - валик. კარჭაპი დამკვიდრდა вараჟის შესატყვისად და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ხალხის მეტყველებაში დაცულ ამგვარ სიტყვებს დიდი გულმოდგინებით კრებდა გამოჩენილი ლექსიკოგრაფი საბა ორბელიანი, რომლის „სიტყვის კონაშ“ მრავალი ასეთი საჭირო და სასარგებლო სიტყვა შემოგვინახა. შემოსხენებული ლიღვი და კარჭაპიც საბას ლექსიკონშივე დასტურდება.

მაშასადამე, დიალექტური ერთეული ყოველთვის როდია უარსაყოფი. საყოველთაოდ მიღებულია დებულება, რომ დიალექტური მხოლოდ მაშინაა უკუსაგდები, თუ იგი უპირისპირდება ლიტერატურულს.

აშკარაა, რომ ამ პრინციპის მიხედვით, სალიტერატურო ენისათვის თითქმის მთლიანად გამოსადეგი და მისადებია დიალექტთა ლექსიკის ის ფენა, რომელიც ჩვენ ზემოთ პირველ ჯგუფად გამოიყვავით. ამ რიგის დიალექტიზმი ამდიდრებს სალიტერატურო ენას, მის ლექსიკურ შემადგენლობას. მისი შემოტანა და დამკვიდრება სალიტერატურო ენაში მისასაღებელია.

იმავ კრიტერიუმის მომარჯვებით შედარებით ადვილად წყდება აგრეთვე იმ ლექსიკური დიალექტიზმების ბუდი, რომლებიც ფონეტიკურ განსხვავებათა საფუძველზე არიან აღმოცენებული (მაბრუნვა, დატიბა, ახოვა, სიკვტილი, კტე, გორი, კომლი და სხვ.). ისინი ისევე უნდა შევაფასოთ, როგორც შესაბამისი ფონეტიკური თავისებურება ამა თუ იმ დიალექტისა.

ფონეტიკურ განსხვავებათა საფუძველზე აღმოცენებული ფორმები მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიჭრას სალიტერატურო ენაში, თუ ცვლილება მთელ ენას ან დიალექტთა უმეტესობას მაინც ეხება, ანდა თუ ფონეტიკურად სახეცვლილი სიტყვა განსხვავებულ მნიშვნელობასაც შეიძენს.

მაგალითად, ძველი ქართლისათვის დამახასიათებელი იყო ჳ ბეურა, რომელიც ცოცხალ მეტყველებაში თანდათანობით გადაგვარდა და ხ-დ იქცა (ჳ დღევანდლამდე შემორჩა მხო-

²¹ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი, I, წინასიტყვაობა, გვ. 009.

ლოდ ორიოდე კუთხეს, კერძოდ – მთის კილოებსა და ქიზიურს). დამწერლობაში ამ ბგერის გადმოცემ ასოს („ჭ“-ს) ერთხანს მაინც ხმარობდნენ, მაგრამ ილია ჭავჭავაძის ორთოგრაფიული რეფორმა ამ ასოსაც შეეხო და საბოლოოდ განდევნა იგი. ამას იმ გარემოებაზეც ვერ შეუშალა ხელი, რომ ერთმანეთს დაემთხვა ზოგიერთი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვა, ე. ი. წარმოიშვა ომონიმები, როგორცაა, მაგალითად, ხელი, ხერი და სხვ. (ხელი ახლა ნიშნავს სხეულის ნაწილსაც და გიჟსაც, ხერი – სახერს ხელსაწყოებსაც და ფანდს, მოხერხებასაც; ძველად კი მნიშვნელობისად კვლად მათ გამოთქმაც სხვადასხვანაირი ქმონდა: ხელი და ჰელი, ხერი და ჰერვი...). ამრიგად, გადამწვევები მნიშვნელობა იქონია იმ ფაქტმა, რომ ჰ ბგერა დაკარგული იყო ცოცხალ მიტყვევებაში – დიალექტთა უმრავლესობაში.

ცალკეულ სიტყვათა ბგერობლივი სახეცვლილებისა და სალიტერატურო ენაში დამკვიდრების ნიშნად შეიძლება დავასახელოთ წმინდა (ძველ ქართულში გეჰონდა წმიდა)²², კურდღელი (აღურ იყო ყურდღელი ე. ასეა საბას ივანაკეშიც) და სხვ.

ცალკეული კილოებისათვის დამახასიათებელმა სიტყვის ფონეტიკურმა ვარიანტმა, როგორც ვთქვით, მაშინაც შეიძლება მოიპოვოს მოქალაქობრივი უფლება სალიტერატურო ენაში, თუ იგი მნიშვნელობასაც განსხვავებულს შეიძენს. ასეთ შემთხვევაში ძველი (ლიტერატურული) ფორმა სიტყვისა დარჩება ძველვე მნიშვნელობით, ახალი (დიალექტური) ფორმა კი სალიტერატურო ენას შეეძინება განსხვავებული მნიშვნელობით.

მაგალითად, ლიტერატურული სიტყვაა კვამლი, ზოგიერთ კილოში კი გამოითქმის კომლი (ისევე როგორც ცხვარი – ცხორი, გვარი – გორი და სხვ). კვამლის ეს დიალექტური სახეცვლილება კომლი დამკვიდრდა სალიტერატურო ენაში ოჯახის, მოსახლის მნიშვნელობით. მაგ.: „საწიოკე მთა ეკუთვნოდა ას კომლ მებატონეს“ (გ. წერეთ.), „სოფელში სულ სამიოდე კომლს ჰყავდა ბატეზი“ (ნ. ლომ.), „ეკირა საღამოს სოსიკას ბიჭმა დაიარა მთელი სოფელი და კომლზე კაცი დამაბატოა მაროს ნიშნობაში“ (გე. გაბაშვილი). ამრიგად, მიუხედავად, რომ კომლი სახლკარობის, მოსახლობის მნიშვნელობით ლიტერატურულ ფორმად იქცა, მაგრამ ბოლის მნიშვნელობით კი დიალექტიზმს წარმოადგენს და სალიტერატურო ენისათვის ისევე მიუღებელია, როგორც ცხორი, გორი და სხვანი²³.

ფონეტიკური ვარიანტება აგრეთვე კრეფა და კრეფა, სული და სუნი, შთამომავალი და ნამომავალი. შვირეფა და შვირხა (რეფეა და რხევა), ჯანდი და ჯანყი. კრეფა, რხევა, ჯანყი და სხვა ამგვარი ფორმები სალიტერატურო ენამ შეითვისა მნიშვნელობათა დიფერენცირების შედეგად²⁴. ვიდრე ასეთი დიფერენცირება მოხდებოდა, ერთი ფორმა იხმარებოდა საერთო, უფრო ზოგადი მნიშვნელობით. მაგალითად, ჯანდი ნიშნავდა ნისლსაც და არეულობასაც. ამ უკანასკნელი მნიშვნელობითაა იგი ნახმარი დავით ბატონიშვილის წერილში თავისი ძმისადმი: „ხალხი ააჯანღე, ქიხოსორ სახლოუხუცესზე მიუხდუნე; თუ არ

²² ამჟამად არის ცდა – დიფერენცირებული მნიშვნელობით აღადგინონ ძველი ფორმა: წმიდათა წმიდა მოვლენობა, წმიდა მამული და სხვ. ჯერჯერობით ამ ცდას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან სათანადო შინაარსობლივი ნიუანსების გადმოსაცემად წმინდას მრავალი სინონიმი აქვს: სუფთა, სპეტაკი, ანკარა, ხალასი, ფაქიზი და სხვანი. წმიდა ამათან შედარებით ახალს არავფიქრებდა, გარდა არქაული იერისა, – მხოლოდ ამგვარი ფუნქციით შეიძლება დარჩეს.

²³ სხვა რიგის მოვლენაა, როცა კომლი (ბოლის მნიშვნელობით), ცხორი, გორი და სხვა ამგვარი ფორმები გვხვდება პერსონაჟთა ენის კოლორიტისათვის, მაგალითად, აღ. ყაზბეგის ნაწერებში (ამის შესახებ – ცალკე).

²⁴ მნიშვნელობათა დიფერენცირება ასევე ხელს უწყობს მორფოლოგიური ვარიანტების დამკვიდრებასაც სალიტერატურო ენაში, როგორცაა მაგალითად: ძიება და ძებნა, მოწინავე და მწინინავე, სრულიად და სრულად, დაბალი და მდაბალი, განგრძობა და გაგრძელება, მოხსენება და მოხსენიება, წყენს და წყინს და სხვ. დამახასიათებელია ამ მხრივ, რომ ენა ამ ერიდება ისეთ, ერთი შეხედვით გრამატიკულად უკანონო, ფორმებსაც კი, როგორცაა სწადი (მაგ.: „რას სწადიხართ?“, არსენა მარაბდელი, გვ. 486; შუა: „ნუ ჩადიხარ ქვეით“). სიტყვის ფონეტიკური თუ მორფოლოგიური ვარიანტებისათვის სხვადასხვა მნიშვნელობის მიკუთვნება დეკლინაციის გამიჯნობისა და განვიტარების ერთ-ერთი გზაა, რომელიც ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გაშუქებული.

წამოვიდეს, სახლ-კარი სულ დაუწვინე და ააკლებინე, ოღონდ ჯვანდ ში ნუ გაერევი²⁵.

ამგვარი მაგალითების რიცხვი საერთოდ მაინც მცირეა. ისინი ისედაც არ ეწინააღმდეგებიან იმ დებულებას, რომ სალიტერატურო ენისათვის მიუღებელია ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოშობილი დიალექტური ფორმები სიტყვისა. სალიტერატურო ენას კიდევ უფრო შეუცხოება სხვა ენებიდან ამა თუ იმ დიალექტში შემოჭრილი ლექსიკის ნაკადი. ეს ნაკადი ამღვრეულია უშთაერესად ისეთი სიტყვებით, რომელთა ბადალი სალიტერატურო ენაში აღრიდებენ არის დამკვიდრებული. ამგვარი სიტყვების სიხების შესახებ კი ზემოთ უკვე გვეჩვენა საუბარი.

რამდენადმე უფრო რთულია დანარჩენი ლექსიკური დიალექტიზმების ბედის განსაზღვრა. სალიტერატურო ენისთან მათი დამოკიდებულების გარკვევა დაკავშირებულია სინონიმის ზოგად საკითხებთან, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სალიტერატურო ენისა და სტილისათვის, განსაკუთრებით კი მხატვრული ნაწარმოების ენისა და სტილისათვის. ხევენ ამ საკითხებზე ცოტა უფრო დაწვრილებით შეგნერდებით.

3.

როგორც ცნობილია, ამა თუ იმ შინაარსის გადმოსაცემად ენას ხშირად მოეპოვება არა მხოლოდ ერთი სიტყვა, არამედ მთელი წყება სინონიმებისა, რომელნიც აზრის მრავალ სხვადასხვა ნიუანსს გადმოგვცემენ, აზუსტებენ და ავსებენ ერთიმეორეს. რაც უფრო ზოგადია შინაარსი, მით უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს სინონიმთა სიმრავლისათვის, და პირიქით, - ზუსტ ცნებას ზუსტი ტერმინიც სჭირდება. ამიტომაც, რომ მეცნიერებისათვის დამახასიათებელ კონკრეტულ, ზუსტ ცნებებს ასევე ზუსტი და კონკრეტული სიტყვები - ტერმინები შეესაბამება. ტერმინთა სიჭრელე სამეცნიერო ლიტერატურის ენაში სწორედ ამიტომ წარმოადგენს უარყოფით მოვლენას. მაგრამ საზოგადოდ ერთნაირი შინაარსის გადმომცემი სიტყვების - სინონიმების შესახებ კი იგივე არ შეიძლება ითქვას. სინონიმთა სიმრავლე ენის სიმდიდრის ნიშანია.

ერთი შეხედვით შეიძლება კაცს აქ წინააღმდეგობა მოეჩვენოს: თუკი სიზუსტე საჭიროა მეცნიერულ ენაში და ამას ხელს შეუშლის ტერმინთა სხვადასხვაობა, ე. ი. სინონიმთა არსებობა, ასევე უნდა იყოს საზოგადოდ მეტყველებაშიც. მაგრამ სინამდვილეში ასე მსჯელობა მართებულად არ იქნებოდა. საქმე ისაა, რომ სინონიმებს მხოლოდ ზოგადი შინაარსი აქვთ საერთო, რაიმე ნიშნის მიხედვით კი უკვე გადასხვავდებიან ერთი-მეორისაგან. ასე რომ, სინონიმები სწორედ აზუსტებენ შინაარსს, ავსებენ ერთმანეთს. ამიტომაც, რომ არ არსებობს ისეთი სინონიმები, რომლებსაც ყველა ყოველთვის თავისუფლად იხმარდა ერთი-მეორის ადგილას. ამის გამო ამოიბუნ კიდევ - აბსოლუტური სინონიმები ენაში არ არსებობს.

სინონიმებს ერთმანეთისაგან განასხვავებს ან თვალსაზრისი, რომელიც ახასიათებს მოლაპარაკის დამოკიდებულებას აღსანიშნისადმი, ან გრძნობითი იერი, ემოცია, რომელსაც ესა თუ ის სიტყვა აღძრავს, ან კიდევ გავრცელების არე, ე. ი. დიალექტური სხვაობა ამა თუ იმ სიტყვის ხმარების მხრივ²⁶. აქედან გამომდინარე - სინონიმურ სიტყვებს ან სხვადასხვა შინაარსობრივი ნიუანსი აქვთ და მათ სხვადასხვა შემთხვევაში იხმარება ერთი და იგივე პირი, ანდა ზუსტად ერთნაირი შინაარსი აქვთ და მაშინ მათ ერთსა და იმავე შემთხვევაში იხმარს სხვადასხვა პირი.

სინონიმთა სხვაობა განსაკუთრებით მკაფიოდ იგრძნობა სხვა სიტყვებთან კავშირში - შესიტყვებაში, სხვადასხვა წინადადებაში ხმარებისას. სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრისათვის გადაწვევები მნიშვნელობა აქვს რეალურ კონტექსტს და სწორედ ამ რეალურ კონტექსტში ჩანს კარგად სინონიმთა შინაარსობრივი ნიუანსები, მათი განსხვავებული ელფერი. ვერ დავასახელებთ თითქმის ვერც ერთ სულმნიშვნელოვან სიტყვას, რომელიც ყველა შემთხვევაში შეიძლება იხმარებოდა თავისუფლად შეგვეცვალა მისი სინონიმით.

ავიღოთ, მაგალითად, სიტყვები ჭკპუა და გონება, რომლებიც თითქოს ერთსა და იმავე ცნებას აღნიშნავენ და წმინდა წყლის სინონიმებს წარმოადგენენ. ბევრ შემთხვევაში ისინი მართლაც თავისუფლად შეიძლება შეუენაცვლოთ ერთმანეთს, ვიხმაროთ ერთი-მეორის ადგი-

²⁵ მოგვეხსენიოს ა. შანიძის წიგნის მიხედვით: ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 377.
²⁶ იხ. არნ. ნიქოზაძე, ენათმეცნიერების შესახებ, 1952, გვ. 188.



ლას, მაგრამ განა სხვებით ერთი და იგივეა „ჭკუა დაკარგა“ და „გონება დაკარგა“ ანდა, თუ თავისუფლად და სწორად იხმარება „ჭკუას ასწავლის“, „ჭკუა ისწავლა“ და სხვა ამგვარი გამოთქმები, არაფერ იტყვის „გონებას ასწავლის“ ან „გონება ისწავლა“. მართალია, ძველ ქართულში გვხვდება ამგვარი გამოთქმა; მაგალითად, ერთ-ერთ ძველში ვკითხულობთ: „არა თუ ვის გონებასა ვასწავებ“ (კიმენი, ტ. II, გვ. 140), მაგრამ სამაგიეროდ იქ აღარ გვხვდება „ჭკუა“.

ამრიგად, გამოდის, რომ ეს სიტყვები ზუსტად ერთნაირი მნიშვნელობისა არ ყოფილა, - და ეს ნათლად გამოამჟღავნა სხვა სიტყვებთან ურთიერთობამ.

ასევე შეიძლება ითქვას ავადმყოფობისა და სნეულის, ადათისა და ჩვეულებების, ბავშვისა და ბაღლის, ადვილისა და იოლის, განიერისა და ფართოს, ნიმუშისა და შავალითის, განდევნისა და გაძეგვისა, მკვირიცხლისა და ცქვიცხლის, ხელგაშლილისა და გულუხვის, გულახდილისა და გულდიას და მრავალი სხვა სინონიმური მნიშვნელობის მქონე სიტყვის შესახებ. ყველა მათ შინაარსობლივად იმდენი რამ აქვთ საერთო, რომ ერთი მნიშვნელობის სიტყვებად - სინონიმებად - მიგვანინა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მათ შორის რაღაც განმასხვავებელი მომენტები შეინიშნება. ხშირ შემთხვევაში ეს „რაღაც“ სტილისტიკური ელფერია, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს სხვადასხვა სტილისათვის დამახასიათებელ სიტყვებსა თუ გამოთქმებს.

როგორც ცნობილია, მეტყველების სხვადასხვა სტილის დასახასიათებლად ლექსიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, - და ეს სწორედ იმიტომ, რომ ლექსიკაში გამოიყოფა რამდენიმე ფენა სინონიმური სიტყვებისა, რომელთაც სხვადასხვა სტილისტური ელფერი ახლავთ, სხვადასხვა ემოციებს აღძრავენ. ცალკეულ სიტყვებსა და გამოთქმებში არეკლილია მოლაპარაკე სუბიექტის, ხოლო ზოგჯერ მთელი საზოგადოების ან მისი გარკვეული ფენის დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი.

ურია და ებრაელი ერთი და იმავე ხალხის სახელია, მაგრამ ურია დღევანდელ მეტყველებაში შეურაცხყოფელ იერს ატარებს, რადგან იგი სარწმუნოებრივ მომენტზე ამახვილებს ყურადღებას და შეიცავს უპატივცემობის გრძობას, რაც არ ახლავს მთრეულ სინონიმურ ერთეულს - ებრაელს. ზუსტად ასეთივე მდგომარეობაა რუსულშიც: **жид** და **еврей**.

მთურად კაცს, როცა ეუბნებიან „მთვრალი ხარო“, იშვიათია, რომ არ ეწყინოს, მაგრამ სულ სხვაგვარად აღებულობს იგი, თუ იმავე აზრს ამ სიტყვებით გამოხატავენ „ნახავამი ხარ“. მეუბნე შეურაცხყოფელია ამავე შინაარსის გამოხატველი გამტკვერალი (გზირიც, არყისგან გამტკვერალი, ვერაობა, როგორც ღორია).

ანალოგიურ ვითარებას გვინახებენ გამოთქმები: მიირთვი - ჭამე - ჩახეთქე, დაბრძანდი - დაჯექი - დაეგდე და სხვ. ერთი შეხედვით ისეთი მარტივი სიტყვებიც კი, როგორიცაა დასტურის გამოხატველი კი, ჰო, დიად - სულ სხვადასხვა ემოციურ იერს შეიცავს.

არსებითად ერთსა და იმავე შინაარსს გადმოგვცემენ გამოთქმები: სიმართლეს არ ამბობს, ცთება, ტყუის, ცრუობს... სტილისტიკურად კი ამათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა.

ობიექტური შინაარსის მიხედვით ასევე ერთია მობრძანდება, მოდის და მოეთრევა, მაგრამ ეს გამოთქმები გამოხატავენ მოლაპარაკე სუბიექტის სულ სხვადასხვანაირ დამოკიდებულებას იმ პირისადმი, ვინც მოდის. ასევე სხვადასხვა სტილისტური იერი ახლავთ ამ სიტყვებს, რომლებიც არსებითად ერთსა და იმავე მოვლენას გამოხატავენ: მოცედა, გარდაიცვალა, განისვენა, თქვენი ჭირი წაიღო, იმიერ სოფლიდან თავი დაგიკრა, ჩაძაღღდა, ფეხები გაფშოკა, სული განუტევა, სული დალია, სული ამოხდა, სული ამოსკრა და ა. შ. მსგავსი მაგალითების მოყვანა საკმაოდ შეიძლება.

ამგვარად, სინონიმებს ერთმანეთისაგან განასხვავებს გამოხატვენი ნიუანსი, ან სუბიექტური მომენტი - მოქმედის დამოკიდებულება აღსანიშნისადმი. რაღა თქმა უნდა, სინონიმთა ამ ნიუანსების წარმოქმნა-ჩამოყალიბება წარმოუდგენელია ცოცხალი მეტყველების გარეშე კერძოდ - დიალექტების მონაწილეობის გარეშე (თუცა ამ პროცესში, რასაკვირველია, სხვა ფაქტორებიც იღებენ მონაწილეობას). იმ განუწყვეტელი კავშირის შედეგად, რაც ხალიტერტრო ენასა და დიალექტებს შორის არსებობს, ცალკეული დიალექტიზმები იჭრებიან საღტერტრო ენის სასაზღვრო ფენაში, იძენენ გარკვეულ სტილისტურ ელფერს და ამყარებ,

სინონიმურ დამოკიდებულებას სალიტერატურო ენის შესაბამის ლექსიკურ ერთეულლებთან. შეიძლება ითქვას, რომ იმ სიტყვებისათვის, რომლებიც ამ გზით შეიჭრებიან ხოლმე სალიტერატურო ენაში, დამახასიათებელია უპირატესად მნიშვნელობის დავიწროება: შესაბამის სინონიმურ რნაში ჩადგომისას დიალექტიდან შემოჭრილი სიტყვა ინარჩუნებს რამდენიმე მნიშვნელობიდან მხოლოდ ერთს, ამავე დროს უფრო ვიწროსა და ზუსტ მნიშვნელობას. მნიშვნელობათა ამგვარი დაზუსტება და სტილისტური ელფერით შემოსევა აუზოტოპესებს ენის გამომხატველობის საშუალებებს, აუზოტოპესებს და ამდიდრებს ენის ლექსიკურ შემადგენლობას. ამიტომ შეუძლებელია სალიტერატურო ენამ უარი თქვას ყველა იმ სიტყვაზე, რომლებიც სინონიმური მნიშვნელობით იხმარებიან დიალექტებში.

სინონიმური დიალექტიზმების სალიტერატურო ენაში შემოჭრისა და მათი მნიშვნელობის დიფერენციაციის კარგი ნიმუშია სიტყვები რკო და მუხა. ეს იშვიათი შემთხვევაა ქართულში, რომ მცენარეს სხვა სახელი ჰქვია და მის ნაყოფს კიდევ — სხვა ჩვეულებრივ, მცენარისა და მისი ნაყოფის სახელი ერთი და იგივეა. მაგალითად, ვაშლი ხესაც აღნიშნავს და ნაყოფსაც. ასევე მსხალი, ლეღვი, წაბლი, ატამი და სხვანი. ასევე უნდა ყოფილიყო ძველი რკოც და მუხაც, ოღონდ სხვადასხვა დიალექტში გავრცელებული. როგორც პროფ. ა. შანიძე აღნიშნავს, რკო მართლაც ორივე მნიშვნელობით დასტურდება ძველ ტექსტებში: იგი ნიშნავს როგორც ნაყოფს, ისევე ხესაც (მაგალითად: „თხმთა მათასა უზოგოდ დენ და ბორცუთა ზედა დასწუვიდნ რკოსა ქუეშე და ხესა ჩრდილოანსა“; ოსე 4, 13 MT; აშკარაა, რომ აქ რკოს ხის მნიშვნელობა აქვს). „ამის მიხედვით შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ძველად ზოგ ქართულ კიდოში ხის აღსანიშნავად რკოც იხმარებოდა. ოღონდ შემდეგ, როცა კიბოთა უმრავლესობაში საბოლოოდ მუხამ მოიკიდა ფეხი, რკოს მნიშვნელობა დავიწროვდა და მარტო ნაყოფის აღსანიშნავად იქნა გამოყენებული...“

რკოს ორგვარი მნიშვნელობა (ნაყოფისა და ხისა) გვაფიქრებინებს, რომ მუხასაც თავის დროზე ორგვარი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რომელთაგანაც დღეს მხოლოდ ერთია ცნობილი (ხისა)²⁷.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა სიტყვებში ძეწკვი და ჯაჭვი. წარმოშობით ორივე ეს სიტყვა ერთია: ჯაჭვი ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია ძეწკვისა მეგრულში. შემდეგ ეს სიტყვა (ჯაჭვი) მეგრულიდან ქართულს შეუთვისებია და თითოეული ამათანისათვის უფრო ზუსტი მნიშვნელობა მიუცია.

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესწავლა არა ერთსა და ორს ასეთ ფაქტს გამოავლენს.

მნიშვნელობათა გამოიჯნა-დაზუსტებისაკენ მისწრაფება შეიმჩნევა აგრეთვე სხვადასხვა დიალექტში ხმარებულ ზოგ იმ სინონიმში, რომლებიც ჩვენ ზემოთ დავახატულ საილუსტრაციოდ. ამგვარი რამ აშკარად შეინიშნება, კერძოდ, ისეთ სიტყვებში, როგორცაა კვამლი და ბოლი, სეტყვა და ხოშაკაქალი, ქვევრი და ჭური...

მაგალითად, ბოლი შედარებით ფართო მნიშვნელობით შეიჭრებოდა, ვიდრე კვამლი, რომელიც მხოლოდ ცეცხლთან დაკავშირებით იხმარება (მაგ: „ურგზე ბოლი აადინა“, მაგრამ არავინ იტყვის „ურგზე კვამლი აადინა“). სიდიდესპატარაის მიხედვით შეიჭრებოდა თითქმის განსხვავება სეტყვასა და ხოშაკაქალს შორის: სეტყვა უფრო მსხვილია. მართალია, დარღვეულ საქართველოში ხოშაკაქალი უფრო გავრცელებული სიტყვაა, მაგრამ სეტყვაც არა უცნობია: სეტყვასათვის მოდისო, — იტყვიან გააუბულ კაცზე; საყოველთაოდ გავრცელებული ანდახაა: „მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა“. სხვა არა იყოს რა, სიტყვათწარმოების მხრივ უნარაც სეტყვას აქვს: დასეტყვა, დასეტყვილი, ნასეტყვი და სხვ. (ხოშაკაქალსაგან კი ნაწარმოებია მხოლოდ ერთი ფორმა — ხოშაკაქალავს: „თოვს, თოვს, ხოშაკაქალავს...“).

ზოგიერთი დიალექტის მიხედვით სეტყვის სინონიმად კოხი გვევლინება. სალიტერატურო ქართულს ამ შემთხვევაშიაც აქვს ტენდენცია, დააზუსტოს მნიშვნელობები: კოხი — ქვის სეტყვა (ხაბაბს განმარტებით, კოხი ქვაა, რომელიც ცეცხლში არ დასქდება). განსხვავების ტენ-

²⁷ ა. შანიძე, ეტიმოლოგიური ძიებანი, I. რკო და მუხა; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხეხია, მოხსენებათა თეზისები, 1947, გვ. 3.

დენცია არის ქვეყრსა და ჭურს შორისაც: ჭური პატარა ქვეყრია, - გამოგონია (ზოგან მას ქოცოს უწოდებენ). ამოსავლეთ საქართველოში ქვეყრები მარანშია დაფლული, დასავლეთ საქართველოში კი უმეტესად ღია ცის ქვეშ, ჩრდილიან ადგილას, ჭურის თავზე უმართებულო იქნებოდა, რომ ვინმეს მოესურვებინა სიტყვა ჭურის სახსებით განდევნა სალიტერატურო ენიდან და ამის გამო ეხმარა „ქვეყრისთავი“ („ჭურისთავის“ მნიშვნელობით).

უკვეყლად შეიძინევა განსხვავების დამყარებისაკენ დტოლვა ისეთ სინონიმურ წყვილში, როგორცღოა თხუნელა და მუდო. ეს უკანასკნელი უფრო გადატანის მნიშვნელობას იძენს: მუდო კაცია, მუდოსაებით დაძვრებო, - ამბობენ.

ანდა ავიღოთ სიტყვები შვილიშვილი და ბადიში. ეს უკანასკნელი სიტყვა გავრცელებულია გურულ დიალექტში, იგი აღნიშნავს მეოთხე თაობასაც, ე. ი. შვილიშვილის შვილს, ანუ როგორც ზოგნი უწოდებენ - შვილთაშვილს. შვილთაშვილი ვერაა მაინცდამაინც მოხდენილი ტერმინი, მის დამკვიდრებას ხელს უშლის თუნდაც ის გარემოება, რომ იგი ფონეტიკურად ძალიან ახლოს დგას შვილიშვილთან, ბადიში კი ამ მხრივ გაცივლებით უფრო კარგი და უნაკლო სიტყვაა და იგი ადვილად შეიძლება შეითვისოს სალიტერატურო ენამ. ამ მნიშვნელობით ხმარობს კიდევ მას მ. ჯავახიშვილი: „ასეთი კაცის ბადიში - პატარა ზაალი - ამოდენა ხალხს, შინაურსა და უცხოის, უბრალოდ ვერ დაეგანახებოდა“ (არს. მარაბდ.). იქვე შენიშვნებში წერია: „ეროვლ ორბელიანი ერეკლეს ბადიში (შვილის-შვილის შვილი) იყო.“ იყენებენ ამ სიტყვას სხვა მწერლებიც. მაგალითად: „შენთან მოედო მოების ბადიში“ (რ. მარგანი - „სოფელი ადიში“) და სხვ.

გვაქვს ისეთი სინონიმური წყვილებიც, რომელთაგან ერთს სხვა მნიშვნელობაც აქვს და ამიტომ ძირითადი მნიშვნელობით სჯობია დამკვიდრდეს მეორე სიტყვა. ასეთია, მაგალითად, კაკალი და ნიგოზი. მხატვრული ლიტერატურის ენაში ორივე სიტყვა თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება (ე. კ. გაბაშვილის მოთხრობას სათაურად აქვს „რენი კაკლის ხე“, ვინ. ნინოშვილის „სიმონაში“ ღაპარაკია ნიგოზის ხეებით ვაჭრობაზე). მაგრამ კაკალი ძალიან ხშირად იხმარება აგრეთვე სხვა მნიშვნელობითაც: კაკალი კაცი, კაკალი გული, თვალის კაკალი და ა. შ. ამიტომ უკუდი არ იქნება, თუ ხისა და მისი ნაყოფის სახელად ენაში დამკვიდრდება მეორე სიტყვა - ნიგოზი. ანდა, შესაძლებელია, ამ სინონიმთა დიფერენცირება ასე წარიმართოს: კაკალი დაერქვას ნაყოფს ნაჭუჭიანად, ნიგოზი კი მის გულს, საჭმელად ვარვის ნაწილს. ასეთი განაწილება მნიშვნელობისა ამ ორ სიტყვას შორის შეინიშნება კიდევ ამოსავლეთ საქართველოს კუთხეებში.

გვაქვს სინონიმები ბიცოლა და ძალო. ეს უკანასკნელი მიღებულია რძალ-ის (უფრო სწორად - ძე ქართული სძალ-ის) წოდებით ფორმისაგან და ფონეტიკურად დიდად არ დაშორებია მას, მაშინ როცა ბიცოლა მხოლოდ ბიძის ცოლად პქვია და თავისი აკებულდებითაც კარგად გამოხატავს ამ შინაარსს (შეადარეთ: მამიდა, დეიდა, შვილიშვილი და სხვ.).

მაინც რომელი ერთი უნდა დამკვიდრდეს სალიტერატურო ენაში, რომელია მისთვის უფრო მისაღები, ეს რეფორმების გზით ვერ გადაწყდება. ამგვარ შემთხვევებში, ვფიქრობთ, საჭიროა თავისუფალი არჩევანის ნება და ენა თვითონვე დაეგანახებს, რომელს მიეცემა უპირატესობა ან საით წარიმართება მათი მნიშვნელობის დიფერენცირება.

უნა თვითონვე დაეგანახებოს“ რომ ვამბობთ, ამის ერთდერთი საზომი ხალხში დამკვიდრება: სინონიმთაგან ერთ-ერთი საბოლოოდ მოიკიდებს ფეხს ხალხის მეტყველებაში, მეორე კი გაქრება ან მნიშვნელობას შეიცვლის. ამ შემთხვევაში სალიტერატურო ენა უნდა მიჰყვეს ხალხის მეტყველებას და ორივე ფორმას უნდა მისცეს გზა, ვიდრე ნათლად არ ჩამოყალიბდება ესა თუ ის ტენდენცია.

სინონიმურ დიალექტისმთა შერწყმისას არ გამოდგება საზომი - მაინცდამაინც ის სიტყვა ვისმართ, რომელიც სალიტერატურო ენის ფუძე-დიალექტში გავრცელებული. მე ვფიქრობ, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს სიტყვის გავრცელების არეს: სინონიმურ დიალექტისმთაგან უფრო ადვილად დამკვიდრდება ის სიტყვა, რომელიც გავრცელებულია ხალხის უმეტესობაში, დიალექტით მერწილში. ასე, მაგალითად, სიტყვა ჭკავი უფრო გავრცელებულია, ვიდრე ხვილი და ის არის კიდევ დამკვიდრებული სალიტერატურო ენაში (თუმცა არც მეორე სიტყვა გადასაღლები: ფერის აღსანიშნავად იხმარება ხვილისფერი და არა ჭკავისფერი).

გარკვეული მნიშვნელობა აქვს ტრადიციასაც: სალიტერატურო ენაში მრავალგზის ნახშირი სიტყვა ვერ აღვიღად ვერ იქნება დაწუნებული. მაგალითად, ყოყმანი და ჭოჭმანი მნიშვნელობით სინონიმებია (თუმცა მათ შორისაც არსებობს ერთგვარი სტილისტური და შინაარსული განსხვავება). მართალია, ამათგან საყოველთაოდ უფრო გავრცელებული სიტყვა ყოყმანი, მაგრამ არ შეიძლება პარალელურად ჭოჭმანის ხმარება დაუშვებლად მივიჩნიოთ, გავამკეთოთ იგი სალიტერატურო ენიდან. არ შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ ამ სიტყვას ხმარობს დიდი შოთა: „ესე ამაზე სპარსული ქართულად ნათარგმანებო... ვიოვე და ლექსად უარყოფა. ბვერი მათგანი გამოადგება სალიტერატურო ენას, დამკვიდრდება და გაამდიდრებს მის ლექსიკურ შემადგენლობას.“²⁸. იგი ნახშირი აქვს აგრეთვე აკაკი წერეთელს, თანამედროვეთაგან - კ. გამსახურდიას და სხვებს.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით ცხადია, რომ სინონიმურ დიალექტიზმა შერჩევის დროს განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. არ შეიძლება ამა თუ იმ სიტყვის ხელაღებით უარყოფა. ბვერი მათგანი გამოადგება სალიტერატურო ენას, დამკვიდრდება და გაამდიდრებს მის ლექსიკურ შემადგენლობას.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს ჩვენს სალიტერატურო პრესაში ენის საბითუმზე მსჯელობის დროს შეინიშნება ტენდენცია - ენის სიწმინდის საბაბით უარყონ არამც თუ ისეთი დიალექტური სიტყვები (მათ შორის ზემოხსენებულია მსგავსი სინონიმური დიალექტიზმები), რომლებიც ჯერჯერობით შეთვისებული არაა სალიტერატურო ენის მიერ, არამედ ისეთებიც, რომლებიც დამახასიათებელია მოველი ხალხის სასაუბრო ენისათვის და გარკვეული სტილისტური ელფვრით უკვე დამკვიდრებულია სალიტერატურო ენაშიაც.

როგორ შეიძლება შევიწყნაროთ ზოგ-ზოგი ზერელე რეცენზენტის მოთხოვნა, რომ ქართული სალიტერატურო ენიდან განიდევნოს, მაგალითად, სტილისტური და აზრობლივი ნიუანსების შემცველი და ხალხში ფართოდ გავრცელებული ისეთი წმინდა ქართული სიტყვები და გამოთქმები, როგორცაა გაიძრო („ტანსაცემულ გაიძრობდნენ“ კი არ უნდა ითქვას, არამედ „გაიხდიდნენ“), დააცხავა, დაღვედრა (ცხენი), ერთმანეთს რტებით სჩხვერავენდენ, მოგვერდი უნდო, შეიღო სკოლაში დაუდიოდა, ანბანი გაეცეკვეთ და სხვანი. სალიტერატურო ენის ერთი ასეთი „მზრუნველთაგანი“ იქამდეც კი მივიდა, რომ დღევანდელი სიტყვა იმოდენაა, ნახშირი ს. კლდიაშვილის მოთხოვნაში. ამავე დროს კი ამ სიტყვას ხმარობს მთელი ხალხი და მათთან ერთად ხმარობს თითქმის ყველა ქართველი მწერალი.²⁹

არ შეიძლება სალიტერატურო ენაში შემოჭრის უფლება წავართვათ ისეთ სიტყვებს, რომლებიც ერთი შეხედვით თითქმის დიალექტურია, მაგრამ ავტენტური ქართული ენის ბუნების შესაბამისად, წმინდა ხალხურია. რომ უარყვით, მაგალითად, ისეთი მოკვეთილი და შინაარსულოდ ნათელი სიტყვა, როგორცაა ამა სობაში, მის მაგიერ მოველი ფრაზა გახდება საჭირო. „ამასობაში რუსეთ-ოსმალეთის ომი თავის გზით მიდიოდა“, - წერს მ. ჯავახიშვილი „არსენა მარაბდეღში“ და ეს სიტყვა „ამასობაში“ არა თუ გვეწოდებოდა, არამედ პირიქით, ამაჰარად ვგრძნობთ, რომ სხანაირად ფრაზას დაეკარგებოდა მოქნილობა და სისხარტე.

უკვე არქაულ სიტყვად ქცეული აწ (ახლან-ს მნიშვნელობით) ვერ შეუშლის ხელს, რომ სალიტერატურო ენაში დამკვიდრდეს სასაუბრო მეტყველებაში ფართოდ გავრცელებული აწი („ამიერიდან), რომელსაც მწერლობაში ხმარობენ კიდევ ისეთი გამოჩინილი სიტყვის ოსტატები, როგორც არიან გ. ტაბიძე, კ. გამსახურდია და სხვანი. პირდაპირ ხატოვან გამოთქმას ეტოლება ხალხში გავრცელებული სიტყვა არაკაცია. არ შეიძლება უარყვით ახალ-უხალნი, ისევე როგორც აბდაუბდა, ბაქიბუქი და სხვანი. ამ სიტყვათა უმე-

²⁸ არა ვგვონია, რომ აქ საჭოჭმანები წარმოადგენდეს ცნობილის სინონიმს, როგორც ეს მიჩნეულია ალ. ნეიშანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“, 1950 წ., გვ. 393.

²⁹ ის კი უნდა ითქვას, რომ ზოგი მწერალი ვერ ამჩნევს განსხვავებას და ერთი-მეორის ადგილას ხმარობს ფორმებს იმოდენი და იმოდენა (ოდენი და ოდენა): ოდენი (ამოდენი, იმოდენი, ნაპერწკლებს ოდენი, ვარსკვლავების ოდენი), რაოდენობაც მომენტს აღნიშნავს, ოდენა კი სიდიდეს, ზომას (მთის ოდენა, ზღვის ოდენა, ცეროდენა). იმიტომ უკარგისია გამოთქმები: ტაღლის ოდენი, ზეცის ოდენი და სხვანი (სხვათა შორის, ამ უკანონო ფორმებს ლექსებში ვხვდებით სტრიქონის ბოლოს, რათა მას „ოდენი“ ან „ოდენი“ შეურითონ).

ტესობა გუთენის ლექსის სხაუბრო ფენას და სალიტერატურო ენაში ხმარებისას ახლავს სათანადო სტილისტური ელფერი. დროთა განმავლობაში შეიძლება ეს ელფერიც გაქრეს და სიტყვა კიდევ უფრო ღრმად შეიჭრას სალიტერატურო ენაში. ამგვარ სიტყვათა უარყოფის მოთხოვნა არსებითად ნიშნავს ბრძოლას ენის სიმდიდრის წინააღმდეგ, ენის წინსვლისა და განვითარების წინააღმდეგ. მით უფრო შეუწყნარებელია მოთხოვნა, რომ ამგვარი სიტყვები განიდევნოს მხატვრული ლიტერატურის ენიდან, სადაც ყოველ სიტყვას, როგორც ვთქვით, ესთეტიკური ფუნქციაც ენიჭება და ეს გარემოება მრავალმხრივ განაპირობებს ამა თუ იმ სიტყვის ხმარება-უხმარებლობას.

დავუბრუნდეთ ისევ სინონიმთა გამოყენების საკითხს, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ერთი სიტყვის გამოხატვა ფრაზაში ან თუნდაც მთელ აბზაცში, — „ერთ პერიოდში“, როგორც იტყვიან ხოლმე, — სტილისტურ უხერხულობას ქმნის, ფრაზის ემოციურ ძალას ანელებს (რასაკვირველია, თუკი ამას არა აქვს განსაზღვრული მხატვრული ფუნქცია). ამგვარი უხერხულობის თავიდან აცილება ხშირად შეუძლებელი იქნებოდა სინონიმთა გამოყენებულად. მაგრამ ეს არაა, რა თქმა უნდა, მთავარი. მთავარია ის, რომ სინონიმებს, როგორც ზე-ენის ვაშლივით, ახლავს სხვადასხვა შინაარსობლივი ნიუანსი ან ემოციური ელფერი, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხატვრული ნაწარმოების სტილისტიკის. მხატვრული ლიტერატურის ენა წარმოუდგენელია სინონიმების გარეშე, — სინონიმებისა, რომლებიც გამოიხედავს როგორც სტილისტური ნიუანსების გადმოსაცემად, ისე ფრაზის კეთილშობიანების შესაქმნელად.

სტილისტური ნიუანსების გადმოსაცემად სინონიმთა მონაცვლეობის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს ბატონისა და ყმის, ლუარსაბისა და დათოს საუბარი „კაცია-ადამიანში“:

- მეზურემ მწვანილი მოიტანა? — კითხავდა კიდევ ბატონი.
- მოიტანა.
- ტარხუნა ხომ არ ის?
- გახლავს.
- კიტრი!
- კიტრიც გახლავს...
- მაშ სახლი სასვე ყოფილა, — სთქვა ბატონმა სიამოვნებით.
- როდის გხვდებით ნაკლული, შენი ჭირიმი, რომ ეხლა იყოს?“

არის და გახლავს ერთმანეთის სინონიმებია, ლექსიკური მნიშვნელობა ორივეს ერთი აქვს, მაგრამ გახლავს იხმარება უფროსისადმი მიმართულ მოკრძალებულ საუბარში და მორიდება-პატივისცემას გამოხატავს. ამიტომაცაა, რომ ბატონის შეკითხვაზე „ტარხუნა ხომ არ ისო“, მოურავი უპასუხებს: „გახლავს“. ამრიგად, თავად დიალოგი, ავტორის ჩარევის გარეშე, ორგანულად გამოხატავს მოსაუბრეთა დამოკიდებულებას.

რამდენიმე სინონიმური წყვილი გვაქვს ერთ ფრაზაში კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებლიდან“:

„ბებერი ვეწვალე, ჩემო მხარაი, მაინც ვერ შევკათვისებინე კაცურად სიარული ადამიანებს, ეს-ღა მწადია ახლა: ნადირებს შევკასმინო ადამიანურად სვლა“:

აქ ერთმანეთს ენაცვლებიან სიარული და სვლა, კაცურად და ადამიანურად, შეკათვისებინე და შევკასმინო. ფრაზის ემოციური ძალა ამის შედეგად უსათუოდ მატულობს.

მოიყვანათ კიდევ ორიოდე ანალოგიური მაგალითი იმავე რომანიდან:

„ყოველი კაცი იმას უნდა ცდილობდეს, ჭადილის დროს შემოდგომის ქუხილს როდი მიბაძოს, ამაოდ მოგრუხუნეს ეთერში, არამედ გრგვინვას გაზაფხულისას, წვიმების მოსვლას რომ ვეაუწყებს წინასწარ“; „თუმცა უჩვეულოდ ენა მრავლობდა დღიანობა, მაგრამ სოგჯერ მისი დუმილი უფრო მეტად ენა მშვენიერობდა“; „განცვიფრების იერი ემატებოდა ისედაც გაოცებულ მის დიდრონ თვალებს“ და სხვ.

ამგვარი მაგალითების მოყვანა ჩვენს სიტყვის ოსტატების ნაწერებიდან მრავლად შეიძლება. მაგრამ ეს სპეკულატიური შესწავლის საგანია. აქამდე კი, ჩვენი დებულების სადღუსტრაციოდ, ვფიქრობთ, ნათქვამიც საკმარისია. ოღონდ აქვე არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ითქვას მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებით.

ყოველ ენას სინონიმთა სხვადასხვა რაოდენობა გააჩნია; ამა თუ იმ შინაარსის გადმოსა-

ცმად ერთ ენაში შეიძლება მეტი სიტყვა იყოს, ვიდრე მეორეში; სხვა ცნებისათვის - პირიქით, შეიძლება პირველს უფრო ნაკლები სიტყვები აღმოაჩნდეს, ვიდრე მეორეს. ესეც რომ არ იყოს, ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სიტყვის მნიშვნელობა რეალურ კონტექსტში ვლინდება და რომელიმე სიტყვა ამა თუ იმ კონტექსტში შეიძლება სავსებით ბუნებრივი იყოს ერთი ენისთვის, მაშინ როცა მისი შესატყვისი, იმავე შინაარსის გადმომცემი სიტყვა მეორე ენაში იმავე კონტექსტისათვის არ გამოდგება, შეუფერებელი და არაბუნებრივი იქნება. მთარგმნელის ვალაია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხატვრულად სწორი და ზუსტი შესატყვისი მოუძებნოს ფრაზას, უამისოდ მხატვრული თარგმანი წარმოუდგენელია.

ქართული მთარგმნელისათვის სანიშნოა ივ. მანაბლის მუშაობა სინონიმთა გამოყენების მხრივ. ამგვარი მუშაობის რამდენიმე დამახასიათებელი ნიმუში მოყვანილია ვ. ჭელიძის მეტად საყურადღებო გამოკვლევაში. აი, მაგალითად, როგორ ცვლის ერთი და იმავე ინგლისური სიტყვის ქართულ შესატყვისებს ივ. მანაბელი იმის მიხედვით, თუ როგორია რეალური კონტექსტი: „მიტიოუს“ ნიშნავს „პატივმოყვარეს“. „კამლეტი“ ჯარისკაცი სიამაყით იხსენებს დამარცხებულ მტერს, ნორვეგთა მეფეს და მას უწოდებს „ამბიტიოუს“-ს.

When he th' ambitious Norway Combated („კამლეტი“).

მანაბელს რომ „პატივმოყვარედ“ ეთარგმნა ეს სიტყვა ამ კონტექსტში, თარგმანი პირდაპირი იქნებოდა, ზუსტიც, მაგრამ ჯარისკაცის განწყობილების არ გადმოსცემდა. აქ თავისი ქვეყნის გამარჯვებით გაამაყებული ჯარისკაცი ავადებულად ახსენებს მტერს, დასცინის მას და მთარგმნელსაც ისეთი სიტყვა უნდა შეეჩნია, რაც მის ნამდვილ განწყობილებას გამოხატავდა.

როს დაამარცხა თავგასული ნორვეგიელი.

თარგმნა მანაბელმა და მართლაც ზედმიწევნით სწორად გადმოსცა გმირის დამოკიდებულება მტრისადმი.

სხვა ადგილას იგივე სიტყვა სულ სხვა კონტექსტში გვხვდება.

Stand still a m b i t i o u s debt is paid („ოულიუს კეისარი“).

აქ ბრუტის ხალხს ელაპარაკება თავისი მეგობრის - კეისრის შესახებ, რომელიც მას გულთ უყვარდა, მაგრამ სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების გამო მოკლა. ამიტომ არ შეიძლებოდა ბრუტოს ავადებულად ეხსენებინა კეისარი. ამ კონტექსტში იმავე სიტყვით რომ ეთარგმნა მანაბელს ინგლისური „მიტიოუს“, როგორც ზემომოყვანილ კონტექსტში თარგმნა, აზრის დამახინჯება იქნებოდა, არ გადმოსცემდა გმირის განწყობილებას. მთარგმნელი აქაც გმირის ხასიათისა და განწყობილების გახსნიდან გამოვიდა და სწორად გადმოგვცა ორიგინალის აზრი.

დამშვიდდით, ღირსად დიხსაჯა თავმოყვარეობა.

იმავე პრესაში ამ სიტყვას მანაბელი, კონტექსტისა და მოქმედების სიტუაციის მიხედვით, სხვადასხვაგვარადაც თარგმნის.

But as he was a m b i t i o u s, I slew him („ოულიუს კეისარი“).

მაგრამ მე დიდური იყო და ამისათვის მოეპაღ იგი - ამბობს ბრუტოსი, რომელსაც გულთ უყვარდა კეისარი და არ შეიძლებოდა მასზე ეთქვა ან „თავგასული“, ან „პატივმოყვარე“.

I am very... ambitious.

მე მეტიმეტად პატივმოყვარე ვარ („კამლეტი“).

სხვა პიესებში იგივე სიტყვა მანაბელს, შინაარსის მიხედვით, თარგმნილი აქვს „გულზეიადად“ და „ქედმაღლურად“³⁰.

ადვილია წარმოვიდგინოთ, თუ რა გამოვიდოდა, მანაბელს რომ ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე სიტყვა ეხმარა ამ ერთი ინგლისური სიტყვისათვის. გარდა იმისა, რომ დაირღვეოდა შექსპირის გმირთა სახეების ბუნებრივობა, მხატვრული ხსენება და სხვანი, გაღარბდებოდა აგრეთვე ქართული ენა, სრულიად არ გამოჩნდებოდა მისი შესაძლებლობანი.

თუ რომელიმე უცხო სიტყვა, რომლის გადაშოხაცეკმადაც ქართულში ოთხი-ხუთი სინონიმი არსებობს, ითარგმნა ყოველთვის მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის მეშვეობით, ეს იმას ნიშნავს, რომ დანარჩენებს ხე-

³⁰ ვ. ჭელიძე, ცხოვრება ივანე მანაბლისა, 1955, გვ. 237-238.

ლოვნურად ვუზღუდავთ გამოყენების არეს და თანდათანობით ვწირავთ დახალუხად, ე. ი. ვადარიბებთ ენას. კარგმა მხატვრულმა თარგამანმა კი უნდა გაამდიდროს მშობლიური ლიტერატურა და ამასთანავე ხელი შეუწეოს სალიტერატურო ენის წინსვლასა და განვითარებას. ასეთ თარგმანს შეიძლება წარმოადგენდეს ერთნაირი ლიტერატურის სანიმუშო ძეგლთა ტოლფასოვანი თარგმანი, რომლის ენაც შემოშავებული უნდა იყოს სალიტერატურო ენის ტრადიციებსა და ხალხის ცოცხალი მეტყველების ბაზაზე მოკლედ რომ მოეკრათ, მხატვრული თარგმანი უნდა იყოს შემოქმედებითი შრომის ნაყოფი, ამგვარი შრომა კი მხოლოდ შემოქმედ მთარგმნელს შეუძლია გასწიოს.

4.

ენის შინაგან ბუნებას მაკოფოდ გვიჩვენებს და ამიტომ სალიტერატურო ენისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მყარ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს: ანდაზებს, აფორიზმებს, იდიომატურ გამოთქმებსა და სხვებს, რომლებიც ასახავენ ხალხის ისტორიულ წარსულს, ზნეჩვეულებებს, ძველის-ძველ სარწმუნოებას, შორაღასა და სამართლის ნორმებს.

ასე, მაგალითად, ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის ანარკელია გამოთქმები: „ქულზე კაცის დაძახება“, „საბაბშიყო ზა“, „გაიარა კაკას ხიდი“, „ჩაილულის წყალი დაღია“, „მარილზე წავიდა“, „შაბზეა საქმე წასული“ და ა. შ. ამგვარი გამოთქმების წარმოშობა შეუძლებელია ავსნათ საქართველოს ისტორიის ცნობილ მოვლენათა გაუთვალისწინებლად: გამოთქმა „გაიარა კაკას ხიდი“ ჩვენს ენას შემორჩა იმ დროიდან, როცა დიდად გავრცელებული იყო ტყვეთა სყიდვა და ოსმალეთ-საქართველოს საზღვარს (კაკას ხიდს) გაცილებული ქართველი, რომელსაც ოსმალების ბაზრებზე გახავიდად მოიტაცებდნენ, საბოლოოდ განწირული იყო ტყვეობისათვის. ამ გამოთქმის ანალოგიური აღმოსავლეთ საქართველოში – „ჩაილულის წყალი დაღია“. იდიომი „მარილის მოსატანად წავიდა“, რაც სიკვდილის სინონიმია, გვიჩვენებს, თუ რამდენად ძნელი უნდა ყოფილიყო ძველად ქართველი კაცისათვის მარილის მოტანა: მარილზე წასულები ხშირად იღუპებოდნენ და ვეღარ ბრუნდებოდნენ უკან.

ჩვენს წინაპართა სარწმუნოებისა და ზნეჩვეულებების გადმონაშთია ისეთი საყოველთაოდ ცნობილი ხატოვანი გამოთქმები, როგორცაა აკენაცვალდე, „შემოგვედე“, „სახვიით შერჩა“, „აღლიაში გატარება“, „თავსღაფის დასხმა“, „შურცხვა ცხვირი“, „ყურებზე ხახვი არ დამატრა“ და სხვანი. ძველად დაუშვებლად მიანდათ პირდაპირ ჭიკჭიკ: სათელი (ან ცეცხლი) ჩააქრეთ, სუფრა დაღავეთ, ან პური არა გვაქვსო, თითქოს ასე პირდაპირ თქმას შეეძლო გამოეწვია ოჯახის უბედურება, ცეცხლის სამუდამოდ გაქოება, ან საზრდოს გაწვევრა. ამიტომ ასეთ შემთხვევებში მიმართავდნენ ე. წ. ეფემისტურ გამოთქმებს, რომლებიც დღევანდლამდე დარჩა ხალხში: ცეცხლი (საათელი) მოასვენა (ე. ი. ჩააქრეთ), სუფრას აუმატეთ (ნიშნავს: ააღლავეთ!), პური სახვით გახლავთ (იგულისხმება: არ არის) და ა. შ.

ამგვარ ფრაზებში, რომლებიც მეტწილად უცვლელი, გაქვავებული ფორმითაა წარმოდგენილი, დაცულია ბევრი ისეთი სიტყვა, ცალკე რომ იშვიათად იხმარება ან სულაც არ დამსტრფობა. ამიტომ იდიომში შემავალ ცალკეულ სიტყვათა მნიშვნელობა ყოველთვის ნათელი რრდება. „დროსაღიეთ აირიო“ – თითქმის ყველა ხმარობს, მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ დროსხალი ერთგვარი შეტკამანდია, დო და სხვადასხვა ფხალეულია ერთად არეული. „ორომტრიალის“ შემადგენელი სიტყვა ოროში დაბადლეხა ფიცარს ეწოდება, რომელზედაც ცოლს აწიკობენ თონეში ჩაკეის დროს. ჯაგვა („ცხოვრებაში გამოჯაგული“) საქონლის ხედნას ჰქვია³¹.

ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა დროთა ვითარებაში ისე დაბნელებულია, რომ მისი გარკვევა სპეციალური ენათმეცნიერული კვლევა-ძიების გარეშე საერთოდ შეუძლებელია. მაგალითად, „ახუნად აიგლო“ ვამბობთ, და არ ვიცით, რას ნიშნავს აბუჩი, „ხელი მოეკრა“ ხშირად იხმარება, მაგრამ ძნელა დავადგინოთ, რა არის ან სიტყვის ძირი და რას ნიშნავს იგი. ამიტომ ბუნებრივია, რომ იდიომის დაშლა შემადგენელ ელემენტებად ხშირად არ ხერხდება. მაგრამ ეს არც არის საჭირო იმისათვის, რათა დავადგინოთ მთელი იდიომის მნიშვნე-

³¹ ამგვარ მაგალითებში საკმაოდ ხშირია უცხო სიტყვის ხმარებაც. მაგალითად, „აბრუს არ იტყხს“ – აბრუს ხარხულია და პირის წყალს (ე. ი. სინდისს, ნაშუსს) ნიშნავს; „აინუნშიც არ მომისი“ – აინუნ არაბულია თვალებს ჰქვია; „შეინ ქოქი კი გაწვდა“ – ქოქი თურქულია და ძირს, ფეხს ეწოდება.

ლობა; არ არის საჭირო, რადგან იდიომატურ გამოთქმას, მართალია, შესიტყვების ფორმა აქვს, მაგრამ მისი მნიშვნელობა შემადგენელ სიტყვათა ჩვეულებრივი მნიშვნელობებიდან არ გამოიზიარებოდა. იდიომის საფუძვლად უდევს მეტაფორული, გადატანითი ანუ ხატოვანი მნიშვნელობა, რაც ენიჭება მთელ კონტექსტს, მთლიანად გამოთქმას.

იდიომის პირდაპირი მნიშვნელობით გაგებისას შეუსაბამობას ან აშკარა უახრობას მივიღებთ ხოლმე. ასე, მაგალითად, ბანზე აგდება სიტყვისა პირდაპირ ამას ნიშნავს: „სახლის სახურავზე ასროლა მოლაპარაკის ნათქვამისა“, მზე იკბინება – „მზე კბილებს არტულის რაშიმე“, მკლე მადლობა – „გამხდარი, უცხიმო მადლობა“, ნამუსუ გაქინდი – „უსიაც ნამუსი სითხეში რაშიმე აქვს გახსნილი“, დეინო მოეკიდა – „დეინომ მხმელს ხელში ჩასჭიდა, დაებლაუჭა“, ძილის გატეხა – „ძილის დამხხერევა, ნატეხებად ქცევა“, კუდიანი ტყუილი – „ტყუილი, რომელსაც ხერხემლის ვაგრძელება აქვს“ და ა. შ.³²

აქედან გასაკვირი, თუ რატომ არ ხერხდება უმეტეს წილად იდიომების თარგმან ერთი ენიდან მეორეზე. ამიტომაცაა, რომ იდიომების განმსახლრეულ არსებით ნიშნად ზოგიერთს სწორედ მათი თარგმნის შეუძლებლობა მიანიჩა. ეს, რასაკვირველია, არ არის სწორი, რადგან ზოგჯერ იდიომატურ გამოთქმათა თავისებურებიდან გამოიზიარებ შედეგია და არა მისი მიხეში. მაგრამ თავისთავად ეს გარემოება მეტად საყურადღებოა, რამდენადაც იგი გვიჩვენებს, რომ ესა თუ ის იდიომატური გამოთქმა მხოლოდ ცალკეული ენისათვის არის დამახასიათებელი და, მაშასადამე, იგი ყველაზე უკეთ გამოხატავს ენის ბუნებას, ქმნის მის კოლორიტს.

დაახლოებით ასევე შეიძლება ითქვას სხვა მყარი ფრაზოლოგიური ერთეულების მიმართაც. ენის ლექსიკური სიმდიდრე უუჭველად გულისხმობს ამგვარი ერთეულების სიმდიდრესა და მრავალფეროვნებასაც. ბუნებრივია, რომ მათი რაოდენობა მით უფრო დიდია, რაც უფრო დღიად არის განვითარებული ენა და ხანგრძლივია მისი ტრადიციები.

ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა მდიდრული და ვრცელი, სამტომიანი ლექსიკონი ეკუთვნის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს და მწერალს თეოდ სახოკიას, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში კრებდა მასალებს ამ ლექსიკონისათვის. მიუხედავად ამ უხარმაზარ მასალისა, რაც თავმოყრილია აღნიშნული ლექსიკონის სამ ტომში, მაინც შეიძლება ითქვას, რომ იგი სრულად ვერ ამოწურავს ქართულ იდიომატიკას.

მის გასათვალისწინებლად, თუ რა ხდება მასალას შეიცავს ქართული ენა ამ მხრივ, შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ციფრები: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოქვეყნებულ ოთხ ტომში ცალკეული სიტყვების გვერდით წარმოდგენილია 7.102 იდიომატური თუ სხვა სახის გამოთქმა (I ტომშია 1405 იდიომი, II ტომში – 1798, III ტომში – 1965 და IV ტომში – 1934). სავარაუდებელია, რომ ასევე მრავალრიცხოვანი იქნება იდიომატური მასალა ლექსიკონის მომდევნო ოთხ ტომშიაც.

საიდუსტრაციოდ მხოლოდ ორი მაგალითით დაგვამოყვინდებთ: გულთან დაკავშირებით ლექსიკონში (ტ. II) შეტანილია შემდეგი გამოთქმები: გული მოუვიდა, გული გაუტყდა, გული დასწვდა, გული ეტკივა, გული დაეწვა, გული ამოუჯდა, გული დაეჩაგრა, გული აემღვრა, გული აუნუგდა, გული დაუშეშვინდა, გულს მოეშვა, გულს გადაეგვრა, გული მოუბრუნდა, გული მოეცა, გული ეთანადრება, გულის ქნჯნა, გული შესტკივა, ვისიმე გული დაიმორჩილა, გულში ჩაიდო, გულიდან ამოიჭრა, გულიდან ამოიღო, გული დაუღო, გული აიყრა, გული ერევა, გულიდან გადაეგარდა, გულში ჩარჩენა, გულის ძილი, გულის სწორი, გულის ტოლი, გულზე ხელდაკრეფილი, გახურებულ გულზე, ხელის გული, ფეხის გული, მზის გული, დიდი გული აქვს, გული არა აქვს, გულს აკლია, გულამოვარდნილი და სხვ.

კიდევ უფრო მეტია გამოთქმები თვალთან დაკავშირებით (ტ. IV): თვალად, თვალით (კარგი თვალით უყურებს), საკუთარი თვალით ნახავს, თვალითაც არ უნახავს, თვალთ აღარ დაეჩახვო, ავი თვალი (ავ თვალს არ დაეჩახვება), გონების თვალი, დედავ და თვალთ, ტკეის თვალთ უყურებს, თვალი გატეხილი აქვს, თვალი გრძელად მჭრელი აქვს, თვალიდან არ კარგავს, თვალიდან არ იშორებს, თვალიდან გაქრება, თვალეტი დააწვდა, თვალეტი დასხმა, თვალი ეცემა, თვალი ზედ რჩება, თვალეტი უბნელდება, თვალეტი დაუბნელდება, თვალი დაუღდება, თვალეტი ტამს, თვალეტი იქცევა, თვალეტი ქცეული, თვალის დასანახავად უჯავ

³² იხ. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. I – 1950 წ., ტ. II – 1954 წ., ტ. III – 1955 წ.

რება, თვალის დახამხამებაზე, თვალი უთამაშებს, თვალის მოშრედი, თვალის სინათლე, თვალის ჩინი, თვალი უჭირავს, თვალი უჭრის, თვალი შეუვა, თვალს ადევნებს, თვალს აკლია, თვალის აბმა, თვალეები აუჭრელდა, თვალის ახვევა, თვალის ახელა, თვალს გაუმაგრებს, თვალს გაუმართავს, თვალს გაუსწორებს, თვალს დაადგამს, თვალსა და თვალს შუა ბეწვს გამოაცლის, თვალებს დაითხრის, თვალს დაქრავს, თვალს დაიჭვრს, თვალს დაუყენებს, თვალს მოატყუებს, თვალს სტაცებს, თვალს ხცემს, თვალს ჰკრავს, თვალს მოჰკრავს, თვალს მოსჭრის, თვალს წაატყუებს, თვალებს შეაცივებს, თვალსა და ხელს შუა გაქრება, თვალს წყალს დააღვინებს, (ვისიმე) თვალში, თვალში აკლია (ვინმე ან რამე), თვალში ამოიღებს, თვალში გამოიხედავს, თვალში ეკლად ესობა, თვალს თვალს ეცემა, თვალში თვალს გაუყრის, თვალში მოსდის, თვალებში მტკერს (ნაცარს...) შეაყრის, თვალში უხის, თვალში ხედება, მუშტრის თვალით, (შიგ) ღვთის თვალი ტრიალებს, ბეჭდის თვალი, ძვირფასი თვალი, ნატერის თვალი, ერთი თვალი (სახლი, წისქვილი...), წყაროს თვალი, ხურჯინის თვალი, წინის თვალი, თვალის ამოღება (ამოყვანა) ჩხირით (ყისნაღით), თვალის გადაბრუნება, თვალის ჩაყარდა, თვალეების ჩაცვენა, სასულე თვალი...

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ ემოციურ იერს, ექსპრესიულობას, რაც იდიომატურ გამოთქმათა უმეტესობას ახასიათებს, ამას კი, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთავარული სტელისათვის. იდიომა, ჩვეულებრივ, რომელიმე სიტყვის ან გამოთქმის სინონიმია, მაგრამ სინონიმით შეცვლისას აღარ გვრჩება ის ექსპრესია და მკაფიო სტელისტიკური სახე, რასაც აძლევს მეტყველებას იდიომების ხმარება.

ბუნებრივია, რომ ხატოვანი გამოთქმების, იდიომების, ანდაზების სიუხვე განსაკუთრებით დამახასიათებელია იმ მწერალთა ენისათვის, რომლებიც საფუძველს უყრიდნენ სალიტერატურო ენას და თავგამოდებით იცავდნენ მის ხალხურობას.

როგორც პროფ. ა. შანიძემ აღნიშნა, „ილიას სამ შთავარ მოთხრობაში („გლახის ნაამბობში“, „კაცია-აღამიანში“ და „ოთარანთ ქერიში“) ორმოცდაათამდე ანდაზა და აფორიზმა შესული, როგორც მაგალითად, ასეთები: „ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს“ (გლ. ნ.), „თხის პატრონს არც თხის კული“ (გლ. ნ.), „აეი ძაღლი არც თეთონ სჭამს, არც სხვას აჭმევს“ (გლ. ნ.), „არა შეუდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“ (გლ. ნ.), „ცდა ბედის მონახვერეაო“ (გლ. ნ.), „მჯობს მჯობინ არ დალევაო“ (გლ. ნ.), „ხარი ხართან რომ დააბა, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო“ (კ. ად), „ერთი მაქვს სჯობს ათას მქონდას“ (კ. ად), „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო“ (კ. ად.), „როგორც ვიკორდეს, ისე ვიღირდეს“ (კ. ად), „ახალი ცოცხი კარგად ვეის, ძველი მოიგანს ქვიშასო“ (ოთ. ქვ.) და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ ილიას პუბლიცისტური და სხვა ნაწერებისათვის უფრო დამახასიათებელიცაა ანდაზებისა და აფორიზმების გამოყენება³³.

შემთხვევითი როდია, რომ ზემოთ დასახელებულ „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმებში“ საილუსტრაციოდ ყველაზე ხშირადაა მოყვანილი მაგალითები ილიას შემოქმედებიდან. იქვე მრავალადაა აგრეთვე მოითებული ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალ. ჟაბუკის, დ. კლდიაშვილის, ე. ბარნოის, შ. არაგვისპირელის ნაწერები, თანამედროვე მწერალთაგან - გ. ლეონიძე, რომლის ენა მართლაც რომ გამოირჩევა ხალხურობით და ხატოვან გამოთქმათა სიუხვით. უკანასკნელ ხანებში ამ მხრივ ფრიად საყურადღებო მოთხრობები გამოაქვეყნეს აგრეთვე ბ. ჩხიტიძე და გ. შატერაშვილმა.

სხვათა შორის, ერთ-ერთ მოთხრობაში გ. შატერაშვილმა შესანიშნავად დახატა მოხუცი კოლმეურნე მამალიხნე, როგორც ენის ბუნების მესაიდუმლე და ანკარა წყაროს თვალი:

„მამალიხნე...“

რახანა მისი ნათქვამი იმ უბის წიგნაკში აღარ ჩამიწერია, რომელსაც ხუმრობით თვალადური ლექსიკონი ღაპარქვი.

მამალიხნემ ენის არქეოლოგიად მაქცია. იტყვის რაღაცას და მერე უნდა მიჰყვე, მისდით, თხარო... რა არის, რას ნიშნავს, ვისგან გაიგონა? უნდა გადაფურცლო სქელტანიანი ლექსიკონი

³³ ა. შანიძე. ილია ჭავჭავაძე როგორც მეტროდი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებლისათვის. ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, სტალინის სახელის თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამ., 1939, გვ. 28.

ნები, შეადარო, გადაქექო საუკუნოვანი მტვერი, პირველი ფერი დაუბრუნო სიტყვას...
ხშირად მისი სიტყვა ლექსიკონის ძველი მკვიდრი აღმოჩნდება, გაგასხენდება, რომ წინათაც შეხვედრია, ამოგაწერია კიდევ, მაგრამ დროთა ბრუნვას მალე წაუშლია შენს ხსოვნაში...
მამაღვინე ცოცხალი ლექსიკონია თქმისა და სიტყვის, მისი ნათქვამი ღურსმანივით იტყვება ხსოვნაში. აბა სცადე და დავიწყე--

აი, თუნდაც... ის სუფრის თავში ზის. მეზობლები თამაშობას სთხოვენ, მამაღვინე დიდხანს ჯიუტობს, საუაროდ ათასგვარ მიზეზს იშველიებს, მაგრამ ბოლოს ტყდება და დიმილით ამბობს:

- რახან ჯოხი მომაყუდეთ და არ იშლით, თამაშობასაც გავწე!
 - ან კიდევ:
 - დათრობა რა ხაკადრისია, კაცი ის არის, ვინც სულისა და გულის მოსარწყავად ერთ-ერთ ჭიქას დაღვეს, იტყვის საკმარისიო, ადგება, გასწევს და შინ წავა--
 - შწვადი აახსი, ადამიანო!
 - დიმილიც იარადია... არა გჯერათ?
 - ქებას დიდ ფაქს არა სდებდა!
 - მიწამ თქვა, სამოცდაათი მარტო კოჭლი სტყფანე მყავს შეტყმული და ის შენ დათვალე, ფეხმართალს რამდენს შეტყამდო!
- ახე ქილიკობს, ენაკვიმატობს და ხუმრობს მამაღვინე, სადაც არ უნდა იყოს, ვისთანაც არ უნდა იჯდეს... თითქოს ვიდაცას დაუვალებია, კეთილი, ეშხიანი სიტყვა სთესე ამ დედამიწაზე³⁴.

აი, სწორედ ამ კეთილსა და ეშხიან სიტყვას სჭირდება გამომზეურება და ხალხის წიაღიდან სალიტერატურო ენაში შემოტანა.

5.

ენის ხალხურობის საკითხი მოიცავს არა მხოლოდ ლექსიკას, არამედ ენის გრამატიკულ მხარეს, - მორფოლოგია-სინტაქსის სფეროსაც. სხვადასხვა ენის ლექსიკური შედგენილობაც, თავისთავად, გრამატიკულ მხარესთან მჭიდრო კავშირში უნდა იქნეს განხილული: ის, რის გადმოსაცემადაც ერთ ენას ცალკეული სიტყვები მოუბოვება, მეორე ენაში შესაძლებელია გრამატიკული საშუალებებით იყოს გამოხატული. მაგალითად, ადარებს რა ქართულს არაბულთან ერთ-ერთი გრამატიკული კატეგორიის (გუხისა და ორიენტაციის) მიხედვით, პროფ. ა. შანიძე აღნიშნავს:

„ჩვენ ერთი „ვიდა“-სავად სხვადასხვა ზმნისწინის საშუალებით სხვადასხვა ზმნა შეგვიძლია გავაკეთოთ: შემო-ვიდა, გა-ვიდა, ჩამო-ვიდა და სხვა, სამაგიეროდ არაბულს აქ სულ სხვადასხვა ფუძის ზმნები აქვს: და ხალა („შემოვიდა“, „შევიდა“), ხარაჯა („გამოვიდა“, „გავიდა“), ნაზალა („ჩამოვიდა“, „ჩავიდა“). ჩვენ ზმნისწინით ვარჩევთ შემო-სავალს, გა-სავალს და ჩამო-სავალს, მაშინ როდესაც არაბულს მათ შესატყვისად სხვადასხვა ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვები აქვს, რომლებიც ქართულშიც არის შემოსული ხეხის სახით: დახლ-ი („შემოსავალი“), ხარჯ-ი („გასავალი“), მაზილი-ი (ქართულში მანძილად გადაკეთებული: „ჩამოსავალი“, ე. ი. საიდანაც ჩამოვლენ, ანუ ჩამოსვლიდან ხოლმე ცხვენებიდან თუ აქლემებიდან და დაისვენებენ მოგზაურობის დროს, ე. ი. სადგური; აქედან შემდეგ სიგრძის ზომა სადგურებს შორის, მერმე მანძილი ხაზოგადოდ).

ამო-ვიდა და და-ვიდა ან ჩა-ვიდაო, ვამბობთ ჩვენ მნათობა შესახებ (მზისა, მთვარისა, ვარსკვლავისა); ამიტომ გვაქვს მარტოოდენ ზმნისწინით გარჩეული სიტყვები: აღმო-სავლეთი და და-სავლეთი, მაშინ როდესაც აქ არაბულს სულ სხვადასხვა ზმნა მოუბოვება: შარაკა („ამოვიდა“ მნათობი: მზე, მთვარე, ვარსკვლავები) და ღარაბა („დავიდა“, „ჩავიდა“ მნათობი), საიდანაც ნაწარმოებია შაშრიკი ანუ შაშრიყი (აღმოსავლეთი) და მადრბი (დასავლეთი), რომლებიც ქართულშიც არის შემოსული...

ცხადება ჩანს, თუ რამდენი თავისუფლება აქონია ქართულს, რომ ერთი ფუძისაგან რამდენიმე ზმნა გააკეთოს სხვადასხვა ზმნისწინის დართვით. არაბული კი იძულებულია, რომ

³⁴ გ. შატბერაშვილი, მოთხრობები, საბჭოთა მწერალი, 1954, გვ. 126-127.

ერთისა და იმავე მოქმედების აღსანიშნავად, რომელიც სხვადასხვა მხარეს არის მიმართული, ზმნისწინის უქონლობის გამო, სხვადასხვა ფუძეს მიმართოს. ამიტომ ზმნის ფუძეთა რაოდენობა არაბულში გაცილებით მეტია, ვიდრე ქართულში³⁵.

როგორც ვხედავთ, გარკვეული გრამატიკული კატეგორიის ქონამ განსაზღვრა ზმნის ფუძეთა სიმცირე ქართულში არაბულთან შედარებით. მეორე მხრივ, გვაქვს ისეთი ენებიც, რომლებიც ზმნური ფორმებით დარბობა და რამდენიმე სიტყვა არის საჭირო რომელიმე კონკრეტული მოქმედების ან მდგომარეობის გადმოსაცემად, რასაც ქართულად მხოლოდ ერთი ზმნაც ეყოფა. ეყოფა, მაგრამ ზოგიერთი არ აკმაორებენ ხოლმე და სხვა ენათა გავლენით ამასინჯებენ ქართულს ასეთი უხეირო ფრაზებით: „წყალი მიმოქცევის ახდენს“, „ბავშვებს აცრა გაუკეთეს“, „კედლებს შედესილობა არ აქვს“, „ყველაფერი მუდმივ მოძრაობასა და ცვალებადობას განიცდის“, „აღფრთოვანების გრძნობას განიცდიდა მის მიმართ“, „უკიდურესად გაღიზიანებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა“ და ა. შ.

ცნობილია, რომ ქართული ენის სიმძიმის ცენტრს წარმოადგენს ზმნა, რომელიც მრავალპირიანია, ე. ი. შეუძლია ერთდროულად რამდენიმე პირი გამოხატოს (მოქმედი და სამოქმედო, ანუ სუბიექტური და ობიექტური პირები). როგორც პროფ. ა. შანიძე აღნიშნავს, „მრავალპირიანობას მჭიდროდ უკავშირდება ზოგიერთი კატეგორიის გამოხატვა: გვარისა, ქცევისა, კონტაქტისა, სიტუაციისა“³⁶. ამით აიხსენება, რომ ქართულში ზედმეტი ხდება ხოლმე ზოგიერთი ისეთი სიტყვა, რომლებიც აუცილებელი იქნებოდა იმავე აზრის სხვა ენაზე გამოსატყვევად. ეს შეეხება, მაგალითად ნაცვალსახელებს, რომელთა სიჭარბეც ქართულ ენას არ უყვარს, რადგან სათანადო პირი ზმნაში უიმისოდაც ჩანს. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე თავის ერთ-ერთ „სხარტულაში“ სასტიკად ილაშქრებდა ნაცვალსახელთა სიმრავლის წინააღმდეგ, ქართულისათვის უცხო მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენების წინააღმდეგ³⁷.

აქვე უნდა გაეიხსენოთ ის შესანიშნავი თვისება ქართული ზმნისა, რომ მას შეუძლია ორგანულად, მორფოლოგიური საშუალებებით გამოხატოს, თუ ვისთვის უნდა ეთქვას ესა თუ ის მოქმედება, ვისთვის არის იგი განკუთვნილი. რა თქმა უნდა, ენის ხალხურობის პრინციპიდან უხეშად გადახვევაა, როცა ქართული ენის ზმნის ეს მრავალფეროვანი შესაძლებლობანი სრულყოფილად არაა გამოყენებული.

შეუძლებელია, რომ ქართულისათვის ბუნებრივად მიიჩნით, ასეთი ფრაზა: „მათ ერთადერთი ვაჟიშვილი მოკვდა ჯერ ისევ მაშინ, როცა ძალზე პატარა იყო“. აშკარა უნდა იყოს, რომ ეს არის უხეირო თარგმანი, პირდაპირ გადმოტანა ქართულად იმ სიტყვებისა, რომლებიც ორიგინალში იყო. ბუნებრივი მეტყველების დროს კი ქართველი კაცი იმავე აზრს დაახლოებით ასე გადმოგვცემდა: „ერთადერთი ვაჟიშვილი პატარაობისას მოუკვდათ.“

ანდა, ავიღოთ ასეთი მაგალითი: „გუნერალმა თავისთან მიიხმით.“ აშკარაა, რომ აქ „თავისთან“ სრულად ზედმეტია, რაი ფრაზის შინაარსი უმისოდაც ზუსტად ისეთივე დარჩება, ხოლო ამასთანავე, რაც თავიარა, „თავისთან“ ხელოვნური ფორმა და ყურს ეხამება. კიდევ უფრო აუტანელია ეს ფორმა ამგვარ ფრაზაში: „იგი თავისთან არის“. ესა ყოველად უხეირო კალკირება ანუ პირდაპირ გადმოსატარგმნა რუსული ფრაზისა („он у себя“). მისი შინაარსი მხოლოდ მაშინ შეიძლება გაევიტო, თუ ფრაზას უკანვე, რუსულად ვთარგმნი.

ასეთსავე უხეირო კალკ წარმოადგენს: „ლენინის ორდენის“ რუსთაველის სახელობის თეატრი“. „შრომის წითელი დროშის ორდენის“ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი“ და სხვა ამგვარნი. აქ პირდაპირ არის გადმოტანილი რუსულიდან ბრუნვის ფორმაც კი, მაშინ როცა რუსულში ფრაზის სხვაინარად გამართვა არ ხერხდება და ეს ბრუნვაც აუცილებელია, ქართულს კი ამ შემთხვევაში მის შესატყვისად მოეპოვება საცემით ბუნებრივი და შესანიშნავი გამართული ფორმა (ლენინის ორდენისა... შრომის წითელი დროშის ორდენისა...). სხვა რომ არ იყოს რა, ეს ფორმა თავიდან გვაშორებს სტილისტურ უხერხულობასაც, რასაც იწვევს ნათესაობით ბრუნვაში დასმული რამდენიმე სახელის თანმიყოლებით ხმარება.

³⁵ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 258-259.

³⁶ იქვე, გვ. 09.

³⁷ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, III, 1953, გვ. 346-352.

ზოგჯერ მოწმენი ვართ სალიტერატურო ენისადმი ისეთი ძალდატანებისაც, როცა ვითომ-ღა ენის კანონების შესაბამისად ცდილობენ „შეასწორონ“ დიდი ხნიდანვე დაჰკვიდრებული წინდა ხალხური ფორმები. ივანე მანაბუღმა, შექსპირის ტრაგედიების ბრწყინვალე მთარგმნელმა, ერთ-ერთი ტრაგედიის სათაური ქართულად ასე გადმოიღო: „ანტონიოს და კლოპიტრა“. მაგრამ როცა მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა მისი დადგმა განახორციელა, აფიშებში გამოაცხადა: „ანტონიოსი და კლოპიტრა“. რა თქმა უნდა, ქართულ ენაში ი. მანაბუღის შემდგომაც ბევრი რამ შეიცვალა და დაზუსტდა, მაგრამ არა გვერინია ეს ეხებოდეს ზემოხსენებულ სახელთა მხგავს შეწყვეილებას. ამგვარი რამ ხომ დასტურდება საკუთრივ ქართულ ფოლკლორშიც: „აბესალომ და ეთერი“ – და არა „აბესალომი და ეთერი“, როგორც მას ზოგიერთები ნათლავენ ამ ბოლო დროს. ამ სახის „ნოვატორული“ ცდები ხიანს აყენებენ ქართულ ენას.

დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა ისეთ წყვილად ნახმარ გვარში, როგორცია ერისთავ-ხოშტარია. მწერალი ქალი ან. ერისთავ-ხოშტარია ასე აწერდა ხელს თავის თხზულებებს და მისთვის ეს არავის გაუსწორებია. მწერლის სიკვდილის შემდგომ გამოსულ თხზულებებს კი აწერია: „ანასტასია ერისთავი-ხოშტარია“. საკითხავია, რატომ? ეს არ არის წერილმანი. პირველ შემთხვევაში ორივე გვარი თითქოს ერთ მთლიანობად, კომპოზიტად წარმოგვიდგება, მაშინ როცა მეორეჯან ერთადერთი ი სავსებით თიშავს ამ ორ გვარს და სრულიად დამოუკიდებელ ერთეულებად აქცევს მათ (თუკი ვიხმარეთ ერისთავი-ხოშტარია, მაშინ სხვა ბრუნებებშიც ამ წესის მიხედვით უნდა ვიხმაროთ ერისთავი-ხოშტარია, ერისთავი-ხოშტარიას და ა. შ).

მოყვანილი მაგალითები, ვფიქრობთ, საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ ენის ხალხურობასთან დაკავშირებული საკითხები მორფოლოგია-სინტაქსის სფეროშიც მრაველადაა. მაგრამ შეუძლებელია ამ საკითხებიდან სპეციალურად არ გამოიყუთ ერთი ზოგადი საკითხი, – დიალექტთა მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებების მიმართებისა სალიტერატურო ენასთან.

თუ დიალექტური ლექსიკის გარკვეული ფენა შედარებით ადვილად იტრება სალიტერატურ ენაში, მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენების შესახებ იგივე არ შეიძლება ითქვას: „ლექსიკისაგან განსხვავებულ ვითარება გვაქვს ფონეტიკასა და მორფოლოგია-სინტაქსის მხრით: ამ დარგების დიალექტური ვარიანტები სალიტერატურო ენაში რომ შემოიჭრას, სალიტერატურო ენას კი არ გაამდიდრებს, არამედ ააჭრულებს და დააბაბუნებს...“

დიალექტური მასალის სალიტერატურო ენაში შემოტანა ნამართლებელია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ახალი შინაარსის ანდა აზრის ახალი ნიუანსის გადმოცემისათვის არის საჭირო³⁸.

აღსანიშნავია, რომ დიალექტურ ფორმათა ხმარების გასამართლებლად ზოგჯერ საილუსტრაციოდ ნაწყვეთ ხოლმე მეცხრამეტე საუკუნის მწერალთა მაგალითი. მართლაც, ჩვენს კლასიკოსთა ნაწერებში და კერძოდ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებლების – ილიასა და აკაკის თხზულებებშიაც დიალექტური ფორმები საკმაოდ ხშირად გვხვდება. მაგრამ მათ მიერ ამგვარი ფორმების ხმარება არ შეიძლება შეფასდეს როგორც ცდა დიალექტიკების გაბატონებისა სალიტერატურო ენაში. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ იმ დროს ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო; მაშასადამე ბევრი მორფოლოგიური თუ სინტაქსური მოვლენის შეფასება სალიტერატუროლობა-არალიტერატურულობის თვალსაზრისით შეუძლებელიც კი იქნებოდა. უცხველია, რომ უმეტეს შემთხვევაში, როცა ესა თუ ის მწვერალი რომელიმე დიალექტურ ფორმას იყენებდა, თვლიდა, რომ ეს ფორმა საჭირო და გამოსადეგი იყო სალიტერატურო ენისათვის. თბილქტურად ამაწ, რა თქმა უნდა, ერთგვარი სიტრულე გამოიწვია, მაგრამ იგი მალე იქნა დაძლეული: გაიმარჯვა ყველაზე მძლავრმა დიალექტებმა ქართლურმა და კახურმა, რომლებიც ამავე დროს ყველაზე მკაფიოდ გამოხატავდნენ სამწვერლო ენის ტრადიციებს. ამრიგად, გაიმარჯვეს იმ მწვერლებშიც, რომელთაც შეუმცდარი ალღო აღმოაჩნდათ და სწორედ ზემოხსენებული დიალექტებისაკენ აიღეს გეხი. მაგრამ სალიტერატურო ენამ ამ დიალექტებიდან ყველაფერი როდი შე-

³⁸ ა. ნ. ნიქობაძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 115-116.

ითვისა და ზოგი რამ, რაცაც ესა თუ ის მწერალი იყენებდა, დიალექტიზმადვე დარჩა. ამიტომ შესაძლოა სხვადასხვაგვარად შეფასდეს ერთი და იმავე მორფოლოგიური ან სინტაქსური თავისებურების გამოყენება დღევანდელ სალიტერატურო ენაში და, ვთქვათ, ერთი საუკუნის წინანდელ ენაში.

სალიტერატურო ქართულის ნორმები ამჟამად უკვე მტკიცებაა დადგენილი. მაგრამ ეს იმას მაინც არ ნიშნავს, რომ ამ ნორმებში არაფერი არ შეიძლება შეიცვალოს ცოცხალი მეტყველების განვითარების შესაბამისად. თუკი ესა თუ ის მორფოლოგიური ან სინტაქსური მოვლენა გუხას იკავავს მთელი ხალხის სასაუბრო მეტყველებაში, შეუძლებელია საბოლოოდ იგი სალიტერატურო ენაშიაც არ შეიტკრას.

ამ დებულების საილუსტრაციოდ ჩვენ გვინდა ამჟამად სპეციალურად მივაქციოთ ყურადღება ერთ მოვლენას, რომელიც ე. წ. ავიან და ამიან ზმნათა მხარებასთან არის დაკავშირებული. ავიანი და ამიანი ზმნები ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ისეთ ზნებს ეწოდება, რომლებსაც დართული აქვთ ავ და ამ ფორმატები, ე. წ. თემის ნიშნები. ამათგან ამიანია სულ ათი-თერთმეტი ზმნა, ხოლო ავიან ზმნათა ჯგუფი საკმაოდ დიდია³⁹.

ამ ტიპის ზმნებს, როგორც ავიანებს, ისე ამიანებს, ერთი თავისებურება ახასიათებს: ისინი ორგვარად აწარმოებენ თურმეობითის ფორმებს: იხმარება როგორც დაუშალავს, დაუხუჭავს, დაუხნავს, გაუჟონავს, შეუსვამს, დაუდგამს, დაუბამს და სხვანი, ასევე დაუშალია, დაუხუჭია, დაუხნია, გაუჟონია, შეუსვია, დაუდგია, დაუბია და ა. შ.

ამათგან ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით კანონიერ ფორმებად აღიარებულია პირველნი (დაუშალავს, დაუხნავს, შეუსვამს და სხვა), მეორენი კი უკუდებული არიან როგორც არასწორი ფორმები და მათ ჩვენი სტილისტები, რედაქტორები თუ გამომცემელი გულმოდგინედ ასწორებენ ხოლმე, რათა სალიტერატურო ენა არ „დანაგვიანდეს“, არ შეიბღვროს.

რამდენად სწორად შეიძლება ჩაითვალოს ასეთი მდგომარეობა და საესებით უარსაყოფია თუ არა ავამიან ზმნათა მეორეგვარი წარმოება: დაუშალია, დაუხნია, შეუსვია და სხვა ამგვარი?

ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის წარმოების ეს მეორე სახე სრულიად უცნობია, ამგვარი ფორმები შედარებით გვიანდელია, მაგრამ სწრაფად ვრცელდება და ფეხს იკიდებს მთელი ხალხის სასაუბრო მეტყველებაში, აქედან კი სამწერლო ენაშიც იჭრება. ამასთან დაკავშირებით პროფ. ა. შანიძე აღნიშნავს: „ავ და ამ მკვიდრია, როცა ობიექტად უმუხმე პირია, მაგრამ სხვა ობიექტურ პირებში სხვა ზმნების ანალოგიით აქაც ხდება ი სუფიქსზე გადასვლა: ეუნახივარ, უნახიხარ. შეიძლება შეგვხვდეთ ნარევი ფორმაც - ეუნახივივარ: „რატომ ავრევი არ მინახივივარ?“ (ჭავ., 270, 25); „მას აქეთ ავარ მინახივივარ“ (ჭავ., 364, 37).

ანალოგიური წარმოება შეიძლება უფრო შორსაც წავიდეს და იწმას სულ შეცვალოს ავ და ამ: არ მინახია, არ გამიხახია, არ დამიბია, არ მითქვია და მის: „შენთვის დამილოცნია!“ (ჭავ., 312, 9) (მოსალოდნელი იყო „შენთვის დამილოცავს“; შდრ. „მომილოცავს“ შეილის

³⁹ ორივე ქს სუფიქსი - ავ და ამ - ხშირად იხმარება ერთსა და იმავე ზმნებთან სხვადასხვა დიალექტში: ვაკე ქს ერთი მხრით სვავს, იცვავს, ახნავს და სხვა ამგვარი ფორმები, მეორე მხრით კი ხნამს, კლამს, კრამს და ა. შ. როგორც ჩანს, ავ და ამ ფორმანტი სხვადასხვა დიალექტის კუთვნილებაა და მათი ჭიდილი ახლაც კი ვრცელდება, თუმცა მისი ბუდი სალიტერატურო ენაში უკვე გადაწყვეტილია: იმარჯვებს ავ სუფიქსი, რომელიც ზმნათა უმეტესობაში დამკვიდრდა და შესაძლოა საბოლოოდ იმ ათიოდე ზმნაშიც ვაგრძელდეს, სადაც ამ სუფიქსია. ამის ნიშანი უკვე ვაკე ქს ერთ ზმნაში. ესაა ჩანთქმა (შთანთქმა), რომელიც პირიან ფორმებში ასე იხმარება: ნთქავს, შთანთქავდა და სხვ. ამ ბოლო დროს ასეთ ფორმებში დამწყვეს „დანავრევი“ ამ ფორმანტის აღდგენა: ნთქამს! მაგრამ, ჩვენი აზრით, ტყუილად ცდილობენ წინ აღუდგნენ ავიან ფორმების საბოლოო გამარჯვების პროცესს, იგი ბარემ ბოლომდე უნდა მივიდეს. თუ გასწორებაზე მიდგება საქმე, უმჯობესია ვაგასწოროთ ჩანთქმა (შთანთქმა) და ვიხმაროთ ჩანთქვა (შთანთქვა), ვიდრე ნთქავს ფორმის მაგიერ დავამკვიდროთ ნთქამს.

ბუნდურება“ (ჭავ. 375, 1)⁴⁰.

ილია ჭავჭავაძის გარდა, ამ სახის წარმოება შეიძლება შეგვხვდეს მეცხრამეტე საუკუნის სხვა მწერალთა ნაწერებშიაც. მაგალითად: „ჭირისუფალითი გულ-ხელ დაუკრეფნია და თავი ჩაუჭინდარია“ (ხ. შვალა, „დღეა მაია“).

ივ. მაჭავარიანის მიერ თარგმნილ ერკმან-შატრიანის „გლეხი კაცის ისტორიაში“ ვითხულობთ: „მთელი ღამე თვალი არ მომიხსუჭია“, „იტყვიდით, ღმერთს თავის კალთა აქ დაუბერტვიო“ და სხვ.

ამგვარი ფორმები ხშირად აქვს ნახმარი მ. ჯავახიშვილს, მაგალითად, „არსენა მარადღელში“: „მაგდანას დღეს მგონი არაფერი არ მოუხარშია“, „არაფერი არ დაუშაღია“, „დაურაზშია“, „გლეხებს ერთი პირი გვაქვს ხანჯლებიც და გვიღესია“, „ხარ-კამეჩი ვაქლდა და გლეხები შეგებიოთ... რუსის მოხელეებსაც დაკლებით ხარები და ჩვენი დღე-კაცები შეუბოთ. იმათაც რამდენჯერმე ჩაუღენიათ და თქვენც ერთხელ თუ სამჯერ შეგებიოთ“. ზოგჯერ თურმეობითის ორივეგვარი წარმოება წარმოდგენილია ერთმანეთის გვერდით. მაგალითად: „შენზე მეტი მე მინახავს, წამიკითხია, გამიგონია“; „თურმე არსენას დაუხოცია ჩაჩიკაშვილი, სავინაშვილი, ხუთიოდე სხვაც და მასვე გაუძარცვავს უამრავი გლეხი, მოხელე, თავადი და ახნაური. - ტყუილია! არც არავინ მომიკლავს, არც არავინ გამიძარცვია!“

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ნორმების მიხედვით ასეთი წარმოება არაკანონიერადაა მიჩნეული და, როგორც ვთქვით, ხშირად ასწორებენ, მაინც ამგვარი ფორმები ამჟამადც საკმაოდ გვხვდება: ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, მხატვრულსა და პუბლიცისტურ ნაწერებში შეიძლება არა ერთი და ორი ასეთი ფორმა იპოვოთ „გაპარული“. ხშირად მიმართავს ამგვარ ფორმებს, მაგალითად, გ. ლეონიძე:

„სად ეხსოვება წარსული სვედა,
ძველათ რომ შუბლი დაუდარია“.
„რა დიდი ხანი თურმე გასულა,
რაც ერთმანეთი არ გვინახია“ და სხვ.

თუ ამ შემხვევაში სადავო ფორმები სტრიქონის ბოლოსა და შეიძლება რითმის საჭიროებას მიაწეროს ვინმემ, ამას ვეღარ ვიტყვით ზოგიერთ სხვა მაგალითზე: „მე მინახია, ჩვენში ყოფილა“, „მე მინახია ბევრი ქვეყნები“ და სხვ.

მსგავსი ფორმები ნახმარი აქვს ძველი თუ ახალი თაობის მრავალ სხვა მწერალსაც, რომლებიც სულ სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები არიან. ეს ფორმები არ წარმოადგენს მხოლოდ ერთი რომელიმე კილოს კუთვნილებას, მის შემონატანს სალიტერატურო ენაში, ისინი დაახლოებით თანაბრადაა გავრცელებული როგორც დასავლეთ საქართველოს, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში.

საყურადღებოა, რომ ზოგიერთ ზმნას თურმეობითში მხოლოდ ასეთი წარმოება ახასიათებს დიალექტებშიაც და სალიტერატურო ქართულშიაც. ესენია ე. წ. საშუალი გვარის ზმნები: ბოლავს - უბოლია, ბრუნავს - უბრუნია, ზრუნავს - უზრუნია, შფოთავს - უშფოთია, ცმეპავს - უცმეპავია და სხვანი⁴¹.

ყოველივე ეს, ვფიქრობთ, იმის მაწველებია, რომ სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით უარყოფილი ფორმები არც ისე უფარვისი და უკუსაგდები ყოფილა. საჭიროა უფრო გულდასხმით დავუკვირდეთ, თუ რა წარმოადგენს ამგვარ ფორმათა გავრცელების საფუძველს.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავისხვინოთ ენათა განვითარების ერთ-ერთი ზოგადი შინაგანი კანონი, - ის კანონი, რომ ენა ყოველთვის ცდილობს უნიფორმირებას, ე. ი. თავიდან ბოლომდე ერთნაირ ფორმათა გაბატონებას. მოქმედებითი გვარის ყველა ზმნა კი, - ავ და ამ სუ-

40 ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 447.
41 აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ კიდევ ისეთ ფორმებზე, სადაც ია-ს წინ ნ სუფიქსი არის გამოკლებილი: შემოუხედნია (ილია, II, 43), გაუხედნია (ი. გოგუბ., I, 213), დაუხოცნია (აკაი, I, 88), უხოდნია (ა. ეპხ., II, 74), მომილოცნია (გ. ლეონ., ხაჭ., 15, II) და სხვ. (ამის შესახებ იხ. ივ. ქავთარაძე, დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, 1955, გვ. 61-78).

ფიქსინათა გარდა, - I თურმეობითში ია-ს დაირთავს; უკეთებია, დაუმტკრევია, დაუდგენია, აუხსნია, დაუგმია, უყველფოა და ა. შ. ბუნებრივია, რომ ენა მისწრაფვის აჟ-ამიან ზმნათა წარმოებაც დანარჩენებს გაუთანაბროს, ე. ი. უნიფორმაცია მოახდინოს, ერთნაირი წარმოება გააბატონოს მთელ ენაში. ამ ტენდენციის გამოვლენა გვაქვს სწორედ ზემოთ დასახელებულ ფორმებში.

აღინშნულ ფორმებთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის გარემოება, რომ თუ ზმნას აჟ (ან ამ) ფორმანტი გადაკვეთა, იგი ხშირად ორაზროვანი ხდება: „უღელში დედაკაცი შეუბამთ“ და „უღელში დედაკაცი შეუბამთ ხარ-კამქს“ სულ სხვადასხვა შინაარსისაა, ფორმა კი ერთია.

მერე რა ვუყოთ, - იტყვის კაცი, - განა ცოტაა ისეთი ფორმები, რომელთა გარჩევაც მხოლოდ კონტექსტით ხდებათ! ეს მართალია, მაგრამ ენა ყოველთვის ესწრაფვის ორაზროვნების თავიდან აცილებას და დროთა განმავლობაში გამოძებნის კიდევ საამისო საშუალებას. სწორედ ამგვარ საშუალებას წარმოადგენს მორეგვარი წარმოება: დაუწვია, დაუსხია, დაუბია, დაუღუპია და სხვა ასეთი ფორმები მხოლოდ თურმეობითში შეიძლება გვექნეს. მომავლის გაგებას ისინი არ შეიცავენ. ამრიგად, განსხვავებულ შინაარსს ფორმაც სხვადასხვა ეძლევა და ორაზროვნება ამ შემთხვევაში თავიდან აცილებულია⁴².

ამრიგად, ცხადი უნდა იყოს, რომ ზემოხსენებული ფორმები არაა უარსაყოფი, რადგან ისინი წარმოადგენენ მთელი ხალხის მეტყველებაში გავრცელებულ ფორმებს, რომლებიც კი არ ანაგვიანებენ სალიტერატურო ენას, არამედ, პირიქით, ამდიდრებენ და აუმჯობესებენ მას. უნახია, დაუღუპია, შეუხედაია, დაუზოგია, დაუსხია, დაუბია და სხვა ასეთი ფორმებს უნდა მიეცეს სალიტერატურო ენაში არსებობის კანონიერი უფლება. რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პარალელურად არსებული უნახავს, დაუღუპავს, შეუხედავს, დაუზოგავს, დაუსხავს, დაუბამს და სხვა ასეთი ფორმები (ე. ი. აჟ-ამიანი წარმოება) უნდა უგულვებელყოთ და ახლა იმათ დაეუწყოთ დევნა. ორივე სახის ფორმათა ხმარებაში უნდა არსებობდეს არჩევანის თავისუფლება და ენა თავად დაგვანახებს - რომელს მიეცემა უპირატესობა, რომელი რომელს გამოვლენის ხმარებიდან. ეს იქნება, ჩვენი აზრით, ყველაზე გონივრული, თუ არ გვინდა ხელოვნურად შევზღუდოთ სალიტერატურო ენის განვითარება, შევასუსტოთ მისი კავშირი ხალხის ცოცხალ მეტყველებასთან.

თუ ენის სიწმინდის საბაბით უარყოფილი იქნა ყველა სიტყვა ან ფორმა, რომლებიც დღესდღეობით დადგენილ სალიტერატურო ენის ნორმებს არ ეგუება, ეს არსებითად ენის გაღარიბებას და სალიტერატურო ენის ხელხურობის პრინციპითა დარღვევას მოაწავეებს.

შეიძლებოდა განგვეხილა კიდევ მრავალი სხვა სპეციალური საკითხი მოყვანილ დებულებათა საილუსტრაციოდ, მაგრამ ეს არ შეადგენს ამ წერილის მიზანს. ვუქრობ საკმაოდ ნათელია, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხურობის პრინციპს სალიტერატურო ენის არსებობა-განვითარებისათვის.

⁴² ხევათა შორის, ძველ ქართულში რომ მხოლოდ აჟიანი და ამიანი წარმოება გვეხრდა, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ასეთი ფორმები ძველად მომავლის გაგებას არ შეიცავდნენ (საამისოდ კავშირებითის ფორმები იყო გამოყენებული).

ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა¹

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიამ დიდი გარდატეხის ორი ფაქტი იცის: ერთი გარდატეხა XII საუკუნეში მოხდა, როცა ახალი ქართული სალიტერატურო ენა გამოიყიდა მწერლობის სარბიელზე. ეს გარდატეხა შოთა რუსთაველის დიად სახელს უკავშირდება. მეორე გარდატეხამ, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა, უფლებაწართმევდა ახალ ქართულ სალიტერატურო ენას თავისი უფლებები კვლავ აღუდგინა. ამ მეორე გარდატეხის ავტორი მეორე დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე იყო. მან არათუ დაკარგული უფლებები აღუდგინა ახალ ქართულ სალიტერატურო ენას, არამედ ახალ მაღალ საფეხურზე აიყვანა იგი, ქართველ ერს ეს ქართული ენა შეაყვარა, ქართველს ქართული ენით სამართლიანი სიამაყე აგრძნობინა.

ილია ჭავჭავაძეს მისი თანამედროვენი ქართული ენის კანონმდებელს უწოდებდნენ და მართლაც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში იგი ჭეშმარიტად კანონმდებელი იყო ქართული სალიტერატურო ენისა, მუდამ ფხიზელ გუშაგად უდგა მას და ხელმძღვანელობას უწყვედა ყოველგვარ საქმიანობას, რაც კი ხელს უწყობდა ამ ენის შემდგომ განვითარებას. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის მთელ მანძილზე საქართველოში არ მოჩანს სხვა პიროვნება, რომელსაც ესოდენ დიდი ღვაწლი მიუძღოდეს ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და სრულყოფის საპატიო, მაგრამ რთულ და ძველ საქმეში; არ არის მეორე მწერალი, რომელსაც ქართული სალიტერატურო ენისათვის ასეთი დაუფასებელი სამსახური გაეწიოს ამ ენის თეორიული საფუძვლების გარკვევისა და მისი განვითარების მართალი ხაზით წარმართვისა თუ უშუალოდ პრაქტიკული მოღვაწეობის, პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტის თვალსაზრისით.

ქართული სალიტერატურო ენა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ენაა. მას განვლილი აქვს განვითარების გარკვეული საფეხურები, სანამ საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდა, ჩამოეჭებოდა და იქცეოდა ქართველი ერის საერთო-ეროვნულ ენად.

ძველი ქართული სამწერლობო ენა, რომელიც არსებითად საეკლესიო მწერლობის ენა იყო, საეკლესიო მწერლობის სტილს შეესაბამებოდა – საკმაოდ შკაცრად ნორმალისებულ სალიტერატურო ენას წარმოადგენდა. ძველ სამწერლობო ქართულს მტკიცედ შემუშავებული ნორმები ჰქონდა, ისეთი, როგორიც საგნებით ჩამოყალიბებულ, ხანგრძლივი ისტორიის მქონე სალიტერატურო ენას შეეფერება; მერყეობა, ძირითადი ნორმებისაგან გადახვევა მისთვის ნაკლებადაა დამახასიათებელი. იგი ცოცხალ სასაუბრო ენას საკმაოდ დამორბეული უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ამ ენაში ხშირად საკმაოდ მძლავრად იჭრება ცოცხალი სასაუბრო მეტყველების ნაკადი. სწორედ ეს ფაქტი წარმოგვიჩენს ხშირად და გვიდასტურებს ამ დაშორებულობას. ცოცხალი სასაუბრო მეტყველებიდან შემოჭრილი მოვლენები ერთგვარი არ არის, სხვადასხვა დიალექტური წრიდან ჩანს მომდინარე. ამას ხელს უწყობდა ის ფაქტი, რომ არსებობდა სხვადასხვა ლიტერატურული ცენტრი, რომლებიც ტერიტორიულად სხვადასხვა ადგილად იყვნენ განლაგებული, და, ამდენად, საგნებით ბუნებრივია, რომ ამ ცენტრებთან გამოსული ლიტერატურული ძეგლები მეტ-ნაკლებად განიცდიდნენ ამა თუ იმ ტერიტორიაზე გავრცელებული დიალექტის გარკვეულ გავლენას. რა თქმა უნდა, მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა დედა დიალექტის გავლენასაც ავტორისა თუ მთარგმნელის ლიტერატურულ პროდუქციაზე. ამდენად, ძველი ქართული სალიტერატურო ენა თავისი არსებობის მანძილზე არაა საგნებით ერთგვაროვანი, ლიტერატურული ძეგლები, რომლებშიც ეს ენა წარმოადგენილი, გარკვეულ თავისებურებებს წარმოგვიჩენენ, მაგრამ მიუხედავად ამისა ძველი ქართული უნიფიცირებული ნორმების მქონე, მონონათური სალიტერატურო ენაა.

XII საუკუნიდან ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. ძველის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა კულ-

¹ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 69, თბ., 1958.

ტურულ ცენტრთა გადასაცემება გამოიწვია, ლიტერატურის სარბივლზე სხვა, ახალი კილო-ები გამოვიდნენ და თანდათანობით ისინი გახდნენ სალიტერატურო ენის საფუძველი. ახალი ქართული სალიტერატურო ენა ცვლის ძველს².

ახალი ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი ცოცხალი სასაუბრო ენის ფორმების სალიტერატურო ენაში უხვად შემოჭრილია გაპირობებული³. დაიწყო ძველი სალიტერატურო ენის თანდათანობით გადაშენება ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისა და ახალი დიალექტების საფუძველზე. წამყვან როლს ამ პროცესში აღმოსავლეთ საქართველოს ცოცხალი სასაუბრო მეტყველება და აღმოსავლეთ საქართველოს ძირითადი დიალექტები – ქართლური და კახური – ასრულებდნენ. გადამწვევები როლი შესასრულა ამ პროცესის დაჩქარებაში საერო მწერლობის სწრაფმა განვითარებამ. საერო მწერლობამ არსებითად უკუაგლო ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმები და ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას დაემყარა. სალიტერატურო ენა თანდათან უახლოვდება ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას. იგი უარყოფდა მრავალ ფორმას, რომელსაც ძველი სალიტერატურო ენა ხელოვნურად ინარჩუნებდა. ამიტომაც, რომ საერო ლიტერატურის ძველებში ერთბაშად იხუნენ თავს ძველი ქართული სათავის უწვეული, ახალი ფორმები. ეს ფორმები ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში მანამდისაც არსებობდა, მაგრამ სალიტერატურო ენაში არ გვხვდებოდა ან იშვითად გვხვდებოდა. ახლა კი ეს ფორმები სალიტერატურო ენის კუთვნილება გახდა, მის ორგანულ შემადგენელ ნაწილად იქცა.

ეს გარდატეხა თვალნათლივ იგრძნობა XII საუკუნის საერო ლიტერატურის ძეგლებში, მაგრამ არსებითად ეს პროცესი შოთა რუსთაველის სახელთანა დაკავშირებული. შოთა რუსთაველის „ფეხვისტყოსანი“ არის ის ნაწარმოები, რომელშიც ყველაზე აშკარად, ყველაზე რელიეფურად იხსება ეს შობრუნება ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში – ძველი ქართული სალიტერატურო ენის დასასრული და ახალი ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი.

მაგრამ ძველი სალიტერატურო ენის ტრადიციები ძალიან ძლიერი იყო და ამ ტრადიციებისაგან ახალი ქართული სალიტერატურო ენა დიდხანს ვერ განთავისუფლდა. მაშინ, როცა რიგი ფორმის ერთბაშად გაქრა სალიტერატურო ენაში, რაც ფორმას დიდხანს აღმოჩნდა სიცოცხლის უნარი. უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ისეთი ძველი ფორმები, რომლებიც საყრდენ დიალექტებში თუ არა, რომელიმე სხვა დიალექტში მაინც ცოცხალი იყო. ძველი ტრადიციების დაცვას იმ ფაქტმაც შეუწყო ხელი, რომ ძველი სალიტერატურო ენა შემორჩა საეკლესიო ხასიათის ძეგლებში და დიდხანს იარსებდა კიდევ. ძველი ტრადიციების დაცვას აგრეთვე ხელს უწყობდა ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი ნიმუშები, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული ხალხში.

ძველი სალიტერატურო ენის მკაცრი ნორმები დაირღვა, ახალი ნორმები კი მწელად მკვიდრდებოდა. სალიტერატურო ენა აღარ იყო ძველი ქართულის მსგავსად მკაცრად ნორმალისებული, მისთვის დამახასიათებელი გახდა ფორმათა მრავალფეროვნება და ნაირნაირობა. მას მოაკლდა ის დახვეწილობა, რაც ძველი სალიტერატურო ენისათვის იყო ნიშანდობლივი. სალიტერატურო ენაში სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშანი შესუსტდა და იგი დიალექტს დაუახლოვდა. ასეთია XVI-XVII საუკუნეების მწერლობის ენა, რომელიც საცხვა აღმოსავლური დიალექტებისათვის – ქართლურისა და კახურისათვის – დამახასიათებელი ფორმებით. რომ ძლიერი ლიტერატურული ტრადიცია არა, ეს პროცესი შეიძლება კიდევ უფრო შორს წახლულიყო, მაგრამ ლიტერატურული ტრადიცია შემკაპებულ ფაქტორად გვეყვინებოდა.

მაგრამ ეს უარყოფითი მოვლენა როდი იყო. ეს იყო სალიტერატურო ენის ცოცხალ სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოების პროცესი, ეს იყო სალიტერატურო ენის გახალხურების პროცესი, სალიტერატურო ენის ახალი საყრდენი დიალექტების ლიანდაგზე გადასვლის პროცესი. ეს დიალექტები ქართლური და კახური იყო: ნაირგვარი ფორმები, რომლებიც ჩვენ მე-16-მე-17 საუკუნეების მხატვრული ლიტერატურის ენაში გვხვდება, თითქმის ყველა მომდინარეა აღმოსავლური დიალექტებიდან, უმთავრესად ქართლურ-კახურიდან. მართალია, ამასთან ერთად შემცირდა სალიტერატურო ენის მანუნიფიცირებული ძალაც, მაგრამ უამისოდ აღნიშნული პროცე-

² ბრ. ნიქობაძე, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. I, თბილისი, 1950.

³ ხ. გორგაძე, ქართული სადასტყვაობა, „ძველი საქართველო“, ტ. IV, ტფილისი, 1914-1915.

სის მიმდინარეობა წარმოუდგენელი იქნებოდა. ამ პროცესის დასრულება კი, ივარაუდება, სალიტერატურო ენის დახვეწის შემდეგ მისი ამ მაუნიციციპირებელი ძალის აღდგენას გამოიწვევდა.

ეს ასეც მოხდა. ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესი XVIII საუკუნეში დასრულდა. ახალმა ქართულმა ენამ ამ საუკუნეში ასე თუ ისე გამოკვეთილი, თავისთავად სახე მიიღო. საჯირო იყო მისი შემდგომი სრულყოფის პროცესის ჯეროვნად წარმართვა. ეს ენა, რომლითაც ერთი მხრით, ნაწილობრივ, ამ საუკუნის საქმიან-საქანცველარიო ანუ მდივან-მწიგნობრული დოკუმენტებია შესრულებული, ხილი, მეორე მხრით, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის პროზასა და დავით გურამიშვილის პოეზიაშია წარმოდგენილი, არსებითად ახალი ქართული სალიტერატურო ენაა, თუმცა, რა თქმა უნდა, იგი ჯერ კიდევ არაა სავსებით თავისუფალი არც ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი მოვლენებისაგან და არც დიალექტური ფორმებისაგან.

მაგრამ XVIII საუკუნის II ნახევარში ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივ განვითარებას ხელოვნური ბარიერი გადაეღობა წინ. მწერლობაში გაბატონდა ანტონ კათალიკოსის სკოლა. ამ სკოლაში მწერლობაში დაამკვიდრა უკიდურესობამდე მიყვანილი ხელოვნური სტილი და თავისებური, კიდევ უფრო ხელოვნური ორთოგრაფიული ნორმები, რომელიც არ გამომდინარეობდნენ სალიტერატურო ენის განვითარების ბუნებრივი მსვლელობიდან და საფუძველი არ გააჩნდათ ხალხურ მეტყველებაში. ანტონმა დანერგა და გააბატონა სამი სტილის თეორია, რომლის მიხედვით სხვადასხვაგვარ თხზულებაში სხვადასხვაგვარი სტილი უნდა ყოფილიყო გამოყენებული. თეთონ ანტონი წერდა ე. წ. მაღალი სტილით, რომელსაც, მისივე თქმით, „მხოლოდ მეცნიერთა შორის აქუს ნაყოფი თვის“ და, მაშასადამე, ყველასათვის არ უნდა ყოფილიყო მისაწვდომი და დასაძლველი. ეს იყო არსებითად მოდერნიზებული და კიდევ უფრო გახელოვნებული ვარიანტი იოანე პეტრიწის ენისა.

ანტონ კათალიკოსის ავტორიტეტს განუზომებლად აღმოაჩნდა. მისი გავლენის ქვეშ მოექცნენ მისი თანამედროვენი. შეიქმნა ხალხურ მეტყველებას მოწვევითი სალიტერატურო ენა. ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრება მწერლობაში შეუფერხდა, ტრადიციები დაიწყებას მიეცა.

ანტონის გრამატიკის მიხედვითაა დაწერილი ყველა ქართული გრამატიკა, რომელიც კი XIX საუკუნის I ნახევარში შეიქმნა. ანტონის მძლავრ გავლენას, განსაკუთრებით მისი ორთოგრაფიული კანონების მძლავრ გავლენას, განიცდიდნენ თეთი ქართული ლექსის ისეთი უბადლო ოსტატები, როგორც იყვნენ ჩვენი რომანტიკოსები: ალ. ჭავჭავაძე, ნიკ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი. მაგრამ მაღალი სტილის უკუდამართი შედეგები განსაკუთრებით მხატვრული პროზის დარგში აღმოჩნდა სავადალო. XIX საუკუნის პირველ ნახევარში და მერმეც, მესამოცე წლებამდე ქართულ ენაზე არ შექმნილა მხატვრული პროზის არც ერთი თვალსაჩინო ნიმუში. განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოიტანა ანტონის სამი სტილის თეორიამ ორთოგრაფიის დარგში. „ცისკარი“ ჯერ გ. ერისთავისა და შემდგომ ივ. კერესელიძისა ანტონის სტილის ტყვეობაში აღმოჩნდა. და თუ გ. ერისთავმა ის მაინც მოახერხა, რომ თავის ჟურნალში გამოაქვეყნა დ. გურამიშვილის, გრ. ორბელიანის, ალ. ჭავჭავაძისა და ნიკ. ბარათაშვილის ლექსები და სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, ივ. კერესელიძის „ცისკარი“ ანტონის ეპიგონთა ხელში აღმოჩნდა. და როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ეს ეპიგონები გაცილებით უფრო ცხარედ იბრძოდნენ მაღალი სტილის დასაცავად, ვიდრე მათი მასწავლებელი, თუმცა თვითვე არ შექვლით ამ სტილით წერა და ისეთი უცნაურობანი გამოუდიოდიათ, რომელთაგანაც ანტონის ნაწერი მარტოვე და გასაგები სტილის ნიმუშად გვეჩვენება. აი, ერთი ნიმუში:

„ნუვინ, ნუვინ იკადრებუე დარიბად სახელის-დებასა ივერთა ენათასა, არამედ აქებდინცა მისსა სიმდიდრესა, რომელი კსანას აწცა დაღაცათუ, ბრუნებათა გამო მხოფლითა მცირედ რიცხუთა ძუმლთა შორის ძველთა და მატინათა, გარნა ბრწინუნ მცირენი ესე დიდითა შარანდითა სიმდიდრისათა... ცისკარი აღმოხდა ეჭონებ მისთს რათამცა ენა ივერთა არა თუ ოდენ კიდევ უკუშ ავთს თუსსავე წესსა, არამედ უმეტესცა წარმატროს იგი. ამისთს ზრუნუა ჩუწნი უნდა იყოს პირველ განსწავლნდით იგი სიტყუათაგან უცხოთა, მოვიძიოთ დაკარგულნი, რომელნი წაბაძესა გამო და ანუ დაიწვიებისა გამო ჩუნ მთერ შემოვირინენ, ანუ ახალნი ნაცულად მათსა და ანუ რასაკრუმლია დროსა მიუციდლებელისა საჭიროებისასა შევიყინოთ

უცხოთა სიტყვათაცა (თვნიერ რომლისა ვგონებ არცაღათუ რომელიმე უმუმიდრესთა ენათა-
განი პოიეს). შემდგომად მიჰყვით მათ კანონნი ჩუშნის დედაენის თესუბისანი და უკანასკნელ
ვაკამათოთ იგი მშშნიერის ჳლოვითიერი, რომელ არს თუთ მევესი ენისა ჩშნისა. ამით ღრუბ-
ლი განქარდების და უნისლო ცისკარი მიგვიყანს დღისად. ამა ჰპრით მე წარუდგენ პსჯასა
მეცნიერთასა რაოდენთამე სიტყათა, პოებულთა ჩემ მიერ ცისკარსა შინა, რომელთა ცალგება
საჭირო სადამე ვგონებ არ*.

ასე წერდა „ცისკრის“ მ-7 ნომერში 1857 წელს „იმერთ თავადი ირაკლი ღორთქიფანიძე“.
ვისდა შეეძლო გაერჩია ერთმანეთისაგან მაღალი, საშუალო თუ დაბალი სტილით ნაწერი.
სამი სტილის თეორია მხოლოდ თეორიულად არსებობდა, არსებითად კი საკითხი იფაა გაუ-
გებრად და გასაგებად, წიგნიერად და უწიგნურად წერის ურთიერთობისა მხოლოდ. თვით ან-
ტონ კათალიკოსის თეორიის მიმდევრთა ბანაკშიც კარგად ხედებოდნენ, რომ ასე გაგრძელ-
და აღარ შეიძლებოდა, და არ იყო შემთხვევითი, როდესაც პლ. იოსელიანმა აღტაცებული წი-
ნასიტყვათა უძღვნა გ. ერისთავის „გაყრის“ ბეჭდურს გამოცემას. თუ ეს ფაქტი, ერთი
მხრით, ანტონის სამი სტილის გამართლება იყო (სამი სტილის თეორიის თანახმად კომედი-
თი მდაბიური ენით, დაბალი სტილით შეიძლებოდა დაწერილიყო), მეორე მხრით, იყო დანა-
ხაც სიახლისა, გამოსავლის პოვნა შექმნილი მდგომარეობიდან. ვერ ნახათ 1857–1859 წდ-
ების „ცისკრის“ ვერც ერთ ნომერს, რომელშიაც ქართული ენის დაკნინებაზე არ იყოს მსჯე-
ლობა, არ იყოს ცდა გამოსავლის პოვნისა, ცდა, მართალია, მეტწილად უსუსური, მაგრამ მა-
ინც ცდა. გამოცემის დღიდან ივ. კერესელიძის „ცისკარში“ ქართული ენისა და მისთვის „შე-
წვევის“ შესახებაა გაშუქდებით ბაახი.

კარგად ამჩნევდნენ იმ ფაქტსაც, რომ მაშინ, როცა ქართულმა პოეზიამ XIX საუკუნის I
ნახევარში დიდი სახელები წარმოშვა და ბრწყინვალე შედეგები მოგვცა, პროზა დაკნინებუ-
ლი იყო. ამიტომ იყო, რომ დიდი აღფრთოვანებით ეგუებოდნენ ყოველ ახალ ნაწარმოებს
პროზის დარგში. ამიტომ იყო, რომ მთხზობა „ზემას“ თარგმანი, შესრულებული დიმიტრი
ყოფიანის მიერ მართლაცდა რიგიანი ქართულით, საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევდა და
მისაბამ მაგალითად იქნა დასახული.

ანტონის სამი სტილის თეორიის მიმდევრებიც კი მიხედნენ, რომ მაღალი სტილით წერა
შეუძლებელი იყო, რომ სალიტერატურო ენა სამი სახისა არ შეიძლება იყოს, და ბუნებრივად
დაიხია ძველ შეხედულებათა გადასინჯვის საკითხი.

ამ განწყობილების გამოსატყულებს წარმოადგენდა ად. ორბელიანის ცნობილი წერილი
„ქართული უბნობა ანუ წერა“, რომელშიაც ავტორი გაემიჯნა თავის ძველ შეხედულებებს და
ერთი სალიტერატურო ენის დაჰყვიდრების მომხრედ მოგვევლინა. ასეთ ენად მან ძველი ქარ-
თული საერო ლიტერატურის ენა მიიჩნია: ენა „ფეფხისტყაოსნისა“, „რუსუდანიანისა“, „ვისრა-
მიანისა“, „სიბრძნე სიცრუის წიგნისა“.

სხვები უფრო შორსაც წავიდნენ. დიმიტრი ბაქრაძე წერდა, რომ საღმრთო წერილის ენით
წერა შეუძლებელია, რომ ანტონის კანონებს ამჟამად აღარავინ კითხულობს მოსწავლე
ახალგაზრდობის მეტი, რომელთაც ძალად აზეპირებინებენ ანტონის წესებს, მაგრამ მიინც
მეორე დღესვე იფიქვენ. არც გაღებური ენა გამოდგება ლიტერატურისათვის (გლეხური დ.
ბაქრაძისათვის დიალექტურს ნიშნავს). რუსთაველის ენით წერაც არ შეიძლება. რუსთაველის
ენას დიდი ღირსებები აქვს, მაგრამ იგი ისტორიის კუთვნილებაა ამჟამად. სალიტერატურო
ენად უნდა გამოიყენებულ იქნეს მაღალი წრეების ენა, ენა განათლებული საზოგადოებისა,
საზოგადოების უკეთესი ნაწილის ენა. თანაც ამ ენამ უნდა შეითვისოს ვეროპული სიტყვები,
რამდენადაც არ არსებობს ენა, რომელიც თავის ლექსიკას არ იმდიდრებს უცხო სიტყვებით;
ოღონდ ამ შემთხვევაში დიდი სიფრთხილე და ზომიერებაა საჭირო: უცხო სიტყვა არ უნდა
შემოვიტანოთ, თუ მისი მაღალი სიტყვა თვით მოგვეპოვებაო.

ანალოგიური შეხედულებები გამოთქვა ცნობილმა მწერალმა ლაერენტი არდახიანმა: სალი-
ტერატურო ენა უნდა იყოს ერთი. ეს არის საერო ენა. ამ ენით ლაპარაკობდა ხალხი, წერდნენ
პოეტები და მწერლები, მეფეები და მსახურლები. დღეს ასეთია პოეზიის ენა, პროზა კი ამ
ენით არ იწერება. მხატვრული პროზის განვითარება მხოლოდ ამ ენაზე შესაძლებელი. რაც
შეეხება საღმრთო წერილის ფორმებს, თუნდაც ორი ათასი წლის განმავლობაში ყოველდღე
ორი ათასი წიგნი დიბეჭდოს ამ ფორმებით, პროზა იოტის ოდენადაც კი ვერ წაიწვეს წინ.

რადგანაც ეს ფორმები არ შეეფერება ჩვენს ენას. ლიტერატურამ რომ წინსვლა მოახერხოს, რომ განვითარდეს, ამისათვის აუცილებელია პროზასა და პოეზიას ერთი ენა ჰქონდესო.

საკმაოდ საღი მოსაზრებები იყო, საკმაოდ მკვეთრადაც გამოთქმული, მაგრამ შედეგი კი არსად ჩანდა, მათი საქმით განმხოორციელებელი არავენ იყო. არ იყო კაცი, რომელიც ღრმა მეცნიერულად დაასაბუთებდა ქართულ სალიტერატურო ენაში დიდი რევოლუციის აუცილებლობას, ქართული სალიტერატურო ენის აცდენილი კალაპოტიდან ნორმალურში გადაყვანის ძნელ მოვალეობას იკისრებდა, სათავეში ჩაუდგებოდა და სწორ გეზს მისცემდა საზოგადოებრივ აზრს და თავის მხრებზე იტვირთებდა ამ დიდი და საჭკვეურო საქმის მთელ სიმძიმეს.

ახეთი კაცი გამოჩნდა. ეს კაცი იყო ოცდასამი წლის ახალგაზრდა სტუდენტი ილია ჭავჭავაძე.

იმისათვის, რომ სამკვდრო-ხასიციოცხლო ბრძოლა გამოეცხადებინა ანტონ კათალიკოსის სკოლის მიმდევრებისათვის, დამტკიცებინა სამსტილოვანი სალიტერატურო ენის უსაფუძვლობა და მავნებობა, უკუეგელო ანტონის მიუღებელი და ენის განვითარების შემაფერხებელი, კიდევ მეტი, წინეირობის შემაფერხებელი ორთოგრაფიული ნორმები – ილიამ საბაბად რუკავს ერისთავის მიერ კოხლოვის „შეშლილს“ თარგმანი გამოიყენა. ამ თარგმანის გამანადგურებელ კრიტიკასთან ერთად ილიამ დასვა და მართულებად გადაწვევით სალიტერატურო ენის არაერთი საკითხი და ამასთან ცხადი გახადა „ცისკრის“ მწერალთა ენისა და სტილის უსუსურობა და უბადრუკობა, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძის ეს წერილი ახალი ორთოგრაფიით იყო დაწერილი. ილიას შენიშვნა „ჰ, ჰს, ე, ჯ, ჳ ასოები არ გვისხმარია ჩვენს სტატიაში. თუ ვინცოცაა, ეს ენის წინააღმდეგ მიანდეს ვისმეს, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გავსცეთ პასუხი და გამოუცხადოთ, რა მიზეზითაც არ ემხრობოთ“-ო – იყო პირველი თამაში გამოსვლა ანტონ კათალიკოსის ორთოგრაფიული წესების წინააღმდეგ. მთავარი კი ის იყო მაინც, რომ ამ სტატიაში ილიამ ერთბაშად უკუაღწიო მანამ ჩვენს ენაში გაბატონებული ხელოვნური კონსტრუქციები, არ მორბოდა მაღალი სტილითი ენის უჩვეულო სიტყვებისა და გამოთქმების ხმარებას, მისცა ქართველ საზოგადოებას გასაგები, ჭკუშარბიტად ხალხური ენის პუბლიცისტიკაში გამოყენების ნიშნა.

„თუ ვინცოცაა, ეს ენის წინააღმდეგ მიანდეს ვისმეს, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გავსცეთ პასუხი“-ო – ეს გამოწვევა გადაისროლა ილია ჭავჭავაძემ ანტონ კათალიკოსის მიმდევართა ბანაკში. არ მოუწონათ, ენის წინააღმდეგაც მიიჩნიეს, შემფოთდნენ ყველანი, ვინაც კი ასე თუ ისე იგრძნო, რომ ქართულ აზროვნებაში, ქართულ სალიტერატურო ენაში რაღაც უჩვეულო ცვლილებები ხდებოდა, შემინებულთ ენის დამახინჯებაში დახდევს ბრალი ილიას, იმანაც კი აიღო კალამი ხელში, ვისაც თავის დღეში არ ავლო.

ილია ჭავჭავაძემ უპასუხოდ არ დატოვა მოწინააღმდეგენი. „ცისკრის“ 1861 წლის მე-9 ნომერში დაბეჭდა თავისი საყოველთაოდ ცნობილი „პასუხი“ – დიდი ერუდიციით დაწერილი სტატია, რომელიც ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების ისტორიაში მუდამ დარჩება, როგორც გზის გაკვირვებელი მოვლენა. ამ წერილში ილიამ მოგვცა ანტონ კათალიკოსის ნორმების დამცველთა შეხედულებების გამანადგურებელი კრიტიკა და მეცნიერულად დაასაბუთა, რომ სალიტერატურო ენა ხალხის ენას უნდა ემყარებოდეს, რომ ენის არ შეიძლება მიუახვიოთ თავს ხელოვნურად შემუშავებული წესები, რომ ენის კანონები თავის ენაში უნდა ვეძიოთ, რადგანაც „ენას კანონს თვით ენა აძლევს და არა რაიმე თორერტიკა“, რომ ენა ვითარდება, იცვლება, იცვლება სალიტერატურო ენის კანონებიც. წესები, რომელთაც ერთ ეპოქაში ჰქონდათ თავისი საფუძველი, გამოუსადეგარნი არიან სხვა ეპოქაში. ახალი ენა აღარ შეგავს ძველს, ძველი წესებიც, მანასადაამე, აღარ შეეფერება ახალ ენას, სალიტერატურო ენის საკითხების გადაწყვეტილას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას, ლიტერატურული ენა ხალხურ მეტყველებას უნდა ემყარებოდეს, დაკორექტირებული უნდა მიექცეს ხერხადეობა ხალხის სიტყვის გამოთქმას, ფაქტები ხალხის ენაში უნდა მოიხილოს, რადგან ადრე-ადრე ენის კანონების დამდებია. წინააღმდეგ შემთხვევაში სალიტერატურო ენა გამოუსადეგარი იქნება, ხელოვნური, მკვდარი. მაგრამ, რაც ხალხურ ენაში შეუფერებელი აღმოჩნდება სალიტერატურო ენისათვის, ის უყოყმანოდ უნდა უკუვაგდოთ. სალიტერატურო ენის ხალხურობა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ იგი კუთხურ მეტყველებას ემთხვეოდეს.

ილიას ამ პირველი გამოსვლის – ამ ორი ზემოდასახელებული სტატიის მნიშვნელობა განუ-

ზომვლია. ილიამ ერთი ხელის დაკერით შეძლო მოეხდინა ქართული ორთოგრაფიის ძირეული რეფორმა. პრაქტიკულად ფართო მასშტაბით მისი განხორციელება მალე მოხერხდა, „საქართველოში მოამბის“ გამოსვლის უმაღლეს, და ეს რეფორმა შედარებით უმტიკონეზოდ გატარდა, გატარდა იმიტომ, რომ მეცნიერულ საფუძველზე იყო დამყარებული და მისი განხორციელებით სათვის შესაფერისი ნიადაგი თვით სალიტერატურო ენის განვითარებით იყო შემზადებული.

სალიტერატურო ენის საკითხებს, იქნებოდა ეს საკითხები თორთული თუ პრაქტიკული ხასიათის, ილია ჭავჭავაძე არაერთხელ დაბრუნებია შემდგომად, მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში, და ყოველთვის იგი თავისი დროის მეცნიერების დონეზე იდგა, ფართო მომზადებას იჩენდა საენათმეცნიერო საკითხებში, შესანიშნავად იცნობდა მისი დროის საენათმეცნიერო ლიტერატურას და, დიდი ცოდნით შეიარაღებული, ყოველთვის უკეთეს გადაწყვეტას პროვოლბდა ამა თუ იმ საკითხისას.

ქართული სალიტერატურო ენის ბედი არსებითად გადაწყდა, მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის გზები გარკვეული იყო. ილიას ამ დიდ საქვეყნო საქმეში გვერდში ამოუდგა ახალგაზრდობა, თერგდალეულთა სახელგონანი თაობა და დაძაბული და ერთგული შრომის შედეგად ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მაგისტრალური ხაზი, რომელიც ასე ხელოვნურად გაიხარა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, კვლავ გასწორდა და თავისი გზით წარმართა. შეფერხება, რომელმაც ას წელს გასტანა, მოისპო და ახალი ქართული სალიტერატურო ენა დამკვიდრდა ქართულ მწვერლობაში. ეს პროცესი იმავე გზით წარმართა, რა გზითაც თავიდანვე მიმდინარეობდა: ახალი ქართული სალიტერატურო ენა აღმოხვედით საქართველოს ბარის დიალექტების საფუძველზე აღდგა და ვითარდებოდა. მაგრამ მის განვითარებასა და სრულყოფაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სხვა დიალექტებიც. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ახალი ქართული სალიტერატურო ენა ქართული საერთო-ეროვნული ენა გახდა. საერთო-ეროვნული ქართული სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანს წარმოადგენენ. XIX საუკუნის საქართველოში სახელმწიფოებრივი ზრუნვა ქართული ეროვნული სალიტერატურო ენისადმი სავსებით გამომრიცხული იყო ცარიზმის რეჟიმის პირობებში. მაგრამ სახელმწიფოებრივი ზრუნვა საზოგადოებრივი ზრუნვად შეცვალა. სალიტერატურო ენის განვითარებისა და მისი სრულყოფის საქმეს სათავეში ქართველი მოწინავე საზოგადოება, ქართული მწვერლობა ჩაუდგა, რომელსაც უხდებოდა ამ ენის დაცვა ცარიზმის ბუროკრატიული რეჟიმის წარმომადგენელთაგან. ამ ბრძოლაში ილია ყოველთვის პირველი იყო, ყოველთვის მეთაური იყო და მუდგრად იცავდა მტრისაგან, რომელიც, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ტლახკი ხელით... უწინარეს ენას მისწვდებოდა, რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნობისა, მისი გული და სული ენაა.“ „სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენი მშობლიური ენისა მიწასთან გასწორებასო“ - საქვეყნოდ განაცხადა მან ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ ისევე, როგორც „ოთხარანთ ქვივის“ გიორგი იტყოდა: „მამანმისაც არ შევარენდი დედანემის ავად ხსენებასო“, და სიკვდილამდის არ უღალატია ამ თავისი ნათქვამისათვის.

მაგრამ დაცვის გარდა სალიტერატურო ენას სხვა ზრუნვაც ესაჭიროებოდა და ილია ჭავჭავაძე ზრუნავს გულმოდგინედ. სალიტერატურო ენაში ნაირგვარი ფორმები გვხვდება, იგი ნორმალიზაციას საჭიროებს, ნორმებისა დასადგენი და ილია იწვევს ქართული ენის მოდუნეთა კრებას, წინასწარ ადგენს გადასაწყვეტ საკითხთა სიას ისეთი სიზუსტით, რომ სპეციალისტაც გაუძნელდებოდა. რა საკითხი გვებოთ, რომ ამ სიაში არ ნახოთ: ზედსართავი სახელის არსებობთან ბრუნვაში შეთანხმება, ვითარებით ბრუნვის დაბოლოების საკითხი, 3 და ს პრეფიქსების ხმარება ზმნებში, -ურ სუფიქსით ზედსართავების წარმოება „ნამეტნავად უცხოთა სიტყვათა ხმარებაში“, რა კავშირის ხმარება წინადადებაში, შემასმენლის ქვემეცხარესთან რიცხვში შეთანხმების საკითხი და სხვ.⁴ ეს ის საკითხებია, რომლებიც დღესაც აქტიურად სალიტერატურო ენაში. ყველას დაუკვირვებია, ყველა შეუსწავლია, ყველა აღუნუსხავს, ყველა დაუხვამს გადასაწყვეტად.

ანდა ქართული ტერმინების საკითხია მოსავარებული. ქმნის, იყენებს ამისათვის ძველი ლიტერატურის და მშობლიური ენის საფუძვლიან ცოდნას, ამ შექმნილ ტერმინებს იყენებს

⁴ ა. შანიძე, ი. ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისთვის, ილია ჭავჭავაძე - ხსოვილიყო კრებული, თბ., 1939.

თავის წერილებში, რუსულ კვირეულენტებსაც მიუწერს. წუხს, როცა შესაფერის ვერ პოულობს: „მეწინააღმდეგე, მაგ ენციკლოპედიისათვის [საპოლიტიკო ეკონომიკისათვის, ე. ი. პოლიტიკური ეკონომიკისათვის] ჩვენი ენა მუნჯია ჯერხანად, არც ტერმინებია მიღებული და დადგენილი საერთოდ, არც თითონ ეგვროვ წოდებული ფრანკოლოგია, ამიტომაც ერთს უმთავრეს სიძველეს ამ „შინაურის მიმოხილვისას“ ეს უკანასკნელი ნაკლი ჩვენის სიტყვიერებასა შეადგენსო“⁵

ანდა, როცა ხედავს, რომ ახალგაზრდა მწერლები და პოეტები ცუდად წერენ, მაშობრებ დროებას აძლევს მათ, ტუქსავს ძალიან მკაცრად, თანაც წუხს, რომ გულმოსაკლავი სიტყვის თქმა უხდება, „თითო სიტყვას თითო კომტ სისხლს ამოაყოლებს“⁶.

რამდენი რამის დასახელება შეიძლება თუნდაც მისი მიღწევების მხოლოდ ამ ერთი მხარეიდან.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის აღდგენისა და დამკვიდრების საკითხი რომ გადაწყვიდა, ეს პროცესი, როგორც თქვა, სალიტერატურო ენის გახალსების გზით წარიმართა. ასევე იყო ძველად, თავიდანვე, როცა ახალი სალიტერატურო ენა ფეხს იკიდებდა. ასეა ილიასთანაც. ილია ჭავჭავაძეს მთელ თავის მხატვრულსა თუ პუბლიცისტურ ნაწერებში უხვად აქვს გამოყენებული ანდაზები, ხალხური ფრანკოლოგია, ძარღვიანი თქმები. დამახასიათებელია, რომ ხალხის მეტყველებიდან იგი ისეთ რასმე იღებდა, რასაც ყველაზე ნაკლებ ეტყობოდა კუთხურობა, რაც ყველაზე ნაკლებ დიალექტურია, იმას, რაც საერთო-სახალხოა, რასაც ყველაზე ნაკლებ აზის ამა თუ იმ კუთხის მეტყველების ბეჭედი. საერთო-სახალხო ენა ყველაზე რეალურად ხალხური პოეზიის ყველაზე რჩეულ, დახვეწილ ნიმუშებშია წარმოდგენილი. ესაა ენა საყოველთაოდ გავრცელებული ხალხური ლექსებისა, ანდაზებისა, გამოცანებისა, მყარი ფრანკოლოგიური ერთეულებისა, გამონათქვამებისა, ყველაფერი იმისა, რასაც ზოგადფროსული ხასიათი ჰქონდა, რაც გადადიოდა ერთი კუთხიდან მეორეში, იხვეწებოდა ენობრივად, თავისუფლდებოდა დიალექტიზმებისაგან. ამას იყენებდა ილია ჭავჭავაძე, ამას გულისხმობდა იგი და არა კუთხურს, დიალექტურს, როცა ამბობდა: ხალხია ენის კანონების დამდგენი. ქართულ ლიტერატურაში არ არის მეორე მწერალი, რომელსაც ასე უხვად, ასე მრავალფეროვნად და ასე მზოდენივად გამოუყენებინოს ამ რივის მასალა და მით გაემდიდრებინოს სალიტერატურო ენა.

ისიც დამახასიათებელი ფაქტია, რომ ძველი ქართული სალიტერატუროდან სამ მწერალს აყენებდა ილია ყველაზე მაღლა: შოთა რუსთაველს, სულხან-საბა ორბელიანსა და დავით გურამიშვილს. „ჩვენ, ქართველებს, სამართლიანად მოგვაცხეს თავი, მით რომ ეკ დიდებული პონემა ჩვენის კაცისაგან და ჩვენს ენაზე დაწერილიაო“, – წერდა ილია „ეფეხისტყაოსნის“ შესახებ. „ეფეხისტყაოსნის“ იგი უძირო მორევს ეძახდა, „ხვდის აზრისა და გრძობისას, რომელიც ასეთის სიუხვით ასხივონებს ჩვენს ძველს ლიტერატურას“. ცნობილია ილიას მეტად მაღალი აზრი „სიბრძნე სიცრუის წიგნის“ შესახებ, ხოლო ქართველი ერის დიდი ნიჭისა და წარმატების ნიშნად ილიას ისიც მიანდა, რომ „ეფეხისტყაოსნის“ შექმნასთან ერთად ძველადვე თარგმნა „ქილილა და დამანა“⁷. დავით გურამიშვილის „დიდაქტიკური პოეზია კი – „ილიას სიტყვით“ – თავს არ შეიცრუებს, უხვად ლუკრაციის, ვირგილის და პორაციის დიდაქტიკურ პოეზიას დაუყენებ პირისპირ“, ხოლო მისი „სარწმუნოებრივი დადადება დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნების სიმაღლემდეა ასული“⁸.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს საქმე არა მარტო ამ მწერალთა მაღალი პოეტური ნიჭით მთხიბვლასთან. ილია ჭავჭავაძე შოთა რუსთაველს, სულხან-საბა ორბელიანსა და დავით გურამიშვილს დიდად აფასებდა აგრეთვე როგორც ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გარკვეული საფეხურების დიდ წარმომადგენლებს, სრულიად არაა შემთხვევითი და მხოლოდ დრმა შინაარსული მომენტით განსაზღვრული ის ფაქტი, რომ „ეფეხისტყაოსნიდან“, „ქილილა და დამანადან“ და „დავითიანიდან“ ამოღებული ადგილებით და აფორიზმებით სავსეა ილიას პუბლიცისტური ნაწერები და მხატვრული ნაწერებიც კი (მაგ. „გლახის

⁵ ილ. ჭავჭავაძე, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, გვ. 110, თბილისი, 1941.

⁶ იქვე, გვ. 51.

⁷ ილ. ჭავჭავაძე, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, გვ. 110, თბილისი, 1941, გვ. 427.

⁸ იქვე, გვ. 112.

ნაამბობი“). ამ ნაწარმოებებიდან ამოღებული ადგილების ასე უხვად გამოყენება ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთ განმამტკიცებელ სტილებრივ საშუალებად ქონდა გამოყენებული ილია ჭავჭავაძეს.

როდესაც ილია ჭავჭავაძის ცნობილ პოლემიკურ წერილებზე გვექონდა საუბარი, ჩვენ ვთქვით, რომ მნიშვნელობა ახალი ქართული სალიტერატურო ენის პოზიციების განმტკიცებისათვის ქონდა არა მარტო იმას, თუ რა თქვა, რა დაწერა ილიამ, არამედ იმასაც, თუ როგორ თქვა, რა ენით დაწერა. არსებითი მნიშვნელობისა იყო ის ფაქტი, რომ ეს წერილები დაწერილი იყო ისეთი ქართულით, რომელიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა ანტონ კათალიკოსის ნორმებს. შეიძლება ახალი ქართული სალიტერატურო ენის საფუძვლების ღრმა მეცნიერული, თეორიული დასაბუთებაც მოეცა, პრაქტიკული ხასიათის ზრუნვაც არ დაეკლო ამ ენის დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის, მაგრამ შედეგი იმდენად მნიშვნელოვანი არ ყოფილიყო, როგორც მივიღებთ, რომ ამ ენის ბრწყინვალე ნიმუშები თვით ილია ჭავჭავაძესაც არ მოეცა. ილიას მხატვრული პროზისა და პოეზიის შედეგები: „მგზავრის წერილები“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი“, „ოთარაანთ ქერივი“, „განდვეილი“, „კაკი ყანალი“ ახალი ქართული სალიტერატურო ენის კლასიკურ ნიმუშებს წარმოადგენს, განუზომელი მნიშვნელობისაა ახალი ქართული სალიტერატურო ენის საბოლოო ფორმირებისა და დამკვიდრებისათვის. ამ ნაწარმოებთა უმრავლესობა („განდვეილისა“ და „ოთარაანთ ქერივის“ გარდა) უკვე შესამოცე წლებში შეიქმნა. ამით შესაძლებელი გახდა, რომ მათ უდიდესი გავლენა მოეხდინათ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მიუღს მსგელოლობაზე.

მაინც ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების თვალსაზრისით გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქონდა ილიას მხატვრულ პროზას. XIX საუკუნის პირველ ნახევარში პროზის საკითხი იდგა მწვავედ, პროზა არ გვექონდა, ეს იყო მთავარი საზრუნავი ჩვენი საზოგადოებისა. აქი ილია ჭავჭავაძეც შემდგომ, თავის შესანიშნავ წერილებში მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე წერდა: „მწერლობა ჩვენი, ოცდაათიან წლებში ხელახლად ფეხადგმული, პირველ ხანებში უფრო შინაური საქმე იყო, ვიდრე საყოველთაო, უფრო შესაქცევარი, ვიდრე გარჯით მკვლევარი... შესაქცევად იმიტომ ვხდით იმ პირველდაწყებით მწერლობას, რომ იგი მარტო ერთს, თუძვი დიდგაღვინანს შტოს ლიტერატურისა ემსახურებოდა, სახელდობრ პოეზიას, ისიც იმ ფარგალში, რომელსაც ლირიკას ეძახიან და რომელიც უფრო თითონ მწერლის გულთა წვა-დაგვას, ჭირსა და ღხინს გვიგალობს, ვიდრე მოაზრე ცხოვრების აზრთა სვლას და წარმატებასო⁹. მხატვრული პროზა არ იყო და ილიამ შექმნა იგი, არსებითად კი ამ მხატვრულმა პროზამ აღადგინა და დაამკვიდრა ახალი ქართული სალიტერატურო ენა.

ილია ჭავჭავაძემდე არსებითად არ გვექონდა მართალი პუბლიცისტური სტილი. შეიძლება ითქვას, რომ ქართული პროზის პუბლიცისტური სტილის შემქმნელი ილია ჭავჭავაძეა. ილია ძალიან დიდ მნიშვნელობას აკეთებდა პრესას, პუბლიცისტობას. „ჟურნალგაგაჟებთა არის ერთგვარი ნაწილი მწიგნობრობისა - წერს ილია. როგორც მოუღეს მწიგნობრობისა, ისე ჟურნალ-გაგაჟებობას საგნად ადამიანის ცხოვრება აქეს... ჟურნალგაგაჟებობა არის შუამავალი ცხოვრებისა და მეცნიერების შორის, გამაერცვლებული კაცობრიობის ჭკუით მოპოებულის, გამძობიებულის და აღიარებულის სიმართლისა, ჭეშმარიტებისა. მეორეს მხრით, იგი არის სარკე საზოგადოების რთული ცხოვრებისა, მისი გონების, ზნეობის მოძრაობისა, მასში სწანს და ისახება ყოველდღიურის აზრის მიდენ-მოღენა. როგორც აზრისა და ცოდნის გამაერცვლებული, ჟურნალგაგაჟებობა წარმოვიდგენს ერთს უდიდეს სასწავლებლებს, რომლის მეცხრამეტეც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშენიერდეს საზოგადოების აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება. როგორც ცხოვრების სარკე, ჟურნალგაგაჟებობა წარმოვიდგენს მას, რაშიაც უნდა იხატებოდეს თვით საზოგადოების აზრი, გრძნობა, სურვილი ცხოვრების სხვადასხვა საგანთა თაობაზედ. რამოდენადაც იგი ამის ამსრულებელია, იმოდენად იგი საწყაოა საზოგადოების გონების, ზნეობის ძალისა და ნიჭისა, იმოდენად იგი საზომია ცხოვრების მოთხოვნილებათა და საჭიროებისა, იმოდენად იგი საშუალებაა, რომლის ძალითაც თვით საზოგადოება თვისი ცხოვრების სადავეს ხელთ იაყრობს და ცხოვრე-

⁹ იქვე. გვ. 79.

ბის თვითრწმუნულს დენას საკუთარს თაოსნობას უმორჩილებს“-ო¹⁰.

ილია ჭავჭავაძემ დიდი ძალ-ღონე შეაღწა ჟურნალისტურ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბისა“ და „იერიონი“ როლი ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებაში, ისევე როგორც სხვა ქართული ჟურნალ-გაზეთებისაც, არანაკლებია, ვიდრე მხატვრული ლიტერატურისა, ხოლო ილიას პუბლიცისტური შედეგები ახალი ქართული პროზის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ. მისი თანამედროვე ქართველი საზოგადოების საველადლო მდგომარეობაზე ილია ჭავჭავაძე, მაგალითად, ასე მწარედ წერდა:

„განვითვითუდლით და რამოდენადაც თვითუელი ჩვენგანი მთელს ქართველობაზე უძღურია და პატარა, იმდენად თვითუელი ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დაუძღურდა, დაპატარავდა, ჩვენს დაფუყებულს და შევიწროებულს გონებას საღდა შევიძლო ექონია ის ვრცელი და დიდებული აზრი დიდებული სიტყვისა? მამულის სხენებაზედ ეხლანდელ ქონდრისკაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე, მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადავო საწივარია. მამულისათვის ძღვევამოსილება – მოგებულის საქმის განაწინის პირია, ჯეროვანად შემოწმებული. მამულის სიმაგრე – ტყრუშული დობეა, ვენახ გარეშეშეშე შუმორტყმული. მამულის პატივი – ნეხვია, სახნავ მიწაზე სასუქად დაყრილი; მამულიშვილობა – მხენელისა და მთესველის სახელიდაა... საერთო სახელი ქართველი კერძობითად გაეხადეთ, მამული დანეხვიდ ნაფუძრად გადაეპქიეთ, პატივი – ნეხვად, თავი – გოგრად და ჩვენი უაღამიანობა იქამდის მიიფეყნეთ, რომ კაცი კაცს აღარა ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დაეუმატეთ. და ამის შემდეგ კიდევ ვინდათ, რომ ენა გეპროდესუ“¹¹.

ანდა:

„ერი თავისის სულით და გულით იმ ტურფა საბაღნაროსა ჰგავს, საცა, რუსთაველის სიტყვით, ერთი მიდის და მის მაგიერ სხვა მიდის, თითონ ბაღნარი კი არის და არის მუდამ მწვანე, მუდამ დაუჭკობელი, მუდამ ყვავილოვანი, ია-ზამბახ-ვარდ-გაშლილი, როგორც ჩვენი ძველი პოეტი ბესიკი იტყოდა.

მართალია, ხან ცა მოუღრუბლებს ხოლმე და მშვიდობიანი, მორცხვი კდემამოსილი ია ნაღვლიანად თავს ჩააკიდებს, ყელმოდერებული და თავმომწონე ზამბახი წელში გადისრება, ეშხით ცეცხლმოდებული არშეი ვარდი აღარ აკენეხებს თავის ბუნქებში ტრფიალებით დამთურადლს და გახელბეულს ბუღბულსა, მაგრამ ბაღნარი მაინც ბაღნარია, მაინც ჰყვავის, მაინც ფშვენს, მაინც სიცოცხლის ძარღვი დაუღაღადავ უცქემ სიცოცხლისთვისევე და ემზადებ კარგად დღისთვის, სხვა უკეთეს დროისთვის. აბა ახლა მაშინ ნახეთ ერი, როცა ფრუზისფრად გადაწმენდილი ცა, უღრუბლო და შუქმოფენილი, თავის უშველებელ ფრთებს ზედ გადმოაშლის ხოლმე, როგორც ფრინველი თავის ბღარტებს, მაშინ ნახეთ ის ტურფა საბაღნარო, რომელსაც მე სული და გული ერისა დავარქვი, რა ყვავილების კონას შუქკრავს!“¹²

ახეთ სიმაღლეზე ადიოდა ილიას პუბლიცისტური სტილი!

ახლა მისი პოლემიკური წერილები მოვიგონოთ, მისი კრიტიკული წერილები გავიხსენოთ! ილიას სტრიქონები შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, სულხან საბა-ორბელიანის, „ვისრამიანის“, XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის შესახებ მოუწვრომულ სიმაღლეზე დგანან არა მარტო მაღალი ახალი, დრმა შინაარსის თვალსაზრისით, არამედ ფორმის, ენისა და სტილის თვალსაზრისითაც და ახალი ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ნიმუშებს წარმოადგენენ.

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილები: „იი ისტორია“, „ცხოვრება და კანონი“, „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“, „მეცხრამეტე საუკუნე“, „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“, შინაური მიმოხილვები და მრავალი სხვა ახალი ქართული სალიტერატურო ენის საგანძურში შევიდნენ, ხოლო მისი ორატორული სტილის ნიმუშები ქვესტომათიებს დაამშვენებენ.

ილია ჭავჭავაძემ ერთხელ თქვა: ზოგი კაცი იმისთანაა, რომ „არ ვცივთ, რომელი მხრიდან დაეწყოთ ყურება, რადგანაც ყოველი მხრიდან დიდებული სანახავია“-ო. ეს სიტყვები ყველაზე უკეთ ილია ჭავჭავაძის დიდ სახელს, ილია ჭავჭავაძის ტიტანურ ნამოღვაწეში შეფერვდა.

¹⁰ ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, გვ. 152-153.

¹¹ იქვე, გვ. 152-153.

¹² ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, გვ. 259-260.

ილია და ქართული ენა¹

დიდია და განუზომელი ილია ჭავჭავაძის მამულიწვილური დეაწლი. ბრძოლა ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის ამ დეაწლის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. აკადემიკოსი აკაკი შანიძე სამართლიანად აღნიშნავდა: „ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივ მოღვაწეობაში ბრძოლა ქართული ენისათვის ერთი ძირითადი ხაზითაა განსაზღვრული. ეს ბრძოლა სხვადასხვა გარემოებაში სხვადასხვა სახეს იღებს: ორიგინალურ ბელეტრისტულ ნაწარმებში ის ქმნის უკუდავ სახეებს, წარმტაც სურათებს, ჭედს ქართულ სიტყვას, ნათარგმან რომანში იძლევა მისაბამ ნიშნებს იმისას, თუ როგორ უნდა იქნეს გადმოქართულებული რომელიმე ნაწარმოები, ცისკრელებთან ბრძოლისას ერთი კალმის მოსმით აუქმებს ახალი სალიტერატურო ენისათვის ზედმეტად გამზად ასოებს, იანოვსკის წინააღმდეგ ბრძოლაში თავაპოვდება იცავს ქართული ენის უფლებას და სხვა და სხვა“².

ილია ჭავჭავაძის ენა და მისი ადგილი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში უკვე არაერთხელ ყოფილა მკვლევართა საგანგებო დაკვირვებისა და შეხვედრის საგანი. მის შესახებ მითითება ა. შანიძის, ან. ჩიქობავას, შ. ძიძიუჯის, ი. ქავთარაძის და სხვანათა მტკიცად საყურადღებო გამოკვლევები, არსებობს სპეციალური მონოგრაფიაც. მაგრამ საკითხი იმდენად რთულია, რომ იგი საბოლოოდ ამოწურულად ვერ ჩაითვლება. არც ის არის დასამალი, რომ ზოგჯერ დღესაც გაიგონებთ მოსაზრებებს, რომლებიც ილიას დეაწლის დაუფასებლობისა თუ შეუფასებლობის შედეგია და საფუძველშივე მცდარია. ამიტომ ჩვენ ზედმეტად არ გვეჩვენება, მკითხველს ერთხელ კიდევ შევახსენოთ ზოგიერთი ცნობილი ჭეშმარიტება და ჩვენს მხრივ ვცადოთ ილიას ენის რამდენიმე დამახასიათებელი ნიშან-თვისების აღნიშვნა თუ წარმოჩენა.

როცა ვუკვირდებით ილიას ენას და გვხვრს მოკლედ განესაზღვროთ მისი დამახასხურება ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ თავი და თავი ილიას მოღვაწეობაში იყო ბრძოლა სალიტერატურო ენის ხალხურობისათვის.

ცნობილია, რომ სალიტერატურო ენის სიცოცხლისათვის ხალხის მეტყველებასთან მჭიდრო კავშირით განისაზღვრება. სალიტერატურო ენა ხალხურია თავისი წარმოშობითაც, აგებულებითაც, განვითარების კანონებითაც. სალიტერატურო ენა განუწყვეტლივ ვითარდება და მდიდრდება მხოლოდ ხალხურ ენასთან მჭიდრო კავშირში. სალიტერატურო ენას მეტი კონსერვატიულობა ახასიათებს, იგი ცდილობს შეინარჩუნოს ერთხელვე შემუშავებული და დამკვიდრებული ნორმები, მაშინ როცა ცოცხალი მეტყველების განვითარება შეუწყველად მიმდინარეობს. ამიტომ ზოგჯერ ხდება, რომ სალიტერატურო ენა და ცოცხალი მეტყველება საგრძნობლად შორდება ერთმანეთს. ასეთ დროს წარმოიშობა საჭიროება მნიშვნელოვან ცვლილებათა მოხდენისა, ერთგვარი რეფორმისა, რათა ეს დაშორებულ მოსახლეს ჩვეულებრივ, ასეთი რეფორმები დაკავშირებულია დიდი მწერლების სახელებთან, რომელთა თხზულებებიც განსაკუთრებულ როლს ასრულებენ როგორც ეროვნული მწერლობის, ისე ენის განვითარებაში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ილია ერთი ამთავანია. მან თავიდანვე განსაზღვრა, რომ ანტონ კათალიკოსის „სამი შტილის“ თეორიის ჯებირებში მომწყვდელი სამწერლო ენა ვერ გაუწვედა საჭირო სამახსურს ხალხს, ამ თეორიაზე დაფუძნებული მწერლობა არ გამოადგებოდა ხალხის ფართო მასების აღმზრდელად და წინამძღოლად. ამიტომ ილიამ ერთაზად დაიწყო ეს ჯებირები და სალიტერატურო ენაში გზა გაუხსნა ცოცხალი მეტყველების მძლავრ ნაკადს. „ხალხია ენის კანონმდებელი და არა ანბანთ თეორეტიკაო“, – თავიდანვე ასე მკაფიოდ ჩამოაყალიბა ილიამ თავისი თვალსაზრისი.

¹ ს. ჭუმბურიძე, ლიტერატურული წერილები, თბ., 1975.

² ა. შანიძე, ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის, „ილია ჭავჭავაძე. საუბიძლო კრებული“. თბილისის უნივერსიტეტის გამომც., 1940 წ. გვ. 7.

პირველი ნაბიჯი, რომელიც გადადგა ილიამ სალიტერატურო ენის გადახალისება-გახალ-
ხურების გზაზე, იყო ორთოგრაფიის გამარტივება და ხელის აღება პრაქტიკული დირებულე-
ბების არმქონე რამდენიმე ასოზე (ზ, ა, უ, ჯ, უ და ჭ). ამითან უ და ჭ ანბანში მხოლოდ მე-18
საუკუნეში შემოიკვეთა, დანარჩენები კი ძველთაგანვე იხმარებოდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ
ძველად ისინი გარკვეული ფონემური დირებულების მქონე ბგერებს აღნიშნავდნენ, შემდგომ-
ში კი ეს ბგერები გაქრა ქართულში (ზოგიერთი კიდოს გამოკლებით) და მათი აღმნიშვნელი
ასოების ხმარების წესებიც დაირღვა. იმ დროისათვის, როცა ილია ჭაჭავაძე ებძოვდა სამ-
წერილო ასპარეზზე, ზემოხსენებულ ასოების ხმარების მხრივ სალიტერატურო ენაში სრული
არფე-დარევა სუფევდა, ბევრი პრაქტიკულად უკვე აღარ ხმარობდა ამ ასოებს, მაგრამ მათი
საჯაროდ უარყოფა ვერაფერს გაუბედა. ილიამ გადაჭრით უკუაგო ეს ასოები და საქაო და-
მაჯერებლობით დაასაბუთა კიდევ მათი უსარგებლობა.

ილია შორსა: „ეს ასოები, რომლებიც ხმაც გამოითქმის სხვა ასოებითაც, ეგ ასოები სულ
ტყუილად არიან ჩვენს ანბანში, თუ სულ არა, უფროსთაგანი მინც; ტყუილად აგრძელებენ
ანბანსა, აძველებენ მართლწერისა და სხვა არაფერს არ შეგვიძინებენ. თუ მართლა ეგ ასოები
არ ისმის ეხლანდელ ენაში, რატომ არ უნდა გადავიღოთ? უსუნდა უკუაბა და გადავიღება მარ-
თლწერისა და ანბანისა, განა ცოტა საქმეა? და თუ ისმის, მაგ ასოების ხმარების კანონს რა-
ტომ არ ევებებთ ენაში, რომ ყველამ ერთნაირად ვიხმაროთ? ვისაც შინიდან ფეხი კარში გა-
მოუდგამს და, ანბანით თეორეტიკის გარდა, სხვა რამეც უკითხავს, იმას, რასაკვირველია, გა-
უგება, რომ ესეა მთელი ვერობა ცდილობს ყველაფრის განმარტებებს, გადავიღებას და,
სხვათა შორის, ანბანისასაც და მართლწერისასაც. შორს არ წაეღ: აი, თითონ რუსეთში
ცდილობენ ი, ზ-ს ამოშლას თავისი ანბანიდან, რადგანაც ეხლანდელ იმათ ენაში აღარ ის-
მის ეგ ასოები. მე შემეხედრია წიგნი 1859, თუ 1860 წელს დაბეჭდილი, სახელდობრ, „Сказание
оъ языческихъ боговъ“ (ამ მართლწერითა), სადაც ი, ზ არ არიან ხმარებულნი. როგორ გადაწყვე-
და ეს დავა, მე მაგას არ დაეუქმებ; მე მომეყვს ეს, როგორც ფაქტი, რომელიც ამტკიცებს სურ-
ვილს, რომ განმარტივდეს ანბანიც და მართლწერაც. ჩვენთვის ურიგო არ იქნება, რომ მაგ
ასოებზედ კარგად მოვიფიქროთ და, თუ უსაფუძვლოდ არიან ხმარებულნი, ამოშალონ, რო-
გორც უხმარნი; ეგ მოაშორებდა ახალ მოსწავლეს რამდენიმე უსარგებლო ასოს სწავლასა
და მწერლსაც გაუადვილებდა წერას“ (ილია ჭაჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ
ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტომი III, გვ. 41. ქვემოთ ყველგან ციტატები ილიას
ნაწერებიდან მოტანილი იქნება ამ გამოცემიდან. შემდგომში მიუთითებთ მხოლოდ ტომსა და
გვერდს. პირველი რიცხვი აღნიშნავს ტომს, მეორე გვერდს).

როგორც ცნობილია, ილიას ამ შეხედულებამ დიდი მღელვარება გამოიწვია „ცისკრის“
ფურცლებზე. უფროსი თაობის ლიტერატორთა შორის ილიას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩ-
ნდა, მაგრამ ილიას თვალსაზრისმა გაიმარჯვა და მისი შემოთავაზებული ორთოგრაფიული
რეფორმა სულ მალე თავიდან ბოლომდე სალიტერატურო ენაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომში დროდადრო იყო ხოლმე უსუსური ცდები ზოგი-
ერთი ასოს (ფ, ა, უ) აღდგენისა, მაგრამ ამ ცდებს წარმატება არ მოჰყოლია. ცალკეული ხმე-
ბი ა-ს აღსადგენად დღევაც კი გაისმის, მაგრამ საკითხავია, რა საფუძველი აქვს აზვარ-
ბით მოთხოვნას? ბგერა, რომელსაც ასო ე გამოხატავდა, სალიტერატურო ქართულ წარმოთქმაში
დიდხ ხნის გამქარაღია, წმინდა ქართულ სატყეებში მას ვერ შეხვდებით, ხოლო რამდენიმე
ნასესხები უცხოური სიტყვის ზუსტად გადმოცემის მიზნით მისი აღდგენა გაუმართლებელია.
ასეთ სიტყვებად მაინცია: ევოლუცია, რეველუცია, რეზუმე, კოსტუმი და სხვანი (სხვათა
შორის ძველ ქართულში ე წესით მხოლოდ ხმოვნების შემდეგ იხმარებოდა, დაღმაველი დიფ-
თონგს ქმნიდა, ზემოხსენებულ სიტყვებში კი ე ყველგან ხმოვნის წინ გვევლინება).

ასე თუ განვსჯით, უნდა აღვადგინოთ აგრეთვე ფ, რადგანაც ქართული ფ ზუსტად ვერ
გამოხატავს იმ ბგერას, რომელიც ევროპულ ენებში ისმის ისეთ სიტყვებში, როგორცაა ფი-
ლოსოფია, ფიზიკა, ფაქულტეტი, ფორმა, ფოკუსი, ასფალტი და მრავალი სხვა. ასე რომ მიე-
ფეთ, სხვა ბგერი ასოც გამოვიჩინებდა შემოსაღები, მაგრამ ასე არავინ იქცევა. ყველა ენა
ფითარდება თავისი შინაგანი კანონების მიხედვით და უცხოურიდან ნასესხებ მასალასაც ფი-
ნეტიკური ბუნების მიხედვით გარდაქმნის, თავის მოდელს უქვემდებარებს. ისტორიამ იცის
მაგალითები, როცა ენა სხვა ენის მიხედვით იცვლის თავის ბუნებას, მაგრამ ეს მისი სახი-

ცოცხლო უნარის დაქვეითების მაუწყებელია. ენის მხვეურნი ამგვარ მოვლენას ხელს არ უწყობენ, — ებრძვიან. ქართული ენა, საბედნიეროდ, არ დგას ასეთი საფრთხის წინაშე, მაგრამ ქართული ენის წარმატების მოსურნეებს მმართველთა მუდამ ახსოვდეთ დიდი ილიას მაგალითი, მისი მეცნიერული მიდგომა ენობრივი პრობლემისადმი. ილია ჭავჭავაძის მიერ გატარებული ორთოგრაფიული რეფორმა საეხებით მეცნიერულ სფუჟველზეა დამყარებული და მისი რეეხიის ცდები სრულიად გაუმართლებელია.

* * *

თავის პირველსავე კრიტიკულ წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევას შადღას ძე ერისთავის კოზლოვის-მიერ „შეშლილის“ თარგმანზედა“, რომელიც „ცისკრის“ 1861 წლის აპრილის ნომერში გამოქვეყნდა, ილიამ არა მარტო ორთოგრაფია გაამარტივა, არამედ გადაახალისა და ხალხის მტკვევლებას დაუახლოვა ენის ყველა მხარე: მორფოლოგიური ინვენტარი, სინტაქსური წყობა, დექსიკა, მხატვრული საშუალებანი. დღევანდელი მკითხველისათვის მწელია მთელი სიგრძე-სიგანით გაითვალისწინოს, რა დღეში იყო იმ დროს ქართული ენა და რა უზარმაზარი საქმე გააკეთა ილია ჭავჭავაძემ. ცოტათი მაინც რომ შევეძლოთ ამის წარმოდგენა, ავიღოთ თუნდაც „ცისკრის“ სწორედ ის ნომერი, სადაც ილიას „ორიოდე სიტყვა“ არის დაბეჭდილი. იგი იხსნება გაბრეულ ეპისკოპოსის სიტყვით: „შესხმა იმერეთისა და გურიის კეთილშობილისა წოდებისადმი, თქმული წინეთ დაფიცებისა მისისა აღმოსარჩევედ გუბერნიისა და უეხდის წინამძღვრებთა, ჩყაბ-სა წელსა, იანვარს“.

აი, ამ სიტყვის დასაწყისი: „საქმე, რომელმან შეგკრიბნა თქვენ, კეთილ-შობილნო თავადნო და ახნაურსა იმერეთისა და გურიისანო, და რომელსა კეთილთა სუნდისთა აღსასრულეზღად თქვენ უნდა სთქვათ ფიცე წინდასა ამის ეკკლესიასა შინა, საქმე იგი ფრიად მძიმე და ღირსი ყოველისა ყურადღებისა, არათუ მხოლოდ თქვენთვის, არამედ მიუვლისა საზოგადოებისათეს; ვინაიდაგან კეთილ-მდგომარეობა და ბედნიერება თქვენისა წოდებისა განაგრეცვლებს ბედნიერებასა ყოველთა შორის სხათა წოდებათა“.

გაბრეულ ეპისკოპოსის „შესხმას“ მოსდევს გ. დიდბეულისის „სიტყვა, თქმული იმერეთის არხიეპისკოპოსის დასაფლავების დროს“. აი მისი დასაწყისი: „ყოველთა ამის სოფლიოსათა, ესე იგი ღირსებასა, პატივსა და ყოველსავე დიდებასა კაცისას, აღრევეს და შეაერთებს საშინელი იგი სიკდილი მტუნერთა თანა მიწისა. ბრწყინვალენი ვარისხნი, რომელნიცა განაკვერევენ მსოფლიოსა, დაიფარვიან და განქარდებიან წყდიადსა შინა საფლავსასა, ვითარცა წუთიერი ჩნება. სატრფოთა საგრძნობელთა ჩვენთვის კმაყოფილებათა და შექცევათა, ერთი ოდენ წარმოდგენა საუკუნოსი, შესცვლის მწუხარებად და ხინანულად“.

„ცისკრის“ ამ ნომერში დაბეჭდილია მხოლოდ ერთი პროზაული თხზულება, ისიც თარგმანი, — მითხრობა „ჩამორბობილი“, რომელიც ასე იწყება: „დანიამი ყოველთვის იყენენ სახელოვანნი ექიმნი. ოც და ხუთის წლის წინეთ საკვერელის და თუთქის შეუჭლებელისა შემთხვევის დოქტორ სტუნეხისა, რომელზე მაშინ დაპარაკობენ მიუღ ვეროპაში, იყო დანიის კარზედ ექიმი ითანე ტელაი, რომელი აღვებულ იყო თავის თანამედროვეობითა ოქროთი და სანუქრებით, მის ჩინებული წარმატებისთვის და გამოჩინებისათეს ექიმობაში“.

სიუჟეა ურნადის ამ ნომერში წარმოდგენილია ილია ჭავჭავაძის სამი ლექსით და ბარბარე ჯორჯაძის ერთი ლექსით, რომელსც სათაურად აქვს: „ი. კ.“ (= ივანე კერესელიძისადმი). ილიას ლექსებს („თ. აღექანანდრე ჭავჭავაძემ“, „აღბოშში“ და „გაზაფხული“) ყველა იცნობს და მათი ციტირება აქ საჭირო არაა. ზედმეტია იმის მტკიცებაც, რომ ეს ლექსები მიუღ ურნადში გამოირჩევა როგორც აზრის სიღრმით, ისე მუსუბუქი ფორმით და ლაღი ენით. მათ გვერდით კი ვითხულობთ ბ. ჯორჯაძის ნაციონალიარ სტრიქონებს:

ნაწერნი შენნი გულს კაცისას აგრძნობინებენ,
ფიქრით მოცული მდუმარებით თუმც დაჟურებენ;
საგანნი ხმას ტკბილს, აღერხიანს განადიდებენ,
ზოგან მწყრადლობას უმცერულსა შემოგეჩივლებენ!

და ა. შ.

დასასრულ, ერთი კრიტიკული წერილიც ვნახით. თავადი ზ. ერისთავი წერს: „წარსულის

სტუმრების წლის ცისკარში იყო თ. იმერელისაგან დაწერილი სტატია „ლოტო ქუთაისში“, მოკლე გაურკვეველი და არა შემდგომი აღწერა. მაგრამ მისი ავტორი არ გამოდის სამკვირიდან მსჯელობისა. ის ანბობს, რომ ლოტო მეტად გავრცელებულია ქუთაისის საზოგადოებაში, მაგრამ არ რიცხავს მას არა რაიმე ნაკლებეანობათა შორის, და არცა პოეზიებს მასში არა რაიმე ცუდსა დაწეროს. მე შეგონა, რომ ეს ასეთი შეურაცხავი აზრი იყო, ესე იგი ლოტოზედ წინააღმდეგი წერა, რომე ამით დახჯერდებოდენ. ამ წლის მარტის წინაში ვიხილე თ. იმერელისა, როგორც მსწერს იგი, „ლოტობა ლოტოთი ქუთაისში“. ვეება პოემა, რომელშიაც ჩემი აზრით მითხველი ვგონებ მხოლოდ ენის მეტს ვერსა პოეზიებს ღირსებას. მეტად უსაფუძვლოდ არის დაწერილი, შეუსაბამოთ და უხედავო. ვგონებ უ. იმერელი უფიქრლოთ და მხოლოდ იმ აზრით, რომ გახდეს თანამეშრომე „ციცქრისა“, დაუბდაჯამს ესე“.

აი როგორი ქართული გაისმოდა იმ დროს ერთადერთი ეროვნული ჟურნალის ფურცლებიდან! ილიას ლექსებისა და წერილის გარდა, ერთადერთი მასალა, რომელიც „ციცქრის“ ამ ნომერში გამოირჩევა კარგი, გამართული ენით, ესაა ისტორიკოს დიმ. ბაქრაძის წერილი იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ გამოწკილია, ჟურნალის ენას კი ძირითადად ისეთი მასალები განსაზღვრავენ, რომელთა ნიმუშებიც ზემოთ იყო წარმოდგენილი.

კიდევ ერთ მაგალითს დავიშოვებთ, ამჯერად საკანონმდებლო დოკუმენტის ენისას. გლეხთა განთავისუფლების დებულების ერთ-ერთი მუხლი (172-ე) დაღაღებს: „კავკასიის ნამესტნიკსა მიენაღება დასდგას კანონნი მოყვანისათვის ცნობაში გარდასახადთა რაოდენობისა მიწისა მოსავლითა გლეხთა მინდერისა მიწათგან და ძალთაგან; გარდასახადნი ესენი დაფასდეს ფულად შეთანხმწორებით ადგილობრივთა მოთხოვნისებათა ნამდვილისა მოსავალთა ღირებულობისა და დაქსადეს ამ დაფასებით გარდასახადი მოხსენებულთა მინდერისა მიწათა და ბალთათვისა“.

აბა, რა უნდა გავგო აქედან გლეხს, რომლის განთავისუფლებასაც ეს „დებულება“ ეხებოდეს?! არათუ გლეხს, ამგვარი ენით დაწერილი დოკუმენტის გაგება განსწავლულ ფილოლოგსაც გაუჭირდება! ილია ჭავჭავაძეს მოჰყავს ზემოხსენებული მუხლი და თავის მხრივ ასეთ განმარტებას ურთავს მას: „დებულებაში მოხსენიებულია, რომ 1. ჯერ უნდა წესი დაიდოს მასზედ, თუ როგორ მოიყვანოს ცნობაში აწინდელის წილადობილის დღის რაოდენობა; 2. მერე, ადგილობრივის გარემოების მიხედვით, უკ რაოდენობა დაღისა ფულად დაფასდესო და 3. მას შემდეგ ნაემყვის გარდასახადი დაღა ერთო ფულად განისაზღვროს, ესე იგი ჩვეულებრივი მიწის მოსავლით გარდასახადი მასზედ გადაქცესო“ (621).

აქ უკვე ყველაფერი ნათელი და გასაგებია. ვფიქრობთ, მოტანილი მაგალითი თვალნათლივ გვიდასტურებს უზარმაზარ სხვაობას ილიას ენასა და მის წინადროინდელ სალიტერატურო ქართულს შორის.

თუ რამდენად ახალი და უწყველი იყო ილიას ენა უფროსი თაობის არქაული ენის ფონზე, ამას კარგად ვგვიჩვენებს ის რეაქცია, რაც მისმა უბედულმა გამოსვლამ გამოიწვია. სარდიონ ალექსი-მესხიშვილი თავის ანტიკრიტიკულ უსტარში“ წერდა: „წრფლის გულით მოგახსენებ, თავადო ილია, რომ გულმტკივნეულად წავიკითხე მე, ქართველმა, ამგვარი ქართული ენა განათლებულის და განვითარებულის ქართველისა, იმ ქართველისა, რომელიც აიღო („ციცქარში“ შეცდომით დაბეჭდილია „ამოდ“ – თ. კ. ხ. ჭ.) დაიღინებს საქართველოს ამოდ შმენიერი ლექსებით და სადასიტყვაობაში კი ასე უწყალოდ ამხინჯებს და ამდაბლებს ქართულ სიტყვიერებას და ამასაც სად? ქართულის სიტყვიერების ჟურნალში. რასაკვირველია, კარგად იცით, რომ წერა არის სამგვარი: მაღალი, საშუალო, მდაბალი. არ ვიცი, ამ სამში რომელს მიეთვისება თქვენი კლამი. ჩვენში, სადაც იხმარება ნაცვალსახელი „იგი“, ამ მაღალ სიტყვას ზმნისხედა შეუფერება „ოდეს“ და არა სრულიად მდაბიო ლექსი „როცა“, რომელითაც იწყება პირველი სიტყვა“.

როგორც ვხვდებით, დარბაისულ ქართველ დიდებულს არ მოსწონს ისეთი ჩვეულებრივი და უწყინარი სიტყვაც კი, როგორცაა „როცა“, რომლითაც ილია იწყებს პირველ კრიტიკულ წერილს („როცა გაგახსენდება კახოვი და მისი პოეზია...“). ეს „როცა“ ჩვენთვის არის დღეს ასე ჩვეულებრივი და უწყინარი, თორემ ილიას სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში, როგორც ვხვდებით, ის თურმე „მდაბიო ლექსად“ ანუ უბრალო სიტყვად ითვლებოდა და ამიტომ სალიტერატურო ენის კარი დახშული მქონდა, თუმცა ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი

ქართველი ყოველდღიურ საუბარში სწორედ „როცას“ ხმარობდა და არა მაღალფარდოვან „ოდეს“-ს.

საჭირო იყო ილიასთან გამჭრიახი და პრინციპული მებრძოლის გამოჩენა, რომ ძველი სალიტერატურო ენის ჯგებრები გაეფარია. ყური არ ეგდო ს. ალექსი-მესხიშვილისთანა მრჩეველთათვის და გაბედულად განეგრძო წინსვლა ერთხელეუ არჩეული გზით, ხოლო როცა მას და მის თანამებრძოლებს „ენის წახდენა“ დააბრალეს, პირში მიეხდია მათთვის:

ენა მაღალი,
მის სიღრმე, ძალი,
ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა,
პირველ თქვენგანმა,
იმა ბედშავემ,
მას მკვდრის სუდარი გადააფარა.
ენა მიდიდარი,
თქვენს ხელში მკედარი,
ჩვენ მოვივლია გასაცოცხლებლად,
და ამასაც თქვენ
ცოფდად გუთოვლით ჩვენ,
რაღა პირითა დახვალთ ამ ქვეყნად!

* * *

ილიას წინადროინდელი ქართული მხატვრული ლიტერატურა ასე თუ ისე მაინც ანგარიშს უწევდა ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას, მაგრამ სალიტერატურო ენის სხვა შრეები მეტისმეტად გამოფიტული და ნირწამხდარი იყო. ის ითქმის კერძოდ სამეცნიერო და პუბლიცისტურ თხზულებათა ენაზე, რომელსაც ყველაზე მეტად შოროდა „მაღალი შტილის“ ხენი.

ილია ჭავჭავაძის გენიამ სავსებით სწორად განსაზღვრა, რომ პუბლიცისტის ენას სჭირდებოდა განსაკუთრებით განახლება, განედლება თუ თავიდან დფრიტის დადება ხალხის წიაღში დაცული ენის მაღლით. ილიამ გაბედულად თავს იდო ეს დიდი ამოცანა და წარმატებით გადაჭრა იგი. ხალხურ ლექსიკასთან და გრამატიკულ ფორმებთან ერთად ილიამ პუბლიცისტის ენაში უზგად გამოიყენა ხალხური ანდაზები და ფრთიანი გამოთქმები, ხალხის ცხოვრებიდან აღებული შედარებები, ყოფითი დეტალები. ასეთია, მაგალითად, მის პირველ კრიტიკულ წერილში ნახმარი შედარება-ეპითეტები: „წირპლიანი ხსოლა ხენტიმენტალიზმისა“, „რითმების მორახუნებლები“, „დაეარდნილ ცხენსავით მოვოგავს ტყვიასავით მიმიე ლექსები“, „ჰკრიტინებენ თავად ერისთავის ლექსები, როგორც გაუსაპანავი საპაღნის ურმის თელეზბი“ და ა. შ.

სენიან ბარბაქე ჯორჯაძე ამის გამო გაწიწმაცებული წერდა: „როგორ გეკადრებთ, ყმაწვილო, ამისთანა ლექსებით“. მაგრამ ილიას აღებული გეზისათვის არ უღალატნია და მსგავსი სიტყვები თუ გამოთქმები უზგად გეხვდება მის ნაწერებში. ყველა მათგანის აღწუსება პირდაპირ შეუძლებელია. ჩვენ მრავალთაგან მხოლოდ რამდენიმე ნიმუშის მოტანით დაგვაყოფილდებით.

აი, მაგალითად, ზემოხსენებულთა მსგავსად შედარებები ილიას სხვა პუბლიცისტური წერილებიდან: „რაც ცხავია ხეავისათვის, ისიც კრიტიკა ლიტერატურისათვის“ (3, 152); „ითო მარცვლობით ასაკენს, კრიტიკის ცხრილში გასაცხრელს ჩვენი ავტორი ნინიბათა მხევეტს გაუცხრულად და გაუნიავებლად“ (4, 132); „აი, ჩვენის ფიქრით, იგი გატორვევის თონე, რომელიც აცხობს ჩვენში ქურდობას და ავაზაკობას“ (6, 209); „ჩვენში მომრიგებელი მოსამართლეობა ცარიელ დეროდ დარჩა, ისეთ დეროდ, რომელსაც ფსევებიც დაჭრილი აქვს და ფოთლებიც დაბღერტილი“ (6, 88); „არახუნებს, რაც კი ენაზე მოადგება და მამაღსავით ჯერ თვადლებს მხუჭავს და მერე აჟივის, თითქოს ენა ადამიანს იმიტომ აქვს, რომ მოშლილ წისქვილივით შეჭკავს და პროშოს“ (6, 243)...

ილიას ენის ერთ-ერთი დამახახიათებელი ნიშანია ხალხური იდიომებისა და ანდაზების ხშირი და მოხდენილი ხმარება, ილია, მიხივე ხატოვანი სიტყვით რომ ვთქვათ, ანდაზ-იდომების ტრფიაღს რომ იტყვიან, სწორედ ის ბრძანდებოდა: იგი ხშირად მიმართავდა ხალხის

ხატოვანი აზროვნების ხალხთა როგორც მხატვრულ ნაწარმოებში, ისე კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში და ამ გზით დიდ ემოციურ ძალას მხატვრულ თავის თხზულებებს, დღევანდით მოქნილს ხდიდა მათ ენას.

როგორც აკაკი შანიძე აღნიშნავდა, ილიას სამ მთავარ მოთხრობაში „გლახის ნამბობი“, „კაცია-ადამიანი“, „ოთარაინთ ქერივში“ ორმოცდაათამდე ანდაზა და აფორიზმი შესული, ხოლო რაც შეეხება პუბლიცისტურ და სხვა ნაწერებს, მათთვის უფრო დამახასიათებელიცაა ანდაზებისა და აფორიზმების გამოყენება. სპეციალურ ლიტერატურაში აღნუსხულია 130-ზე მეტი ანდაზა, რომლებიც ილიას პუბლიცისტურ წერილებში არის გამოყენებული.

ანდაზა ხალხის მხატვრული მეტყველების ძველისძველი და მოქნილი ფორმაა. მისი ყალიბი საუკუნეთა განმავლობაში მუშავდებოდა. ანდაზაში განზოგადებულია ხალხის მრავალწლოვანი დაკვირვება, ამავე დროს აზრი გადმოცემულია უადრესად ხსარტი, მოხდენილი და ადვილად დასამახსოვრებელი ფორმით, მეტწილად სახეობრივი სისტემით. ილიას, ხალხური მეტყველების ესოდენ ტრფიალს, არ შეეძლო გვერდი აეხვიო ანდაზებისათვის, არ შეეძლო არ დაესწავებოდა ხალხური მეტყველების ამ თავანკარა წყაროს. ამავე დროს ილია უთუოდ გრძნობდა, რომ ანდაზებს სალიტერატურო ენაში შემოაქონდათ არა მარტო ხალხური ნაკადი, არამედ ენის ძველი ძარღვიც. მათში ხომ შემონახულია ძველი ენობრივი ფორმები, დღეს უკვე უცხო ხალხური ენისათვის და ლიტერატურისთვისაც. ფორმები, რომლებიც სრულიად მისაღებია სწორედ ანდაზის სამოსელში. ასე რომ, ანდაზა ერთგვარი ხიდაა ძველ სალიტერატურო ენასა და ცოცხალ მეტყველებას შორის.

შეიძლება ითქვას, რომ ილიამ დიდად გააფართოვა ანდაზების ხმარების არე და გამოიყენა ანდაზები ისეთ კონტექსტშიც, სადაც ისინი მანამდე ასე თავისუფლად ხმარებული არ ყოფილან. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი პუბლიცისტური და სხვა არამხატვრული ნაწერები. ამ ნაწერებში დიდი თემატური მრავალფეროვნებაა. ილია წერდა ისტორიის, ენის, ლიტერატურის, ხელოვნების საკითხებზეც და ამავე დროს - ღვინის დაყენების ქართულ წესზე, პურის ფასზე, საბანკო საკითხებზე და ა. შ. ჩვენთვის საინტერესო ასპექტით სხვაობა ამ ნაწერებში არ იგრძნობა.

ილიას თხზულებებში ანდაზების ხმარების სამი სახე დასტურდება:

1) ზოგჯერ ანდაზა მოყვანილია უცვლელი ფორმით და მწველი იქვე დასძენს, რომ ეს აზრი ხალხურია; მაგალითად: „ტორილითა და ვიშითა მტერნი არ შეგვიბრალდებნო, - ამბობს ჩვენი გლეხური ანდაზა“ (4,320); „გლეხური ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“ (3,69); „ტყუილად კი არ ამბობს ხოლმე გლეხკაცი: ორმა კაცმა რომ ვითხრას, ბრმა ხარო, უნდა დაიჯერო“ (6, 197); „ნათქვამია: ქოთანმა ივარა, ივარა და სარქველი იპოვაო“ (4, 103); „ადგილის კურდღელს ადგილის მწვეარი დაიბერსო, ნათქვამია“ (6, 96) და სხვ.

2) ზოგჯერ ანდაზა თავისი მზამხარეული ფორმით პირდაპირ, უკომენტაროდ არის ჩართული ტექსტში: „ქურდს რა უნდა და ბნელი დაიმო“ (6, 243); „არა შევდა მწვერი ხესა, არა იყო გვარი მისიო“ (6, 247); „ნუ შეხვალ, ნუ ებანები, ნუ გამოსვალ, ნუ თითიო“ (6, 259); „ქვა ააგდო და თავი შეუჭვირაო“ (6, 262); „ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“ (6, 280); „არც ფლავია და არც ჩლავი“ (6, 294).

3) უფრო ხშირად ილია მიმართავს ანდაზის გადაკეთებას ვითარების შესაბამისად. ზოგჯერ ეს პერიფრაზი დაშორებულია პირველწყაროს ძირითადი პათოსის თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში მწერალი იყენებს არა ანდაზის სენტენციას, არამედ ფორმას. „ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“ - ამ ანდაზის ყალიბის მიხედვით ილია ასე ახასიათებს ფულს: „ორსავე შემთხვევაში არც ზნეს იცვლის, არც ფერსა და სულ ერთსა და იმავე მხიარულ გუნებაზეა, ვის ხელთაც ვინც იყო“ (6, 256). „ზღვა კოხით დაიღვევაო“ - ეს ანდაზა ილიას ასე აქვს გამოყენებული: „ადამიანის გული იგივე ზღვაა, რომელიც კოხით არ დაიღვეა თავის დღეში“ (3, 146).

ასეთ შემთხვევაში ილიას დამოკიდებულება ანდაზისადმი მეტად აქტიურია: იგი ანდაზას ანაწევრებს, ზოგაობის პიუჯილიდან ჩამოაყვას და კონკრეტულს ხდის: „ბატონეობაში დაბადებულს, ბატონეობაში გამოზრდილს მებატონეს, რასაკერეველია, ენელება, გული ეთანადრება, რომ მის გარშემო ბატონობას აეღლა აღვარა აქვს და ფიქრობს, რაჟი წყაღეს მიუყვარო, ხავსს მინც მოეგვიდოო, ხავსად კიდევ მიხვინაინი შეთხედობა გაუხედა და ამას მიუყვარო, ხავსს მინც მოეგვიდოო, ხავსად კიდევ მიხვინაინი შეთხედობა გაუხედა და ამას მაგრა ეცილება“ (6, 31). ან კიდევ: „მინამ ჩარულს, ქურდბაცაცა ფულს გული ხისა აქვს და

აბჯარი კი, უამთა ვითარების წყალობით, რკინისა, მასთან ომი კიდევ შესაძლებელია და საი-
მედო, იმიტომ რომ ომში გამძლეა მარტო გული რკინისა, თუნდა აბჯარი ხისა იყოს და არა
პიოხით“ (7, 14); „გზის დანახვა მაშინ, როცა ურემი გადაბრუნდება, თუმცა გვიანი საქმეა,
მაგრამ ამასაც მნიშვნელობა აქვს“ (7, 436); „დასთა ბრძოლა ყველგან არის. მაგრამ, ისე კი
არაა, რომ აქლემები წაიხზუნდეს და კოზაკი შუაში გაიჭყლიტოს“ (7, 491); „ჩვენში ხვნა-თეს-
ვის მოსავლას საოჯახო მნიშვნელობა ბუ შერჩება, თორემ საადგიმიცემო საგნად ძნელად
გახდება, იმოდენად მაინც, რომ ჩიტი თრდელენად დიდდეს და დევნა მგტი არ იყოს“ (6, 221).

ილიას თხზულებებში გვხვდება ხსენება ხალხთა ანდაზებიც, განსაკუთრებით ხშირად – რუ-
სული. ეს ანდაზებიც მწერალს მარჯვედ და მოხდენილად აქვს თარგმნილი, ქართული ანდა-
ზის ყალიბში ჩამოსხმული: „უცეცხლოდ ალი არ ავარდებოა, როგორც რუსები იტყვიან“ (7,
442); „რუსული ანდაზისა არ იყოს, დეე ბაღლებმა იცუკლქონ, თავი შეიქციონ. ოღონდ კი ნუ
იტრებენ“ (6, 243); „ჩვენი გამწყრალი აეტორი კი იჯდეს, მინამ მოეწყინება, ზღვის პირას და
დრო მოიფილინოს“ (4, 154); „ფრანგები იტყვიან: ის იცინის კარგად, ვინც ბოლოს გაიცინებ-
სო“ (6, 286) და სხვანი.

საკუთრებით ცნობილია, რა ადგილი უჭირავს იდიომატიკას ენის საგანძურში. ეს ერთ
იმ სიკეთეთაგანია, რაც ენას მოქნილობას, სისხარტეს ან ხატოვნებას ანიჭებს. იდიომის წარ-
მოქმნის საფუძველია ჩვეულებრივი შესატყვისების ხმარება გადატანითი მნიშვნელობით, მისი
განზოგადება. მაგრამ ენის გაღარიბების დროს თითქმის საპირისპირო პროცესი იწყება: იდი-
ომი ნელ-ნელა კარგავს ზოგადობას და თუ თავის პირვანდელ კონკრეტულ მნიშვნელობას
საკსებობთ არ უბრუნდება, ე. ი. კვლავ ჩვეულებრივ შესატყვისად არ იქცევა, ყოველ შემთხვე-
ვაში ვიწრო სტილისტური სფეროებით იფარგლება. ენაში, სადაც გაჩნდა ნაპირალი ხალხის
მეტყველებასა და სალიტერატურო ენას შორის, შეიმჩნევა იდიომებისადმი რაღაც კრძალებული
დამოკიდებულება, როცა, ექვევით, მიწის დამუშავებასთან დაკავშირებული იდიომები მხო-
ლოდ მხვენელ-მთესველის საკუთრება ხდება, მეცხოველეობასთან დაკავშირებული – მხოლოდ
მწყემსისა და ა. შ.

ილია ყოველმხრივ ცდილობს მოახდინოს იდიომა რეაბილიტაცია, ცდილობს დაუბრუ-
ნოს ხატოვან გამოთქმებს ზოგადობა და საყოველთაობა, ამით ენას აღუდგინოს დაკარგული
ძალი და ძარღვი. ამის დამადასტურებელ მაგალითებს ილიას ნაწერებში ყოველ ნაბიჯზე
იპოვის მკითხველი, ჩვენ საილუსტრაციოდ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს მოვიტანთ პუბლიცი-
სტური წერილებიდან: „ახლა მივებრუნდეთ და მოკლედ განვიხილოთ თვითონ კახლოვის პოე-
მა „შეშლილი“. რა წითელი კოჭი ბრძანდება რუსულ ენაზედ“ (3, 13); „ადვირი წამოაქა-
რა ენამჭკვრობას“ (3, 109); „გორსედ დრამაში ქართველებს გააქეთ გამარჯვების ბურ-
თი მოედნიდამ“ (3, 189); „ამისთანა (თამარ მეფესთანა) სახელის გაუქმება და დამდაბლება
პატარა მგტი ხაფანელი უნდა, ვიდრე აეტორს ჰქონია“ (4, 65); „ადეს-აქამომდე გვეგონა,
რომ ხსნა ურისა სწორედ მაგ ინტენსიურ ცხოვრებაშია და, თურმე ნუ იტყვიო, და ხართ-
თა ფონი კი სწორედ ეს ინტენსიური ცხოვრება ყოფილა“ (4, 21); „აქ ჩვენი აეტორი... ხსენის
ფეხის ხმას თვალდახუჭული აყოლია“ (4, 38); „ერთხელ წაკითხილი აეტორი ახისა და
ორასის წლის გამოპარებას არა სჯერდება, მთელს რეაის წელიწადს ჩაიღუღის წყალს
ასმევს“ (4, 45); ამ ყოფაში ჩაჯარდნილი ვრი, თუ მიიღვი ძალ-ღონე არ მოიკრიბა და ამ საფ-
ლობიდან არ ამოვიდა, ფონს ვეკად გავა დღეს“ (5, 343); „შმიერ-მწყურვართა სიკვდილი
საგან გაღასარჩენად ერთი ლუკმა პური რომ მოიპარო, ვრისი ბაზაში იკეკრენ თავს“
(5, 327); „ნუ ვიცით ხოლმე, ჩვენი გაჭირვების ყავარჯენს ერთს კაცზედ მივაყუ-
დებთ ხოლმე საზოგადო საქმეში“ (4, 346); „ეს რა სიტყვის შემობრუნება მაშინ, ორდღაც
ჩვენ ამ მთისას ვღაპარაკობთ და ის კი იმ მთისას გვეუბნება?“ (6, 138); „არ
ვინ პკითხავს გამეკობას, ბალი ათ შაურად არის, თუ მეტ-ნაკლებად?“ (7, 446); „ამ
რკინიგზის შემწეობით პურის ვატრობამ დიდი ფრთა გამოიბა“ (7, 204); „პურის ვატრობამ
ჩვენში საშუალოდ დვრიტა დაიდო“ (7, 211); „მაშინ იქნება ხმლის ქაიღის ღონეც შეს-
წვედა... ეხლა კი ხმლის ენა მუცელში ჩაუყარდა; ხმლისც, როგორც ყოველმხვე
სხვამ, თოკი ყელზე შეიბა და ფულს დაუყარა თავი, ვითარცა უღდეველს ბატონს
ყურმოჭრილმა ძლეულმა ყმაშ“ (7, 10) და ა. შ.

თავის დროზე ილიამ ყურადღება მიაქცია ქართული ენის ერთ განსაკუთრებულ თვისე-
ბას, რომელიც დიდ მოქნილობას ანიჭებს მას: „ეს განსაკუთრებული თვისება იმაში მდგომ-

რობს, - წერდა ილია, - რომ ჩვენს ენაში არ არის არც ერთი სიტყვის ნაწილი, რომ როგორც სახელი-არსებითი არ იბრუნებოდეს, თუნდ ზმნის-ზედა აიღეთ, თუნდ თანდებულთ, თუნდ ზედშესრული, თუნდ ნაცვალ-სახელი და თუნდ ზმნაც, როცა უღვდილების ფორმაში... ეს კიდევ არაფერი. ჩვენს ენას არ ეხამუშება, არ ეუცხოება თუნდ მივლი ფრანხა დაბარუნოს, როგორც ცალკე სიტყვა. მაგალითებრ, „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელგანთნის მავიერ რუსთაველი უკეთესს ვერას იტყოდან“; ან „რასაცა გასცემ, შენია, არა დაკარგულია-მ მივლს ქვეყანას მოიფინა რუსთაველის სახელი“; ან „რასაცა გასცემ შენია, არც არა დაკარგულია არ შეედრება რა“. მართალია, იშვიათი შემთხვევაა, როცა კაცს დასჭირდება ამისთანაში ესეთი ფორმა მოიშველიოს, მაგრამ, თუ მოიშველიოს, ჩვენის ენის წინადადება არ იქნება, მით უფრო, რომ თვითონ ამ-რიგად მიმოსხრილი ახრიც ადვილად გასაგებია“ (4,89-90).

ეს დაკვირვება ილიას მახვილი ენობრივი ადლოს დამადასტურებელია, ბუნებრივია, რომ ეს ნიშანი ჩვენი ენისა ილიას მხოლოდ თეორიულად კი არ შეუნიშნია და დაუდგენია, პრაქტიკულად მოხდენილად იყენებდა მას. აი, ამის ორიოდე ნიმუში: „რის მაქნისია ამისთანა აბ-და-უბო და გადასკუბდა დაპარაბი?“ (5, 315); „მე ეს მიჯოვს აღვირამებულთ დაიარება და ის კი, რაც საქმეს უჯობს, თავნადურული დაიას“ (5, 50); „ვერ მოგართვეს“ მეტს ვერას ეტყვის გაფთხრებულს პატრონს“ (5, 57); „ერთნაირად შორიდებულთა ყოყონობას, ზეიადობას და ნამეტნავად მეტირობას, არამკითხე მოამბეობას“ (6, 241) და სხვ.

ხოვჯერ ფრანხაში ჩართული ზმნის პირიანი ფორმა განკერძოებული გამოთქმის როლშია, მას წინადადების მთავარი წევრები (სახელები) ანგარიშს არ უწვევენ და ბრუნვაში არ შეეწეობიან: „შეიძლება სტუმარი ძმად მიითვისოს კაცმა, მაგრამ მის ბატონად გახლომას კი მოკვდება და არ იკადრებს“ (5, 175). ამგვარად აგება ფრანხისა დამახასიათებელია ხალხური მეტყველებისათვის და ილიასაც იქიდან აქვს შეთვისებული. ხალხური აგრეთვე უარყოფითი ფორმის გამოყენება დადებითი შინაარსით: „რა არ ეუყავი: ბალახებში არ ვაბანე, არ შეკვალოცვინე, შანები არ შევაბი, მაგრამ ვერაფერმა ვერ შეშველა, აგრემც არა ეშველოს-რა შენს მეტრსა“ (2, 146). ანდა ასეთი მაგალითები: „დღესა ძალიან ეწყინა და არ იყო, რომ გაჯავრებოთ უთხრა მამს“ (2, 244); „დავით გაგებდა, რომ დიანახა და გულში არ იყო, რომ შურმა არ გაუარა“ (2, 182); „ლუარსაბმა აიტკიცა, მაგრამ თავი შეიკავა და არ იყო, რომ მანაც ცოტა წყენით არ უპასუხა“ (2, 163); „შენ ახირებული კაცი ხარ: რასაც იტყვი, ხომ კაცი ვეღარ გადაგათქმევიანებს? - არ იყო, რომ ცოტა წყენით არ უთხრა დარეჯანმა დაქინებულს ლუარსაბსა“ (2, 162).

სახაუბრო ელფერი აქვს ილიას შემდეგ ფრანხებსაც: „თუ მეტია შენთვის, იმას მიეცი, ვინც მე და შენზედ უფრო ღარიბია“ (2, 47); „ეს დღე მე და შენთვის მზიანი დღეა“ (2, 53); „აცა, ვინ არ მივეც ინტენსიურ ცხოვრებას და ამით ღონე შეინახა მერმისისათვისაო“ (4, 25); „აცა, ჩემი საქმე არ არისო“ (4, 62)...

ილიას ზრუნვა ენის ხალხურობისათვის, რაღა თქმა უნდა, იმაშიც გამოიხატა, რომ მან სალიტერატურო ენაში გზა გაუკაფა ხალხში გავრცელებული არა ერთსა და ორ სიტყვას, მაგრამ ილიას მიერ შემოტანილ სიტყვებზე და სიტყვაწარმოების ილიასეულ ხერხებზე ცოტა ქვემოთ გვეყენება საგანგებო საუბარი. ქვემოთ დავრწმუნდებით აგრეთვე, თუ რაოდენ გაამარტივა და მოქნილი გახადა ილიამ წინადადების სინტაქსური წყობა.

ამრიგად, ილია ჭაჭავაძემ გაამარტივა სალიტერატურო ენის ორთოგრაფია, უხედა გამოიყენა ხალხური იდიომები, ანდაფები, დაიღვქმებიდან ადვილი სიტყვები, მიმართა სახაუბრო მეტყველებაში დაემკიდრებულ სტილისტურ ხერხებს, როგორცაა გამეორება, მივლი ფრანხის დაბრუნება და სხვანი. ყოველივე ამით ილიამ, შეიძლება თქვას, თვისობრივი ცვლილებანი მოახდინა სალიტერატურო ენაში და ხალხის სახაუბრო მეტყველებას დაუახლოვა იგი. მაგრამ აქ თქმული სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს ილია უარყოფდა ძველ ქართულ ენას და უპირისპირდებოდა მას. პირიქით, ილია არის სწორედ ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელი გამოჩენილ ძველ ქართველ მწერალთა ტრადიციებისა. მას სურდა, რომ ახალი ქართული ლიტერატურის ნიმუშები ისევე ნათელი და სახაუბრო მეტყველებასთან ახლოს მდგომი ენით ყოფილიყო დაწერილი, როგორც თავის დროზე იყო ძველი ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშები. ძველი ენობრივი ნორმებიდან ილია უარყოფდა მხოლოდ იმას, რაც დიდ ხნის წინათ უკუაღოდ ცოცხალმა სალაპარაკო ენამ, მაგრამ მტკიცედ იცავდა ყო-

ველივე დღეგერძელსა და აუცილებელს ქართული ენის მრავალსაუკუნოვანი მარაგიდან.

* * *

უდავოდ სწორია, რომ სალიტერატურო ენას საფუძვლად უნდა ედოს სასაუბრო მეტყველება, მაგრამ ქართველი ხალხის მეტყველება ერთგვარი არ ყოფილა (მით უფრო XIX საუკუნეში), და სასაუბრო ნაკადის გაძლიერებას მოჰყვა ფორმათა დიდი სიჭრელად სალიტერატურო ენაში. ილიამ მაშინვე იგრძნო ეს საფრთხე და ერთგვარად უკან დაიხია ძველი ქართული საკენი. ამან გამოიწვია საყვედურები ილიას ზოგიერთი თანამებრძოლის მხრივ. სახელდობრ, როცა „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა, „თეატრმა“ ამ გაზეთის თანამშრომლები ანტონის ენის მიმდევრებად გამოაცხადა. ნიკო ნიკოლაძე წერდა: „1861 წელს უფ. ი. ჭავჭავაძემ დიდი და დაუვიწყარი სამსახური გაუწია ჩვენ მწერლობას. უწინდელი ჩვენი მწერლები ხმარობდნენ მკვდარ მწიგნობრულ ენას, რომელსაც ჩვენი ხალხი ვერც კი იგებდა. ილია ჭავჭავაძემ პირველად დაამტკიცა ის საფუძვლიანი აზრი, რომ მწერლობა იმ ენას უნდა ხმარობდეს, რომელიც ხალხი ლაპარაკობსო...“ უფ. ჭავჭავაძეს ეხლა ალბათ შეეძინებია იმ მიმართულების, რომელიც თვითონვე დაამყარა. „ივერიის“ პირველ ნომერში ის უკან დახეულა ძველ მწიგნობრულ ენისკენ.⁴²

საყვედურები უსაფუძვლო იყო, ილიას თავისი ენობრივი პოზიციისათვის არასოდეს უღალატია. დიდმა მწერალმა ახალი მიმართულება მისცა სალიტერატურო ენას, მაგრამ, ვიმეორებთ, ეს არ ნიშნავდა ძველის მოღიანად უარყოფას. ილიასათვის ძველი ქართული იყო სტიმულის მიძევში და საიმედო დასაყრდენი ენობრივი მოღვაწეობის დიდ გზაზე. ამ დებულებას გარკვეული მონაცემები ადასტურებენ.

ილია დიდად იყო განსწავლული ძველ ქართულში. ძველი ქართულის ილიასული ცოდნა აქტიური ცოდნა იყო. ძველი თუ ახალი აღთქმის, აგოგრაფიული თხზულების, ქართლის ცხოვრების, ვეფხისტყაოსნის, ვისრამიანის, ქილიდა და დამანას, სიბრძნე-სიცრუის, დავითიანის ენა ილიას აზროვნების და მეტყველების მყარი კომპონენტი იყო და საჭიროების დროს ადვილად გასახსენებელი და მოსატანი.⁴³ ყველაზე ნათლად ეს ილიასულ ციტირებებში ჩანს:

„აი თუ სწორედ გინდათ, ამას პქვიან, შეუდგებოდეთ არა მოქმედებასა ჩემსა, არა მიეღო მოქმედებას ჩემსა“ (7, 387); „რა სიხარულით, რა იმედებით მივეგებებით ამ დანიშნულსა ჩვენ ტვირთშიძემენი და დამაშვრალნი“ (5, 76); „ტყუილად კი არ ანაცვალეს ცნობადის ხეს თეთონ სამოთხეც კი პირველ კაცთა, ადამმა და ევამ. ეგ ის ხეა, რომელსაც გამოაქეს შვენიერი ნაყოფი თეთოფულისათვის ცალკე და ხალხისათვის საერთოდ. ეგ ის ხეა, საიღამაც ეწოს ტარიც გაითლება და ხერხებისაც, ეგ ის ხეა, რომელიც ყველას იწვევს ერთნაირის გულის-ტკივილითა და ეუბნება: მოდიო, მაშვრალნო და ტვირთ-შიძემენო, და მე განგისხვენებთ თქვენ“ (5, 20); „ვისაც გქონან ყურნი სმენად, ისმინეთ!“ (4, 266); „ნეტარ არიან უმეცარნი და ყრუნი!“ (5, 110); „რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის დვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გაუძეულით, ყველას გაუუმარდით, შევიანახეთ ჩვენი თავი, შევიანახეთ ჩვენი მიწა-წყალი“ (5, 11). ძველი „კბილთა ღრჭენა“ აქ განსაკუთრებით მარჯუეა. იგი საოცრად მოხერხებულ ენობრივ გარემოშია: ძველი ქართული გამოთქმა შვენიერად შეზობლობს ხალხურს და ერთხელ კიდევ გვიდასტურებს ამ ტერმინთა პირობითობას ისეთი მოქართულის თვალში, როგორც იყო ილია ჭავჭავაძე.

ილიასათვის ჩვეულებრივია ძველი და ახალი აღთქმიდან მომდინარე ისეთი გამოთქმები, როგორცაა „ნამიგნაობისაგან გულისა“ (4, 267), „განისხვენე მართალთა თანა“ (4, 230), „მიტევე“ მით, რამეთუ არ იციან, რას იქმან“ (6, 231), „ნეტარ არიან შორწმუნენი“ (7, 348), „პური არსობისა“ (4, 367). ასევე დამახასიათებელია ილიას ენისათვის სახარებისა თუ ძველი აღთქმის ციტა

42 ნ. ნიკოლაძე, რწეული ნაწერები, II, გვ. 183.

43 ლ. მენაბდე, ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობა (წიგნში „ქართველი ხალხი“ ნაკვეთი 1, 1967 წ.).

ტების პერიფრაზირება: „ბედნიერებისა და სიხარულის ნამეტნაობისაგან“ (3, 118), „ტყვიანი მათერ კაცების მემკვიდრეობისა „არ არს სუბუქ“ (3, 218), „განა მარტო აქაურის ბანკების ხმა დარჩა ხმად მღადავებლად უდაბნოში“ (5, 265), „ბეწვი დაუნახავს და ძელი კი არა“ (5, 266), „ოყავნ ნება თქვენით“ (6, 361). ზოგჯერ იღია ოქნავე თანადროულეს კიდევაც ამ გამოთქმებს. გათანადროულება ხდება გრამატიკული ფორმების სარჯზე: „წინ მოიმძღვარებენ მცენიერებას და მის მწვანე შტოს ნივს მტრულსაით ნიშნად ხარებისა და ნუგაშისცემისა“ (4, 336).

„ეუფისტყაოსანი“, როგორც ცნობილია, მეორე სახარება ქართველი კაცთათვის და იღია ხშირად მიმართავს ამ წყაროს. მიმართვა სხვადასხვა სახისაა. ზოგჯერ უშუალოდ მითითებულია რუსთაველი: „შოულობს და იხვეჭს მას, რაც ჩუენის რუსთაველის სიტყვით „სჯობს ყოველსა მისახვეჭელსა“ (3, 86); „...იმ ტურფა საბადნაროსა ჰგავს, საცა, რუსთაველის სიტყვით, ერთი მიდის და მის მაკეა სხვა მიდის“ (3, 375); „სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენო საგმირონია“ – დიდი ხანია სიტყვა გულთამილია რუსთაველმა“ (9, 73);

ზოგჯერ იღია არ ასახელებს წყაროს, – „ნათქვამიო“, ამ ტიპის მითითებით ემყოფილდება: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შიქმის ხალხსა ნედლოდო, სიმართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო – ამბობს ჩუენი ხალხი“ (6, 84), აქაც რუსთაველური და ხალხური ერთადია. „ზოგჯერ სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსაო – ნათქვამია“ (6, 117); „სომ მოგუხსენებათ, ყვაი რა ვარდსა იშოვის, თავი ბუღბული ჰგონია“ (6, 257).

ზოგჯერ არავითარი მითითება არ არის: „სოფელი ასე მქნელია“ (3, 158), „ათუ თავი ჩუენი ჩუენ გვახლავს, ღარიბად არ ვისხნებით“ (4, 334), „უნა დაშურების, მსმენელისა ყურნიცა დავალდებია“ (4, 61), „იმ თაობამ საყვარელსა უჩუენა საქმენი საგმირონია“ (3, 307), „ესაღა დაგურჩა სანაცვლოდ მის იმელისა დიდისა“ (7, 211).

რუსთაველის ლექსების მოხდენილი გამოყენების ნიმუშებია: „ობოლი მარგალიტი“ (3, 89), „წყლი და ჯავარი განათლებისა“ (3, 314), „სამამაციონი ზენი“ (5, 14), „ერთმების მმეკველი პოეტი“ (3, 12), „საბელი ყელისა“ (5, 318), „უმსგავსო და შორიშორი“ (4, 43), „ყოველივე იგი ჩუენთვის „არ ახალია, ძელია“ (7, 464), „ვისაც ყოველივე ეს ცოტად თუ ბევრად არა სჭირს, შორს მანძილს ვერ გაიბრუნს მარტო იმით, რომ ბაღბული არტყუის, ახალი თაობის კაცი ვარო“ (5, 254), „მიხან თავი მისი მას ახლავს, მე მასაღა არ დამაკლდება“ (6, 271), „კაცი შემძღებელი იყოს თავისი თავი გაითვალისწინოს და თვის-თავს მსაჯულად გაუხდეს პირუთენელად“ (6, 227).

იღიას განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დავით გურამიშვილი. „ქართლის ჭირის“ მოზარის ენა და აფორისტული აზროვნება ნიმუშად უდგას წინ. იღიას ნაწერებში დადასტურებულია გურამიშვილის სახეობრივი სისტემის ყველაზე მარჯვე გამოთქმები. აქაც ხან აშკარა მითითებაა, ხანაც ტექსტში მოხდენილად ჩასმული თქმა ან ცალკეული სიტყვა: „უხორთუმო სპილოს გეგანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს“ (4, 202); „მოკვდა და თავის ანდერძით აწ ისევ საქმობს მკედარიო“ (4, 256); „იმას კი არა პნიშნავს, რომ აღმა მხენელსა და დღამა მფარცხველს საქციელი უსათუოდ მოეუწონოთ“ (3, 264); „ამ პირადობის ენსევე ვაბრადლებთ ქუთათურის გაზუთის „შრომის“ აღმა ხენას და დღამა ფარცხვას“ (5, 157); „ბრძეტი არ იშუებს ფრთაღა, არც ღია შუწუხადებისა“ (4, 222); „წამხდარ საქმესა რას არტებს მერმელა თითზე კენანი“ (6, 284).

ძველი ქართულის საგანმურდიან არის „შელამაზებულო“ ილიახეული ფრაზები: „საბა ორბელიანის ზღაპრისა არ იყოს, თვითონ მამალსაით ხეუე შემოძღვარა და იძახის: მე აქ ვოყვილებ და თქვენ მანდ ძირს იყვიუთ და სოფელი აშენებათ“ (6, 243); „არარაისაგან იქმნების არარაიცა“ (3, 116); „ია-ზამბახ-ვარდ-გაშლილი, როგორც ჩუენი ძველი პოეტი ბესიკი იტყოლა“ (3, 375); „გოგრა ვერ გახდება შირაზის შუშად, რაც გინდ მალა თაროზედ დასვათო, ნათქვამია“ (6, 245); „ვამთა გაუთავებელი, საუკუნოდ სახსენებელიც ეს იქნება“ (4, 269); „ჩვენ სოვღარები კი დუქანში თელმას არ მოჰშორებთან, ტიბიკონი არ უწერთ“ (7, 267);

იღიას ნაწერებში გვხვდება სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ძველი ქართულის ერთბოიე გარემოს: „წარტოლელი ჭემშარიტება“ (3, 68), „წარტოლელიც ცხოვრება“ (იქვე). პ. გ. რაუს დაუწერია შრომა, რომლის სათაურსაც იღია ასე თარგმნის: „ძირითადი დასაბამისი საფინანსო მცენიერებისა“ (6, 269). „ბეერი რამ მოგახსენე იმ დუთის კაცსუდ, მაგრამ ნაასლიც ვერ გითხარი“ (2, 78); „დედ-ყოველ უნდა ჩაყარო ხორაგი“ (2, 129); „დედ-მშენიერნი“ (4, 11); „უღონოდ-ქმნიდნი“ (4,209); „იგი არაფრად მხადის კა-

ნონს“ (7, 445); „უხაკოდ იცინით და მისი უაქეოდ ყოფნისა გამო ჰგლოვობთ და ტირით?“ (5, 158); „თუ თვლი მართლად უჭრის ხედვისათვის“ (6, 271); „რას აქნევნ მიმინოსა“ (2, 76)... აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ილია ხშირად ისეთი ნიუანსით წარმოადგენს სიტყვას, რომელიც ზოგჯერ მეკეთრად უპირისპირდება ილიასდროინდელ გავებას. ასეთებია: უცეცხი, ობოლი, ღექსი: „ასე ცალკედ, ასე ობდად და მარტოდ აღებულს“ (4, 32); „ვის შესტკივა გულო ამ დიდი საქმისათვის? მარტო უცეცხი და მოუზადებულს“ (5, 323); „ყოველ ხალხსა... შემოუტანია და მიუღია ეს სიტყვები. როგორც თავის ღვიძლი ენის ღექსნი“ (3, 52).

ილია მიმართავს ძველ ქართულ კავშირებს, თუმცა მათ ამ დროს მოუპოვებათ ახალქართული ბადალი: „იგი იყო მხოლოდ კაცის კუთვნილება, ვითა ღვთის კერძისა“ (3, 146). „ყოველი ადამიანი მაინც ადამიანია და ვითარცა ადამიანი – ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულშესატკიარი“ (5, 8); „უფლში მადლი ჩაეფინოს, ვითარცა მზის შუქი“ (4, 251); „გარან იქ კი, საცა ეგ მადლიანი ძალა შემოქმედებისა აღძრულა...“ (5, 151); „გარან რას იხამთ, რომ უჭურში ამის უნარი და სავანელი არ არის“ (6, 253); „გარანა კაცი ყოველთვის კაცია“ (3, 110);

ილიას ენის დასახასიათებლად კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის წმინდა გრამატიკული მოვლენები, რომლებიც მას ძველ ქართულთან აკავშირებს. ასეთია იგი ნაცვალსახელის (ნაწვერის) ხშირი ხმარება. დღევანდელ ქართულში თანაბრად იხმარება ის და იგი ნაცვალსახელდები, მაგრამ ძველ ქართულში ასე როდი იყო. იქ გაბატონებულია იგი ნაცვალსახელი, რომელიც ნაწვერის (არტიკლის) როლსაც ასრულებს. შემთხვევითი სრულიად არ არის ის გარემოება, რომ ილია იგი ნაცვალსახელს აძლევს უპირატესობას და ხმარობს მას სახელის წინ მსახდურებად: „იგი სიყვარული სამშობლოსი, იგი სიყვარული და ნაღველი დროთა მიმართ“ (3, 236); „ვისი ოფითა და გარჯითაა მოპოვებული იგი პური, იგი ღვინო“ (7, 7); „იგი სიცილი“, „იგი პიესა“, „იგი შეკუმშვა ადამიანის ძარღვისა“, „იგი გრძობა, იგი ღონე“, „იგი ნატვრა, იგი იმედი“... „გააკეთოს იგი ქარი, გააბოს იგი წყალი, გარდაიაროს იგი კლდე და ღრე, რომელიც კანონიერმა ცოლ-ქმრობამ ვითამ თვალწინ გადაიღობა“ (3, 140). ამ მაგალითში ერთი გარემოებაც არის საყურადღებო: „მერანში“ ბარათაშვილმა რამდენიმე წყვილით განსახლება განწირულის სულისკვეთება: გააკეთე ქარი, გააე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი, – ეძახის მხედარი მერანს. ილიასათვის საცნაურია ამ წყვილებით დიდი ექსპრესიული ძალა და უმალვე სასაუბრო ენის ნიუანსებს ეს გამოთქმობა. ცხადია, აქ ილია ტრადიციულ ზნახს კარ ადგას, თვითონ ცდილობს სამკვიდრებელი შოუპოვის ამ გამოთქმებს. ამ მიზნით მას პოეტური სიტყვის დიდი მიღწევა საპურეველო ენაში შემოაქვს, საყოველთაოდ ხდის მას.

ნიშანდობლივია ძველი ქართულის ისეთი საციციფიკური მოვლენის გამოყენება ილიას ენაში, როგორიცაა წრფელობითი ბრუნვა. ამ ბრუნვას ილია საკუთარ სახელებში არაიშვიათად იყენებს: „მე და გაბრიელ მოვრიგდებოდითო“ (2, 95); „მამაჩემი ხაად ნუ წაიწყვდება“ (2, 156); „ცოდო არ არის, ის ხელა მიწაში ღებოდეს და შენი მახლი დავით კი ცოცხალი იყოს“ (2, 141); „ნიკოლოზს სად არის, ნიკოლოზი!“ (2, 246); „ყიზილბაშების ყვინად დაჯდა შაჰ-სულთან უსეინ“ (2, 245). აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა მხოლოდ მხატვრული თხზულებების ენას ახასიათებს.

ახალ ქართულში ნარ-თანანი პრავლობითის სფერო შეიზღუდა. ნარიანი ფორმა (სახელობითი და წოდებითი) უფრო ხშირია, არის აგრეთვე თანიანი ნათესაობითი, მაგრამ ერთობ გაიშვიათდა თანიანი მოთხრობითი და მიცემითი. ეს ვრცელდება ილიას ენაზედაც, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, – ნარიანიანი ფორმები ილიას ენაში შედარებით ხშირად გვხვდება. „მისინ გულის თქმანი, მისინ გრძობანი, მისინ ტირინი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი“ (3, 211). ასეთი ფორმები ილიას ენაში არაიშვიათია. ასევეა თანიანი ნათესაობითი: „ესრეთ ტკბილად და აუმღერებლად მოდიოდეს ამ ორთა უმანკო სულთა უბოროტო ცხოვრება ამ წუთის-სოფელში“ (2, 142); „თვისთა უკეთესთა კაცთა დაფასება“ (3, 86); „თვისთა დიდბუნებოვან კაცთა მეთაურის დეაწლო“ (3, 86); „რაღა გვეუქმის... იმ ოთელ და მრავალგვართა ხილულთა და არახილულთა ძალთა ყოველად ძლიერ შემოქმედებაზე“ (3, 125). მოთხრობითი ბრუნვა: „ბოლოს ჩემთა ფიქრთა, ყოველმა თითოეულად, თავისი შესაფერისი ადგილი დაიჭირა ჩემს გონებაში“ (2, 11); „შენთა მივინათა დასცეს პირველად თავხარი ადამიანის გონებასა“ (2, 22); „ადგილობრივი მცხოვრებთა უნდა თვითონ ამიორჩიონ თანიანი მომრიგებელი მოსამართლე“ (6, 82); „კანონმდებელთა აღია-

რეს“ (6, 93); „დაასკენეს კანონმდებელთა“ (6, 78). მიცემითი ბრუნვა: „მოვსკაში ქვეზედ ხათ-ქა-ხუთი უკეთესთა ფიქრთა დამიზნევადა“ (2, 11); „რადაც კმაყოფილებით გატაცებულთა, ამ ღორებს ერთმანეთსათვის ბევრჯერ წაუთავაზებიათ დინგი“ (2, 126); „ქება და დიდება მოკუთ-ნის ამ საქმის დამწყობთა“ (3, 150); „მიემართოთ ეხლა ამ საგანთა“ (6, 14); „ვერე მოსდით ხოლმე ვაჭართა, რომელთა საქონელსაც ბაზარში მასხანდა დაუფორულა“ (3, 263) და სხვანი.

ილიას ენაში დამკვიდრებულია მსახდერელ-სახდერულის ახლებული წყობა, განსხვავებული ძველი ქართულისაგან, სადაც ჯერ სახდერული დგას და შემდეგ მსახდერული, მაგრამ მწერალი არაიშვითად მიმართავს ამ ძველ წყობასაც და ამ გზით გარკვეულ სტილისტურ ელფერს ანიჭებს თავის ენას. ძველდებურ (ინვერსიული) წყობა პოეზიაში დღესაც საკმაოდ ხშირია, მაგრამ საგულისხმო და ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ილია მისი გამოყენების სფეროს არ ზღუდავს მხოლოდ პოეზიით და პუბლიცისტიკაშიც ოსტატურად იყენებს მას (ილიას პროზისათვის კი ეს წყობა დამახასიათებელი არ არის). აი, სათანადო მაგალითები ილიას პუბლიცისტიკიდან: „სად არის კახლოვის თარგმანში ის მეხი სიტყვა, ის საკვირ-ველი ძლიერი სული ბაირონის გენიისა!“ (3, 9); „აქ ისმის... რადაც უკამიურ ნიჟილი, კენესა და ოხვრა რუსის გოგოსი“ (3, 13); „ყვავებო ფარშავანგის ფრთებითა, ბულბულადო ყორნის ჩხაკილითა“ (3, 31); „აღვირაშეებულმა ფარ-ვაშობამ ფულღო თავის... გაბაწრად და შესივთა ადამიანი ეხლამდელ დროში“ (7, 12); „უქ-მად დება ეწინააღმდეგება ეკონომიურს ბუნებას ყოველი ეკონომიური საგნი-სას“ (7, 189); „ამისთანა კარვის და ხელისშეწყობ გარემოებით მოცულს მადანს სა-ლითოგრაფიო ქვისას კაცი ნატურითაც ვერ ინატრებს“ (7, 267); „შრომა დაიდვა სა-ვუძელად ეკონომიურ ცხოვრებისად“ (7, 375) და ა. შ.

როგორც ვხედავთ, მსახდერელ-მსახდერულის ძველდებურ წყობას ილია მიმართავს თით-ქმის ყველა ბრუნვაში. ამგვარ წყობას მწერალი უშირატესობას ანიჭებს განსაკუთრებით მა-შინ, როცა ერთ სახდერულთან დაკავშირებულია რამდენიმე მსახდერული, რომელთაგან ზო-გი ატრიბუტულია (შეთანხმებული), ზოგი კი გენეტიური (ნათესაობით ბრუნვაში დასმული, მართული).

როცა ორივე ტიპის მსახდერული (ატრიბუტულიცა და გენეტიურიც) სახდერულის წინ ერთად არის მოქცეული, ასეთ შემთხვევაში ილია აშჯობინებს სახდერულთან უფრო ახლოს გენეტიური მსახდერული დააყენოს. ატრიბუტული კი მის წინ მოაქციოს. ეს ზოგჯერ ეწინა-აღმდეგება ჩვენს დღევანდელ წყობას. მაგალითად: „იქნებ მითხველი არ იჯერებდეს ამ-გვარ ამ დექსის გაგებას“ (3, 32) – დღეს ვიტყვით: ამ დექსის ამგვარ გაგებას, ასეთივე მაგალითები: „ერთი მოზრდილი იმერლის ბიჭი“ (2, 43); „ვაკნილი ფანჯრის ქა-დალი“ (2, 127). „სასაცილო დონიჯის შემოყრა“ (7, 11) და სხვანი.

ილიას ენის დამახასიათებელი იშვიათ აგრეთვე მსახდერელ-სახდერულის სრული შეთან-ხმება მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვაში: „ჩემს ყმწვიფელს გულს“ (1, 4); „ერთიანსა ცო-აგს კაბარას“ (1, 4); „შავს თვადებს“ (1, 17); „აუღლებულს მყინვარს... მის მაღალს შუბლსა, მის ყინვით შევერცხვილს თავსა“ (2, 20); „ეკონომიურს ბუნებას“ (7, 189); „მაღალს შუბლზად“ (2, 20); „ხმაგაკმენდილს ქვევანაში“ (2, 22)... „მისის დადლილის ზრუნვისა და წადილის გუგუ-ნი“ (2, 22); „ქართველთა შესისხლეულის ისტორიის მიმე უღელი“ (3, 75) და ა. შ.

ატრიბუტული მსახდერული ნათესაობითი ბრუნვის ფორმით არის ხოლმე შეწყობილი მოქმე-დებითში დასმულ სახდერულთანაც: „ნელის სიხარულითა“ (1, 133); „მთელის თავის დიდებულე-ბით!“ (2, 20); „მიღულის გულის-ცემით“ (2, 31); „გაგანიერებულის ნესტობით“ (2, 32) და სხვ.

როგორც ცნობილია, მსახდერელ-სახდერულის სრული შეთანხმება დამახასიათებელი იყო ძველი ქართულისათვის და ზემოხსენებული ფორმები მიცემითისა და ნათესაობითისა ილიას ენაში ძველი ქართულის ანარეკლს წარმოადგენს.

ილიას ენაში არაიშვითად იჩენს ხოლმე თავს ისეთი ზნური ფორმები, რომელთაც ვხვები ძველ ქართულში უღვათ, ახალ ქართულში კი ისინი შეცვლილი ფორმით არიან დამკვიდრე-ბულნი. ვერ ვიტყვით, რომ ამ ფორმებს რაიმე განსაკუთრებულ ფუნქციას ანიჭებდეს, საგანგა-ზოდ ცდილობდეს მათ აღდგენას, მაგრამ თავისთავად მათი ხმარების ფაქტი იმის მასწავლებელია, თუ რამდენად ბუნებრივია ილიასათვის ძველი ქართული ფორმები: მტყყო და (მეუწერებოდა), მკითხავდა (ვეითხეოდა), იქმონენ (იხამდნენ), გაეცემენ (გაეცხვრენ), გამაქერ (გამაქ-

რე) გამოეცნა (გამოეცნო), მოჰკეცხენ (იკეცხინან), თამაშად მოსულნი (სათამაშოდ მოსულნი) და სხვ.

ერთ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. ილიასათვის ძველი ქართული ნიმუშისა და მაგალითის დონეზე დგას (როგორც ჩანს, ესაა საერთოდ ენის ძველი ფენების გამოყენების ყველაზე უფასო ტიპი). „მარტივი ამა ქვეყნისანი“ შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც არსებობს „ძლიერი ამა ქვეყნისანი“, „ობოლი მაგალითი“, „ობოლი მარგალიტი“ არის ზურგამავრებული, „დედაბინა“ – ამ სიტყვის უკან დგას დედა-მეფა, დედა-ენა, დედა-ბუნება და მრავალი სხვა. „ფიქრითუწვდომელი“ – ამ სიტყვის წარმოებაზე თვით ილია მიგვითითებს, როცა წერს: „არამც თუ თვალ, ფიქრითუწვდომელიცა“ (3, 91).

დაბოლოს, გაეხსენოთ ილიასეული ლექსიკონი. დიდად ფასეულია ის ფრაგმენტი, რომელიც ჩვენს სახიკაედლო მწერლის სალექსიკონო ნაშრომის კარგა მორდილი ხელნაწერიდან შემოგვრჩა⁴⁴. ილიას ზრუნვა ლექსიკონის შედგენისათვის თავისთავად საყურადღებო ფაქტია. მაგრამ ამჯერად ეს დავალი სხვა კუთხით გვაინტერესებს. რა წყაროებს ვყრდნობა ილია? მარტო დასახელებაც (დავითნი, მათე, იოანე, იაკობი, საქმე მოციქულთა, ქილილა და დამანა) ერთგვარი საბუთია ილიას შეცნირული დამოკიდებულებისა ენის უღრმესი შრეებისადმი.

ყოველივე ამის შემდეგ, ვფიქრობთ, სადავო არის, რა რიგ ჩახვეული იყო ილია ძველ ქართულში და რა რიგ ფაქიზად ეპყრობოდა მას, როგორ იყენებდა ძველ ენობრივ ინვენტარს.

* * *

ილიას წინამორბედი ეპოქების სალიტერატურო ენა ჯერჯერობით საფუძვლიანად არ არის შესწავლილი და ამიტომ ზოგ რამეში ადვილად შეიძლება შევცდეს კაცი, განსაკუთრებით, როცა ცალკეულ სიტყვათა ისტორიას ეხება საქმე, მაგრამ ეს კი დაბეჯითებით და შეუცდომლად შეიძლება ითქვას, რომ ილიას წველილი ქართული ლექსიკონის გამდიდრების საქმეში განსაკუთრებულია, პირდაპირ განუხორციელა.

ჩვენ არ გვევლილება მთლიან ქართული მწერალი, რომელიც იმდენ სიტყვა შემოგვტანოს ქართულ სალიტერატურო ენაში, რამდენიც შემოიტანა ილია ჭავჭავაძემ. შემოიტანაო, რომ ვამბობთ, აქ იგულისხმება როგორც ძველის გაცოცხლება, ისე დიალექტებიდან შემოტანა, სხვა ენებიდან სესხება, უმთავრესად კი ახალ სიტყვათა წარმოება ქართულისათვის ბუნებრივი ფაქტის მიხედვით. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ილიას როლი სიტყვის მნიშვნელობის დაუსუტებისა და მისი ტერმინად ქვეყის საქმეში.

ავიღოთ თუნდაც ისეთი საყოველთაოდ ცნობილი სიტყვა, როგორცაა მამული. ამ სიტყვას ქართულ ენაში ორი მნიშვნელობა აქვს: 1) სამშობლო, 2) მიწა-წყალი, რომელიც ვისმე საკუთრებას შეადგენს და მემკვიდრეობით გადაეცემა მამიდან შვილს. ორივე ეს მნიშვნელობა ძველი ქართულიდან მოდის, მაგრამ ამ სიტყვის ზოგადი, ფართო მნიშვნელობა XIX საუკუნისათვის უკვე დაჩრდილული, მიფერფლილი იყო და „მამული“ მხოლოდ მიწა-წყლის, ადგილ-მამულის მნიშვნელობითაა ინახებოდა. მოგუსმინოთ თვითონ ილია ჭავჭავაძეს: „ეხლა კვ დიდებულს სიტყვა თვითოეულს ჩვენგანის გათავთავებულს უძრავს ქონებასა ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს – ბინას, რომელიც ქვისა და კირის მკვირ წყნის მამა-პაპის სისხლითა და ძელებით დამყარებულია. სადალა მამული? ხორცის დაუძღურებას სულის დაუძღურებაც ზედ მოსდევს: განვითოთუღმდით, და რამოდენადაც თვითოეული ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძღურია და პატარა, იმოდენად თვითოეულის ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძღურად, დაპატარავდა. ჩვენს დაფუძნებულს და შევიწროებულს გონებას სადალა შეეძლო ექონისა ის ვრცელი და დიდებული აზრი დიდებული სიტყვისა? მამულის სხენებაზედ ეხლანდელს ქონდრისკაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქალაღდზედ სადავო საჩივრია; მამულისათვის ძლევაპოსილობა – მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვნად შემოწმებული; მამულის სიმაგრე – ტყრუშული ღობეა, ვენახ გარშემო შემორტყმული; მამულის პატევი – ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულის-შვილობა – მხენელისა და მიხეველის სახელილია“ (3,

⁴⁴ ილია ჭავჭავაძე, სალექსიკონო მასალა, პუბლიკაცია და შენიშვნები შოთა ძიძიგურისა („მნათობა“, № 10, 1957 წ.).

78).

იქნებ ილიას ეს სიტყვები დღეს ვინმეს პუბლიცისტურ გაზვიადებულ მოეჩვენოს, მაგრამ მათ რომ საფუძვლად შეინახონ სიტუაციის ვითარება ედო, ეს თუნდც იქიდან ჩანს, რომ ილიას „ამჟამო სავყარელო, შენ როსლა აყვადებო“ „ციხისკის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა აყვავების ნატურად მიიჩნია და პოეტს მიმართა: თავადო ილია, ნებარე ეხლა განეწნათ თქვენი მამული, როგორ ყველაფერი ამჟვანებულაია!

შემდგომში სიტყვა მამული კვლავ აღდგა თავისი ფართო და დიდებული მნიშვნელობით, რაც ილიას, სასებთის სამართლიანად, XIX საუკუნის სამოციანი წლების მოღვაწეთა დამსახურებად მიანია: „სამოციანი წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დაიწყოებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობით. ვისაც კი რაიმე ნიშან-წყალი ჰქონდა ღმრთის მიერ მინიჭებული მადლისა და კალამი ხელთ ეყარა, თითქმის ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ჯამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდგელა დააქვეითა და დაამდაბლა. აგრე გაუპატიურებულმა სიტყვამ სამოციანი წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სიერცეს ჩვენის ცხოვრებისას“ (3, 225).

პირველი სამოციანი წლების მოღვაწეთაგან, ვინც ადრინდელი ძალა და ბრწყინებულება დაუბრუნა სიტყვა „მამულს“, თვით ილია ჰვეჭავაძე იყო. გაეხსენოთ, რა ხშირად ისმის ეს სიტყვა მის ლექსებში: „ქართულის დედამო! ძუძუ ქართულისა უწინ მამულსა უზარდიან შვილსა“, „მამულისა სიყვარულმა ძმობა გულში ჩავგიყენა“, „მამულს სიცოცხლე შეეწიროთ შეიღურის ერთგულებითა“; „მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია, მამულისთვის სიყვდილი ვისაც დაზარდია!...“; „ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში“; „მამულისა შვილი ჩვენც ვართ და მიტომ ვზრდით ჭაბუკ ხულსა, რომ ოდესმე გამოვადგეთ დაიბლებულს ჩვენს მამულსა“; „მამულო სავყარელო, შენ როსლა აყვადებო?“, „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული, პოი მამული, გამიკრთა მე ძილი და შებება“ და მრავალი სხვა.

მართალია, სიტყვა „მამული“ აქა-იქ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ კლასიკოსთა თხზულებებშიაც გაივლივებდა ხოლმე „სამშობლოს“ მნიშვნელობით (გაეხსენოთ გრ. ორბელიანის „სადღვრებელი“: „გმირნო, მამულის მადიდნო“ და სხვა), მაგრამ ამ სიტყვის მთლიანად გატოვება და მისთვის ძველმოსილების დაბრუნება უთუოდ ილიას დამსახურებაა. ამ სიტყვის გააქტიურებას მოჰყვა მისგან სხვა სიტყვათა წარმოებაც (რის უნარიც არ აღმოჩნდა მის სინონიმს – სამშობლოს): მამულ იშვილი, მამული იშვილობა, მამული იშვილური, სამამული, ამათგან მამულიშვილს ილია ხმარობდა гражданни-ის შესატყვისად. შემდგომში ამ მნიშვნელობით დამკვიდრდა მოქალაქე, რაც აგრეთვე ილიას დამსახურებაცაა. „მამულიშვილმა“ კი უფრო ამაღლებული და საპატიო მნიშვნელობა მიიღო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს სიტყვა ილიას კალმის ნათლულია და ილიას მიერ არის გაზავებული თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

ილია ზრუნავდა აგრეთვე ისეთი სიტყვების გააქტიურებასა და მნიშვნელობის გაფართოებაზე, როგორცაა დედაკაცო, მოურავი და სხვანი. ზოგი სიტყვის სემანტიკისა თუ ეტიმოლოგიის თაობაზე მას საკმაოდ ვრცელი და საბუთიანი მსჯელობა აქვს გამართული. ასეთი სიტყვებია: წყალობა, მოწყალება, მიცვალება, მიცვალებული, (ქალის) გათხოვება, საკომლო (გადასახადი) და სხვანი. ილიას შეხედულებანი ამ სიტყვებზე ხშირადაა დამოწმებული სპეციალურ ლიტერატურაში და კარგად ცნობილია, ამიტომ მათზე საგანგებოდ აღარ შეეწინდებით.

ჩვენ დაწვრილებით ვერ შეეწინდებით ვერც ყველა იმ სიტყვაზე, რომელთა აღდგენა, სალიტერატურო ენაში შემოქნა ან წარმოქნა დიდი ილიას სახელთან არის დაკავშირებული, მაგრამ აუცილებელია თუნდაც გაკვირით შევეხეთ ზოგიერთ მათგანს, რათა მკითხველს ერთგვარი წარმოდგენა მიანიჭოს ილიას უზარმაზარ ღვაწლზე ამ სფეროში. აქვე მოვიგონოთ, როგორ ბოდიშობს ილია მკითხველთა წინაშე თავის ერთ წერილში ტერმინოლოგიურ ენობრივი სიმწველების გამო: „ბოდიშს ვიხდი ჩვენს მკითხველებთან, რომ სიტყვა ჩვენი მიძეა და ადვილად გასაგები არ არის: იმ საგნისათვის, რომლის გამოც ჩვენ მოვეხდა ამაჟამად ლაპარაკი, ტერმინები და თვით წყობა სიტყვიერებისა ჯერ არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს ენაში შემოტანილი და გაშინაურებული. სიმძიმე სიტყვისა იქნება ჩვენ მიერ ენის

უცოდინარობის მიზეზითაც იყოს; არც იმაზე აუხიბრდებით ვისმე, მხოლოდ ჩვენ გვესურს დავარწმუნოთ მკითხველნი, რომ ჩვენ ჩვენის მხრით ყოველი ღონე ვიხმარეთ, ჩვენი აზრი ადვილად გადაგვეცუა სხვისთვის და, სწორად მოგახსენეთ, ზოგან თვით აზრს მისი მნიშვნელობა მოგაგვლით, რომ სიტყვა ადვილად გასაგები ყოფილიყო“ (6, 140-141).

ამს წერს ილია ხიზნების საქმისადმი მიძღვნილ ნარკვევში, სადაც იგი საკუთრების უფლებას და საერთოდ სამართლის საკითხებს ეხება. ზოგიერთი სხვა დარგის ტერმინოლოგია იმ დროს უარეს დღეში იყო. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა და მათ შორის ილია ჭავჭავაძის ენის შეფასების დროს.

ილიას მიერ აღდგენილი, ახლად ნაწარმოები ან ევროპული ენებიდან ნასესხები სიტყვებისა და ტერმინების გამოყოფაში ჩვენ გეშველის თვითონ ილია, რომელიც ამგვარ სიტყვებს იქვე ფრჩხილებში ან სქოლიოში ურთავს ახსნა-განმარტებას, ანდა კონტექსტშივე აზუსტებს სიტყვის მნიშვნელობას, უკეთებს კომენტარებს.

აი, მაგალითად, როგორ აწვედის ილია მკითხველებს ამა თუ იმ უცხო სიტყვას, რომელიც იმ დროს განმარტებას მოითხოვდა, დღეს კი ქართულ ენაში უკვე დაკვივრებულია; „პროტეკციონობა მოსარჩლეობა“ (7, 320); „ამფლგება იქნება, თუ ძაგება, დარეკვამაძა, თუ ქება“ (3, 169); „ამისთანა თვალუყუბა ნახტომები... მისი მანერაა, მისი თვისებაა, მისი ხასიათი, მისი ზნეა წერისა“ (4, 39); „დიქცია, სიტყვის მკაფიოდ გამოთქმა“ (3, 113); „მომხიბლავი ცდუნება სცენისა, რომელსაც იღუზიას ეძახიან“ (3, 104); „ის პირწვეტიანი ეკალი, რომელსაც სატირას ეძახიან“ (3, 222); „მეცნიერება ხელოვნებისა, რომელსაც ესტეტისკას ეძახიან“ (3, 110); „ცივილიზაცია ანუ წარმატებულიება ადამიანისა“ (4, 28); „სია ანუ კატეგორი“ (4, 190); „თვალის უდევნება პარიზის სითბო-სიცოცხლისათვის, ანუ, უკეთ ვსთქვათ ტემპერატურის მეტანკლებობისათვის“ (7, 182); „ნორმალური ფასი მამულიანი შეადგენს უმცირეს ფასს მამულის ღირებულებისას, ანუ, როგორც იტყვიან, ხოლმე, მინიმუმია მამულის ღირებულებისა (7, 430); „საკუყუნო ბაზარში დიდი ცილოვანა, რომელსაც მეცნიერი კონკურენციას ეძახიან“ (7, 203); „საფრანგეთის კანონები წყლის ჩამატებასაც ღვიროში ფალსიფიკაციას ეძახიან, ესე იგი ყალბის ღვინის კეთვისა“ (7, 86).

ზოგჯერ ქართულად უცხოურ სინონიმთაგან ერთერთი ფრჩხილებშია მოქცეული: ხღართი (ინტრია), არაკი (ფაბული), დედა-აზრი (პრინციპი), ინსტრუქცია (სარისტა); ესტობარი (კრედიტი), სახე (ტიპი)... (იხ. თ. 3, გვ. 121, 186, 256; 5, 256; 6, 86; 7, 303). ზოგჯერ კი უცხოური ტერმინი სქოლიოშია განმარტებული (იხ. მაგალითად, სავაჭრო ბალანსის განმარტება: 7, 195 და სხვ.).

ილიამ შესანიშნავად იცოდა, რომ ერთი მხრივ საჭირო იყო ბოძოლა უცხო სიტყვებით ენის დანავიანების წინააღმდეგ, მეორე მხრივ კი ნიადაგის გაწმენდა ისეთი სიტყვებისათვის, რომლებსაც ყველა ცივილიზებული ხალხის ენაში გზა ხსნილი აქვს: „ორიგინალი, სენტიმენტალური და ხსენი მაგ-გვარი სიტყვები, ხმარებული ჩემს აპრილის სტატიაში, თქვენ უცხო სიტყვებად მივიღიათ. ვე, მართალია, ქართული სიტყვები არ არი, მთელი კაცობრიობა კი ხმარობს. ყოველ ხალხსა, ცოტაოდენ განვითარებულს და ფესვმდგამულს ევროპის განათლებულში, შემოუტანია და მიუღია ვე სიტყვები, როგორც თავის დიდილი ენის ღვესნი; მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ვიხმაროთ... მე „ოსტროვიზი“, „ლინიები“, და სხვა გარმიანული სიტყვები... ამისათვის დაეძრახე, რომ მაგის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვები არიან ჩვენს ენაში და ისინი, რომელნიც ჩემს აპრილის სტატიაში მე მიხმარია, ვერ იპოვიან თავიანი მნიშვნელობის სიტყვებს“ (3, 52-53).

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სალიტერატურო ენა სახეე იყო „ოსტროვიზისა“ და „ლინიების“ მსგავსი „გარმიანული“ სიტყვებით. მათ წინააღმდეგ სუსტი პროტესტის ხმა აქა-იქ ილიამდეც გაისმოდა, მაგრამ ბოძოლის სწორი გზა არ იყო ნაპოვნი. ამ მხრივ საყურადღებოა, მაგალითად, ირ. ლორთქიფანიძის „სუსვა“ „ცისკრის“ 1857 წლის მეშვიდე ნომერში, სადაც ავტორი მოითხოვდა: „კრავტი შაკეცვალოდ ცხედრად ანუ საარეცვლად, კრესლო სავარძლად და ესრეთ შემდგომნი“.

ილიამ იგრძნო, რომ „გარმიანული სიტყვების“ წინააღმდეგ საბრძოლველად ძველი ქართული ღვესიკა მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გამოდგებოდა და საჭირო იყო უფრო ეფექტური საშუალებების გამოიხატვა. ამ ბრძოლაში ილიამ უპირველეს ყოვლისა ისევ ხალხის ცოცხალი სიტყველება მოიშველია. ამ დაუპირისპირა მან „პივისა“ - ღუდი, „გვიხს“ - თაბაშირი, „კოპიოს“ - ახლი, „ტამოუნას“ - საბაქო (იხ. თ. VII, გვ. 84, 322, 452). დღეს ეს სიტყ

ვები ყოველი ქართველისათვის ნაცნობი და გასაგებია, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ მათ გზა იღია ჭავჭავაძემ გაუკაფა ხალიტერატურო ენაში. ჭეშმარიტად მართალი იყო აკაკი შანიძე, რამდენიმე ათეული წლის წინათ რომ წერდა: „ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს დღეს, რომ ჩვენ მიერ ხმარებული მრავალი სიტყვა და გამოთქმა პირველად ილიას მიერ არის მოპოებული და, უშუალოდ თუ შუალობით, ამ დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნაწერებიდან მომდინარეობს“.

თუ არ ვცდებით, ილიამდე ხალიტერატურო ქართულში არავის უხმარია აგრეთვე ხალხის მტკვევლებიდან აღებული ისეთი სიტყვები, როგორცაა: ხილ-ხული, ფლასტი-ფლუსტი, ხამუშ-ხამუშად, გათქვირული, პირქუში, ავალა, დაფოლვა, თქველვა და სხვანი.

ზოგიერთი სიტყვა თუ ტერმინი ილიას ძველი ქართული ძეგლებიდან აქვს აღებული. ასე მაგალითად, **предложение**-ს შესატყვისად ის ხმარობს საეჭვო: „ჩვენ საჭირო დავინახეთ... ჩვენი საეჭვი სხვისთვისაც გაეგვიზარებინა“ (6, 185). ამ სიტყვას სქოლასტო შემდეგი განმარტება ახლავს: „საეჭვი - предложение. ამ აზრით არის ხმარებული ეს სიტყვა ვისრამიანში. იხილეთ გვერდი 32, 35 და 131“.

სხვაგან ილია ხელისუფალ სიტყვის გამო შენიშნავს: „исполнительный „ხელისუფლება“ სწორედ ამ აზრით არის ხმარებული ჩვენს ლიტერატურაში. აქედამ არის წარმომდგარი სიტყვა „მოხელე“, თითონ დასტურდებაში მეფის და მდივანბევის განჩინების აღმასრულებელი კაცინ ხართოდ „ხელისუფალად“ წოდებულ არიან“ (6, 41).

მოხელე ილიამ მიუსადაგა რუსულ „ჩინოვნიკს“, რაც შეეხება „ხელისუფალსა“ და „ხელისუფლებას“, ეს სიტყვები ხალიტერატურო ენაში დამკვიდრდა რამდენადმე შეცვლილი მნიშვნელობით, მაგრამ თვით სიტყვის მოხმარება, აღდგენა და გაცოცხლება ილიას დამსახურებაა.

ცხოვრების აქტიურულ მაჯისცემას ბევრი ისეთი ცნებაც მოჰყვებოდა, რომელთა შესატყვისი მზამზარული სახით არც ძველ ქართულში მოიპოვებოდა, არც ხალხის ცოცხალ მტკვევლებაში. საჭირო იყო ახლის შექმნა და ყველაზე მეტად სწორედ აქ გამოჩნდა ილიას ბრწყინვალე შემოქმედებითი ნიჭი და ენობრივი აღდგენა.

დღეს ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვხმარობთ სიტყვა „წოდებას“ („მალად წოდება“, „საპატრიო წოდება“, „მასწავლებლის წოდება“) და ისეთი შთაბეჭდილება გვაქვს, თითქოს იგი უხსოვარი დროიდან იხმარება ქართულში, სინამდვილეში კი ეს სიტყვა დღევანდელი მნიშვნელობით ილიასგან მოდის. ამის თაობაზე თვითონ ილია წერს: „ჩვენს ენაში სიტყვაც კი არ მოიპოვება იმ აზრის გამოსახატავად, რასაც რუსული სიტყვა **состояние** ნიშნავს. ესხანდელი ჩვენი სიტყვა „წოდება“ გუშინდელი სიტყვაა. ესხა შემოგვყავს ვაინაჩრობით და ისიც ვინ იცის - ვარგა სახმარად, თუ არა. არამც თუ ხალხში არ არის ეც სიტყვა, ან მაგისი მსგავსი რამ აზრითა და მნიშვნელობით, ძველს კანონებშიაც არხად არ შეეხვედრებოდა“ (6, 52).

დედა-მიწის, დედა-ბოძის, დედა-ენის და სხვა ამგვარი სიტყვათა ანალოგიით აქვს ილიას წარმოებული დედა-აზრი, რომელსაც იგი პრინციპის შესატყვისად ხმარობს (3, 256), მსგავსადვე ნაწარმოებია დედა-არხი.

ილიას შექმნილია სიტყვა დაწესებულება, რომლის პარალელურად იქვე გვხვდება დაწესებობა (6, 264-265). **Право**-ს შესატყვისად ილიას სხვადასხვა დროს ნახმარი აქვს უფლება, მართლიერება და რჯულდიერება (4, 84; 6, 113). ასეთი პარალელური ფორმების მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა დიდი სიფრთხილითა და მზრუნველობით ქმნიდა ილია ნაირ-ნაირ ვარიანტებს და როგორ აღდგოიანად არჩევდა მათ შორის საუკეთესოს.

ილიასეული კომპოზიტია მიწვა დროშა, წარმოქმნილი რუსული **земледелие**-ს ანალოგიით. ამავე მნიშვნელობით მასვე ნახმარი აქვს „მიწის შემუშავება“ (6, 53) და „მიწისმოქმედება“ (7, 328), მაგრამ საბოლოოდ ილიამ შეარჩია ყველაზე მოხდენილი ფორმა, სადაც კომპოზიტის პირველი წევრი მრავლობით რიცხვშია. „გაძლიერება იმ წარმოებისა, რომელსაც მიწათმოქმედება ეწოდება, ანუ ერთიანი სახელი „სოფელური მურწრობა“ (7, 32), - წერს ილია და ამ პატარა ფრაზაში საში მის მიერ შექმნილი ტერმინია: წარმოება, მიწათმოქმედება და მეურნეობა.“

ილიას ენიდანვე იღებს სათავეს დღეს ხაყოველთაოდ ცნობილი და დამკვიდრებული ისეთი სიტყვები, როგორცაა: აგებულება, აღებ-მიცემობა, ეროვნება, კაცობრიობა,



მსოფლმხედველობა, მთავრობა, მმართველობა, მიმართულება, მოთხოვნები, რწმუნება, ღირებულება, საქონელი, დასაქონლება, მიმოქცევა, შინაარსი, სინამდვილე, განყენებული, საერო, საზოგადო, საყოველთაო და მრავალი სხვა.

ეს სიტყვები ილიამდე სალიტერატურო ენაში დადასტურებული არ არის, თანაც ილია მათ წმარობს ისე მოზოშიადად და ახსნა-განმარტების დართით, როგორც მას საერთოდ სწევოდა ახალ სიტყვათა შემოტანისას. მიუხედავად ამისა, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ რომელიმე მათგანი უფრო ადრე არის შექმნილი, მაგრამ მისი მნიშვნელობის დაზუსტება და სალიტერატურო ენაში დამკვიდრება მაინც ილიას დამსახურებად დარჩება, ამ მხრივ მას ვერაინი შეეცილება.

რასაკვირველია, შეუძლებელი იყო, რომ ილიას მიერ შექმნილი ყველა სიტყვა უცვლელად დამკვიდრებულიყო ენაში, მაგრამ ისიც ფიცი ღირსება და დამსახურებად უნდა ჩათვალოს მწერალს, რომ მისი შემოთავაზებული ფორმა მცირეოდენი ცვლილებით საყოველთაოდ მისაღები ხდება. ასეთებია, მაგალითად, ხელის უფლება, ზედამხედველობა, ცნება, განსახიერება, კერძო საკუთრება, თანამდებობის პირი, მხამზარეული, სრულწლოვანი და სხვანი (შეადარეთ ილიასეული ფორმები: ხელთუფლობა, ზედამხედვაობა, სამცნე, განსახიერება, კერძობრივი საკუთრება, მოთანამდე პირი, მზად-მზარეული, სრული წლოვანი: ტ. III, გვ. 22; ტ. VI, გვ. 43, 68, 120, 232, 266; ტ. VII, გვ. 259).

ამათ გვერდით გვხვდება ისეთებიც, რომელთაც საერთოდ ვერ გაიკაფეს გზა და დღემოკლანი აღმოჩნდნენ, მაგრამ მათი რიცხვი უმნიშვნელოა, საკითხის სისრულისათვის აღენიშნათ ასეთ შემთხვევებსაც. ილიამ ცცადა ქართული შესატყვისი შექმნა ზოგიერთი უცხოური ტერმინისათვის, მაგრამ ამგვარ ცცას ზოგჯერ წარმატება არ მოჰყოლია. ახე, მაგალითად, „პროდუქტის“ მნიშვნელობით მან იხმარა ნაკეთარი (7, 290), „ცენტრალურის“ მნიშვნელობით – საშუაგულო (4, 61), „როლის“ მნიშვნელობით – სათამაშო (3, 142). ილიას მიერ შემოთავაზებული ეს სიტყვები ქართულში ვერ დამკვიდრდა. რუსული „мощество-ს შესატყვისად ილიას ნახმარი აქვს ძალმოქრობა (3, 196), მაგრამ ამ სიტყვამ სხვა მნიშვნელობა მიიღო, ზემოხსენებული გაგებით კი დამკვიდრდა ძლევეამოსილება. „კრებულად აკაცობა, ავაზაკობა“ (6, 205) – აქ „კრებულად“ ის თურთილიანი ტერმინია, რომელიც შემდეგ „ჯგუფურმა“ შეცვალა. ილიასეული „სარჩევი ხმის“ (7, 434) ნაცვლად დღეს იხმარება სათათბირო ხმა. გზა ვერ გაიკაფეს აგრეთვე ისეთმა სიტყვებმა, როგორცაა სათავისთავო (ილიას ნახმარი აქვს собственный-ს, „საკუთარის“ მნიშვნელობით (3, 96), დაწესებული („დაწესებულების“ მნიშვნელობით: 6, 247), მქემეობა (деятельность-ის, „მოღვაწეობის“ მნიშვნელობით) და სხვანი. ილიას ძლიერ უყვარდა ზედსართავა წარმოება ებურ ბოლო-სართით (კაცებური, დევატებური...), რაც აგრეთვე არ გავრცელდა ენაში.

ილიას ენაში აქაიქ შეიძლება შევნიშნოთ რუსულის უხირო კალკებიც, განსაკუთრებით მოღვაწეობის პირველ ხანებში, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ უმნიშვნელო მერთალი ლაქებია და ოდნავდაც ვერ მთაყენებს ჩრდილს იმ უზარმაზარ დამსახურებას, რაც ილიას აქვს ქართული ლექსიკის გამდიდრებისა და განვითარების საქმეში.

* * *

ახლა მოკლედ შევეხოთ ზოგიერთ ხერხს, რომლებიც ლექსიკის ოსტატურ გამოყენებაზე დაფუძნებული და რომელთაც სისტემატურად მიმართავს ილია ჭავჭავაძე. ამ მხრივ პირველ რიგში უყრადღებებს იაყრობს ილიასეული სინონიმიც.

ხედმეტიც იმაზე უალარაო, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სინონიმებს მწერლისათვის. ლექსიკური სინონიმების მიუღ იმ მარაგს, რაც ენაში არსებობს, მწერალი შეიძლება ორნაირად მიუდგეს მოქმენოს ერთადერთი სატბრო სიტყვა, სინონიმთაგან შეარჩიოს ის ერთადერთი სიტყვა, რომელიც ყველაზე უფრო უხდება სათქმელს. ამ დროს მწერლის მიუღი შემოქმედებითი მუშაობის ტყიველი მხატვრული ნაწარმოების მიღმაა და მკითხველის თვალთაგან დაფარულია. არის მეორე გზა – ეს სინონიმური სიუხვის გზაა. მწერალი ერთბაშად შემოიტანს რამდენიმე სინონიმს, მრავალჯის შემოატრიალებს სათქმელს, თითქოს ვერ აკაცებს მოძალტულ ნიადვარს, ერთბაშად უნდა გვიყვენოს ძალი ენისა. ასეთ შემთხვევაში მკითხველი უშუალოდ მონაწილეა სიტყვასთან მწერლის ჭიდილისა. ილიას ჰქონდა სამისხი მიზეხე, რომ მეორე გზა

აერნია. „ენის შენახვის“ ის დიდი ამოცანა, რომელიც ილიამ იკისრა, მას მჭიდრო გზისაკენ მი-
აქცევდა. ილიას მცდელობამ გამოიღო კიდევ შედეგი. მის ნაწერებში ჩაკორულა ისეთი დი-
დი ზოდები ქართული ენისა, რომელიც მყარად დაფუძნა შემდგომი დროის ქართული.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ილიასაგან ასე ხშირად და უხვად ხმარება სინონიმები-
სა, იქნება ეს რელატიური თუ აბსოლუტური სინონიმები, მისი სტილის ერთი არსებითი თა-
ვისებურებაა.

ილიას ენაში ჩვეულებრივია: ქება და დიდება (4, 105), ღონე და ძლიერება (4, 89), წურ-
თენა და სწავლა (4, 293), სწავლა და ცოდნა (4, 231), მოედანი და სარბიელი (4, 226), ღირსე-
ბა და ჯეროვნება (4, 37), განცალკევება და გათვითოფულება (6, 49), ხელშეწყობა და ხელის
გამართვა (4, 210), ჭკუადახშულობა და გონებაშიხდილობა (4, 171), თავგანწირულობა და თავ-
დადება (4, 12), ვაი-ვაგლახი და წეწვა-გლეჯვა (3, 203), მკვიდრი და მტკიცე (3, 63), უვიცი და
უმეცარი (4, 63), ძირეული და თავი და თავი (4, 18), გამრჯელი და მშრომელი (4, 260), საო-
ხად და საშველად (4, 378), გულში ჩახარჩენი, გულში დასაჭდები (3, 111), შშობელი და სი-
ცოცხლის მშინიჭებელი (4, 180), თავაპირდება, თავეპირმეგება (6, 7), უმეტრება, უცოდინარობა
(7, 75), ააფორებს და ამგვლებს (3, 112), განადრდა, გამხცვდა (5, 33), კდემარე, მორცხვი
და აზიზი (5, 309), უსულო, უგულო, უსისხლო და უხორცო (3, 276), უწყმრად, ხმაამოუღებ-
ლივ, უშფოთარად (4, 325), უდრტვინეველად, უდავიდარბოდ, შმვიდობიანად (6, 24), ვიწო-
ნებო, ვსახვლობო, ვქადულობო (3, 166) და მრავალი სხვა.

ილია არ ერიდება სინონიმური რიტის „გაწვლავს“, ისეთი სინონიმების შემოტანას, რომელ-
თა რელატიურობა განსაკუთრებით თვალში ხაცემია, ისინი სინონიმებად შეიძლება მხოლოდ ამ
კონტექსტში ვადიაროთ: „იგია ხატება ჩვენთა გრძნობათა, გულისთქმათა, ფიქრთა, ნადველ-
თა, ღხინთა, ერთის სიტყუით, ხილულთა და არა ხილულთა“ (3, 90); „(მრწველობა) თხოვის
თვის წარმატებისათვის ხანგრძლივს, შუეწვეტელს მუშაობას, გარჯას, ხარჯას და მცადი-
ნობას“ (6, 152); „მადლი ხომ მადლია, იმასაც მოეულა უნდა, უნდა პატრონობა, ხელის შეწყვი-
ლება, გაზრდა და დაეგეაკება“ (3, 91); „გარეგანი სახე დრამისა ვერასოდეს ვერ დაფარავს ში-
ნაგანის ცარიელობას, ფუქსავატობას, არარობას“ (3, 187); „ეგრობაში მიხვება – და დიდად
საბუთიანიც – წოდებათა შორის დაჯახებისა, ერთმანეთთან შეხუთქებისა, ერთმანეთის ცი-
ლობისა“ (6, 54); „რომდენად ძლიერია ჩვენში თვითუფლობა, განცალკევება, განხედ დღობა და
საკუთრო „მე“ (5, 244); „უსწორმასწორებობა, უჯრა-უჯრობა, გუნდ-გუნდობა კაცთა საზოგადო-
ების აგებულებაში“ (6, 104); „კრიტიკა არის განხილვა, განხილვა, განხილვა; გარკვევა; გარწვევა და
დაფასებაც ერთად“ (3, 34); „არც ჭიმივა... არც გრეხა და პრანჭვა, არც გაჭაჭვა, რომ აცა გმი-
რად გამოეჩნდეთ, არც ერთი ამისთანა უმსავესობა არ მოხვლია ბ-ნ გამყრელიძეს სცნაზუნად“
(3, 195); „საჭიროა უმადლესმა მთავრობამ უტყუარად, პირუთენელად, ზედმიწევნით იცოდეს
ყოფლის კუთხის ნამდვილი ვითარება“ (6, 39); „ესეც იმათსავე გულმოდგინეა, დაუზარებე-
ლი, მაგრამ ძნელად თუ სადმე წარბს გაიხსნის და საქმეს შესცინებსო“ (2, 263); „უტყუარი,
უწყინარი და ყოვლად შუეშფლივი ბუკელი დასავსა“ (4, 104); „უგმური, უმადური, უმადლო,
ილაჯგაწვეტელი და პირგამშრალი ბებრუცანა“ (3, 300); „უმართლოდ, უსაბუთოდ, ტყუილად
დასჯილი იქნება ჩვენი საზოგადოება, რომ ეს სამღურავი სამღურავად დარჩეს“ (7, 421); „გან-
ვითეთუღლით, ცალ-ცალკე დაევიშდებით, ასო-ასო დაეიჭერთი“ (3, 76) და სხვა მრავალი.

სინონიმთა გამოყენების გზაზე ილია არ ერიდება ერთსა და იმავე წერაში რამდენიმე
სინონიმური რიტის გამოყენებას: „ამისთანა საქმეში ახორება, ტუქსვა, წრობა, რისხვა, ვყვ-
რება უფრო გააჭირვეულებს, გააძლიერებს, გააჯიუტებს მცდარის სიყვარულის გრძნობას“ (3,
136); „აქ ზრდაა, მატებაა აზრისა, გონებისა, თვალთახედვის გაგანთერება, განდიდება, გაძი-
ერება და არა ჭიტი და ემბოლა, რომელთაც ვაბატონება, მმრძანებლობა მოხვევს ერთი-
სა და დანავრება და ყიბობა მორისა“ (3, 202); „იმისათვის, რომ ცოტად თუ ბევრად გამოხათ-
ლდეს კაცის თვალწინ პოეტის სულიერი სახე, სათავე და მიხუხი ეპოვოს მის ჩანგის სიმთა-
ძერას, სულთა სწავლას, გულთა ძაგრას, ძარღვის ცემას, მის ჭობას და ღხინს, მის გზას
და მიმართულებას – არა ნაკლებ მამასხურს გაუწევს იგი პოეტის გარე ცხოვრების აუკარ-
ვიანობას, რომელთა შორის დიდი ადგილი უჭირავს საზოგადო ყოფა-ცხოვრებას, ვამთავითარ-
რებას, ჭირ-პიროტს ქვეყნისას, პოეტის ოჯახს, პოეტის მახლობლობას და ნაცნობობას“ (3,
234-235); „ყოველივე ეს რომ ცხრილში გაეატაროთ, დავანიაყოთ, ჩაღა-ჩულა ნიავს გაეატარ-
ნით და დასარჩენი დავარჩინით, რა ურთული, რა სახა და მარტივი საგანი დავეიდგება

თვალწინ განსაკითხად“ (7, 456); „არ ვიცით, რა საბუთი მოეპოვოთ, რა გზით აეხსნათ, რა ცორტოინდ და მინც შემსაწარნებელი და ადამიანის გონებისაგან მიხადები აზრი აღმოუჩინოთ ამ ჭირვეულობას, ამ უჯიათობას, რომელსაც ასე წინდაუხედავად, ასე თავზე ხელალებით, ასე კანნიერად თავი წამოუყვია იქ, საცა არც ერთს და არც მეორეს არც მიხეუხი აქვს, არც ადგილი, არც გზა და არც შორი მანძილი“ (7, 464).

ერთი გარემოება დამახასიათებელი ილიასათვის და ეს კარგად გამოჩნდა უკანასკნელ ფრაზაში. ილია დამხარვედ სიტყვას მიმართავს, რათა გააძლიეროს შინაგანი დულაბი სინონიმთა შორის. ამის სტილისტური ეფექტი ძალზე დიდია. თითქმის საერთო ფოკუსი მოიძებნა, თითქმის ალყა შემოერთდა სათქმელს და შეტევა ყოველი მხრიდან ხორციელდება: „ნ. ბარათაშვილია ჩვენს აზრს, ჩვენს გულისთქმას, ჩვენს ჭკუაგონებას დიდი განი და სიღრმე მისცა“ (3, 219); „იმ დროთა ჩარხზედ გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამკვდურში ნაჭედნი“ (5, 12). „ასე გაუპატიურებული, ასე შევინებული, ასე უშევრად და ურცხვად ავად ხსენებული ჯერ არავინგან ყოფილან ჩვენი წინაპარი“ (4, 195); „შესაძლოა ყველგან ამისთანა ორივედ თავგასულის არსებობა, მაგრამ საკვირველი ეს არის, რომ სხვები როგორ აყოლიან, სხვები როგორ ამოსდგომინან მხარში, სხვები როგორ პოპაპოპუნენ შუშპარს ამ თავგასულობის სტვირ-საკრავზე“ (7, 481); „იმ ათასკაცანი კრებულში ერთმა მინც როგორ არ იგონო მთელი უკეთურება, მთელი წინდაუხედავობა, მთელი უკადრისობა ამისთანა საქციელისა... ამ თვით კრებამ როგორ შეიშენია, როგორ შეიფერა, ამაზე უფრო მეტს ვიტყვით, როგორ იკადრა, რომ რიგანობა, წესიერება გადათელა“ (7, 448).

* * *

სალიტერატურო ენის ექსპრესიულ ქსოვილში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ანტონიმებს. აზრის გამოთქმის ანტონიმურ ფორმას ახლავს ლოგიკური და მხატვრული ძალა. ანტონიმთა საფუძველი რეალური ცხოვრებაა, სადაც ყოველ ნაბიჯზე გეხვდება დაპირისპირებანი. ამ შიშო ქართულის რაიმე განსაკუთრებულ თვისებაზე დაპირაკი არ შეიძლება, მაგრამ აქ მინც ხაზგასასმელია ერთი გარემოება. საქმე ეხება ანტონიმთა წარმოების ხერხს. ანტონიმური კომპოზიტები უთუოდ დიდი მადლია ჩვენი ენისა და საშუალებას ვეძიებენ ერთ სიტყვად წარმოივლინოთ სრულიად საპირისპირო შინაარსის ცნებები (დღე-ღამე, დიდ-პატარა, ხაფხულ-ხაშთარი).

ილიამ კარგად იცის ანტონიმების მადლი და ხშირად მიმართავს მათ. ამავე დროს ახლავს ბურად აწარმოებს და ახლავს იყენებს ანტონიმებს. ილიამვე ქართულ მწერლობაში არ გეხვდება ანტონიმთა ასეთი რხეი გამოყენება: ბერი და ერი, ჭაბუკი და მცოცხანი, ახალი და ძველი, გუშინდელი და დღევანდელი (3, 199); დიდი და პატარა, ყრმა თუ ხნიერი, სწავლული თუ უსწავლელი, მადალი თუ დაბალი, ნაცნობი თუ უცნობი, მახლობელი თუ შორეული (4, 221). ილია ენის ლოგიკური სიმწობობ, ილიას პოლემიკის სიბასრე დიდად არის დავალებული ანტონიმურ წყვილთა სიუხვისაგან. გავისხენით თუნდა ერთი ადგილი გაბრიელ ქიქოძის დასაფლავებაზე წარმოთქმული სიტყვიდან: „მისმა წარჩინებულმა სახელმა შეკრიბა აქ ყოველი წარმომადგენელი ჩვენი ქვეყნისა. აქ არიან ქალი და კაცი, უცნობი და ნაცნობი, ნათესავი და უცხო, მოხუცი და ჭაბუკი, დარბი და მდიდარი, სოფელური და მოქალაქე, მცირე და დიდი, გლეხი და მუშაობი, რათა ერთად, შეერთებულნი გლოვით ამ უკანასკნელს ეამს საქართველოს ერი მაგათგან ესეთის ერთობით წარმოდგენილი გამოუთხოვოს თავის სასიქადლო კაცს, სახელოვანს შეიღს, სიტყვა-მალაღს მოძღვარს, საუკუნოდ ჩვენთვის დადუმებულს, საშუალოდ ჩვენგან წასულს“ (3, 247).

ცხადია, შეიძლება ილიასეული ანტონიმების გარკვეული პრინციპით დაყოფა. უპირველესად აღენიშნოთ ლექსიკური ანტონიმები.

ავიღოთ ნაწილაკები „პო“ და „არა“. ამ ანტონომიურ წყვილს ილია ხშირად მიმართავს pro და contra-ს მნიშვნელობით. ზოგად სიტყვასაც აკეთებს (პოარობა) და ასეთ მსახვერულს სახვერულს გეაწვდის: „ჩხირკედლობის პოარობა“ (3, 202). მიემართოთ სხვა მაგალითები: „ზოგი პოს იძახის, ზოგი არას, ერთნაირის სიცხარით და რხითა“ (5, 188), „საცა „პოა“ სათქმელი, იქაც „არა“ სათქვა“ (4, 80), „ეს მორცხობა და სიხარული, ეს „პოს“ თქმის წყურვილი და იმავე დროს „არასიცა“, ეს ტოკვა, ჭოჭანია, გაბედვა და გაუბედობა...“ (3, 107), „არც

თავი აქვს, არც ბოლო, არც შო, არც არა“ (3, 213).

ილია აპირისპირებს კეთილსა და ბოროტს, ჭირსა და ღვინს, მართალსა და ტყუილს, ქაბულსა და დაწუნებულს, მექობაგებსა და მეწინააღმდეგებს, ხორცსა და სულს, ხორციელ უნდასა და სულიერ თვალს („აქ ხორციელს თვალს ვერსა გააჭრევინებ, სულიერი თვალი უნდა“ 3, 132), სიტყვასა და საქმეს (შეადარეთ საბა: „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“). ყველა ამ ანტონიმს ზურგს უმაგრებს სალიტერატურო ენის ტრადიცია, განსაკუთრებით „ფეხის-ტყუარასი“. ორნავი განსხვავებულია ასეთი ანტონიმური წყვილი: ბაბაქალა და ოლოლო (არც ბაბაქალა უნდა ამავესა და არც ოლოლო“ 7, 463). ესაა ილიას საინტერესო და წარმატებული ცდა ლიტერატურულ სამფლობელოში აიყვანოს ხალხურის ენის მარგალიტი.

საგანგებოდაა აღსანიშნავი საკუთრივ ილიას ანტონიმები. ე. წ. სტილისტური ანდა კონტექსტური ანტონიმები. ამ წყვილებს ანტონიმური იერი მხოლოდ ილიას ენაში აქვთ, სიტუაციის კვალობაზე. ასეთებია: „აი იმ ხალხს... საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი“ (3, 76); „ამისთანა მწერალი გულდაწვეტილი უნდა მიადგეს მათხოვარსავეთ საკუთარი ტყინის სადგურს, რომელსაც ზოგი უსამართლოდ თავს ეძახის და ზოგიც სამართლიანად გოგრას“ (5, 57); „აზროს საქმეა ჯერ განხორციელებული და საქმეც აზრია, უკვე განხორციელებული“ (3, 204); „უწინადად ჩვენს გაწერისას ცოდნა აკლდა და ეხლანდელს ჩვენს ცოდნას ხასიათისა და თვისების გაწერთა აკლია“ (4, 237); „ეს იყო გამეცნიერებული სარწმუნოება და დასარწმუნოებული მეცნიერება“ (4, 253); (ჩვენში ბაზარი და ვაჭრობა) „უფრო გულეჯავა-გამტაცებლობას ჰგავს, ვიდრე აღებშიცემობას“ (7, 27); „როგორ მოაწვეს თავისი დღეის ცხოვრებისა, სად დაიხიოს უკან და სად წაიწიოს წინ? რა იხელთოს და რა უკუირიდოს? რას გაეცქვს და რას მიეწიოს? (5, 327); „ეუ ჰკუის დამკითხველი კაცია და არა გულისა, გულისთქმისა“ (3, 176).

ეს ანტონიმები ილიას ერთხელ კიდევ წარმოგვიდგენენ სიტყვით გაუმადარ მექართულედ. ამ მხრივ იგი რუსთაველს გვაგონებს. ილია არ ხაჯრდება სინონიმთა სიუხვეს, სიტყვის უწყვეტად დასაყვარებლად გარემოცვაში მოთავსებას. ანტონიმის საშუალებით იგი კიდევ ერთ ფერს უმატებს მას (უფრო ზუსტად, აელის სიტყვას საპირისპირო ნივანსს). ილიასათვის ნაკლები მნიშვნელობა რაღაც აქვს ანტონიმთა ელვადობას. ამით გარკვეული რიტმული მონახაზი იქმნება და სიტყვის ექსპრესიულობა ძლიერდება: „უფრო შესაქცევარი, ვიდრე გარჯით მეკლავარი“ (3, 206) „თქმული ქნულად იქცეს“ (5, 107); „როგორც მუშაკი ლიტერატურისა, ისეც მუშტარი“ (3, 85); „აი, ეს ცრემლიანი სიცილი და სიცილიანი ტირილი არის უხუნავსი სიტკობა“ (3, 118); „შეიძლება მოსმხმა გუთანს მოკიდოს ხელი და ქართველმა დუქანს“ (3, 372); „ტირილი ემარჯვია თუ ემარცხაბო“ (4, 223); „საგრძობელი თუ ემარცხაბო“ (4, 223); „საგრძობელი და არა საცნობელი“ (3, 90); „გონებრივი და არა ქონებრივი ყოფაცხოვრება“ (4, 285).

ხშირად ილია რამდენიმე რიგის ანტონიმებს ვეთავაზობს: ერთმანეთს უპირისპირდებიან სახელები, ზმნები, მთელი ფრაზები და ამ სიროულეში უწყველო სინათლის ჩამოიქნება აზრი: „რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიანდა კეთილად და რა კეთილი იყო ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უარობდა“ (4, 202); „ჭკუმიარები კაცობა არ-ქონა ცოდნისა კი არ არის, არამედ ქონა მადლისა, კაცური კაცობისა, ნიშანი „minimum“ საინთება კი არ არის, რომელიც არცოდვის ზღვარია, არამედ, „maximum“, რომელიც მადლის სამფლობელო და საუფლისწულო“ (4, 225).

ლექსიკურ ანტონიმთაგან ცალკე უნდა გამოვყოთ სიტყვები, რომლებიც გარკვეულ ფორმანტოა მქონეებით იძენენ ანტონიმურ შინაარსს. ასეთებია მეგალითები: წადმა-უკულმა, ზესენელი და ჰესენელი, ბრალმდებელი და ბრალდებული, ადგა და დადგა („კომიტეტი არც აიღებდა და არც დაიღებდა და ამ ნათქვამს აყვებოდა“ 7, 460; „მერე ავიღებთ, დავიღებთ, დაგანებთ წერილები თუ არაო“ 7, 462).

ქართული ენისათვის დამახასიათებელია ანტონიმური წყვილის ერთ-ერთი წევრის წარმოქმნა უთავსართით, რასაც ილია მარჯვედ იყენებს საჭიროების შემთხვევაში: „უშნო პიეხას შნო მაინც ვერ მისცა“ (3, 116); „ბუერი სხვადასხვა მართებული და უმართებულო სიტყვა თიქვა“ (5, 249) „თულებული იქნებოდა ჩაებარებინა უკვე გამოსადეგი პატრონისათვის მისი გამოუსადეგარი სტატია“ (3, 16).

განსაკუთრებით პროდუქტიულია ილიას ენაში არ (არა) უარყოფითი ნაწილაკის მოხერხებით წარმოქმნილი ანტონიმური დაპირისპირებანი: „ქვეყანა, ბატონო, საესვა ხელუღითა და

არ-ხილულითა“ (4, 252); „მამულის გაყიდვის თუ არ-გაყიდვის გამო“ (6, 251); „მე თქმაც მინდა და არ-თქმაცაო“ (3, 103); „ამ არ-ყოლას ყოლად ვერაინ გადაქმნის“ (3, 116), „როგორ ესმის ეს სიტყვა ამ ჩვენს მარქსისტსა და ველარ-მარქსისტს“ (6, 274).

ადვილი მისახვედრია, რომ აფიქსურ წარმოებას გარკვეული ფუნქცია აქვს და სათანადო კონტექსტში მის ვერ შეცვლის ლოგიკური ანტონიმები. შევადართო ბოროტი და კეთილი ბოროტსა და არ-კეთილს, თქმა და გახუმება – თქმასა და არ-თქმას.

საერთოდ, ილია არ ნაწილიაით ნაწარმოებს მიმართავს არა მარტო ანტონიმური დაპირისპირებისას, არამედ უამისოდაც. საქმე განსაკუთრებით ეხება საწყისებსა და მიმდებარებს: „არ-გაკეთება საქმისა“ (5, 157), „არ-გაკებაა დროის საჭიროებისა“ (4, 66), „უკოინა არ-კოდნა“ (4, 36), „სემინარიაში ისე ასწავლიან, რომ არ-სწავლება სჯობიან“ (5, 109), „კრიტიკის არ-ხმარება“ (4, 38). ასეთივე მიმდებარე ფორმებია: „არ-დამნახველი“ (4, 64), „არ-მყვირალა და ჩხავანა“ (5, 241), „სიტყვით არ-განსახლერული, სიტყვით არ-გამორკვეული“ (3, 147), „სწავლისაგან საქმოდ არ-განათლებული გონება“, (3, 134), „არ-დაჭკობილი, არ-გაბათილებული, არ-დავიწყებელი“ (3, 166), „ნიჭ არა – დახელოვნებული, არ-გაწვითნილი, ხელოვნება ნიჭით შექაპშესხმული და არ-გაბორწყინებული“ (3, 93), „არ-გამოკვეული აზრი“ (6, 106); „არ-დადუღებული, არ-დასრულებული, არ-დამთავრებული“ (4, 85) და სხვანი.

ჩვენი აზრით, აქ ერთხელ კიდევ გამოჩნდა ილიას, ვითარცა ენის წიაღში მაძიებლის, მპოვნელისა და ძველის განმაახლებლის პოზიცია. არ ნაწილიაის კეთილი ფუნქცია ილიას ქართულის მრავალსაუკუნოვანი მარტივიან აქვს ამოღებული და შეკვრეგადაცლილი.

* * *

თვით ცხოვრება წარმოქმნის ამა თუ იმ საგნის გარკვეული მხრით დახასიათების საჭიროებას. ამ დახასიათებას რეალური ყოფა უდევს საფუძვლად. თავისი ყოველდღიური ცხოვრებიდან უნდა წარმოეშა მოსაუბრე ინდივიდს „ბნელი ღამე“, „გრძელი გზა“. ეს ჩვეულებრივი შეთანხმებანი თანდათან შეტანებად იქცევიან და შხამზარულ მარაც ენისას მიერთიან, კარგვენ ექსპრესიულობას. მწერლის როლი ამ მხრივ სრულიად განსაკუთრებულია. გამჭრიახი თვალის მწერლისა ენის ფარულ აზრს ამოატიტეებს, ახალი ნიუანსით წარმოგიდგენს სიტყვას. ბუერი ასეთი მიგნება, განსაკუთრებით მარჯვე, დროთა განმავლობაში შეიძლება კვლავ შეიმოსოს ყოველდღიურობის სამსახელით და კვლავ გაიყინოს განახლებების მოლოდინში. ასეა თუ ისე, დიდ მწერლებს შეუძლიათ თამამად თქვან, რომ მათ სიტყვაში აღმოაჩინეს მთელი სამყარო, სხვათაგან ჯერაც შეუმჩნეველი. პუშკინმა ერთხელ ნევაზე თქვა, *Невы державное течение* – ნევის მორტყული დინებაო – და ეს იყო სრულიად მოულოდნელი დიკავშირება, მართლაც სხვათაგან შეუმჩნეველი სამყაროს აღმოჩენა.

ამ მხრივ ილიას როლი მეტად თვალსაჩინოა. ილიას უხვი სახეობრივი სისტემა, განსაკუთრებით ეპითეტები, გვიდასტურებენ, რომ მისი ენა განსაკუთრებული ექსპრესიულობით ხასიათდება. სპეციალურ დიკტირატურაში საგანგებო ყურადღება მიექცა ილიას ენის ამ მხარეს. შესწავლილია ექსპრესივის გამაძლიერებელი ზედსართავი სახელები და ზმნისებლები დიდი მწერლის მოთხრობებში. ანალიზური სურათია პუბლიცისტურ წერილებში. დავიმოწმებთ მხოლოდ ზოგიერთ საინტერესო მაგალითს: ბრმა ბედი (7, 183), გონებრივი დევალი (3, 153), გულითადი მეცადინეობა (5, 307), დაურღვეველი ჭეშმარიტება (5, 358), მწყობრი ხმა (3, 145), ნაჭირნახულევი ზევა (3, 152), უქმი იმელი (6, 236), ღონიერი ნიჭი (3, 92), ხელმოკლე მოკრივე (3, 35), საზღვარდაუდებელი უფლება (6, 142), დაურღვეველი ჭეშმარიტება (3, 56), საიმედო თამასუქი (6, 197), გაცვეთილი ლათაიები (6, 202), წყალწყალა ჭკუა (5, 89), სადღეცხადიო საქმე (6, 129), თამოწონებული ოქრო და გაზვიადებული ხმალი (5, 121), ფრთავაშლილი ღონიერი (5, 130), ორკვად გასინჯული საქმე (5, 91), სულიერი წყურვილი (4, 369), სიტყვაჭარბი ავტორი (4, 135), მოქალაქეობრივი მხნეობა (4, 246), სარწმინაი გზა (4, 291), ფრთასხმული ფიქრი (3, 213)...

განსაკუთრებით ჩანს ილიას ძალა მაშინ, როცა სრულიად მოულოდნელ წყვილებს გეთავაზობს და ამით არა მარტო ახალი კუთხით წარმოგიდგენს საზღვრულ სიტყვას, არამედ აფართოებს მსახლერელის სემანტიკასაც: უმანკო აზრი (3, 48), მოკოინე ავტორი (4, 26), აწმყო მიზეზიანი (3, 203), წყაზარი და მალხაზი გაზეთი (4, 164), მტრული და გამოძიებელი გონება ადამიანისა (4, 27), ჭვარტლმოდებული გული (7, 479), გაჯანჯლებული გულისნადები (3,



181), ფეხმოკლე თვალთმაქცობა (7, 12), ფეხმოკლე ლიტერატურა (3, 196), ორკეტი ღორიკა (4, 137), მოგუბებული მასალა (3, 71), ობმოკედებული მცნება (3, 431), კუდადაბმული მწყობრ-სიტყვაობა (3, 89), ბღენიური ნიჭი (3, 167), შუმობაწროლი სარბიელი (5, 130), კულგამობმული საუბარი (7, 443), ნამუსინი სახსარი (3, 439), გვერდნამოთლილი სიკეთე (3, 93), ფრთაასსმული სიყვარული (5, 335), მტკეპე-მტეხარი სიყვარული (3, 134), მეხი სიტყვა (3, 9), ზედაური ტყუილი (4, 96), პირგახეული ტყუილი (4, 169), პირგახეული ჭორი (7, 442), ყალყუე შეყენებული ფრაზები (4, 20)...

ილია ხშირად მსახფერელად რთულ, კომპოზიტიურ სიტყვებს ხმარობს: ახლადმოზედილი ბოკლი (4, 138), ბუკედაკრული კაცისმკვლელობა (4, 131), ბოლომოზუმედი წადილი (4, 297), გონებაგაფიცხებული აეტორი (4, 104), გულთასრული კაცი (4, 223), გულთასურჩენელი აღტაცება (3, 190), იმედ-დანთქმული მამა (5, 30), ხხიფენილი მადლი (5, 341), უკანდაუხეველი სულთასწრაფვა (4, 257), ფეხშუფერებელი მოძრაობა (3, 256), ყოველთა შემწირველი წუთის-ხოფელი (3, 158), ყველაფრის ამკიდებელი вероятию“ (4, 94), ყურებადასაცმელი ტყუილი (4, 77), წინდაუხედავი ნასწავლი და გულდაუდებელი ნაწურთვი (3, 135), ფრთაასსმული და გაღონიერებული სიყვარული საქართველოსი (5, 186), სახსარმოკლებული ფალავანი (3, 295), მშვიდობისყოფელი სავანე (4, 13), ჭირთა-ამხდელი სახსარი (5, 20), ზღაპრებით გაპოხილი ჭაპანი (4, 138), შორს გავლილი და წინწახული რჯული (4, 119), ბაღლური კრიტიკის გამგე-ლებული მადა (4, 89), კრიტიკით და შვდარებითის მეთოდით მოსილი აეტორი (4, 49), მოგონილი და ხელად გამოძეხვარი ეპიტეტები (4, 267), აეკაციობის ძირეული და მუდმივი ბუდე (6, 210), ადამიანის აზროვნების საზღვარდაუდებელი სიგრძე-სივანე (3, 215).

საყოველთაოდ ცნობილია, რა როლი აქვს ქართულში გენეტიურ მსახფერელს. ამ მხრივ ილია ენაში დიდი სიუხვეა. ილია გვაწვდის როგორც მოსალოდნელ შესიტყვებებს, ისე მოულოდნელ წყვილებს, რომელთაც დიდი ექსტრემიულობა ახლავთ: ვინების თვალი (5, 183), სულის ღონე (3, 132), ჭკუის უღონობა (3, 182), იმედის შეილება (5, 337), ცხოვრების პარდეი (5, 73), სულის საზრდიობა (4, 287), გულისთქმის ქარცეცხლი (3, 171), ტყუილების მფარაშა (4, 74), გრძნობათა ჭიდილი (3, 187), სიკეთე პაერისა, სიმსუქნე მიწისა (6, 7), სწრაფვა სულისა (3, 184), გრძნობა თაკილობისა (3, 109), გრეხილი აზრისა (93, 58).

ამ ჩვეულებრივ, მოსალოდნელ შესიტყვებათა გვერდით ილია გვთავაზობს მრავალ მოულოდნელ შესიტყვებას, რომლებსაც ჩვენივის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ, ვინაიდან ენაში სრულიად ახალ სფეროს ქმნიან: ასაკონება სულისა (3, 423), გულისყურის კარი (3, 264), აეკარეიანობის სასწორი (6, 14), აზრის შედეგება (5, 59), არცებითი ძარდე თადარიგისა (7, 185), ცხოვრების ხნული (3, 204), წარმატების საყვეარი (5, 337), ფრაზების ტაკატაკუცი (5, 93), დრამის მეტეზორცი (3, 191), თხზულებათა ხეაეი (3, 117).

ერთი პატარა მაგალითით შევიძინებ დაგადასტუროდ, როდენი ძალა ილიასათვის ეს შესიტყვებანი. როგორც ცნობილია, ილია ბასრი პოლემისტი იყო. ერთი ასეთი პოლემიკის დროს ის პირდაპირ ახვავებს ერთმანეთზე უფრო წვეერტამახული უმეცრების: უმეცრების ღიბრი, უმეცრების მალაყი, ტყუილებისა და უმეცრების ტბა, უმეცრების მცვრიანი მწვადი (6, 247-271). სხვათა კამათის დროს: ტყუილებისა და კვენბა-ბაქაიობის ფალავნები (3, 168), ზღუდე უმეცრებისა (3, 307), სიღრმე ცარიელობისა (3, 17), არარაობის ხუნდი (56, 173), უიდა-ჯობის ქარბუკი (4, 69), ტყუილის მედიდურობა (3, 115), უცებობის ნახტომი (6, 101)...

ამ შესიტყვებათა შორის ილიამ ზოგი ისეთი წყვილიც შემოგვთავაზა, რომელთაც, მართალია, ილიას ვარიანტით ვერ მოიკიდვს ფეხი ენაში, მაგრამ რომ ილია სწორ გზაზე იდგა, ეს ამ შესიტყვებათა შემდგომი ბედით დასტურდება: ბუნებური (ბუნებრივი) ღვინო, ხელსამძღვანი (სახელმძღვანელი) აზრი, დაძალებული (ნაძაღადევი) ღვქსი, პოეტკიკური (პოეტური) სიღაღე უწერელი (დაუწერელი) კანონი, ჯანიანი (ჯანსალი) სიცილი, საყოველღვო (ყოველღვილი) ცხოვრება, პირველკამური (თავდაპირველი) ბიჯი, მუდამი (მუდმივი) მუშტარი, საბუღვარი (ბუღვარული) ციცილიზაცია და სხვ.

* * *

ქართული მუსიკალური ენაა. გაორკეცებული ფუძეები, ერთი ფუძიდან ნაწარმოები შესიტყვებანი მუსიკალურ ელერდობას ანიჭებს მას. ჩვენმა მრავალსაუკუნოვანმა პოეზიამაც ვარკვეული გაკლენა მოახდინა ქართულის რიტმულ სტრუქტურაზე. ენას სიღამაზეს მატებს კომპო-



ზიტა მზარდი ხაზი (ცოლ-შვილი, დღე-ღამე). ილიას ზრუნვა ქართულს ამ მხრივაც ეტყობა. გამეორებას ილია რიტმის მოსაწესრიგებლად იყენებს: „თუნდაც ვე ნათქვამი მართალზედ მართალი იყოს და ცხადზე ცხადი“ (3, 109), „ესეთი საოცარი ვითარება საქმისა დაუჯერებელია, თუმცა მართალზე უფრო მართალია“ (7, 225), „უმეცრობა და უეცორობა დიდი ჭირია და თუ აბას თან დაჰყვა უჭკობა და უნიჭობა, ხომ ჭირზე უფრო ჭირია“ (6, 241). „გათვითუღუება – ეე ჭირისჭირია“ (3, 47).

გარკვეულ ვეჟეტს იძლევა არა უბრალოდ გამეორება, არამედ ანტონიმური გამეორება, როცა საგნის არსებითი თვისება უარყოფილია: უგულო გული, უენო ენა, ურუსო რუსი, უილაჯობის ილაჯი, უალაგო ალაგო... ამგვარ თქმათა საფუძველი ენაში ადრთიანევე ჩანს. ილია მას იყენებს ახალ შესიტყვებათ წარმოსახენად და ძალიან მარჯვედგა. ილიას სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია სიტყვის (განსაკუთრებით ზმნის) და ფრაზის გამეორება. ვინც ჩვენი ხალხური ზღაპრების სტილს დაკვირვებია, მისთვის დღესაც ნათელია, საიდან იღებს სათავეს ილიას ენის ეს ნიშანი. დამახასიათებელია ამ მხრივ ასეთი ფრაზები: „ამაიბის ხომ იტყოდა და იტყოდა და ბოლოს დაუმატებდა“ (2, 255); „ამ ხრმა იარა, იარა და იმოდენად მომწიფდა...“ (5, 82), „ერს ხომ შეღავათი მიეცემა და მიეცემა“ (5, 137); „გადამეტება ხომ ძნელია და ძნელი“ (4, 279); „ეს ფრაზები რომ დაგესწავლიათ, ლიბერალი იქნებოდით და ლიბერალი“ (5, 93); „თუ არა წაწვა და გლეჯა, უსიამოვნება მაინც არის და არის“ (6, 12); „მისი, მისის დაბნელება“, „ხვესსიტყვა ქორწილი“ თუ ყვეულ ამის სრული სურათია არ არის, მწერლობის ამ მიმართულების მაგალითი ხომ არის და არის“ (3, 222); „ეს ხომ ქების ღირსია და ღირსი“ (3, 172); „მაშინ ხომ სულ დავიღუპებით და დავიღუპებით“ (7, 381).

რიტმისათვის ილია ხშირად უფრო რთულ გზასაც მიმართავს ხოლმე, ამჯერად გამეორება ასეთი აუკარა არაა: „უქმი სიტყვა უქმის კაცისა“ (6, 83), „ომ, მარტიუო იაცის სიმარტივემ“ (3, 51), „ამ გულუბრყვილო ცდომილს ცდომის კარამდე... მიჰყე“ (3, 131), „თვითონ ცილმაც კი ვერ შეგებდა ცილისწამება“ (4, 243), „უნარი, რომლის დონე მარტო სხვისი უფრობაა“ (4, 390), „იელი აცოდინებდა ამ ძნელად საცოდნელსა“ (4, 167), „განადგლოს საყოველთაო ნაღვლითა ანუ გაღვინოს საყოველთაო ღვინითა“ (3, 73), „ხალისი ამით მხნეობს და მხნეობა ამით ხალისობს“ (4, 244), „რა ხელსაყრელია აქ ამისთანა უადგილო ვაჟაკობა, რომელიც გაკადნიერებულს ჭირვეულობას და გაჭირვებულს კადნიერებას უფრო ჰგავს, ვიდრე სხვა რასმე სიკეთეს“ (7, 468), რარიც ცოცხლად გვაგონებს ეს გაკადნიერებულ ჭირვეულობა და გაჭირვებულ კადნიერება საბასეულ „სიტყვას საქმიანსა და საქმეს სიტყვიანს“.

ილიას უყვარს ერთნაირი ფერადობის სიტყვათა წვეილები, რომელთა დაბოლოება ან დასაწყისი ხშირად ერთიანება კიდევ ერთმანეთს: „წამი ნატერისა და ნანვისა“ (3, 220). „უსაქმობა და უსაგნობა“ (3, 205), „ფეხმოკლე და ხეკლოკლე, უწეულო და უსაკო“ (3, 220), „პირმაგი, პირუტყვი წელიწადი“ (3, 370), „იტყვიან ზოგიერთი უჯკრონი და ურწმუნონი“ (5, 293)... ამ მხრივაც ილია ერთგულად მისდევს ქართული ენის მაგისტრალურ ხაზს.

ილიასათვის დამახასიათებელია არა მარტო ცალკეული სიტყვის, მთელი ფრაზის გამეორებაც. ერთი ტიპის წინადადებებს, თანწყობილსა თუ ქვეწყობილს, მწერალი ოსტატურად წნავს და აკავშირებს ფრაზის გამეორებით. მიემართოთ მაგალითებს: „ვია იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა: ვია იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვი სისხლი გაშრა“ (3, 76); „ჩვენის საკუთარ სუფრახედ სხვისი ძღვიან, ჩვენის საკუთარის ჯამიდან სველ ღუქმას სხვა იფებს, ჩვენის ქვეყნის რძე-ნაღვები სხვას მიჰქვს და ჩვენ კი, ცარიელზედ გასულნი, მარტო ეჩივით და ვტირით, გვიან და გეწყურიათ“ (4, 360); „ძლივს ერთი საჯარო ადგილი მაინც გვექნება, საცა ჩვენის ენით ვიღ ხეტვ, ჩვენის ენით ვინა დვლვთ, ჩვენის ენის მოწყალეებით გაეცნარვთ თვალწინ ჩვენს ცხოვრებასა მთელის მისის ჭკუისა და გულის მონაგართა“ (5, 40); „უნდა, როცა ზარბაზნის ჭკეპა-ქუხილის ხმა მისწყდა, როცა მშვიდობიანობამ სხვადასხვა ფათურაქის მოლოდინი გააქრო, როცა სხვა სიომ დაუბრუნა ჩვენს ვარშემო, როცა... როცა... ერთის სიტყვით, – ეხლა შესაძლოდ გაგვიხდა შრომის განგრძობა იმოდენად, რომ ჩვენი ნაღველი, თუ სხვა გზით არა, უნადგლოდ მაინც გამოვიფინო“ (6, 45); „რკინიგზისა და გაზარქვეილებზედ ახლომახლო მცხოვრებელთ, რა თქმა უნდა, ბედი გაესხნათ: კარგი გზა ბაზარს თითქმის ხელში აძლევს: ამ გარემოებამ იმოდენად გაუადვილა ჭირნახულის გატანა ბაზარში, იმოდენად გაუთავა ჭირნახულის საზიდი ხარჯი, იმოდენად შეუმოკლა დრო და გარ-

ჯა მისვლა-მოსვლისათვის და გადატანა-გადმოტანისათვის, რომ ამ კაი გზებზე მოშორებით მცხოვრებელმა ვეღარ გაუწია ცილობა და ძალაუნებურად პირში ჩალაგამოვლებული დარნა და ბაზარს და ბაზრობას გამოეთხოვა“ (6, 208).

* * *

ფრახის აღნაგობა, სინტაქსური წყობის მოწესრიგება ილიას განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახლდათ და არცთუ უმიზნოდ. დღევანდელი კითხველი, თუ ის „ციხისლი“ ძველ ნომრებს გადაავლებს თვალს, ადვილად დაინახავს, რა დღემო იყო იმ დროს ქართული სინტაქსი, რარივ აკლდა მას სინათლე და სილამფე, არ ჰყოფინდა სასუნთქი პაერი. აიღეთ და შეადარეთ ილიასეული ფრახის წყობა, მაგალითად, „ქუთაისური ლოტოს“ სინტაქსს და ერთბაშად იგრძნობთ, რა უზარმაზარი სხვაობაა მათ შორის.

ილიამ დაუბრუნა რთულ წინადადებას დიდი ხნის დაკარგული სილამფე, გააგანებრა მისი კალაპოტი, მოაწესრიგა მისი რიტმი. რაგინდ რთულიც იყოს ილიასეული წინადადება, აზრი არსად არ დაეუფანტება, სუნთქვა არ გაიჭირდებათ. ამასთანავე ილიასათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ტიპის წინადადებების მონაცვლეობა. ამიტომაც მისი სტილი ყოველთვის ნათელი და გამჭვირვალეა, ფრახა – ნაჭველი. აი ოროდვე პატარა ნაწყვეტი ილიას პუბლიცისტური წერილებიდან: „ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს, იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისი სულის ღონეს, თვისის სულის ბეგრას, თვის თვისებას, ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა იხე არ შეამსკვადებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა“ (4, 9); „აქ კაცმა სინდისიც უნდა დაიფიქროს, ნამუსიც უნდა მწვარში გამოჰკრას, პატოსნებაცა ჰგმოს, ერთის სიტყვით, ყოველს ღვაგინათ ნიჭს ადამიანისა უნდა გადუღებს და ამ ხელობას იხე მოჰკიდოს ხელი. ხუმრობა ნუ გვრინათ ასე სამარცხნოდ თვისი გაქორღვა, ასე გაბიაბრეება, გაუპატიურება საკუთარის თავისა, საკუთარის კაცობისა. ამას ღონე უნდა, მართალია, ღონე სახისღარი, თავლაფდასხმული, შეპაძრწუნებელი, მაგრამ მაინც ღონე. ვაი რომ ამისთანა ღონეცა ფასი აქვს და მუშტარი ჰყავს“ (8, 20).

წინადადების ასეთ თავისუფალ და დღე წყობას, ასეთ სინათლესა და ნაჭველობას სხვადასხვა ხერხის გამოყენებით აღწევს. ამ მიზანს ემსახურება სიტყვისა თუ ფრახის გამორეზბაც, სინონიმთა სიუხვეც, ანტონიმთა გამოყენებაც, რახედაც ზემოთ გუქონდა საუბარი. დამატებით უნდა აღვნიშნოთ კიდევ რამდენიმე სინტაქსური თავისებურება, რომლებიც დამახასიათებელია ილიას ენისათვის.

ერთი ამათგანია განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების სისშირე. მაგალითად: „ბეგრჯერ მიზახავს ირემი, დამფრთ ხალი ძაღლისაგან“ (2, 31); „თოფმა იგრიალა და ირემი, აქამდინ ცოცხალი, თავისუფალი და ღალი, გაითხო იმ ბაღახხედ, რომლის კალთაშიაც პირველად აახილა თვალი“ (2, 32); „კაცი, სიციხისაგან დაოსეგული, ძლივს სულს იქცევდა“ (2, 224). „ფედაკაცი, ამისთანების ჩეგული, მაინც მადლობას ეტყოდა ხოლმე“ (2, 254). „ბ-ნმა მესხივემა, ამ ჭკვიანმა და ნიჭიერმა არტიტმა, აქ სწორედ მოვლი დრამა შექმნა და ამით ძლიერ უსხრა მაყურებელი“ (3, 102). „ფილოქსერა, ეს ვახის მმუსერელი მტერი, თითქმის კას მოვადგომია“ (7, 150) და სხვანი.

ამ ხერხით ილიამ წინადადების წვერობის ტვირთი აარიდა აღნიშნულ გამოთქმებს და ამით დიდად გაამსუბუქა ფრახა. ამგვარმა განკერძოებულმა გამოთქმებმა თითქოს ერთგვარი სულის მოსაბრუნებელი ოახისები შექმნეს წინადადების შიგნით. ეს არის დღესაც საჭირო და მოხდენილი ხერხი მეტისმეტად რაციონალური სინტაქსის თავიდან ასაცილებლად.

წინადადების გამსუბუქების ამოცანას ემსახურება შედგენილი შემასმენლის წვერთა თავისებური წყობა, როცა მის შემადგენლობაში რამდენიმე სახელი შედის. ასეთ შემთხვევაში მეშველი ხზნა ხშირად პირველ სახელს ეკვრის, მეორე კი ამით ცალკე გამოიყოფა და ერთგვარად უფრო მაკაფოდ გამოიკვეთება. მაგალითად: „ყოველი მეცადინეობა უქმია და გზაგაუტანელი“ (7, 50). შეადარეთ: ყოველგვარი მეცადინეობა უქმია და გზაგაუტანელია. ასეთივე ვიანსეული „პაწაწა ვარ, ობოლი“. ხულ სხვა იქნებოდა „პაწაწა და ობოლი ვარ“. ცხადია, პირველ წყობას მეტი სიმსუბუქე, რიტმული სილამფე და ემოციურობა ახლავს. ეს წყობა ქართულში ძველიდანვე არსებობს: გაიხსენოთ რუსთაველის „კაცი ვარ, ადამიანი“. აქედან ისიც აშკარაა, თუ როგორ უნდა გაეიციოთ „კაცია-ადამიანი“ სათაური („კაცია, ადამიანი“).

ილიას სინტაქსის დამახასიათებლად საყურადღებოა აგრეთვე „რა“ ნაწილაკიანი ფორმების ხმარება დროის გარემოებითს დამოკიდებულ წანადღებაში. ამგვარი კონსტრუქციები ილიას ენაში საკმაოდ ხშირია: რა კხნაჲდა... როგორც ცხენი დააკრაჭუნებდა კბილებს მეტის სიაშოვნებისაგან (2, 142), „გადაუწვევია რა ზურგზედ თავისი შტოიანი რქები, მორბის გამაღლებული“ (2, 31). „რა“ ნაწილაკი ხან წინ უსწრებს ზმნას, ხან კი მოხდევს მას. საინტერესოა, რომ საგარმატიკო საკითხებზე „ივერიაში“ გამართული თათბირის დღის წესრიგში ერთ პუნქტად ამგვარი კონსტრუქციის გამოყენების საკითხიც მდგარა. ჩვენ არ ვიცით, რა დადგენილება მიიღო თათბირმა ამის თაობაზე, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ილია ბოლომდე იცავდა მას თავის თხზულებებში.

ყოველივე ზემოთქმული ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რა ღრმა კვალი დაამჩნია ილიამ ქართულ სალიტერატურო ენას, რა დიდი მისი წვლილი ენობრივი შემოქმედების სფეროში. ილიამ თითქმის ამთავსო სალიტერატურო ქართულსა და ხალხის სასაუბრო ენას შორის გათხრილი უფსკრული, მოშალა „ხამი შტილის“ ჯებირები, რადგან ეს ჯებირები მხოლოდ ფუნქციონალურ სტილთა არსებობას კი არ გულისხმობდა, არამედ ენის ხელოვნურ დაყოფას ვარაუდობდა და მის გაღარიბებას იწვევდა. ილიამ გამართივით ქართული ორთოგრაფია, საუკუნეთა გამძლე ძველი მარაგიდან აღადგინა ენობრივი მარგალიტები, შექმნა მრავალი ტერმინი, საყოველთაოდ დამკვიდრებულ სიტყვებს ახალი მნიშვნელობა მისცა, ახალი სიტყვები შექმნა. ილიამ და მისმა თანამოკალმეებმა აქციეს სალიტერატურო ქართული ისეთ ენად, რომელიც ქართველთა გაღვივებულ ეროვნულ ცხოვრებას მიესადაგებოდა.

ილიას ენა ჩვენი მუდმივი უკან მისახედი უნდა იყოს, რომლის მიხედვითაც შეიძლება შევათქვათ წინ სავალი გზის სისწორე. თანამედროვე მწერლები, მთარგმნელები, სტილისტები ხშირად უნდა დაეწაფონ ილიას ქართულის ანკარა წყაროს.

მაღლი „დედაენისა“

პირველი საიანბანო წიგნი საქართველოში მეთურამეტე საუკუნის დასაწყისში დაიბეჭდა და, იმ დროიდან მოკიდებული, ბევრ გამორჩენილ ქართველ მამულიშვილს მიუღია მონაწილეობა ამ დიდსა და საპატიო საქმეში. ამ მხრივ იაკობ გოგებაშვილის უშუალო წინამორბედები იყვნენ პლატონ იოსელიანი, ივანე კერესელიძე, პეტრე უმიკაშვილი და სხვები, რომელთა სახელმძღვანელოებითაც ისწავლებოდა ქართული წერა-კითხვა მე-19 საუკუნის 40-50-იან წლებში და 60-იანი წლების პირველ ნახევარში.

და აი, 1865 წელს პირველად დაიბეჭდა „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეობათვის“, რომელსაც სათაურის ქვეშ მოკრძალებულად ეწერა ავტორის ინციანლები – ი. გ. იაკობ გოგებაშვილი იმ დროს 25 წლის ახალგაზრდა პედაგოგი იყო. ეს წიგნი ბევრად სჯობდა ქართული ანბანის ადრინდელ სახელმძღვანელოებს, მაგრამ მაინც ეს ჯერ კიდევ არ იყო უკეთესი „დედაენა“, რომელმაც თურამეტე წლის შემდეგ ამოაშუქა თავისი დღურჯთვალა ით და ღრმად გაიღვა ფეხები ყოველი ქართველის გულში.

უკვე ასი წელია, რაც ი. გოგებაშვილის „დედაენა“ გზას უნათებს ქართველ კაცს, შეჰყავს იგი მშობლიური ენის წიაღში, აწავებს ცოდნის წყაროს. ამ წიგნით გაიკეთეს პირველი ანბანი ჯერ ჩვენმა პეპერებმა და პაპებმა, მერე – მამებმა, მერე – თვითონ ჩვენ, ახლა კიდევ ჩვენი შვილები და შვილიშვილები მუდმივ განახლებას და გაუმჯობესებას მოითხოვენ. თვითონ იაკობიც ასე განუწყვეტლივ ხეწვდა და აუშჯობესებდა თავის „დედაენას“. იაკობის შემდეგაც, ბუნებრივია, ამ წიგნში ბევრი ცვლილება მოხდა და კვლავაც მოხდება, მაგრამ უცვლელაა მისი ავტობის შეცნობიერული პრინციპი, ასოთა სწავლების თანამიმდევრობა, სწავლების მეთოდიც: მოკლედ რომ ვთქვათ, უცვლელია იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს სული და გული.

იაკობ გოგებაშვილმა პირველმა მიაგნო ამ წიგნისათვის ზედამოტრილ სახელწოდებას – „დედაენას“, რომელიც დედაბოძის, დედაბაბის, დედაქალაქის და სხვა ამგვარი სიტყვების ანალოგიით არის შედგენილი და ერთ სიტყვად კონავს ორ ყველაზე ახლობელ ცნებას. იაკობ გოგებაშვილმა პირველმა მიაგნო იმ ორ პატარა ასოს, რომელთა გადასმ-გადამს-მაც მთელ ფრაზას ქმნის და ბავშვს ერთბაშად ხიბლავს, ერთბაშად აგრომბობინებს, თუ რა ჯადოსნურ სამყაროში შეჰყავს იგი მშობლიურ ანბანს.

დღეს ჩვენ ისე შეჩვეული ვართ ამ „აი იას“, რომ მისი მიგნება შესაძლოა დიდ რამედ არც მოგვეჩვენოს, მით უფრო, რომ „დედაენის“ ავტორის სახელიც სწორედ ამ ორი ასოთი იწყება. მაგრამ ეს ისეთი რამ გახლავთ, რომლის მიგნებას ნათელმხილველი თვალის სჭირდება და რომელიც მხოლოდ აღმოჩენის შემდეგ ჩანს მარტო. „ეი იცის, მაშინ, როცა იაკობმა ეს საალერსოდ მოკვეცილი სახელის დასაწყისი ია იპოვა, გული როგორ აუკანკალდა: ვინ იცის, რა დვთაბრივი მღვდლარებით შეკრთა ის, როცა გონება თითქოს ერთბაშად გაეხსნა და ეს პაწია ინი და ანი ორი მძივივით თუ ქოთნის ტარის ნატეხებივით თავდაპირველად ასე ქღურადად დალაგა. დალაგა და უცვბ ია წამოუყუენდა. მერე მის გვერდით შემბრუნებული იგივე სიტყვა მძურად მოუსვა და ხომ ყველას გეჯერა, გეჯერა, რომ სიხარულით წამოიძახა: – აი იას!“¹

იაკობ გოგებაშვილმა პირველმა შემოიღო და დანერგა წერა-კითხვის სწავლება ქართულ ენაზე ანალიზურ-სინთეზური მეთოდით. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ეს დღევლი

¹ ზურაბ ჭუმბურიძე, მაღლი დედაენისა, 1982.
² დ. შენგელაია, დედაენა, „თხზულებანი“, IV, 1972, გვ. 9.

პირველ ადგილს აკუთვნებს მას ქართული წერა-კითხვის სწავლების მეთოდის ისტორიაში³. იაკობმა ასო-ბგერათა სწავლების თანმიმდევრობა ასოთა მოხაზულობის სიმარტივე-სირთულეს დაუქვემდებარა და ამით დიდად გააადვილა მათი შესწავლა.

იაკობმა „დედაენას“ მისცა ენციკლოპედიური ხასიათი, რათა ამ წიგნით ქართველ ბავშვს მარტივ წერა-კითხვა კი არ ესწავლა, არამედ საშობლოს ბუნებასა და ისტორიასაც გაესცნობოდა, ხალხის ყოფასაც დაქვეითებოდა, გულმართალი, პატიოსანი, კაცთმოყვარე გაზრდილიყო.

გამუდმებით ზრუნავდა იაკობ თავის პირმშოს გარეგნულ შროსა და ღვაწლზეც: მის დასურათებაზე, შრიფტზე, ქაღალდის ხარისხზე, გოგებაშვილის შრიფტი დღესაც ერთ-ერთი საუკეთესოა ქართულ შრიფტებს შორის.

დიდი პედაგოგი ზრუნავდა იმაზეც, რომ მისი სახელმძღვანელო იაფი და ყველასათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო, რამდენიმე ასეულ ცალს კი იგი სრულიად უსასყიდლოდ უზაგინდა ღარიბ მოწაფეებს.

მაგრამ ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, მაინც არ არის მთავარი. იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების და, კერძოდ, „დედაენის“ უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ღირსება მათი ენაა. იაკობს ეკუთვნის პირველობა ახალ ქართულ სალიტერატურო ენაზე სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში. ეს მისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დამსახურებაა, რადგან იმ დროს ახალი სალიტერატურო ქართული ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო და იაკობის სახელმძღვანელოებმა დიდად შეუწყვეს ხელი ამ პროცესს⁴.

თვითონ იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა „ბუნების კარის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში 1868 წელს: „ქართული ენა ჯერ თავის კალაპოტში არ არის ჩავარდნილი და გრამატიკული ფორმები დამდგარი (ე. ი. დადგენილი) არ არიან“. იმავე წინასიტყვაობაში ავტორი წერდა: „ჩვენ ძველისმოყვარე პირებს ამ წიგნის ენა, რასაკვირველია, არ მოეწონებათ. ესენი სხვა ზომით აფასებენ ენის ღირსებას: რამდენიც ენა ძველი და გაუგებარია, იმდენი უფრო დიდის მოწიწებით უყურებენ. საცინელი ის არის, რომ ეს ახალი ენის მიხედვარე პირები თვითონვე ცხოვრებაში ამ ენას გულარხინად ხმარობენ და ღლაპარაკში მისი სმენა სრულიად არ ენოთერებოთ; მაგრამ, ნახავენ თუ არა ამ ცოცხალ ენას წიგნში, მაშინვე თავზედ ცეცხლს გადაიყრან: „წახდა, მოითხარა და დაიღუპა ჩვენი ენა“, გაიძახიან ხშირათა. „უწინდელი კეთილშობილი ენის მაგვართა ახლა ტეტური უბრალო ენა შემოიღეს, რომელიც მუშას და ფილოსოფოსს ერთი საიდვილით ემბით. მეტი ენის მოთხარა კიდევ გინდათ!“ მაგრამ ვისიც ვინცა დახშული არ არის, იმას ამგვარი სჯა სიცლიათაც არ ეყოფა“.

იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებმა, განსაკუთრებით „დედაენამ“, ისეთივე როლი შეასრულეს ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების, დამკვიდრებისა და გავრცელების საქმეში, როგორიც ილიასა და აკაკის ბრწყინვალე თხზულებებმა. იაკობმა თხარში ედგა ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მედროშეებს თავისი თეორიული და პუბლიცისტური წერილებითაც, რომლებითაც იგი შეუპოვრად იცავდა ქართულ ენას, იცავდა მის ღირსებას, იცავდა ქართული ენის სწავლებისა და ქართულ ენაზე სწავლების უფლებას. ყოველივე ამის გამო მან საბატიო ადგილი დაიმკვიდრა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებელთა შორის.

იაკობ გოგებაშვილი თავგამოდებით ებრძოდა მეფის რუსეთის შავრახმელ მოხელეებს და მათ დამქაშებს, რომელთაც სურდათ გაეთიშათ ქართველი ხალხი და ამ მიზნით ცალ-ცალკე ხალხებად აცხადებდნენ თუ-ფშავე-ხევსურებს, რაჭველებს, იმერლებს, მეგრელებსა თუ სვანებს. აქედან გამომდინარე, ისინი ნაციონალურ უმცირესობად აცხადებდნენ ქართველებს თავიანთ საშობლოში და შშობლოურ ენაზე განათლების უფლებას ართმევდნენ ხალხს. აკი ერთხანს მიაღწიეს კიდევ იმას, რომ ქართულ ენაზე სწავლება აკრძალეს სამეგრელოსა და

³ მ. თაღაიძე, ი. გოგებაშვილის ანბანის სახელმძღვანელოთა აგების პრინციპები, 1952; ი. მეგრელიძე, იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა, 1973, გვ. 44.

⁴ ი. მეგრელიძე, დასხ. ნაშრომი, გვ. 24-26; არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქტელ. 1, 1950, გვ. 026; შ. ძიძიგური, იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა, „ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები“, 1974, გვ. 136-161; ივ. ქავთარაძე, იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა, 1956, გვ. 29-43 და სხვ.

სენათის სკოლებში. ქართველ მამულიშვილებს მცირე ბრძოლა როდი დახტრდა ამგვარი ვითარების შესაცვლელად და საქმის წადმა შემოსაბრუნებლად. იაკობი ამ ბრძოლაში მოწინავე ხაზზე იდგა, — მან წერილების მთელი სერია უძღვნა აღნიშნულ საკითხს, ამავე დროს სახელმძღვანელოებშიც გაატარა ის აზრი, რომ ყველა ქართველი ტომი ერთ ეროვნულ ორგანიზმს შეადგენს და დედაენა ყველას საერთო აქვს.

„ყოველ ერს, — წერდა დიდი გუგავაგოი, — აქვს მთავარი ენა, რომელიც საერთო საუნჯეს შეადგენს ამ ერის ყველა ნაწილისათვის და იწოდება მის დედაენად, და თემური კილოკაგები, რომელნიც იხმარებიან ადგილობრივ. ხალხის განათლებაში ამ სიტყვიერების ფაქტორებს კაცობრიობის კეთილგონიერებამ ასეთი დანიშნულება მისცა: ყველა სკოლაში სწავლება მოწყობილია დედაენაზე და ადგილობრივ კილოკაგებს ხმარობენ ასახსნელად და განსამარტებლად იმ საერთო სიტყვებისა, რომელნიც ადგილობრივ ბავშვებს კარგად არ ესმით. ამ სახით ეფინება მთელ ხალხში დედაენის სრული ცოდნა და მასთან ერთად ვრცელდება განათლება“. ასეთ დედაენად საქართველოს ყველა კუთხეში უხსოვარი დროიდანვე მიწვეული იყო საერთო-სახალხო ქართული ენა: „მწერლობაშიც იმას ხმარობდნენ, ადმინისტრაციისაშიც და სამართალშიც. შინაურ მიმოწერასაც კი და სავაჭრო დაეთრებს ქართულად აწარმოებდნენ, ქართული იპაბნითო.

რასაც იაკობ გოგავაგოელი სიტყვით ეუბნებოდა მკითხველს, საქმიოაც იმსვე უმტკიცებდა: მისი სახელმძღვანელოები დაწერილი იყო საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებთათვის გასაგები ენით, მათში ყველა პოულობდა თავის ნაცნობ სამყაროს, თავისი მხარის ბუნებისა თუ ყოფა-ცხოვრების აღწერას, მის ისტორიულ სურათებს.

პირდაპირ სოციალისტ, როგორ მიადგინა ავტორმა ერთდროულად ენის ასეთ სისხადავეს, სიღრმესა და ხატოვანებას, როგორ გახდა მის ხელში თითოეული სიტყვა ყველასთვის გასაგები და ადვილად სახმარი. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს იყო დრო, როცა ისეთი ძველი და საჭირო სიტყვაც კი, როგორცაა ჯჯვილი, თურმე ბევრს არ ესმოდა. აკი უსაყვედურა გოგავაშვილს ერთ-ერთმა რეცენზენტმა: ეს სიტყვა დასავლეთ საქართველოში არ იცნობდა და „დედაენაში“ რად იხმარო. „ნოუთ თვითონ ლექსი დღესათი ცხადად არა ჰყოფს, რომ ჯჯვილი ჰქვიან ახლად ამოსულს მწვანე ყანასა“ — უპასუხებდა ამაზე ი. გოგავაშვილი. ლაპარაკია „დედაენაში“ დაბეჭდილ ლექსზე: „იხარდე, მწვანე ჯჯვილო, დაპურდი, გახდი ყანაო“. მართლაც, ამ კონტექსტში ჯჯვილს არავითარი განმარტება აღარ სჭირდება და მისი მნიშვნელობა ლექსთან ერთად საშუალოდ აღიბეჭდება ბავშვის მეხსიერებაში. ძირითადად სწორედ ასეთ „მოხდენილ კონტექსტშია მოცემული ახალ-ახალი სიტყვები „დედაენაში“.

ზოგიერთებს „დედაენიდან“ ამოსაღებად მიანდნათ ისეთი სიტყვებიც, როგორიცაა გუთანი, გემი, თუთა, თალი, კნუტი, ნაჭვი, ნაჭუჭი, რიურავი, ტაძარი, ჩაქუნი, ციყვი, წიწაკა, ჭერამი, ჯაგანი და ბევრი სხვა. „დედაენის“ ავტორმა საკადრისი პასუხი გასცა ამგვარ ვაი-რეცენზენტებსა და ვაი-მრწემლებს. მან კარგად იცოდა, რომელი სიტყვა რადის და რა სახით მიეწოდებინა მოსწავლისთვის და რომელი სიტყვის ხმარებისაგან შეეკავებინა თავი. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი შემდეგი განცხადება: „რამდენიმე წლის წინათ დედაენის ანბანში, აკაკის დახმარებით, გამოუტოვეთ ყველა ის სიტყვა, რომელნიც დასავლეთ საქართველოში არ იხმარებოდა, ავრთვეთ გამოუტოვეთ სურათები, რომელთაც იქ სხვა სახელი ჰქონდა“. იმის გამო, რომ სიტყვაც იქაურად დღავი ეწოდება. ვერ გამოუტოვეთ მხოლოდ სიტყვა „თითა“... ამის გამო, რომ აქ ყოველი შემდეგი სიტყვა, გასადავილებლად კითხვის პროცესისა, უნდა იწყებოდეს იმ მარცვლით, რომელთაც თავდება წინა სიტყვა... შეიძლება დასავლეთ საქართველოში ყველგან არ იცოდნენ, რომ თითა გრძელმარცვლოვან ყურძენს ჰქვიან, მაგრამ ამით არა წახდება რა... რაც შეეხება დედაენის მეორე ნაწილს, აქ ჩვენ თვით ტექსტში, აკაკისავე დახმარებით, ამიერს სიტყვებს გვერდში ამოუყენეთ იმიერი სინონიმები. მაგალითად, ფილთაქვა ანუ ქვა-სანაყი, ჩურჩხელა ანუ ჯანჯუხა, ღოჭო ანუ დღავი, კორიანტელი ანუ ბღღვირი, ბაღლინჯო ანუ კვდისტილია, ხეკაქუნა ანუ კოდალა და სხვანი“.

ამ გზით, როგორც იაკობი შენიშნავს, „იმერი ბავშვები სრული შეგნებით თვისებენ ამიერ სინონიმებსა და ამერი მოსწავლენიც უნებლიეთ სწავლობენ კითხვის დროს იმიერ სინონიმებსა და ამ სახით ლექსიკონი სიტყვისა ორივე მხარეს უშვიდრდება“.

ასეთი სინონიმური წყვილები „დედაენაში“ საკმაოდ ხშირია: სადღებელი ანუ ხაში, ახალ-თვსლი ანუ დიკა, ქერის პური ანუ ჯინჯილა, ნაქუნი ანუ ნაგულა, თუფში ანუ საინი, ღოგი-

ნი ანუ ქვეშაგები, საჭრეთელი ანუ სატეხი, კომში ანუ ბია, მკეხხარა (ტრაბახა), ჩილიკა-ჯოხი (რიტკ-ფელა, ჭკაუნა), ცივა (მარხილი), „ქოჩონი, რომელსაც გურულად კატარი ჰქვია“, „ამას ჰქვია ფონი, ზოგნი კი უღვაშს ეძახიან“ და ა. შ.

ამრიგად, იაკობ გოგებაშვილი სიტყვის მნიშვნელობის ნათელსაყოფად კონტექსტთან ერთად ხშირად მიმართავდა სინონიმებსაც. თუ საქმე გაძნელებოდა, „დედაენას“ დართულ პატარა ლექსიკონსაც იშველიებდა.

ახე ზრუნავდა ჩვენი დიდი პედაგოგი მოხდენილი და საჭირო სიტყვებისა და ტერმინების დასაცავად და გასაერთიანებლად, ქართული ენის ლექსიკური სიმდიდრის შესანარჩუნებლად. არანაკლებ ზრუნავდა იგი გრამატიკულ ფორმათა მოქნილობაზე, ორთოგრაფიულ ნორმათა მოწესრიგებაზე, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ენის წინსვლა-განვითარებისათვის. ამ მხრივ იაკობი მტკიცედ მისდევდა დიდი ილიას მიერ წამოყენებულ პრინციპს: „ხალხია ენის კანონის დაძვება და არა ანაბთ თეორეტიკაო“.

იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების ფესვები ღრმად აქვთ გადგმული ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. მასში უხვად არის შეტანილი ხალხური ლექსები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცხადები. მარტო „დედაენაში“ ასამდე ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუში და ორასამდე ანდაზა და ხალხური თქმა შედის. აქ ერთი გარემოება არის საზოგადოებრივი: იმ დროისათვის ქართული ფოლკლორის ნიმუშები მხოლოდ კანტიკუნტად იყო ჩაწერილი და ი. გოგებაშვილმა უხდებოდა მათი შეკრებაცა და შერჩევაც. „დედაენის“ ერთ-ერთ გამოცემაში ის თვითონვე აღნიშნავდა: „რაც შეეხება სახალხო ლექსებს, სამოცდაათ ცალში ათი ნასესხებია ბ-ნ პეტრე უმიკაშვილის ლექსთა კრებულიდან, ექვსი ბ-ნ საშოსონ ღონდაძის კრებულიდან, ექვსიც სხვა წყაროებიდან არის ამოღებული და ორმოცდაათამდე კი საკუთრივ ჩვენი შეკრებილია“.

ხალხური შემოქმედების ნიმუშები იაკობი კრებად უმთავრესად თავის მშობლიურ კუთხეში – ქართლში, რომლის შევიდრთა მეტყველებაც ყველაზე ახლოსა სალიტერატურო ენასთან. მაგრამ ხალხში გაგონილ-ჩაწერილი მასალა მაინც, რასაკვირველია, უცვლელი სახით ვერ შევიდოდა „დედაენაში“. გამოჩენილი პედაგოგი დიდი ტაქტიკით და ზომიერების დაცვით არჩევდა ფოლკლორულ ნიმუშებს, ზოგ რამეს ცვლიდა რეაგოიური მიზნების შესაბამისად. ტექსტს ხვეწდა აგრეთვე ენობრივად, მაგრამ ისე კი, რომ მას ხალხური მეტყველების სურნელი არ დაკლებოდა. ახე შერჩეულმა და დახვეწილმა ფოლკლორულმა მასალამ, შეიძლება თქვას, განსაზღვრა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს ენობრივი პროფილი, მიანიჭა მას გენიალური სისხლადე, სიცხადე, მომზიბლობა.

მწერალთაგან „დედაენაში“ ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უკავია ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებელთა – ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის – შემოქმედების ნიმუშებს. მათ მხარს უმშვენივლად აგრეთვე რაფიელ ერისთავი, რომლის ენაც გამოირჩევა სისხლადეობა და ხალხურობით. ი. გოგებაშვილს ამ სახელოვან მწერალთა თხზულებებშიც შუქონდა ზოგიერთი ცვლილება, ნაკარნახევი პედაგოგიური თუ ლინგვისტური მოსაზრებებით.

ბუნებრივია, სახელმძღვანელოში ყველაზე მეტია თვითონ ავტორის მიერ დაწერილი, თარგმნილი ან გადმოკეთებული მასალა. მიუღი ეს მასალა მას გულმოდგინედ აქვს ენობრივად დაამუშავებული, დახვეწილი და გარკვეული ორთოგრაფიული ნორმების მიხედვით გამართული.

მთლიანად სახელმძღვანელოში თავიდან ბოლომდე საკმაოდ თანმიმდევრულად გატარებული ერთგვაროვანი ორთოგრაფია, რითაც იგი დიდად უწყობდა ხელს სალიტერატურო ენის ერთიანი ნორმების შემუშავებასა და დამკვიდრებას.

ჭრულ და ნაირფეროვან ფორმებში გარკვევისა და არჩევანის გაკეთების დროს, ისევე როგორც გრამატიკის საკითხებზე თეორიული მსჯელობისას, იაკობ გოგებაშვილი აქლადანებს შესანიშნავ ენობრივ ადლოს და საფუძვლიან განათლებას. ამის საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება.

სახელდობრ, ვითარებითი ბრუნვის ნიშნად „დედაენაში“ დაცულია – ად, -დ (და არა – ათ, -თ, როგორც იხმარება დასავლურ კილოებში და ზოგიერთი ცდილობდა მის დამკვიდრებას სალიტერატურო ენაში). ამის თაობაზე თავისი მოსაზრება იაკობ გოგებაშვილმა თვითონვე უღადაც დაასაბუთა მ. ნახიძესთან კამათის დროს.

საერთოდ, ვითარებითი გვიან იქნა ბრუნვად მიჩნეული ქართული ენის მკვლევართა მიერ (პირველობა ამ მხრივ მარი ბროსეს ეკუთვნის), ადრინდელი ქართული გრამატიკოსები კი ვითარებითის ფორმებს ზმინხვად თვლიდნენ და არა ცალკე ბრუნვად. ამ აზრს იცავდა მ. ნახიძეც.

ი. გოგებაშვილმა ერთხელ კიდევ დამაჯერებლად ცხადყო, რომ ვითარებითი (მისი ტერმინით – ცვლილებითი) ცალკე ბრუნვაა და საბოლოოდ მიუჩინა მას ადგილი ქართული ენის ბრუნვათა შორის. ამავე საკითხთან დაკავშირებით ჩვენმა დიდმა პუბლიცისტმა მოგვცა სავსებით სწორი ანალიზი – **მდე-მედი** თანდებულებიანი ფორმებისა და პირველმა შენიშნა, რომ აღნიშნული თანდებულები ვითარებითი ბრუნვის ფორმას ერთვის (იერუსალიმი-ად-მდე → იერუსალიმამდე).

ასევე სწორად განსაზღვრა მან მოქმედებითი ბრუნვის როლი და მოქმედებითის უთანდებულო და **ურთ** თანდებულებიანი ფორმებს შორის განსხვავება, ნაგენტივარი მიცემითის რაობა (მეზობლისას), წოდებითი ბრუნვის ნიშნის წარმომავლობა და სხვა.

საბოლოო დასკვნა, რომელსაც აკეთებს ი. გოგებაშვილი ქართულ ენაში ბრუნვათა რაოდენობის შესახებ, ასეთია: „ქართულს ენას აქვს არა ოთხი ბრუნვა, როგორც ბრძანებს დიმიტრი ივანეს ძე, არა ხუთი, როგორც ამტკიცებს ბატ. ნასიძე, არამედ შვიდი, სახელობითი (პატარა კაცი), ნათესაობითი (პატარა კაცისა), მიცემითი (პატარა კაცსა), მოთხრობითი (პატარა კაცისა), მოქმედებითი (პატარა კაცით), ცვლილებითი (პატარა კაცად) და წოდებითი (პატარა კაცი)“.

აღსანიშნავია, რომ ეს დასკვნა საცხებთ გაიზიარეს მომდევნო თაობის ქართველმა გრამატიკოსებმა (პ. კვიციანიძემ, ა. ქუთათელაძემ, თ. კორდანიამ, ს. ხუნდაძემ და სხვებმა) და ზემოხსენებული შვიდი ბრუნვა სწორედ ასეთივე თანმიმდევრობით შეიტანეს თავიანთ სახელმძღვანელოებში. ბრუნვები იგივეა დღესაც ქართული ენის გრამატიკაში, ოღონდ სახელი შეუცვალა ერთ მათგანს (ცვლილებითის მაგიერ დღეს იხმარება ვითარებითი) და რამდენადმე შეიცვალა მათი რიგი.

ი. გოგებაშვილი სავსებით სწორად მიუთითებს, რომ მ. ნასიძის შეცდომები ქართული ენის აგებულების სხვა ენათა ყალიბის მიხედვით განხილვის შედეგი იყო. „ასეთივე დაბნევა, ასეთივე მარცხი მოვლის ყველას, ვინც ქართული ენის შენობის შესწავლისათვის და გრამატიკის შედგენისათვის ქვაკუთხედად არ დასდებს მის საგრამატიკო ანალიზს, კეთილსინდისიერსა და მრავალსწონიანსა, და დაიწყებს ნეკროპოზს უცხო ენების მიხედვით“, – შენიშნავდა იგი.

სულ სხვა საქმეა დედაენის გრამატიკულ მოვლენათა განხილვა სხვა ენებთან შედარება-შეპირისპირების გზით. ამგვარ ხერხს იაკობი ერთ-ერთი პირველი მიმართავდა და ქართული ენის თავისებურებებს რუსულთან შეპირისპირებით ცხადყოფდა. ამიტომაც არის იგი მიჩნეული რუსულ-ქართული შეპირისპირებითი გრამატიკის ფუძემდებლად.

დავუბრუნდეთ ისევ „დედაენაში“ გრამატიკულ ფორმათა შერჩევასა და ნორმის დადგენის საკითხებს. იმ დროს ერთ-ერთი სადავო და მოუწესრიგებელი საკითხი იყო ზოგიერთი აფიქსის ხმარება ზმნაში, სახელობორ, ნამოს მესამე სუბიექტურ პირში მრავლობით რიცხვში ზოგი ხმარობდა **-ენ**, ზოგი კი **-ნენ** სუფიქსს (აკეთებდენ და აკეთებდნენ, მოვიდენ და მოვიდნენ...). ამათგან „დედაენაში“ დაცულია **-ნენ** სუფიქსიანი ფორმები (აკეთებდნენ, მოვიდნენ...), რომელთაც უპირატესობას ანიჭებდა ი. გოგებაშვილი თავის წერილებშიც („ორაზროვანი კოლო ჩვენს პრესაში“). ეს ფორმები ძირითადად სწორედ ისე დამკვიდრდა სალიტერატურო ენაში, როგორც „დედაენაში“ იყო წარმოდგენილი.

ასე იღვწოდა და იბრძოდა ჩვენი დიდი პუბლიცისტი და მამულიშვილი ახალი სალიტერატურო ქართულისათვის, მისი გაერცვლებისა და დამკვიდრებისათვის, მისი ღირსებების დაცვისათვის. ასეთი დაუღალავი შრომითა და ბრძოლით განვლო მან თავისი ცხოვრების გზა. იაკობ გოგებაშვილი გაცივითლი კოსტუმითა და ლანჩუბდაკერებულ ფეხსაცმლით ჩავიდა სამარეში, მაგრამ მშობლიურ ხალხს დაუტოვა უდიდესი სულიერი განძი – „დედაენა“, რითაც საუკუნო ადგილი დაიმკვიდრა ერის უკვდავ შვილთა შორის.

ქართული ეროვნული ენა, სალიტერატურო ენა და სახელმწიფო ენა¹

ქართული ენა საუკუნეთა განმავლობაში უცვლელად აერთიანებდა ქართველურ ტომებს, იყო ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველი! ყოველგვარ ვითარებაში, განსაკუთრებით ისტორიულ ძნელებელბათა ჟამს, ეროვნული თავისთავადობა, თვითმყოფადობა სწორედ მასთან იყო გაიგივებული.

გეოგრაფიულ-რელიეფური მდგომარეობისა თუ ისტორიულ გარემოებათა გამო, მცირერიცხოვნობის მიუხედავად, ეთნიკურ ქართველთა ენამ ათასწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვანი დიფერენცირება განიცადა, ანუ დაიყო ენა-კილოებად. როგორც ცნობილია, სამეცნიერო ლიტერატურაში სამი ქართველური ენა და მათი ორ ათეულამდე დიალექტი მოიხსენიება.

ქართველური ენებია: ქართული, სვანური და ზანური (კოლხური).

ქართული კილოები: ქართლური, კახური, იმერული, აჭარული, გურული, მესხური, ჯავახური, რაჭული, ლეჩხუმური, მთიულურ-გუდამაყრული, ფშაური, ხევსურული, მოხეური, თუშური. სამი დიალექტი საქართველოს თანამედროვე საზღვრებს გარეთ არის მოქცეული: ინგილოური (აზერბაიჯანში), იმერხეული (თურქეთში) და ფერეიდნული (ირანში).

სვანურის კილოებია ბალსხემოური, ბალსქემოური, ლაშხური და ლენტეხური.

ზანურის კილოებია მეგრული და ლაზური (იგივე ჭანური). ამ უკანასკნელის გავრცელების არეალი აშკარად თითქმის მთლიანად თურქეთის ტერიტორიაზეა მოქცეული.

თუ იმასაც გაითვალისწინებთ, რომ განსხვავება კილოებს შიგნითაც იწინეს თავს (რაც კილოკაეებად დაყოფას გულისხმობს), აშკარაა, საკმაოდ მრავალფეროვანი სურათი წარმოგვიდგება.

მიუხედავად ამისა, საქართველოს წინააღმდეგობებითა და ძნელებლობებით აღსავსე ისტორიაში არ დასტურდება არც ერთი შემთხვევა, რომ საერთო ეროვნული ენის პრიორიტეტი უჭმქმეუდ დადგარიყოს, რომ ვინმეს თავისი ვიწროკუთხურის სასარგებლოდ ოდესმე უარი ეთქვას საერთოზე და ვამაერთიანებელზე. ქართველის თვითშეგნება იმთავითვე დაუკავშირდა ენის შეუცვლადობას, მის „გადამჩვენელ“ ბუნებას. შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო ეს თვითშეგნება შეუხისხლბორცდა ქართველის მეობას, მის დამოკიდებულებას დროსთან, ისტორიასთან, გარემოსთან... ეს ის დამოკიდებულებაა, რომელიც იღვებაც ათქვეინებს 400 წლის წინ გადასახლებულ ფერეიდნულ ქართველს ირანში:

„საქართველოს ენის ფასი მე ვიცო, იმისთი ეგ ენას შამნახველი ვარ!“

ასეთი თვითშეგნება, ცხადია, უცებ არ ყალიბდება, ის ხანგრძლივ და რთულ ისტორიულ პროცესებში იღებს სათავეს.

როგორც ითქვა, ჯერ მწიგნობრობის, ხოლო შემდეგ – ამისდაკვალად – სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ერისა და ენის ცხოვრებაში. სალიტერატურო ენა ეროვნული ენის განვითარების უმაღლესი ფორმაა. მაგრამ განა შეიძლება შეიქმნას სალიტერატურო ენა, თუ საერთო ეროვნული ენა რაღაც ფორმით არ არსებობს? ამიტომაც მიამჩნიათ, რომ სალიტერატურო ენის წარმოქმნას, თუ ეს უკანასკნელი რაიმე ხელოვნურ საფუძველზე არ ხდება, საერთო ეროვნული ენის ჩამოყალიბება უნდა უსწრებდეს წინ. რა ფორმით და რა ფარგლებში არის ეს საერთო ენა გავრცელებული, ეს გადაამწყვეტი არ უნდა იყოს, მთავარია, რომ ენობრივი ერთიანობის თვითშეგნება არსებობს, რომ „საერთოს“ და „განსხვავებულის“ გაგება არის ჩამოყალიბებული.

სალიტერატურო ენა უშუალოდ მემკვიდრეა საერთო ეროვნული ენისა, რამდენადაც ის იმავე ენობრივ ერთიანობას გულისხმობს, ოღონდ უკვე ფუნდამენტურად – მწიგნობრულ, კულტურულ საფუძველზე. ამიტომაც სალიტერატურო ენის გაგება ვიწრო შინაარსით, როგორც მხატვრული ლიტერატურის, მწერლობის ენისა, არ არის გამართლებული. ამ უკანას

¹ ავთანდილ არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2005.

ქნელს ტერმინი ლიტერატურული ენა შეესაბამება. ლიტერატურული ენა შემადგენელი ნაწილია საერთო სალიტერატურო ენისა. სალიტერატურო ენა, ამას გარდა, მოიცავს ყველა იმ სფეროს, სადაც კი შეიძლება ოფიციალურად ფუნქციონირებდეს ეროვნული ენა, იქნება ეს განათლება, მეცნიერება, კვლევა, სიტყვიერი ხელოვნების დარგები, პოლიტიკა, პრესა, რადიო-ტელევიზია, კომპიუტერული ინფორმაცია...

თუ უფრო დაკონკრეტებულ კლასიფიკაციას მივმართავთ, ერთი მხრივ, არსებობს ენის ფუნქციონირების მსატრედი-შემოქმედებითი სფეროები (სიტყვიერი ხელოვნების დარგები), ხოლო მეორე მხრივ – ენის პრაქტიკული გამოყენების ნაირგვარი სფეროები: სამეცნიერო, მასშედის, ოფიციალურ-საქმიანი, საკანცელარიო, სასაუბრო. მეტყველების კულტურის ინტერესის საგანს განსაკუთრებით ეს უკანასკნელი ნორმოდგენენ, რამდენადაც სწორედ მათ ეხება ენის ოფიციალური ფუნქციონირების ნორმატიული მოთხოვნები.

სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებულობის ხარისხს განსაზღვრავს ისეთი ცნებები, როგორცაა უნიფიცირებულობა და მონოლითურობა. უნიფიკაციის ცნება უკვე განხილული ნორმის პრობლემას უკავშირდება და ერთიანი ნორმების არსებობას გამოხატავს; ხოლო მონოლითურობის გაგება ამ უნიფიცირებული სალიტერატურო ენის მიმართ სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების გამოხატულებაა, რამდენადაც ის თავის თავში გულისხმობს მიზანმიმართულ ენობრივ პოლიტიკას.

საერთო სალიტერატურო ენის არსებობის უმაღლესი კატეგორიაა სახელმწიფო ენა. სახელმწიფო ენა არის ამა თუ იმ ქვეყნის (სახელმწიფოს) ოფიციალურად აღიარებული ძირითადი ენა. მისი არსებობა, როგორც თვით ტერმინის აგებულებიდან ჩანს, სახელმწიფოს არსებობაზე დამოკიდებულია. როგორც კი იქმნება სახელმწიფო, თავისთავად დგება მისი ერთიანი ენის საკითხი. რამდენად მიიღწევა ეს და იღებს თუ არა რომელიმე ქვეყნის ძირითადი ენა სახელმწიფო ენის ოფიციალურ სტატუსს, ეს სხვა პრობლემაა და ის ისტორიულ პირობათა მიხედვით კომპლექსურად არის დაკავშირებული. ყურადღებამისაკცევი ამ თვალსაზრისით ის არის, რომ ქართულ სინამდვილეში საერთო ენობრივი თვითშეგნება ამ სფეროშიც გამოიხატა: ორი უმნიშვნელოვანესი პერიოდი არსებობს საქართველოს ისტორიაში ერთიანი სახელმწიფოს იდეის განხორციელებისა და ორსავე შემთხვევაში ენის როლის სახელმწიფოებრივი გაგება წამოიწვეს წინა პლანზე. ერთია ფარნავაზის მოღვაწეობის ზემოდასახელებული პერიოდი („არღარა იზრახებოდა ქართლსა შინა სხუა ენა, თუნიერ ქართულის“) და მეორე – გრიგოლ ხანძთელის ეპოქა, როცა საფუძველი ეყრება ბაგრატიონთა დინასტიას და კვლავის წინაშე ვაისმის: „არამედ ქართლად ფრიადა ქუეყანა ათირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა კამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი ადესრულებს...“

ოღონდაც აუცილებელია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ენის რეალური სტატუსი მხოლოდ დეკლარაციის საფუძველზე არ განისაზღვრება. თანამედროვე მსოფლიოში არაერთმა განვითარებულმა ენამ გამოაცხადა თავი „სახელმწიფო ენად“. მაგრამ სახელმწიფო ენის რეალურ არსებობას სჭირდება, ჯერ ერთი, ხანგრძლივი ისტორიულ-კულტურული საფუძველი, ანუ ამ ენის ჩამოყალიბებულობა საერთო სალიტერატურო ენად, მეორეც – სოლიდური სახელმწიფო გარანტიები.

სახელმწიფო ენის სტატუსს განსაზღვრავს ქვეყნის კონსტიტუცია, ხოლო მისი ფუნქციონირების საზღვრებს ადგენს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ (აგრეთვე – სხვა კანონები); სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების გარანტი სახელმწიფო სისტემა და ხალხის, საზოგადოების ნებაა. სახელმწიფო ენა ამოღების შემთხვევაში ქვეყნის მთელი მოსახლეობის სახელმწიფოებრივ ინტერესსა და სულსაფრთხობას. რამდენადაც სახელმწიფო ახორციელებს მოქალაქის ინტერესთა დაცვის ფუნქციას, ამდენადვე სახელმწიფო ენა წარმოადგენს ამ ფუნქციითა განხორციელების ძირითად საშუალებას. ამდენად, თუ სალიტერატურო ენა მისივე ეროვნული ნიშნით არის განსაზღვრული, სახელმწიფო ენა სამოქალაქო ერთობის, თანხმობის საფუძველია; სახელმწიფო ენის მიმართ ქვეყნის ნებისმიერი სუბიექტის, ნებისმიერი მოქალაქის უფლება-მოვალეობითი დამოკიდებულება თანაბარია.

როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე მსოფლიოში ნაირგვარ ენისთა ერთ სახელმწიფო შემატკიცებელი ძირითადად სწორედ სახელმწიფო ენაა. ამისი ობიექტური მაგალითი თუნდაც ისიც არის, რომ ჩვენი პლანეტის სახელმწიფოთა რაოდენობა თითქმის 20-ჯერ ჩამოუვარდება ენათა საერთო რაოდენობას. ამასვე ადასტურებს მოწინავე, განვითარებული ქვეყ-

ნების გამოცდილება (თუმცა ისიც თვალსაჩინოა, რომ ეთნოსთა წინააღმდეგობის ერთ-ერთი სერიოზული მუხტი სწორედ ენობრივი პრობლემებია).

ამიტომაც არის, რომ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში ენობრივი პოლიტიკა უმაღლეს სახელმწიფოებრივ რანგშია აყვანილი.

საერთაშორისო ურთიერთობების, საკაცობრიო ცივილიზაციის ფართოდ განვითარებამ, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ენათა თავისუფალ განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, მეტი დამატულობა შესძინა თანამედროვე მსოფლიოს ენობრივ "არქიტექტონიკას". ამ გლობალურ სისტემაში ქართულ ენას თავის ისტორიულ-კულტურული და თანამედროვე გეოპოლიტიკური მდგომარეობით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება.

რა ადგილი უკავია ქართულ ენას მსოფლიო ენათა შორის?

XIX საუკუნე, დიდ აღმოჩენათა ეპოქა, ერთი განსაკუთრებული მიღწევითაც აღინიშნა: დადგინდა იქნა ენათა ნათესაობის კანონი და შემუშავდა ამ ნათესაობის დადგენის მეცნიერული მეთოდი, რომელიც ისტორიულ-შედარებითი მეთოდის სახელით არის ცნობილი.

ენათა ნათესაობაზე, ცხადია, მანამდეც ლაპარაკობდნენ. მაგალითად, ქართველებს ვკვირ არასოდეს შეჰპარებიათ, რომ ქართველური ენები – ქართული, ზანური და სვანური – ერთი წარმოშედობისა იყო, ძველ ბერძნებს მიანდათ, რომ ქართველები (ეგრძოდ, კოლხები) გვიპატელებს ენათესავეობდნენ, ხოლო ათონის მთის ქართველი მოღვაწენი X საუკუნეში დარწმუნებულნი ყოფილან, რომ ესპანეთში ქართველთა ოდინდელი ნათესავეები ცხოვრობდნენ და მისთ.

მაგრამ ასეთი „ცოდნა“ ძველად გადმოცემებისა და ლეგენდების დონეზე არსებობდა, ამ „ცოდნის“ შემოწმება და დასაბუთება მეცნიერულ საფუძველზე სრულიად შეუძლებელი იყო.

ისტორიულ-შედარებითმა მეთოდმა შესაძლებელი გახადა, ორი ენის მონაცემები ერთმანეთს შესდარებოდა და ამით მათი ნათესაობის ზუსტი, კანონზომიერი წესები დადგენილიყო: წესები, რომელთა მეშვეობითაც ნებისმიერი ენობრივი ფაქტის შემოწმება იქნებოდა შესაძლებელი.

ამ წესებს რეგულარული ბგერათშესატყვისობის კანონს უწოდებენ.

რასი მდგომარეობის ის?
ენაში არსებული ბგერითი დროთა განმავლობაში იცვლებიან, მაგრამ იცვლებიან არა ბისმიერად და ქოსურად, არამედ კანონზომიერად და სისტემურად. მაგალითად, თუ რომელსამე ენაში შეიცვალა ზ და მოვეცა, ვიქვათ, ჭ მაშინ მისი წყვილული ს ბგერაც ამავე მიმართულებით უნდა შეიცვალოს და მოვეცეს შ და მისთ.

სანიმუშო: ამ კანონის საფუძველზე ქართველური ენების მონაცემებით დადგინდა, რომ ძირეულ მასალაში ქართულის ძ ც წ სამეულს ზანურში რეგულარულად შეესატყვისება ჯ ჩ ჭ, ანუ თუ ქართულში რომელსამე ძირეულ სიტყვაში გვაქვს ძ (ძელი), ზანურში შესაბამის სიტყვაში იქნება. ჯ (ჯაღლი). რაც მთავარია, თუ სხვა ხელისშემშლელი ფაქტორები არ შეხვდა, ასევე მოიტყვიან სამულის დანარჩენი წევრებიც: ც (ცოლი) და ჩ (ჩლი), წ (წითელი) და ჭ (ჭითა) და მისთ.

ამგვარად, ორი ენის მთელი ბგერითი შედგენილობის მიხედვით დგინდება ბგერათშესატყვისობათა სისტემა და ამით საბოლოოდ მტკიცდება ნათესაობა ამ ორ ენას შორის (შეიძლება ამისათვის სხვა ენობრივი მონაცემებიც იყოს მოშველიებული).

როგორც ცნობილია, დედაშიწაზე 5000-მდე ენა არსებობს. აღნიშნული მეთოდის მეშვეობით დადგინდა იქნა მონათესავე ენათა დიდი და მცირე ოჯახები და ამ ენების კლასიფიკაცია მოხდა გენეზისის, წარმოშედობის მიხედვით.

ყველაზე მრავალრიცხოვანი მათ შორის ინდოევროპულ ენათა ოჯახია. მასში შედის, ერთი მხრივ, ინდური ჯგუფის ენები, მეორე მხრივ, ირანული ჯგუფის ენები, მესამე მხრივ, გერმანიკული, რომანიული, სლავური ჯგუფის ენები, აგრეთვე გერმანიული და სომხური ენები.

სემიტური ენათა ოჯახში ერთიანდება ებრაული, არაბული, არამეული და სხვა ენები.

თურქულ ენათა ოჯახში შედის თურქული, თურქმენული, უზბეკური, ყირგიზული, ჩუვაშური და სხვ.

ქართველური ენები ჯერჯერობით მცირერიცხოვან, იზოლირებულ ჯგუფს წარმოადგენს სხვა ენობრივ ოჯახებთან მიმართებით და ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ

არის დასადგენი.

ყველაზე გავრცელებული თეორია ქართველურ ენათა გარე ნათესაობისა არის თვალსაზრისით იმის შესახებ, რომ ქართველურ ენებს გენეტიკურად უკავშირდებოდა კავკასიის მცირე აბორიგენი ენები (აფხაზურ-ადიგურ, ნახური და დაღესტნური ჯგუფისა). ამ თეორიის ფუძემდებლები არიან ივ. ჯავახიშვილი და არნ. ჩიქობავა. ეს მოსაზრება აღნიშნული შესატყვისობების დონეზე ჯერჯერობით ბოლოდღე დამტკიცებული არ არის.

კარგა ხნის ისტორია აქვს ქართულის ძირეული კავშირების ძიებას წინა აზიის უძველეს ენებთან - ხეთურთან, შუმერულთან... (ივ. ჯავახიშვილი, გ. მელიქიშვილი, გრ. გიორგაძე...).

ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ქართველური ტომები შესაძლოა წინა აზიიდან იყვნენ კავკასიის მთისწინეთში მიგრირებულნი. ამ ჰიპოთეზას ეხმარება იმ შემთხვევითი კვლევის შედეგები, რომლებიც ინდოევროპული, ქართველური და სემიტური ენების არსებობას ურთიერთმეზობლად, წინა აზიის არეალში ვარაუდობს (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი).

დაბოლოს, ცალკე დგას ბასკურთან ნათესაობის ჰიპოთეზა, რომელიც ჯერჯერობით ასევე ვერ ჩაითვლება შესატყვისობების დონეზე დამტკიცებულად.

ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია: ნორმათა დადგენის საფუძველი და ისტორიული ეტაპები

პირველივე მწიგნობარი ძალაუნებურად არის ნორმის შემუშავებული, რამდენადაც, ჯერ ერთი, იგი არ ჩვეუანს აკეთებს რაღაც შესაძლებლობებს შორის და, მეორეც, ამით ამკვიდრებს („რეკომენდაციას“ უწევს) კიდევ უკვე არჩეულს, უპირატესობაშინიჭებულს.

მაგრამ მიზანმიმართულ ნორმატიულ მუშაობაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, როცა მისი თეორიული საფუძვლები იქმნება, როცა შესაძლებელი ხდება, არჩევანი გაკეთდეს არა სუბიექტურ, არამედ ობიექტურ საფუძველზე.

სალიტერატურო ენისადმი ნორმატიული მიდგომა მიზნად ისახავს, მიღწეულ იქნეს სალიტერატურო ენის სტაბილიზაცია და მონოლითეორია, მოხდეს ნორმათა უნიფიკაცია ისე, რომ, ერთი მხრივ, ხელი არ შეეშალოს ენის საყოველთაო ფუნქციონირებას, ხოლო მეორე მხრივ - არ შექრდეს ცოცხალი სალიტერატურო ენის განვითარება, რათა დიდად არ გაიზარდოს განსხვავება ზეპირსა და მწიგნობრულ ენას შორის. ნორმალიზაციის ობიექტური საფუძველია აგრეთვე ნორმატიული ვარიანტულობის შენარჩუნება იქ სადაც ენის განვითარებას საბოლოო გეზი ჯერ არ აურჩხავს, ჯერ სრულად არ გამოკვეთილა ამა თუ იმ ენობრივი ერთეულის უპირატესობა.

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაზე საუბრისას გამოიკვეთა, რომ ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით თანდათანობით ყალიბდება გააზრებული თეორიული დამოკიდებულება ნორმატიული საქმიანობის მიმართ. კერძოდ, ნიშანდობლივია ის, რომ სალიტერატურო ენის ერთ-ერთი აქტიური რეფორმატორი ანტონ კათალიკოსი იმავე დროს გრამატიკოსიც იყო და სალიტერატურო ენაზე ზრუნვის საერთაშორისო გამოცდილებასაც („ხამი სტილის“ თეორიას) კარგად იცნობდა.

ასევე ფართო ცოდნასა და გარკვეულ თეორიულ საფუძველს გულისხმობს ქართული სალიტერატურო ენის „დემოკრატიზაციის“ ის კურსი, რომელიც „სამოციანელებმა“ ილიას მეთაურობით დაიხსნეს და განახორციელეს კიდევაც. თეორიულად არის გააზრებული მათი რამდენიმე ნორმატიული ღონისძიება (მაგალითად, ძველი ქართული გრაფემების ამოღება ახალი ანბანიდან), თუმცა საერთო ჯამში მაინც უნდა ითქვას, რომ კონკრეტულ ნორმატიულ გადაწყვეტილებას თითოეული მწერალი დამოუკიდებლად, სუბიექტური პოზიციიდან იღებდა. სხვათა შორის, ის მწვევე კამათიც, რომელიც მაშინდელ პრესაში ხშირად მიმდინარეობდა, სწორედ სუბიექტური პოზიციის გამოხატულები იყო, რამდენადაც საერთო პრინციპები ჯერაც შემუშავებული იყო და შეთანხმება მხოლოდ „კეთილი ნებით“ იყო შესაძლებელი (სწორედ ამის დასტურია პოლემიკური წერილები ილია ჭავჭავაძისა, აკაკი შრომლისა, იაკობ გოგებაშვილისა, სილოვან ხუნდაძისა და სხვათა). ამიტომაც იყო, რომ სწორედ ამ დროს იქნა წამოტრიალი პირველად ნორმირების პრინციპების შემუშავების აუცილებლობა.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე კიდევ უფრო გააქტიურდა ნორმატიული და ტერმინოლოგიუ-

რი მუშაობა, ქვეყნდებოდა ცალკეული წერილები, წიგნები, იქმნებოდა სპეციალური წრეები: მაგალითად, 1899-1900 წლებში ქუთაისში ამ მიზნით საგანგებო წრე არსებულა, მოგვიანებით კი ასეთი წრე თბილისშიც შექმნილა. სრულიად ბუნებრივია, რომ ამ მიმართულებითაც ცხოველად იგრძნობა ახალი ეპოქის სუნთქვა.

რაც მთავარია, იგრძნობა, რომ ახლოვდება საქართველოს ისტორიის დიადი მოვლენა – ქვეყნისა და სახელმწიფო ენის განათავსუფლება გარე იმპერიული დიქტატისაგან. მართალია, ისტორიის ირონიით „დიადი მოვლენა“ მეტად ხანმოკლე გამოდგა, მაგრამ, განგების ნებით, ქვეყანა ეღირსა თითქმის მის ფარდ, სამაგიერო მოვლენას – ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მართლაც იქცა ქართული მწიგნობრობის, კულტურის, ენის აღორძინების მძლავრ ნიშანსვეტად. მან ახალი ძალით გააღვივა და აავიზიხა ქვეყნის ისტორიული ცხოვრების არაერთ უბანზე მინავლებული ცეცხლი, მძლავრი სტიმული მისცა სამომავლოდ ტექნიკის, მეცნიერების, კულტურის სხვადასხვა დარგებისა და სკოლენების ჩამოყალიბებას, განათლებისა და პრესის ფართო ქსელის განვითარებას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და მის ფუნდამენტზე აიშორდილმა სხვა უმაღლესმა სკოლებმა, მეცნიერებათა აკადემიამ და სამეცნიერო ინსტიტუტებმა განუსაზღვრეს გააფართოვეს ქართული ენის ასპარეზი, ბუნებრივად განაპირობეს სპეციალური ენების შემუშავება, დარგობრივი ტერმინოლოგიის, ნორმატიული ლექსიკონების შექმნა.

ერთი სიტყვით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და მისმა კორიფეებმა აკად. ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით საფუძველი ჩაუყარეს ქართული ენის განვითარების, მისი პოლიფუნქციურობისა და მონოლითურობის სრულიად ახალ ეტაპს, შეიქმნა განსაკუთრებული შენახვადობა, ახალ პირობებში გამოვლენილიყო ქართული ენის მთელი შინაგანი პოტენციალი, მისი ლექსიკურ-გრამატიკული სიმდიდრე და შესაძლებლობები... რაც მთავარია, ჭეშმარიტად მეცნიერული საფუძველი შეიქმნა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და ნორმალიზაციისათვის.

სწორედ აქეთ იყო მიმართული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის არაერთი ღონისძიება, რომელიც ენობრივი პოლიტიკის სფეროში XX ს-ის საქართველოში განხორციელდა. მართალია, საქართველოში დამყარებულმა საბჭოთა წყობილებამ ექსპანსიისა და კოლონიზაციის სრულიად ახალი პირობები მოიტანა, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა შენელებული იყოს მათგორი ცეცხლი, რომელიც ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში უნივერსიტეტის სახით დაიწყო.

სწორედ ეპოქალურ გარდატეხათა მიჯნაზე, 1920 წლის მისში, უნდა გამართულიყო სწავლულთა ის კონფერენცია, რომელსაც ამზადებდა საორგანიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე, კ. კეკელიძე, დ. უსნაძე. კომისიამ გამოაქვეყნა კონფერენციის პროგრამა და მოსაგვარებელი პრობლემების ნუსხა. ხოლო 1921 წელს პატარა წიგნაკად გამოქვეყნდა ამ კონფერენციის მასალები „სალიტერატურო ქართულისათვის“, რომელშიც პირველად იყო წარმოდგენილი რამდენიმე საორგუოო ორთოგრაფიული საკითხი (დავიწყებოდა თუ დავიწყებოვ? საქმე ისაა თუ საქმე იმაშია? და მისთ).

სამეცნიერო დარგების განვითარების პერსპექტივამ ტერმინოლოგიური მუშაობის გააქტიურებაც მოითხოვა. 1921 წელს განსახკომთან დაარსდა ტერმინოლოგიათა შემუშავებელი სამეცნიერო საბჭო, რომელმაც ივ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით ნაყოფიერი მუშაობა გასწია.

1925 წელს სამთავრობო დონეზე დაარსდა ცენტრალური სატერმინოლოგიო კომისია, რომელსაც უუკოლ ბერიძე ხელმძღვანელობდა. ამ კომისიამ მოამზადა კონფერენცია, რომელზეც გამოჩინილმა სპეციალისტებმა – ა. შანიძემ, გ. ახვლედიანმა, არნ. ჩიქობავამ, ვ. თოფურია, ს. ჯანაშიამ, ს. ყაუხჩიშვილმა, ს. იორდანიშვილმა – წაითხეს მოხსენებები სალიტერატურო ენის საცილობელ საკითხებზე. ეს მოხსენებები ნაკვეთიად გამოქვეყნდა 1930-34 წლებში საერთო სათაურით „ართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისათვის“.

1934 წელს საქართველოს სახალხო კომისარიატთან დაარსდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი რესპუბლიკური კომისია 30 კაცის შემადგენლობით; ხოლო მომდევნო წელს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შეიქმნა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სამუშაო კომისია (თავმჯდომარე – ა. შანიძე, მოადგილე – ვ. თოფურია).

ამ კომისიის მუშაობის შედეგად 1936 წელს ცალკე წიგნად გამოიცა „სალიტერატურო ქართულის ნორმები, I“, რომელშიც უკვე არის წარმოდგენილი ნორმათა დადგენის ძირითადი

პრინციპები და არაერთ რეკომენდაცია საცილობელ საკითხებზე.

1941 წელს პირველად გამოიცა ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის მიერ შედგენილი „ორთოგავიანი ლექსიკონი“ (მაშინ ამ ლექსიკონში 15 000 ერთეული შედიოდა, მისი ბოლო გამოცემა (1998 წ.) კი 80 000-მდე ერთეულს შეიცავს).

1946 წელს მთავრობის დადგენილებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა შეიქმნა ნორმათა დამდგენი კომისია, რომელსაც ჯერ ს. ჯანაშია თავმჯდომარეობდა, შემდეგ კი ა. შანიძე.

1953 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია, რომლის თავმჯდომარეობა ავტომატურად ეკისრებოდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ხოლო კომისიაში შედიოდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, მწერლები, პრესის მუშაკები. ამ დროიდან ეს კომისია მუდმივად არსებობდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს დონეზე და პერიოდულად იკრიბებოდა მომზადებული ნორმატიული პროექტების განსახილველად და დასამტკიცებლად.

მუდმივი სახელმწიფო კომისიის ძირითად სამუშაო ბაზას წარმოადგენდა და წარმოადგენს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, კერძოდ კი – ამ ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება, რომელიც მუდმივად ადგენებს თვალყურს სალიტერატურო ენაში მიმდინარე პროცესებს და შეიმუშავებს სათანადო ნორმათა პროექტებს.

ეს პროექტები საბოლოოდ განიხილება მუდმივი სახელმწიფო კომისიის ხსლომაზე და დამტკიცების შემთხვევაში სავალდებულო ხდება სალიტერატურო ქართულის ყოველი მიმხმარებლისათვის.

1966 წლიდან ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაარსდა სპეციალური კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, რომელშიც მუდმივად აისახება სალიტერატურო ენის სიწმინდის სფეროში წარმოებული კვლევის შედეგები.

საქართველოს ისტორიის უახლეს ეტაპზე, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, კვლავ დადგა სახელმწიფო კომისიის უშუალო განახლების საკითხი. ამჯერად კომისია ჩამოყალიბდა ახალი, გაფართოებული სტატუსით: მას დაერქვა „საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია“, ანუ კომისია გადაიქცა უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტის დაქვემდებარებაში და მისი ფუნქციაც აღარ შემოიფარგლება ოდენ ნორმათა დადგენით, მას არსებითად ეკისრება ქვეყნის ენობრივი პოლიტიკის განსაზღვრა და რეგულირება; ამავე სფეროს კონტროლი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დონეზე აკისრია საქართველოს პარლამენტის სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტს. ამავე დროს, 1998 წელს სამთავრობო დონეზე შეიქმნა სახელმწიფო ენის ფუნქციონირების, ქვეყნის ენობრივი „მეურნეობის“ სპეციალური მაკონტროლებელი ორგანო – „საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა“.

უნდა ითქვას, რომ ამ სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა ფუნქციონება თვალსაჩინო გავდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა შესაძლებელი შეიქმნება იმ პროცესების კონტროლი და რეგულირება, რომლებიც ქვეყნის ახალმა სახელმწიფოებრივმა ვითარებამ, ახალმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, კულტურულმა და საინფორმაციო ურთიერთობებმა წარმოქმნა განათლების, მეცნიერების, მასშედის და სხვა სფეროებში; როცა მოხერხდება საკანონმდებლო მექანიზმების ამოქმედება და იმ უზრუნველების მიზანმიმართული, კოორდინირებული დამუშავება, რომლითაც უნდა უზრუნველყონ უახლესი ტერმინოლოგიის, სპეციალური ენების მომზადება-დამუშავება სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ყოველ ცალკეულ ეტაპზე.

სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის ძირითადი პრინციპები

ამგვარად, მეტყველების კულტურა ენობრივ ნორმას ემყარება. ნორმა ის ენობრივი ერთეული (სისტემური მონაცემი), რომელიც ოფიციალურად იქნა დადგენილი კონკრეტული ვითარების შესწავლის შემდეგ. ამავე დროს, ნორმა ყველა ენობრივ ერთეულს ვერ მოიცავს: ნორმა განისაზღვრება მხოლოდ იქ, სადაც ფორმათა ვარიანტულთა იმნეს თავს. ნორმა უნდა იქნას უხადლურს, ანუ საყოველთაოდ განმტკიცებულს, არ ეხება, აქ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იურისპრუდენციაში ცნობილი ფორმული დასაშვებია ის, რაც აკრძალული არ არის. ამგვარ ენობრივ ფაქტებს კი სალიტერატურო ენაში უნდა იქნას ცნება მოიცავს.

უზუსი (ლათ. usus – ჩვევა, ჩვეულება, გამოყენება) არის საყოველთაოდ გაერთიანებული ენობრივი ერთეული, მიღებული და ჩვეულებრივი ფორმა. უზუსი ერთი მხრივ უკავშირდება ენის სისტემას, მეორე მხრივ – ნორმას. უზუსი, როგორც უაღრესად ნატივო სისტემური მონაცემი, იკვებ ნორმას. უზუსი უაღრეს ფორმებს ნორმატიულ ერთეულებთან ერთად ასახავს ორთოგრაფიული დექსიკონი.

ნორმის შემუშავების აუცილებელია ცოცხალ, მოქმედ სალიტერატურო ენაში იქმნება. ენის განვითარების პროცესში მის საერთო გრამატიკულ სისტემაში ცოცხალ ფორმათა ვარიანტულობა იჩენს თავს და, შესაბამისად, საჭირო ხდება ამგვარი არაერთგვაროვნების მოწესრიგება. ნორმა მოცილებული ფორმათა პრობლემაა. იქ, სადაც მოცილებული ფორმები არ დასტურდება, ბუნებრივია, არც არჩევანის საჭიროება და შესაძლებლობა იარსებებს.

ამგვარად, ყოველი ნორმა არჩევანია, ორი ან მეტი შესაძლებლიდან ერთ-ერთის გამოჩენა, მისთვის სრული ან ნაწილობრივი უპირატესობის მინიჭება.

ამ არჩევანის გაკეთება სუბიექტურ საფუძველზეც არის შესაძლებელი და ობიექტურზეც. სუბიექტური გადაწყვეტილება პირად წარმოდგენას და ჩვევას ემყარება; მისი პრინციპია: უპირატესობას ვანიჭებ იმ ენობრივ ერთეულს, რომელიც ჩემთვის ბუნებრივია. ასეთი მიდგომა შესაძლებელია მაშინ, როცა ნორმის დადგენის პრინციპები არ არის შემუშავებული. სრულიად ნათელია, რომ ამგვარად სალიტერატურო ენის ერთგვაროვნების მიღწევა შეუძლებელია; ინდივიდუალური მიდგომით სალიტერატურო ენაში მოცილებული ფორმათა დაძლევა არ მოხერხდება.

იმისათვის, რომ ნორმის დადგენა ობიექტურ კრიტერიუმებს დაეფუძნოს, აუცილებელია სპეციალისტების მიერ შემუშავებულ იქნეს ისეთი პრინციპები, რომლებიც ერთგვაროვან საზომად გამოიყენება ნორმის განსაზღვრის ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის.

ეს პრინციპები, ბუნებრივია, უნდა ითვალისწინებდეს როგორც ენის ისტორიას, ისე მის თანამედროვე მდგომარეობას და განვითარების პერსპექტივებსაც. ამიტომაც ძირითადი ნორმატიული მოთხოვნა ამგვარად განისაზღვრება:

მოცილებული ფორმათაგან უპირატესობა ენიჭება იმას, რომელიც შესაბამისაა ენის განვითარების ძირითად ხაზს, მის ბუნებრივ ტენდენციებს და პერსპექტიულია ენობრივად.

ამის დადგენისათვის, ბუნებრივია, თითოეული ენობრივი ერთეულის ჩამოყალიბების ისტორია და საერთო სისტემაში მისი ადგილი უნდა იქნეს გამოწვევილი ერთ შესწავლილი.

ამგვარად ყალიბდება ის პრინციპები, რომლებიც სახელმძღვანელო პირობათა ერთგვარ იერარქიას ქმნის და რომლებიც იძლევა კონკრეტული ენობრივი ნორმის ობიექტურად განსაზღვრის შესაძლებლობას.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპები არნ. ჩიქობავას მიერ შემუშავებული დებულებების საფუძველზე 1935 წელს დაამტკიცა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა რესპუბლიკურმა კომისიამ. აი, შესაბამისი პრინციპების ამსახველი მონაკვეთი:

„1. ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავების დროს მაქსიმალურად გამოყენებული უნდა იქნეს დამკვიდრებული ენა ქართული ლიტერატურის კლასიკოსებისა, არ უნდა შეიქმნეს ხელოვნური ნორმები, ცოცხალი ენისაგან დაშორებული.

2. გადასინჯვას არ მოითხოვს და უცვლელად უნდა დარჩეს ისეთი დექსიკონი, მორფოლოგიური და სინტაქსური მონაცემი, რომლებიც სალიტერატურო ქართულში მხოლოდ ერთი სახით გვხვდება, მაშინაც კი, როცა ის სავსებით უმართებულოა ქართული ენის გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით (დაღმა, აქაური [კაცი], იქაური [კაცი], ვდავარ, ვზივარ), რაც უყოყმანო სოციალური სანქცია აქვს, ის საკითხად ვერ იქცევა.

3. როცა სალიტერატურო ქართულში ორი ან მეტი მოცილებული ფორმოლოგიურ-სინტაქსური მოვლავა იჩენს თავს, საკითხი უნდა გადაწყდეს მისი სასარებლოდ, რომელიც:

- ა) უფრო გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში და ეკუთვნის ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციას;
- ბ) გამართლებულია ქართული ენის დღევანდელი გრამატიკული სისტემით, ესე იგი, გრამატიკულად კანონიერია და არ არღვევს ამ სისტემით ნაგულისხმევ თანამიმდევრობას;
- გ) სხვა თანაბარ პირობებში წარმოების პრინციპის მიხედვით უფრო მარტივია და

დ) სხვა თანაბარ პირობებში მნიშვნელობის მიხედვით უფრო ნათელია.

შენიშვნა: იშვიათ შემთხვევაში, როცა ერთმანეთის მოცილებდ გამოდის ორი ან მეტი პარალელური ფორმა, რომლებიც თანაბრად კანონიერია გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით, მაგრამ ხმარების მიხედვით კლასიკოსების ენაში გადაჭრით არც ერთს არა აქვს უპირატესობა, შესაძლებელია ისინი დარჩნენ პარალელურად.

4. ორთოგრაფიული საკითხების მოგვარებისას სავალდებულოა დარჩეს ერთი ფორმა. ამ შემთხვევაში მოცილებდ მოვლენათაგან უპირატესობა უნდა მიეცეს იმას, რომელიც:

- ა) უფრო გავრცელებულია სალიტერატურო ქართულში;
- ბ) გამართლებულია ეტიმოლოგიურად და მორფოლოგიურად;
- გ) მისაღებია ქართული ენის ბუნებრივ კომპლექსთა თვალსაზრისით“.

მითითებულ საკონტროლო დებულებათა იერარქია შეიძლება უფრო მოკლე კომენტარების სახით ჩამოყვალაობოთ:

1. გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ო ბ ა გულისხმობს იმას, რომ ენის განვითარების შესაბამის ეტაპზე თვით სალიტერატურო (საერთო-სახალხო) ენას მიეცია ამა თუ იმ ფორმისათვის უპირატესობა და მისი „კანონიერების“ დადგენა არსებითად მარტუე სტატისტიკაზე არის დაფუძნებული. თავის მხრივ, ამას უკავშირდება „სოციალური სანქციის“ ცნება, რომელიც გამოშზატკეულია იმ აზრისა, რაც ილიას გავრცელებული გამონათქვამით არის ცნობილი – „ხალხია ენის კანონის დამდებო...“ კერძოდ: თვით გრამატიკულად მცდარი ფორმაც კი, რომელიც საბოლოოდ გავრცელებულია საერთო-სახალხო ენაში, კანონიერად ჩაითვლება.

2. მ ა რ თ ე ბ უ ლ ო ბ ა: ის პრინციპი, რომ ასარჩევი ფორმა მართებული უნდა იყოს თანამედროვე გრამატიკული სისტემით, არსებითად განსჯას არ ექვემდებარება; ოღონდაც მას სრული (უაღტერნატიუო) უპირატესობა იმ მიზეზის გამო არ ეძლევა, რომ არცთუ იშვიათად ენის განვითარება სისტემის მოთხოვნებს სწორხაზოვნად არ მისდევს და, როგორც გამონადა, შუუძლებელი არ არის ანომალიებიც აღმოჩნდეს „სანქტირებული“.

3. პ ე რ ს ე კ ე ტ ი უ ლ ო ბ ა: ამ ცნების შინაარსი არის ის, რომ არჩეული ფორმა შეესაბამებოდეს ენის განვითარების შინაგან ტენდენციას. კერძოდ, სპეციალისტი კონკრეტული ენობრივი ვითარების შესწავლით განსაზღვრავს იმასაც, რამდენად ეგუება ესა თუ ის ვარიანტი ქართული ენის განვითარების საერთო ტენდენციებს. ამით ასარჩევი ვარიანტის პერსპექტიულობის შეფასებაც ხდება შესაძლებელი და მოსალოდნელი შედეგების ერთგვარი პროგნოზირებაც.

4. რ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ო ბ ა: ამ ცნებაში შეიძლება გაეაერთიანონ საგანგებო მითითება იმაზე, რომ ნორმა მხარს უჭერს წარმოების მხრივ უფრო მარტივსა და აზრობრივად უფრო ნათელ ფორმას. ეს მოთხოვნა თავის თავში გულისხმობს გრამატიკულ „სიჭარბეთა“ დაძლევის ამოცანას და შინაარსობრივად შეესაბამება ენის ეკონომიურობის პრინციპს.

დამატებით მითითების ხაზგასმას ის, რომ შეუძლებელია თვითმიზანი იყოს ყოველგვარი ალტერნატიულობის დაძლევა სალიტერატურო ენაში. ენა ცოცხალი, განვითარებადი სისტემა და მის შინაგან განვითარებას გულისხმიერი, აწონილ-დაწონილი დამოკიდებულება სჭირდება. ამიტომაც ნორმატიული პოლიტიკა მოცილებდ ფორმათა საკითხს ხშირად დიად ტოყვის, რათა თვით ენას მიეცეს არჩევანის საშუალება, რათა ძირშივე არ მოისპოს ენის თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა.

ნორმათა მითითებული პრინციპებიდან გამომდინარე, ენობრივ ერთეულთა ნორმატიული განსაზღვრის ორგვარი შესაძლებლობა არსებობს: ერთს შეიძლება ვუწოდოთ კ ა ტ ე გ ო რ ი უ ლ ი, ხოლო მეორეს ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი გადაწყვეტა პრობლემისა.

პირველ შემთხვევაში მოცილებდ ფორმათაგან ერთი განისაზღვრება – როგორც ს ა ვ ა ლ - დ ე ბ უ ლ ო, მეორე (დანარჩენები) კი – როგორც ა კ რ ძ ა ლ უ ლ ო.

მეორე შემთხვევაში მოცილებდ ფორმების თანაარსებობა დასაშვებია, ერთი ფორმა განისაზღვრება – როგორც ძ ი რ თ ა დ ი, ხოლო მეორე (დანარჩენები) – როგორც დ ა ს ა შ ე ვ ბ ი.

ობიექტურად, ენობრივი ვითარებიდან გამომდინარე, ორივე ამგვარი მიდგომა რაციონალურია იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად არის მოცილებდ ვარიანტების ისტორიული ურთიერთმიმართება საბოლოოდ გარკვეული. მაგრამ ობიექტურობის ხარისხი იკლებს მაშინ, როცა

ნორმატიული ტენდენცია ან ერთ, ან მეორე მხარეს გადახრება სუბიექტურ (ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ) მოსაზრებათა და დამოკიდებულებათა საფუძველზე.

აქედან გამომდინარე, ნორმა თავისი შინაარსით დინამიკური მონაცემია: მართალია, იგი სინქრონულ დონეზე განსაზღვრულ სტატუსს გულისხმობს და ამით განაპირობებს სალიტერატურო ენის სტაბილიზაციას, მაგრამ ისტორიული ასპექტით თვით ნორმა ექვემდებარება ენის ისტორიულ ცვალებადობას, მის განვითარებას.

თვით ნორმატიული პოლიტიკის განვითარება, ცხადია, სწორხაზოვანი და ერთგვაროვანი პროცესი არ არის. ამ სფეროში გააქტიურების პერიოდებიც აღინიშნება და შედარებითი "მიშვებულობისაც": მწვავე უთანხმოებანიც იშვიათი არ არის ზოგად თუ კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებით. თუ ძირითად საზომად ზომიერ ნორმატიულ დამოკიდებულებას ავიღებთ, მასთან მიმართებით შეიძლება ორი რადიკალურად განსხვავებული პოზიცია გამოიკვეთოს: პურიისტული და ანტინორმატიული.

პურიზმი, ამ ცნების ფართო გაგებით, გულისხმობს დაუქინებელ ბრძოლას სალიტერატურო ენის ყოველგვარ გარე მინარევებთან, იქნება ეს უცხოენოვანი წარმონაქმნი, დიალექტიზმი თუ სხვა.

ანტინორმატიული პოზიცია კი იმაში მდგომარეობს, რომ იგი უარყოფს ყოველგვარი ჩარევის მიზანშეწონილობას სალიტერატურო ენის განვითარებაში, ერთადერთ „ნორმად“ ცნობს ენის ბუნებრივ მდგომარეობას.


ნიშანდობლივი ის არის, რომ ორივე ეს პოზიცია, ჩვეულებისამებრ, ობიექტურობის პრეტენზიით არის ხოლმე წარმოდგენილი; სინამდვილეში კი ორივეს ასაზრდოებს დრამა სუბიექტივიზმი, ძირითად კრიტერიუმებად არა ენობრივი კანონზომიერებების, არამედ პირადი დამოკიდებულებების წარმოდგენა; რაც მთავარია, თვით ენის ისტორიის, მისი განვითარების შინაგანი კანონზომიერებების უგულვებელყოფა.

როგორც უკვე წარმოჩნდა, ნორმალიზაცია არის მიზანმიმართული, აწონილ-დაწონილი, შორსგამიხსნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა სალიტერატურო (ეროვნული) ენის განვითარებისა და ფუნქციონირების სფეროში; ამიტომაც ის შესაბამისი დონისა და მასშტაბის დამოკიდებულებას მოითხოვს.


ქართველური ენები¹

ქართველური ენები, სამხრულ-კავკასიური ენები, იბერიული (ივერიული) ენები, რომელთა შემადგენლობაში შედიან ქართული, სვანური, მეგრული და ლაზური (ჭანური) ენები. ტერმინი „ქართველური ენები“ შემოტანილია გერმანელი ენათმეცნიერის პ. შუხარდტის მიერ. სპეციალისტთა ერთი ნაწილი ენათა ამ ჯგუფს, მთის კავკასიურ ენებთან ერთად, აერთიანებს იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში. არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმად, ქართველური ენები ქმნიან ენათა დამოუკიდებელ ოჯახს (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, ზ. სარჯველაძე, კ. კ. შშიდტი, პ. ფერხიხი...). ყველა ქართველური ენისათვის საერთო-ეროვნული და სამწერლობო ენა ისტორიულად და ამჟამადაც არის ქართული.

ქართველური ენების წარმოშობის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. არნ. ჩიქობავას ვარაუდით, ამ ენებს ქართველური ენების ძველ შემადგენლობაში განსხვავებული ადგილები უკავიათ. ძველი ქართული „სისინა“ სალიტერატურო ენას გამოეყო „შიშინა“ ზანური, რომელიც წარმოადგენს ძველი ქართული საწყისის ერთ-ერთი დიალექტის ტრანსფორმაციას. რაც შეეხება სვანურს, იგი ქართველური ენების ძველ მოდელში დამოუკიდებელი წყური არ ყოფილა: სვანური მომდინარეობს ქართულიდან ზანურის გავლით და შემდეგში გაზანიზებული სვანების მეტყველების აფხაზურ-ადიღურ ენებთან შეჯვარების რთული ისტორიული პროცესის შედეგად. გვიან მოხდა ზანურის დაშლა ჭანურ და მეგრულ დიალექტებად. ეს პროცესი შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სქემით:



განსხვავებული თვალსაზრისია გატარებული გერმანელი ქართველოლოგის გ. დევტერსის მიერ შემოთავაზებულ სქემაში, რომლის მიხედვით, ქართველური ენები წარმოიქმნენ საერთო ფუძეების დიფერენციაციის შედეგად. თავდაპირველ ფუძეებს გამოეყო სვანური, შემდეგში – ქართულ-ზანური ერთიანობის დაშლით მივიღეთ ქართული და ზანური. უფრო გვიან ზანური დაიშალა ლაზურ და მეგრულ ენებად. მოცემული სქემა უფრო ადეკვატურად ხსნის მეტი საერთო ნიშნების არსებობას ზანურსა და ქართულს შორის, ვიდრე ამ ენებისა სვანურთან:



დღეისთვისაც საკამათოდ რჩება ქართველური ენების რაოდენობის საკითხი. ჩვეულებრივ, ქართველური ენებში აერთიანებენ სამ ენას: ქართულს, სვანურსა და ზანურს (მეგრულსა და ლაზურს). მაგრამ არ არსებობს ერთიანობა მეგრულისა და ლაზურის სტატუსის დადგენაში. ამ საკითხზე (გერმანელი მეცნიერის გ. როზენის შემდეგ) სპეციალურად მსჯელობს ნ. მარი.

¹ სტატიები ქართველური ენების შესახებ იბეჭდება შემდეგი გამოცემის მიხედვით: ქართული ენა, ენციკლოპედია, თბ., 2008.

² განსხვავებული თვალსაზრისისათვის იხ. კ. დანელია, ზანური ენა (აქვე).

მან საკმაოდ სერიოზული ლინგვისტური არგუმენტების საფუძველზე მეგრული და ლაზური დამოუკიდებელ ენებად მიიჩნია. არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, მეგრული და ჭანური, ფონეტიკური სისტემის აგებულების, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურის მიხედვით, ერთიანი ენის - ზანურის - კილოვია (ჭანურსა და მეგრულს ერთი და იგივე ფონეტიკური შესატყვისობა გააჩნია ქართულის მიმართ). აღნიშნული თვალსაზრისის დამტკიცების აზრით, საერთოქართველური ენის დაშლის შედეგად მიღებული ზანური ენის კილოების ურთიერთგამასხვავებელი ნიშანი, ძირითადად, ლექსიკური სხვაობაა, რაც, ერთი მხრივ, ქართულიდან (მეგრულში) და, მეორე მხრივ, ბერძნულიდან და თურქულიდან (ლაზურში) შესული სიტყვების სიუხვით აიხსნება, რამაც უპირავე ზანური სიტყვა-ფორმა შეიწირა. სხვა ფონეტიკურ-ფონოლოგიური და გრამატიკული ცვლილებები, მათი აზრით, ჩვეულებრივ დიალექტურ სხვაობათა ფარგლებს არ სცილდება. ლაზურისა და მეგრულის სხვადასხვა ენებად მიჩნევას, მათი სიტყვით, „არა აქვს საკუთრივ ლინგვისტური არგუმენტები (სოციოლინგვისტურს კი ამ შემთხვევაში მტკიცებულებით ძალა არ გააჩნია, არა და სწორედ სოციოლინგვისტური ანუ მეციოერების სხვა დარგის არგუმენტებით აპელირებად ვველა მკვლევარი, ვინც დაჟღერებდა ლაზურისა და მეგრულის დამოუკიდებელ ენებად მიჩნევას უკერდა მხარს)“ (მ. ქურდიანი).

შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ მხოლოდ სოციოლინგვისტური არგუმენტები იყო წამოყენებული ნ. მარის მიერ, როცა წერდა, რომ ჭანური მეგრულისაგან განსხვავებულია. ამას თუ დაეკუთვნება სხვა მკვლევართა (ი. ყიფშიძის, არნ. ჩიქობავას, კ. დანელიას...) მიერ დამატებით მოხმობილ ფაქტებს [არაინფორსიული თურმობითების წარმოებას, ახალ მწკრივთა რთულ სისტემას, სახელით ნაბრუნები ზნური ფორმის (თანდებულდართულისა თუ უთანდებულოს) გამოყენებას მასდარის (სინტაქსურად - გარემოების) ფუნქციით, მეგრულის IV სერიის მწკრივთა უქონლობას, ფონემის ჩამოყალიბებას...], მეგრულისა და ლაზურის დამოუკიდებელ ენებად ჩათვლას მეტი საფუძველი აქვს.

ბოლო პერიოდში მკვლევართა ერთმა ჯგუფმა წამოაყენა დებულება, რომლის მიხედვით არათუ მეგრულია და ლაზურის დამოუკიდებელ ენებად ჩათვლა არის უპირატებელი მიჩნეული, არამედ, საერთოდ, ცალკეული ქართველური ენების არსებობაა უარყოფილი. მათი სიტყვით, „მსოფლიოს ენათა აბსოლუტური უმრავლესობა უკვე კვალიფიცირებულია ექსტრალინგვისტური კრიტერიუმებით და არც არაფერ აპირებს გადასინჯოს მათი სტატუსი“ (თ. გვანცველაძე). ამისდა კვალად, მეგრული, ლაზური და სვანური ქართული ენის კილოებიად აისი კვალიფიცირებული. ამ ჯგუფის თვალსაზრისით, „ქართველები ლაპარაკობენ ერთადერთ ქართველურ-ზოგადქართულ ენასა და ათეულობით დიალექტზე; ზანური (მეგრული, ლაზური) და სვანური (ბალსხემოური, ბალსქემოური, ლაშხური, ლენტიხური და ჩოლურული) კილოები ამ საერთოეროვნული ენის ისევე რეიტორიული მიკროვარიანტებია, როგორნიც არიან: ქართლური, კახური, იმერული, აჭარული, ხევსურული, თუშური, ფერეიდნული, ტაოური, მაჭახლური და სხვანი“ (თ. გვანცველაძე).

აღნიშნული დებულება ვერ არღვევს იმ შესხედლებას, რომ სვანური და მეგრული მხოლოდ ფუნქციონალურად უტოვდება ქართული ენის დიალექტებს, მაშინ როდესაც ლინგვისტური თვალსაზრისით ჩვეულებრივ ენებად რჩებიან (ა. ონიანი).

ქართველური ენების წარმოშობის საერთო სურათი ასე შეიძლება იყოს წარმოდგენილი: საერთო-ქართველური ენის ერთიანობის დონეზე მასში „შიშინა“ დახვედური (რომლისთვისაც აქ გამოყენებულია ტერმინი კოლხური) და „სისინა“ ადმოსავლური (ქართული) დიალექტური არეალები გამოიყოფოდა; კოლხური დიალექტის სვანური კილოკავის ზანური კილოკავისაგან დაშორებისა და დამოუკიდებელ ენად ჩამოყალიბების შემდეგ საერთო-ქართველური ერთიანი ენა ორ მონათესავე ენად გარდაიქმნა: ქართულ-ზანურად (საერთო-ქართველური ენის ადმოსავლური დიალექტისა და დასავლური, ანუ კოლხური დიალექტის ზანური კილოკავის ერთიანობად) და სვანურად. შემდგომში ზანური ხმოვანთავადაწევის შედეგად ზანური ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ენად ორი დიალექტური არეალით - მეგრულითა და ლაზურით; ქართველურ ტომთან მიგრაციების შედეგად მეგრულს გარკვეული ნაწილი (დღევანდელი ლაზურის სოფორ-ჩხალური კილო) დაშორდა და ლაზურს მიეკვლია; საბოლოოდ მეგრული და ლაზური დამოუკიდებელ, სხვა ქართველურ ენებთან შედარებით უფრო ახლომდებარე ენებად ჩამოყალიბდნენ, რომლებიც ქართველური ენების სისტემაში ზანური ენების ჯგუფს ქნინან.

საერთო-ქართველურ ენაში ორი განსხვავებული ფონოლოგიური სისტემის მქონე დიალექტ

ტის თანარსებობა ზოგ მკვლევარს არარეალურად მიანია. სიბილანტოა სამი რიგის ორგვარი (დასავლური, ანუ სევანურ-ზანური და აღმოსავლური, ანუ ქართული) ტრანსფორმირება მათთვის ამ ენის (ე. ი. საერთო-ქართველური) სიკვიდის და ახალი ენების ჩამოყალიბებას ნიშნავს.

ამოსავალი ფონოლოგიური სისტემის გარდაქმნა ორ ვარიანტად ყოველთვის არ ნიშნავს ორი დამოუკიდებელი ენის წარმოქმნასა და ტრანსფორმირებადი ენის სიკვიდის. ერთი ენის (ართაუ ენის, არამედ მისი დიალექტის) შიგნით ორი ფონოლოგიური სისტემის არსებობის შესაძლებლობას ადასტურებს ხუნური ენის ანწუხური დიალექტის ტონური და ჭადაქოლოური კილოკავების ურთიერთმიმართება, რომელთა სიბილანტური თანხმონები ისეთსავე შესატყვისობას გვიჩვენებენ, როგორსაც ქართული და ზანურ-სევანური. მორფოლოგიური და ლექსიკური ერთიანობის პირობებში ფონეტიკურ სხვაობებს (თეთი რვეულარულ ბგერათშესატყვისობათა არსებობასაც კი) ვადაშწვევტი მნიშვნელობა არა აქვს მონათესავე ნიშნავს და დიალექტთა კლასიფიკაციისას (თ. გამურელიძე, გ. მაჭავარიანი).

საერთო-ქართველურმა ენამ ორ დიალექტურ არგულად გაყოფის შემდეგ არსებობა სხვაგვარად როგორც ორი დიალექტური არგულის მქონე ერთ, რამდენადაც, ფონოლოგიური სისტემის განსხვავებულობის გარდა, ამ ორ დიალექტს მორფოლოგიური და ლექსიკური ხასიათის ისეთი სხვაობა არა აქვთ, რაც ხელს შეუშლიდა მათს ენობრივ ერთობას.

შემდგომში, როცა თავი იჩინა ღრმა მორფოლოგიურ-ლექსიკურმა სხვაობებმა, ერთი მხრივ, დასავლურქართველური დიალექტის სევანურ კილოკავსა და, მეორე მხრივ, აღმოსავლურქართველურ (ქართულ) დიალექტთან ერთად დარჩენილ დასავლური დიალექტის ზანურ კილოკავს შორის, მოხდა სევანური კილოკავის დამოუკიდებელ ენად ჩამოყალიბება, დასავლურქართველური ზანური და აღმოსავლურქართველური ქართული განაგრძობდნენ არსებობას როგორც ერთი ენის დიალექტები, რადგან მათი ფონოლოგიური სისტემების სხვაობა მორფოლოგიურ-ლექსიკური მსგავსების (ერთობის) პირობებში ხელს არ უშლიდა მათს ენობრივ მთლიანობას. უფრო მოგვიანებით კი, როცა უკვე საერთო ქართულ-ზანური ენის ზანურ და ქართულ დიალექტებს შორის იჩინა თავი მორფოლოგიურ-ლექსიკურმა სხვაობებმა, ქართულ-ზანური ენა ორ ენად დაიხლინა. კიდევ უფრო გვიან, როცა დამოუკიდებელ ზანურ ენაში ორი დიალექტი მორფოლოგიურ-ლექსიკურად დაუპირისპირდა ერთმანეთს, დამოუკიდებელი მეგრული და ლაზური ენები ჩამოყალიბდა.

დამოუკიდებელი განვითარების პირობებში ქართველურმა ენებმა, მიუხედავად ყველა სფეროში მომხდარი ცვლილებებისა, შეინარჩუნეს მრავალი საერთო ნიშან-თვისება (უშუალოდ ფუძეენიდან მომდინარე, ან საერთო ტენდენციებით გამოწვეული).

ფონემათა სისტემა ქართველური ენებში ზოგადად ხასიათდება ხმოვანთა სიმკვრივით თანხმონათა რაოდენობასთან შედარებით. ფონემათა სისტემაში შედის 5-7 ხმოვანი და 28-30 თანხმონანი. განსხვავებული სურათია სევანურში, სადაც ფონემური სიგრძისა და უმდაუტის გავლენით ხმოვანთა რაოდენობა გაზრდილია (ლაზურში - 12, ბაღსზემოურში - 18). შედარებით ერთგვაროვანია თანხმონანთა სისტემა (ლაზურში Φ ფონემა გვიანდელი ნასესხიანია). თანხმონანთა სისტემა ემყარება ხშულებებისა და აფრიკატების სამეულად, ხოლო სხვაანბნებისა - წყვილდულდება განაწილებას. ქართველური ენებისთვის დამახასიათებელია თანხმონანთა კომპლექსების სიმრავლე. ყველა ქართველურ ენაში დასტურდება პარამირული კომპლექსები (თუმცა ბერძნულში შეზღუდვებით). ფონეტიკური პროცესებიდან დამახასიათებელია რვეულური ასიმილაცია და პროვოკუსული დისიმილაცია (ი. ყიფშიძე). ქართველური ენების მორფოლოგიაში აშკარად გამოხატული ავლუტინაციურობის გვერდით ყურადღებას იქცევს საკმაოდ განვითარებული სინთეზურობის ელემენტი. შესუსტებულია ანლაუტის მოქმედება (განსაკუთრებით სახელებში). მიუხედავად განსხვავებისა ბრუნვათა რაოდენობასა (წოდებით ქართულში, ლოკატორი ბრუნვები სხვა ქართველურ ენებში) და მათ ფუნქციებს შორის (შდრ. მოთხრობითი, სახელობითი, მიცემითი), შენარჩუნებულია 6 ძირითადი ბრუნვა: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი; მატერიალური სიახლოვე ვლინდება ბრუნვის ინსტრუქციის (მგერულისა და ლაზურის მოთხრობითი ბრუნვის ინსტრუქცია - ქვანკრობითი დგას სხვა ქართველური ენების შესაბამისი ბრუნვის ინსტრუქციისა; სინქრონიულ დონეზე სევანურსა და ლაზურში სახელობითი ბრუნვა მორფოლოგიურად არ არის გამოხატული, იგი სხვა ბრუნვის ფორმებს უნიშნობით უპირისპირდება). რიცხვი ორია, მხოლოდობით

და მრავლობითი. მრ. რიცხვის ნიშანი ქართულსა და მეგრულ-ლაზურში საერთოა: ქართული -ებ, მეგრული -ფე, ლაზური -ფე (-ფუფე). განსხვავებულია სვანური არ (არ), ალ (ალ).

საერთო ნიშნებს აელენს ქართველური ენების ძირის სტრუქტურა: კანონიერი ფორმა არის CVC, წარმოდგენილი ვარიანტების ფართო სპექტრით. ასეთივე მსგავსებაა აფიქსურ სტრუქტურებშიც, რომელთა შესაძლებელი მოდელებია:

პრეფ. CV, C, V; სუფ. VC, V, C.

თელის სისტემა ქართველური ენებში ოცობითია, სვანური ენის ორ კილოში (ბალსხემოურსა და ლაშხურში) დასტურდება აიობითი თელა.

ქართველურ ენებში საერთოა ზმნური კატეგორიები: პირი, რიცხვი, დრო, კილო, გვარი, ასპექტი, კონტაქტი, ქცევა, აქტი, გეზი, ორიენტაცია (თუმცა ენათა მიხედვით განსხვავებულია ამ კატეგორიათა კონკრეტული რეალიზაციის სახეები, როგორც ფორმით, ისე მნიშვნელობით).

გარჩეულია დინამიკური და სტატიკური, გარდამავალი და გარდაუვალი ფორმები; პირთა რაოდენობის მიხედვით განსხვავებულია მონოპერსონალური და პოლიპერსონალური ზმნები. უფლივება პიროვანია (სუბიექტური და სუბიექტურ-ობიექტური). გარდამავალი ზმნის შემცველი სინტაგმა წარმოდგენილია განსხვავებულ წყობათა ფორმებით. გვაქვს: ნომინატიური, ერგატიული და დატიური კონსტრუქციები.

ქართველური ენების სინტაქსი მთელი რიგი ნიშან-თვისებებით საერთო სტრუქტურას გულისხმობს: სინტაქსური კავშირები (შეთანხმება, მართვა, მითთვა); მსაზღვრელ-მსაზღვრელის რიგი, წინადადებათა სახეები და ა. შ.

განვითარებულია სიტყვაწარმოება (პრეფიქსული, სუფიქსური, პრეფიქს-სუფიქსური). მიუხედავად მრავალრიცხოვანი ნასესხობებისა, ქართველური ენებში მაინც მნიშვნელოვან ფუნდამენტურ ქართველურ ლექსიკა რჩება.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბ., 1936; მისივე, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938; ქუცენტი ს., სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949; მისივე, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953; მისივე, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I. მარცვლის აბუგლუბის საკითხები, თბ., 1960; ახელდებიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძველი, თბ., 1949; შარაძენიძე თ., ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია. - იქვე, III, თბ., 1952; შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძველები, თბ., 1953; გამყრელიძე თ., სიბილანტა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959; გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში; საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია, თბ., 1965; როგავა გ., ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I-II, თბ., 1962-84; მაჭავარიანი გ., საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965; გუდავა ტ., გამყრელიძე თ., თანხმონათკომპლექსები მეგრულში. - „თბილისის უნივერსიტეტი აკ. შანიძეს“, თბ., 1981; კიხიკია ა., მარტივი წინადადების შედარებითი ქართველურ ენებში, თბ., 1982; დომთათიძე ქ., კომპლექსთაგან მომდინარე ბილბიბალური ხმულეები ქართველურ ენებში, თბ., 1984; ონიანი ა., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989; მისივე, სვანური ენა, თბ., 1998; ფერბიხი პ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000; კარტოზია გ., ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2005; ფუტკარაძე თ., ქართველები, ნაწილი I, თბ., 2005; დანელია კ., კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი: ამირჯუბი-მდლენი რ., დანელია ნ., დონდუა ი. (შემდგენლები), კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, თბ., 2006; გვანცელაძე თ., ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006; М а р р Н. Я., Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, СПб, 1910; К и п ш и д з е И., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб, 1914; Ч и к о б а в а А. С., Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик. - „იქვე“, II, 1948; К л и м о в Г. А., Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962; D e e t e r s G., Das kharthwelische Verbum, Lpz., 1930; S c h m i d t K. H., Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaucasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962.

ქართული ენა

ძართული ენა, ერთ-ერთი ქართველური ენა. საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართული ენა გავრცელებულია აზერბაიჯანში, ირანში, თურქეთში. ყოფილ სსრ კავშირის ტერიტორიაზე ქართულ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი 3,5 მლნ-ს აღემატებოდა (1979 აღწერა). ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა. იგი იყო და რჩება ყველა ქართველური ტომის მწიგნობრობისა და ლექსის მსახურების ენა. ქართული დამწერლობა დოკუმენტურად დადასტურებულია ახ. წ. V საუკუნიდან, თუმცა გამოირიცხული არ არის, რომ იგი უფრო ადრინდელი წარმოშობისაც იყო.

ქართული ენა იმყოფებოდა და ვითარდებოდა რთულ ისტორიულ გარემოში, სხვა ხალხებთან და ენებთან მუდმივი კონტაქტების პირობებში, რასაც არ შეიძლება თავისი კვალი არ დაეჩნია მასზე. მაგრამ ეს გავლენა ძირითადად ასახულია ლექსიკის სფეროში და, როგორც ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, გრამატიკულ სტრუქტურაში არსებითი ცვლილებები არ შეუტანია. ქართული ენა მდიდარია დიალექტებით, რომლებიც მიუხედავად მეტ-ნაკლები განსხვავებებისა, ხასიათდებიან გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის ერთობით.

ქართული ენის ხმოვანთა სისტემა მარტივია, შედგება ა ე ი ო უ ხმოვნებისაგან; დიფთონგები დასტურდება მხოლოდ ცოცხალ მეტყველებაში. თანხმოვანთა რაოდენობა გაცილებით მეტია. თანამედროვე ქართულ ენაში 28 თანხმოვანია, რომლებიც განსაკუთრებით მრავალფეროვან კომპლექსებთან ერთად მარცვლის, ძირის, სიტყვის სტრუქტურაში ქმნიან რთულ თანხმოვნურ კომპონენტებს. მარცვალი შეიძლება იყოს ღია ან დახურული. მახვილი სუსტი დინამიკურია, რომელიც ვერ იწვევს უმახვილო ხმოვანთა რედუქციას. მისი ადგილი ფიქსირებულია, მიედის სიტყვის პირველ მარცვალზე.

მორფოლოგიურად ქართული ენა აგლუტინაციური ენაა, სინთეზურობისაკენ მკაფიოდ გამოხატული ტენდენციით. მეტყველების ნაწილი ათია, რომლებიც იყოფიან ორ ჯგუფად: ფორმაცვალებად და ფორმაუცვლავლებად. ფორმაცვალებადია სახელი და ზმნა. სახელებისთვის დამახასიათებელია ბრუნებისა და რიცხვის კატეგორიები, არ გააჩნიათ გრამატიკული სქესი. ბრუნება ერთია, ბრუნე – 7 (სახელობით, მითხრობით, მიცემით, ნათსაობით, მოქმედებით, ვითარებით, წოდებით), გარკვეული თავისებურებებია ნაცვალსახელთა ბრუნებაში. რიცხვი ორია: მხოლოდობით და მრავლობითი. ეს უკანასკნელი ორი სახითაა წარმოდგენილი (გზ-იანი და წთ-იანი).

ქართულ ენაში სახელთა შედარებით მარტივი სისტემის გვერდით ყურადღებას იქცევს რთული ზმნური სისტემა. სირთულეს განაპირობებს ზმნურ კატეგორიათა სიმრავლე. გარწეულია, ერთი მხრივ, სტატიკური და დინამიკური ზმნები, გარდამაგალი და გარდაუვალი ზმნე. ქართული ზმნა პოლიპერსონალურია: ზმნა იცვლება როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირების მიხედვით, რაც ასახულია უდლების სისტემაში. ქართულში არ არის ინფინიტივის ფორმა, რომლის ფუნქციით გვევლინება ნაზმნარი სახელი.

ქართული ენის სინტაქსური კავშირებია: შეთანხმება, მართვა და მირთვა. ამ კავშირთა გამოყენების თავისებურებებს ქმნის: ერთი მხრივ, ქვემდებარისა და დამატებების შეთანხმება შემასმენელთან პირში, ხოლო, მეორე მხრივ, შემასმენლის მიერ ქვემდებარისა და დამატებების მართვა ბრუნებაში. შესაბამისად, განსხვავებული აქვთ სამი წყობა: ნომინატიური, გრატაციული და დატვირთი. გარჩეულია წინდადებათა სახეები: აბულებების მიხედვით (მარტივი, შერწყმული, რთული), მოდალობის მიხედვით (თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა და კითხვით-ძახილის). თავისებურებებს ავლენს მსაზღვრულის პოზიცია და, აქედან გამომდინარე, მათი ბრუნება. ქართული ენის სიტყვაწარმოება გამოირჩევა მოდელთა მრავალფეროვნებით. აღსანიშნავია ქართული ენის ლექსიკის სიმდიდრე, რასაც განაპირობებს, ერთი მხრივ, ხანგრძლივი და მრავალდარგობრივი მწიგნობრული ტრადიციები, ხოლო მეორე მხრივ, ცოცხალი კონტაქტები როგორც საკუთრივ ქართულ დიალექტებთან, ისე სხვა ქართველურ ენებთან. ქართულ ლექსიკაში მკვლავად არის აგრეთვე უცხოური ნასესხობები.

ქართული ენა ინტენსიური კვლევის საგანია როგორც საქართველოში, ისე უცხოეთშიც. ქართული ენას ხანგრძლივი და მდიდარი დოკუმენტირებული ისტორია აქვს. უკვე X–XII სს-თვის იგი იმდენად განვითარებული იყო, რომ კულტურულ ცენტრებში შექმნილი თეოლო-

გიორგი-ფილოსოფიური და გრამატიკული თხზულებების ქართულად თარგმან-ინტერპრეტაცია, უცხოენოვანი ტექსტების ყველა ელფერის გადმოცემა სრულყოფილად ხორციელდებოდა სპეციალური ტერმინებისათვის ქართული შესატყვისების დაძინება და ახალი ტერმინების წარმოების მეშვეობით, ხოლო ქართული ენის მხატვრული გამომსახველობა უმაღლეს ოსტატობას აღწევდა (სახისტორიო მწერლობა, „ვეფხისტყაოსანი“, მეხოტბეთა პოეზია).

ქართული ენის შემდგომი განვითარება ვეხდავებ მაკვებოდა ქართული ხალხის სასო-გადოებრივ ცხოვრებას, რომელიც დროთა შესაბამისად, სულ უფრო მრავალფეროვანი ხდებოდა. ქართულ ენაზე წყველებამ დაწვებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, ცოდნის ყველა დარგისათვის ნაშრომა ქართულად შექმნამ, ქართულად საქმის წარმოებამ და კანონ-შემოქმედებამ ქართული მასმედიის (ჟურნალ-გაზეთების, რადიო-ტელევიზიის) როლის გაზრდამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ქართული ენის ფუნქციონირების დიაპაზონი. ამან ახალი ასპარეზი მისცა მის განვითარებასა და მისი დიდი შესაძლებლობების გამოვლენა-ამოქმედებას. გამოყენების მრავალმხრივმა სფეროებმა ქართულის პოლივალენტოვნობა განსაზღვრა, რაც აისახა ქართულ ფუნქციურ სტილთა (სამეცნიერო, საგაზეთო-პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი, საკანონმდებლო...) სისტემების ჩამოყალიბებაში.

ქართულს, როგორც სალიტერატურო ენას, ახასიათებს: 1) ადამიანის მოვლაწეობის რაიონ-დარა სფეროში კაცობრიობის მიერ დაგროვილი ყოველგვარი ცოდნის გამოხატვის უნარი; 2) ნორმატიულობა; 3) მუდმივი კავშირი ცოცხალ მეტყველებასთან და ამასთან დაკავშირებით ენის დემოკრატიზაცია; 4) გამომსახველობით სტილისტიკურ საშუალებათა სიმდიდრე და მკურნეული ლექსიკონსა და სინტაქსურ სინონიმიაზე, ენის ერთეულთა ვარიანტულობაზე; 5) ქართული გრამატიკული სისტემის ცვლის ნელი ტემპი და ნორმალიზაციის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით განპირობებული მეტ-ნაკლები სტაბილურობა. სტაბილურობის „მეტ-ნაკლებობა“ გულისხმობს იმ ვითარებას, რომ სალიტერატურო ენის ადრინდელი იდეალი უფრო მეტ სტაბილურობას ვარაუდობდა, რაც მდგომარეობდა ნორმის ისტორიულ მდგრადობაში, რომის ტრადიციულობასა და გადახრათა შეუწყნარებლობაში. თანამედროვე ნორმალიზაციით დასაშვებად თვლიან ნორმის ვარიანტულობას. „ქართული ენის ოთორგრაფიულ ლექსიკონში“ სათანადო ადგილას მოცილე ფორმებს მინიშნებები აქვთ, თუ რომელი ვარიანტია „უბრატესი“, „თანაბარი“, „დაშვებული“, აგრეთვე „მოძველებული“ და „შეიათი“. ამგვარი მიდგომით, რომელიც ნორმის მოქნილობასა და ცვალებადობას ითვალისწინებს, სალიტერატურო ენა განიხილება არა როგორც კონსერვაციაცაზე ორიენტირებული, გაქვევებული სისტემა, არამედ როგორც ცოცხალი და დინამიკური.

ქართული ენის ზეპირი სფერო წარმოდგენილია სასაუბრო და საჯარო მეტყველებით. ეს უკანასკნელი სალიტერატურო ენის ზეპირი ფორმაა, მისი ჯანრები: თემსენება, ლექსი, გამოსვლა, პაქრობა, კონსულტაცია, საუბარი ინტელექტუალიზებულ თემსენება და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო მეტყველება უფრო მეტად უახლოვდება წერილობით ენას, ვიდრე სასაუბროს, ზეპირობის ფაქტორი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ენობრივ თავისებურებებს.

სასაუბრო მეტყველება გვაქვს როგორც კოდიფიცირებული (სალიტერატურო-სასაუბრო) ისე - არაკოდიფიცირებული (ხალხური მეტყველება): „მდაბიური ენა“, ტერმინოლოგიული და ლექსი, ვარგონი“. ქართული ხალხური ენა ერთნაირი ურთიერთობის საშუალებად, სავარაუდოა, ეროვნების ფორმირებისას ჩამოყალიბდა, ეროვნებამდე პერიოდში კომუნიკაციისა და შემოქმედების ფუნქციებს, ალბათ, ასრულებდნენ დიალექტები, ქალაქური კოინე და სხვ. მართალია, ხალხური ენა (არაკოდიფიცირებული სასაუბრო ენა) ქრონოლოგიურად ბევრად უწინააღმდეგარაა სალიტერატურო-სასაუბროს, მაგრამ დღემდე ვანაგრძობს მასთან თანარსებობას. იგი გამოიყენება მხოლოდ ყოფით, არაფორმალურ ვითარებაში და გამოირჩევა ფაქილარობით, მეტ-თავისუფლებითა და დაუდევრობით. რაიი საერთო ნიშან-თვისების გამო ჰირის საზღვრის გავლენა ხალხურ მეტყველებასა და ვარგონს შორის. ეს სირთულე ასახულია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის“ რეაგომეულში, სადაც სალექსიკონო ერთეულებთან მოცემული კვალიფიკაციები: „ხალხური“, „ვულგარული“, „საუბრისა“, „დამცირებითი“, „უპატრიცემული ბოისა“, „ხალაზღაბი“, „ვარგონი“ - ამგვარი სიტყვების მახასიათებელია, რომლებსაც საერთო სტილური თავისებურება - დამიქსილუმი“ მკვეთრი ექსპლანსიული ნიშან-აქვთ და ამის გამო გუგვდებიან როგორც სასაუბრო-ხალხურ მეტყველებაში, ისე ვარგონს ზეპირი სასაუბრო ელემენტების ხშირი გამოყენება შეიძინევა პოსტსაბჭოური მასმედიის ენა

ში. ფართო და „ჭრულ“ მკითხველზე გაზეთის ორიენტაცია ისეთი ენობრივი ერთეულების შერჩევას იწვევს, რომლებიც ყველასათვის გასაგებია, გამოირჩევა უშუალოდ, ფაქტობრივად, გამიხსნელია მკითხველთან კონტაქტის ადვილად დამყარებისათვის (შდრ. საგარეო სათაურები: „რუსეთთან საპაეო მიმოსვლა, პა და პა, ალდგება“, „რას იტყუება პეესპე...“).

ქართული ენის, ისევე როგორც ნებისმიერი ბუნებრივი ენის, ობიექტური პროცესია მზა სამეცნიერო ფორმულების წარმოშობა, რაც დაკავშირებულია სემანტიკურ და სტრუქტურულ კომუნიკაციურ დაბალულობასთან. მართალია, ცოცხალი ენის სტანდარტიზაცია შესუდულა თვით ენის ბუნებით, მისი ლექსიკური და გრამატიკული პოლივალენტურობით, სინონიმითა და სხვ., მაგრამ ენა ხშირად გვაიძულებს, ჩვენი აზრები მის მიერ წინასწარ გამზადებულ ყალიბებში ჩამოვასხათ. ადამიანთა უმრავლესობა ლაპარაკობს და წერს მზა ფორმულებით – ისინი ადვილდებენ კომუნიკაციის პროცესს, გვარიდებენ ახალი გამოთქმების შექმნის აუცილებლობას; ენობრივი სტანდარტების მეშვეობით ხერხდება ინფორმაციის ტეკნოლოგია და კონფენსაციის უზრუნველყოფა. სტანდარტიზაციის ტენდენცია მეტ-ნაკლები ინტენსივობით ვლინდება ქართული ენის ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროში (სამეცნიერო მზა, ოფიციალურ-საქმიანი და საკანონმდებლო დოკუმენტები...), სადაც გამოხატვის ფორმითა მრავალფეროვნების არც საჭიროება და არც მოთხოვნილებაა, ამ სფეროებში ინფორმაციის სიმშრალე ნორმად ითვლება, ხოლო ემოციური და მხატვრული გამოხატულება – ნორმის დარღვევად. ამ მხრივ სპეციფიკური ვითარებაა გაზეთში. გაზეთის ენით წერა – უბრალოდ, საქმიანად და ეკონომიურად – სამეცნიერო სტანდარტებისა და კლიშეს გამოყენებით წერას ნიშნავს. ამიტომ სტანდარტები და კლიშე აქ „კანონიერია“ და წარმომავლობისა და კონსტრუქციის თვალსაზრისით განსაკუთრებით მრავალფეროვანი. გაზეთში არათუ მარტო მ. შ. უცხოენოვანი პრესის ფურცლებიდან, ინტერნეტიდან მასალის ოპერატიული გადმოღობა – გადმოქართულება, რაც, კალკირებულ სტანდარტებთან ერთად, თარგმნის შტამებსაც ამრავლებს. ფუნქციურად მოტივირებული და ტრადიციულია ფრაზათა და მათი შიდა სტრუქტურების სტანდარტულობა ქრონიკისა და ოფიციალურ საინფორმაციო ეანებში, სადაც ბუერის კლიშეა დამკვიდრებული, მათი შემადგენელი ნაწილების შაბლონური გაფორმება მრავალი ენის მანძილზე უცვლელი რჩება (მაგ., „როგორც... იწყება“, „როგორც ცნობილი ვახდა“, „ვიხივით იმყოფება“), საკუთარი სტანდარტების (ე. წ. გაზეთისებების) გარდა, საკმაოდ ბუერის გვხვდება იმ საზოგადოებრივ სფეროებში დამკვიდრებული სტანდარტებიც, რომლებიც პერიოდულად შუქდება პრესაში.

ენაში სტანდარტიზაციის კანონზომიერი ტენდენციის გვერდით მოქმედებს და მასთან მუდმივ ჭიდილშია ავტომატიზაციის დარღვევისა და მოხსნის, ენის მზა ფორმულათა განახლების ტენდენცია, რასაც მოწოდებს ქართული სალიტერატურო ენის, მისი ფუნქციური სტრუქტურისა და, განსაკუთრებით, მხატვრული მეტყველების ისტორია.

სალიტერატურო ენისაგან რამდენადმე განსხვავებულია მხატვრული ლიტერატურის ენა. თუ საერთო-სალიტერატურო ენა შუუზღუდვად ემსახურება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, მხატვრული მეტყველების მოხმარების არე უფრო ვიწროა, ამავე დროს, უფრო თავისუფალიც – არცთუ იშვიათად ირღვევა სალიტერატურო ნორმები: შემოდის საუბრის არაკლასიფიკირებული ფორმები, დიალექტისებები, ჟარგონისებები – პერსონალთა მეტყველების დამახასიათებლად, მოძველებული გამოთქმები, არქაიზმები – ისტორიულ ეპოქათა გასაცოცხლებლად და სხვ.; მიხანდასხვად, მხატვრული ენის მისაღწევად იცვლება სიტყვათა მნიშვნელობათა ჩვეული შესაბამები; თუ საერთო ენას ანონიმური და კოლექტიური შექმნილი მოქმედი ვაჟებს, რის გამოც იგი ობიექტური და მიუკერძოებელია, მხატვრულ ენას ქმნიან მოქმედი თავიანთი სახელებით, იდიოსტილებით, ინდივიდუალური ახალწარმოებითა და სუპერლექტივი ეპოქების მართალია, მხატვრული ენა საერთო ენის საუნჯეს ეწაფება, მაგრამ, ბიექტური გამოყენებით. მართალია, მხატვრული ენის საუნჯეს ეწაფება, მაგრამ, თავის მხრივ ისიც ახდირებს მას, როცა აღმოაჩენს და აღბეჭდავს რაიმე ახალს. სიტყვათქმნადობა, მეტაფორიზაცია, რაც იშვიათად და მახასიათებელია ენისთვის, მხატვრულ მეტყველებაში გაცხოველებული და გაძლიერებულია: მწერლის ენა ინტენსიური ენობრივი ენობრივი ენობრივი ენობრივი ენაა. ამ მხრივ, განსაკუთრებული ადვილი უჭირავს პოეზიის ენას, დების ფართო ასპარეზობა. ამ მხრივ, განსაკუთრებული ადვილი უჭირავს პოეზიის ენას, რომელშიც უფრო გაღრმავებულია ენობრივი ნიშნის ასიმეტრიული დუალიზმი.

ვეოლუციის გზაზე, პიზნოგრაფიდან მოყოლებული დღემდე, პოეტიკის განვითარების შე



საბამისად, პოეტური ენა ცვლილებას განიცდიდა ინტონაციის, ლექსიკისა და სასოვნების თვალსაზრისით. იგი თავისუფლდებოდა დრომოჭმული პოეტიზმებისა და ძველი კაიდის მაღალფარდოვნებისაგან, იმ სპეციალური მეტაფორული მეტყველებისაგან, რომელიც კლასიკური პოეზიისთვის იყო დამახასიათებელი, თანდათან უახლოვდებოდა საერთო ენას, რომლისგანაც ადრე განსხვავებას ცდილობდა. ამით მეტად ახლოს მიდიოდა ადამიანთან, ვისი შინაგანი სამყაროც უნდა გამოეხატა. „თანამედროვე ქართველი ადამიანის სულიერი ცხოვრება წარმოადგენს იმ ახალ მოვლენას, რომელიც გამოსახატავად ახალ საღვებავებსა და ახალ საშუალებებს მოითხოვს“ (ვ. ასათიანი). ცოცხალი და ცვალებადი ქართული პოეტური ენა, ახლებურად გაგებული „მხატვრულობის“ შესაბამისად, აღარ ვერდნობა მხოლოდ ტროპებსა და ფიგურებს, ისინი მნიშვნელოვანია, მაგრამ ბოლომდე ვერ ამოწურავენ ესთეტიკურ ფუნქციას. საყრდენი ხდება სიტყვათა, ფორმათა და კონსტრუქციათა მრავალფეროვანი კონოტაციები, მხატვრული საშუალებები, რომელთა ხორცშესხმის საფუძველი ქვეტექსტებშია, როცა არაქსპლიციტურად, არამედ ქვეტექსტში გაკვრით ხორციელდება ესთეტიკური ფუნქცია.

მხატვრული ენა, ზეპირი მეტყველების ფორმები, სალიტერატურო ქართული, მისი ვარიანტები თუ სხვ. ფუნქციური ტიპები, ერთი ენის, ქართული ენის, მოქმედების ღრნეპოკულტურულ სივრცეს ქმნის. ამ სივრცეში მნიშვნელობათა თვალსაზრისით, ბევრი ეროვნულ-ქართული სპეციფიკის მქონე სხვადასხვა სიტყვა, გამოთქმა, ანდაზა, აფორიზმი, ენობრივი სტერეოტიპი თუ კულტურის ენობრივი კოდი, სიმბოლო თუ სახე, კულტურული თუ ეთიკური კონცეპტი იყრის თავს, რაც ქართული ენის სხვა ენათაგან განსხვავებულ უნიკალურ ენობრივ შინაარსს ქმნის.

ქართული ენა ყოველთვის იყო ზრუნვისა და სიყვარულის საგანი. 1978, როცა საქართველოს სსრ კონსტიტუციის ახალი პროექტი გამოქვეყნდა, რომელშიც გაუქმებული იყო ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი, თბილისში დაიწყო ფართომასშტაბიანი აქცია მშობლიური ენის დაცვად, რის შედეგადაც ქართული ენას სახელმწიფოებრივი ფუნქცია შეუნარჩუნდა. 1983 თბილისში აღიმართა დედაენის ძეგლი, რომელიც ფაქტობრივად ქართული ენის ძეგლია.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ქართული ენა, როგორც პოლივალენტოვანი სახელმწიფო ენა. — «ქსკ», 1, თბ., 1972; К а в т а რ ა დ з ე И., Грузинский язык. — Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990.

გუნა კვარაცხელია

ზანური ენა

ზანური ენა (კოლხური ენა), ერთ-ერთი ქართველური ენა. ერთიან ზანურ ენაზე დღეს არავინ მეტყველებს; ცნება „ზანური“ ანუ „კოლხური“ ისტორიული შინაარსისაა. ამჟამად ზანურ ენას აქვს ორი დიალექტი — მეგრული და ლაზური (ჭანური), რომლებიც რეალურად ფუნქციონირებენ.

მეგრულ-ლაზურის ერთიანობის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი გვხვდება. ნ. მარს ადრე გამოყენებული ჰქონდა ტერმინი „თუბალ-კანური“ (თუბალურში მეგრული იგულისხმებოდა, კანურში — ლაზური). შემდეგ მეგრულისათვის ნ. მარმა „იკერიულიც“ გამოიყენა. მეგრულ-ლაზურის მნიშვნელობით ტერმინი „ზანურ ენა“ დაამკვიდრა არნ. ჩიქობავამ. ავტორი ემყარება როგორც ისტორიული წყაროებს, ისე თანამედროვე ენობრივ მონაცემებს. ეგრძოდ, ბერძნულ წყაროებში შავიზღვისპირა ზოდის ქართველური მოსახლეობა იხსენიება როგორც „სანები“ („ზ“ ფონემა ბერძნულს არა აქვს, საფიქრებელია, რომ „ს“ ახო ზ-ს გადმოსაცემადაც იყო გამოყენებული). ტერმინი „ზანი“ დღესაც არ არის დავიწყებული ქართველური ენათა წრეში. იგი შემორჩენილია ტოპონიმებში **ზანა**, **საზანო**, **ზანათი**. **ზან**-ი ძირი დათვლილია სვანურშიც და მეგრულების აღსანიშნავად გამოიყენება — მჰზან — „მეგრული“. ტერმინი კოლხური პირველად გამოიყენა გერმანელმა მეცნიერმა გეორგ როზენმა, მაგრამ იგი ქართველოლოგიაში არ დამკვიდრებულა. XX ს. 60-იან წლებში ტერმინი „კოლხური“ მეგრულ-ჭანურის მნიშვნელობით გამოიყენა ა. შანიძემ და ამის შემდეგ იგი „ზანურის“ პარალელურად შემოვიდა სამეცნიერო ლიტერატურაში.

ზანურს, სვანურთან შედარებით, უფრო გვიან უნდა მიეღო დამოუკიდებელი სახე წინარე ქართველური ენიდან სვანური ადრე ჩანს გამოყოფილი, გლოტოქრონოლოგიური მეთოდის

მიხედვით, სავარაუდოდ ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისისათვის (გ. კლიმოვი) ან ძვ. წ. X საუკუნისათვის (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი). სვანურის გამოყოფის შემდეგ ქართული და ხანური გაერთიანება ორი ფენა იყო კიდევ ათი საუკუნე მინც. ამ ხანას უწოდებენ **ხანურ-ქართული ერთიანობის** ხანას. ამ ერთიანობიდან ხანურის გამოყოფა სავარაუდოდ უნდა მოხდარიყო ძვ. წ. X-VIII სს-ში (გ. კლიმოვი) ან ახ. წ-ის მიჯნაზე (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი). ხანურის დიფერენციაცია ორ კილოდ უნდა დაწყებულიყო ახ. წ. პირველი საუკუნეების ანტი. დაახლ. VII საუკუნისათვის ამ კილოებს დამოუკიდებელი სახე უნდა ჰქონოდა. ხანურის (კოლხურის) გავრცელების არეალი ისტორიულად უფრო დიდი იყო, ვიდრე დღესაა. მეგრული და ლაზური მეტყველების რეგიონები ამჟამად გათიშულია გურია-აჭარის ტერიტორიით, რაც ამ ტერიტორიაზე ქართულენოვანი მოსახლეობის მიგრაციით აიხსნება (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, არნ. ჩიქობავა ...). ამას ადასტურებს გურია-აჭარის ტერიტორიაზე ხანური ტოპონიმების არსებობაც.

მეგრულ-ლაზურის თავდაპირველი კილოური დიფერენციაცია შემდეგ პერიოდებში უფრო გაღრმავდა, რასაც ხელს უწყობდა განსხვავებული ენობრივი გარემოც, რომელშიც მათ უხდებოდათ და უხდებოდათ ფუნქციონირება. თუმცა სხვაობა იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რომ ისინი დამოუკიდებელ ენებად ჩაითვალოს: მათი ფუნქციური და გრამატიკული სტრუქტურები ახლოსა ერთმანეთთან. ამასთანავე, ლაზებსა და მეგრელებს მეტ-ნაკლებად ესმით ერთმანეთისა.

საერთო ნიშნების მიუხედავად, განსხვავება ლაზურსა და მეგრულს შორის მაინც საგრძნობია. ამას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ნ. მარმა, რომელმაც ეს განსხვავება საკმარის საფუძვლად მიიჩნია ლაზურისა და მეგრულის სხვადასხვა ენებად გამოსახადებლად. განსხვავება ვლინდება როგორც ფონეტიკაში (ბგერით სისტემაში, ფონეტიკურ პროცესებში), ისე გრამატიკაში: დიდი სხვაობაა უღვლილების სისტემაში (აწმყოს, მყოფადისა და აორისტის წარმოება, მასდარის წარმოება...), არსებით და ზედსართავ სახელებში, ნაცვალსახელებში (განსაკუთრებით - ჩვენებით ნაცვალსახელებში; სინტაქსურ კონსტრუქციებში და ა.შ. მეგრულისა და ლაზურის (ჭანურის) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობის სასარგებლოდ, ნ. მარის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მათ (ამ კერძო შემთხვევაში ნ. მარი მხოლოდ ჭანურზე მსჯელობს) საკუთარი კილოები და თქმები აქვთ, რომლებიც, მრავალფეროვნების მიუხედავად, ერთიანდებთან საერთო ლინგვისტური ნორმით. განხილულ თვალსაზრისს არავითარ მკვლევარი იზიარებს როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში.

კორნელი დანელია

მეგრული ენა, მეგრელების - ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის მეტყველება. აქვს ორი დიალექტი: დასავლური (შემაღვენელი კილოკაების სახელწოდებათა მიხედვით - **ზუგდიდურ-სამურზაყანული**) და აღმოსავლური (**სენაკურ-მარტვილური**). განსხვავება მათ შორის, უმთავრესად, ლექსიკურია.

მეგრულში არის ექვსი ხმოვანი: შუა რიგის - **ა, ბ, წინა რიგის (პალატალური) - ე, ი, უ**; **ნა რიგის (ლაბიალური) - ო, უ**. მათგან **ა** დაბალი აწეულობისაა, **ე, ო** - საშუალოსი, **ი, ბ, უ** - მაღლისა. **ბ** ზუგდიდურ-სამურზაყანულისთვისაა დამახასიათებელი, სენაკურ-მარტვილურში მის ადგილას ი ან უ გუკავს (შედ. **ჭგენ - ჭინუ „წნელი“**). ორი ხმოვნის შეერთებითა და ფონეტიკური გარდაქმნებითაა მიღებული ორმაგი (ე. წ. „გრძელი“) ხმოვნები: **აა, ეე, იი, უუ**.

ჩქამიერ თანხმოვანთა ლოკალური რიგებია: ბილაბიალური (**ბ, ფ, პ**), დენტალური (**დ, თ, ტ**), წინაალვეოლარული (**ძ, ც, წ; ზ, ს**), უკანაალვეოლარული (**ჯ, ჩ, ჭ, ტ, შ**), ველარული (**გ, კ, ქ; ღ, ხ, ყ**), ლარინგალური (**ღ, ჳ**). გუკავს ხშულთა სამეულები (მჟღერი, ფშვინიერი, მჟღერი), ნაბრალოვანთა წყვილულები (მჟღერი, ფშვინიერი); გამოხატვისაა ბოლო ორი რიგი: ველარულში მჟღერი ნაბრალოვანიც (**ყ**) შედის, ლარინგალურში კი - თითო ხშული (მკვეთრი **ხ**) და ნაბრალოვანი (ფშვინიერი **ჳ**). სონორი თანხმოვნები იყოფა ორ ჯგუფად - ნახალურებად (ბილაბიალური **მ**, დენტალური **ნ**) და ორალურებად (ლაბიალური ფონემის ორი ფაქტობრივი ვარიანტი - ბილაბიალური **ჲ** და ლაბიოდენტალური **ვ** ალოფონები; ალვეოლარული რ; პალატალიზებული დენტალი **ლ**, რომელიც მარტვილურ კილოკაში წარმოდგენილია პალატა-

ლური ა ალოფონით).

განსხვავდება წარმოთქმის ორი სტილი: სრული (თანხმოვნით დაბოლოებულ სიტყვას შეიძლება დაერთოს ერთ-ერთი ვიწრო ხმოვანი: **ო, ჯ ან უ**) და კვეცილი (სიტყვის ბოლოკიდური ვიწრო ხმოვანი იკვეცება და ორმაგი ხმოვანი ცალმაგად წარმოითქმის). მახვილი სუსტი დინამიკურია: თანხმოვნით დაბოლოებულ სიტყვეებში ბოლოდან მეორე მარცვალზეა, ხმოვნით დაბოლოებულებში – ბოლოდან მესამეზე. მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა ხმოვნით დაბოლოებულ სიტყვაშიც, თუკი ეს ხმოვანი ორმაგის ვარიანტია (ე. ი. სიტყვაკვეცილი სტილით წარმოითქმის).

სიტყვის ბოლოს ნ ეკარგება, მაგრამ აღდება არაბოლოკიდურ პოზიციაში მოხვედრისას. სახელთა ბრუნებისას ბრუნვის ნიშნის ვარიანტულობას განსაზღვრავს ფუძის რაკვარობა (თანხმოვანზე ბოლოვდება თუ ხმოვანზე, ბოლოკიდური თანხმოვანი იკუევის თუ არა მომდევნო თანხმოვნის მეზობლობას). გამოყოფა ცხრა ბრუნვა: სახელობითი (ბრუნვის ნიშანი – **ი, -ი**), მოთხრობითი (**-ქ/-იქ**), მიცემითი (**-ს/-ც/-ის**), ნათესაობითი (**-იშ/-იში, -შ/-ში**), მიმართულებითი (**-იშა, -შა**), დაშორებითი (**-იშე, -შე**), დანიშნულებითი (**-იშით/-იში, -შით/-ში**), მოქმედებითი (**-ით, -თ**), ვითარებითი (**-ო, -თ**). მრ. რიცხვი იწარმოება **-ეფ/-ლეფ** სუფიქსით.

ზმნა იღლება სუბიექტური ან სუბიექტურ-ობიექტური წყობით. იმისდა მიხედვით, თუ რამდენი პირის ნიშანია ზმნურ ფორმაში, ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი ან ორპირიანი. აბსოლუტური (ე. ი. ნულ- და ერთვალენტიანი) ზმნა ერთპირიანია პირდაპირი წყობისას, ორპირიანია ინვერსიული წყობის დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სუბიექტის პირი გამოხატება კონფიქსით, რომელიც შედგება შესაბამისი პირის ობიექტური (O) პრეფიქსისა და III პირის სუბიექტური (S) სუფიქსისაგან. რელატიური (ე. ი. ორ- და მეტვალენტიანი) ზმნის ერთპირიანი ფორმები გვაქვს, როცა შეწყობილია I და II პირი ერთმანეთთან, S1-S2 O3-თან. (პირდაპირი წყობის დროს), ან O1-O2 S3-თან (ინვერსიისას); ორპირიანი ფორმები გვაქვს, როცა III პირი პირდაპირი წყობის ზმნაში სუბიექტია, ინვერსიულში კი – ობიექტი.

S1 და S2-ის ნიშნებად პრეფიქსებია. S1-ის ალომორფებია: **გ, ბ, ფ, პ, მ, ღ**; II პირი ნულვანია ნიშნებად წარმოდგენილი; S2-ის ნიშნად სუფიქსია, მისი ალომორფებია **-ს, (-ს), -უ**. ობიექტური პირის ნიშნებად სამივე პირში პრეფიქსებია. O1-ის ალომორფებია **მ, გ, ბ, ფ, პ**; O2-ისა – **გ, რ, O**; O3-ის ერთადერთი ალომორფი ნულია. ფონეტიკური პროცესების შედეგად ზოგ შემთხვევაში პრეფიქსული პირის ნიშანი გაინფიქსებულია (მაგ., მუფშენქ > მუფშენქ < გმუშენქ „გმუშაობ“).

მრავლობითი რიცხვის სუფიქსებია: **-თ** (S1 და S2 დაწან ობიექტის სიმრავლეს აღნიშნავს ერთობლიან ფორმებში, **-ნ, -ან**), **-ნან**), **-გს** (გამოხატავენ S3-ის სიმრავლეს ერთ- და ორპირიან ფორმებში, S1 და S2-ის ან ობიექტისას კი – ორპირიანებში).

განირწევა მოქმედებითი, ვნებითი და საშუალებითი გვარი. ვნებითი ორი სახისაა: ნიშნისა და უნიშნო. ვნებითის ნიშნებია: **O** – პრეფიქსი (ერთპირიანებში, მაგ., **ირდფუ(ნ)** „იზრდება“), **ა**-, **ჟ** – პრეფიქსები (ორპირიანებში: **არდფუ(ნ)** „იზრდება“, **ესურბუ(ნ)** „ესტუმრება“) და **-ღ** სუფიქსი (გოთანდუ „გათენდა“, **გუ(უ)თანდუ** „გუთენდა“).

ქცევა არის სამი: ნეიტრალური (ნიშნები: **ო, O**-, **ა**–: **ოცქვანს** „აქვებს“, **ახარენს** „ახარებს“, **ბონს** „ბანს“), სასუბიექტო (ნიშანი: **ი**: **იცქვანს** „იქვებს“, **იბონს** „იბანს“), საობიექტო (ნიშნები: **ი** (I – II პირისა), **უ** (III პირისა): **მიცქვანს** „მიქვებს“, **უცქვანს** „უქვებს“, **მიბონს** „მიბანს“, **უბონს** „უბანს“). როგორც ვნებითის **ჟ**-, ისე ნეიტრალური ქცევის ა-ნახესებია ქართული ენისა.

მწკრივთა სისტემაში გამოიყოფა ოთხი სერია: I სერია – აწმყო, ნამყო უსრული, I პირობითი, I კავშირებითი; II სერია – აღისტი, II პირობითი, II კავშირებითი; III სერია – I თურმელობითი, II თურმეობითი, III პირობითი, III კავშირებითი; IV სერია – III თურმეობითი, IV თურმეობითი, IV პირობითი, IV კავშირებითი.

კავშირებითი კილოს მაწარმოებელია **-ა** სუფიქსი, რომელსაც მხ. რიცხვის I და II პირის „რომ“-კავშირიანი კავშირებითის ფორმებში ენაცვლება **-ქც** სუფიქსი. პირობითი კილოს ფორმები იწარმოება ოთხივე სერიის ნამყო დროის გამოხატველ მწკრივებზე **-კო** დაბოლოების დართვით.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბ., 1936; მისივე, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938; გამყრელიძე თ., სიბილიანტა შეხატულობანი და ქართველურ ენათა სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959; გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია, თბ., 1965; გუდავა ტ., მახვილის ადგილის სათვის მეგრულში. - კრ. „თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს“, თბ., 1969; გუდავა ტ. - გამყრელიძე თ., თანხმობის უნივერსიტეტი მეგრულში. - კრ. „აკაკი შანიძეს“, თბ., 1981; უდენტი ს., ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953; როგავა გ., დრო-კილოთა IV ჯგუფის ნაკვეთები ქართველურ ენებში. - «იკე», V, 1953; ციცილია მ., მეგრულის სამურ-ზაყანულ-ზუგდიდური კილოკავის ფონეტიკური მიმოხილვა. - «აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები», ტ. XXV, სოხუმი, 1954; მეღლიქიშვილი ი., ქართველურ ენათა ორი იზოლირებული ბეგრათფარდობის ახსენსათვის. - კრ. «თანამეტროპე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები», თბ., 1981; Кишидзе И., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб., 1914; Климов Г. А., Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962; Schmidt K. H., Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962; Harris A. C., Mingrelian: The Indigenous Language of the Caucasus. Vol. I. The Kartvelian Languages, New York, 1991; Климов Г. А., Etimological Dictionary of the Kartvelian Languages, Berlin-New York, 1998.

ლაზური ენა, ისევე როგორც ქართული, სვანური და მეგრული ენები, ქართველურ ენათა ოჯახს განეკუთვნება და მეგრულთან ერთად ამ ოჯახის ზანურ ენათა ჯგუფს ქმნის. ტერმინი „ლაზურის“ გვერდითი ლიტერატურაში გამოიყენება „ჭანურიც“. ზოგი მკვლევარი უპირატესობას აძლევს ლაზურს, ზოგი - ჭანურს, ზოგისთვის კი ეს ტერმინები სინონიმურია. ამ ენაზე მოღვაწეები თავიანთ თავს ლაზს/ლაზებს უწოდებენ, ჭან- ფუძე მათთვის, როგორც წესი უცნობია.

ლაზები კომპაქტურად სახლობენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, საქართველოს სახლდისპირა სოფ. სარფში და თურქეთში - ართვინის ვილაიეთის ხოფის, ბირჩისა და არქაბის ილჩეებსა და რიზეს ვილაიეთის ფინდიქლის, ართაშენის, ჩამლაქმშინისა და ფაზარის ილჩეებში. ბევრი ლაზი ცხოვრობს თურქეთის სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში. ლაზთა ცალკეული ოჯახები გაბნეულია დასავლეთ საქართველოს ზოგი რეგიონში (აჭარა, აფხაზეთი, გურია და სამეგრელო).

ლაზურში დიალექტურ ერთეულთა ორი ჯგუფი გამოიყოფა: დასავლური (შემაღვანელი კილოკავების სახელოდებია მიხედვით - **ათინურ-ართაშენული** და **ვიწურ-არქაბული**) და აღმოსავლური (**ხოფურ-ჩხალური**). დასავლური და აღმოსავლური დიალექტები მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს როგორც ფონეტიკურ-გრამატიკულად, ისე ლექსიკურადაც. ამასთან, ზოგ შემთხვევაში ამა თუ იმ ენობრივი თავისებურებით ერთ-ერთი დასავლური დიალექტი აღმოსავლურთან იწებს მუტ სიახლოვეს, ან დიალექტების შიგნით კილოკავები ცალკეული თქმები უპირისპირდებიან ერთმანეთს და სხვა დიალექტების ჩვენებას იმორებენ.

ლაზურის ხმოვნები: შუა რიგის ა, წინა რიგის (პალატალური) გ, ი, უკანა რიგის (ღაბი-ალური) ო, უ, ჩქამიერ თანხმოვნებში გამოიყოფა 6 დროკალური რიგი: ღაბიალური (ბ, ფ, პ; შვ, ჭ), დენტალური (დ, თ, ტ), წინააღვეთლარული (ძ, ც, წ; ხ, ს), უკანააღვეთლარული (ჯ, ზ, ჭ, ჭ, თ), ველარული (გ, ძ, კ, დ, ხ, ყ) და ლარინგალური (ჰ). ამ რიგებში შემაღალი ხშულები სამეულებს ქმნიან (მქლერი, ფშინიერი, მკვეთრი), ნაპრალონები კი - წყნეულებს (მქლერი, ფშინიერი); მხოლოდ ველარულში გვაქვს გლოტალიზებული სპირანტი (ყ) და ლარინგალურ რიგში ერთი ნაპრალონი (ჰ). სინორი თანხმოვნები იყოფა ორ ჯგუფად: ნაზალურებად (ღაბიალური მ, დენტალური ნ) და ორალურებად (გვერდითი - დენტალური ლ, პირდაპირები - აღვეთლარული რ და პალატალური ღ).

ღაბიალური ფშინიერი სპირანტი საკუთრივ ლაზურ სიტყვებში მეტად სწავლულად იხმარება და, როგორც წესი, ნახევრად სიტყვებში გუხვდება. დენტალური ლ ზოგ თქმაში პალატალიზებულია უკანა რიგის ხმოვანთა წინა, გლოტალიზებული სპირანტი ყ მხოლოდ ხოფურ-ჩხალურშია დაცული ხმოვნებისა და გ, ლ თანხმობათა წინ. ფუძისეული ჩქამიერი თანხმოვნის მომდევნო ველარული ყ სპირანტი ლაზურში ვერ ძღვება. ხოფურ-ჩხალურსა და

ვიწურ-არქაბულში ამოსავალი ტყ წყ ჭყ კომპლექსები ტპ წპ ჭპ არის ცვლილი; ათინურ-ართაშენულში კომპლექსები გამარტივებულია მეორე წვერის დაკარგვით. აქ ამავე წესით მარტივდება ველარული კ ხშულის შემცველი კომპლექსებიც. ხოფურ-ჩხალურში დადასტურებული პტ ტტ წყ ჭყ კომპლექსების შემცველ ფუძეთა მტტი წილი ქართულიდან არის ნახევრები; ორიოდე შემთხვევა გვაქვს კომპლექსებში კს ყთი შენაცვლებისა. ასევე გვიანდელი ფონეტიკური პროცესების შედეგია გლობალური ხშულის შემცველი კომპლექსის სპორადული გამოვლენა ათინურ-ართაშენულში: ტკვა (< თქვა) „თქვენ“, ტკუ (< თქუ) „თქვა“.

ფონეტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია ნახალური მ, ნ-ს განვითარება სიტყვის ანდატში; რ-ს დაკარგვა ხმოვნებს შორის; სიტყვის ბოლოიდური ს-ს დასუსტება ძად და ველარულ ხშულთა პალატალიზაცია-აფრიკატიზაცია (გ > ჯ, ქ > ჩ, კ > ჭ) წინა რიგის ხმოვნებისა და პალატალური თანხმოვნის წინ ათინურ-ართაშენულში; ხმოვნის მეორეული სინკოპირება და ბ-ს განვითარება ფუძისეულ მ-ს შემდეგ ათინურ-ართაშენულსა და ვიწურში (თოფი „თაფლი“, თხოფი „თხმელა“, შდრ. ხოფურ-ჩხალურში და არქაბულის თოფური, თხოფი: ველარული თანხმოვნების მომდევნო ვ ლაბიალის დაკარგვა ი ხმოვნის წინ ათინურ-ართაშენულსა და ვიწურ-არქაბულში (შქით „შვიდი“, კინი „ჩიტი“ – შდრ. ხოფურ-ჩხალური შქით, კინი).

მახელი სუსტია, ორზე მეტმარცვლიან სიტყვებს, ჩვეულებრივ, ბოლოდან მესამე მარცვალზე მოუდის, ათინურ-ართაშენულში ხშირად – მეორეზე.

ყველა სახელის ფუძე ხმოვნით ბოლოვდება. ბოლოიდური -ი ორ- და მეტმარცვლიან ფუძეებში ისტორიულად სახელობითი ბრუნვის ნიშანია. გამოიყოფა ბრუნვები: სახელობითი (ბრუნვის ნიშანი – -ი), მოთხრობითი (-ქ), მიცემითი (-ხ), ნათესაობითი (-შ/-ში), მამართლებითი (-შა/-ზე), დაშორებითი (-შენ), მოქმედებითი (-თე/-თენ). ათინურ-ართაშენულში ერთიანი მამართლებითი-დაშორებითი ბრუნვა (-შა/-ზე); ამავე დიალექტის ზოგ თქმაში სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი ერთნაირად, ნულთვანი ნიშნით, არის წარმოდგენილი. სახელთა მრავლობითი რიცხვის სუფიქსის ალომორფებია -ფე -აფე -ლუფე. მათი განაწილება დიალექტურ ერთეულთა (აგრეთვე, მეტყველების ნაწილთა) მიხედვით განსხვავებულია.

ზმნა იუღლება სუბიექტური და სუბიექტურ-ობიექტური წყობით, პირისა და რიცხვის გამახატვის წესი ისეთივეა, როგორც მეგრულში. სუბიექტური პირის ნიშანთა ალომორფებია: I პირისა – ვ, ბ, ფ, პ, პპ, მ, ო; II პირისა – ო; III პირისა – ს/ს-ს/ს; ობიექტურის: I პირისა – მ, მპ; II პირისა – გ, ქ, კ, კმ; III პირისა – ო.

ქცევა სამია: ნეიტრალური, სასუბიექტო, საობიექტო. სასუბიექტო ქცევის ფორმები მხოლოდ კუთვნილებით ურთიერთობას გადმოსცემენ და არა დანიშნულებითს: ნიკათუ „მოიკრა“ (თავისი და არა თავისთვის).

განიჩვევა მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი გვარი. ვნებითი შეიძლება იყოს ი-პრეფიქსიანი (ერთპირიანი), ა-პრეფიქსიანი (ორპირიანი) და ნულნიშნისანი. ორპირიანი ვნებითის ფორმებს ინვერსიული წყობის შემთხვევაში პოტენციალისის გაგება აქვთ (აჭკომენ „შეუძლია“ (შე)ჭამოს“).

გამოიყოფა მწკრივთა ორი რიგი: ძველი, ანუ ძირითადი (მეგრულთან საერთო) და ახალი, ძირითად მწკრივებზე დაბყარბული (საკუთრივ ლაზური) მწკრივები. მწკრივები სამ სერიად ჯგუფდება. სერიებზე დაჯგუფებისათვის ამოსავალია ძირითადი მწკრივები. გვიანდელი მწკრივები, იმისდა მიხედვით, თუ რომელ მწკრივებზე არიან დაყრდნობილი, შესაბამის სერიას განეყოფებიან. მწკრივთა სისტემა ასეთია: I სერია – აწმყო, ნამყო უსრული, „ნანამყოუსრულარი“ თურმეობითი, პირობითი I, კავშირებითი I, მყოფადი I, მყოფადი I-ის ნამყო; II სერია – აორისტი, ნაორისტილი თურმეობითი I, ნააორისტილი თურმეობითი II, პირობითი II, კავშირებითი II, მყოფადი II, მყოფადი II-ის ნამყო, ნააორისტილი თურმეობითის პირობითი, მყოფადის ნამყოს თურმეობითი, მყოფადის ნამყოს პირობითი; III სერია – ინვერსიული თურმეობითი I, ინვერსიული თურმეობითი II, პირობითი III, კავშირებითი III. მყოფადებისა და არაინვერსიული თურმეობითების წარმოების წესით დასავლური და აღმოსავლური დიალექტური ერთეულთა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. გარდამავალი ზმნები I და II სერიის მწკრივთა ფორმებთან სუბიექტს მოთხრობით ბრუნვაში შეიწყობენ, პირდაპირ ობიექტს – სახელობითში, გარდამავალ ზმნათა III სერიის მწკრივები ინვერსიულია: სუბიექტი მიცემით ბრუნვაში დგას, პირდაპირი ობიექტი – სახელობითში. გარდაუვალ ზმნებს III სერი-

ის ფორმები, ჩვეულებრივ, არ ეწარმოებათ, გამონაკლისია მემკვლევნიანი ყოფიერ „ყოფი-
ლა“, დოყოფიერენ „დამწიფებულა, მოწეულა“ ფორმები (ხოფურ-ჩხალურში) და რამდენიმე
ზმნა, რომლებიც, გარდამავალთა მსგავსად, ინვერსიულად იუღლებიან (უხითიმუნ, უღაფუნ
„უღლია, წასვლა“, გუხუნუნ „შემჯდარა“). ინვერსიულად ნაუღლები გარდაუვალი ზმნები
სუბიექტის ზოგ თქმაში მიცემითის, ზოგში კი სახელობითის ფორმით შეიწყობენ.

მასდარის მაწარმოებელია ო - - უ ცირკუმფიქსი (უბრევერო ფორმებში - ოჭარუ „წერა“) და - უ სუფიქსი (პრევერბიანებში - მეხითიუ „მისვლა“). სპორადულად გვხვდება - ა სუფიქსიც: დურა „სიკვილი“, წიღვა „ნომბერი“ (ეტიმოლოგიურად - „კრფა“). სამივე გვარის მიმდგომ-
ბების გვერდით მათი ფუნქციით გამოიყენება ზმნური ფორმაც, რომელიც ასეთ შემთხვევაში
სახელებით იბრუნება; მაგ., უღუნ-მულუნ-ქ „გამგელ-გამომგელმა“ („მიდის-მიდის-მა“).

ქართულის მსგავსად, გარდამავალ ზმნათა სუბიექტის ბრუნებია: I სერიაში - სახელო-
ბითი, II სერიაში - მოთხრობითი, III სერიაში - მიცემითი; პირდ. მოიქცის: I სერიაში - მი-
ცემითი, II და III სერიაში - სახელობითი. გარდაუვალ ზმნებს III სერიაში მემკვლევნიანი
წარმოება აქვთ. გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე ზმნა. გარდაუვალ ზმნათა სუბიექტი I
სერიაში სახელობითშია, II სერიაში - მოთხრობითში, III სერიაში მემკვლევნიანი ფორმები-
თა სახელობითშია, ინვერსიულებსა კი - მიცემითში.

მასდარს ძირითადად აწარმოებს სუფიქსი - ა, რომლის წინ შეიძლება იდგეს თემის ნიშანი
ან თემისნიშნისუკული ელემენტი (დურა „სიკვილი“, ცქაფა „ქება“, თას-უა „თესვა“). მას-
დარის მაწარმოებელი კონფიქსი ო - - უ მხოლოდ მიმართულებით და დაშორებით ბრუნვათა
ფორმებშია დაცული (ომუშებუშა „სამუშაოდ“, ომუშებუშე „სამუშაოდან“).

სახელურ ჯგუფში პრეპოზიციური წყობა უფრო გავრცელებულია, თუმცა იშვიათად პოს-
ტპოზიციურად იხმარება. ორივე წყობის შემთხვევაში სახელური ჯგუფის ბოლო წევრი იც-
ვლება ბრუნვათა მიხედვით, წინას კი ბრუნვის ნიშნის ნულოვანი აღმორევი აქვს. ასევე
თანწყობით სახელურ ჯგუფში უკავშირდენ ან დო „და“ კავშირით შეერთებულ ერთგვაროვან
წევრთაგან მხოლოდ ბოლო წევრი დაირთავს სათანადო ბრუნვის ნიშანს, სხვები კი წინამა-
ვალი მსახდრეულის ან სახდრეულის მსგავსად იქცევიან.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი (ტექსტებითურთ), ტფ., 1936; მისივე,
ჭანურ-მგერულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938; ქეღელი ს., ჭანურ-მგერულის
ფონეტიკა, თბ., 1953; გამყრელიძე თ., სიბილანტა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა
სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959; როგავა გ., ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტი-
კის საკითხები. ხმოვანთა ისტორიის ზოგი საკითხი ქართველურ ენებში, თბ., 1962; გამყრე-
ლიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965;
მელიქიშვილი ი., ქართველურ ენათა ორი იზოლირებული ბგერათფარდობის ახსნისათვის:
კრებ. „თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები“, თბ., 1981; ფენრიხი პ., სარ-
ჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. მეორე შეკვებული და გადამუ-
შავებული გამოცემა, თბ., 2000; კარტოვია ვ., ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენა-
თა სისტემაში, თბ., 2005; М а р р Н. Я., Грамматика чанского (лазского) языка, с христиан-
но и словарем, СПб., 1910; К и ш и д з е И. А., Дополнительные сведения о чанском языке
(Из лингвистической экскурсии в Русский Лазистан), СПб., 1911; S c h m i d t K. H., Studien
zur Rekonstruktion des Lautstandes der stidkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962; K l i m o v G. A., Etymo-
logical Dictionary of the Kartvelian Languages. Berlin, New York, 1998.

გურამ კარტოვია

სვანური ენა

სვანური ენა, ქართველურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი წევრი (ქართულთან და მგერულ-ლა-
ზურთან ერთად). გამოიყოფა ხუთი დიალექტ: ბალსხუმური, ბალსქვემური (ზემოსვანური
დიალექტები ენგურის ხეობაში), ლენტეხური, ლაშხური და ჩოლურული (ქვემოსვანური დია-
ლექტები ცხენისწყლის ხეობაში).

ბი“, ლა-ჯგილა-აძმები (დისთვის)“... მხ. რიცხვის ფორმები მრავლობითს ნიშნის უქონლობით უპირისპირდება.

სვანურში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, არსებობს ზმნის პირის ორი ნაირსახეობა – სუბიექტური და ობიექტური. ობიექტური პირის შიგნით კი გამოიყოფა პირდაპირი და ირიბი. უზმნისწინო ფორმებში I სუბიექტური პირის მორფემის ალომორფებია: ხუ (არაბავისმცხერი ხმოვნების წინ): ხუ-სყი „ვაკეთებ“, ხ- (ბავისმცხერი ხმოვნების წინ): ხ-ოსყი „ვუკეთებ“, ჰ- და 0 (ნული) (თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან): დ-ჰიფე „ვაქრობ“, სგურ „ვზივარ“. II სუბიექტური პირის ნიშანი უზმნისწინო ფორმებში არის ხ- (ხმოვნების წინ): ხ-სყი „აკეთებ“ და 0: დიფე „აქრობ“. III სუბიექტური პირის მორფემა შემდეგი ალომორფებისაგან შედგება: ლ- (მხოლოდ 5 ზმნაში), მაგ., ლ-ი „არის“, ნ- და გ- (ლა- ზმნისწინიან ფორმათა ერთ ნაწილში): ლა-ნტიხ „დააბრუნა“, ლა-ფჷფე „მოთიბა“, -ხ (კავშირებითის ფორმებში): აზრედ-ს „ამზადებდეს“ და 0 (ყველა სხვა შემთხვევაში): სყი „აკეთებს“, სგურ „ზის“. I ობიექტურ-სუბიექტური პირი (პირდაპირი და ირიბი) მთი გამოიხატება: მა-ხტუი „მხატავს“, მი-ხტუი „მიხატავს“, II ობიექტური პირი კი – ჯ-თი: „ჯ-ახტუი“ „გხატავს“, ჯ-იხტუი „გიხატავს“, III პირდაპირ ობიექტურ პირს კი გამოხატავს აფიქსი არ მოუპოვება: ახტუი „ხატავს“. თანამედროვე სვანურში ზმნისწინისა და პირის ნიშნის თანხმოვანთა ერთად თამყოფარ არ შეიძლება, ერთ-ერთი მათგანი ამიტომ ყოველთვის დაკარგულია; შდრ., ერთი მხრივ, ა-ხ-სყი (<ან-ხ-სყი) „გაკეთებ“, ე-ჯ-ყი (<ეს-ჯ-ყი) „მივყავს“, ა-ტეხ (<ად-ხ-ტეხ) და, მეორე მხრივ, ათ-აბ (<ად-ხ-აბ) „მიაბი“, ეს-გუჷჷ (<ეს-ხ-გუჷჷ) „დაახის“...

I და II სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვი -დ სუფიქსით გამოიხატება: ხუ-სყი-დ „ვაკეთებთ“, ხ-სყი-დ „აკეთებთ“, III სუბიექტური პირის მრავლობითობა ყოველთვის -ხ სუფიქსით გამოიხატება: სყი-ხ „აკეთებენ“.

I პირის მრ. რიცხვის ფორმა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვით ხასიათდება (ქვემოსვანურ დიალექტებში მხოლოდ სუბიექტური პირის ფორმებში, ზემოსვანურში – ობიექტურისაშიც). ექსკლუზივის ფორმა I და III პირს აერთიანებს (II პირი გამოირიცხება), ინკლუზივისა კი – I და II პირს (III პირი კი შეიძლება ერთიანდებოდეს, შეიძლება – არა). სუბიექტის ექსკლუზივი: ხუ-სყი-დ „ვაკეთებთ“, დ-ჰიფე-დ „ვაქრობთ“, ინკლუზივი: ლ-სყი-დ „ვაკეთებთ“, ლ-დ-ფე-დ „ვაქრობთ“, ობიექტის ექსკლუზივი: ნ-ისყი „გვიკეთებს“, ნ-ტეხ „გვაბრუნებს“, ინკლუზივი: გუ-სყი „გვიკეთებს“, გუ-ტეხ „გვაბრუნებს“.

ასპექტი (სრული-უსრული) ზმნისწინთა ქონება-უქონლობით გამოიხატება. არსებობს ზმნისწინთა ორი რიგი: 1. გეზისა და მოქმედების მიმართულების გამოხატაველი (ვი, ჩუ, სგა, ქა), 2. ასპექტისა და ორიენტაციის გამოხატაველი (ლა, ან, ად, ეს).

გვარის მიხედვით ოპოზიციას აქვს სამი წევრი: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი. მოქმედებითი გვარის გამოხატაველი ნიშნებია: ა-, ა და ხმოვანთა აბლაუტური მონაცვლეობის ერთ-ერთი საფეხური: ა-ხტუი „ხატავს“, ა-შუჷ „ანთებს“, ტიხ „აბრუნებს“, ვნებითი გვარისა: ი-, ბ (ერთპირიანობის შემთხვევაში): ი-ხტუი „იხატება“, ბ-შუჷ „ინთება“, ე-, ჭ (ორპირიანობის შემთხვევაში): ხ-ე-ხტუი „ეხატება“, ხ-ჷ-შუჷ „ენთება“ და აბლაუტური მონაცვლეობის ერთ-ერთი საფეხური: ტეხ-ნ-ი „ბრუნდება“, საშუალი გვარი ნიშნის უქონლობით ხასიათდება: გიჷ „ძღვებს“.

ქცევის მიხედვით ოპოზიციის წევრთა გამოხატაველი აფიქსებია: საარვისო: ა-, ა და 0 (ნული) – ა-სყი „აკეთებს“, ა- შუჷ „ანთებს“, ტიხ „აბრუნებს“, სათავისოსი – ი-, ბ- ი-სყი „ვიკეთებს“, ბ-შუჷ „ინთებს“, სათავისოსი: ი-, ბ- (როცა ირიბი ობიექტი I ან II პირია: მი-სყი „მიკეთებს“, ჯ-ი-სყი „გვიკეთებს“, მი-ა-შუჷ „მინთებს“, ჯ-ბ-შუჷ „გინთებს“ და ო-, ბ (როცა ირიბი ობიექტი III პირია): ხ-ო-სყი „უკეთებს“, ხ-ო-შუჷ „უნთებს“.

შუალლობით კონტაქტს (კაუზატივის) -უნ, -უნ, -ნ სუფიქსები გამოხატავს: ხისყ-უნ-ე „აკეთებინებს“, ხაზ რ-უნ-ე „ამზადებინებს“, ხაგმ-ხ-ე „აშენებინებს“, უშუალლო კონტაქტს (არაკაუზატივის) – აღნიშნულ სუფიქსთა უქონლობა: სყი „აკეთებს“, აზრე „ამზადებს“, აგემ „აშენებს“.

გეზი (მიმართული) ვი, ჩუ, სგა, ქა ზმნისწინებით გამოიხატება, მიუმართავი კი - მათი უქონლობით: ვი ატვხ „აბრუნდა“, ჩუ ატვხ „ჩაბრუნდა“, სგა ატვხ „შებრუნდა“, ქა ატვხ „გაბრუნდა“ შდრ. ატვხ (მიუმართავი).

საკეთო ორიენტაციას ან- ზმნისწინი გამოხატავს: ან-ღრი „მოღის“ - საიქეთოს კი - ად-, ეს- ზმნისწინები: ეს-ღრი „მიღის“, ად-ეჟ „წაიღო“.

თანამედროვე სვანურში გამოიყოფა ზმნის მწკრივთა 4 სერია: I სერია - აწმყო, უწვევებუ-ლი, I კავშირებითი, მყოფადუსრული, მყოფადსრული, პირობითუსრული, პირობითსრული; II სერია - წვევებილი, II კავშირებითი; III სერია - I თურმეობითი, II თურმეობითი, III კავშირე-ბითი; IV სერია - III თურმეობითი, IV თურმეობითი.

სვანურში, ქართულის მსგავსად, ქვეშეშეშეშე ბრუნვებია: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი (გარდაშეშეშე ზმნით გამოხატულ შემასმენელთან) და სახელობითი (გარდაშეშეშე ზმნით გამოხატულ შემასმენელთან); პირდაპირი დამატების ბრუნვებია სახელობითი და მიცემითი, ხოლო ირიბისა - მხოლოდ მიცემითი.

ლიტ.: ქლენტი ს., სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949; მაჭავარიანი გ., ხმოვანთა სისტემის დახასიათებისათვის სვანურში. - «თსუ შრომები», 1963, ტ. 96; დონდუა კ., ადიღური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვანურში.- იხ. მისი: რჩეული შრომები, I, თბ., 1967; თოფურია ვ., სვანური ენა, I. ზმნა. - იხ. მისი: შრომები, I, თბ., 1967; თოფურია ვ., სვანური ენა. - შრომები, II, თბ., 2002; მისივე, სვანური დიალექტები და მათი თავისებურებანი. - იქვე; მისივე, სვანური სიტყვაწარმოება. - იქვე; მისივე; სვანური სინტაქსი. - იქვე; ქაღდანი მ., სვანური ენის ფონეტიკა, თბ., 1969; შანიძე ა., უმლაუტი სვანურში.- თხზულებანი, II, თბ., 1981; ნიკოლაიშვილი მ., ხმოვანთა რედუქციის სტრუქტურული ანალიზი, თბ., 1984; შარაძენიძე თ., სვანური ენა. - «იკვ», XII, თბ., 1985; ონიანი ა., სვანური ენა, თბ., 1998; ჭუმბურიძე ზ., მყოფადი ქართველურ ენებში, 1986; К л и - м о в Г. А., Склонение в картельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962.

ალექსანდრე ონიანი

დიალექტი¹

დიალექტი (ბერძ. dialektos – ლაპარაკი, თქმა, კილო), კილო, ენის ვარიანტი, რომელზეც მეტყველებს ენობრივი კოლექტივის ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ნიშნით გამოყოფილი ჯგუფი. დიალექტად განიხილება აგრეთვე სოციალური ან პროფესიული წრეებისათვის დამახასიათებელი მეტყველება. ტერმინი „დიალექტი“ ენათმეცნიერებაში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ამ ტერმინით ხშირად აღნიშნულია მონათესავე ენათა შტოები, მაგ., ინდო-ევროპული დიალექტები (გერმანიკული, იტალიკური და ა. შ.), ან ერთი ენის ისტორიულად განსხვავებული ვარიანტები (ამ მნიშვნელობით შემოთავაზებულია ტერმინი – ისტორიული ან ტემპორალური დიალექტები). ტერმინი „დიალექტი“ გავრცელებულია აგრეთვე განვითარებადი ქვეყნების დაუდგენელი სტატუსის მქონე უმწვერლობო ენების აღსანიშნავად. გარდა ტერმინოლოგიური არაერთგვაროვნებისა, ლინგვისტიკაში დიდ ხანს ეჭვის ქვეშ იყო საკუთრივ დიალექტური საზღვრების დადგენის შესაძლებლობაც კი. ამჟამად ეს საკითხი არ დგას.

ტერიტორიულ დიალექტს ენის სხვა დიალექტთან (დიალექტებთან) და სალიტერატურო ენასთან გარკვეული მსგავსების ფონზე აქვს ნაწილობრივ განსხვავებული ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სისტემები, დამახასიათებელი ინტონაციური ქარები. მაგ., ქართული ენის მთის დიალექტებს (თუშურს, ფშაურსა და ხევსურულს) ზმნის უღლების სისტემაში მოეპოვება ე. წ. არქაული ნამყო უსრული, რის გამოც დრო-კილოთა II სერიაში გვაქვს არა ორი, არამედ სამი ნაკეტი (მწკრივი), ამით ისინი განსხვავდებიან როგორც სალიტერატურო ქართულს, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და დასავლეთ ქართული დიალექტებისაგან (შდრ. თუშური მოვიდ, მოვიდის, მოვიდეს; გააკეთა, გააკეთის, გააკეთოს...). ქართული ენის დიალექტების ერთ ნაწილს მოეპოვება ფარინგალური ყრუ ფშინიერი ჰ, რითაც მათი თანხმოვანთა სისტემებში განსხვავდება სხვა დიალექტების თანხმოვანთა სისტემებისაგან. დიალექტების შიგნით, მათი თანდათანობითი დიფერენციაციის გზით, გამოიყოფა ერთმანეთისაგან შედარებით ნაკლებად განსხვავებული დიალექტური ერთეულები, ქვედიალექტები: კილოკაყები, თქმები, ქცეუები – დიალექტთა ადგილობრივი ნაირსახეობანი, რომლებიც მეტყველებანი დადასტურებული პარალელური ფონეტიკური, ლექსიკური თუ გრამატიკული ფორმებიდან ერთ-ერთს ანიჭებენ უპირატესობას. მაგ., თუშურ დიალექტში მოხვედს ორი სახელი აქვს: **მოხვევრან** და **ჭევევრან**. თუშურ დიალექტზე მეტყველისათვის ორივე ცოცხალი სიტყვაა, მაგრამ პირველს ჩაღმაები და გომწვერელები ანიჭებენ უპირატესობას, მეორეს – პირიქითელები. ბგერათშენაცვლება და მახვილის განაწილება ხევსურულში ქმნის ერთი და იმავე ფორმის („კაცო ვარ“) ორ ნაირსახეობას: **კც-ვარი** და **კაც-ორ**, ოღონდ პირველი მათგანი არსოტულისთვისაა დამახასიათებელი, მეორე – შატილურისთვის. რაც შეეხება თქმებსა და ქცევებს, იქ თავისებურებებს ძირითადად ქმნიან ხესეუმენტური მახასიათებლები: არადისტინქციური ინტონაციები, მეტყველების ტემპი და სხვ. ტერიტორიულ დიალექტებს ახასიათებს შიდასოციალური დიფერენციაცია: განახსნავაყვებ უფროსი და უმცროსი თაობის, ქალთა და მამაკაცთა, მოსწავლე ახალგაზრდობის და სხვ. მეტყველებას და ა. შ.

დიალექტური კვლევის თვალსაზრისით უფრო და უფრო მეტ ღირებულებას იძენს ე. წ. ქალაქური დიალექტი, რომელიც მოიცავს (განსაკუთრებით მეგაპოლისებში) ლოკალურ დიალექტურ შრეებსაც.

ენის ტერიტორიულ დიალექტებად დიფერენციაცია ისტორიული პროცესია, რომელსაც ადგილი აქვს ენობრივი კოლექტივის ჯგუფების გეოგრაფიულ თუ პოლიტიკურ იზოლაციაში ხანგრძლივი ცხოვრებისას. ერთი ენის დიალექტები დროთა განმავლობაში შეიძლება ისე და-შორდნენ ერთმანეთს, რომ დაბოლოდებულ ენებად ჩამოყალიბდნენ. ამ გზით მიიღება გენეტიკურად მონათესავე ენათა ჯგუფები. მაგ., საერთო-ქართველური ფუძეების ჯერ დიალექტებად

¹ ქართული ენა, ენციკლოპედია, თბ., 2008.



დიფერენციაციისა და დიალექტების დამოუკიდებელ ენებად განვითარების შედეგად წარმოქმნა ქართულურ ენათა ჯგუფი. საკუთრივ ქართული წარმოდგენილია დიალექტებით, რომელთაგან 13 - ქართლური, კახური, თუშური, ფშაური, ხევსურული, მოხურული, მთიულურ-გუდამაყური, მცხეთური, იმერული, გურული, აჭარული, რაჭული და ლეჩხუმური - საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე გავრცელებული. ნაწილი ქართული დიალექტები საქართველოს საზღვრებს გარეთაა: იმერხეული (კლარჯული) - თურქეთში, ინგილოური - აზერბაიჯანში და ფერკიდნული - ირანში. ასახელებენ კიდევ ერთ დიალექტს - ყიზილარ-მოხლოურს, რომელიც დღეს ფაქტობრივად აღარ არსებობს. თითოეულ დიალექტში გამოყოფილი კოლოკური ზოგჯერ იმდენად მნიშვნელოვან თავისებურებებს ავლენენ, რომ შეიძლება ცალკე დიალექტებადაც კი იქნეს მიჩნეული. მაგ., ზემოიმერული და ქვემოიმერული - იმერულში და ქიხიურული - კახურში.

თუ ქვედიალექტური ერთეულების (კოლოკაების, თქმების, ქვევების) გამოყოფის პროცესი მეტწილად გააჩვევრიდა, შედარებით პრობლემურია თვით ენასა და დიალექტს შორის განსხვავების დადგენა. მსგავს შემთხვევებში კლასიფიკაციები, რომელთა მიხედვით ხდება განსხვავებულ დიალექტურ ერთეულთა როგორც დამოუკიდებელ ენათა ან ერთი ენის დიალექტებად იდენტიფიკაცია, განსხვავებულ ენებში (შესაბამის რეგიონებში) შექმნილი კულტურული-ისტორიული პრობლების მიხედვით) განსხვავებულ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ენის ფუნქციონირებიდან გამომდინარე, ხშირად ძირითად კრიტერიუმად ჩვეულებრივ ასახელებენ ურთიერთთავგებობას: თუ განსხვავებულ დიალექტურ ერთეულთა წარმომადგენლებს ესმით ერთმანეთის, საქმე გვაქვს ერთი ენის დიალექტებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში - განსხვავებულ ენებთან. მაგრამ აღნიშნული კრიტერიუმი ზოგჯერ არ იძლევა ენისა და დიალექტის ცალსახად განსხვავების შესაძლებლობას. ერთი მხრივ, ცნობილია ენები, რომელთა დიალექტის იმდენად განსხვავებულია, რომ მათზე მოლაპარაკენი ვერ უკლებს ერთმანეთს, მაგ., ჩრდილოეთ და სამხრეთ იტალიური ან ჩინური დიალექტები. მეორე მხრივ, დანიურზე, ნორვეგიულზე, შვედურზე მოლაპარაკეთ ესმით ერთმანეთის, თუმცა ეს ერთეულები მიჩნეულია განსხვავებულ ენებად. მსგავსი სიტუაციაა რუსულსა და ბელარუსულს, რომინულსა და მოლდავურს, სპარსულსა და ტაჯიკურს, თურქულსა და აზერბაიჯანულს და სხვ. შორის. თანამედროვე სპარს. დიალექტები (ტუნისური, ალიური...) მნიშვნელოვანად განსხვავდებიან კლასიკური არაბულისაგან, მაგრამ მათი მიჩნევა ერთი ენის დიალექტებად განპირობებულია საერთო სალიტერატურო ენით. ასევე, ლიტერატურული ენა აერთიანებს პიზდი ენის განსხვავებულ დიალექტებს, ჩინურის დიალექტთა გამართიანებული აღმონდა იდენტრაფიული დამწერლობა, რომელიც არსებულ სამეტყველო ბარიერს შლის; სკანდინავიურ (და მსგავს სიტუაციაში მყოფ) ენათა დამოუკიდებლობა გამართლებულია ისტორიის, კულტურის, ლიტერატურის, პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით. ანგარიშგასაწვეი (ზოგჯერ ერთადერთი) კრიტერიუმი ენის მფლობელთა თვითშეგნება, რომელიც განაპირობებს ერთი და იმავე ენობრივი კოლექტივისადმი (resp. ენისადმი) მათ მიკუთვნებას ან მისგან გამოიჯანას. მაგ., პუშტუ (ავღანური) ენის დიალექტები, რომლებიც ენობრივად საკმაოდ დაშორებული არიან ერთმანეთს, მიიჩნევიან ერთი ენის დიალექტებად, ძირითადად ეთნიკური ერთიანობის შეგნების საფუძველზე. ასევე, თინიკური პიზდიებით ერთიანდებიან ქურთული ენის დიალექტებიც და სხვ.

მაგრამ როგორი მნიშვნელოვანიც უნდა იყოს ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა როლი სამეტყველო ერთეულების ენებად თუ დიალექტებად იდენტიფიკაციისათვის, ობიექტური ლინგვისტური კრიტერიუმების შემოტანის აუცილებლობა მაინც რჩება. ეს თავიდან აგვაცილებს სოციოლინგვისტური და საკულტურო ლინგვისტური კრიტერიუმების (და შესაბამისი ცნებების) აღივას, რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ენათა და, რაც უფრო არასასურველია, დიალექტთა რაოდენობის გაზრდა. დიალექტთა წრის ხელოვნური გაფართოება დიდ სირთულეებს შეუქმნის დიალექტურ კვლევის შესაბამისი მეთოდის უქონლობის გამო. ამასთანავე, საეხებით ცხადია, ენებისა და დიალექტების ლინგვისტური სტატუსის სწორად დადგენის მნიშვნელობა შედარებით-ისტორიული კვლევისათვის, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ ენათა ნათესაობისა და მონათესავე ენების ოჯახების დადგენას, არამედ საიმედო საფუძველს ქმნის ენათა ცვალებადობის მიხედვისა და მიმართულების, საერთოდ ენათა განვითარების კანონზომიერებათა დადგენისათვის. ამიტომ საკუთრივ ლინგვისტური კრიტერიუმების დამოშვება მუდმივად აქტუალურია ენათმეცნიერებისათვის. ერთ-ერთი ასეთი ცდა დიახისტემის

აგება, რომელსაც გვითავაზობს უ. ვაინრაიხი. სახელდობრ, დიასისტემა მოიაზრება როგორც მომოგენურ და დისკრეტულ სისტემათა მიმართ ხაერთო ენობრივი სისტემის გამოჩნატველი ფორმალურ მიმართებათა ქსელი, რომლის ჩარჩოებში შესაძლებელი ხდება დიალექტურ მოვლენათა შორის განსხვავებების ჩვენება (როგორც ინვენტარში, ისე დისტრიბუციასში). თანმიმდევრულად გატარებული დიასისტემური აღწერა საშუალებას იძლევა გავითვალისწინოთ დიალექტური მოვლენები მათი განსხვავებისა და უწყვეტობის პირობებში.

დიალექტური ერთეულების დინამიკურ კლასიფიკაციას გულისხმობს იელმსლევისეული „ცნებითი ივრარქიის“ (სისტემა, კატეგორია, ნიშანი, რიგი, ელემენტი) საფუძველზე შემოტანილი „სისტემური“ კრიტერიუმი (ა. ვედოშენკო). ამ კრიტერიუმით, დიალექტურ ერთეულთა ივრარქიაში ყოველი ობიექტი, როგორც კლასი, განიხილება სიმრავლედ, რომელშიც ცვლილებათა გარკვეული გრადაციები განსაზღვრავს დიალექტურ ერთეულთა ივრარქიას. თუ ცვლილებები ეხება კატეგორიებს, საქმე გვაქვს განსხვავებულ ენებთან; თუ კატეგორიათა ივიურობის პირობებში ცვლილებები ეხება ნიშნებს, შეიძლება ვილაპარაკოთ (ჩვენში მიღებული ტერმინოლოგიით) კილოზზე თუ არის ივიურობა კატეგორიისა და ნიშნის დონეზე, მაშინ განსხვავებების მიხედვით შეიძლება ვილაპარაკოთ კილოკაზე, ხოლო კატეგორიის, ნიშნისა და რიგის იფენტურობის შემთხვევაში – თქმაზე. მონათესავე ენებსა და დიალექტებს შორის განსხვავების დასადგენად ერთ-ერთ დინამიკურ კრიტერიუმად შემოთავაზებულია ენობრივ და დიალექტურ სისტემებს შორის არსებული შემდეგი სტრუქტურული განსხვავებები: ენობრივი სისტემის დამოუკიდებელი და დიალექტის დამოკიდებული ხასიათი; ხაერთოფენობრივი სისტემასთან შედარებით დიალექტურის ღია ხასიათი და, აქედან გამომდინარე, დიალექტური სისტემების მეტი გამჭვირვალობა და მათ შინაგან სტრუქტურაში მეტი ვარიანტულობა ენობრივთან შედარებით (ღ. ბარანიკოვა).

დიფერენციის პირველ საფეხურზე ხდება ხაერთო ფუძენის დიალექტებად დაყოფა, რომლის შედეგად წარმოიქმნება არა განსხვავებული სისტემები, არამედ მხოლოდ სისტემის ვარიანტები. ე. ი. ენის დიფერენციაციის დიალექტური დონე ფაქტობრივად არის სისტემის ვარიანტებად დიფერენციაციის დონე. მიმართებები, ერთი მხრივ, დიალექტებს, ხოლო მეორე მხრივ, მონათესავე ენებს შორის განსხვავებულია. ენობრივ და დიალექტურ სტატუსებს შორის სხვაობა, მაგ., ლექსიკურ დონეზე ასე წარმოვიდგება: ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი ერთი ენის დიალექტებში არსებითად იფენტურია, განსხვავება პერიფერიულ ლექსიკაში იწინებს თავს. მონათესავე ენებს შორის კ განსხვავებულია როგორც პერიფერიული, ისე ძირითადი ფონდის ლექსიკა. ამასთანავე, ამოსავალი მსგავსების დასადგენად რიც შემთხვევაში საჭირო ხდება დიაქრონიული მეთოდების გამოყენება. ასეთივე თვალსაწირო განსხვავებები დასტურდება მონათესავე ენათა ფონოლოგიურ, გრამატიკულ სისტემებშიც.

ლიტ.: გივინეი შვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I. ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1961; ვაინრაიხი უ., „შესაძლებელია თუ არა სტრუქტურული დიალექტოლოგია?“ თარგმ. ინგლ. – „მიმომხილველი“ (სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული), IV-V, თბ., 1968; ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989; ცოცანიძე გ., ქართულ-ქართველური დიალექტების განლაგება ენათა ენეალოგიურ ხეზე და მათი განლაგება ეთნო-კულტურულ არეალებში. – ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. უნივერსიტეტის მეცნი. აბაშიძის სახელობის სამეცნი. კვლევითი ცენტრის კრებული, II, 2002; ბარანიკოვა ლ. ი., О разграничении языка и диалекта. – «Язык и общество», М., 1968; Е в д о ш е н к о А. П., Диалектное членение языка и группировки или «классификация» диалектов. – Общие проблемы диалектологии и истории языка. Ответы на вопросы, М., 1969; Э д е л ь м а н Д. И., Проблема, «язык или диалект?» при отсутствии письменности. – Кр. «Лингвистическая география, диалектология и история языка», Ерван, 1976; К а с а т к и н Л. Л., Диалект. – Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990.

დიალექტოლოგია¹

დიალექტოლოგია (ლაპარაკი, თქმა, კილო, დიალექტი და logos – სიტყვა, მოძღვრება), ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის დიალექტურ მეტყველებასა და დიალექტებს. იგი შეიძლება იყოს აღწერითი ან ისტორიული. აღწერითი დიალექტოლოგია სწავლობს საერთო სახალხო ენას მის სივრცით განფენილობაში. ნებისმიერი თანამედროვე ეროვნული ენა არის რთული ერთიანი სივრცე, მორცხავი სახესხვაობათა მიხედვით კომპლექსს – სალიტერატურო ენას, სოციალურ და სტილურ, დიალექტურ მეტყველებას კი – ტერიტორიული ვარიანტებით. სწორედ ეს ტერიტორიული და სოციალური ვარიანტები მათ ინდივიდუალობასა და ერთიანობაში არის დიალექტოლოგიის შესწავლის ძირითადი ობიექტი.

დიალექტოლოგია, როგორც მეცნიერული დისციპლინა, ჩაისახა ეთნოგრაფიის წიაღში და გამოიკვეთა ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის შესწავლასთან ერთად. ადგილობრივი ენობრივი თავისებურებებიც განიხილებოდა როგორც ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებთა ეთნოგრაფიული ნიშნები. როგორც ენათმეცნიერული დისციპლინა, დიალექტოლოგია ჩამოყალიბდა XIX ს. შუა წლებისათვის და გაღრმავდა საუკუნის ბოლოსა და XX ს. დასაწყისში. დიალექტოლოგიის განვითარებასთან ერთად იცვლება და სრულყოფილი ხდება მისი კვლევის გზები და მეთოდები. თავდაპირველად დიალექტოლოგია შეისწავლიდა მეტყველების ცალკეულ, ძირითადად ლექსიკურ, თავისებურებებს, შემდეგ კი ენის ტერიტორიულ თავისებურებებს მისი სტრუქტურის ყველა დონეზე, მაგრამ ეს მიდგომა მაინც ატომისტური იყო – ენობრივი მოვლენები განიხილებოდა და შეისწავლებოდა იზოლირებულად, საერთო სისტემისაგან მოწყვეტით, რაც იმდროინდელი ლინგვისტიკის ზოგადი დამახასიათებელი ნიშანი იყო. XIX ს. ბოლოსთვის დიალექტოლოგიურ კვლევაში შემოვიდა კარტოგრაფიების მეთოდი – ცალკეულ ენობრივ მოვლენათა გადატანა გეოგრაფიულ რუკებზე ერთი ენის (ზოგჯერ მონათესავე ენების) გავრცელების მთელ ტერიტორიაზე და ერთგვაროვანი ენობრივი მოვლენების შეერთება ხაზებით – იზოგლოსებით, შემდეგ კი მათი თავმოყრა კრებულებად ატლასის სახით. დაინერგა აღწერითი დიალექტოლოგიის ახალი მიმართულება – ლინგვისტური გეოგრაფია, რომელიც გაბატონებულ მიმართულებად დაიკვიდრა. XX ს. II ნახევრიდან ამერიკის ლინგვისტურ წრეებში (უ. ვაინარაიხი) დაინერგა კიდევ ერთი დიასისტემური მეთოდი – ენობრივი სისტემების აღწერა ენის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე, მათი ვარიანტულობის ჩვენებით. ამჟვარი მიდგომა განიხილებოდა, როგორც ენათმეცნიერების ორი მიმართულების – დიალექტოლოგიურისა და სტრუქტურალისტურის დაკავშირების ცდა.

ისტორიული დიალექტოლოგია სწავლობს დიალექტური მეტყველების სტრუქტურას ისტორიას პერსპექტივაში – ენობრივ თავისებურებათა წარმოშობის მიზეზებს, იზოგლოსების დროით და ტერიტორიულ ასპექტებს, დიალექტურ ერთეულთა ჩამოყალიბების პირობებს და დიალექტებისაგან ახლო მონათესავე ენების წარმოშობას.

აღწერითი და ისტორიული დიალექტოლოგიის გარდა, გამოყოფენ აგრეთვე სოციალურ დიალექტოლოგიას, რომელიც შეისწავლის სოციალურ-კლასობრივ, პროფესიულ, ასაკობრივ, სქესთა და სხვ. ნიშნების მიხედვით მეტყველების დიფერენციაციას. სოციალური დიალექტოლოგიის საგანია აგრეთვე ქარგონული მეტყველებაც, რომლის თავისებურებებიც ძირითადად ლექსიკით, იშვიათად ფრაზეოლოგიით შემოიფარგლება.

დიალექტოლოგია ცდილობს მიაღწიოს ცნება „დიალექტის“ ცალსახა, არაწინააღმდეგობრივ დეფინიციას და იმ კრიტერიუმის დადგენას, რომლითაც მოხერხდება ენის და დიალექტის გამოჯენა: სად თავდება დიალექტი და სად იწყება ენა?

თითლება, რომ ქართული დიალექტოლოგია ჩაისახა XX ს. დასაწყისში, თუმცა ფრაგმენტული ცნობები ქართული დიალექტების შესახებ XVII ს. 80-იანი წლებიდან მოგვეპოვება, როდესაც თურქმა მოგზაურმა ველთა ჩულებიშ მესხეთში ჩაიწერა ორი ქართული ზღაპარი, რაც პირველ დიალექტოლოგიურ ჩანაწერად ითვლება. ცალკეული დიალექტოლოგიური ცნო-

¹ ქართული ენა, ენციკლოპედია, თბ., 2008.

ბები გეგვდება ს.-ს. ორბელიანთან (XVIII ს. დასაწყისი), ვახუშტი ბატონიშვილთან, მარ ბროსესთან (1834), გ. როზენთან (1846), რ. ერკერტთან (1895).

ქართული ენის დიალექტების სისტემატური მეცნიერული შესწავლა XX ს. 10-იანი წლებიდან დაიწყო, როცა 1911 წ. მარბა გამოაქვეყნა იმერხეული ტექსტები მოკლე ფონეტიკურ-გრამატიკული მიმოხილვითურთ. გამოქვეყნდა მ. ჯანაშვილის შრომა საინგილოს შესახებ (1911-19); ამავე პერიოდში ქართული დიალექტების აქტიური შესწავლა დაიწყო ა. შანიძემ („ქართული კილოები მოიპო“, 1915) და ეუკ. ბერიძემ. ოცინი წლებიდან უკვე ფართოდ გაიშალა დიალექტოლოგიური მუშაობა, რომელშიც ემბებიან ქართველ ენათმეცნიერთა უფროსი თაობის წარმომადგენლები: ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია და მათი მოწაფეების მთელი პლკადა. დიალექტოლოგიური კვლევის ორ ძირითად ცენტრთან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრასა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებასთან ერთად მუშაობდნენ საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრებიც. XX ს. 70-იან წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან დაარსდა საკაეშორი მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიის საკორდინაციო საბჭოს საქართველოს განყოფილება (გამგეფ აკად. შ. ძიძიგური, მოადგილე პროფ. ა. მარტიროსოვი, სწავლული მდივანი გ. ცოცანიძე). საბჭო კორდინაციას უწევდა დიალექტოლოგიურ მუშაობას მთელ საქართველოში.

საქართველოში დიალექტოლოგიური კვლევა მიმდინარეობს კონგრაციული კუთხეებისა და გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით. იკრიბება ტექსტობრივი და ლექსიკურ-ფრაზოლოგიური მასალა, რომლის საფუძველზეც ხდება დიალექტის ყველა დონის ენობრივ თავისებურებათა აღწერა, მომზადება და გამოცემა მონოგრაფიებისა თითოეული დიალექტის შესახებ. მეტ-ნაკლები სისრულით შესწავლილია ქართული ენის ყველა დიალექტი, გამოქვეყნებულია ტექსტობრივი და ლექსიკური მასალები, ბევრი მათგანის შესახებ არსებობს მონოგრაფიული გამოკვლევები: ს. ჟღენტი, „გურული კილო“ (1936); ა. ჭინჭარაული, „ხვესურულის თავისებურებანი“ (1960); თ. უფურცაძე, „თუშური კილო“ (1960); ა. მარტიროსოვი, გ. იმანიშვილი, „ქართული ენის კახური დიალექტი“ (1956); ი. ქავთარაძე, „ქართული ენის მიხეური დიალექტი“ (1982); გ. ცოცანიძე, „ფშაური დიალექტი“ (1978); შ. ნივარაძე, „აჭარული დიალექტი“ (1971); შ. ფუტყარაძე, „ჩვენებურების ქართული“ (1985) და სხვ. გამოცემულია განმარტადებული შრომები: ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია (I, II), მისივე, ქართველურ ენათა დიალექტები. დაწყებულია მუშაობა ლინგვისტური ატლასის შესაქმნელად. შედგენილია კითხვარი, ეწეობა ექსპედიციები სათანადო მასალების მოსაპოვებლად.

მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული ქართველურ ენათა დიალექტების ისტორიული ასპექტით კვლევისას. დგინდება წინარე ქართველური ენის დიალექტური დიფერენციაციისა და დიალექტების დამოუკიდებელ წებად განვითარების შეფარდებითი ქრონოლოგია; ისტორიული კანონზომიერებანი, რომელმაც მოგვცა დღევანდელ ქართველური ენებში ხმოვანთა და თანხმოვანთა ფონეტიკური რეგულარული შესაბუნისობანი. თანამდროვე ქართული ენის დიალექტების არაერთი მორფოლოგიური თუ სინტაქსური მოვლენა შეუკვდა ისტორიული თვალსაზრისით. მოვლენები, რომლებიც დასტურდება ქართული ენის მხოლოდ მთის დიალექტებში და ძველი ქართული ენის ადრეულ წერილობით დოკუმენტებში, ქართული ენის დიალექტების სხვადასხვა ისტორიულ პირობებში განვითარების შედეგია და მათ დიალექტოლოგიურ გამოკვლევებში სათანადო ადგილი ეთმობა.

ლიტ.: გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I. ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1961; თოფურია ვ., ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები. – კრ.: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბ., 1963; გამყრელიძე თ., მახავანთიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965; ძიძიგური შ., ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970; ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989; Лернер К. Б., Социальная природа языка и процесс языкового взаимодействия, Тб., 1989.

ქართული ენა, როგორც პოლივალენტოვანი სალიტერატურო ენა¹

ენა და მისი ფუნქციები. „პოლივალენტოვანი“ ნიშნავს „მრავალმხრივი ღირებულების მქონეს“ (ზედმიწვევით: „მრავალღირებულებიანს“).

„ღირებულების“ საკითხი აქ სალიტერატურო ენას ეხება და მის ფუნქციებსა და გამოყენების სფეროს ახასიათებს.

„ფუნქცია აქვს“ ნიშნავს დანიშნულებას ასრულებს. „მეტი ფუნქცია“ დანიშნულების ნაირგვარობას გულისხმობს. ფუნქციათა შეზღუდვა გამოყენების სფეროს დავიწროება იქნებოდა.

ფუნქციათა საკითხი უმწვერლო ენის მიმართაც დაისმის და სამწვერლო (სალიტერატურო) ენის დახასიათების დროსაც არსებითია. ენის ზოგადი განსაზღვრება პირველ რიგში მის ფუნქციათა ჩვენებაში მდგომარეობს.

მიუთითებენ ენის სამ ფუნქციაზე ეს ფუნქციებია: საკომუნიკაციო (ენა - ურთიერთობის საშუალება), საექსპრესიო (ენა - აზროვნების იარაღი) და საობიექტივაციო (ენა - გარკვეული შინაარსის გამოვლინება-გადმოცემა).

საკომუნიკაციო ფუნქცია ითვალისწინებს მოლაპარაკის რუთიერობას მსმენელთან (თუ მსმენელებთან): ვინც აგებინებს და ვისაც აგებინებენ ისაა.

საექსპრესიო ფუნქციას მხედველობაში ისა აქვს, თუ რა ეკისრება ენას მოქმედის აზრებისა და განცდების დანაწევრება-ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საობიექტივაციო ფუნქცია იმის მიხედვითაა გამოყოფილი, თუ რა მიმართებაშია თქმული სათქმელთან, იმასთან, რაც უნდა გადმოიცეს.

ამ სამ ფუნქციას თანაბარი მნიშვნელობა როდი აქვს: ძირითადია საკომუნიკაციო ფუნქცია, ორი სხვა უშუალოდ თუ შუალოდ საკომუნიკაციო ფუნქციას ემყარება.

ობიექტივაცია სათქმელთან თქმულის მიმართებას გულისხმობს; ამ მიმართებას კი მოქმედსა და მსმენელში აქვს ადგილი: მოქმედისა და მსმენელის გარეშე, ცოცხალი ადამიანის გარეშე, ასეთი მიმართება ფიქცია იქნებოდა. ვიქვათ, სიტყვები „ცეცხლი“, „წაყალი“ გარკვეულ საგნებთან მიმართებაშია ანუ, როგორც იტყვიან, მათ გარკვეული მნიშვნელობა მოუპოვებდა ქართულად მორაპარაკე ადამიანებისათვის: ვინც ქართული არ იცის, ამ სიტყვებს ვერ დაუკავშირებს სათანადო საგნებს. მაშასადამე, საობიექტივაციო ფუნქცია უკავშირდება საექსპრესიოს, როგორც მისი ერთი მომენტი (ამიტომ არა გვაქვს საფუძველი საობიექტივაციო ფუნქცია მივიჩნიოთ ძირითად ფუნქციად, როგორც ამას ხშირად ვარაუდობენ).

რაც შეეხება საექსპრესიო ფუნქციას, აქ თითქოს საკითხი არა დგას, თუ რაა არსებითი: საკომუნიკაციო თუ საექსპრესიო; ამ უკანასკნელის უპირატესობა თავისთავად ცხადი გვეჩვენება: ჯერ მოქმედი და მერე - მსმენელი; მოქმედი თუ გამოვრცხეო, მსმენელის საკითხიც მოიხსნება. სათქმელი ნაწევრდება მოქმედში, რომ ნათქვამი მსმენელმა აღიქვას; ჯერ სათქმელს გაეაზრებოთ და მერე - ვამბობთ. შეიძლება მსმენელი არც გვეავდეს და მაინც ჩვენთვის გაზროვნებდეთ, ვლაპარაკობდეთ კიდევაც: მონოლოგის შესაძლებლობა საექსპრესიო ფუნქციის უპირატესობას ცხადყოფს თითქოს.

და მაინც ეს ასე არ არის. ჯერ ერთი, მოქმედი ერთს შემთხვევაში სხვა შემთხვევაში მსმენელსა. მერე-და, მონოლოგს რომ წარმოთქვამენ, იმავე ენობრივ საშუალებებს მიმართავენ, რასაც მსმენელთან საუბარში: მონოლოგის დროს პოტენციურად „არსებობს“ მსმენელი. ასევეა წარსის დროს: დამწერმა არც იცის, რამდენი ვინმე წაითხზავს მის ნაწერს. სწორედ ამიტომ ის შეგნებულად ცდილობს, ნაწერი გასაგები იყოს მკითხველისათვის: მკითხველი, ეს „დაუსწრებელი მსმენელი“, გვაგონობინებს, რომ საკომუნიკაციო ფუნქცია აქაც ძალაშია, მას ვერ მივიწყებთ დამწერი (ისევე, როგორც ვერ უგულებელყოფდა მას მონოლოგის წარმომთქმელი).

ვთქვათ, სხვა ენობრივ წრეში ვიმყოფებით და დედაენაზე ლაპარაკის საშუალება არა

¹ ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, I, თბ., 1972.

გვაქვს: ჩვენს დედაენაზე (რასაც ურთიერთობის საშუალებად ვხმარობდით, რაზედაც ვას-
როვნებდით) ვეღარ ვსაუბრობთ იმის გამო, რომ ეს ენა არ იცინა ჩვენმა მოსაუბრეებმა.

აზროვნების იარაღად ხომ მაინც დავგრძეობთ დედაენას: აზროვნებას ხომ მსმენელი არა
სჭირდება? სასაუბროდ ერთი ენა გვექმნება, აზროვნებისათვის – სხვა (დედაენა).

ასეთი ვითარება უწყველო როდია, ოღონდ დიდხანს ეს ვერ გაგრძელდება: თანდათანო-
ბით იმ ენაზე დაიწყებთ აზროვნებას, რა ენაც სასაუბროდ გვაქვს, რა ენასაც საკომუნიკა-
ციო ფუნქცია აღმოაჩნდა. საკომუნიკაციო ფუნქციის მეტი ძალა – საექსპრესიო ფუნქციას-
თან შედარებით – ასეთ შემთხვევაში ხელშეახლება.

ამირიელ, საკომუნიკაციო ფუნქცია ძირითადია: მასზეა დამოკიდებული, ძლიერდება ენა
თუ დაბუნდება; მასზეა დამოკიდებული, ცოცხალია ენა თუ მკვდარი: ენა, რომელსაც არაფერ
ხმარობს ურთიერთობის იარაღად, ენა, რომელსაც არც ერთი დედა არ ასწავლის შვილს აკ-
ენიდანვე, მკვდარი აღმოჩნდება.

ლათინური ენა დახვეწილი სალიტერატურო ენა იყო იულიოს კეისრის დროს (ჩვენი წელ-
თაღრიცხვის უკვე პირველ საუკუნეში). ამ ენაზე დაიწერა: იულიოს კეისრის ჩანაწერები რო-
მელთა „ომის შესახებ გალების ქვეყანაში“ („De bello Gallico“, ციკლონის პოლიტიკური
სიტყვები სენატში, ოვიდიუს ნაზონის „მეტამორფოზები“, ვირგილიუსის „ეპიკა“, ტიტ ლივი-
უსის „რომის ისტორია“...

რომის იმპერიაში გაბატონებული ენა ლათინური იყო. საუკუნეების მანძილზე ეს ენა იყო
ერთადერთი სალიტერატურო ენა ახლანდელი იტალიის, საფრანგეთის, ესპანეთის... მიწა-
წყალზე.

და მაინც ეს ენა შეცვალა იტალიურმა, ფრანგულმა, ესპანურმა... ლათინური არავისთვის
აღმოჩნდა დედაენა, გამოვიდა ხმარებიდან, იქცა მკვდარ ენად. ლათინურს ასწავლიდნენ სკო-
ლებში, ლათინურ ენაზე წერდნენ სამეცნიერო გამოკვლევებს (მეცხრამეტე საუკუნეშიც კი –
ბოტანიკისებია, ექიმები...); აფთიაქში ახლაც ცოცხლობს ლათინური (წამლებს ლათინური სა-
ხელები ქვია!); მკვდარ ლათინურს ხელოვნურად აცოცხლებენ, სიცოცხლეს კი ლათინური
მაშინ გამოუსვამდა, როდესაც ოჯახში დედა აღარ ელაპარაკებოდა ბავშვს ლათინურად...

ენას ივიწყებენ ემიგრაციაში: გახტანტ მეექვსის მრავალრიცხოვანი ამაღლა, 1724 წელს რუ-
სეთს გაემგზავრებოდა, უძეოდ კი არ გადაშენებულა: ჩამომავლობა გაითქვიფა ძირითად მო-
სახლეობაში; ენა დაივიწყდა, გვარტომობაც შეცვალათ.

კახეთიდან მენედიმეტე საუკუნეში რომ მოსახლეობა აყარეს და სპარსეთში მიუხინეს
საცხოვრებელი ადგილი, მხოლოდ იქ დარჩა ქართველად (და დღესაც გურჯად იწოდება), სა-
დაც ენა შეინარჩუნა: ასეა ფერეიდანში; აქ ამ ორმოცდაათი წლის წინ 12 ქართული სოფელი
იყო (თოთხმეტედან), რომ ქართულს დაპარაკობდა (ქალებმა მხოლოდ ქართული იცოდნენ);
რიგ სოფელში (ზემო მარტყოფი, სიბაქი...) ქართული ენა დაუცავთ; მაგრამ ისეთი სოფლებიც
მოიპოვება (ქვემო მარტყოფი, შაურდი, ნინოწმინდა), სადაც გაბატონებულია სპარსული ანდა
ქურთული: ოჯახი აღარ ამის ენის ბურჯი (ცოლად ირთავენ ქურთსა თუ სპარსელ ქალს)...

ისტორიამ იმის მაგალითებიც იცის, რომ თავისი ენა დაივიწყებდა მთელ ხალხს და სხვა
ენაზე გადასულა: ბულგარული ენა სლავური ენაა, მაგრამ ბულგართა ტომი თურქული მოდ-
გმისა იყო (და ვოლგის სანაპიროებზე ბინადრობდა). ახლა ბულგარელები სლავ ხალხად მი-
იჩნევიან: ვინს შეცვალა ხალხის მეობის შეგნება შეცვალა და ეს გასაგებია: ენაა ხალხის
მეობის არსებითი ნიშანი.

სალიტერატურო ენა და ფუნქციების საკითხი. სალიტერატურო ენაც ენაა და ფუნქციების
საკითხი აქაც დგას, კერძოდ, საკომუნიკაციო ფუნქციისა და საექსპრესიო ფუნქციისა: ენის
ზოგად კანონზომიერებას ამ მხრივ სალიტერატურო ენაც ექვემდებარება.

ოღონდ ამას ერთვის საკითხი: რა და რა სფეროში მოიხმარენ სალიტერატურო ენას
ურთიერთობის საშუალებად და აზროვნების იარაღად?

გამოყენების სფერო განასხვავებს სალიტერატურო ენებს ერთმანეთისაგან.

სამწერლო ენაზე შეიძლება მხოლოდ წერა-კითხვას სწავლობდნენ; მასთან მოთხრობა-
დექსებიც იწერებოდას ამ ენაზე.

თუ სამწერლო ენაზე საშუალო განათლებასაც იღებენ, ეს თვალსაჩინოდ ზრდის სამწერ-
ლო ენის გამოყენების სფეროს: საუნებისმეტყველო საგნები (ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატო-
მია-ფიზიოლოგია... ფიზიკა, ქიმია...), მათემატიკის სპეციალობანი (ალგებრა, გეომეტრია, ტრი-

გონომეტრია...) სათანადო ტერმინების შექმნის გარეშე შეუძლებელია ვასწავლოთ (ინტერნაციონალური ტერმინები უთარგმნელად რჩება, მაგრამ ტერმინთა დიდი წილი იმ ენაზე უნდა ვეკონდეს, რა ენაზედაც ვასწავლით ამ საგნებს).

ქართულ ენაზე მწიგნობრობა ძველთაგანვე არსებობს: მეხუთე საუკუნეში ქართულ დამწერლობას უკვე ხანგრძლივი ტრადიცია უნდა ჰქონოდა – ქართულ ასოთა ჩამოყალიბებული სახით დაწერილობა ამას გვანიშნებს (ივ. ჯავახიშვილი).

ძველ ქართულ ენაზე მდიდარი თეოლოგიური და ფილოსოფიური ლიტერატურა მოგვეპოვება; მართალია, ჭარბობდა ნათარგმნი თხზულებები, მაგრამ თეოლოგიურ და ფილოსოფიურ ნაწარმოებთა თარგმნა დექსიისა და ენის სიმდიდრესა და ენის გრამატიკული წყობის მოქნილობას გულისხმობდა, მასთან ქართული ენის შესაძლებლობათა (ეკრძოდ, სიტყვაწარმოების) ამოქმედებას იწყევდა.

ყოველ ხალხს, მასთან მრავალმილიონიანსაც, საამაყოფ დაურჩებოდა ძველ ქართულ ენაზე შექმნილი ორიგინალური თუ ნათარგმნი ძეგლები, მეცხრე-მეთერთმეტე საუკუნით რომ თარიღდება (ზოგიც მეცხრე საუკუნეზე ადრეა თარგმნილი თუ გადაწერილი). ასეთი ძეგლების რიცხვი მარტოოდენ ხელნაწერთა ინსტიტუტში ორასამდე აღწევს.

ქართული მწიგნობრობის კერვე მთელად მონასტრები და იქ არსებული სკოლები ქმნიდნენ (მათ შორის სახელი გაითქვა უკვე ფეოტომეტე საუკუნეში გელათისა და იყალთოს აკადემიამ). ამ სკოლებში ქართულ მწიგნობრობას ითვისებდნენ და მწიგნობრებს წვრთნიდნენ. მასობრივი ხასიათი იმ ხანად მწიგნობრობა-განათლებას არც ბიზანტიასა და არც დასავლეთ ევროპის ქუეყნებში არა ჰქონია. საქართველოშიც მსგავსივე ვითარება დახტურდება.

ქართული სალიტერატურო ენა უკვე მეთერთმეტე საუკუნისა თავის დროის კულტურულ მოთხოვნილებას ღირსეულად ემსახურებოდა.

და მაინც: ქართული ენის დექსიკა ისე მდიდარ არასოდეს ყოფილა, როგორც ის ამჟამად არის, როცა ქართულად ენა აიღვა ყველა მცინერებამ, მათ შორის საბუნებისმეტყველომ და უმადლესი მათემატიკის სხვადასხვა დარგებმა.

ამ მცინერებთა მეტი წილი უკანასკნელ საუკუნეებში შეიქმნა, მათი ცნებები წინათ არ არსებობდა და სათანადო ცნებთა აღმნიშვნელი ტერმინები ძველ ქართულს, ცხადია, არ ექნებოდა. ამის გამო იყო, რომ საშუალო და უმაღლესი განათლება ქართულ ენაზე, ვთქვათ, 1916 წელს ვერ განხორციელდებოდა, თუნდაც რომ შეუძლებელი რამ მომხდარიყო და ამის ნება დაერთო მეფის მთავრობას (მაშინ ორად ორ ქართულ გიმნაზიაშიც კი – თბილისისა და ქუთაისისაში – ქართულად მხოლოდ ქართული გრამატიკა, ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია ისწავლებოდა, ყველა სხვა საგანი – რუსულად: ფიზიკა-ქიმიის, მინერალოგია-ბოტანიკისა, ალგებრა-გეომეტრიისა თუ ფსიქოლოგიის საკითხებზე მსჯელობა ქართულ ენაზე არ შეეძლო ახალგაზრდას, რომელსაც ქართული გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. ქართულად აზროვნება ამგვარ სპეციალობაში ჩვენს ახალგაზრდობას პირველად თბილისის უნივერსიტეტმა შეაძლებინა. და ეს მოასწავებდა ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინებას.

ჩვენ ახლა მივიწყებთ იმას, რომ ქართულ ენაზე ყველა დარგის ნააზრევი შეიძლება გადმოიკეს, შეეგვიფოთ ისე, რომ გვაიწყოვდეს, თუ რა გაზუსტებული მნიშვნელობა ჰქონდა ამას ქართული ხალხის კულტურული ცხოვრებისათვის, და – კერძოდ, ქართული სალიტერატურო ენის ძალთა ამოქმედებისა და სასიცოცხლო უნარის განმტკიცებისათვის.

ამდენი ქართული წიგნი, ჟურნალი, გაზეთი, ახლა რომ გამოდის, არაოდეს გამოდიოდა.

ამდენ ქართველ ბავშვს „დედაცანა“ ხელში არაოდეს აუღია, რამდენიც ამ წიგნით ახლა წერა-კითხვას სწავლობს.

რადით და ტელევიზია წინათ საერთოდ არ იყო, ქართულადაც, ცხადია, არ გვექნებოდა. ქართული ენის სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავება და დაცვა სახელმწიფო სახრუნავ საგნად წინათ არ ყოფილა...

სმირად ვჩივით: სალიტერატურო ქართულ ენაზე დიდძალი წიგნი და ჟურნალ-გაზეთი გამოდის, მაგრამ სტილი გაუმართავიაო, მორფოლოგიისა და სინტაქსის ნორმებს დამუშავება აკლიათ, დამუშავებული რაც არის, მტკიცედ არ ინერგებაო.

და კარგია, რომ ასეთი საკითხები გვაწუხებს, გვაწუხებს იმიტომ, რომ დედაენის ზრდა-განვითარების ბედი გვაინტერესებს.

ოღონდ ამაობაში არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ, ჯერ ერთი, ენა, საერთოდ, და სალიტერატურო ენაც, კერძოდ, უცვლელი არ არის და არც როდისმე ყოფილა (დახვეწილი ძველი ქართული დაწერილიც არ ყოფილა ერთგვარი ყოველთვის, ყველა მწიგნობარი გიორგი მთაწმინდელის ნათელი სტილით არ წერდა, რომ არაფერი ვთქვათ მეთორმეტე საუკუნის უკუდავ ორგინალურ ნაწარმოებზე „ვეფხისტყაოსანზე“: მწერელები არა მხოლოდ მთებშია იშვიათი).

კალკები ნათარგმნ ძველ სამღვდელმსახურო წიგნებში, როგორცაა „სახარება“, „დავითნი“, „დაბადება“, საძებარი არაა: მთარგმნელი ამოსავალ ტექსტს ხშირად შეგნებულად არ შორდებოდა („სადღესო შინაარსი“ რომ არ შერყენილიყო!) და ამის შედეგად გაჩნდა „სახარების“ პირველი ფრაზები: „აბრაამ შვა ისააკ“, „ისააკ შვა იაკობ“ და ასე შემდეგ (იქნებ უფრო ბუნებრივი ყოფილიყო „აბრაამის შვილი (ძე) იყო ისააკ“, „ისააკის შვილი – იაკობ“...).

მაგრამ ასევე სიტყვაისტევიტ გადმოსცემს სახარების ტექსტს ბერძნული, ლათინური, ძველი სლავური, ფრანგული და ინგლისური...

ასეთი კალკების მიუხედავად საეკლესიო წიგნების თარგმნამ დიდად შეუწყო ხელი ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრებასა და დახვეწას: აამოქმედა ქართული ენის პასიური ლექსიკური ფონდი და გაამდიდრა სიტყვაწარმოება.

ამრიგად: არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ სალიტერატურო ქართული ენა, როგორც ყოველი ცოცხალი ენა, უცვლელი ვერ იქნება. ამოცანა ისაა, რომ ცვლის ეს პროცესი მიზანშეწონილად წარემართოს: შევინარჩუნოთ და დავიცვათ ყველაფერი, რაც ფასეული შეუქმნია ქართული ენის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ერთი მხრით. მეორეცაა და სალიტერატურო ქართულ ენას შევუნარჩუნოთ სათანადო კავშირი ცოცხალი ხალხური მეტყველების უმრეტე წყაროსთან.

აქვე დავსძენთ: ქართული სალიტერატურო ენა ისეთ მკაცრ ნორმებს შეიძლება ვერ იცავდეს, როგორც ფრანგული, მაგრამ მოუგვარებელი საკითხები მასში შეუდარებლად მცირეა, ვინემ ისეთ მდიდარ ენაში, როგორც რუსულია.

ორთოგრაფია ხომ ქართულისა იდეალურია შედარებით ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ ენათა ორთოგრაფიასთან: ქართული ანბანი იდეალური და იმიტომ.

ერთი სიტყვით: მოსაგელს მოველა უნდა, ფასეული რაცა გვაქვს, დავასება ესაჭიროება.

ხოლო ყველაზე ფასეული და ქართული ენისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისა შემდეგი გარემოებაა:

ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციები ისე მდიდარი არაოდეს ყოფილა, როგორც დღეს არის, და ამ ფუნქციებს გამოყენების ისეთი ვრცელი სარბიელი არაოდეს ჰქონია, ვინემ დღეს აქვს.

ქართული სალიტერატურო ენა პოლიგლენტოვანი სალიტერატურო ენაა. მართალია, მოიპოვება ენები (ინგლისური, ფრანგული...), რომელნიც ინიშებენ, სხვადასხვა ხალხების ურთიერთობის ენა ვართო.

ასეთი პრეტენზია ქართულ ენას არა აქვს: ის ქართველი ერის კულტურულ მოთხოვნილებებს ემსახურება, ჩვენი კულტურული წინსვლის იარაღია.

ყველა ქართველის ვალია თავის მდიდარს, პოლიგლენტოვან დედაენას პატივი სცეს, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ყურადღება არ მოაკლოს და არ დაივიწყოს ის ძველი ჭეშმარიტება, რომ ენა არის ხალხის მეობის ძირითადი ნიშანი.

ბუნებრივია ყოველ ადამიანს უყვარდეს თავისი დედაენა და პატივისცემით ეკიდებოდეს სხვა ხალხის დედაენას.

ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართულურ ენებში¹

ცნობილია, რომ ზოგიერთ კავკასიურ ენასთან ერთად ქართულსა და მის გენეტურად მონათესავე მებრუნ-ჭანურსა და სვანურის ორ კილოს, სახელდობრ: ლენტეხურს (ქვემოხვანეთში) და ბალსქვემოურს² (ზემოხვანეთში) ოცობითი თვლა ახასიათებს. ანგარიშის დროს ჩვენ ვაბობთ: ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი და აქედან: ორმოცდაათი, სამოცდაათ ხუთმეტი, ოთხმოცდაათმეტი და ასე შემდეგ.

დღევანდელთან შედარებით ოცობითი თვლა ძველს ქართულში ცოტა სხვანაირად არის წარმოდგენილი. იქ იხმარება: „ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი“. აი მაგალითებიც:

ა) ორმოცი: „ორას ორმოცდა ოთხისა დრაქიანისა“ (ათონ. ივრ. მონასტ. კრებული 17,5-6); „ორმოც დღე და ორმოც დამე პური არა ჭამა“ (იქ ბოლნ. რედაქცია, 5); „რ'ლთა მე ორმოცეა წელი არს“ (კიმენი, 31, 25-26); „ქს მას პურიათა მათ ორმოცეა და ექუსსა წელსა აღიშენა“ (ადიშის სახ., იქ II, 20)...

ბ) სამოცი: „და გამოიღის ერთმან ოცდაათი და სამოცი და ასი“ (ადიშ. სახ., შრ. IV, 8); „და ნაყოფი გამოიღიან ერთმან ოცდაათი, ერთმან სამოცი და ერთმან ასი“ (იხ., შრ. IV, 20). აქვე აღსანიშნავია ერთი წერიმალე ფონეტიკური მოვლენა: „სამოცი“-ში ორი მს მაგიერ, როგორც ეს ზემო მაგალითში გვაქვს, ჩვეულებრივ ერთი მ გვევლინება, რადგანაც ქართული ენის ბუნებიდან გამოშინარე წების მიხედვით მეზობლად მდგომ ორ თანაბარ თანხმოვანთან ერთი იარგვის, ამიტომ არის, რომ ძველს ქართულში ასეთი მაგალითები გვხვდება: „სამოცი და ათი დანაკის-კული“ (კიმენი, 31,12); „გამოიწინა ოწ სხუანი სამოცი და ათორმეტნი“ (ადიშ. სახ., ლუკა X,1); „სამოცი წელი მაქუს“ (ველნ. № 1142, 6b); „ორათას სამოცდა ათი“ (ვანის სახ., № 1392, გვ. 208 b)...

გ) ოთხმოცი: „დაჯედ და დაწერე ოთხმოცი“ (ადიშ, სახ., ლუკა XVI,7); „მოისრნეს ფარანელთაგანნი... ოთხმოცე და ოთხი კაცი“ (კიმენი, 31, 25-26); „ვიდრეღარა ოთხმოცი და აცხრაშეტა [sic] მათ“ (ადიშ, სახ., მათე XVIII, 13); „დაუტევენა ოთხმოცი და ა[თ]ცხრაშეტნი იგი ანგელოზნი“ (იქ ბოლნ. ქადაგ., 28, 18)...

ამგვარად, ძველი ქართული გვაქვს: ორმოცი, სამოცი || სამოცი, ოთხმოცი, ხოლო ახლი: ორმოცი, ოთხმოცი (ეს შეკვეცი) და სამოცი (მეს დაკარგვით). მაგრამ უნდა ითქვას, რომ -გ-სა და -მ-ს დაკარგვა ახალი ქართულის შემოქმედება არ არის; იგი დაკარგულადვე ჩანს იმავე ძველს ძეგლებში, სადაც ვკითხვობთ: „მოსცა ეკლესიასა ორას ოთხმოცი“ (ათონ. კრებ., 226,13-14); „რომელსა შინა იყო სამოცი ექსაგი“ (იხ., 244,22-23); „ეპოვეთ... ას ოთხმოცე და ათექუსმეტი“ (არტყ. იერუს., ფგ, 12)...

მოყვანილ მაგალითებში ჩვენთვის ნაცნობია ორ'ი, სამ'ი, ოთხ'ი და ოცი, ჟ.ი პირველი და უკანასკნელი შემადგენელი ნაწილი, ხოლო გაუგებარია ძველი ქართული მათ შორის ჩართული მარცვლი -მე-. უნებლიედ იბადება კითხვა, თუ რას უნდა ნიშნავდეს იგი. მის ასახუნებად შეიძლება ორი მოსაზრების წარმოყენება: ა) ეგების იგი შემადგენთელ ნაწილად მიგვეჩინა? მაგრამ ამას ეწინააღმდეგება თვით ქართულის ბუნება, რომელსაც კომპოზიტებში არავითარი შემადგენთელი ნაწილიც არ ახასიათებს; ბ) თუ დავეუშვებთ, რომ მ: ორმოცი-ოთხმოცი'ში სამოცი'ის ანალოგიით მივიღოთ, მაშინ აუსხვლი დაგვრჩება ე'ს ჩართვა ერთის მხრით, და მეორეს მხრით, რომ აქ ანალოგიასთან არ უნდა გვეპონდეს საქმე, ამაში ცხადად დავრწმუნდებით, როცა ჩვენ ქართულის მონათესავე ენების თვლას გავითვალისწინებთ.

ქართული ენის ოცობით თვლაში გამოყენებული -მე- ელემენტი აკად. ნ. მარსს მრავლ. რიცხვის მაწარმოებლის - მისი სიტყვით - ხალხური -ებ სუფიქსის არქაულ შესატყვისად

¹ ვარლამ თოფურია, შრომები, III, თბ., 1979.
² სვანური ენის კილოებად დაყოფის შესახებ იხ. აკაკი შანიძე, უმაღლესი სვანურში: „არილი, პროფ. ივანე ჯავახიშვილისადმი... მიძღვნილი კრებული“, ტფილისი, 1925, გვ. 171-172.

მიანი³. უკანასკნელ განმარტებაში რომ მის ავტორს დავეთანხმოთ, ჩვენთვის მაინც გაუმგებარი დარჩება, თუ რად უნდა ყოფილიყვნენ ან ოცეულნი და ან, მით უმეტეს, ერთეულნი მრავლობით რიცხვში დასმულნი? ამას არ ეგუება ჩვეულებრივ სახელისა და განსაკუთრებით რიცხვის რიცხვთან შეთანხმება ქართულში! მაგრამ დავეუშვათ ერთი წუთით, რომ ეგ ნ. მარრის მიერ ახსნილი -მე მართლაც მრავლ. რიცხვის სუფიქსია, მაშინ ჩვენ საამისოდ მეგრულ-ჭანურში ხმარებული -ონ, -უნ ელემენტი, ქართული -მე'ს მორფოლოგიური ეკვივალენტი, მრავლ. რიცხვის ბოლოსართად უნდა გამოვაცხადოთ. ამგვარი ფუნქციით აღჭურვილი -ენა, -ონ სუფიქსი კი მეგრულ-ჭანურმა არ იცის. მაშასადამე, ვერც აკად. ნ. მარრის განმარტება დამაკმაყოფილებელია.

ახლა გავითვალისწინოთ თვით მეგრულ-ჭანური თვლა. ვაკაქს:

მეგრულ ში:		ჭანურ ში:
	40*	ჟურენენი ჟერენენი
სუმონენი სუმენენი	60	სუმენენი
ოთხონენი	80	ოთხენენი ⁷ :

როგორც ვხედავთ, თვლის სისტემა აქაც ქართულისებურია: აღებულია *ჟორ || ჟურ, სუმ, ოთხ ერთეული და მიმატებულია ე ნ ი („ოცი“), ხოლო ქართული -მე'ს მსგავსად ჩართულია -ონ (მეგრულში) და -უნ (ჭანურში). ეს ელემენტები მეგრულ-ჭანურის ნიადაგზე დღეს აუხსნეულია. შეიძლება კი ესენი ერთის შეხედვით ჭანურში ხმარებულ რიცხობის მაწარმოებულ -ენერ ან -ონ სუფიქსებთან⁸ დავეკავშირებინა, მაგრამ რიგი დაბრკოლებათა აქაც გველობება: თუ პირველს (ე. ი. ენერს) დავეკავშირებთ, მაშინ -ერის დაკარგვა უნდა ავხსნათ; ყოველ შემთხვევაში -ენის ბუნება ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს. მისი მრავლობითი რიცხვის სუფიქსობა, როგორც ეს აკად. ნ. მარრს მიაჩნია, ჩვენთვის საეჭვოა; თუ -ონ'ს - ჭანურს თვლაში იგი არაა გამოყენებული.

მაშასადამე, ერთეულ-ოცეულ შორის მოქცეული ძველ ქართულში -მე (ახლით: -მ); მეგრულში -ონ და ჭანურში -უნ ელემენტი არსებულ და მოსაყვანად შესაძლებელ მოსაზრებათა მიხედვით განუმარტებელია: იგი არც შემაერთებელი ნაწილაკია, არც ანალოგიითაა მიღებული და არც მრავლ. რიცხვის სუფიქსია.

მაშ რა უნდა იყოს? გასადღეს ქართულისავე მონათესავე სვანური უნდა იძლეოდეს. სვანურის ორი კილო: ღამსუური და ბალსუქმორი თვლას ათობით აწარმოებს, ამიტომ მათ ამ ჭამად ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს⁷, ხოლო დანარჩენი ორი კილო, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბალსუქმორი და ლენტეხური - ოცობით. თვით „ორ“ კი ათობითი თვლის სისტემაზეა დამყარებული: $2 < 2 \text{ ეგრე } + \text{ ეგრე} >$ („ორ + ათი“)⁸. ლენტეხური ჩვენი სა-

³ Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, §92, გვ., 73 და Др.- груз. словарь к 1-2 гл. евангелии Марка, С-Пб., 1913, ор. -მე, როგორც მრავლ. რიცხვ. მანვენებელი სუფიქსი, მოიპოვება, აკად. ნ. მარრისავე ჩვენთვის, ახალს ელამურში ანუ აქემინიდურ ლურსმულ წარწერათა მე-2 კატეგორიის ენაში (ib., §52 და Определ. яз. Ахем., §§ 17, 18).

⁴ ი. ყიფშიძე, Грамм. мингр. (инвер.), С-Пб., 1914, § 35 с და ნ. მარრი, Грамм. чанск. (лазск.) яз. СПб., 1910, § 34 და ი. ყიფშიძე, Дополнит. свед. о чанском. яз. С-Пб., 1911, § 34.

⁶ Грамм. чанск. (лазск.) яз., § 34 б.

⁷ დაინტერესებულთ მიუვითითებთ პროფ. აკ. შანიძის წერილზე: „ოცობით თვლა და ათობით წერა ქართულში“ („ჩვენი მეცნიერება“, № 11-12, ტყ. 1924, გვ. 13).

⁸ „ათ“-ისა და სვან. „ა-ეგრე“-ის ფონეტიკური ხატუების მეგრულში *„ოთი“ გახლავთ, საიდანაც ონის „ეი“ ჯგუფად დასმით [როგორც „ხომა || ხვიმა“, „ხოლარი || ხვილარი“] დღევანდელი „ეითი“ უნდა იყოს წარმომდგარი, წინააღმდეგ შემთხვევაში ეინის დართვა „ეითი“-ში გაუგებარი რჩება. სვანურ ეგრე ემდ'ის უ ეგრე'ს რეაქციამხილი უა და არა ემდ'ის კუთვნილება, ამას ლენტეხური ეგრე ემდ'ე უტ ერთის მხრით და მგორე მხრით როგაითი რიცხვი „მერმე“ [< მე-ეგრე-ე (მეორე) >] გვიმოწმებს. უკანასკნელი ქართულშიაო შემოსული (Н. Марр, Др.- груз. слов., ор. და Грамм., გვ., 18).

კითხის გასაშუქებლად საყურადღებოს არაფერს წარმოადგენს, ამიტომ მას განზე ვტოვებთ. მიუხედავად ბალსქვემოურს; იქ ითვლიან:

ეგრეჲ ეშდ („ორათი“), ურინერჲ ეშდ („ორმოცი“), სუმინერჲ ეშდ („სამოცი“), ამათი დაშლა შეიძლება შემდეგნაირად: ურ-ინ-ერჲ ეშდ, სუმ-ინ-ერჲ ეშდ. პირველი ურ, სუმ მიღებულია -ორ'ი და სემ'ისაგან („ორი“, „სამი“), ერჲ ეშდ ჩვენთვის ნაცნობია, ხოლო მათ შორის ქართულ-მეგრულის მსგავსად ჩართულია -ინ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ -ინ არ არის ისე გაქვევებულია წარმოდგენილი სვანურში, როგორც მისი მორფოლოგიური ეკვივალენტები ქართულ-მეგრულში. იგი ცოცხალი და გარკვეული ელემენტია სვანურში: ინმარე-ბა რიცხვთან და რაოდენობით ზმნისართებთან (როგორცაა: „ბევერი, რამდენი“) და ნიშნავს თანამედროვე ენით რომ ეთქვას: „ჯერ, ხელ“ („რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს“; გრიგოლ ხანძთა, ნუე) და ძველი ქართ. „გზის“ („სამგზის სანატრელი“...), მაგ: ეშხუ ინ („ერთჯერ“), უოშედლინ („რამდენჯერ“), ხუაინ || ხუაედინ („მრავალჯერ“), მაშახადამე, ურინერჲ ეშდ = ურ (<ორ „ორ“) + ინ („ჯერ, ხელ, გზის“) + ერჲ ეშდ („ორათი“).

ამგვარად, ქართულ-მეგრულ-განურისა და სვანურის თელის თანაბარი სისტემა და მორფოლოგიური იდენტობა გეაფიქრებინებს, რომ ქართ. -მე-სა და მეგრულ-განურ -ონ, -ენს ისეთივე ფუნქცია უნდა აქონდეთ დაკისრებული, როგორც დღეს სვანურში ცოცხლად დარჩენილ -ინს. და ეს თუ ასეა, მაშინ ორმეოცი = 2X20, სუმონეჩი = 3X20 და სხვ.⁹

ზემორე გამოთქმულ ჩვენს მოსაზრებას მხარს უჭერს კავკასიური ენებიდან აფხაზური, წოვა-თუშური (ბაბცური) და ჩანური (ქისტური), სადაც თელის ტიპი იგივეა, რაც ქართველურ ენებში. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ენათათვის საჭირო სატრანსკრიპციო ნიშნების უქონლობის გამო იძულებულნი ვართ ამგვარად მაგალითების მოყვანაზე უარი ეთქვას და მხოლოდ ლიტერატურაზე მივუთითოთ მკითხველს¹⁰.

⁹ მ. ბროსსეც კი სწერს, რომ სამოცი სამჯერ ოციად (3 fois 20... Grammaire georgienne, p. 56) და აღკავარულიც ადასტურებს, მაგრამ არა ჩანს, როგორ ესმით მათ, თუ როგორ ხდება სახელდობრ ეს ჯერობა ან გამრავლება. ი. ყიფშიძე ცდება, როცა ნ ჩანართად მიაჩნია (Грамм. мингр. (иерв.) яз. С-Пб., 1914, § 3, f და ახიმ. და დისიმ. წესი გვ. 8).

¹⁰ აფხაზურისათვის ნ. П. Услар, Абхазский язык, Тифлис 1887, § 89; წოვა-თუშურისათვის А. Schiefner, Versuch über die Thusch-Sprache, S.-Petersb. 1856, §§ 141, 146 და ჩანურისათვის (ქისტურისათვის): П. Услар, Чеченский язык, Тифлис 1888, §§ 44, 48.

პირველს (აფხაზურს) ხიმ. ჯანაშიამ და მეორეს (წოვა-თუშურს) პროფ. აკ. შანიძემ მიაქციეს ჩემი ყურადღება და სათანადო მასალებიც მომწოდეს, რისთვისაც მათ მადლობას ვუცხადებ.

ერთმაგი უარყოფის ფორმათა შესახებ თანამედროვე ქართულში¹

როგორც ცნობილია, წინადადება (მტკიცების მიხედვით) ან წართქმითია, ან უკუთქმითი. წინადადებას უკუთქმითობას ანიჭებს უარყოფითი ნაწილაკები (არ, ვერ, ნუ...) ან მათი მონაწილეობით მიღებული უარყოფითი ნაცვალსახელები (არაინ, ვერაინ, ნურაინ, არაფერი, ვერაფერი...) და უარყოფითი ზმნიხედები (არსად, ვერსად, ნურსად, არსაიდან, არასდროს, ვერასდროს...) შესაძლოა, უკუთქმითი შინაარსის გადმოსაცემად ერთ-ერთი მათგანიც საკპარისი იყოს: ან მხოლოდ უარყოფითი ნაწილაკი („არ მიქრის ცხენი უფსკრულის პირზე...“ ა. კალანდ), ან მხოლოდ უარყოფითი ნაცვალსახელი („სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად მოსულმა ვერაინ ნახა...“ ა. კალანდ), ან მხოლოდ უარყოფითი ზმნიხედა („მადლობა უფალს, ეს არასდროს განმეორდება“. ა. კალანდ). შესაძლოა გეჟონდეს ორმაგი უარყოფაც („ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი“. გ. ტაბ).

ჩვენ ამჯერად უარყოფითი ნაცვალსახელისა და უარყოფითი ზმნიხედების შემცველი წინადადებები გვიანტერესებს იმ თვალსაზრისით, თუ როდისაა მართებული მხოლოდ მათი მონაწილეობით (ანუ ერთმაგი უარყოფითი) უკუთქმითი შინაარსის გადმოცემა, ანუ არის თუ არა ყოველთვის „ზედმეტად“ ჩასათვლელი მათთან ერთად უარყოფითი ნაწილაკის გამოყენება.

ვიდრე ამ საკითხს შევხვებოდეთ, გავიხსენოთ, რომ ორმაგ უარყოფას ქართულში საგანგებო გამოკვლევა უძღვნა ვ. თოფურია ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში (იგი მოხსენებდა იქნა წაკითხული ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1923 წლის 4 დეკემბერს). ამ გამოკვლევაში ნათელყო, რომ ძველი ქართულის (X-XI საუკუნეებ) დაწერილ თუ გადაწერილ ძეგლებში, ბ-ნი ვარლამის სიტყვებით რომ ვთქვათ, „თუ ერთ-ერთი... უარყოფითი ნაცვალსახელი ან ზმნიხედა რომელსავე სინტაქსურ ორგანიზაციაში ამოყოფდა თავს, იქ მეორე უარყოფითი ნაწილაკი საჭირო არ იყო და იგი არც ინმარებოდა: გეჟონდა მუდამ ერთმაგი უარყოფა“ (თოფურია ვ. 2002, გვ. 310). არაინ არს წმიდა... ვერაინ შემძლებელ არს... ნუვინ უარყოფთ მე... არახადა ხეიღუა... ვერსადა წარემართოს... ნუსადა თქუან... და ა. შ. ერთადერთ გამონაკლისად ბ-ნი ვარლამი ადვის სახარებას ახახელებს, რომელშიც ორმაგი უარყოფის მხოლოდ ერთი მაგალითი გვხვდება (და არაინ არღარა იკადრა კითხვად მისა...). ყველა დანარჩენ (ჯრუჭის, პარხლის, ტბეთის) სახარებაში უარყოფა ერთმაგია (არღარაინ იკადრა კითხვად მისა...).

ვ. თოფურია საგანგებოდ მიუთითებს, რომ „ქართული ენის ბუნებას ორმაგი უარყოფა არ ახასიათებდა და ამიტომ მას ადგილი არ ჰქონდა თვით ბერძნულისაგან დამოკიდებულ სახარებაშიც კი“ (მოგახსენებთ, რომ ბერძნულისათვის ორმაგი უარყოფა დამახასიათებელი) და რომ „ადიშის სახარების ერთადერთი ორმაგი უარყოფა, ცხადია, შემთხვევითი ხასიათისაა და ამიტომ ჩვენი დასკვნა აქაც უცვლელად რჩება“ (თოფურია ვ. 2002, 314).

XI საუკუნის შემდეგ ვითარება შეიცვალა: თითქოს უარყოფითი ნაცვალსახელებისა და უარყოფითი ზმნიხედების „პირველ შემადგენელ ნაწილს უარყოფითობის ძალა დაეკარგა და ენა იძულებული გახდა მეორე უარყოფითი ნაწილაკის ხმარებისათვის მიემართა“ (თოფურია ვ. 2002: 314). თუ „ოთახნა და ვფოუმეს ცხოვრებაში“ ორმაგი უარყოფის მხოლოდ ოთხი მაგალითი გვხვდება (არარაი კვილი არა მოგაკლოს დმერთმა: ვერაინ ვერ მიუსწრის ცისგალისა ლოცვასა; ვერარაი ვერ დაარწმუნა; არცამცა ერთი ქართველი არა იპოვების... (თოფურია ვ. 2002, 321). თუ „ოთახნა და ვფოუმეს ცხოვრებაში“ ორმაგი უარყოფის ფორმები უკვე პარალელურადაა ნახმარი. შტრა: „ნუვინ გაპრვეთ ერთმანერთსა...“ (რუსთაველი: 24,4); „არსით ანდვს მიჯნურობა, არახადა იფერებდეს“ (რუსთაველი: 29,3); „აქა კაცი ხორციელი კვლა ყოფილა არაოდეს...“ და „ჩემსა ნუვინ ნუ დამადავს საჭურჭლესა დაღებულსა“ (რუსთაველი: 54,4); „გმრასათვის ვერ გამამობ...“ (რუსთაველი: 242,4); „თვესა ერთსა სულიერი კაცი არსად არ ენა...“ (რუსთაველი: 199,3) და ა. შ.

¹ ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, თბ., 2007.

აქედან მოყოლებული ორმაგი უარყოფა ფართოდ იკიდებს ფეხს საშუალება და ახალ ქართულში და კიდევობშიც „ფართო ასპარეზი აქვს მოპოვებული“. ასე რომ, ვ. თოფურიას აზრით, „ორმაგი უარყოფა ქართული ბუნებისაა“ (თოფურია ვ., 2002, 322). ის, რომ არც მეგრულ-ჯანურსა და არც სვანურს იგი არ ახასიათებს, მკვლევართათვის არ ყოფილა დაბრკოლება. იგი თვლიდა, რომ ორმაგი უარყოფა თავიდან არც ქართულს მქონდა და ამ ენათა გამოცდალკეების შემდგომაც კარგა ხანს არ ექნებოდა. მაგრამ ცოცხალი ენების განვითარების პროცესში ჩვენი ერთმაგი უარყოფა ორმაგით შეიცვალა“ (თოფურია ვ., 2002, 323). ორმაგი უარყოფის ფორმები დიალექტებში ალბათ ადრეც არსებობდა, სამწერლობო ენაში იგი მოგვიანებითაა გადასული.

შენიშნულია, რომ ორმაგი უარყოფის წარმოშობა-განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ფსიქოლოგიურ მომენტს აქვს. მოქმელი ცდილობს მსმენელის ცნობიერებაში ნათლად დააფიქსიროს უარყოფითი მიმართება ქვემდებარესა და შემასმენელის შორის, ამიტომ უარყოფითი ნაწილაკის დამატებით აძლიერებს უარყოფას. შერ.: იმას არაფერი აქვს ნათქვამი... და: იმას არაფერი არა აქვს ნათქვამი; ნურაინ გაბედავს... და: ნურაინ ნუ გაბედავს; არსად მინახავს... და არსად არ მინახავს... ამდენად, ორმაგი უარყოფის გაჩენა ცნობიერი სფეროდან მომდინარეობდა ჩათვლილი და არა ხელს შექანისზმით გამოწვევად.

ორმაგი უარყოფის დამკვიდრებისათვის ხელშემწყობად უნდა ჩათვალოს სინტაქსური ორგანიზაცია, სახელდობრ: როდესაც უარყოფითი ნაცვალსახელს ან უარყოფითი ზმნიზებასა და შემასმენელს შორის ერთი არ რამდენიმე სიტყვაა ჩასმული, სუსტდება უარყოფითობის ძალა. ამის გამოა, რომ საჭირო ხდება შემასმენლის წინ უარყოფითი ნაწილაკის ჩასმა, რათა აზრი არ გაბუნდოვანდეს. რომელი წინადადებაა უფრო ნათელი და გასაგები: ექიმებს მაშინ არაფრის გაკეთება შეუძლოთ, თუ ექიმებს მაშინ არაფრის გაკეთება არ შეუძლოთ? ან კიდევ: არაგის „კომპეტენტური“ აზრი მაინტერესებს, თუ არაგის „კომპეტენტური“ აზრი არ მაინტერესებს? კითხვა, რა თქმა უნდა, რიტორიკულია: ორმაგი უარყოფის უპირატესობა ასეთ შემთხვევაში, ფიქტობ, ეჭვს არ იწვევს.

რა ვითარებაა დღევანდელ ქართულში?
სანაღიზო მასალა ამოკრიბეთ გ. ლეონიძის, გ. შატერაშვილის, გ. დონანაშვილის, რ. ინანაშვილის, გ. ჩოხელის, გ. ცოცხაძის პროზაული თხზულებებიდან, ნაწილობრივ გათვალისწინებულია პოეზიის ენაც (გ. ტაბიძე, ა. კალანდაძე). წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ამ მწერალთათვის უპირატესად ერთმაგი უარყოფაა დამახასიათებელი, თუმცა ყველა მათგანი იყენებს ორმაგი უარყოფის ფორმებსაც.

არაგინ: არაგინ იცოდა, არაგინ ჩანდა, ხმას არაგინ გვეცმდა (გ. დონ.), არაგინ იცის (გ. ჩოხ.), არაგინ შაბრუნებს, არაგინ მიხმობს (ა. კალანდ.), არაგის შეუცხადებია (გ. დონ.), არაგის გაუკვლია (გ. დონ.), აქამდე არაგის ენახა (რ. ინან.), არაგისთვის მაამბია (გ. ცოც.), არაგის უნახავს (გ. ცოც.)...

ვერაგინ/ველარაგინ: ვერაგინ გენახავს დამხობილს (ა. კალანდ.), გვერდით... ვერაგინ ჩაუკვლის (ა. კალანდ.), ხმას ვერაგინ იღებდა (გ. ჩოხ.), ხევისბერის ნათქვამ სიტყვას ვერაგინ გადავა (გ. ჩოხ.), ...მიწის მიყრა ვერაგინ გაუბედა (გ. ლეონ.), იქ ველარაგინ მიპოვნის (გ. ცოც.). ველარაგინ ბედავდა გარეთ გამოსვლას (გ. ჩოხ.)...

ნურაგინ: ოღონდ ვერაგინში ნურაგინ მომედება (გ. დონ.)...
არაფერი: ეგეთი არაფერი გვინახავს (გ. ცოც.), სხვა არაფერი უპოვინათ (გ. დონ.), გინდაც არაფერი მომხდარიყოს (გ. დონ.), არაფერს ამბობენ (გ. შატ.), არაფერს ავინებს (გ. ჩოხ.), მეტი არაფერი მოგვთხოვთ, მეტი არაფერი ვიცითო (გ. ჩოხ.), იმის დანახვას არაფერი სჯობს (გ. ლეონ.), ცხვრის ბელადობაზე არაფერი მქონდა გაგონილი (გ. ცოც.), ხომ არაფერი დაუშავდა? (გ. ცოც.), არაფერი აქვს ნათქვამი (გ. შატ.), არაგის არაფერს წაართმევდა (გ. ცოც.), არაფერს ვაშკვებ (გ. დონ.), დაუკრეფავს არაფერს შეაწოდოთ ხელიო (რ. ინან.)...

არც ნაწილაკით გაძლიერებული: არც არაფერი გამიშვა (გ. ცოც.)...

ვერაფერი/ველარაფერი: ვერაფერი ნახა (რ. ინან.), ვერაფერი შეედრება (რ. ინან.), ამ კაცის ბრალს ვერაფერს ვხედავ (გ. ჩოხ.), ველარაფერს მორტყა (გ. ცოც.)...

ვერც ნაწილაკით გაძლიერებული: კარგა ხანი ვერც ვერაფერი დავინახე, ვერც ვერაფერი ვაგიგონე (გ. ცოც.)...

არასოდეს/არასდროს: იმდენი ყაყაო ერთად არასოდეს ენახა (გ. ჩოხ.), თავს უბედურად

არასოდეს ვივლი (გ. დონი), დედებს **არასოდეს** ეწვევებიან (რ. ინანი), ეს ხომ **არასოდეს** გავარდნი (გ. ცოც). ეს **არასდროს** განმეორდება (ა. კალანდ), ეს არის მიწის, დედამიწის მარადი ვსება იმ გრძნეულებით, რაც მის სულში **არასდროს** ქრება (ა. კალანდ)...

არაფრად: **არაფრად** ჩავაგდე ნათქვამი (გ. დონი)...

ვერაფრით: **ვერაფრით** ჩავაგდე გახურებულ კამათში სიტყვა (გ. დონი)...

არსად: **არსად** გვეხდება ფორმა „მოხინდა“ (გ. შატბ.), **არსად** დის წყალი (ი. კალანდ)...

არსაით: ხსნა თქვენგან **არსაით**, **არსაით** არს (ა. კალანდ)...

მივაქციეთ ყურადღება იმას, რომ ყველა მაგალითში უარყოფითი ნაცვალსახელი თუ უარყოფითი ზმინხედა უშუალოდ (წინსწრებით) უკავშირდება შემასმენელს. ამიტომაც ნათქვამი ბუნებრივი და გასაგები, ორპირობეა – გამოირიცხული. ამ ფონზე შესაძლოა ზედმიტევად მოგვექვენოს უარყოფითი ნაცვალსახელსა თუ ზმინხედასა და შემასმენელს შორის უარყოფითი ნაწილაკის ჩასმა; როგორც მოგახსენეთ, ამგვარი ორმაგი უარყოფა ნაკლებად, მაგრამ მაინც გვეხდება დასახელებულ ავტორებთან: გვენი **არაფერი არა** ჩანს (გ. ცოც), ასეთ ლაპარაკს... სასიკეთო **არაფერი არ** მოჰყოლია (გ. ჩოხ.), **არაფერი არა** ჩანს ისეთი (რ. ინანი), ერთი ვახნა დეუს შივ, სხვა **არაფერი არ** არის (გ. ცოც), რატომ **არაფერს არ** ამბობ, კაცო? (რ. ინანი), **არაფერზე არ** ეტყობა, რომ აქ ვინმე იყოს ნამყოფი (რ. ინანი) **არავის არ** სჭირდება ვეთი ზიარება (გ. ჩოხ.), ყოველთა დიდი არს სიყვარული და **არაფერი არ** არის მერე (ა. კალანდ), წყალი **არასდროს** არ ხმაურობს ასე (რ. ინანი), მე **არასოდეს არ** ჩავაქრობ შენს წმინდა ხანთელს (ა. კალანდ)...

უარყოფითი ნაწილაკი ხაზს უსვამს, აძლიერებს უარყოფითობას, თორემ, გადმოსაცემი აზრის სიცხადის თვალსაზრისით, იგი ბევრს არაფერს მატებს წინადადებას და არც მისი არქონით აკლდება ბეჭით რამ:

არაფერი არ მოჰყოლია – არაფერი მოჰყოლია.

არაფერზე არ ეტყობა – არაფერზე ეტყობა.

არავის არ სჭირდება – არავის სჭირდება.

არავინ არ გთხოვს – არავინ გთხოვს...

მაგრამ ორმაგი უარყოფა ხშირად ისეთ ვითარებაში გვაქვს, რომ მისი შეცვლა ერთმაგი უარყოფითი შეუძლებელია. მაგალითად:

აქ **არავისი** კვალი **არ** არის (გ. ცოც), ვერ ვიტყვით: აქ არავის კვალი არის; **არასოდეს** ასე **არ** სდომებია სიცოცხლე (რ. ინანი). შეუძლებელია: **არასოდეს** ასე **არ** სდომებია... **არავის** ყურადღებას **არ** აქცევს (გ. ცოც), ეს **არც ერთ** სხვა ვარიანტში **არ** გვეხდება (გ. შატბ.), **არაფერი** მას **არ** უგრძობია (ა. კალანდ), ხელმოცარულს **არავითარი** თანამდებობა **არ** უნდა მისცე (გ. დონი), სიცოცხლესთან მას **არავითარი** კავშირი **არა** აქვს (გ. ჩოხ.), მთიელი **არავითარ** შემთხვევაში **არ** იტყობა (გ. შატბ.)...

ასეთ შემთხვევებში ორმაგი უარყოფა ერთადერთი სწორი ვარიანტია და დასახელებულ მწერალთა თხზულებებიდან ამოკრებილ მასალაშიც ყველაფერი თავის ადგილზეა, არც ერთი მცდარი ფორმა არ შეგვეხვედრია, რასაც ვერ ვიტყვით იმ მასალაზე, რომელიც ქართულ პრესაში უხვად გვეხვდება და ხშირად გვესმის სატელევიზიო ეთერიდან (იქნება ეს საინფორმაციო გამოშვებები, ტოკშუები, რეკლამები თუ ქართულად დუბლირებული ფილმები). წარმოვიდგინოთ ამ მასალას:

სადაც სიყვარულია, **არავის** აზრი **მაინტერესებს**... ექიმებს **მაშინ** **არაფრის** გაკეთება **შეუძლებელი**... ნუთუ **არაფრის** გაკეთება **შეიძლება?**.. ეშმაკის „მოსახელე“ კარგს **არაფერს** უნდა **წარმოადგენდეს**... [ამას] **არანაირი** **სამართლებრივი** **შედეგი** **შეიძლება** მოჰყვას... **ვერანაირი** **სიყვარული** **შეუძრება** ბავშვის სიყვარულს... **ვერანაირმა** **ადგილობრივმა** **მმართველობამ** **აქმაყოფილა**... [ჩვენი ხელისუფლება] **გაღელვებს** **ვერანაირ** **გარანტიას** **აძლევს**... შესყიდვას **არავითარ** **შემთხვევაში** **დასთანხმებოდა**... ხალხი ქუჩაში **გამოვიდა**, **მაგრამ** **ვერც ერთ** **ადამიანი** **მიეკარა** **მოკლულს**... **ვერც ერთი** **ფერი** **წარმოაჩენს**... ჩვენს **კანდიდატს** **კონკურენციას** **ვერც ერთი** **კანდიდატი** **გაუწევს**... **ვერც ერთს** **მათგანს** **მივანდობთ** **ამ** **მისიის** **შესრულებას**... **სიყვარულისათვის** **არც ერთი** **დღე** **გვეჩანება**... **დანაშაულის** **ნიშნები** **არც ერთ** **მსხვერპლს** **ეტყობოდა**... **მოლაპარაკების** **დეტალებს** **არც ერთი** **მხარე** **ახმაურებდა**... **გულშემატკივრები** **ურეაქციოდ** **არც ერთ** **ქმედებას** **ტოვებდნენ**... **მისი** **გაუგუნა** **არც არაღლეიტომურ**, **არც** **ლეგტიმურ** **ხელისუფლებაზე** **ვრცელდება**... [ადმინისტრაციამ მას] **არც თვითმხილველთან**, **არც** **ღა-**

ზარალდებულთან გასაუბრების საშუალება მისცა... და ა. შ.

რა შეიძლება იყოს ამ ტიპის შეცდომების მიზეზი, რატომ ვრიდებიან ორმაგ უარყოფას? ვფიქრობ, ერთ-ერთ მიზეზად ქართულისათვის მართებულად მხოლოდ ერთმაგი უარყოფის მინიშნაა, ორმაგი უარყოფის განხეკი – სხვა ენების ზეგააღმასრულებლის შედეგი; მაგრამ შუკვე აღინიშნა, რომ ორმაგი უარყოფა, მართალია, მეორეული მოვლენაა, მაგრამ ქართულ კიდობებში დამოუკიდებლად, თავისთავად, უცხო ენათა გავლენის გარეშე აღმოცენებული. უცხო ენების (განსაკუთრებით – რუსულის) გავლენა მისი ფართოდ გავრცელების მხოლოდ ხელშემწყობ ფაქტორად შეიძლება იყოს მიჩნეული. საგანგებოდ შევინიშნავთ, რომ ამ შემთხვევაში იგრანუდებდა იმგვარი ორმაგი უარყოფა, როდესაც **უარყოფით ნაცვალსახელსა თუ უარყოფით ზმნიზედას უშუალოდ მოსდევს უარყოფითი ნაწილაკი** და რომლის შესახებაც ავტ. არაბულის „ქართული მეტყველების კულტურაში“ (არაბული ა., 2004): აღნიშნულია, რომ „ცალმაგი და ორმაგი უარყოფის ურთიერთმონაცვლეობა თავისუფალია და სტილისტიკის სფეროს განეკუთვნება“ (არაბული ა., 2004: 178); არავის შეუქმნევია // არავის არ შეუქმნევია; ვერაფერი შეეახმინე // ვერაფერი ვერ შეეახმინე; ნურაინ დაიკეხნის // ნურაინ ნუ დაიკეხნის; ვერასოდეს წარმოვიდგენდი // ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი...

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სინტაქსის ორგანიზაციის სხვა შემთხვევებზე, რომლებშიც ორმაგუარყოფიანი კონსტრუქციის გამოყენება აუცილებელია, რადგანაც სხვანაირად უკუთქმითობის ხარისხი იმდენად სუსტდება, რომ აზრი ბუნდოვანდება.

სწორედ ასეთი ვითარებააა ერთმაგი უარყოფის იმ მკვდარ ფორმებში, რომლებიც წარმოვადგინეთ. უარყოფითობის ხარისხის შესუსტებისა და აზრის გაბუნდოვანების მიზეზი აქ სხვადასხვაა: ან უარყოფითობის ნაცვალსახელი თუ ზმნიზედა სხვა სიტყვით (სიტყვებით) არის გათიშული შემასმენლისგან (არავის აზრი მინტერესს...), ან არაა გათვალისწინებული ის შესუღვლეები, რომლებიც გამოირიცხავს ერთმაგ უარყოფას და მეორე უარყოფითი ნაწილაკის ხმარებას საგაღმდებულოდ ხდის.

მართალია, ნორმა სახელმწიფო კომისიის მიერ საგანგებოდ დადგენილი არ არის, მაგრამ უარყოფის საჭიროება სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორის მიერ საკმაოდ თქმულა და დაწერილია. ჯერ კიდევ რვა ათწლეულ წელზე მეტი ხნის წინ ვ. თოფურია მიუთითებდა, რომ თუ უარყოფით ნაცვალსახელს ან უარყოფით ზმნიზედასა და შემასმენელს შორის რამდენიმე სიტყვა იყო ჩართული, „იქსაქსებოდა უარყოფითის ძალა და ამიტომ საჭირო ხდებოდა მეორე უარყოფითი ნაწილაკის შემასმენელთან მიშველიება“ (თოფურია ვ., 2002: 324). ბ-ნი ვარლამი იახუცა შეინიშნავდა, რომ ისეთ სიტყვებთან როგორებიცაა „არც ერთი“, „არავითარი“ და მისთანა, „მეორე უარყოფითი ნაწილაკის ხმარება დღეს საგაღმდებულო გამხდარა“ (თოფურია ვ., 2002: 325). ბ-ნი ვარლამი ფიქრობდა, რომ ორმაგი უარყოფის საჭიროებას შეიძლება განსაზღვრავდეს „გრამატიკული აზროვნების კვლევითი გამოწვეული შემასმენლის დაძლევა წინადადების სხვა ნაწილებზე და თვით შექმდებარეზედაც, რის გამოც შემასმენელი ითხოვს ურთიერთობის დამამყარებელი ნაწილაკების თავის გვერდით ყოფას“ (თოფურია ვ., 2002: 325).

ავტ. არაბულის სახელმძღვანელოში „ქართული მეტყველების კულტურა“ ჩამოთვლილია შემთხვევები, როდესაც ორმაგი უარყოფა აუცილებელია:

1. როცა უარყოფითი ნაცვალსახელი თუ ზმნიზედა გათიშულია უარყოფითი ნაწილაკისაგან: **არსად ისე არ მღერიან...**
2. როცა უარყოფითი ნაცვალსახელსა თუ ზმნიზედას დაერთვის ნაწილაკი -(ც)ა: **ვერაფერსაც ვერ ვხედავ... არსადაც არ მესქარება...**
3. როცა უარყოფითნაწილაკიანი სიტყვა მსაზღვრედ წვევს წარმოადგენს: მუცვლას სმაჰამის მეტე **არავითარი** დარდი არა ჰქონდა... მათზე სიფლელელება **ვერაფეთარი** გაუღენა **ვერ** მოახდინეს...
4. თუ ძირითადი წვევის უარყოფითობას გამოხატავს არც, ვერც, ნურც ნაწილაკები: მიე-ვარხარ და **არცვის** არ დაუთმობ შენს თავს! **არც** ერთს ხმა არ ამოუღია. **არც** ერთი აღ-დგობა, **არც** ერთი ბედნიერი დღე არ ახსოვდა; ხალხის მხარდაჭერის გარეშე **ვერც** ერთი მათგანი **ვერ** განხორციელებდებოდა... (არაბული ა. 2004: 178).

საგანგებოდ ვკინდა აღვნიშნოთ „ეურნალისტის სტილისტიკური ცნობარი“, რომელიც მომხადდა არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სპეციალისტებისა (მათ შორის – ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებისა – მთლიანად) და ივ. ჯავახიშვილის თბილი-

სის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის თანამშრომელთა მონაწილეობით. ამ „ცნობარის“ ძირითადი ნაწილი (ყურანდისტის სტილისტიკური ცნობარი 2002: 17-214) ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონია. მასში იმ ლექსიკურ ერთეულებს (უარყოფით ნაცვალსახელებს, უარყოფით ზმნიზედებს, უარყოფითი ნაწილაკის შემცველ კავშირებს...), რომლებიც აუცილებლად საჭიროებენ ზმნასთან უარყოფით არ ან ვერ ნაწილაკს, საგანგებო მითითება ახლავს, რომ ისინი ქმნიან ორმაგ უარყოფას.

ორთოგრაფიულ-სალიტერატურო ცნობარში ჩამოთვლილ ერთეულთაგან ორიოდ შეიძლება არ გამოირჩეხადეს ერთმაგი უარყოფის შესაძლებლობასაც (მაგ: ადრეც არაფრით (არ) გამორჩეულა, ვერაფრით (ვერ) დაეთიანხმე... მაგრამ ყველა დანარჩენს ალტერნატივა არ განიხილა: მათი მონაწილეობით შექმნილ კონსტრუქციებში ორმაგი უარყოფა აუცილებელია.

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც საკლვე საითხთან დაკავშირებით იყო შენიშნული, და იმასაც, რაც ჩვენს სახანალიზო მასალაზე დაკვირვებამ დაგვანახა, შეიძლება ითქვას შემდეგი:

თუ უარყოფითი ნაცვალსახელი ან უარყოფითი ზმნიზედა უშუალოდ შემასმენლის წინ დგას, მათ შორის უარყოფითი ნაწილაკი შეიძლება ვიხმართ ან არ ვიხმართ: ცილს ვერაზინ დაგვწამებს // ცილს ვერაზინ ვერ დაგვწამებს: არასოდეს გადაუხვევენ სწორი გზიდან // არასოდეს არ გადაუხვევენ სწორი გზიდან... ასევე ორივე შესაძლებლობა არსებობს იმ შემთხვევაშიც, თუ უკუთქმითობა ც ნაწილაკიანი უარყოფითი არც, აღარც, ვერც, ვეღარც, ნურც, ნულარც ნაწილაკებითაა გადმოცემული და ზმნა-შემასმენლისაგან სხვა წევრითაა გათიშული: არც მინდია უნდა დარჩეს ყველაფრის მცნობი (გ. ჩოხ.) შდრ: არც მინდია არ უნდა დარჩეს... ხშირად არც იმას მიუთითებ (გ. შატბ.). შდრ: ხშირად არც იმას არ მივუთითებ... ახლა აღარც ისინი არიან ცოცხლები (გ. ჩოხ.). შდრ: ახლა აღარც ისინი არ არიან ცოცხლები... როგორც აღენიშნეთ, ჩვენი სახანალიზო მასალა, რადგან თვალსაზრისით, ერთმაგ უარყოფას უჭერს მხარს, თუმცა უარყოფის საზგანმა-გაძლიერების საჭიროების შემთხვევაში ორმაგი უარყოფა კანონზომიერია.

მაგრამ ორმაგი უარყოფა საგაღდებულა:

1. თუ უარყოფითი ნაცვალსახელი ან უარყოფითი ზმნიზედა და შემასმენელი სხვა (სიტყვით) არის გათიშული: არაზინ ყურადღებას არ აქცევს... არსად სხვაგან ცხოვრება არ შეუძლია...
2. თუ წინადადებაში გვაქვს სიტყვები: არც ერთი, არავითარი, არამც და არამც, არათუ, არასგზით, არაფრის დიდებით, არც ერთხელ, შემასმენლის წინ არ ნაწილაკია საჭირო; ხოლო ვერავითარი, ვერასგზით, ვერც ერთი, ვერც ერთხელ, ვერაფრის დიდებით... შემასმენლის წინ ვერ ნაწილაკს საჭიროებს;
3. თუ უარყოფითი ნაცვალსახელი ან უარყოფითი ზმნიზედა პრაგმატიკური მსახდვრელის ფუნქციითაა გამოყენებული, შემასმენლის უარყოფითი ნაწილაკი აუცილებელია: აქ არავის კვლი არ არის (გ. ცოც); ვერავის სახელს ალბათ ასე ვერ გაუფრთხილდებოდა...
4. თუ ერთგვარი ქვემდებარეების ან წინადადების სხვა ერთგვარი წევრების წინ უარყოფითი არც, აღარც, ვერც, ვეღარც, ნურც, ნულარც ნაწილაკებია ნახმარი, შემასმენლის წინ მეორე უარყოფითი ნაწილაკი აუცილებელია: ვერც მუქარა და ვერც შანტაჟი უკან ვერ დამახვეინებს; არც სიცივისა და არც სიციხისა არ უნდა გეშინოდეს; ნურც სიცოცხლესა და ნურც სიკვდილს დაუფერად ნუ მოექცევი...
5. თუ უარყოფითი ნაცვალსახელი ან უარყოფითი ზმნიზედა მოსდევს შემასმენელს, შემასმენლის წინ უარყოფითი ნაწილაკი აუცილებელია. ვერ აკეთებს ვერაფერს, შდრ: ვერაფერს (ვერ) აკეთებს; არ ცდილობს არაფერს, შდრ: არაფერს (არ) ცდილობს; ნუ მეტყვი ნურაფერს, შდრ. ნურაფერს (ნუ) მეტყვი...

შემდგომმა კვლევამ ზოგი რამ შეიძლება კიდევ დააზუსტოს, მაგრამ, ვფიქრობ, აღნიშნულის გათვალისწინება აგვაშორებდა ერთმაგი უარყოფითის იმ მცდარ ფორმებს, რომელთა შესახებაც იყო საუბარი.

ლიტერატურა

არაბული ა., 2004: ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი, 2004
2002
თოფურია ვ., 2002: ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში, შრომები, II, თბილისი,
ქურნალისტის სტილისტიკური ცნობარი, 2002: ქურნალისტის სტილისტიკური ცნობა-
რი, თბილისი, 2002

დამოწმებანი:

რუსთაველი, 1986: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1986
რ. ინანი: რ. ინანიშვილი, ერთტომეული, თბილისი, 1981
ა. კალანდ.: ა. კალანდაძე, ლექსები, თბილისი, 2004
გ. ლეონ.: გ. ლეონიძე, ნატვრის ხე, თბილისი, 1976
გ. ტაბიძ.: გ. ტაბიძე, არტისტული ყვავილები, თბილისი, 1974
გ. შატბ.: გ. შატბერაშვილი, ჭაშნიკი, თბილისი, 1964
გ. ჩოხ.: გ. ჩოხელი, სულეთის კიდობანი, თბილისი, 2001
გ. ცოცან.: გ. ცოცანიძე, მეცხვარული ნოველები, თბილისი, 1999

უარყოფითი ნაწილაკების მართებულად ხმარებისათვის¹

ქართულში სამი უარყოფითი ნაწილაკი გვაქვს: არ (არა), ვერ (ვერა) და ნუ. სამივე ამითგანი ჯერ კიდევ უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება. ეს ნაწილაკები ერთიან ზმნას და უარყოფით მიმართებს აძლევენ წინადადებას, მაგრამ შინაარსობრივი ნიუნსებით თვალსაჩინოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: „არ“ მარტივ უარყოფას გამოხატავს, „ვერ“ უარყოფს მოქმედების შესაძლებლობას, „ნუ“ კი კრძალავს მოქმედებას².

ზემოხსენებულ ნაწილაკებს შეიძლება ერთოდეს კიდევ -ღა და -(ვ)ა ნაწილაკები. თავის მხრივ უარყოფითი ნაწილაკები მიმართებს სახით ან -ღა, -(ვ)ა ნაწილაკებთან ერთად დაერთიან სხვა მეტყველების ნაწილებს (მეტწილად – კითხვით ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს) და საპირისპირო მნიშვნელობას აძლევენ მათ. ის შინაარსობრივი ნიუნსები და სინტაქსური ფუნქციები, რითაც არ, ვერ და ნუ ნაწილაკები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათი მონაწილეობით წარმოქმნილ სხვა სიტყვებსაც გასდევს. ამგვარად, თითოეული უარყოფითი ნაწილაკი ცალკე რიგს ქმნის და ვლებულობთ უარყოფის გამოხატველ სიტყვათა სამ ჯგუფს:

1. მარტივი უარყოფა: არ, არა, არც, აღარ, აღარც, არაგინ, არაფერი, არაერთი, არსად, არასდროს...

2. შესაძლებლობის უარყოფა: ვერ, ვერა, ვერც, ვეღარ, ვეღარც, ვერაგინ, ვერაფერი, ვერაერთი, ვერსად, ვერასდროს...

3. აკრძალვა: ნუ, ნურც, ნულარ, ნურაგინ, ნურაფერი, ნურსად, ნურასდროს...

ეს სამსახეობა უარყოფისა, რომელიც ასე დამახასიათებელია ქართულისათვის, ჩვენი ენის სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს. ამ მხრივ სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სურათი წარმოგვიდგება. მაგალითად, ბერძნულსა და სომხურში გარჩეულია მარტივი უარყოფისა და აკრძალვის გამომხატველი ნაწილაკები, მაგრამ სპეციალური ნაწილაკი არ მოიპოვება შესაძლებლობის უარსაყოფად (საამისოდ გამოიყენება ან მარტივი უარყოფის, ან აკრძალვის გამომხატველი ნაწილაკები). რუსულს მხოლოდ ორი უარყოფითი ნაწილაკი მოეპოვება – не და ни. ამასთან не-ს გამოყენების არე ფართოა: იგი იხმარება როგორც მარტივი უარყოფის, ისე შეუძლებლობისა და აკრძალვის გამოსახატავად, იმ კი შედარებით იშვიათია და იხმარება მეტწილად не-სთან ერთად, როგორც უარყოფის გამამდიერებელი ნაწილაკი.

ცხადია, ის გარემოება, რომ უარყოფის შესაძლებლობანი სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარია, თარგმნის დროს გარკვეულ სიმძნელებს ქმნის. თარგმნის გარემოც თავს იჩენს ზოგი სტილისტური თავისებურება, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. ჩვენ ამჟერად მოკლედ განვიხილავთ ზოგიერთ საკითხს. სიმოკლისათვის შეეცხებით მხოლოდ უარყოფით ნაწილაკებს. იკულისხმება, რომ ამ ნაწილაკებისაგან ნაწარმოები ესა თუ ის სიტყვა უარყოფითი მიმართების მხრივ დაახლოებით ისეთსავე გავებას იძლევა და იმავე პირობებში გვხვდება, როგორც თვით ძირითადი ნაწილაკი.

ჩვეულებრივ, უარყოფა ეხება რაიმე მოქმედებას, რომელიც ენაში ზმნით არის გამოხატული. ამიტომ, ცხადია, უარყოფითი ნაწილაკები ზმნასთან არიან დაკავშირებული და მათი გრამატიკული თუ სტილისტური თავისებურებანი ზმნის მეზობლად, ზმნასთან შეფარდებით მლაენდება. უარყოფითი ნაწილაკები ქართულში ყოველთვის წინ უძღვიან ზმნას. მათი ადგილის შენაცვლება შეუძლებელია (გამონაკლისი შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ პოეტური დი-ცენციის სახით; მაგალითად: „მოვისვენებ სანამდის ვერ, სანამ ლეკსე ჯავრს არ ვიერ: დ. გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 62, 1931).

უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია, რა და რა ზმნურ გარემოცვაში იხმარება

¹ ზ. ჭუმბურიძე, ლიტერატურული წერილები, თბ., 1975.
² თ. თ. თ. თ., ორმაგი უარყოფა ქართულში (წელიწადული, 1924 წ., გვ. 77-78); ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1, 1953, გვ. 630.

ესა თუ ის უარყოფითი ნაწილაკი. ზმნის მწკრივთა მიხედვით თუ განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ არ და ვერ ნაწილაკები თანაბრად შეიძლება შეგვხვდეს ყველა მწკრივის ფორმასთან: არ აკეთებს - ვერ აკეთებს, არ აკეთებდა - ვერ აკეთებდა, არ აკეთებდეს - ვერ აკეთებდეს და ა. შ. ნუ-ს გამოყენების არე კი მწკრივთა მიხედვით შეზღუდულია. არ შეიძლება აკრძალვო იმისა, რაც უკვე მოხდა წარსულში, ამიტომ ნუ არ გვხვდება წვეტილის მწკრივთან, მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში შეიძლება შეგვხვდეს თურმეთითთან (როცა თურმეთითი ნახშირის მომავლის გაკეთება: „ნუ უცოცხლია“, „ნუ უცოცხაა“...). ნუ იშვიათია აგრეთვე უწყვეტობის, ხოლმეობითთან, კავშირების მწკრივებთან.

სინტერესოა უარყოფითი ნაწილაკთა გამოყენებაზე დაკვირვება სხვადასხვა კილოს ფორმებთან. ეს დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ვერ ნაწილაკი სრულიად არ გვხვდება ბრძანებითი კილოს ფორმებთან, ნუ კი პირიქით, ძირითადად სწორედ ბრძანებითი კილოს (აგრეთვე ნატურითი კილოს) ფორმებთან იხმარება. ამის მიზეზი ადვილად გასაგებია, თუ გაითვალისწინებთ ამ ნაწილაკთა შინაარსობრივ თავისებურებებს: ნუ-ს ფუნქცია აკრძალვა და ამიტომ უკუთქმით ბრძანებითში იგი ხშირად გვხვდება, ვერ კი აღნიშნავს, რომ მოქმედა არ სრულდება სუბიექტის სურვილისა და ცდის მიუხედავად, სუბიექტს არ შეუძლია მოქმედების შესრულება, ამიტომ ბრძანება ასეთ შემთხვევაში შეუფერხებელი და უადგილოა. ამ მხრივ საინტერესო სურათს იძლევა უარყოფითი ნაწილაკთა ხმარება გაბედა ზმნასთან: თხრობითი კილოს ფორმებში იგი იკვებს მხოლოდ ვერ ნაწილაკს, არ კი ამ ზმნასთან შეუძლებელია გეჭონდეს (ერთადერთი შესაძლო ფორმაა „ვერ გაბედა“, - „არ გაბედა“ არ ითქმის!), ბრძანებით კილოს კი მანაც გვაქვს: არ გაბედა! იმიტომ, რომ ვერ ნაწილაკი ბრძანებითში შეუძლებელია.

იმავე შინაარსობრივი თავისებურების გამო ვერ ნაწილაკი საერთოდ ვერ გვუბნება ინვერსიული წყობის ზმნებს ვერც ერთ მწკრივში. არ ითქმის: ვერ მწყურია, ვერ მშია, ვერ მიყვარს, ვერ მძულს, ვერ მცივა და ა. შ. სუბიექტური წყობის ზმნათაგან ასეთივეა ვიცვი (აქვე უნდა ითქვას, რომ „ვიცი“ ზმნა მვერულში და სვანურში სწორედ ინვერსიული წყობისაა: მვერ. მიჩქუ, სვან. მიხალ). დღეს ცოცხალ მეტყველებაში არის ტენდენცია „ვიცი“ ზმნასთან „ვერ“ ნაწილაკის ხმარებისა: მაგალითად, საუბარში შეიძლება ყური მოჰკრათ ასეთ ფრაზას: „დღეს გააკეთოდი კარვად ვერ ვიცი“, მაგრამ „ვერ ვიცი“ ცალკე ვითარების გარეშობის გარეშე არ იხმარება³.

ვერ ნაწილაკი არ იხმარება აგრეთვე არის, არ სელობს, იყვარევა, აქვს ზმნებთან, მაგრამ თუ ამითან რომელიმე ახლავს ვითარების განმარტება-დახასიათება, მაშინ ამ ნაწილაკის პარალელურად ვერ-ის ხმარება დასაშვებია: „ის ვერ არის, როგორც უნდა იყოს“, „ვერც მისი მომავალია სახარბიელო“, „კარვად ვერა აქვს საქმე“ და სხვ.

ვერ ნაწილაკს არ დაირთავს ბევრი სტატიკური ზმნა, კერძოდ, სახელო სიტყვიანის გამოხატვითი სტატიკური ზმნები: ავლია, ასხია, აყრია, აწერია, ახატია, ახურია, აწყვილია, ატყვია, არტყია, აცვია, აწინა და სხვანი.

რამდენიმე ზმნა, რომელნიც თავისი შინაარსით ქონების სიმცირეს ან, უფრო ხშირად, უქონლობას აღნიშნავენ, უარყოფითი ნაწილაკთაგან მხოლოდ არ ნაწილაკის იგულებს: არ აბადობ, არ გააჩნია, არ მოეპოვება, არ მოეხვევა, ამ ზმნებთან ვერ არ ნუ ჩვეულებრივ არ იხმარება, მხოლოდ გამონაკლისის სახით შეიძლება შეგვხვდეს ასეთი მაგალითით: „აი კითხვანი, რომელთაც პასუხი აგრე ადვილად ვერ მოეპოვება“ (ი. ჭავჭავაძე).

შემოსხმებული ზმნები დადებითი შინაარსით იშვიათად იხმარება და ისიც მხოლოდ რა ნაცუღსახელებთან ან სიცოტევის აღმნიშვნელ სიტყვებთან ერთად: „რა გააჩნია“, „რა აბადია“, „რაღა მოეპოვება“... „მეორე დღეს დილით... რაც გამაჩნდა, ბარგი თუ ბარხანა, გავისტუმრე სოფელში“ (აკაკი), „ჩიტო ბატონთან ვაიქცა საჩიველად... იმან სრულიად წამართვა, რაც რამ მებადაო“ (ხალაბური); „რამ გაფიქრებინა, ქალს გაძლევ მე შენ? რის პატრონს? რა გაბადა? - რატომც არ მებადა ია?“ (ი. ცაგარელი) „ი რაღაც საცოდავი ორი დღის ქერი

³ ვერ ნაწილაკი ზოგ ინვერსიულ ზმნასთან დასტურდება საშუალო ქართულში (იხ. მაგალითად, „შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები“, I, 1966, გვ. 78), მაგრამ ახალ ქართულში ეს ტენდენცია დაითრგუნა.



გვება და, ჩემო სიცოცხლე, სულ ერთიან ხელით მოვგლიჯეთ“ (ს. მგალობლიშვილი); „ნატალიის თუ ორიოდ გროში ებადა, ისიც დახარჯა“ (ე. ნინოშვილი); „აბა, თუ რამე მოგპყვება, გეიშველება, სული გიცხონდება“ (ჭ. ლომთათიძე) და სხვა.⁴

სალიტერატურო ენაში გვხვდება შემთხვევები, როცა ზემოხსენებულ ზმნათა სტილისტური თავისებურება გათვალისწინებული არ არის. განსაკუთრებით ეს ეხება გააჩნია ზმნას, რომელიც ხშირად ნახვარია არა სიმცირის აღსანიშნავად, არამედ, პირიქით: „ასეთი ცნობები მუხუყმსაც მრავლად გააჩნია“, „საღაგურებს გააჩნიათ უდიდესი შესაძლებლობანი“, „ქართულ ღლირიკას მრავალი თავისებურება გააჩნია“, „სახელზმნას ძველ ქართულში მეტი ზმნური ძალა გააჩნდა“ და ა. შ.⁵

უმათრესად უარყოფითი შინაარსით (არ ნაწილაკის დართვით) იხმარება აგრეთვე ზმნები: არ აბოგინებს, არ აჭაჭანებს, არ დაგადევს, არ დაეყვდრება, არ დაეხვდება, არ დაინდობს, არ ედგომება, არ ესაქმება, არ ესწავლება, არ ეჭაპნიკება... ასეთივეა აგრეთვე იდიომებად ქცეული გამოთქმები: „არ ეპიტნავება“, „აინუნშიც არ მოხდის“, „აინუნშიც არ ავღებს“, „არა უშავს რა“.

როგორც უკვე ვთქვით, უარყოფითი ნაწილაკები ქართულში შინაარსობრივი ნიუანსებით მკაფიოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომ მათი ერთიმეორის ადგილას შენაცვლება შინაარსობრივი ცვლილების გარეშე შეუძლებელია. თითქოს ერთადერთ გამონაკლისს ამ მხრივ წარმოადგენს ნუ და არ ნაწილაკთა მონაცვლეობა მოქმედების აკრძალვის დროს („ნუ გააკეთებ“ – „არ გააკეთო“, „ნუ ჭამს“ – „არ ჭამოს“), მაგრამ ამ ფორმებს შორისაც არის ერთგვარი განსხვავება: „არ გააკეთო“ – უფრო ჰაეროვანია, „ნუ გააკეთებ“ – თხოვნასაც შეიცავს, თანაც არ და ნუ ნაწილაკები უშუალოდ კი არ ენაცვლებიან ერთმანეთს, არამედ სხვადასხვა მწკრივის ფორმასთან ერთად მონაცვლეობენ: ნუ ერთვის თხოობითი კილოს მწკრივებს (ამჟყოს და მყოფადს), არ – კავშირებითს: „ნუ შჯით (ნუ დასჯით), რათა არა დაისაჯნეთ“ (მათე 7, 1). მხოლოდ იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს ნუ ნაწილაკის ხმარების შემთხვევები კავშირებითთან: „ნუ დაევიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის! ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მჟუხარის!“ (6. ბარათაშვილის).

ბრძანება და, კერძოდ, აკრძალვა მომავალში შესასრულებელ მოქმედებას ეხება, მაგრამ თუ მოქმედება, რომლის აღკვეთასაც მოითხოვენ, უკვე დაწყებულია, გამოიყენება აწმყოს ფორმა „ნუ“-ს დართვით („ნუ აკეთებ“), სხვა შემთხვევაში კი – მყოფადის ფორმა იმავე ნაწილაკით („ნუ გააკეთებ“) ან II კავშირებითისა – „არ“ ნაწილაკით („არ გააკეთო“).

კავშირებითის მწკრივის გამოყენება მომავალი დროის გადმოსაცემად ძველი ქართულიდან მოდის, მაგრამ უკუთქმით ბრძანებითში „ნუ“ ნაწილაკის დართვისას უკვე ძველ ქართულშივე გვხვდება ახლებურად ნაწარმოები მყოფადი (უფრო სწორად – ზმნისწინიანი აწმყო). საგულისხმოა, რომ ძველი ქართულის ისეთ უმნიშვნელოვანეს ძეგლში, როგორიცაა ოთხთავი, „ნუ“ ნაწილაკიან აკრძალვითის ფორმებში მხოლოდ ორიოდ შემთხვევაში გვხვდება კავშირებითის მწკრივი, ზმნისწინიანი აწმყო კი ძალიან ხშირია. ამათგან ზოგიერთ მაგალითში მოქმედების მიმდინარეობა აშკარად არ ივარაუდება და ზმნა მხოლოდ მომავლის გაგებას შეიცავს. ამრიგად, შეიძლება თქვათ, რომ ასეთ შემთხვევაში ჩვენ უკვე გვაქვს ახალი მწკრივის – მყოფადის ჩანახაზი. მაგალითად:

და რომელსა უნდეს სესხების შენგან, ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა მისგან (მათე 5, 42);

და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა (მათე 6, 13); რაჟამს გხადოს ვინმე ქორწილსა, ნუ დასჯდები პირველსა ხაინახესა (ლუკა 14,8) და მრავალი სხვა. არამცთუ სხვადასხვა უარყოფით ნაწილაკს, ერთსა და იმავე ნაწილაკსაც კი სხვადასხვა მწკრივითან ზოგჯერ სხვადასხვა ნიუანსი ახლავს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „არ“ ნაწილაკის სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა წყვეტილსა და I თურმეობითთან.

⁴ მაგალითები დამოწმებულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან.
⁵ დაწერილობით იხ. ნ. ყაუხჩიშვილი, მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხებისათვის, „ცისკარი“, № 6, 1960.



ჩვეულებრივ, როგორც ვიცით, არ ნაწილაკი მარტივ უარყოფას გამოხატავს, ოღონდ წარსულში შესრულებული მოქმედების მარტივი უარყოფისათვის ეს ნაწილაკი იხმარება თურმეობითის მწკრივებთან: „არ გაუკეთებია“, „არ უჭამია“... წვეტილთან კი იგივე ნაწილაკი აღნიშნავს, რომ სუბიექტმა მოქმედება განგებ არ შეასრულა, თუმცა შეეძლო შეესრულებინა: „არ გააკეთა“, „არ უჭამა“... (შეადარეთ უარყოფის მეორე სახე: „ვერ გააკეთა“, „ვერ უჭამა“ და სხვა ამგვარი, რაც ნიშნავს, რომ სუბიექტმა ვერ შეძლო მოქმედების შესრულება, მიუხედავად სურვილისა). როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული, „არ გამოიკეთებია“ და არ ვაგაკეთე ერთმანეთს უპირისპირდება მხოლოდ პოტენციალის შინაარსის მიხედვით, პირველში უბრალო უარყოფაა, მეორეში კი — კატეგორიული⁶. ამგვარი დაპირისპირება განსაკუთრებით დამახასიათებელია მოქმედებითი გვარის ზნებისათვის. ენებითში არ ნაწილაკი წვეტილთან და თურმეობითთან შესაძლოა განურჩევლად იხმარებოდეს: არ დაიწვა და არ დამწვარა, არ ჩაქრა და არ ჩამქრალა, არ იყო და არ ყოფილა.

არ ნაწილაკი წვეტილთან და თურმეობითთან იმდენად განსხვავებულ ნიუანსებს ატარებს, რომ ერთი მწკრივის მეორით შეცვლა ხშირად თვალსაჩინო სტილისტურ უხერხულობას ქნის. მაგალითად, როცა მთარგმნელი წერს: „მუსორგსკიმ დიდხანს არ იცოცხლა — სულ ორმოცდარი წელიწადი“, ისე ვამოდის, თითქოს დიდმა რუსმა კომპოზიტორმა განგებ არ იცოცხლა ორმოცდარი წელზე მეტ ხანს. ბუნებრივი ქართული იქნებოდა: „მუსორგსკის დიდხანს არ უცოცხლია“.

აი, კიდევ ერთი მაგალითი: „გუშინდელ მატნში არც ერთმა მოთამაშემ არ მიიღო ვიურის საუკეთესო შეფასება“. ასე აგებული ფრაზის მიხედვით გამოდის, თითქოს მოთამაშეები განგებ ცდილობდნენ არ მიეღოთ საუკეთესო შეფასება, სინამდვილეში კი, რასაკვირველია, მათ კარგი შეფასება ვერ დაიმსახურეს, — ვერც ერთმა მოთამაშემ ვერ მიიღო საუკეთესო შეფასება (ანდა შეიძლება მარტივი უარყოფისათვის მიგვემართა: „არც ერთ მოთამაშეს არ მიუღია საუკეთესო შეფასება“).

მოვიტანოთ კიდევ ორი ნიმუში, სადაც „არ“ ნაწილაკიანი წვეტილის მწკრივის ნაცვლად თურმეობითი უნდა გვექონდეს: „გუნდმა არც ერთი შეხვედრა არ მოიგო 20 ქულაზე ნაკლებ სხვაობით“, „შეიძლება დაიმკვიდროს მრგველის გულახდილობა, მაგრამ ამერიკა მან არ აღმოაჩინა“, „მათ არ განიცადეს ქალის სიყვარული“... „არ“-ნაწილაკიანი წვეტილის ხმარება ბუნებრივია, თუ ზმნას თურმეობითის ფორმა საერთოდ არ გააჩნია. მაგალითად: „მოლაპარაკებამ დიდხანს არ გასტანა“ არ გვეხამუშება, რადგან გასტანა თურმეობითის ვერ აწარმოებს, მაგრამ „მოლაპარაკება დიდხანს არ გაგრძელდა“ უვარგისი იქნებოდა, — ბუნებრივი ქართულია: „მოლაპარაკება დიდხანს არ გაგრძელებულა“.

ახლა ასეთი მაგალითი განვიხილოთ: „აკუნე შემომესმა... მაგრამ კარის გაღება არც მომისწრია, ძალით შემოაღეს და უცნობმა პირებმა ხელი მკრეს“. „არც მომისწრია“ მარტივი უარყოფაა და თურმეობითის მწკრივიც თითქოს თავის ადგილზეა („არ მოვასწარი“ ყოვლად შეუძლებელი ფორმალა), მაგრამ მოყვანილი ნაწვეტის შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ აქ უნდა გვექონდეს შესაძლებლობის უარყოფა: „კარის გაღება ვერც კი მოვასწარი“ ან; კარის გაღებაც ვერ მოვასწარი“).

როგორც ვნახეთ, თითოეული უარყოფითი ნაწილაკს გარკვეული შინაარსობრივი და სინტაქსურ-სტილისტიკური ფუნქციები აკისრია და თავისი გამოყენების სფერო აქვს, რითაც ისინი მკაფიოდ ემიჯნებიან ერთმანეთს. მაგრამ ზოგჯერ ქართულ სალიტერატურო ენაში გვხვდება ამ ნაწილაკების — განსაკუთრებით არ და ვერ ნაწილაკების — აღრევისა და არასწორად ხმარების შემთხვევები. ეს გარემოება ჯერ კიდევ ს. ხუნდაძეს ჰქონდა აღნიშნული⁷. შემდგომში ამ საკითხს ყურადღება მიაქცია თ. სახოკიაძე⁸. აი, ამ სტილისტური ნორმის დარღვევის რამდენიმე მაგალითი: „შეძლებენ თუ არა რევანსის აღებას?“ „მე მას ასეთი

⁶ ი. ქავთარაძე, უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, VIII, 1956; გვ. 191.
⁷ ს. ხუნდაძე, სალიტერატურო ქართული, ქუთაისი, 1901, გვ. 147-148; ჩემი აზრი და ფიქრები, I, ქუთაისი 1901, გვ. 59-60.
⁸ თ. სახოკია, ქართული ენა, სახალხო გაზეთი, № 348, 1911.

საკითხებით არ ვაწუხებდი და თავს არ ვაბეზრებდი, რომ შემეწუხებინა კიდევ, მაინც დარწმუნებული ვიყავი, რომ რაიმე საყურადღებოს არაფერი გავიგებდი“. „პატარა ტონოს თითქმის არასოდეს შეამჩნევდით დაღლას“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მაგალითები დიდი ილიას ენაშიც გვხვდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც სტილისტური ნორმის დარღვევად უნდა მივიჩნიოთ.

როგორც ვ. თოფურია შენიშნავს, „ორი სხვადასხვა დანიშნულებების მექანი უარყ. ნაწილაკების გაერთიანების ტენდენცია, ალბათ, რუსული ენის ზეგავლენას უნდა მივაწეროთ“.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გვხვდება აგრეთვე არ და აღარ, ვერ და ვედარ, ნუ და ნუღარ ნაწილაკების აღრევა, რაც მეგრულია და სვანურის გავლენას უნდა მივწერო: „საქართველოში არ იცნობს თითქოს, ვისაც სვანეთი აღარ უნახავს“; „მეყვარბარ-მეთქი, რომ არ ვთქვა, ვითომ ამ დომილითაც აღარ მეტყობა?“, „სანამ მთებს შემოვივლიდე, მხის ეშხით ნუღარ დაღნები“; „დედი, მეზობლებში ჯერ ხმას ნუღარ დასძრავ“; „და თუ სიცოცხლე მძაფრად მწყურია, მე ხომ უშნოდ ვედარ ავიტან, ჩემო მამალო!“

უარყოფით ნაწილაკთა ხმარებასთან დაკავშირებით ქართულში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ორმაგი უარყოფის საკითხი, რომელიც სპეციალურად შეისწავლა ვ. თოფურიაში. როცა წინადადებაში უარყოფითი ნაცვალსახელი ან ზმინიხდა არის წარმოდგენილი, ასეთ შემთხვევაში ზმანს უარყოფითი ნაწილაკი შეიძლება ერთოდეს და შეიძლება არა: არავი მოვიდა და არავინ არ მოვიდა, ვერაფერი დაიჭირა და ვერაფერი ვერ დაიჭირა, ნურასდროს გააკეთებ და ნურასდროს ნუ გააკეთებ... დღევანდელ სალიტერატურო ქართულში უარყოფის ორივე ეს სახე თანაბრად დასაშვებია და მათ შორის რაიმე შინაარსობრივი ან ფუნქციური განსხვავება არ არსებობს, - პარალელურად გვხვდება როგორც ცალმაგი, ისე ორმაგი უარყოფა.

მხოლოდ რამდენიმე უარყოფით ნაცვალსახელთან ერთად აუცილებლად საჭიროა გვეკონდგეს უარყოფითი ნაწილაკიც: სახელობარ, თუ წინადადების წევრად წარმოგვიდგება არც ერთი, ვერც ერთი, არავითარი, ვერავითარი, მაშინ ზმნასთან უარყოფითი ნაწილაკის ხმარებაც სავადდებულთა, ე. ი. მხოლოდ ორმაგი უარყოფა არის შესაძლებელი (მაგრამ საესებით დასაშვებია ასეთი მონაცვლეობა: „არც ერთი არ მოხვედრია“, - „ერთიც არ მოხვედრია“, „ეგრეც ერთი ვერ მორატყა“, „ერთიც კი ვერ მორატყა...“). მნიშვნელობა აქვს აგრეთვე წინადადების წევრთა რიცხვ: თუ უკუთქმით წინადადებაში შემახმენელი წინ არის წამოწვეული, ორმაგი უარყოფა გვექნება: არ მოვიდა არავინ („მოვიდა არავინ“ შეუძლებელია). შდრ. შებრუნებული წყობა: არავინ მოვიდა || არავინ არ მოვიდა).

„ეერ ერნის თურმე მის მწვანეს ვერც სიხვ, ვერც ზაზთარი“ (ილია).

„ეერ შეუტევეს ვერაფერი“ (შ. მღვიმელი) და სხვა.

როგორც ვ. თოფურია აღნიშნავს, ისტორიულად ქართულში მხოლოდ ცალმაგი უარყოფა იყო გავრცელებული. ასეთი ვითარება დღევანდლამდე შემორჩა მეგრულ-ჭანურსა და სვანურს. ორმაგი უარყოფის შემთხვევები სალიტერატურო ენაში X-XI საუკუნეებიდან გვხვდება, მაგრამ ეს მოვლენა უფრო ადრე უნდა ყოფილიყო გავრცელებული კილოებაში, საიდანაც საშუალო ქართულის ძეგლებში შეადგინა, ახალ ქართულში კი განსაკუთრებით გაძლიერდა. როგორც ჩანს, ორმაგი უარყოფა საკუთრივ ქართულ ნიადაგზე არის აღმოცენებული და განპირობებულია მთელი რიგი ფსიქოლოგიურ-ენობრივი ფაქტორებით. სხვა ენათა (კერძოდ, რუსულის) გავლენას ამ მიმართ მხოლოდ დამხმარე ფაქტორის როლი შეეძლო შეესრულებინა უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე⁹.

ამრიგად, დღევანდელ ქართულში გვხვდება უარყოფის ორივე სახე და მათ შორის არმეკანი მოქმედის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით სასწორი ცალმაგი უარყოფის სახარგებლოდ იხრება. ისეთი მწერლებიც კი, რომლებიც განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ ორმაგ უარყოფას, საერთოდ მაინც უფრო ხშირად ცალ-

⁹ ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში, „წელიწადული“, 1924, გვ. 77.
¹⁰ იქვე, გვ. 74-116. შდრ. თ. სახოკია, ქართული ენა, „სახალხო გაზეთი“, № 348, 1911; ალ. ნეიშანი, ზოგიერთ უმართებლო გამოთქმათა შესახებ („ლიტერატურული გაზეთი“, 4.III. 1960 წ.).

მაგ უარყოფას სჯერდებიან. სახელდობრ, ვ. თოფურიას დაკვირვებით, ორმაგ უარყოფას ქართულ კლასიკოსთაგან ყველაზე ხშირად დ. კლდიაშვილის თხზულებებში ვხვდებით, მაგრამ აქაც კი ორმაგი უარყოფის შემთხვევები 37,5%-ს არ აღემატება (ვაჟა-ფშაველას ენაში კი მხოლოდ 20%-ს შეადგენს).

უარყოფითი ნაცვალსახელები არარა, ვერარა და ნურარა ხშირად ზმნით არიან გათიშულნი და ქმნიან თავისებურ კონსტრუქციას: „იყო და არა იყო რა“, „არა გააკეთა რა“, „ვერა უპასუხა რა“, „ნურა უტანია რა“...

საშუალო ქართულის ძველთა მიხედვით შეუძლებელი არ არის ასეთ კონსტრუქციაში მეორე უარყოფითი სიტყვის დამატება. სახელდობრ, ასეთი მაგალითები ხშირად გვხვდება „რუსულანიაში“: „შიგ არაფერი არა იყო რა“ (456,28); „არა ნივთი თავისი საბატონისშიდო არა დააკლო რა“ (459,15); „არაფერი არა უჩანდათ რა“ (480,30) და ა.შ. „ვერნებ იმჟამად სრულიად არაფერი არა ვხმობდა რა“ (ნ. ლომოური, ყოველის მხრიდან: თხზულებანი, I, 1963, გვ. 214). არსებითად ეს არის არა ორმაგი უარყოფა, არამედ სრული ტაგეტოლოგია. სადაც მნიშვნელობით იდენტური ორი სიტყვა („არაფერი“ და „არარა“) ერთდროულად არის ნახმარი. ამიტომ ახალმა ქართულმა ასეთი ფორმები უარყო. აშკარაა, „არაფერი არა იყო რა“ და მისი მსგავსი ფრაზები სტილისტურად უმართებულა.

ორმაგი უარყოფის დროს სავალდებულოა შემდეგი წესის დაცვა: ერთ კონტექსტში უთუოდ ერთი რიგის უარყოფითი ნაწილაკები, ნაცვალსახელები და ზმნიხედები უნდა იყოს მოქცეული, სხვადასხვა რიგის უარყოფითი ნაწილაკებისა და სიტყვების ერთმანეთში არევა უხეშში სტილისტური შეცდომაა. სამწუხაროდ, ამჟამად შეცდომები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არც ისე იშვიათად გვხვდება. მაგალითად: „ბაჭი უღაჟს აცმაცუნებს, მეღა გრძელ კულს დააცუნებს, არც პირველს და არც მეორეს ცეკვას ვერ გინ დაუწუნებს“ (უნდა იყოს: ვერც პირველს და ვერც მეორეს...“). „არც ერთისა და არც მეორისათვის ეს ტიპი დამახასიათებლად ვერ მიიჩნევა“ (უნდა იყოს: „ვერც ერთისა და ვერც მეორისათვის“); „არც ერთი პირადი ნივთი... ჩვენ იქ ვერ ვიხილეთ“ (უნდა იყოს: ან „ვერც ერთი... ვერ ვიხილეთ“, ან „არც ერთი... არ გვიხილავს“); „არც ლინგვისტიკა, არც ლიტმცოდნეობა ჯერ ვერ გასცილდება პოეტური ენის საციფიკის შესახებ ზოგად მსჯელობისა და მოსახერხებების ფარგლებს“ (უნდა იყოს: ან „არც ლინგვისტიკა, არც ლიტმცოდნეობა არ გასცილდება“, ან „ვერც ლინგვისტიკა, ვერც ლიტმცოდნეობა ვერ გასცილდება“...).

აი კიდევ მსგავს დარღვევათა რამდენიმე ნიმუში: „ვერავითარი ახალი წარმატება ტექნიკისა ისე არ გადადარიბებს პოეტის სულს, რომ მან უარი სთქვას ასტრონომიულ პოეტურ ინვენტარზე“; „ვერავითარი დანახარჯი შეცნაბს უფლებას არ აქვს დაარღვიოს ელემენტარული სპორტული ნორმები“; „მოაგრულების საჭიროება არ უგრძნობთ მაშინაც კი, როდესაც პირველად ჩამოსხა მხედრული სატექსტო შრიფტი რომში (1629 წ.) და ვერც შემდეგ, როდესაც ვახტანგ მეექვსემ სტამბა დააარსა თბილისში“ და ა.შ.

ასეთი სტილისტური დარღვევის შემთხვევები აქა-იქ შეიძლება ჩვენი კლასიკოსების თხზულებებშიც შეგვხვდეს, მაგრამ ნორმად ის ვერ ჩაითვლება. სხვადასხვა რიგის უარყოფით სიტყვებსა და ნაწილაკებს თითქმის სხვადასხვა ჯგუფის სისხლი უღვათ და ერთის მეორეში შეგვსა არ შეიძლება.

ცხადია, უარყოფით ნაწილაკებთან დაკავშირებით სხვა საკითხებიც დაისმის გრამატიკული თუ სტილისტური ხასიათისა, მაგრამ ამჯერად მათ აღარ შევხვებით. განხილულის თაობაზე კი შეიძლება შემდეგი დასკვნები გვაკეთოთ:

ქართულში სამი ძირითადი უარყოფითი ნაწილაკი გვაქვს – არ, ვერ და ნუ, რომლებიც სხვა ნაწილაკებთან, ნაცვალსახელებთან და ზმნიხედებთან ერთად ქმნიან უარყოფით სიტყვათა სამ სხვადასხვა ჯგუფს.

ეს ჯგუფები შინაარსობრივი ნიუანსებით საგრძნობლად განსხვავდებიან და მათი გამოყენების სფეროები მკაფიოდ გამიჯნულია ერთიმეორისაგან.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში გავრცელებულია როგორც ცალმაგი, ისე ორმაგი უარყოფა, მაგრამ უფრო ხშირა პირველი. ორივე ნაცვალსახელებთან სავალდებულოა ორმაგი უარყოფა, სხვა შემთხვევებში კი ორივე სახის უარყოფა ნებისმიერად იხმარება.

ერთ კონტექსტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი ჯგუფის უარყოფითი სიტყვებისა და ნაწილაკების ხმარება.

ქართული ენის ლექსიკოლოგია (შესავალი)¹

ლექსიკოლოგიის ადგილი სხვა საენათმეცნიერო დისციპლინათა შორის: ფონეტიკა-ფონოლოგიის საგანი. — ფონემა არ არის მნიშვნელობის მატარებელი ენობრივი ერთეული. — „აღსანიშნი“ და „აღმნიშვნელი“. — სიტყვის მორფემული აგებულება. — „აღსანიშნის“ შემწვევლებელი საენათმეცნიერო დისციპლინები. — ლექსიკოლოგია და სიტყვაწარმოება. — სიტყვაწარმოება-ლექსიკოლოგია, ფდექსია-სინტაქსი. — ლექსიკოლოგია და სემასიოლოგია. — ლექსიკოლოგია და ონომასიოლოგია. — ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია.

რა ადგილი უჭირავს ლექსიკოლოგიას სხვა საენათმეცნიერო დისციპლინათა შორის? ცნობილია ენათმეცნიერების დარგები: ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი... თითოეული მათგანის საგანი მეტ-ნაკლებად გარკვეულია.

ფონეტიკა-ფონოლოგიის საგანი

1. ფონეტიკა-ფონოლოგია სწავლობს მნიშვნელობის მქონე ენობრივ ოდენობათა ბგერადობას, ენის ფონემათა სისტემას, ამ ფონემათა ფიზიკურ სუბსტანციას — ბგერებს (სამეტყველო ბგერათა წარმოქმნის პირობებს — სამეტყველო ორგანოთა ანატომია-ფიზიოლოგიას — და ბგერათა აკუსტიკურ თვისებებს), ფონემათა ურთიერთობას, მათ ორგანიზაციას მნიშვნელობის მქონე ერთეულებად — მორფემებად, სიტყვებად, შესიტყვებებად და ა. შ.

ამრიგად, ჩვენ ვლაპარაკობთ, ერთი მხრით, ფონეტიკურ-ფონოლოგიურ ოდენობათა შესახებ და, მეორე მხრით, მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეულების შესახებ.

საქმე ისაა, რომ ენის ფუნქციები (ენა — გაგებინების საშუალება და ენა — აზროვნების იარაღი) უთუოდ გულისხმობს მნიშვნელობის მქონე ერთეულებს: იმისათვის, რომ ენამ შეასრულოს თავისი დანიშნულება — ემსახუროს ადამიანთა ურთიერთობის საქმეს და გამოდგეს აზროვნების იარაღად, მის ერთეულებს აუცილებლად ესაჭიროებათ მქონდეთ მნიშვნელობა — ისინი რაღაცას უნდა აღნიშნავდნენ.

ფონემა არ არის მნიშვნელობის მატარებელი ენობრივი ერთეული

2. სამეტყველო ბგერებს თავისთავად მნიშვნელობა არა აქვთ. ძირები თუ ფორმანტები (მორფემები), სიტყვები, შესიტყვებები აგებულია ფონემებისაგან, მაგრამ ისინი (მორფემები, სიტყვები, შესიტყვებები) როგორც მნიშვნელობის მატარებელი ერთეულები ფონემებად არ ნაწილდებიან.

ვერ ვიტყვით, მაგალითად, რომ *ღურჯა*-სიტყვაში *ღ*-ფონემასთან იყოს დაკავშირებული ამ სიტყვის რაიმე მნიშვნელობა ან მნიშვნელობის რაიმე მხარე. ეგვევ ითქმის *რ, ჯ, ზ, ბგერების შესახებ*.

აქ, ერთი შეხედვით, ჩვენი მსჯელობა გაუმართლებელი ჩანს უკანასკნელი ა-ფონემის მიმართ. მართლაც, *ღურჯა*-სიტყვა *ღურჯა*-სიტყვასთან შედარებით განსხვავებული მნიშვნელობის მქონეა და ეს მნიშვნელობა სწორედ ცალკე ფონემასთან, ა-სთან, ჩანს დაკავშირებული.

ღურჯა გამონაკლისს არ შეადგენს. ასევე, განსხვავებული მნიშვნელობა აქვს *წითელა*-სიტყვას *წითელი*-სიტყვასთან შედარებით და ეს განსხვავება სწორედ *ა-ფონემასთან* არის დაკავშირებული; ასევე *წაბლა* — *წაბლი* სთან შედარებით *კუდა* — *კუდი* სთან შედარებით, *დრამატურგია* — *დრამატურგი*-სიტყვასთან შედარებით...

ბოლოკიდური აბგერით განსხვავდება *დაწერა* — და *დაწერ-ზმნები*, *კაცია* — და *კაცი*-სახელები...

ასევე, *წერს* და *აწერს*-სიტყვებს შორის განსხვავებას თავიკიდური ა-ფონემა ქმნის; ეგვევ

¹ ბიძინა ფონხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.

თავიკიდური ა განახლებაებს იღებს- იღებს-სიტყვებს.

ა და ბ ფონემებთან, მათ მონაცვლეობასთან არის დაკავშირებული განსხვავება ამ სიტყვებს შორის: *იუქა - იუქი, აკეთეს - იკეთებს, აქ - იქ, ასე - ისე, ამან - იმან...*

ა დამოუკიდებელ სიტყვადაც შეიძლება გამოვიდეს: „ა, ქალი, ვაშლი წითელი“ (ხალხური), „ა, შეურთა აღმასხანას ტყვეს“ (ნ. ლორთქიფანიძე).

სიტყვათა განსხვავება, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია არა მხოლოდ ა-ფონემასთან.

ზოგჯერ *ა-ფონემის* დართვა-დაუბრუნებლობასაც ახლავს განსხვავება სიტყვათა შორის: *წერს - იწერს, ფრიად - ფრიადი...* გარდა ამისა, *ა*, როგორც დაფინახეთ, არაიშვითად უპირისპირდება *ა-ფონემას* განსხვავებულ სიტყვათა წყვილებში: *იკეთებს - აკეთებს, იქ - აქ...*

ასეთივე ვითარება შეინიშნება ზოგ სხვა ფონემასთანაც:

ნება - ენება-სიტყვებიც ერთი ფონემის, *ეს* დართვა-დაუბრუნებლობით ჩანს განსხვავებული; *ე - ი*ს მონაცვლეობასთან არის დაკავშირებული მნიშვნელობის განსხვავება *ებრძვის - იბრძვის-სიტყვებს* შორის, *ეს - ის-სიტყვებს* შორის; *ე - ა-მონაცვლეობასაც* მოხდევს მნიშვნელობის განსხვავება: *ვგრე - ავრე; ე* დამოუკიდებელ სიტყვადაც გამოდის: „*ე* როგორ არის, ვერ მიხვდი, როგორი განაწმინა“ (რ. ერისთავი).

წერს - უწერს-წყვილში განსხვავება *უ-ფონემასთან* არის დაკავშირებული, *ძმა - ძმოდ-სიტყვებში* - *ო-ფონემასთან*.

მაგრამ ყველა მოყვანილ მაგალითში (მაგალითების რაოდენობა, ცხადია, ადვილად შეიძლება გაეზარდოს) „ფონემისა“ და „მორფემის“ საზღვრები შემოხვევით დაემთხვა ერთმანეთს: მოყვანილ მაგალითებში (*ა, აქ, ი, იქ, ე, იქ, ო, უ...*) საქმე გვაქვს „მორფემებთან“ - გარკვეული ფუნქციის, გარკვეული მნიშვნელობის მატარებელ ენობრივ ოდენობებთან: *იკეთებს - უკეთებს-წყვილში* თავიკიდური *ი* და *უ* მნიშვნელობებს გააჩვენებს როგორც მორფემებს და არა როგორც ფონემებს (შდრ. *უკეთებს - მიკეთებს*; ამ წყვილშიც გვაქვს *ი* და *უს* მონაცვლეობა, მაგრამ მნიშვნელობების განსხვავება მათთან არ არის დაკავშირებული); *ლურჯაში - ლურჯისთან* შდარებით - მნიშვნელობის განსხვავება *ა*სთან როგორც მორფემასთან (და არა როგორც ფონემასთან) არის დაკავშირებული.

3. რაც შეეხება თვით ფონემებს, ისინი მხოლოდ საღმწმენლო მასალას წარმოადგენენ მნიშვნელობის მქონე ენობრივ ოდენობათათვის (მორფემებისათვის, სიტყვებისათვის), მაგრამ თავისთავად მნიშვნელობის მქონე ოდენობები არ არიან.

სამეტყველო ბგერა, ფონემა, მნიშვნელობის მატარებელი ოდენობა რომ ყოფილიყო, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა არსებულყოფი ენაში ერთგვარად მშვენი, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის მორფემები ან სიტყვები, ვ. ი. შეუძლებელი იქნებოდა მთის¹ საპირისპირო ბარი-სიტყვისა და თოხისაგან² განსხვავებული ბარი-სიტყვის არსებობა ქართულში, ან შორისდებულ არა და თურქულთან მომდინარე არა-სიტყვის არსებობა რუსულში, ან კიდევ გერმანულში *die Weide* 'ტირიფი' და *die Weide* 'ხაძვიარი' და სხვ და სხვ.

ფონემა რომ მნიშვნელობის მატარებელი ოდენობა ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა ერთგვარი მნიშვნელობის მქონე მორფემების თუ სიტყვების არსებობა. ქართულში არ გვექნებოდა *ტუნი* და *ბაგე*, *ჩიბუხი* და *ჯალიონი*, *იმან* და *მან...* ასევე რუსულ ენაში ერთდროულად ვერ იარებებდა *актер* და *артист*, *ფრანგულში motif* და *raison...*

4. თუ სამეტყველო ბგერას მივაწვდით მნიშვნელობის განსხვავების ფუნქციას, უნდა გვევარაუდა, რომ ამა თუ იმ ენის ფონოლოგიურ სისტემაში ისტორიული ცვლილებები უშუალოდ არის შეპირობებული მნიშვნელობის განსხვავების თუ განუხსნავებლობის საჭიროებით; ამგვარი ვარაუდი კი შეუთავსებელია ენის ისტორიის ფაქტებთან:

ძველ ქართულში არსებობდა ჳ-ბგერა, დროთა განმავლობაში იგი გაქრა - *ხ-ბგერას* შერწყმა; თუ ჳს მივაწვდით მნიშვნელობის განსხვავების ფუნქციას, მაშინ უნდა დავგვეყენა - ჳ იმიტომ გაქრა, რომ ქართულ ენაში აღარ იგრძნობოდა იმ მნიშვნელობათა განსხვავების საჭიროება, რომელი მნიშვნელობებიც ჳარისა და ხანის მქონე სიტყვათა წყვილებს ჳქონდათ: არსებობდა *ჳელი* 'ჳედა კიდერი' და *ხელი* 'გოვი'; ამავამდ ორივე შინაარსი *ხელი-სიტყვით* არის გადმოცემული; განა შესაძლებელია აქვდან დავასკვნათ, თითქოს ჳარის გაქრობა გამოეწვიოს 'ჳედა კიდრისა' და 'გოვის' შინაარსთა შორის განსხვავების მოშლას?

ან, თუ ჳ-ფონემის დაკარგვას მივიჩნევდით ჩვენთვის უცნობი მიზეზით გამოწვეულ კატას-

ტროვად, - შედეგად უნდა მიგველო ისეთი ვითარება, ვითომც ქართულ ენას დაეკარგოს "ზუ-
ლა კიდურისა" და "გოთის" მნიშვნელობათა გარჩევის უნარი! ფაქტობრივ ეს, ცხადია, არ მომ-
ხდარა [II. შდრ. 46].

მეორე მხრით, მნიშვნელობა აღარ გაერჩევათ, ფონეტიკურად კი არ შეცვლილან ამგვარი
სიტყვათა წყვილები: *ჯირითი* და *დოლი*, *ჩაფხუტი* და *შუხარადი*...

ამრიგად, ფონემებს ვერ მივაწვრთ მნიშვნელობის განსხვავების ფუნქციას.
ფონემები არის არა მნიშვნელობის განმასხვავებელი ენობრივი ერთეულები, არამედ სიტყვე-
ბის გამოსაცნობი და გასარჩევი ენობრივი ოდენობები (ხოლო თუ სიტყვა რთული მორფემული
აგებულებიდან, ფონემა არის მორფემათა გამოსაცნობი და გასარჩევი ენობრივი ოდენობა).

"აღსანიშნა" და "აღმნიშვნელი"

5. ენობრივ ნიშანში იმთავითვე (ძველი ბერძნების დროიდან, აგრეთვე შუა საუკუნეებში)
განასხვავებდნენ, ხოლო სოსიურის (1857-1913) დროიდან მოკიდებული - განსაკუთრებით მკა-
ფოდ გაარჩევენ აღმნიშვნელსა და აღსანიშნს [3].

"აღმნიშვნელს" უწოდებენ იმას, რაზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ: აღმნიშვნელია სა-
მეტყველო ბგერა - *ტ, ი, თ, ს* -, ბგერათა შესაბამანი, ბგერადობა - *თხ, ეხ, ხე*... ესაა „გარე-
განი“, მატერიალური მხარე ენობრივი ერთეულისა; სამეტყველო ბგერები, ფონემები,
ენის აღმნიშვნელი მხარის ერთეულებია, სააღმშენებლო აგურებია, რომლებიდანაც შენდება
მნიშვნელობის მქონე ელემენტები.

"აღსანიშნა", მაგალითად, *ხე* როგორც საგანი, ან როგორც ცნება ამ საგნისა, ან კიდევ
როგორც წარმოდგენა ამ საგნის შესახებ; ერთი სიტყვით, აღსანიშნია ის, რის შესახებაც
ლაპარაკობენ. ესაა „შინაგანი მხარე“, ანუ შინაარსი ენობრივი ერთეულისა.

ენის აღსანიშნა მხარე - მნიშვნელობის მქონე ელემენტთა ერთობლიობა - რთული წარ-
მონაქმნია. მას შეისწავლის სხვადასხვა თვალსაზრისით ენათმეცნიერების რამდენიმე დარგი
- მორფოლოგია, სინტაქსი, აგრეთვე ლექსიკოლოგია და სტილისტიკა.

ისევ ხე-სიტყვის მაგალითი რომ ავიღოთ: *ხე*ს, როგორც ბგერითკომპლექსს, როგორც ფო-
ნემათა თანმიმდევრობას, როგორც ბგერადობას უპირისპირდება „ხე“, როგორც საგანი (ან
ცნება, ან წარმოდგენა ამ საგნის შესახებ). სიტყვა *ხე* არის აღმნიშვნელისა და აღსანიშნის,
ბგერადობისა და მნიშვნელობის ერთობლიობა.

სიტყვისათვის აუცილებელია ორივე ეს მხარე - ბგერადობა და მნიშვნელობა:

ქართულში არ არსებობს ის მნიშვნელობა, რომელიც მაღაირში *amok-sityviT* გად-
მოიღება; ქართულ ენაში არ არსებობს აგრეთვე მნიშვნელობის ის ნიუანსები, რომლებიც
რუსულში გარჩეულია შემდეგი სიტყვებით: *круг - кружок - кружочек* ან *старуха -*
старушка - старушечка, ან კიდევ *рано - раненъко - ранешенъко*.

ასევე მნიშვნელობის უქონელი ბგერათკომპლექსი ვერ მიიჩნევა ენობრივ ერთეულად:
მნიშვნელობა რომ არა, ბგერადობა *ხე* აღიქმებოდა, ეთქვათ, თავისებურ ჩახველებად, მაგრამ
არ მიიჩნეოდა სიტყვად, ენობრივ ერთეულად.

სიტყვის მორფემული აგებულება

6. სიტყვა აგებულია, შედგენილია არა მხოლოდ აღმნიშვნელის ერთეულებისაგან - არა
მხოლოდ სამეტყველო ბგერებისაგან, ფონემებისაგან.

სიტყვას გარკვეული აგებულება აქვს აღსანიშნის თვალსაზრისითაც: იგი მნიშვნელობის
მქონე უმცირესი მონაკვეთებისაგან შეიძლება შედგებოდეს. ასე, სიტყვა *ღურჯა* ორი ნაწი-
ლისაგან არის შედგენილი: ერთია ძირი (რომელსაც ხშირად „ძირეულ მორფემას“ ან კიდევ
„სემანტიკას“ უწოდებენ) - *ღურჯა*; მის ერთეულ სუფიქსს, მაწარმოებელი მორფემას.

თითო სიტყვა ელემენტია უფრო დაიდო ენობრივი ერთეულისა: *ღურჯა* შედის, მაგალითად,
ამგვარ შესიტყვებაში: *ღურჯა ცხენი*...

სიტყვას მორფოლოგია შეისწავლის, შესიტყვებას - სინტაქსი, მაგრამ მორფოლოგია და
სინტაქსი სიტყვას და შესიტყვებას, ამ აღსანიშნის ერთეულებს, შეისწავლიან აგებულების
ანუ გრამატიკული ფორმის თვალსაზრისით. მაგალითად, გრამატიკას აინტერესებს სიტყვა
ღურჯა, ჯერ ერთი, როგორც ორელემენტური ენობრივი ერთეული - *ღურჯა* (შდრ. სამე-

დემენტინი მოლურჯაო, მრავალდემენტინი ნაღურჯაებულთი, შემდეგ - როგორც წყარი პარადიზისა (მწკრივის): ღურჯა, ღურჯამ, ღურჯან და ა. შ.

მაგრამ სიტყვა ღურჯა როგორც ისეთი ენობრივი ერთეული, რომელიც აღნიშნავს ენის გარეშე არსებულ საგანს თუ მოვლენას, ღურჯა - როგორც საგნობრივი მნიშვნელობის მქონე ოდენობა, არის დექსიკოლოგიის შესწავლის საგანი.

„აღსანიშნის“ შემსწავლელი საენათმეცნიერო დისციპლინები

7. როგორც ვხედავთ, სიტყვას და შესიტყვებას, როგორც აღსანიშნის ერთეულებს, რამდენიმე საენათმეცნიერო დისციპლინა შეისწავლის:

სიტყვის ფორმა, მორფოლოგიის აგებულება, ბრუნვა-უღვილილება, აგრეთვე სიტყვათა კლასიფიკაცია ფორმის თვალსაზრისით არის მორფოლოგიის საგანი.

შესიტყვების ფორმას, სიტყვათა შეერთების ანუ შესიტყვების აგებულებას, სიტყვათა ურთიერთობას შესიტყვებაში, აგრეთვე შესიტყვებათა კლასიფიკაციას ფორმის მიხედვით შესწავლის სინტაქსი.

სიტყვის მნიშვნელობას, მის შინაარსეულ მხარეს, აგრეთვე სიტყვათა კლასიფიკაციას მნიშვნელობის მიხედვით შესწავლის დექსიკოლოგია.

ბუნებრივია, რომ ამგვარი თვალსაზრისით, ე. ი. მნიშვნელობის, საგნობრივი მიმართების თვალსაზრისით უნდა შესწავლეოდეს შესიტყვებაც. შესიტყვების მნიშვნელობის შესწავლა, ე. ი. გადმოსაცემი შინაარსის თვალსაზრისით მიხი, შესიტყვების, ანალიზი ცალკე საენათმეცნიერო დარგის საგანი უნდა იყოს (ამ დარგს ფრაზეოლოგიას [25] ან სტილიტიკას [2] უწოდებენ).

აღსანიშნის შემსწავლელ საენათმეცნიერო დისციპლინების ურთიერთობა სქემატურად ასე შეიძლება გამოიხატოს [2, 47].

შესასწავლი მხარე შესასწავლი ერთეული	აგებულება	მნიშვნელობა
სიტყვა	მორფოლოგია	დექსიკოლოგია
შესიტყვება	სინტაქსი	სტილიტიკა ანუ ფრაზეოლოგია

დექსიკოლოგია და სიტყვაწარმოება

8. ზემოწარმოდგენილი სქემიდან ნათლად არ ჩანს, თუ რა დამოკიდებულება არსებობს სიტყვაწარმოებასა (წარმოქმნასა, დეროვაციაზე) და მორფოლოგიას შორის, ერთი მხრით, და დექსიკოლოგიას შორის, მეორე მხრით, ამ საკითხზე კი ენათმეცნიერებაში აზრთა სხვაობაა.

მოდერნებს სიტყვაწარმოების შესახებ გრამატიკის დარგად მიიჩნევენ ხოლმე (მას მორფოლოგიის ნაწილად თვლიან ან კიდევ ცალკე დარგად გამოყოფენ).

სოციურთი მეცნიერების სიტყვაწარმოებას მიაკუთვნებს როგორც გრამატიკას (რადგან სიტყვაწარმოების წესები „წმინდა მორფოლოგიური წესებია“), ისე დექსიკოლოგიას (რაკი სიტყვაწარმოება „დექსიკის გამდიდრების საშუალებაა“).

სხვებს სიტყვაწარმოება მხოლოდ დექსიკოლოგიაში შეაქვთ როგორც მისი ერთი ნაწილი (სიტყვაწარმოების ადგილის შესახებ განსხვავებულ შეხედულებათა მიმოხილვა - [10]).

მოდერნებს სიტყვაწარმოების შესახებ და დექსიკოლოგიას იმიტომ უკავშირებენ ერთმანეთს, რომ ორივეს სიტყვასთან აქვს საკმე. მორფოლოგიასთან დაკავშირება იმით საბუთდება, რომ მორფოლოგია სიტყვის აგებულებას სწავლობს, ხოლო დექსიკოლოგიასთან დაკავშირების საფუძველი ისაა, რომ ნაწარმოები სიტყვა, ისევე როგორც ყოველი სიტყვა, გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია.

მაგალითად, სარქველი რთული აგებულების სიტყვაა - *სარქველი* - და ამ თვალსაზ-

რისით იგი გვერდში უდგას ისეთ სიტყვებს, როგორცაა სინათლე (*სინათლე*), ამხანაგური (*ამხანაგური*) და სხვ, მაგრამ ვაკვე სიტყვა მნიშვნელობის თვალსაზრისით დამოუკიდებელი, მონოლითური ოდენობაა: *სარჩველი* აღნიშნავს გარკვეულ ნივთს და *ციცხვი*, *ვარცლი*, *ქოთანი*-სიტყვების რიგში დგას.

ამრიგად, ნაწარმოები სიტყვა განიხილება ორი თვალსაზრისით: როგორც მორფოლოგიური და როგორც ლექსიკური მოვლენა.

ორი თვალსაზრისით განიხილება ნიშნავს მისი ორი მხარის დანახვას: ერთია მორფოლოგიური, წმინდა გარგანი მხარე - სიტყვის აგებულება, მორფემებისაგან შედგენილობა. აქედან - ლექსიკური ფონდის დანაწევრება ჯგუფებად აგებულების მიხედვით: ერთგვარაფიქსიან სიტყვებად, ერთგვარძირიან სიტყვებად და სხვ.


მეორე, ლექსიკოლოგიური თვალსაზრისი, ბუნებრივია, რადაც მეორე მხარეს უნდა ხელაგდეს: არა ისევე ამ გარეგან მხარეს, - არა სიტყვის აგებულებას, არამედ რადაც სხვას, რაც არსებითია ლექსიკოლოგიისათვის - მნიშვნელობას, სემანტიკას, სავნობრივ მიმართებას (რამდენადაც ამ მიმართებაში უკუფენილია სათანადო ენობრივი კოდექტის დამოკიდებულება ლექსიკურ ფონდთან); ლესიკოლოგიის საგანი ხომ პირველ ყოვლისა არის სიტყვათა მარაგი, რამდენადაც იგი, ლექსიკური ფონდი ნაწევრდება სემანტიკურ ჯგუფებად.

9. სიტყვაწარმოების ლექსიკოლოგიაში განიხილვის საფუძველი, მამასადამე, ის ვარაუდია, რომ სიტყვათა სტრუქტურული ჯგუფებისა და სემანტიკური ჯგუფების სახედრები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს, ანუ აგებულების მიხედვით დაჯგუფება უნდა ემთხვეოდეს მნიშვნელობის მიხედვით დაჯგუფებას.

მაგრამ ფაქტობრივ ასეთი დამთხვევა არ დასტურდება: ერთი და იმავე მაწარმოებელი აფიქსის მქონე სიტყვები ძალიან ხშირად მნიშვნელობით განსხვავებულნი არიან. მაგალითად, ერთი და იგივე მაწარმოებელი აფიქსი აქვს პროფესიის აღმნიშვნელ *მეურვეს*საც და *მეორეუბ*-სიტყვასაც, რომელიც პროფესიას არ აღნიშნავს. *მე - ე* მაწარმოებელი აქვს ზედსართავესაც (*„მეწვე ნეხილი“*), რიცხვით სახელებსაც (*მეორე, მესამე...*)...

ამასთანავე, შესაძლებელია, რომ ერთგვარი სემანტიკის მქონე სიტყვები აგებულებით განსხვავებული იყოს: პროფესიას აღნიშნავს არა მხოლოდ *მე - ე* აფიქსებთან სიტყვები, არამედ აგრეთვე *მეზღვაური, მკალი, მკედელი, პიანისტი, დურგალი, პარიკმახერი, გრიზორი, შოფერი* და სხვ, რომელთა აგებულება სულ სხვადასხვაგვარია.

ქვემოთ მოყვანილი ნახაზი თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს *მე - ე* წარმოებისა და პროფესიის აღმნიშვნელ სიტყვათა ურთიერთობას:



10. ასევე სადავო ჩანს სიტყვაწარმოების მოქცევა ლექსიკოლოგიის ფარგლებს შიგნით იმ საბუთით, რომ სიტყვაწარმოება ლექსიკური მარაგის გამდიდრების საშუალებაა.

სიტყვაწარმოებამ მხოლოდ ნედლი მასალა შეიძლება მიაწოდოს ლექსიკურ ფონდს, მოძღვრება სიტყვაწარმოების შესახებ მხოლოდ ლექსიკის გამდიდრების შესაძლებლობებს აღრიცხავს და არა რეალურად არსებულ სიტყვებს - ლექსიკურ ფონდს.

მაგრამ ერთია შესაძლებლობა და მეორე - მისი რეალიზაცია. მაგალითად, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში *ცვალება*-ტიპის ათი ათასამდე სიტყვა არის წარმოდგენილი. ად-სუფიკტი თითოეულ ამთხანს შეიძლება დართოს, ამათ კიდევ -ობა-დაბოლოება (ცვალება - *ცვალებადი - ცვალებალობა, აალება - აალებადი - აალებალობა...*). ფაქტობრივ კი *ცვალებადი*-ტიპის სიტყვა სულ სამოციოდე გვაქვს შესაძლებელი ათი ათასიდან (მა-

გალითად, არის გარდაცვალება, მაგრამ არ არსებობს „გარდაცვალებაში...“. თავის მხრით, ცვალებადობის სამოცოდვე სიტყვიდან ოციც კი არ მოიპოვება ცვალებადობა-ტივისა (არსებობს ცნობადი, მაგრამ არა გვაქვს „ცნობადობა“...).

ამ ფაქტში ლექსიკოლოგიას შეიძლება ინტერესებდეს არა -ად და შემდეგ -ობა-სუფიქსით დართვის ტექნიკა, არა ახალ სიტყვათა წარმოების შესაძლებლობა, არამედ ფაქტობრივ არსებული სიტყვები და ის მიზეზები, რის გამოც ათითასობით შესაძლებლიდან ორიოდვე ათეულია განსორცივლდა.

მაწარმოებელი აფიქსის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობა არ ემთხვევა ამ აფიქსებით ფაქტობრივ ნაწარმოები სიტყვების რაოდენობას (ფაქტობრივი რაოდენობა დიდად ჩამორჩება შესაძლებლობას).

მაშასადამე, ლექსიკური ფონდის გამდიდრების კანონზომიერება უნდა ექცეოდეს სიტყვაწარმოების მიღმა.

ამრიგად, ერთი მხრით, ის გარემოება, რომ სიტყვათა სემანტიკური ჯგუფები და სტრუქტურული (სიტყვაწარმოებითი) ჯგუფები ერთმანეთს არ ემთხვევა და, მეორე მხრით, ის, რომ სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობანი და ნაწარმოებ სიტყვათა რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, გვაგვარაუდებინებს, რომ მოძღვრება სიტყვაწარმოების შესახებ ვერ იქნება ლექსიკოლოგიის ნაწილი.

სიტყვაწარმოება-ლექსიკოლოგია, ფლექსია-სინტაქსი

11. ახალი სიტყვების წარმოქმნა ძირითადად მორფემების (აფიქსების...) მეშვეობით ხდება. ამით ჰგავს სიტყვაწარმოება ფლექსიას.


ფლექსიაც და სიტყვაწარმოებაც სიტყვის აგებულების ცვალებადობას გულისხმობს: *ბზრიალი-ი* და *ბზრიალი-ა* სიტყვებში *ი*ც აფიქსია და *ა*ც.

განსხვავება ისაა, რომ პირველ შემთხვევაში გარკვეულ მიმართებაში არიან ერთმანეთთან სიტყვის აგებულება და სიტყვის როლი შესიტყვებაში, მეორე შემთხვევაში – სიტყვის აგებულების ცვლა იწვევს სიტყვის მნიშვნელობის ცვლას: *-ი* (და ბრუნების პარადიგმის შემქმნელი სხვა სუფიქსები – *-მა, -ს, -ის, -ად, -ით*) სიტყვის მნიშვნელობას არ ცვლის. იგი შესიტყვებაში სიტყვების დამაკავშირებელ საშუალებასა წარმოადგენს. რაც შეეხება *-ა*-დაბოლოებას, მისი დართვით იცვლება თვით აღსანიშნი: *ბზრიალი* ერთ მოვლენას (ნივთს) აღნიშნავს, *ბზრიალი* სხვას (მოქმედებას).

ბზრიალი – *ბზრიალი* – *ბზრიალის*-სიტყვების ურთიერთობას სწავლობს მოძღვრება ფლექსიის შესახებ; *ბზრიალი* – *ბზრიალი-ს* ურთიერთობა დერივაციის შესახებ მოძღვრების საგანია.

პირველი (ფლექსიის) შემთხვევაში ერთი სიტყვის სხვადასხვა ფორმასთან გვაქვს საქმე, მეორე (დერივაციის) შემთხვევაში – სხვადასხვა სიტყვასთან. პირველ შემთხვევაში აფიქსთა პარადიგმატულ თვისებებზე² მახვილდება ყურადღება, მეორეში – სინტაგმატურზე³ (თუმცა, ცხადია, სინტაგმატური განხილვა არც პირველთან არის გამორიცხული, ისე, როგორც პარადიგმატული – არც მეორე ჯგუფთან).

12. ფლექსიას მჭიდრო კავშირი აქვს სინტაქსთან, რაკი ამ რივის მორფოლოგიური საშუალებანი შესიტყვების შექმნას ემსახურებიან; მოძღვრება დერივაციის, სიტყვაწარმოების შესახებ ლექსიკოლოგიის მომიჯნავე დარგია:



² ე. ი. ისეთ თვისებებზე, რომლებიც პარადიგმატში ასოციაციურ კავშირებში ვლინდება.

³ ე. ი. ისეთ თვისებებზე, რომლებიც მორფემათა მეზობლობაში მათ შეხამებადობაში ვლინდება.

მაგრამ ფლექსიასა და სინტაქსს ერთმანეთში ვერ ავურვეთ: თუნდაც ყველა ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში იდგეს. მაინც ქვემდებარის დახასიათება როგორც სახელობით ბრუნვაში დასმული სახელისა, მორფოლოგიზმია სინტაქსში და, ამდენად, მეთოდოლოგიურად მიუღებელია [16].

ასევე, მიზანშეწონილი ჩანს, რომ გაიმიჯნოს, ერთი მხრით, სიტყვაწარმოების შესახებ მოძღვრება და, მეორე მხრით, ლექსიკოლოგია. თუმცა მათი მჭიდრო კავშირი ეჭვს არ იწვევს.

ლექსიკოლოგია და სემასიოლოგია

13. ენათმეცნიერებაში არსებობს კიდევ რამდენიმე სახელწოდება იმ დარგთა აღსანიშნავად, რომელნიც ლექსიკას შეისწავლიან. მათგან ყველაზე გავრცელებულია „სემასიოლოგია“. „სემანტიკა“, „ონომასიოლოგია“, აგრეთვე „ეტიმოლოგია“, „ლექსიკოგრაფია“...

პირველ ყოვლისა, „ლექსიკოლოგიისა“ და „სემასიოლოგიის“ ურთიერთობას შევხებით. სემასიოლოგია ცალკე დარგად იქნა გამოყოფილი ამ ას ოცი წლის წინათ, როგორც მნიშვნელობათა შემსწავლელი დისციპლინა; უფრო ზუსტად – მას დაევალა შესწავლა ლექსიკურ (ე. ი. სიტყვების) მნიშვნელობათა ისტორია. სიტყვა „სემანტიკა“ მისი ერთ-ერთი მნიშვნელობით „სემასიოლოგიას“ ემთხვევა. საენათმეცნიერო სიტყვახმარებაში ერთიც გუხვდება და მეორეც („სემასიოლოგია“ – გერმანულში, აგრეთვე რუსულში, „სემანტიკა“ – ფრანგულში, ინგლისურში).

ამრიგად, სემასიოლოგიაც (ანუ სემანტიკაც), ლექსიკოლოგიის მსგავსად, სიტყვის მნიშვნელობას შეისწავლის. განსხვავება ისაა, რომ ლექსიკოლოგია უფრო მეტ მასალას მოიცავს: ლექსიკოლოგია სწავლობს სიტყვაში არა მხოლოდ მის საგნობრივ მიმართებას (ან „ცნებას“, ან „წარმოდგენას“, როგორც ზოგ ენათმეცნიერს ესმის მნიშვნელობა); ლექსიკოლოგია შეისწავლის აგრეთვე იმ მხარეებს, რომელნიც უშუალოდ „საგნობრივ მიმართებად“ ვერ დახასიათდება:

ა) ლექსიკოლოგია შეისწავლის სიტყვის ემოციურ იერსაც, რომელიც წმინდა სემასიოლოგიური შესწავლის დროს, ე. ი. მხოლოდ საგნობრივი მიმართების გათვალისწინების დროს, მიიჩქმალება:

დაჯდა და დაბრძანდა ერთმანეთისაგან საგნობრივი მიმართებით, ე. ი. „სემასიოლოგიურად“ არ განსხვავდება, მაგრამ თანმხლები გრძნობითი იერის მიხედვით მათ შორის დიდი სხვაობაა; ამგვარი სხვაობა შეიმჩნევა მეტ-ნაკლებად შემდეგს წყვილებში: *ლოყა – ღაწვი, ვირი – სახედარი...* (ზოგ სიტყვაში ამგვარი შეპირისპირების გარეშეც იგრძნობა თავისებური ემოციური ელფერი: *სეაფი, ვეფხი, გელი, ბაყაი...*).

ბ) ლექსიკოლოგიას აინტერესებს შეფასების მომენტი, რომელიც საგნობრივ მნიშვნელობასთან ერთად შეიძლება ახლდეს სიტყვას. ეს შეფასებითი მომენტი კარგად ჩანს, მაგალითად, საბას მიერ მოცემულ განმარტებებში:

„გოგმანი – სანდოში ჩქარი როკა“, „ბღერიალი – ბრიყული ტირილი“, „კაშკაში – ამო სიცილი“... *გოგმანი* და *როკა*, *ბღერიალი* და *ტირილი*, *კაშკაში* და *სიცილი* ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შეფასებითი დამოკიდებულებით, რომელიც ამ წყვილთაგან პირველი წევრების მიმართ არის გამოხატული (ლექსიკონისეულ განმარტებებში – *სანდოში, ბრიყული* და *ამო-სიტყვებით*).

გ) ლექსიკოლოგია იკვლევს სიტყვათა ხმარების სფეროს, ე. ი. იმ ფაქტს, რომ ამა თუ იმ სიტყვას (თუ მნიშვნელობას) თითქოს ბუკედი ახის გარკვეული დარგისა, სადაც ეს სიტყვა იხმარება:

მოჭირნეობა, ხარვეზი, აღმოფხვრა დღეს პუბლიცისტიკის ენის კუთვნილებაა, *სიმხივტე, მოტეხილობა, ჩივილები* მედიცინის ენას ეკუთვნის, *ჩაწოდება, თაგამსხმელი, წით შესვენება* – სპორტის ენას, *შატალი, ათეხა* მოწაფურ-სტუდენტურ მეტყველებას ახასიათებს, *ქვევა, შშინი* სისხლის სამართლის დამნაშავეთა ვარგონისეულია.

დ) ლექსიკოლოგიის შესწავლის საგანია სიტყვათა, როგორც მნიშვნელობის მატარებელ ოდენობათა, ურთიერთ დამოკიდებულება (პირველ ყოვლისა, შეხინტყვება ა):

ლექსიკოლოგიას (და არა სემასიოლოგიას) აინტერესებს ის ფაქტი, რომ პირო-სიტყვასთან უპირატესად გააღო იხმარება, *ტუჩები* კი *გახსნა-ზმანს* უფრო იკვებებს: *დამუწვა* ითქმის *პირის* შესახებ. ხოლო მსგავსი მოქმედება *თვალი-სიტყვა*სთან გამოხატულია *დახუჭვას* ზმნით.

ძუ. ფაშტი, დედალი, ნეზვი ერთგვარად მიუთითებს მდვილ ცხოველებზე, მაგრამ პირველი მათგანი, ძუ ითქმის ძაღლის, ღოზის, მგლის მიმართ, ცხენის, ვირის მდვილობას ფაშტი სიტყვით აღნიშნავენ, ფრინველებისას - დედალი-სიტყვით, ღორისას - ნეზვით.

ე) ლექსიკოლოგიის (და არა სემასიოლოგიის) ეკლექსის სფეროში შემოდის ლექსიკური ფონდის გამდიდრების გზები - ახალი სიტყვების შემოსვლა თუ წარმოქმნა ენაში.

მაგალითად, ლექსიკოლოგია არკვევს იმ ფაქტს, რომ ვაკარი, ისტორია, ფუთი, კომერცია შეთვისებული სიტყვებია, და თანაც ამა და ამ ენიდან, ამა და ამ პრობებში ნახესხები.

ასევე ლექსიკოლოგია იკვლევს კალკის სხვადასხვა შემთხვევებს, მაგალითად, ბრტყელტუნა- და შრიცხველი-სიტყვების შექმნას плоскостынь- და счетчик- სიტყვების ვაიდაზე, ან კიდევ იმ ფაქტს, რომ ანთება-სიტყვით გარკვეული დაავადება აღნიშნეს რუსული воспаление-ს გაუღენით (ადრე ანთება, საბას თქმით, მხოლოდ „სანიღის მოცეცხვლა“ იყო).

ლექსიკოლოგია შეისწავლის ისეთ შემთხვევებს, როდესაც ახალი მოვლენების აღსანიშნავად ენა საკუთარ რესურსებს იყენებს: წინმხველი როგორც თანამედროვე გუთნის ერთ-ერთი დეტალის აღმნიშვნელი სიტყვა შექმნილია დამოუკიდებლად (ე. ი. სხვა ენის მასალის გამოყენებლად, ან სხვა ენის ყალიბისათვის მიუბაძვით): რუსულში ამ დეტალს дерношим ან предплюжник ეწოდება და „ხენის“ აღმნიშვნელი ფუძე გამოყენებული არ არის. ასევე, ლექსიკოლოგიური (მაგრამ არა ვიწრო სემასიოლოგიური) ინტერესი ახლავს იმ ფაქტს, რომ ქართული ენის საკუთარი რესურსებით არის შექმნილი ლოგოის ტერმინი ცნება, ფიზიოლოგიის ტერმინი - აღვ ხნება, სპორტული ტერმინი - ორძელო...

უნდა შევნიშნოთ, რომ თითოეული აქ დასახელებული სამუშაოს შესახებ ცნობები შესაძლებელია ვიპოვოთ იმ ნაშრომებში, რომლებიც ამა თუ იმ ენის (ან ზოგადი) სემასიოლოგიის (სემანტიკის) სახელით არის გამოქვეყნებული. ამრიგად, ლექსიკოლოგია და სემასიოლოგია ამ აზრით ერთი და იმავე სამეცნიერო დარგის სხვადასხვა სახელი იქნებოდა.

თუ მაინდამაინც განსხვავებას ჩაეკიბებით, შეიძლება ვთქვათ, რომ ლექსიკოლოგია მიველ ლექსიკურ ფონდს შეისწავლის, მის შემადგენლობას და დინამიკას, ხოლო სემასიოლოგია (სემანტიკის) საგანია მხოლოდ სიტყვათა მნიშვნელობები, მათი ეკვივალენტები⁴.

„სემანტიკა“ სხვა გაგებითაც იხმარება: ლაპარაკობენ ცალკეული სიტყვის სემანტიკის შესახებაც, ცალკეული ფორმანტის, სიტყვების, კონსტრუქციის სემანტიკის შესახებაც. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ენათმეცნიერების დარგთან, არამედ ენის აღსანიშნი მხარის სახელწოდებასთან.

ლექსიკოლოგია და ონომასიოლოგია

14. სემასიოლოგიის (სემანტიკის) როგორც ენათმეცნიერების დარგის გარდა არსებობს ე. წ. ონომასიოლოგია [45].

სემასიოლოგისა და ონომასიოლოგიის ურთიერთობას ასე ახასიათებენ: გვაქვს ორი შტო ენათმეცნიერებისა, რომლებიც ერთმანეთს ავსებს:

ერთი მათგანი იწყებს გარკვევით, სიტყვით და კითხულობს, თუ რა ცნებაა დაკავშირებული, რა მნიშვნელობაა ჩაქსოვილი ამ სიტყვაში; აქედან - სემასიოლოგია: სემასია - „მნიშვნელობა“.

მეორე მათგანი ამოდის ცნებიდან და ადგენს, თუ რა სახელი აქვს მისთვის ენას. „სახელწოდება“ არის ონომასია, აქედან ონომასიოლოგია.

სემასიოლოგია, ამრიგად, სიტყვის მნიშვნელობას იკვლევს, ონომასიოლოგია - საგნის სახელწოდებას.

მაგალითად, ძველი ქართულისა და თანამედროვე ქართულის ლექსიკა ერთმანეთისაგან მართო იმით კი არ განსხვავდება, რომ ამა და ამ სიტყვის მნიშვნელობა ასე და ასე შეიცვალა (ცხედარა: 'ნაწილი' → 'მიცვალებული', კუბო: 'ტახტგვანდი' → 'მიცვალბულის ჩასასვენებელი ყუთი', კეთილა 'კარგი' → 'ნათინ' და სხვ.).

⁴ „სემანტიკა“ ლოგოკა-ფილოსოფიაშიც იხმარება. მაგრამ მას „უნებრივ“ ჩვეულებრივ ენებთან, სახელდობრ ამ ენის სიტყვებთან, არაფერი ესაქმება, ამიტომ მის შესახებ ჩვენ აქ არას ვაპრობთ.

ძველისაგან თანამედროვე ლექსიკა განსხვავდება იმითაც, რომ გაქრა და დღეს აღარ იხმარება ბევრი ძველი სიტყვა (ბასრობა, ბაყლი, ბრუნე, დრაკანი, მარტვილი, წარგება...).

ზოგი ახალი სიტყვა გაჩნდა ახლად შემოსული საგნის სახელად (ძრავა, აეროდრომი, საქონლმცოდნეობა...);

ზოგ გამჭრალ სიტყვას ახალი სიტყვა შეენაცვლა (წარგება – დახარჯვა, ბრუნე – ტყეა...); ზოგი ახალი საგნისათვის რომელიმე ძველი სიტყვა იქნა გამოყენებული (აგარაკი, დაბა, ხართლი, ყურე, ხარისხი...);

ახალი სიტყვებიდან ზოგი თუ ნასესხებია (აეროდრომი, კანტორა, ტროლეიბუსი...), ან კალკირებული (ძრავა, საქონლმცოდნეობა...), – სხვები საკუთარ ნიადაგზე აღმოცენებული (სანავე, უკუქვევადი...).

ყველა ასეთი ფაქტის – ე. ი. სახელწოდებათა და არა მნიშვნელობათა ცვლის – აღრიცხვა და ახსნა ონომასიოლოგიის საქმეა, ე. ი. ონომასიოლოგიის შესწავლის საგანია თვით სიტყვის (სიტყვების, ლექსიკური ფონდის) ისტორია: რა მოხდის ლექსიკურ ფონდს (და არა სიტყვის მნიშვნელობას) დროთა განმავლობაში, როგორ იცვლება ის, რას (და რატომ) კარგავს, რით და როგორ ინახდაურებს დანაკლისს?

15. რაკი სიტყვა არის „ბეგრები პლუს მნიშვნელობა“, – ონომასიოლოგიური და სემასიოლოგიური განხილვა თანაბარუფლებიანი და ურთიერთსიმეტრიული გამოდის: როდესაც სიტყვიდან, როგორც ბეგრადობიდან, ამოვიდვართ და მის მნიშვნელობას ვიკვლევთ, – ეს სემასიოლოგიური თვალსაზრისია, ხოლო როცა მნიშვნელობიდან ამოვიდვართ და მის სახელს, ე. ი. სიტყვას, როგორც ბეგრადობას, შევისწავლით, – ეს ონომასიოლოგიური თვალსაზრისი იქნება⁵.

ნამდვილად უპირატესი მაინც სემასიოლოგიური თვალსაზრისია: თუმცა ბეგრითი უწყვეტიზიდან სიტყვის გამოსაყოფად რაღაცნაირად საჭირო ჩანს იმის გათვალისწინება, რომ, მაგალითად, მოცემული ბეგრათკომპლექსები სხვადასხვა სიტყვებია, – მაინც არ არის სავალდებულო იმის ცოდნა, თუ სახელდობრ რას აღნიშნავს, რისი სახელია ეს სიტყვა, რა მნიშვნელობა აქვს მას.


ვნებს აქვს სიტყვის ფონეტიკური (და გრამატიკული⁶) ყალიბი, რაც პრინციპულად საშუალებას იძლევა სიტყვის პირველი გამოყოფა (მეტყველების უწყვეტი ნაკადიდან) მოხდეს მისი კონკრეტული მნიშვნელობისაგან დამოუკიდებლად.

ონომასიოლოგიურმა „ცნებით“ უნდა დაიწყოს მუშაობა, ცნება კი წინასწარ მოცემული როდია. ცნების გამოსაყოფად აუცილებელია ფონეტიკური სამოსლის, სიტყვის არსებობა. როდესაც გვინდა, მაგალითად მწუხარების აღმნიშვნელ სიტყვებს მოვეყაროთ თავი, დავაჯგუფოთ და მათი ისტორია გავითვალისწინოთ, უჭკველია, „მწუხარების“ ცნება მზამზარეული უნდა გვკონდეს, ცნება კი ვერ ჩამოყალიბდება სიტყვიერი ფორმის გარეშე.

ცნება, ამრიგად, მეორეულია, ამიტომ ონომასიოლოგიური ასპექტიც არის არა ავტონომიური და სემასიოლოგიურ ასპექტთან დაპირისპირებული, არამედ მეორეულია და დაქვემდებარებული ხასიათი აქვს.

ამის მიხედვით მიზანშეწონილია ვილაპარაკოთ არა ონომასიოლოგიის როგორც ლექსიკის შესწავლილი ცალკე დარგის შესახებ, არამედ ლექსიკის ონომასიოლოგიური შესწავლის,

⁵ სემასიოლოგიისა და ონომასიოლოგიის ასეთს – ერთმანეთის მიმართ „თანასწორუფლებიან“ – დამოკიდებულებას ამგვარი საილუსტრაციო სქემით გამოხატავენ [38]:



⁶ აღნიშნავენ, რომ „სიტყვის კომპონენტთა შორის ყველაზე სტაბილურია ნიშნის ბეგრითი ფორმა“.
⁷ გაიხსენოთ თუნდაც *רוחא קאუპא*’ს ცნობილი მაგალითი: უახრო ბეგრათკომპლექსთა გროვის უხადო გრამატიკული (მორფოლოგიურ-სინტაქსური) ანალიზი ხერხდება სწორედ იმიტომ, რომ ამ კომპლექსებს რუსული ენისათვის ჩვეულებრივი სიტყვათა გრამატიკული გაფორმება აქვს [35].

ლექსიკაში ონომასიოლოგიური ასპექტის შესახებ.

ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია

16. არნ. ჩიქობავა 1935 წელს წერდა: „გარკვეულ პერიოდში ხმარებულ სიტყვათა მნიშვნელობის სრულად აღრიცხვა მოგვეცემს ენის ლექსიკას (სიტყვათა მარაგს)... აღწერითი ანუ სტატიკური სემასიოლოგია სხვა არაფერია, თუ არა იგივე ლექსიკოლოგია, ე. ი. მოძღვრება ენის ლექსიკური მარაგის შესახებ... სტატიკური ლექსიკონი ამა თუ იმ პერიოდის აღწერითი, სტატიკური სემასიოლოგიაა“ [15].

ამ აზრით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკვე გვაქვს თანამედროვე ქართულის სტატიკური სემასიოლოგია, როგორც ქართული ენათმეცნიერების ერთი დარგი - მას შემდეგ, რაც შედგენილია და გამოცემულია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“; აქ აღნუსხულია და დახასიათებულია თანამედროვე ქართული ენის (სალიტერატურო ქართულის) ლექსიკური მარაგის - თითოეული სიტყვა.

მაგრამ ხომ არ ნიშნავს ეს, რომ, როდესაც ვამბობთ - ჩვენი მსჯელობის საგანი ქართული ლექსიკოლოგიაა - ვეულისხმობდეთ „განმარტებით ლექსიკონს“, მისი შედგენის პრინციპებს და ა. შ.?

არა, არ ნიშნავს, რადგან ერთი საქმეა ენის ლექსიკური მარაგის შესწავლა, მისი ერთეულების ურთიერთობის დადგენა და ა. შ., და სხვა სამუშაო ლექსიკონის შედგენა.

ლექსიკონის შედგენის პრინციპთა შესახებ სხვა, ლექსიკოლოგიაზე განსხვავებული, დარგი არსებობს, და მას ლექსიკოგრაფია ეწოდება.

ამ ოციოდე წლის წინათ ესპანელმა ენათმეცნიერმა კასარესმა ესპანეთის აკადემიის სესიაზე წარმოთქმულ სიტყვაში პასუხი გასცა მათ, ვინც გაიკვირა, რომ არა „ლექსიკოლოგიური“, არამედ „ლექსიკოგრაფიული სემინარი“ ეწოდა მუშაობას, რომელსაც კასარესის ხელმძღვანელობით აწარმოებდა ესპანეთის აკადემიის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი.

კასარესმა თქვა: „უნდა გავარჩიოთ ორი დისციპლინა, რომლებსაც საერთო საგანად აქვს სიტყვათა წარმოშობის, ფორმისა და მნიშვნელობის შესწავლა. ეს დისციპლინებია ლექსიკოლოგია, რომელიც სწავლობს ამ საგანს ზოგადი ენათმეცნიერული თვალსაზრისით, და ლექსიკოგრაფია, რომელსაც უპირატესად პრაქტიკული, გამოყენებითი ხასიათი აქვს და ლექსიკონის შედგენის ხელოვნებაში მდგომარეობს“ [28].

ცხადია, კარგი ლექსიკოგრაფი (და არა მეორეხარისხოვანი ტექნიკური მუშაკი) იმავედროულად მკვლევარი-ენათმეცნიერიც არის, მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზოგად ფრაზებს ვერ გაცდილდება ის ლექსიკოლოგი, რომელიც ისე გამოწველივით და დაბეჯითებით არ სწავლობს ლექსიკას, როგორც ეს შემაძლებელია მხოლოდ პრაქტიკული მუშაობის დროს, რასაც ლექსიკონის შედგენა გულისხმობს.

ქართული ლექსიკოლოგიის როგორც ქართული ენის შემსწავლელი ერთ-ერთი სამეცნიერო დარგის შექმნის საიმედო საფუძველს წარმოადგენს საკმაო სისრულით თავმოყრილი ხანრო ლექსიკური მასალა - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სიტყვიანი და ჯეროვან მეცნიერულ დონეზე წარმოდგენილი დახასიათება ამ ლექსიკონში შემაჯავლი თითოეული სიტყვისა - სალექსიკონო ერთეულისა.

ენობრივი ნიშნის ბუნება: ენობრივი ნიშანი არ არის ბუნებრივი ნიშანი - ენობრივი ნიშნის ნებისმიერობა. - ენის საობიექტივაციო და საკომუნიკაციო ფუნქციითა ურთიერთობა - სიტყვის მნიშვნელობის რაობა - სინონიმია - ანტონიმია - პოლისემია - ომონიმია.

ნიშანი

17. ჩვენ ვამბობთ, რომ ლექსიკოლოგია შეისწავლის სიტყვებს როგორც მნიშვნელობის მატარებელ ობიექტებს, ე. ი. სიტყვებს როგორც რადაცის ნიშნებს. ბუნებრივია, მოკლედ მა-

ინც განემარტოთ, თუ რა იგულისხმება „ნიშანში“⁸.

ყოველი ნიშანი ვარაუდობს ორ მხარეზე: ერთი მხრით, იმას, რაც აღინიშნება და, მეორე მხრით, იმას, რის მეშვეობითაც აღინიშნება.

ნიშანი ჩვეულებრივს სიტყვახმარებაში არის რაიმე მოვლენის გარეგანი გამოვლენება. ცნობილ ხალხურ ლექსში ცაზე შივარის ამოსვლა დახასიათებულია როგორც დარის ნიშანი: თვალთ დასანახი მოვლენა – შივარის ამოსვლა – გვაგულისხმებინებს, რომ კარგი დარი დადგება.

ასევე ვლაპარაკობთ ხოლმე ავადმყოფობის ნიშნებზე. მაღალი ტემპერატურა, გულის რევა, ხველება, თავბრუ, ტკივილის გრძობა და სხვ. არის ამა თუ იმ ავადმყოფობის გარეგანი (ხუთი გრძობით შესაგრძობი) სიმპტომები.

ნიშნებზე და მიიხვევა კრუხის სხვადასხვაგვარი ხმიანობა წიწილების დასაძახებლად (საკენკაზე). თუ გასაფრთხილებლად (ქორის დანახვისას), საზოგადოდ – ყველა ცხოველური სიტყვით.

ნიშანი, ცხადია, ხელოვნურიც შეიძლება იყოს: მწკანვე შუქი გზაჯვარედინზე იმის ნიშანია, რომ გადასვლა, გზის გადაჭრა ნებადართულია.

ენობრივი ნიშანი არ არის ბუნებრივი ნიშანი

18. ახლა, რაც შეეხება ენას: ენობრივი ნიშანი არ არის ბუნებრივი ნიშანი, როგორც მთარე არის დარის ნიშანი, ან მაღალი ტემპერატურა – ავადმყოფობის სიმპტომი, ან კიდევ როგორც კრუხის კრიახი არის გასაფრთხილებელი სიტყვა.

ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსების მიერ დასმული საკითხი – სახელი ბუნებრივი ხასიათისა („ფიუსეი“), თუ შეთანხმების შედეგით („თესეი“) – ამჟამად გადაწყვეტილია მეორის სასარგებლოდ: ენობრივი ნიშანი იმიტომ არის ნიშანი, ე. ი. ესა თუ ის ბგერათა კომპლექსი იმიტომ აღნიშნავს ამა თუ იმ მოვლენას, რომ ასეა მიღებული ამა თუ იმ ენობრივ კოდექსით.

ასე რომ არ იყოს, ყველგან და ყოველთვის ერთ მოვლენას ერთი და იგივე სახელი ერქმეოდა: ბგერათკომპლექსი *მუხა* ყველგან, ყველა ენაში, გარკვეული ჯიშის ხის (*Quercus*) აღნიშნული იქნებოდა და, პირიქით, იმ ხეს ყველგან *მუხა*ს დაარქმევდნენ. ფაქტობრივ, როგორც ცნობილია, ეს ასე არ არის: ის, რასაც ქართულად *მუხა* ჰქვია, რუსულად *дуб*-ის სახელით არის ცნობილი, ხოლო ქართული *მუხა*ს მსგავსი ბგერათკომპლექსი რუსული *myxa* სულ სხვა რამ არის, ერთ-ერთი მწერის აღსანიშნავად არის გამოყენებული.

19. რა თქმა უნდა, ენებში გვაქვს ე. წ. ხმაბაძეთი სიტყვები და ზოგჯერ ერთი და იგივე გარეგნობრივი ხმოვრება სხვადასხვა ენაში მეტ-ნაკლებად მსგავსი ბგერადობის მქონე სიტყვებით აღინიშნება. საამისოდ ხსოვდეს მოჰყავთ გუგულის მაგალითი. გუგულის ხმიანობას ქართულში გუგუ-ბგერათკომპლექსით აღმოცენებენ. რუსულში – *кучу-чухи*; უეჭველია, ორივე ეს ბგერადობა ჰგავს ერთმანეთს: ამის მიხედვით ერთმანეთს ჰგავს ამ ხმის გამომცემი ფრინველის სახელებიც – ქართული *გუგული* და რუსული *Кучушка*.

ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით ვილაპარაკებთ ამგვარი მოვლენების შესახებ ქართულ ენაში. აქ კი ორი რამ უნდა აღინიშნოს:

ჯერ ერთი, ხმაბაძეთი სიტყვებიც გარკვეული ენის ფონოლოგიურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით არის შექმნილი. ქართული ენის ბგერითი შესაძლებლობანი, კერძოდ, მკვეთრი

⁸ საზოგადოდ ნიშანს შეისწავლის საგანგებო მეცნიერება – სემიოტიკა.

⁹ ხმაბაძეთობის შთაბეჭდილება მეორეულია 'გუგულის' აღნიშნულ გერმანულ სიტყვაში: *Kuckuck < guckuch-gouckauch < gouch* შუაზემოგერმანულია. პ. პული ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „ქვენი გრძობა შიშნაგის კავშირისა ბგერადობასა და მნიშვნელობას შორის არ არის იმის საბუთი, რომ ამ ჯგუფის ცალკე აღებული სიტყვა მართლაც ხმაბაძეთი წარმოშობისა. ცნობილია მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც დამტკიცებულ იქნა, რომ ის განსაკუთრებული ფონეტიკური გარეგნობა ანდა მნიშვნელობა, რომელთა წყალობითაც ამგვარი სიტყვები ხმაბაძეთის შთაბეჭდილებას ტოვებს, ამ სიტყვებს შექმნილი აქვთ მხოლოდ გვიანდელი განვითარების მსვლელობაში“ [257].

ხშულები, არის გამოყენებული მერცხლის ხშიანობის გადმოსაცემად: ჭიკჭიკი. მნიშვნელობით (საგნობრივი მიმართებით) მისი მონათესავე ადნე სულ სხვა ბგერებს შეიცავს: ქართული და რუსული ფუძეები ორივე ხმაბაძეითია, მაგრამ ერთმანეთისაგან ფონეტიკურად ძლიერ დაშორებულები არიან.

მეორეც: ვუგულისა და ჭიკჭიკის მსგავსი სიტყვები ენებში მცირე რაოდენობისაა და სრულიად არასაკმარისი იმისათვის, რომ მათ საფუძველზე ვამტკიცოთ, თითქოს ენობრივი ნიშანი საზოგადოდ ბუნებრივი ხასიათისა იყოს, ე. ი. აღსანიშნი და აღმნიშვნელი შინაგანი აუცილებელი კავშირით იყენენ ერთმანეთთან დაკავშირებული, როგორც მაღალი ტემპერატურა არის დაკავშირებული გარკვეულ დაავადებებთან, ან მთვარიანი, უღრუბლო ცა - დართან.

ენობრივი ნიშნის ნებისმიერობა

20. კავშირი ბგერათკომპლექსსა და მნიშვნელობას შორის არ გამომდინარეობს ბგერათკომპლექსის ბუნებისა და ამ ბგერებით აღნიშნული მოვლენის ბუნების შინაგანი კავშირიდან. ამ თვალსაზრისით ენობრივი ნიშანი ნებისმიერია (თუმცა ცხადია, არ უარვეყოფთ ხმაბაძეის როლსაც).

მაგრამ ენობრივი ნიშნის ნებისმიერობა არ ნიშნავს, რომ ენა მიეჩინოთ იმგვარსავე ხელოვნურ, „გამოგონებულ“ ნიშანთა სისტემად, როგორცია, მაგალითად, გზებზე მოწყობილი შექნიშნები.

ენა ადამიანთან ერთად შეიქმნა. ენა ადამიანის ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებათაგანია. ადამიანი სხვა ცხოველებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი „მოლაპარაკე ცხოველია“. ოღონდ ადამიანი „საზოგადოებრივი ცხოველიცაა“. თუმცა არსებითი მაინც ის არის, რომ ადამიანი „იარაღის მქონე ცხოველი“ იარაღის მკეთებელი უდევს საფუძველად ადამიანთა საზოგადოებას და საბოლოო ანგარიშით, აპირობებს ენის არსებობას.

ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება შეუძლებელი იქნება, რომ მათ ენა არ ჰქონდეთ. ადამიანთა საზოგადოება იმადგროვლად ენობრივი კოლექტივიც არის.

მაგრამ ენობრივი კოლექტივის წევრთათვის, ენის მომხმარებელთათვის ბგერადობისა და მნიშვნელობის კავშირი არ არის ნებისმიერი. მოცემულ ენობრივ კოლექტივში ურთიერთობა, კომუნიკაცია შეუძლებელი იქნებოდა, რომ ამ კოლექტივის წევრებისათვის (საუბრის მონაწილეთათვის) სავალდებულო არ ყოფილიყო გარკვეული ბგერადობისა და გარკვეული მნიშვნელობის კავშირი [33]. კომუნიკაცია შეუძლებელი იქნებოდა, რომ, მაგალითად, მუხა ყველა ქართველისათვის სწორედ ამა და ამ ფიშის ხეს არ აღნიშნავდეს.

ენობრივი ნიშნის, საზოგადოდ ენის ამ არანებისმიერ ხასიათს აპირობებს ურთიერთობის, გაგებების საჭიროება.

ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ არანებისმიერობა მხოლოდ იმდენად არის სავალდებულო, რამდენადაც გაგებისათვის არის აუცილებელი.

ნაცნობ გარემოში, მოლაპარაკეთა უშუალო კონტაქტის პირობებში, ნაცნობ მოვლენათა შესახებ ლაპარაკის დროს გაგებინებას დიდად უწყობს ხელს „რეალური კონტექსტი“, სიტუაცია: აქ, საუბარში, ბგერი რამ უთქმელადაც გასაგებია, არამკაფიო გამოთქმებს აზუსტებს თვალსაჩინო ვითარება. ამიტომ ყველაფრის ზედმიწევნელობით თქმა სავალდებულოც არ არის. მაგალითად, ფეხბურთის მატჩის რადიოგადაცემების დროს დიქტორი მეტად ვრცლად ლაპარაკობს მატჩის მიმდინარეობაზე და თამაშისას შექმნილი ამა თუ იმ სიტუაციის შესახებ - გაცილებით უფრო ვრცლად, ვიდრე ეს ვთქვათ, ტელემაყურებლისათვის არის აუცილებელი¹⁰. თვით მატჩზე დამსწრეთათვის, როგორც ცნობილია, კომენტატორი არ არსებობს. და ეს ბუნებრივიცაა: რაც უფრო თვალსაჩინოა სიტუაცია, რაც უფრო არაორაზროვანია „რეალური კონტექსტი“, მით უფრო ნაკლებია ენის საჭიროება მის დასახასიათებლად.

ოღონდ გასაგებობის ფარგლებს არ გასცდეს და მეტყველს გარკვეული თავისუფლება აქვს ენობრივ საშუალებათა, კერძოდ, სიტყვათა გამოყენებაში.

¹⁰ „შენ ბოდიშს ვიხდით ტელემაყურებლებთან: გადაცემა წარმოებს ერთდროულად რადიომნიშვნელობისათვის, ამიტომ არის კომენტატორი სიტყვაპარავალი“ (6. VII.70).

ეს თავისუფლება ენის ცვლის, კერძოდ, ლექსიკურად ფონდის ცვლის შესაძლებლობას აპირობებს.

წერილობითი ურთიერთობის დროს „რეალური კონტექსტის“ როლი ფრიად შეზღუდულია, ამიტომ ცოცხალ საუბართან შედარებით სამწერლო ენის გრამატიკული სტრუქტურაც უფრო მკაცრად არის ჩამოყალიბებული და ცალკე სიტყვების ხმარებაც გაცილებით მეტი სიზუსტით ხასიათდება [23].

აღსანიშნთან ზეპირი მეტყველებისა და სამწერლო ენის ამ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებით არის გამოწვეული, სხვათა შორის, ცვლილებების სხვადასხვაგვარი შესაძლებლობა მათში: წერილობითი ენა გაცილებით უფრო კონსერვატულია, ვიდრე ზეპირი მეტყველება.

სამწერლო ენაში ცვლილებები მეტწილად დამოუკიდებელი განვითარების შედეგი კი არ არის, არამედ ზეპირი მეტყველების განვითარების ასახვაა და ამიტომ, როგორც წესი, წყვეტი პროცესის სახით კი არაა წარმოდგენილი, არამედ დროდადრო „იფეთქებს“ ხოლმე ცოცხალი სასაუბრო ენის ზემოქმედების შედეგად. ეს ზემოქმედება გარეენობრივი კულტურული-სტორიული, არაიშვითად – პოლიტიკური მიზეზებით არის გამოწვეული.

ენის საობიექტივაციო („ექსპრესიული“) და საკომუნიკაციო ფუნქციათა ურთიერთობა

21. ენას ორი ფუნქცია აქვს – საკომუნიკაციო და საობიექტივაციო: ენა გამოიყენება საურთიერთოდ და აზროვნების იარაღად [31].

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელი იქნებოდა ენის გამოყენება აზროვნების იარაღად, რომ მას საკომუნიკაციო ფუნქცია არ მქონდეს.

რა თქმა უნდა, ასევე შეიძლება ითქვას – ენა აზროვნების იარაღი რომ არ ყოფილიყო, მას საკომუნიკაციოდ ვერც გამოიყენებდნენ. ეს ნიშნავს, რომ ორივე ფუნქციის ქონა არის აუცილებელი პირობა ენის არსებობისათვის.

მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ თვით ადამიანური აზროვნება მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობის, კომუნიკაციის შედეგად არის შესაძლებელი. ფაქტობრივ ვითარებას ასახავს ენისა და აზროვნების ურთიერთობის ის დახასიათება, რომელიც მარქსს აქვს მოცემული: „ენა ისევე ძველია, როგორც – აზროვნება; ენა სწორედ არის პრაქტიკული, სხვა ადამიანებისათვისაც არსებული და მხოლოდ ამის გამო თვით ჩემთვისაც არსებული ნამდვილი აზროვნება“ [31]. სხვაგვარისათვის და მხოლოდ ამის გამო თვით ჩემთვისაც, ე. ი. საკომუნიკაციო ფუნქციის უწინარესობა და უპირატესობა, საკომუნიკაციო ფუნქციის განმსაზღვრელი ხასიათი საობიექტივაციო ფუნქციასთან შედარებით – ასე წარმოვიდგინოთ ვითარება, როდესაც საქმე ეხება საკომუნიკაციო და საობიექტივაციო ფუნქციათა ურთიერთდამოკიდებულებას.

ცხადია, ამ მარტივი მსჯელობით ვერ გადაწყდება ენის, ენობრივი ნიშნის რაობის საკითხი. მაგრამ აუცილებელია ამ უკველად, მარტივ ფაქტებზე დაყრდნობა, რომ შესაძლებელი შეიქნეს მართებულიად დავსვათ და, მაშასადამე, მართებული გადაწყვეტის პირობები მოვაშინათ ისეთი რთული საკითხისათვის, როგორცაა ენისა და საზოგადოების, ენისა და აზროვნების ურთიერთობა (და, აგრეთვე, არასაკუთრად ენათმეცნიერული საკითხი აზროვნების და საზოგადოების ურთიერთობისა), ხოლო ამის გარეშე შეუძლებელია სწორად გავერკვეთ როგორც ცალკე სიტყვის, ისე მთელი ლექსიკური ფონდის ბუნებაში.

სიტყვის მნიშვნელობის რაობა

22. ენის საობიექტივაციო ფუნქციასთან დაკავშირებით არის კიდევ ერთი საკითხი, რომელზედაც მეცნიერებაში აზრთა სხვაობაა. ესაა საკითხი სიტყვის მნიშვნელობის რაობისა.

როდესაც მნიშვნელობის შესახებ ვლაპარაკობ, ვგულისხმობთ აღსანიშნთან, რეალურ სინამდვილესთან, ამა თუ იმ მოვლენასთან ან საგანთან მიმართებას [15].

მნიშვნელობას სხვაგვარადაც ახასიათებენ ხოლმე. მაგალითად, სიტყვის მნიშვნელობად მიიჩნევენ იმ წარმოდგენას, რომელსაც ამ სიტყვის გაგონება ადრავს მსმენელში [41]. მაგრამ ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ სიტყვის გაგებას, ე. ი. მნიშვნელობის წვდომას, აუცილებლობით არ აპირობებს სათანადო საგნის წარმოდგენა.

ენათმეცნიერები აგრეთვე არაიშვითად აიგივებენ სიტყვის მნიშვნელობას და ცნებას. მაგრამ ცნების რაობის საკითხში ლოგიკოსები არიან კომპეტენტურნი, ისინი კი სრულიად

გარკვეულად აღნიშნავენ, რომ „ყოველდღიურ ცხოვრებაში გავრცელებული სიტყვები ცნებებს არ შეესაბამებიან“ [3].

ამრიგად, ფსიქოლოგიზმსა და ლოგიციზმს სიტყვის მნიშვნელობის საკითხში თვით ფსიქოლოგია და ლოგიკა არ უჭერს მხარს¹¹.

23. ეს კია, რომ უარყოფთ რა ცნების (თუ წარმოდგენის) გაიგივებას სიტყვის მნიშვნელობასთან, ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ სიტყვაც და ცნებაც (და წარმოდგენაც) საგანთან არის მიმართებაში:

ერთი მხრით, ენობრივი ნიშნის, სიტყვის ერთი ძირითადი ფუნქცია არის ობიექტზე მითითება, საგნის აღნიშვნა;

მეორე მხრით, ცნება არის აზრი საგნის შესახებ.

რაც საერთო ჩანს სიტყვასა (მის მნიშვნელობასა) და ცნებას შორის, ის არსებითად ორივე მათგანის განმსაზღვრელიდან – საგნიდან – მომდინარეობს, ოღონდ სიტყვაში იგი მომდინარეობს არა ცნების მეშვეობით, არამედ უშუალოდ. პირიქით, ცნება საგნის შესახებ სიტყვის მეშვეობით არის შემუშავებული [5, 24].

24. სიტყვის მნიშვნელობად რომ საგნობრივ მიმართებას მივიჩნევთ, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს სიტყვა ადამიანთა გარკვეულ ჯგუფში არსებობს. დამოკიდებულება სიტყვასა და საგანს შორის დამყარებულია გარკვეულ ენობრივ კოლექტივში ამ ენობრივი კოლექტივის მიერ.

ამიტომ მიმართება ერთსა და იმავე საგანთან სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში ხმარებული სიტყვებისა, ე. ი. სხვადასხვა ენის სიტყვებისა, მართლ ფონეტიკური გარსით კი არ განსხვავდება (ვთქვათ, შვის სპექტრის მეექვსე ზოლის აღმნიშვნელი ქართული სიტყვა ქლერს როგორც დურჯი, რუსულში კი – როგორც сивий), არამედ თითოეულ ენაში ამა თუ იმ სიტყვას თან ახლავს ის ცოდნა, რომელშიც უკუფენილია ადამიანთა გარკვეული კოლექტივის დამოკიდებულება სათანადო მოვლენასთან თუ საგანთან.

ამას ერთვის გამართლებელი მომენტებიც (კერძოდ, სიტყვის დამოკიდებულება სხვა სიტყვებთან, სემანტიკური შესაბამისი შესაძლებლობა და სხვა), რაც, საბოლოო ანგარიშით, იწვევს იმას, რომ სხვადასხვა ენაში ცალკე სიტყვების თარგმნა მეტად რთულია, ზოგჯერ შეუძლებელიც [23, 17]: ერთი ენის სიტყვა შესაძლებელია არ გამოდგეს ყველა იმ შემთხვევაში, სადაც იხმარება სათანადო საგნის აღმნიშვნელი სიტყვა სხვა ენაზე.

25. სიტყვის მნიშვნელობის როგორც საგანთან მიმართების გაგებაში არ უნდა უარგავოფინოს ცნობიერების მონაწილეობა მტყვევლების აქტში და აზროვნებითი მომენტი იმ დამოკიდებულებაში, რომელიც დაკავშირებულია ორ ფონიკურ ოდენობას – ბგერით გარსსა და საგნებს – შორის.

ამგვარი საშიშროება ჩნდება, როდესაც ენობრივ კომუნიკაციას მექანიზტური, ბიჰვიორისტული ინტერპრეტაცია ეძლევა: მტყვევლების პროცესი თითქოს იმაში მდგომარეობს, რომ მეტყვევლის მიერ წარმოთქმულ სიტყვათა ბგერული ტალღები ეცემა მსმენელის ყურის აპკს, ათრთოლებს მას და ამოქმედებს ნერვებს: მსმენელმა გაიგონა ნათქვამი, გაგონილმა მსმენელზე იმოქმედა, როგორც სტიმულმა, და მსმენელი ახრულდა შესაფერის მოქმედებას [22]. ამგვარ ვარაუდში გაგონება გათვალისწინებულია, მაგრამ გამოტოვებულია გაგება, სათანადოდ – „მნიშვნელობა“ საერთოდ უარყოფილია და შეცვლილია „სიტუაციით“ [14, 36].

სინონიმა¹²

26. სიტყვა, როგორც მნიშვნელობის მატარებელი ერთეული, როგორც ვთქვით, უთუოდ ორ

¹¹ იქნებ ამიტომ ზოგი ლინგვისტი ლაპარაკობს „ხალხური საყოველღეო ცნების“ თუ „ზოგადი წარმოდგენის“ შესახებ. მაგრამ საყოველღეო ხალხური ცნებაც, რაკი იგი მინც ცნებაა, ვერ მიიჩნება სიტყვის მნიშვნელობად, როგორც ვერ მიიჩნევა ყოველი სხვა ცნება. ასევე ზოგად წარმოდგენას, რამდენადაც იგი წარმოდგენაა, ვერ გაავივივებთ სიტყვის მნიშვნელობასთან. ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ხალხურ ცნებას“ და „ზოგად წარმოდგენას“ აკლია ის გარკვეულობა, რაც ლოგიკაში ტერმინ „ცნებას“ და ფსიქოლოგიაში „წარმოდგენას“ აქვს.

¹² აქ (§§ 26-31) წარმოდგენილი მსჯელობა ეყარება საგანებო წერილის [9]; იქვეა განხილული ამ უკანასკნელ წლებში გამოთქმული შეხედულებებიც სინონიმის შესახებ.

მხარეს გულისხმობს: აღსანიშნა და აღმნიშვნელს, ყველაზე მარტივი იქნებოდა ისეთი ვითარება, სადაც აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის იარსებებდა „ცალსახა მიმართება“, ერთი აღსანიშნი ყოველთვის ერთი აღმნიშვნელით რომ გამოხატულიყო და, პირუკუ, ერთი აღმნიშვნელი ყოველთვის მხოლოდ ერთი აღსანიშნისათვის გამოყენებინათ.

ამგვარი, მაგალითად, აღმნიშვნელი *შუბლი* და აღსანიშნი 'აღმაიანის სახის ზედა, თვალგბსხვეთა ნაწილი, ბგერათკომპლექსი *შუბლი* სხვას არაფერს აღნიშნავს, თუ არ 'სახის ზედა ნაწილს' და 'სახის ზედა ნაწილი სხვა არაფრით გადმოიცემა, თუ არ *შუბლი*-ბგერათკომპლექსით.

ენებში ამგვარი „იდელალური“ სიტყვების გვერდით ფაქტობრივ არაიშვიათად გვაქვს განსხვავებული შემთხვევებიც. ბგერათკომპლექსი *ყური*, მაგალითად, აღნიშნავს არა მხოლოდ 'შემის ორგანოს', არამედ 'კუთხოვანი საგნის (მაგ., თავშლის) წვერსაც', 'ჭურჭლის სახელურსაც', 'ღებნის ნახევარსაც'.

და, პირიქით, ერთ აღსანიშნს, ერთ მნიშვნელობას ხშირად რამდენიმე ბგერათკომპლექსი შეესატყვისება: *ფანჯარა* და *ხარკმელი* ერთსა და იმავეს აღნიშნავს, სიტყვა კი ორი „სიომ *ხარკმელს* შექსისინა, გააცინა *ფანჯრის* მინა“ (აღ. აბაშელი), ასევე *პაპა* და *ბაბუა*: „პაპაშენს *ბაბუაზე*მი სიტბოთი შემოხიზენია! (რ. ერისთავი), *დროული* და *ხნერი*: „არც ისე *დროულიცა* ვარ, *უცხო*სა ვგონივარ *ხნერი*“ (ვაჟა) და სხვ.

ამგვარი ერთმნიშვნელოვანი სიტყვების წყვილები (ან ჯგუფები) ენებში ცოტა არაა, მაგრამ, ცხადია, იგი არც მთელს ლექსიკურ ფონდს მოიცავს, ე. ი. ყველა სიტყვას არ მოეპოვება სინონიმი.

თითქოს საერთოდ სურათი ნათელია და სინონიმთა გამოყოფაც უყოყმანოდ უნდა შეიძლებოდეს, ნამდვილად კი მდგომარეობა უფრო რთულია, ვინკე ერთი შეხედვით ჩანს და სინონიმის ცნების განსაზღვრა, სინონიმის საზღვრის დადგენა, სინონიმთა დაჯგუფება და მათი ურთიერთობის გარკვევა აზრთა სხვაობას იწვევს ენათმეცნიერებაში.

27. სინონიმ ბერძნულად 'თანასახელს' ნიშნავს, ე. ი. ერთი და იმავე საგნის მეორე სახელს. სინონიმთა, ამის მიხედვით, იქნება საგნის ორი (და მეტი) სახელიანობა. მაშასადამე, სიტყვა-სინონიმთა ურთიერთობის დასადგენად გასათვალისწინებელია მათი იდენტურობა საგნობრივ მიმართებაში და სიტყვის მიხედვით. *სინონიმო-სიტყვის* ეს თავდაპირველი მნიშვნელობა შემდგომში გართულდა. მაგრამ ამ გართულებით მას არაფერი მოუგია – სინონიმის გაგება მხოლოდ გაბუნდოვანდა.

სინონიმის საკითხზე მსჯელობის ყველაზე გავრცელებული ამოსვლა იმ ვარაუდიან, რომ სიტყვის აღსანიშნ მხარეს ცნება წარმოადგენს; სინონიმებად მიიჩნეოს ორი (ან რამდენიმე) სიტყვა, რომლებიც ერთ ცნებას გამოხატავენ. მაგრამ „ცნება“ რა იყო, რა მიმართებაში იყო იგი საგანთან, ეს ან სრულად გაურკვეველი რჩებოდა, ან კიდევ ცალკეული მკვლევარების მიერ წარმოდგენილი განსაზღვრებანი ერთმანეთს არ მოეყვებოდა, რასაც, ბუნებრივია, თვით სინონიმის გაგებაში არეუ-დარევა შექმნდა.

სინონიმის განსაზღვრებისას ცნებების გამოყენებას თან მოეყვა ისეთი უენაური გამოთქმა, როგორცაა „ცნების ნიუანსები“. არაიშვიათად სინონიმებს ახასიათებენ, როგორც „სხვადასხვაგვარად მგვირ სიტყვებს, რომლებიც გამოხატავენ ერთი ცნების ნიუანსებს“, ზოგჯერ უფრო შორის მიდანი, თამამად ერევიან ლოგიკოსთა საქმეში და ცნებას მიაწერენ არაარსებით ნიუანსებსაც: „მნიშვნელობა ლოგიკური თვალსაზრისით შეფარდება ცნებას, რომელსაც აქვს არსებობის (მათი შეცვლა იწვევს სხვა ცნებად ქცევას) და არარსებობის ნიშნები, რომელთა რაოდენობის ცვლა ცნების ხასიათს არ ცვლის. მნიშვნელობის ნიუანსი არის ცნების არარსებობის ნიშნები“ [21]. დაუიწყებელია, რომ ცნება სწორედ არსებითი ნიშნების ერთობლიობაა. ამიტომ ცნებას შეუძლებელია მიეწეროს არარსებითი ნიშნებიც.

სხვები სინონიმებად ერთი მნიშვნელობის მქონე სიტყვებს მიიჩნევენ, მაგრამ თვით „მნიშვნელობა“, როგორც ცნობილია, სულ სხვადასხვაგვარად ესმით: მნიშვნელობა ზოგისათვის საგნობრივი მიმართებაა, ზოგისთვის – ცნება, ზოგისათვის კიდევ სიტყვის მნიშვნელობაში საქმე გვაქვს არა მხოლოდ ცნებების შინაარსთან, არამედ აგრეთვე „თანაზრებთან“ (ესააო „ყველა თანხლები წარმოდგენა და თანაწარმოდგენები, რომელთაც ჩვენში სიტყვა იწვევს“) და გრძობის დამყარებასთან (ანუ „ყველა რეაქტივად გრძობასთან და წარმოდგენასთან, რომლებსაც ეს სიტყვა იწვევს“) [39].

ბუნებრივია, რომ სინონიმის გაგებაც ამის მიხედვით ნაირ-ნაირი გამოდის.

28. სინონიმის დახასიათებისას უნდა დავეყაროთ მნიშვნელობის როგორც აღსანიშნთან მიმართების გაგებას. სინონიმები ერთი მნიშვნელობის, ე. ი. ერთგვარი საგნობრივი მიმართების მქონე სიტყვებია. მაგრამ ამგვარი გაგება მეტად ზოგადია და ამიტომ შემდგომი დაზუსტების გარეშე ვერ უზრუნველყოფს დამატყოფილებულ შედეგებს.

ფართოდ არის გავრცელებული სინონიმთა ორი ჯგუფის გამოყოფა: „სტილისტურის“ (ანუ „ექსპრესიულის“) საპირისპიროდ სახელგებუნ „იდეოგრაფიულ“, „სემანტიკურ“ ანუ „არობლივი ნიუანსების გადმოცემა“ სინონიმებს, სადაც თითქოს მნიშვნელობის ნაწილობრივი დამთხვევა გვაქვს. რას ეხება ეს „ნაწილობრიობა“? (ნიმუშიც მოტანილი იხზა და დворец, илет და бежит, мыслитель და философ, ცხადია, სინონიმთა შწკრივში ვერ მოექცევა).

„მნიშვნელობათა ნაწილობრივი დამთხვევის“ ვარაუდი გააჩინა, უნდა ვიფიქროთ, აღსანიშნისა და ობიექტის გაიგივებამ, მაშინ როცა მნიშვნელობა არის საგნობრივი მიმართება, მიმართება სკანთან, საგანი და ობიექტი კი სხვადასხვა რამაა. ხოლო თუ მნიშვნელობას ობიექტთან კი არ გავივივებთ, არამედ სიტყვის მნიშვნელობად საგნობრივ მიმართებას მივინვეთ, სიტყვას – საგნის სახელად და, მაშასადამე, სინონიმებსაც – ერთი და იმავე თანახმელებად, მაშინ „მნიშვნელობის ნიუანსის“ საკითხი საერთოდ მოიხსნება.

ცხადია, არ არის გამორიცხველი, ერთი და იმავე ობიექტის სხვადასხვა სახელი სხვადასხვა ნიშან-თვისებას გულისხმობდეს, ვთქვათ, ერთი სახელი ა – ბ – გ ნიშან-თვისებებს, მეორე სახელი ა – გ – დს და ა. შ., მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვექნება არა ერთ საგანთან, არამედ მხოლოდ ობიექტთან: პლევრიტისა და ჭვალის შემთხვევაში თუმცა ობიექტი ერთია (ესა და ეს დაავადება), – საგანი სხვადასხვა გვაქვს (პირველი ანთების პროცესს აღნიშნავს, მეორე – ტკივილის გრძობას).

არნ. ჩიქობავამ ობიექტისა და საგნის ამგვარი გარჩევა გამოიყენა სინონიმის საკითხის გახარკვევად. იგი ამბობს, რომ სხვადასხვა სიტყვით „გამოყოფილია ამ ობიექტის სხვადასხვა მხარე, ე. ი. მათ აღსანიშნად აქვთ სხვადასხვა საგნები, რომლებსაც ისინი მიმართებიან. მიმართებიან რა სხვადასხვა საგნებს, ეს სიტყვები მნიშვნელობით განსხვავებული არიან და, ბუნებრივია, სინონიმებად ვერ მიიჩნევიან“ [37].

როგორც ცხედათ, სინონიმისათან სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას განაპირობებს სიტყვის სემანტიკის სხვადასხვაგვარი გაგება. ბუნებრივია, რომ სემანტიკური კრიტერიუმი გულისხმობს გასვლას ვიწროდ გაგებული ვინ და ან – დროისა და სივრცისაგან დამოკიდებულ, თავისთავში ჩაკეტილი სისტემიდან. სიტყვათა ურთიერთობის შესასწავლად საჯირო ჩანს გაიარკვეს ამ სიტყვათა მიმართება არა მხოლოდ ერთმანეთთან, არამედ, აგრეთვე მიმართება იმათთან, რის აღსანიშნავდაც სიტყვები გამოიყენებიან და იმათთან, ვინც ამ სიტყვებს იყენებს.

29. არის ცდები, რომ სინონიმის საკითხი გადაწყვიტონ ამ „გარეენობრივი“ ფაქტების გაუთვალისწინებლად. ერთი ამგვარი ცდა წარმოადგინა ვ. ზვეგინცევიმ. რაკი სინონიმთა სინქრონულ ჰრეივო ვლინდება, – მის შესასწავლად სინქრონით უნდა შემოვიფარგლოთ. სინქრონია არ იცნობს გარეულ შეპირობებას ან მოტივაციას, რომლებიც დროშია გაშლილი. მნიშვნელობა გარეენობრივი მოვლენებით – ნივთებით და ცნებებით არის შეპირობებული და მოტივირებული. ამიტომ სინქრონიას მასთან საქმე არა აქვსო. სინქრონულ სიბრტყეში სიტყვის მნიშვნელობა არის მისი პოტენციადური შეხამებადობა სხვა სიტყვებთან. ამიტომ *хранил* და *отвѣхнул* სინონიმებად მიიჩნევიან არა იმის გამო, რომ მათ საერთო ან მსგავსი საგნობრივი საფუძველი აქვთ... ისინი სინონიმები არიან მათი იგივეობრივი შეხამებადობის გამო: სინონიმები ის სიტყვებია, რომლებც ერთმანეთს ენაცვლებიან მინიმალურ დისტრიბუციულ მოდელშიო (ე. ი. სინტაგმაში, უმოკლეს შესიტყვებაში) [27]. ეს ფაქტობრივ ვითარებას არ შეესაბამება, რაც ავტორს შეეშინეს კიდევ.

თვით შეხამებადობის ობიექტურობას, მართებულობას ადასტურებს ენობრივი გრძნობაო, შენიშნავს ვ. ზვეგინცევი. მაგრამ ენობრივი გრძნობის კრიტერიუმად შემოტანა სურათს მოლიანად ცვლის: თუ მეტყველების გრძნობა იმის საზომად გამოდგება, რომ *ჩიბუხის მოკიდება, გაბოღება, ჩაქრობა, გამობერტყვა* და ა. შ. ისევე შეიძლება, როგორც *ყაღისონის გატენა, ჩიბუხის მოკიდება, გაბოღება* და ა. შ., – რა დადავიშლის ვივარაუდით, რომ მეტყველება ასევე შეიძლება იგრძნოს, რომ *ჩიბუხი* და *ყაღისონი* ერთსა და იმავეს აღნიშნავს. იმის გრძნობა, რომ ერთსა და იმავე კონტექსტში

შეიძლება იხმარებოდეს *ჩიბუხი*ცა და *კალიონი*ც, ფაქტობრივ ემყარება სწორედ ამ ერთ საგნის გრძნობას. მეტყველი ხომ სწორედ საგნობრივი მიმართების მიხედვით დაადგენს სიტყვათა სემანტიკურ იგივეობას და არა საზიარო კონტექსტების ჩამოთვლით (სადაც სიტყვათა შინაგნობა ხდება). მხელი დასაშვებია თითოეულ მოლაპარაკეს ჰქონდეს გრძნობა ამა თუ იმ სიტყვის შესამებადობისა ყველა შესაძლო კონტექსტში. ბავშვი, რა თქმა უნდა, ენას გაბმულ მეტყველებაში ითვისებს. მაგრამ მეტყველების პროცესი სრულებითაც არაა მხოლოდ გამორება, რეპროდუქცია წინათ გაგონილი ფრაზებისა. შესამებადობა მორეყული საგნობრივი მიმართებასთან შედარებით.

სინონიმის განსაზღვრისას არ მოხერხდა კონტექსტით (როგორც ერთადერთი ობიექტური კრიტერიუმით) შემოფარგვლა. ამასთანავე, რაკი კონტექსტთა მთელი ერთობლიობის მოხმობა შეუძლებელია, კონტექსტის ობიექტური კრიტერიუმი (ხმარებულობა) შეცვლილ იქნა „მეტყველების გრძნობით“, რომელიც უკვე სუბიექტურია. ამრიგად, კონტექსტის როგორც გრძნობის ეს მოჩვენებითი უპირატესობაც ხელიდან გამოგვეცვალა. კონტექსტი ლექსიკური სინტაგმატიკის ფაქტია. ლექსიკური სინტაგმატიკის რესურსებით სინონიმის საკითხი ვერ წყდება.

გამოითქვა აზრი, რომ „ლექსიკოლოგიამ არ უნდა შეისწავლოს სინონიმი, რადგან სინონიმთა ერთობლიობა არ ქმნის რეალურ ფუფუნს, კერძო ლექსიკურ სისტემას მოცემული ენის ლექსიკის საერთო სისტემაში“ [32]. სადავოა ლექსიკის სისტემურობის აქ ნაგულისხმევი გაგება.

მაგრამ არანაკლებ სადავოა სინონიმის სისტემურობის დასამტკიცებლად სინტაგმატიკური ზრდივის იმგვარი მოშველდება, როდესაც ვარაუდობენ შინაგან კავშირს სინონიმისა და პოლისემიას შორის: სადავოა ვარაუდი, თითქოს პოლისემიური სიტყვის ცალკეულ მნიშვნელობებს, როგორც წესი, თავ-თავიანთი სინონიმები ჰქონდეთ, პოლისემიური სიტყვა უთუოდ შედიოდეს რამდენსამე სინონიმურ რიგში და, ამრიგად, თითქოს ენა წარმოადგენდეს ასოციაციოთა უწყვეტ ბაღებს, რომელიც მოიცავს ლექსიკის მის სინქრონულ მდგომარეობაში. ამგვარი ვარაუდი უსაფუძვლოა. სინონიმისა და პოლისემიის შესხვედრა შემთხვევითი ფაქტია და არაა ენის ლექსიკური სტრუქტურის აუცილებელი ნიშან-თვისება [8]. ამიტომ ეს ფაქტი არ გამოდგება სინონიმის სისტემურობის სამტკიცებლად.

ვარაუდი, რომ ლექსიკა წარმოადგენს სინონიმურ და პოლისემიურ მიმართებათა ბაღებს, რომ სინონიმია ოდენ ლექსიკური პარადიგმატიკის ფაქტია, – არ შეესაბამება ფაქტობრივ ვითარებას. ზემოთ აღნიშნეთ, რომ ფაქტობრივად ვითარებამ არ დაუჭირა მხარი სინონიმის მიჩნევას მხოლოდ ლექსიკური სინტაგმატიკის ფაქტად. ლექსიკური პარადიგმატიკა და ლექსიკური სინტაგმატიკა არის ორი მხარე ლექსიკის შინაგანი სტრუქტურისა, რომელიც განიხილება როგორც ავტონომიური დროისა და სივრცისაგან დამოუკიდებელ მიმართებათა სისტემა.

ჩანს, სინონიმის ლინგვისტური შესწავლისათვის საჭიროა შინალექსიკურ მიმართებათა წრიდან გასვლა და ენობრივი კოლექტივის ყოფის, მისი შედგენილობისა და ისტორიის ფაქტების გათვალისწინება.

სამართლიანია შენიშვნა, რომ სინონიმის სისტემური ხასიათი „ვლინდება რიგ სემანტიკურ პროცესებში, რომლებსაც მიეკუთვნება, პირველ ყოვლისა, დიაქრონული პროცესები“ (34). გასაზიარებელია ულმანის მითითება, რომ სინონიმის მეცნიერული შესწავლა მისი ისტორიული შესწავლაა.

30. ზემოთქმულიდან ჩანს, რომ საფუძველი არა აქვს ეჭვს, თითქოს საზოგადოდ შეუძლებელი იყოს სინონიმთა ობიექტური გამოყოფა. მით უფრო ეჭვს ვერ შევიტანთ სინონიმთა არსებობაში. მათ რეალურობას ადასტურებს, უწინარეს ყოვლისა, ლექსიკოგრაფიული პრაქტიკა. აი, მაგალითად, როგორ გამოიყურება საბას ლექსიკონში ზოგიერთი სიტყვის განმარტება: „*მუღამ მარადის*“ – „*მარადის ნიადაგ, მუღამ*“ – „*ნიადაგ მარადის*“; „*გეხელი* გველთა და მისთანათა შხამი“ – „*შხამი გეხელი გველთა და მპრომთა*“; „*ღმობა ტკივილი*“ – „*ტკივილი ღმობა*“ და სხვ. აქედან ჩანს, რომ *მუღამ*, *მარადის* და *ნიადაგ* სინონიმებია; სინონიმულია აგრეთვე *გეხელი* და *შხამი*, *ტკივილი* და *ღმობა*... სხვა მაგალითები თანამედროვე „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“: „*ბაიუშა*, *ჭოტი*, *ბუკიორტი*“, „*ბაწრავს* თოკავს, კოჯავს“; „*გაუწყრება* გაუჯავრდება“... „*უმჯველია*, *ბაიუშა*, *ჭოტი* და *ბუკიორტი* ერთმანეთის მიმართ სინონიმებია, ასევე – *ბაწრავს*, *თოკავს* და *კოჯავს*, აგრეთვე *გაუწყრება* და *გაუჯავრდება*...“

სინონიმების არსებობას ადასტურებს სხვადასხვა სიტყვის გამოყენებაც ერთი და იმავე უცხოური სიტყვის ფარდად: რაკი гордый'ს ფარდად გამოუყენებიათ როგორც *აპყი*, ისე *გორბი*, *რუხი*, *უფუკელია*, ეს სიტყვები ერთმანეთის მიმართ სინონიმებია; *უურდუნი* და *უპყერი* სიტყვებიც სინონიმებია, რაკი *смотреть*-სიტყვის ფარდად გამოიყენებიათ სოღმე. სინონიმებია რუსული *давеча* და *недавно* – ერთი და იმავე ქართული *წვღან* სიტყვის შესატყვისები...

ამრიგად, ენას ბევრ შემთხვევაში მოეპოვება ორი (ან რამდენიმე) სიტყვა ერთი და იმავე მოვლენის აღსანიშნავად: სინონიმების რეალურობაში უკვს ვერ შევიტანო.

31. ყოველი მოვლენის შესწავლა მისი აგებულების აღწერით იწყება, ე. ი. შემადგენელ ელემენტთა კლასიფიკაციით.

სინონიმთა კლასიფიკაციის ბევრი ცდა არსებობს. უმრავლესობას ერთი საერთო ნაკლი ახასიათებს – არაა დაცული კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპი – ერთი ნიშნის გამოყენება სინონიმთა დაჯგუფებისათვის.

მაგალითად, ერთ-ერთი კლასიფიკაცია სინონიმთა ათ ამგვარ ჯგუფს გამოყოფს: 1. ერთი მოვლენის აღმნიშვნელი, მაგრამ სტილისტური ელფერით განსხვავებული (глаз – око), 2. სხვადასხვა სტილში ხმარებული (მაგ., წიგნები – საუბრული: труд – работа), 3. არაუცხოური – უცხოური (отвлеченный – абстрактный), 4. ნეიტრალური – ემოციურად შეფერვილი (неприятный – противный – омерзительный), 5. სიტყვა – შესიტყვება (участвовать – принять участие), 6. ლიტერატურული – კუთხური (печух – кочет), 7. მოძველებული – ახალი (челобитная – прошение – заявление), 8. სიტყვა – მისი ეფემისტური მონაცვლე (черт – нечист), 9. სიტყვა – მისი პერიფრაზი (Пушкин – автор «Евгения Онегина»), 10. იდენტური გამოთქმა – სიტყვა (зубы на полу положить – голодать) [26]. სინონიმთა ამგვარი დაჯგუფება კლასიფიკაციად ვერ ჩაითვლება, რადგან ერთიანი საკლასიფიკაციო ნიშანი არ გასდევს და თითოეული ჯგუფის ესა თუ ის წევრი შესაძლებელია უმტიკვენულოდ იქნეს შეყვანილი სხვა რომელსაზე ჯგუფში.

რაკი სინონიმის მეცნიერული შესწავლა მისი ისტორიული შესწავლა, ცხადია, მეტი შემეცნებითი ღირებულება ექნება სინონიმთა იმგვარ დაჯგუფებას, რომელიც მათ ისტორიას გაითვალისწინებს, ე. ი. სხვადასხვა ჯგუფს გამოყოფს წარმომავლობის ხასიათის მიხედვით. სინონიმთა შეიღლება გაიჩინოს ა) დიალექტური (თოკი – ბაწარი, ნიბუხი – ყადიონი), ან ბ) ნაირფერობითი (ბატალიონი – ათასეული, ვეჟილი – აფორეჟი) სიტყვების თავმოყრამ, ან ც) კიდევ გ) მნიშვნელობის ცვლილებამ, რის შედეგადაც ორი სიტყვა მნიშვნელობით ერთმანეთს დაემთხვევა (ჯირითი – დოლი...). ყველა შემთხვევაში სინონიმის წარმოქმნა ასე თუ ისე დაკავშირებულია შესაბამისი ენობრივი კოდექტივის ცხოვრებასთან: ესაა საზოგადოების კონსოლიდაცია – ერთი ხალხის სხვადასხვა ტომის შერწყმა ერთ ენობრივ კოდექტივად, კონტაქტები სხვა ხალხებთან, დაბოლოს, სათანადო ენობრივი კოდექტივის საქმიანობაში თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები...

ფასეული იქნება, აგრეთვე, სინონიმის შემთხვევათა დაჯგუფება იმის მიხედვით, თუ რა გზით ხდება სინონიმის დაძლევა.

საქმე ისაა, რომ რამდენადაც სიტყვა საგნის ნიშანია, – გაუმართლებელია რამდენიმე აღმნიშვნელის არსებობა ერთი აღსანიშნისათვის, და ენაც ბევრ შემთხვევაში ცდილობს თავიდან აიცილოს ამგვარი სიჭარბე ა) ერთ-ერთი სინონიმთან გაქრობით (მაგნიტი და ანტი-მაგნიტი-სიტყვების სინონიმთა) ან ბ) ერთ-ერთი სინონიმთან განსხვავების ცვლით (ბულბული'სა და იადონი'ს სინონიმთა).

ურდადლებას იმსახურებს სინონიმთა ურთიერთობის დახასიათება შემთხვევადობის, სიტყვაწარმოებითი კავშირებისა და მეტ-ნაკლები ხმარებულობის მიხედვით [34].

მართლაც, იმის შემდეგ, რაც თავმოყრილი იქნება ერთნაირი მნიშვნელობის (ე. ი. ერთგვარი საგნობრივი მიმართების მქონე) სიტყვები. შეიძლება საკითხი დაიხვას – განსხვავდებიან თუ არა ისინი სხვა სიტყვებთან ურთიერთობის თვალსაზრისით: მონაწილეობენ თუ არა ერთსა და იმავე კონტექსტში, აქვთ თუ არა ერთგვარი სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობანი, ემთხვევიან თუ არა ერთმანეთს ხმარების სიხშირის მიხედვით... რამდენად შორს მიდის სინონიმთა მსგავსება ამ ნიშან-თვისებათა მიხედვით? სრული დამთხვევის შემთხვევაში ლექსიკურ დებულტებთან გვექნება საქმე; მაგრამ სრული დაუმთხვეველობა აღბათ არ აისი მოსალოდ-

ნელი, რაკი სიტყვებს საგნობრივი მიმართება ერთგვარი აქვთ.

სხეულელ ნიშანთა მიხედვით სინონიმთა მსგავსება-განსხვავებას ახსნა დაეძებნება ამ სიტყვათა ისტორიის გათვალისწინებისას; ეს კი ისევ იმას ნიშნავს, რომ სინონიმის ლექსიკოლოგიური შესწავლა უნდა მდგომარეობდეს სინონიმთა ისტორიის კვლევაში.

ანტონიმია

32. სინონიმების გვერდით ხშირად ასხენებენ ანტონიმებს. თვით სახელწოდებათა აგებულება გეაფიქრებინებს, რომ აქ ერთი სიბრტყის მოვლენებთან გვაქვს საქმე: პირველ შემთხვევაში - თ ა ნ ა სახელებთან (თვ...), მეორეში - ს ა კ ი რ ი ს კ ი რ თ სახელებთან (ავტ...). ანტონიმებია კარგი - ცუდი, მაღალი - დაბალი, თეთრი - შავი, толстый - тонкий, добрый - злой, un bien - un mal, lieben - hassen...

სინონიმის შემთხვევაში ჩვენს წინაშე იყო ერთი მოვლენის, ერთი საგნის რამდენიმე (ორი, ზოგჯერ - მეტი) სახელი.

როგორია ვითარება ანტონიმების შემთხვევაში - რას ნიშნავს „საპირისპირო სახელები“? - ცხადია, არა შესაბამისი საგნების ურთიერთშეუთავსებელ ხასიათს.

საგნები თავისთავად არ უპირისპირდებიან ერთმანეთს. საგნების დაპირისპირებას ადამიანები ახდენენ და ადამიანები ახასიათებენ ამა თუ იმ საგანს, როგორც სხვა რომელიმე საგნის საპირისპირო თვისების მქონეს.

მაგრამ ეს უკვე ადამიანის ცნობიერების მიერ ჩატარებული ოპერაციაა. ამიტომ სინამდვილეში რეალური საგნების დაპირისპირება კი არ ხდება, არამედ ადამიანთა აზრებისა ამ საგანთა შესახებ, ვ. ი. ც ნ ე ბ ე ბ ი ს ა .

33. ცნებათა დაპირისპირებას მართლაც ახდენს ლოგიკა. იგი შეუთავსებელ ცნებათა შორის გამოყოფს ვერც ერთ წოდებულ კონტრარულსა და კონტრადიქტორულ ცნებებს.

ცნებათა შეუთავსებლობა კონტრადიქტორულია (საპირისპიროა), როდესაც ერთი ცნების ნიშან-თვისებები მეორე ცნებაში უარყოფა: „შავი - არაშავი“.

ცნებათა დაპირისპირება კონტრარულია (საწინააღმდეგოა), როდესაც დაპირისპირებულ ცნებებში წარმოდგენილია კიდურა წევრები ხარისხობრივად განსხვავებული ნიშან-თვისებების მქონისა: „შავი - (შუქი ნაცრისფერი -...-ღია ნაცრისფერი) თეთრი“.

თუ ანტონიმებად მიხნულ სიტყვებს და ცნებათა ამ ორ რიგს შევუდარებთ ერთმანეთს, დაინახათ, რომ ლექსიკაში არსებული დაპირისპირება ა უ ც ი ე ბ ლ ო ბ ი თ არ ემთხვევა ლოგიკურს. ასეთი დამხვევა მხოლოდ შ ე ს ა ძ ე ლ ე ბ ე ბ ა , და ასეთ შემთხვევაშიც ცნებისა და სიტყვის აუცილებელი შინაგანი კავშირის უკუფენას არ წარმოადგენს.

ანტონიმიაზე მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვილაპარაკოთ, როდესაც გარკვეულ სიტყვათა დაპირისპირება ამა თუ იმ კონკრეტულ ენაში რვეულარულიად ხდება. ასე, თერგისა და მყინვარის დაპირისპირება, წარმოდგენილი ილიას „მგზავრის წერილებში“, ინდივიდუალური მხატვრული სახეა და საერთო ქართულ ანტონიმთა ფონდში არ შედის, ხოლო ახლისა და ძუღლის დაპირისპირება, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ რამდენჯერმე გვხვდება, საერთოქართული ლექსიკური მოვლელი - ანტონიმის გამოვლენაა: ამგვარი დაპირისპირება ფართოდ არის გაერთიანებული ხალხურ ლექსებში, ანდა ზემოში...

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სინონიმისაგან განსხვავებით ანტონიმისა უშუალოდ არ განსაზღვრავს საგანთა ობიექტური თვისებები. ანტონიმია არის ლოგიკური შესაძლებლობის რვეულარული გამოყენება გარკვეულ ენობრივ კოლექტივში [30].

პოლისემია

34. აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის არაცალსახა დამოკიდებულების შემთხვევებს წარმოვიდგინეს აგრეთვე პოლისემია.

პოლისემიაში იგულისხმება შესაძლებლობა - ერთი სიტყვის (ისტორიულად და ფონეტიკურად იგივეობრივი ოდენობის) მეშვეობით მიეთითოს რამდენსააშე განსხვავებულ ობიექტზე. პოლისემურია, მაგალითად, სიტყვა გუჭი, რომელიც აღნიშნავს: 1. 'სხეულის (ჩონჩხის) ნაწილს' და 2. 'საქსოვ იარაღს'; თვით 'პორბალსაც' აღნიშნავს და 'ჭვირვას ქვასაც' და სხვ. საკითხი თითქოს მარტივია და პასუხიც ნათელი.

მაგრამ დიდი ხანია შენიშნულია, რომ თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში სიტყვის მნიშვნელობათა დადგენა გარკვეულ სიძიელებს აწევდება: არ არსებობს მნიშვნელობათა გამოყოფის საყოველთაოდ აღიარებული მეთოდები, ამიტომ, თუ ამა თუ იმ სიტყვის მორფემული ან ფონემური შემადგენლობის დადგენა, ჩვეულებრივ, დავას არ იწვევს, საბავთრო, „სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის“, ამა თუ იმ სიტყვაში მნიშვნელობათა რაოდენობისა და მათი ურთიერთობის გარკვევისას შეეად ჭრულ სურათს ვიდრე: მეტ-ნაკლებად რთული სემანტიკის მქონე სიტყვის დახასიათება სულ სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი სხვადასხვა ლექსიკონში.

ასე, მაგალითად, *играть-სიტყვა* რუსული ენის აკადემიურ ლექსიკონში (III, 1, 1922) თექვსმეტნაირი მნიშვნელობის მქონე სიტყვადაა მიჩნეული, უზსკოვის ლექსიკონში (1956) შინაარსი 11 ერთეულადაა განაწილებული (I, 1935), ოთხტომისშია 8 (I, 1957), ჩვიდმეტტომიანში - 7 (V, 1956), ოქტოვისაში - 5 (1959), დალის ლექსიკონში - 4 (I, 1956); ამასთანავე, თითოეულ მათგანთან სხვადასხვა რაოდენობის ნიუანსები არის გამოყოფილი; დიდი სიჭრელე მნიშვნელობათა ჩამოთვლის თანამიმდევრობაშიც (საყოველთაოდ აღიარებული აღდგო მხოლოდ პირველ მნიშვნელობას აქვს). გარდა ამ განსხვავებისა, კიდევ ასეთი მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდება, თუნდ ერთმანეთთან შედარებისას მხოლოდ ორი ლექსიკონის - ოთხტომიანისა და ჩვიდმეტტომიანის - ჩვენებას დავეჯერდეთ: ის შინაარსები, რომლებსაც ჩვიდმეტტომიანმა ლექსიკონმა პირველ მნიშვნელობაში მოუყარა თავი, ოთხტომიანს სამ დამოუკიდებელ მნიშვნელობად გაუნაწილებია, ამასთანავე ამ შინაარსთა დამოკიდებულება ერთმანეთთან სხვადასხვაგვარადაა გაკებული ამ ორ ლექსიკონში: შინაარსი, ნავარაუდევო გამოთქმაში *играть со своим ре-бенком* ჩვიდმეტტომიანისთვის ცალკე განსტოვება, ოთხტომიანისთვის კი ძირითადი მნიშვნელობაა; ჩვიდმეტტომიანისათვის *играть в карты* იმავე რიგის მოვლენაა, რაც *играть кистями башлыка* და *играть любовью* ოთხტომიანში კი *играть в карты* გამოყოფილია, როგორც პირველი მნიშვნელობის ნიუანსი, მაშინ როცა მეორე - *играть кистями* და მესამე - *играть любовью* მიჩნეულია, როგორც მეორე მნიშვნელობა (ი. კისტями) და მისი ნიუანსი (ი. *любовью*). ჩვიდმეტტომიანში „როლის თაბაში“ ძირითადი მნიშვნელობა, ხოლო „სექტაკლში მონაწილეობა“ - მისი ნიუანსი, ოთხტომიანში კი - პირიქით: „8. სასცენო წარმოდგენაში მონაწილეობა, სცენაზე გამოსვლა... | სცენაზე გამოხატვა, რაიმე როლის შესრულება“. ასევე, ჩვიდმეტტომიანში „მუსიკალური ნაწარმოების შესრულება“ ძირითადი მნიშვნელობაა და „ინსტრუმენტზე დაკვრა“ მისი ნიუანსია, ოთხტომიანში კი - პირიქით. ამრიგად, მიუხედავად დიდი ლექსიკოგრაფიული ტრადიციისა, ორი, თითქმის ერთდროულად გამოსული ლექსიკონი (რომელთა რედაქციებში ერთი და იგივე პირები შედიან) სხვადასხვაგვარად აჯგუფებს შინაარსებს და სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგენს ამ შინაარსთა ურთიერთობას, ამასთანავე, არ ჩანს ამ განსხვავებათა რაიმე ცნობიერი და ობიექტური საფუძველი.

35. თუმცა მნიშვნელობათა დიფერენციაციის წოდების სინძლე საყოველთაოდ აღიარებულია [19], - მაინც გამოყოფთ ხოლმე ისეთ შემთხვევებს, სადაც მნიშვნელობათა დანაწილება (და ამ დანაწილების საფუძველი) თვალსაჩინოა [39]. ცხადია, პოლისემიის პრობლემების კვლევა სწორედ ასეთი თვალსაჩინო შემთხვევების ანალიზით უნდა იქნეს დაწყებული.

რაკი მნიშვნელობა არის მიმართება საგანთან, აღსანიშნთან, - სიტყვის პოლისემიურობის საკითხი თითქოს მარტივად უნდა გადაწყდეს: სიტყვაში იმდენი მნიშვნელობა უნდა ვივარაუდოთ, რამდენ აღსანიშნთანაც ავლენს იგი მიმართებას. მაგრამ ასეთი დასკვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოჩნდება მართებული, თუ წინასწარ დაზუსტებული გვაქვს „აღსანიშნის“ რაობა, რა თქმა უნდა, არაიწინ იტყვის *ვარსკვლავი-სიტყვა*ს იმდენი მნიშვნელობა აქვს, რამდენი ვარსკვლავიცაა ცაშიო, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სიტყვა „მიმართება“ თითოეულ ვარსკვლავს.

პოლისემიასთან მხოლოდ მაშინ გვექნება საქმე, როდესაც ერთი ფონემიკური გარსი მიმართებაში აღმოჩნდება საგანთა რამდენსა მ ე კ ლ ა ს თ ა ნ .

პოლისემიის კვლევისას ერთგვარებრების წინაშე დგება წმინდა ისტორიულ-ენათმეცნიერული საკითხი - როგორ, რა თქმრებულ პირობებში დაემატა სიტყვას ახალი მნიშვნელობა, ან როგორ შემორჩა ძველი მნიშვნელობა ახალთან ერთად.

პოლისემია შედეგია საერთო ენაში იმ მნიშვნელობათა თავმოყრისა, რომელიც გააჩინა თავდაპირველი მნიშვნელობის განსტოვებამ კილოებსა და სპეციალურ ენებში: ბჭვი იმიტომია

პოლისემიური, რომ საერთო ენაში ოდინდელ საერთოებრივ მნიშვნელობას გვერდით ამოუდგა ფიქტურთა შორის გაერცვლებული მნიშვნელობა ამავე სიტყვისა.

განსტოვებულ მნიშვნელობათა თავმოყრა შეპირობებულია გარეგნობრივი მოვლენებით – იმ როლით, რომელსაც ენობრივი კლექტივის ცხოვრებაში ასრულებენ მასში შემავალი ჯგუფები.

ომონიმია

36. ლექსიკური ომონიმია ენათმეცნიერებაში სხვადასხვაგვარად არის განასხვავრული: ერთნი ომონიმებად მიიჩნევენ ბგერითად იგივეობრივ, მაგრამ წარმოშობით განსხვავებულ სიტყვებს: ხელი 'ხედა კიდური' – ხელი 'გეი' ან ბალი 'ერთ-ერთი კურკოვანი ხილი' – ბალი 'შეჯღლისი' – ბალი 'ციფრით გამოხატული შეფასება'; რუს. *раба* 'ქალაქი' – *раба* 'სეტყვა', ფრანგ. *amer შაწარე* – *amer* 'სანაპირო ორიენტირი', გერმ. *Reifen* 'ხაღტე' – *reifen* 'შომწიფება' და სხვ. სხვების ვარაუდით ომონიმიასთან გვაქვს საქმე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთი სიტყვის მნიშვნელობები ძლიერ დაშორდნენ ერთმანეთს: *დრეკბა* 'იღუნება, იხრება' – *დრეკბა* 'შეშინდება', რუს. *нос* 'ცხვირი' – *нос* 'გემის წინა ნაწილი'... რაკი მოლაპარაკებს უქრებათ წინანდელი კავშირის გრძნობა.

მაგრამ მოლაპარაკის გრძნობა, როგორც ნიშან-თვისება, არ ქმნის მკვიდრ საფუძველს ომონიმისა და პოლისემიის გამოიწვევისათვის: ცნობილია, რომ მეტყველების პროცესში მეტყველისათვის არსებობს პოლისემიური სიტყვის ერთადერთი მნიშვნელობა; მეტყველება შეუძლებელი იქნებოდა, თუ ყოველი სიტყვის წარმოთქმის წინ მეტყველს (ან – ვაგონებისას – მსმენელს) წარმოუდგებოდა მთელი ჯგუფი მნიშვნელობებისა – დაე ერთმანეთთან ახლო მდგომების – რათა აერჩია ამ სიტუაციის (კონტექსტის) შესაფერისი მნიშვნელობა.

ხალხური ეტიმოლოგიისა და ლექსიკური კონტაქტისათვის ფაქტები მიუთითებს, რომ ზოგჯერ მეტყველი იქ გრძნობს მნიშვნელობათა კავშირს, სადაც ფაქტობრივ პერტორაგულად ოდინობები გვაქვს: რუსულში არსებობს ომონიმური წყვილი *салыный* (← *сало*) და *салыный* (← ფრ. *sal*). პროფ. დ. უშაკოვის რედაქციით გამოსულ „რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში“ კი *салыный* ერთ პოლისემიურ სიტყვად არის მიჩნეული. მნიშვნელობად გამოყოფილია: 1. 'ქონინი', 2. 'გაქონინებული, ჭაჭყინი', 3. 'უწმალური', ცხადია, პირველი მნიშვნელობა *сало* დან შომინდარეობს, მესამე – *sal'idan* (მისი მეტაფორული გამოყენება); ამ მნიშვნელობათა შორის კავშირს ვარაუდობს 2. 'გაქონინებული, ჭაჭყინი'.

37. არის ცდები – დაიძებოს სხვა სახომი ომონიმისა და პოლისემიის გასარჩევად; ხანამ ყველა მნიშვნელობა ერთიანდობა ერთი აზრობლივი დერძით და მხოლოდ მეტ-ნაკლებად შორდება მას, – საქმე გვაქვს პოლისემიასთან, ხოლო როდესაც სიტყვის ცალკეული მნიშვნელობანი ძლიერ არიან დაშორებული სიტყვის ძირითად აზრს, კარგავენ მასთან კავშირს და ერთმანეთს მხოლოდ ბგერითი შემადგენლობით ემთხვევიან და არა შინაარსით, – ჩვენს წინაშე არის ომონიმები [შარ. 2].

„აზრობლივი დერძის“ ცნებაში ივარაუდება ყოველი ახალი მნიშვნელობის წარმოება უშუალოდ პირველი მნიშვნელობიდან, რაც კონკრეტული ენების ისტორიით არ მართლდება; ხოლო მსჯელობა ცალკეულ მნიშვნელობათა ერთმანეთისაგან ისეთი დაშორების შესახებ, როცა მათ შორის კავშირი დაკარგულია, – ისევე აჩნის კითხვას – ვინ უნდა დაადგინოს მნიშვნელობათა მეტ-ნაკლები დაშორებულობა? თუ ეს საქმე მკვლევარ ენათმეცნიერს მიენდობა, მისი ვალი ხომ სწორედ ისაა, რომ გაათავალსაინიოს სიტყვის ცალკეულ მნიშვნელობათა კავშირი.

მაგალითად, ხლტატ 'რყევა' და ხლტატ 'ლაყბობა' ხ. ოვეგოვს თავის „რუსული ენის ლექსიკონში“ ომონიმებად აქვს მიჩნეული ადბათ იმიტომ, რომ მათ „საერთო აზრობლივი დერძი“ არა აქვთ. მაგრამ ხлтат 'ლაყბობა'-სიტყვასთან იმავე ლექსიკონში სპეციფიკურ გამოთქმად მოყვანილია ხлтат языком, რომელიც ისევე 'ლაყბობაზე' მიუთითებს, მაგრამ „შინაგანი ფორმით“, ეტიმოლოგიურად „ენის რყევაზე“ ნიშნავს. ამრიგად, ხლტატ საერთოდ 'რყევა' არის. ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით მონაწილეობს ასეთ გამოთქმებში: ხлтат ногой, ხлтат языком; ამ უკანასკნელის რედუცირებული ფორმა ხлтат- 'ლაყბობა'. ამ მაგალითიდან ჩანს, რამდენად არასაიმელოა „აზრობლივი დერძის“ ცნება პოლისემიისა და ომონიმის გასარჩევად.

38. ამიტომ დამატებით ასეთ ხერხს გეთავაზობენ: „ერთგვარად მბგერ სიტყვებს ჩ ა ვ უ -

ნაცვლოთ სინონიმები. თუ შერჩეული სინონიმები ერთმანეთის მიმართ სინონიმურ ურთიერთობაში არ მოექცევიან, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს ომონიმურ რიგთან.

აქ ნაგარაუდევია, რომ ყოველი „მნიშვნელობა“ რამდენიმე (ორ-ორი მაინც) სინონიმური სიტყვით არის გადმოცემული, ე. ი. ენა წარმოიდგინება ორი (და მეტი) ფონეტიკური ვარიანტის სახით. ეს, რა თქმა უნდა, ფაქტობრივ მცდარია.

აშკარად ომონიმური წყვილია ესპანური წარმოშობის *ლაპა* – სამხრეთ ამერიკული შინაური ცხოველის სახელი და ტიბეტური წარმოშობის *ლაპა* – ზუდისტ-ლაპისტა ბერი; ვერც ერთ მათგანს სინონიმს ვერ დაუჭებნით, მაშასადამე, სინონიმთა მიყენების ხერხით მათი დახასიათება შეუძლებელი აღმოჩნდება. სინონიმი ზომ მხოლოდ შემთხვევით შეიძლება აღმოაჩნდეს სიტყვას.

საკვლეო ის ვარაუდიც, თითქოს მნიშვნელობით ახლო მდგომი სიტყვებისათვის პრინციპულად გამორიცხულია სინონიმთა გამოყენების შესაძლებლობა. სწორად გვხვდება აშკარად პოლისემიური სიტყვა (და არა ომონიმური ჯგუფი), რომლის ცალკეულ მნიშვნელობებს სინონიმები აქვთ: *ბლანი*: 1. ბეწვი, 2. თმა; *ბადაღა*: 1. ტოლი, 2. მაგიერი.

გამოიხსენიოთ: სინონიმები შეიძლება პქონდეს პოლისემიური სიტყვის ცალკე მნიშვნელობებს; მეორე მხრით, შესაძლებელია ნამდვილ ომონიმასთან გვექონდეს საქმე და სათანადო სინონიმები კი ვერ დაიძებნოს! ცხადია, სინონიმთა ჩანაცვლების ხერხი გამოუსადეგარია ომონიმისა და პოლისემიის გასარჩევად.

39. რა არის იმის მიზეზი, რომ არ მოხერხდა ომონიმის დამაკმაყოფილებელი დახასიათება – სახლერის გაკვლევა ომონიმისა და პოლისემიის შორის? მაშე ისაა, რომ ომონიმისა და პოლისემიის ცნებები სხვადასხვა თვალსაზრისით გამოყოფილი ცნებებია.

სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა შექმნილი აქვს მისი განვითარების მანძილზე. მაშასადამე, პოლისემიის ცნება ისტორიული ენათმეცნიერების ცნებაა, ხოლო სიტყვაში რამდენიმე მნიშვნელობის დადასტურება ნიშნავს ისტორიზმის პოლიფაზიულ დიაგნოზს. მეორე მხრით, თუ ომონიმობა მივიხსნევთ განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ერთგვარად მკვერ სიტყვებს, მათი გენეზისური იდეოლოგიის მიუხედავად, ამით უგულებელვყოფთ ისტორიას. ამრიგად, როდესაც ვეცდილობთ მრავალმნიშვნელობიან სიტყვაში ომონიმობის და პოლისემიის გარეგანს, ამით უკვე ვახდენთ ორი ურთიერთგამორიცხველი თვალსაზრისის აღრევას.

ისტორიული თვალსაზრისის მომარჯვებას ომონიმობისა და პოლისემიის ურთიერთობისას იმ დასკვნამდე მიყვარათ, რომ ომონიმობის აუცილებელი და საკმარისი პირობაა პეტროგენულობა: ომონიმები სხვადასხვა სიტყვებია იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა წარმოშობისაა. იმ არიან [13, 7].

სიტყვის ფუნქციონირების პირობები: ბგერადობა. – ხანობრივი მომართება. – ენობრივი კოდექსი. – სხვა სიტყვებთან ურთიერთობა.

სინონიმია, ანტონიმია, პოლისემია, ომონიმია მთელ ლექსიკურ ფონდს არ მოიცავს: გარდა ამისა, მათ შორის შინაგანი კავშირი არ არსებობს; ისინი სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად აჯგუფებენ აღხანიშნებს და აღმნიშვნელებს; გარკვეულ შემთხვევებში სათანადო ენის აღმნიშვნელის თუ აღხანიშნის თავისებურებებს ახასიათებენ.

აქედან ჩანს, რომ სიტყვის ფუნქციონირების შესასწავლად არ კმარა იმის თქმა – სიტყვა არის ბგერები პლუს მნიშვნელობა, სიტყვის ეს დახასიათება საყოველთაოდ არის გვერდშეღებული, მაგრამ ასევე საყოველთაოდ არის ცნობილი მისი უკმარობა.

ბგერადობა

40. ბუნებრივია, სიტყვის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, რომ მას გარკვეული ბგერადობა პქონდეს.

საზოგადოდ ადამიანური ენა ბგერადობის გარეშე არ არსებობს. ისტორიულად ენა არ იწყება მანამ, სანამ კომუნიკაციის ბგერითი ფორმა არ მიუღია.

ამიტომ, თუნდაც მხოლოდ ამ მიზეზით, როდესაც ლაპარაკობენ „ფუტკრის ენაზე“ (რომელიც ცეკვის მსგავსი მოძრაობით გამოიხატება), ან „კიანჭველის ენის“ შესახებ (ულვაშების შესხებით რომ „ამყარებენ ურთიერთობას ერთმანეთთან“) და სხვ., – ლინგვისტური თვალსაზრისით ეს უკმარისი დასკვნებია.

რისით ენა-სიტყვის მხოლოდ მეტაფორულ ხმარებასთანა გვაქვს საქმე და ნამდვილ ენად მათ ვერ მივიჩნევთ.

ყოველი „დაწერილი ენა“, პირველ ყოვლისა, წარმოთქმული ენაა: დამწერლობა მეორეული ნიშანია – ბგერადობის ნიშანია, როგორც ენობრივი ბგერადობა არის ნიშანი ობიექტური სამყაროს მოვლენებისა.

ამრიგად, ენის, კერძოდ, სიტყვის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ბგერადობა. ამ დებულებას ვერ არყვეს ვერც საენობრივი სიმბოლიკის ფაქტი (ჯვარი – ქრისტიანობის სიმბოლო, ხელათამშის გადაადგება – დუელში გაწვევის ნიშანი...) და ვერც ის გარემოება, რომ ზოგი ძველი დამწერლობა (მაგალითად, შუმერული, აგრეთვე ხეთური და ეგვიპტური იეროგლიფები) შინაარსის მიხედვით მეტ-ნაკლებად გაშიფრულია, მათი ბგერადობა კი ჯვრად არ არის დამაკმაყოფილებლად დადგენილი: ამგვარ „ენას“ მხოლოდ იმდენად მივიჩნევთ ენად, რამდენადაც ვგულისხმობთ, რომ მას ბგერადობა ჰქონდა.

სამეტყველო ბგერადობის ქონა არის ერთი ძირითადი ნიშან-თვისებათაგანი, რითაც ადამიანური ენა განსხვავდება ნიშანთა სხვა სისტემებისაგან (მაგალითად, სახლავო კოდისაგან, საგზაო შუქნიშნებისაგან...).

ბგერადობით განსხვავდება სიტყვა სხვა სიმბოლოებისაგან. 41. აქვე უნდა გაეისხებინათ, რომ სიტყვა როგორც აღმნიშვნელი არა მხოლოდ ბგერადობით ხასიათდება (და ამით განსხვავდება სხვა სიმბოლოებისაგან), არამედ – მეტწილ ენებში – აგებულებითაც: სიტყვა შედგენილია არა მხოლოდ ფონემებისაგან, არამედ, ჩვეულებრივ, მის შემადგენლობაში შედის აგრეთვე ნიშნადი ელემენტები, – სიტყვა ნაწევრდება ძირად (ძირებად) და ფორმანტებად (შესაძლებელია გვექონდეს ფუნქციურად ამ უკანასკნელთა ეკვივალენტური ოდენობებიც – ფუძის ფლექსია, ზოგჯერ – მახვილი, ინტონაცია და სხვ. მსგ.).

მხოლოდ ჩინური ენა მიიჩნევა ისეთ ენად, რომლისთვისაც სიტყვის ამგვარი („მორფემული“) დანაწევრება დამახასიათებელი არ არის.

დანარჩენ ენებში სიტყვა მეტწილად რთული აგებულებისაა: რუს. *სამო-ვარ*, ინგლ. *ტრო-ლეი-ბუს*, გერმ. *შტრაიკ-ბრე-ხ-ერ*, ფრანგ. *პეი-ზ-აჟ*, ბერძნ. *მონ-ო-ლით-ოს*, სპარს. *ქარ-ხანა*, ქართ. *მო-სა-ვალ-ი* და სხვ.

რა თქმა უნდა, ამ ენებში ბევრია შეუდგენელი, მარტივი ფუძის მქონე სიტყვაც: რუს. *გო-ლოს*, *ნო*, ქართ. *ხმა*, *მაგრამ* და სხვ.

ხმა და *მაგრამ* (აგრეთვე, რუს. *голот* და *но*) საესებით ერთი ტიპის მაინც არაა: *მაგრამ* (და *но*) აბსოლუტურად უფორმო სიტყვაა, ხოლო *ხმა* (და რუს. *голот*) შესაძლებელია რთული აგებულების სიტყვის ელემენტს წარმოადგენდეს: ხმა-მადლა, ხმა-ური, ხმა-ს (*голот-ист-ий*; *голот-о-вать. голос-ом*).

მაგრამ ისეთ ენაში, სადაც ბუნებრივია სიტყვის მორფემული დანაწევრებულობა, შეუდგენელი ლექსიკური ერთეულები სიტყვათა ქვეჯგუფს ქმნიან, როდესაც მოცემული ენის ლექსიკური ფონდის ელემენტები (სიტყვები) განიხილება აგებულების მიხედვით.

საენობრივი მიმართება

42. ბგერადობა საენობრივი მიმართების გარეშე ჯერ კიდევ ენობრივ ფაქტს არ წარმოადგენს.

ახე, მაგალითად, ცხვირის ცემინება, ხველა, სლოკინი, სიცილი (ხარხარი, ხითხითი, კის-კისი), ტირილი (ქვითინი, ზღუქუნი), გმინვა, ოხერა, კენესა – ადამიანური ბგერადობაა, მაგრამ როგორც ცნობილია, მეტყველება ჯერ კიდევ არ არის, იმპულსური ხასიათის ბგერებია.

ასევე, სიმღერა, პანჯი სწორედ ბგერათა ერთობლიობაა, ორგანიზებული სიმადლისა და სიძლიერის რიტმული მონაცვლეობით. ესა თუ ის სიმღერა ადამიანთა გარკვეულ კოლექტივში არსებობს, ე. ი. ინდივიდუალური აღმონახდომი არ არის, მაგრამ იგი, როგორც წესი, ემოციების, ასეთი თუ ისეთი გრძობის გამოვლენას წარმოადგენს და არ ემსახურება რისამე აღნიშვნას, საენობრივ მიმართებას.

რა თქმა უნდა, ხველაც, სიცილიც, ტირილიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს რისამე

აღსანიშნავად. მაგალითად, „აქა ვარ“ – ამის მისანიშნებლად გამოიყენონ ჩახველება, ისე, როგორც სტენით – წინასწარ დათქმული ნიშნით – ვინმეს გამოიხატებენ ხოლმე; შეიძლება ვინმემ განგებაც გაიცინოს და ამ საშუალებით აღნიშნოს თავისი დამოკიდებულება რაიმე მოვლენასთან...

მაგრამ ეს იქნება უკვე მკრეხული სიმბოლური გამოყენება და არა იმპულსური ხმერება, რასაც ხველა, სცილი და ტირილი წარმოადგენს. ადამიანს, ჩვეულებრივ, წამოახვევებებს ხოლმე: „დედის რძე თავლი ყოფილა, დედინაცვლისა – ნადეკლა: დავლიე, ყელზე დამადგა, ძირმწარედ ჩამომახველა“ (აკაკი), ჩვეულებრივ, ეცინება ხოლმე: „დავუძღურდი, გაქრა გიყი ოცნება... ნაღვლიანად ჩემს თავზედ მეცინება“ (აკაკი), ან კიდევ ერთ-ერთე: „არ ვიცი ბრძენი განცდას ამგვარს თუ რას დაარქმევს: არა მწამს ღმერთი და მის სახლში რად მეტრება“ (აღ. აბაშვილი)...

კიდევ უფრო გავრცელებულია სიმღერის სიმბოლური გამოყენება: „მაყრული“, „დატრეხა“, „საბოდიშო“ და სხვ. სწორედ სიმბოლურად გამოყენებული მელიოდებიცაა, მაგრამ ამ შემთხვევით ბანგი სიტყვების თანხლებით გადმოიცემა ხოლმე, ესე იგი ენასთან, ენობრივ ფაქტთან შერწყმულად, და საკომუნიკაციო ფუნქციას სწორედ, პირველ ყოვლისა, ტექსტი ასრულებს, ხოლო ბანგი ძირითადად მაინც ემოციის გამოვლენაა.

განზრახული – აღნიშნის ფუნქციით აღჭურვილი – სიმღერის გვერდით არსებობს ჩვეულებრივი სიმღერა – ემოციების უშუალო გადმოვლენა (და არა ბგერების განზრახული, სიმბოლური გამოყენება), – ადამიანს ემდერება ხოლმე: „მემღერება და ვიმღერო“ (ვაჟა), „ესტერი და არ მემღერებს“ (დ. გურამიშვილი).

ამგვარი ბგერადობის საპირისპიროდ ენობრივი ერთეულის, სიტყვის ფუნქციონირებისათვის სწორედ საგნობრივი მიმართება არის საჭირო, ე. ი. საჭიროა, რომ ბგერადობა მიემართებოდეს რაიმე ობიექტს (ნივთს, მოვლენას... და თვით გრძნობას, როგორც ობიექტურად მოცემულს). ემოციების ცნობიერი გამოხატვა ენის საშუალებით ხდება ხოლმე, ე. ი. იმის აღნიშვნით, რომ მოლაპარაკეს ესა და ეს განცდა აქვს (სიტყვა, უხარია, წუხს...), მაგრამ ემოციების თვით უშუალო გამოვლენაც ადამიანთა კოლექტივში – რაკი ეს ადამიანთა კოლექტივია და რაკი მას უკვე აქვს ენა, როგორც მსახარული ინსტრუმენტი, – ჩვეულებრივ, ხდება ენობრივი ფაქტების, სიტყვების, საგნობრივი მიმართების აღმნიშვნელი კონვენციური ბგერათკომპლექსების მეშვეობით (და არა იმპულსური ხმერებით): *ვაიმე, დედა! მიშველეთ? რა კარვია! აი მესმის!* რუს. *молитва!* ფრანგ. *allons done!* გერმ. *halt!* და სხვ. სიტყვებია, ჩვეულებრივი სიტყვები, შედგენილი ჩვეულებრივი, მოცემული ენაში დამკვიდრებული, სამეცნიერო ბგერებისაგან (ამიტომ არც ერთი მათგანი არ შეედრება, მაგალითად, ძაღლის წკაქწკაქს, ქათმის კაკანს, კატის კრუტუნს ან იმ ხმერებას, რომელსაც კატა გამოსცემს კულზე ფეხის დაჭერისას); ეს ქართული, რუსული, ფრანგული, გერმანული... საზოგადოდ ენობრივი ბგერათკომპლექსები მეტწილ შემთხვევაში მოქცეულია ქართულ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ... საზოგადოდ ენობრივ მორფოლოგიურ ყალიბში.

(რა თქმა უნდა, ავტეტივის, ძლიერი განცდის შემთხვევაში ამ სიტყვათა გამოვლენის ფსიქიკური სარჩული ხსება, ვინემ ჩვეულებრივი შტეკობინების განზრახვა – ენობრივი ერთეულების წინასწარგანზრახული გამოყენება რაიმე მოვლენის აღსანიშნავად).

ამრთავად, ბგერადობა და საგნობრივი მიმართება ქმნის სიტყვის ფუნქციონირების აუცილებელ პირობებს: აუცილებელს, მაგრამ არა საკმარისს. სიტყვის ფუნქციონირებისათვის საჭიროა კიდევ ორი პირობა: ენობრივი კოლექტივი და ხსება სიტყვებთან ურთიერთობა.

ენობრივი კოლექტივი

43. საგნობრივი მიმართების (ე. ი. წმინდა სემანტიკური) თვალსაზრისით ლექსიკის განხილვა შედეგად გვაძლევს საერთოდ ადამიანური ენის ლექსიკურ შესაძლებლობათა სურათს. ამგვარი განხილვის პირობებში ლექსიკური ფონდის აგებულება ერთგვარი აღმონდნება ქართულშიც, რუსულშიც, ჩინურშიც... რადგან შესაბამისი (აღსანიშნავი) მოვლენები საყოველთაოა: „წმინდა“ სემანტიკური თვალსაზრისით შევლით, სედალი, სედალი და კენგურუს სახელები ყველა ენაში ერთ ჯგუფში მოქცევა, რადგან სედალი, შველი და კენგურუს ობიექტური სინამდვილის ერთსა და იმავე უბანს მიეკუთვნება (ტოქსიკოლოგია ცხოველები);

სიცილისა და ტირილის აღმნიშვნელი სიტყვები თითოეულ ენაში ურთიერთდაპირისპირებული აღმონდება, რადგან ადამიანის ფსიქიკური ორგანიზაცია ყველგან ერთნაირია და სხარული და მწუხარება ყველასათვის ურთიერთსაპირისპირო გრძობები.

ასევე, ცალკე სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა ყველგან ერთგვარად დახასიათდებოდა, თუ ამა თუ იმ ენის ცალკეულ სიტყვათა თავისებურებებს არ გავითვალისწინებდით: „წმინდა“ სემანტიკური თვალსაზრისით ყველა ენის ყველა სრულმნიშვნელობიანი სიტყვა უთუოდ შეიცავს საგნობრივ მიმართებას; გარდა ამისა, ყველა სიტყვას აქვს შეესაძლებლობა შედარებაში გამოყენებისა, გადატანითი ხმარებისა.

მაგრამ საგნობრივ მიმართებასთან ერთად თუ გათვალისწინებული იქნა იმ ენობრივი კოლექტივის ვითარებაც, რომელშიც იხმარება ესა თუ ის სიტყვა, აღმონდება, რომ ბევრ შემთხვევაში მნიშვნელოვან შესწორებათა შეტანა მოგიწევს ლექსიკური ფონდის შინაარსულ ჯგუფებად დანაწევრებისას: ავსტრალიის აბორიგენთა ყოფაში კენგურუ ჩვეულებრივია, ხელაპი კი უცნობია. პირიქით, უკიდურესი ჩრდილოეთის ხალხებისათვის კენგურუა უცნობი და არა ხელაპი. ქართული ყოფა მხოლოდ შვედს იცნობს: ხელაპი და კენგურუა თანაბრად „უბოტიკური“ ცხოველებია. ყოფის ეს თავისებურებანი განსაზღვრავენ იმ თავისებურებას, რაც სხვადასხვა ენის ლექსიკურ ფონდთა შინაგან დანაწევრებაში შეიმჩნევა.

ასევე, ერთგვარ სემანტიკურ შესაძლებლობათა მიუხედავად, სხვადასხვა ენის ცალკე სიტყვათა მნიშვნელობაში შეიმჩნევა მტკად არსებითი განსხვავებები.

საქმე არ ეხება, ცხადია, მეცნიერულ ტერმინებს, სადაც სიტყვა ხელოვნურად არის გამოთვლილ გარკვეული ენის ლექსიკური ფონდიდან, მისი ლექსიკურ-სემანტიკური კავშირები-დან და ნებისმიერად არის „მიმავლებელი“ ამა თუ იმ ცნებასთან: წყალბადი, водород და hydrogenum ერთმანეთის ზუსტი შესატყვისებია; კუპე არა მხოლოდ მნიშვნელობით, არამედ ბგერითადაც კი ერთგვარია (დაახლოებით მაინც) ზოგ ენაში (რუს. купе, გერმ. Coupe...). მაგრამ, ვიმეორებთ, ამგვარი დამთხვევა მხოლოდ ტერმინებში ხდება, ხოლო სხვა შემთხვევაში – მხოლოდ იშვიათი გამონაკლისის სახით.

თითქოს რა სირთულე უნდა იყოს ქართული ხარი-სიტყვის და რუსული БЫК-სიტყვის შესაბამისობაში? ნამდვილად კი ლექსიკურად მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა:

ქართული ხარი¹ს ფარდად რუსულში იხმარება არა მარტო БЫК, არამედ აგრეთვე ВОЛ:

ხარი { $\begin{matrix} \text{БЫК} \\ \text{ВОЛ} \end{matrix}$.

პირიქით, რუსული корова და ქართული ძროხა იმიტომაც არ ემთხვევიან ერთმანეთს, რომ ქართულში ძროხა-სიტყვის ვეკრდით იხმარება ფურ: $\left. \begin{matrix} \text{ძროხა} \\ \text{ფურ} \end{matrix} \right\} \text{корова}$.

გადატანითი ხმარების შესაძლებლობაც სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად არის ხელმე განხორციელებული ერთგვარმნიშვნელობიან სიტყვებში: ქართული ხარი და ღვეტი იმ ემოციური ელფერის სიტყვაა (ქართულ სიტყვახმარებაში ფართოდ არის გავრცელებული თამათქმები: ხარის ქედი, ხარის ცამძლეობა და მძალევი ხარები), რუსულ ენაში БЫК ნიჭირადღური ან უარყოფითი ელფერისაც კია (упряма как бык, смотрит быком, здоров как бык), მაგრამ БЫК გამოყენებულია გადატანით ხიდის ბურჯის² აღსანიშნავად, რისი ფარდი ხმარებაც ქართული ხარი-სიტყვას არ ახასიათებს.

უპაველია, რომ თითოეული ამ სიტყვის ოდენ „სემანტიკური“ დახასიათება („ბგერები პლუს მნიშვნელობა“) უკმარია; ისინი სიტყვები (ე. ი. ასეთი და ასეთი ბგერები პლუს ასეთი და ასეთი მნიშვნელობები) არიან ამა და ამ ენობრივ კოლექტივში.

ეს ორივე მაგალითი გვიჩვენებს „წმინდა სემანტიკური თვალსაზრისის“ უკმარობას ამა თუ იმ ენის ლექსიკური ფონდის ამ ცალკე სიტყვის მნიშვნელობის შესწავლისათვის.

44. ენობრივი კოლექტივი არა მხოლოდ ენით დაკავშირებული ჯგუფია ადამიანებისა, არამედ მათ, ამ ადამიანებს, უწინარეს ყოვლისა, ერთმანეთს საერთო საქმიანობა, საერთო საზოგადოებრივი ცხოვრება (და ხწორედ ამიტომ ენა).

სხვადასხვა კოლექტივი ერთმანეთისაგან საქმიანობით, საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებებით განსხვავდება და ეს განსხვავება უკუყვნილია ლექსიკურ ფონდშიც. ბუნებრივია, თუ ერთ ენობრივ კოლექტივს არ აღმოაჩნდეს მეორე კოლექტივის საქმიანობისათვის,

ყოფისათვის დამახასიათებელი ბუერი სიტყვა.

ახე, რუსულს არა აქვს ქართული მევენახეობა-მეღვინეობისათვის დამახასიათებელი სიტყვები. თავი რომ დავენებოთ ვაზის ადგილობრივი ჯიშების სახელებს (აღაღასტური, ბუღეშური, თეთრა, კრახუნა...), რუსულ ენას არ მოეპოვება არც თვით ვაზის სახელი:

ვაზი რუსულად არის ან *виноград* ან *виноградная лоза*,

რქა – *побег виноградной лозы*,

სამამულე – *сучек замещения*,

წიღენა – *отводка*,

სარცხი – *мочная шетка*,

დაყენება – *выделка*,

დაჭანება – *скисание*,

წნება – *прессование*, ხოლო *საწნახელი-სიტყვას* შეუგუეს სახელი *давиляня*, რომელიც ნამდვილად ყოფილა *заведение, помещение, где давят [4]*.

როგორც ვხედავთ, მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ქართული სა-განგებო სიტყვების ფარდად რუსულში გამოყენებულია ზოგადი მნიშვნელობის სიტყვები და, აუცილებელ შემთხვევაში, აღწერილია ის მოვლენა, რომელსაც ქართულში სახელი აქვს შერქმული. ამგვარი ენობრივი განსხვავება შეაპირობა ქართული და რუსული ყოფის, რეალური სინამდვილის სხვაობამ.

მზე, მთვარე, ხელი, ფეხი, დედა, მამა და სხვა ობიექტური საგნები და მოვლენები ყველა ადამიანისათვის არსებობს, მაგრამ ამ ფაქტმა არ უნდა გვაფიქრებინოს, თითქოს არსებობდეს ყველა ხალხისათვის საერთო ერთიანი სისტემა აღსანიშნებისა, და ცალკეულ ენებს თითქოს მგბტი არაფერი დარჩენოლიყო, რომ შეურჩინონ ამ საერთოსაკაცობრიო აღსანიშნებს განსხვავებული „იარაღოები“ – ენებისა და მიხედვით გარჩეული ფონეტიკური გარსები – აღმნიშვნელები ვთქვათ, ქართულისა და რუსულის განსხვავება მდგომარეობდეს მხოლოდ იმ სხვაობაში, რაც შეიმჩნევა ერთი და იმავე მცენარის ქართულ-რუსულ სახელწოდებათა ბგერადობაში: *მუხა* – *дуб*.

45. რაც ითქვა აღსანიშნის მიმართ, ითქმის აღმნიშვნელის შესახებაც: ყველა ადამიანი ანატომიურად (და ფიზიოლოგიურად) ერთგვარად არის მზად ბგერების წარმოსაქმნელად: ბაგე-ბრი, ენა, სახა, ხორხი, სახმო სიმები, ფილტვები ყველას აქვს; ყველას შეუძლია ბაგეები მჭიდროდ მოკუმოს, ოდნავ გახსნას ან თავისუფლად გააღოს; ყველას შეუძლია ამოისუნთქოს ან არ ამოისუნთქოს – ფილტვებიდან პაერი ამოუშვას ან არ ამოუშვას, – სახმო სიმები დაჭიმოს ან მთლიანად დაკეტოს და სხვ. და სხვ., მაგრამ აქედან ვერ დავაცნობთ, თითქოს ყველა ერთბრიც კოლექტივში სამეტყველო ბგერების სისტემა (და მათი შეერთების წესები) იდენტური იყოს და ქართველსაც, როგორც ადამიანებს, შეუძლიათ ერთგვარი ბგერები და ბგერათკომპლექსები წარმოთქვან, – ქართულისა და რუსულის განსხვავება მდგომარეობდეს მხოლოდ იმ სხვაობაში, რაც ამ ბგერებით გადმოცემულ შინაარსს შეეხება: განსხვავება მდგომარეობდეს მხოლოდ იმაში, რომ *მუხა-ბგერათკომპლექსს* ქართველი „ხესთან“ აკავშირებს, რუსი – „მწერთან“.

ქართულად მეტყველს თავისებური აქვს უკვე სარტიკულაციო ბაზისი, ე. ი. სამეტყველო ორგანოების მოქმედება კი არა, მოქმედებისათვის მზადყოფნაც კი [4], ე. ი. ქართული ენობრივი კოლექტივის წევრები არა მარტო დაპარაკობენ ქართულად, არამედ დუმილის დროსაც ქართველები არიან – „ქართულად დუმან“. მათ ცხადია, თითოეული წარმოთქმული ბგერაც თავისებური, ქართული ქნებათ, თავისებური ქნებათ ამ ბგერათა შეერთების წესები და შესაძლებლობანი.

46. მიუხედავად იმისა, რომ გარე სინამდვილე ყველა ადამიანისათვის ერთგვარად არის მოცემული და ბგერათწარმოთქმის შესაძლებლობაც ყველა ადამიანს ერთგვარი აქვს, – აღსანიშნებისა და აღმნიშვნელების ნაირ-ნაირი სისტემები აქვს კაცობრიობას. ეს სხვადასხვა სისტემები სხვადასხვა ენებია, რომლებსაც ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფები – სხვადასხვა ენობრივი კოლექტივები – ფლობენ და იყენებენ.

ამრიგად, ყოველი სიტყვა რომელიმე ენის სიტყვაა და არა „საერთოდ“ სიტყვა. თუნდაც ესა თუ ის კონკრეტული სიტყვა საყოველთაოდ იყოს გავრცელებული, – იგი ამა და ამ ენა-

ში შემოსული, უკვე ამ ენის აღსანიშნავა და აღმნიშვნელთა სისტემებში ექცევა და ამ ენის საკუთრება – ამ ენობრივი სისტემის წვერი ხდება: ყოველი სიტყვა გარკვეული ენობრივი კოლექტივის კუთვნილება და მისი ფუნქციონირება ამ ენობრივი კოლექტივის ენობრივი წევრ-ლებით არის შეპირობებული.

ქართული სახელი, მას შემდეგ, რაც იგი რუსულში შევიდა, არა მარტო ფონეტიკურად მოსწყდა ქართულ ენას – შერ. რუს. საკლა –, არამედ სემანტიკურადაც: ქართულში *სახლი* არის საზოგადოდ საცხოვრებელი შენობა. „სადგომი კაცთა“, ხოლო რუსულ ენაში საკლა გაგებულია როგორც „крестьянский дом на Кавказе“.

ამიტომ გასაკვირი არაა, როდესაც საკლა-ს ფარდ სიტყვად ქართულში *სახლს* არ მი-
იწინევენ: პუშკინის პოემაში ეს ადგილი „Под влажной буркой в саkle дымной вкушает путник
мирный сон“ – კ. ჭიჭინაძეს ასე უთარგმნია: „მზავრს ხურავს ღამით ნაბადი სველი და
სძინავს *ქობში* მშვიდის ძილითა“. ელგუჯას სახლი ხომ ტიპური „გლეხური სახლია
კავკასიაში“ და მაინც რუსულ თარგმანში გვაქვს არა საკლა, არამედ დომ: „უღალუჯა მი-
ვიდა თავის *სახლთან* – „Злуджа подбегал к дому“ (ფ. თვალთვალის თარგმანი); ოთარა-
ანთ ქერივის *სახლიც* რუსულად დომ-სიტყვითაა გადმოცემული და აკაკის გამზრდელის
„ისლით გადახურული ხის *სახლიც* რუსულ თარგმანში არის „деревянный, крытый
камышом дом“ და, ცხადია, არა საკლა, ასევე, ვაჟაყული იოთამის სახლი თარგმნილია
არა საკლა-სიტყვით, არამედ ხიჯინა-თი: „...иотса იოთამაძა, როცა სახლში შევიდა“ –
„спросил Иотам, войдя в хижину“.

თურქული *დივანბეგ*-სიტყვა ფონეტიკურ-სემანტიკური ცვლილებებისაგან ვერ იხსნა ამ
სიტყვის ოფიციალურ-მწიგნობრული გზით შემოსვლამაც კი. ფონეტიკურად იგი გაცვდა, *დი-
ანბეგ* ად (დიანბეგ) იქცა, და სემანტიკურადაც მნიშვნელოვნად შეიცვალა – სახელმწიფო
სახბჭოს წვერი წერილფუნა მოხელედ ჩამოქვეითდა. გაუჩხვინოთ თუნდ ეს ადგილი „კაცია-
ადამიანიდან“: „...მაშინ, რა დროს ამბავსაც მე ვწერ, დიანბეგი დიდი ბობოლა იყო; ხელდა,
რომ, რაც ეს ოხერი სწავლა შემოვიდა, დიდ კაცად აღარ აგდებენ, თორემ უწინ – უმ – უმ!
რა დიდი ვინმე ბრძანებულა. ასეთი დიდი, რომ კინაღამ ახნაურის სტუმრობაზედ ნათქვამი
ანდაზა დიანბეგზედ არ გადაკეთდა...“

47. გარკვეული, კონკრეტული სიტყვა გარკვეულ, კონკრეტულ ენობრივ კოლექტივს რომ გუ-
ლისხმობს, ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სიტყვის თანხმლები ემოციური იერი სწორედ გარ-
კვეულ კოლექტივში გამოვლინდება. თუ, ზოგ შემთხვევაში, სიტყვებს, როგორც გარკვეულ სა-
განთა აღმნიშვნელ ბეგრეთომლექსებს, უკავშირდება გარკვეული ემოცია (გველი თავისთავად
უარყოფითი ემოციის სიტყვაა, *მერცხალი* – დადებითისა), – სხვა შემთხვევებში სათანადო
ენობრივი კოლექტივის გამოცდილების მიხედვით ერთვის დადებითი თუ უარყოფითი ემოციური
ფიღური ამა თუ იმ საგნის აღმნიშვნელ სიტყვას: თათართა შემოსევების გამოძახილია ის უარ-
ყოფითი ემოციური იერი, რომელიც *თათარი-სიტყვას* ახლავს ქართულში (ასეთი იერი არ ახ-
ლავს, მაგალითად, *იტალიელს*). *შავარდენი-სიტყვას* ქართულში დადებითი იერი არამე აქვს ხო-
ლო *ძერა-სიტყვას* – უარყოფითი, ესეც ჩვენს ყოფის თავისებურებასთან არის დაკავშირებული:
ძერა შინაური ფრინველების მტერია დიასახლისისათვის, შავარდენს კი წიწილებთან არაფერი
ესაქმება, ხოლო როგორც სანადირო ფრინველი – გარკვეული სიმაპითებთაც სარგებლობს.

48. ამრიგად, იმისათვის, რომ სიტყვა და საზოგადოდ ლექსიკა სათანადო ხისრულით იქ-
ნეს დახასიათებულია, საჭიროა წმინდა „სემანტიკური ასაქეტის“ ფარგლებს გაცდეთ.
„ესაზარაქურის“ გვერდით ლოგიკოსები ასახელებენ სიტყვის მიმართებას მოლაპარაკესთან.
„ენის კვლევა მის მიმართებაში მოლაპარაკესთან“ ბევრ რამეს გულისხმობს: მტრეველე-
ბასთან (ლაპარაკთან) დაკავშირებული ფიზიოლოგიური პროცესების შესწავლას, სამეტყვე-
ლო ქცევის ფსიქოლოგიური ასაქეტის გათვალისწინებას და, რაც ჩვენთვის ამ შემთხვევაში
განსაკუთრებით საინტერესოა, სამეტყველო ჩვენების ეთნოგრაფიულსა და სოციალურ კვლე-
ვას სხვადასხვა სამეტყველო ფაგუფებში (ასაკის, სოციალური მდგომარეობის და სხვ. მიხედ-
ვით) [40]. მაშასადამე, ამა თუ იმ ენის ლექსიკა უნდა იქნეს განხილული მის მიმართებაში
სათანადო კოლექტივთან, რომელშიც ეს ენა შეიქმნა, რომელიც ამ ენას მოიხმარს.

„სემანტიკურისაგან“ განსხვავებულ ამ თვალსაზრისს „პრაგმატულ ასაქეტს“ უწოდებენ.
გერმანელი ფილოსოფოსი კლაუსი წერს: ენობრივ ნიშნებს აღამიანი საბოლოო ანგარიშში

იყენებს იმისათვის, რომ თავისი აზრები სხვებს შეატყობინოს. ნიშნები, ამრიგად, კომუნიკაციის საშუალებებს წარმოადგენენ... ენობრივ ნიშანთა მეშვეობით აუცილებელია დაინტერესო თანამოსაუბრე, რომ მან კომუნიკაციაში, ურთიერთობაში მიიღოს მონაწილეობა. ეს მაშინ შეიძლება, როდესაც იყენებ ისეთ ენობრივ ნიშნებს, რომლებიც მიემართება თანამოსაუბრის გარკვეულ გრძობებს, სურვილებს, იმედებს. მოლაპარაკე უბრალოდ კი არ გადასცემს მას ინფორმაციას, არამედ დაინტერესებულია გამოიწვიოს თანამოსაუბრეში გარკვეული რეაქცია, გარკვეული გრძობა [29].

„პრაგმატული ასპექტის“ ეს დახასიათება რამდენიმედ უფრო დაწვრილებითია, ვინემ ზემოთყვანილი (კარნაპისეული) დახასიათება, მაგრამ ვიწროა: იფარგლება ისეთი ენობრივი ნიშნებით, რომლებიც მიემართება თანამოსაუბრის ემოციებს და, ამრიგად, გამოვარდინებენ მთელ იმ მასალას, რაც მეტ-ნაკლებად ნეიტრალურია გრძობითი იერის მიხედვით.

ენობრივი ერთეულების შესწავლის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მხოლოდ ემოციურად შეფერილი სიტყვები, არამედ ის აზრობრივი მხარეც, რომელიც სხვადასხვა ენაში განსხვავებულია, მაშასადამე, გარკვეული ენობრივი კოდექტივის კუთვნილებაა და უკუფენს ამ ენობრივი კოდექტივის დამოკიდებულებას სათანადო ენობრივ ერთეულებთან.

სხვა სიტყვებთან ურთიერთობა

49. სიტყვის ფუნქციონირებისათვის საჭიროა, აგრეთვე, რომ იგი სიტყვათა ერთობლიობის წევრი იყოს.

არ არსებობს ისეთი ენა, რომელიც ერთადერთი სიტყვისაგან შედგებოდეს, ისევე, როგორც საზოგადოდ წარმოდგენილია ისეთი ნიშანთა „სისტემა“, რომელიც მხოლოდ ერთი წევრისაგან იქნებოდა შედგენილი.

ეს შეეხება თვით ისეთ მარტივ სიტყვებს, როგორცაა კარზე მიმაგრებული ზარის წარუნი. როდესაც, მაგალითად, ერთი ზარით რამდენიმე მობინადრე სარგებლობს, ისინი, ჩვეულებრივ, შეთანხმებულინი არიან იმაზე, თუ რამდენჯერ დარეკვა რომელ ბინადარს ეხება. შესაძლებელია ზარის სხვაგვარი პირობითი გამოყენებაც, ვთქვათ, იმისათვის, რომ მომსვლელების ვინაობა აცნობონ მასპინძელს.

ზარის სხვადასხვაგვარ წაკრუნს ამგვარი სიმბოლური მნიშვნელობა რომც არ მისცენ და მხოლოდ ერთი დარეკვა ეკუთვნოდეს “მნიშვნელობის” დაუნაწევრებლად, იგი მაინც ცალკეული ფაქტი კი არ არის, არამედ ორწევროვანი სისტემის წევრია: ამ სისტემის მეორე წევრი არის ზარის უმოქმედობა.

რაც შეეხება ენას, იგი ათასობით (ასიათასობით) ნიშნისაგან შედგება და, ბუნებრივია, შეუძლებელი იქნებოდა მისი მოხმარება, თუ ნიშანთა ეს სიმრავლე არ მოწესრიგდებოდა, ე. ი. თუ ენა არ გვექმნებოდა მოცემული ნიშანთა რაღაცნაირი სისტემის სახით.

იმისათვის, რომ სიტყვა ფუნქციონირებდეს, საჭიროა იგი სხვა სიტყვათა უშუალო მეზობლობაში ვლინდებოდეს, ე. ი. შესიტყვებაში, ფრაზაში, გაბმულ მეტყველებაში მონაწილეობდეს. ჩვეულებრივ, მას ზურგს უმაგრებს სხვა სიტყვებიც, რომლებიც კონკრეტულად ამ მეტყველებების აქტში იქნებ უშუალოდ არც მონაწილეობენ, მაგრამ მოცემულ სიტყვასთან რაიმე მსგავსებას ავლენენ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენობრივ ერთეულთა კავშირები, მათი ურთიერთობა შეიძლება იყოს სინტაგმატური ანუ დისტრიბუციული, ან კიდევ ასოციაციური ანუ პარადიგმატული¹³.

50. აქვე უნდა გავხაზოთ, რომ გრამატიკისაგან განსხვავებით, პარადიგმატიკა და სინტაგმატიკა არ არის ლექსიკური ფონდის ერთადერთი კონსტიტუციური ელემენტი. მაგრამ ეს გარემოება არ გვათავისუფლებს მოვალეობისაგან – ამ თვალსაზრისითაც იქნეს განხილული გარკვეული ენის (ჩვენს შემთხვევაში – ქართულის) ლექსიკა.

პარადიგმატული (ასოციაციური) ურთიერთობა ყველაზე მკაფიოდ ვლინდება იმგვარ ფაქტებში, როგორცაა, მაგალითად, ქვითქვითი და ტირილი, ხარხარი და სიცილი. სიტყ-

¹³ ამ წველის სახელთან პირველები სოსიურს ეკუთვნის, მეორენი ამაჟამად გავრცელებული სიტყვების მარების კუთვნილებას წარმოადგენენ.

ვათა ამგვარი კავშირები დიდი ხანია შენიშნულია და კვლევის საგანსაც შეადგენს. ვ. აბავე-
მა ამ მეთოდები საუკუნის წინ მოგვცა მათი პირველი მკაფიო დახასიათება:

„სიტყვის სემანტიკური“¹⁴ შინაარსი განისაზღვრება არა მხოლოდ იმით, თუ რას აღნიშნავს
იგი, არამედ იმითაც, თუ რას უპირისპირდება იგი... სიტყვა-ანტაგონისტთა უმარტივესი
მაგალითებია *დღე* და *ღამე*, *ნათელი* და *ბნელი*... ანტაგონისტურის გვერდით სიტყვა-ცნებებს
შორის არსებობს სხვაგვარი კავშირიც, რომელსაც ვუწოდებთ – რაკი უკეთესი ტერმინი არა
გვაქვს – „სიმპათიკური“. ორ სიტყვა-ცნებას შორის სიმპათიკური კავშირის შესახებ მაშინ ვლა-
პარაკობთ, როდესაც ისინი გარკვეულ პირობებში ერთმანეთს ენაცვლებიან. *დღეს* და *ნა-
თელს* შორის, *ღამეს* და *ბნელს* შორის სიმპათიკური კავშირია. მაშინ როცა პირველსა და მეორე
წვეილს შორის ოპოზიციურია. ანტაგონისტური მიმართებები მეტყველების ელემენტთა შორის
ენას თითქოს ოპოზიციათა სისტემადა აქცევს. პირიქით, სიმპათიკური მიმართებები ქმნიან
წანამძღვრებს შეცვლა-შენაცვლებისათვის... ოპოზიციას, ერთი მხრით, და შენაცვლებას –
მეორე მხრით, შეადგენენ ორ უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ ფაქტორს მეტყველები-
ბას“ [20].

ამგვარი – პარადიმატული – მიდგომა ყველაზე ქმედითია მორფოლოგიაში (კერძოდ,
მოდულერებაში ფლექსიის შესახებ), მაგრამ იგი არ შეიძლება უგულებელყოთ ლექსიკის შეს-
წავლის დროსაც.

51. როგორც ვთქვით, სიტყვათა შორის არსებობს გ. წ. სინტაგმატური (დისტრიბუ-
ციული) ურთიერთობაც, ე. ი. ურთიერთობა, რომელიც არსებობს ენობრივ ერთეულთა შორის
გაბმულ მეტყველებაში.

სინტაგმატიკა იკვლევს იმას, თუ ერთი ტიპის ენობრივ ერთეულთა შორის (მაგალითად,
ფონემათა შორის, მორფემათა, სიტყვათა შორის და სხვ.) რომილების მეზობლობა არის და-
საშუალები ამა თუ იმ ენაში და რომლებსა – არა, ამგვარი ურთიერთობის კვლევა ბევრ შემ-
თხვევაში ფასეულ შედეგებს იძლევა. ასე, მაგალითად, ნ. ტრუბეტკოვიმ გაარკვია, რომ ბერ-
ძული ფონოლოგიური სისტემა ამომწურავად შეიძლება დახასიათდეს იმის მიხედვით, თუ
თითოეული ფონემა რომელი ფონემის მეზობლად შეიძლება იდგეს¹⁵. მაგრამ ტრუბეტკოვი იქვე
შენიშნავს, რომ ასეთი შემთხვევები შედარებით იშვიათია. არის ენები, სადაც შეხამების წე-
სების მიხედვით ფონემათა კლასიფიკაცია ჩანასახურადღა შეიძლება გატარდეს. მაგალითად,
ბირმულში შეხამების წესთა საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ ფონემათა მხოლოდ ორი
კლასი – ხმოვნები და თანხმოვნები [46].

ტრუბეტკოვის შემდეგ ამერიკულ ენათმეცნიერებაში განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცე-
ვენ შეხამების წესთა დადგენას. იმედოვნებდნენ, რომ მოვლი ენის, მისი ყველა მოვლენის ამომ-
წურავი დახასიათება შესაძლებელია შეხამების წესთა გათვალისწინებით ანუ (როგორც ისინი
უწოდებენ, და ეს სახელწოდება შემდეგ საყოველთაოდ გავრცელდა) დისტრიბუციული ანალი-
ზის მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ დისტრიბუციული ანალიზისათვის ამგვარი უნივერსა-
ლური ხასიათის მიწერა გაზვიადებული ჩანს, – უარი არ უნდა ვთქვათ იმ დახმარებაზე, რაც
შეიძლება გავგიწიოს ამა თუ იმ ტიპის ენობრივ ერთეულთა შეხამების წესების შესწავლად.
სიტყვათა შეხამების წესებს და შესიტყვებათა ტიპებს მათი აგებულებების თვალსაზ-
რისით შეისწავლის გრამატიკის დარგი – სინტაქსი.

მაგრამ სიტყვები ერთმანეთს შეეხამებიან არა მხოლოდ აგებულების, არამედ შინაარსის
მიხედვითაც.

ერთობრიანი (აბსოლუტური) ზმნა სახელს მართავს სახელობით ბრუნვაში; ქართულში
ამიტომ ბუნებრივია, ე. ი. გრამატიკის წესების მიხედვით სავსებით გამართულია, ისეთი შე-
სიტყვებანი, როგორიცაა: *ცხენი ჭიხინებს, ქათამი კაკანებს* და სხვ. მაგრამ გრამატიკული
სისწორის მიუხედავად შეუძლებელია ქართულად ვთქვათ – „*ცხენი კაკანებს*“ ან „*ქათამი
ჭიხინებს*“. ამის საშუალებას არ იძლევა, პირველ ყოვლისა, ის მნიშვნელობანი, რომლებიც
ამ სიტყვებშია ჩაქსოვილი.

¹⁴ ამ სიტყვის ფართო (და არა ზემოწარმოდგენილი) გაგებით, რასაც ვ. აბავემა „იდეოსემანტიკას“ უწო-
დებს.

¹⁵ ამ ფონემათა ფიზიკური სუბსტანციის გათვალისწინებლად.

გარკვეულ სიტყვათა შესამების შესაძლებლობა-შეუძლებლობას, ამრიგად, განსაზღვრავს მათი სემანტიკა.

რამდენადაც საზოგადოდ სემასიოლოგია გარკვეული ბეგრადობისა და ამა თუ იმ საგნის (მოვლენის) ურთიერთმიმართებას შეისწავლის, წინააღმდეგ შემთხვევათა ვიქვით, რომ ცხე-ნის აღმნიშვნელ სიტყვასთან კაკანის აღმნიშვნელი სიტყვის დაკავშირება, ან ქათ-მის აღმნიშვნელი სიტყვისა და ჭიხინის აღმნიშვნელი სიტყვის ერთ სინტაგმაში მოქცევა არა მხოლოდ ქართულშია შეუძლებელი, არამედ სხვა ენებშიც დაუშვებელია. ასე, მაგალითად, რუსულ ენაში შეუძლებელია лошади (ან кони) და кудахтать-სიტყვების დაკავშირება, ერთად ხმარება, ან кудахтать-სიტყვის გვერდით курица-სიტყვის თქმა.

52. ეს კია, რომ შეიძლება არსებობდნენ ისეთი ხალხები, რომელთაც ქათმები (ან ცხენები) არ პყოლიათ და მათი სახელებიც არ იციან. ცხადია, სათანადო ენებში არ იარსებებს ცხენი ჭიხენებს- ან ქათამი კაკანებს- სინტაგმათა მსგავსი გამოთქმები (ისევე, როგორც ქართულში არა გვაქვს გამოთქმა, რომელიც კენგურუ-სიტყვასა და სათანადო ცხოველის ხმიანობის გამო-ხატველ სიტყვას ერთ შესიტყვებაში შეაერთებდა - უბრალოდ იმ მიზეზით, რომ კენგურუები ჩვენში არ ბინადრობენ, მათი ხმიანობა ქართველს არ გაუგონია და ამიტომ ამ ხმიანობის გად-მომცემი - ჭიხინი- და კაკანი- სიტყვების ფარდი - სიტყვა ქართულ ენაში არ მოიპოვება).

მაგრამ გარდა ისეთი შემთხვევებისა, რომლებშიც უშუალოდ არის უკუყვანილი ამა თუ იმ ხალხის - ენობრივი კოლექტივის - ცხოვრება, ენაში გვხვდება, ავტოთვე, ისეთი სიტყვათშეხა-მებანი, რომლებიც ავტონომიური არიან სემანტიკურ შესაძლებლობათაგან და მათი „პარაგმა-ტულა“ რელიზაციებისაგან: ენაში გვხვდება ენობრივი ჩვევით შეპირობებული სიტყვათშეხა-მებანი.

ახე, ქართულში ჩვეულებრივია შესიტყვება ტყვიამფრქვევი კაკანებს, რუსულში კი შეუძლე-ბელია მისი სიტყვასიტყვით გადათარგმნა: кудахтать არამც და არამც არ ითქმის пулемет-სიტ-ყვაზე; აქ საპასიოდ იხმარება дробь, რასაც ქართულში შეესაბამება რაკარუკი, რაკარაკი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში - კაკანი; ქათმის კაკანი რუსულად არ ითარგმნება როგორც „дробь ку-рицы“ (ასევე, ქართულად „ტყვიამფრქვევის რაკარაკი“ არ შეიძლება ვინმართო пулеметная дробь-ის ფარდედ). ამრიგად, გამოთქმა ქათამი კაკანებს დასაშვებია „სემანტიკურად“, რელიზებუ-ლია ქართულ ენობრივ კოლექტივში, მაგრამ ამასთანავე წარმოადგენს ქართულ ენაში დამკვიდრებულ, საკუთრივ ქართულ ენობრივ ფაქტს - ლექსიკური „სინტაგმატიკის“ ფაქტს.

53. ლექსიკური სინტაგმატიკა დააფუძნა ვალტერ პორციგმა [43, 17]. პორციგის სამართლი-ანი მტკიცებით, თითოეული სიტყვა გარკვეულ კონტექსტს მიეკუთვნება: ქერა თმა, ერთი ლო-კავს, ხეს ჩეხენ... ამ კონტექსტთა, სიტყვების ამ კავშირთა დადგენა იძლევა მივლი ლექსიკუ-რი ფონდის დანაწევრებას.

ყველაზე ელემენტარული მიმართება არის მიმართება ორ სიტყვას შორის, რომელსაც პორციგი უწოდებს „არსითს სემანტიკურ მიმართებებს“ (რადგან ისინი ემყარებიანო „ნაგუ-ლისხმევ მნიშვნელობათა თვით არსს“).

მიმართება შეიძლება იყოს მოქმედებისა - ამ მოქმედების მომხდენ ორგანოსთან (მაგალი-თად, მიმართება ღოკვა და ენას შორის), ან მოქმედებისა - მის სუბიექტთან (მაგა-ლითად, მიმართება აყვავებასა და მცენარეს შორის) და სხვ.

ამგვარ მიმართებათა ბირთვად პორციგი მიიჩნევს ზნანასა და ზედსართავს, რადგან პრე-დიკატულობა მხოლოდ ამ სიტყვებთან არის წარმოდგენილი. „პრედიკატულობის“ შემოტანით პორციგი, - მიუხედავად იმისა, რომ თავის ელემენტარულ ველის ენობრივ ხასიათს მია-წერს, - გზას უხსნის ლოგიციზმს - სიტყვათა ნაცვლად ცნებათა ურთიერთობის შესწავ-ლად; ჩვენთვის კი საინტერესოა საკუთრივ ენობრივი მოვლენები, ე. ი. ოდენ უშუალოდ, ხმარებულ ი. ელქსიკური ფაქტები და არა ზოგადად სემანტიკური შესაძლებლობა-ბე-ბე. ვარდა ამისა, პორციგის ნაშრომებში წარმოდგენილი თეორიული წანამდგერებიც არ არის გასაზიარებელი [6]. მიუხედავად ამისა, „ელემენტარული ველების“ გამოყოფა ყურადღე-ბას იმსახურებს, როგორც ლექსიკური სინტაგმატიკის საფუძვლიანი კვლევა¹⁶.

¹⁶ ჩვეულებრივ, „სემანტიკურ ველში“ გულისხმობენ ლექსიკური პარადიგმატიკის ფაქტებს.

54. აღსანიშნავია, რომ სინტაგმატიკას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს გრამატიკაში, სახელდობრ, ენის სინტაქსური მხარის დახასიათებისას; ენის ლექსიკურ-სემანტიკური მხარის შესწავლისას მისი შემეცნებითი ღირებულება ნაკლებია, თუმცა უნდა გავხაზოთ, რომ იგი აქაც არ შეიძლება უგულებელდევით (იხევე, როგორც პარადიგმატული მიდგომა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველაზე კმედითია მორფოლოგიაში, თუმცა ლექსიკის შესწავლის დროსაც პარადიგმატიკა უთუოდ გასათვალისწინებელია).

თვით სახელწოდებანი *სინტაგმატიკა* და *პარადიგმატიკა* საკუთრივ გრამატიკული ტერმინებიდან მომდინარეობენ: პირველს *სინტაქსი-სიტყვის* საზიარო ფუძე აქვს, სინტაქსის ტერმინს *სინტაგმა*-ს ემყარება, მეორე კი მორფოლოგიაში დამკვიდრებული *პარადიგმა-სიტყვიდან* არის ნაწარმოები.

ენის ლექსიკურ-სემანტიკური მხარისათვის პარადიგმატიკისა და სინტაგმატიკის მნიშვნელობა დაახლოებით იმეკვარევა, როგორც ფონოლოგიისათვის:

ფონოლოგიაში ერთიც და მეორეც (ე. წ. პარადიგმატიკა – მოძღვრება ოპოზიციითა შესახებ, და სინტაგმატიკა – მოძღვრება ფონემათა შესამების შესახებ) ვლინდება ფონემის ფიზიკური სუბსტანციის ფონზე; ფონემა, პირველ ყოვლისა, ბგერითი ტიპია, წარმოქმნილი ამა და ამ სამეტყველო ორგანოთა ასეთი და ასეთი მოძრაობით.

ასევე, სიტყვაში, როგორც ლექსიკოლოგიის ერთეულში, პირველ ყოვლისა, ანგარიში ეწევა მის საგნობრივ მიმართებას და მხოლოდ ამ ფონზე ხდება მისი ჯერ „პარაგმატული“ და შემდეგ „საკუთრივ-ენობრივი“ დახასიათება – პარადიგმატიკისა და სინტაგმატიკის მიხედვით.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
2. ე. ბაბუნაშვილი, ომონიმია და მისი ადგილი ქართულ ენაში, თუშ, 93, თბ., 1960.
3. კ. ბაქრაძე, ლოგოკა, თბ., 1946.
4. სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია, თბ., 1959.
5. დ. უზნაძე, ბავშვთა ფსიქოლოგია, შრომები, ტ. V, თბ., 1967.
6. ბ. ფონსუა, ელემენტარული ველი, იკე, XVI, თბ., 1968.
7. ბ. ფონსუა, ომონიმია და პოლისემია, იკე, IX-X, თბ., 1957.
8. ბ. ფონსუა, პოლისემიის საკითხისათვის, იკე, XII, თბ., 1960.
9. ბ. ფონსუა, სინონიმის შესახებ, იბეჭდება.
10. ბ. ფონსუა, სიტყვაწარმოება და ლექსიკოლოგია, იკე, XVII, თბ., 1966.
11. ბ. ფონსუა, ტრუბეცკოის ფონოლოგიური სისტემის ძირითადი ცნებები, იკე, XI, თბ., 1959.
12. არნ. ჩიქობავა, გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები, სმამ, I, № 2-3, თბ., 1940.
13. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
14. არნ. ჩიქობავა, ენის რაობის ბიპევიორისტული ვაგება, იკე, IX - X, თბ., 1958.
15. არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, თბ., 1939.
16. არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1928.
17. პ. სუბუტია, თუშური კილო, ლექსიკა, თბ., 1969.
18. პ. ჯაჯანიძე, აჭარული ლექსიკური მასალები, ქუთაისის პედაგ. ინსტიტუტის შრომები, ქუთაისი, 1961.
19. В. И. Абаев, О подаче омонимов в словари, ВЯ, 1969, № 3.
20. В. И. Абаев, Понятие идеосемантики, «Язык и мышление», XI, М.-Л., 1948.
21. Ю. Д. Апресян, Проблема синонимов, ВЯ, 1957, № 6.
22. Л. Блумфилд, Язык, М., 1968.
23. Ж. Вандриес, Язык, М., 1937.
24. Л. С. Выгодский, Мышление и речь, М., 1934.
25. В. В. Виноградов, Об основных типах фразеологических единиц в русском языке, «Академик Шахматов», сб. Статей, М.-Л., 1947.
26. Е. М. Галкина-Федорук, синонимы в русском языке, «Русский язык в школе», 1959, № 3.
27. В. А. Звегинцев, Теоретическая и прикладная лингвистика, М., 1967.
28. Х. Касарес, Введение в современную лексикографию, М., 1958.
29. Г. Клаус, Сила слова, Тб., 1971.
30. В. Н. Комиссаров, Проблема определения антонима, ВЯ, 1957, №2.
31. К. Маркс и Ф. Энгельс, Немецкая идеология, Сочинения, Т. IV, М., 1933.
32. А. И. Смирницкий, Лексикология английского языка, М., 1956.
33. Ф. Де Соссюр, Курс общей лингвистики, М., 1933.
34. С. Ульман, Дескриптивная семантика и составление словарей, «Новое в лингвистике», вып. II, М., 1962.
35. Л. Успенский, Слово о словах, М., 1957.
36. А. С. Чикобава, Проблема языка как предмета языкознания, М., 1959.
37. А. С. Чикобава, Реальность синонимов и возможность синонимических словарей, «Лексическая синонимия», М., 1967.
38. F. Domsseiff, Die deutsche Wortschatz nach Sachgruppen, Berlin, 1959.
39. K. O. Erdmann, Die Bedeutung des Wortes, Leipzig, 1925.
40. R. Karnaп, Introduction to Semantics and formalization of Logic, 1961.
41. K. Kronassep, Handbuch der Semasiologie, Heidelberg, 1968.
42. H. Paul, Principien der Sprachgeschichte, Halle, 1920.
43. W. Porzig, Das Wunder der Sprache, Bern, 1950.
44. W. Porzig, Wesenhafte Bedeutungsbeziehungen, Beitrage zur Geschichte der deutschen Sprache, 58, 1934.
45. B. Quadri, Aufgaben und Methoden der onomasiologischen Forschung, Bern, 1952.
46. N. Trubezkoj, Grundzuxe der Phonologie, Prague, 1939.
47. St. Ullmann, Principles of Semantics, Glasgow, 1951.

სტილი¹

სტილი (ბერძნ. *stylos*, ლათ. *stylus* – მეტალის წიკრი, რომლის წვერით წერდნენ გასართულ ფიკარზე, ხოლო ბლაგვი ბოლოთი შლიდნენ გასასწორებელს ძველ საბერძნეთსა და რომში), ენის ერთეულთა შერჩევისა და სისტემურ-სამეტყველო ორგანიზაციის თავისებურებათა ერთობლიობა, დამახასიათებელი ენის გამოყენებისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში; მეტყველების თვისებრიობა, რომლის მეშვეობითაც ამოიცნობა ესა თუ ის ენობრივი სახესხვაობა (ტიპი, ვარიანტი, ფორმა).

ენის ერთეულთა შერჩევა ერთდროულად ამ ერთეულთა ვარიაციულობასაც გულისხმობს და ფუნქციურობასაც, რამდენადაც შერჩევა მოტივირებულია კომუნიკაციური მიზანშეწონილობით. ამიტომ სტილის შექმნის საფუძველია, ერთი მხრივ, ენაში რეალურად არსებული *სინონიმია* (ლექსიკური, სიტყვაწარმოებითი, მორფოლოგიური, სინტაქსური) და, მეორე მხრივ, სინონიმურ ენობრივ საშუალებათაგან შეგნებული და მიზანმიმართული ამორჩევა, რაც სამეტყველო ურთიერთობის წარმატებას ემსახურება. სტილის ლინგვისტიკური არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი განკუთვნილია მეტყველების აღქმებისათვის, ე. ი. მიმართულია პრაგმატიკის ურთიერთობის ეფექტურობა – რაც შეიძლება უკეთ განხორციელდეს კომუნიკაციაში.

ბერძნულ რიტორიკაზე დამყარებული ტრადიციული სტილისტიკა, რომელიც იყო მოძღვრება სიტყვის ხელოვნების შესახებ, სტილს განიხილავდა როგორც ერთეულ და სამუდამოდ მოცემულ სტილისტიკურ საშუალებათა (სტილურად შეფერილი ელემენტები, მხატვრულ-რიტორიკული ხერხები) ნაკრებს და არ ითვალისწინებდა ობიექტის ისეთ კომპონენტებს, როგორცაა ენის ფუნქციონირების კომუნიკაციურად შეპირობებული კანონზომიერებანი და სამეტყველო ორგანიზაცია; უაღრესად უფოფა იმას, რომ „მზა“ სტილისტიკურ ელფერებსა და ხერხებს შეიძლება სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს განსხვავებული კომუნიკაციური ამოცანების შესაბამისად, რადგან ისინი იქმნება და გამოიყენება მეტყველებაში (ტექსტში) ფუნქციონირებისას.

ის, რომ ენობრივი ურთიერთობის პროცესი სტილის ქნადლობის პროცესიცაა, არ ამცირებს ამა თუ იმ ენის ისტორიულად ჩამოყალიბებულ იმ სტილისტიკურ რესურსების მნიშვნელობას, რომლებიც, ჩვეულებრივ, ნეიტრალურ ენობრივ საშუალებათა ფონზე გამოიყოფა და რომელთაც ტრადიციით დამკვიდრებული სტილი იკავებს. შეფერვა იმისა აქვს, სტილურად ნეიტრალურია „მოხუცი“, „ხნიერი“ სინონიმთა რიგში: დრომოჭმული, ბებერი, ბებრუკა, ბებრუცუნა, ბებრუხანა, გადარეუბული, გადარეუბული, მიხრწნილი... მხცოვანი. ჩაითვლილი სინონიმები მიუთითებენ არა მარტო მეტყველების საგანზე, არამედ მეტყველის სუბიექტურ მიმართებაზე ამ საგნისადმი. თითოეულ მათგანს აქვს ემოციურ-ექსპრესიული და შემფასებლური ელფერი, რაც მათი განსხვავებული გამოყენების საშუალებას იძლევა. სტილისტიკურად დიფერენცირებულია ზოგჯერ სიტყვაწარმოებითი ელემენტებიც. კინობთ-ირონიული შეფასების სემანტიკურ კომპონენტებს შეიცავენ კაცუნა, ქალუკა, ვაჭრუკანი; პატივისცემის შეფასების სემანტიკურ ელფერი აქვს მიღებული ქონების სახელთა მაწარმოებელ-ოხან სუფიქს სიტყვაში „მანდილოსანი“, მაშინ როდესაც იმავე ჯგუფის სახელთა -იან მაწარმოებელი იმავე სიტყვასთან მხოლოდ მქონელობას გამოხატავს – „მანდილიანი“. ნეიტრალური ნომინაციისაა „გაქცევა“, მაგრამ მისი სინონიმები – „გავარდნა“, „გაქუსვლა“ – ნომინაციისა და ექსპრესიის შერწყმის შედეგია. ექსპრესიას შეიძლება არ ახლდეს ემოცია და შეფასება (მაგ. კნასვა, კუნა „მცირე ჭამა“), მაგრამ აღნიშნული დამატებითი სემანტიკური კომპონენტები უფრო სწორად ერთად გვხვდება (მაგ. „თქველვს“, რაც ჩქარ-ჩქარა, დაუღუპავად, ხარბად და ხმაურით ჭამას ნიშნავს, უარყოფითი შეფასების შემცველია ისევე, როგორც დადებითისა „მხცოვანი“ – აღამიანი, რომელმაც საზოგადოებაში პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა). და-

¹ ქართული ენა, ენციკლოპედია, თბ., 2008.

მატებითი მნიშვნელობა (კონტაცია), რაც ექსპრესიული, ემოციური თუ შემფასებლური ელემენტით იქმნება, შეიძლება იყოს არა მარტო უზუსტური, არამედ ოკაზორიკი, ანუ კონკრეტულ კონტექსტზე დამოკიდებული: რეალურად დასაშვებია კონტექსტი, სადაც „მხცოვანს“ ორინული მნიშვნელობა ექნება, ან „წაბრანდა“ უფრო „წაერთა“ იქნება, ვიდრე პატივისცემით ნათქვამი „წავიდა“. ნეიტრალური ენობრივი ერთეულიც, თუ ის უწყველო მნიშვნელობით იხმარება ან უწყველო გარემოში ხვდება, სამეტყველო-სტილისტიკურ შეფერვლობას იღებს. ინტონაცია, წარმოთქმაც შეიძლება იყოს სტილისტიკურად განსხვავებული და რელევანტური.

საკუთრივ სტილისტიკური შეფერვლობა უპირატესად გამოიყენება საზოგადოებრივი ურთიერთობის ამა თუ იმ სფეროში, იქნება ეს ყოფა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, სამეცნიერო სფერო თუ სხვ. აღნიშნული სფეროებიდან საერთო-ენობრივი ფონდში დაბრუნებული, ან პირველად შესული ენობრივი ერთეულიც, რომელიც შესაბამისი შეფერვლობა შემოპყვებათ, ნეიტრალური დექსისის ფონზე სტილისტიკურად მარკირებული იხდება. ამგვარი დექსისური ფენები ქველში კვადრირებულია როგორც საკანცულარიო, სასაუბრო, სამეცნიერო, ტექნიკური, პოეტური და სხვ.

ამა თუ იმ სტილის სპეციფიკური მახასიათებელია სტილური ნიშანი, რომლის მიხედვითაც სტილის ამოცნობა შეიძლება. სტილთა აღწერისას ხშირად მიმართავენ სტილურ ნიშანთა ისეთ დაპირისპირებას, როგორცაა, ბატონობა-არაბატონობა, ემოციურობა-არაემოციურობა, სიზუსტე-უსიზუსტობა, ლოგიკურობა-ალოგიკურობა, სტანდარტიზაცია-უნაქვალურობა... ამათან ერთად, სტილის სხვა ნიშან-თვისებებიც (სიცხადე და გასაგებობა, სიწმინდე, ესთეტიკურობა, შესაფერისობა) შეიძლება ახასიათებდეს რამდენიმე ფუნქციურ სტილს, მაგრამ ყოველ მათგანში – სპეციფიკურად. მაგ., სიზუსტე ყველა ფუნქციური სტილისათვისაა დამახასიათებელი, გარდა სასაუბრო მეტყველებისა, მაგრამ განსხვავებულია ოფიციალურ-საქმიანი საბუთის, მათემატიკური გადმოცემისა და მხატვრული გამოხატვის სიზუსტე. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისათვის ნიშანდობლივია აღნიშნულ კონტრეპოზი და ფუნქციურ-სტილისტიკურ ნორმათა მჭიდრო ურთიერთკავშირი, რის გამოც ყოველი სტილური ნიშანი ძირითად სტილებსა და მათ სახეობებში თავისებურად ვლინდება არა მარტო თვისებრივ, არამედ რაოდენობრივ თვალსაზრისითაც.

ფუნქციურ-სტილისტიკური ნორმა საერთოენობრივ და ენობრივ-სტილისტიკური ნორმათა გვერდით არსებობს. ენობრივი ნორმის ვარიანტული სახესხვაობანი ხშირად შეპირობებულია ვარიანტულ ფორმათა სტილისტიკური დიფერენციაციით, მაგ., ქართული სალიტერატურო ენის მოქმედ ნორმას არ შეესაბამება მასდართა, აბსტრაქტულ და ნეოთიერებათა სახელებს მრავლობითი რიცხვის ფორმები, გავრცელებული სამეცნიერო მეტყველებაში; მხატვრული და სასაუბრო ენისათვის უცხოა გენიტივიანი მსაღვრელთა გრძელი რიგები, აგრეთვე ვნებობურ კონსტრუქციათა გამოყენების არის გაფართოება, რაც ნორმატიულად ითვლება სამეცნიერო და ოფიციალურ-საქმიან სტილებში. არ არსებობს ენაში ისეთი აფიქსი ან გრამატიკული ფორმა, რომელიც მხოლოდ ერთ ფუნქციურ სტილს ეკუთვნოდეს, მაგრამ არსებობს სხვადასხვა სტილში მათი გამოყენების განსხვავებული სიხშირე, რაც ფუნქციურ-სტილისტიკურ ნორმას სტატისტიკურ ხასიათს ანიჭებს. მაგ.: ქართულ სამეცნიერო სტილის ერთ-ერთი თავისებურებაა **ად.**, **ივ.**, **ით.**, **უდ** მაწარმოებლების გააქვარება (კრისტალვადი, მონვლვადი, უღვლილვადი... შევუებებით, მგრძნობელიობით, რაკვარობით... ვანივი, ციფრობრივი, ხარისხობრივი... ვრადი, წრედი, მრავალკუთხედი...) და ენობრივობის ზოგიერთი სუფიქსის გაცოცხლება (ბალთაკი, ბუშტუკი, კაველა, კილანა...). ფუნქციურ-სტილისტიკური ნორმა ყველაზე მკვეთრად და კატეგორიულად ყველა დონის ენობრივ ერთეულთა სტილისტიკურ შეფერვლობაში ვლინდება, რომლის თვისებრიობას ამ ერთეულთა ურთიერთკავშირი და რაოდენობრიობაც ქმნის. აღნიშნული ნორმატიულობა განაპირობებს ენის გამოყენების გარკვეულ ტრადიციას ამა თუ იმ საზოგადოებრივ სფეროში. აქ ენობრივ ერთეულთა ფუნქციონირების კანონზომიერება ობიექტური ხასიათისაა. ყოველივე ეს ქმნის ამა თუ იმ სტილისათვის სპეციფ. სისტემურ-სამეტყველო ორგანიზაციას, რომელსაც ექსტრადინგვისტური საფუძველი აქვს: კონკრეტული კომუნიკაციური ამოცანის შესრულება კონკრეტულ საზოგადოებრივ სფეროში.

ქართულ ენას ფუნქციურ სტილთა მდიდარი სისტემა აქვს. მათგან მეტ-ნაკლებად სრულადაა შესწავლილი სამეცნიერო, საგაზეთო-პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი, სასაუბრო

და მხატვრული სტილები, თავიანთი ქვესტილებითა და უანრებით.

ენობრივ სტილთა ყველაზე ტყვეადი სახეობებია: ნეიტრალური (საშუალო), მაღალი (წიგნური) და დაბალი (ფაშილიარულ-სასაუბრო). ასევე, იერარქიულობის პარამეტრით შეიძლება გამოვყოთ წარმოთქმის სტილებიც: ჩვეულებრივი, ზედმიწევნით სრული და დაუდევარი. მათ განსხვავებულობას, ისევე, როგორც ენობრივ სტილთა დიფერენციაციას, განაპირობებს ენობრივი ურთიერთობის სიტუაციის თავისებურებანი, ურთიერთობის მონაწილეთა სტატუსი, მათი მიზნები და სხვ.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; მისივე, ზოგადი ენათმეცნიერება, II, თბ., 1983; კიკნაძე ვრ., მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957; მისივე, თხზულებანი, ტ. 3, თბ., 1999; კვარაცხელია გ., ოფიციალურ-საქმიანი სტილის ზოგადი ნიშნები. — «თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები», VI, თბ., 1981; მისივე, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990; გიგინეიშვილი ი., ვახილ ბარნოვის სტილის თავისებურებათა საკითხისათვის. — «ქსკს», წგ. 8, თბ., 1988; მისივე, ზოგიერთი დაკვირვება გალაკტიონ ტაბიძის ენაზე. — «ქსკს», წგ. 10, თბ., 1993; მისივე, არქაიზმის საკითხისათვის. — «ქსკს», წგ. 11, თბ., 1998; Пражский лингвистический кружок, М., 1967; «Новое в зарубежной лингвистике», вып. 9. Лингвостилистика, М., 1979; Аверинцев С. С., Проблема индивидуального стиля в античной и византийской византийской риторической теории. Литература и искусство в системе культуры, М., 1988; Enkvist N., On defining Style.— In: Linguistics and Style, L., 1964.

სტილიზაცია¹

სტილიზაცია, ამა თუ იმ სტილის შეგნებული მიბაძვა, მისი თავისებურებების სრული ან ნაწილობრივი გამოკრება. განსახვდრული წყაროს ანუ „პროტოტიპური სტილის“ აშკარა, ხაზგასმული იმიტაციით სტილიზაცია გამოირჩევა, ერთი მხრივ, ეპიგონობისაგან, როგორც არაშემოქმედებითი მიბაძვისაგან, ხოლო მეორე მხრივ, პლაგიატისაგან, როგორც სხვისი ტექსტის მისაკუთრებისაგან. ამითან განსხვავებით, სტილიზაციას ესთეტიკური ფუნქცია აქვს. სტილიზაცია, ზოგადად, ავტორის სტილისაგან გამიჯვნას გულისხმობს, რის შედეგადაც გამოხატვის ობიექტად იქცევა თვით მიმსგავსებული სტილი, რომლის „ადღენა“, გადმოტანა ხდება გარკვეული სოციალური ფენის, ისტორიული ეპოქის, ლიტერატურული მიმდინარეობის, ჟანრისა თუ ცალკეული მწერლის სტილისტიკურ მახასიათებელთა მიბაძვით. მიბაძვა შეიძლება განხორციელდეს სინტაქსურ კონსტრუქციათა კოპირებით, გრამატიკულ ფორმათა და ლექსიკურ ერთეულთა შერევა-სესხებითა და სხვ. ნიმუშად აღებული სტილის ფარგლებში ნეიტრალური ენობრივი ელემენტები ახალი ნაწარმოების სტილური ნიშანთა ფონზე მარკირებით ხდება, რასაც მხატვრული ეფექტი აქვს. ასეთ სტილიზაციას მიმართავენ პერსონაჟის ენობრივი პორტრეტის შესაქმნელად, როცა მწერალი ხატავს განსახვდრული სოც. ჯგუფის ან ეროვნების წარმომადგენელთა სახეებს (ე. ერისთავისა და ზ. ანთონოვის კომედიების მოქმედ პირთა ქართული, ლელთ ლუნისა, გლახა ჭრიაშვილისა და სხვათა მეტყველება); ჟანრისულ ფოლკლორზე ორიენტირებული ს. გრ. ორბელიანის მუხამბაზურ ლექსებში („მუხამბაზი“, „მირზაჯანას ეპიტაფია“, „სალომეს ბეჟანა მკვრელის მაგიერ“, „დიმიტრი ონიკაშვილის დარღობა“); მისტიფიკაციისათვის იყენებს სტილიზაციას და მოიყენებთ წყაროზე მიუთითებს პ. იაშვილი „ელენე დარიაანის ლექსებში“, სადაც გადმოცემულია ქალის – პოეტის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებები. ჟანრობრივი სტილიზაციის ნიმუშებია მოცემული ჭ. ამირჯანიის „დათა თუთაშხიაში“ (დაციხვის ოქმი, საარქივო მასალა, შვანტირამის პატაკი, ანდრიევსკის დღიური, სევედის ჩანაწერები...), სადაც მწერალი შესაბამისი ჟანრებისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ-ფრაზოლოგიურ კლიშეოთა, კომპოზიციურ-სამეტყველო ორგანიზაციის თავისებურებათა და სინტაქსურ კონსტრუქციათა აქტუალიზებას ახდენს. სტილიზაციის უფრო დახვეწილი ხერხები გამოიყენებით ლიტერატურული ტექსტების გამყალბებლებს. ნაყალბევი სტროფების ამოცნობა, მაგ., „ვეფხისტყაოსანში“, სპეციალისტებს დღემდე სირთულეს უქმნის.

სტილიზაციის ობიექტი უფრო ხშირად არის დროსა და სივრცეში დაშორებული სტილური სისტემა, ამასთანავე, არა იმდენად ინდივიდუალური, რამდენადაც ლიტერატურული მიმდინარეობის, ეპოქის, ეროვნული კულტურისათვის ზოგადად დამახასიათებელი. სტილიზაცია ისტორიული რომანების მუდმივი ატრიბუტია. გარდასულ ეპოქათა კოლორიტის შესაქმნელად სიძველის სტილიზებულ ელემენტებს, ლექსიკის არქაიზაციას მიმართავენენ ვ. ბარონოვი, კ. გამახაზურდია, ნ. ლორთქიფანიძე. აღნიშნულ ფუნქციასთან ერთად, გაუცხოებისა და ირონიის დამატებით ფუნქციას ასრულებს „ასი წლისწინანდელ მდაბოურ ქალაქურ ენას მიმსგავსებულ“ ავტორისეული თხრობა ა. მორჩილაძის რომანში „გადაფრენა მადათოვზე და უკან“. სტილური შეფერილობის მიხედვით სტილიზაცია შეიძლება იყოს კომიკური და არაკომიკური. კომიკური სტილიზაციის ნიმუშებია პაროდია და პაროდოიული ნაწარმოებები: გადამდგრება, ბურლესკი. ამ უკანასკნელის მაგალითია ილიას მიერ სახუმარო კიდოზე გადაკეთებული ალ. ჭავჭავაძის „ვაჰ, დრონი, დრონი“, დაწერილი „ცისკრის“ გასამასხარაველად, აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ მიბაძვით აგებული ილიასავე ლექსი ნ. ნიკოლაძის შესახებ. აქ პოეტს სხვისი სტილის იმიტაციით ცდილობს საკუთარი კომიკური თუ სატირული მიზნების განხორციელება. პაროდიაში შეიძლება სასაცილოდ იყვებოდნენ ლიტერატურულ წყაროსაც, რომლის იდეურ-თემატიკურ თუ სტილისტიკურ თავისებურებებს პიპერტროფირებულად წარმოაჩენენ (მაგ.

¹ ქართული ენა, ენციკლოპედია, თბ., 2008.

6. ნიკოლაძის „გრიგოლ ორბელიანი პლატონ იოსელიანს“.

არაკომიკურ სტილიზაციათა ერთი ჯგუფი ცალკე ჭანრს ქმნის, რომელსაც ვარიაცია ეწოდება. ვარიაციაში, ისევე, როგორც პაროდიაში, ავტორი იყენებს რა სხვის მასალას, საგანგებოდ მიუთითებს წყაროზე, რომლის იდეურ-თემატურ სფეროს ალუზიებით აფართოებს ან აზუსტებს, ზოგჯერ საკუთარი ინტერპრეტაციებს განაგრძობს (მაგ., ილიას „მეცა მქონია კარგი მამული – მიბაძვა პეინესი“). ქართულ მწერლობაში ნაწარმოების სათაურთან გამოყენებული სიტყვები: „მიბაძვა“, „მოტივზე“, „ხმაზე“, „კილოზე“, „ხალხური“ ხშირად სტილიზაციის ამ სახეობაზე მიუთითებს.

სტილიზაციისთვის აუცილებელი არ არის შესაბამისი მარკირების ყველა ენობრივი ერთეულის გადმოტანა, საკმარისია მხოლოდ ზოგიერთი მათგანის ინკრუსტირება ტექსტში. სტილიზაცია მხატვრულ ლიტერატურაში სწორედ ამას ემყარება.

ლიტ.: Бахтин М. Н., Проблемы поэтики Достоевского, М., 1963; Broiwer R. A. Mirror on mirror: Translation, imitation, parody, Cambridge (Mass.), 1974.

სტილისტიკა¹

სტილისტიკა (ფრანგ. stylistique < style – სტილი), სტილის შემსწავლელი ფილოლოგიური დისციპლინა, რომელიც ენათმეცნიერებას ეფუძნება, მაგრამ მისგან განსხვავებული ასპექტი იკლავს ენას, როგორც გამოყენებას, შეისწავლის მას „მოქმედებაში“; იხმარება „სტილის“ სინონიმადაც ამა თუ იმ დღეის, მოთხრობის, რომანისა და ა. შ. მხატვრული გაფორმების თავისებურ ნიშანთა ხაზგასასმელად (მაგ., „გ. ღონანაშვილის პროზის სტილისტიკა“; „ამ მოთხრობის უჩვეულო სტილისტიკა“).

სტილისტიკის ძირითადი ცნებებია: სტილი (ენობრივი, ფუნქციური, ინდივიდუალური), ენის სტილისტიკური სტრუქტურა, ენობრივ საშუალებათა სტილისტიკური ორგანიზაცია, სტილისტიკური შეფერილობა, სტილური ნიშანი, ენობრივ ერთეულთა სინონიმია, შესაბამისობა და ვარიაციულობა, სტილისტიკური ნორმა და მისი ფუნქციურ-სტილური სახესხვაობანი (იხ. სტილი). რამდენადაც ენის ევოლუცია, ანუ მისი არსებობის ვარემო, მრავალფეროვანი და ისტორიულად ცვალებადია, სტილიც ისტორიული მოვლენაა და, ამდენად, ცვლილებას განიცდის მისი შემსწავლელი დისციპლინის ცნებებისა და კატეგორიების შინაარსში. ამის გამო სტილისტიკა შეისწავლის არა მარტო სტილს (ამ ტერმინის ყველა ენათმეცნიერული მნიშვნელობით), არამედ სტილთა ევოლუციასაც ხალიტერატურო ენის ისტორიასთან მიმართებით, ისტორიულად შეისწავლის აგრეთვე მეტყველების ფიგურებსა და ტროპებსაც.

უკვე ანტიკურ პოეტიკაში და რიტორიკაში მოცემული იყო სტილისტიკის ელემენტები (პოეტური და სასაუბრო მეტყველების განსხვავება, მეტყველების ღირსებათა დახასიათება და შეფასება, ფიგურათა შერწყვა, სამი სტილის აღიარება): სტილისტიკის პრობლემებს უფრო ვრცლად ეხებიან სანსკრიტის გრამატიკის (V–II სს. ძვ. წ.) და, განსაკუთრებით, ძველი ინდოეთის პოეტიკური ტრაქტატები (IV–VII სს.). ანტიკური ტრადიციები მოქმედებდა შუა საუკუნეების ფილოლოგიაშიც, ამასთანავე, კვლევებს კვლავ პრაქტიკულ-ნორმატიული ხასიათი ჰქონდა: ადგენდნენ, თუ რა დღეისკაც-ფრაზეოლოგია, ტროპები და ფიგურები „შეშენის“ სიტყვიერების სხვადასხვა სახეს (ანტ. მოძღვრებას სამი სტილის შესახებ კლასიციზმამდე მნიშვნელობა არ დაუკარგავს).

საკუთრად ენათმეცნიერულ სტილისტიკას სათავე დაუდო შ. ბაღიმ („ტრაქტატი ფრანგული ენის სტილისტიკის შესახებ“, 1909). მისი მოძღვრების ბევრ დებულებას ემყარება და ავითარებს თანამედროვე ლინგვისტიკა, შ. შ. უმნიშვნელოვანესია „ნეიტრალური ფონის“ საკითხი, ენობრივ ერთეულთა ფუნქციური შერწყვა, ექსპრესიულ ფაქტთა კლასიფიკაცია, რასაც უკავშირდება მოვლენებით დასმული „დამატებითი ინფორმაციის“ პრობლემა; ასევე საყურადღებოა დიქტუმიონისა და მოდუსის ცნებები, რომელთა მიხედვით გამოიანთქმება ორ ნაწილად იყოფა. დიქტუმი გარკვეული ექსპრესიული სტილისტიკური სიტუაციის ამსახველ პროპოზიციას მოიცავს, ხოლო მოდუსი ამ სიტუაციის მიმართ სუბიექტის დამოკიდებულებას გამოხატავს (შდრ. „სუბიექტური დანართი“ – არნ. ჩიქობავა). ე. ბენვენისტის კონცეფციიდან მომდინარეობს ენის შესწავლა „მოქმედებაში“, ხადც მეტყველ სუბიექტს ცენტრალური ადგილი უკავია, ამდენად, მის სახელთანაა დაკავშირებული სტილისტიკის თანამედროვე გააზრება, როცა იგი გაბეჭდილია როგორც სხვადასხვა სიტუაციაში მოლაპარაკის მიერ ენის გამოყენების შესახებ ზოგადი მოძღვრება. საბოლოოდ, როგორც დამოუკიდებელი დარგი, სტილისტიკა პრადის ლინგვისტურ წრეში ჩამოყალიბდა, ჩხ ენათმეცნიერთა ზოგადლინგვისტური მოძღვრების შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა პეტროგრადის ფილოლოგ-თეორეტიკოსთა და მოსკოვის ლინგვისტიკა გაერთიანებამ – „პოეტური ენის თეორიის შემსწავლელმა საზოგადოებამ“ (Общество изучения теории поэтического языка – Опос), რომელიც ნომინალურად 1919 გაფორმდა. პირველად იქიანა შემუშავებული თანამედროვე სტილისტიკისათვის პროდუქტიული იდეები, რომლებიც უკავშირდება ფუნქციონალიზმსა და ტელეოლოგიზმს, ფუნქციური სტილის ცნებას, ანტითე-

¹ ქართული ენა, ენციკლოპედია, თბ., 2008.

ზას - პოეტური მეტყველება და პრაქტიკული მეტყველება, „გაუცნაურების“ მეთოდს, რამაც პარალელურად ენობრივი ფაქტურის ავტომატიზაცია-აქტუალიზაციის სახე მიიღო (შდრ. გრ. კიხანძისთან „ფიქსირებული ფორმის გამოერება და ფიქსირებული ფორმის დარღვევა“), ასევე შეხვედრებს ენობრივი ნიშნის ავტონომიური ღირებულების შესახებ მხატვრულ მეტყველებაში, ინდივიდუალურ გამოხატუებაში განხილვას ნორმათა არსებულ კომპლექსთან მიმართებით, მხატვრული მეტყველების სტილისტიკის ორიენტაციას ენათმეცნიერებაზე და სხვ.

თანამედროვე სტილისტიკას მრავალი მიმართულება აქვს, რომლებიც განსხვავდებიან შესწავლის მასალით, პრობლემატიკით, საგნობრივი სფეროებით, ასპექტებითა და კვლევის ხერხებით.

ტრადიციულია მიმართულება, რომელიც ენის სტილისტიკურ საშუალებებს სწავლობს, ანუ რესურსების სტილისტიკა. მისი დანაყოფებია: ფონეტიკური სტილისტიკა, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური სტილისტიკა, მორფოლოგიური სტილისტიკა, სინტაქსური სტილისტიკა და სიტყვაწარმოებითი სტილისტიკა. რესურსების სტილისტიკა აღწერითი ხასიათისა და ენაში სინონიმის არსებობას ეყრდნობა (პ. პოკეტი: „ერთი და იმავე ენის ორი შეტყობინება, რომლებიც დაახლოებით ერთნაირ ინფორმაციას შეიცავენ, მაგრამ რომელთაც განსხვავებულ ენობრივ სტრუქტურები აქვთ, შეიძლება განიმარტოს როგორც სტილისტიკურად განსხვავებული“). საპირისპირო აზრის თანახმად, ინფორმაციითა იდენტურებას საუკუთვს იქ, სადაც ამ ინფორმაციითა შემცველი გამოხატუებები სტილისტიკურად ერთმანეთს უპირისპირდება (ნ. ენკისტი).

სამეტყველო აქტის მონაწილეთა როლების მიხედვით გამოყოფენ მეტყველების გამგზავნის სტილისტიკას და მეტყველების მიმღების სტილისტიკას. პირველს, ჩვეულებრივ, კოდირების, ხოლო მეორეს დეკოდირების სტილისტიკას უწოდებენ. მათი ობიექტი უფრო ხშირად მხატვრული მეტყველებაა, სადაც სამეტყველო აქტის სამწვეროანი დაყოფა იცვლება მისი ანალოგიური სისტემით „ავტორი - ნაწარმოები - მკითხველი“. კოდირების სტილისტიკას აინტერესებს მწერლის შემოქმედებითი პროცესის მამობრაველი ძალები, დეკოდირების სტილისტიკას კი - თვით ტექსტი, რომელსაც მკითხველი აღიქვამს. ამიტომ ამ დისციპლინებს, შესაბამისად, ავტორის სტილისტიკა და აღქმის სტილისტიკა უწოდებენ. მხატვრული ნაწარმოების, როგორც ცოცხალი პროცესის, არსს სწორედ აღქმის სტილისტიკა ავლენს, რომელიც ავტორისა და ნაწარმოების უცვლელობის პირობებში მკითხველის სხვადასხვაობას ითვალისწინებს. გარკვეულ დროსა და სივრცეში შექმნილი, ფიზიკურად უცვლელი ნაწარმოები ცვალებადი მკითხველის გამო ყოველ ჯერზე სხვადასხვაგვარად იკითხება. აქ დგება ინტერპრეტაციისა და მკითხველის თვისებრიობის საკითხები, „ავტორის ხასისა“ და სხვა პრობლემები, რომელთა არსი ისევე ენობრივი მასალითაა მატერიალიზებული. ამიტომ ორივე აღნიშნული სტილისტიკა პრინციპულად არაენათმეცნიერული ვერ იქნება.

განასხვავებენ შიდაავტორივ (stylistique Interne) და გარეავტორივ (stylistique externe) სტილისტიკას. პირველი შესწავლის ამა თუ იმ ენის სტილისტიკურ სტრუქტურას, მის შინაგან, ინტელექტუალურსა და ავტორულ ელემენტებს, განსაზღვრავს მათ ურთიერთზემოქმედებას. გარეენობრივი, ანუ შედარებითი, სტილისტიკის (stylistique comparee) შექმნის იდეა შ. ბალის ნაშრომებში ჩაისახა და ახლა შეპირისპირებით სტილისტიკას უწოდებენ. მისი კვლევის საგანია ორი ან მეტი ენის სტილისტიკურ საშუალებათა და სტილისტიკურ სტრუქტურის შედარებითი შესწავლა, მათ შორის მსგავსება-განსხვავების დადგენა. კონტრასტული ანალიზი საშუალებას იძლევა უკეთ გამოვლინდეს თითოეული შეპირისპირებული ენის სტილისტიკური თავისებურებანი, რომლებიც შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს შიდასტილისტიკურის შესწავლისას. შ. ბალიმ, მაგ., ფრანგული ენის სტილისტიკის უკეთ დახასიათებისათვის გერმანული ენის სტილისტიკური თავისებურებანი მოიშველია. შესადარებელ ენათა სტილისტიკური სტრუქტურების შეპირისპირება თვალსაჩინოს ხდის ენის სტილისტიკური ავტორული როგორც საერთო, ინვარიანტულ, ისე სპეციფიკურად ეროვნ. თავისებურებებს. მაგ., აღიღწერ ენაში ძირითადი ფუნქციური სტილებია: ზეპირ-პოეტური, ლიტერატურულ-მხატვრული და სამეცნიერო-პუბლიცისტური (ზ. და მ. კუმახოვები), მაშინ როდესაც, ქართულში კარგადაა გამოხატული სამეცნ. და პუბლიც. ფუნქციური სისტემები; ასევე, ფუნქციური სტილის გამოკვეთილი სტატუსი აქვს ოფიციალურ-საქმიან სტილს (იხ. ფუნქციური სტილისტიკა). შეპირისპირებითი სტილისტიკის მონაცემები მნიშვნელოვანია როგორც ზოგადთეორიული, ისე

პრაქტიკული თვალსაზრისით. ისინი ფართოდ გამოიყენება ლინგვოპედაგოგიკასა და თარგმნის სფეროში.

გამოყენებით, ნორმატიული დისციპლინა პრაქტიკული სტილისტიკა, რომელიც, ენობრივ-სტილისტიკური ნორმების შესაბამისად იძლევა მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს ენის გამოყენების შესახებ სხვადასხვა გარემოსა და სფეროში.

აღწერითი სტილისტიკისაგან განსხვავებით, ისტორიული სტილისტიკა ენის გამოყენების ისტორიას შეისწავლის. იგი ადგენს როგორც სტილისტიკურ ნორმათა ცვლას, ისე სალიტერატურო ენის სტილისტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; მისივე, ილია ჭავჭავაძე და სალიტერატურო ქართული ენის ერთიანობის საკითხი - წგ.: „ილიას სამრეკლო“, თბ., 1987; ძიძიგური შ., მწერლის ენის პრინციპული საკითხები, თბ., 1956; ჭუმბურიძე ზ., ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1956; კიკნაძე გრ., მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957; შალამბერიძე გ., ილია ჭავჭავაძის ენა, თბ., 1966; მისივე, მეტყველების კულტურის საკითხები, თბ., 1998; კვარაცხელია გ., მხატვრული ენის შესწავლის საკითხები „ოპოიაზ“-სა და პრალის სკოლაში. - «თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები», III, თბ., 1972; მისივე, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990; მისივე, მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები, თბ., 1995; გვენცაძე აღ., ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები (1971), თბ., 1974; გინეიშვილი ი., გამოკვლევები „ეფეზის ტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბ., 1975; გაწერელია აკ., პოეტური გამოთქმების ისტორიული მთავარი კატეგორიის საკითხისათვის.- წგ.: „პოეზია და სტილისტიკა“, «ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები», X, თბ., 1977; დემონჯავა ნ., მწერლის ენის საკითხები, თბ., 1993; Античные теории языка и стиля, пер. с франц., М.-Л., 1961; Б а л л и Ш., Французская стилистика, пер. с франц., М., 1961; «Новое в зарубежной лингвистике», вып. 9. Лингвостилистика, М., 1979; К о ж и н а М. Н., Стилистика русского языка, М., 1983; G u i r a u d P., La stylistique, 8 éd., P., 1975.

კონტექსტი და მნიშვნელობა¹

სიტყვის მეტაფორული, გადატანითი ხმარება ფრაზას მოქნილობას და ზემოქმედებითს ძალას მატებს: „ახლა თვითონაც იგემოს გემო ნალესის ხმაღისა“ (ვაჟა), „ეს ცრუ სოფელი კაცს აბურთავენებს, სად არ გაიტანს“ (აკაკი).

ამიტომ მეტაფორა ხშირია არა მხოლოდ მხატვრულ შეტყვევლებაში, არამედ ჩვეულებრივს სახაუბრო ენაშიც.

მეტაფორული ხმარება შესაძლებელია ისე გაერცყოდეს, რომ ხმარების სიხშირით წააჭარბოს კიდევ სიტყვის თავდაპირველ მნიშვნელობას: **გაკენწლავს, დაროშავს, მსხვერპლს გაიღებს, ამოტივტივდება, საფანელი, დედაბოძი** და სხვ. მეტაფორულად უფრო ხშირად იხმარება, ვინემ თავდაპირველი მნიშვნელობით.

გარკვეულ პირობებში მეტაფორულად ნახმარ სიტყვას შესაძლებელია ძველი მნიშვნელობა სულაც დაეკარგოს: თაკარა რომ შინის სადნობ ღუმელს¹ ნიშნავდა, დღეს აღარავინ იცის, თვით სიტყვა კი მისი გადატანითი ხმარებით არაიშვიათად გვხვდება. ასევე, დღევანდელი სიტყვა-მარჯვენათვის უცნობია თავდაპირველი მნიშვნელობა სიტყვებისა **თაღლითი, ყაიდა, დამქაში...**

ამა თუ იმ საგნის აღსანიშნავად რომელიმე სიტყვის მეტაფორული გამოყენება დიდად განსხვავდება ამ საგნის ნამდვილი სახელწოდების ხმარებისაგან; გადატანით ნახმარ სიტყვას მეტწილად მაინც აქვს შენარჩუნებული კავშირი იმ კონტექსტებთან, რომლებშიც ეს სიტყვა გამოიყენებოდა პირდაპირი მნიშვნელობით: **აკვესებს** სიტყვის მეტაფორული გამოყენების დროს ხშირად გვხვდება **ცეცხლი** („და მიდამოს ცეცხლს ვაკვესებ, ცეცხლს პანგებად დანაწივსა“: **ბ. გრიშაშვილი**; „ცეცხლს აკვესებს იმ ბოჭის თვალეში“: **ბანოვანი**; „ალმური ასლიოდა, ცეცხლს აკვესებს და თვალეშიდან“: **ვ. ბარნოვი**), **კვესი** („ხალბათობს, ამობს ამბუხისა, ენას აკვესებს კვესითა“: **ვაჟა**); **გაიღებებს** სიტყვასაც მეტაფორული გამოყენებისას ემეზობლება **ნაპერწკალი, ცეცხლი, ქრება...** **მღორე** სიტყვას – **მოედინება** და სხვ.

რა თქმა უნდა, მეტაფორულად ნახმარ სიტყვას ყოველთვის არ უღდას გვერდით თავდაპირველი კონტექსტისათვის დამახასიათებელი სიტყვები, მაგრამ ასლებურ ხმარებას ის მაინც მოუთხოვება, რომ კონტექსტის სიტყვები არ ეწინააღმდეგებოდეს სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობას. გვხვდება კი საამისო შემთხვევები. მოვიყვანო საწინამდებარე რამდენიმეს.

ღვარძლი... მოღვლავს?

ღვარძლი ერთ-ერთი სარველა ბალახია; ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა თანამედროვე ქართულში დაკარგული არაა, მაგრამ უფრო გაერცყელებული მაინც მისი გადატანითი ხმარებაა (ბოროტების² მონათესავე მნიშვნელობათა გადმოსაცემად): ჩვეულებრივია გამოთქმა **ღვარძლს თესავს**; იხ. აგრეთვე: „ღვარძლის და უთანხმოების მთესავი“ (ნ. ლომოური), „თანდათან იწმინდება ღვარძლი საგან რჯულის საქმე“ (შ. დადიანი), „ამდენი ღვარძლი გულში გქონია“ (ბ. ადამია).

ღვარძლის გვერდით ასევე გადატანითი, მეტაფორული ხმარებით არაიშვიათად გვხვდება **გუსლი** (შხამი), ოღონდ პირველით **გუსლს** ახასიათებენ, მეორით – **ენას**: „გუსლიანი ენა და ღვარძლიანი გული“ (იერ. **გუსლისაშვილი**), „რა ღვარძლი აქვთ იმისთანა, რომ ასე... უსლავენ ჩვენს სწავლა-განათლების საქმეს?“ (ილია)... ჩვეულებრივია **გულღვარძლიანი** და **ენაგუსლიანი**...

ჩანს, ერთი მხრით, **ღვარძლის** თავდაპირველი მნიშვნელობის გაბუნდოვანებამ და, მეორე მხრით, **გუსლთან** მეზობლობამ გამოიწვია **ღვარძლის** ხმარება ისეთ შემთხვევებში, როდესაც **გუსლის** მეტაფორული გამოყენება იყო მოსალოდნელი: „ღვარძლიანი ხმა“ (შ. არაგვისპირელი), „ღვარძლიანად შენიშნა“, „ღვარძლიანად ჩაიღაპარაკა“ (ნ. ლომოური). გვხვდება ასეთი ფრაზებიც კი: „წოფელსა გულში ღვარძლს ჩაასხმინა“ (ილია), „წინა-

¹ ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, I, თბ., 1972.

პართ დეკარტილი ჩემს პარდევებში დღესაც მოდელავს“ (ი. ნონეშვილი). დეკარტის წარმოდგენა სითხის სახით (ჩაასხმია! მოდელავს) ამ სიტყვის მნიშვნელობას ეწინააღმდეგება, მას უგულებელყოფს და, ცხადია, ამიტომ მეტაფორული გამოყენებაც უსაგნო ხდება.

უდიდესი წვლილი და გარკვეული დეაწლი

წვლილი სახარებაში ნახმარი სიტყვაა. სახარებაში მოთხრობილია, რომ ქრისტე დადგა სალაროსთან („ფახის საცეათან“) და უყურებდა, თუ როგორ დებდა ხალხი ფულს. „და მრავალი მდიდართა დასდევს ფრიად. და მოვიდა ქურივი ერთი გლახაკი და დასხნა ორნი მწუხილინი“. იესომ დაუძახა მოწაფეებს და უთხრა მათ: ამ ღარიბმა ქერივმა ყველაზე მეტი შემოსწორა ამ სალაროს, რადგან სხვამ ყველამ „ნამეტნაეისაგან მათისა შემოწირეს, ხოლო ამან ნაკლულეანებისაგან თვისხა ყოველი, რადცა აქუნდა, შემოწირა ხაცხორებულად მისა“.

ეს სახარებისეული სიტყვა გავრცელდა ახალ ქართულში (მსგავსად რუსულისა და სხვა ევროპული ენებისა, სადაც аента, obile, Scherf არის 'подобающее подаяние' 'kleiner Beitrag'). **წვლილს** ბევრი ჩვენი მწერალი იყენებს: „და მით მსოფლიო ტრაპეზზე შენც შეიტანე წვლილიო“ (აკაკი), „შეეძლებოთ თავისებური წვლილი შევიტანოთ დიდებულს მსოფლიო სალაროში“ (ი. გუგუშვილი)...

წვლილი ახალ კონტექსტებში გაჩნდა, კერძოდ, მიუძღვის ზმნისათან: „ჩემს მეგობრებსაც ამ დღეებშიც მიუძღვით წვლილი“ (რ. მარგარიანი), „მცირე წვლილი როდი მიუძღვის“, „გარკვეული წვლილი მიუძღვის“, „მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის“...

უკვე აქედან ჩანს, რომ **წვლილის** გამოყენების ამგვარმა უზუსტობამ ზოგიერთი ავტორის სიტყვახმარებაში გამოიწვია **მცირედობის** გაგების დაკარგვა და სწორედ საპირისპირო მნიშვნელობით ხმარება. პრესაში ხშირად გვხვდება **ღირსეული წვლილი, დიდი წვლილი, უდიდესი წვლილი, თვალსაჩინო წვლილი, ფასდაუდებელი წვლილი, ძვირფასი წვლილი, უძვირფასესი წვლილი**...

ყველა ამ შემთხვევაში **წვლილი** გაუმართლებლად ენაცვლება შენაძენ სიტყვას, რომლისთვისაც სწორედ ამგვარი ეპითეტების ხმარება დამახასიათებელია.

მეორე მხრით, სიტყვა **დეაწლი** თავისი ბუნებით სწორედ დიდსა და საპატიო დამსახურებას აღნიშნავს, **დეაწლი** გვირბობა შრომასა თუ ბრძოლაში, ამიტომ გაუმართლებელია მის დასახასიათებლად გამოიყენოთ ისეთი სიტყვა, რომელიც რაოდენობრივ შემოფარგვლას გადმოსცემს, კერძოდ, უხერხულია **გარკვეულის** ხმარება ასეთ ფრაზაში: „გაუმჯობესდა მშრომელთა სამუდციონო მომსახურება. ამ საქმეში გარკვეული დეაწლი მიუძღვის პოლიკლინიკის ექიმს“.

კოხტად გამოკოპიტებული არხის პროფილი!

გამოკოპიტება ზის ნიუთის ტლანქად გამოთლას, სანახევროდ გაკეთებას, გამოჩორენას ნიშნავს: „ერთხელ, ზამთარი რომ დადგა, მე და ჩემმა პატარა ფარეშებმა შეიღდ-კოდლების კეთება დაიწვეეთ. ქორაფის ხეს რომ ეაკოპიტებდი, დავაცილე წალდი, დავიკარი კოჭში და შუა გავიკე“ (აკაკი), „რადაცას თლის თუ აკოპიტებს“ (ი. ჩიქელაშვილი), „ახეხილის გულიდან წურაქვის სატარე გამოკოპიტე ნაჯახით“ (ბ. ჩხეიძე)...

მაგრამ არაიშვითად ეჭვი ჩნდება, რომ ნახევრად გაკეთებას კი არა, მთლიანად დამზადებას გულისხმობს ავტორი: „გულს ჩონგურად აკოპიტებს, ზედ გაუბამს გრძნობის სიმებს“ (აკაკი).

სხვა მეტაფორაში **გამოკოპიტება** დაპირისპირებულად კი **გამოჩორენასთან**, უხვიროდ გაკეთებასთან: „რაა [პიუხის] თემა? ვერ გამოკოპიტებ, გამოვიჩორენი“ (რ. ჯაფარიძე). ამგვარი სიტყვახმარება უკვე მეტად სადავოა.

სრულიად მიუღებელია **გამოკოპიტებული**ს გამოყენება ამ ფრაზაში: „ბორჯომელთა მკლავის ძალამ წარუშლელ დაღად დასტოვა... კოხტად გამოკოპიტებული მთავარი

² უფრო მოსალოდნელია მიუძღვის ზმნის ხმარება ცოდვის, შეცოდების, დანაშაულის, დამსახურების, ამაგის, დეაწლის გვერდით.

არხის პროფილი“.

რის შებღალვა?

სინტერესო ცვლილებები განიცადა ბღალ-ფუძის გამოყენებამ. მისი თავდაპირველი მნიშვნელობა დასერა: „[ეჭარამ] დაკლა თავისი შვილი და მისი სისხლით კეთროვანი შებღალა“ (საბა).

მაგრამ ამ მნიშვნელობით ის აღარ გამოიყენება XIX საუკუნეში და მხოლოდ მეტაფორულ გამოყენებაში ჩანს მისი კვალი: „როგორ ბედავთ, თქვე წუნკალო, მა წმინდა გვაძის ხელებით შეხებით შებღალავას?“ (შ. არაგვისპირელი); აქ საქმე უკრ კიდევ ფიზიკურ საგანს შეეხება, რომლის შესერა (შებღალვა) შესაძლებელია; ეს ფიზიკური საგანი დახასიათებულია როგორც წმინდა („წმინდა გვამი“), საპირისპიროდ შებღალვისა. მაგრამ ცხადია ამასთანავე, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ წინაშეა შებღალვის მეტაფორული გამოყენება შეურაცხყოფის გაკეთობა.

იმის გამო, რომ შებღალვის პირდაპირი მნიშვნელობა დაიწვებულია, ნელ-ნელა ქრება მისი გამოყენება ფიზიკური საგნების მიმართ, თუმცა წმინდასთან დაპირისპირება შენარჩუნებული კია: „ქართული ენის სიწმინდის შებღალვა“...

შესაძლებელია ფრაზაში თვით წმინდ- ფუძე არ იყოს გამოყენებული, მაგრამ მისი გადატანითი მნიშვნელობა კი არის ნაგულისხმევი იმ საგნის თუ მოვლენის დახასიათებლად, რომლის შებღალვაზედაც არის ლაპარაკი: „გოჭის დაკვლა მუსულმანთა სარწმუნოების შებღალვა იქნებოდა“, „ბღალავს მთარგმნელის საპატიო სახელს“, „ბღალავს პედაგოგის სახელს“...

ხშირმა ხმარებამ სახელ- სიტყვასთან და ამასთანავე სახელის, ავტორიტეტის და პრესტიჟის მნიშვნელობათა სიახლოვემ შეაპირობა ბღალავს ზმნის ხმარების სფეროს შემდგომი გაფართოება; გაჩნდა ასეთი ფრაზები: „მასწავლებლის ავტორიტეტს ბღალავს“, „გაერთიანებული ერების პრეზიდენტს ბღალავს“, სადაც დასერის ნიშანწყალიც აღარაა დარჩენილი.

შემდგომი ცვლილება შეაპირობა იმ გარემოებამ, რომ ავტორიტეტისა და პრესტიჟის გვერდით შესაძლებელია გამოიყენონ არა მხოლოდ შებღალვა, არამედ, ავტორთვე შეღახვა სიტყვაც. ამის გამო შებღალვის ხმარების სფერო ისე გაფართოვდა, რომ მას იყენებენ ისეთ შემთხვევებშიც, სადაც სწორედ შეღახვა არის მოსალოდნელი. და აი, ბოლოს და ბოლოს, ვიღებთ მნიშვნელობით ბუნდოვან და სტილისტიკურად მიუღებელ გამოთქმებს: სუვერენიტეტის შებღალვა, ინტერესის შებღალვა, უფლების შებღალვა, მოთხოვნების შებღალვა („უპირობო რიტორიკა ბღალავს მკითხველის ესთეტიკურ მოთხოვნებს“).

განადღება შეიძლება თამასუქისა, ვალისა... და არა ნორმის, ამოცანის, სახელისა...

ნაღდი არის ისეთი ფული, რომელიც ნამდვილად აქვთ. აქედან ანადღებს - 'ნაღდ ფულად ქცევის': თამასუქს ანადღება. ამ სიტყვის ვალდებულებით ხმარება გვაქვს შემდეგ ფრაზაში: „ამოცანი იმედო დღეს უნდა გამართლდეს და რამდენ ძუძუსი განადღდეს ვალი“ (გ. ლეონიძე); თუ თამასუქს ანადღებენ, თამასუქი ხომ ვალის ხელწერილია, ამიტომ შესაძლებელია თქვას ვალის განადღება.

მაგრამ გაჭირდებოდა ვალისათვის ჩაგვენაცვლებინა ვალდებულება: გამოთქმებში - ნაკისრი ვალდებულება, აღებული ვალდებულება შეუძლებელია ვილაპარაკოთ 'ნაღდ ფულად ქცევაზე' - თამასუქთან კავშირი აქ მეტად შორეულია.

კიდევ უფრო საღვათა განადღება სიტყვის კავშირი ხარჯ სიტყვასთან: „ესპანელები და იტალიელები თითო კარგ ნაჭერს ჩამოაჭრიდნენ საფრანგეთს თავიანთი სამხედრო ხარჯის გასანადღებლად“ (ივ. მაჭავარიანი, თარგმ.); აქ ანაზღაურებაზე არის ლაპარაკი და განადღება არაფერ შუაშაა.

განადღება სიტყვის ხმარების არე უზომოდ გაფართოვდა, როდესაც იგი მიუსადაგეს რუსულ реализация-ს. თვით რუსულში ეს სიტყვა ნახსენებია და ნიშნავს პირველ ყოვლისა 'შესრულებას, განხორციელებას' და შერბე, როგორც ვაჭრობის ტერმინი, 'ფულად ქცევის, გაყიდვას'. რაკი განადღებაც 'ფულად ქცევა' არის, აიღეს და იგი реализация სიტყვის პირველი მნიშვნელობის გადმოსაცემად გამოიყენეს განხორციელების, შესრულების ნაცვლად. შედეგად მივიღეთ ისე-

თი უაზრო პიბრიდები, როგორცაა „წლიური დავალებების ვადამდე განაღდება“, „ნორმების გადაჭარბებით განაღდება“, „რაიონში 26 კოლმეურნეობამ თამბაქოს ჩაბარების გეგმა ვერ შეასრულა, მაშინ როცა მთლიანად რაიონმა გეგმა 124 პროცენტით განაღდება“, „პირნათლად გაანაღდეს მოცემული სიტყვა“, „ხუთ თვეში 100,8 პროცენტით განაღდა ნახევარი წლის პროგრამა“, „ქარხნის კოლექტივმა პირობა დიდი გადაჭარბებით ვადამდე განაღდა“, „უზრუნველყოფენ ბიუჯეტის განაღდებას“ და სხვ. და სხვ.

ყველა ამ შემთხვევაში ბუნდობლად განაღდებას უკანონოდ უჭირავს ის ადგილი, რომელიც კანონიერად ეკუთვნის გამჭვირვალე მნიშვნელობის კარგ ქართულ სიტყვას – შესრულებას. შესაძლებელი არის სწორედ შესრულება (და არა განაღდება) დავალების, ნორმების, გეგმის, პროგრამის, ბიუჯეტის, სიტყვის, პირობისა.

უადგილო განაღდება სიტყვის ხმარება ამოცანის გვერდითაც – „ამოცანის სასახელოდ განაღდება“ შეუძლებელია: ამოცანას ან ამოხსნიან, თუ საქმე მათემატიკურ ამოცანას ეხება, ან გადაჭრიან (გადაწყვეტენ). თუ ამოსაცნობ საკითხზეა ლაპარაკი, ან კიდევ შეასრულებენ, თუ ამოცანაში მიზანდასახულობა იგულისხმება.

ასევე შეუძლებელია „ხესხე ხელისმწვერის განაღდება“: საქმე ეხება ალბათ ხელისმწვერის დამთავრებას.

შეუფერებელ კონტექსტებში გამოყენებამ განაღდების მნიშვნელობა ისეთი ბუნდობლივი და უსახური გახადა, რომ ზოგიერთს არც კი ეუხერხულება დაწეროს – მაგანს „მე-16 ტურში უკვე განაღდება უდიდესი პქონდა ჩემპიონის სახელით“, თუმცა, ცხადია, რომ აქ საქმე მხოლოდ უზრუნველყოფას შეიძლება შეეხებოდეს; ან კიდევ ზოგჯერ შესაძლებლად მიანინათ ილაპარაკონ უპირატესობის განაღდების შესახებ სპორტსმენთა შევიბრებაზე, ნაცვლად უპირატესობის გამოყენებისა.

ჯირითი... მოადინა უმართებულთა!

ჯირითი – სასრული ჯოხი, რომელსაც იყენებდნენ თავისებურ ცხენოსნურ შეჯიბრებაში – ძალიან მალე თვით ამ შეჯიბრების სახელად გადაიქცა. ამისად მიხედვით მოჯირითე ამგვარი შეჯიბრების მონაწილე ადინავენ: „თეკლა-ბიტი არც ერთ მოჯირითეთს და მსროლელს არ ჩამოუვარდებოდა ჯირითა და ცხენოსნობაში“ (ვაჟა), „ზოგ მოჯირითეთა განს ნება არ ქონდათ მარჯვენა ხელში აეღოთ [ჯირითი] და მარცხენათი ათამაშებდნენ“ (აკაკი).

ჯირითობს არის ჯირითის შეჯიბრებაში მონაწილეობა: „ზოგ ალაგას ჯირითობდნენ, ზოგან ფერხული გაებათ“ (გ. წერეთელი).

ამავე ფუძის სიტყვა გააჯირითდა მეტაფორულად უხმარია გ. ლონიძეს: „იქ კითხულობდა რუსთაველს გაღიმებული პირითა, ვინც შენი ქვეყნის სახელი გატყორცნა, გააჯირითა“.

ჯირითობა, როგორც ცხენოსნური შეჯიბრება, ცხადია, ცხენის ჭენებასთან იყო დაკავშირებული.

ცხენოსნური სპორტის დაქვეითებამ ჯირით-სიტყვის მნიშვნელობა გააბუნდოვანა და საკუთრივ ჭენების მნიშვნელობას დაუახლოვა. ამიტომ შესაძლებელი შეიქნა ამ ფუძიდან ახალი სიტყვების წარმოება ახალი, ჭენებასთან დაკავშირებული მნიშვნელობით:

მოჯირითობს „მოაჭენებს“ ან ჭენებით მოდის: „მოჯირითდა ქართველი ქართველ სამოსში“ (პრესა), „ერთ მშვენიერთაგანი, რომელიც ვირით მოჯირითობდა“... (შ. არაგვისპირელი). **მოაჯირითებს** ჭენებით მოჰყავს: „ზუნიანი, თორიანი მხედრები ქვექვეით მოაჯირითებდნენ ცხენებს“ (კ. გამსახურდია), „ნამდვილს ვერ ამჩნევ, ოცნების მოაჯირითებ პუნესა“ (ბაჩანა).

შეაჯირითებს ჭენებით შჰყავს: „ამაყად შეაჯირითა ცხენი თავადის განიერ ეზოში“ (რ. ქორქია).

დააჯირითებს ჭენებით დაჰყავს: „ე რო ქუსს, ელია წინასწარმეტყველი ზის დროშაში და დააჯირითებს ცაში“ (ს. მგალობლიშვილი) და სხვ. და სხვ.

ამგვარი გამოთქმების მომრავლებამ ისე უცვალა მნიშვნელობა ფუძეს, რომ უკვე იმ სიტყვებშიც, სადაც ჯირითი თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით იხმარებოდა, ახალი აზრი იქნა ჩასოფილი:

მოჯირითე – ჯირითის მტყორცნელის გვერდით განხდა მოჯირითე – ჭენებით მოხიარუ-

ლუ: „კანჯრისა და ჯვირანის მოჯირითე ჯოგი“ (კ. ჭიჭინაძე).
თუთი სიტყვა **ჯირითი** 'სასროლი ჯოხის' მნიშვნელობისა და 'სასროლი ჯოხით თამაშის' მნიშვნელობის გეგრდით გეგვდება 'ჭენების' მნიშვნელობითაც: „ჭაკი ჯირითით გაჭრა პლანტაციის კვალში“ (გრ. ჩიქოვანი).

დღეს უკვე გვიანაა საციოხის დახმა იმის შესახებ, თუ რამდენად კანონიერია ქართულში 'ჭენების' აღსანიშნავად სიტყვა **ჯირითის** გამოყენება: მეტად გავრცელებულია ეს მნიშვნელობა, ფესვადგმულია სალიტერატურო ქართულში; ამასთანავე სპორტული მნიშვნელობისათვის უკვე არსებობს სხვა სახელიც – **ისინდი**, რომელიც მონოსემიური სიტყვაა და მარტო ამითაც აქვს უპირატესობა **ჯირითის** წინაშე.

ამრიგად, ქართულში **ჯირითი** – ფუძის ადგილზე მსჯელობისას მიზანშეწონილია ამოვიდეთ იმ ფაქტორდან, რომ **დაჯირითებს** გარკვეულ შემთხვევებში იღებს **დააჭენებს** ზმნის საგნობრივ მნიშვნელობას (ე. ი. იმავე მოქმედებას აღნიშნავს). ამოცანაა – გავიაროთ მათი თანმსლები ემოციური ელფერი, სტილიისტიკური თავისებურებანი, ე. ი. მოლაპარაკის სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ცხენით სირბილის ამა თუ იმ შემთხვევასთან, რაც აპირობებს ამ ორი – **დააჭენებს** და **დაჯირითებს** – სიტყვისაგან ერთ-ერთის არჩევას.

ცხადია, ხელაღებით უარსაყოფია **ჯირითის** განურჩეველი გამოყენება **ჭენების** ყველა შემთხვევისათვის, მით უფრო, სამწერლობო ქართულის თვალსაზრისით გაუმართლებელია ასეთი ფრაზა: „ბოლასთან ბუღაურმა ცხენმა ჯირითი მოადინა“ (უიარაღო); **მოადენს** სიტყვას ჯირითი სრულებით არ შეეფერება (შდრ. **ბრატვანს მოადენს, ზღართანს მოადენს...**).

კამარა შეკრა და არა კამარა კრა, გაკრა, აუკიდა--

კამარა ფართოდ გავრცელებული სიტყვაა. იგი დიდი ხნის წინათ დაპკვიდრდა ქართულში. მისი მნიშვნელობაც საყოველთაოდ ცნობილია: "შენობის კედლების, სვეტებისა და მისთ. ზევითა ნაწილების გადაშურავი ნაგებობა, ჩვეულებრივ რკალისებრი" (კილოებში "საარყე ქვების დარს და ურმის თუ აკნის ერთ-ერთ ნაწილსაც" აღნიშნავს, მაგრამ სამწერლობო ენისათვის ეს მნიშვნელობა დამახასიათებელი არ არის).

კამარა სიტყვასთან ყველაზე ბუნებრივია **შეკრავს** ზმნა. **შეკვრა** პირველ ყოვლისა "შეკონვას" ნიშნავს: **შეკრავენ** ძნას, **თაიფულს**, **ტივს...**

აქედან გამოილაკევებულია **შეკვრის** სპეციალური, დურგლობასთან თუ ხურობასთან დაკავშირებული მნიშვნელობა: „წიფლის ფიცრებისა ... შეკრეს კუბო" (ვაჟა), „ნოესაც შაუკრამ (= შეუკრავს) ევებერთელა კილობანი (მელანია), „ააშენა სახლი, მკიდროდ შეკრა მისი კედლები" (**ჭ. ღომთათიძე**).

შეკრავენ, აგრეთვე, **გუმბათს**, **თაღს**, **კამარას...** ამ გამოთქმათა გადატანითს ხმარებას ხშირად ვხვდებით ლიტერატურაში: „აქ მოგზაური მიდის მწვანე გუმბათს ქვეშ, რომელიც შეუკრავს აქეთ-იქით მთების დიდრონს ხეებს" (ი. გოგებაშვილი), „ერთმანეთში გადახლართულებს [თხილის ტრეტებს] ფერხული დაბათ, ცოცხალი სახისმოყენო თაღი შეკრათ" (ა. ვახუშტი), „ის ხეები იმნაირად დაზრდილან, რომ ერთი პირის ხეების შტოები მეორე პირის ხეების შტოებში გაყრილი-გამოყრილან და იმგვარად შეუკრავთ თაღი, რომ შუადღის სხივები იმ გზაზე ვეღარ ეცემაინ" (აკაკი)...

კამარის **შეკვრა** გამოყენებულია იმის აღსანიშნავადაც, რომ სტომით ან ფრენით პაერში ნახვევარწრეს მოხაზავს ცხოველი, ფრინველი...: „ცხენმა ერთი ორიოდ კამარა შეკრა" (ილია), „ვეფხვმა კამარა შეკრა" (ბაჩანა), „არწივმა რამდენჯერმე შეკრა კამარა" (შ. არაგვისპირელი), „მოსწყდა ვიღაცა ახალუხა თხუთმეტ-თექვსმეტი წლისა, შეკრა რამდენიმე კამარა და თოვლის დახამამბასთან ერთად ქუდმოტაკებული მიქროლადა" (ა. ვახუშტი), „გასწი, ოცნებაჲ, გაშალე ფერთები, გაინავარდე, შეკარ კამარა" (ი. გრიშაშვილი), „ღუგ-ღასმა პაერში კამარა შეკრა და ტყეში დაეშა" (დ. ბაქრაძე), „თვითმფრინავი კამარას კრავდა" (კ. ლორთქიფანიძე).

კამარის ამაკარივე გადატანითი ხმარება გეგვდება შემდეგ ფრაზებში: „ვეფხენი მოხტიან კამარით" (ვაჟა), „ერთის კამარით ათასს წელიწადს ზედასტება" (ილია); გეგვდება ასეთი ფრაზებიც: „გარივლა აფრინდა, გაშალა მხრები, ორჯერ თუ სამჯერ კამარა გააკეთა..." (თ. რაზიკაშვილი). „წელიდან ამოხტა ჭანარი საყენზე მადლა და პაერში შეითამა-

შა! ერთი ღოთიანი კამარა გააკეთა, რომ...” (ა. ცაგარელი).

ყველა ამ შემთხვევაში კამარა თავის ადგილზეა.

მაგრამ კამარის მნიშვნელობა ზოგჯერ, ჩანს, გაბუნდოვანებულია. ამიტომ ფრაზებიც გაუმართავია შემდეგ შემთხვევებში:

„ქორი პაერშივე გადატრიალდა და ჰკრა ცაში კამარა“ (აკაკი).

„თოხიტარა ისარივით გამოვარდა მაშინვე, ჰკრა კამარა, დასჭყვივლა და მიიმალა პაერში“ (აკაკი).

„მიმინომ კამარა ჰკრა, ერთ წუთში გადაველო თავზე [წეროს]“ (კ. გამსახურდია).

„გაჰკრეს კამარა მერცხლებმა“ („ღველო“).

„აუკიდეს კამარა და დაადგნენ აღმოსავლეთის გზას სასიძოვები“ (აკაკი).

უეჭველია, გადატანითი ხმარების დროსაც მხოლოდ კამარის შეკერის (ან გაკეთების) შესახებ შეიძლება დაპარაკი. შეუძლებელია კამარა ჰკრან, გაჰკრან, აუკიდონ...

კიდევ არაერთი შემთხვევის მოყვანაა შესაძლებელი იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ბუნდოვანდება ფრაზის მნიშვნელობა, როგორ ქარწყლდება მისი გამომხატველობითი ძალა, როდესაც მეტაფორულად ნახმარი სიტყვა შეუსაბამო კონტექსტში გამოიყენება³.

³ საილუსტრაციო მასალის შერჩევას ესარგებლობდით განმარტებითი ლექსიკონის სადოკუმენტაციო ფონდით, რომელიც ენათმეცნიერების ინსტიტუტში არის დაცული.

ბესარიონ ჯორბენაძე

სინონიმთაგან ნაწარმოები ფორმების სემანტიკური დაპირისპირებისათვის ქართულში¹

§ 98. სინონიმთა განმარტება, მათი რაობის განსაზღვრა დღესაც პრობლემატურია. ამჯერად საფუძვლად ვიღებთ დებულებას: „სინონიმები ერთი მნიშვნელობის, ე. ი. ერთგვარი საეზონობივი მიმართების მქონე სიტყვებია“ (ბ. ფონხუა, 1974, გვ. 31).

ქართულ სინონიმთა ლექსიკონში (ა. ნეიშანი, 1978) სინონიმებად დასახელებულია ხევწნა და მუღარა, გესლი და შხამი...

სინონიმთაგან შეიძლება იწარმოოს ზმნური ფორმები, რომლებიც ურთიერთმიმართ ასევე სინონიმები იქნებიან: ა-ხევწნებს და ა-მუღარებს (შდრ.: ე-ხევწნება და ე-მუღარება), გესლა-გეს და შხამა-გეს (ი-გესლა-გესა და ი-შხამა-გესა)...

ახეა აბსოლუტურ უმრავლეს შემთხვევაში.
სინონიმთაგან ნაწარმოები ზმნები სემანტიკურად განირჩევიან ერთმანეთისაგან.

§ 99. თავდაპირველად შევხებით სრულ სინონიმებს.
ს-ძაგ-ს – ეზიზღება, სძულს, ს-ძულს – მტრული გრძნობა, მტრული გრძნობა, სიძულვილი
აქვს ვისიმე ან რისამე მიმართ. სიძულვილი აქვს ვისიმე ან რი-
აქვს ვისიმე ან რისამე მიმართ. სამე მიმართ. ეზიზღება, სძაგს.

„მე-კი ჩემი თავი მძაგს და მეზიზღება“ (ილია).

„მძულს უგულოდ სიყვარული, ხვეწნა, კონცა, მტლაშა-მტლუში“ („ვეფხისტყაოსანი“).

სინონიმური მიმართება შენარჩუნებულია ნაწარმოებ ფორმებშიც:
სა-ძაგელი – საძულველი, სა- ს-ძულ-ველი – საძაგელი, სა-
ზიზღარი, ძალიან ცუდი. ზიზღარი, სიძულვილის ღირსი.

„რა საძაგელი კაცი უნდა იყოს და უზრდელი, რომ ნახვისთანავე უსიამოვნობით გული შემეწწხოაო!“ (აკაკი).

„შეიძლება ირმას ერჩიოს საძულველ კაცთან ფუფუნებით ცხოვრება?!“ (რ. გვეტაძე).

ანალოგიური მიმართებაა ენებითებშიც:
ს-ძაგ-დ-ება – სძულდება, ზი- ს-ძულ-დ-ება – სძაგდება, ზი-
ზღდება, სიძულვილი, ზიზღი ზღდება, სიძულვილი, ზიზღი
აღუქურება. აღუქურება.

„ბიწიერება უმეტესი ძალით სძაგდება და კეთილის სიყვარული უფროვე უმტკიცებდა“ (ნ. ავალიშვილისხული თარგმანი).

„რაც-კი გვაშინებს, სშირად ბოლოს გეპულდება ხოლმე“ (ი. მაჩაბლისხული თარგმანი).

იმავდროულად ურთიერთმიმართ სინონიმური ამ ორი ფორმისგან იწარმოება მოქმედებითი გვარის ზმნები, მნიშვნელობის თავდასაზრისით განსხვავებული:

ა-ძაგ-ებს ვისიმე ძივს, ცუდს, აძუგს ამბობს. ავად, გაკიდევით ა-ძულ-ებს – აძულავს, აძულავს, აძურავს, აძურავს, აძურავს, აძურავს.

„აჲ რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო?“ (დ. გურამიშვილი).

„ასე ურიგოდ კაცი ატარე, კარგი აძულე, ავი აყვარე!“ (დ. გურამიშვილი). „ხევწნით თავს აძულებდა“ (ა. ყაზბეგი).

სემანტიკური სხვაობა სრულია.

სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს:

ძაგ-ება – ბოროტად ვსენება,

ძულ-გება – სძაგვად მიანდეს.

სემანტიკური სხვაობა, როგორც ვნახეთ, მასდარშიც აისახა.

ასე რომ, სინონიმთაგან ნაწარმოები ფორმები ერთმანეთს სემანტიკურად დაუპირისპირ-

¹ ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.

დნენ, განსხვავებული მნიშვნელობების გამოხატვა დაეკისრათ.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ სტატიკური ზმნა და მისგან ნაწარმოები დინამიკური ფორმა ერთმანეთისაგან ლექსიკურად განსხვავდნენ:

ს-ძაგ-ს („სძულს“) → ა-ძაგ-ებს („აუგად ახსენებს“).

ღირსსაცნობია, რომ ზმნისწინით გაფორმებისას სემანტიკურად დაპირისპირებული ფორმები კვლავ სინონიმები ხდებიან:

ა-ძაგ-ებს („აუგად ახსენებს“) → შუა-ძაგ-ებს („შუაძულებს“)

ა-ძულ-ებს („სიძულვილს იწვევს“) → შუა-ძულ-ებს („სიძულვილს გამოიწვევს, შეაძაგებს“).

შუა-ძაგ-ებს და შუა-ძულ-ებს სინონიმებია.

და ერთიც: ლექსიკურად განსხვავებულ ფორმათა ვნებითები ისევე, როგორც სტატიკური ფორმები, ურთიერთშიმართ სინონიმებია:

ს-ძაგ-ს („სძულს“) → ა-ძაგ-ებს („აუგად იხსენებს“) → ს-ძაგ-დ-ება („სძულდება“)

ს-ძულ-ს („სძაგს“) → ა-ძულ-ებს („სიძულვილს იწვევს“) → ს-ძულ-დ-ება („სძაგდება“).

ამგვარად, სემანტიკური თვალსაზრისით სხვაობენ მხოლოდ უზმნისწინო მოქმედებითი გვარის ფორმები.

* * *

მხეცი – 1. გარეული მტაცებელი ცხოველი, ნადირი; საერთოდ, გარეული ცხოველი. 2. სასტიკი, ავი უსამართლოდ მკაცრი ადამიანი.

ნადირი – 1. გარეული მტაცებელი ცხოველი, მხეცი. საერთოდ, გარეული ცხოველი. 2. ავი, სასტიკი, უსამართლოდ მკაცრი ადამიანი.

„უსასტიკესი მხეცია ავაზა“ (კ. გამსახურდია). „ხომ იცი, რა მხეცია ის ვაჟბატონი...“ (დ. კვლიაშვილი).

„გაუგადას და დაბურულ ტყეებში ბევრგვარი ნადირი ბუდობს“ (ი. გოგებაშვილი). „ღაუშ-სახურბეღლად მიაფურთხეს მას სახეში – რას ვრწოდნენ ეს მხეცები, ეს ნადირები, რას ვრწოდნენ“ (ჭ. ლომთათიძე).

ლექსიკური იგივეობა უდავოა. აშკარა სინონიმებთან გვაქვს საქმე. ორივე სახელისაგან იწარმოება ზმნა:

მხეც-ობ-ს – მხეცის თვისებებს ავლენს: სისასტიკეს, სიავს, სიველურეს. მხეცივით იქცევა.

ნადირ-ობ-ს – 1. გარეულ ცხოველებს ან ფრინველებს ხოცავს თოფით და მისთ. 2. გამოსაკეებად იჭერს ნადირს. 3. სდევნის ვისმე ხელში ჩასაგდებად, დასაჭერად.

„თავაშებულა და მხეცობს“. „ღუფლი, ჩემის აზრით, მხეცობაა“ (აკაკი).

„სადაც მწვერზე ნადირობა გახშირებულია, იქ ყანის მოსავალი მცირეა“ (ი. გოგებაშვილი). „ნეტა, რატომ არ ეშინიათ ფშაველებს და თუშებს, ტყეში რომ დადიან და ნადირობენ“ (თ. რაზიკაშვილი). „ლოში მხოლოდ დამე ნადირობს“ (ი. გოგებაშვილი). „ყაჩაღებზე ნადირობს“ ... ეს ორი ფორმა, რა თქმა უნდა, სინონიმებად ვერ მიიხსევა.

ნიშანდობლივია: მხეცი და ნადირი ფორმებისათვის ზემოთ ორ-ორი მნიშვნელობა იყო ნაჩვენები, ამ სახელთაგან ნაწარმოებ ზმნებში იმ ორიდან თითო მნიშვნელობა შემოვიდა: მხეც-ობ-ს ფორმისთვის საყრდენია მნიშვნელობა „სასტიკი, ავი, უსამართლოდ მკაცრი ადამიანი“, ნადირობს ფორმისათვის კი – „გარეული მტაცებელი ცხოველი“. სხვა მნიშვნელობები ამ უკანასკნელში ხსენებული ამოსავალი სემანტიკის ბაზაზეა განვითარებული.

ანალოგიურადაა დაპირისპირებული შესაბამისი მოქმედებითი გვარის ფორმებიც:

ა-მხეც-ებს – მხეცს დაამსგავსებს, სასტიკს, ველურს ხდის.

ა-ნადირ-ებს – აძულებს ან შესაძლებლობას აძლევს ინადიროს. ნადირს აკვლევინებს ან აჭერინებს. სანადიროდ მიჰყავს.

„უბრალო შეკამათებაც კი ამხეცებს“.

„ძაღლს ვანადირებ კურდღელზე“ (ვაჟა-ფშაველა).

სულ სხვაგვარია ვითარება შესაბამის ენებითებში:

მხეც-ღემა - მხეცივით იქცევა ნადირ-ღემა - ნადირით იქცევა,

ვა, ავი, სასტიკი, ველური ხდება. ავი, სასტიკი, ველური ხდება.

ეს ორი ფორმა ისევე სინონიმია ურთიერთმიმართ, როგორც მხეც-ი და ნადირ-ი, ოღონდ ამ მნიშვნელობით: „სასტიკი, ავი, უსამართლოდ მკაცრი აღამიანი“.

ამ რიგის მოვლენები, რასაკვირველია, ქართული ენის ფორმათწარმოების ძირითად ფონდს არ განეკუთვნება. მკვეთრად გამოხატულ ფაკულტატიურ ფაქტებთან ვეპქეს საქმე.

§ 100. უფრო ხშირია ე. წ. ნაწილობრივი სინონიმები.

ღონე - I. კუნთების მოქმედების ენერგია. აქტიური მოქმედების ფიზიკური ან სულიერი შესაძლებლობა. უნარი, 2. ხერხი, ღონისძიება, საშუალება შეხადლებლობა.

ძალა - I. კუნთების ენერგია, ღონე 2. პიროვნების ან ჯგუფის მოქმედების უნარი. 3. მექანიკური ზემოქმედება. ინტენსივობა. 4. სავალდებულო ხასიათი. 5. აღამიანთა ჯგუფი.

„ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებს“ (ანდაზა). „პირდაპირ მისვლას მოერიდა და ისევ სხვა ღონე იღონა“ (ვაჟა-ფშაველა).

„ძალა აღმართსა ხნავსო“ (ანდაზა). „ხალხის ძალამ და სახსარმა არ იცის გადაჯიშება“ (ე. ლეონიძე). „ღენის ძალა“. „თემობას დაეკარგა თავისი ძალა“ (ა. ყაზბეგი). „შეიარაღებული ძალები“.

ასე რომ, „ღონე“ და „ძალა“ სინონიმებია იმ შემთხვევაში, როცა გამოიხატება მნიშვნელობა: „კუნთების ენერგია. მოქმედების ფიზიკური ან სულიერი შესაძლებლობა, უნარი“.

სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს:

ღონე - ნაწილი სიმჭნისა და ძლიერებისა.

ძალა - ძლიერების ნაწილი.

ხშირია „ძალა“ და „ღონე“ ფორმათა კომპოზიტად გამოყენება:

„ძალ-ღონე“ („გული არ იშლის გულობას, მაგრამ ვერ მოსდევს ძალ-ღონე“, აკაკი).

„ძალა“ და „ღონე“ მრავლისაგან მრავალ კონტექსტში თავისუფლად შეენაცვლება ერთმანეთს:

- ღონეს მოიკრეფს - ძალას მოიკრეფს
- ღონე შესწევს - ძალა შესწევს
- ღონე ერჩის - ძალა ერჩის
- ღონე ეღვევა - ძალა ეღვევა
- ღონე მიეცა - ძალა მიეცა
- მეტი რა ღონვა - მეტი რა ძალა...

მაგრამ გამთირიცხება მათი თავისუფალი მონაცვლეობა ასეთ კონტექსტებში: „ღენის ძალა“, „შეიარაღებული ძალები“, „თემობას დაეკარგა თავისი ძალა“.

სხვაობის ტენდენცია მეტი-ნაკლებად ილანდება ამ სახელთაგან ნაწარმოებ ფორმებში. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ „ღონიერი“ და „ძლიერი“ არსებითად ერთსა და იმავე თვისებაზე მიუთითებს და ზოგჯერ თავისუფლადაც შეენაცვლება ერთმანეთს („ღონიერი კაცი“ იგივეა, რაც: „ძლიერი კაცი“), აშკარაა სემანტიკური სხვაობაც ამ ფორმებს შორის: „ღონიერი“ უპირატესად ფიზიკურ, გარეგულ ფაქტორზე მიუთითებს, „ძლიერი“ - შინაგანზე, გონებრივზე, სულიერზე, მორალურზე. „ღონიერი პიროვნება“ და „ძლიერი პიროვნება“ სემანტიკურად ერთმანეთს არ ეტოლება. აქ უკვე სხვადასხვა ნიშნის მიხედვითაა პიროვნება დახასიათებული.

სხვაობა სიტყვათწარმოებით პოტენციაშიც იწინებს თავს: „ძლიერი“ ფორმისაგან იწარმოება აბსტრაქტული სახელი „სიძლიერე“. ბუნებრივიცაა, რადგან „სიძლიერე“ სწორედ შინაგან, მორალურ ფაქტორს წარმოაჩენს. „ღონიერი“ ფორმა კი მოკლებულია ამის უნარს.

სხვაობა მაქსიმალურად წარმონდგება „ღონე“ და „ძალა“ სახელთაგან ნაწარმოებ ზმნურ ფორმებში.

ა-ღონ-ებს - ადარდიანებს, მწუხარებას პკურის. აჯავრიანებს, აფიქრებს, აწუხებს.

ა-ძალ-ებს - ძალით აძლევს რასმე, იძულებით აკეთებინებს.

„ეს სიტყვები აღონებენ გულს“ (ილია). „გულსაც ვე უტყვს და ვე აღონებს“ (აკაკი). „მე არაფერს არ ვუმუშაობ, მაგრამ სხვებსაც არ ვაძალეებ“ (აკაკი).

სრული ლექსიკური სხვაობაა, რაც შესაბამისად აისახება ყველა პირიელ ფორმაში (უღვილილების პარადიგმაში), ასევე მასდარსა (და-ღონ-ება - და-ძალ-ება) და მიძღვობებში (და-მღონ-ება-ელი, და-სა-ღონ-ება-ელი, და-ღონ-ება-ელი, მაგრამ: და-მა-ძალ-ება-ელი, და-სა-ძალ-ება-ელი, და-ძალ-ება-ელი-ი).

ვნებით: ღონ-დებ-ა.

ამ ტიპის ვნებითის წარმოება იყო მოსალოდნელი ა-ძალ-ებს ფორმისაგანაც. გვაქვს კი უ-ძალ-ება, რომელიც სემანტიკურად აქტიურ მოქმედებას გამოხატავს: „ნუ ეძალეები წყალდიდესს, უნდა ეძებდე ფონებსო“ (ანდაზა).

ისიც უნდა ითქვას, რომ ა-ძალ-ებს და ეძალ-ება სემანტიკურად საკმაოდ შორდება ერთმანეთს. ასე რომ, მათი, როგორც მოქმედებით-ვნებითის, ურთიერთმიმართება ფრიად პირობითია.

სხვაგვარი ვითარებაა „ღონიერი“ და „ძლიერი“ სახელებისაგან ნაწარმოები ზმნების ურთიერთმიმართებისას.

ა-ღონიერ-ებს - ღონიერს ხდის, ღონეს, ძალას მატებს, აძლიერებს.

ა-ძლიერ-ებს - ძლიერს, ღონიერს ხდის, ძალას მატებს, აღონიერებს.

„თუ კულტურა, ინტენსიური ცხოვრება ერს არ აღონიერებს, არ აძლიერებს და, პირიქით, ღონისგან სცდის, ყოლა ოხერი იქნება ინატროს და თავი გამოიდოს კულტურული, ინტენსიური ცხოვრებისათვის?“ (ილია).

აქ „აღონიერებს“ და „აძლიერებს“ თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს, ერთ კონტექსტშიცაა წარმოდგენილი. მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა მათი შენაცვლება დაუსშვებელი ხდება: „იმ ქალის სიკვდილს თქვენ გაბარალებენ და ყველა საბუთები ეჭვს აძლიერებენ“ (ა. ყაზბეგი). ამ შემთხვევაში „აღონიერებს“ დაუსშვებელი ფორმაა.

ამრიგად, ამ ორი ზმნის მიმართება ზუსტად ემთხვევა მათთვის საყრდენი „ღონიერი“ და „ძლიერი“ სახელების ურთიერთობის პრინციპს.

ამის მიხედვით, ა-ღონიერ-ებს და ა-ძლიერ-ებს ფორმათა მიმართება ენის ძირითად პრინციპს მიყვება, ა-ღონ-ებს და ა-ძალ-ებს კი ფაკულტატიური ურთიერთობის ნიმუშია.

* * *

თანხმობა - 1. ერთსულროვნება, ურთი-ერთშეწყობა, ერთმანეთთან შეგუება, მეგობრული, კეთილი განწყობილება.

დასტური - თანხმობა, დათანხმება, დადებითი პასუხი.

2. დადებითი პასუხი, დასტური.

„ამხანაგებში თუ არ სუფევს სიყვარული და სრული თანხმობა, იმათი საქმე უკუღმა წავა“ (რ. ერისთავი). „დღმილი თანხმობის ნიშანიაო“.

„სიტყვა „კარგი“ ზმირად ნიშნავს ლაპარაკის დროს დათანხმებას და დასტურს“ (აკაკი). საქმე გვაქვს ნაწილობრივ სინონიმობთან.

ზმნურ ფორმებში ეს ორი სახელი განსხვავებული მნიშვნელობებით მონაწილეობს. „თანხმობა“ იმ მნიშვნელობით გამოიყენება ზმნურ ფუძეში, რითაც იგი განსხვავდება „დასტური“ ფორმისაგან: „ერთსულროვნება, ურთიერთშეწყობა“.

იმ დანიშნულებით კი, რაც ამ ორ ფორმას საერთო აქვს, ზმნის ფუძედ „დასტური“ გამოიყენება: „დადებითი პასუხი“.

ა-თანხმ-ებს - თავისი აზრის თანაზიარს ხდის, თავისი აზრის მხარდაჭერად ხდის. დასტურს ათქმევინებს.

ა-დასტურ-ებს - რისამე დასტურს იძლევა, ამტკიცებს.

„კიდევ რამდენს იტყვიან ამ გრძობაზე, მაგრამ ნათქვამი ვერ შეუთანხმებიათ“ (აკაკი). „ააშენოს, ააშენოს! - ადასტურებს ხალხი“ (ვაჟა-ფშაველა).

ა-თანხმ-ებს ზმნის ვნებითად მოუღის როგორც მოსალოდნელი თანხმ-დ-ება, ასევე უ-თანხმ-ება. ეს უკანასკნელი საურთიერთო მნიშვნელობის გამოშობატყვლია.

უ-თანხმ-ება შესაბამის კონტექსტში ორ სხვადასხვა მნიშვნელობას გამოხატავს:

1. თანხმა უხდება, ვისიმე აზრს იზიარებს: „ეკუობოდა, რომ ის სულ სხვა აზრისა იყო და სულ არ ეთანხმებოდა მოხუც მურმესა“ (ი. გოგებაშვილი).
2. შეესაბამება, შეეფარდება: „ეს განზრახვა ეთანხმება ჩვენი ხალხის ჩვეულებასა“ (ილია).
თანხმ-დ-გ-ბ-ა შემდეგ მნიშვნელობებს გამოხატავს:
 1. თანხმა ხდება, თანხმობას იძლევა: „პირობაზე თანხმდება“.
 2. ეგუება, (შე)ეწეობა, შეთანხმებას აღწევს: „ვერ თანხმდებიან ერთმანეთში“.
 3. თანხმობას აძლევს, თანხმობას უცხადებს, ეთანხმება: „რაიბული არა სთანხმდებოდა, – თქვენს ცხენებთან კიდევ შემოიძლია ვიარო, არც ისე დაებერებულვარო“ (ვაჟა-ფშაველა).ამათგან ე-თანხმ-ებ-ა და თანხმ-დ-გ-ბ-ა ერთმანეთს შეიძლება შეენაცვლოს შემდეგ შემთხვევებში:

- ა) „რაიბული არა სთანხმდებოდა“ იგივეა, რაც: „რაიბული არ ეთანხმებოდა“.
 - ბ) „ვერ თანხმდებიან ერთმანეთში“ იგივეა, რაც: „ვერ ეთანხმებიან ერთმანეთს“.
 - გ) „პირობაზე თანხმდება“ შეიძლება შეიცვალოს ასე: „პირობაზე ეთანხმება“.
- მაშასადამე, იმ შემთხვევაში, როცა გამოიხატება მნიშვნელობა „ერთმანეთთან შეგუება“ ან „დადებითი პასუხი“ ე-თანხმ-ებ-ა და თანხმ-დ-გ-ბ-ა შესაძლოა ურთიერთმონაცვლე ფორმებად იქნეს გამოყენებული.

მაგრამ მნიშვნელობიდან „ეგუება, ვისიმე აზრს იზიარებს“ ე-თანხმ-ებ-ა ივითარებს ახალ მნიშვნელობას: „შეესაბამება, შეეფერება, შეეფარდება“ („ეს განზრახვა ეთანხმება ჩვენი ხალხის ჩვეულებას“, ანუ: „შეესაბამება, შეეფარდება...“). ამ შემთხვევაში თანხმ-დ-გ-ბ-ა ფორმით მისი შეცვლა გამოიცხადდება.

ა-დასტურ-ებს-ს ფორმის ენებითა დასტურ-დ-გ-ბ-ა, მაგრამ იგი ყოველთვის ვერ შეესატყვისება სემანტიკურად შესაბამის მოქმედებებს.

„შემოწმებამ ფაქტები დაადასტურა“.
ამ შემთხვევაში საესებით დასაშვებია:
„შემოწმებით ფაქტები დაადასტურდა“.
მოქმედებითისა და ენებითის ფორმებს შორის სრული სემანტიკური შესატყვისობა გვაქვს. მაგრამ: „ააშენოს, ააშენოს! – დასტურებს ხალხი“.

ამ კონტექსტში დაუშვებელია დასტურ-დ-გ-ბ-ა ფორმის გამოყენება.
ენებითად აქ უფრო ე-თანხმ-ებ-ა და თანხმ-დ-გ-ბ-ა შეიძლება იქნეს გამოყენებული – ფორმობრივ სხვა, მაგრამ სემანტიკურად ა-დასტურ-ებს-ს ფორმის ამ მნიშვნელობასთან შეთანხმებული ზნები.

ეს რთული სემანტიკური თანხვედრანი და დაცილებანი გამოწვეულია იმ ფაქტობრივით, რომლებიც ა-თანხმ-ებს-ს და ა-დასტურ-ებს-ს ფორმათა ანალიზისას იქნა აღნიშნული.

* * *

უქმი – 1. უსარგებლო, გამოუსადეგარი, უნაყოფო. 2. უსაქმო, არაფრის გამკეთებელი, მცონარა, ზარმაცი. 3. არასაშუალო დღე. 4. გამოუყენებელი დიობულების უქონელი.

ფუჭი – 1. უსარგებლო, გამოუსადეგარი, უქმი, უნაყოფო. 2. უგულო, ჭიანი (კაკალი, თხილი...). 3. უშინარსო, უაზრო, ამაო. 4. დირეპულების უქონელი, უვარგისი.

„სადაც აზრი არ არი, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია“ (ილია). „ფხანა გულისა რის მაქნისია? უქმი კაცის საქმეა“ (ილია). „მაგრამ უქმს რომ ვტყვით, ეს განა კარგი საქციელია?“ (აკაკი). ბოლო კონტექსტში, ჩვეულებრივ, „უქმი“ იხმარება (და არა „უქმი“).

„ხვალდ არ უნდა ჰგანდეს დღევანდელს, თუ კაცს პროგრესი, წინსვლა ადამიანისა ფუჭ სიტყვად არ მიანია“ (ილია). „ჩემი ამაგი ფუჭად ჩაივლის“ (ილია). „ფუჭი კაკალი არც ყვავს არგია, არც კაცსაო“ (ანდაზა). „იმედი ფუჭი გამოდგა“ (დ. კლდიაშვილი).

აქაც ნაწილობრივი დუბისიკური სხვაობაა.
„ჩემი ამაგი ფუჭად ჩაივლის“ და მისთანა კონტექსტებში თავისუფლად მონაცვლეობს უქმი: „ჩემი ამაგი უქმად ჩაივლის“.

მაგრამ: „ფუჭი კაკალი“ გამოთქმის ნაცვლად დაუშვებელია „უქმი კაკალი“...

ამ სახელებისაგან იწარმოება ზნები:
ა-უქმ-ებს-ს – უქმს ხდის, სპობს, ა-ფუჭ-ებს-ს – უვარგისს ხდის. რყენის,

ძალას უკარგავს.

(წა)ახდენს.

„ცხვირწინ ბაზარს ვაუქმებთ, რომ ცხრა მთას იქით ახალი აეჩინოთ“ (ილია).

„მწვერი ჭამს ჭია-მარტლებს, რომელნიც ყანას, აფუჭებენ“ (ი. გოგებაშვილი). „მე კი უბედურებაში ჩამაგდო ი ცოდვიშვილმა, და თითონაც გაფუჭდა და მეც მაფუჭებს“ (აკაკი).

აქ უკვე სრული ლექსიკური სხვაობაა, რადგან ზემოდასახელებულ სახელთა სხვადასხვა მნიშვნელობა აღმოჩნდა მათთვის ამოსავალი.

* * *

მწკრივი - 1. სივრძივ ერთი მეორის მიყოლებით განლაგებული საგნები, რიგი, წყება. 2. გარკვეული თანამიმდევრობით განლაგებული ოდენობანი (მათემატიკაში, ენათმეცნიერებაში...).

რიგი - 1. ერთ ხაზზე განლაგებული საგნების ერთობლიობა. 2. ჯერი, თანამიმდევრობა. 3. ნაწილი, წყება. 4. წესი, წესრიგი. 5. ჩვეულება. 6. რაზმი...

ვაზი „სულ ღარსა და მწკრივზეა ჩარიგებული“ (ილია). „უსასრულო მწკრივი“. „ააწყოს მწკრივი“.

„შემოღობილი ეხოების წინ მაღალი აღვის ხეების რიგებმა ჩაიშრიალეს“ (ლ. ქიანელი). „გთხოვთ ხმა აღარ ამოიღოთ, მინამ თქვენი რიგი არ მოვა! (ილია). „როცა პირველ რიგს ბარტყებისას დააფრენენ, ჩიტები ხელახლა წმენდენ ბუდეს“ (ი. გოგებაშვილი). „მასპინძელი ხარ, ხომ იცი, რიგია, მოილხინო“ (აკაკი). „ფუტკერების მუშაობა უაზრო ფაცი-ფუცად გაქვენებათ, მაგრამ როცა დააკვირდებით, შენიშნაეთ საკვირველ რიგსა და წესიერებას“ (ი. გოგებაშვილი).

აქაც ნაწილობრივი სინონიმებია.

მათგან ნაწარმოები ზმნები კი სახეებით განსხვავებულ მნიშვნელობებს გამოხატავენ:

ა-მწკრივებს - მწკრივად აწყობს, აყენებს მრავალს.

ა-რიგებს - 1. ბევრ ვისზე მისცემს. მრავალს უწილადებს. 2. ჭკუას ასწავლის, რჩევას აძლევს. 3. ჩხუბს, დავას აწყვეტინებს, 4. საქმეს აგარებს.

„შტაბის ეზოში გვარდიელებს ურიგებდნენ ახალ ტანისამოსს, იარაღს, ფულს და შემდეგ ამწკრივებდნენ შტაბის წინ“ (რ. გვერტაძე).

„შუედგნენ პურის ჭამასა, ხორცს არიგებდნენ სწორ-სწორად“ (ვაჟა-ფშაველა). „გარიგებს დედობრივის ხმით, იყო ჭკვიანად, დინჯადა“ (ვაჟა-ფშაველა). „არც ერთ ხსენებულ სახელ-მწიფოს და არც მეორეს ერთმანეთთან ვერ ათავსებს, ვერ არიგებს“ (ილია). „მე ჩემით ვარიგებ საქმეს“ (დ. კლდიაშვილი).

ა-მწკრივებს ფორმის ენებითა მწკრივდ-ემა.

„ედგებით რიგ-რიგად, ერთი მეორის გვერდში, ვმწკრივდებით“ (ჭ. ლომთათიძე).

ა-რიგებს ფორმის ენებითად რიგ-დ-ემა აქვს. მაგრამ ეს უკანასკნელი ვერ იტყებს ა-რიგებს ფორმით გამოხატულ ყველა მნიშვნელობას.

დასაშვებია:

არიგებს საჩუქრებს - საჩუქრები რიგდება (დარიგდება).

არიგებს მოჩხურებს - მოჩხურები რიგდებიან (შერიგდებიან).

არიგებს საქმეს - საქმე რიგდება (გარიგდება).

„უნდა მისცეს ხაღსს წესი და რიგი: როგორ დარიგდეს პური, ქადის ნაჭრები, ხორცი, ლუდი“ (ვაჟა-ფშაველა).

„განქორწინებას ცოტადა უკლდათ, მაგრამ, როგორც იყო, ბოლოს რიგდებოდნენ“ (ე. ნინოშვილი).

„საქმე მარტო ამისთანა ცაკებისაგან რიგდება“ (ილია).

მაგრამ ა-რიგებს, მნიშვნელობით: „ჭკუას ასწავლის, რჩევას აძლევს“, ენებითის ფორმას ვერ იკეთებს.

ა-რიგებს-ს ზმნის ზემოდასახელებული მნიშვნელობები სხვადასხვა ზმნისწინებს იტყუებენ: საჩუქრებს, ჭკუას - და-ა-რიგებს-

მონხუბრებს – შეარიგებს ან მოარიგებს,
საქმეს – გაარიგებს...

* * *

ყადრი – ფასი ღირებულება,
დაფასება, მნიშვნელობა.

ფასი – 1. საქონლის ფულადი ღირებულება.
2. ფულადი საზღაური გაწეული შრომისათვის,
გასამრჯელო, ქირა. 3. ღირებულება, მნიშვნელობა.

„მეცხვარემ და ნამეტნავად თუშმა, იცის ყადრი ამ ერთგულის და მართლა საქებარის
ოთხფეხისა“ (ილია).

„რაიბულს ის აზრი ჰქონდა, რომ ღვინოც კარგი ყვიდნა და ფასიც ცოტა მიეცა“ (ვაჟა-ფშაველა). „კვირაში იღებდა თავის შრომის ფასად შვიდ მანეთს“ (გ. წერეთელი). „ოქვენს თვალში მართალს თავისი ფასი არა აქვს (ილია). „სიტყვას ფასი და ყადრი ჰქონდა“ (ს. მგალობლიშვილი).

„წიგნის ფასი“ და „წიგნის ყადრი“ სინონიმური კონსტრუქციებია, როცა წიგნის მნიშვნელობა იგულისხმება, მაგრამ ფულადი ღირებულებისათვის მხოლოდ „წიგნის ფასი“ გამოიყენება. ყადრი სახელისაგან ოდენ ტოპრეფიქსიანი მოქმედებითი გვარის ზნმა იწარმოება: უყადრებს – „თავის თანასწორად, ტოლად, ღირსად, თელის, მიიწვევს“. გამოიყენება მყარ შესიტყვეებში: „თავს უყადრებს“ ან „თავს არ უყადრებს“.

„არწივი ყორნებს თავს არ უყადრებდა“ (ვაჟა-ფშაველა).

ფასი-სახელისაგან ზმნურ ფორმათა წარმოება შეუზღუდავია: აფასებს-ს, იფასებს-ს, უფასებს-ს.

ამათგან - აფასებს და უფასებს გამოიყენება მნიშვნელობებისათვის: 1. ფასს ადებს და 2. რისამე მნიშვნელობას აღიარებს, პატივს სცემს ვისმე.

„თავის წონა ოქროდ აფასებდნენ ყველაფერს“ (ი. მაკავარიანისეული თარგმანი). „საუკეთესო ღვინო ჩაიფი აბაზად ბევრჯერ ჰქონდა ნაყიდი. დღეს შვიდ აბაზად უფასებდნენ“ (ვაჟა-ფშაველა).

„აფასებს ჩემს გულწრფელობას და გულწრფელოდაც მექცევა“ (ი. კეკელიძე). „ცოდავას კრიდება და ღმერთი და ხატიც უფასებს ამავს“ (ვაჟა-ფშაველა).

რაც უფასება ი-პრეფიქსიან ფორმას (ი-ფასებს-ს), იგი გამოიყენება მხოლოდ ამ მნიშვნელობით „თავი დიდად მოაქვს, დიდად მიიწინა. თავს სხვებზე მაღლა აყენებს“. გუგუდება მყარ შესიტყვებაში: „თავს იფასებს“. როგორც წესი, ამ შესიტყვებას სტილისტურად უარყოფითი ელფერი ახლავს: თავის დაფასება. ჩვეულებრივ, პიროვნების კარგ თვისებად არ ითვლება.

ენებითი იწარმოება მხოლოდ ი-ფასებს-ს და უ-ფასებს-ს ფორმებისაგან: ფასდება და უფასდება.

ფასდება იგუებს ა-ფასებს-ს ზნის ორივე მნიშვნელობას:

1. ფასი ვდება: „ღვინო ფასდება შვიდ აბაზად“.
 2. ანგარიში ეწევა, პატივს სცემენ: „მამა-პაპათა ღვაწლი ადრე თუ გვიან ფასდება“.
- უ-ფასდება კი გამოიყენება მნიშვნელობისათვის „ანგარიშს უწევენ, ამავს არ უვიწყებენ, პატივს სცემენ“: „ეჰ, ამავი არ მიფასდება, – ამბობდა ყორანი“ (ვაჟა-ფშაველა).

დღესიკურ მნიშვნელობათა ამგვარი გარჩევა ფორმათაწარმოების დროს ფრიად საცნაური ანის სემანტიკური ბუნების გამოსარკვევად.

* * *

დრო – 1. მატერიის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. 2. ხანი, ეპოქა. 3. ადო, ვადა. 4. სუზონი. 5. ეპოქა.

ჟამი – დრო, ხანი.

„დრო იყო – ძუძუსა ეწოვი, დრო მოვიდა – პურსა ვჭამ“ (ილია). „როცა ზამთარი მოხლოვდება, მუშა ფუტკრებისათვის დასვენების დრო დგება“ (ი. გოგებაშვილი). „შემოდგომა ყველა დროს სჯობია“ (ი. გოგებაშვილი). „სხვა დრო დაგვიდგა“ (ა. აბაშელი).

„ეს დრო და ჟამი ცვალებადია“ (აკაკი). „წადი, კობავ, აჩქარდი, თორემ ვინ იცის, რა ჟამი მოვ!“ (ა. ყაზბეგი).

ამის მიხედვით ნათელია, რომ „დრო“ და „ჟამი“ ერთმანეთის მიმართ ნაწილობრივი სინონიმებია.

მაგრამ ჟამი ფორმას სხვა მნიშვნელობაც აქვს: „შავი ჭირი“, აქედან კი „უჭუმური, პირქუში ადამიანი“.

„ორი მოწიფული შვილი ჟამმა მოუკლა“ (ნ. ლორთქიფანიძე). „ეინ იცის, იქნება ჟამი სჭირთ და ჩვენც არ დავგვხროს“ (ე. ნინოშვილი).

სემანტიკური გადასვლა ადვილი ასახსნელია: ჟამი „დრო, ხანა“ → ცუდი, შავი ჟამი „ცუდი, უბედური დრო, ხანა“ → ჟამი „ცუდი, უბედური დრო, ხანა“, აქედან კი: „სენიანობის ხანა“ → „აუადამყოფობა, მძიმე სენი“ → „შავი ჭირი“ → „ჭირი, გაჭირვება“, რაც, თავის მხრივ, ხდება პირქუში ადამიანის ეპითეტ: ჟამი კაცი → ჟამი „პირქუში, ბოროტი ადამიანი“.

ორივე სახელისაგან იწარმოება ზმნები.
ა-დროეუბ-ს – დროს მისცემს, დააცდის, დააცდის. ა-ჟამეუბ-ს – 1. ამუქებს, აპირქუშებს, ხასიათს (წახხენს, ბრიყველად იქცევა. 2. დროს (გადა)აცდენს.

პირველი მნიშვნელობისათვის ა-ჟამეუბ-ს, ჩვეულებრივ, ჩა- ზმნისწინს ჰკუთვნს (ჩა-ა-ჟამეუბ-ს), მეორე მნიშვნელობისათვის – და- ზმნისწინს (და-ა-ჟამეუბ-ს, გამოიყენება ამ მნიშვნელობითაც: „გაუთხოვრად დატოვებს, დააბერებს“).

ა-დროეუბ-ს ზმნისათვის ვნებითად ე-დროეუბ-ა ივარაუდება. იგი მხოლოდ იმ მნიშვნელობით გამოიყენება, რაც შესაბამის მოქმედებითს აქვს: ა-დროეუბ-ს „დროს მისცემს“ → ე-დროეუბ-ა „დრო მიეცემა“.

ა-ჟამეუბ-ს ფორმას ვნებითად ჟამ-დეუბ-ა მოუდის, რომელიც სხვადასხვა ლექსიკურ მნიშვნელობებს გამოხატავს:

1. ჟამი, დრო დგება: „სადამო ჟამდებოდა“ (დ. კლდიაშვილი).
2. შწიფდება: „ნაყოფი თანდათან ჟამდებოდა, მოსაწყვეტად მოიწყოდა“ (ე. ბარნოვი).
3. პირქუშდება, ავდება: „ისხედაც გულღრძო იყო და ახლა კიდევ უფრო ჟამდება“.

ერთადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ჟამ-დეუბ-ა არსებითად ა-ჟამეუბ-ს ფორმის მხოლოდ ერთ მნიშვნელობისთან პოულობს საერთოს: „ამუქებს, აპირქუშებს“.

რაც შეეხება მნიშვნელობას „დრო, ხანი“, აქ საკმაოდ შორეული კავშირია: ა-ჟამეუბ-ს, და-ა-ჟამეუბ-ს „დროს (გადა)აცდენს“ და ჟამ-დეუბ-ა „დრო, ჟამი დგება“.

მნიშვნელობა „მწიფდება“ გადააზრიანების, მეტაფორული გამოყენების შედეგი ჩანს.
§ 101. ცალკე უნდა გამოიყოს ერთი თავისებური შემთხვევა.
„მიჯნა“ და „საზღვარი“ || „ზღვარი“ ლექსიკურად თანაფარდი ფორმებია:

მიჯნა – საზღვარი, ზღვარი. სა-სა-ზღვარი – მიჯნა, ზღვარი. ხაზი, რომელიც რისამე ფარგლებს აღნიშნავს, რომელიც ორ ტერიტორიას ყოფს ურთიერთისაგან.

„ვენახი რომ გაყვეს ცალყურანთ, მიჯნამ ზედ იმ ხის ძირზე გაიარა“ (ე. ბარნოვი). „რაც უფრო უახლოვდებოდნენ იმერეთის საზღვარს, ღახიკა მით უფრო აფაციცებდა თვალებს“ (ნ. ლორთქიფანიძე).

ორივე სახელისაგან იწარმოება ზმნები:
მიჯნა-ე-ს – მიჯნას ავლებს, მიჯნით ყოფს ერთმანეთისაგან. საზღვრ-ე-ს – საზღვარს ავლებს, საზღვრით ყოფს, მიჯნავს, საზღვარს უდებს. გადატანით: განმარტავს, რისამე ფარგლებს არკვევს.

„მიწის ნაკვეთებს მიჯნავს“.
„წრდილოეთით საქართველოს საზღვრავს კაკასისის მთები“ (ი. გოგებაშვილი). ამ ზმნებს შეესაბამება როგორც ი, ასევე ე- პრეფიქსით ნაწარმოები ნებისობები:
ი- პრეფიქსით წარმოებისას ლექსიკური სიახლოვე ხელშესახებია:

ი-მიჯნ-ე-ბა – მიჯნით იყოფა, ერთ-მანეთისგან ცალკევდება, ერთმანეთს შორდება. ი-საზღვრ-ე-ბა – საზღვრით (გამო)იყოფა, საზღვრად აქვს, საზღვრად ერტყმის. გადატანით: განიმარტება, რისამე ფარგლები ირკვევა.

„ამიერ და იმიერ კავკასია კავკასიონის ქედით იმიჯნება“.

„აჭარას უჭირავს ჩრდილოეთის ნაწილი მესხეთისა და ისაზღვრება: ჩრდილოეთით – გურიით, აღმოსავლეთით – ახალციხის მხრითა“ (ი. გოგებაშვილი). „მაგრამ არის მეორე ძალაც, რომლის მეორხეობაც ფასი თუ სასყიდელი განისაზღვრება“ (ილია).

რაც შეეხება ე-პრეფიქსიან წარმოებას, სწორედ აქ იქმნება თავისებური ვითარება.

ე-მიჯნ-ება-1. ესაზღვრება, მომიჯნავეა. ე-საზღვრ-ება – მოსაზღვრეა, ემეზობლება, ე-მიჯნ-ება მისგან, ეთიშება, შორდება. საერთო საზღვარი აქვს.

პირველი თავისებურება ის, რომ ე-მიჯნ-ება-1 კონტექსტის მიხედვით ანტონიმურ მნიშვნელობებს გამოხატავს: „უახლოვდება, ესაზღვრება, ემეზობლება“ და „ეთიშება, შორდება“. პირველი მნიშვნელობით იგი იმავდროულად ე-საზღვრ-ება-1 ფორმის სინონიმია, მეორე მნიშვნელობით – მისივე ანტონიმი.

მეორე თავისებურება ამ ზმნათა გრამატიკული მნიშვნელობით ვლინდება: ფორმით ვნებობთ, დინამიკური და ამ მნიშვნელობით გამოიყენება კიდევაც ე-მიჯნ-ება-1 ზმნა, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა გამოხატავს: „იმიჯნება მისგან, ეთიშება, შორდება“; ე-მიჯნ-ება-1 ე-მიჯნ-ება-2 – გა-ე-მიჯნ-ება-2...

ხელო მაშინ, როცა გამოხატავს „ემეზობლება, მოსაზღვრეა, მომიჯნავეა“, ორივე ფორმა სტატიკურობის გრამატიკულ მნიშვნელობას იძენს და ამას უღვლილებითაც ავლენს: იოვება მხოლოდ აქმოს წრის ფორმები:

ე-საზღვრ-ება-1 – ე-საზღვრ-ება-1-ოდ-ე-ს;

ე-მიჯნ-ება-1 – ე-მიჯნ-ება-1-ოდ-ე-ს.

იმ შემთხვევაში კი, როცა ე-საზღვრ-ება-1 გაიგება ასე: „ისაზღვრება მისთვის“, სადაც ნაგულისხმეთა ი-საზღვრება ფორმის გადატანითი მნიშვნელობა („განამარტება, რისამე ფარგლებში ირკვევა“), ე-პრეფიქსიანი ზმნა დინამიკურია და უღვლილებაც სრული სახით აქვს წარმოდგენილი: ე-საზღვრ-ება-1 (რამე საკითხი) – გან-ე-საზღვრ-ება-1 – გან-ე-საზღვრ-ება-1...

შესამე თავისებურება კი ისაა, რომ ი- და ე-პრეფიქსიანი ფორმები არსებითად ლექსიკურად დაპირისპირებულნი არიან:

ი-საზღვრ-ება-1 – საზღვრით (გამო)-იყოფა, საზღვრად აქვს...

ე-საზღვრ-ება-1 – მოსაზღვრეა, ემეზობლება.

ანალოგიური ვითარებაა მაშინ, როცა ე-მიჯნ-ება-1 გამოიყენება მნიშვნელობით: „მომიჯნავეა, ესაზღვრება“, მაგრამ სრული ლექსიკური შესატყვისობაა მაშინ, როცა გამოხატება „ეთიშება, შორდება“, შდრ.:

ი-მიჯნ-ება-1 – მიჯნით იყოფა, ერთმანეთისაგან ცალკევდება, ერთმანეთს შორდება.

ე-მიჯნ-ება-1 – იმიჯნება მისგან, ეთიშება, შორდება.

§ 102. ასე რომ, სინონიმებისაგან ნაწარმოები ფორმები რიგ შემთხვევაში ლექსიკურ სხვაობას გვიმოწმებენ, რასაც ხშირად თან სდევს გრამატიკული განსხვავებაც.

სხვაობა შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი.

რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ ფაკულტატიურობა ყველა შემთხვევაში ერთნაირადაა წარმოიქმნილი. ერთი რამ კია: ყველა დასახელებული წარმოება და მასთან დაკავშირებული სემანტიკური ცვლა მეტ-ნაკლებად არტიპიურია ქართულიდან.

საერთოდ, ენაში სინონიმები ფრიად მრავალგვარი ნაირსახეობით მიემართებიან ერთმანეთს. მაგალითად, „წვერიანი ჯოხი“ სემანტიკურად ზედმიწევნით იგივეა, რაც „წვეტიანი ჯოხი“ (აქ თავი იჩინა წვერი და წვეტი-სახელების სინონიმურმა მნიშვნელობებმა), მაგრამ „წვერიანი ნიკაპი“ უკვე სულ სხვა რამაა, ვინემ „წვეტიანი ნიკაპი“ (აქ ის მნიშვნელობები წარმოჩნდა, წვერი-ი და წვეტი- ფორმებს რომ აპირისპირებენ ლექსიკურად). ამ დაპირისპირების წარმოჩენა კი წვერი-იანი და წვეტი-იანი ფორმებთან შეხამებულ სახელებს აკისრიათ: ჯოხი-ი მხოლოდ საერთო მნიშვნელობის წარმოქმნი შეიძლება იყოს, ნიკაპი-ი კი – მხოლოდ განსხვავებულსა.

ეს თავის გავლენას იქონიებს სიტყვათწარმოებაზეც.

დასაშვებია წვერ-ოსანი, დაუშვებელია *წვეტ-ოსანი-ი. რატომ?

იმიტომ, რომ -ოსან სუფიქსი იგუებს იმ მნიშვნელობას, რითაც წვერი-ი ფორმა („დადიანის

ებებსა და ნიკაპზე ამოსული თმა“) განსხვავდება წვეტი-ფორმისგან (რომლის მნიშვნელობაა მხოლოდ „რისაზე დაეწრობული ბოლო. წამახული, გაღვსილი“). მაგრამ ვერ იგუებს იმავე სიტყვის სხვა მნიშვნელობებს. ამიტომაც ვერც წვეტი იწარმოება -ოსან სუფიქსით და ვერც წვერი-იმ შემთხვევაში, როცა იგი სხვა მნიშვნელობებს გამოხატავს („რისაზე წვეტიანი ბოლო“, „თოკის ან ძაფის ერთ-ერთი შენაგრეხი“, „რაიმე წვერილის ერთ-ერთი ბოლო“...).

სინონიმურია (თანაფარდია) ეს ორი კონტექსტი:
ორი წლის წინ.
ორი წლის უკან.

მაგრამ საკმარისია წლ-ის ფორმის ნაცვლად ჩაესვათ კაც-ის ან სხვა რომელიმე სიტყვა, რომ კონსტრუქციები ანტონიმური (დაპირისპირებული) გახდებიან:
ორი კაცის წინ.
ორი კაცის უკან.

ამგვარად, გარკვეული დაბილურობა, საერთოდ, დამახასიათებელია ენისათვის. სწორედ იგი ქმნის საფუძველსაც და საჭიროებასაც, გამოყენებულ იქნეს ესა თუ ის ფორმოზობივი საშუალება მნიშვნელობის თვით უმცირესი ნიუანსის გამოსახატავად.

ასე ჩნდება ხელსაყრელი ნიადაგი გამოხატვის ფაკულტატიურ საშუალებათა გამოსაყენებლად (რა თქმა უნდა, წარმოების ძირითადი წესის გვერდით).

ლიტერატურა:

ბიძინა ფონხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978.

ე. წ. „ახსოლუტური სინონიმების“ შესახებ¹

(საკუთარი და ნასესხები ლექსიკის სინონიმური ურთიერთობისათვის)

სიტყვათსესხება ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთი მნიშვნელოვანი წყაროა, – ეს ცნობილია. მაგრამ, თუ ნასესხები სიტყვები ზოგადად ენის ლექსიკას ერთიანად მსჯავლავს, მის ყველა უბანში ახერხებს შეღწევას, ნასესხობათა ერთი ჯგუფის – ინტერნაციონალიზმების – უმრავლესობა, ჩვეულებრივ, უფრო ტერმინოლოგიაში იყრის თავს, მის საჭიროებას ემსახურება. „სინონიმების ერთ-ერთ განსხვავებულ ფორმას იძლევა განსაზღვრულ ტექნიკურ ნომენკლატურებში მშობლიურ და ბერძნულ-ლათინური წარმოშობის სიტყვათა თანაარსებობა“².

ქართულ სალიტერატურო ენაში უცხოური ლექსიკის ინტენსიური სესხება განსაკუთრებით იმ შემთხვევებთანაა დაკავშირებული, როდესაც „ამა თუ იმ უცხო სიტყვის ზუსტი ეკვივალენტი, შესაბამისი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა, არც ამჟამად მოგვეპოვება და არც ისტორიულადაა დადასტურებული ქართულში“³. ამ აზრის საილუსტრაციოდ შეიძლება არაერთი წყაროს მოხმობა სხვა ენათა პრაქტიკიდანაც, მაგრამ ამის საჭიროება არ ჩანს: ციტირებულ ნაწყვეტში მოცემული განსაზღვრა ტიპობრივია (თუმცა არც ის გამოირიცხება, რომ მსესხებელ ენაში „სიტყვიერი გამოსახულება არსებობდეს, მაგრამ ენა მაინც სესხულობდეს უცხოურ სახელწოდებას“⁴). ვინაიდან ინტერნაციონალიზმებიც ნასესხობათა ერთ სახეობას წარმოადგენს, ზემოთ მოყვანილი ფორმულა მათზედაც შეიძლება გავრცელდეს.

აქ ორი მომენტია საგულისხმო:

ჯერ ერთი, სესხების პირობები და შედეგი ორგვარი შეიძლება იყოს: 1. ინტერნაციონალიზმი ისე მკვიდრდება, რომ ადეკვატს მსესხებელ ენაში ვერ იჩენს. ეს განსაკუთრებით ეხება მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის სახელწოდებებს. თვით ამ ზემოხსენებულ სიტყვათშემახილშიც – მეცნიერება და ტექნიკა – პირველი კომპონენტი ქართულია და წარმოადგენს ინტერნაციონალური მეწყვილის გარეშე (ასევეა რუსულშიც: наука и техника), მეორე კი ინტერნაციონალიზმია და ქართული შესატყვისი არ მოეპოვება. ამ უკანასკნელთა რიგს განეკუთვნება: ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, ბოტანიკა, ფილოლოგია, ბიოლოგია და სხვა. ანდა, ერთდროვნეობის შიგნით: ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, სემანტიკა... შდრ. გერმანულში საკუთარი და ინტერნაციონალური მეწყვილეები: Lautlehre – Phonetik, Formenlehre – Morphologie, Bedeutungslehre – Semantik/Semasiologie⁵.

ამგვარი ინტერნაციონალიზმების შემოდების აუცილებლობა კარგად გამოხატა ილია ჭავჭავაძემ „პასუხში“ სიტყვა კრიტიკასთან დაკავშირებით: „კრიტიკა“ არის განხილვაც, განხრეკაც; გარკვევაც; გარჩევაც და დაფასებაც ერთად“⁶.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში საერთაშორისო სიტყვას „კონკურენტი“ არა ჰყავს.

2. ინტერნაციონალიზმი იჩენს ეკვივალენტს მსესხებელ ენაში (იგულისხმება, რომ ენაში მანამდე ასეთი სიტყვა არ ყოფილა). აქედან გამომდინარე, სესხების ზემოთ მოყვანილი დაფორმებულობა თითქოს ერთგვარ ქრონოლოგიურ ინფორმაციასაც იძლევა: ჯერ ინტერნაციონალიზმი შემოდის მიმღებ ენაში და შემდეგ ხდება მისი „გაეროვნულება“ (თუკი საერთოდ განვითარდა ეს პროცესი).

მაგრამ სინამდვილეში აღნიშნული პროცესი უფრო ხშირად პირუკუ მიმართულებით მიმდინარეობს. მაგალითად, შევეუდართ ერთმანეთს სიტყვები ლინგვისტიკა და ენათმეცნიერება

¹ ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VIII, თბ., 1988.
² St. Ullmann, Semantics, An Introduction to the Science of Meaning, Oxford, 1977, გვ. 142.
³ რ. დამბაშიძე, ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში: კრებ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წ. I, 1972, გვ. 20.
⁴ შ. ძიძიგური, ცნება სინონიმური პარალელიზმისა: ხმამ, II, №7, 1941, გვ. 689-90.
⁵ დამოწმებულია სტ. უდმანის დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 142.
⁶ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. II, თბ., 1974, გვ. 23.

დინამიკაში. ვნახავთ, რომ **ლინგვისტიკა** ქართული ენის აქტიურ სამეცნიერო სიტყვათხმარებაში ფაქტობრივ უფრო გვიანდელი შენაძენია, ვიდრე **ენათმეცნიერება** ან თუნდაც ამჟამად აშკარად პერიფერიული ქვერადობისა და ღირებულების მქონე ვარიანტი – **ენათმცოდნეობა**⁷, რომელიც რუსულის მეშვეობით და მის ყალიბზე შეიქმნა (შდრ. языковедение და языкознание). ეს ის შემთხვევაა, როცა ტერმინი „მასალაობრივად კი არაა ნახესხები, არამედ ცნების აგების პრინციპითაა უცხო“⁸. სათანადო ინტერნაციონალიზმები – **ლინგვისტიკა**, **ლინგვისტური**... ჩვენში ამჟამად უფრო იკიდებს ფეხს, განსაკუთრებით, აღწერითი და გამოყენებითი ენათმეცნიერების ანდა შერეული სამეცნიერო დისციპლინების განვითარების შედეგად (სტრუქტურული **ლინგვისტიკა**, **მათემატიკური ლინგვისტიკა**), ახალი კომპოზიციების წარმოებისას (პარალინგვისტიკა, **ლინგვისტატისტიკა**, **ლინგვისტილისტიკა**) და სხვ.

საინტერესოა ამ თვალსაზრისით ჩვენი საუკუნის 40-იანი წლების სპეციალური ლიტერატურის ჩვენება. მაგალითად, ჟურნ. „ბერეულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ I ტომში (1946 წ.) გვხვდება მხოლოდ **ენათმეცნიერება** და **ენათმეცნიერული**, ხოლო **ლინგვისტიკა** ან **ლინგვისტიკური** თითქმის არ დასტურდება, და ეს მაშინ, როცა იმავე კრებულში გვაქვს შემდეგი ლინგვისტური ინტერნაციონალიზმები: **აუსლაუტი**, **აკუზატივი**, **აგლუტინაციური**, **ერგატიული კონსტრუქცია**, **გენერტორი** და სხვ; იმავე ხანების „მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ კი ინტერნაციონალიზმები ორიოდგჯერ შეგვხვდა (მაგ: **ლინგვისტიკური ღირებულება**, **ლინგვისტიკური შესაძლებლობა**. შდრ. იქვე: **ენობრივი სინამდვილე**, **ენობრივი კოდექტივი**, **სამყარო**, **გარემო**, **ორგანიზმი**, **წრე**, **ვლემენტი**...) შდრ. ამ მხრივ 60-იანი და 70-იანი წლების სპეციალური ლიტერატურა, რომელშიც ორივე ტერმინი – საკუთარიცა და ნახესხებიც – თითქმის თანაბარი რაოდენობით დასტურდება⁹.

საპირისპირო შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი ტრადიციული სიტყვა-ტერმინი იწინასაერთაშორისო შესატყვისის (ხოჯერ საზნაგებო საჭიროების გარეშეც), შედარებით იშვიათია. შდრ., მაგ., **დადასტურება**/**შემოწმება** და სულ ახალი შემოსუიკაცია, რომელსაც თუნდაც ის ნაკლი აქვს, რომ ვერ იწარმოებს სხვა ფორმებს, ვთქვათ, მიძღვობის ოპოზიციურ ფორმებს (შდრ.: **დადასტურებული**/**შემოწმებული** – **დადასტურებელი**/**შესამოწმებელი**, მაგრამ: **ვერსიფიცირებული** – **შ**, **ე**. ი. ამ ფორმას ოპოზიციური ცალი არ მოეყოლება და, მაშასადამე, მყოფად დროის მიძღვობა ამ შემთხვევაში დეფიციტურ რიგს ქნის).

მეორე მხრივ, ყურადღებას იპყრობს გამოთქმა **ზუსტი ეკვივალენტი**, რამდენადაც იგი ავტომატურად ვჯაჯვება სინონიმის საკითხს, – მით უფრო, რომ სინონიმური რივის შემავსებლად ნახესხები და, მაშასადამე, ინტერნაციონალიზმებიც ივარაუდება. საერთოდ, სინონიმებისადმი მიძღვნილი მრავალ ნაშრომში ინტერნაციონალიზმებზედაც არის მსჯელობა. მაგრამ შედეგი მსჯელობისა უმრავლეს შემთხვევაში „ნეგატიურია“, კერძოდ, ინტერნაციონალიზმები, რომლებსაც მიძღვებ ენაში ეკვივალენტები არ მოეყოლება, მათთავე ერთად სინონიმთა რიგიდან გამოორიცხება. წყვილის ასეთ ცალკეს სრულ ან **ზუსტ** (ანდა აბსოლუტურ) სინონიმებაც უწოდებენ, უფრო ხშირად კი – **დუბლეტებს**. და, რამდენადაც მეცნიერების ენა ყველაზე მეტად საჭიროებს სხედწოდებათა და ფორმულირებათა სიზუსტეს, აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს სწრაფვა ტერმინ-სინონიმთაგან თავის დაღწევისაკენ¹⁰. საერთოდ, ტერმინოლოგიის გაერკვლელებული ნაკლია ტერმინთა მრავალმნიშ-

⁷ სხვათა შორის, ტერმინოლოგიაში ენათმეცნიერება, შეიძლება ითქვას, ერთადერთი კომპოზიცია, რომლის მეორე კომპონენტად მეცნიერება გვევლინება. სხვა შემთხვევაში მცოდნეობა იხმარება (თეატრ-მცოდნეობა, ლიტერატურათმცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, აღმოსავლეთმცოდნეობა და მისთ). ცხადია, აქ მიუღწევლობაში არა გვაქვს -ლოგია ან -იკა-დაბოლოებინა ტერმინთა შემთხვევები.

⁸ შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 689.

⁹ ეს ფაქტი მზარს უჭერს იმ დეკლარაციას, რომ უცხოური სიტყვის დანერგვის ერთ-ერთი საშუალებაა „უცხოური ფორმისა და მისი ეკვივალენტის წყვილად. პარალელურად ხმარება, ვიდრე ახალი სიტყვა ფეხს მოიკიდებდეს“. ამ მიუღწევის „სინონიმურ პარალელიზმს“ უწოდებენ (შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 692).

¹⁰ A. B. Лагутина, Абсолютные синонимы в синонимической системе: «Лексическая синонимия», М., 1967, გვ. 127.

ენგლობიანობა და დუბლეტურობა¹¹.

ასეთი დუბლეტები, გარდა ზემოდასახელებული წყვილებისა, ლიტერატურა და მწერლობა, ორთოგრაფია და მართლწერა, დეფექტი და ნაკლი, ობიექტი და საგანი, არგუმენტი და საბუთი და მრავალი სხვა¹². ამ წყვილების არსებობას კარგად იყენებენ სტილისტიკური მიზნებისათვის, კერძოდ, მომიჯნავე წინადადებებსა თუ ფრაზებში გამეორების თავიდან ასაცილებლად. დავასახელებთ ორიოდ ნიმუშს სამეცნიერო ლიტერატურიდან:

ობიექტი და **საგანი**: „ნაწილაკებს, კავშირებსა და ზმნისართებს შორის მტკიცე ზღვარის დადება ყოველთვის არ ხერხდება ისეთ ენებშიც კი, რომლებიც დიდი ხანია, მეცნიერული კვლევის ობიექტები არიან. ეს მით უფრო ძნელია ჩვენს ენებში, სადაც რიგი საკითხი სპეციალური შესწავლის საგანი არც კი გამხდარა“¹³.

ლინგვისტი და **ენათმეცნიერი**: „სულ სხვაა პოზიცია თანამედროვე ლინგვისტური თეორიითა და კვლევის ზუსტი მეთოდებით აღჭურვილი ენათმეცნიერისა... ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქმის თანამედროვე ენათმეცნიერების პოზიციებზე მდგომი ლინგვისტი ყოველთვის მწერლის მხარეს დიჭვრება“¹⁴.

ლინგვისტური და **საენათმეცნიერო**: „ნაგულისხმევაა, რომ ლინგვისტ-სტუდენტებს მოსმენილი აქვთ როგორც თეორიული, ზოგადლინგვისტური, ისე სპეციალური საენათმეცნიერო კურსები“¹⁵.

სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული დეფინიციების თანახმად, დუბლეტები სინონიმურობის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ. ეს მოთხოვნებია: საგნობრივი მიმართების იგივეობა და განსხვავება ემოციური ელფერისა თუ ფუნქციური სტილის მიხედვით. „რეგურენციის იგივეობა არის სინონიმის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარის პირობა“¹⁶. „ნამდვილი სინონიმები ფიქციაა: რამდენადაც განსხვავება არ შეიძლება არ იყოს ან იმის გამო, რომ ერთი და იმავე საგნის დასახელებისას ამოსავალია სხვადასხვა მომენტი, ანდა იმის გამო, რომ განსხვავებულია სუბიექტის დამოკიდებულება სიტყვაში აღნიშნული ობიექტური მონაცემისადმი“¹⁷.

სინონიმობის ამგვარი გაგება გამოიციხავს ევრეთწოდებულ „ზრობრივ ნიუანსებს“, კვანძისონიმებს, ერთი მხრით, და დუბლეტებს, „აბსოლუტურ სინონიმებს“, მეორე მხრით“, ხოლო „—დუბლეტურ სიტყვათა წყვილები (ჯაფუფები) გეხვდება უპირატესად ტერმინებში, ცნებათა სახელწოდებებში... ტერმინი მხოლოდ „დენოტაციით“, მხოლოდ საგნობრივი მიმართებით ხასიათდება“¹⁸. კონტრაციური სხვაობა კი, უკოლინსონის 9-პუნქტიანი კლასიფიკაციის მიხედვით, ევრდნობა სინონიმთა ამგვარ დახარისხებას: ერთი უფრო ზოგადია, ვიდრე მეორე; ერთი უფრო ლიტერატურულია, ვიდრე მეორე; ერთი უფრო სასაუბროა, ვიდრე მეორე; ერთ-ერთი სინონიმი ბეჭდის ენას განეკუთვნება და ა. შ.¹⁹ თუმცა მათი განზოგადება, გაერთმინებელი ანება და შემოფარგვლა საცხებით შესაძლებელია ზემოდასახელებული ორი ძირითადი სადანება და შემოფარგვლა საცხებით შესაძლებელია ამ პუნქტების რაოდენობის გაზრდაც). სინონიმიაზე მსჯელობისას სტ. ულმანის ერთგან შენიშვნას, რომ, მიუხედავად იმ არაერთი ტეშმარტივებისა, რომლებსაც შეიცავს დოქტ. უონსონის, მაკოლისა თუ ბლუმფილ-

¹¹ А. В. Шапиро, Некоторые вопросы теории синонимов: Доклады и сообщения Института языкознания АН СССР, 1955, VIII, гл. 81.

¹² ამგვარი წყვილების მეტ-ნაკლებად სრული სია მოცემული აქვს ბ. ფონსუას თავის წიგნში „ქართული ენის ლექსიკოლოგია“, თბ., 1974, გვ. 238-239.

¹³ თ. ყაუხჩიშვილი, ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში: იკე, I, 1946, გვ. 259.

¹⁴ გ. მაჭავარიანი, სალიტერატურო ენის ნორმირების ზოგიერთი საკითხი, უფრ. „ცისკარი“, 1968, №12, გვ. 130.

¹⁵ ბ. ფონსუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 3.

¹⁶ J. Lyons, Semantics, London, 1977, გვ. 452.

¹⁷ არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, პროექტული ნაწილი, თბ., 1939, გვ. 184.

¹⁸ ბ. ფონსუა, ქართული სინონიმის ლექსიკოგრაფიული საკითხები: იკე, XXII, 1980, გვ. 298.

¹⁹ W. E. Collinson, Comparative Synonymics; Transactions of the Philological Society, 1939, გვ. 61 შმდ.

(დამოწმებულია ტ. ულმანის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 142-143).

დის გამონათქვამები სრული სინონიმების უკონოლობაზე და აგრეთვე ბრელი ს მტკიცებანი ენაში ვ. წ. „დისტრიბუციის წესის“ არსებობის შესახებ, მაინც უმართებულო იქნებოდა მათი არსებობის უარყოფა და, მიუხედავად ფაქტის პარადოქსულობისა, სრულ სინონიმის სტ. ულმანის სწორედ ტექნიკურ ნომენკლატურაში ხედავს, - ე. ი. იქ, სადაც სინონიმია ვეულა-ზე ნაკლებ მოსალოდნელია, რამდენადაც მეცნიერული ტერმინები, ჩვეულებრივ, უსტრადა-შემოსახდერული და ემოციური ელფერის მიხედვითაც ნეიტრალურია²¹. ამ თვალსაზრისით ანგარიშგასაწვეია სპეციალისტთა მოსაზრებანი ტერმინოლოგიური სისტემისათვის დუბლეტების საზიანო, ხელისშემშლელი როლის შესახებ²². ამგვარ დუბლეტებს მხოლოდ საგნობრივი მიმართების იდენტურობა აკავშირებს, სხვაობა კი ნულფუნია: არც ემოციური ელფერისა და არც ფუნქციური სტილის მიხედვით ისინი მარკირებული არ არიან.

რება შეხამებადობა ანუ ე. წ. დისტრიბუციის ფაქტორი. დუბლეტებს, რომლის მიხედვითაც ასეთი დუბლეტები ნებისმიერ კონტექსტში ურთიერთთანაცვლების უნართაა შეფასებული, დაბრკობებს სწორედ ის უქმნის, რომ დუბლეტები არცთუ იშვიათად ჩაუნაცვლებელია. ამ შემთხვევაში „ნასესხები სიტყვა ამოტვირთვებულია გარკვეული ენობრივი წრის სიტყვათხმარებაში“²². ეს კი ძირითადად ტრადიციით განმტკიცებულ შეხამებათა, მათ შორის, გარკვეულ სამეცნიერო მიმდინარეობათა, სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციებისა თუ უჯრედებისა და მისთ. სახელწოდებათა ხარვეზ ხდება. შერ., მაგალითად:

ერთი მხრით: **საენათმეცნიერო** - საზოგადოება, წრე, საბჭო... **ენათმეცნიერული** - კვლევა, ანალიზი, ლიტერატურა, აღლო... **ენათმეცნიერების** - ინსტიტუტი, განყოფილება, **ენათმეცნიერების შესავალი** (დისციპლინა), **ზოგადი ენათმეცნიერება** (დისციპლინა, კათედრა, განყოფილება...) და სხვ.

მეორე მხრით: **ლინგვისტიკა**, **პარალინგვისტიკა**, **მეტყველების** (ან ტექსტის) **ლინგვისტიკა**, ამერიკის **ლინგვისტური საზოგადოება** (თარგმანი ინგლისური The Linguistic Society of America-ს შერ, ჩვენში: **ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება**...²³).

ინტერნაციონალიზმების დამკვიდრება-განმტკიცება არა მარტო მისი დექსიკური ძალის ზრდითაა შეპირობებული, არამედ სადერევაციო შესაძლებლობათა პერსპექტივობითაც. ამედ დროს, ინტერნაციონალიზმების მომქადაგება დაკმუსხით ავლენს „დამხვედრი“ ეკვივალენტების სემანტიკურ თუ ნაწარმოქმნო (დერივაციულ) ხარვეზებს. მაგ., სიტყვა **მარშრუტი** სათვის არასუსტი კალკიურის გზით შექმნილი ქართული **სვლაგეზო** უკვე ვეღარ გაუწევს კონკურენციას ინტერნაციონალიზმს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საჭირო გახდა მისგან ხედსართავის წარმოება. ამიტომ маршрутное-ს (такси) შესატყვისად გაკეთდა და დამკვიდრდა კიდევ **სამარშრუტო** (ტაქსი), რომელსაც ამაჰამდ, ცხადია, მეტოქობას ვეღარ გაუწევს ისეთი ნაწარმოები ხედსართავები, როგორცაა **სასვლაგეზო** ან **სვლაგეზო**.

სხვა შემთხვევაში ხედსართავი სახელის მხოლოდ ერთი რომელიმე სახე იძლევა ეკვივალენტს. მაგ., **რეალობა** - **სინამდვილე**, **რეალური** - **ნამდვილი** (ამბავი...), მაგრამ **არარეალური** უკვე აღარ შეესაბამება **სინამდვილი**, არამედ - **განუხორციელებელი**.

წარმოებასთან დაკავშირებით დგება სხვა პრაქტიკული საკითხი: ნაწარმოებმა ინტერნაციონალიზმმა შეიძლება სათანადო უცხო ენაში (ენებში) ერთზე მეტი მნიშვნელობა შეითავსოს. მაგ., ინგლისურში linguistic სიტყვა შეიძლება ნიშნავდეს **ენობრივსაც** და **ენათმეცნიერულსაც** (**საენათმეცნიერო**). მათ უმეტესწილად სხვადასხვა სიტყვა (არსებითი სახელი) შეესაბამება, მაგრამ შეიძლება ერთი და იგივე, საერთო სიტყვეც შეესაბამებოდეს. მაგ., თუ შეხიტივებამ

²⁰ St. Ullmann, დასახ. ნაშრ. გვ. 141.
²¹ რ. დამბაშვიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986, გვ. 40.
²² შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ. გვ. 692.
²³ სინონიმთა შეხამებით უნარის თვალსაზრისით სპეციალურადაა შესწავლილი პედაგოგისა და მასწავლებლის მიმართების საკითხი ვ. კალანდაძის წერილში „სინონიმურ სიტყვათა გამოყენებისათვის“, ეურნ. „ქელ სკოლაში“, 1985, №№ 1-2, გვ. 31-40; პროფესორის ხედობის კონტექსტური ნებისმიერის საკითხი განხილული გვაქვს დექსიკონში „სიტყვა და კონტექსტი“: კრებ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წ. 7, თბ., 1985.

linguistic intuition მსახერხელის ქართულად გადმოცემისას მხოლოდ ინტერნაციონალიზმს დაკვეთობს (ლინგვისტური ინტუიცია, ადლო), მაშინ ერთადერთი მნიშვნელობასთან გვეყვება საქმე (ენათმეცნიერულად). შეიძლება კი ისეთი კონტექსტებიც დაგვჭირდეს, რომლებშიც სწორედ და მხოლოდ ერთენული ეკვივალენტი გამოდგება. მაგ., მწერლის ენობრივი ადლოინტუიცია (თუმცა ამავე მწერალს შეიძლება ჰქონდეს ლინგვისტური ანუ ენათმეცნიერული ადლოც, ვთქვათ, ეტიმოლოგიუზების უნარი). ქართული ენის სინამდვილეში იყო ცდა ინტერნაციონალიზმების დიფერენცირებისა (ერთი მეტყველების ნაწილის ფარგლებში): მაგ., ლინგვისტურისაგან გასამიჯნავად უხმარიათ ლინგვისტიკური, მაგრამ სისტემატურად ეს დიფერენცირება არ განხორციელებულა და ენათმეცნიერულის ეკვივალენტად კვლავ ლინგვისტური დარჩა.

შესაძლებელია სხვა შემთხვევაც, როცა ამავე ინტერნაციონალიზმს პოლისემიური მნიშვნელობა აქვს ქართულსავე ენაში, რაც სხვადასხვა სახლერულთან შესამებისად ვლინდება. შდრ.: 1. ლინგვისტური ადლო, გარემო (=ენობრივი ადლო, გარემო) და 2. ლინგვისტური საზოგადოება, სამყარო (=საენათმეცნიერო საზოგადოება, სამყარო). აქვე შევნიშნავთ, რომ, ვინაიდან წყვილი საენათმეცნიერო - ლინგვისტური უფრო მარტივ, ცალსახა მიმართებას ქმნის, ვიდრე ენობრივი - ლინგვისტური²⁴, აზრის სიცხადისათვის უმჯობესი ჩანს, პირველ შესამებაში (ადლო, გარემო სიტყვებთან) ვარიანტები ქართული შესატყვისით (ენობრივით) შემოიფარგლოს ან, ყოველ შემთხვევაში, მას მიეცეს უპირატესობა, მეორეში კი (საზოგადოება, სამყარო სიტყვებთან) ორივე - ქართულიცა და საერთაშორისოც (საენათმეცნიერო, ლინგვისტური) - თანაბრად დასაშვად იქნეს მიჩნეული.

გასათვალისწინებელია კომპოზიტებში დუბლეტების ვარიირების უნარიც. მაგ., თუ სტრუქტურ-ლინგვისტი (ისევე, როგორც სტრუქტურ-ფილოლოგი, სტრუქტურ-მედიკოსი, სტრუქტურ-იურისტი და მისთ.) სახეებით დასაშვებია და კანონზომიერი შესამებაა, ამისვე ვერ ვიტყვით შესამებაზე სტრუქტურ-ენათმეცნიერი (ნებისმიერი წყობით): იგი განუზოროცივლებული შესამება ჩანს. ამის მიზეზი ალბათ ქართული კომპოზიტის მეორე კომპონენტში (მეცნიერი) უნდა ვეძებოთ. ქართველი მას ჯერ კიდევ „ეტიმოლოგიურად“ ადიქტამს (ე. ი. მეცნიერს სტრუქტურზე მაღლა აყენებს), განსხვავებით ლინგვისტის შემთხვევისაგან. ლინგვისტი ქართულს მილიანად ნახესხები აქვს ტერმინად, პირველი ნიშნად, - მისი ცალკეული მორფემული ნაწილების ეტიმოლოგიურ-ფუნქციური ანალიზის გარეშე.

როგორც ვხედავთ, ზოგად პოსტულატებზე დაყრდნობით, ინტერნაციონალიზმებისა და მათი ეროვნული შესაყვისების დუბლეტებზე მიჩვენას თითქოს ხელს არაფერი უშლის, მაგრამ ფუნქციონირების თვალსაზრისით (შესამებადობა, ჩანაცვლება, წარმოება და მისთ.) სხვაობაც თვალსაჩინოა.

დუბლეტების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით უნდა მოვიხსენიოთ თითქმის პარადოქსული შემთხვევაც (და ამგვარი შემთხვევები სხვაც არაერთი დაიძებნება): დუბლეტები ეკვივალენტებით (ან სინონიმებით) კი არ მიემართებიან, არამედ გარკვეულწილად უპირისპირდებიან კიდევ ერთმანეთს. ამის საინტერესო მაგალითი გვეხვება ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. საქმე ეხება ისეთ დუბლეტებს, როგორცაა ობიექტი და საგანი.

როცა ვამბობთ, განსილვის საგანი ან განსილვის ობიექტი, ანდა - კვლევის საგანი ან კვლევის ობიექტი, - ვუკვირ არ არის, სინონიმური მნიშვნელობის შესამებებთან გვაქვს საქმე (იხ. ზემოთ მოყვანილი მაგალითები ამ შესამებებზე). დაახლოებით ასეთივე მიმართება გრამატიკაში ობიექტსა და (სამოქმედო) საგანს შორის. მაგრამ ვევეე სახელები შეიძლება სხვაგვარადაც ფუნქციონირებდეს, - სინონიმური მიმართების გარეშე; მეტიც, ამ სახელთა გამიჯნვანამ შეიძლება ტერმინოლოგიური ღირებულებაც შეიძინოს, სახელდობრ:

სინონიმიაზე მსჯელობისას არნ. ჩიქობავა ერთმანეთისაგან მიჯნავს საგანსა და ობიექტს და ეს სხვაობა ასეა ჩამოყალიბებული: „ერთი და ვევეე პირი (ვთქვათ, Александр Сергеевич) შეიძლება ადვინშროთ სიტყვებით - ექიმი, დეპუტატი, მეზობელი, რამდენადაც ისინი მას მიემართებიან - აღსანიშნი ერთი და იგივე პირია, მაგრამ სიტყვები ექიმი, დეპუტატი, მე-

²⁴ შდრ., მაგ., გ. შაქავეარიანის სიტყვათხმარებაში, ერთი მხრით, ენობრივი ანალიზი, გარკვენიობრივი და, მეორე მხრით, ლინგვისტური ანალიზი, ექსტრალინგვისტური (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 127-138).

ზობელი გამოყოფენ ამ ობიექტის სხვადასხვა მხარეს, ე. ი. თავთავის აღხანიზნად სხვადასხვა საცემები აქვთ (დაყოფა ჩვენია. შ. ა.), რომელთაც ისინი მიემართებიან...**ობიექტისა** და **საგნის** გამოიყენის ანალოგიური შემთხვევაა წარმოდგენილი ისეთ მეცნიერებათა დეფინიციისას, როგორცაა **გეოგრაფია** და **გეოლოგია**; ორივე მეცნიერება შეისწავლის დედამიწას, მაგრამ „სხვადასხვა კუთხით“; რეალური ობიექტი – დედამიწა – ერთია, მეცნიერებისსა და განი კი – ერთი“²⁵ (დაყოფა ჩვენია. შ. ა.).

მაშასადამე, ამ შემთხვევაში დუბლეტური ეკვივალენტები სხვადასხვა ტერმინოლოგიურ ფუნქციით იტვირთება.

* * *

ხეშით საუბარი არსებითად დუბლეტურ სუბსტანტივებს ეხებოდა, რომლებიც ტერმინოლოგიის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს შეადგენს. რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხეთ ზედსართავებზე, ოღონდ ამჟამად ისინი ჩვენთვის საინტერესოა უკვე არა წარმოებასთან დაკავშირებით (რადგან ნაწარმოება ხშირად არსებითი სახელიც, განსაკუთრებით, აბსტრაქტული სახელი, რომელიც ადექტივისაგან მიიღება). ზედსართავები უფრო მეტ ყურადღებას იპყრობენ სემანტიკურ-ფუნქციური თვალსაზრისით.

ასეთ დუბლეტებად, უწინარეს ყოვლისა, შეიძლება დაგვესახელებინა **საზოგადოებრივი** და **სოციალური**. რამდენიმე გავრცელებულ შეხამებაში ეს ზედსართავები თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს: **საზოგადოებრივი ფორმაცია** – **სოციალური ფორმაცია/წყობილება**, **საზოგადოებრივი სტრუქტურა** – **სოციალური სტრუქტურა**, **საზოგადოებრივი სანქცია** – **სოციალური სანქცია**, **საზოგადოებრივი-პოლიტიკური** – **სოციალურ-პოლიტიკური** და ა. შ. მაგრამ გამოიხედავია: **საზოგადოებრივი მდგომარეობა** (ივარაუდება სტატუსი, წონა, თანამდებობა, ადგილი, რომელიც მკვანს უჭირავს საზოგადოებაში) და **სოციალური მდგომარეობა** ან **წარმოშობა** (ივარაუდება საზოგადოებრივი ფუნა: მუშა, კომპიუტრენ, მოსამსახურე...), **საზოგადოებრივი მუშაობა**, **დატვირთვა** (და არა* **სოციალური მუშაობა**, **დატვირთვა**), მაგრამ **სოციალური მოტივი** (და არა* **საზოგადოებრივი მოტივი**), ანდა გამოთქმები: **ენის სოციალურობა** (და არა* **ენის საზოგადოებრიობა**), საკუთარი სახელი **სოციალური ნიშანია** (და არა* **საზოგადოებრივი ნიშანი**) და მისი.

საინტერესოა, რომ ამოსავალი არსებითი სახელი (საზოგადოება) საკუთარ დექსიკაში გვაქვს, ნახესხებში კი – არა: **სოცოში** არ დამკვიდრებულა ქართულში (ისევე, როგორც რუსულში).

ასევე სხვა ზედსართავებიც – **საერთაშორისო** და **ინტერნაციონალური**. პარალელურად იხმარება: **საერთაშორისო სიტყვები** – **ინტერნაციონალური სიტყვები**, მაგრამ იმიჯნება: **საერთაშორისო ვითარება** (მდგომარეობა, დაძაბულობა, სიმპოზიუმი, კონგრესი, მიმომხილველი, სოლიდარობა, ასპარეზო/სარბიელი, აღიარება) და: **ინტერნაციონალური სული** (სულისკვეთება, აღზრდა...), მაშასადამე, ნახესხებ სიტყვას სემანტიკური შეხამებადობის თვალსაზრისით ნაკლები „ეკვივანობა“ აქვს. როგორც ჩანს, ამ წყვილში ქართულმა ადეკვატმა „აჯობა“ ინტერნაციონალიზმს, თუმცა სათანადო წარმოება არსებითი სახელისათვის მას არ გააჩნია; **ინტერნაციონალიზმს** კი აქვს ამოსავალიც – **ინტერნაციონალიზი**, რომლისაგანაც იწარმოება სხვა სახელები: **ინტერნაციონალიზტი**, **ინტერნაციონალური**, **ინტერნაციონალურობა**.

მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში დუბლეტები ემოციური ელფერის ან ფუნქციური სტილის მიხედვით მარკირებული არ არის. ამ თვალსაზრისით უფრო საინტერესოა ზედსართავების – **ნაციონალურისა** და **ეროვნულის** – მიმართების საკითხი. შეხამებითი უნარი მათ ხშირად ერთნაირი აქვთ: **ნაციონალური პოლიტიკა** – **ეროვნული პოლიტიკა**, **ნაციონალური საკითხი** – **ეროვნული საკითხი**, **ნაციონალურ-განმათავისუფლებელი** – **ეროვნულ-განმათავისუფლებელი**, **ნაციონალური ტანსაცმელი** – **ეროვნული ტანსაცმელი**, **ნაციონალური ცეკვები** – **ეროვნული ცეკვები**...

მაგრამ როცა ამ ზედსართავებს განაწილებული აქვთ შეხამებული წევრები, მათთავე ერთ-

²⁵ А. С. Чикобава, Реальность синонимов и возможность синонимических словарей: კრებ. «Лексическая синонимия», М., 1967, გვ. 79.

თად ინაწილებენ გამოყენების სფეროებსაც და სხვადასხვა ემოციურ ელფერს იძენენ. მაგ., **ეროვნულ საქმე**, მაგრამ არაეინ ხმარობს შესიტყვებას – **ნაციონალური საქმე**; **ეროვნულ სიამაყე** არ ჩაენაცვლება **ნაციონალური სიამაყე** ამგვარ ფრაზაში: „ილია ჭავჭავაძე ქართველი ხალხის **ეროვნული სიამაყეა**“, თუმცა სხვა ერის მიმართ ანალოგიურ ფრაზაში ისინი შეიძლება ჩაენაცვლონ ერთმანეთს. შდრ.: **ეროვნული სიამაყის გრძნობა** – **ნაციონალური სიამაყის გრძნობა** (რუსულში ან შემთხვევაში მხოლოდ ინტერნაციონალიზმი იხმარება: **чувство национальнoй гордости**). ეჭვი არ არის, რომ ორსავე შემთხვევაში შეხამებები დადებითი გრძნობითი ელფერის მქონეა. ამას ისიც მოწმობს, რომ შეხამებაში **ეროვნულს** უწვევდებოდა ან უტოდდებოდა **პატრიოტულიც**. მაგ., **ეროვნული მოტივი** || **პატრიოტული მოტივი** (მაგრამ არა: ***ნაციონალური მოტივი**), ხოლო ზედსართავი ნაციონალური თანამედროვე სიტყვათხმარებაში ზოგჯერ უფრო უარყოფით ასოციაციებს იწვევს, რამდენადაც უფრო უახლოვდება საძრახის **შოენისტურს**. შდრ. კომპოზიტი **ნაციონალისტურ-შოენისტური**, **ნაციონალიზმ-შოენიზმი**... (გაეუხსენოთ, რომ ამავე ძირისაგან არის ნაწარმოები **ნაციზმი**, **ნაცისტი** და სხვ.).

ხაინტერესოა სხვა მხარეც – საზღვრული ობიექტის სიდიდე-მას შტაბურობის ფაქტორი: კერძოდ, თანამედროვე დიდი ერების, უფრო ზუსტად, დიდი სახელმწიფოების ენებს (რუსულს, ინგლისურს, ჩინურს...) ამჟამად ძნელად მიესადაგება ზედსართავი **ნაციონალური**, – გამაერთიანებლის როლს ამ სიტყვას ვერ აკისრებენ, როგორც ჩანს, **ნაციონალური**, ჩვეულებრივ, იხმარება შედარებით ცირივ ერთა და სახელმწიფოთა ენების, ეთნოგრაფიული ყოფისა და მისთ. შესახებ. დიდი ერების ენებისათვის კი უმეტესწილად თვით სათანადო წარმომავლობის სახელებს იყენებენ (რუსულს, **ინგლისურს**, **ჩინურს**...), ხოლო, თუ აქცენტრებულია, ეროვნულ-ნაციონალურ ასპექტთან ერთად, დემოკრატიული ასპექტიც, მაშინ სათანადო ეთნონიმის საზღვრულად სიტყვა **ხალხი** იხმარება (მაგ., **რუსი/ქართველი**... **ხალხის გენია**, **სიამაყე** და მისთ.). ქართულში წარმომავლობის სახელის ნაცვლად ხშირია I პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმის ხმარებაც: ჩვენი **ეროვნული სიამაყე** (საქმე და სხვ.).

მაგრამ, ვინაიდან ზედსართავებს, როგორც მსაზღვრელებს, ხშირად ეპითეტის ფუნქცია ეკისრებათ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ამ თვისების გამო ზედსართავებს შესწევთ უნარი ტერმინის ერთგვარი დეტერმინაცია. შდრ. ქართული ტერმინი **გონი** და შედარებით ტრიბილური ადრექტივი **გონიერი**, ინტერნაციონალური ტერმინი **აბსოლუტი** და მისგან ნაწარმოები **ზედსართავი აბსოლუტური** (ზმინსართი **აბსოლუტურად**), რომელიც თანამედროვე ქართულ (აგრეთვე რუსულ) სიტყვათხმარებაში თითქმის ორნამენტულად იქცა²⁶. ადარაფერს ვამბობთ სიტყვათა სემანტიკის რადიკალური ცვლილების შესახებ, რამაც შესაძლებელი გახადა ქრისტიანისაგან სათაკლო მნიშვნელობის **კრეტინის** მიღება (ფრანგულის ნიდაზგე²⁷ და ეს მაშინ, როცა ქართულში **ქრისტიანი** თავისი მნიშვნელობით ზოგიერთ სპეციფიკურ კონტექსტში უტოდდებოდა **ადამიანს** (ან **ნორმალურს**), ვთქვათ, ასეთ ფრაზაში: „გაიგონე, **ქრისტიანი** არა ხარ?“ (=ადამიანი, ნორმალური არა ხარ?). მაშასადამე, შესაძლებელია ერთი და იმავე წარმოშობის საერთაშორისო სიტყვები ემოციურ-ექსპრესიული ელფერის მიხედვით დაუპირისპირდეს კიდევ ერთმანეთს.

ზემოაღნიშნული თვალსაზრისით უფრო ნეიტრალური ჩანს ამოხვეალი სახელების – **მსახიობისა** და **არტისტის** მიმართება (აქტიური ამჟამად უკვე ანაქრონიზმადია ქვეული). ყოველ შემთხვევაში, გარდა პარალელური ხმარებისა, გვაქვს დისტრიბუციაც: **სახალხო არტისტი**, **დამსახურებული არტისტი** და სხვ. (არტისტში ნაგულისხმევაა სცენასა და ესტრადასთან დაკავშირებული სხვა შემოქმედიც – დირიჟორი, საცენტრალო მომღერალი, ინსტრუმენტალისტი... ევროპულ ენებში აქვე შემოდის მხატვარიც, მსახიობიც, მსახიობის კი ნაკლებ იგულისხმება, მეორე მხრივ, გვაქვს შეხამებები: **მსახიობის სახელი**, **მსახიობის ოსტატობა**, **გამოჩენილი მსახიობი**, **კინომსახიობი** და სხვ.

²⁶ სათანადო სიტყვა-სტატია (ნ. ციციტიშვილისა) იხ. ლექსიკონში „სიტყვა და კონტექსტი“: კრებ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წ. 7, 1985.

²⁷ The Merriam-Webster Book of Word Histories, New York, 1976, გვ. 46-47; St. Ullmann, დასახ. ნაშრ.,

რაც შეეხება ამ არსებით სახელთაგან ნაწარმოებ ადიექტურ ფორმებს, მათ შორის უფრო მეტი სხვაობა იჩენს თავს. შდრ.: **სამსახიობო ფაკულტეტი** და **არტიტული შესრულება** (ე. ი. ნამდვილი ხელოვანისათვის ნიშანდობლივი შესრულება). შდრ. აგრეთვე გალაკტიონისეული „**არტიტული ყვეაილება**“; ეს გამოთქმა არტიტული ხელოვნების მნიშვნელობით არის ნახშიარი. მაგრამ **სა - თ** აფიქსებით წარმოებისას არაიშვითად ვიღებთ აშკარა პერიფერიული, დიალექტური კოდორიტით შეფერილ ლექსიკურ ერთეულს. გაეისხნეთ, მაგალითად, ერთი ცნობილი ეპიზოდი ნ. დუმბაძის იუმორისტული მოთხრობიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, როცა ამ ოთხეულს ბჭობის საგნად გაუხდა ზურიკელას, ასე ვთქვათ, „პროფორიენტაციის“ საკითხი. ბებიას სურს მისი შვილიშვილი ექიმი გამოვიდეს, რათა მოხუც ბებიას მოუხროს; ილიკო იურისტობაში ხედავს მატერიალური კეთილდღეობის პერსპექტივას. ამ „სერიოზულ“ და „კრიტიკულ“ სიტუაციაში თავად დისკუსიის ობიექტი - ზურიკო ყველასათვის მოულოდნელად აცხადებს - მე **საარტიტოზე** მინდა შევიდეო, რითაც სახტად ტოვებს ახლოდებს²⁸. ცხადია, კომიკური ვეფქტი ამ ეპიზოდისა ძირითადად სიტუაციურია, მაგრამ მას უგზავნულად აძლიერებს და ამძაფრებს სიტყვიერი გამომსახველობაც; კერძოდ, სიტყვა **საარტიტო** (ნაკვლად **სამსახიობოსი**, რადგანაც მხოლოდ მას შეეხამება სახდერული ფაკულტეტი) ნიშანდობლივია, რომ ქართული ტრადიციული პრეფიქსურ-სუფიქსური წარმოებით გაფორმებული ინტერნაციონალიზმი - **საარტიტო** (რომელსაც მიუპოვება უფრო თანამედროვე ოდენსუფიქსური წარმოების ფორმაც - **არტიტული**), ერთდროულად პროვინციულობისა და ანაქრონიზმის შთაბეჭდილებას ახდენს და ფრახას დასავლურქართული სოფლის მეტყველების კოდორიტით აცოცხლებს²⁹.

ინტერნაციონალიზმების ამგვარ გამოყენებას მხატვრულ სტილისტიკაში და მის შესწავლას მეცნიერულ სტილისტიკაში სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს. ზემოთ მოყვანილი მაგალითი კი ცხადყოფს, რომ ე. წ. დუბლექტები გარკვეულ შემთხვევებში ნამდვილი სინონიმებით თვისებებით ხახიათდებიან - იდენტური საგნობრივი მიმართებითა და განსხვავებული ემოციური ელფერით ან გამოყენების სფეროს მიხედვით. და რაც უფრო ახაკონია ამგვარი დუბლექტური მიმართება, მით უფრო მოსალოდნელია ამ სხვაობის ზრდა. ამ მხრივ ჭკმარტებისაგან შორს არ უნდა იყოს სპეციალურ ლიტერატურაში არსებული შეხვედრება, რომ „ენაში სახეებით ერთნაირი, სიტყვათა მნიშვნელობების რაიმე ელფერით განსხვავებული სიტყვების არსებობა მხოლოდ მეტად მცირე ხნის განმავლობაშია შესაძლებელი“³⁰.

ზემოთქმული ერთგვარად ეხმარება სინონიმის საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის მიხედვით: „ეკვივალენტური (მნიშვნელობის მიხედვით) სიტყვები არ არსებობს. ერთმნიშვნელობიანი სიტყვები ლექსიკაში არსებობს... სასურველი იქნებოდა... იმ სხვაობათა გამოვლენა (შესაძლებლობის ფარგლებში), რომლებიც არსებობს ერთმნიშვნელობიანი სიტყვებს შორის არა მხოლოდ ემოციური შეფერვლობის მიხედვით, არამედ აზრობრივი შეხამებადობისა და სადერეჯაციო შესაძლებლობათა მიხედვითაც“³¹.

მართალია, ეს სიტყვები კერძოდ ინტერნაციონალიზმებისა და მათი ეროვნული ეკვივალენტების შესახებ არ თქმულა, - იგულისხმებოდა ზოგადად სინონიმები, მაგრამ წარმოდგენილი მასალის ჩვენება ამ გამონათქვამის განზოგადებას, ვფიქრობთ, ხელს არ შეუშლის.

28 ნ. დუმბაძე, მე, ბებია, ილიკო და ილარიონი, თბ., 1984, გვ. 71.
29 საინტერესოა, რომ აღნიშნული ნაწარმოების კინოფარანტში სიტყვიერი ვეფქტი გაძლიერებულია ბუბის მეტყველებაში სიტყვა „დოხტორის“ შემოტანით „ექიმის“ ადგილას. ინტერნაციონალიზმის - დოქტორის - დამახინჯებული და ამდენად „სერიოზულობას აცდენილი“ ფორმა ამ ეპიზოდის საერთო სტილისტიკას ორგანულად ერწყმის.
30 И. Р. Гальперин, Очерки по стилистике английского языка, М., 1958, გვ. 20.
31 არნ. ნიქობაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 180.

სინონიმურ სიტყვათა გამოყენებისათვის¹

სინონიმებს ერთი და იმავე ან მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვებს უწოდებენ². იგივეობისა თუ მსგავსების ნიშნის მიხედვით სინონიმთა ორ ჯგუფს გამოყოფენ: აბსოლუტურსა და რელატიურს (შეფარდებით).

აბსოლუტური სინონიმები ერთგვარი სახეობრივი მიმართების მქონე სიტყვებია. ისინი ფაქტობრივად სინამდვილის ერთსა და იმავე საგანსა თუ მოვლენას აღნიშნავენ. სინონიმთა ამ ჯგუფს საერთო-ერთნული ხმარების სიტყვათა გვერდით ენაში დამკვიდრებული დიალექტური (კუთხური) ლექსიკა და უცხოენობრივი ნასესხობანი ქმნის. ესენია: პაპა და ბაბუა, დიდდა და ბებია, თოკი და ბაწარი... ცდა და ექსპერიმენტი, მართლწერა და ორთოგრაფია, ენათმეცნიერება და ლინგვისტიკა...

რელატიური სინონიმები მსგავსი სახეობრივი მიმართების მქონე ლექსიკური ერთეულებია. ამ ჯგუფს მნიშვნელობის შირიფ ახლოს მდგომი სიტყვები ქმნის. მაგ.: შუღლი და მტრობა, სუფთა და წმინდა, ძლიერი და ღონიერი, ბევრი და მრავალი...

სინონიმურ სიტყვათა სიუხვე ენის ლექსიკური ფონდის სიმდიდრის უტყუარი ნიშანია. რაც უფრო დიდი და მრავალფეროვანია სინონიმურ სიტყვათა რიგი, მით უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს ენის მომხმარებელს თავიდან აიცილოს მეტყველების ერთფეროვნება, სათქმელის მავსიმადურ სიზუსტესა და გამომსახველობას მიადწიოს. მაგრამ, მეორე მხრივ, სინონიმურ სიტყვათა სიუხვე შეიძლება სემანტიკურად შეუფერებელ სიტყვათშეხამებათა გაჩენის წყაროდ გახდეს.

სიტყვათა სინონიმობა არ ნიშნავს მათი მნიშვნელობის იგივეობასა და, შესაბამისად, კონტექსტში ურთიერთინაცვლების სრულ თავისუფლებას. როგორც შენიშნავენ, სავსებით ერთნაირი მნიშვნელობის მქონე ორი სიტყვა ენაში ფაქტობრივ არ არსებობს. სინონიმური სიტყვები ერთმანეთისაგან, ჩვეულებრივ, გამოყენების სფეროთი, შინაარსობრივი ნიუანსით, სტილისტიკურ-ემოციური შეფერილობით ან სხვა სიტყვებთან სემანტიკური შესამებადობის სხვადასხვა უნარით გამოიარჩევა. ეს სხვაობა ზოგჯერ ნაკლებ საგრძობობია, ზოგჯერ კი — აშკარა და გამოკვეთილი. განსხვავება სინონიმურ სიტყვებს შორის განსაკუთრებით ხელშესახებად მათი ხმარებისას წარმოჩნდება.

მაგალითად, ბებია და ბაბუა, რომლებიც სალიტერატურო ენაში დასავლური დიალექტური ნაკადის შემონატანია, ბოლო დროს ნეიტრალურ სიტყვათხმარებაში იმკვიდრებს ადგილს, ხოლო დიდდა და პაპა მაღალფარდოვნების სტილისტიკურ ნიუანსს იძენს.

სხვა მაგალითი: ენათმეცნიერება და ლინგვისტიკა დღეს თანაბრად გავრცელებული სინონიმური წყვილებია — ერთი ქართული, ხოლო მეორე იმავე მნიშვნელობის მქონე ინტერნაციონალური სიტყვაა. თანამედროვე სალიტერატურო ენაში ბუნებრივად მიიჩნევა ამ სიტყვებით შედგენილი ისეთი ურთიერთგამომრიცხველი შესიტყვებები, როგორიცაა ზოგადი ენათმეცნიერება, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება, მაგრამ: მათემატიკური ლინგვისტიკა, სტრუქტურული ლინგვისტიკა. შესიტყვების წვერთა თვითნებური ჩანაცვლება ამ შემთხვევაში ენობრივ ტრადიციას დაარღვევდა და სტილისტიკური შეცდომის წყარო გახდებოდა.

ერთი და იმავე ან მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვიდან — სინონიმებიდან კონტექსტისათვის ერთადერთი და მარჯვე სიტყვის შერჩევა აუცილებელი პირობაა იმისა, რომ სათქმელი ნათლად და ზუსტად იქნეს გადმოცემული.

წერილის მიზანია ზოგი სინონიმური სიტყვის ურთიერთმიმართებათა დადგენა, მათთვის ბუნებრივი და არაბუნებრივი კონტექსტების წარმოჩენა და, შესაბამისად, მათი გამოყენებისას ენაში არსებულ სტილისტიკურ დარღვევათა თავიდან აცილება. ეს სიტყვებია, ერთი მხრივ, პედა-

¹ ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1-2, 1985.
² სინონიმების შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 188-189; ბ. ფონ-ხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 29-36; ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1981, გვ. 28. М. Н. Кожина, Стилистика русского языка, М., 1983, გვ. 112-120.

გოგი - მასწავლებელი, ხოლო, მეორე მხრივ, მოსწავლე - მოწაფე - შეგირდი.

აქლავობი - მასწავლებელი

პედაგოგი და მასწავლებელი სინონიმებია. პედაგოგი წინაშეა გაერცვლებული საერთაშორისო ხმარების სიტყვაა, ინტერნაციონალიზმია, ხოლო მასწავლებელი - მისი ქართული შესატყვისი. ორივე სალიტერატურო ენის კუთვნილებაა, ოღონდ ერთს გამო, რომ მათი მნიშვნელობები მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს, მათი უმთავრესი განსხვავება კონტექსტში შეზღუდულია. ყურადღებას იქცევს ასევე ის ფაქტი, რომ ეს სიტყვები განსხვავებულ უნარს ავლენენ სიტყვარმოებისა და სიტყვათშეხამებადობის თვალსაზრისით.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, პედაგოგი არის მასწავლებელი, აღმზრდელი; მასწავლებელი კი - სპეციალური განათლების მქონე პირი, რომელიც სკოლაში რაიმე საგანს ასწავლის (არაფერს ვამბობთ ამ სიტყვათა სხვა, განსხვავებული მნიშვნელობების შესახებ. ქვემოთ მხოლოდ მოყვანილი, სინონიმური მნიშვნელობის შესახებ იქნება მსჯელობა).

მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგში საერთოდ აღმზრდელის სემანტიკაა წინ წამოწეული, ხოლო მასწავლებელში კი - სულიერი მოძღვრისა, თანამედროვე ქართულში ეს ორი სიტყვა ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება. პედაგოგია და მასწავლებელიც არის აღზრდისა და სწავლების მეცნიერულ თეორიას დაუფლებული პირი, რომელიც რაიმე სპეციალურ საგანს ასწავლის სკოლაში და, ამასთანავე, მოზარდის ფიზიკურ და ზნეობრივ აღზრდასაც ხელმძღვანელობს. სწორედ ამ ზოგადი მნიშვნელობით პედაგოგი და მასწავლებელი კონტექსტში თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს. დაუბრკოლებლად შეიძლება ითქვას, როგორც: სწმი თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს. დაუბრკოლებლად შეიძლება ითქვას, როგორც: ეს კაცი პედაგოგია, ისე ეს კაცი მასწავლებელია; როგორც: ეს კაცი კარგი, ცუდი პედაგოგია, ისე ეს კაცი კარგი, ცუდი მასწავლებელია. ამგვარად ჩანაცვლება სინონიმური პედაგოგ-და მასწავლებელ-სიტყვებისა არც კონტექსტის მნიშვნელობას ცვლის და არც მის სტილისტიკურ შეფერილობაზე ახდენს რაიმე გავლენას.

ერთი და იმავე მნიშვნელობით შეიძლება ჩანაცვლოს ერთმანეთს აგრეთვე ნასახელარი ზმნები პედაგოგობს და მასწავლებლობს, თუმცა პირველის გამოყენების არე ენაში ძალზე შეზღუდულია, მეორე კი თავისუფლად იხმარება.

პედაგოგისაგან განსხვავებით, მასწავლებელს შეიძლება დამატებაც ახლდეს იმ საგნის, სასწავლო დისციპლინის სახელწოდების სახით, რომელსაც იგი ასწავლის. მაგალითად, ქართულისათვის ბუნებრივი შესიტყვებებია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მათემატიკის მასწავლებელი, ფიზიკის, სიმღერის, ცეკვის, მუსიკის... მასწავლებელი (სიტყვა მასწავლებლის ამ სინტაქსურ უნარს ფუძის - ასწავლის ზმნის - სემანტიკა განსახლერავს: ასწავლის წერას, კითხვას, სიმღერას, მათემატიკას...).

ესეთ კონტექსტებში, რომლებშიც საჭიროა საგნის, სასწავლო დისციპლინის დასახელება, შესიტყვების წვერად არ შეიძლება სიტყვა პედაგოგის გამოყენება, მართებულ შესიტყვებას მხოლოდ მასწავლებელი შექმნის. არ შეიძლება ითქვას: ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, მუსიკის... პედაგოგი; უნდა ითქვას: ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, მუსიკის... მასწავლებელი.

როცა კონკრეტული საგანი (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ფიზიკა, მუსიკა) დასახელებული არ იქნება (ამ დროს წინა პლანზე ზოგადად ამა თუ იმ პირის პროფესია, საქმიანობაა წამოწეული), მაშინ, ზემოთქმულის თანახმად, პედაგოგი და მასწავლებელი ერთმანეთს თავისუფლად ჩანაცვლება: ის პედაგოგია, ის პედაგოგია, ის მასწავლებელია.

პედაგოგთა წრეში ამ შეზღუდვებს არ ითვალისწინებენ. პედაგოგს, რომელსაც უცხოურობის შერანება გარკვეულ სტილისტიკურ-მორცხურ შეფერილობას სძენს, მაღალფარდოვან და პრესტიჟულ სიტყვად მიიჩნევენ და მას ძველ, ტრადიციულ სიტყვა მასწავლებელით შედარებით უპირატესობას ანიჭებენ. ამიტომ აფართოებენ მისი მოხმარების სფეროს და, ნებისთ თუ უნებლით, ისეთი უმართებულ სიტყვათშეხამებების გაერცვლებას უწყობენ ხელს, როგორც: საგნის პედაგოგი, მუსიკის პედაგოგი, ინგლისური ენის პედაგოგი, ბოტანიკის პედაგოგი, მეტიც: ფიზიკულურის პედაგოგი!

განსახლერული წრის ზეპირი მეტყველებიდან ეს პროცესი საზოგადოების უფრო ფართო ფენებშიც შეიჭრა. მისმა გამოხატვამ ბეჭდურ გამოცემებშიც იმინა თავი. მაგ.: „სწორედ

ამან უკარნახა 55-ე საშუალო სკოლის ინგლისური ენისა და ლიტერატურის პედაგოგს ლიანა მაკარაშვილს გაკეთილის ახალი ფორმა". ნაცვლად გამოთქმისა ინგლისური ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, უნდა ყოფილიყო: ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; „ეს არის მაიას დედა, ქალბატონი ნელი, რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ნებისყოფიანი და ენერგიული ქალი“. რუსული ენისა და პედაგოგის ნაცვლად უნდა ყოფილიყო: რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ან: განათლებით, პროფესიით პედაგოგი; „ამ სიტყვებს ხშირად უმეორებს მოსწავლეებს თბილისის №1 საშუალო სკოლის ბოტანიკის პედაგოგი ციალა შოშიაშვილი“. ბოტანიკის პედაგოგის ნაცვლად უნდა ყოფილიყო: ბოტანიკის მასწავლებელი; „მასზე მალა აყენებენ მეორე სკოლის ფიზკულტურის პედაგოგს“. ფიზკულტურის პედაგოგის ნაცვლად უნდა ყოფილიყო: ფიზკულტურის მასწავლებელი.

ის სემანტიკური სხვაობები და შეზღუდვები, რომლებიც პედაგოგისა და მასწავლებლის გამოყენებას ახლავს, ნაწარმოებ სახელებთან კიდევ უფრო წარმოჩნდება.

სამეცნიერო და სასკოლო მუშაობის სფეროს ამსახველ ტერმინოლოგიას ძირითადად პედაგოგ-ფუძით შედგენილი სახელები და შესიტყვებები ქმნის.

პედაგოგ-ფუძისაგან არის ნაწარმოები პედაგოგიური და პედაგოგიკა (მეცნიერება აღზრდის, განათლებისა და სწავლების შესახებ). ეს უკანასკნელი (პედაგოგიკა) უდევს საფუძვლად პედაგოგიკურს.

პედაგოგიური შეიძლება იყოს ნიჭი, უნარი, საქმიანობა, მოღვაწეობა, მუშაობა, მიდგომა, საბჭო, კოლექტივი, ინსტიტუტი, პრაქტიკა, კაბინეტი (სათანადო შესიტყვებათა გვერდით იხმარება შემოკლებული ფორმები: პედსაბჭო, პედკოლექტივი, პედინსტიტუტი, პედპრაქტიკა, პედკაბინეტი); პედაგოგიკური შეიძლება იყოს ლიტერატურა, მეცნიერება – მასწავლებელთათვის განკუთვნილი ოთახი სკოლაში. სიტყვა სამასწავლებლო, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ პედაგოგიურის მნიშვნელობით იხმარებოდა, მოძველებულია და თანამედროვე ქართულში აღარ გვხვდება. დღეს სამასწავლებლო ინსტიტუტს არაფერ იტყვის³. ამ დანიშნულებით მოსახმარი ერთადერთი და გაბატონებული შესიტყვება პედაგოგიური ინსტიტუტია.

კრებითი მნიშვნელობით იხმარება მასწავლებლობა (მაგ: სოფლის მასწავლებლობა). იგივე მნიშვნელობა აქვს პედკოლექტივს, რომელიც მასწავლებლობის ხარჯზე იფართოებს გამოყენების სფეროს.

სიტყვა მასწავლებელი იღებს მონაწილეობას ისეთ მყარ შესიტყვებებში, როგორცაა სოფლის მასწავლებელი, პრაქტიკოსი მასწავლებელი, მასწავლებლის დღე, დამსახურებული მასწავლებელი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი. მასწავლებელი გვხვდება აგრეთვე საკუთარ სახელთან ერთად როგორც ნეიტრალურ სიტყვათხმარებაში (ნინო მასწავლებელი, თამარ მასწავლებელი), ასევე მიმართვის დროს (ნინო მასწავლებელი! თამარ მასწავლებელი!). გაერცვლებულია მასწავლებლის მონაწილეობით შედგენილი მიმართვის სხვა ფორმებიც: პატივცემულო მასწავლებელი! ბატონო მასწავლებელი! (ეს უკანასკნელი იხმარებოდა რევოლუციამდელ მეტყველებაში).

მოსწავლე – მოწაფე – შვირილი

მოსწავლე და მოწაფე სინონიმებია; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით მოსწავლესა და მოწაფეს ერთმანეთთან ასეთი შინაარსობრივი მიმართება აქვთ: მოსწავლე არის ის, ვინც სწავლობს საშუალო ან უმაღლეს სასწავლებელში (მოწაფე ან სტუდენტი); მოწაფე დაწვევით ან საშუალო სკოლის მოსწავლეა, სტუდენტი – უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე. ამ თვალსაზრისით საინტერესო ვითარებას გვიქმნებს აგრეთვე ს. ი. ოქულოვის რუსული ენის ლექსიკონი: Учащийся – ученик, студент, Ученик – тот кто учится в школе; Сту-

³ სხვათა შორის, ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ს. ხუნდაძე საოსტატო ინსტიტუტის და საოსტატო სემინარიის ნაცვლად სამასწავლებლო ინსტიტუტისა და სამასწავლებლო სემინარიის დამკვიდრებას მოითხოვდა (იხ. მ. იხ. ი., ქართული მართლწერისა და სწორების ძირითადი საფუძვლები, ქუთაისი, 1927, გვ. 39).

дент – учащийся высшего учебного заведения.

წარმოდგენილ განმარტებათა შესაბამისად მოსწავლედ ითქმის ყველა, ვინც სწავლობს. მაგრამ იმის მიხედვით, თუ სად სწავლობს, იგი შეიძლება იყოს მოწაფე (ე. ი. საშუალო სკოლის მოსწავლე) ან სტუდენტი (ე. ი. უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე). მოსწავლე учащийся ფართო მნიშვნელობის მქონე ცნებაა და იგი მოწაფესაც მოიცავს და სტუდენტსაც (მაგალითად, გამოთქმა მოსწავლე ახალგაზრდობა აერთიანებს ყველას, ვინც სწავლობს).

1) თანამედროვე ქართულში სიტყვა მოსწავლის გამოყენებასთან დაკავშირებით რამდენიმე განსხვავებული ვითარება შეინიშნება. მოსწავლის სემანტიკა საგრძნობლად დაივიწყოდა და, იშვიათი გამოწაკლისის გარდა, იგი მხოლოდ მოწაფის მნიშვნელობით იხმარება, ამასთან, არა როგორც მისი სინონიმი, არამედ როგორც ერთადერთი და მართებული სიტყვა. სასკოლო ცხოვრების ამსახველ დოქსიკაში ბუნებრივი და ვაბატონებული შესიტყვებებია: სკოლის მოსწავლე, კლასის მოსწავლე, მოსწავლეთა აღრიცხვის ეურნალი, მოსწავლეთა სია, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლის ფორმა, მოსწავლის ჩანთა, მოსწავლის დღიური, მოსწავლეთა არდადეგები, მოსწავლეთა სასახლე და სხვ. ამ შესიტყვებებში მოსწავლის ნაცვლად მოწაფის ხმარება დღეს ანაქრონიზმად აღიქმება.

მოწაფე აქა-იქაა შეიშინა. მაგ.: მასწავლებლები და მოწაფე; დამოკიდებულება, ურთიერთობა მასწავლებლისა და მოწაფისა; ყოფილი მოწაფე; მოწაფური ხელი (ითქმის გაუწაფავი ხელის შესახებ); მოწაფური პასუხი, მოწაფური მიდგომა საკითხისადმი (ივარაუდება დამოუკიდებლობას, შემოქმედებით აზრს მოკლებული პასუხი, მიდგომა); ნამოწაფარი; მოწაფეობის-დროინდელი; მოწაფეობის წლები.

დასახელებულ მაგალითებში მოწაფის პოზიცია ერთნაირად მყარ არ არის. მაგალითად, მოწაფური ხელი, მოწაფური პასუხი, მოწაფური მიდგომა (საკითხისადმი), უკვე მეტაფორულად მნიშვნელობის მქონე მყარი ფარესულოლოგიური ერთეულებია. აქ მოწაფის შეცვლა მოსწავლით მოსალოდნელი არ არის; არ იხმარება ნამოსწავლარი, სამაგიეროდ ზეპირსა თუ წერით მეტყველებაში ფართოდ გავრცელებულია ყოფილი მოსწავლე; გამოთქმის მასწავლებელი და მოსწავლე შევიწყობის ხარჯზე გამოყენების არეს იფართოვებს მასწავლებელი და მოწაფე (როგორც ჩანს, გარკვეულ როლს ასრულებს ფსიქოლოგიური მომენტი – ერთ სემანტიკურ ლერძზე საერთო ძირის მქონე სიტყვების განლაგება ხდება. შდრ.: ასწავლის – მასწავლებელი – მოსწავლე. უძველესი ქართული სიტყვა მოწაფე კი თითქოს ამოფარდნილია ამ სიტყვმადან).

მიზანშეწონილი არ არის სიტყვა მოსწავლის ხმარება ასეთ წინადადებებში: „მისი ყოფილი მოსწავლეები (ავლობდა: მოწაფეები) მისი მადლით წარმართავდნენ დღევანდელ ცხოვრებას“; „ახლა ჩვენი ყოფილი მოსწავლეები (ავლობდა: მოწაფეები) დიდი ცხოვრების გზას დაადგენენ“; „სპეციალურ ცოდნასთან ერთად ე. სისხარულიძე მოსწავლეებს (ავლობდა: მოწაფეებს) უნერგავდა მაღალმოქალაქეობრივ ჩვეულებს“.

2) ხუმროთ დასახელებულს გარდა მოწაფეს სხვა მნიშვნელობებიც აქვს. სიტყვა მოსწავლე ცდილობს მოწაფის სხვა მნიშვნელობათა ხარჯზედაც გაიფართოს გამოყენების სფერო, რაც არ არის სასურველი.

ერთ-ერთი მნიშვნელობით მოწაფე არის ვისიმე მოძღვრების ან პრაქტიკული საქმიანობის მიმდევარი, გამგრძობელი; ვინც ვისიმე ხელმძღვანელობით დაეუფლა რასმე. მაგ.: დიმიტრი უზნაძის მოწაფე (მოწაფეები), ივანე ბერტაშვილის მოწაფე (მოწაფეები), აკაკი შანიძის მოწაფე (მოწაფეები) და სხვ.

დასახელებული მნიშვნელობით მოსწავლის ხმარება დაუშვებელია. არ შეიძლება ითქვას დიმიტრი უზნაძის მოსწავლე, აკაკი შანიძის მოსწავლე და, მით უმეტეს, პითაგორას მოსწავლე. მოვიყვანო მოსწავლის უმართებულოდ ხმარების შემთხვევებს: „მეველი ბერძენი მათემონიკოსი პითაგორა და მისი მოსწავლეები სწავლობდნენ რიცხვთა გაყოფადობის საკითხებს“; „ამას, როგორც ჩანს, მქონდა ის მოქალაქეობრივი გრძნობა, რომელიც აუცილებელია ყოველი საქმის წინსვლისათვის – მოსწავლისათვის გზის დროულად დათმობა“; „– თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში აღარ ასწავლით, ხომ? – არა. უკვე თეატრის საბავლეო დასთან ვმუშაობ. მიხარია, რომ ბუკინ ჩემი მოსწავლის გუყვარობს ისე მიწვეს მეცადინება“.

დასახელებულ წინადადებებში მოსწავლის (მოსწავლეების) ნაცვლად მნიშვნელობის თვალსაზრისით მართებული მოწაფე (მოწაფეები) უნდა ყოფილიყო.

3) მოწაფე კიდევ ერთი, შეგირდის მნიშვნელობითაც იხმარება. შეგირდი სპარსულიდან ნასესხები სიტყვაა და ნიშნავს მოსწავლეს, რომელიც რაიმე ხელობას სწავლობს ხელოსანთან, ოსტატთან. ამ მნიშვნელობით მოწაფე და შეგირდი სინონიმური სიტყვებია.

ბოლო დროს შეინიშნება მოწაფისა და შეგირდის მნიშვნელობით სიტყვა მოსწავლის გამოყენების შემთხვევები. მაგ.: „ზეინკლის მოსწავლე თვეში 71,35 მანეთს იღებდა“. ზეინკლის მოსწავლის ნაცვლად ზეინკლის მოწაფე ან: შეგირდი უნდა ყოფილიყო; „სურათზე ოსტატი ი. ჯანიაშვილი მოსწავლეებთან“. უნდა ყოფილიყო: ოსტატი ი. ჯანიაშვილი მოწაფეებთან ან შეგირდებთან; „ზეინკალმა და მისმა მოსწავლემ (უნდა ყოფილიყო: მოწაფემ ან: შეგირდმა) დაამზადეს 1200 დეტალი. მოსწავლემ (უნდა ყოფილიყო: მოწაფემ ან: შეგირდმა) დაამზადა დეტალების 30%“.

მეორე მხრივ, მოწაფესა და შეგირდს შორის შინაარსობრივი სხვაობაც არსებობს. კერძოდ: მოწაფედ ითქმის ყველა, ვინც ვისიმე ხელმძღვანელობით ეუფლება რასმე – მეცნიერებას, ხელოვნებას, სპორტს, ხელობას... სრულყოფს თავის ცოდნას, ოსტატობას მეცნიერების, ხელოვნების ამა თუ იმ დარგში, სპორტის ამა თუ იმ სახეობაში. შეგირდი მხოლოდ ხელობას სწავლობს. ამიტომ ბუნებრივია, რომ მისი მოხმარების სფერო სიტყვა მოწაფესთან შედარებით შეზღუდული იყოს. მაგრამ თანამედროვე ქართულში არის ცდა შეგირდის ერთგვარი სტილისტიკური მადლაფარდოვნების ნიუანსით შეფერვა-გაცოცხლების და, შესაბამისად, მისი გამოყენების არის გაფართოებისა. როცა სიტყვის ამგვარი გამოყენება კონტექსტური საჭიროებით არ არის გამართლებული, ე. ი. ნეიტრალური სიტყვათხმარებისას, მოწაფის (ან აღზრდილის) ნაცვლად შეგირდის გამოყენება გამართლებულად ვერ ჩაითვლება. მაგალითად, არ ივარგებს: „ნიკო მუსხელიშვილის შეგირდებმა მტკიცე საფუძველი შეუქმნეს ქართულ მათემატიკურ სკოლას“...

როგორც განხილული შემთხვევებიდან ჩანს, სინონიმურ სიტყვებს ერთმანეთთან მეტ-ნაკლები შინაარსობრივი სიახლოვე აკავშირებს – შესაბამისად, კონტექსტში მათი ცვლის მეტ-ნაკლები შესაძლებლობები არსებობს. უნდა გვახსოვდეს, რომ ორი საეხეობით ერთნაირი მნიშვნელობის მქონე სიტყვა ენაში არ მოიპოვება. მსგავსება და კონტექსტში ურთიერთნაცვლების შესაძლებლობა აბსოლუტურ იგივეობას არ ნიშნავს. სიტყვის გამოყენებისა და სხვა სიტყვებთან შესაბამადობის ფარგლები, ჩვეულებრივ, განსაზღვრულია. ამ საზღვრების გაფართოება სიტყვის გამოყენების მიღებულ წესებს არღვევს და სტილისტიკური ხასიათის შეცდომებს იწვევს. შეცდომები რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა საფუძვლიანად დავეუფლოთ მშობლიურ ენას – მის მდიდარ ლექსიკასა და გრამატიკულ წყობას.

კვლევა სიტყვათა შერჩევისათვის¹

საკითხი ეხება სიტყვათა ურთიერთობის ერთ შემთხვევას, კერძოდ, როდესაც შეუფერებელი სიტყვათშეხამების წარმოშობის მიზეზი ხდება მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა არასწორი გასინონიმების საფუძველზე ამ სიტყვათა თავისუფალი ჩანაცვლება მოცემულ კონტექსტში.

ასეთი ჯგუფები მრავალია და ისინი ერთი ტიპის სტილისტიკურ დარღვევათა წრეს ქმნიან. სინიმუშოდ განვიხილოთ **დაზარალება**, **დაშავება**, **დაზიანება** სიტყვების სემანტიკა.

დაზარალება ნიშნავს ზარალი მოუვა, დაეკარგება, დააკლდება (ფული, ქონება), დაეზოცება (ხალხი, საქონელი) გაფუჭდება, დაზიანდება².

დაშავება (დააშავებს, დაშავდება) იხმარება დანაშაულის, რაიმე ცუდის ჩადენის, საქმის წახდენის, გაფუჭების აღსანიშნავად (მაგალითად, „ბავშვმა რა დააშავა?“). იგი გამოიყენება აგრეთვე ფიზიკური დაზიანების, ტყენის, დასახინრების, გახეობრების მნიშვნელობით. დაშავებული ისაა, ვინც ან რაც დააშავეს ან დაშავდა. აგრეთვე – ფიზიკურად დაზიანებული, ნატყენი, დასახინრებული.

მსგავსი შინაარსი აქვს აგრეთვე **დაზიანებას**. იგი ნიშნავს ზიანის მიყენებას, გაფუჭებას, წახდენას, რაიმე დაუადგილთ ან სხვა მიზეზით დაშავებას, წახდენას (სხეულის რომელიმე ნაწილისა). მაგ., მხედველობის დაზიანება.

მაშასადამე, ამ სამი სიტყვის მნიშვნელობებისათვის საერთოა **წახდენა**, **დანაკარგი**, მაგრამ განსხვავებაც თვალსაჩინოა:

ზარალი, **დაზარალება** მატერიალურ დანაკარგს გულისხმობს, **დაშავება** – სულიერ საგანთა გარეგანი ორგანოების ტრამული ენება, ფიზიკური ტყენა, დასახინრებაა. მაგალითად, ხელის, ფეხის, თავის... დაშავება. ხოლო შინაგან ორგანოთა ტრამული ენება და ასევე უსულო საგანთა ყოველგვარი ენება, წახდენა – **დაზიანება** იქნება. მაგალითად, კუჭის, ღვიძლის დაზიანება, ვენახის დაზიანება, სახლის დაზიანება და ა. შ.

რამდენადაც სამივე აღნიშნული ზმნა გარკვეულ ენებასთან, დანაკარგთან არის დაკავშირებული, თანამედროვე ქართულში შეიქმნა კიდევ ერთგვარი საფუძველი მათი სინონიმური გამოყენებისა და ამ გზით კონტექსტებში ურთიერთჩანაცვლებამ მოგვცა უმართებულო შესიტყვების მაგალითები. ირევა, ერთი მხრივ, **დაზარალებისა** და **დაშავების**, **დაზარალებისა** და **დაზიანების** და, მეორე მხრივ, **დაშავებისა** და **დაზიანების** მნიშვნელობები.

1. **დაზარალება** (დაზარალებული) – **დაშავება** (დაშავებული). დაზარალება – დაზარალებულისა და დაშავება – დაშავებული – შეძველ უმართებულო შესიტყვებათა წარმოშობის საფუძველი ამ სიტყვათა სინონიმებად გაგებაშია საძიებელი, თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ სინონიმებად მივიჩნევდით, ისინი თავისუფლად მაინც ვერ ჩაენაცვლებოდნენ ერთმანეთს ყველა კონტექსტში.

სინონიმები, როგორც ცნობილია, ერთი მნიშვნელობის, ე. ი. ერთგვარი საგნობრივი მიმართების მქონე სიტყვებია, მაგრამ სინონიმურ სიტყვათა ურთიერთობის შესწავლისას, მათი ურთიერთშეხამებადობის და სტილისტიკური ფუნქციის გარკვევისას გასათვალისწინებელია ამ სიტყვათა არა მხოლოდ ერთმანეთთან მიმართება, არამედ მიმართება აგრეთვე იმათთან, რის აღსანიშნავადაც ეს სიტყვები გამოიყენება და იმათთან, ვინც ამ სიტყვებს იყენებს³.

დაზარალებულსაც და **დაშავებულსაც** მსგავსი საგნობრივი მიმართება აქვთ. ესაა დანაკარგი, ენება. ამასთან, ორივე შინაარსი, როგორც წესი, სულიერს უკავშირდება. სწორედ დანაკარგის ზოგადი ხასიათი და ამ დანაკარგის ერთნაირი კონტექსტური მიმართება **დაზარალებულსა** და **დაშავებულს**, ერთი შეხედვით, სინონიმებად ახასიათებს, მაგრამ რამდენადაც ამ სიტყვების სემანტიკაში გარჩეულია აგრეთვე დანაკარგის, ენების ფორმა, სახე, ხასიათი,

¹ ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, N1-2, 1985.
² განმარტებისას ვყვრდნობით „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს“.
³ ბ. ფონსიკა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 31-32.

შინაარსის ამ ნიუანსის უგულვებლყოფას და ამ სიტყვათა თავისუფალ, შეუზღუდავ კონტექსტულურ ურთიერთშინაცვლებას ხშირად სტილისტურ შეცდომამდე მივყავართ. ამ სიტყვათა მოწყვეთითი სინონიმობა და, ამის საფუძველზე, მათი აღრვეის საშიშროება რუსულის გაგვლენას უნდა მიეწეროს.

ქართული **დაზარალებულისა**, **დაზიანებულისა** და **დაშავებულისა** შესატყვისად რუსულში არის **пострадавший**. ასევე, **пострадать** ითარგმნება როგორც: **დაზარალება**, **დაშავება**, **დაზიანება**. იმის მიხედვით, ვინაა სულიერს უკავშირდება თუ უსულოს, ქართული ასე ანაწილებს ამ სიტყვებს: **სულიერთან ზარალია ან დაშავება**, **უსულოსთან ზიანი**: **Они пострадали от наводнения** – ისინი წყალდიდობამ დააზარალა, მაგრამ: **Дом пострадал от землетрясения** – სახლი მიწისძვრამ დაზიანა⁴. ასევე **Пострадать на войне** – ომში დაშავება⁵.

რუსული **повреждение**-ც ითარგმნება როგორც **დაზიანება**, ასევე **დაშავებდა**. **Повреждение телефонной кабели** – ტელეფონის კაბელის დაზიანება, **Повреждение кости** – ძვლის დაზიანება, **დაშავება**, **Повредить ногу** – ფეხის დაშავება⁶.

მაშასადამე, რუსული ვერ განარჩევს ვერც იმას, ვის თუ რას მოსდის ზარალი, ვნება, – სულიერსა თუ უსულოს – და ვერც ამ ვნების, ზარალის ხასიათს, – მატერიალურია იგი, ფიზიკური თუ მორალური. საავტომობილო ავარიასა ან კატასტროფაში დაშავებულიცა და ქურდისაგან დაზარალებულიც რუსულად **пострадавший** (человек) იქნება. ამიტომაც რუსული **пострадавший**-ის შესატყვისი ქართული **დაზარალებული**, **დაშავებული** და **დაზიანებული** ერთ სინონიმურ ჯგუფში მოექცა. სწორედ ამ ფაქტს უნდა შეეწყო ხელი იმისათვის, რომ თანამედროვე ქართულში განჩნდნენ ტენდენცია, სიტყვა **დაზარალებული** სამივე შინაარსი გამოხატულიყო. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგ შემთხვევაში ვნება შეიძლება იყოს სამივე სახისა: მატერიალურიც, ფიზიკურიც და მორალურიც. რამდენადაც **ზარალი** უფრო ფართო სემანტიკური წრის მომცველია, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება **დაზარალება**, **დაზარალებული**. შერ. მაგალითად: „ამაშისტოლა კაცო შეობუჭის, გასაღებები წაადგოჯეს და ძუიფასეულის ძებნას შეუდგენენ, მიაგნეს მსუბუქი მანქანის საყიდლად შეგროვილ ფულს და სხვა ნივთებს. ნაწამებმა ადამიანმა ძლივს გაითავისუფლა შეგროვილი ხელ-ფეხი და მომხდარი ამბავი სამსახურში შეუღლებ აცნობა, **დაზარალებული** სასწრაფო დახმარების მანქანით სავადმყოფოში გადაიყვანეს“.

მატერიალურ დანაკარგზეა საუბარი და, მაშასადამე, მართებულადაა გამოყენებული სიტყვა **დაზარალებული** ამ წინადადებაში: „მოპარული ინდაურები დაუბრუნდა **დაზარალებულ** მამუჩარაშვილს“. მაგრამ თუ ზარალი მატერიალური კი არ არის, არამედ ფიზიკურ ტრავმას გულისხმობს, ქართულში მას **დაშავებული** შეესაბამება და არა **დაზარალებული**. უკანასკნელ ხანს კი სასამართლო-სამედიცინო კრიმინალური ინფორმაციების მოძალებასთან დაკავშირებით გააქტიურდა **დაზარალებულის** შემცველი უმართებულო შესიტყვეობა. მაგალითად:

„გაძწურულმა გოგომ ღვინით გალემული წულაძე საავადმყოფოში მოათავსეს“; „ეს შემთხვევა აშკარად დაუდევრობის გამო მოხდა, ამასთან ბრალი ორივეს – მოფერსაც და **დაზარალებულსაც** მიუძღვოდა“; „ორ ნაბიჯზე იპოვნა პირველ დავარდნილი და ნახევრად ჩაძირული ადამიანი, ზრუნვით გადააბრუნა და წამოყენება სცადა, მაგრამ **დაზარალებული** სიცოცხლის ნიშან-წყალს არ ამჟღავნებდა“; „ნიუ-იორკის ერთ-ერთ ქუჩაზე მას მანქანა დაეჯახა. **დაზარალებული**, რომელსაც ფეხი ჰქონდა მოტეხილი, საავადმყოფოში მოათავსეს“.

ყველა აღნიშნულ შემთხვევაში **დაზარალებულის** ნაცვლად უნდა ეხმარათ **დაშავებული**.
2. **დაზარალება**, **ზარალი-დაზიანება**, **ზიანი**, **დაზარალება**/**ზიანისა** და **დაზიანება** / **ზიანის** შინაშედილობები მაშინ ირვე ერთმანეთში, როდესაც ობიექტი, რომელსაც ვნება მოხდის, უსულოა. ამასთან, თუ **დაზარალებისა** და **დაშავების** უმართებულო გამოყენების შემთხვევები ცალმხრივი მიმართებისაა (ე. ი. ეკაქეს **დაზარალება** და **დაშავების** ნაცვლად, ხოლო საპირისპირო მოუ-

⁴ რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1983.

⁵ რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 1958.

⁶ რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1983

ლენა არ გეგვდება), დაზარალება-დაზიანების, ზარალი-ზიანის აღრევის შემთხვევები ორმხრივია.

დაზარალება გამოყენებული **დაზიანების** ნაცვლად ამ წინადადებაში: „საშურში ვაზს ზამთრობით მარხავენ მიწაში, რათა ყინვამ არ დაზარალოს“. ვინაიდან ამ წინადადებაში საუბარია იმაზე, რომ ვაზის დაზიანების გამო ვაზმა შეიძლება კარგად ვერ გამოისხას ყურძენი, რის შედეგადაც მევენახე მატერიალურად დაზარალდება, მაგრამ ვინაიდან ამ წინადადებაში საუბარია ვაზის დაზიანებაზე და არა მევენახის ზარალზე, ამიტომ სწორი იქნებოდა ასე თქმულიყო: „საშურში ვაზს ზამთრობით მარხავენ მიწაში, რათა ყინვამ არ დაზიანოს“.

მეორე მხრივ, **ზიანია** გამოყენებული **ზარალის** ნაცვლად შემდეგ წინადადებაში: „ტყეში ერთი გარეული ტახია, რომელიც დიდ ზიანს აყენებს ქვეყანას“. ადგილ **ზიანი** მიადგა მოსახლეობის საკარმიდამო მეურნეობებს“. გარეული ტახი ქვეყანას, ხალხს **ზარალს** აყენებს და არა **ზიანს**. ასევე ადგარი აფუჭებს, აზიანებს ხასოფლო-სამეურნეო კულტურებს, რის შედეგადაც მეურნეობა **ზარალდება**. **ზიანი** და **ზარალი** ერთგვარი მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. **ზიანის** შედეგი ხშირ შემთხვევაში **ზარალია**. ოღონდ საგნობრივი მიმართულება მათ განსხვავებული აქვთ. **ზარალდება** ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, გაერთიანება, ხოლო **ზიანდება** ამ ადამიანთა საკუთრება, უსულო საგანი. შდრ. მართებულიად გამოყენებული **ზარალი** ანალოგიური შინაარსის წინადადებაში: „დაზარავენ კულტურებში კოლმეურნეობამ იზარადა“. აყოველივე ამან განაპირობა ის, რომ კოლმეურნეობამ **ზარალი** დაამთავრა გრძელი წელი“.

3. **დაზიანება-დაშავება**. **დაზიანებისა** და **დაშავების** მნიშვნელობებით გამოხატული ვნება, დანაკარგი საკმოდ კარგადაა გამოიყენებული ქართულში: **დაზიანება** უსულო საგანთა წახდენა, **დაშავება** – მხოლოდ სულიერისათვის არის დამახასიათებელი. ამასთან, ორივე ვნება ტრავმული წარმოშობისაა, სხვადასხვა გარეგანი ფაქტორებით განპირობებული. შეიძლება კიდევ ერთი სპეციფიკური ნიუანსი: თუ ტრავმული ვნება ადამიანის გარეგან ორგანოებს შეეხება, ამ მოვლენას **დაშავებით** აღვნიშნავთ. ხოლო თუ იგივე ტრავმა შინაგან ორგანოებს შეეხება, მაშინ **დაზიანება** იქნება.

ბევლ ქართულში **დაშავება** სულ სხვა მნიშვნელობით (კერძოდ, გაშავება, გაფუჭება) დასტურდება. **დაზიანება** დღევანდელ დაშავებასაც მოიცავდა და საკუთრივ ზიანის მიყენებასაც, ე. ი. სულიერის ვნებაც იყო და უსულოსიც. შემდგომ, როდესაც **დაშავების** თავდაპირველი მნიშვნელობა (შავად ქცევა) დაბნედა და ერთგვარი გადატანითი შინაარსით დაუკავშირდა წახდენას, ვნებას, **დაზიანების** მნიშვნელობიდან გამოიყო სულიერის ვნება და მან დღევანდელი **დაშავების** სემანტიკაში მოიყარა თავი.

დაშავების თავდაპირველი მნიშვნელობის დაკავშირებას ტრავმულ ვნებასთან ხელი შეუწყო იმ მოვლენამ, რომ ტრავმის შედეგად დაზიანებული სხეული ხშირად ფერს იცვლის, შავდება. ამდენად, **დაშავება** არის ტრავმული ვნების თანამდევი, ტრავმის შედეგი. ამიტომ მოვლენას, რომელიც სხეულის ცალკეულ ნაწილთა ტრავმას, ანდა ადამიანის ტრავმის შემდგომ მთელ დღეობარობას ახახავს, ადვილად მიესადაგა **დაშავება**, **დაშავებულის** მნიშვნელობები (საინტერესოა, რომ შინაგან ორგანოთა ტრავმის შემთხვევები, როდესაც დაზიანებული სხეულის გაშავებას; ფერის შეცვლას ვერ ვხედავთ, სხეულის ვნებას, წახდენას **დაზიანებით** აღვნიშნავთ და არა **დაშავებით**).

შემდგომ კი, რუსულის გავლენით, **დაზიანება** და **დაშავება** ერთ სინონიმურ სიბრტყეზე აღმოჩნდნენ.

ახე რომ, სულიერის მიმართ **დაზიანების** ხმარებას ქართული ნიდაგი უჩანს (შდრ. „რუსუდანინაში“: „ბრძანებათა ღმრთისათა სიკედლით არა დაგვიზიანდა რა ახეთი, რომე დაგვეკლბოდა“), ოღონდ ეს საფუძველი ამჟამად რუსულმა ვაიცოცხლდა.

თანამედროვე ქართულში **დაზიანებისა** და **დაშავების** მნიშვნელობები ირვეა მაშინ, როდესაც ვნება ადამიანს ეხება. ამასთან, **დაშავება** არასოდეს იხმარება **დაზიანების** ნაცვლად, **დაზიანების** გამოყენება კი **დაშავების** მნიშვნელობით ძალიან გავსობდა. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი:

„არქივებმა შემოგვინახეს ცნობა იმ პირველ ავტოშემთხვევაზე, როცა ავტოსაგან ადამიანი დაზიანდა“; „სოფელ მთისპირში ამას წინათ აფეთქების შედეგად დაზიანდა და საავადმყოფო-

ფოში მიიყვანეს 10 კაცი“; „აგრომძლოლი მძიმედ დაზიანდა“; „ავტომობილის კატასტროფის შედეგად მარტო შარშან დაზიანდა 319.544 კაცი“ და ა. შ.

ყველა საზღვარსაღმოსავლეთში უნდა ეხმარათ დაზარალებულნი, რადგან ვნება ეხება ადამიანს, სულიერს და თანაც ეს ტრავმა გარეგანია.

ცოცხალი ადამიანის სხეული, მისი ცალკეული ნაწილები გრამატიკულად უსულო (რა ჯგუფის) სახელებაა. ხოლო იმ ფაქტმა, რომ უსულო საგანთა წახდენასთან დაკავშირებით, ჩვეულებრივ, გამოიყენება დაზიანება, გზა გაუხსნა არა მარტო მთლიანად ადამიანის, არამედ მისი სხეულის ცალკეული ნაწილების დაზარალებასთან დაკავშირებითაც დაზიანების გამოყენებას. ამ გარემოებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ სხეულის გარკვეულ ნაწილთა (შინაგან ორგანოთა) ვნება ისედაც დაზიანებით აღინიშნებოდა.

ამ თვალსაზრისით ცალკე ჯგუფს ქმნის უკანასკნელ ხანებში ძალზე გავრცელებული ამგვარი შესიტყვებები: სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება, მსუბუქი დაზიანება, მძიმე დაზიანება და მისთ.

მაგალითად:

„მან სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიიღო“; „ნ. რომელაშვილმა სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება მიიღო“; ამის შედეგად ოთხი წლის გოგონა გარდაიცვალა, დედას და ვაჟს კი სხეულის მძიმე დაზიანება მოუყვიადა“; „არც შეილი დარჩენილა ვალში – მამას სხეულის მსუბუქი დაზიანება მიყვანა, ჯანმრთელობის მოშლით“; „საბედნიეროდ, ტრავმა სხეულის არამძიმე დაზიანებით დამთავრდა“.

იურიდიულ ტერმინოლოგიაში არსებობს მყარი გამოთქმები: სხეულის მსუბუქი დაზარალება (და არა დაზიანება!) – легкое телесное повреждение სხეულის ნაკლებად მძიმე დაზარალება – менее тяжкое телесное повреждение, სხეულის საშუალოდ მძიმე დაზარალება – телесное повреждение средней тяжести, სხეულის მძიმე დაზარალება – тяжкое телесное повреждение და ა. შ.

მაშასადამე, ზემოთ მოყვანილ წინადადებებში წმინდა იურიდიული ტერმინოლოგიის თვალსაზრისითაც უზუსტობაა: დაზიანება – დაზარალების ნაცვლად.

გარდა ამისა, აღნიშნული შესიტყვებები მოყვანილ წინადადებებში სტილისტურადაც არაა გამართული, რადგან სახელურ-ზმნური შესიტყვების (დაზიანება/დაზარალება) მიიღო, მიყვანა) ნაცვლად სათანადო მარტივი ზმნების ხმარება აჯობებდა.

ვთქვით, ასე:

იგი მსუბუქად დაზარდა. ნ. რომელაშვილი მძიმედ დაზარდა. ...დედა და ვაჟი მძიმედ დაზარდნენ... საბედნიეროდ, ტრავმა მსუბუქი აღმოჩნდა.

ამ ტიპის შესიტყვებათა უმართებულობის შესახებ არაერთგზის აღნიშნულა საპედაგოგიკო ლიტერატურაში. როგორც ჩანს, მათ გავრცელებას ერთგვარად ხელს უწყობს ამა თუ იმ მოვლენის ტერმინოლოგიური სიზუსტით გადმოცემის სურვილი.

სასამართლოს ოქმის კანცელარიული სტილი, რომლის დახვეწაც, თავისთავად, პროფესიულ ფარგლებშიც შეიძლება, არ უნდა გადავიდეს საგაზეთო მასალაში, პუბლიცისტურ სტილს არ უნდა შეერიოს, თორემ ტერმინის მოხმარების არის ხელოვნური გაფართოებიდან ერთი ნაბიჯიღა რჩება უმართებულო შესიტყვებათა წარმოშობამდე.

⁷ იურიდიული ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული ნაწილი), თბ., 1963.

პარონიმია¹

ქართულ ენაში, ისევე როგორც სხვა ენებში, არსებობს პარონიმი სიტყვები.

პარონიმებს ისეთ სიტყვებს უწოდებენ, რომლებიც შემთხვევით ანდა საერთო წარმოშობის გამო გარეგნულად მგვანან ერთმანეთს, მაგრამ მნიშვნელობა განსხვავებული აქვთ და ამდენად, განსხვავებულადაც გამოიყენებიან.

სახელწოდება პარონიმი წარმოდგება ბერძნული სიტყვისაგან para+onoma. პარონიმი სიტყვების გამოყენებისას აღრევა კი პარონიმია. მისი შედეგია სიტყვების აზრის დამახინჯება, ზოგჯერ სრული გაუგებრობა და უაზრობაც. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენის ანალიზს, პარონიმი სიტყვების ცოდნას, რომ თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი შეცდომები.

თანამედროვე ქართულში გვხვდება პარონიმის შემთხვევები ზეპირი მეტყველების დროსაც და ნაწერშიც. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ნაწერში (ეკრძოდ, ნაბეჭდ პროდუქციაში) დადასტურებულ შემთხვევებს. იგარაუდება, რომ თუ ნაბეჭდ პროდუქციაში გვხვდება პარონიმის მოვლენა არც თუ იშვიათად, უფრო მეტია ის მეტყველებაში და მოსწავლეთა თუ აბიტურიენტთა ნაწერებში. ამიტომ ამ შემთხვევების ანალიზი და მათზე ყურადღების გამახვილება დიღს ენობრივი აღდოს და გრძნობის გაფაქიზების მიზნით. ეს კი შესაძლებელი გახდება ზოგი სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის კიდევ ერთხელ გახსენებით.

თეთროულად უფრო მოსალოდნელია პარონიმია უცხო სიტყვის გამოყენებისას. ეს ხდება მაშინ, როცა უცხო სიტყვის მომხმარებელმა კარგად არ იცის მისი მნიშვნელობა და ვრევა იგი სხვა, გარეგნულად მსგავს სიტყვაში. დასტურდება კამპანია – კომპანია, ექსპერტი – ექსპორტი, ფაქტი – ფაქტორი, პენალი – პენალტი, კორექტული – კორექტურული და სხვა სიტყვათა პარონიმის შემთხვევები.

ქართულში არსებობს ფრანგულიდან შემოსული ორი ბუერობრივად მსგავსი, მაგრამ შინაარსით განსხვავებული სიტყვა: კამპანია (kampagne) და კომპანია (compagnie). პირველის მნიშვნელობებია: 1. ლაშქრობა, საომარი მოქმედება; 2. რომელიმე ერთდროული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტისათვის ჩატარებული ორგანიზებული საქმიანობა. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა თითქოს სწორად გამოიყენება თანამედროვე ქართულში. მაგალითად: „არის ისეთი ხარეუბები, რაც ნამდვილად ხელს უშლის დოლიხ კამპანიას“.

კომპანია სიტყვის მნიშვნელობებია: 1. რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ერთად ატარებენ დროს, თანამოსუფრენი; 2. ამხანაგობა საეაპრო ან სამრეწველო. ამ მნიშვნელობით ზოგჯერ კამპანია უხმართ: სვამენ... როცა თავს აღწევენ ცუდ კამპანიას. და კომპანია უხმართ მაშინ, როცა საჭირო იყო კამპანია სიტყვა: „ყოველი მნიშვნელოვანი კომპანიისას ეწეობა რეიდები რედაქციასთან ერთად“. ამ სიტყვათა ასეთი უპართებულო ხმარება პარონიმის შედეგია და ამიტომ მათი გამოყენების დროს საჭიროა მეტი დაკვირვება.

ექსპერტი და ექსპორტი სიტყვებიც გარეგნულად მგავს ერთმანეთს, მაგრამ შინაარსი განსხვავებული აქვთ.

ექსპერტი (ლათ. expertus – გამოცდილი) საქმის მცოდნე, სპეციალისტი, რომელსაც იწვევენ რაიმე საკითხის, რაიმე საქმის შესახებ დასკვნის მისაცემად. აქედან საექსპერტო არის ექსპერტიზისათვის განკუთვნილი, ექსპერტიზისა ან ექსპერტებისაგან შემდგარი. ამ სიტყვის მავიგრად უხმართ მისი პარონიმული სიტყვა ექსპორტი შეცდომით, რასაც აზრის დაბნელება მოაყვას: „იგი არის უმაღლესი საატესტაციო კომისიის ფილოლოგიურ მეცნიერებათა საექსპორტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე“. ცხადია, აქ ექსპორტი (ინგლ. export < ლათ. – exportare – საქონლის გატანა საზღვარგარეთ გასაყიდად) და მისგან ნაწარმი ექსპორტო არაფერ შუაშია, უნდა ყოფილიყო საექსპერტო კომისია.

საექსპერტო ზედსართავი სახელისაგან წარმომდგარი საექსპერტო ზმნისართის პარალელ

¹ ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, N2, 1978.

ღურად უხმარიათ **საექსპერტიზოდ** შემდეგ მაგალითში: „საეჭვო ნაწილაკები ფრთხილად და-
ღუქა და საექსპერტიზოდ გაამზადა...“ და იქვე: „ბოლოს დადგენილება გამოიტანა
და საექსპერტიზოდ გამზადებული მასალა ბოტანიკის ინსტიტუტს გადასცა“.

ირვეა **ფაქტი** და **ფაქტორ** სიტყვებიც, როგორც ეს შემდეგი მაგალითიდან ჩანს: „ესეც ხომ
მატისილადმი უჩვეულო ინტერესის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტორი იყო.“

ამ კონტექსტში **ფაქტორ** სიტყვა არ გამოდგება. ლათ. factor ნიშნავს 1. რაიმე მოვლენის
განმასაზღვრელი ან პროცესის მამოძრავებელი ძალა. ეს მნიშვნელობა აქ უაღვილოა. უნდა
ყოფილიყო სიტყვა **ფაქტი** (ლათ. factum-idan გამომდინარე); 2. ესა თუ ის მონაცემი, მასალა
რამიმე დასკვნის გამოსახნად ან მოსაზრების დასადასტურებლად. ცხადია, მოცემული წინა-
დადების შინაარსს შესიტყვება **დამადასტურებელი ფაქტი** შეეფარებოდა. **დამადასტურებელი
ფაქტორი** კი აზრობრივად შეუძლებელი შესიტყვებაა.

პარონიმება **პენალი** (გერმ. Pennal < ლათ. penna - კალამი) „საკალამე“ და **პენალტი**
(ინგლ. penalty - ჯარიმა) „ფეხბურთში: თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა“. პარონიმუ-
ლად უხმარიათ კიდევ: „ერთხელ ჭიაველამ კალმის ჩახსალაგებელი „პენალტი“ მოუტანა და
ეველა: ჭიაველას ნუ დამიძახებო“. მეორე მხრივ, მართლაც **პენალტის** აღსანიშნავად ხში-
რად იხმის: **პენალი** დანიშნეს, **პენალი** დაარტყა...

კონტექსტისათვის საჭირო **კორექტური** (ლათ. correctus) სიტყვის მაგივრად უხმარიათ **კო-
რექტურული** (ლათ. correctura) შემდეგ მაგალითში: „აბა, რა მოხდება მინდორზე... თუ კაპიტა-
ნი ძალზე „გულფიცს“ თანაგუნდელებს პირადი მაგალითით უზადო კორექტურული
ქცევით არ დააშოშმინებს“.

თუ აქ კორექტურული (ბეჭდვის) შეცდომა არ არის, ავტორს უნდა ეხმარა **კორექტურული**
სიტყვა, რაც **გამართულს**, **სწორს**, **უშეცდომოს**, **თავაზიანს** ნიშნავს. ძირი საერთოა ამ სიტყვ-
ბისა, მაგრამ მნიშვნელობა - ძალიან განსხვავებული. ამიტომ დაკვირვებაა საჭირო მათი ხმარე-
ბისას.

მისეთად, მაგრამ მაინც, დასტურდება პარონიმის შემთხვევები არსებით სახელთა შო-
რის. ამ მხრივ ძალიან საინტერესო ჩანს ასეთი შემთხვევა: „გმირებიც ცნობილი არიან, ვის-
განაც მაგალითი იღებს ქვეყნის სიჭაბუკე“.

ქართულში არსებობს სინონიმური მნიშვნელობის აბსტრაქტული სახელები: **სიჭაბუკე**, **ჭა-
ბუკობა**. ამ უკანასკნელს კრებითობის გამოხატვის უნარიც აქვს (როგორც **ბავშვობა**, **ახალ-
გაზრდობა**... სიტყვებს). ამიტომ ისინი ყოველთვის თავისუფლად ვერ შენაცვლებიან ერთმან-
ეთს. კერძოდ, **ჭაბუკობას** კრებითი მნიშვნელობით ვერ შეცვლის **სიჭაბუკე**, როგორც დასა-
ხელებლად მაგალითში უცდიათ.

აღქმა და **აღთქმა** გარდნულად მსგავსი ნაზმარი სახელებია, მაგრამ შინაარსით ძალიან
განსხვავებიან ერთმანეთისაგან.

აღთქმა აღუთქვამს ზმის მოქმედების სახელია და ნიშნავს: დაპირება, სიტყვის, პირობის მი-
ცემა, დანაპირები („მარჯვი რა იქმნენ საკვირველი შენი აღთქმანი?“ ნ. ბარათაშვილი).
ამ სიტყვის მონაწილეობით არის ქართულში გამოთქმებიც: ახალი აღთქმა, ძველი აღთქმა.

თანამედროვე ქართულში ზოგჯერ ეს სიტყვა არეულია მის მსგავს **აღქმა** სიტყვაში. **აღ-
ქმა** ფსიქოლოგიური ტერმინია და ცნობიერებაში ობიექტური სინამდვილის ფაქტების (საგნე-
ბის, მოვლენების) ასახვის პროცესს აღნიშნავს. პარონიმის შედეგია ასეთი მოხმარება **აღქმა**
სიტყვისა: „მკითხველი, რომელიც აზროვნებასაა მიჩვეული (და ვინ იტყვის - მე არ მეხებაო),
მიხედება ზემოთქმულს. და კიდევ ის მკითხველი, რომელსაც პოეტური აღთქმის მადლი
აქვს მინიჭებული“. ცხადია, რომ კონტექსტს **აღქმა** სიტყვა შეეფერებოდა.

ზოგჯერ პარონიმულად არეულია **მცნება** და **ცნება** სიტყვითა ხმარება.
მცნება არის 1. ძვ. ბიბლიური გამონათქვამი ზნეობრივი ხასიათისა („ისმინე სწავლის
მებნელო, მოჰყვე დავითის მცნებასა...“ დ. გურამიშვილი) || სახელმძღვანელო წესი || ანდრძი-
სებური ბრძანება, განკარგულება.

ცნება 1. შემცნების ფორმა, რომლის მეშვეობითაც შეიცნობა ობიექტური სინამდვილის (სა-
განათა, მოვლენათა) არსებითი ნიშნები (მიიღება ცალკეულ მოვლენათა განზოგადების შედე-
გად).

ცნება სიტყვის მაგივრად ზოგჯერ არასწორად უხმარიათ მისი პარონიმი **მცნება**: „ახლა

მოდურად იქცა მცნება ე. წ. რისკის ფაქტორების შესახებ, რაც გულისხმობს იმ მიზეზებს, რომლებიც გულის იშემიური დაავადების განვითარებას უწყობს ხელს“.

„მოთქერილი, კონტა ინრები რესტორნის ადგილსამყოფელზე მიგებითიდნენ, თუმცა პეტრობურგის შავნელ დღეებში მცნება რესტორანი წარსულს ჩაბარდა“.

სწავლა და სწავლება სიტყვები სემანტიკურად სხვადასხვანი არიან, ობიექტური სინამდვილის სხვადასხვა პროცესს აღნიშნავენ.

სწავლა სწავლობს ზმნის მოქმედების სახელია და აღნიშნავს I. ცოდნის შექმნას, განათლების მიღებას ან 2. განათლებას, ცოდნას.

სწავლება კი **ასწავლის** ზმნის მოქმედების სახელია. ნიშნავს რისამე შესახებ ცოდნის მიწოდებას, რაიმე საქმიანობაში ვისიმე გააწევას, დახელოვნებას.

ამ სიტყვათა სემანტიკა განსაზღვრავს მათს განსხვავებულ გამოყენებას, მაგრამ მაინც გვეხდება აღრევა მათი გამოყენებისას ზემირსა თუ წერილობითს მეტყველებაში. აი, მაგალითი ამისა: „ამავე წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც დაეამთავრე 1968 წელს. გთხოვთ განმმარტოთ, ინსტიტუტში სწავლების პერიოდი ჩამოტელება თუ არა საშუალო სტაჟში“. შემკითხველი კი არ ასწავლიდა, თვითონ სწავლობდა, ამიტომ უნდა დაეწერა: **სწავლის** პერიოდი

სწავლა - სწავლება სიტყვებს შორის პარონიმული აღრევის შედეგია **სასწავლებელ** და **შესასწავლ** სიტყვების არევაც შემდეგ მაგალითში: „დები ეწვივნენ ქუთაისის პროფტექნიკურ სასწავლებელს, სასწავლებლად აირჩიეს ფეიქრის ფეიქრის როული პროფესია“. დებს ფეიქრის პროფესია უნდა შეესწავლათ, ამიტომ უნდა ყოფილიყო შესიტყვება **შესასწავლად აირჩიეს**.

უფრო ხშირია პარონიმული აღრევა ზედსართავ სახელებს შორის, ან ზედსართავთაგან მომდინარე ზმნისართებს შორის. ასეთია რიცხვს მიეკუთვნება პირველ რიგში **სწორედ** და **სწორედ** ზედსართავები და მათგან მომდინარე ზმნისართები: **სწორად** და **სწორედ**. პარონიმებად ეს უნაჩსენებლები იქცნენ, თორემ ზედსართავად სალიტერატურო ქართულმა მხოლოდ **სწორ** ფუძე იცის. **სწორედ** ფორმა აღარ იხმარება, მხოლოდ მისი ვითარებითი ბრუნვის ფორმა შემოტერქია გაქვეყნული სახით და ისიც ნაწილაკის ფუნქციით იხმარება და არა ზმნისართისა. მაგ., **სწორედ** ამ საკითხს ეხება, **სწორედ** ასე მოიქცა...

სწორად ზმნისართია **სწორ** ზედსართავის ფუძიდან. ნიშნავს 1. პირდაპირ, გაუმრუდებლად, მიხვეუ-მოხვევის გარეშე; 2. სინამდვილის შესაბამისად, ნამდვილად, მართებულად; 3. თანასწორად, თანატოლად, თანაბრად.

ზოგჯერ არასწორად არის ნახმარი **სწორად** ზმნისართის მაგივრად **სწორედ** ფორმა. მაგ., „ახალგაზრდა მსახიობმა გვიჩვენა გულწრფელი განცდა, სახის სწორედ გააზრების უნარი“. „უფრო სწორედ, საეჭვოდ მიმანიდა უმაღლეს განათლებაში დაშვებული ზოგიერთი პრინციპი“.

უებარი და **უებრო** ერთნაირი წარმომავლობისა და თითქმის ერთნაირი აგებულების სიტყვებია, მნიშვნელობაც თითქმის ერთნაირი აქვთ, მაგრამ განსხვავებულად გამოიყენებიან.

უებარი-ი არის, რის თანაბარიც არ ითვება, განსაკუთრებით კარგი, საუკეთესო რამ. I. ძალიან კარგად მოქმედი, განმკურნავეი წამალი.

უებრო - ვისაც (რასაც) ტოლი, მსგავსი, ბადალი არა ჰყავს (არა აქვს), უბადლო, სწორეუპოვარი || უწვეულო, განსაკუთრებული.

ამ შინაარსობრივი ნიუნსების გათვალისწინებით **უებარი** წამალი... შეიძლება, მაგრამ **უებარი** მეგობარი, მეზობელი... - არა, უნდა **უებრო** ან **უბადლო** მეზობელი.

ადრინდელი და **ადრეული** ზედსართავებიც პარონიმულ სიტყვებად შეიძლება განვიხილოთ. **ადრინდელი** -უწინდელი, უწინდებური. ძეკლებური, **ადრეული** - ვადაზე ადრე მომხდარი, ადრე შემოსული, ნაადრევი, ადრე ჩატარებული.

„სასაკიმ თქვა, რომ მატჩის დაწყება დაწვება იენისის მიწურულს იქნებოდა კარგი. ფიშურს 30 ენისი ყველაზე ადრინდელ ვადად მიანიდა“. ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით მოცემულ შემთხვევაში გამოდგებოდა მხოლოდ **ადრეულ** სიტყვა: **ადრეულ** ვადად.

გონებრივი და **გონიერულიც** უნდა გამოიყოს პარონიმული აღრევის შესაძლებლობის ნიშნად.

გონიერული - გონიერის დამახასიათებელი, ჭკვიანური. ამიტომ მისთვის ადგილი არ რჩე

ბა ამ კონტექსტში: „ზოგიერთი ორგანიზმი ადვილად იტანს ფიზიკურ და გონივრულ შრომას“. აქ საჭიროა გონებრივ სიტყვა, რაც აღნიშნავს 1. გონების ხასიათისა, გონების მოქმედების შედეგად მიღებულს, ინტელექტუალურს და 2. საერთოდ ფიზიკურს ფიზიკურის საპირისპიროდ (გონებრივი აღზრდა, გონებრივი შრომა). დასახელებულ კონტექსტშიც **ფიზიკურ და გონებრივ შრომასზე** საუბარია.

ნახმნარი ზედსართავეები **პასუხისმგებელი და პასუხსაგები** განსხვავებული სიტუაციების აღსანიშნავად გამოიყენება. **პასუხისმგებელი პირი**, მაგრამ **პასუხსაგები თანამდებობა** შეიძლება. **პასუხისმგებელი თანამდებობა** აღრევის შედეგია:

თანამედროვე ქართულში დასტურდება **თითქოს** და **თითქმის** ნაწილაკების პარონიმული აღრევაც.

თითქოს ნაწილაკი აღნიშნავს იმას, რაც სინამდვილეში არ არის, რაც ჰგავს, მოგვაგონებს რასმე; ვითომდა, ვითომც. მაგრამ ამ მნიშვნელობას არ ეხამება ამ სიტყვის გამოყენება ახეთ სიტუაციაში: „მისი ღვრთი ვარშემოწერილობა თითქოს მეტრს აღწევს“. თითქოს ნაწილაკის ადგილას კონტექსტს შეეფერება **თითქმის** (ისე ან იმდენი, რომ ცოტადა აკლდეს, ღამის, კინაღამ).

მეორე მხრივ, გეგვდება ახეც: „გზის პირებზე ჩამწკრივებული სახლები თითქმის ახლახან შეუქუთებიანთ“. აშკარაა, რომ ამ კონტექსტს **თითქოს** ნაწილაკი შეეფერება.

პარონიმებად შეიძლება განვიხილოთ **იწყებს** და **იწყობს** ზმნები, აგრეთვე **იცხებს** – **იცხობს** და მათი მსგავსი ფორმები, რომლებსაც განსხვავებული თემის ნიშნის გარდა განსხვავებული შინაარსიც აქვთ.

დაწყება და **დაწყობა** სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით იხმარება თანამედროვე ქართულში.

დაწყება – პირველი შედგომა, ხელის მოკიდება რამე საქმისათვის, დასაბამის მიცემა, წამოწყება, დასაბამი, სათავე, დასაწყისი.

ამ ზმნის ფორმები სასუბიექტოდ და საობიექტოდ ქცევით შეიძლება შეგვხედეს: **იწყებს** (დაიწყებს, დაიწყო) და **უწყებს** (დაუწყებს, დაუწყო). დრო-კილოთა მესამე ჯგუფის ფორმები მათ ერთნაირი ექნება: **დაუწყია**, **დაეწყო**, **დაეწყოს**.

დაწყობა – 1. მოწესრიგებულად დადება ან დადგმა ბევრისა, დალაგება; 2. საბრძოლო წყობით გაშლა, მწყობაში დაყენება, დარაზმვა, განლაგება... 3. მოგვარება, მოწყობა; 4. ტქენ. დაგება (მაგალითად, რელსებისა).

ჩვენ გეაინტერესებს მისი ძირითადი მნიშვნელობის ზმნური ფორმები, რომლებიც სამივეგვარი ქცევით გეხედება: **აწყობს** (დააწყობს, დააწყობ, დაუწყვია), **იწყობს** (დაიწყობს, დაიწყობ, დაუწყვია), **უწყობს** (დაუწყობს, დაუწყობ, დაუწყვია). დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები ამათაც საერთო აქვთ: **დაუწყვია**, **დაეწყობ**, **დაეწყოს**. ფორმები ომონიმურია, გაირჩევა შინაარსობრივად, კონტექსტის მიხედვით. ამავე დროს დრო-კილოთა III ჯგუფიდან II თურმეობითი და III კავშირებითის ფორმები (დაეწყობ, დაეწყობა) ომონიმურია იწყებს, უწყებს ზმნათა შესაბამისი ფორმებისა. განსხვავებულია მხოლოდ I თურმეობითის ფორმები: **დაუწყვია** გვაქვს **იწყებს** ზმნისათვის, **დაუწყვია** კი **იწყობს** ზმნისათვის. I თურმეობითში განიხილი ეს ვინი ჩანს ნამყო სრულის ფორმებშიც: **დაეწყვე**, **დაეწყვე**, **დაეწყვე**, **დაეწყვე**. ნამყო სრულის მხოლოდობითი რიცხვის III პირში და II კავშირებითის ფორმებში ვინი აღარ ჩანს ხმოვნის წინ.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დასტურდება ამ განსხვავებულად ნახმარი ფორმათა აღრევის შემთხვევები. ერთი მხრივ, ეს დიალექტისზადაც შეიძლება შეფასდეს, რადუნადაც ზოგ დიალექტში **იწყობს** ზმნას აქვს **იწყებს** ზმნის შინაარსიც. ამ დიალექტური ქსელულების საფუძველი კი საერთოდ დიალექტებში ებ და -ობ სუფიქსთა მონაცვლეობა შეიძლება იყოს.

მაგალითები: სწავლა დღემდე არ დაუწყვიათ; დაკარგული საფულის ძებნა არ დამიწყვია; ცხადია, აქ ორივეგან **იწყებს** ზმნის I თურმეობითის ფორმების გამოყენება იყო საჭირო: **დაუწყვიათ**, **დამიწყვია**.

მაგრამ უფრო ხშირად, გეხედება საპირისპირო შემთხვევები, როცა მოსალოდნელია ვინინი ფორმა და არის კი უმისოდ: „საპეტაკლის წარმატებას ხელი შეუწყეს მის მიერ შექმნილმა სახეებმა“; „ბოლო წლებში მოაწყეს 70 საბაგრო გზა“.

ახეთი დარღვევა პარონიმის შედეგია **იწყებს** და **იწყობს** ზმნებისა.

განსხვავებულად უნდა ვიხმაროთ **აცხებს** – **აცხობს** ზმნათა ფორმები.
ღიალექტური აღრევის საშიშროება აქაც არის, **აცხობს** ზმნას ღიალექტებში **აცხებს** ზმნის შინაარსიც აქვს. სწორედ ამიტომაც არის საჭირო მათი გამოყენებისას სიფხიზლე, რაკი აღრევის საშიშროება მეტია. **აცხებს** ზმნისთვის სალიტერატურო ქართულის სწორი ფორმები იქნება: მოაცხებს (წააცხებს), მოაცხო (წააცხო), მოუცხია (წაუცხია). ნამყო სრულის ფორმებია: მოვაცხე (წაავაცხე), მოაცხე (წააცხე), მოაცხო (წააცხო), მოვაცხეთ (წაავაცხეთ), მოაცხეთ (წააცხეთ), მოვაცხეს (წაავაცხეს).
აცხობს ზმნისთვის კი სწორი იქნება ამგვარი ფორმები: გამოაცხობს, გამოაცხო, გამოუცხვია; ნამყო სრულში: გამოვაცხეხე, გამოვაცხეე, გამოვაცხო, გამოვაცხევთ, გამოვაცხევთ, გამოვაცხეეს.

შეიქმნა ზმნა თანამედროვე ქართულში ხშირად იხმარება **გახდება**, **გადაიქცას** მნიშვნელობით. სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით მისი ამგვარი ხმარება მოჭარბებულია და უმართებულო. ამგვარი მნიშვნელობით უფრო ბუნებრივია **შეიქმნა** ზმნა, მაგრამ უფრო მართებულია სულაც სხვა – **გახდა** ზმნა ვიხმაროთ. „უცვც თითქოს ყველაფერი ნათელი შეიქმნა ჩემთვის“. „ალბათ საჭირო შეიქმნება გადაწყვეტი ღონისძიებების გატარება“; „თამაშის პირველი წუთებიდანვე ცხადი შეიქმნა“; „მაგრამ შეუძლებელი შეიქმნა დამპყრობლების შეჩერება“.

ყველა დასახელებულ მაგალითში **შეიქმნა** ზმნა არასწორად არის ნახმარი **შეიქნას** მაგიერ. მაგრამ ამ უკანასკნელის გამოყენებასაც აჯობებდა **გახდა**: ნათელი გახდა, საჭირო გახდა, ცხადი გახდა, შეუძლებელი გახდა... შესიტყვებები უფრო გამართული და ბუნებრივია. ნათელი შეიქნა, შეუძლებელი შეიქნა... ტიპის გამოთქმება გამოშახველობა დაკარგეს, შტამპებად იქცნენ და შეიძლება ამიტომაც გვეჩვენება ასე.

შეიქმნა – **შეიქნა** ზმნის ფორმების გამოყენებისას აღრევა პარონიმად შეიძლება ჩათვალოს. ისინი დაახლოებით ერთნაირი მნიშვნელობისანი არიან, მაგრამ მათი გამოყენების სფეროები მაინც გამოიხილება. უადგილოა, მაგალითად, **ქნა** ზმნის მაგიერ **ქმნა** ზმნის გამოყენება შემდეგ წინადადებაში: „ქართველმა ქალმა ისე აქმნა, როგორც ინდომა“.

ქართულში ერთი ძირიდან მომდინარე ჩანს ზმნის ფორმები: აქვს ჩანს, აჩენს, აჩნევს, აამჩნევს. ამ უკანასკნელში მ თავსართი გაჩენილად ივარაუდება.² ზმნათა ამ ფორმებს გამოყენების თავისი სფეროები აქვს განსხვავებული შინაარსის გამო. მაგრამ ზოგჯერ ფორმათა მსგავსების გამო პარონიმულად ირევა, ერთი მხრივ, **აჩნეს** – **ამჩნევს** ზმნები და მეორე მხრივ **აჩნევს** – **ამჩნევს** ზმნები.

აჩნეს – **ამჩნევს** ზმნების აღრევის შედეგად მიგვჩანია ასეთი შემთხვევები: „...ოლიტიკურ ცხოვრებასაც თავის დაღს აჩვენებს“; „ის თავის წერილში ჩამოთვლის იმ დარგებს, რომელსაც ღრმა კვალი დააჩინა“.

უნდა იყოს: დაღს აჩნევს, დაღი დაჩნია, დაღი დაჩნია...
აჩნევს – **ამჩნევს** ზმნების აღრევის შედეგი უნდა იყოს შემდეგი მაგალითებში: „საზოგადოების საერთო დონეს ცვლილებას ვერ დაამჩნევს“; „სტარტზე წავებამ დაღი დაამჩნია მის სატურნირო მდგომარეობას“; „ჩემს ბედნიერებას ყოველთვის ჩრდილს აყენებს ის მოუშუშებელი ჭრილობა, რომელიც დღეაღმემა ჩემს სულს დაამჩნია“; „ყინვამ კვალი ვერ დაამჩნია ზერებს“.

აჩნევს ზმნა და ზმნისწინით უფრო იხმარება: დააჩნევს, დაჩნია, დაჩნევია.
ამჩნევს ზმნასთან კი ჩვეულებრივია შეზმნისწინის ხმარება: შეამჩნევს, შეამჩნია, შეუამჩნევია.

მათი გამოყენების სფეროები არ ემთხვევა ერთმანეთს. ამიტომ ამგვარი ხმარება პარონიმული აღრევის შედეგია:

„თოვლსა და მტვერზე ყველა დაამჩნევს კვალს ნაფხურების სახით, მაგრამ ის არაფერს ნიშნავს და მალეც იშლება“; „ეს ყველაფერი მწერალს მეტწილად ზომიერად, საჭიროებისამებრ აქვს გამოყენებული და ეკლექტიკურობის დაღს ამჩნევს ნაწარმოებს“; „მიმ-

² ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონეტიკური სტრუქტურის და ისტორიის საკითხები ქართულში.

დები პუნქტის გამგემ, რომ ვკითხვ, სუფრას ლაქები რად ამჩნევია - მეთქი, თავაზიანად ამიხსნა”.

შესაბამისად ამ მაგალითებში უნდა ყოფილიყო გამოყენებული ფორმები: დაანეგს დაღს, კვალს არ ანეგს, აწნია ან აწნეფია. თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამჩნევს (დაამჩნევს), დაამჩნია ფორმებს ეტყობა ასეთი შინაარსის წინ წამოწევა: შესამჩნევს ხდის, შესამჩნევი გახადა. ალბათ ამით აიხსნება მათი უფრო ხშირი გამოყენება, ვიდრე აწნევს, დაანეგს, დააწნია ფორმებისა.

პარონიმია უფრო მოსალოდნელია ზეპირ მეტყველებაში ან მოსწავლეთა და აბიტურიენტთა ნაწერებში, განსაკუთრებით, უცხო სიტყვების გამოყენებისას. ზემოთ განხილულს გარდა, გვხვდება პარონიმის ამგვარი შემთხვევები: დიპლომატი - დიპლომანტი, ადრესატი - ადრესანტი, ფორუმი - კვორუმი, ხასმისი - ხასმელი... მაგალითების გამრავლება საჭირო აღარ უნდა იყოს ასეთი დასკვნის გასაკეთებლად: მშობლიური ენის ლექსიკური შესაძლებლობების იმდენად კარგად ცოდნა აუცილებელი, რომ მსგავსი აღრევის ფაქტები არ დასტურდებოდეს.

ტავტოლოგია¹

აზრის ზუსტად გამოხატვისა და, მაშასადამე, გაგებინებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კონტექსტის შესაფერისად სიტყვის შერჩევას. გარდა იმისა, რომ სიტყვა წინადადებაში გრამატიკულად სწორად უნდა იყოს წარმოდგენილი, ლექსიკურადაც ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ აზრი ყველასათვის ერთნაირად ნათელი და გასაგები იქნეს. ამისათვის კი მარტო ენის ლექსიკური მარაგის ცოდნა არ ქმარა, საჭიროა სიტყვათა შესაბამისი შესაძლებლობათა და სიტყვის მოხმარების სფეროს გათვალისწინებაც. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის კარგად ფლობა ნიშნავს ამ შესაძლებლობათა მოხერხებულად გამოყენებას. ჩვენი საკუთარი ენობრივი ადლო და ენათმეცნიერული ცოდნა დაგვეხმარება.

სიტყვის მოხმარებას სათანადო ყურადღება სჭირდება, ენობრივი დაუდევრობის შემთხვევები კი არცთუ იშვიათია. სწორედ ამის გამოვლინებას წარმოადგენს ტავტოლოგია – ჩვენი ამჟამინდელი საუბრის თემა.

ტავტოლოგია (ბერძნ. *tauto-იგივე+logos-სიტყვა*) ლიტერატურათმცოდნეობაში მიჩნეულია ერთ-ერთ მხატვრულ საშუალებად, რომლის ოსტატურად გამოყენებით ემოციურ ეფექტს აღწევენ. ტავტოლოგია, ფიქსირებული ფორმის გამეორების ერთ-ერთი ტენდენცია, სიტყვიერ ხელოვნებაში ბუნებრივ ტენდენციად ითვლება; თუმცა ისიც არის აღნიშნული, რომ არსებობს მისი საწინააღმდეგო ტენდენციაც – ფიქსირებული ფორმის დარღვევის ტენდენცია. როცა ერთი და მეორე ტენდენციაც ბუნებრივად არსებობს, ბუნებრივად არის მოცემული მეტყველების პროცესში ან ოსტატურად, სტილიზირებული დაინიშნულებით არის გამოყენებული, მაშინ ორივეს მიზანი გამართლებულია. ამგვარ ტავტოლოგიათა უხვად დახასხვლება შეიძლება სასაუბრო მეტყველებიდან, ძველი, კლასიკური თუ თანამედროვე მწერლობის ენიდანაც. სინონიმების გამოყენების მსგავსად, გამეორების მიზანია მნიშვნელობაზე ყურადღების შექმერება და კონცენტრაცია. თანამედროვე პრესის ენიდანაც შეიძლება დაეცახელოდ ასეთი გამოყენების ნიმუშები:

„ხშირად გვსმენია, რომ ჭეშმარიტი პედაგოგი იბადება, იბადება ისე, როგორც პოეტი, მხატვარი, მუსიკოსი“;

„თუ ადამიანი ვერ იყენებს ბუნებისაგან ბოძებულს, თუ გარეგნული მშენიერების მიღმა სულთერ უდაბნოა, უდაბნო ცოცხალ აზრსა და შინაარსის შუქს მოკლებული, ზურგს ვაქცევთ ასეთ სიღამაზეს და გვენანება, უზომოდ გვენანება ფუჭად დაკარგული სიკეთე ბუნებისა, გვენანება სიღამაზის შეუწყვეტელი სავალბოელი“;

„თვით მორწმუნეებმა აღშფოთებულებმა განაცხადეს მაღლ ზისა და ჯეფენერის მიერ ბათუმის სინაგოგაში „შემთხვევით“ დაფიქვებული ჩანთის ამბავი, ჩანთისა, რომელშიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ისრაელში გამოცემული ანტიხაბჭოთა ლიტერატურა აღმოჩნდა“.

უკანასკნელ შემთხვევაში სიტყვის გამეორება გამოწვეულია წინადადების სინტაქსური გამართულობის აუცილებლობით.

პრესის ენაში ამ ტიპის გამეორებანი გვხვდება მხატვრულ ლიტერატურასთან მიახლოებული ჟანრის ნაწარმოებებში (ნარკვევში, ფელეტონში...). ნორმატიულობის თვალსაზრისით მათი შეფასებისას მხედველობაში მისაღება სტილიზირებული ფუნქციით დატვირთულობა. ამგვარი ლიტერატურულ-მხატვრული გამეორების გარდა, არსებობს ისეთი გამეორებაც, რომელიც სალიტერატურო ენის ლექსიკური ნორმათა დარღვევად შეფასდება. ასეთებს ენობრივ ტავტოლოგიებს უწოდებენ.

ენობრივი ტავტოლოგია ემოციურობის მისაღწევად გამოყენებული მხატვრული საშუალება არ არის, იგი უყურადღებობის, დაუკვირვებლობის ან სიტყვათა სემანტიკის უგულებელყოფის შედეგია.

ხოჯჯერ ენობრივი ტავტოლოგია წმინდა ლექსიკური ხასიათისაა, ე. ი. გამეორებულია ერთ-

¹ ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, N4, 1979.
254

თი და იგივე ან მსგავსი სიტყვები.

მაგალითად:

„ბრებდა ამ დაგემა თავისი საწარმოო გემა“;

„ბევრი მათგანი დაჯილდოვდა მთავრობის ჯილდოებით“;

„სკოლის მიერ მოწოდებული ღონისძიების მოწვობა-ჩატარებაში მონაწილეობენ“;

„...წარმოებენ რძის წარმოებას“;

„ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ღონისძიებით უზრუნველყოთ აღნიშნული ღონისძიების ცხოვრებაში გატარება“;

„ამჟამად მსოფლიოს მცხოვრებთა შორის დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობის 40 პროცენტი წყლითაა გამოწვეული“;

„იმ ფსიქოლოგიური ცოდნის მოპოვების საქმეში, რომელიც პედაგოგიურ პრაქტიკას სჭირდება, ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას თვალსაჩინო მიღწევები აქვს მოპოვებული“.

ხშირია გრამატიკული ფორმების (მორფოლოგიურისა თუ სინტაქსურის) არასწორად გამოყენების შემთხვევებიც, მაგალითად, ერთნაირმნიშვნელობის ფორმების ანდა ერთნაირი კავშირებისა თუ წვერ-კავშირების ზედმეტად გამოყენება წინადადებაში:

„მომავალი სასწავლო წლისათვის კაბინეტებისათვის დამატებით იქნება შექმნილი 12 ათასი მანეთის ხელსაწყო-იარაღები“;

„ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე გურამ ფანჯიკიძის რომანის გაცენიურებასთან დაკავშირებით“;

„ცხადია, სასურველ შედეგს ისეთი პედაგოგიური ზემოქმედება მოიტანს, რომელიც ისეთ მოთხოვნებს დაფუძნება და იმოქმედებს, რომელსაც პიროვნების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს“ და ა. შ.

ქვემოთ განხილული იქნება მხოლოდ ისეთი ტაგეტოლოგიური შესიტყვების მაგალითები, რომლებშიც აზრობრივად არის ერთ-ერთი სიტყვა ზედმეტი. ამას აზრობრივი ტაგეტოლოგია ან პლეონაზმი ეწოდება.

მაგალითები:

„მევენახეებსაც წესად აქვთ დაკანონებული არ დასჯერდნენ მიღწევებს“.

შესიტყვება წესად აქვთ დაკანონებული აზრობრივად ტაგეტოლოგიურია, უნდა ან წესად აქვთ ან დაკანონებული აქვთ.

„ასეთ მუშაობას ბავშვებზე ზიანის მოტანის მეტი არაფერი მოაქვს“. უნდა: ...ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.

„შრომითი ჩვევების შექმნასთან ერთად პასუხისმგებლობის გრძობასაც იმკვიდრებენ“. უნდა იყოს: შრომითი ჩვევებთან ერთად პასუხისმგებლობის გრძობასაც იძენენ.

„ამგვარი შრომა ხშირად მჭიდროდაა დაკავშირებული სამშობლოს სიყვარულსა (!) და პატრიოტული გრძობების გამოუმუშავებასთან“;

ცხადია, ხაზგასმული შესიტყვების აზრობრივი იდენტურობის გამო წინადადებაში მხოლოდ ერთ-ერთი უნდა იყოს.

პლეონაზტურია შესიტყვებები: მოსული სეტყვა, დაწერილი ლექსი, გამართული კრება... შემდეგ წინადადებაში:

„დიდი ზიანი მოაყენა კახეთის რაიონების ბალ-ვენახებს... მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოსულმა სეტყვამ“;

„დაგვიანტურეს ნ. თარიშვილის ერთ-ერთმა დაწერილმა ლექსმა...“ ამ წინადადებაში დარღვეულია სიტყვათა რიგიც, მაგრამ მსაზღვრელის ამოღებით ისიც გასწორდება (ნ. თარიშვილის ერთ-ერთმა ლექსმა).

„ერთმისი განხილვას მიეძღვნა ამას წინათ გამართული კრება“. უნდა: ამასწინანდელი კრება...

ქართულში ზოგი ხშირა შეიცავს წინ ზმნისართის მნიშვნელობასაც. მაგალითად, წარმოაჩენს – გამოაღვლენს, გამოაჩენს, წინ წამოსწევს. მსგავსი შინაარსობრივი ნიუანსი აქვს სიტყვას უძევს – წინ მიდის ვინმესთან ვახს მისაცემად, გეხის საჩვენებლად („კარგად უძღვება ამ საქმეს“) ზოგ შემთხვევაში ამ ზმნებთან მაინც ხმარობენ წინ ზმნისართს: წინ მიუძღვის, წინ წარმოაჩენს. შესიტყვება წინ უძღვის ზოგ სიტუაციაში აღარ აღიქმება ტაგეტოლოგიურად და თითქოს ზმნისართის საჭიროება ჩანს („ქალაქის სამრეწველო საწარმოთა მშრომელების

კოლონებს წინ მიუძღოდნენ ქარხანა „სოხუმ-ხელსაწყო“ და საკონსერვო ქარხნის მშრომელთა კოლონები“), მაგრამ წინ წარმოაჩინეს ნამდვილი ტაგეტოლოგიის ნიმუში ჩანს: „მან თავის წერილში საგანგებო ყურადღება დაუთმო დავით აღმაშენებლის კულტურულ რეფორმებს. ამას კარდა, წინ წარმოაჩინა ჩვენი აკადემიების ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში განლაგების აზრი“.

რამდენიმე სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა შეიცავს პირველის შინაარსსაც:

პირმშო – პირველი შვილი;

ნათლობა – გაღვ. რაიმე საქმიანობაში (ბრძოლაში, რევოლუციურ მოძრაობაში და სხვ.) პირველად ჩაბმა, პირველად მონაწილეობის მიღება, რაიმე საქმიანობის დაწყება.

პიონერი – რაიმე სფეროში ახალი გზის გამკვლევე, რაიმე საქმის წაბომწყვეტი.

დებიუტი – პირველი გამოსვლა რაიმე საშობაწყო ასპარეზზე.

არაიშვიათად ასეთ სიტყვებთან მსახლერულად გამოყენებულია **პირველი**, რაც ასახსნელი სიტყვის მნიშვნელობის გაუთვალისწინებლობის შედეგი უნდა იყოს:

„რაიონის პირველი პირმშოა საგალანტერიო ფაბრიკა“;

„პირველი პედაგოგიური ნათლობა... თბილისის სკოლებში მიიღო“;

„ყველ არის მისი „პირველი სასცენო ნათლობა...“;

„ამ საქმის პირველი პიონერი ი. კრავჩენკო იყო“;

„იგი (ფილმი) ეძღვნება პირველ ქართველ კინომატოგრაფისტს, პირველ პიონერს, რომელმაც ეკრანზე გადაიტანა დიდი ადამიანური ენებები, მისწრაფებები და მიზნები“.

ყველ ასეთ შემთხვევაში პირველ მსახლერულად ზედმეტია, ვინაიდან მისი შინაარსი სახლერულში უკვე იფარაუდება.

ასევე – სიტყვა წარმატება მსახლერულად ვერ იგუებს მაღალ და კარგ ზედსართავეებს, ვინაიდან თავისთავადაც აღნიშნავს მიღწეულის მაღალ დონეს, კარგ შედეგს. ამიტომ შესიტყვებები მაღალი წარმატება, კარგი წარმატება ტაგეტოლოგიურია და მსახლერულად ზედმეტია ამის გამო:

„უზრუნველყოს მათი მაღალი აკადემიური წარმატება“.

„კარგი წარმატებით დაამთავრა აბასთუმის საშუალო სკოლა“.

ასევე ტაგეტოლოგიურია შესიტყვება მთავარი საკვანძო საკითხი:

„ყურადღებიდან ხომ არ რჩება მთავარი საკვანძო საკითხი“.

საკვანძო – ძირითადი, მთავარი, არსებითი, რაზეც სხვებია დამოკიდებული. საკვანძო საკითხი მთავარიცაა იმავე დროს, მაგრამ მთავარი საკითხი შეიძლება საკვანძო არ იყოს. ამიტომ ყველაფერი რიგზე იქნებოდა, მთავარის შემდეგ რომ სასვენი ნიშანი იყოს და ეს მსახლერულად ერთგვარონად გაგვეგო. უამისოდ კი მთავარი აღიქმება საკვანძო-ს მსახლერულად, რაც აზრობრივად გაუმართლებელია.

პასიური უმოქმედობა ასევე ტაგეტოლოგიური შესიტყვებაა. უმოქმედობა – უმოქმედოდ ყოფნა, პასიური – არააქტიური, უმოქმედობა (ქველ.). ამდენად „უმოქმედობასთან“ მსახლერულად „პასიური“ არ გამოდგება.

„მაგრამ ჩვენ, ქართველებს, ჩვენში მცხოვრებ ყველა მკვიდრს ერთი წუთითაც არ დავუწყვეტია დიდ საბჭოთა მიწაზე მოსახლე... მილიონობით ადამიანის ბუფი“.

მცხოვრები და **მკვიდრიც** სინონიმური სიტყვებია და ამის გამო შესიტყვება **მცხოვრებ მკვიდრს** ტაგეტოლოგიურია.

„ტექნიკური პროგრესის თავბრუდამხვევი წინსვლის შედეგად დღევანდელ სალიტერატურო ენაში დაკარგებული ტერმინები მსოფლიოს თითქმის ყველა ენაშიც არის უფლებამოსევილი“ (?).

წინადადების პირველი ნაწილი ასე უნდა გაიშართოს: თავბრუდამხვევი ტექნიკური პროგრესის შედეგად... – ოღონდაც შემდეგი აზრი მაინც ბუნდოვანი დარჩება სხვა მიზეზების გამო. „იგი სრულიად ახალგაზრდა ჭაბუკი მოვიდა თეატრში“ (ტელეგადაცემა); **ჭაბუკ** სიტყვის მნიშვნელობა გამოირიცხავს მის მსახლერულად ახალგაზრდა სიტყვის ხმარებას.

ძალიან ხშირად ტაგეტოლოგიური შესიტყვება ისე ხშირად იხმარება, რომ ტაგეტოლოგიას ვეღარ ვგრძნობთ. მაგრამ საქმარისია ამგვარ შესიტყვებათა მარტოეი ანალიზიც კი, რომ ერთერთი სიტყვა ზედმეტი აღმოჩნდება. ასეთებია თვეების სახელებისათვის თვე სიტყვის დამატებით მიღებული შესიტყვებები: მაისის თვე, აპრილის თვეში და ა. შ. (უნდა: მაისი, აპრილში

და ა. შ.), ანდა დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან **წელიწადი, თვე, საათი, წუთი, წამი... დრო** სიტყვის დამატებით მიღებული შესიტყვებები:

„მას შემდეგ **ორ თვეზე მეტი დრო** გავიდა“;

„**3 წამი დრო** მოიგო“ („ლელო“) და ა. შ.

როცა ვამბობთ „მილიონი მანეთის პროდუქცია“, ამ პროდუქციის ღირებულებაზეა ლაპარაკი და სიტყვა **ღირებულება** ზედმეტია. ამიტომ ტავტოლოგიური შესიტყვება გვაქვს ასეთ წინადადებაში: „კომბინატი უშვებს 35 დასახელების **სამი მილიონი მანეთის ღირებულების პროდუქციას**“.

მომარაგებს, მომარაგდება ზმნათა მოქმედების სახელია **მომარაგლება**. ამოსავალია **მრავალ** სიტყვა (ბევრი, დიდი რაოდენობისა). **მომარაგლება** – გაბევრება, ივარაუდება რიცხობრივი მატება. ამიტომ შესიტყვება **რიცხობრივი მომარაგლება** ტავტოლოგიურია, მსაზღვრელი ზედმეტია ამ წინადადებაში: „მე როდი ვიცი, ისინი „ტიპურნი“ არიან თუ არა და რა პერსპექტივაა მათი **რიცხობრივი მომარაგებისა**...“.

ყოველგვარი ტავტოლოგია, თუ ის სტილებრივი დანიშნულებისა არ არის, აბუნდოვანებს სტილს, ასუსტებს სიტყვის გამომსახველობით ძალას. გაუმართლებელია ენობრივი ტავტოლოგია პუბლიცისტური სტილისათვის, რომელსაც ყველაზე მეტად ესაჭიროება აზრის სიცხადე, სიმარტივე, გამომსახველობა. მკაცრად აფასებენ მას მოსწავლეთა და აბიტურიენტთა ნაწერებშიც.

მარტივი ლექსიკური და გრამატიკული ტავტოლოგია შედარებით ადვილად გასასწორებელია, მაგრამ საფრთხილია აზრობრივი ტავტოლოგიები, რომლებიც ხშირად აღარც კი აღიქმება ასეთად და მკვიდრდება კიდევ ჩვენს მენტელებში. ამგვარი დაუდევრობის გამოვლინება ყოველთვის კრიტიკულად უნდა იქნეს გაანალიზებული და შეფასებული. ტავტოლოგია უარყოფითი მოვლენაა ენაში. მას იწვევს შესიტყვებაში შემავალი რომელიმე სიტყვის მნიშვნელობის უცოდინარობა, მისთვის ანგარიშგაუწველობა, დაუდევრობა ან უყურადღებობა სიტყვათა ხმარებისას. ამიტომ ტავტოლოგია უნდა გავასწოროთ. გასწორების ერთი საერთო და მარტივი საშუალება იქნება ტავტოლოგიური შესიტყვებიდან ერთ-ერთი კომპონენტის ამოღება. კონკრეტულად კი გასწორება დამოკიდებულია ტავტოლოგიის ტიპზე. გათვალისწინებული უნდა იქნეს კონტექსტის სტილი და აზრობრივი მხარე.

მნიშვნელობის თვალსაზრისით შეუფერებელი სიტყვათშეხამებანი თანამედროვე ქართული პრესის ენაში¹

სხვა რიგის ენობრივ დარღვევებთან ერთად თანამედროვე პრესის ენაში ხშირად გვხვდება შეუსაბამობა შესიტყვებაში სიტყვის შერჩევის თვალსაზრისით. ამგვარ შეუსაბამობათა უმეტესობა იმითაა გამოწვეული, რომ ფრაზის ავტორისათვის არ არის ცნობილი სინტაგმის რომელიმე წევრის ზუსტი მნიშვნელობა ან იგი ცდილობს, უფრო წიგნური გახადოს, გაამხატვრულოს, გააღამაზოს ნათქვამი. შედეგად იმას ვიღებთ, რომ წინადადების გაგება ჭირს ან საერთოდ შეუძლებელია, ზოგჯერ კი აზრი სრულიად იცვლება.

როდესაც ვლადპარაკობთ ენობრივ დარღვევებზე სინტაგმაში სიტყვის შერჩევის თვალსაზრისით, სიტყვების შეხამებაში გვაქვს შემთხვევები, როცა სინტაგმა შედგენილია ორი ისეთი სიტყვისაგან, რომელთა ერთმანეთთან დაკავშირება მნიშვნელობის თვალსაზრისით საერთოდ არ შეიძლება.

დარღვევები სხვადასხვა ხასიათისაა: ზოგჯერ გავრცელებულ ფრაზოლოგიზმსა თუ მყარ გამონათქვამში უპართებულოდ შეცვლილია რომელიმე წევრი, ხან სხვადასხვა გამონათქვამთა კონტამინაცია გვაქვს, ზოგჯერ კი ფრაზის ავტორს თვითონ უცდია ახალი სიტყვათშეხამება შეექმნა, როგორც ჩანს, უფრო ძლიერი ემოციის გამოსაწვევად, მუტი ეფექტის მოსახდენად.

I. ცნობილია, რომ სიტყვას სალიტერატურო ენაში ამ ენის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე სრულიად გარკვეული მნიშვნელობა აქვს. არ შეიძლება, რომელიმე სიტყვა ნებისმიერ სხვა სიტყვას დაეუკავშიროთ. ყოველ სიტყვას, ამავე დროს, აქვს თავისი მყარი ადგილი ტრადიციულ სიტყვათშეხამებაში და სალიტერატურო ენის მომხმარებელთა უმეტესობა იყენებს ამ შხა სიტყვათშეხამებებს. ორი სრულიად ჩვეულებრივი სიტყვა გამოიყურება უჩვეულოდ, თუ ეს სიტყვები დაკავშირებულია ერთმანეთთან პირველად, ანდა უჩვეულო კონტექსტში.

ფრაზოლოგიზმთა და მყარ გამონათქვამთა გამოყენება გამომსახველსა და მოქნილს ხდის პრესის ენას, მაგრამ, როდესაც ამგვარ გამონათქვამებში შეცდომები დაშვებული, მაშინ ისინი კარგავენ თავიანთ ღრებულებას და ზიანს აყენებენ ფრაზას.

მართალია, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ რიგის ბარეუბები უწინდელ-გახეთების ფურცლებზე შედარებით იშვიათად გვხვდება, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც მოიპოვება.

1. ქართულში ძალიან გავრცელებულია ფრაზოლოგიური გამოთქმა **ერთ ყურში შეუმევებს (შეუშეა), მეორედან კი გაუშეებს (გაუშეა)**, რაც ნიშნავს შემდეგს: ნათქვამს ყურადღებას არ მიაქცევს, მნიშვნელობას არ მისცემს, ანგარიშს არ გაუწევს². ამ ფრაზოლოგიური გამოთქმის ნაცვლად ამავე მნიშვნელობით უხმარიათ: **ერთი ყურით მოისმინა, მეორეთი კი დაივიწყა**.

მაგრამ ქარხანამ, რომ იტყვიან, ეს პრეტენზია ერთი ყურით მოისმინა, მეორეთი კი დაივიწყა.

ეს ფრაზა უფარგისია არა მარტო გაღატანით, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც. მისი მფორე ნაწილი (მეორე ყურით დაივიწყა) აზრობრივად ყოველად გაუმართლებელია.

2. თანამედროვე ქართულ სასაუბრო ენაში არსებობს ორი სინონიმური ფიგურალური გამოთქმა: **ქანცი გაუწყდა** და **სიქა გახსებრა**. მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოთქმებში შემაჯავალ სახელებს, ყოველ შემთხვევაში, სასაუბრო მეტყველებაში, დღეს სინონიმური მნიშვნელობები აქვს (ორივეს მნიშვნელობაა: ძალ-ღონე, ილაჯი, არაქათი), მათთან ხმარებული ზნეების ნებისმიერი შენაცვლება მაინც დაუშვებელია. ასეთი შენაცვლება კი დასტურდება:

მანქანები ისეთი დატვირთვით მუშაობენ, საცაა ქანცი გამკრებათ.

¹ ქართული სიტყვის კულტურის ხაითხები, III, თბ., 1980.
² აქც და შემდგომშიც ყველგან სიტყვათა განმარტებები ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვითაა წარმოდგენილი.

3. ამავე რიგისაა ქვემოთ მოყვანილი უჩვეულო სიტყვათშეხამება:

ზამთრისათვის მზადებას კარგი მუერნე ყოველთვის აღრე იჭერს.

მზადებას იჭერს უაზრო სინტაგმა. იჭერს ზმნის მონაწილეობით მსგავსი შინაარსის შესიტყვება იქმნება სიტყვასთან **თადარიგი**. ეს სიტყვა არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს მომზადებას. ქართულშიც ფიგურალური გამოთქმები – **თადარიგს შეუდგება, თადარიგს (და) იჭერს** აღნიშნავენ: მზადებას, საშაადისს შეუდგება, წინასწარ (მო)მზადება (რამესთვის), წინასწარ (მო)ამზადებს (რასმე). აშკარაა, რომ მოყვანილი წინადადების ავტორისათვის ეს ფიგურალური გამოთქმები ცნობილია და შეცდომაც ამის შედეგია. ან უნდა ყოფილიყო **თადარიგს იჭერს, ან – მზადებას იწყებს**.

4. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არსებობს ფრაზეოლოგიური გამოთქმა **ნორის შეშლა, ნორის შეცვლა, ნორის გატეხა**, სადაც **ნორი** ნიშნავს: წყეს, რიგს, გეხს, მსვლელობას, ზნეს, ჩვევას, ხასიათს. ზოგჯერ, როგორც ჩანს, არ არის ნათელი ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა და მყარ გამონათქვამში უმართებულად ცვლიან სინტაგმის ერთ-ერთ წევრს:

ცხოვრების ნორის დაქვეითებას არ შეუძლია უარყოფითი გაავლენა არ მოეხდინა ახალგაზრდა თაობის... ფსიქიკაზე.

5. დასტურდება ასეთი წინადადებაც:

თითქოს ამ სასიკეთო ბრძანებას სასიკეთო პირი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად.

ქართულში იმ რიგის ფრაზეოლოგიზმებში, რომლებშიც სიტყვა პირი მონაწილეობს, ჩვეულებრივ, იხმარება ზმნა **უჩანს: კარგი (ცუდი, სასიკეთო...) პირი უჩანს**. ამდენად, დამოწმებული მსგავსი გაურცვლებული ფრაზეოლოგიზმის უმართებულად გადაკეთების ნიმუშია.

6. სიტყვა **ცეცხლი** დღევანდელ ქართულში რამდენიმე ფრაზეოლოგიურ გამოთქმაში შედის: **ცეცხლზე ნათის დასხმა, ცეცხლზე წყლის დასხმა, ცეცხლისთვის ცეცხლის შეკეთება, ცეცხლთან თამაში, ცეცხლის აღში გატარება, ცეცხლის მოდება** და ა. შ. ფრაზეოლოგიზმებია აგრეთვე **ცეცხლს უნთებს** და **ცეცხლს უკიდებს**. პირველი იხმარება რამდენიმე შინაარსის გადმოსაცემად: ააღვლეებს, შეაწვევებს, მწკვევდ განაცდევინებს რაიმე გრანობას, ხოლო მეორე შესიტყვებას იყენებენ ფასის აწვევასთან, გაძვირებასთან დაკავშირებით. **ცეცხლს უკიდებს** ნიშნავს: ძალიან ძვირად ყიდის, ძვირს აფასებს, **ცეცხლი კიდება** – ძალიან ძვირია, **ცეცხლის კიდება** – მეტიმეტი სიძვირე. მაგრამ ეს ორი უკანასკნელი იდომბურტი გამოთქმა ერთმანეთში აურევიათ:

...ქათმები, ბეკობა, ფერმაში შეუქენია, ფასს მაინც ცეცხლს უნთებს.

7. გვაქვს ფიგურალური გამოთქმა **ხმას იმაღლებს, ხმა აიმაღლა**, რაც ნიშნავს: აშკარად გაბედულად გამოდის, პროტესტს აცხადებს, ხმას იღებს. ამავე შინაარსის გადმოსაცემად გამოთქმა – **ხმას არ იდაბლებს** ქართულისათვის სრულიად უჩვეულოა. მიუხედავად ამისა, მაინც უხმარიათ:

ქართული თეატრი რესპუბლიკაში შექმნილი იდეური და ორგანიზატორული ინერტულობის დროსაც არ იდაბლებდა ხმას, მაინც ახერხებდა სატრიბუნო სპექტაკლის შექმნას.

8. არსებითი სახელი **მხარი** დღევანდელ ქართულში რამდენიმე მყარი გამოთქმის შემადგენლობაში შედის. ეს გამოთქმებია: **მხარს დაუჭერს, მხარს მისცემს, მხარს აუბამს, მხარს უმშვენებს, მხარს უსწორებს, მხარში ამოუდგება**. ეს სინტაგმები სხვადასხვა შემთხვევაში დახმარებას, გვერდში ამოდგომას (რაიმე საქმიანობაში), გატოლებას ნიშნავს.

უკმაყოფილო მცხოვრებლები იძახიან, ოღონდ ყურადღება მოვაქციონ, წყლის საიმედო დამცავები გააკეთონ და მზად ვართ, მხარი აუუბათო.

ამგვარ გამოთქმათა ანალიზითაა გაკეთებული უჩვეულო გამოთქმა – **მხარი არ ჩამოუგდო**,

რომელიც კონტექსტის მიხედვით არ ჩამორჩას ნიშნავს:

მხარი არც №5 ბრიგადის მებარეშუმემ ჩამოუგდო.

9. სიტყვა **ციებ-ცხელება**-ს, გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა, აქვს გადატანითი მნიშვნელობაც: ფაცაფუცი, მღელვარება. ამ მნიშვნელობით მონაწილეობს ეს კომპოზიტი ფიგურალურ გამოთქმებში: **ციებ-ცხელებას დამართებს, ციებ-ცხელება აუტყდება**. უკანასკნელი ნიშნავს: შეშფოთდება, შეშინდება, აღელდება. ამ მნიშვნელობით შეგვხვება ახალი სიტყვათშეხამება **ციებ-ცხელება გაუჩნდება**, რაც უჩვეულოა დღევანდელი ქართულისათვის.

...სულ მალე ჰადრაკის სამყაროს ახალი ციებ-ცხელება გაუჩნდება...

10. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ხშირად იხმარება წიგნური წარმოშობის სიტყვათშეხამება **საქმის კურსშია, მოვლენების კურსშია**. ეს ნიშნავს: საქმეში გარკვეულია, საქმის (მოვლენების) მიმდინარეობა იცის. ამ შინაარსის გადმოსაცემად სხვაგვარი სიტყვათშეხამება დღეს არა გვაქვს. ამიტომ მოულოდნელია შემდეგი სიტყვების დაკავშირება: მოღვაწეობის კურსშია.

11. არსებით სახელს **კვალი** აქვს გადატანითი მნიშვნელობაც: დანეული ნიშანი, დარჩენილი რამ ნაშთი. ამ მნიშვნელობით შედის ეს სიტყვა ფიგურალურ გამოთქმებში **კვალი გააულო, კვალი დატოვა**, რაც ნიშნავს: მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რამეში, თვალსაჩინო შედეგს მიაღწია. დაახლოებით ეგვევ შინაარსი აქვს თანამედროვე ქართულში (ოდნავ უარყოფითი ნიუანსით) მეორე ფიგურალურ გამოთქმას **დაღი დაასვა**. ამ ორი სიტყვათშეხამების კონტრამინაციის ნიმუშია შემდეგი მაგალითი:

ამ მიზეზებმა წარუშლელი კვალი დაასვა მერმინდელი ხაუკუნეების პროზას.

12. გვხვდება ასეთი წინადადება:

სააუღმყოფოს გამოცდილი ექიმებიც კი შეკრთნენ და აღარ იცოდნენ, რა გზას სწვოდნენ.

ქართულში არსებობს ორი ფიგურალური გამოთქმა **ბედს ეწვეა და გზას დაადგება**. მოტივინდი მაგალითი ამ ფიგურალური გამოთქმების კონტრამინაციის შედეგი ჩანს და უმართებულოა. უნდა ყოფილიყო **აღარ იცოდნენ, რა გზას დასდგომოდნენ**.

მსგავსი შემთხვევები თანამედროვე პრესის ენაში არც თუ იშვიათია.

13. ქართულში გავრცელებულია ორი ფიგურალური გამოთქმა: **სულს ძლივს ითქვამს და სულს დაფავს**. პირველი ნიშნავს: სუნთქვა უჭირს, გაჭირვებით სუნთქავს, სულს ძლივს იბრუნებს, ხოლო მეორე – კვდება, სიკვდილის პირასაა. დასტურდება ამ ორი გამოთქმის კონტრამინაცია:

როცა დაუთი ხიდან ჩამოხსნეს, იგი სულს ძლივს დაფავდა.

მიღებული გამოთქმა ბუნდოვანს ხდის წინადადების აზრს – არ ჩანს, ხიდან ჩამოხსნილი კაცი კვდებოდა, თუ მას მხოლოდ სუნთქვა, სულის მობრუნება უჭირდა. ეს გაუგებრობა კი იმან გამოიწვია, რომ **ზნა ითქვამს** თავისი სემანტიკის გამო იგუებს ზმნისართს ძლივს, მაგრამ ეს უკანასკნელი ამავე მიზეზით **დაფავს** ზმნასთან შეუფერებელია.

14. უჩვეულო სიტყვათშეხამებაა აგრეთვე პრესაში დადასტურებული **ძვალსა და რბილში ფესვი აქვს გადგმული**.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ფიგურალურად, არაპირდაპირი მნიშვნელობით ხშირად იხმარება გამოთქმა **ფესვი აქვს გადგმული**, მაგრამ ამ გამოთქმას, ჩვეულებრივ, **ძვალსა და რბილს** არ უკავშირებენ. ბუნებრივი ქართული გამოთქმებია **ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, ძვალსა და რბილში გაუჯდება**.

15. მეორე გამოთქმა **ერთი სული აქვს** დღეს საკმაოდ პროდუქტიულია და ნიშნავს: სული მიუღის, ძალიან ეჩქარება. ამ გამოთქმისათვის რომელიმე წვერის მოკლება მას შინაარსს აცლის და ფუნქციას უკარგავს. ამიტომ აზრი ბუნდოვანი გამხდარა ქვემოთ მოყვანილ წინადადებაში:

ხალამოსვე გამზადებული მისალოცი იდლიაში ამოვიჩარე. ყურებიანი ქუდი ნიკაპს ქვეშ შევისკვენი და და ერთი სულით გავეშურე დეიდა ელენეს სახლისაკენ.

16. კუთხური სიტყვა **თავპატივი** ბოლო დროს დამკვიდრდა სალიტერატურო ქართულში და იგი, ჩვეულებრივ, იხმარება მასდართან **გადება**, ან ზმნასთან **გაიდო** (**თავპატივის გადება**, **თავპატივი გაიდო**); მათი მნიშვნელობაა: ტყუილად, განგებ უარზე დადგომა, – განაზება, გაპარნაჟვა. ამ ფიგურალურ გამოთქმაში ზმნის პრევერბის შეცვლა არაბუნებრივია, მაგრამ გვხვდება კი:

სტუმრები ვიყავით და თავპატივი დავიდეთ.

17. ქართულისათვის ჩვეულებრივია ფიგურალური გამოთქმა **გაელენის ქვეშ მოექცა**. მისი უჩვეულო პერიფრაზი გვაქვს წინადადებაში:

იქნებ კიდევ შეიძლება ზოგი მათგანის შეცვლა ან იმათი მობრუნება, ვინც უნებლიეთ მიეცა ცუდის გავლენას?

ცხადია, რომ **მიეცა** ზმნა მოყვანილ წინადადებაში უადგილოდაა ნახმარი. **მიეცემა** (მიეცა), რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა: მოიცავს რამე (მთლიანად), თავს მისცემს, ამ შინაარსით ეხამება სიტყვებს: **განცხრომა**, **ძილი**, **ფიქრები**, **სიხარული**, **მოსვენება** და ა. შ. **გაელენა** კი ამ კონტექსტისათვის შეუფერებელია.

გარდა აღნიშნული სახის დარღვევებისა, პრესის ენაში დასტურდება მნიშვნელობის თვალსაზრისით შეუფერებელი სინტაგმათა ხმარების სხვა შემთხვევებიც.

ა. გვაქვს ორი ჩვეულებრივი გამოთქმა: **რამდენიც გაეხიარდება და სანამ არ მოგწყინდება**. მათი აღრევით მიღებული სიტყვათშეხამება **რამდენიც არ მოგწყინდეს** კი უჩვეულოა;

თუ შემდეგ ცუდად წავიდეს შენი ცხოვრება, მე დამემღურე, მაგინე, რამდენიც არ მოგწყინდეს.

ბ. ქართულში გავრცელებულია ჩვეულებრივი გამოთქმები – **კარგ გუნებაზე აყენებს, კარგ ხასიათზე აყენებს**. ამათი ანალოგიითაა გაკეთებული **კარგ ფიქრზე არ აყენებს**, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ბუნებრივ ქართულად.

გ. შეგვხვდა ასეთი წინადადება:

განა შეიძლება მათ აზრადა მოსვლოდათ, რომ ვიღაც კონიოვი იმ დღეს... საკმაოდ გამოთვრებოდა.

საზგასმული სინტაგმა მიღებული ჩანს ორი გავრცელებული ფიგურალური გამოთქმის – **აზრად მოსდის და აზრადაც არ მოსდის** – არასწორი შერწყმის შედეგად.

დ. ქართულის თვალსაზრისით შეუფერებელი სიტყვათშეხამების ნიმუშია დადასტურებული შემდეგ წინადადებაში:

მგზავრებს ისღა დარჩენოდათ, რომ ბედის წყრას დალოდებოდნენ.

მართებული იქნებოდა, ეხმარათ: **ბედს დალოდებოდნენ ან ბედისწყრას დამორჩილებოდნენ**.

ე. თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, კერძოდ, პრესის ენაშიც, ზოგჯერ, სტილისტიკური მიზნით, იხმარება არქაული ლექსიკა ან არქაული გამოონათქვამები. მაგრამ საჭირო ვუყქტის მოხაზუნად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ ამგვარი არქაიზმი არა მარტო მარჯვედ, არამედ სწორი ფორმით იყოს გამოყენებული. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ასე არ ხდება:

მუხლმოდრეკით ამბოროს უგებენ დიდი და მცირე.

ამბორი ძველი ქართულიდან მომდინარე სიტყვაა. ძველში იგი ნიშნავდა კოცნას. თანამედროვე ქართულში ამ სახელისაგან მიღებული **ვამბორება** ნიშნავს: მოწიწებით, მორიდებით კოცნის, ემოხვევა (ჩვეულებრივ, ხელზე, შუბლზე). ხუმოთ მოყვანილ წინადადებაში საუბარია დედაზე. ავტორს, ჩანს, სურდა მხატვრულად ეთქვა – დიდი თუ პატარა დედას მუხ-



დმოდრეკით ეამბორება, ეთაყვანებო, მაგრამ ნათქვამი კარგად ვერ გამოუვიდა. სახელთან ამბორი ბუნებრივია ზმნა **უყოფენ** და ძველ ქართულ ძეგლებში არაერთგან დასტურდება კედც კომპოზიტი **ამბორისყოფა**³. რაც შეეხება **გებას** – ეს ზმნაც ძველი ქართულიდანაა შემორჩენილი და დღევანდელ სალიტერატურო ენაში რამდენიმე ფიგურალურ გამოთქმასაც კი ქმნის (**ნიშნს უგებს, ანდერძს უგებს, მახეს უგებს** და მისთ.), მაგრამ ის არასოდეს არ იხმარება არხებით სახელთან **ამბორი**. ამიტომ ზემოთ დამოწმებულ წინადადებაში აშკარა შეცდომაა. იგი გამოწვეულია **გება** და **ყოფა** სიტყვების აღრევით.

3. თანამედროვე სალიტერატურო ენაში იხმარება ძველი ქართულიდან შემორჩენილი გაქვავებული სიტყვათშეხამება ალიფაგა პირისაგან მიწისა, რომლის შინაარსი დღესაც სრულიად გაჭკვირვალა. მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგჯერ მას გაუაზრებლად ხმარობენ, რის გამოც უმართებულოდ უკავშირდება ფრაზის წყვერები ერთმანეთს. ასეთებია:

მაგრამ ხატინი ერთადერთი სოფელი როდია გერმანელი ფანშისტების მიერ აღგვილი მიწისაგან პირისა; დედამიწისაგან პირისა აღგვილ იქნა ყოველგვარი გადმონაშთი...

პრესის ენასაც, ისევე, როგორც მხატვრული ნაწარმოების ენას, გამომხატველსა და ემოციურს ხდის, მოქნილობას მატებს ფრაზოლოგიზმების, იდიომებისა და მყარი გამონათქვამების გამოყენება, მაგრამ ამგვარ გამონათქვამებს განსაკუთრებული სიფრთხილით სჭირდება მოპყრობა. ენის მიერ ტრადიციულად უკვე შესისხლხორცებული ამგვარი სიტყვათშეხამებების დარღვევას სალიტერატურო ენა ვერ იტევს.

II. შეცდომების ერთ დიდ წყებას თანამედროვე ქართული პრესის ენაში ქმნის შეუსაბამო ბანი სიტყვის შერჩევის თვალსაზრისით ატრიბუტულ სინტაგმაში.

როგორც უკვე აღინიშნა, სიტყვა სინტაგმაში უნდა შვირჩეს მისი ზუსტი აზრობრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით. ცნობილი რუსი მწერლის კონსტანტინე ფედინის პართუბული თქმით, «Точность слова является не только требованием стиля, требованием здорового вкуса, но прежде всего – требованием смысла»⁴. სამწუხაროდ, პრესის ფურცლებზე ხშირად არ იცავენ სალიტერატურო ენის ამ უპირველეს მოთხოვნას.

მსაზღვრელი წინადადებაში ერთ-ერთი ამხსნელი სიტყვაა. ის აუცილებლად დაკავშირებულია სხვა, საგნის აღმნიშვნელ, სახელთან და ახასიათებს მას რაიმე ნიშნის, თვისების თვალსაზრისით. მაგრამ გარკვეულ საგნებს ბუნებაში გარკვეული თვისება (თვისებები) მიეწერება და არ შეიძლება ამას ანგარიში არ გაეწიოს. არ შეიძლება ნებისმიერ საგანს მისთვის შეუფერებელი ნებისმიერი ნიშანი ან თვისება მიეწეროს. ჩვენ მიერ ქვემოთ განხილულ მასალაში უმართებულოდ შედგენილი სინტაგმების ერთი ნაწილი მიღებულია იმის შედეგად, რომ ვერაა მარჯვედ შერჩეული მსაზღვრელი სიტყვა საზღვრულისათვის. ამ შემთხვევაში მსაზღვრელი ისეთ ნიშანზე ან თვისებაზე მიუთითებს, რომელიც მასთან დაკავშირებული სახელით ნაგულისხმევ საგანს ან მოვლენას არასოდეს არ ახასიათებს. ამის მიზეზი რამდენიმე შეიძლება იყოს: 1. უმეტესწილად არ არის სწორად გაგებული სინტაგმის რომელიმე წევრის ზუსტი მნიშვნელობა. 2. რამდენიმე შესაძლებელი სინონიმისაგან ამა თუ იმ საგნისათვის მართებულად ვერაა შერჩეული მსაზღვრელი სახელი. 3. არის ცდა „გააღამაზონ“, „მხატვრული“ გახადონ ფრაზა და ამ მიზნით იყენებენ მაღალფარდოვან, ემოციურად დატვირთულ, მაგრამ მოცემული კონტექსტისათვის მნიშვნელობის მხრივ შეუფერებელ სიტყვას.

მოვიყვანოთ მაგალითებს:

1. ზედსართავმა სახელმა მაღალი ამ ბოლო დროს შესაშინვეად გაიფართოვა მოხმარების არე. ამის გამო, ზოგ, მეტისმეტად გაურცვლებულ, შესიტყვევაში იგი ერთგვარ ლექსიკურ შტრამალაც კი იქცა – დაკარგა თავისი ძირითადი დანიშნულება და აღრინდელი გამომხატველობა. ამას მოჰყვა ის, რომ, არც თუ იშვიათად, ეს ზედსართავი ისეთ სინტაგმაშიც მოხვდა, სადაც მისი არსებობა ყოველად გაუმართლებელია. ნიმუშები:

³ ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 5.

⁴ К. Ф е д и н. Писатель, искусство, время, М., 1955, гв. 321.

მაღალი სისუფთავის პრობლემა ტექნიკაში. მაღალი სისუფთავე მრეწველობის დიდ-ტონაჟიან დარგებშიაც შეიჭრა. უნდა ვუსურვოთ ყველას, განიცადონ ისეთივე მაღალი ტკბობა, როგორც განიცადე მე ასეთი მაღალი გამოხმაურება საქართველოდან ჩვენთვის მეტად ძვირფასია. შეიძლება იგივე მაღალი ტერმინი მიუყენოთ ლიტერატორთა კეთილგანწყობილების ხარისხს. მაღალი სტუმრის პატივსაცემად გამართულ სადილზე. მაღალი ჯილდო გვაქვალღეს. შენარჩუნებულ იქნა მაღალი სტარტი; მათ მაღალი რეპუტაცია დაიმსახურეს საერთაშორისო ტურნირში.

ყველა შემთხვევაში მაღალი უადგილოდაა ნახმარი. მის მაგივრად უნდა ეხმარათ **დიდრ, უხვი, კარგი, საპატიო** ან რაიმე სხვა განსაზღვრება. ხან კი არც ამგვარი შენაცვლება გამო-ასწორებდა საქმეს – საჭირო იყო აზრი სხვაგვარად გადმოცვათ.

ამ ზედსართავის ხშირად და უმართებულოდ ხმარება ზოგჯერ მას საცხებით უკარგავს ძირითად მნიშვნელობას. ამიტომ ვახსენებ არაა, რომ იგი გვეხდება სრულიად საწინააღმდე-გო შინაარსით:

ყველა სამუშაო მაღალ ვადებში შესრულდა.

ავტორს, უთუოდ, უნდოდა ეთქვა **მოკლე ვადებში.**

მოსავალი შეიძლება იყოს **კარგი, ცუდი, დიდი, უხვი...** მაგრამ არავითარ შემთხვევაში **მა-ღალი ან მყარი.** ჩვენი პრესის ფურცლებზე კი ამ არსებითი სახელის მსახვერელად ხშირად უმართებულოდაა ნახმარი ზედსართავები **მაღალი და მყარი.**

მეუღლესთან ერთად წელს მაღალი მოსავალი მოიყვანე. საფუძველს უყრიან უხვ და მყარ მოსავალს.

მაღალი მნიშვნელობის მხრივ შეუფერებელი მსახვერელია, აგრეთვე, სიტყვისათვის **ტემ-პი. ტემპი** შეიძლება იყოს **ჩქარი, აჩქარებული, ნელი, შენელებული...**⁵ მაგრამ არა **მაღალი, დაბალი,** ან მით უმეტეს, **გაქანებული.**

2. გამოყენების თვალსაზრისით, განსაკუთრებით პროდუქტიულია, აგრეთვე, ზედსართავი სახელი **დიდი,** მაგრამ მასაც ზოგჯერ დაკარგული აქვს პირვანდელი მნიშვნელობა, გაცვეთი-ლია, ვეღარ იწვევს მოსალოდნელ ეფექტს ანდა უკავშირდება ისეთ სახელს, რომელთანაც არ შეიძლება იყოს მნიშვნელობის მხრივ დაკავშირებულ – მოულოდნელ სინტაგმას ქმნის. უკანასკნელ შემთხვევებში ის უმართებულოდ ენაცვლება ზედსართავებს **მაღალი, კარგი, ბევრი, ავტორიტეტული** და მისთ. ნიმუშად:

მის შემოქმედებას არაერთგზის დაუმსახურებია ხალხის დიდი შეფასება. ამ საქმეში თავისი დიდი სიტყვა უნდა თქვას ქალაქის ინტელიგენციამ. კონფერენციაზე დიდი საუბარი გამართა.

3. ხშირად უადგილოდ იხმარება, აგრეთვე, ზედსართავი სახელი **ღრმა.** მაგალითად:

მისი ღრმა სურვილია მოისპოს შური და მტრობა. ყოველი ტექნიკური რევოლუცია ღრმა კავშირშია მეცნიერებაში მომხდარ რევოლუციასთან. შემუშავებულია ღრმა თანაკრძნობის ბრძენე წარმოდგინით გამანადგურებელი მოვალეობის გრძნობა ახალგაზრდა კაცისა...

მართებული იქნებოდა ხაზგასმული სინტაგმების ნაცვლად გვეხმარა: **დიდი სურვილი, მჭიდრო კავშირი, გულწრფელი თანაკრძნობა.**

4. ფრანგულიდან შემოსული სიტყვა **სიურპრიზი** მოულოდნელ, მაგრამ აუცილებლად ხა-სიამოვნო ამბავს ან საჩუქარს ნიშნავს. ამდენად, ამ სიტყვის მსახვერელად **უსიამოვნოს** გა-მოყენება მხოლოდ გაუგებრობაა. პრესაში კი ასეთიც დასტურდება:

⁵ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზედსართავები **მაღალი** და **დიდი** განსაკუთრებით ხშირადია აღ-რეული ერთმანეთში. ამ მოვლენის ახსნისას ალბათ რუსული ენის გავლენას ვერ გამოვრიცხავთ.

⁶ ამგვარი მართებული სიტყვათშეხამება გვხვდება კიდევ პრესაში: ჩქარი ტემპით შენდება სამ-რეწველო საწარმოები; ჩქარი ტემპით ვითარდება კვების მრეწველობა.

გათამაშება უსიამოვნო სიურპრიზით დაიწყო.

5. სიტყვა **მერძეული** ნიშნავს: რძის მომცემს, მეწველს. მაშასადამე, **მერძეული** შეიძლება იყოს **ძროხა (ფერი)** ან სხვა რომელიმე მეწველი ცხოველი, პირუტყვი, მაგრამ არა **ფერმა** და **კოლმეურნეობა**. **ფერმის** ატრიბუტად **მერძეულის** სმარება გაუმართლებელია.

6. რამდენიმე შეუფერებელი ატრიბუტია გამოყენებული, აგრეთვე, არსებით სახელთან კაცი. მაგალითად:

მე უაღრესად რელიგიური კაცი ვარ.

რელიგიური შეიძლება იყოს **რწმენა, სექტა, მოძღვრება** და მისთ. ეს ატრიბუტი გამოდგება მხოლოდ უსულო სახელისათვის. **კაცი** არ შეიძლება იყოს **რელიგიური**. ამ შინაარსის გადმოსაცემად ქართულს აქვს ძალიან მარჯვე სიტყვა **მორწმუნე, ღვთისმოსავი**, რომელიც ზოგჯერ ზედსართავის როლში გუხვდება (**მორწმუნე კაცი**), ზოგჯერ კი არსებითად გამოიყენება.

7. ამგვარივე სახის დარღვევა ქვემოთ დამოწმებულ წინადადებაში:

განა სოფელში კაცი გამოილია, რომ მაინცდამაინც ასეთ ჭირგავილი და გამირულ „კაცს ვეციოთ?

გამირულიც განსაზღვრებად მხოლოდ უსულო საგნის აღმნიშვნელ სახელებს შეეფერება: **გამირული სული, გამირული საქმე, გამირული შემართება, გამირული, ეპოპეა...** კაცი კი **გამირული** ვერ იქნება. აეტორს, როგორც ჩანს, უნდა ეთქვა **გამირი**.

8. გუხვდება საპირისპირო შემთხვევებიც, როცა მხოლოდ ცოცხალი სახელისათვის შესაფერი ატრიბუტი გამოყენებულია არაცოცხალ სახელთან. მაგალითად:

ამგვარად გაღმორცმული მასალა უფრო გასაგები და შთაბეჭდილებიანია მოსწავლეთათვის.

შთაბეჭდილებიანი შეიძლება იყოს **ადამიანი**. აქ კი უნდა ესმარათ სიტყვა **შთამბეჭდავი**, რაც ნიშნავს შთაბეჭდილების მომხდენს და შეეფერება კონტექსტის შინაარსს.

9. ასევე, **მოწინააღმდეგეც** შეიძლება იყოს მხოლოდ **ადამიანი** ან სხვა გასულიერებული საგანი. **აზრს** კი მსაზღვრელად შეეფერება **საწინააღმდეგო**. შდრ.:

არიან ცალკეული ადამიანები, რომლებიც გამოთქვამენ მოწინააღმდეგე აზრებს.

ქართულში, ისე, როგორც სხვა ენებში, სიტყვას უმრავლეს შემთხვევაში რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობა შეიძლება აქონდეს. კარგი მოქართულე ვაღდებულაა გაითვალისწინოს ენის ეს მხარე და სინტაგმა ისე შეადგინოს, რომ ერთმანეთს დაუკავშირდეს ყველა სხვა შესაძლებელ ვარიანტთან უფრო შესაფერისი სიტყვები. როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, ამის გათვალისწინება ყოველთვის ვერ ხერხდება და შედეგად ვიღებთ ორი სიტყვის აზრობრივი შეუთავსებლობის არაერთ შემთხვევას.

ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ ხშირად ორი სხვადასხვა სიტყვა მნიშვნელობით ახლოს დგას ერთმანეთთან და ქმნის ერთი მონაცვლეობის შესაძლებლობას, მაგრამ, ეს მონაცვლეობა ზოგჯერ თუ გამართლებულია, ზოგჯერ სრულ გაუგებრობას იწვევს, რადგან მათ, ზოგ შემთხვევაში მაინც, აქვთ ერთმანეთისაგან მნიშვნელობის მხრივ განსხვავებული ნიუანსი, ემოციური ელფერი და ტრადიციულად დამკვიდრებული ადგილი შესიტყვებაში. ამიტომ სინონიმურ ამ მსგავს მსაზღვრელთა რიგიდან ამა თუ იმ სახელისათვის უნდა შეირჩეს ყველაზე უფრო შესაფერისი, მოხერხებული და მარჯვე მსაზღვრელი.

10. ზემოთ უკვე ვახვერეთ, რომ ურუნალ-გაზეთების ენაში ამ მხრივაც ყველაფერი რიგზე ვერ არის. მოვიყვანთ სხვა მაგალითებსაც:

ავისტოს შუა რიცხვებში მკაცრი სიცხეები დაიჭირა.

მკაცრი სიცხეები ქართულისათვის უჩვეულო სინტაგმაა. ჩვეულებრივია **მკაცრი სიცივე**,

მკაცრი ზამთარი⁷, რადგან ამ ზედსართავის ერთ-ერთი მნიშვნელობაა სუსხიანი // უღმობელო, სასტიკი. ასევე ჩვეულებრივია ქართულისათვის დიდი სიცხეები. დამოწმებულ წინადადებაში უჩვეულო სიტყვათშეხამება გამოიწვია ამ ორი, მსგავს სიტუაციებში ხშირად ხმარებული სინტაგმების (მკაცრი სიციფე, დიდი სიცხე) აღრევა.

11. არსებით სახელს ზარალი დღევანდელ ქართულში ხშირად ახლავს განსაზღვრებად მიყენებული. ამ შინაარსის გადმოსაცემად ჩადენილი არ ვარგა. ჩადენილით ვამბობთ დანაშაულზე ქვემოთ დაეიმოწმებთ წინადადებას, რომელშიც ამ ორი სინტაგმის აღრევის შედეგად მიღებული გვაქვს ქართულისათვის დღეს შეუფერებელი სიტყვათშეხამება ჩადენილი ზარალი.

მათ მიერ ჩადენილი ზარალი არც ისე უმნიშვნელოა.

12. პრესაში ვკითხულობთ:

დღეს ფორსირებული ბრძოლაა გამოცხადებული მონოლითური ბეტონის წინააღმდეგ, რაც გამოუსწორებელ დაღს ასვამს ჩვენი არქიტექტურის ხარისხს.

ქართულისათვის ჩვეულებრივია მყარი შესიტყვებები: გამოუსწორებელი შეცდომა, გამოუსწორებელი დანაშაული, გამოუსწორებელი ნაკლი. მაგრამ სიტყვათთან დადი ატრიბუტად ისმარება წარუშლელი, წარუხოცელი: წარუშლელი დადი, წარუხოცელი დადი. დადის გამოსწორებაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

13. ყურადღებას იქცევს სიტყვათა ასეთი შეხამება: მიუტყვევებელი მოვლენა.

მიუტყვევებელი ნიშნავს: არასაკმატებელი, შეუწყნარებელი, რაც არ მიუტყვევებიათ და, ჩვეულებრივ, ისმარება სიტყვებთან ცოდვა, შეცდომა, საქციელი. მოვლენა მიუტყვევებელი არ შეიძლება იყოს. ის შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი და ა. შ.

14. პრესის ენაში ამ ბოლო დროს ხშირად ვხვდებით უმართებულო ფრაზას საუკუნეების გრძელ მანძილზე. მანძილთან ვმარობთ ზედსართავებს დიდი და მოკლე გრძელი ჩვეულებრივია სიტყვა გზასთან. ამდენად, გვაქვს ბუნებრივი შესიტყვებები გრძელი გზა და დიდი მანძილი. გრძელი მანძილი, ჩანს, მათი კონტრამინაციით არის მიღებული.

ორი დიდებული მითულის მოხელამ ახალი ძალით გახსნა საუკუნეების გრძელ მანძილზე მიყენებული ჭრილობები.

აქვე შევნიშნავთ, რომ არსებით სახელთან გზა ბუნებრივ სინტაგმას ქმნის შუა ზედსართავი (შუა გზა, შუა გზაზე...). ამ შინაარსით ნახევრის (ნახევარ გზაზე) გამოყენება დღევანდელი ქართულისათვის არ ჩანს მართებული:

არ შეიძლება ნახევარ გზაზე შექმერდეთ ამ კეთილშობილურ ბრძოლაში.

15. ქართულში გვაქვს ორი სინონიმური სიტყვა თოთო და ქორფა. მათი მნიშვნელობებია: ახალი, ჩივილი, ნედლი, ნორჩი. მიუხედავად მათი იდენტური მნიშვნელობისა, ისინი მსაზღვრედ სხვადასხვა სახელს იკუბენ. თოთო, ჩვეულებრივ, შეიძლება შეეწყოს სიტყვებს: ფოთლები, ყლორტი, ბავშვი... ქორფა კი – სახელებს: კიტრი, მწვანელი... ამიტომ ქართულისათვის შეუფერებელია თოთო კიტრები ქვემოთ დამოწმებულ წინადადებაში:

სმიტიც თავის ბოსტანში იყო და თოთო კიტრებს კრფდა.

16. დასტურდება ასეთი მაგალითები:

ისინი წარმატებით ართმევენ თავს მინიჭებულ მოვალეობას.

... ბიურო ჯეროვნად ვერ ახორციელებს დებულებით მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს.

ანიჭებენ წოდებას, ხარისხს, მნიშვნელობას და არა მოვალეობას. მოვალეობა შეიძლება

⁷ შდრ. მაგ., შარშან მეცხოველეებს მკაცრი ზამთარი ჰქონდათ.

იყოს დაკისრებული.

17. მარჯვედ ვერ არის შერჩეული მსახლერელი სიტყვა **ცოდნისათვის** შემდეგ მაგალითში:
მისი შთავარი ამოცანაა, მისცეს მოსწავლეებს მეცნიერული საფუძვლების მკვიდრი ცოდნა.

მკვიდრი ნიშნავს მტკიცეს, მაგარს, ურყევს. მაგრამ იგი, ჩვეულებრივ, გამოიყენება რაიმე ნაკებობის ატრობუტად, **ცოდნას** კი მსახლერელად უფრო **მყარი**, **საფუძვლიანი** შეუფერება.

18. ასევე უხერხულად ჟღერს **მკაცრის** ნაცვლად **მტკიცეს** გამოყენება დღეს ჩვეულებრივ და საკმაოდ გავრცელებულ გამონათქვამში – **მკაცრი წოლითი რეჟიმი**:

მენიერის დაჯადების შეტევის დროს აუცილებელია მტკიცე წოლითი რეჟიმი.

19. ქვემოთ მოყვანილი წინადადების ავტორმა, როგორც ჩანს, კარგად ვერ გაითვალისწინა სიტყვა **ნატიფის** მნიშვნელობა და შეუფერებელ კონტექსტში იყენებს მას.

მამამისი მუსიკის ნატიფი კედაგოგი იყო.

აღბათ, ფრაზის ავტორს უნდოდა ეთქვა, რომ გარკვეული პირი კარგი, საუკეთესო ან ნიჭიერი პედაგოგი იყო. **ნატიფი** ნიშნავს ღამაზად გამოკეთილს, – მშენიერს, მოხდენილს, ფაქიზს, ნაზს. ეს დახასიათებები სრულიად შეუფერებელია **პედაგოგი** სიტყვისათვის.

20. ასევე შეუფერებელი ჩანს **შედეგების** მსახლერელად **დაბალი** შემდეგ წინადადებაში:

სწორედ ეს არის დაბალი შედეგების მიზეზი.

შედეგი შეიძლება იყოს: **კარგი, ცუდი...** მაგრამ არა **მაღალი** ან **დაბალი**.

21. არც სიტყვა **კოლმეურნეობის** მსახლერელად გამოდგება ზედსართავი **მცირე**:

ისეთი მცირე და შთაგორიანი კოლმეურნეობისათვის, როგორც ხიდისთავია, ეს ურიგო როლია...

მართალია, **მცირე** და **პატარა** სინონიმებია, მაგრამ ისინი ყველა შემთხვევაში ვერ შეცვლიან ერთმანეთს. აქ უნდა ეხმარათ **პატარა** ან **წვრილი**.

22. ქართულისათვის დღეს სრულიად ბუნებრივია გამოთქმა **გამოუვალი მდგომარეობა**, მაგრამ ვეცემ მსახლერელი **გამოუვალი** შეუფერებელია სიტყვისათვის **ვითარება**. მაგალითად:

მინდია გამოუვალ ვითარებას განიცდის.

23. სინტაგმაში სიტყვათა უმართებულო დაკავშირების მაგალითია აგრეთვე შემდეგი წინადადება:

...ორგანიზმში მიმდინარე ნიორსახოვანი პათოლოგიური მდგომარეობის ანარეკლს წარმოადგენს...

ჩანს, აქ ავტორი შეცდომაში შეიყვანა იმან, რომ არსებობს სინტაგმა **პათოლოგიური მდგომარეობა**, მაგრამ მას მხედველობიდან გამოორჩა წინ უკვე ნახმარი სიტყვა **მიმდინარე**, რომელიც მეწყვილედ ითუებს სიტყვა პროცესს და არა **მდგომარეობას**. ე. ი. უნდა ყოფილიყო: **...მიმდინარე... პათოლოგიური პროცესის ანარეკლი...**

24. გაუგებრობას იწვევს ერთმანეთისათვის სრულიად შეუფერებელი ზოგი მსახლერელისა და სახლერულის დაკავშირება შემდეგ წინადადებებში:

ამ პირობებში რეჟიმი გააფთრებულ დონისძიებებს მიმართავს, რომ გაიხანგრძლივოს არსებობა. აქ მოახლოებული ეკონომიური დაქვეითების მრისხანე სიმპტომებია აღნიშნული. მათ დაძლიებს ბუნების მთიური კაპრიზები.

სინტაგმაში მსახლერელ-სახლერულთა შეუფერებელი დაკავშირების კიდევ რამდენიმე შემთხვევა იქცევა უურადლებას. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევათა დიდი ნაწილი მართულ-მსახლერელიანია.

25. ფრანგულიდან შემოსული სიტყვა **შედეგრი** დღეს საკმაოდ გავრცელებულია ქართულ-

ში და ნიშნავს: ხელოვნების, ოსტატობის მაღალხარისხოვან, სანიმუშო ნაწარმოებს, ქმნილებას. ჩვენს მასალაში კი ეს სიტყვა უმართებულოდაა ნახმარი:

ტექნიკას, ბურთის ფლობის შედეგებს ვერ გამოავლენ.

აქ ლაპარაკია არა **შედევრზე**, ე. ი. ქმნილებაზე, არამედ თვით **ოსტატობაზე**.

26. სიტყვა **ერთგულება** არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება დაუკავშირდეს კლემას, რომელიც ნიშნავს დარცხვენას, მორიდებას, მოკრძალებას. ამიტომ წინადადებაში – „...ოჯახში ერთგულების კედელა, მოლოდინის სიხარული, სიყვარულის ნათელი განუწყვეტელი ციმციმება“ – ამ სინტაგმის გამო აზრი გაბუნდოვანებულია.

27. სიტყვა **მარაქა** ძველად ნიშნავდა მხოლოდ ქალთა კრებულს. შემდეგ მან გააფართოვა მნიშვნელობა და დღევანდელ ქართულში იხმარება ადამიანთა ჯგუფის, ადამიანთა კრებულის შინაარსითაც. მაგრამ მისი გამოყენება საერთოდ საგანთა ერთობლიობის აღსანიშნავად არ შეიძლება გამართლებულად იქნეს მიჩნეული.

ამ მანქანების მარაქას არცთუ იშვიათად სახელმწიფო მანქანებიც ურევია.

წინადადების ავტორი, შეიძლება, შეცდომაში შეიყვანა ქართულში გავრცელებულმა ფიგურალურმა გამოთქამა – **მარაქაში გარევა**, მაგრამ ესეც მხოლოდ ადამიანების შესახებ ითქმის. 28. წინადადებაში – „შრომისა და ცხოვრების მძიმე მდგომარეობით გამოწვეული მათი ბრძოლა მიზნად ისახავდა... ექსპლუატაციის მოსპობას“ – სიტყვა **მდგომარეობით** უადგილოდაა ნახმარი. **შრომისა და ცხოვრებას** აზრობრივად შეეფერება **პირობები**: **შრომის პირობები, ცხოვრების პირობები**.

29. კრებით სახელი **ფარა** ქართულ ენაში ტრადიციულად იხმარება ცხვრის სიმრავლის აღსანიშნავად: **ცხვრის ფარა**. მგლის სიმრავლეს კი, ისევე ტრადიციით, გამოხატავენ სიტყვა **ხროვით**: **მგლის ხროვა**. ამიტომ მგლის ფარა ვერ არის კარგი ქართულის ნიმუში.

მგლისა და მგლის ფარისა კი ბავშუობაშიც არ მშინებია.

30. ასევე ვერ ნათელდება ბუნებრივ გამონათქვამად დღევანდელი ქართულის თვალსაზრისით **ღორების ჯგუფი**:

მიოხველი იფიქრებს, იქნებ, ამაჟამად ასუქებენ ღორების დიდ ჯგუფს ჩასაბარებლადო.

სიტყვა **ჯგუფი** თანამედროვე სალიტერატურო ენაში რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება, ძირითადად – გარკვეული ნიშნის მიხედვით გამოყოფილ ადამიანთა ერთობლიობის აღსანიშნავად. ღორების სიმრავლის აღსანიშნავად ეს სიტყვა ბუნებრივ ქართულ შესიტყვებას არ ქმნის. მის ნაცვლად უნდა ეხმარათ ძველი ქართულიდან შემორჩენილი **კოლტი**.

31. სინტაგმაში სიტყვათა უმართებულოდ დაკავშირების ნიმუშებია აგრეთვე შემდეგ მაგალითებში:

თითოეულმა ადამიანმა ამ დღესასწაულისთვის ტანისამოსის ერთი საგანი მაინც უნდა შეიძინოს. ისე აღწერს მსგავს სურათებს, თითქოს სიყვარულის მთელი ენერგია სურს მას შეაღიოს. გვეჯრა, ღირსეულად აღვნიშნავთ მწერლის დაბადების იუბილეს.

ყველგან სათქმელი ნაწილობრივ, მიახლოებითაა ნათქვამი. აშკარაა, რომ არ შეიძლება ლაპარაკი ტანისამოსის თუნდაც ერთ საგანზე, სიყვარულის ენერგიაზე, დაბადების იუბილესზე. ბუნებრივი ქართულია **დაბადების თარიღი** და არა **იუბილეს**.

32. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის შემთხვევები, როდესაც სინტაგმის ერთ-ერთი წევრი არასწორად არის გაფორმებული სიტყვაწარმოებისა თუ ბრუნების თვალსაზრისით, რასაც შედეგად შინაარსობრივი დამახინჯება მოსდევს:

მოსალოდნელი იყო კრიტიკოსისათვის ზომიერ გრძნობას ელაღატა.

ასეთ კონტექსტში იხმარება **ზომიერების გრძნობა** და არა **ზომიერი გრძნობა**. გვაქვს წინადადება:

გემოვნების მუსიკოსთა შეშვებით მან ისეთი კოლექტივი შექმნა, რომ მსმენელი და მაყურებელი არ დაკლებია.

აგტორს უნდოდა ეთქვა: **კარგი, დახვეწილი გემოვნების მქონე, ან უკიდურეს შემთხვევაში, გემოვნებიანი მუსიკოსი. სინტაგმა გემოვნების მუსიკოსი გაუგებარია.**

თანამედროვე ქართულში გამოიყენება სიტყვა **ნასახი**, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა კვალი, ნიშანი, ნატამალი. ეს სიტყვა მსაზღვრელად იგუებს ნათესაობითში დასმულ სახელს: **სინათლის ნასახი, კაცის ნასახი...** პრესის ენაში დასტურდება შემთხვევა, როცა ამ სიტყვასთან შეწყობილია -ურ სუფიქსით ნაწარმოები სახელი:

ღამარ შოფერს ელემენტარული ადამიანური ნასახიც არ აღმოაჩნდა.

ჩანს, აქ არეულია ერთმანეთში ორი ბუნებრივი ქართული გამოთქმა: **ადამიანური გრძნობა** და **ადამიანობის ნასახი**.

სინტაგმის ერთ-ერთი წევრის უმართებულო ფორმა აშკარა გაუგებრობას იწვევს შემდეგ წინადადებაში:

მოსწავლეთა ჩანაწერებიდან შეიძლება გავარკვიოთ მძიმე ოჯახური ურთიერთობანი, მეგობრული უსიამოვნებანი...

ცხადია, რომ აქ იგულისხმება უსიამოვნებანი მეგობართა შორის, ამიტომ წინადადება სხვაგვარად უნდა გამართულიყო.

III. თანამედროვე ქართული პრესის ენაში ენობრივ დარღვევათა მოზრდილ ჯგუფს ქმნის შესიტყვებები, რომლებშიც მონაწილეობს შემასმენელი და ვითარების გარემოება.

როგორც ცნობილია, ვითარების გარემოების გამოყენებისას დანიშნულებათა წინადადებაში დაახასიათოს ზმნის მოქმედება. ვითარების გარემოებების პრესის ენაში იმგვარივე შეუსაბამობები გვხვდება, როგორც გვექონდა მსაზღვრელი სინტაგმაში, ოღონდ, თუ პირველ შემთხვევაში მსაზღვრელის მნიშვნელობა არ იყო ბუნებრივი საზღვრულით აღნიშნული საგნის დასახასიათებლად, ამ შემთხვევაში ვითარების გარემოებით გადმოცემული შინაარსი არ შეიძლება მიესადაგოს შემასმენლით ნაგულისხმევ მოქმედებას.

მოვიყვანოთ მაგალითები:

I. შეხვალათიანი გულადმა დამხობილიყო.

აშკარაა ამ სინტაგმის უმართებულობა, რადგან **გულადმა** ნიშნავს პირით ზევით, ხოლო **დამხობა** - აუცილებლად პირით ქვევით წოლას. ამიტომ ამ ორი, მნიშვნელობით ერთმანეთის საპირისპირო სიტყვის დაკავშირება არ შეიძლება. ჩვენ არ ვიცით, რა უნდოდა ეთქვა აგტორს, მაგრამ უნდა ეხმარა ან **გულადმა დაწოლილიყო**, ან პირქვე **დამხობილიყო**.

2. ზმნა **დაუფულოს** გარემოებად იგუებს რამდენიმე სიტყვას: **კარგად, ცუდად, ღრმად** და მისთ. მაგრამ **უხვად დაუფულოს**, როგორც ქვევით მოყვანილ წინადადებაშია ნახმარი, მცდარი გამოთქმაა.

ამ განწყობამ ხელი უნდა შეუწეოს ბავშვს, ავიღად და უხვად დაუფულოს უცხოური ენის სიტყვებს.

აგტორს, როგორც ჩანს, მრავალი, ბევრი სიტყვის დაუფლებაზე უნდოდა გაქმავილებინა ყურადღება და ამან შეიყვანა შეცდომაში.

3. ზმნისართი **განუხრელად** საკმაოდ ხშირად გვხვდება პრესაში: **განუხრელად ატარებს პოლიტიკას, განუხრელად ახორციელებს მითითებებს...** **განუხრელად** ყველაგან ნიშნავს: პირდაპირ, მტკიცედ, ურყევად, მაგრამ ზოგჯერ ეს სიტყვა არ შეეფერება მასთან დაკავშირებული ზმნის მნიშვნელობას.

მათმა კანდიდატმა არათუ ვერ მიიღო საკირო უმრავლესობა, არამედ ტურიდან ტურამდე განუხრელად კარგავდა მიცემულ ხმებს.

4. ყურადღება მიიქცია ასეთმა წინადადებათ:

მან ირგვლივ შემორტყმულ თანამშრომლებს ჯეროვნად ჩამოართვა ხელი.

მართალია, ზმნისართი **ჯეროვნად** ნიშნავს სათანადოდ, მართებულად, მაგრამ ამ უკანასკნელთა შემცველად იგი ყოველთვის არ გამოდგება. **ჯეროვნად** შეიძლება გადაწყდეს საკითხი, **ჯეროვნად მომზადდეს** რაიმე, ხოლო ხელის ჩამორთმევა შეიძლება მეგობრულად, მაგრად, ნახად და ა. შ.

5. ვერ არის მარჯვედ გამოყენებული **იბეჭდებიან** ზმნის დასახასიათებლად, აგრეთვე, სიტყვა **საკმაოდ**.

ახალგაზრდა ავტორები კი საკმაოდ იბეჭდებიან „ცისკის“ ფურცლებზე.

შეიძლება ეთქვას: **საკმაოდ ხშირად იბეჭდებიან**, ან **მარტივად, ხშირად იბეჭდებიან**, **საკმაოდ იბეჭდებიან** კი უხერხული სინტაგმა.

6. ზმნისართი **გულისხმობდა** ბუნებრივია ატრიბუტულ სინტაგმაში: **გულისხმიერი დამოკიდებულება, გულისხმიერი მოპყრობა** და მიუხედავად იმისა, რომ იგი ნიშნავს: ყურადღებით, თანაგრძნობით, მისი ზმნისართად გამოყენება სიტყვათა სავარბი უჩვეულოა.

სავარბი შეიძლება იყოს **გულითადი, გულთბილი...**

7. უმართებულად არის გამოყენებული ზოგჯერ ზმნისართი **ბეჯითად**:

ბეჯითად მოვითხოვეთ ხელმძღვანელობისგან დისციპლინას. ასევე ბეჯითად უნდა ვიზრუნოთ ადამიანებზე.

პირველ შემთხვევაში უნდა ეხმარათ **დაბეჯითებით**, ხოლო მეორეგან აჯობებდა **გულმოდგინედ**.

8. ზმნისართი **ზერელედ**, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა **ზედაპირულად**, არაგულმოდგინედ, ყველა ზმნას შეწყვილედ ვერ გამოადგება. ამის ნიმუშია ქვემოთ მოყვანილი წინადადება:

მეორე ნახევარი თბილისელებმა **ზერელედ** დაიწყეს.

აჯობებდა ეთქვას: **არაგულმოდგინედ, არასერიოზულად, უპასუხისმგებლოდ**.

9. ზმნისართი **უკიდურესად** სინტაგმაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ ისეთ სიტყვებთან, რომლებიც უარყოფით ნიშანს შეიცავენ. ვამბობთ, მაგალითად: **უკიდურესად ღარიბი, უკიდურესად გაჭირვებული**, მაგრამ არ გვხვდება **უკიდურესად მდიდარი, უკიდურესად ბედნიერი**, მასალაში დასტურდება უმართებულო სიტყვათშეხამება **უკიდურესად ხელსაყრელი** იყო.

თავდამსხმელებისათვის ეს უკიდურესად ხელსაყრელი იყო.

უნდა ყოფილიყო: **მეტად ხელსაყრელი, უადრესად ხელსაყრელი, უკიდურესს კი შეწყვილედ შეეფერებოდა არახელსაყრელი (უკიდურესად არახელსაყრელი)**.

10. ვამბობთ **პირნათლად შეასრულა** და **ნდობა გაამართლა**, მაგრამ უცხოვ ხვდება ყურს გამოტქმა **პირნათლად გაამართლა ნდობა**.

მაგალითი:

მან პირნათლად გაამართლა დიდი ნდობა.

ზმნიხვდა **პირნათლად** მარჯვედ ვერ არის გამოყენებული შემდეგ წინადადებაშიც:

მათ პირნათლად შეინარჩუნეს ეს საპატიო სახელი.

11. გაექვს წინადადება:

დღემდე ავტორიტეტულად არაინ დანტერეკებსულა ამ პრობლემით.

ავტორიტეტული ნიშნავს ავტორიტეტინას, მას, რასაც ავტორიტეტი მოეპოვება. ბუნებრივი ქართული შესიტყვებია: **ავტორიტეტული სიტყვა, ავტორიტეტული დასკვნა**. ზმნისართული

მნიშვნელობით ეს სიტყვა, ჩვეულებრივ, იხმარება ზმნასთან განაცხადად ავტორიტეტულად განაცხადად. ავტორიტეტულად დინტერესება არაბუნებრივი და უხერხული გამოთქმაა.

12. სრულიად გაუგებარია ზმნისართის ფუნქცია ქვემოთ მოყვანილ წინადადებაში:

ერთ დღეს თვალი მსომჭრეღად შეეფეთა ომიდან დაბრუნებული ჭაბუკის მხერა.

შუფერებელი ზმნისართის გამოყენებამ გამოიწვია წინადადებით გადმოცემული აზრის გაბუნდოვანებაც.

13. ამ ბოლო დროს ხშირად იხმარება პრესის ენაში ზმნისართი მკვეთრად. იგი ნიშნავს: მკაფიოდ, აშკარად, გაურკვეველად, გამოკეტილად, ძლიერად, შესამჩნევად. ხშირად ხმარების გამო ამ სიტყვამ ზოგ შესიტყვებაში დაკარგა თავისი პირვანდელი გამომსახველობა, ზოგან კი მისი გამოყენება გაუმართლებელი ჩანს. მაგალითად:

პაერი 11 კმ სიმაღლეზედაც კი მკვეთრადაა გაჭუჭყიანებული. ისტორიამ მას მკვეთრად მიუჩინა ადგილი.

ზემოთ დასახელებულ ზმნებს ზმნისართად, ალბათ, უფრო შეეფერებოდა ძლიერად, გარკვეულად.

14. იგივემ მდგომარეობაა ზმნისართთან დიდად. მანაც მეტად გაიფართოვა მოხმარების არე და ზოგჯერ მოქმედების დასახასიათებლად გამოიყენება ისეთ შესიტყვებებშიც, სადაც სხვა ზმნისართების ხმარება უფრო მოხერხებული იქნებოდა. მაგალითები:

იაპონელ ხალხს დიდად სურს კუნძული ოკინავა. მათ დიდად შეაფასეს მისი ტექნიკური აღჭურვილობა. ტოროფან სასუქებს დიდად იყენებენ სოფლის მეურნეობაში.

აშკარაა, რომ დასახელებულ მაგალითებში უმჯობესი იქნებოდა ეთქვათ: ძალიან სურს, კარგად შეაფასეს და ფართოდ იყენებენ. რაც შეეხება ზმნისართს დიდად, იგი დღეს ბუნებრივი ჩანს მხოლოდ რამდენიმე შესიტყვებაში: დიდად სასიამოვნოა, დიდად დავალებულია, დიდად საქებარია და ა. შ.

15. ბოლო დროს, როგორც მხატვრული ლიტერატურის ენაში, ასევე პრესაშიც გავრცელდა სიტყვათშეხამებები, რომლებშიც ზმნით აღნიშნული მოქმედების დასახასიათებლად გამოყენებულია განსაკუთრებული ემოციური ფუქტის მქონე ზმნისართები: სასტიკად, საშინლად, აუტანლად, საოცრად და მისთ. ამ ზმნისართებს აქვთ თავიანთი ძირითადი (ტრადიციული) მნიშვნელობა და ამ მნიშვნელობით იხმარებოდნენ და იხმარებიან დღესაც. სასტიკად გყრობოდა, სასტიკად სჯიდა, საშინლად ბნელა, აუტანლად ცივა, საოცრად პგავს და მისთანები ბუნებრივი ქართულად გამოთქმებია. მაგრამ ამ ზმნისართებმა უკანასკნელ ხანს შეიძინეს ახალი ნიუანსი და შინაარსით გაუტოლდნენ ზმნისართებს: ძალიან, მეტისმეტად, ძლიერ, უაღრუხად და ა. შ. ამ შინაარსით მათი გამოყენება ყოველთვის მოხერხებული არ არის, რასაც ქვემოთ მოყვანილი მაგალითები დაგვიდასტურებს:

აუტანლად მინდა ხოლმე მაშინ იქ ყოფნა. გიორგის საშინლად მოუნდა თავის კონცრთან ეზოში ფეხშიშველა გაეღა. საოცრად გაუხარდა, როცა ვაიკო, რომ ქართველები ვიყავით. ბაღდურთ ამ პარტივისცემას სასტიკად უარობდა. სასტიკად ირღვევა ვუღლიდ, ხაკოს დისციპლინა. დალიმ ნამკვიარი გაციცქნა, სასტიკად არ მოეწონა.

დასახელებული შესიტყვებები უნდა ვასწორდეს ასე: ძალიან მინდა, ძალიან მოუნდა, ძალიან, მეტისმეტად, ძლიერ გაუხარდა, მეტისმეტად უარობდა, ძალიან ირღვევა, ძალიან, მეტისმეტად არ მოეწონა.

16. აზრობრივად გაუმართლებელ სინტაგმათა ერთ წყებას ქმნის მოქმედებით ბრუნვაში მდგარი ვითარების გარემოებაც. გამაფრებით შეუყვარდება იმავე რივის შესიტყვებაა, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა მსჯელობა. უნდა ვისმართო ძლიერ, ძალიან, მეტისმეტად... შეუყვარდება. გამაფრებით ზმნისართისათვის კი ბუნებრივი კონტექსტი იქნება, მაგალითად, მტერს უტყვენ გამაფრებით.

17. ზოგჯერ უადგილოდ არის გამოყენებული აგრეთვე ზმნისართი გადაჭრით:

გადაჭრით გავაუმჯობესოთ ტელეფონების მუშაობა. გადაჭრით უნდა დანქარდეს ბინის მშენებლობა.

გადაჭრით არც გაუმჯობესება შეიძლება და არც დანქარება. გადაჭრით შეიძლება უარყოფა (გადაჭრით უარყვეს). გაუმჯობესებას განმსაზღვრელად შეეფერებოდა საგრძნობლად, მნიშვნელოვნად, არსებითად, შესამჩნევად... ხოლო დანქარებას კი - აუცილებლად ან მნიშვნელოვნად... ზმინზედები.

თანამედროვე ქართულში გაერცვლებულია მყარი გამოთქმა **ხაზს უსვამს**, რაც ნიშნავს: ყურადღებას ამახვილებს რამეზე, საგანგებოდ აღნიშნავს რასმე. ამ ფრაზეოლოგიზმთანაც გაუმართლებელია გადაჭრით ზმინსართის დაკავშირება. ნიმუშად:

დისკუსიის მონაწილეებმა გადაჭრით ხაზი გაუსვეს.

არ შეიძლება, აგრეთვე, აღნიშნული მყარი გამოთქმისგან მიღებული ზმინსართის (**ხაზგასმით**) გამოყენება ზმინსთან **დავრწმუნდით**, რადგან ზმინსართის მნიშვნელობა (საგანგებოდ, მკაფიოდ, ყურადღების გამახვილებით) ვერ დაახასიათებს ზმინით აღნიშნულ მოქმედებას. მაგალითი:

ამის შემდეგ კიდევ უფრო ხაზგასმით დავრწმუნდით, როგორ ჰყვარებია მას საქართველო.

18. ზმინსართი დაბეჯითებით ბუნებრივ შესიტყვებას ქმნის ზოგიერთ ზმინსთან: დაბეჯითებითი იცის, დაბეჯითებით ითხოვს, დაბეჯითებით ამტკიცებს და მისთ. მისი მნიშვნელობებია: დანამდვილებით, მტკიცედ, დარწმუნებით. ქვემოთ მოყვანილ წინადადებაში კი მისი ხმარება უადგილოა:

ამიტომ ჩვენ დაბეჯითებით ვიბრძვით საწარმოს ღირებებისათვის.

19. ამტკიცებს (დამტკიცა) ზმინსთან სრულიად ბუნებრივია ნათლად ზმინსართის გამოყენება, მაგრამ ამავე ფუძიდან ნაწარმოები სხვა სახელი, თუნდაც მოქმედებითი ბრუნვის ფორმით, ამ შემთხვევაში აღარ გამოდგება. მაგალითად:

გასაოცარი სინათლით დამტკიცდა.

20. სიდიადე აბსტრაქტული სახელია, ნიშნავს დიადის თვისებას, - დიადობას, დიდებულებას, ბუმბერაზობას. ამ სიტყვას ვითარების გარემოებად სალიტერატურო ქართულში საერთოდ არ ვხვდებით. პრესის ენაში კი იგი ამ ფუნქციით დასტურდება:

ახლა ვახისუბანში სიდიადით იხსენიებენ ტრაქტორსა და ტრაქტორისტებს.

მართებული სინტაგმები იქნებოდა **დიდებით, პატივისცემით, მადლობით, კმაყოფილებით... იხსენიებენ**.

21. ორ ერთნაირ შემასმენელთან, რომელთაგან ერთ-ერთს უარყოფითი ნაწილაკი ახლავს (ეხამება და არ ეხამება), სხვადასხვა ვითარების გარემოების შეწყობაა საჭირო: საგნებით ეხამება, მაგრამ სრულიად არ ეხამება. ქართულის ბუნების შესაფერი არ არის სრულიად ეხამება ან საგნებით არ ეხამება, მაგრამ ასეთი რამ პრესის ენაში დასტურდება:

ტექსტი ბევრგან შეცვლილი იყო, ხავესებით არ ეხამებოდა ოპერის სიუჟეტს.

22. გეხვდება ასეთი წინადადება:

მსმენელებმა საფუძვლიანი ცოდნით ისაუბრეს ადამიანთა ერთობის ფორმების წარმოების წესზე.

აშკარაა, რომ **ცოდნით ისაუბრეს** შეუფერებელი სიტყვათშეხამებაა. ავტორს უნდოდა, აღბათ, აღეწინა მოსაუბრეთა ცოდნის მაღალი დონე. ამიტომ წინადადება სხვაგვარად უნდა აგებულიყო.

23. სხვაგვარად უნდა აგებულებიო ქვემოთ მოყვანილი წინადადება:

თითქმის ყველა მაღაზიაში ლიმონათს ხშირად უჭიქოდ, ადგილზე დაღვევით ყიდვიან.

გაყიდვა შეიძლება ნისიად, ბითუმად, იაფად, ძვირად... დაღვევით გაყიდვა კი უაზრო შესიტყვებაა.

24. ჩვენ გვეჯეროდა მისი მართალი სიტყვისა, მასთან ერთად ნდობით გავდიოდით ბრძოლის ველზე.

ვინმესთან ერთად **ნდობით გასვლა** ბრძოლის ველზე – მოულოდნელი სიტყვათშეხამებაა. შეიძლებოდა მრავალ სინონიმთაგან სხვა უკეთესის არჩევა: **გავდიოდით მასზე მინდობილინი, რწმენით აღვსილნი, დაჯერებულნი, დამწვიდებულნი, იმედიანნი.**

25. დიალექტური წარმოშობის კომპოზიტი პანტაპუნტით ხალიტერატურო ენაშიც იხმარება და მასთან დაკავშირებული შემასმენელი უმთავრესად **ცვენა ფუძის შემცველია** (პანტაპუნტით **ცვივა**). ამიტომ არის, რომ ქვემოთ მოყვანილი შესიტყვება არაბუნებრივად ვლერს:

ისინიც მანქანიდან პანტაპუნტით გადმოლაგდნენ.

26. აღმაველობა ნიშნავს ძლიერ ზრდას, წინსვლას, განვითარებას. ამ სიტყვიდან ნაწარმოებო ზმინსართი არ გამოდგება ჭადრაკის კარგი თამაშის დასახასიათებლად:

მე-12 ტურში აღმაველობით ითამაშა ასპარეზობის დიდურმა ნონა გაფრინდაშვილმა.

მართებული იქნებოდა ეთქვათ **წარმატებით ითამაშა ან კარგად ითამაშა.**

27. არ ვარგა ხახგასმული სინტაგმა ქვემოთ მოყვანილ წინადადებაშიც:

ისინი გააგებოთ მოეკიდნენ საფრთხეს.

სწორი იქნებოდა: **შეგნებით, შეგნებულად.**

IV. შესიტყვების შინაარსის თვალსაზრისით უმართებულა არაერთი ისეთი სინტაგმაც, რომელშიც ე. წ. პირმიუმართავი დამატება მონაწილეობს.

1. გვაქვს ასეთი წინადადებები:

დაგვეძვის დღევანდელი პრაქტიკა მოითხოვს დარგობრივი გეგმების როლისა და მნიშვნელობის ამაღლებას. დაგვეძვის ხალხი მეთოდები ხელს უწყობენ წარმოების შედეგების ხაწარმოთა და მათ მუშაკთა დაინტერესების ამაღლებას.

უკვე იყო ნათქვამი, რომ თანამედროვე ქართულში ზოგმა სიტყვამ და, მათ შორის ზედსართავმა სახელმა **მაღალი** ძალიან გაიფართოვა მოხმარების არე, რასაც არასასურველი შედეგი მოჰყვა, იგი ლექსიკურ შტამმად იქცა, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში დასცილდა თავის ძირითად მნიშვნელობას. დასახელებული მაგალითებიც სწორედ ამ რიგისაა. არც **როლის**, არც **მნიშვნელობისა** და არც, მით უმეტეს, **დაინტერესების ამაღლება** არ შეიძლება, შეიძლება მათი **გაზრდა**.

2. უაზრო სინტაგმა მდელვარების გაქანება. მდელვარება (ხალხის) შეიძლება **გაიზარდოს, გაძლიერდეს. გაქანება** ყოველად შეუფერებელი სიტყვაა.

3. ასევე არ შეიძლება მეთოდის დაოსტატება. დაოსტატება შეიძლება თვით პედაგოგის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – მეთოდისა.

4. ქვემოთ მოყვანილ წინადადებაშიც ქართულიხათვის შეუფერებელი ფრაზა გვაქვს:

მოეწყო ეკონომიისა და ყაირათიანობის დათვალიერება.

ეკონომიისა და ყაირათიანობის დათვალიერება აზრობრივად ყოველად გაუმართლებელია. მართებულია: **ეკონომიის, ყაირათიანობის დაცვის დათვალიერება.**



5. ქართულისათვის ჩვეულებრივია გამოთქმები: ამოცანას ამოხსნის, ამოცანას გადაწყვეტს, ამოცანას დაძლევს. შესრულება ამოცანა სიტყვისათვის შეუფერებელი მეწყვილეა.

კალათბურთელებმა შეძლეს რთული ამოცანის შესრულება.

6. უმართებულოდაა ნახმარი სახელზმნა აღმოცენება დაწყების ნაცვლად შემდეგ წინადადებაში:

თავის ტკივილის აღმოცენება, გავრცელება, ხასიათი და ხანგრძლივობა განსხვავებულია ერთმანეთისაგან სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობის დროს.

მართალია, აღმოცენება ზოგჯერ გადატანით გაჩენის, წარმოშობის მნიშვნელობითაც იხმარება, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში მისი გამოყენება არ შეიძლება.

7. უნარჩვევები ადამიანმა შეიძლება გამოიმუშაოს, ჩამოყალიბება ამ სახელისათვის, შეუფერებელი მეწყვილეა.

საჭიროა ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

8. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ჩვეულებრივია შესიტყვება წესად მივიღოთ და არა - წესად მივიჩნიოთ.

9. მიუხედავად იმისა, რომ ზმნები გახდა და იქცა სინონიმური შინაარსისაა, მათი მონაცვლეობა ყველა შემთხვევაში ვერ იქნება გამართლებული, რადგან თითოეულ მათგანს ენობრივი ტრადიციით უკვე დამკვიდრებული აქვს ადგილი ამა თუ იმ სიტყვასთან. ამგვარი აღრევის ნიმუშია:

წესად გახდა, რომ მორიგ კრებაზე მოისმინონ ინფორმაცია.

მართებული შესიტყვება იქნებოდა წესად იქცა.

ამავე რიგისაა უხერხული შესიტყვება ტრადიცია გახდა წინადადებაში:

თბილისში ტრადიცია გახდა საზაფხულო და საშემოდგომო გამოფენების მოწყობა.

აქ ორგვარი უზუსტობაა: პირველ ყოვლისა, სახელი (ტრადიცია) ვითარებით ბრუნვის ნაცვლად დგას სახელობით ბრუნვაში. რამაც, ალბათ თავისთავად შეუწყო ხელი ზმნის უმართებულოდ შეცვლასაც (სახელობითთან იქცა ზმნას ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ვიხმართ). ამის შედეგად ნაცვლად მართებული შესიტყვებისა ტრადიციად იქცა, მივიღეთ უმართებულო - ტრადიცია გახდა.

გვხვდება ასეთი შესიტყვება:

დღონორები სისხლს აძლევდნენ მებრძოლებს, რათა სიკვდილისაგან გადაეჩინათ ისინი.

უფრო ბუნებრივია სიკვდილისაგან ეხსნათ.

V. ენობრივი დარღვევები ხშირია ისეთ სიტყვათშეხამებებში, რომლებიც მიღებულია ზმნისა და სახელების (პირშიმართი დამატებების) მონაწილეობით. ამ შემთხვევებში ზოგჯერ საჭირო ზმნის ნაცვლად გამოყენებულია სულ სხვა მნიშვნელობის მქონე ზმნა, ზოგან კი უმართებულოდ შერჩეული სახელია შესაცვლელი.

1. თანამედროვე პუბლიცისტიკისა და განსაკუთრებით პრესის ენაში ამ ბოლო დროს შემჩნევა ერთი რიგის სიტყვების მოჭარბება. ესენია რაღაცის (დონის, წარმოების, პროდუქტიულობის და მისთ.) ამაღლებასთან დაკავშირებული ცნებების გამოხატველი სიტყვები: იზრდება, დიდდება, მაღლდება, მდიდრდება, მრავლდება, ძლიერდება, უმჯობესდება და ა. შ. მაგრამ ხშირად ხმარების გამო მათი ძირითადი მნიშვნელობა ზოგჯერ ცვდება და ისინი ერთმანეთში ირევა: სადაც ერთია საჭირო, იქ მეორე იხმარება და პირიქით. მაგალითად, გვაქვს ასეთი წინადადებები:

ისინი კვლავ იმდიდრებენ ცეკვის ცოდნის დონეს. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურების დონე.

საკურო იყო გვეხმარა ზმნები **იმაღლებენ, ამაღლდა, რადგან დონის ცნება** სიმაღლესთანა და დაკავშირებული და მისი ან **ამაღლებია** შესაძლებელი ან **დაქვეითება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში გამდიდრება ან გაუმჯობესება.**

ქვემოთ დამოწმებულ წინადადებაში უადგილოდაა ნახმარი სწორედ **ამაღლდება ზმნა**. მის მაგიერ უნდა ყოფილიყო **გაიზრდება**:

...იდეე უფრო ამაღლდება მოსახლეობის მოთხოვნა მოხმარების საგნებზე.

გაიზრდება ზმნა უფრო შეეფერებოდა აგრეთვე **გადიდების** ნაცვლად შემდეგ წინადადებას:

1972 წელს საფრანგეთის მოსახლეობა 430 ათასი კაცით გადიდა. გენერალი მოითხოვს, რომ ამერიკის ჯარების რიცხვი მომავალ წელს გაადიდონ. გადიდება თვითმფრინავების რიცხვი.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში მოუხერხებელ სინტაგმებს ქმნის **ამრავლებს (გამრავლებს)** ზმნა.

ამრავლონ ჩვენი სამშობლოს ძლიერება. სახელოვნად ამრავლონ მამის ტრადიციები. ამრავლებს სახელოვანი მამის დიდებას.

ზმნა **ამრავლებს** ყველგან უადგილოდ არის ნახმარი, აზრობრივად და მნიშვნელობის მხრივ ვერ ეგუება მასთან დაკავშირებულ სიტყვას, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის სწორი სინტაქსური კავშირია.

ცხადია, რომ არც **ძლიერების**, არც **ტრადიციებისა** და არც, მით უმეტეს, **დიდებას** გამრავლებაზე, ანუ რაოდენობრივ ზრდაზე ლაპარაკი არ შეიძლება. აღნიშნულ შემთხვევებში ყველგან ან ზმნა უნდა შეიცვალოს სინტაგმაში უფრო შესაფერისი ზმნით, ანდა, სადაც ეს ვერ მოხერხდება, სხვაგვარად აიგოს ფრაზა. სახელდობრ: **ძლიერება** შეიძლება **განვამტკიცოთ**; **ტრადიციები**, რადგან ესაა ისტორიულად უკვე ჩამოყალიბებული და თაობიდან თაობაზე გადაცემული ადრთები, **წესები** და ყოფაქცევის ნორმები, შეიძლება **დავიცვათ**, **გვაძლიეროთ**, **განვამტკიცოთ**; რაც შეეხება ბოლო წინადადებას, აქ ყოველად უნდა უფრო სიტყვათშეხამების გამო აზრის გაგება თითქოს ზირს. ალბათ, ავტორს უნდოდა ეთქვა: შეილი მამის მსგავსად **ღირსეულად იმსახურებს დიდებას**, ან შეილი **ღირსეულად ავრძობებს მამის გმირულ საქმეებს**. მაგრამ სინტაგმაში სიტყვათა ცუდად შერჩევის გამო ეს მშვენიერი აზრი წინადადებაში გაბუნდოვანებულია. ამ შემთხვევაში არ არის გამოსარიცხავი, რომ აქ გვაქვს რუსული **приумножает славу отца**-ს უხეირო კალკირების ნიმუში.

ძლიერდება (გააძლიერებს) ზმნასთან უხერხული სიტყვათშეხამების შემთხვევებია:

გააძლიერონ პირუტყვის მოვლა-კვება. სამუშაო დღითიდრე ძლიერდება. ძლიერდება ინვენტარის რემონტი.

მოვლა-კვებას, ალბათ, **გაუმჯობესება** უფრო შეეფერებოდა, ე. ი. **გააუმჯობესონ პირუტყვისა და ფრინველის მოვლა-კვება**; არც **სამუშაოს გააძლიერება**აა მარჯვე გამოთქმა. აქა ჩანს, სამუშაოს ინტენსიურად წარმართვაზეა ლაპარაკი და აჯობებდა ყოფილიყო: **სამუშაო დღითიდრე ინტენსიური ხდება**; რაც შეეხება **რემონტს**, მასთან **ძლიერდება** ზმნის ხმარება საერთოდ გაუგებრობაა. **ძლიერდება რემონტი**, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ უფრო **ინტენსიურად და ენერგიულად არემონტებენ** ინვენტარს.

ამა თუ იმ სახელისათვის უხეიროდ ან შეუფერებელი ზმნის ხმარების გამო თანამედროვე ქართული თვალსაზრისით უხერხული შესიტყვებები გვაქვს სხვა შემთხვევებშიც.

2. უკანასკნელ ხანს მეტად გაიფართოვა მოხმარების არე ზმნა **უწევს**. იგი ამა თუ იმ სახელთან ქმნის არაერთ ფიგურალურ თუ მყარ გამოთქმას, რომელშიც მისი თავდაპირველი ძირითადი მნიშვნელობა (გასწავს მისას ამ მისთვის) მიჩქალებულია და ზოგჯერ იქამდე, რომ ის საერთოდ დაკარგული აქვს მნიშვნელობა და დამხმარე ზმნად არის ქცეული. სემანტიკური ფუნქცია კი მოლიანად მის თანმხლებ სახელს ეკისრება. ასეთებია: **წინააღმდეგობას**

უწევს (=ეწინააღმდეგება), **ქიშობას უწევს** (=ეჭიშვება), **კონტროლს უწევს** (=აკონტროლებს), **დახმარებას უწევს** (=ეხმარება) და სხვ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი გამოყენება ახეთ შემთხვევებშიც შეზღუდულია და განურჩევლად ყველა სახელთან არ შეიძლება ვიხმაროთ. ამ რიგის დარღვევები პრესის ენაში ხშირია.

ისინი **ორგანიზაციას უწევენ** სასწავლო ჯგუფების მუშაობას. სამი დღის განმავლობაში **ბოიკოტს უწევენ** ამ პუნქტს.

ორგანიზაცია რაიმეს სისტემაში მოყვანა, მოწესრიგება, მოწყობაა. ამიტომ მასთან ბუნებრივი იქნებოდა ზმნა **ახდენენ**, ე. ი. რაღაცის სისტემაში მოყვანას ახდენენ, ანუ სისტემაში ზოპაეთ, აწესრიგებენ. **უწევენ** ზმნა კი აქ ყოვლად შეუფერებელია; მისი გამოყენება მთავს სიტუაციაში შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ სიტყვასთან **ხელმძღვანელობა**. ე. ი. ან **მუშაობის ორგანიზაციას ახდენენ** ან **ხელმძღვანელობას უწევენ** მუშაობას. **ორგანიზაციას უწევენ** შეუფერებელი სინტაგმაა.

ასევე შეუფერებელია **ბოიკოტს უწევენ**. ინგლისურ სიტყვასთან **ბოიკოტი**, რომელიც ყოველგვარი ურთიერთობის შეწყვეტას, სრულ უგულვებელყოფას ნიშნავს, ქართულში იმთავითვე დამკვიდრდა. ზმნა **უცხადებენ**, **უწევენ** აქ შეცდომით არის გამოყენებული, უნდა ყოფილიყო **ბოიკოტს უცხადებდნენ**.

3. ზოგჯერ უმართებულოდ იხმარება ზმნა **იწვევს (გამოიწვია)** ისეთ სახელთან, რომელიც სხვა სიტყვასთან ქართულისათვის უფრო ბუნებრივ სინტაგმას შექმნიდა. მაგალითად:

კლამატური პირობები გარკვეულ გავლენას იწვევს როგორც მცენარეულ საფარზე, ისე ნიადაგის საფარზეც; სპეციალისტთა მოწონება გამოიწვია.

სახელი **გაველნა** გულისხმობს აუცილებელ ზემოქმედებას, ვისიმე (ან რისამე) მოქმედებას ვინმეზე ან რამეზე და ამიტომ მისთვის ჩვეულებრივი და შესაფერია ზმნა **ახდენს (მოახდენს)** და არა **იწვევს**. ამის გამო ზემოთ მოყვანილი მაგალითი ასე უნდა გასწორდეს „კლიმატური პირობები გარკვეულ **გაველნას ახდენს** როგორც მცენარეულ საფარზე, ისე ნიადაგის საფარზე“.

რაც შეეხება **მოწონებას**, აქ იგი რისამე დადებითად შეფასების, შექების მნიშვნელობით არის ნახმარი და, რადგან იგი ჩვეულებრივი გრძნობა კი არ არის ზიზღის, სიბრაღელის, უსიამოვნებისა და სხვათა მსგავსი, არამედ შედგება, შეფასებაა რაღაც მოველნისა, მისი მხოლოდ **დამსახურება** შეიძლება ისევე, როგორც ქებისა, პატივისცემისა, ნდობისა და არა **გამოწვევა**. ამდენად, მართებული სიტყვათშეხამება იქნებოდა **მოწონება დამსახურა**.

4. ზმნა **უძღვნი** თანამედროვე ქართულში ნიშნავს: ძველად აძღვნი, უბოძებს, აწუქებს. ამ ზმნისგან ნაწარმოები სხვა ფორმების პირდაპირი მნიშვნელობაც უკავშირდება ჩუქებას ან ბოძებას. მიძღვა შეიძლება საჩუქრისა, ნაწარმოებისა, სხდომისა (რისამე აღსანიშნავად) და ა. შ. უკანასკნელ ხანს ამ ზმნამ გაიფართოვა მოხმარების არე და ისეთ სიტყვებს დაუკავშირდა, რომელთა მიერ აღნიშნული საგნების ჩუქება შეუძლებელია. ამის შედეგად მივიღეთ გამოთქმები: **ქება-დიდება უძღვნი**, **მადლობას უძღვნი**, **სალამს უძღვნი**. მაგალითად: „ნაწილის ხელმძღვანელობა უძღმეს მადლობას გიძღვნი ახეთი შეილის აღზრდისათვის“.

ცხადია, ამგვარ შემთხვევებში **უძღვნა** და მისთ. ზმნებს დაკარგული აქვთ მათი პირვანდელი მნიშვნელობა და გადატანითი მნიშვნელობით იხმარებიან. ამგვარი გამოთქმები თავიანთი შინაარსობრივი დაუხვეწელობის მიუხედავად, დღეს ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივ გამოთქმებად ითვლება. მაგრამ ამავე ვერ ვიტყვი ზოგ შემთხვევაზე, როცა ეს ზმნა სრულიად უადგილოდ არის მოხმარებული. მაგალითად:

გაზთები კომენტარს უძღვნიან ვიზიტის შედეგებს.

ბუნებრივი ქართული იქნებოდა **კომენტარს უკეთებენ**.

5. უქონლობის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელი **უმართებულო** ნიშნავს: რაც მართებული არ არის, — არამართებული, არასწორი, ურიგო, უწესო. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დასტურდება სხვა, აგრეთვე უქონლობის ზედსართავი სახელი **უსამართლო**, რომელიც ნიშნავს სამართლიანობას მოკლებულს, უკანონოს.

ცხადია, ფორმითა და სემანტიკით განსხვავებული ეს ორი ზედსართავი სახელი უნდა იმეორებოდეს ერთმანეთისაგან. პრეზის ენაში ისინი ზოგჯერ უმართებულოდ ერევთ და ვიღებთ მცდარ სიტყვათშეხამებას. ამის ნიმუშია:

ბედი ასეთ შემთხვევაში უკიდურესად უმართებულა.

უნდა იყოს ბედი უსამართლო, რადგან, ჩვეულებრივ, ლაპარაკობენ ბედის სწორედ უსამართლობაზე, უკანონობაზე და არა უსწორობაზე.

6. გეაქვს წინადადება:

ეს წელი მთავარ საზრუნავს უყენებს მებრძოლებს.

აქაც ზმნა საზრუნავს სახელთან უწყველო სინტაგმას ქმნის. უფრო ბუნებრივი იქნებოდა გვეთქვა: საზრუნავს უქმნის, საზრუნავს ურენს.

7. სპორტული, სათამაშო მინდვრებისა შეიძლება გამოყოფა, დათმობა, მოწყობა, მაგრამ აშენება მინდვრისა უხერხული და მცდარი შესიტყვებაა:

საგანგებოდ აუშენეს ბურთის სათამაშო მინდვრები.

შენება ზმნა სემანტიკურად აუცილებლად რაიმე ნაგებობასთან არის დაკავშირებული. ზოგჯერ ლაპარაკობენ ხოლმე სპორტული მოედნების აშენებაზეც (იგულისხმება ამ მოედანზე სპორტულ ნაგებობათა კომპლექსი). მინდორი კი ამ რიგის სიტყვებს არ ეკუთვნის.

8. შეუფერებელ სიტყვათშეხამებას ქმნის აგრეთვე ზმნა აღმოცენდა:

როცა სპორტული მოედნები აღმოცენდა, ვითარება კიდევ შეიცვალა.

მართალია, აღმოცენდება ზმნის ერთ-ერთი გადატანითი მნიშვნელობაა განდგება, წარმოიქმნება, წარმოიშობა, მაგრამ ამ შინაარსით მისი ხმარება ნებისმიერ სახელთან არ არის გამართლებული და, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითიც ადასტურებს, გეაქვს უხერხულ სინტაგმას. სწორი სიტყვათშეხამება იქნებოდა სპორტული მოედნები გაშენდა, მოეწყო.

9. ზმნა წააწყდა ნიშნავს: დაეჯახა, მოულოდნელად შეხვდა, შექცხა, გადაეყარა. მაგრამ ამ ზმნის მოხმარების არც შედარებით შეზღუდულია; აღნიშნული შინაარსითაც კი მისი გამოყენება ყოველთვის ბუნებრივ შესიტყვებას არ გეაქვს. მაგალითად, ამბობენ: კვალს წააწყდა, დაითვის წააწყდა, წინააღმდეგობას წააწყდა... მაგრამ თუნდაც მოულოდნელად შეხვედრის მნიშვნელობით ამ სიტყვის დაკავშირება მსაჯობასთან უხერხულია:

გუნდი პირველად წააწყდა ასეთ მსაჯობას.

აქ აჯობებდა გვეხმარა სხვა ზმნები: ნახა, შეხვდა, გახდა (გახდა, ასეთი მსაჯობის მოწმე).

10. ასევე შეზღუდულია ქართულში აითვისა ზმნის მოხმარება. მისი ძირითადი მნიშვნელობით (სავსებით, მთლიანად გამოიყენა, მოიხმარა) ის გამოიყენება, უპირველეს ყოვლისა, სიტყვასთან თანხა, აითვისა... თანხა. შედარებით იშვიათად - სიტყვასთან ფართობი: აითვისა... ფართობი. ამ ზმნას სხვა მნიშვნელობაც აქვს - დაეუფლა. ბოლო დროს გახშირდა აღნიშნული ზმნის ხმარება დაეუფლას გაგებით, განსაკუთრებით, პრეზის ენაში: აითვისა ტექნიკა, აითვისა მანქანის სერვიული გამოშვება და მისთ... მაგრამ არ შეიძლება აითვისოს ვინმე ქუჩა, ბაღი, სკვერი და მისთ.

ამ თანხით სხვა სამუშაოებთან ერთად, უნდა აითვისოს ათეულობით ახალი ქუჩა, ბაღი, სკვერი, გზის მაგისტრალები.

ცხადია, აქ ლაპარაკია ქუჩის, ბაღის... გაშენებაზე, კეთილმოწყობაზე. ამ უკანასკნელთა მონაცვლელ კა აითვისა ზმნა ვერ გამოდგება.

11. სწავლება შეიძლება ბევრი რამისა, მაგრამ არა პრაქტიკისა. ამ სიტყვასთან დაკავშირებული არის მართებულად გადმოსაცემად იხმარება ზმნა გადის: პრაქტიკას გადის და არა პრაქტიკას სწავლობს.

12. სინტაგმაში ზმნის უადგილოდ ხმარებას ზოგჯერ სრული უაზრობაც მოსდევს. ნიმუშად:

მომდევნო კვირის ნამუშევარი კი ბევრად წინ გაააჯრით თუკს საწარმოო მანქანებზე კლს.

ჯირით ფუჰისაგან ნაწარმოებ ზმნებს (ჯირითობა, ჯირითობს, გააჯირითა...) თავდაპირველი მნიშვნელობა იყო ცხენოსნური შეჯიბრება და იგი ცხენის ჭენებსასთან იყო დაკავშირებული. ამ ზმნამ შემდეგ შეიცვალა თავისი პირვანდელი შინაარსი და საერთოდ ჭენების მნიშვნელობა მიიღო, მაგრამ მისი განურჩეველი გამოყენება გაუმართლებელია. მით უფრო შეუფერებელია ეს ზმნა საწარმოო მანქანებზე გამოყენებისათვის.

13. ზმნას მიენიჭება აქვს მიეცემა-ს მნიშვნელობაც. მაგრამ ამ მნიშვნელობით მისი განურჩევლად ყველა სიტყვასთან გამოყენება თანამედროვე ქართულში გაუმართლებელია. ერთ-ერთი ასეთი სიტყვათაგანია არაბულიდან მომდინარე სახელი **შელაგავი**. მისი მონაწილეობით ქართულში დამკვიდრებულია ფიგურალორი გამოთქმა **შელაგავი მიეცემა**. ამიტომ ქვემოთ მოყვანილი წინადადება ვერ ჩაითვლება კარგი ქართულის ნიმუშად:

შემდგომ ბრძოლაში მოჭადრაკეს დიდი შედეგათი მიენიჭა.

14. არსებითი სახელი ხმა ქმნის რამდენიმე გავრცელებულ მყარ გამონათქვამს: ხმა გაგრცვლდა, ხმა გაგარდა, ხმა დაირხა, ხმა გამოვიდა, ხმა დადის... მაგრამ არაკითარ შემთხვევაში - ხმა წავიდა. წავიდოდა ხმები დღევანდელი სალიტერატურო ენისათვის უმართებულო შესიტყვათშეხამებაა.

და წაკიდოდა ხმები, რომ სახელმწიფო ორგანიზაციებში არაპატიოსანი ადამიანები არიან.

15. ზმნა დაიმსახურა შეუფერება სახელებს: ნღობა, პატივისცემა, სიყვარული... (დაიმსახურა ნღობა, დაიმსახურა პატივისცემა...). სიტყვა აღიარება კი შეიწყობს ზმნას მოიპოვა. ამიტომ შესიტყვება აღიარება დაიმსახურა არაბუნებრივია.

ვლისო ვირსლადის ხელოვნებამ კარგა ხანია საერთაშორისო აღიარება დაიმსახურა.

16. არსებითი სახელი ნაყოფი როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით იგუგებს ზმნებს გამოიღო, მოგვცა (ნაყოფი გამოიღო, ნაყოფი მოგვცა); ხოლო ნაყოფი მოიტანა უმართებულო სიტყვათშეხამებაა.

ზმნა მოიტანა შეუფერებელია აგრეთვე სახელისათვის შედეგები. ამიტომ წინადადება - „ამ შეთანხმებებმა უკვე უახლოეს მომავალში შეიძლება საგრძნობი შედეგები მოიტანონ“ - უნდა შემდგენიარად გასწორდეს: „ამ შეთანხმებებმა... შეიძლება საგრძნობი შედეგები გამოიღოს (მოგვცეს)“.

17. ასევე უმართებულოა შესიტყვება პოზიციები მოიპოვა.

პოზიციების დაკავებაზე ლაპარაკობენ, მოპოვება კი შეიძლება გამარჯვებისა, წარმატებისა და ა. შ.

18. წინადადებაში - „დიდ ინტერესს წარმოადგენდა თათბირზე მოსმენილი მოხსენებები ავტომატის კონტროლზე...“ - უხერხული ჩანს ხაზგასმული სიტყვათშეხამება. წარმოადგენს აზრობრივად შეუფერებელია ინტერესისათვის. ამ კონტექსტში უნდა ყოფილიყოს **... ინტერესს იწვევდა**.

... ინტერესულად ვღერს აგრეთვე სინტაგმა ყურადღება მიაპყრო.

ყურადღება მიაპყრო პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად ღონისძიებების გატარებაზე.

ყურადღება-სთან მყარ გამოთქმებს ქმნის მიაქცია, გაამახვილა, დაუთმო ზმნები. მიაყრობა-სთან კი სინტაგმის წვერად, ჩვეულებრივ, გამოიყენება მზერა, თვალი, ყური. ზემოთ სწორედ ყურადღების მიქცევაზეა ლაპარაკი და არა თვალის ან ყურის მიპყრობაზე. ამიტომ უნდა ყოფილიყოს: **ყურადღება მიაქცია... გატარებას**.

20. ქართულში არსებობს ორი სინონიმური ფიგურალური გამოთქმა: **თავს ინუგეშებს და გულს (თავს) იმშვიდებს**. ორივე შემთხვევაში შინაარსი გამჭვირვალეა და აზრი ნათელი. აღნიშნულ სინტაგმაში წევრების შენაცვლება ქართულისათვის არაბუნებრივ შესიტყვებას გულისხმობს. ამის ნიმუშია:

...გულს იმით ვინუგეშებ, რომ რეკორდი მაინც მე მკუთვნის.

უნდა იყოს: **გულს იმით ვიმშვიდებ**.

21. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ჩვეულებრივია გამოთქმა **წვლილი შეიტანა**. ამ გამოთქმით რისამე გაკეთებაში მონაწილეობის მიღება აღნიშნება. აღნიშნულ სინტაგმაში ზმნის შეცვლა არ არის გამართლებული, პრესაში კი ასეთი შეცვლის ნიმუში დაბტურდება:

ახალგაზრდობამ ღირსეული წვლილი დაიდო გვერდის ვადამდე განადგებაში.

22. შეუფერებელი სინტაგმის ნიმუშია აგრეთვე **არჩევანი შეარჩიეს** შემდეგ წინადადებაში:

როცა საქმე ხელმძღვანელის არჩევაზე მიდგა, არჩევანი შეარჩიეს მთავარ ეკონომისტზე.

ნათელია, რომ უნდა ესმარათ **არჩევანი შეარჩერეს** და არა **შეარჩიეს**.

23. მიმღობა **მოცემული** შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად (მოცემულია) განსაკუთრებული ატეულებისა და სემანტიკის გამო თავისი ძირითადი მნიშვნელობით (=რაც მისცეს აქვთ მყოფს, მოკუთვნებული, მონიჭებული) არც თუ ისე ხშირად გამოიყენება ენაში, მაგრამ ამ ბოლო დროს უმართებულოდ გაფართოვდა მისი გამოყენების არე და გვხვდება იქ, სადაც მისი ხმარება არაფრით არ არის გამართლებული. ამბობენ: **მოცემულია ნაწარმოებში (მხატვრულში, მუსიკალურში), სტატიაში, ლექსში, მოთხრობაში... სურათზე, ნახატზე, ფილმში...** ამგვარი გამოთქმები იმდენად გავრცელდა, რომ შეეჩვიეთ და ზოგჯერ თითქოს აღარც გვეხამუშება, თუმცა ყველა ასეთ შემთხვევაში ენას მრავალი საშუალება აქვს აზრის უკეთ გადმოსაცემად: **ნაწარმოებში ასახულია, აღწერილია, მოთხრობილია... სურათზე, ფილმში ნაჩვენებია** და ა. შ.

აღნიშნული ზმნების უმართებულო ხმარების დამადაბტურებელია შემდეგი წინადადებებიც:

მიმართვაში მოცემულია ჩვენი ხალხის გმირული საქმეების მკაფიო სურათი. შემდეგ ფილმში მოცემულია უბედესი ციხის კედლები. თეზისებში მოცემულია მისი გმირული ცხოვრების გზა.

რა თქმა უნდა, აზრს მოკლებულია ფრაზები: **მიმართვაში სურათის მოცემა, ფილმში - ციხის კედლების, თეზისებში - გზისა**. ყველა შემთხვევაში მოცემულია უნდა შეცვალოს კონტექსტისათვის უფრო შესაფერი ზმნით: **მიმართვაში ნაჩვენებია, აღწერილია სურათი; ფილმში ნაჩვენებია ციხის კედლები; თეზისებში ნაჩვენებია, აღწერილია გზა ან მოთხრობილია გზის შესახებ**.

24. ენობრივი დღავსულები - გაუმართლებელი კადკები, შტამპები, კანცელარიზმები, არაფრისმთქმელი ფრაზები ხშირია სპორტულ მიმოხილვებში. მათ შორის ამჯერად ჩვენს ყურადღებას იქცევს ისეთი შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ზმნისთან დაკავშირებულია მისთვის შინაარსობრივად შეუფერებელი სახელი. მაგალითად:

ხაჯალიას ძლიერი დარტყმა მოხვდა ძელს. დარტყმა აცდა კარს. მოკრივემ დარტყმები დაუშინა; 22-ე წუთზე ერთი ბურთი გააქვითა.

ცხადია, რომ ძელს და ასევე კარსაც შეიძლება მოხვდეს ან ასცდეს ბურთი, რომელიც ძლიერად არის დარტყმული და არა თვით დარტყმა; ალბათ მხოლოდ ბურთისა შეიძლება და დარტყმა აქაც მის ნაცვლად უმართებულოდაა ნახმარი; მოკრივე ხელთათმანებიან მუშტებს დაუშენდა, ალბათ, მეტოქეს და არა დარტყმებს, ხოლო, რაც შეეხება ბოლო მაგა-

⁸ ხშირად გვხვდება მხოლოდ მათემატიკის ენაში.

ლითს, გაქვითვა, როგორც ცნობილია, შეიძლება ანგარიშისა, ვადისა, მაგრამ არა ბურთისა. თუმცა, აქ, ჩანს, ავტორი ვერაუღლებს ანგარიშის ერთი ბურთით შემცირებას, მაინც ეს წინადადება სხვაგვარად უნდა ვაგებულებო.

25. აშკარად დარღვეულია აზრობრივი კავშირი შემდეგ შესიტყვებაში: გამოიხსიდა არასწორი საქციელი.

გამოიხსიდა ზმნას, გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა, აქვს გადატანითი მნიშვნელობებიც: გამოასწორებს, გამოაკეთებს, ზღაგს, აანაზღაურებს, პატიებას დაიმსახურებს. აღნიშნული მნიშვნელობით ეს ზმნა, ჩვეულებრივ, უკავშირდება უარყოფითი ნიუანსის შემცველ სიტყვებს, როგორცაა: დანაშაული, შეცდომა. მართალია, აქ არასწორ საქციელზეა დაპირაკო, მაგრამ გამოიხსიდა ზმნა მაინც შეუფერებელია მისთვის. დღევანდელი ქართულის თვალსაზრისით უფრო ბუნებრივი შესიტყვება იქნებოდა: საქციელის გამოსწორება.

26. ყურადღება მიიქცია წინადადებაში:

დღემდე დუმილს იცავენ კულტურის მუშაკები.

დაცვა შეიძლება წესის, ადათის, დისციპლინის, სისუფთავის, ჩვეულების. აგრეთვე ბუნებრივია გამოთქმა-მოწოდება დაიცავით სინემე. ზემოთ მოყვანილი ფრაზა კარგი ნიმუშია იმგვარი შემთხვევისა, როდესაც ორი სინონიმური სიტყვა სხვა რომელიმე სიტყვას ერთნაირ პირობებში ვერ დაუკავშირდება. არსებობს ენობრივი ტრადიციით დამკვიდრებული შესიტყვებები და მათ აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში. განხილული ფრაზის ავტორმა, ჩანს, ვერ გაითვალისწინა სინონიმებისათვის (დუმილი - სინემე) ტრადიციით მიჩვეული ადგილი სხვადასხვა სინტაქსში და ამან გამოიწვია უწყველო შესიტყვება.

სხვაგან დუმილის სინონიმი მდუმარება ქმნის აგრეთვე უხერხულ შესიტყვებას:

მაშალი ხობის ყვილი გააყრუებს ტყეების მდუმარებას.

გაყრუება შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდ კონკრეტულ სახელს. ბუნებრივია გამოთქმა: გააყრუა არე-მარე, მინდორ-ველი, რაც შეეხება მდუმარებას, არსებობს ფიგურალური გამოთქმა დაარღვია ტყის მდუმარება.

27. ზოგი ზმნა უმართებულად არის დაკავშირებული სახელთან საკითხი.

ველა ეს საკითხი მომავლისათვის გამოსწორებას საჭიროებს; ეს საკითხი წარმოიქმნა მოთხოვნების ინტენსიურ ზრდასთან დაკავშირებით; გახულ წელს მნიშვნელოვანი საკითხი წარმოიქმნა.

საკითხი კი არ საჭიროებს გამოსწორებას, არამედ ნაკლი, შეცდომა... საკითხისათვის უფრო გამოდგეოდა სიტყვები: გადაწყვეტა, მოგვარება, გადაჭრა, ე. ი. ან: საკითხი გადაწყვეტას, გადაჭრას საჭიროებს, ან: ნაკლი გამოსწორებას საჭიროებს. ხოლო მომდევნო წინადადებაში კი უნდა ყოფილიყო საკითხი დადგა, საკითხი გაჩნდა ან საკითხი წაშლიტრა.

28. ბოლო დროს პრესის ენაში გახშირდა აზრობრივად გაუმართლებელი შესიტყვება იბეჭდება ავტორი (მწერალი, პოეტი...).

ნათელია ამ სინტაგმათა უხერხულობა. დაბეჭდვა შეიძლება წიგნის, სტატიის, ნაწარმოების, სურათის... მაგრამ არა პიროვნებისა, ქართულში ამგვარი შესიტყვებების გავრცელებას შეიძლება ხელი შეუწყოთ თანამედროვე რუსული პრესის ენის გაფლანგვა; სადაც ამგვარი გამოთქმები გვხვდება, მაგრამ არც იქ ითვლება კარგად გამართული რუსულის ნიმუშად.

29. გეაქვს წინადადება:

მათი ოჯახი აპირებს განაგრძოს განათლება.

მიუხედავად იმისა, რომ განათლება ზოგ შემთხვევაში სიტყვა სწავლის სინონიმადაც გვევლინება, მისი დაკავშირება განაგრძოს ზმნასთან უჩვეულია. ჩანს, ამას ხელი შეუწყო კომპოზიტ სწავლა-განათლება-ს არსებობამ, რომელიც ბუნებრივ შესიტყვებას ქმნის დასახელებულ ზმნასთან: აპირებს განაგრძოს სწავლა-განათლება.

სახელების - სწავლისა და განათლების აღრევის ნიმუშია შესიტყვება უმაღლესი სწავლა ბუნებრივი უმაღლესი განათლების ნაცვალად.

30. ზოგჯერ იმგვარ ენობრივ დარღვევებს ვხვდებით პრესის ენაში, რომლებიც ერთი შეხედვით არც აღიქმება დარღვევად, თუმცა სწორი ენის თვალსაზრისით აშკარა უხერხულობას ქმნის:

თვალს ეს იამოვნა კარგად მოვლილი ნერგები.

ესიამოვნა, გაუხარდა, ეწყინა და ამ რიგის ზმნები, ჩვეულებრივ, სინტაგმას ქმნიან საწყისებთან: ესიამოვნა... მოსვლა; ეწყინა... წასვლა, გაუხარდა... შეხვედრა და მისთ. ამ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო ესიამოვნა ნერგების ნახვა.

31. წინადადებაში - „როცა გეგმით გათვალისწინებულ მშენებლობებს ააშენებს, ისევე უკან, ქალაქში გაბრუნდება“ - არეულია ერთმანეთში სიტყვები მშენებლობა და შენობა. მშენებლობა თვითონ ნიშნავს რისამე აგებას, აშენებას. ამიტომ მისი ამ კონტექსტში გამოყენება გაუმართლებელია. უნდა ყოფილიყო ან მშენებლობას დაამთავრებს ან შენობებს ააშენებს.

ქვეყნდარე-დამატებებით შედგენილი შესიტყვებების ერთ ნაწილში ენობრივი უმართებულობა გამოწვეულია ქართულში არსებული ორი, შინაარსობრივად მსგავსი გამოთქმის აღრევით.

32. სიტყვა დასკვნას შემასმენლად შეუფერება ზმნები: მიიღეს, გამოიტანეს... (დასკვნა მიიღეს, დასკვნა გამოიტანეს...). შიდაწიგს ზმნა კი სწორ შესიტყვებას ქმნის სახელთან შედგენი (შიდაწიგს შედგეს). ეს ორი გამოთქმა ზოგჯერ აღრეულია:

მეცნიერებმა დიდი ხნის ცდების შედეგად შიდაწიგს დასკვნას.

33. ზმნა გადაედგა, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება გულთან, გულისპირთ, საყულოსთან (გული, გულისპირი, საყულო გადაედგა), შეცდომით დაკავშირებულია სახელთან საბანი, რის შედეგადაც მივიღეთ შეუფერებელი სინტაგმა: საბანი გადაედგა.

საბანთან უნდა ვიხმართო გადაეხადა.

34. დღევანდელ ქართულ, განსაკუთრებით კი პრესის, ენაში ამ ბოლო დროს ხშირად იხმარება არსებითი სახელები: ღონისძიება და ზომები. მათ ზოგჯერ სინონიმური შინაარსიც აქვთ. მაგრამ თითოეული მათგანი ბუნებრივ შესიტყვებას სხვადასხვა ზმნასთან ქმნის: ღონისძიება, ჩვეულებრივ, ეგუება შემასმენელს ატარებს (ატარებენ), ზომები კი - იღებს (იღებენ) შემასმენელს. ამიტომ სხვა ზმნებთან მათი გამოყენება ენისთვის უჩვეულოა, შეუფერებელ სინტაგმებს ქმნის. მაგალითად:

დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს საჭირო ზომები. ორგანიზაციები განახორციელებენ ყველა ზომას.

მართებული სინტაგმები იქნებოდა: მიიღონ ზომები, იღებენ ზომებს.

35. ზმნა ახორციელებს ნიშნავს: სისრულეში მოჰყავს, ასრულებს, მაგრამ ქართულში იგი მხოლოდ გარკვეული რიგის სიტყვებს უკავშირდება, როგორცაა: მიზანი, იღვა, ჩანაფიქრი. ეს ზმნა უადგილოდ არის გამოყენებული სიტყვებთან: გეგმა, ამოცანა, დავალება..

მათ წარმატებით განახორციელებს გათვალისწინებული გეგმა.
წარმატებით განახორციელებს ყველა დავალებას.

ყველა შემთხვევაში განხორციელების მაგიერ უნდა იყოს ზმნა ასრულებს.

ახორციელებს ზმნამ რომ ამ ბოლო დროს მეტად გაიფართოვა მოხმარების არე, იქიდანაც ჩანს, რომ იგი, აღნიშნულის გარდა, გეხედება ისეთ შემთხვევებშიც, სადაც საერთოდ სულ სხვა ზმნა იყო მოსალოდნელი. მაგალითად:

ტყვეები ახორციელებენ ზეგავლენას. ახორციელებენ მეტროპოლიტენის ნაგებობას.

პირველ შემთხვევაში უნდა ეხმარათ ზმნა ახდენს (ზეგავლენას ახდენს), ხოლო მეორე

შემთხვევაში, როგორც ჩანს, ნაგებობის შენებაზე უნდა იყოს საუბარი.

36. სიტყვა ღონისძიებასთან უმართებულოდ განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ზმნა ეწყობა.

ასეთი ღონისძიებები მართლ შარშან სამჯერ მოეწყო.

უფრო მართებულია ზმნა ატარებს (ღონისძიებას ატარებს, ღონისძიებანი ჩატარდა...), ასევე ატარებს ზმნა უნდა გამოიყენებინათ მოეწყო-ს ნაცვლად შემდეგ წინადადებაში:

გვიან საღამომდე აწყობენ საუბრებს.

აქვე უნდა აღინიშნოს საერთოდ ეწყობა ზმნის გამოყენების შესახებ თანამედროვე ქართულში.

ეწყობა ზმნას ძირითადი მნიშვნელობების გარდა აქვს გადატანითი მნიშვნელობებიც. ერთი მათგანია: გუარდება, წესრიგი მყარდება. აი, სწორედ ამ მნიშვნელობით გაიფართოვა აღნიშნულმა ზმნამ მოხმარების არე და ისეთ სახელმეტოანაც გეხვდება, სადაც სხვა ზმნის გამოყენებაა უფრო მართებული. ნიმუშები:

მათ გადაეცათ სკერი, რომელშიც მოეწყო აუზი. მოვაწყოთ ახალ სადრენაო არხებს.

უფრო მართებული იქნებოდა გამოყენებინათ ზმნები: **აშენდა, გაშენდა, გაიყვანეს** და მისთ.

37. წინადადებაში – „მან შეგვატყობინა დიდმნიშვნელოვანი ცნობები“ – ცნობები უდავლოდ არის ნახშირი. ჩვეულებრივ, ამბობენ შეგვატყობინა ამბავი, ხოლო ცნობას მოგვაწოდა ზმნა უფრო შეეფერება.

38. ზმნა გამახვილებდა თავისი ძირითადი მნიშვნელობის გარდა იხმარება გადატანით და ნიშნავს: გამწვავდება, გამაფრდება, გაძლიერდება. მაგრამ ამ შინაარსითაც დღეს მისი დაკავშირება სახელმეტთან – **სიყვარული** და **პატივისცემა** არაბუნებრივი ჩანს. იგი ჩვეულებრივია ფიგურალურ თქმაში **ყურადღების გამახვილება**. ამიტომ ქვემოთ მოყვანილ წინადადებაში ამ ზმნის ნაცვლად უნდა ეხმარათ: **გაიზრდება, გაძლიერდება:**

გამახვილდება წიგნის სიყვარული და პატივისცემა.

39. ყურადღება მიიქცია წინადადება:

...საძირკველს რომ აგებდა, ახალგაზრდებზე ფიქრობდა.

საძირკველი, როგორც ჩანს, აქ **შენობასთან, ნაგებობასთან** არის გაიგივებული, რომლებთანაც ბუნებრივია აგება ზმნის დაკავშირება. **საძირკველის** შესახებ კი ამბობენ: **საძირკველს უყრის, საძირკველს უღამას...**

40. თანამედროვე ქართული პრესის ენაში ხშირია აზრობრივად გამართული სინტაგმა **შეასრულა გეგმა**. მაგრამ ამ გამოთქმის ანალოგიით ზოგჯერ ზმნა **შეასრულა** უდავლოდაც არის ნახშირი. მაგალითად: **პროდუქციის შესრულება.**

41. გეხვდება ასეთი წინადადება:

გუნდმა წარუმატებლობა განიცადა, წაგო შეხვედრა ანგარიშით 0:2.

არსებითი სახელი **წარუმატებლობა** წიგნურია და, მართალია, იგი წარმატების უკონლობას ნიშნავს, მაგრამ სემანტიკურად არ უდრის დამარცხებას. შეიძლება ვინმეს წარმატება არ ჰქონდეს, მაგრამ დამარცხებულიც არ იყოს. ზმნა **განიცდის** კი მხოლოდ **დამარცხებას** შეიძლება დაუკავშირდეს. ეს დამკვიდრებულია ენობრივი ტრადიციით, რასაც, ალბათ, მისი სემანტიკაც უწყობს ხელს.

მოყვანილ მაგალითში, როგორც კონტექსტიდან ჩანს, მართლაც, დამარცხებაზეა ლაპარაკი და აქ **დამარცხება** განიცადა სწორედ ბუნებრივი შესიტყვება იქნებოდა. ხოლო თუ გუნდის წარუმატებლობა უნდა აღენიშნათ, მაშინ წინადადება ასე უნდა აგებულიყო: „გუნდმა წა-

რუმბეტულად ითამაშა და წააგო შეხვედრა ანგარიშით 0:2“.

42. ზმნა ტოვებს სხვადასხვა სახელთან დღევანდელ ქართულში რამდენიმე ფიგურალურ გამოთქმას ქმნის, რომელთაგან ერთ-ერთია **შობაბეჭდილება ტოვებს**. მაგრამ ზოგჯერ ეს ზმნა დაკავშირებულია მისთვის სრულიად შეუფერებელ სახელთან, რის შედეგადაც უაზრო სინკრეტული შეხამებას ვიღებთ:

ათლტურთი აღნაგობის გამო შესანიშნავ იერს ტოვებს.

არსებითი სახელი იერი ასეა განმარტებული: სახის გამომეტყველება, შესახედაობა, გარეგნობა (აღამიანისა). ამიტომ იერი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შეეწყობა ზმნას ტოვებს: არ შეიძლება იერის დატოვება ისევე, როგორც უაზრობაა სახის გამომეტყველების, შესახედაობის ან გარეგნობის დატოვება. ამა თუ იმ იერმა შეიძლება მხოლოდ ისევე ასეთი თუ ისეთი შობაბეჭდილება დატოვოს, თვითონ კი იგუებს ზმნებს: აძლევს, იცვლის, აქვს. ამდენად, დამოწმებულ წინადადებაში უმართებულო სინტაგმა ასე უნდა გასწორდეს: „შესანიშნავ შობაბეჭდილება ტოვებს“.

თანამედროვე ქართული (და არა მარტო ქართული) პრესის ენაში, როგორც უკვე აღინიშნა, შეინიშნება ტენდენცია სიტყვათა გადატანით, მეტაფორული მნიშვნელობით ხმარებისა. სიტყვის მეტაფორული მნიშვნელობით ხმარება ფრაზას მოქნილსა და გამომხატველს ხდის, ამდიდრებს ენას, მაგრამ ამ დროს დიდი სიფრთხილე და ზომიერებაა საჭირო, რომ მან გააძირთლოს თავისი დანიშნულება და თავიდან იქნეს აცილებული საწინააღმდეგო შედეგი. ზოგჯერ რომელიმე სიტყვის ამგვარი (მეორეული, შემდეგ შექმნილი) შინაარსით ხშირი გამოყენება იწვევს ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის შესუსტებას. ამას კი შედეგად მოჰყვება სიტყვის უადგილოდ ხმარება. მისი დაკავშირება სრულიად შეუფერებელ სხვა სიტყვათაგან.

43. ამგვარი გზა გაიარა დღევანდელი პრესის ენაში საქმოდ პროდუქტიულმა ზმნამ ანადღებს – გაანადღებს და მისგან ნაწარმოებმა მასღარმა განადღება.

ანადღებს ნასახელარი ზმნაა. ნადღ ნიშნავს ისეთ ფულს, რომელიც ნამდვილად აქვთ, ხელზე აქვთ. ამიტომ განადღების ძირითადი მნიშვნელობაა ნადღ ფულად ქცევა, ანაზღაურება (ვადის, ფასიანი ქაღალდის), გაყიდვა, გასაღება.

თანამედროვე ქართულში (კერძოდ, საქმიანი ქაღალდების ენაში და აქედან პრესაში) ვხვდებით კიდევ ამ სიტყვის წესისამებრ ხმარების შემთხვევებს. მაგრამ ამ ბოლო დროს ზმნამ **გაანადღებს** გაიფართოვა ხმარების არე და ძალიან ხშირად მოულოდნელ კონტექსტშიც გამოიყენება – შეწყვილებულია მისთვის სრულიად შეუფერებელ სახელებთან. ამგვარ სინტაგმათაგან ზოგიერთი უკვე იმდენად ჩვეულებრივი გახდა თანამედროვე სალიტერატურო ქართულინათვის, რომ შეიძლება გააჭირდეს კიდევ მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ ზოგი ამგვარი უმართებულო შესიტყვების თავიდან აცილება აღბათ ჯერ კიდევ შეიძლება.

ანადღებს – გაანადღებს ზმნის მოხმარებისა და ამ რიგის ზოგი სხვა საკითხის შესახებ არსებობს სპეციალური წერილი ბ. ფონსუისა⁹. ამიტომ ჩვენ აქ ამგვარ შესიტყვებათა უმართებულობის შესახებ მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ და მხოლოდ მასალის ჩვენებით დაეკმაყოფილებით.

პრესის ენაში გვხვდება განადღება გვეგმისა, ვადღებულებისა, დავაღებისა, მიყიდვის საქმისა, პირობისა, ნდობისა და პატივისა, პროგრამისა, დღიური ნორმისა, ზუთწლედისა, ამოცანებისა, უმრავლესობისა, წინასწარდასახულობისა, მიზანდასახულობისა, მედლისა, პირველი (მეორე, მესამე...) ადგილისა, ჩემპიონობისა, ფინალისტობისა, ზრახვებისა... მოვიყვანოთ ნიმუშებს:

გადაჭარბებით ანადღებს გვეგმებს. პირნათლად გაანადღებს ტყის კულტურების გაშენების გეგმა. ნაკისრი ვადღებულდება გადაჭარბებით გაანადღდა. უკვე გაანადღებს წლიური დავაღები. არ დაეზოგავ ენერგიას, რათა საქმით გაგანადღო ეს დიდი ნდობა და პატივი. მან ოქროს მედალი გაინადღდა.

კარგი მოქართულე ამ შემთხვევაში განადღების ნაცვლად იხმარდა უფრო სწორ და კონ-

⁹ კონტექსტი და მნიშვნელობა: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი I, 1972, თბ., გვ. 28-37.

ტექსტისათვის შესაფერის ფორმებს, როგორცაა: შესრულება, განხორციელება, გამართლება, უზრუნველყოფა, გადაჭრა, გადაწყვეტა, მიღება... და ეს მოუხერხებელი სინტაგმებიც ასეთ სახეს მიიღებდა:

შეასრულეს: გეგმა, ვალდებულება, დავალება, პირობა, დღიური ნორმა...
განახორციელეს: პროგრამა, ზრახვები, მიზანდასახულობა, წინასწარდასახულობა...
გამართლეს: ნდობა და პატივი...
უზრუნველყვეს: მიყიდის საქმე, (თავისთვის) უმრავლესობა, ჩემპიონობა, ფინალისტობა...
გადაჭრეს ან გადაწყვიტეს ამოცანა, მიიღეს მედალი, დაიკავეს პირველი ადგილი და ა. შ.¹⁰
44. თანამედროვე ქართული პრესის ენაში ასევე უმართებულოდ გაიფართოვა მოხმარების არე აწარმოებს (აწარმოებენ), მიიღეს (იღებენ) ზმნებმა.

წარმოება, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს რაიმე საქმიანობის გაწევას, გაძლოლას, მოვლას, პატრონობას. მაგრამ პრესის ენაში ეს სიტყვა ყველაზე ხშირად იხმარება შედარებით ახლად შექმნილი მნიშვნელობით, ესაა დამზადება. დამზადება ან წარმოება სასოფლო-სამეურნეო, მესაქონლეობის და მისთ. პროდუქტებისა ჩვენი მკითხველისათვის დღეს ჩვეულებრივი სიტყვათშეხამებებია. მაგალითად:

ისინი დიდ წარმატებას აღწვევენ ხორციის წარმოების გადიდებაში. რაიონი რძის წარმოების პირველობას არაფის უთმობს. ისინი კვლავ ამრავლებენ წარმატებებს მარცვლეულის წარმოების საქმეში. შეიქმნა თამბაქოს წარმოების ცენტრი.

თუმცა ამ ტიპის ყველა შემთხვევის გამართლება მაინც არ შეიძლება. აშკარად შეუფერებელი სიტყვათშეხამებებია ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში:

ჯიშინი ცხენების წარმოება მეორეხარისხოვან საქმედ არის გადაქცეული. ქართული ფუტკრის მასობრივ წარმოებას მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. მვენახეობის განვითარების ტემპს ნამყენი ვაზის წარმოება განსაზღვრავს.

მით უმეტეს არ ვარაა ამ ფუძისგან ნაწარმოები ზმნური ფორმებით შედგენილი შესიტყვებების ერთი დიდი წყება, სადაც კონკრეტულად ამა თუ იმ პროდუქტის დამზადებაზეა ლაპარაკი. ამ შემთხვევებში შემახმენლის ცუდად შერჩევის გამო დარღვეულია აზრობრივი კავშირი სინტაგმის წევრებს შორის და წინადადება ზუსტად ვეღარ ვადმოსცემს ნაგულისხმევ აზრს. მაგალითები:

დიდი რაოდენობის ბოსტნეული ვაწარმოეთ. 1800 ცენტნერი ყურძენი ვაწარმოეთ. 50 ცენტნერი ხორცი უნდა ეწარმოებინათ. წელს უხვად აწარმოეს ხილი. ამჟამად საქართველოში ფანჯრის მინა არ იწარმოება.

ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში უმჯობესი იყო გვეხმარა სხვა ზმნები: მოიყვანეს, მოიწიფეს, დაამზადეს, აიღეს და ა. შ. ამით შესიტყვებაც გაიმართებოდა და წინადადებით ნაგულისხმევი აზრიც უფრო გამჭვირვალედ გახდებოდა.

45. ასეთივე ვითარებაა პრესის ენაში მიიღებს ზმნის ხმარებისას. მოიყვანით მაგალითებს:

69 ცენტნერი რძე მიიღეს. 1800 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. 15 პექტარი მარცვლეული უნდა მიეღოთ. დიდი რაოდენობით მატყლი მიიღეს.

ზემოთ დასახელებული უმართებულოდ ნახმარი ყველა ზმნა საჭიროა შეიცვალოს, რათა წინადადებები გაიმართოს შინაარსობრივად და შესიტყვებებშიც სწორი აზრობრივი კავშირი დამყარდეს: რძე მოწველეს, ყურძენი მოკრიფეს, მარცვლეული მოიწიფეს, მატყლი დაამზადეს.

VI. ამ ბოლო დროს ქართულ სალიტერატურო ენაში, განსაკუთრებით კი პრესის ენაში,

¹⁰ განსაკუთრებით უხერხულია განადგება ზმნის დასახისათვლად ისეთი ზმნისარტების ხმარება, როგორცაა: გადაჭარბებით, პირნათლად, სასახელოდ, წარმატებით, ორმაგად და მისთ.

ფეხს იკიდებს ერთი მოვლენა; სახელდობრ, ნაცვლად ქართულისათვის ბუნებრივი მატრევი ზმნისა, საგნის მოქმედებისა და მდგომარეობის გამოსახატავად ვრცელდება ისეთი სახელურ-ზმნური წარმოება, სადაც ზმნა, ჩვეულებრივ, შინაარსისაგანაა დაცლილი და მხოლოდ დამხმარე სიტყვის როლს ასრულებს, ხოლო სემანტიკური ფუნქციის შესრულება მთლიანად ეკისრება მასდარს ან, იშვიათად, მნიშვნელობით მასთან ახლოს მდგომ სახელს. მაგალითად, ეწეობა: გამოცხობა, თესვა, მკა, კრეფა... მიმდინარეობს: ამოწვევება, სასუქების შეტანა, შემობარვა, ტეხანემსვა... წარმოებს: გამოთიბვა, მყნობა, მარჯვლა, დაბეტონება, რწყვა... ტარდება: რემონტი, გამოკვება, მეთვალყურეობა, გამოთოხნა... ხდება: გაწმენდა-გასუფთავება, წესრიგში მოყვანა, შემოწმება, გაცნობა, ფარცხვა, დაცლა... ხორციელდება: მოვლა, დაღვმა, შეკეთება, შენახვა და სხვა მრავალი.

დასახელებულ შემთხვევებში, როგორც მაგალითებიდანაც ჩანს, ერთსიტყვიანი, ბუნებრივი ზმნის ნაცვლად გამოყენებულია აღწერითი წარმოება: ზმნა+მასდარი (ან, იშვიათად, მნიშვნელობით მასდართან ახლოს მდგომი სახელი), რომელიც პირველის სემანტიკურ ეკვივალენტს წარმოადგენს; სახელდობრ, ეწეობა გამოცხობა ნიშნავს, რომ აცხობენ; ასევე, მოეწეო თესვა - ე. ი. დათესეს, მოეწეო კრეფა - მოკრიფეს, წარმოებს რწყვა - რწყავენ, ტარდება რემონტი - არემონტებენ, ხდება გაწმენდა-გასუფთავება - წმენდენ და ასუფთავებენ, ხდება შემოწმება - ამოწმებენ, ხორციელდება მოვლა - უვლიან, ხორციელდება შენახვა - ინახავენ და ა. შ.

ყველა შემთხვევაში ასეთ აღწერით გამოთქმებში სემანტიკური ძალის მატარებელია სახელზმნა, რომელიც ზმნას ემსახურება, როგორც დამატება, ხოლო ზმნა, უმრავლეს შემთხვევაში, მთლიანად დაცლილია მნიშვნელობისაგან და ისევე, როგორც შედგენილ შემასმენელში, გამოხატავს მხოლოდ ზმნურ კატეგორიებს, კერძოდ, პირს, რიცხვს, დროს, კილოს, საუღლებელ ერთეულს (ნაკვთს)...

ამიტომ ერთსა და იმავე გარკვეული მნიშვნელობის მატარებელ მასდართან დასახელებულ ზმნათა შენაცვლება არ გამოიწვევს შინაარსის ცვლას, მაშინ, როდესაც ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა მასდართან სულ სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელია.

შეადარე, მაგალითად, ერთი მხრივ:

ეწეობა _____	კრეფა = კრეფენ
წარმოებს _____	
ტარდება _____	
ხდება _____	
ხორციელდება _____	

და, მეორე მხრივ:

ტარდება	თესვა = თესავენ
	მკა = მკიან
	რემონტი = არემონტებენ
	რწყვა = რწყავენ
	მოვლა = უვლიან

მასშავადამე, ამ რიგის აღწერითსა და ზმნურ წარმოებებს შორის, სტრუქტურულის გარდა, სხვა რამ შინაარსობრივი განსხვავება არ არსებობს და თავისუფლად შეიძლება თითქმის ყველა შემთხვევაში აღწერითის ზმნურით შეცვლა.

სახელურ-ზმნური წარმოებისას თანამედროვე ქართულში ზმნურ კომპონენტად გამოიყენება არა ერთი და ორი ზმნა, ზუსტად ყველას ჩამოთვლა გაჭირდება კიდევც, თუმცა მაინც შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მათგანი, რომლებიც განსაკუთრებით ხშირად იხმარება. ასეთებია: ეწეობა, მიმდინარეობს, ტარდება, წარმოებს, ხდება, ხორციელდება და მისთ. ყველა ამ ზმნას აქვს თავისი ძირითადი მნიშვნელობა, რომლითაც ხშირად არის კიდევ იგი წარმოდგენილი წინადადებაში, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო შემთხვევებში, როგორც დავინახეთ, მათ ეს მნიშვნელობა ან უმართებულად აქვთ გაფართოებული, ანდა მთლიანად დაკარგული.

მოვიყვანთ საილუსტრაციო მაგალითებს:

1. ეწყობა - აწყობს

ამ ზმნების ძირითადი მნიშვნელობებია: მოგვარება, მოწყობა, ჩატარება, დაარსება-შექმნა, მორთვა, გამართვა... ამ მნიშვნელობებით იგი ხშირად გამოყენებულიც არის წინადადებაში: საქმის მოწყობა, ექსკურსიის მოწყობა, სადამოს მოწყობა, აჯანყების მოწყობა, ოჯახის მოწყობა, ბინის მოწყობა, სცენის მოწყობა. დასახელებულ შემთხვევებში ეს ზმნა სახელთანაა დაკავშირებული და ყველგან იგი გადმოსცემს მოქმედების შინაარსს. ჩვენთვის საინტერესო შემთხვევებში კი, სადაც იგი საწყისთან არის შეწყვეტილი, ხევა ვითარებაა. მაგალითები:

ეწყობა პურის გამოცხობა. ეწყობა გაზეთის გამოშვება. მოეწყო მხატვრული თეიმოქმედების გამოსვლები. მოეწყო კინოსურათების ჩვენება.

ყველა შემთხვევაში ზმნა მოწყობა ზედმეტია, მას აქ არავითარი სემანტიკური ფუნქცია არა აქვს. იგივე ფრაზები რომ ბუნებრივი ქართულით გაიმართოს, საჭიროა ამოვავლოთ ზმნა, ხოლო სახელ-ზმნები შევცვალოთ იმავე ძირისაგან ნაწარმოები პირიანი ფორმებით. მაშინ გვექნებოდა: ცხება პური; უშვებენ გაზეთს, გამოდიან მხატვრული თეიმოქმედების კოლექტივები, უჩვენებენ კინოსურათებს.

2. წარმოებს - აწარმოებს

ამ ზმნების მნიშვნელობაა: რაიმე საქმიანობის გაწევა. ამ შინაარსის გამო, ბუნებრივია, ეს ზმნები წინადადებაში უკავშირდებოდეს მოქმედების აღმნიშვნელ სახელებს. აწარმოებს მუშაობას, მოლაპარაკებას, გათხრებს, ბრძოლას, მიწერ-მოწერას და სხვ. მაგრამ მისი დაკავშირება განურჩევლად ამ რიგის ყველა სახელთან, რასაც ბოლო დროს ადგილი აქვს ჩვენი პრესის ენაში, სრულიად გაუმართლებელია. მოვიყვანოთ საწინააღმდეგო მაგალითები:

დაჯილდოებას აწარმოებს; გაჯანმრთელებას აწარმოებენ; გაფორმებას აწარმოებს, დაცვას აწარმოებს.

უნდა იყოს: აჯილდოებს, აჯანმრთელებენ, გააფორმებს, დაცივას.

3. ტარდება - ატარებს

ამ ზმნების ძირითადი მნიშვნელობებია: დააქვს, დაჰყავს, ეწყობა, აწყობს, მართავს... ატარებს იარაღს, მანქანას... ქუდს, ხელთათმანებს... კრებას, ლექციას, ცდებს, გაკვეთილს... დენს... ყველა ამ მნიშვნელობით აღნიშნული ზმნა გამოიყენება თანამედროვე სალიტერატურო ენაში. გარდა ამგვარი შემთხვევებისა, ტარდება - ატარებს ზმნები არც თუ ისე იშვიათად გვხვდება ზემოთ დასახელებულ სახელურ-ზმნურ კონსტრუქციებში, სადაც იგი თავისი პირველადი მნიშვნელობისაგან დაცილილია. მაგალითები:

სისტემატიურად ატარებენ გზების რეკონსტრუქციას. ორგანიზებულად ჩაატარებს ბატონის მიღებას. მინდვრების, ვენახების რწყვა არ ჩაატარებს. ტარდება ავადმყოფზე მეთვალყურეობა. ჩატარებულია ხადრენაყო არხების გასუფთავება.

ბუნებრივი ქართული ფრაზები იქნებოდა: სისტემატიურად არემონტებენ გზებს; ბატონის ორგანიზებულად მიიღებს; მინდვრები, ვენახები არ მორწყეს; ავადმყოფი მეთვალყურეობის ქვეშაა; არხები გაასუფთავებს.

4. ხდება - ახდენს

ეს ზმნები თავისი ძირითადი მნიშვნელობით დღეს არც თუ ისე ხშირად გამოიყენება: მონაწილე ხდება, უმედურება ხდება, სასწაული ხდება, მისი წერა ხდება, ავად ხდება, ვერაფერს ხდება... აჯანყებას ახდენს, განკარგულებას ახდენს, შთაბეჭდილებას ახდენს...

ამ ბოლო დროს დასახელებულმა ზმნებმა გაითავითოვეს როგორც მნიშვნელობის, ისე მოხმარების არე და ხშირად ენაცვლებიან ზმნებს: ტარდება, ეწყობა, ეწევა, შერება... ამასთან, უკა-

ნასკნელთა მსგავსად უმეტესწილად ისინიც დაცლილნი არიან მნიშვნელობისაგან და ზემოთ აღწერილ სახელურ-ზმნურ კონსტრუქციებში გამოიყენებიან ზმნურ კომპონენტად. მაგალითები:

დროულად მოახდინა არხებისა და პიდროტექნიკურ ნაგებობათა წესრიგში მოყვანა. გათვალისწინებულ ვადებში მოახდინეს ევნახების დამუშავება. თანამიმდევრულად ვახდენთ შეჯირბების შედგების გაცნობას. ყოველთვის დროულად ხდება ვაგონების დაცლა. დაავადება ხდება უმეტესად გათენებისას.

აღნიშნული წინადადებები ასე უნდა გაიმართოს: დროულად მოიყვანა წესრიგში არხები და პიდროტექნიკური ნაგებობანი; გათვალისწინებულ ვადებში დაამუშავეს ევნახები; თანამიმდევრულად ვეცნობით შეჯირბების შედგებს; ყოველთვის დროულად იცლება ვაგონები; ავადდებიან უმეტესად გათენებისას.

5. ხორციელდება — ახორციელებს

ამ ზმნების მნიშვნელობაა: სინამდვილედ ქცევა, შესრულება. **ახორციელებს მიზანს, გეგმას, ოცნებას, ნატვრას, პროგრამას** — ჩვეულებრივი გამოთქმებია, მაგრამ უფრო ხშირად ეს ზმნა გვხვდება შეუფერებელ კონტექსტში. დავადასტურებთ მაგალითებით:

განახორციელდა ათასობით სული პირუტყვის შენახვა. განახორციელეს ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანების შეკეთება. ახორციელებენ ნერგების გულდასმით დახარისხებას. შეურნეობა ტყის კულტურების ნარგავების მოვლას ყოველწლიურად ახორციელებს. ფერდობზეც კი ახორციელებენ ტყის ინტენსიურ ჭრას.

აღნიშნული წინადადებები მარტივად შემდგენიარად გადმოიკვირდა: შეინახეს ათასობით სული პირუტყვი; შეაკეთეს ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანები; ნერგებს გულდასმით ახარისხებენ; შეურნეობა ტყის კულტურების ნარგავებს ყოველწლიურად 3000 ჰექტარზე უვლის; ხშირად ატყვევებენ ფართობებს სხვადასხვა ჯიშებით; ფერდობზეც კი ინტენსიურად ჭრან ტყეს.

6. მიმდინარეობს

ამ ზმნის პირველადი მნიშვნელობაა მივიდინება, მიდის (მაგ., წყალი, მდინარე, გადატვიხორება, დრო). მაგრამ ამ მნიშვნელობით აღნიშნული ზმნა თანამედროვე ქართულში ძალიან იშვიათად გვხვდება. სამაგიეროდ, ჩვეულებრივია მისი გამოყენება შემდგომ შექმნილი მნიშვნელობებით: **წარმოებს, ხდება, ადგილი აქვს, ტარდება (მოლაპარაკება მიმდინარეობს, არჩენენი მიმდინარეობს)**. მაგრამ ასეთ შემთხვევათა უმრავლესობაში მასაც დაკარგული აქვს სემანტიკური ფუნქცია და დამხმარე სიტყვის როლს ასრულებს.

მაგალითები:

აქ წარმატებით მიმდინარეობს თამბაქოს შეურნეობის მოწყობა. წარმატებით მიმდინარეობს ტოტების აჭრა. პირუტყვის მოვლა-პატრონობა კარგად მიმდინარეობს. ამჟამად მიმდინარეობს ორმთვიის ამოთხრა. მდინარე ყვირილაში ქვირითის დაყრა მიმდინარეობს როგორც ადგილობრივ, ისე შემოსულ თევზთაგან.

ჯობდა მოყვანილი წინადადებები ასე გამართულიყო: აქ წარმატებით აწყობენ თამბაქოს შეურნეობას; წარმატებით აჭრიან ტოტებს; კარგად უვლიან პირუტყვებს; ამჟამად თხრიან ორმთვიის; მდინარე ყვირილაში ქვირითის ყრიან როგორც ადგილობრივ, ისე შემოსული თევზები.

7. აქამდე განხილული ზმნები, როგორც ზევით უკვე ითქვა, შედარებით ხშირად ისხარება ამა თუ იმ მასდართან ერთად საგნის მოქმედების აღსანიშნავად. უკანასკნელ ხანს ქართულში, განსაკუთრებით პრესის ენაში, ძალიან გამრავლდა ამ ტიპის წარმოება და გარდა ზემოთ დასახელებულ ზმნების, ამ ფუნქციას არა ერთი და ორი სხვა ზმნაც ასრულებს. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს:

ამ ბოლო 7 წელში შემცირება განიცადა, აგრეთვე, მუხის, თელის, ნაძვის, ფიჭვის ფართობებმა. ზოგიერთი ქალები იქამდე მივიდნენ, რომ ეწვევიან ღვინის გადაჭარბებულ სმას. ზოგიერთმა შეურნეობამ დაუშვა რისი ნაწველის შემცირება. ორგანიზაციებმა დაუშვეს წელს დახამთავ

რებული ობიექტების მშენებლობის გაჭიანურება. სისტემატური მოვლით მივალწიეთ ნარგავების მოლიან გახარებას; ასეთი ხეები უფრო კარგ ზრდას ამქლავენებდნენ, ვიდრე მათზე ხნიერი ხეები. დამარცხება მიაყენა ძლიერ მოჭადრაკეებს; მთლიანად რესპუბლიკაში ადგილი აქვს დანაშაულთა და სამართალ-დარღვევათა შემთხვევების კლებას. სასამართლომ განიხილა სულ 8 პიროვნების საქმე, რომელთა მხრივ გასაჩივრებას ადგილი არ ჰქონია. ზოგიერთ სატყეო მეურნეობაში ადგილი აქვს კულტურების დაღუპვას.

აჯობებდა ასე: ამ ბოლო 7 წელში შემცირდა აგრეთვე მუხის, თელის, ნაძვის, ფიჭვის ფართობები; ზოგიერთი ქაღები იქამდე მივიდნენ, რომ გადაჭარბებულად სვამენ ღვინოს; ზოგიერთმა მეურნეობამ შეამცირა რძის ნაწველი; ორგანიზაციებმა გააჭიანურეს წველს დასამთავრებელი ობიექტების მშენებლობა; სისტემატური მოვლით მთლიანად გავახარეთ ნარგავები; ასეთი ხეები უფრო კარგად იზრდებოდა, ვიდრე მათზე ხნიერი ხეები; დამარცხა ძლიერი მოჭადრაკეები; მთლიანად რესპუბლიკაში იკლო დანაშაულთა და სამართალ-დარღვევათა შემთხვევებმა; სასამართლომ განიხილა სულ 8 პიროვნების საქმე, რომელთაც არ გაუსაჩივრებიათ; ზოგიერთ სატყეო მეურნეობაში იღუპება კულტურები.

ცხადია, რომ აღწერილი შესიტყვევანი, მიუხედავად იმისა, რომ მათში გადმოცემული აზრი გასაგებია და გრამატიკული დარღვევები არა გვაქვს, მაინც ვერ ჩაითვლება სწორად შემანტიკური უხერხულობის გამო.

საერთოდ, აღწერილი სახის წარმოება - მასდარის დაკავშირება მთლიანად თუ ნაწილობრივ მნიშვნელობისგან დაცლილ ზმნასთან - ენისათვის არ არის უჩვეულო. ბევრ შემთხვევაში ის აუცილებელიცაა, როდესაც ესა თუ ის ზმნა ამა თუ იმ დროსა და კილოს ფორმას ვერ აწარმოებს, ხოლო მის მოვალეობას ადვილად ასრულებს მისი შემცველი ლექსიკური მკვიფალენტი - სახელურ-ზმნური შესიტყვევა.

ზოგჯერ სახელურ-ზმნური გამონათქვამი გამოავლენს მეტად თუ ნაკლებად თავისებურ, განსხვავებულ, ახალ აზრობრივ ნიუანსსა და სტილისტიკურ შეფერილობას, რომელიც შეაქვს მის სემანტიკაში სწორედ მასში შემავალ ზმნას თავისი ახალი ლექსიკური შინაარსით. ამ დროს სწორედ ამ უკანასკნელებს ეძლევა უპირატესობა და მათი შეცვლა ზმნური შემასმენლით აზრის მხოლოდ გადარიბებასა და გაბუნდოვანებას გამოიწვევს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ რიგის წარმოების ყველა შემთხვევის გამართლება შეუძლებელია. ეს ალბათ ზემოთ დამოწმებული საილუსტრაციო მასალიდანაც თვალნათლივ ჩანდა.

დარღვევები თანდებულთა გამოყენებისას თანამედროვე ქართული პრესის ენაში¹

უზუსტობები, რომლებიც თანდებულთა ხმარებისას შეინიშნება პრესის ენაში, ძირითადად ორგვარი ხასიათისაა: ერთი მხრით, ვაკუუს საკუთრივ ქართულ ნიადაგზე განვითარებული და, მეორე მხრით, სხვა ენის გავლენის შედეგად მიღებული დარღვევები.

საკუთრივ ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილად ითვლება ის დარღვევები, რომლებიც ენის განვითარების პროცესში წარმოიშობა. მაგალითისათვის შეიძლება დაგვესახელებინა - თვის თანდებულისა და -გან თანდებულისა მოქმედებითის ფუნქციის გაფართოება თანამედროვე ქართულში და ამასთან დაკავშირებით სადავო ფორმების გაჩენა სალიტერატურო ენაში (ხარწყავად გამოიყენება და რწყვისთვის გამოიყენება; ნაყოფისაგან მოამზადა და ნაყოფიდან მოამზადა), ასევე -თვის და გან თანდებულისა ფორმები მიხეცის გარემოების გადმოსაცემად (წესების დარღვევისათვის დასაჯეს და წესების დარღვევის გამო დასაჯეს).

აქვე უმთავრესად შევხვდებით ის დიდი ჯგუფი, რომელსაც ენის ბუნების გაუთვალისწინებლობა თუ არცოდნა იწვევს (გზახი მიდის; მუხლამდე თოვლზე მიაბიჯებს).

ქართული ენა ზმნის აქტიური ფორმების ენაა. უცხო ენობრივ გავლენაზე როცა ვლაპარაკობთ, პირველ ყოვლისა, ენაში პასიური კონსტრუქციების მოჭარბებას ვგულისხმობთ, პასიური კონსტრუქციების მოჭარბება კი, თავის მხრივ, თანდებულისა კონსტრუქციების მოჭარბებას იწვევს. თანდებულისა კონსტრუქციების ხშირი ხმარება, და ისიც ენისათვის არაბუნებრივ პირობებში, თანდებულთა არასწორი გამოყენების შესაძლებლობებს ზრდის. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენა გარკვეულ შემთხვევებში ამგვარ კონსტრუქციებზე უარს ვერ იტყვის. მოთხოვნა იმისა, რომ საწყისებთან და მიმდებარებით შედგენილი კონსტრუქციები ყველგან ზმნის პირიანი ფორმა შეიცვალოს, საქმის არასასურველი გამარტივება იქნებოდა. ასეთი კონსტრუქციები უნდა გამოიყენებოდნენ, ოღონდ ისინი ჯერ უნდა მოვაწესრიგოთ, სალიტერატურო ენის ნორმებს მიუხედავად. ამასთან, მაქსიმალურად უნდა გამოიყენებოდნენ ქართული ზმნის შესაძლებლობანი - მისი მრავალპირობიანობა და ის ამოუწურავი შინაარსობრივი ნიუანსები, რომელთაც ზმნის ფორმა ამა თუ იმ სიტყვაწარმოებით აფიქსის დართით იძენს.

უცხო ენის გავლენის შედეგს წარმოადგენს ის უამრავი ლექსიკურ-სინტაქსური კადკი, რაც პრესის ენაში გვხვდება და რასაც ალბათ ძნელად თუ მოეპებება გამართლები.

სათანადო რუსული შესატყვისების გავლენით უნდა აიხსნას ქართულში ერთი და იმავე ფუნქციით -ში და -ზე თანდებულთა მონაცვლეობის წინ წამოწვევა და სალიტერატურო ენაში მოცილე ფორმების გაჩენა (ბაზარში იყიდა და ბაზარზე იყიდა).

სალიტერატურო მასალა მეტწილად ბოლო წლების ეურნად გავხვებიან არის ამოკრეფილი. ძირითადად დარღვევითა ისეთი შემთხვევებია განხილული, რომლებშიც თანდებულის შეცვლა აზრის მართებულად გაგების შესაძლებლობას იძლევა. ზოგჯერ დამატებით მასალის წესით ისეთი შემთხვევებიც არის გათვალისწინებული, რომლებშიც ჩვენთვის საინტერესო ესა თუ ის სახელი სინტაქსის წყვეტად სწორად არ არის გამოყენებული, ამდენად მხოლოდ თანდებულის შეცვლას ამ შესიტყვებისათვის აზრი არა აქვს.

იმ დარღვევებს, რომელთაც სისტემური ხასიათი არა აქვთ და გარკვეულ კანონზომიერებას არ ქვეყმდებარებიან, აქ არ განვიხილავთ (მაგ., ორ მეტრზე იქით გადახტა).

დარღვევებია ნიმუშები დილაგებულისა ცალკეული თანდებულების მიხედვით, ხოლო თანდებულების შიგნით კი იმ ფორმების მიხედვით, რომელთაც სალიტერატურო ენის თვალსაზრისით უპირატესობა ენიჭება მოცემულ თანდებულთან სახელთან შედარებით. ზოგჯერ ქვესაკითხად გატანილია ცალკეული შემთხვევებიც და, ჩვეულებრივ ისე, როგორც საანალიზო კონტექსტში გვხვდება, ე. ი. უმართებულად ფორმით.

აქვე შევინშნავთ, რომ რომელიმე თანდებულის ფუნქციებზე საუბრისას ჩვენ მხოლოდ იმ

¹ ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეხამე, 1980.

ფუნქციას ვასახელებთ, რომელიც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გვეტირება.

-ზე

1. -ზე თანდებულის სახელები უთანდებულო მიცემითის ნაცვლად

ყურადღებას მიაქცევს (მიაპყრობს) რაიმეზე

ყურადღებას მიაქცევს თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში გავრცელებული მყარი ფრაზეოლოგიური ერთეულია. ამავე მნიშვნელობით შედარებით იშვიათად იხმარება ყურადღებას მიაპყრობს². ზმნები მიაქცევს, მიაპყრობს სუბიექტის ორ-ორ ობიექტს შეიწყობენ: ის მას მას (ყურადღებას). იმ საგნის გამომხატველი სახელი, რომელსაც ყურადღებას მიაქცევს (მიაპყრობს), წინადადებაში ირიბი დამატებაა, იგი უთანდებულო მიცემითში დაისმის. მაგ.: „გზაში ყურადღება მიაქციე იმ ქალს“ (ს. კლდ.); „ყურადღება მიაპყრო გამომძიებელმა ოქრუას სიტყვებს“ (გვ. ნინოშ).

ყურადღება მიაქცია (მიაპყრო) ქალს, სიტყვებს, საკითხს (უთანდებულო მიცემითში დასმული სახელით) სინტაქსურად სწორად გაფორმებული კონსტრუქციებია. მას ნორმატიული ხასიათი აქვს და გაბატონებულია ქართულ სალიტერატურო ენაში.

ამ გამოთქმათა გვერდით ყურადღებას იქცევს ისეთი კონსტრუქციები, რომლებშიც ირიბი დამატება უთანდებულო მიცემითის ნაცვლად -ზე თანდებულის ფორმით არის წარმოდგენილი. მაგალითად:

გვინდა თქვენი ყურადღება მივაქციოთ ზოგიერთ მომენტსა და გარემოებაზე. ყურადღება მიაპყრო ფიქტურ ღონისძიებათა გატარებაზე. მთელი ყურადღება უნდა მიექცეს ხელების მდგომარეობაზე. მორწმუნეთა მთელ ყურადღებას მიაპყრობს იმაზე, რომ არსებობს ორი საყარო.

-ზე თანდებულის სახელის გამოყენება ზემოჩამოთვლილ შემთხვევებში არ არის მართებული. კონსტრუქცია ირიბ დამატებას - უთანდებულო მიცემითის ფორმას ითხოვს. თანდებულის კონსტრუქცია უთანდებულო მიცემითბრუნვინი კონსტრუქციით უნდა შეიცვალოს. შესაბამისად ასე: ყურადღებას მიაქცევს (მიაპყრობს) მომენტსა და გარემოებას, (ღონისძიებათა) გატარებას.

ასეთი სურათი გვეჩვენა დრო-კილოთა პირველი და მეორე ჯგუფის ფორმებთან. დრო-კილოთა მესამე ჯგუფის ფორმებთან და საწყისთან კი ჩვენთვის საინტერესო სახელებს (ტ. ი. სახელებს, რომლებიც წინადადებაში ირიბი დამატების ფუნქციას ასრულებენ), -თვის თანდებულის პირმომართავი დამატებით ენაცვლებიან და გვაქვს ასე: ყურადღება მიუქცევია, მიექცია, მიექცითს, ყურადღების მიქცევა საკითხისათვის, სიტყვებისათვის, (ღონისძიებათა) გატარებისათვის. მაგ.: „ის კი არაფის მოუვიდა ფიქრად, რომ ყურადღება მიექცია ჯოხებისათვის“ (ი. გოგბ.). ასევე -თვის თანდებულის იქნება ეს სახელი შესიტყვებთან: ყურადღება მიუყრია, მიეყრო, მიეპყროს, ყურადღების მიუყრობა. უნდა აღინიშნოს, რომ მიაპყრობს ზმნით შედგენილ ამ გამონათქვამთა გამოყენების შემთხვევები II თურმეობითსა და III კავშირებითი პრაქტიკულად ძალზე იშვიათია³.

² მიაპყრობს ზნა ბუნებრივ შესიტყვებებს ქმნის სახელებთან თვალი, მზერა, გულისყური ახალ ქართულში (მაგ., მოსაგვალს იმედის თვალი მიაპყრო, მზერა წარსულს მიაპყრო, გულისყური მიაპყრო) და სახელიდან ყური ძველ ქართულში. ყურისა მიაპყრობა ძვ. ქართულში ყურის დაგდებას ნიშნავდა. მაგ.: ყური მითუყრა ყოველმან მან ვერან სმუნად“ ნეშ. 8, 3 (ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973). ყურადღება მიაპყრო კი სწორედ ამ გამონათქვამთა ადგილს იჭერს ხოლმე ზეპირსა თუ წერით მეცნიერებაში, რაც არ არის მიზანშეწონილი.

³ III სერიაში გვევ უფრო მეტად ექნება შესიტყვებებს ყურადღებას იქცევს და ყურადღებას იყრობს, მაგრამ კონტექსტები, რომლებშიც ეს გამონათქვამები გამოიყენება, რა თქმა უნდა, საესებით განსხვავებული იქნება. მაგ., „ამ საკითხისათვის არაერთ მეცნიერს მიუქცევია (მიუპყრია) ყურადღება“ და „ამ საკითხს არაერთი მეცნიერის ყურადღება მიუქცევია (მიუპყრია)“. პირველი წინადადების

ზემოთქმულის თანახმად დრო-კილოთა ჯგუფების მიხედვით ასეთი სურათი გვაქვს:

დრო-კილოთა I ჯგუფი: ყურადღებას აქცევს, ყურადღებას აქცევდეს⁴ საკითხს; ყურადღებას მიაქცევს (მიაპყრობს), ყურადღებას მიაქცევდა (მიაპყრობდა), ყურადღებას მიაქცევდეს (მიაპყრობდეს) საკითხს.

დრო-კილოთა II ჯგუფი: ყურადღება მიაქცია (მიაპყრო), ყურადღება მიაქციოს (მიაპყროს) საკითხს.

დრო-კილოთა III ჯგუფი: ყურადღება მიუქცევია (მიუპყრია), ყურადღება მიუქცია (მიუპყრო), ყურადღება მიუქციოს (მიუპყროს) საკითხისათვის.

საწყისი: ყურადღების მიქცევა (მიპყრობა) საკითხისათვის.

რაც შეეხება ზემოთ წარმოდგენილ კონსტრუქციას ყურადღებას მიაქცევს (მიაპყრობს) + -ზე თანდებულებიანი სახელი, იგი სემანტიკურად ახლოს მდგომი ყურადღებას გაამახვილებს, ყურადღებას შეაჩერებს, ყურადღებას გადაიტანს + -ზე თანდებულებიანი სახელი კონსტრუქციის ანალოგიით ჩანს გაკეთებული. გამორიცხული არ არის აგრეთვე обратит внимание на что-н.-ის გაკლენაც.

ირიბი დამატების ფუნქციას ასრულებს და, შესაბამისად, უთანდებულო მიცემითი უნდა შეიცვალოს -ზე თანდებულებიანი სახელი კონვერტზე შემდეგ წინადადებაში:

კონვერტზე აუცილებლად გაუკეთეთ წარწერა.

უნდა იყოს: კონვერტს გაუკეთეთ წარწერა (ან: კონვერტზე გააკეთეთ წარწერა).

მეორე-მესამე დღეზე ავადმყოფის მდგომარეობა შეიძლება მკვეთრად გაუარესდეს. ქორწინების მეორე თვეზე საყვედური ჰკადრა მუუღლეს.

მეორე-მესამე დღეზე, მეორე თვეზე და სხვა მსგავსი გამოთქმები დროის გარემოებებად უთანდებულო მიცემითის ფორმით იხმარება: მეორე-მესამე დღეს შეიძლება ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდეს; ქორწინების მეორე თვეს იურიმ პირველი საყვედური ჰკადრა მუუღლეს. შდრ. „უკვე მესამე დღეს თოვლის საფრის სიმაღლემ ლენტეხში სამ მეტრს მიაღწია“.

გ. წ. ნანათესაობითარი მიცემითი ჯობს შეიცვალოს -ზე თანდებულებიანი შუადღეზე შემდეგ მაგალითებში:

ზურაბმა ახალი ამბავი შუადღეზე გაიგო (უნდა იყოს: შუადღისას).

შუადღეზე (უნდა იყოს: შუადღისას) მებრამ შევიღშვილები გაიყვანა ეზოში სათამაშოდ.

2. -ზე თანდებულებიანი სახელები უთანდებულო ნათესაობითის ნაცვლად

აქ წარმოდგენილი დარღვევები ერთი რიგისაა. ჩვენთვის სინტაქსურ -ზე თანდებულებიანი სახელები მათთან სინტაქსში შემავალი წევრის მსაზღვრელი სახელებია. მსაზღვრელად გამოყენებული არსებითი სახელი ქართულში ნათესაობითის ბრუნვაში იხმის. ამიტომ რომელიმე გულზე (თვალზე, კუჭზე, ბრონქებზე...) ოპერაცია, კათედრაზე მასწავლებელი, შრომაზე უფლება, დაავადებაზე დიაგნოზი, საქმეზე გამოძიება, გაგზავნაზე ნებართვა, შეჯიბრებაზე მონაწილე, ძველზე გათხრა, სოფლებზე შეფობა, ბილეთებზე დაკვეთა ქართული ენობრივი სისტემისათვის უცხო და არამართებული შესიტყვებებია. -ზე თანდებულებიანი სახელები ყველა ზემოთ წარმოდგენილ შესიტყვებაში უთანდებულო ნათესაობითი უნდა შეიცვალოს. სახელდობრ ასე: გულის (თვალის, კუჭის, ბრონქების...) ოპერაცია, კათედრის მასწავლებელი, შრომის უფლება, დაავადების დიაგნოზი, საქმის გამოძიება, გაგზავნის ნებართვა, შეჯიბრების მონაწილე, ძველის გათხრა, სოფლების შეფობა, ბილეთების დაკვეთა.

მაგალითად:

ყურადღება მიუქცევია (მიუპყრია) ფორმისათვის ამოსავალია ყურადღებას მიაქცევს (მიაპყრობს), ხოლო მუორისათვის კი - ყურადღებას იქცევს (იპყრობს).

⁴ყურადღებას აპყრობს (აპყრობდა, აპყრობდეს) ფორმები არა გვაქვს.

უფრო ცუდად არის საქმე პროგრამებზე. შდრ.: ამ კაცის საქმე ცუდადაა. გულზე ოპერაცია გაუკეთდა. შდრ.: გულის ოპერაცია.
საოპერაციო ბლოკში გააკეთებენ ყველაზე რთულ ოპერაციებს ადამიანის კუჭზე, ფიტებზე, ბრონქებსა და ადამიანის სხვა დაზიანებულ ორგანოებზე.
ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ფიზიოლოგიის კათედრაზე უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე.

კათედრაზე ბუნებრივი ფორმა იქნებოდა ასეთი კონტექსტისათვის: ფიზიოლოგიის კათედრაზე ბევრი უფროსი მასწავლებელია. მაგრამ: ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ფიზიოლოგიის კათედრის უფროსი მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად.

მოხუცებულობით პენსიის დანიშვნა არ ზღუდავს მოქალაქის უფლებას შრომაზე. შდრ.: შრომის უფლებებისათვის.
ამ დაავადებაზე დიაგნოზის დასმა მარტო კლინიკური მონაცემებით ძალიან ძნელია. ამ საქმეზე გამოძიება სამ თვეს გაგრძელდა.
ძველზე გათხოვების დაწყებისთანავე აღმოჩნდა წარწერიანი ქვა.
ისარგებლეთ ავიაბილეთებზე დაკვეთის შედეგების მომსახურებით. შდრ.: ტელეფონით ავიაბილეთის დაკვეთისათვის.

სპორტის ამბების ენაში მატჩი მსოფლიო პირველობაზე შესიტყვების გვერდით მსოფლიო პირველობის მატჩიც ვეხედება. -ზე თანდებუდიანი შესიტყვება (მატჩი მსოფლიო პირველობაზე) რუსულის კალკია. უპირატესობა ნათესაობითი ბრუნვის ფორმიან კონსტრუქციას უნდა მიენიჭოს.

მაგალითად:

დასრულდა მსოფლიო პირველობაზე მატჩის 21-ე პარტია.

აჯობებდა ასე: მსოფლიო პირველობის მატჩის 21-ე პარტია.

აქვე უნდა განვიხილოთ კიდევ ერთი შესიტყვება ტურნირი... პრიზზე. ივარაუდება, რომ ტურნირი ვისიმე სახელობის თუ რომელიმე ორგანიზაციის მიერ დაწესებული პრიზის გათამაშებას ეძღვნება.

მაგალითად:

გრძელდება ტურნირი მინი-ფეხბურთში გაზეთ „ლელოს“ პრიზზე.

ტურნირი... პრიზზე ქართულისათვის არაბუნებრივი შესიტყვებაა. აჯობებდა ...პრიზის გათამაშების ტურნირი. შდრ.: ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება, თასების მფლობელთა თასის გათამაშება.

ამის მიხედვით ზემოთ მოყვანილი მაგალითი ასე გასწორდება: გრძელდება გაზეთ „ლელოს“ პრიზის გათამაშების ტურნირი მინი-ფეხბურთში.

3. -ზე თანდებუდიანი სახელები უთანდებულო მოქმედების ნაცვლად

პენსიონერებს აქვთ თუ არა საქალაქო ტრანსპორტზე უფასოდ მგზავრობის უფლება? ყველა მოსწავლეს ექნება აბონემენტი საქალაქო ტრანსპორტზე მგზავრობისათვის. ადრე ერთად ცურავდნენ იახტაზე.

ტრანსპორტის სახეობის დასახელება გადაადგილების შინაარსის მქონე ზმნებთან ქართულში მოქმედებითი ბრუნვის ფორმით ხდება. მაგ.: ტრამვაით, ავტობუსით, მანქანით, მეტროთი, მატარებლით, ნავით, გემით, თვითმფრინავით... წავიდა, იმგზავრა, გაემგზავრა, იმოგზავრა, ასევე: გადაცურა, იფრინა... შდრ.: ცხენით, ურმით... მოვიდა, წავიდა, გზას გაუდგა, გაემართა... შესაბამისად, არასწორია: ტრანსპორტზე მგზავრობის უფლება (უნდა იყოს: ტრანსპორტით მგზავრობის უფლება); ერთად ცურავდნენ იახტაზე (უნდა იყოს: ერთად ცურავდნენ იახტით).

ძველებური სახახლე მოაბრუნეს 78 გრადუსზე.
უნდა იყოს: 78 გრადუსით მოაბრუნეს.

მოგება 25%-ზე მეტია.
უნდა იყოს: 25%-ით მეტია, ვიდრე.
დაიწყო ლაპარაკი დამტერეულ რუსულზე.
უნდა იყოს: დაიწყო დამტერეული რუსულით.

ვინც ხმარობთ გაზზე მომუშავე მცირე სიმძლავრის გათბობის ქვაბებს, გთხოვთ...

მოცემულ კონტექსტში გაზით ან გაზის საწვავით მომუშავე უნდა იყოს. შდრ.: „...საქვებზე მიუშაობდნენ ბუნებრივი გაზის საწვავით“.
გაზით ან გაზის საწვავით მომუშავე ქვაბის ნაცვლად შეიძლება გაზის ქვაბი გექნეთ. ეს არ ეწინააღმდეგება ქართული ენის ბუნებას. შდრ.: გაზის ქურა, გაზის ხელსაწყოები (მაგ.: ასეთ შემთხვევაში გაზის ხელსაწყოების ჩართვა ხასტიკად აკრძალულია), ნაგობის ლამფა, წყლის ფქვილი (= წისქვილი), ქარის წისქვილი...

ზეთზე დამზადებულ კერძები...
უნდა იყოს: ზეთით დამზადებული კერძები (აჯობებდა ზეთიანი კერძი, შდრ.: ნიგეზიანი კერძი).

20 კილომეტრზე დაშორებული.
უნდა იყოს: 20 კილომეტრითაა დაშორებული.

4. -ზე თანდებულებიანი სახელები -ში თანდებულებიანი სახელების ნაცვლად

-ზე და -ში თანდებულის ერთ-ერთი ფუნქცია მოქმედების ადგილის ჩვენებაა, ამასთან, „-ში“ შინაგან სიფრცეს გულისხმობს (სიღრმეს ან შემოზღუდულ რასმე). -ზე კი - ზედაპირს“. -ში გვიჩვენებს, რომ ვინმე ან რამე რისამე შიგნით იმყოფება ან მოძრაობს გარედან შიგნით მიმართულებით. -ზე გვიჩვენებს, რომ ვინმე ან რამე რომელიმე საგნის მაღლა, თავზე, ზედაპირზე არის მოთავსებული ან მოძრაობს რისამე ზედაპირზე⁵.

იმ შემთხვევაში, როცა ჭირს სიფრცობრივი საზღვრების დადგენა და ზემოთ წარმოდგენილი დაბიოჩსირება -ზე და -ში თანდებულთა გამოყენებისა ხელშესახები არ არის, ასევე ამ თანდებულთა სხვა ფუნქციით გამოყენებისას და სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული კალკების პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭებისას ენობრივ ტრადიციას ეძლევა გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ეურნაღ-გაზეთების ფურცლებზე მრავლად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა დაცული არ არის სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული წესი -ზე და -ში თანდებულთა გამოყენებისა.

მაგალითად:

აეტობუსზე, ტრანსპორტზე ავიდა

№11 მარშრუტის აეტობუსზე ავედი. ბაქანი მხოლოდ სამ ვაგონს სწვდება და დანარჩენ ვაგონებზე ასვლა გაძნელებულია. ტრანსპორტზე ავიდნენ.

ტრანსპორტი არის „გადასახიდ, გადასაყვან საშუალებათა ესა თუ ის სახე“ (ქველ). ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ტრანსპორტის რომელიმე კონკრეტული სახე ივარაუდება. ადამიანი ადის, შედის (მიმართულება გარედან შიგნით), იმყოფება, ზის, ვისმე ხვდება (შინაგან სიფრცეში) ვაგონში, ტრამვაიში, ტროლეიბუსში, აეტობუსში, ტრანსპორტში. -ზე თანდებულებიანი ფორმის გამოყენება ამ ფუნქციით არამართებულია. -ზე თანდებულებიანი ფორმა ადის ზმნასთან (აეტობუსზე ავიდა, ვაგონზე ავიდა...) მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, თუ ვინმე ვაგონს, აეტობუსს... მაღლა, სახურავზე, ზემოდან მოექცევა (ეთქვათ, შესაკეთებლად.

⁵ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 620.

⁶ ქველ.
⁷ ქველ.

შესაღებავად...).

ბ ა ზ ა რ ზ ე ყ ი დ ი ს

იღვა ბ ა ზ ა რ ზ ე და ყ ი დ ე ა ფორთოხალს. საკომპიუტერო ბ ა ზ ა რ ზ ე ბლომად იყიდება სტაფილო.

-ზე და -ში თანდებუდიანი ფორმები ხშირად ერთსა და იმავე სტატიაში ერთსა და იმავე ზმნასთან გვხვდება:

ბაზარში მანდარინსა და ლიმონს ჰყიდდა... ბაზარზე მანდარინსა და ლიმონს ჰყიდდა...

ბაზარი ამ ილუსტრაციებში ნახმარია მისი ყველა სათვის ცნობილი მნიშვნელობით, კერძოდ, ეს არის „სურსათ-სანოვაცისა და ფართო მოხმარების საგნებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილი“ (ქველ). ბაზარი ამ მნიშვნელობით ზემოთ მოყვანილ ზმნებთან ბუნებრივ შესიტყვებებს მხოლოდ -ში თანდებუდიანი ფორმით შექმნის. სახელდობრ: ბაზარში დგას, ბაზარში ყიდის, ბაზარში შევხვდით, ბაზრებში იყიდება, ბაზრებში საქმიანობენ.

სხვა მნიშვნელობით ბაზარი ნიშნავს „საქონლის მიმოქცევის სფეროს“ (ქველ). ამ გაგებით ბაზარი მხოლოდ -ზე თანდებულს ითხოვს.

მაგალითად:

ახლო მომავალში წინის ბ ა ზ ა რ ზ ე გამოვა კრებული...

ბაზარს კიდევ ერთი შინაარსობრივი ნიუანსი აქვს – ეს არის „ქვეყანა (ქვეყნები), სადაც სხვა ქვეყნის საქონელი გააქვთ გასასაღებლად. მაგ.: ბურჟუაზია ახალ ბ ა ზ რ ე ბ ს ე მება“ (ქველ). ბაზარი ამ გაგებითაც სათანადო კონტექსტში -ზე თანდებუდიანი იქნება.

ზ დ ვ ა ზ ე გ ა ვ ი დ ა , ტ ბ ა ზ ე ბ ა ნ ა ო ბ ა

-ზე თანდებუდიანი ფორმების გამოყენება ბუნებრივია ასეთ კონტექსტებში: საბანაოდ, სათევზაოდ წავიდნენ ზღვაზე, ტბაზე; მდინარე მტკვარზე, რიონზე ახალი ხიდი ააშენეს.

-ში თანდებუდიანი ფორმები სწორია შესიტყვებებში: სეინური გავიდა ზღვაში, მდინარე მტკვარში; ლისისა და კუს ტბებში აკრძალულია თევზის ჭერა და ბანაობა; მდინარე რიონში წყლის დონემ მოიმატა...

(მუხლამდე) თოვლზე მიაბიჯებს

მივაბიჯებთ მუხლამდე მომდგარ თოვლზე.

თოვლზე (-ზე თანდებუდიანი ფორმა) მივაბიჯებთ მაშინ შეიძლება ითქვას, როცა თოვლი მოყინულია ან დატკეპნილი, ე. ი. როცა შეიძლება თოვლის ზედაპირზე გავლა. როცა თოვლი მუხლამდე გწვდება (თუნდაც უკვე გაკვალული), ე. ი. როცა თოვლში მუხლამდე ვეფლობით, თოვლზე მივაბიჯებთ ვუღარ ვიტყვით – -ში თანდებუდიან ფორმას ითხოვს: მუხლამდე თოვლში მივაბიჯებთ.

ქუჩაზე გაჩერება

ქუჩა ადგილის გარემოებად -ზე თანდებუდიანი ფორმით გვხვდება მაშინ, როცა საუბარია რომელიმე კონკრეტულ ქუჩაზე. მაგ.: – რომელ ქუჩაზე ცხოვრობს? – ბარათაშვილის ქუჩაზე, ამ ქუჩაზე, ჭავჭავაძის ქუჩის პარალელურ ქუჩაზე, ე. ი. როცა კითხვის პასუხად რომელიმე კონკრეტული ქუჩის დასახელება ან ჩვენება-მითითება ივარაუდება. ასევე: მიდის, სეირნობს, მგობარი შეხვდა, მანქანა გააჩერა... ბარათაშვილის ქუჩაზე, ტაბიძის ქუჩაზე, ჭავჭავაძის ქუჩის პარალელურ ქუჩაზე. ქუჩის დასახელების გარეშეც -ზე თანდებუდიანი ფორმა გვაქვს ზმნასთან გადადის: ტაბიძის ქუჩაზე გადადის, ქუჩაზე გადადის (შდრ.: გადასახველზე, ხიდზე გადადის).

სხვა შემთხვევაში, როცა კონტექსტის მიხედვით თვითონ ფაქტი გვინტერესებს და არა კონკრეტულად ის ადგილი, სადაც ეს ფაქტი მოხდა, ქუჩა -ში თანდებუდიანი ფორმით იქნე-

ბა წარმოდგენილი. მაგ.: ქუჩაში მიდიოდა, ქუჩაში ეგდო, ქუჩაში იბოვა, ქუჩაში გავიდა, ქუჩაში გაგარდა, ქუჩაში ხეტიალობს, მთელი დღე ქუჩაშია, მანქანა ქუჩაში გააჩერა, ქუჩაში სროლის ხმა გაისმა, თბილისის ქუჩებში ხალხმრავლობა.

არასწორად არის ნახშირი -ზე თანდებულებიანი ფორმა შემდეგ წინადადებებში:

ტრანსპორტით გადატვირთულ ქუჩაში მანქანის გაჩერება საშიშრო ნაწილის ერთი რიგის გაუქმებს ნიშნავს. ყმაწვილმა ქუჩაზე უშეთელაფურედ მიტოვებულ ტაქსი დაინახა.

უნდა იყოს: ქუჩაში გაჩერება, ქუჩაში დაინახა...

დაოსტატება ქსოვაზე

დაოსტატება - ოსტატად გახდომა, გაწვრთნა, გაწაფვა, დახელოვნება (ქველ) - ხეობა რაიმე საქმიანობაში - ხატვაში, ხაზვაში, ქსოვაში. -ზე თანდებულებიანი სახელთა გამოყენება მსგავს შესიტყვეებებში არამართებულია. ზმნასთან შესიტყვეებაში შემავალი მეორე წევრი, ჩვეულებრივ, ნახშიარი სახელია. არსებითი სახელი უშუალოდ დაოსტატებასთან სინტაგმას ვერ შექმნის, იგი ყოველთვის გაშუალებულია მოქმედების გამოშხატველი სახელით. მაგ.: დაოსტატება ქვის თღაში, პარკების დაღებაში...

ფერწერა, ქანდაკება, კერამიკა გარკვეული ტიპის საქმიანობას გულისხმობს, ამიტომ მათი გამოყენება შესაძლებელია დაოსტატება ზმნასთან, ოღონდ, რა თქმა უნდა, -ზე თანდებულები -ში თანდებულები უნდა შეიცვალოს. დაოსტატების რაში? - ფერწერაში, ქანდაკებაში, კერამიკაში, მხატვრულ ქსოვაში...

სიმაღლეზე ზრდა

66 წლის სოჭი სიმაღლეზე და სისხოზე ზრდაში ერთ-ერთ საუკეთესო ხედ ითვლება; 127 წლის სოჭის შესაძლებლობა... სიმაღლეზე ზრდაში ძალზე დაბალია; [მათი] მაქსიმუმი სიმაღლეზე, სისხოზე და მოცულობაზე ზრდაში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება; სიმაღლეზე ზრდაში იგი ბევრად აჭარბებს სხვა ხეებს.

ზრდა ორგანიზმის, ცოცხალი არსების მიერ განვითარების შემდგომი საფეხურების მიღწევა - სიდიდის, სიმაღლის... მომატება, თანდათანობით ყოველმხრივი დასრულება (ქველ). ამიტომ ზრდასთან სიმაღლის, სისხოსა და მოცულობის დასახელება მიზანშეწონილი არაა. სიმაღლე, სისხო და მოცულობა -ში თანდებულებიანი ფორმით ბუნებრივ შესიტყვეებებს ქმნიან იმატებს ზმნასთან: სიმაღლეში, სივანეში (სისხოში), მოცულობაში, წონაში იმატებს (ანტონიმური მნიშვნელობა აქვს იკლებს ზმნას - სიმაღლეში, წონაში... იკლებს), მაგ.: „ამ სიყვარულს მან ვერ უღალატა მაშინაც კი, როცა სიმაღლეში „კატასტროფულად“ დაიწყო მატება და, საცა წესი და რიგია, კალათბურთს უნდა დაკავშირებოდა“.

სინტაქსურად გაუმართავი (და გაუმართლებელი) შესიტყვეებებია ასევე ზრდაში ითვლება, ზრდაში შესაძლებლობა, ზრდაში მაქსიმუმი. უმჯობესი იქნებოდა: ... ზრდის მიხედვით ითვლება, ზრდის შესაძლებლობა, ზრდის მაქსიმუმი.

ამის მიხედვით სწორია: 66 წლის სოჭი სიმაღლესა და სისხოში მატების მიხედვით ერთ-ერთ საუკეთესო ხედ ითვლება; 127 წლის სოჭის სიმაღლეში მატების შესაძლებლობა... ძალზე დაბალია; [მათი] სიმაღლეში, სისხოსა და მოცულობაში მატების მაქსიმუმი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება; სიმაღლეში მატების მიხედვით იგი ბევრად აჭარბებს სხვა ხეებს.

შეიძლებოდა ასეც: 66 წლის სოჭი ზრდის მიხედვით ერთ-ერთ საუკეთესო ხედ ითვლება; 127 წლის სოჭს ზრდის ძალზე მეორე შესაძლებლობები აქვს; [მათი] ზრდის მაქსიმუმი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება; იგი სხვა ხეებზე უკეთ იზრდება.

მონაწილეობას იღებს (მონაწილეობს) გამოფენაზე

მონაწილეობას იღებს (მონაწილეობს) სინტაგმის წევრად -ში თანდებულებიანი სახელს ითხოვს. მაგ.: მონაწილეობას იღებდა (მონაწილეობდა) მუშათა მიძრობაში, შეჯიბრებაში, სამამულლო ომში. ასევე მართებული შესიტყვეებებია სპექტაკლში, კონკურსში, გამოფენაში, ბაზრობაში... მონაწილეობა მიიღო; მაგრამ: სპექტაკლზე იყო (ე. ი. სპექტაკლს ესწრებოდა); კონკურ-

სხე მიწვეული იყო ვიურის წევრად; დემონსტრირებული იყო ხალხური შემოქმედების გამოფენაზე; ბაზრობაზე დიდძალი სურსათ-სანოვაგე გამოიტანეს.

-ზე თანდებულდანი სახელის გამოყენება შესიტყვებასთან მონაწილეობას იღებს, მართებულ არ არის. -ზე თანდებულდანი -ში თანდებულდით უნდა შეიცვალოს. ასე მაგალითად:

ველა გამოფენაზე (უნდა იყოს: გამოფენაში) საქართველოც მონაწილეობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისელი გოგონას მონაწილეობა ტურნირზე (უნდა იყოს: ტურნირში). მან მონაწილეობა მიიღო ჭაბუკთა პირველობებზე (უნდა იყოს: პირველობაში). ჩვენს ქვეყანა მონაწილეობს საერთაშორისო ბაზრობაზე (უნდა იყოს: ბაზრობაში). ხან-რემოს კინოფესტივალზე (უნდა იყოს: კინოფესტივალში) ოცდახუთი ქვეყანა მონაწილეობდა.

შუა გზაზე იქნებოდა

შუა გზაზე ბუნებრივ შესიტყვებებს ქმნის ზმნებთან დგას, დევს, მიდის, ჩერდება... გამონათქვამებში შუა გზაზე დგას, შუა გზაზე მიდის, შუა გზაზე ჩერდება რეალურად არსებული ფაქტია დასახელებული. ე. ი. ადგილი, სადაც ვინმე მიდის, დგას ან ჩერდება, ასევე, სადაც რაიმე დევს, გზის შუა ნაწილია. ერთ-ერთი ამ შესიტყვებათგან, კერძოდ, შუა გზაზე გაჩერდა, გადაღრბნილი მნიშვნელობითაც იხმარება და ნიშნავს: დაწყებული საქმე არ (ვერ) დამთავრა, შუაზე (დაუმთავრებლად) შეწყვეტა (ქველ). მაგ: „რაკი საქმე დიწყო [ლუარსაბმა], შუა გზაზე აღარ უნდოდა გაჩერება“ (ეკ. ვაბ.).

შუა გზა იქნებოდა, იყო ზმნებთან -ში თანდებულდანი ფორმითა დადასტურებული (შდრ.: შუა ღახინში იქნებოდნენ, შუა ქვიფში რომ იყვნენ...). შუა გზაში იქნებოდა, შუა გზაში რომ იყო ამბობენ მაშინ, როცა მავანს საგალი გზის ნახევარი უკვე გაედილი აქვს.

შუა გზა იყო, იქნებოდა ზმნებთან -ზე თანდებულდანი ფორმით (შუა გზაზე იყო, შუა გზაზე იქნებოდა), მართებულ არ არის:

მანქანა შუა გზაზეც არ იყო მისული, რომ ძრავა გაჩერდა.
უნდა იყოს: შუა გზაშიც არ იყო.

ქორწილზე მიიპატიჟა

მიიწვია, მიიპატიჟა, წავიდა, იყო, დაიგვიანა... ზმნებთან ქორწილი -ში თანდებულდანი: ქორწილში მიიწვია, ქორწილში მიიპატიჟა, ქორწილში წავიდა, ქორწილში იყო...

-ზე თანდებულდანი ფორმები (მაგ.: ქორწილზე მიიწვია) მართებულ არ არის.

მინდორზე ზის

ბუნებრივი შესიტყვებებია: მინდორში წავიდა („მინდორში წაველ, სწორებო!“), მინდორში ზის (ოფითმფრინავი ტრიალ მინდორში დაჯდა), მინდორში კარვები გაშალეს..., ე. ი. -ში თანდებულდანი ფორმები.

ზოგჯერ მინდორს ფეხბურთის მოედნის ნაცვლად ხმარობენ. მაგალითად:

ფეხბურთელები მინდორზე თვალდახუჭული ხედავენ ერთმანეთს.

მინდორზე ამ კონტექსტისათვის ცუდად შერჩეული სიტყვაა. უნდა იყოს: მოედანზე.

წესრიგზე მოჰყავს

წესრიგის ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობა ასეთია: წესის მიხედვით გამართული რისაზე ვითარება (ქველ). ამ ფუძისაგან არის ნაწარმოები ზმნა აწესრიგებს: წესრიგს ამყარებს, უწესრიგობას ბოლოს უღებს (ქველ). ეგვე მნიშვნელობა აქვს გამოთქმას წესრიგში მოჰყავს. ეს გამოთქმა ქართულში რუსულის (привести в порядок что-л.) გაგვლენით გავრცელდა, განსხვავებული მონაარსობრივი ნიუანსი შეიძინა და სალიტერატურო ენაში არსებობის უფლებაც მოიპოვა. გამოთქმას წესრიგში მოჰყავს აწესრიგებს ზმნასთან შედარებით ოფიციალური და საქმიანი ელფერი აქვს. ამიტომაც არის, რომ იგი უპირატესად საქმიანი ურთიერთობის სფეროშია.

როში გამოიყენება. მაგ.: წესრიგში მოქცევა საცხოვრებელი სახლები; გზები წესრიგშია მოყვანილი.

ზოგჯერ წესრიგში მოყვას - ში თანდებულის კონსტრუქციას წესრიგზე მოყვას - ზე თანდებულის კონსტრუქცია ენაცვლება.

მაგალითად:

აუცილებელია წესრიგზე მოყვანათ ავტომანქანები. როდის მოიყვანენ ჩვენს ქუჩას წესრიგზე? სამი დღის განმავლობაში ეზო და სახლ-კარი წესრიგზე მოიყვანეს.

წესრიგზე მოყვას (-ზე თანდებულის ფორმა) ყველაფერი რიგზეა შესიტყვების ანალოგიით ჩანს გაკეთებული. სალიტერატურო ენის თვალსაზრისით უპირატესობა ტრადიციულ - ში თანდებულის წესრიგში მოყვას კონსტრუქციას უნდა მიენიჭოს.

ბინაზე

1. ბინა არის ოჯახის საცხოვრებლად გამოყოფილი ნაწილი სახლისა, შენობისა. ბინა, ჩვეულებრივ, ოთახისა თუ ოთახებისა და დამხმარე სათავსოებისგან შედგება (მაგ.: მზიანი ბინა, სამოთახიანი ბინა). ეს ბინის ერთ-ერთი და შედარებით ახალი, მაგრამ თანამედროვე ქართულში ყველაზე მეტად გავრცელებული მნიშვნელობაა.

ბინა ამ გაგებით სათანადო კონტექსტებში - ში თანდებულისა (მაგ.: „ყველანი ცალ-ცალკე ბინაში ვცხოვრობთ“). -ზე თანდებულის ფორმა, რომელიც - ში თანდებულის ფორმის ფუნქციით იხმარება თანამედროვე ქართულში, რუსულის კალკია. მაგალითად:

აბესალომი მუფლის ბინაზე (უნდა იყოს: ბინაში) გადასახლდა.

2. ბინაში და განსაკუთრებით კი ბინაზე ფორმები თანამედროვე ქართულში შინ ზმინსართის ნაცვლად იხმარება. შინ ნიშნავს თავის ოჯახში, თავის სახლში, თავის ბინაში. მაგ.: შინ მიიპატიჟა, შინ (არ) დახვდა, მთელი საღამო შინ გაატარა. სათანადო კონტექსტებში სწორედ შინ ფორმას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა ბინაში, ბინაზე ფორმებთან შედარებით. მაგალითად:

ავადმყოფის მდგომარეობა იმდენად გაუმჯობესდა, რომ ახლა ის ბინაში იმყოფება; დაინერგა წამლის ბინაზე მიტანის პრაქტიკა; შევიძლიათ ბინაზე გამოიძახოთ მზარეული.

ბინაში და ბინაზე ფორმები ზემოთ წარმოდგენილ ილუსტრაციებში შინ ზმინსართით უნდა შეიცვალოს: ...შინ იმყოფება, ...შინ მიტანის პრაქტიკა, შინ გამოიძახოთ მზარეული.

ზაფხულზე, ზამთარზე

გაზაფხული და შემოდგომა დროის გარემოებებზე -ზე თანდებულს დაირთავს (გაზაფხულზე, შემოდგომაზე), ზაფხული და ზამთარი კი - ში თანდებულს (ზაფხულში, ზამთარში).

არამართებული ფორმებია ზაფხულზე და ზამთარზე.

ბოლო წუთებზე

ბოლო წამებზე გადამწყვეტი ტყორცნა განახორციელა; ბოლო წუთებზე „დინამომ“ კარგად ითამაშა.

უნდა იყოს: ბოლო წამებში, ბოლო წუთებში (მაგ. ბოლო წუთებში, „დინამომ“ კარგად ითამაშა). შდრ.: ბოლო ხანებში, ბოლო წლებში.

5. -ზე თანდებულის სახელები -თვის თანდებულის სახელების ნაცვლად

ამ რიგის დარღვევაა დიდ ჯგუფს ქმნის სახელითა და სახელზმნით (საწყისითა და მიმღეობით) შედგენილი სინტაგმები. მაგ.: სახელმწიფოზე მიყიდვა, ჩაბარება; სახელმწიფოზე მიყიდული, ჩაბარებული; ადრესატზე ჩაბარება; (თანამდებობის) პირებზე მიცემა; სოფელზე მი-

ცემული; (სხვა) პირზე გადაცემა; მომხმარებელზე მიწოდება; ბავშვებზე განკუთვნილი; მოსწავლეებზე გამოუზავნილი.

დასახელებულ შესიტყვეებებში საწყისი და მიმდებარე ზმნის პირიანი ფორმით რომ შეეცვალოთ, ფორმის შეიცვლის შესიტყვეების მეორე წევრიც – სახელიც და იგი უთანდებულო მიცემითის ფორმით წარმოგვიდგება: სახელმწიფოს მიჰყავდა, ჩააბარა; ადრესატს ჩააბარა; (თანამდებობის) პირს მისცა; სოფელს მისცა; (სხვა) პირს გადასცა; მომხმარებელს მიაწოდა; ბავშვებს განუკუთვნა (მიაკუთვნა); მოსწავლეებს გამოუზავნა. სახელმწიფოს, ადრესატს, პირს, სოფელს, მომხმარებელს, ბავშვებს, მოსწავლეებს ორობიექტიან ზმნებთან (მიჰყავდის, ჩააბარებს, მისცემს, გადასცემს, მიაწოდებს, განუკუთვნებს, გამოუზავნის) შეწყობილი ირიბი დამატებებია, რომელთაც დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმებთან და საწყისთა და მიმდებარე შედგენილ კონსტრუქციებთან -თვის თანდებულებიანი დამატება ენაცვლება: სახელმწიფოსათვის მიჰყავდა, ჩააბარებს; სახელმწიფოსთვის მიჰყავდი, ჩააბარებუდი; ადრესატისთვის ჩააბარება; (თანამდებობის) პირისთვის მიცემა; სოფლისთვის მიცემული; (სხვა) პირისთვის გადაცემა; მომხმარებლისთვის მიწოდება; ბავშვებისთვის განკუთვნილი; მოსწავლეებისთვის გამოუზავნილი. ასე რომ, -ზე თანდებულის გამოყენება მსგავს შესიტყვეებში მართებული არ არის. მაგალითად:

ნელელის სახელმწიფოზე მიჰყავდის დავალება შესრულებულია ვადად; იკლო თანამდებობის პირებზე ქრთამის მიცემის ფაქტებმა; არც შეიძლება დაუკლია ზრუნვა; დაგროვილი თანხებით შევსელოთ მუშა-მოსამსახურეებზე მიგვეცა პრემიები.

როგორც ზემოთ ითქვა, ორობიექტიანი ზმნის ირიბ დამატებას დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმებთან -თვის თანდებულებიანი სახელი ენაცვლება. ამიტომ უნდა იყოს: სახელმწიფოსთვის მიჰყავდის დავალება; თანამდებობის პირებისთვის ქრთამის მიცემის ფაქტებმა; არც შეიძლებისთვის დაუკლია ზრუნვა; მუშა-მოსამსახურეებისთვის მიგვეცა პრემიები.

ასევე არასწორად არის შერჩეული -ზე თანდებულებიანი ფორმა შემდეგ ილუსტრაციებში:

ბინათმშენებლობაზე (უნდა იყოს: ბინათმშენებლობისათვის) გაცემულია სესხი. ორგანიზაციებზე (უნდა იყოს: ორგანიზაციებისათვის) ბილეთები გაიყიდა თვის ბოლოს.

ტურბაზე 130 კაცზეა (უნდა იყოს: 130 კაცისთვის არის) გათვალისწინებული. შეიძლებოდა ასეც გვეთქვა: ტურბაზე 130-ადგილიანია.

6. -ზე თანდებულებიანი ფორმები მყოფადის მიმდებარე ვითარებით ბრუნვის ნაცვლად

ქვემოთ მოყვანილ საილუსტრაციო მახალაში -ზე თანდებულებიანი საწყისებით მიზნის გარემოებებია გადმოცემული. ამ ფუნქციით კი ქართულში მყოფადის მიმდებარე ვითარებით ბრუნვის ფორმები გამოიყენება.

მაგალითად:

ყურძინს კრეფაზე (უნდა იყოს: საკრეფად) გამოსულთა ყოინამ აახიზურა ზერები.

გამოთქმები: წავიდა, გაგზავნა... პურზე, შაქარზე, კარაქზე... სასაუბრო მეტყველების ნიმუშებია. შდრ.: „აღზვეანს მივალ მარილზე“ (ხალხ). მსგავსი მაგალითები პრესის ფურცლებზეც გვხვდება. მაგალითად:

ბიჭუნა ნავთზე გაგზავნეს; თომა სასწორზე გაეკარდა.

ეგვევ გამოთქმები -თვის თანდებულებიან იხმარება: ნავთისთვის გაგზავნა; სასწორისთვის გაიქცა (გავარდა). რადგან კონტექსტი ზმნისთან შესიტყვეების ერთ-ერთ წევრად მიზნის გარემოებას გულისხმობს, სტილისტიკური თვალსაზრისით -თვის თანდებულებიანი სახელს მიზნის გარემოებად მყოფადის მიმდებარე ვითარებით ბრუნვის ფორმა სჯობს. მიმდებარე ვითარებად მყოფადი რვალი იქნებოდა სახელსა (რომელიც უკვე დამატების ფუნქციით აღიჭურვებოდა) და ზმნის შორის. ასეთ მიმდებარე მსგავსი კონტექსტებისათვის გამოგვადგებოდა მოსატანად, საყიდად, საშინადად... მაგ.: ბიჭი ნავთის მოსატანად, საყიდად გაგ-

ზაენეს; სასწორის მოსატანად გაიქცა. აგრეთვე: გაგზავნეს, წავიდა პურის, კარაქის, შაქრის... მოსატანად, საყიდლად.

მართებული არაა -ზე თანდებულებიანი სახელის ხმარება შესიტყვებასთან კონკურსს აცხადებს. კონკურსს, ჩვეულებრივ, აცხადებენ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად (და არა თანამდებობაზე); საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლინებლად; საუკეთესო ძველის, სახლის პროექტის, სიმღერის, ნარკვევის, საბავშვო მოთხრობის და სხვ. შესაქმნელად. ასევე: საუკეთესო სიმღერისათვის, სახლის პროექტისათვის, ნარკვევისათვის. -ზე თანდებულებიანი სახელთა გვერდით პრესაში ასეთი ფორმებიც გვხვდება. სალიტერატურო ენაში სწორედ ამ ფორმებს ენიჭება უპირატესობა.

მაგ.: უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

7. -ზე თანდებულებიანი სახელები -გან თანდებულებიანი სახელების ნაცვლად

ძროხაზე მიიღო

ძროხაზე, ფურზე, ცხვარზე, ქუზე, დედალზე... მიიღო და მათი მსგავსი შესიტყვებები პროფესიული სახაუბრო მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი. სალიტერატურო ენაში -ზე თანდებულის ნაცვლად -გან თანდებული უნდა გამოიყენოთ: მიიღო (ჩამოწველა) ძროხისაგან, ფურისაგან, ცხვრისაგან, დედლისაგან... მაგ.: „თითოეული საფურაზე ფურისაგან ჩამოწველილია 190 კილოგრამი რძე“.

8. -ზე თანდებულებიანი სახელები -თან თანდებულებიანი სახელების ნაცვლად

ადამიანთა ცხოვრება დედამიწაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული ოკეანის სიცოცხლის დაცვაზე; ქვეყნის აღმავლობა მჭიდრო კავშირშია წარმოების ზრდაზე.

დაკავშირებულია, კავშირშია -თან თანდებულებიანი სახელს ითხოვს სინტაგმის წევრად: დაკავშირებულია სიცოცხლის დაცვასთან, კავშირშია წარმოების ზრდასთან. მაგრამ: დამოკიდებულია სიცოცხლის დაცვაზე, წარმოების ზრდაზე.

რადგან ორ, ურთიერთკავშირში მყოფ მოვლენას შორის რაღაც დამოკიდებულებაც ივარაუდება და, პირიქით, სემანტიკურად ამ ორი ზმნის მონაცვლეობა კონტექსტში დასაშვებია, ოღონდ დაკავშირებულია -თან თანდებულებიანი სახელთან იხმარება, დამოკიდებულია კი -ზე თანდებულებიანი სახელთან.

ნიკო ნაპირზე (უნდა იყოს: ნაპირთან) გაჩერდა. (მაგრამ: მგზავრი ნაპირზე გადმოვიდა)

9. -ზე თანდებულებიანი სახელი -კენ თანდებულებიანი სახელების ნაცვლად

მიემართება მოედანზე

ხალხის კოლონები, ხალხის ტალღა, ხალხის ნაკადი, ყოველთვის გარკვეული მიმართულებით მიემართება, კერძოდ: თავისუფლების მოედნისაკენ...

-ზე თანდებულებიანი ფორმა კი ბუნებრივი იქნებოდა ასეთ კონტექსტში: მოედანზე ერთმანეთს ცვლიან ღამაზად გაფორმებული კოლონები.

გეზი (კურსი) აიღო ოკეანეზე

გეზი, კურსი - არის სვლის მიმართულება (გემისა, თვითმფრინავისა). გეზის, კურსის აღება - გარკვეული მიმართულებით სვლა - კენ თანდებულებიანი სახელს ითხოვს სინტაგმის წევრად. მაგ.: თვითმფრინავმა, გემმა, კურსი აიღო ჩრდილოეთისაკენ, შორეული აღმოსავლეთისაკენ. ატანკურმა გეზი იტალიისაკენ აიღო.

გეზი, კურსი გადატანილი მნიშვნელობითაც იხმარება. ეს არის მიმართულება, ორიენტაცია (პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში (ქველ).

⁸ Трудности русского языка, М., 1974, гл. 241.

როცა კურსის, გეზის აღება უშუალოდ ხელის მიმართულების ჩვენებასთან კი არაა დაკავშირებული, არამედ იგი გარკვეული მოსაზრებებით, შეხედულებებით ხელმძღვანელობას, მოქმედებას გულისხმობს, თანდებულიანი სახელის გამოყენება მასთან მიზანშეწონილი არ არის. ამ შემთხვევაში -კენ თანდებულის გამოყენება ისევე არამართებულია, როგორც -ზე თანდებულისა. „სოფელს კურსი აქვს აღებული მევენახეობის სწრაფ განვითარებაზე“. უნდა იყოს: მევენახეობის სწრაფი განვითარების კურსი აქვს აღებული. ერთადერთი ბუნებრივი ფორმა ნათესაობითის ფორმაა.

10. -ზე თანდებულიანი სახელები -გამო თანდებულიანი სახელების ნაცვლად

ქვემოთ წარმოდგენილ წინადადებებში -ზე თანდებულიანი სახელები მიზეზის გარემოების ფუნქციას ასრულებენ, მაგრამ -ზე თანდებულიანი სახელების გამოყენება ამ ფუნქციით მართებული არ არის. მიზეზის გარემოებას ქართულში -გამო თანდებულიანი სახელი გადმოსცემს. მაგალითად:

მოქალაქე სამართალში მიცემული იყო ფასების დამახინჯების საკითხზე (უნდა იყოს: დამახინჯების გამო).

11. -ზე თანდებულიანი სახელი შესახებ თანდებულიანი სახელის ნაცვლად

სალიტერატურო ენის თვალსაზრისით -ზე თანდებულიანი სახელებთან შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს შესახებ თანდებულიანი სახელებს შემდეგ წინადადებებში:

ყველაფერი რძეზე... (უნდა იყოს: რძის შესახებ). მწერლის შემოქმედებაზე (უნდა იყოს: შემოქმედების შესახებ).

12. შემოკლებული -ზე თანდებულიანი შესიტყვებები

გოგონები ტრამპლინზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს; ორძელზე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

ტრამპლინი ქველის მიხედვით არის „სპეციალური ასახსლენი მოწყობილობა სიმაღლიდან ხტომისას სივრცეში სხეულის ფრენის მანიქლის გასადიდებლად ან რთული და მრავალფეროვანი მოძრაობის შესასრულებლად“. ე. ი. ტრამპლინი არის სპეციალური სპორტული ნაგებობა, მოწყობილობა, საიდანაც ხტებიან. ტრამპლინიდან ხტომა სპორტული თამაშების ერთ-ერთი სახეობაა. შეჯიბრებები ტრამპლინიდან ხტომაში იმართება (მაგ: „დამთავრდა შეჯიბრება წყალში ტრამპლინიდან ხტომაში“). ჩემპიონობის, გამარჯვების, მედლის, საპრიზო ადგილის მოპოვება ტრამპლინიდან ხტომაში შეიძლება.

ასევე: დვირი, ორძელი, ღვრი, ტაიჭი, რგოლები ტანგარჯიშისათვის განკუთვნილი სპორტული იარაღებია - ყველა მათგანზე გარკვეული ხანის ვარჯიში სრულდება. შეჯიბრება ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშში იმართება (მაგ: „შეჯიბრების უკანასკნელ დღეს გაიმართა პირადი პირველობა ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშში“). ჩემპიონობის, გამარჯვების, მედლის, საპრიზო ადგილის მოპოვება დვირზე, ორძელზე, ტაიჭზე, ღვრძზე, რგოლებზე შესრულებული ვარჯიშის მიხედვით ხდება (შდრ: შეჯიბრება ბადროს ტყორცნაში, ბირთვის კერაში, ჭოკით ხტომაში).

ზემოთ მოყვანილ ილუსტრაციებში წარმოდგენილი ტრამპლინზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ორძელზე ჩემპიონი გახდა შემოკლებული შესიტყვებით პროფესიული მეტყველების ნიმუშებია და სალიტერატურო ენაში მათი გამოყენება სასურველი არ არის. უნდა იყოს: გოგონები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ტრამპლინიდან ხტომაში; ორძელზე ვარჯიშში (ასპარეზობაში) მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

-ში

1. -ში თანდებულიანი სახელები უთანდებულო მიცემითის ნაცვლად

ა) ამგვარ დარღვევათა ერთ ჯგუფს ქმნის ისეთი შემთხვევები, როცა ზმნასთან პირის მი-

ხევეთ შეწყობილ სახელს, ჩვეულებრივ, ირიბ დამატებას, -ში თანდებული ერთვის. თავს აფარებს, სწვდება, ყვინება ზმნები ირიბ ობიექტურ პირს ითხოვენ. ამ პირის ფარდი სახელები იმის გამო, რომ თავისი მნიშვნელობით ადგილის გარემოებებს უახლოვდებიან, უთანდებულო მიცემითის ნაცვლად -ში თანდებულს ირთავენ, რაც არ არის მართებული. უნდა იყოს: თავს აფარებს, თავი შეაფარა ბიბლიოთეკას, კლდეთა ნაპრალებს, გამოქვაბულებს, ბარდებს, სახლებს (შდრ.: „[ბავშვებმა] მღვიმეს შეაფარეს თავი“); ღრმად ჩასწვდნენ სოფლის ცხოვრებას (შდრ.: „ძიავარია კარგად ჩაგხსწვდეთ ყველა მიმდინარე პროცესს“); ლექსი მთელ ქალაქს მოფინა.

ეგვეუ სახელები -ში თანდებულიანი ფორმით და წინადადებაში ადგილის გარემოების ფუნქციით ბუნებრივი იქნებოდა ასეთ წინადადებებში: ბიბლიოთეკაში შევიდა; კლდეთა ნაპრალებში, გამოქვაბულებში, ბარდებში იმალება; სოფლის ცხოვრებაში ბევრი სიახლეა; ქალაქში გაღმოვიდა საცხოვრებლად.

მძღვო სნობაში დაბრუნდა

აქვე განვიხილოთ შესიტყვებას მძღვოსნობაში დაბრუნდა, რომელშიც თანდებულიანი სახელის გარდა ზმნის ფორმაც არის შესაცვლელი.

ქველ-ის მიხედვით დაბრუნება ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელობა ასეთია: უკანვე მიიტკეპა, უკანვე მივა, ისევ იქ მივა, საიდანაც წამოვიდა, გა[მო]ბრუნდება. ამ ზმნასთან ბუნებრივ შესიტყვებას ქმნიან სახელები, რომლებიც წინადადებაში ადგილის გარემოების ფუნქციას ასრულებენ. ეს სახელები -ში, -ზე, -თან თანდებულიანი მიცემითში დაისმის. მაგ: სოფელში, ქალაქში, თეატრში, მოედანზე, სცენაზე, მდინარესთან დაბრუნდა.

დაუბრუნდება დაბრუნდება ზმნის საბოიქტო ქვევის ფორმაა. იმავე ქველ-ის მიხედვით მას მნიშვნელობის თვალსაზრისით უკანვე დაბრუნების, მობრუნების შინაარსთან ერთად წინანდელ მდგომარეობაში ჩადგომის, შეწყვეტილი საქმიანობის განახლების ნიუანსიც ახლავს. სახელი, რომელიც ამ შინაარსს იკუთვნებს, ბუნებრივ შესიტყვებას შექმნის დაუბრუნდება ზმნასთან. უიბრუნდეს ყოვლისა, აქ შემოვა თითქმის ყველა სახელი, რომელიც შეიძლება დაბრუნდება ზმნასთან შეგვხვდეს, ოღონდ შესიტყვებას ახლა დაუბრუნდება ზმნის განსხვავებული შინაარსობრივი ნიუანსი ექნება.

შუუდართო ერთმანეთს წყვილები, რომლებსაც ზმნური ფორმები დაბრუნდა და დაუბრუნდა ქმნიან. სოფელში, სკოლაში, თეატრში დაბრუნდა ნიშნავს: სოფლიდან, სკოლიდან, თეატრიდან წასული ისევ სოფელში, სკოლაში, თეატრში მივიდა. ხოლო მეორე წყვილიდან - სოფელს, სკოლას, თეატრს დაუბრუნდა ნიშნავს: ისევ წინანდელ მდგომარეობაში ჩაღა - სოფლად ცხოვრება თუ შეწყვეტილი საქმიანობა განახლდა, სკოლაში მასწავლებლობა თუ მეცნიერება, თეატრალური მოღვაწეობა განაგრძო.

ის განსხვავებული შინაარსობრივი ნიუანსი, რომელიც დაბრუნდა და დაუბრუნდა ზმნურ ფორმებს შორის არსებობს, არ არის გათვალისწინებული შემდეგ კონტექსტში:

ის მამშვიდებდა, რომ ოდესმე მძღვო სნობას მაინც დავბრუნდებოდი.

კონტექსტის მიხედვით, ეს ადგილი ასე უნდა გასწორდეს: ის მამშვიდებდა, რომ ოდესმე მძღვოსნობას ისევ დაუბრუნდებოდი (ე. ი. სპორტის ამ სახეობაში ისევ განვაგრძობდი ვარჯიშს). შდრ.: „ფეხბურთის ბევრი მიმოხილველი სთხოვს მას დაუბრუნდეს ფეხბურთს და დახვდეს კლუბის მენეჯერი“.

ასევე არ არის მართებული გამოთქმები რინგზე დაბრუნდა, გუნდში დაბრუნდა (სპორტს ჩამოცდებული, სხვა გუნდში გადასული თუ გამოჯანმრთლებული სპორტსმენი), რადგან ამ გამოთქმებში რინგზე და გუნდში სპორტსმენის მხოლოდ ფიზიკურად დაბრუნება კი არ ივარაუდება, არამედ ამ გუნდში თამაშის, კრივში ვარჯიშის განახლება. ამ შინაარსს კი რინგს დაუბრუნდა, გუნდს დაუბრუნდა შესიტყვებები გადმოსცემს.

არამართებულია გამონათქვამები: მწყობრს დაუბრუნდა და ცხოვრებაში დაბრუნება. მწყობრს არ უბრუნდებიან. მწყობრში, ჩვეულებრივ, დგებიან. თანაც და ზმნისწინიანი ფორმა - მწყობრში დაღდა - რეალურ ვითარებას გადმოსცემს (მაგ: ჯარისკაცები მწყობრში დაღდნენ), ხოლო ჩა- ზმნისწინიანი ფორმას - მწყობრში ჩაღდა - გადართითი მნიშვნელობა

აქვს და რისამე ამუშავებას, ამოქმედებას ნიშნავს (მაგ.: მწყობრში ჩადგა პურკომბინატის დი-
დი საწარმო).

ჩვენი ამოცანა ავადმყოფობაგადატანილი ადამიანის დაბრუნება სრულფასოვან ცხოვრება-
ში.

ცხოვრებას თავიდან იწყებენ, ცხოვრებას ძველებურად განაგრძობენ, ადამიანს სიცოცხ-
ლეს უბრუნებენ, მაგრამ ცხოვრებაში დაბრუნება არ ხდება. სწორია: „ჩვენი ამოცანა ავად-
მყოფობაგადატანილი ადამიანი სავსებით განკურნებული და უბრუნდეს თავის საყვარელ
საქმიანობას“ ან კიდევ: „ავადმყოფობაგადატანილი ადამიანი კვლავ საზოგადოების სრულ-
ფასოვან წევრად დარჩა“.

ბ) დარღვევათა მეორე ჯგუფს ქმნის ისეთი -ში თანდებულებიანი სახელები დროის გარემო-
ების ფუნქციით, რომლებიც სალიტერატურო ენაში მხოლოდ უთანდებულო მიცემითით გად-
მოიცემა. მაგალითად:

გასულ წელში გვგმა შესრულდა; მიღება წარმოებს წლის ყველა დროში.
უნდა იყოს: **გასულ წელს, წლის ყველა დროს.**
ასევე:
თამაში პირველ ოც წუთში მიმდებარე და ნერვული იყო.

აჯობებდა: **პირველ ოც წუთს** თამაში მიმდებარე და ნერვული იყო ან: თამაშის **პირველი ოცი
წუთი** მიმდებარე და დაძაბული იყო.

2. -ში თანდებულებიანი სახელები უთანდებულო ნათესაობითის ნაცვლად

-ში თანდებულებიანი სახელები ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში პირმომარტავი დამა-
ტების ფუნქციას ასრულებენ. ქართულინათესის ბუნებრივ სინტაქსურ ყალიბს ავადგენთ, თუ
ამგვარ -ში თანდებულებიანი სახელებს სუბსტანტიური განსაზღვრებებით შევცვლით. მაგალით-
თად, წინადადება „... ინსტიტუტი ახორციელებს კომპლექსურ კვლევას სასოფლო დაბების
და გეგმარებასა და განაშენიანებაში“, უკეთესი იქნებოდა ასე ჩამოყალიბებული-
ყო: ინსტიტუტი ახორციელებს სასოფლო დაბების **დაგეგმარებისა და განაშენიანების** კომ-
პლექსურ კვლევას.

ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს განყოფილებაში მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებო-
ბის დასაკავებლად.

უნდა იყოს: **განყოფილების... თანამშრომლის** ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.
ისინი მოწოდებული არიან ნიშნულში უჩვენონ მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებაში.

აჯობებდა ასე: ისინი მოწოდებული არიან მოვალეობის კეთილსინდისიერად **შესრულე-
ბის ნიშნულში** უჩვენონ.

ენზიმურებიან ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას ქვეყნის, რაიონის თუ საწარმოს ცხოვრებაში.
აჯობებდა ასე: ენზიმურებიან ქვეყნის, რაიონის თუ საწარმოს ცხოვრების ყოველ მნიშ-
ვნელოვან მოვლენას.

ადამიანს აოცებს ამ კაცის აზრის დიაპაზონი, ორიგინალობა საკითხთა არა მარტო დაყენება-
ში, არამედ მათს გადაწყვეტაში.

აჯობებდა: ადამიანს აოცებს ამ კაცის აზრის დიაპაზონი, საკითხთა **დასმისა და გადაწყ-
ვეტის ორიგინალობა.**

ერთი და იმავე ვარჯიშებით მკურნალობა გულის იშემიით დაავადებულ ავადმყოფებში...

აჯობებდა: ...ერთი და იმავე ვარჯიშებით მკურნალობა გულის იშემიით დაავადებული
ავადმყოფებისა...

...გადაწყვიტოს ყველაზე აქტუალური პრობლემა ბავშვთა ფეხბურთში.

აჯობებდა: ... გადაწყვიტოს ბავშვთა **ფეხბურთის** ყველაზე აქტუალური პრობლემა.
რესტორან „ივერიაში“ მიმტანი...

უნდა იყოს: რესტორან „ივერიის“ **მიმტანი...**

...ფრანგულ და გერმანულ ენებში სწავლების III ციკლებზე მეცადინეობის გასაგრძელებლად. უნდა იყოს: ფრანგული და გერმანული ენების სწავლების III ციკლებზე მეცადინეობის გასაგრძელებლად.

ასევე არაბუნებრივი ჩანს -ში თანდებული სპორტული შეჯიბრების აღმნიშვნელი სახელეუბით შედგენილ ასეთ შესიტყვეებში: **მატჩში (ტურში, ტურნირში, პირველობაში...)** გაიმართა (შედგა, მოეწყო, ჩატარდა, გადაიღო, დამთავრდა...) პარტია.

ტურნირი, ტური, მატჩი, პირველობა, პარტია... ერთმანეთთან გარკვეულ მიმართებაში მყოფი ცნობებია. **საჭადრაკო ტურნირი**, მაგალითად, **ტურებად** იყოფა, **ტური** – **პარტიებად** (ტური სპორტული შეჯიბრების ერთი ნაწილია; **პარტია** – ერთი ხელი თამაში); ცალკეული **პარტიებისგან** შედგება **საჭადრაკო მატჩი**, რომლის დროსაც ორი პიროვნება იბრძვის ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად. **ტურებად** და ცალკეულ **შეხვედრა-მატჩებად** იყოფა **საფეხბურთო ჩემპიონატი** და სხვ. თანდებულიან ფორმათა უთანდებულო ნათესაობითით შეცვლა ვიწრო მნიშვნელობის მქონე სახელეების მსხვილ ერთეულებში ბუნებრივად გაერთიანებისა და სასურველი შინაარსის ქართული სათვის დამახასიათებელი კონსტრუქციით შეცვლის შესაძლებლობას მოგვეცემს. მაგალითად: **მატჩის (ტურის, ტურნირის, პირველობის...)** **პარტია** გაიმართა (შედგა, მოეწყო...). შდრ: გაიმართა წარმოდგენის პირველი ნაწილი, დამთავრდა სპექტაკლის მეორე მოქმედება, დამთავრდა სხველე სამუშაოების პირველი ეტაპი...

3. -ში თანდებულიანი სახელეები უთანდებულო მოქმედებითის ნაცვლად

გამოთქმები ნახმარია შემასმენლის ფუნქციაში, ამ მნიშვნელობაში შეესატყვისება, მოცემულია ისტორიულ თანამიმდევრობაში, თამაში მაღალ ტემპში დაიწყო, ბურთი ნახტომში მოიგებოდა, სვიტრში ჩაცმული, სპორტული ფორმაში მეცადინეობა და ბევრი სხვა უცხოენობრივი კონსტრუქციებია. -ში თანდებულიანი ფორმები უთანდებულო მოქმედებითით უნდა შეიცვალოს, სახელდობრ ასე: ნახმარია შემასმენლის ფუნქციით, ამ მნიშვნელობით შეესატყვისება, მოცემულია ისტორიული თანამიმდევრობით, თამაში მაღალი ტემპით დაიწყო, ბურთი ნახტომით მოიგებოდა, სვიტრით, სპორტული ფორმით მეცადინეობა და სხვ.

სასაუბრო მეტყველების ნიმუშია ტელეფონში საუბრობს, სალიტერატურო ენაში ტელეფონით საუბრობს ვეაქს.

განსხვავებული შინაარსობრივი გაგება უკავშირდება გამოთქმებს: ყუთებში ეწყო და ყუთებით ეწყო. ერთ შემთხვევაში ხაზგასმულია ჭურჭელი, რაშიც რაღაც ჩააწვეს, რაშიც რაღაც ეწყო. მეორე შემთხვევაში აქცენტი როდენობრივ მხარეზეა გადატანილი – ყუთებით მიიტანეს, ყუთებით ეწყო, ე. ი. ბევრი მოიტანეს, ბევრი იყო.

ქვემოთ მოყვანილ ილუსტრაციაში თევზის სწორედ როდენობრივი მხარეა წინ წამოწვეული (თევზი მაცივარში ყუთებით ეწყო, ე. ი. ბევრი იყო. მაგრამ გასაყიდად მინც არ გამოქონდათ), ამიტომ -ში თანდებულიანი კონსტრუქციის ნაცვლად მოქმედებითბრუნებანი კონსტრუქცია უნდა გამოვიყენოთ: „ქალაქის სასურსათო მაღაზიაში... მომხმარებლები რეში იდგნენ და თევზის მოტანას ელოდნენ. მაცივარში კი თევზი ყუთებში ელაგა (უნდა იყოს: ყუთებით ეწყო), დახლზე გამოტანას კი რატომღაც აჭიანურებდნენ“.

4. ში თანდებულიანი სახელი უთანდებულო ვითარებითის ნაცვლად

ქართულში ბუნებრივი გამოთქმებია იაფად, ძვირად, მამასისხლად, ცეცხლის ფასად, ჩალის ფასად, კიტრის ფასად გაყიდა (იყიდა, მიყიდა).

პრესის ენაში დადასტურებული თავის ფასში, ორმაგ ფასში, გროშებში გაყიდა არამართებული გამოწარმოებისა, -ში თანდებულიანი ფორმის ნაცვლად ვითარებითი ბრუნვის ფორმა უნდა გამოვიყენოთ.

5. -ში თანდებულებანი სახელები -ზე თანდებულებანი სახელების ნაცვლად

გზაში მიდის

გზა სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. I. ძირითადი და ყველადათვის ცნობილი მნიშვნელობით გზა არის „ზოლი, გაკეალული ან გაყვანილი დედაძირზე ზედაპირზე, რომელიც განკუთვნილია ადამიანის, ტრანსპორტის და სხვ. მიმოსვლისათვის, მგზავრობისათვის, - სახალაო“ (ქველ). მაგ: საავტომობილო გზა, რკინი(ს)გზა, საურმე გზა, საცაღვეზო გზა, სასოფლო გზა. გზის ამ გაგებით (ე. ი. გზა, როგორც მიმოსვლისათვის განკუთვნილი ნაწილი მიწისა) ხმარებისას -ზე და -ში თანდებულთაგან მხოლოდ -ზე შექმნის მართებულ შესიტყვეებს. მაგ: გზაზე მიდის, დაინახა, ფეხი დაუცდა, წაიქცა, ვგლო, ვყარა... -ში თანდებულებანი ფორმები ამგვარ შესიტყვეებთან მართებული არ არის.

გზა ამ გაგებით კონკრეტული საგნის სახელია. მას მრავლობითი რიცხვის ფორმაც აქვს. მაგ: საავტომობილო გზები, სანაოსნო გზები... სათანადო კონტექსტებში გზები -ზე თანდებულებანი იქნება. მაგ: „მსოფლიოს გზებზე ავტოკატასტროფების შედეგად ყოველწლიურად 250.000 ადამიანი იღუპება“.

გადატანითი მნიშვნელობით გზის ეს გაგება ივარაუდება ქართულში გავრცელებულ მყარ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ცხოვრების გზა, მოლიბული გზა (ამ შესიტყვებათა გზა სათანადო კონტექსტებში მხოლოდ -ზე თანდებულებანი შეიძლება იყოს), (სწორ) გზაზე დააყენა, შუა გზაზე გაჩერდა.

2. გზა სხვა გაგებით, თითქოსდა დაცლილი საგნობრივი მნიშვნელობისაგან, მგზავრობას, მოგზაურობას, ზოგადად სვლას უკავშირდება. მაგ: გზა მშვიდობისა უსურვა ნიშნავს შინ მშვიდობით მისვლა, მშვიდობით მგზავრობა უსურვა. გზის ამ გაგებით (ე. ი. გზა, როგორც სვლა, მგზავრობა, მოგზაურობა) ხმარებისას -ზე და -ში თანდებულთაგან მხოლოდ -ში შექმნის მართებულ შესიტყვეებს. მაგ: გზაში (ე. ი. გზად ყოფნის, სვლის, მგზავრობის დროს) დაიღალა, მოშვიდა, შემოაღამდა, წვიმამ მოუსწრო...

ასევე ბუნებრივი შესიტყვეებია მიუღი დღე გზაშია და შუა გზაში. გზაში (-ში თანდებულებანი) ფორმა უმართებულოდ არის გამოყენებული გზაზე (-ზე თანდებულებანი) ფორმის ნაცვლად შემდეგ წინადადებაში:

მოსუცი კაცი მიდის გზაში. ეტყობა წისქვილისაკენ აუღია გეზი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიდის ზმნა ბუნებრივ წყვილს ქმნის -ზე თანდებულებანი ფორმასთან - გზაზე მიდის (სიარული მხოლოდ გზაზე - გზის ზედაპირზე შეიძლება). შდრ. თ. ჭილაძის ცნობილი რომანის სახელწოდება „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“.

საგზაო ნიშნის გარეშე მიატოვეს გზაში დაყრილი ხრეში. უნდა იყოს: გზაზე დაყრილი ხრეში შდრ.: „გადაჭარბებული სიქართით მიმავალი მიმქანა გზაზე დაყრილ ხრეშის დიდ გროვას შეეჯახა“.

გზაში მგზავრს რა გამოღვეს. უნდა იყოს: გზაზე მგზავრს რა გამოღვეს.

როგორც ჩანს, ქუჩებისა და ორღობების ანალოგიით გზაც -ში თანდებულთა გაუფორმებიათ. უნდა იყოს: დაიცვან წესები ქუჩებში, ორღობებში, მაგრამ: გზებზე გზაჯვარედინებზე (ასევე: მიდის, ხრეში ვყარა გზაზე, მაგრამ: ქუჩაში, ორღობებში).

ასე რომ, იმის მიხედვით, თუ კონტექსტით რა ივარაუდება, მოქმედება, რომელიც გზის ზედაპირზე, ე. ი. გზაზე ხდება, თუ გზად ყოფნის დროს, ე. ი. გზაში, გვაქვს -ზე და -ში თანდებულებანი ფორმები. კონტექსტი ყოველთვის იძლევა მათი გამოჯენისა და სწორად გამოყენების შესაძლებლობას.

ეს ცოდნა რაიონის მშრომელებმა სემინარში მიიღეს.

სემინარში ბუნებრივ შესიტყვებას შექმნიდა მონაწილეობის მიღებასთან. მაგ., ასე: სემინარში მონაწილეობა მიიღეს რაიონის მშრომელებმა. ზემოთ წარმოდგენილ კონტექსტში კი

სემინარი -ზე თანდებულებანი უნდა ვიხმაროთ: „სემინარზე მიღებული ცოდნა დიდად გვეხმარება... მუშაობის სწორად წარმართვაში.

არ არის სწორი, თითქოს წელს წახვლა აკრძალული იყოს შავი ზღვის სანაპიროებში.
უნდა იყოს: შავი ზღვის **სანაპიროზე** (მხოლოდითი რიცხვის ფორმით).

აივანში გასახვლელი კარები ყრუდ ჩაკეტა.
უნდა იყოს: **აივანზე გასახვლელი** კარი ყრუდ ჩაკეტა.

გამოფენაში ნემსა ტილოებმა ყურადღება მიიქცევს.
უნდა იყოს: **გამოფენაზე ყურადღება** მიიქცევს, მაგრამ: **მონაწილეობა** მივიღე **გამოფენაში**.

დღეს თუ დიდებუში ცხოვრობდა, ხვალ ვაკეში გადაბარგდებოდა, მერე საბურთალოში.
უნდა იყოს: **საბურთალოზე** შდრ.: „საბურთალოზე, ვაკეში, გლდანში... თავს იწონებენ ვახის ხეივანები“.

როგორც ცნობილია, ტოპონიმები **საბურთალო, ვერა, კუკია** ტრადიციულად -ზე თანდებულებით იხმარება (**საბურთალოზე, ვერაზე, კუკიაზე**). დიდებუ, ვაკე კი - **ში** თანდებულებით (დიდებუში, ვაკეში).

იმეგრანტებს უარს ეუბნებიან თანამდებობაზე დაწინაურებაში.

თანამდებობა დაწინაურება ზმნასთან ზედმეტია. **დაწინაურება**, რომელიც თავად გულისხმობს **სამსახურში წინ წაწევას**, უფრო საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნვას (ქველ), სახესებით საკმარისია სასურველი შინაარსის გადმოხაცვმად. მაგ.: იმეგრანტებს უარს ეუბნებიან **სამსახურში დაწინაურებაზე** (შდრ.: უარს ეუბნება ცოლობაზე).

6. -ში თანდებულებანი სახელები მიმღებობის ვითარებით ბრუნვის ფორმისა და -თვის თანდებულებიანი სახელების ნაცვლად

რადგან რაიმე **იხარჯება, სჭირდება, მუშაობას ეწყვიან**, რასმე იყენებენ, ითხოვენ, იღებენ... გარკვეული მიზნით, ბუნებრივია, რომ სახელი, რომელიც კონტექსტში მიზნის გარემოებად იყარაუდება, -ში თანდებულის ნაცვლად მიმღებობის ვითარებითი ბრუნვის ფორმით ან -თვის თანდებულებით უნდა იქნეს წარმოდგენილი.

მაგალითად:

რამდენი ცემენტია... დაიხარჯა სათბურების აგებაში.
უნდა იყოს: რამდენი ცემენტი... **დაიხარჯა** სათბურების ასაგებად.

დიდი შრომა არ დაგუჭირდება ... განცხადების სისწორის დადგენაში.
უნდა იყოს: დიდი **შრომა** არ **დაგუჭირდება**... განცხადების სისწორის დასადაგენად.

გვესაჭიროება ნევატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში.
უნდა იყოს: **გვესაჭიროება** ნევატიური მოვლენების წინააღმდეგ **საბრძოლველად**.

სპორტისა და მუსიკის დაუფლებაში იყენებს.
უნდა იყოს: სპორტისა და მუსიკის დასაუფლებლად იყენებს (შდრ.: **გასართობად, სასაიეროდ, წიგნის წასაკითხად, სავარჯიშოდ... იყენებს**). აქვე შევნიშნავთ, რომ სპორტისა და მუსიკის დაუფლება ვერ არის მარჯვედ შერჩეული სინტაგმა. აჯობებდა: თავისუფალ დროს სპორტსა და მუსიკას ახმარს.

მნიშვნელოვანი რეზერვები გვაქვს საწარმოო ძალთა ეფექტიანობის ამაღლებაში.

უგვე აზრი რთული ქვეწოვილი წინადადებითაც შეიძლება გადამოგვეცა: მნიშვნელოვანი რეზერვები გვაქვს იმისათვის, რომ ავამაღლოთ საწარმოო ძალთა ეფექტიანობა.

კომისია... ნაყოფიერ მუშაობას ეწყვეა თბილისის მაღალი კულტურის ქალაქად გადაქცევაში (უნდა

იყოს: გადასაქცევად)

მიმდევობის ვითარებითი ბრუნვის ფორმის ნაცვლად შეიძლება -თვის თანდებულის გამოყენება შემდეგ მაგალითში: კომისია ... მუშაობას ეწევა თბილისის მაღალი კულტურის ქალაქად გადაქცევისათვის. შეიძლებოდა ასეც: კომისია... ნაყოფიერ მუშაობას ეწევა იმისათვის (იმ მიზნით), რომ თბილისი მაღალი კულტურის ქალაქად იქცეს.

7. ჩემპიონატი კალათბურთში

მხედველობაში გვაქვს ისეთი შესიტყვებები, რომლებიც სპორტის სახეობისა (ჭადრაკი, ხელბურთი, ჩოგბურთი, ჭიდაობა, ტანვარჯიში, ჭოკით ხტომა...) და სპორტული ღონისძიებების აღმნიშვნელი სიტყვებისაგან (შეჯიბრება, ჩემპიონატი, ტურნირი, პირველობა...) შედგება. ხელბურთი, ჭადრაკი... ამ შესიტყვებებში, ჩვეულებრივ, -ში თანდებულებიანია.

მაგალითად:

გაიმართა კალათბურთში ჩემპიონატის მორიგი მატჩები. დამთავრდა ტურნირი თანამედროვე ხუთჭიდი ში.

-ში თანდებულებიანი სპორტის სახეობის გამოხატველი სახელი კონტექსტში ზედმეტისა და მიტმასნებულის შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი ამიძმებს ფრაზას და თითქოს წინადადების წვერებს შორის ბუნებრივ კავშირს წვევტს. ფრაზა თანდებულებიანი ფორმისაგან განიტივითება და წინადადების წვერებს შორის ბუნებრივი კავშირი აღდგება, თუ სპორტის სახეობის დასახელების ნაცვლად, სადაც ეს შესაძლებელია, სპორტის ამ სახეობის(აღმნი) მიმდევრობას აღვნიშნავთ. მაგალითად, ნაცვლად გამოთქმებისა ვაჟთა პირველობა ჭადრაკში, ქალთა ჩემპიონატი კალათბურთში, ქალთა საერთაშორისო ტურნირი ტანვარჯიშში... ვიტყვი: მოჭადრაკე ვაჟთა პირველობა, კალათბურთულ ქალთა პირველობა, კალათბურთულ ქალთა ჩემპიონატი, ტანვარჯიშში ქალთა საერთაშორისო ტურნირი...

-თვის

1. -თვის თანდებულებიანი სახელი მყოფადის მიმდევობის ვითარებითი ბრუნვის ფორმის ნაცვლად

ძველ ქართულში დანიშნულებასა და მიზანს ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელი გადმოსცემდა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მიზნის ჩვენება და დანიშნულების გადმოცემა „ძალიან ახლოს დგას“ ერთმანეთთან: „მიზნისა და დანიშნულების გადმოცემა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ მეტყველების ნაწილთან გვაქვს საქმე: თუ საგნის სახელია, იგი რამესთვის ან ვინმესთვის შეიძლება იყოს დანიშნული, ზმნით გადმოცემული მოქმედება კი დროში იშლება. აქ მოქმედების დანიშნულება მიზანს გამოხატავს“⁹. ე. ი. არსებითი სახელები (და ნაცვალსახელები) დანიშნულებას გადმოსცემდა, ნაზმნარი სახელები კი, რომლებსაც ზმნური თვისებები, კერძოდ კი, დროის გამოხატვის უნარი ჰქონდათ შენარჩუნებული, - მოქმედების მიზანს, მაგალითად:

სირცხვილი არს ჩემდა (ხანძრ). მხატვრისადა მიეცა (გიორგი მთაწმიდელი).

მიიღის საზრდელი საგლახაკო ჯორცთა თუსთა განსამტკიცებლად (ხანძთ).

ჩემდა, მხატვრისადა (ნანათესაობითარი ვითარებითის) ფორმები ახალ ქართულში -თვის თანდებულებიანმა სახელმა შეცვალა: ჩემთვის, მხატვრისთვის. ახალ ქართულში დანიშნულებას -თვის თანდებული გადმოსცემს. მაგ: დედამ შევიღისთვის კაბა შეკერა, დედამ შევიღისთვის კაბა შეუკერავს, შევიღისთვის კაბის შეკერვა, შევიღისთვის შეკერილი კაბა. -თვის თანდებულებიანი სახელი წინადადებაში პირიმიმართავი დამატების ფუნქციას ასრულებს.

მყოფადის მიმდევობის ვითარებითი ბრუნვის ფორმა მოქმედების მიზანზე მიუთითებს და წი-

⁹ თ. შარაძენიძე, მოქმედებითი და ვნებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956, გვ. 430.

ნადავლებაში მიზნის გარემოების ფუნქციის ასრულებს. მაგ.: სამშობლოს დასაცავად იბრძვის. მყოფადის მიმდევობა ახალ ქართულში გაიფართოვა გამოყენების არე და მოლიანად შეცვალა მიზნის გარემოების გადმოსაცემად ძველ ქართულში გაბატონებული მასდარული (საწყისიანი) კონსტრუქციები დაჯდა წერად ტიპისა („დაჯდა წერად ანდერძისად“. – რუსთაველი).

თანამედროვე პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურის ენაში მყოფადის მიმდევობის ვითარებით ბრუნვის ფორმების ნაცვლად აშკარად შეინიშნება -თვის თანდებულებიანი საწყისების მოჭარბება. თანდებულისათვის, რომელიც დანიშნულებას გადმოსცემს, მიზნის გადმოსცემის ფუნქციის შეთავსება მოულოდნელი არ არის, მაგრამ სალიტერატურო ენა -თვის თანდებულებიანი საწყისთან შედარებით მიზნის გარემოების გადმოსაცემად უპირატესობას ანიჭებს მყოფადის მიმდევობის ვითარებითი ბრუნვის ფორმას, როგორც ენის განვითარების ვრცელ მანძილზე ძირითადსა და გაბატონებულს. -თვის თანდებულებიანი ფორმები ამ (მიზნის გარემოების) ფუნქციით მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში უნდა ეიხმაროთ.

მყოფადის მიმდევობის ვითარებითი ბრუნვის ფორმით უნდა შეეცვალოთ -თვის თანდებულებიანი საწყისები ქვემოთ წარმოდგენილ ილუსტრაციებში:

მანქანის ყიდვისთვის (უნდა იყოს: საყიდლად) მან ცოტაოდნით თანხა გაიღო. ჩვენი სურვილის შესრულებისათვის (უნდა იყოს: შესასრულებლად) სინქარეს უშატა. სიცოცხლის გადაარჩენისთვის (უნდა იყოს: გადასარჩენად) გამოცდილი ექიმები იხმეს. აბ საქის მოგვარებისათვის (უნდა იყოს: მოსაგვარებლად) ხაჭორა მეტი ძალისხმევა. საკითხის გარკვევისათვის (უნდა იყოს: გასარკვევად) 3 საათი დაგვიტრდა. ხასწრაფო ღონისძიებებს ახორციელებენ მენიბიტის წინააღმდეგ ბრძოლისათვის (უნდა იყოს: საბრძოლველად).

აქვე შეიძლება დაგვესახელებინა პრესის ენისათვის ტიპობრივი შესიტყვებები: მუშაობას ეწევა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის; ღონისძიებებს ახორციელებს (აბარებს) მაღალი ზნეობის დამკვიდრებისათვის; იბრძვის წარსულის გადმონაშთის აღმოფხვრისათვის; ზომებს იღებს საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის; ყველაფერს აკეთებს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის; გულმოდგინედ შრომობს (მუშაობს) ნაკირ ვალდებულებათა განადღებისათვის; ყველა პირობა შექმნილი მაღალკვალიფიკაციური კადრების მოზადებისთვის; ყოველ ღონეს ხმარობს ხანძრის თავიდან აცილებისთვის.

ამგვარ და ანალოგიურ შესიტყვებებში -თვის თანდებულებიანი სახელებთან შედარებით უპირატესობა მიმდევობის ვითარებითი ბრუნვის ფორმას უნდა მიენიჭოს. სახელდობრ: მუშაობას ეწევა პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად; ღონისძიებებს ახორციელებს (აბარებს) მაღალი ზნეობის დასამკვიდრებლად; იბრძვის წარსულის გადმონაშთების აღმოსაფხვრელად; ზომებს იღებს საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; ყველაფერს აკეთებს ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად; გულმოდგინედ შრომობს (მუშაობს) ნაკირ ვალდებულებათა შესასრულებლად (და არა: განადღებისათვის ან განადღებლად); ყველა პირობაა შექმნილი კადრების მოსამზადებლად; ყოველ ღონეს ხმარობს ხანძრის თავიდან ასაცილებლად.

ა) -თვის თანდებულებიანი საწყისი მიზნის გარემოების გადმოსაცემად გვექნება იმ შემთხვევაში, როცა მოცემულ ზმნას მყოფადის მიმდევობის ფორმა არა აქვს ან სალიტერატურო ენაში იგი ნაკლებ გავრცელებულია. მაგ.: სრულყოფს და აღჭურავს ზმნებისაგან ნაწარმოები სრულყოფა, აღჭურავს (საწყისები) და სრულყოფილი და აღჭურვილი (ნამყოს მიმდევობები) გვაქვს, მაგრამ მყოფადის მიმდევობები – სრულსაყოფი და აღსაჭურვი – არა გვაქვს. თუცა ეს ფორმები პოტენციურად სავსებით შესაძლებელი ფორმებია, სალიტერატურო ენაში ისინი არ დასტურდება. -თვის თანდებულებიანი საწყისი – სრულყოფისათვის, აღჭურვისათვის – გამოყოფება ამ შემთხვევაში სავსებით ბუნებრივია.

მაგალითად:

მიმდინარეობს ბრძოლა მართვის ყველა რგოლის სრულყოფისათვის (მაგრამ: მიმდინარეობს ბრძოლა წარსულის მაგენ გადმონაშთების აღმოსაფხვრელად).

ისინი დიდ მუშაობას ეწევიან... მშრომელთა ეკონომიკური ცოდნით აღჭურვისათვის. (მაგრამ: დიდ მუშაობას ეწევიან მშრომელთა მატერიალური ღონის ასამაღლებლად, ხეხილის ახალი

ჯიშების გამოსაყვანად).

განავითარებს და განადიდებს ზმნათა მყოფადის მიმღეობები განსავითარებელი (განსავითარებლად) და განსადიდებელი (განსადიდებლად) ქველ-ში დადასტურებული ფორმებია (სადილუსტრაციო მასალა კლასიკოსთა ნაწარმოებებიდანაა მოხმობილი), მაგრამ ეს ფორმები თანამედროვე ქართულში არ იხმარება¹⁰. ბუნებრივია, განსავითარებლად და განსადიდებლად (მიმღეობის ვითარებითი ბრუნვის) ფორმებთან შედარებით უპირატესობა -თვის თანდებულებიან საწყისებს – განვითარებისთვის, განდიდებისთვის – მიენიჭოს.

მაგალითად:

ეს მყარ ეკონომიკურ საფუძველს ქმნის წარმოების ტექნიკის განვითარებისათვის. სამართველო ატარებს დონისიციებებს თვეზის მუხრნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ბ) -თვის თანდებულებიან საწყისი გვექნება მიზნის გარემოების გადმოსაცემად მაშინაც, როცა მას (საწყისს) წინადადებაში მსახდერვლად ზედსართავი სახელი (ატრიბუტული განსახდერება) ან ვითარებით ბრუნვაში დასმული ზმნიზედა (ვითარების გარემოება) ახლავს.

მაგალითად:

უაღკომლო დღივო გადაეცა სამეცნიერო დაწესებულებას ექსპერიმენტული და კლინიკური შესწავლისათვის. სერიოზულ მუშაობას ეწევიან პოლიტიკური სწავლების ნორმალურად წარმართვისათვის.

ასევე:

მსხედლმასშტაბიანი რუკები გამოიყენება მხარის დეტალური შესწავლისათვის.

ამ წინადადებაში -თვის თანდებულებიან საწყისი (შესწავლისათვის) დარჩება იმიტომ, რომ მას განსახდერება (დეტალური) ახლავს, მაგრამ გვექვს სახელი (შესწავლისათვის) შესასწავლად ფორმით უნდა შეიცვალოს ასეთ კონტექსტში: „ისინი... ვრცელი ტერიტორიის შესწავლისათვის (უნდა იყოს: შესასწავლად) გამოიყენებია“.

ბრძოლა წარმოებს ნეგატიური მოვლენების სრული აღმოფხვრისათვის.

აღმოფხვრისათვის აქაც დარჩება, რადგან მას განსახდერება (სრული) ახლავს, მაგრამ ვეკვე -თვის თანდებულებიან საწყისი მიმღეობის ვითარებითი ბრუნვის ფორმით შეიცვლება შემდეგ წინადადებაში: „სუსტად წარმოებს ბრძოლა... წარსულის გადმონაშთების აღმოფხვრისათვის“ (უნდა იყოს: აღმოსაფხვრელად).

გ) -თვის თანდებულებიან საწყისის მნიშვნელობა აქვს საწყისის ნათესაობითის ფორმას, რომელსაც მიზნით სიტყვა ემატება.

მაგალითად:

ენის უკეთ შესწავლის მიზნით კლასები იყოფა ქვეჯგუფებად. მხარდი მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით განხორციელდა მრავალი დონისიციება.

მიზნით სიტყვის გამოყენება ამჯერ გამოთქმებაში რუსულის კალკია და ზოგჯერ სახეებით გაუმართლებელი (მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა სალიტერატურო ენაში მიზნის გარემოების გადმოსაცემად ერთადერთი მართებული ფორმა მიმღეობის ვითარებითი ბრუნვის ფორმაა)¹¹, მაგრამ მას (საწყისის ნათესაობითის ფორმა + მიზნით კონ-

¹⁰ ზმნიდან გადიდებს გვაქვს გასადიდებლად (გამარტივებულ ზმნიწინიანი ფორმა), რომელსაც განსხვავებული შინაარსობრივი ნიუანსი უკავშირდება.

¹¹ მაგალითად, ასეთ წინადადებაში: „[ისინი] არ მუშაობენ თავიანთი იდეური ცოდნის დონის ამაღლების მიზნით“ (უნდა იყოს: ასამაღლებლად), —ესაზიეთ დონისიციებებს არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით“ (უნდა იყოს: გამოსასწორებლად).



სტრუქციას) აღბათ ყოველთვის გვერდს ვერ ავუვლით. საქმე ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა საწყისის მსაზღვრელად ზედსართავი ან ზმნივდა ახლავს.

დ) ზოგჯერ -თვის თანდებულებიანი საწყისის თავიდან ასაცილებლად სასურველ შედეგს იძლევა მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების გამოყენება. მაგალითად:

...ყოფათ კი ნორმალური არ ხეობობისათვის, ცოლ-შვილის რჩენისათვის?

აჯობებდა ასე: „...ყოფათ კი იმისათვის, რომ ნორმალურად იცხოვრონ, ცოლ-შვილი არ ჩინონ?

ე) და კავშირით შეერთებული ორი მიზნის გარემოება არ შეიძლება სხვადასხვა ფორმით იქნეს წარმოდგენილი წინადადებაში. მაგალითად:

კულტივატორს სათოხნი კულტურების მწკრივების გასაფხვიერებლად და ნიადაგში სასუქების შეტანისათვის იყენებენ.

უნდა იყოს: კულტივატორს სათოხნი კულტურების მწკრივების გასაფხვიერებლად და ნიადაგში სასუქების შესატანად იყენებენ.

ვ) ბუნებრივი გამოთქმებია იბრძვის მშვიდობისათვის, მიწის ყოველი მტკაველისათვის, მწვავე ბრძოლა მიმდინარეობს საპრიზო ადგილებისათვის, ოქროს მედლებისათვის; ვმზადება გამოცდებისათვის... ამავე შინაარსის შემცველი და ასევე ბუნებრივი გამოთქმებია იბრძვის მშვიდობის დასაცავად; მიწის ყოველი მტკაველის დასაცავად, მწვავე ბრძოლა მიმდინარეობს საპრიზო ადგილების მოსაპოვებლად; ოქროს მედლების მოსაპოვებლად; ვმზადება გამოცდების ჩასაბარებლად.

ერთი და იგივე შინაარსი სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით არის გადმოცემული: -თვის თანდებულებიანი არსებითი სახელით (ან გარსებითებული საწყისით) და ნათესაობითში დასმული იმავე სახელითა და მიმდებობის ვითარებითი ბრუნვის ფორმით. მაგრამ ასეთი ბუნებრივი წყვილები ენაში ყოველთვის არა გვაქვს. მხოლოდ -თვის თანდებულებიანი სახელი ან საწყისი სასურველი შინაარსის გადმოსაცემად საკმარისი არ არის და ამიტომ დამოუთარებელი აზრის შემცველია შესიტყვებები მონაწილეობისთვის, გამარჯვებისთვის გაემგზავრა; მოსაველისათვის იბრძვის, სამიმირისათვის მივიდა. სახელსა და ზმნას შორის საჭიროა შუამავალი რგოლი მიმდებობის ვითარებითი ბრუნვის ფორმის სახით. სახელდობრ, ასე: მონაწილეობის მისაღებად, გამარჯვების მოსაპოვებლად გაემგზავრა; მოსაველის მოსაწყვად, მოსაყვანად იბრძვის; სამიმირის სათქმელად მივიდა.

მაგალითად:

მსოფლიოს ჩემპიონი აშშ-ში გაემგზავრა ხაერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისათვის (უნდა იყოს: მონაწილეობის მისაღებად). უხვი მოსაველისათვის (უნდა იყოს: მოსაველის მოსაყვანად, მოსაწყვად) ბრძოლას თავიდანვე ენერგულად შევუდექით.

2. -თვის თანდებულებიანი სახელები უთანდებულო მიცემითის ნაცვლად

მთავრობა ყურადღებას იჩენს ხალხის დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის. ისინი ყურადღებას იჩენენ მოზარდი თაობის აღზრდისათვის.

ყურადღებას იჩენს ზმნასთან მზრუნველობის მნიშვნელობით იხმარება: ყურადღებას იჩენს ნიშნავს მზრუნველობას იჩენს, ყურადღებანი ვისიმე მიმართ. ყურადღებას იჩენს სინტაქსის წვერად ბუნებრივი ჩანს აღამიანის აღმნიშვნელ სახელებთან. მაგ: ყურადღებას იჩენს ავადმყოფის მიმართ, მოხუცი მშობლების მიმართ, მოზარდი თაობის მიმართ...

ზემოთ წარმოდგენილი კონტექსტებისათვის კი უფრო ბუნებრივი იქნება ყურადღებას მიაკცეს შესიტყვების გამოყენება. ყურადღების მიქცევა უფრო ნეიტრალურია „ყურადღებამისაკცევი“ სახელების მიმართ. ყურადღება შეიძლება მიაკციოთ აღამიანს, ცხოველს, ნივთს, წესრიგს, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მოზარდი თაობის აღზრდას...

ასე რომ, ზემოთ წარმოდგენილი წინადადებები ასე უნდა დაწვრიდეს: დიდ ყურადღებას აქ

ცევს ხალხის დასვენების პირობების გაუმჯობესებას. ყურადღებას აქცევს მოზარდი თაობის აღზრდას.

3. -თვის თანდებულებიანი სახელები უთანდებულო ნათესაობითის ნაცვლად

უთანდებულო ნათესაობითით უნდა შეიცვალოს -თვის თანდებულებიანი სახელები შემდეგ შესიტყვებებში: გადასახადი საქონლისათვის, ჩემპიონატი გუნდებისათვის, ნაწილები მანქანისათვის, სცენარი კინოკომედიისათვის, ნება გართობა-თამაშისათვის, ამინდი (მეორე) დღისთვის... უთანდებულო ნათესაობითი მსახვრეელი სახელის ფუნქციას ასრულებს და საესეებით ბუნებრივ კონსტრუქციას ქმნის.

მაგალითად:

თუ მომხმარებელმა დროულად არ შეიტანა მორიგი გადასახადი ნისიად ნაყიდი საქონლისათვის...

უნდა იყოს: თუ... არ შეიტანა ნისიად ნაყიდი საქონლის მორიგი გადასახადი...

ქუთაისში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის.

უნდა იყოს: ქუთაისში გაიმართა ფეხბურთელთა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების საქართველოს ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი.

...ხუთი დღით გამათავისუფლებს, რომ მანქანისათვის სათადარიგო ნაწილები შევიდა.

უნდა იყოს: ...რომ მანქანის სათადარიგო ნაწილები შევიდა.

4. -თვის თანდებულებიანი სახელი უთანდებულო მოქმედებითის ნაცვლად

ხეების მოჭრისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების ოდენობა.

უნდა იყოს: მოჭრით (ან მოჭრის შედეგად) მიყენებული ზარალი.

არც ამის შემდეგ შეუწუხებია თავი შრომისათვის.

უნდა იყოს: არც ამის შემდეგ შეუწუხებია თავი მუშაობით.

დაიწყო მსმენელთა მიღება მოსამზადებელ კურსებზე იმ პირებისათვის, რომლებსაც სურთ შესვლა უნივერსიტეტში...

მსმენელთა მიღება პირებისათვის – უაზრო შესიტყვებაა. უნდა იყოს: მსმენელთა მიღება მოსამზადებელ კურსებზე იმ პირებისა.

5. -თვის თანდებულებიანი სახელი -ზე თანდებულებიანი სახელების ნაცვლად

არაეინ ფიქრობს იმისათვის, რომ მომხმარებელს მიაწოდოს კარგი პროდუქცია. აღარაფერს გამბობთ ცალკეული პასაჟებისათვის.

ფიქრობს, ამბობს ზმნები სინტაგმის წევრად -ზე თანდებულებიანი სახელს ითხოვს: ფიქრობს იმაზე, ამბობს პასაჟებზე (ან პასაჟების შესახებ). შდრ.: „რატომღაც კაცი არ ფიქრობს იმაზე, რომ საქამო რაოდენობით ჰქონდეთ რძის პროდუქტები“.

6. -თვის თანდებულებიანი სახელი -გამო თანდებულებიანი სახელის ნაცვლად

მიზეზის გარემოების გამოხატვის ერთ-ერთ საშუალებას ძველ ქართულში -თვის თანდებული წარმოადგენდა¹². მას ამ ფუნქციით ზოგჯერ -გამო თანდებული ენაცვლებოდა. საინტე-

¹² ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, იკვ. თბ., 1946, გვ. 223; ა. კიხიარია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძვ. ქართულში, თბ. გვ. 322.



რესო მასალას იძლევა ამ თვალსაზრისით ოთხთავის რედაქციები. მაგალითად, აღიშნის ოთხთავის -თვის თანდებულებიან ფორმას ჯერუკ-პარხლისხაშ -გამო თანდებულებიან ფორმა ენაცვლები: „ამისთვის უნდა პილატეს განტეუებად მისი“ C ი 19,12 და „ამის გამო უნდა პილატეს განტეუებად მისი“ DE¹³.

თანამედროვე ქართული მიზეზის გარემოების გადმოხაცემად უპირატესობას გამო თანდებულს ანიჭებს¹⁴. ასე რომ, -თვის თანდებულებიან ფორმის გამოყენება ამ ფუნქციით სალიტერატურო ენის თვალსაზრისით გამართლებული არაა.

დასაჯეს, გაასამართლეს, მოხსნეს, საყვედური გამოუცხადეს, დააკავეს, დააჯარიმეს სემანტიკის ზნებთან საწყისები უმჯობესია -გამო თანდებულთ ვიხმართ:

ისინი ვაჭრობის წესების დარღვევისთვის (უნდა იყოს: დარღვევის გამო) არიან დასჯილი. ვაჭრობის წესების დარღვევის გამო გადააკენეს სამუშაოდან.

არ არის სწორი -თვის თანდებულებიან არსებითი სახელის გამოყენება მიზეზის გარემოებად. კავშირი სახელსა და ზმნას შორის გაშუალებული უნდა იქნეს საწყისით და მასთან, როგორც ზემოთ ითქვა, უპირატესობა -გამო თანდებულს უნდა მიენიჭოს. მაგალითად:

ქრთამისათვის (უნდა იყოს: ქრთამის აღების გამო) მიესაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

-გან

1. -გან თანდებულებიანი ნათესაობითისა და -გან თანდებულებიანი მოქმედებითის მონაცვლეობა

-გან თანდებული ორ ბრუნვას ითხოვს – ნათესაობითისა და მოქმედებითის. ნათესაობითში დასმული -გან თანდებულებიანი სახელი გვიჩვენებს მოქმედების ჩამდგენს, წყაროს, თუ ვისგან, რისგან მომდინარეობს ზმნით გამოხატული მოქმედება; მასალას, რისგანაც რაიმე კეთდება; ასევე რაიმესაგან გამოყოფას, მოშორებას, მოცილებას¹⁵. ეს სახელები უპასუხებენ კითხვას: ვისგან? რისგან? და წინადადებაში პირმომართავი დამატების ფუნქციას ასრულებენ. მაგალითად:

არ მიიკვირს ბრძენი ნესტორის შვილისაგან. ამ ნაჭრისაგან არ უნდა შეიკვიროს ქედი. ამა წინათ თავის ტკივილებიხაგან მიმარჩინა.

მოქმედებით ბრუნვაში დასმული -გან თანდებულებიანი სახელი გვიჩვენებს მოქმედების საწყისს პუნქტს სივრცესა და დროში.¹⁶ უპასუხებს კითხვას: საიდან? რა დროიდან? და წინადადებაში ადგილისა და დროის გარემოების ფუნქციას ასრულებს¹⁷.

¹³ ა. კიხიარია დასახ. ნაშრ., გვ. 322.

¹⁴ დ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 152.

¹⁵ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბ., 1970, გვ. 99; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 621; ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, იკვ. I, თბ., 1946, გვ. 229; ი. იმნაიშვილი, სახელით ბრუნება და ბრუნათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 343; ა. კიხიარია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963, გვ. 203.

¹⁶ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, გვ. 99; ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 74; ქ. ძოწენიძე, -გან თანდებულებიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში, იკვ. I, 1946, გვ. 195-202; ა. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 230; თ. შარაშენიძე, მოქმედებითი და ეითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, გვ. 414; ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 321; ა. კიხიარია, დასახ. ნაშრ., გვ. 294.

¹⁷ როგორც ცნობილია, ფონეტიკური პროცესების (ახიმილაკა, ბგერის დაკარგვა) მოქმედებითი შედეგად ბრუნვის (ი)თ ნიშანმა და -გან თანდებულმა ურთიერთმომბოლოებაში ცვლილება განიცადა და (ი)თ-დან დაბოლოებისაგან ახალ ქართულში (ი)დან დაბოლოება მივიდეთ: (ი)თ+გან→(ი)დ+გან→(ი)დან. მაგ.: ქალაქი-თ-გან→ქალაქი-დ-გან→ქალაქი-დან, წყარო-თ-გან→წყარო-დ-გან→წყარო-დან. ქართულ წერილობით ძეგლებში ფორმაცვლების სამივე საფეხური დასტურდება.

(ი)დან დაბოლოებას თანდებულს ვერ ვუწოდებთ (მის შემადგენლობაში თანდებულის გარდა, ბრუნვის ნიშანიც შედის – იგი თანდებულისა და ბრუნვის ნიშნის შერწყმის შედეგად მიღებული ერთეუ-

მაგალითად:

სატვირთო მანქანა სოფლიდან გაუჩინარდა. დილიდანვე თოვა დაიწყო.

ძველ ქართულში -გან თანდებულნი ნათესაობითისა და მოქმედებითის გამოყენების არე განსხვავდება ახალი ქართულისაგან¹⁸.

-გან თანდებულნი მოქმედებითი, რომელიც ახალ ქართულში გამოწვევის გარეშე სიერცეში დაწვებითობას გვიჩვენებს, ძველ ქართულში იშვიათად გვხვდება. ძველ ქართულში ამ ფუნქციას, როგორც წესი, უთანდებულ მოქმედებით და -გან თანდებულნი ნათესაობითი ასრულებს. ამ თვალსაზრისით ხაინტერესო მასალას იძლევა ოთხთავის რედაქციები - ადიშის ოთხთავის უთანდებულ მოქმედებითს ჯრუჭ-პარხლისაში -გან თანდებულნი ნათესაობითი შეფარდება. მაგ.: „მაცადე და აღმოვიღო წუელი გეგ თუაღით შენით“, მ.7, 4C, მაგრამ: „მაცადე, აღმოვიღო წუელი თუაღისაგან შენისა“, DE.

ახე რომ, -გან თანდებულნი ნათესაობითის გამოყენების არე ძველ ქართულში გაცილებით უფრო ფართო იყო (იგი წინადადებაში პირმიუმართავი დამატების გარდა, ადგილის გარემოების ფუნქციასაც ასრულებდა), ვიდრე -გან თანდებულნი მოქმედებითისა, რომლის დანიშნულებაც თავდაპირველად, როგორც ჩანს, მხოლოდ დროში დაწვებითობის ჩვენება იყო (დროში დაწვებითობის უთანდებულ მოქმედებითიც გადმოსცემდა).

მას შემდეგ, რაც საერთო წარმოავლობის მქონე ბრუნვების - ნათესაობითისა და მოქმედებითის - ფუნქციური დიფერენციაცია უფრო ხელშესახები გახდა, -გან თანდებულნი ნათესაობითმა ამ ფუნქციასაც ასრულებდა, ვიდრე -გან თანდებულნი ნათესაობითმა ამ ფუნქციასაც მთლიანად აიღო ხელი, ხოლო უთანდებულ მოქმედებითი აქა-იქ XIX საუკუნემდე შემორჩა ენას. მაგ.: აფშავით (=ფშავიდან) მოვიდეს ლაშქარი (ვაჟი)¹⁹. თანამედროვე ქართულში უთანდებულ მოქმედებითის გამოყენებას სიერცეში დაწვებითობის გამოხატვაედ წმინდა სტილისტიკური ფუნქცია აკისრია. მაგ.: „შხე ოკეანით (=ოკეანიდან) ამოვა მძიმედ“ (ა. კალანდ).

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში მოქმედ ფუნქციის თანახმად, თუ სახელი იგუვს კითხვას ვისგან? რისგან?, იგი -გან თანდებულნი ნათესაობითში უნდა დაისვას (მაგ.: წერილი დედისაგან მიიღო, მთლიანდებლობისაგან გაფითრდა, მარმარილოსაგან გამოაქანდა-ქა); თუ სახელი იგუვს კითხვას საიდან?, იგი -გან თანდებულნი მოქმედებითში უნდა დაისვას (წერილი სოფლიდან მიიღო). როგორც უკვე ითქვა, -გან თანდებულნი ნათესაობითში დასმული სახელი წინადადებაში პირმიუმართავი დამატების ფუნქციას ასრულებს, -გან თანდებულნი მოქმედებითში დასმული სახელი - ადგილის გარემოებისა. მაგრამ ის სინქლე, რომელიც ხშირად პირმიუმართავი დამატებისა და გარემოების ერთმანეთისაგან გარჩევას ახლავს, აქაც იწინებს თავს და, მიუხედავად იმისა, რომ კითხვები ვისგან? რისგან? და საიდან? ბრუნვის ფორმათა ამორჩევის კარგ საკონტროლო საშუალებას წარმოადგენს, მართებული

ლია), არც საჭიროებაა ამისა, (ი)დან დაბოლოების მქონე სახელი -გან თანდებულნი მოქმედებითი (იხ. ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, შრომები, III, თბ., 1979, გვ. 53).

¹⁸ ვეყარებით ნაშრომებს: ქ. ძო წინძიქ, -გან თანდებულნი მოქმედებით ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში, იქვე, I; ა. მარტოროსოვი, თანდებულ ქართულში, იქვე, I; მისივე, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I; თ. შარაშენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I; ი. იმნაიშვილი, სახელია ბრუნება და ბრუნება ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957; ა. კიხიკია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, 1963; დ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966; თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბ., 1970.

¹⁹ თანამედროვე ქართულში უთანდებულ მოქმედებითის შესახებ საუბრისას მხედველობაში არა გვაქვს მისი გამოყენების შემოხვევები ადგილის ზმინისათვის (სვეთი, ქვეთი...) და ქვეყნის მხარეების სახელელებში (აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი), რადგანაც აქ მას სადაობითის, ლოკატივის (და არა სიერცეში დაწვებითობის, გამოხვედითის, აბლატივის) ფუნქცია აქვს. უპასუხებს კითხვას სად? და არა საიდან? (მაგ.: აღმოსავლეთით (სად?) ტყით დაფარული ფერდობები მთიანდა).

ფორმის შერჩევა, არც თუ იშვიათად მიიწვევს. ეს პრესის ენაშიც შეინიშნება.

თანამედროვე ქართულში უკვე -გან თანდებულებიანი მოქმედებითი იფართოვებს გამოყენების სფეროს. ამიტომ -გან თანდებულებიანი ნათესაობითი ნაცვლად საეჭვოდ -გან თანდებულებიანი მოქმედებითების მოჭარბება შეიმჩნევა. საპირისპირო მოვლენა კი, როცა მოსალოდნელი -გან თანდებულებიანი მოქმედებითის ნაცვლად -გან თანდებულებიანი ნათესაობითი გვაქვს, იშვიათია. განვიხილოთ ეს შემთხვევები.

ა) წაივინა, იცოდა ზმნებთან სინტაგმის ერთ-ერთ წევრად ადამიანის აღმნიშვნელი სახელები -გან თანდებულებიანი ნათესაობითი დაისმის (ეს სახელები წინადადებაში პირმოუხარბული დამატების ფუნქციას ასრულებენ), ხოლო ადგილისა და კონტექსტით მასთან გათანაბრებული სემანტიკის მქონე სახელები - -გან თანდებულებიანი მოქმედებითში (ეს სახელები წინადადებაში ადგილის გარემოების ფუნქციას ასრულებენ). მაგ.: დაეთისაგან, ამხანაგისაგან, მეზობლისაგან, ნათესავისაგან, დედისაგან, ჩემგან...²⁰ წაივინა. მაგრამ: სოფლიდან, ქალაქიდან, თეატრიდან, სპექტაკლიდან, კონცერტიდან, ლექციიდან, გაკვეთილიდან... წაივინა (გამოვიდა). ასევე: დაეთისაგან, ამხანაგისაგან, მეზობლისაგან, დედანემისაგან... ვიცოდი²¹. მაგრამ: წინა გაკვეთილიდან, წინა მასალიდან, საქართველოს ისტორიიდან... ვიცოდი.

ამის მიხედვით -გან თანდებულებიანი მოქმედებითი არასწორად არის ნახმარი წაივინა, იცოდა ზმნებთან შემდეგ მაგალითებში:

დიღით მაკადან (უნდა იყოს: მაკასაგან) წამოვქედი. ეს ავტორიდან (უნდა იყოს: ავტორისაგან) ვიცოდი.

-გან თანდებულებიანი ნათესაობითით უნდა შეიცვალოს ასევე -გან თანდებულებიანი მოქმედებითები შემდეგ მაგალითში:

მოსახლეობიდან (უნდა იყოს: მოსახლეობისაგან) წიგნების შემოწირვით ბიბლიოთეკა თანდათან მდიდრდება.

აქვე განვიხილავთ სოფლის მეურნეობის დამახასიათებელ ერთ შესიტყვებას ძროხიდან, ცხვრიდან... მიიღო. ეს შესიტყვება ერთხანს -ზო თანდებულებიანი ფორმით იყო გავრცელებული: ძროხაზე, ცხვარზე, ქუბზე, დედაზე მიიღო (შდრ. რუსული надояли на корову). გვეხდება ნათესაობითში დასმული -გან თანდებულებიანი ფორმითაც ძროხისაგან, ცხვრისაგან მიიღო. უპირატესობა ამ უკანასკნელს უნდა მივანიჭოთ.

მაგალითები:

თითოეული საფურავე ძროხიდან (უნდა იყოს: ძროხისაგან) მიიღო 755 კილოგრამი რძე, 100 დედაცხვირიდან (უნდა იყოს: დედაცხვრისაგან) - 32 ბატანი, ხოლო თითოეული ცხვირიდან (უნდა იყოს: ცხვრისაგან) მატკლის ნაპარსმა შეადგინა 0,950 კილოგრამი.

ადგილის სემანტიკის მქონე სახელი კი შესიტყვების წევრად მიიღო ზმნასთან -გან თანდებულებიანი მოქმედებითში დაისმის. მაგ.: ამ ნაკვეთიდან სარეკორდო მოსავალი მიიღეს (მოიწიეს).

ბ) ნაყოფი, თესლი, ხორცი, ფეკილი, პლასტმასა... მასალა, რომლისგანაც რაღაც კეთდება, მზადდება, ცხვება, იჭრება... ეს სახელები წესის მიხედვით -გან თანდებულებიანი ნათესაობითში იშის. -გან თანდებულებიანი მოქმედებითის გამოყენება ამ ფუნქციით მართებული არ არის:

ასკილის ნაყოფიდან (უნდა იყოს: ნაყოფისაგან) შეგვიძლია დავამზადოთ ნაყენი. ჭინჭრის ფოთლებიდან (უნდა იყოს: ფოთლებისაგან) შეიძლება წაშლის მომზადება. კურდღლის ხორციდან (უნდა იყოს: ხორცისაგან) შეიძლება მომზადდეს გემრიელი კერძები. სიუჟეტური აბლიკაცია ფერადი ქაღალდებიდან (უნდა იყოს: ქაღალდებისაგან).

²⁰ ჩემ- ნათესაობითის ფუძე.

²¹ სხვათა შორის, კითხვის დასმისას საიდან იცი? ან ვინ გითხრო? ვამბობთ. ვისგან იცი? - არა გვაქვს.

ასევე: გამოჭრა, შეკერა ქსოვილისაგან, გამოაქანდაკა მარმარილოსაგან, ჩამოსასხა ბრინჯაოსაგან, ლითონისაგან, გამოკეთა ხისაგან.

მასალად გამოყენებული სახელოსათვის ბრუნვის ფორმის შერჩევა თითქოს ძნელი არ უნდა იყოს და მაინც დარღვევათა მეტი წილი სწორედ ამ სახისაა.

გ) ისეთ ზმნებს, რომელთაც გამოყოფა-მოშორება-მოცილების (ე. ი. რომელთაც პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით რაიმესთან კავშირის, საერთო რგოლის გაწყვეტის) გაგება აქვთ, შესიტყვების წვერად -გან თანდებულებიანი ნათესაობითი უნდა შევუწყოთ. ასეთებია: თავის დაღწევა პასუხისმგებლობისაგან, განცალკევება ქსელისაგან, იზოლირება ოჯახისაგან, ხსნა გაჭირვებისაგან; ასევე: დაშორება, გამოირჩევა, განსხვავება, დარჩენა, გადადება.

მაგალითები:

დამნაშავემ გაქცევით სცადა პასუხისმგებლობიდან (უნდა იყოს: პასუხისმგებლობისაგან) თავის დაღწევა. მინდამ ზეკავიდან (უნდა იყოს: ზევისაგან) გადარჩენის ამბავი გვიამბო. ხიდის წესროვში მოყვანა გვისხნის ამ გასაჭირიდან (უნდა იყოს: გასაჭირისაგან). ის განიცდიდა სამშობლოდან (უნდა იყოს: სამშობლოსაგან) დაშორებას. შორს ვართ ამ აზრიდან (უნდა იყოს: აზრისაგან).

ასევე: გაათავისუფლა გამყიდველის მოვალეობისაგან, მზაგვერდებისაგან, უცხოელი დამპყრობლებისაგან, მონობისაგან, მონობის უღლისაგან, ხელით შრომისაგან... მაგრამ: გაათავისუფლა სამუშაოდან, სამსახურიდან (შეიძლება სამუშაოდან, სამსახურიდან მოხსნა, დაითხოვა).

მაგალითად:

მეზუფერე განთავისუფლებულია სამუშაოდან. იგი სამსახურიდან რამდენჯერმე მოუხსნიათ.

სამუშაო, სამსახური ის ადგილია, ის დაწესებულება თუ ორგანიზაცია, სადაც ვმუშაობთ, ვმსახურობთ. აკი კითხვასაც ასე ვესვამთ: სად მიდიხარ? სად იყავი? თუ ეს მართლაც ასეა და ამ სახელებში ადგილის გაგებაა წინ წამოწეული, მაშინ მოცემული შესიტყვებებისათვის -გან თანდებულებიანი მოქმედებითი (სამსახურიდან, სამუშაოდან გაათავისუფლა) საესებით ბუნებრივი ფორმა ყოფილა.

ჩვეულებრივ, -გან თანდებულებიანი მოქმედებითი გვეხდება პატიმრობიდან გაათავისუფლა, თუმცა მოსალოდნელი და მართებული -გან თანდებულებიანი ნათესაობითი (პატიმრობისაგან გაათავისუფლა) იყო. (შდრ.: მონობისაგან, კოლონიზატორთა ბატონობისაგან გაათავისუფლა). ამგვარ წარმოებას, როგორც ჩანს, სახელის შინაარსობრივი გააზრინება - პატიმრის და, საერთოდ, პატიმრობის გარკვეულ ადგილთან (საპატიმროსთან) დაკავშირება იწვევს. ე. ი. გვაქვს პატიმრობიდან გაათავისუფლა, მაგრამ: პატიმრობისაგან იხსნა (პატიმრის მდგომარეობა ააცილდა, პატიმრობას გადაარჩინა).

დაბრუნება უზნასთან -გან თანდებულებიანი მოქმედებითი - პატიმრობიდან დაბრუნდა ბუნებრივი ფორმაა. შდრ. მსგავსი შესიტყვებები: გადასახლება, ჯარიდან, სამხედრო სამსახურიდან, ომიდან დაბრუნდა. პატიმრობა, გადასახლება, ჯარი, სამხედრო სამსახური, ომი მნიშვნელობით ადგილის გარეთობებთან არის გათანაბრებული. ეს ის ადგილებია, სადაც სასჯელს იხდიან ან სამხედრო სამსახურს გადიან. -გან თანდებულებიანი მოქმედებითის გამოყენება ამგვარ გამოთქმებში ეჭვს არ იწვევს.

ცუდად შედგენილი შესიტყვებებია სამუშაოდან თავისუფალი დრო და თამაშიდან თავისუფალი იყო შემდეგ კონტექსტებში:

სამუშაოდან თავისუფალ დროს დააპროექტეს ეს უბანი. დღეს სპორტსმენი თამაშიდან თავისუფალი იყო.

სამუშაოდან თავისუფალ დროს ნაცვლად აჯობებდა თავისუფალ დროს ან არასამუშაო საათებში. სხვა შემთხვევაში კონტექსტის შესაბამისად სამუშაოდან თავისუფალი დრო იქნებოდა შესვენების დრო, შევებულების დრო, უქმე დღე და სხვ.

ასევე: ნაცვლად გამოთქმისა თამაშიდან თავისუფალი იყო, შეიძლებოდა გვეთქვა: ამ დღეს

სპორტსმენი თავისუფალი იყო ან არ თამაშობდა. ასეთი შეცვლით კონტექსტის არავითარი შინაარსობრივი ნიუანსი არ იკარგება.

დ) ზმნა შედგება -გან თანდებულის ნათესაობითს ითხოვს. მაგ.: შედგება მოწინავე ინტელიგენციისაგან, მუშა-მომსახურეებისაგან, სტუდენტებისაგან, მოსწავლე ახალგაზრდობისაგან, მშრომელი გლეხობისაგან; რთული მექანიზმისაგან, რკინაბეტონის კარკასებისაგან, სხვადასხვა ნაწილებისაგან; (კრებული) ცალკეული ნაშრომებისაგან, ბოლო დროს გამოქვეყნებული ლექსებისაგან (მაგრამ: საილუსტრაციო მასალა ამოკრებილია ბოლო დროს გამოქვეყნებული ლექსებიდან).

2. -გან თანდებულის სახელები უთანდებულო ნათესაობითის ნაცვლად

X ტურიდან (უნდა იყოს: ტურის) გადადებული პარტია.

ტურიდან გადადებული პარტიის გვერდით სპორტულ პუბლიკაციებში ტურში გადადებულ პარტიაც გვხვდება.

თბილისის სტუმრები იყვნენ მომდევრელები კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრიდან. აჯობებდა: თბილისის სტუმრები იყვნენ კიევის... თეატრის მომდევრელები.

აქ ცხოვრობენ სოფელ გუშისთიდან. აჯობებდა: ... აქ ცხოვრობენ სოფელ გუშისთის მკვიდრნი.

გმირები მსოფლიოს კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან. აჯობებდა: მსოფლიოს კლასიკოსთა ნაწარმოებების გმირები.

ლარნაკში აწეობს ცოლისაგან მოტანილ ყვავილებს. აჯობებდა: ... ცოლის მოტანილ ყვავილებს. შდრ.: ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო (ანდ).

ფაბრიკისაგან დამზადებული პროდუქცია... აჯობებდა: ფაბრიკის გამოშვებული პროდუქცია.

3. -გან თანდებულის სახელები უთანდებულო მოქმედებითის ნაცვლად

მტერმა გაანადგურა ადამიანის შარჯვენისაგან შექმნილი შედევრები.

მარჯვენა ამ კონტექსტში საშუალება, იარაღია, რომლითაც რაღაც იქმნება. ამიტომ იგი უთანდებულო მოქმედებითით უნდა იქნეს წარმოდგენილი: ადამიანის მარჯვენით შექმნილი.

გთხოვთ უპასუხოთ ამ ჭაბუკს, საიდან დაიწყო, რა გააკეთოს?

კითხვა საიდან დაიწყო? შეიძლება მაშინ დავსვათ, როცა სიერცეში საწყისი მომენტის ჩვენება გეანტერესებს. მოცემულ კონტექსტში კი ჭაბუკს აინტერესებს, ჯერ რა ისწავლოს - რით დაიწყო.

4. -გან თანდებულის სახელი -ზე თანდებულის სახელის ნაცვლად

დამოკიდებული ქველ-ში ასეა განმარტებული: რაც სხვა რამისგან გამომდინარეობს, რაც სხვასთან არის დაკავშირებული, - სხვა რამით შეპირობებული, სხვას დაქვემდებარებული, არათავისთავადი.

დამოკიდებული²² დამხმარე ზმნასთან ერთად სახელს -ზე თანდებულის მიცემითში ითხოვს. მაგ.:

²² დამოკიდებულება ძვ. ქართულში ჩამოკიდებას ნიშნავდა: „დამოკიდნა იგინი ხუთთა ზედა ძელთა“, ისუ ნ. 10,26 (ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973).

ამ პრობლემის გადაწყვეტა ჩემზე არ არის დამოკიდებული. ამაზეა დამოკიდებული ნერვული სისტემის ფუნქციური მდგომარეობა.

პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურის ენაში მართებული -ზე თანდებულებანი კონსტრუქციის ნაცვლად გაერცვლდა -გან თანდებულებანი კონსტრუქცია (დამოკიდებულია ჩემგან). მაგალითად:

იგი შეიძლება დამოკიდებული იყოს სუბიექტისაგან (უნდა იყოს: **სუბიექტზე**).

დამოკიდებულია +გან კონსტრუქციის გაერცვლებას ხელს უწყობს რუსულის **зависит от кого-н., от чего-н.** კონსტრუქცია.

უარი თქვა შედგენილი შემახშენელი სინტაგმის წვერად -ზე თანდებულებანი სახელს ითხოვს: **უარი თქვა მემკვიდრეობაზე, თეატრში წასვლაზე, დამპყრობლურ ომში მონაწილეობაზე. უარი თქვა + -გან** კონსტრუქცია სათანადო რუსული გამოთქმის ცუდად თარგმნის შედეგია. მაგალითად:

მან უარი თქვა ხარეკლამო შეკვეთებიდან (უნდა იყოს: **შეკვეთებზე**), რომელსაც დიდი მოგება უნდა მოეტანა მისთვის.

5. -გან თანდებულებანი სახელი -თვის თანდებულებანი სახელის ნაცვლად

სავაჭრო ქსელს ჩააბარეს სპეკულანტებიდან ჩამორთმეული საქონელი. ცდილობდნენ ქუჩიდან გამოეგლიჯათ ეს ახალგაზრდები.

ჩამორთვა, გამოგლიჯა (მან მას ის) სამპირიანი ზმნებია. ჩვენთვის საინტერესო სახელები **სპეკულანტები** და **ქუჩა** ამ კონტექსტების მიხედვით ირიბი დამატებებია (**ჩამორთვა სპეკულანტებს, გამოგლიჯა ქუჩას**), რომელთაც დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმებთან, ასევე საწყისსა და მიმდებარეობთან -თვის თანდებულებანი სახელი ენაცვლება. ამის მიხედვით -გან თანდებულებანი ფორმები ზემოთ წარმოდგენილ ილუსტრაციებში ასე გასწორდება: **სპეკულანტებისათვის ჩამორთმეული და ქუჩისათვის გამოეგლიჯათ.**

6. -გან თანდებულებანი სახელი მიერ თანდებულებანი სახელის ნაცვლად

-გან თანდებულებანი სახელები ქვემოთ მოყვანილ ილუსტრაციებში მიუთითებენ წყაროს, ვისგანაც ან რისგანაც მიმდინარეობს ზმნით გამოხატული მოქმედება. თანამედროვე ქართულში ამ ფუნქციით, ჩვეულებრივ, **მიერ** თანდებულებანი სახელი იხმარება²³. სწორედ ამიტომ -გან თანდებულებანი სახელებთან შედარებით უპირატესობა **მიერ** თანდებულებიან სახელებზე უნდა მივიანიჭოთ. მაგალითები:

გამორიცხული იყო სხვა პირისაგან (აჯობებდა: **პირის მიერ**) მისი მოკვლა.

დიდი ყურადღებით ეკიდებიან მოსწავლეებთან გაკეთილების გაცდენას (აჯობებდა: **მოსწავლეთა მიერ**).

-მი (-დმი, -დამი)

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული შეხედულების თანახმად ის, რასაც ჩვენ ტრადიციულად **-დმი (-დამი)** თანდებულს ვეძახით, მიმართულებითი (ვითარებითი) ბრუნვის **-დ (-და)** ნიშნისა და **-მი** თანდებულისგან შედგება²⁴. -დ მიმართულებითი ბრუნვის ნიშნად არსებით სახელებთან გვაქვს. მაგ.: **სამშობლოსადმი; -და** კი - პირის ნაცვალსახელებთან: **ჩემ-დამი, შენ-დამი, მის-დამი, ჩვენ-დამი, თქვენ-დამი, მათ-დამი.** -მი თანდებულთან ერთად ძველ ქარ-

²³ ა. მარტიროსოვი, თანდებულები ქართულში, იკვ, I, გვ. 229.
²⁴ ქიძღვ; ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, ენიშვი-ს მოამბე, I, ტფ., 1937, გვ. 119. გადმოგვიღლია: ვ. თოფურია, შრომები, III, თბ., 1979, გვ. 53.



თულში -მომ თანდებულები იხმარებოდა. დადგენილია, რომ -მი და -მო თანდებულები შედგენილობითა და ფუნქციით იგივეა, რაც ძველი ქართულის -მი და -მო წინდებულები. ეკვე ელემენტები გვაქვს ზმნაში -მი და -მო ზმნისწინების სახით²⁵. -მი და -მო ზმნისწინები მიმართულებას გვიჩვენებენ (სახელდობრ, -მი მიუთითებს მიმართულებას იქით, სადაც პირველი პირი არ არის, ხოლო -მო - აქეთ - პირველი პირისკენ). მიმართულებას გვიჩვენებენ -მი და -მო თანდებულებიც.

-მი და -მო თანდებულთა ფუნქციით იხმარებოდა ძველ ქართულში მიმართ და მომართ რთული თანდებულები, რომელთა პირველი შემადგენელი ელემენტი -მი და -მო თანდებულებია.

პირველ პირთან მიმართების თვალსაზრისით მიმართ და მომართ თანდებულებს იგივე თავისებურება ახასიათებს, რაც -მი და -მო თანდებულებს. -მო და მომართ მხოლოდ პირველი პირის ნაცვალსახელებთან იხმარებოდა. მოგვიანებით ეს წესი დაირღვა, რასაც შედეგად ამ (-მო და მომართ) თანდებულთა ხმარებიდან გადავარდნა მოჰყვა. თანამედროვე ქართულში ყველა შემთხვევაში -მი და -მომართ თანდებულები იხმარება²⁶. -მო თანდებული ნანათესაობითარ ვითარებითს ერთვის, მიმართ თანდებული - ნათესაობითის ფორმას (მაგ.: დამოკიდებულებაც საკითხის-ად-მი და დამოკიდებულება საკითხის მიმართ).

მართალია, -მი და მიმართ სინონიმური თანდებულებია, მაგრამ მათ გამოყენების საკუთარი სფერო აქვთ და ერთმანეთს ყველა შემთხვევაში თავისუფლად არ ენაცვლებიან. გარდა ამისა, თანამედროვე ქართულში აშკარად შეინიშნება ერთი ტენდენცია: სახელები, რომლებიც ადრე -მი თანდებულთა იხმარებოდა, ახლა უპირატესად მიმართ თანდებულთა გვხვდება.

-მი და მიმართ თანდებულებიანი სახელები ძირითადად სახელურ - საწყისებითა და მიმდებარებით - შედგენილ კონსტრუქციებში იღებენ მონაწილეობას. სწორედ ამგვარ კონსტრუქციათა სირთულთა გამოწვეულია მიმართ შეიღვი იმ დარღვევებისა, რომლებიც -მი და მიმართ თანდებულთა გამოყენებისას შეინიშნება ენაში.

1. -მი თანდებულიანი სახელები უთანდებულო ნათესაობითის ნაცვალად სამშობლოსადმი სიყვარული

ზმნებს უყვარს, სძულს, სწამს, პატივს სცემს, ხელმძღვანელობს (ხელმძღვანელობს უწევს), ემსახურება სუბიექტის გარდა ობიექტიც შეეწოება. სუბიექტი სახელობით ბრუნვაში დგას, ობიექტი - მიცემითში (ის პატივს სცემს, ხელმძღვანელობს, ემსახურება მას) ან ინვერსიულ ზმნებთან: რეალური სუბიექტი - მიცემითში, რეალური ობიექტი - სახელობითში (მას უყვარს, სძულს, სწამს ის). სათანადო საწყისებთან (სიყვარული, სიძულელი, რწმენა, პატივისცემა, ხელმძღვანელობა, სამსახური²⁷) შესიტყვების წვერად ზმნის პირთან შეეწობილ სახელთან შეიძლება შეგვხვდეს ერთ-ერთი - სუბიექტი ან ობიექტი²⁸ ან კიდევ ორივე ერთად - სუბიექტიცა და ობიექტიც. საწყისთან დაკავშირებული ერთი სახელი უთანდებულო ნათესაობითში დგას განურჩევლად იმისა, სუბიექტიცა ის თუ ობიექტიც; როცა საწყისთან ერთდროულად ორი სახელია დაკავშირებული, ერთი - სუბიექტი - უთანდებულო ნათესაობითში დგას, ხო-

²⁵ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 268. იქვე თანდებულ-წინდებულებისა (ძვ. ქართულში თანდებულის ადგილი მკაცრად განსაზღვრული არ იყო, იგი სახელს თავშიც ერთვოდა და ბოლოშიც) და ზმნისწინთა საერთო წარმომავლობის დამადასტურებელი სხვა შემთხვევებიც არის დასახელებული (იხ. გვ. 267).

²⁶ „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ პირველი პირის ნაცვალსახელთან მიმართ თანდებულის ხმარებას უჭერს მხარს - ჩემ მიმართ (იხ. ვ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი, დასახ. ნაშრ., თბ., 1968).

²⁷ სამსახური ემსახურება ზმნისთვის საწყისის ფუნქციას ახრულებს.

²⁸ ცნება სუბიექტიცა და ობიექტიცა ზმნის პირს უკავშირდება. ამდენად მათი გამოყენება ნაშნარ სახელებთან უხსტი არ არის. ჩვენ პირბრუნვა, მხოლოდ ტექნიკური მოსაზრებების გამო გამოიყენებთ მათ საწყისთან ნათესაობითის ფორმით წარმოდგენილი ორი სხვადასხვა ფუნქციის მქონე სახელის (პირმოუმართავი დამატების) ერთმანეთისაგან გასარჩევად.

ლო მეორე - ობიექტი - -ში თანდებულებიან ნანათესაობითარ ვითარე-
ბითში.

სიყვარულიწ ჯგუფის საწყისების მსგავს სინტაქსურ კონსტრუქციებს ქმნის სახელები
ერთგულება და შიში.

მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები:

1. საწყისთან დაკავშირებული სახელი სუბიექტია (ის, ვისაც უყვარს, სძულს, სწამს;
ვინც პატივს სცემს, ხელმძღვანელობს, ემსახურება). მაგალითად, ხალხის სიყვარული, მახ-
ლობელთა სიყვარული, სოფლის სიძულელი, ამხანაგების პატივისცემა, ჯგუფის ხელმძღვა-
ნელობა, დედაჩენის სამსახური, მშობლების შიში ასეთ წინადადებებში:

არასოდეს მოკლებოდეს მას თავისი ხალხის სიყვარული. უმათერესი ხომ მახლობელ-
თა სიყვარული და სიბოზა. მშობლების შიში გამართლდა.

ასევე იქნება ხალხის რწმენა, ძაღლის ერთგულება.

2. საწყისთან დაკავშირებული სახელი ობიექტია (ის, ვინც ან რაც უყვართ, სძულთ; რაც
სწამთ; ვისაც ან რასაც პატივს სცემენ, ხელმძღვანელობენ, ემსახურებიან). მაგალითად,
ხალხის სიყვარული, ყურძნის სიყვარული, მანკიერების სიძულელი, სტუმრის პატივისცემა,
პრიტადის ხელმძღვანელობა, ხალხის სამსახური, საქმის ერთგულება, მგლის შიში ასეთ წი-
ნადადებებში:

მშობლიური ქვეყნის, მისი ცისა და მიწის სიყვარული ვერ გაანელა მსოფლიო ხელოვნების
ნიმუშების ხილვამ. სტუმრის პატივისცემა ჩვენს ხალხს სხვაგვარად ესმოდა.

ასევე იქნება უკეთესი მომავლის, გვალინდელი დღის რწმენა.

3. საწყისთან ერთდროულად დაკავშირებულია სუბიექტიცა და ობიექტ-
იც. -ში თანდებულებიანი ფორმა ობიექტისათვის ასეთ წინადადებებში
ერთადერთი შესაძლებელია და, ამდენად, მართებული ფორმაა. ასეთი შემ-
თხვევები ენაში იშვიათია, ძირითადად სიყვარულით შედგენილი შესიტყვებები გვხვდება. მა-
გალითად, ხალხის სიყვარული პოეზიისადმი, ხალხის სიყვარული თქვენდამი, ჩემი²⁹ სიყვარ-
ული თქვენდამი, მისი სიძულელი ჩემდამი, ქალიშვილის ერთგულება ოჯახისადმი:

ყოველივე ამან შეუწყო ხელი პოეზიისადმი ხალხის სიყვარულს.

ასეთივე შესიტყვებებია დედის სიყვარული შვილისადმი და შვილის სიყვარული დედი-
სადმი (ამბობენ, როცა რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაზეა საუბარი. საერთოდ დედა-შვი-
ლის სიყვარულის, დედა-შვილის ურთიერთობის შესახებ მსჯელობისას დედაშვილური სიყვარ-
ული ითქმის), ხალხის სიყვარული მეგობრისადმი და სხვ.³⁰

ასე რომ, სიტყვათშესაშვებები ხალხის სიყვარული (სადაც ხალხი სუბიექტია), სამშობლოს
სიყვარული (სადაც სამშობლო ობიექტია) და ხალხის სიყვარული სამშობლოსადმი ქართუ-
ლი სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ნორმატიული ხასიათი აქვს.

ამჯერად სამშობლოს სიყვარული³ ტიპის, ე. ო. ობიექტიანი შესიტყვებები გვიანტერე-
სებს, რადგან სწორედ ისინი გვიჩვენებენ სალიტერატურო ენის ნორმათაგან გადახრას.

²⁹ ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი სინტაქსური ფუნქციით ნათესაობითი დასმული სახელის
ბადალია.

³⁰ აქვე შეენიშნავთ, რომ ამგვარი კონსტრუქციით გატაცება სასურველი არ არის და, სადაც ეს შესაძ-
ლებელი იქნება, მას გვერდი უნდა ავუაროთ. მაგალითად, რომელიმე „ბევრი მსმენია ჭადრაკი-
სადმი ქართველების სიყვარულზე“ (პრეს), აჯობებდა ასე შეგვეცვალა: ბევრი მსმენია იმაზე,
თუ როგორ უყვართ ქართველებს ჭადრაკი. ასევე: „ნაშრომის სტილი დახვეწილია და სადა, იგრძნობა
ავტორის დიდი სიყვარული არჩეული თემისადმი“ (პრეს). პირველი წინადადების ბუნებრივი
გაპრობლება იქნებოდა, თუ ვიტყვილით: როგორც ჩანს, ავტორი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით
მოკვიდა საქმეს; „ტახტისადმი არმიის ერთგულებაზე უშიშროების სამსახური სურნავს“
(პრეს), აჯობებდა ასე: უშიშროების სამსახური ზრუნავს, რომ არმია ტახტის ერთგული იყოს.

როცა საწყისთან შესიტყვების წვერად ერთი სახელი გვაქვს (სუბიექტი ან ობიექტი), ეს სახელი უთანდებულო ნათესაობითის ფორმით არის წარმოდგენილი. ჩვენ ზემოთ განვიხილეთ ეს შემთხვევები. კონტექსტი, როგორც წესი, ყოველთვის იძლევა საწყისთან ნათესაობითში დასმული ორი სხვადასხვა ფუნქციის მქონე სახელის (სუბიექტისა და ობიექტის) განსხვავებასა და, შესაბამისად, აზრის სწორად გაგების შესაძლებლობას, და მაინც, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში არის ცდა იმისა, რომ ეს სახელები ფორმით ერთმანეთისაგან გაირჩეს. ის ფაქტი, რომ ენაში -ში თანდებულიანი ფორმა არსებობს ობიექტისათვის **ხალხის სიყვარული** **სამშობლოსადმი** ტიპის შესიტყვების სახით, საფუძველს ქმნის **სამშობლოსადმი სიყვარული**ს გავრცელებისათვის. ამ მოვლენას ენაში, თავის მხრივ, ხელს უწყობს აგრეთვე რუსულის სათანადო თანდებულიანი შესიტყვება (людины к родине). საწყისთან ობიექტად გამოყენებულ სახელებს (აბსოლუტური უმრავლესობა კონტექსტებისა კი საწყისთან შესიტყვების წვერად სწორედ ობიექტს ითხოვს), მათთვის ობიექტობის ხაზგასახსმელად, -ში თანდებულები ერთვის, რაც უთანდებულო ნათესაობითთან ერთად ენაში მოცდელ ფორმებს ქმნის. მაგალითად, გვაქვს ასე: **სამშობლოს სიყვარული** და **სამშობლოსადმი სიყვარული**; **მტრის სიძულვილი** და **მტრისადმი სიძულვილი**; **სოფლის პატივისცემა** და **სოფლისადმი პატივისცემა**; **ჯარების ხელმძღვანელობა** და **ჯარებისადმი ხელმძღვანელობა**; **ხალხის სამსახური** და **ხალხისადმი სამსახური**; **საქმის ერთგულება** (ერთგული) და **საქმისადმი ერთგულება** (ერთგული); **სიმაღლის შიში** და **სიმაღლისადმი შიში**; **მომაველის რწმენა** და **მომაველისადმი რწმენა**.

აქაც ძირითადად **სიყვარული**თ შედგენილი სინტაგმები გვხვდება, რადგან **სიყვარული** სემანტიკურად გაცილებით უფრო მეტ სახელს იკუთვნებს შესიტყვების წვერად, ვიდრე ზემოთ წარმოდგენილი სხვა რომელიმე სახელი.

თანდებულები ფორმებთან შედარებით უპირატესობა უნდა მივაწიოთ უთანდებულო ფორმებს, როგორც ბუნებრივსა და ხალიტერატურო ენაში გაბატონებულს. ეს წესი გამოწვევის გარეშე გავრცელებდა ობიექტად გამოყენებულ უსულლო საგნის სახელებზე. ხოლო ობიექტად ადამიანის სახელების ამ პირის ნაცვალსახელების გამოყენებისას, თუკი კონტექსტი ორპირიანებისათვის მიეცათ, ობიექტის შესაძლებლობას არ იძლევა, უპირატესობა თანდებულები ფორმებს უნდა თვითნებ.

მაგალითად:

სიყვარული

სიყვარულანვე ქონდა ჩანერგილი სიყვარული კულტურისადმი, პოეზიისადმი, ხელოვნებისადმი. (უნდა იყოს: **კულტურის, პოეზიის, ხელოვნების**).

უთანდებულო ნათესაობითთ გვექნება ადამიანის აღმნიშვნელი სახელებიც: **მახლობლის, მოყვასის, მოკეთის, ადამიანის... სიყვარული**. მაგ.: „ვილაპარაკოთ მოძმის, მეზობლის, თანამოსაქმის, თუნდაც უბრალოდ გზად შემოხვედრილი კაცის სიყვარულზე, ადამიანის სიყვარულზე“, მაგრამ თანდებულებიანი ფორმები აუცილებელია ასეთ კონტექსტში:

ეს არ არის შაპისადმი უანგარო სიყვარულით ნაკარნახევი. ის ფეხზე ამდგარი მიესალმება, რითაც გამოხატა მისადმი სიყვარული.

პრესის ენაში **შეაყვარა** ზმნური ფორმა თითქმის გამოდევნა ხმარებიდან გამოთქმამ **სიყვარული ჩაუნერგა**. განუკითხავი ხმარების გამო ეს გამოთქმა კარგავს ემოციურობას და შტამპად იქცევა. მაგალითად:

მუსიკისადმი სიყვარული დღემ ჩაუნერგა. ბევრებს პედაგოგებმა ჩაუნერგეს ფლორისა და ფაუნისადმი სიყვარული.

აჯობებდა ასე: **მუსიკა** დღემ **შეაყვარა**; **ბუნება** (ან: მცენარეთა და ცხოველთა სამყარო) ბევრებს პედაგოგებმა **შეაყვარეს**. (ალბათ ვამბობთ თანდებულებიანი ფორმების შესახებ, რომელთა გამოყენებასაც ზემოთ მოყვანილ კონტექსტებში გამართლება არა აქვს).

მართო თანდებულები არ არის ქვემოთ მოყვანილი წინადადების „სატკივარი“: „თავის საქმისადმი დიდი სიყვარული“ს გრძნობით მუშაობს... მასწავლებელი ალექსანდრა აბრამ-

ქმ". საქმისადმი სიყვარულს რომ თავი დაეანებოთ, არც სიყვარულის გრძნობით მუშაობს ვარგა. აჯობებდა ასე: გატაცებით (ან პირნათლად) ემსახურება თავის საქმეს მასწავლებელი ალექსანდრა აბრამიძე.

სიძულვილი
მან გულში წაიღო ადამიანებისადმი (უნდა იყოს: ადამიანების) სიძულვილი.

პატივისცემა
განსვენებული ულისადმი პატივისცემის ნიშნად (აჯობებდა: განსვენებულის პატივსაცემად) აქ მოვიდნენ თბილისელები.
ასევე უნდა იყოს: წარსულის, ადამიანების, წინაპართა ხსოვნის პატივისცემა და სხვ.

ხელმძღვანელობა
მეურნეობისადმი (უნდა იყოს: მეურნეობის) ხელმძღვანელობა.

სამსახური
ხალხისადმი სამსახური (უნდა იყოს: ხალხის).

ერთგულება
წიგნი პატარებს სამშობლოსადმი (უნდა იყოს: სამშობლოს) ერთგულებას ასწავლის.

შიში
ხვალინდელი დღისადმი (უნდა იყოს: დღის) შიში.

რწმენა
დაკარგა საკუთარი თავისადმი (უნდა იყოს: თავის) რწმენა.

რწმენა -ში თანდებულებიან სახელებთანაც გეხედება (ეს უკვე რუსულის გაველენით. შდრ.: вера в сердце), მაგალითად: „მთავარია ჩვენმა ფეხბურთელებმა არ დაკარგონ რწმენა საკუთარ ძალებში (უნდა იყოს: ძალებისა)“.

-ში თანდებულებიანი სახელით შეგეხვდა აგრეთვე შეფობა, მოსმენა.
მაგალითად:

სკოლისადმი შეფობა (უნდა იყოს: სკოლის) იკისრა.
(რუსულის გაველენით შეფობა იკისრა -ზე თანდებულებიანი სახელითაც შეიძლება შეგეხვდეს).

2. -ში თანდებულებიანი სახელი უთანდებულო მოქმედებითის ნაცვლად

დაინტერესება და ინტერესი საერთო ძირის მქონე სახელებია. დაინტერესება სინტაგმის წევრად მოქმედებით ბრუნვაში დასმულ სახელს ითხოვს (მაგ.: დაინტერესება რაიმე საქმიანობით, სპორტით, უცხო ენების შესწავლით...), ინტერესი კი - ნათესაობითში დასმულ -ში ან მიმართ თანდებულებიან სახელს (მაგ.: საქმის, საქმისადმი, საქმის მიმართ ინტერესი). ინტერესი + -ში კონსტრუქციის ანალოგიით არის გაკეთებული -ში თანდებულებიანი სახელი დაინტერესება ბაზთან შემდეგ წინადადებებში:

ხელი შეუწყვეს ამ საქმიანობისადმი დაინტერესებას (უნდა იყოს: საქმიანობით). უცხოურ ენის შესწავლისადმი მოსწავლეთა დაინტერესება გაძლიერდა (უნდა იყოს: შესწავლით).

3. -ში თანდებულებიანი სახელი -ზე თანდებულებიანი სახელის ნაცვლად

ამ საკითხებისადმი ყურადღება არ გაუმახვილებია. ორგანიზაციამ ყურადღება გაამახვილა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტსა და წესრიგში მოყვანის საქმისადმი. ჩვენი მიზანია ყურადღება გაემახვილოს სიმინდისა და თამბაქოს კულტურების მიმართ. ჩვენ კი სწორედ მათ მიმართ გესურს ყურადღების გაამახვილება.

ყურადღებას ამახვილებს დრო-კილოთა სამივე ჯგუფის ფორმებთან, ასევე საწყისსა და

მიმღებობთან -ზე თანდებულთან სახელს იწყობს: ყურადღებას ამახვილებს, გაამახვილა, გაუმახვილებია საკითხზე; ყურადღების გამახვილება, ყურადღება გამახვილებული აქვს საკითხზე. -ში და მიმართ თანდებულთან სახელების გამოყენება მასთან უმართებულოა. შესაბამისად, უნდა ვასწორდეს: ამ საკითხზე ყურადღება არ გაუმახვილებია; ორგანიზაციამ ყურადღება გაამახვილა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტსა და წესრიგში მოყვანაზე. ჩვენი მიზანია ყურადღება გაამახვილოთ სიმინდისა და თამბაქოს კულტურებზე; ჩვენ კი სწორედ მათზე გვსურს ყურადღების გამახვილება.

4. -ში თანდებულთან სახელები -თვის თანდებულთან სახელების ნაცვლად

სამშობლოსადმი ბევრ პოეტს უმღერია (უნდა იყოს: სამშობლოსათვის); მათ ბევრი სტროქონი მიუძღვნიათ მისი სიღამაზისადმი (უნდა იყოს: სიღამაზისათვის).

მსგავსი მაგალითები კვლავაც ბევრი შეიძლება დაგვესახელებინა. აქ მოყვანილ შემთხვევათა ზმნური ნაწილი ან დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმაა, ან შედგენილი შემასმენელი, რომლის სახელად ნაწილს საწყისი ან მიმღებობა წარმოადგენს: უმღერია სამშობლოსათვის, მიუძღვნია სიღამაზისათვის, გადაწყვეტილებისათვის მივლიწა; დახმარების აღმოჩენა ადამიანისთვის; დახმარების გაწვევა მეურნეობისათვის, ანგარიშის გაწვევა სხვებისათვის, კონტროლის გაწვევა თანამშრომლებისათვის; ზარალის მიყენება მეურნეობისათვის; ცოდნის გადაცემა სხვისათვის; ზრუნვა ადამიანისთვის. -თვის თანდებულთან იქნება ეს სახელები მიმღებობთანაც: ადამიანისათვის აღმოჩენილი დახმარება, მეურნეობისათვის გაწეული დახმარება, თანამშრომლებისათვის გაწეული კონტროლი, მეურნეობისათვის მიყენებული ზარალი, სხვისთვის გადაცემული ცოდნა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიმღებობები ყოველთვის არ იმეორებენ ამოსავალი ზმნის დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმებისა და საწყისების სინტაქსურ კონსტრუქციებს.

მაგ: დედის წერილი მიწერა, გაგზავნა; დედისთვის წერილი მიწერილი, გაგზავნილი წერილი (თუმცა სახესებით სავარაუდო და დასაშვები ფორმაა დედისათვის მიწერილი, გაგზავნილი წერილი). ეს კონკრეტული შემთხვევა (დედისადმი, მეგობრისადმი, გრიგორი ორბელიანისადმი მიწერილი წერილი) სახესებით შესაძლებელია სხვა ენობრივი გავლენისა (შერ: пишано к матери) და შემდეგ უკვე ლიტერატურული ტრადიციის შედეგი იყოს. საერთოდ კი, როგორც ჩანს, -თვის თანდებულთან სახელი გარკვეულ ფუნქციურ სიახლოვეს ამჟღავნებს -ში თანდებულთან სახელთან. იქ, სადაც ზმნის სემანტიკით უფრო ხელშესახებია მიმართულების ჩვენება, -თვის თანდებულს -ში თანდებული ცვლის. შერ: დედისადმი მიწერილი და დედისათვის დაწერილი წერილი.

ზემოთ წარმოდგენილ ერთ-ერთ ილუსტრაციაში (ამათ ბევრი სტროქონი მიუძღვნიათ მისი სიღამაზისა და სიდიადისადმი) -ში თანდებულთან სახელი მიუძღვნია ზმნისთან -თვის თანდებულთან სახელით შეეცვალეთ (მიუძღვნა სიდიადისათვის). -თვის თანდებულთან იქნება ეს სახელი მიმღებობურ კონსტრუქციაშიც. მაგ: მისი სიდიადისათვის მიძღვნილი სტროქონი, ასევე: მეგობრისათვის მიძღვნილი წიგნი, სამშობლოსათვის მიძღვნილი ნობათი, მაგრამ მწერლის შემთქმედებისადმი, 50 წლისთავისადმი... მიძღვნილი საღამო, შეხვედრა... (ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო ბოლო დროს კარგი ფორმით ხსოვნის საღამოთ³¹ შეცვალეს, მაგრამ ყველა სახელთან არ გამოდგება. არ შეიძლება ხსოვნის სამეცნიერო სესია. უნდა იყოს: ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია).

მიუხედავად იმისა, რომ პრების ენაში თანდებულთან უმართებულო ხმარების ყველა შემთხვევა აქ განხილული არ არის, ვფიქრობთ, წარმოდგენილი მასალა ამ მხრივ არსებული ერთარების ნათელ სურათს ვკაძლევს.

³¹ „კვირულის პროგრამაში... ელენე ახელუდიანის ხსოვნის საღამო, რომელიც გაიმართება მის სახელოსნოში“ (პრეს).

**-კენ-თანდებულებიანი შესიტყვებები და მათი ფუნქციურ-სემანტიკური
ეკვივალენტები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში¹**

ქართულ საენათმცნეო ლიტერატურაში მიღებული შეხედულების მიხედვით, -კენ თანდებული კერძოს გაცვეთილი და ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტია. კერძო ძველ ქართულში არსებითი სახელის მნიშვნელობითაც იხმარებოდა (= მხარე) და ზმნისართ-თანდებულის ფუნქციითაც (= მხარეს)². ფორმის ცვლის პროცესი ასე წარმოვიდგება: კერძო >კერძ >კერ >კენ³.

საშუალო ქართულად წოდებულ ლიტერატურულ ძეგლთა ენაში -კერ-ის გამარტივებული -კე ფორმაც იხმარება. მაგ.: „ზღვათაკე სარკმლით გატყორცა“ (ეტი, 1116). უფრო შორს არის წასული ცვეთის პროცესი მთის კიდეებში (ხევსურული, ფშაური...), სადაც -კე ფორმის გვერდით კერძო >-კენ თანდებულის დანიშნულებით -კ ელემენტიც ფუნქციონირებს. მაგ.: მარცხნისკე (ხევს. პოეზ.), მიწისკე, ცისკე (ვაჟა), ხევსურეთისკე (ხევს. პოეზ.), ცისაკ (ვაჟა)⁴.

კერძო ძველ ქართულში სახელის მოქმედებითი და ვითარებითი (მიმართულებითი) ბრუნვის ფორმებს ერთობა, უახსუხება კითხვებს: საით? სად? და მიმართულებასა და ადგილზე მიუთითებდა. რომელიმე აღმოსავალით კერძო და აღმოსავალბადა კერძო, მით კერძო და მთად კერძო სინონიმური კონსტრუქციები იყო და კონტექსტის მიხედვით შესაბამისად ნიშნავდა: აღმოსავლეთისაკენ (აღმოსავლეთის მიმართულებით), აღმოსავლეთში; მთისკენ (მთის მიმართულებით), მთაში / მთაზე⁵.

მაგალითად:

წარვედ ამიერ აღმოსავალად კერძო, 3 მეფ. 17,8. ივლიტოდა იგი მთით კერძო, ამონ. 215,17.

კერძო-თანდებულებიანი მოქმედებითისათვის კიდევ ერთ ფუნქციას ასახელებენ – მიმართულების საწყვისი პუნქტის ჩვენებას. ამ მნიშვნელობით კერძო-თანდებულებიანი სახელი მიუგებს კითხვას საიდან? მაგ.: „მოუვდა იგი ზურგით კერძო“, ლიტ. ქრესტ. 161,16 (= ზურგიდან)⁶.

კერძო თანდებულები ძველ ქართულში იშვიათად ნათესაობითი ბრუნვის ფორმასაც ერთობა და იხეთივე ფუნქციით გამოიყენებოდა, როგორცაც მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმებთან⁷. საშუალო ქართულში მისი ხმარება ნათესაობითთან სისტემატური გახდა, ამასთან, თანდებულმა თანდათანობით დაკარგა დამოუკიდებლობა. როგორც ითქვა, მასალალობრივად გაცვდა, ფონეტიკურად იცვალა (კერძო >კენ) და სახელის ბრუნვის ფორმას შეეზარდა. თანამედროვე ქართულში -კენ თანდებული „სახელებთან მარტო ნათესაობითში იხმარება და მხოლოდ და მხოლოდ მიმართულებას გამოხატავს: მაგალითად: სოფლისაკენ, სახლისაკენ და სხვ.“⁸

ქვემოთ -კენ-თანდებულებიანი სახელები მათთან სინტაქსურად და სემანტიკურად დაკავშირებულ ზმნურ და სახელურ ფორმებთან ერთად იქნება განხილული.

I. რას წარმოადგენს -კენ-თანდებულებიანი შესიტყვებები – მათი ზმნური და სახელური კომპონენტები სემანტიკური თვალსაზრისით?

¹ ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VIII, თბ., 1988.
² ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1948.
³ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 602; ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, იკე, I, 1946, გვ. 225; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 233, 346.
⁴ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 602; ა. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 225.
⁵ ა. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 224; ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 346, 740.
⁶ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 602; ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 346.
⁷ ა. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 224; ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 347.
⁸ ა. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 224.



1. ეინიდან -კენ თანდებულთან ფუნქციურად მიმართულების ჩვენება დაკავშირებული, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ მნიშვნელობას ის ზმნები იგუბენ, რომლებიც შინაარსობრივად მოძრაობა-გადაადგილებას გამოხატავენ. მართლაც, **-კენ-თანდებულის** შესიტყვებებს როგორც პირდაპირი (ძირითადი, ნომინაციური), ასევე გადატანითი (ფიგურალური, მეტაფორული) მნიშვნელობით ნახშირი მოძრაობა-გადაადგილების სემანტიკური წრის ზმნები ქმნიან, ოღონდ იმ აუცილებელი პირობით, რომ ზმნური ფორმა გარკვეულ მხარეს მიმართულ მოქმედებას უნდა გამოხატავდეს.

ამგვარი შეზღუდვის აუცილებლობა თავად თანდებულის ფუნქციური თავისებურებით არის ნაკარნახევი. საჭმე ისაა, რომ -კენ თანდებული ზმნური მოქმედების ლოკალიზაციას ახდენს სივრცეში, ის იმ სივრცობრივი ორიენტირის როლს ასრულებს, რომელსაც მიემართება, რომლის მხარესაც ვრცელდება ზმნით გამოხატული მოქმედება. სივრცეში გადაადგილება კი, მოქმედების საბოლოო შედეგის მიხედვით, ყოველთვის გარკვეული მიმართულებით არ ხდება. ზმნა შეიძლება მოძრაობა-გადაადგილებას გამოხატავდეს, მაგრამ: ა) მოძრაობა ადგილზე სრულდებოდეს (მაგ.: ბავშვი ხტუნავს); ბ) ზმნა საგნის დამახასიათებელ ისეთ ზოგად მოქმედებას გამოხატავდეს, რომელიც არაფერს არ მიემართება (მაგ.: ჩიტი ფრინავს, თევზი ცურავს); გ) სივრცეში გადაადგილება ხდებოდეს, მაგრამ „გარკვეული მიმართულების დაუსახელებლად“ (მაგ.: ჩიტი ჭაღალში დაფრინავს; ციყვი ტორტზე დახტუნავს); დ) მოძრაობა მიმართული იყოს შემოსაზღვრული სივრცისაკენ (მაგ.: ტყეში შეფრინდა) ან ორმხრივ შემოსაზღვრული სივრცის პუნქტებს მიემართებოდეს (მაგ.: თბილისსა და მოსკოვს შორის დაფრინავს, მიდი-მოდის).

დასახელებული ტიპის ზმნები -კენ-თანდებულის სახელებთან სინტაქსურ-სემანტიკური შეუთავსებლობის გამო შესიტყვებას ვერ შექმნიან.

-კენ-თანდებულის შესიტყვებებს სივრცეში შემოუსაზღვრავი მიმართულების მქონე მოძრაობა-გადაადგილების სემანტიკის ზმნები ქმნიან. ზმნათა აბსოლუტური უმრავლესობა ზმნისწინიანია. როგორც ცნობილია, ზმნისწინებს სწორედ ამ - მოძრაობა-გადაადგილების მნიშვნელობის მქონე ზმნებში აქვს შენარჩუნებული თავდაპირველი ფუნქცია - **მიმართულების ჩვენება**.

რაც შეეხება სახელად ნაწილს -კენ-თანდებულის შესიტყვებისა, ენაში ფაქტობრივ არ არსებობს ზღვარი იმ სიტყვებისა (ობიექტურ სინამდვილეში რეალურად არსებულ საგანთა სახელებით დაწვებული და მრავალრიცხოვანი აბსტრაქტული სახელით დამთავრებული), რომელთა ხმარება დასახელებული წრის ზმნებთან ძირითადი თუ ფიგურალური მნიშვნელობით შესაძლებელი არ იყო.

მაგალითად: გასწია, მოკურცხლა შინისაკენ; გარბის ტყისაკენ; მიფრინავს ბარისაკენ; დიხარა, გადაიხარა, გადაიწია ნაპირისაკენ; მიეშურება, მიუხარია სკოლისაკენ; გაეჭანა, გაემართა მოწინააღმდეგისაკენ; მიმართა (თოფის დულა) სამიზნისაკენ; წაიყვანა მდინარისაკენ; იხევე ღრმა ზურგისაკენ; დაიძრა ბერლინისაკენ; ნაბიჯი გადადგა, უბიძგა, მიექანება უსკრულისაკენ; ტალღებს მიაპობს ნაპირისაკენ...

ნომუშები ლიტერატურებიდან:

ბაშქენ ჯაყელი ნარკეავის წყალს აქევა ჩრდილოეთისაკენ (ქ. გამს.); აშორ კურაალატი ლაშქარს მიუძღოდა ადმოსახელებითისაკენ (ლ. ხანიკ); წაშვე ბეთანიისაკენ! (გ. ტაბ.); მოხუცმა გაიძრო ხანჯალი, გაქანდა შევიღისაკენ (ა. ყაზბ.).

2. -კენ-თანდებულის კონსტრუქციითა ზმნური ნაწილი (მარტივი ზმნის გარდა ამ დანიშნულებით ფრაზოლოგიური ერთეულებიც გვხვდება) მოხმობილ სალოტრატურს მასალაში (იხ. აგრეთვე I პუნქტი) შეიძლება სხეულის ნაწილის მოძრაობას გამოხატავდეს გარკვეული მიმართულებით. მაგალითად: იხედება, იყურება, იმზირება, იცქირება ცისკენ; თვლი, ხელები ადაპერო ზეცისკენ, თითს იშვერს (უთითებს) მწვერვალებისაკენ; ხელს იწვიდის დედისკენ; პი-

⁹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 254. როგორც ავტორი შენიშნავს, დაფრინავს, დაცურავს დახტუნავს და მისთ. ტიპის ზმნებში და-პრეფიქსი მიმართულების ნეიტრალიზაციას ახდენს (მდრ. მიფრინავს - მოფრინავს და დაფრინავს; მიხტუნავს - მიხტუნავს და დახტუნავს).

რი იბრუნა, პირი ქნა¹⁰ აღმოსავლეთისკენ.

აქვე დავასახელებთ თვალ- და გულ- სიტყვებით შედგენილ იდიომური მნიშვნელობის მქონე ფრაზეოლოგიზმებს, რომლებიც სემანტიკურ შემავსებლად -კენ-თანდებულიან სახელებს ითხოვენ: თვალი გაურბის, თვალი უჭირავს გზისკენ; თვალს აპარებს უცნობისკენ; გული მიუწევს მშობლიური სანახებისაკენ.

ნიმუშები:

და სიციხით მოვრადებს თვალი ფანჯრისკენ გაურბით (ო. ჭილი); შეიღის მოლოდინშია, თვალი გზისკენ უჭირავს (პრეს.); მაინცადამაინც არ მიუწევს გული შინისაკენ (პრეს.).

მოსმობილ საიდუსტრაციო მასალაში ზმნები თავიანთი პირდაპირი მნიშვნელობითაა ნახმარი – სივრცეში გადაადგილება ფიზიკურად ხდება და იგი ობიექტურ სინამდვილეში ასევე ფიზიკურად არსებულ საგანთა მიმართულებით – ამ საგნებისკენ ვრცელდება. ამ საგნებში ივარაუდება ყველაფერი, რაც კი გრამატიკულ ლიტერატურაში კონკრეტული საგნის სახელით მოიხსენიება და რასაც სინამდვილეში ნივთიერი, მატერიალური სახე აქვს. ესენია, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის მხარეების, ქვეყნის ნაწილებისა და კონტინენტების, მთებისა და მთის მასივების, კუნძულებისა და ნახევარკუნძულების, ზღვების, ტბების, მდინარეების, დასახლებული პუნქტების (ქალაქების, სოფლების...)... ადგილის სემანტიკის... ადამიანისა და სხვა ცოცხალ არსებათა, ჩვენ ირგვლივ არსებულ საგანთა სახელები.

3. ჩვენთვის საინტერესო ზმნათა დიდი ნაწილი, პირდაპირი მნიშვნელობის გარდა გადატანითი, ფიგურალური მნიშვნელობითაც იხმარება. ამ შემთხვევაში ისინი შესიტყვებას ქმნიან ისეთი საგნების სახელებთან, რომელთაც ნივთიერი, მატერიალური სახე არა აქვთ: რომელთა აღქმა გრძობათა ორგანოების საშუალებით არ შეიძლება. ქვემოთ ასეთი სახელები აბსტრაქტულ (განყენებულ) და შინაარსობრივად მათთან გათანაბრებულ საგანთა სახელებით იქნება მოხსენიებული.

მაგალითად: მიდის, მიიწევს დიადი მიზნისაკენ, გამარჯვებისაკენ; მოუძღვის მწვერვალები-საკენ; უბიძგა დანაშაულისაკენ; ნაბიჯი გადადგა უკეთესობისაკენ; პირი იბრუნა ღმერთისაკენ...

არცთუ იშვიათად მოძრაობის სემანტიკის ზმნა, მართალია, კონკრეტული საგნის სახელთან არის დაკავშირებული, მაგრამ კონტექსტის მიხედვით შესიტყვებას მთლიანად ფიგურალური, მეტაფორული მნიშვნელობა აქვს. მხედველობაში გვაქვს ასეთი შემთხვევები:

და დღეს – მეტად, ვიდრე ოდესმე – საქმე ეხება სიფხიზღეს იმათ ხრიკებისადმი, ვინც მსოფლიოს უფსკრული ისაკენ მიაქანებს... მე მივბრბობ ამ უსიტყვო, ყოვლისშიმღებ, ბნელი დამისკენ! (თ. ჩხენკა, თარგმ.).

აქვე შემოვა ზემოთ განხილული იდიომური მნიშვნელობის მქონე -კენ-თანდებულიანი შესიტყვებები თვალი გაურბის, თვალი გააპარა, გული მიუწევს...

4. შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში სათანადო ზმნათა სინტაქსურ კონსტრუქციას იმპორტებს მათგან ნაწარმოები სახელები – საწყისები (მასდარები) და მიმღეობები. მაგალითად:

ჩინარი მზისკენ გაფრენას ლამობს ფოთლის შრიალით (ა. კალანდ); სამხრეთის კონტინენტისაკენ გამგზავრების ცდები მრავალი წლის განმავლობაში შეწყვეტილი იყო (სახელმძღვ.; შემოდგომის მთვარის შუქში ჩემკენ ჰქონდა დახრილი სახე (თ. ჩხენკა, თარგმ.)...

5. -კენ-თანდებულიანი კონსტრუქციათა დიდი ნაწილი სიტყვა გზით (იშვიათად ბილიკით...)

¹⁰ პირი ქნა -კენ თანდებულიან სახელებთან ერთად გარკვეული მდგომარეობის დაკავება-დატყვას, გარკვეული მიმართულებით შემობრუნებას ნიშნავს. ამგვარ კონტექსტში ის შეიძლება პირი იბრუნა-ს ჩინონიშად იქნეს მიჩნეული.

შედგენილი შესიტყვებებია. გზა ყოველთვის სადღაც მიდის, გზას ყოველთვის სადღაც მიყვარათ. ისეთი შემთხვევები, როცა ამ ტიპის შესიტყვებებში მიდის, მიყვარათ ზმნები პირიანი ფორმით არის წარმოდგენილი, შედარებით იშვიათია. შესიტყვებთა აბსოლუტურ უმრავლესობაში კავშირი გზა-სა (ბილიკ-სა...) და თანდებულებიან სახელს შორის ნაზმნარი სახელით მიმავალი (ზოგჯერ - საგალი) არის გაშუალებული: კვროვისაკენ მიმავალი გზა, მწვერვალისაკენ მიმავალი ბილიკები, შენკენ სავალი გზები. მაგალითები:

ნიკორწმინდისაკენ მიმავალ გზაზე ერთი პატარა სადგური დგას. მოხარდი უნებლიეთ შეიძლება უფსკრულისაკენ მიმავალ საშში ბილიკს დაადგეს.

მოყვანილ მაგალითებში -კენ-თანდებულებიანი ფორმით გეოგრაფიული და ადგილის სემანტიკის სახელდება წარმოდგენილი. ფართოა ამავე დანიშნულებით აბსტრაქტულ და შინაარსობრივად მათთან გათანაბრებულ სახელთა მოხმარების არეც. ივარაუდება, რომ ამ შემთხვევაში შესიტყვებას ფიგურალური მნიშვნელობა აქვს.¹¹ მაგალითად:

პროფესიული დაოტატებისაკენ მიმავალი გზა; ვირჩევთ ჩვენი მიზნისკენ მიმავალ ყველაზე მონაწილეობისაკენ.

კონტექსტებში, რომლებშიც ზმნურ ნაწილად გზით შედგენილი ისეთი მყარი ფრაზოლოგიური ერთეულები მონაწილეობს, როგორცაა გზას გაუდგა, გზას დაადგა, გზა გალია, გზა გაიკვლია, გზა გაიკაფა, გზა გადაუღობა, გზა გადაუჭრა, გზა მიასწავლა, გზას ეძებს... თანდებულებიანი შესიტყვება, ჩვეულებრივ, იკუმშება ადვილად სავარაუდებელი და ასევე ადვილად აღსადგენი სიტყვა მიმავალი-ის ხარჯზე (გამორიცხული არ არის მთელი შესიტყვების ელიფსი: გზას, რომელიც მიდის/მიემართება, რომელსაც მიყვარათ): მაგალითად, რომელიმე ნიკორწმინდისაკენ მიმავალ გზას გაუდგა შეიძლება ასეთი სახითაც შეგვხვდეს: გზას გაუდგა ნიკორწმინდისაკენ.

ზოგჯერ გზა შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია (გზა არის, გზა იყო, გზა გახლავთ). თანდებულებიანი შესიტყვება, რომელშიც ამგვარი შემასმენელი იღებს მონაწილეობას, ჩვეულებრივ, შეკუმშულია: წინ დიდი გზაა უფრო მაღალი შქვერვალებისაკენ.

შეკუმშულ -კენ-თანდებულებიანი შესიტყვებებს ქმნის აგრეთვე ნაბიჯი, საფეხური, ბილიკი. გამოიყენება სიხშირის მიხედვით ამ სიტყვებით შედგენილი შესიტყვებები დიდად ჩამოუვარდება გზის მეშვეობით შედგენილ ანალოგიურ შესიტყვებებს. მაგალითად:

განა ცვლილება ყოველთვის ნაბიჯია სრულყოფისაკენ? (გ. კვარაცხ. ბურთმა სხვა ბილიკები მონახა მოწინააღმდეგის კარისაკენ (გ. ფანჯ.).

კონტექსტებით ივარაუდება, რომ ცვლილება ყოველთვის არ არის სრულყოფისაკენ გადადგმული ნაბიჯი (შდრ. „ჩათვალათ ჩვენი დღევანდელი საფიხნოც ამ მიზნისაკენ გადადგმულ ერთ-ერთ ნაბიჯად“).

ყველა დასახელებულ შემთხვევაში სვლის, გადაადგილების სემანტიკა ხელშესახებია.

6. -კენ-თანდებულებიანი შესიტყვებები (ჩვეულებრივ, შეკუმშული) ან მხოლოდ თანდებულებიანი სიტყვები (ისინი შესიტყვების ან ზოგჯერ მთელი წინადადების ფუნქციას ასრულებენ) ფართოდ გამოიყენება მოწოდებებსა და ღობუნებებში, საზავთო სათაურებში, გეხვდება ფილმების, ჟურნალ-გაზეთებისა თუ მხატვრული ნაწარმოების სახელწოდებებში. მათ, მართალია, ძალიან ზოგადი, მაგრამ მეტწილად მაინც ცალსახა და ორაზროვნებას მოკლებული მნიშვნელობა აქვთ. მეტყველების ეკონომიასთან ერთად დიდია მათი ექსპრესიული დატვირთულობაც.

მაგალითები:
ათი ათასი ნაბიჯი ჯანმრთელობისაკენ! წინ გამარჯვებისაკენ!

¹¹ ფიგურალური მნიშვნელობით, მეტაფორულად არცთუ იშვიათად კონკრეტული საგნის სახელებით შედგენილი შესიტყვებებიც იხმარება. მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როგორცაა „უფსკრულისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა“ და მისთ.

-კენ-თანდებულიანი სახელების გამოყენების სფერო დიდია ბრძანება-მოწოდების (განკარგულების) ტიპის ისეთ წინადადებებში, როგორიცაა:

- ქალაქისკენ! - ყვიროდნენ ზოგიერთები.
- იმერეთისკენ! - იძახოდნენ მეორენი (მ. ჯავახ.).

როგორც შეინიშნავენ, თანდებული ამ შემთხვევაში სიტყვათა მაკავშირებლის ფუნქციას კი არ ასრულებს, არამედ ამა თუ იმ მნიშვნელობის მატარებელია.

7. -კენ-თანდებულიანი სახელი -გან თანდებულიანი მოქმედებითან¹² ერთად ქმნის გარკვეულ სინტაქსურ კონსტრუქციას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მოქმედების გავრცელების მიმართულებასთან ერთად მისი დასაწყისიც ვაჩვენოთ. მაგ.: „მან დასახა დიდი ეროვნული გზა ტაო-კლარჯეთიდან ქართლისაკენ“. კონტექსტი ერთდროულად ორ ინფორმაციას გვაწვდის: გზა, რომელიც ქართლისაკენ მიემართება, ტაო-კლარჯეთში იღებს სათავეს. სხვა მაგალითები:

აღმა მიაპობ მდინარეს - ზღვიდან წყაროსკენ, სიმშვიდიდან - ვნებათა დელვიისაკენ, დასახსრულიდან - დასაწყისისაკენ (გ. გვარამია).

ასე რომ, **(-ი)დან** - -კენ კონსტრუქცია ორი თვალსაზრისით ახდენს ზმნური მოქმედების ლოკალიზაციას სივრცეში - საწყისი პუნქტისა და მოქმედების გავრცელების საორიენტაციო პუნქტის მიხედვით (მიჰყავს ტაო-კლარჯეთიდან ქართლისაკენ). შდრ. **(-ი)დან** - **მდე** კონსტრუქცია, რომელიც ორმხრივ შემოსაზღვრავს მოქმედების გავრცელების არეს სივრცეში - საწყისისა და ზღვრული პუნქტების მიხედვით („კონტინენტის მეტი ნაწილი, დაწყებული სპარსიდან უკიდურეს სამხრეთამდე, დასახლებულია ნეგროიდებით“) და **(-ი)დან** - **ში** კონსტრუქცია, რომლისთვისაც საწყისთან ერთად მიწვევინს პუნქტის ჩვენებაცაა ნიშანდობლივი (სწავლტუბოდან ქუთაისში მიმავალი ქარო! ... - გ. ტაბ.).

II. მოძრაობა-გადაადგილების სემანტიკური წრის სიტყვებს განეკუთვნება **ისწრაფვის**, **მისწრაფვის**, **ილტვის**, **მიილტვის**, **მიდრეკება** ზმნები და ამ მოქმედებათა სახელები - **სწრაფვა**, **მისწრაფვა**, **ლტოლვა**, **მიდრეკილება**. **მიდრეკება** თანამედროვე ქართულში თითქმის აღარ იხმარება, მისი გამოყენების თითო-ორიღა შემთხვევაშიც სტილიზტიკური დანიშნულება აქვს - არქაიზაციას ემსახურება. დანარჩენ ზმნურ და სახელურ ფორმათა მოხმარების სფერო თანამედროვე სიტყვათხმარებაში განუზომლად დიდია. ეს განსაკუთრებით სახელურ ფორმათა (**სწრაფვა**, **მისწრაფვა**, **ლტოლვა**, **მიდრეკილება**) შესახებ ითქმის. შევინიშნავთ, რომ ზემოთ განხილულ **-კენ-თანდებულიანი** შესიტყვებებში გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით ზმნური ფორმები ძირითადად სჭარბობდა სახელურს.

ისწრაფვის, **მისწრაფვის**, **ილტვის**, **მიილტვის** ზმნური ფორმები მოძრაობა-გადაადგილების გამოხატველ სხვა ზმნათგან გარკვეული თვალსაზრისით განსხვავებულ სტრუქტურულ-სემანტიკურ ქვეჯგუფს ქმნიან, რაც მათი ცალკე განხილვის აუცილებლობას განაპირობებს.

სწრაფვა (ისწრაფვის, ესწრაფვის), **მისწრაფვა** (მისწრაფვის), **ლტოლვა** (ილტვის, ელტვის, მიილტვის, მიელტვის) წიგნური წარმოშობის მაღალფარდობანი სიტყვებია. სალიტერატურო ენაში ასე ფართოდ გავრცელებას მათი პოლისემიურობა და ექსპრესიული შავირობები და, რაობივ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, ერთგვარი სემანტიკური ბუნდოვანებაც უწყობს ხელს. ეს სიტყვები იტევენ ყველაფერს უფრო დიდსა და ძლიერს, ვიდრე ჩვეულებრივი სურვილი, წადილი, ოცნება, მიზანი, ინტერესები, სულისკეთება... არცთუ იშვიათად სწრაფვა, მისწრაფვა, ლტოლვა სიტყვათა ექსპრესიულობას კიდევ უფრო ამპლფრებს ემოციურად ჭარბად დატვირთული მსახდრელები (შდრ., მაგ.: „...და შენ მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას“ - ნ. ბარათ.).

¹² როგორც ცნობილია, სახელი -გან თანდებულიანი მოქმედებითში მორფემათა ზღვარზე ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგად **(-ი)დან** დაბოლოებას იღებს: სოფლ-ითგან > სოფლ-იდგან > სოფლ-იდან; წყარო-თგან > წყარო-დგან > წყარო-დან.



სწრაფვა, მისწრაფების თავდაპირველი მნიშვნელობა **აჩქარებას** უკავშირდება, **ლტოლვას** – **გაქცევას**. სემანტიკური თვალსაზრისით დაახლოება-დამსგავსების შედეგად **ლტოლვამ** სინონიმური წყვილი შექმნა **სწრაფვა / მისწრაფებასთან**; **სწრაფვამ** (ისწრაფვის ფორმამ) კი თავდაპირველ მნიშვნელობას სიერცობრივი მიმართების – **გაშურების** შინაარსობრივი ნიუანსი შესძინა.

ისწრაფვის, მისწრაფვის და ილტვის, მიილტვის ზმნების პირდაპირი, ძირითადი მნიშვნელობა თანამედროვე ქართულში **აჩქარება, გაშურებაა**. უნდა ითქვას, რომ ამ მნიშვნელობით მათი გამოყენების არც ძალზე შეზღუდულია, კონტექსტში მათ ადგილს, ჩვეულებრივ, სინონიმური **იჩქარის, მიიჩქარის** ზმნური ფორმები იჭერს (შდრ.: „იჩქარაინა წამები, მე კი არ მენანება“ – გ. ტაბ.). ამავე მნიშვნელობით იხმარება სიერცობრივი თვალსაზრისით ორიენტირებული **მიეშურება, მიემართება** ზმნებიც.

საითქენმე **გადახრას, გადახეკვას** უკავშირდება **მიდრეკილების** ფუძის თავდაპირველი მნიშვნელობა (შდრ.: „თუ ჩაქურე, მეცა მივედრეკები, ქრობად, ფოთოლთა ცვეხად“ – ა. კალანდ.). თანამედროვე სიტყვათხმარებაში **ისწრაფვის, მისწრაფვის და ილტვის, მიილტვის** ზმნებით ძირითადად გადატანითი, ფიგურალური მნიშვნელობით იხმარება: მხოლოდ ფიგურალური მნიშვნელობით ვგვხვდება **სწრაფვა, მისწრაფება, ლტოლვა, მიდრეკილება**.

სწრაფვა, მისწრაფება და ლტოლვა სინონიმური მნიშვნელობის მქონე სიტყვებია. გარკვეულ შემთხვევაში მათ სინონიმურ რიგში დგება **მიდრეკილებაც**.

ქველ-ის ერთოთხეულში ეს სიტყვები ურთიერთგანმსაზღვრელი მნიშვნელობებით არის დახასიათებული – თითოეული მათგანი მეორისათვის სადეფინიციო ერთეულად არის გამოყენებული, კერძოდ,

სწრაფვა განმარტებულია როგორც ძლიერი სურვილი რისამე, – მონდომება, ლტოლვა, მისწრაფება;

მისწრაფება – სწრაფვა, ლტოლვა რამესკენ, ვინმესკენ;

ლტოლვა – სწრაფვა, მისწრაფება;

მიდრეკილება – სწრაფვა, ლტოლვა რამესადმი; რისამე განწყობილება, ხალისი; ნიჭი, უნარი.

ამ სახელებში, მართალია, არ ფიგურირებს **აჩქარება-გაშურებისა** თუ **გადახრა-მიდრეკის** შინაარსობრივი ნიუანსი, მაგრამ ფუძის ძირითად, თავდაპირველ მნიშვნელობასთან კავშირი მთლად გაწყვეტილი არ ჩანს (იგივე ითქმის ფიგურალური მნიშვნელობით ნახმარ სათანადო ზმნურ ერთეულებზედაც). ფიგურალური მნიშვნელობით ხმარებისას აქცენტრი ფიზიკური მოძრაობიდან „სულის მოძრაობაზე – სულიერ მიზიდულობა-მისწრაფებაზეა“ გადატანილი. ამ დროს წინა პლანზე იწვევს **სულისკეთება, მიზანი, სურვილი, წადილი, ნატვრა, ოცნება, ინტერესება, გულისთქმა, სიყვარული, წყურვილი, უინი, ბუნებითი განწყობილება** რისამე მიღწევისა, დაუფლებისა, რაიმესთან თანახმობისა, მიახლოებისა, შერწყმისა, შეერთებისა... **სწრაფვა, ლტოლვა, მისწრაფება** სწორედ ამ სიტყვათა სემანტიკურ ეკვივალენტად იხმარება კონტექსტებში, ოღონდ, როგორც ითქვა, ლექსიკური მნიშვნელობითა და ემოციური დატვირთვით **სწრაფვა და ლტოლვა** უფრო მეტია, ვიდრე **სურვილი, ნდობა ან გულისთქმა... მისწრაფება** უფრო მეტია, ვიდრე **მიზანი ან ინტერესები**...

ამგვარი ლექსიკური ჩანაცვლების შემთხვევები ლიტერატურაში მრავლად დაიხსენება. მაგალითად:

ცდილობს ახალგაზრდაში გააღვივოს მისწრაფება აზროვნების მეცნიერული წესისადმი.
= ახალგაზრდას გაუღვივოს **ინტერესი**.

თუ მხარეები გამოიჩინენ გულწრფელ მისწრაფებას ვაჭრობის განვითარებისადმი, ამ დარგში ფართო პერსპექტივები დაიხსნება.
= გამოიჩინენ **ინტერესს**; გულწრფელად **დაინტერესდებიან** ვაჭრობის განვითარებით.

გამოითქვა ორმხრივი მისწრაფება კვლავ განავითარონ ორი ქვეყნის მოკავშირული ურთიერთობა.
= გამოითქვა **სურვილი**.

როგორც ითქვა, **სწრაფვა, ლტოლვა, მისწრაფება, მიდრეკილება** ფართო მნიშვნელობის

მქონე სიტყვებია. ისინი კონკრეტულობას სხვა სიტყვებთან ურთიერთობისას იძენენ. ამგვარი შინაარსობრივი კონკრეტიზაციის ერთ-ერთი საშუალებაა კონტექსტში მათი უფრო კონკრეტულ სინონიმურ სახელთან დაწვეილება. მაგალითად:

არ აქვთ სურვილი, ფარული სწრაფვა ურთიერთხილვის.

შდრ.: **სურვილი** – მისწრაფება, მიდრეკილება რისამე მისაღწევად, განსახორციელებლად.

ამაზე მის სულისკვეთებასა და მისწრაფებებს უმოქმედნი.

შდრ.: **სულისკვეთება** – შინაგანი განწყობილება, ძლიერი სურვილი, მისწრაფება, გულისთქმა.

ყოველ კერძო შემთხვევაში კონტექსტი **მისწრაფების** კონკრეტიზაციას ახდენს სიტყვების – **ინტერესების**, **მიზნის**, **სურვილისა** და **სულისკვეთების** საშუალებით. **მისწრაფებასა** და დასახელებულ სიტყვებს გადასკვეთი მნიშვნელობები აქვთ. ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია ის, რომ ყოველ მოცემულ შემთხვევაში კონტექსტს **მისწრაფების** სწორედ ის მნიშვნელობა შეეფერება ყველაზე უფრო მეტად, რომელშიც **ინტერესების**, **მიზნის**, **სურვილის**, **სულისკვეთების** სემანტიკაა წინ წამოწეული – ფაქტობრივ ის სიტყვა, რომელთანაც **მისწრაფება** არის დაწვეილებული.

სწრაფვა, **მისწრაფება**, **ლტოლვა** (გარკვეულ შემთხვევებში **მიდრეკილება**) სინონიმური სიტყვებია. სინონიმური მნიშვნელობები აქვთ სათანადო ზმნურ ფორმებსაც. ამ სიტყვათა სინონიმურობა და კონტექსტში ურთიერთანაცვლების შესაძლებლობა ზეპირსა თუ წერით მეტყველებაში ფართოდ არის გამოყენებული მეტყველების ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად. მსგავს ენობრივ სიტუაციებში გვეხვება **ისწრაფვის** და **მისწრაფვის**, **მისწრაფვის** და **მიიღრვის**, **სწრაფვა** და **ლტოლვა**, **მისწრაფება** და **მიდრეკილება**. მაგალითად:

ისწრაფვის / **მისწრაფვის**: ღმერთი თავად არის სრულყოფილება, ამიტომ იგი არაფრისკენ არ ისწრაფვის (ფილოს. ისტ.).

მიიღრვის / **მისწრაფვის**: ემილი დიკინსონის მშფოთარე სული ხომ მარადიულობისაკენ მიიღრვოდა (პრეს.).

ლტოლვა / **სწრაფვა** (**წყურვლი**): ყოველ ეპოქას ახასიათებს გარკვეული ჟანრისადმი ლტოლვა (პრეს.).

მისწრაფება / **მიდრეკილება**: ახალი ფორმებისაკენ მისწრაფება ამ ძველის დამახასიათებელ თვისებადაა მიჩნეული (დ. ჩხუბ.).

ასეთი უმტკივნეულო მონაცვლეობა ყოველთვის შესაძლებელი არ არის, რადგან სიტყვათა სინონიმურობა არ ნიშნავს მათი მნიშვნელობის აბსოლუტურ იგივეობას და, შესაბამისად, კონტექსტში ურთიერთანაცვლების სრულ თავისუფლებას.

როგორც შენიშნავენ, სავებით ერთნაირი მნიშვნელობის მქონე ორი სიტყვა ენაში ფაქტობრივ არ არსებობს. სინონიმური სიტყვები ერთმანეთისაგან, ჩვეულებრივ, გამოყენების სფეროთი, შინაარსობრივი ნიუანსით, სტილისტიკურ-ემოციური შეფერილობით ან სხვა სიტყვებთან სემანტიკური უხამებადობის სხვადასხვა უნარით გამოიჩნევიან. ეს სხვაობა ზოგჯერ ნაკლებ ხაზგარბობია, ზოგჯერ კი – აშკარა და გამოკვეთილი.

სიტყვის ბუნების გაუთვალისწინებლობა და მისი არაბუნებრივ კონტექსტში გამოყენება სტილისტიკურ დარღვევათა წყარო ხდება.

მაგალითად:

ლტოლვა იღვიძებს გაცივლებით უფრო ადრე, ვიდრე აღამიანი სრულად მომწიფდება სქესობრივად; ამგვარი მისწრაფება ჯერ არავითარ შემთხვევაში არ არის სიყვარული (პრეს.).

ლტოლვას მოცემულ კონტექსტში გატაცების მნიშვნელობა აქვს. ამიტომ სწორედ ეს უკანასკნელი შექმნიდა მისთან ბუნებრივ წყვილს: ამგვარი გატაცება ჯერ კიდევ არ არის სიყვარული. შეიძლება **მიდრეკილება**ც გვეხმარა, **მისწრაფვა** კი – არა.

მიუხედავად იმისა, რომ **სწრაფვა**, **მისწრაფება**, **ლტოლვა**, **მიდრეკილება** დიდად არის დაშორებული თავდაპირველ სემანტიკას და ბევრი ახალი მნიშვნელობა აქვს შეთავსებული,

ზოგადად მაინც შეიძლება გამოიყოს ის არსებითი და საერთო, რაც აერთიანებს და განასხვავებს დასახელებულ სახელებს ერთმანეთისაგან და აგრეთვე იმ სახელებსიგან, რომელთა ფუნქციასაც ისინი ასრულებენ კონტექსტში.

სწრაფვა, მისწრაფება (მისწრაფება უფრო მეტად, ვიდრე **სწრაფვა**) აქტიური, გაცნობიერებული, გააზრებული, წინ, მომავლისკენ მიმართული მიზანდასახული მოქმედებაა გონისმიერი საწყისით. ამ თვალსაზრისით ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ერთი გამონათქვამი, რომელიც კარგად წარმოაჩენს სწრაფვის სემანტიკას: „სულისათვის არსებითია **სწრაფვა, მიზანდასახული მოძრაობა**, სადაც მიზეზი და მიზანი პარმონიაშია“ (ფილოს. ისტ.). მიაქციეთ ყურადღება: **სწრაფვა** - მიზანდასახული მოძრაობაა.

ამიტომაც არის, რომ იმ **სურვილს, მიზანსა თუ ინტერესებს**, რომელთა ფუნქციითაც **მისწრაფება** იხმარება, მაღალფარდოვნების სტილისტიკურ ნიუანსთან ერთად რისამე მისაღწევად აქტიური ქმედების, მცდელობის შინაარსობრივი ნიუანსიც ახლავს, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მას უპირატესობას ანიჭებს კიდევ დასახელებულ სიტყვებთან შედარებით.

ლტოლვაც აქტიური ქმედებაა, ის იმ სფეროს განეკუთვნება ადამიანის ცნობიერების, რომელშიც თითქოს ფიზიკური - ძლიერი, მაგრამ გაუცნობიერებელი, ინსტინქტური საწყისი ჭარბობს.

თუ **სწრაფვა, მისწრაფება** და **ლტოლვა** სუბიექტის აქტიურ ქმედებას გულისხმობს, **მიდრეკილება** პოტენციაა, საგანში იმთავითვე კოდირებული, რომელიც შესაფერის პირობებში უსათუოდ გამოჰქვადნდება (მაგ.: „მიშველდ, დედა, ხეს ვხედავ და ვაწყლავი მინას გათეთრებისკენ მიდრეკილი დაღლილი ხისხლით“ - ლ. სტურ.).

მრავალი მნიშვნელობით გამოყენებამ და ფართოდ გავრცელებულობამ გაცვითა და გააბუნდოვანა ამ სიტყვათა სემანტიკა, რომელიც მიღაღ ნათელი და გამოკვეთილი არასოდეს ყოფილა. ამან გარკვეულწილად მათ სინტაქსურ უნარზედაც მოახდინა გავლენა, რადგან იმ სიტყვათა სინტაქსური ვაღიბი შეიწყვეს, რომელთა მნიშვნელობითაც იხმარებოდნენ კონტექსტში. ის სინტაქსური ურთიერთობები, რომლებსაც ზმნები **ისწრაფვის, მისწრაფვის, იღტვის, მიიღტვის, მიდრეკება** და ამ მოქმედებათა სახელები (**სწრაფვა, მისწრაფება, ლტოლვა, მიდრეკილება**) ქმნიან, მხოლოდ - კენთანდებულებიანი კონსტრუქციით არ ამოიწურება - ენაში სინონიმური კონსტრუქციებიც დასტურდება.

ვიდრე უშუალოდ კონსტრუქციითა განხილვაზე გადავიდოდეთ, შეენიშნათ, რომ **ისწრაფვის, მისწრაფვის, იღტვის, მიიღტვის** ზმნები დრო-კილოთა მხოლოდ აწმყოს წყებაში იხმარება, სხვა საუღლებელი ერთეულები თანამედროვე ქართულში მათ არა აქვთ (მდრ. ძველი ქართული **ისწრაფა** და **სიღტოლად** იკუმბია. ეს უკანასკნელი ორგანული წარმოების **იღტვის** ფორმას ენაცვლებოდა ნამყო ძირითადში); **მიდრეკება** დრო-კილოთა სამივე ჯგუფის ფორმებს აწარმოებს (მიდრეკება, მიდრეკა, მიმდრკალა), ოღონდ ასპექტის სისტემის ცვლასთან დაკავშირებით ზმნურ ფორმება სემანტიკური გადააზრების გამო აწმყოს ფორმამ ახლად ჩამოყალიბებულ მყოფავის წრეში გადაინაცვლა - **მიდრეკება** ფორმამ მომავლის გაგება შეიძინა, აწმყოს ადგილი კი ზმნის უღღიღების სისტემაში ცარიელი დარჩა. ენაში ამჟამად არც საჭიროება არსებობს მისი გამოყენებისა. **მიდრეკება** ძველი ქართულის რელიქტია, ახალ ქართულში მას **გადაიხრება** ცვლის (იხრება, გადაიხრება, გადაიხარება, გადაიხრება).

ზმნისწინის (პრევერბის) გამო **მისწრაფვის** და **მიიღტვის** ფორმებით გამოხატული ზმნური მოქმედების სივრცობრივი მიმართულობა უფრო მკვეთრი და ხელშეახებია, ვიდრე სათანადო უზმნისწინო, **ისწრაფვის** და **იღტვის** ფორმებისა (ეს შინაარსობრივი ნიუანსი უფრო მეტად საგრძობი იყო ძველ ქართულში). იგივე შეიძლება ითქვას მოქმედების სახელების უზმნისწინო (**სწრაფვა, ლტოლვა**) და ზმნისწინიანი (**მისწრაფება**)¹³ ვარიანტების შესახებაც.

¹³ ძველ ქართულში **ვღტოლად** ფორმის გვერდით იშვიათად სივრცობრივი თვალსაზრისით ორიენტრებული **მიღტოლად** ფორმაც დასტურდება. ახალ ქართულში იყო ცდა **მისწრაფვის** სინონიმად **მიღტოლვა** სიტყვის გააცოცხლება-დამკვიდრებისა, მაგრამ მას სასურველი შედეგი არ მოუყოლია. მაგ.: „ოდგე სცადა... ავაგამ გვირგვინისის ხელში ჩაგდება, მაგრამ აგრ შეძლო: მკაცრად დახუნდნ ქეღაღალი ამგვარ მივღტოლვას“ - ვ. ბარნ. (იხ. ქეღაღ-ი. ტ. V).

დასახელებული ზმნები ენაში იხმარება როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით.

1. დავიწყოთ ისეთი შემთხვევებით, როცა ზმნებს კონტექსტში პირდაპირი მნიშვნელობა აქვთ. ზმნის პირდაპირ მნიშვნელობას კონკრეტული საგნის სახელები შეეფერება შესიტყვების წყურებად.

ა) **ისწრაფვის, მიისწრაფვის**

ისწრაფვის, მიისწრაფვის და სწრაფვა, მისწრაფება საერთო ფუძის მქონე ლექსიკური ერთეულებია. ვკვეყ ფუძე გამოიყოფა ზედსართავში **სწრაფი**, რომელიც ქველ-ის მიხედვით განიშორება როგორც ჩქარი, მალი, მარდი¹⁴.

აჩქარება-გაშურების სემანტიკა ძვეს ზმნებში **ისწრაფვის, მიისწრაფვის**. მაგალითად:

ისწრაფოდა არმაზისაკენ ხვარაშუ ქალი (ვ. ბარნ.)

ისწრაფოდა ჭაბუკი გამოჯანულებული, ჭაბუკივით ჩქარობდა, სულმოკლეობდა.

ამ მაგალითებში **მიისწრაფვის** ზმნური ფორმა, რომელიც გარკვეულ მხარეს მიმართულ კონკრეტულ ფიზიკურ მოქმედებას – სივრცეში სწრაფ გადაადგილებას გამოხატავს, შესიტყვებას – კენ-თანდებულებიან სახელებთან ქმნის: **მიისწრაფვის** (= მიიწვეს, მიეშურება, მიიჩქარის) არმაზისაკენ.

ისწრაფვის ზმნურ ფორმას კონტექსტში, ჩვეულებრივ, **მიისწრაფვის** ზმნის მნიშვნელობა აქვს – სემანტიკურად ისიც გარკვეულ მხარეს მიმართულ მოქმედებას გამოხატავს (თუმცა ისე მკვეთრად არა, როგორც **მი-ზმნისწინიანი მიისწრაფვის**) და – კენ-თანდებულებიან კონსტრუქციას ქმნის: **არმაზისაკენ ისწრაფოდა ხვარაშუ ქალი**. ვკვეყ ზმნა შეიძლება ეშურება, ჩქარობს მნიშვნელობითაც იყოს ნახშირია. ამ შემთხვევაში ის ისეთ მიკროკონტექსტში იღებს მონაწილეობას, რომელიც თავისუფალია ლოკალური მიმართებისაგან: **ისწრაფოდა ჭაბუკი გამოჯანულებული** (შდრ. საერთო ზმნური გარემოცვა, რომელიც ასევე თავისუფალია სივრცობრივი მიმართებისაგან: **ჭაბუკივით ჩქარობდა, სულმოკლეობდა**).

დასახელებული პირდაპირი მნიშვნელობით იხმარებოდა **ისწრაფვის, მიისწრაფვის** ზმნები ძველ ქართულშიც. მაგალითად:

მიისწრაფა კარად ვალესისა: იზტ. 116,6.

უთანდებულო (**კარად, კარად, სახიდ**) და თანდებულებიანი (**ზღუად კერძო**) ვითარებითი (მიმართულებითი) ბრუნვის ფორმები ძველ ქართულში ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა.

დღეს **ისწრაფვის, მიისწრაფვის** ზმნათა პირდაპირი, ნომინაციური მნიშვნელობით გამოყენების არე ძალზე შეზღუდულია (თუმცა ზოგი მწერლის ნაწერებში აშკარად შეინიშნება მათი გაცოცხლება-გააქტიურების ცდა), ძირითადად ისტორიული ხასიათის მასალაში გვხვდება და წმინდა სტილისტიკური ფუნქცია აქვს – არქაულობისა და მაღალფარდოვნების ელფერს სძენს კონტექსტს. **ისწრაფვის, მიისწრაფვის** ზმნათა მაგვირობას კი ენაში ასევე მიზანდასახული ქმედების შინაარსობრივი ნიუანსის მქონე მიიჩქარის, მიეშურება, მიეწვევს

რაც შეეხება სიტყვა **მისწრაფებას**, იგი უბ სუფიქსით გართულებული ფორმაა. ბუნებრივ წარმოების პირობებში **მიისწრაფვის** ზმნის მოქმედების სახელად (მახდარად) **მისწრაფვა** იყო მოსალოდნელი: **ისწრაფვის – სწრაფვა, მიისწრაფვის – მისწრაფვა** (შდრ.: იმადღის – მადღა, დამადღის – დამადღა. აგრ. ძვ. ქართული: ივლტის – ვლტოლა, მიივლტის – მიევლტოლა).

¹⁴ საბას სიტყვის კონის¹⁴ მიხედვით, **სწრაფვა –** სიმაღლა: **სწრაფი –** სიციქვის მოქმედი. ძველი ქართული ენის ადრინდელ ძეგლებში ეს ფუძე სანის გარეშეც იხმარება. საწინაი ფორმები უფრო ძველ უხანო ფორმებთანაა ვაგ ზავნილი ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“. მაგ. ასე: **სწრაფა იხ. წრაფა; სწრაფი. იხ. წრაფი. მაგ. „იწრაფა“ (=იჩქარა)** და **გარდამოჭდა** (დ. 19, 6. DE. შდრ. **ისწრაფა: იქვე C.**

აქვე შევნიშნავთ, რომ **თანამედროვე ქართულის** ვინით გართულებული ფუძეები **სწრაფვა, ისწრაფვის, მიისწრაფვის** სინონიმური მნიშვნელობის მქონე **დტოღვა, ივლტის, მიივლტის** ფორმათა ანალოგიის შედეგი ჩანს. ძველ ქართულში უფრო **წრაფა / სწრაფა, იწრაფის / ისწრაფის, მიიწრაფის / მიისწრაფის** ფორმები დასტურდება.

ზმნები ეწევა (შდრ.: „საით მიემართება დრო?“ – გ. კვარაცხ.).

ბ) ილტვის, მიილტვის

ილტვის და მისგან ნაწარმოებ ლექსიკურ ერთეულებს – **ილტვის, ღტოლვა** თანამედროვე ქართულში **ისწრაფვის, ესწრაფვის, მიისწრაფვის** ზმნათა მნიშვნელობა აქვთ.

ქველ-ში ამ სიტყვათა ის მნიშვნელობებიც არის დასახელებული, რომლებიც ძველ ქართულში დასტურდება – ძველ ქართულში კი მათ მცირედ განსხვავებული ბგერადობა (**ივლტის, ევლტის, ვლტოლა / სივლტოლა**) და დამატრულად საწინააღმდეგე მნიშვნელობა აქონდათ. ამ პერიოდის ძველთა მიხედვით, **ვლტოლა** განიზარტება როგორც „გაქცევა“; მოგვიანებით კი – „განშორება“; „განრიდება“; „გადახვეწა“¹⁵.

ძველი მნიშვნელობით არის ნახშირი **ვლტვის** ზმნა ნ. ბარათაშვილის ერთ-ერთ ლექსში: „ძნელი არის მარტობა სულიანი, მას ელტვიან სიამენი სოფლისა“ (= გაურბიან), თუმცა იმავე პოეტის სხვა ნაწარმოებში პრევერბიან **მიილტვის** ფორმას ჩვენთვის ბუნებრივი „მოისწრაფვის“ მნიშვნელობა აქვს. შდრ.: „როს მკმუნვარება შემომერვეის, შენდა მოველტვი განსაქარვებლად“ (= შენკენ მოვისწრაფვი, მოვეშურები).

თანამედროვე ქართულში **ილტვის / ღტოლვა** სიტყვათა გამოყენება ძველი მნიშვნელობით ძალზე იშვიათია და მხოლოდ სტილისტური დანიშნულებით არის გამართლებული (შდრ. მაგ.: „ალბათ, მას მისგან რაისთვის **ილტვის**?“ – ა. კალანდ).

მნიშვნელობა არ უცვლია **ილტვის** ზმნისაგან ნაწარმოებ **ღტოლვილს** (ძვ. ქართულით **ვლტოლვილი**). იგი თანამედროვე ქართულშიც **გაქცეულს, გადახვეწილს** ნიშნავს („თქვენგან გამობილი, თქვენგანით **ღტოლვილი** ენა ჩვენს ქოხში ჩვენ შევიფარეთ“ – ილია) და ამ თვალსაზრისით სემანტიკურ წინააღმდეგობას ქმნის საერთო ძირის მქონე **ილტვის, ელტვის, ღტოლვა** სიტყვებთან. ამ უკანასკნელთა მნიშვნელობა, როგორც ითქვა, **ისწრაფვის, ესწრაფვის, მიისწრაფვის, სწრაფვა, მისწრაფვა** ერთეულებით განისაზღვრება (ამგვარმა შინაარსობრივმა გადაწყვეთ **ილტვის** ფუძის მქონე სიტყვების, როგორც ლექსიკური ერთეულების, მოხმარების სფეროს ერთგვარი შეზღუდვა გამოიწვია).

ილტვის ზმნის პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევები თანამედროვე ქართულში არა გვაქვს, თუმცა თეორიულად მის გამოყენებას ხელს არაფერი უშლის.

მიილტვის ზმნური ფორმა **ისწრაფვის, მიისწრაფვის** ზმნათა მსგავსად პირდაპირი, არაფიგურალური მნიშვნელობით იშვიათად და მხოლოდ სტილისტიკურად შეფერულ კონტექსტში იხმარება. მაგალითად:

ხალიფატის საომარ ძალთა უდიდესი და უხანირეხი ნაწილი სომხეთისა და საქართველო სკენ მოილტვოდა (ლ. ხანიკ).

შდრ.: ხპარსელები საქართველოსკენ მოისწრაფვიან (ლ. ხანიკ).

მიილტვის და **მიისწრაფვის** ზმნურ ერთეულთა ლექსიკური იგივეობა მოყვანილი მაგალითების მიხედვით ვკვს არ იწვევს. არც იმ სემანტიკური გადაწყვეის მექანიზმი ჩანს უსაფუძვლო და მოულოდნელი, რამაც **ილტვის** (= გარბის) ზმნა **ისწრაფვის, მიისწრაფვის** (= ინქარის, მიიქარის; მოგვიანებით – მიეშურება, სწრაფად მიდის) ზმნათა სინონიმურ რიგში შეაყენა.

საილუსტრაციოდ მოხმობილ მახალაში **მიილტვის** გამოხატავს კონკრეტულ მოქმედებას, რომელიც ასევე კონკრეტულ საგნებს – ქვეყნის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ერთეულებს მიემართება. **-კენ-თანდებულებიანი** ფორმა ამ ტიპის შესიტყვებებში ერთადერთი და მართებული ფორმაა.

გ) მიდრეკება

მიდრეკება, მიდრეკილი, მიდრეკილება საერთო ფუძის მქონე სიტყვებია. **მიდრეკება** ქველ-ში კვალიფიცირებულია როგორც მოძველებული სიტყვა, რომლის პირდაპირი მნიშვნელობაა: „გადიხრება, გადაიხრჩევა, გადაიდრიკება, მიდრიკება. სემანტიკურად ზმნისთვის შეუძლებელი არ იყო კონტექსტში არც აბსოლუტურად ხმარება და არც **-კენ-თანდებულებიანი** სახელთან გამო-

¹⁵ იხ. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1948; ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ყენება. ამ თვალსაზრისით იგი ისეთსავე ვითარებას გვიჩვენებდა, როგორც **ისწრაფვის ზმნა**. თანამედროვე ქართულში, როგორც ითქვა, იშვიათად იხმარება, ისიც სტილისტიკურად შეფერულ კონტექსტებში. მაგალითად:

მზე რომ მიდრეკება დასახელისკენ, ცისკრის ნათელი მას მღვმარედ უშუერს თვალბში (ლ. ლოლოზ. და თ. ჩხენკა, თარგმ.).

გადახრის, მიბრუნების მნიშვნელობა აქვს იმავე ფუნქციონირებას ნაწარმოებ მიიღრეკს ფორმას, რომელიც **-კენ-თანდებულის** შესიტყვებებს ქმნის:

...ერთბაშად კისერი მიიდრეკა გვერდით მიმავალი მხედრისაკენ (კ. გამს.).

ამრიგად, პირდაპირი მნიშვნელობით ხმარების შემთხვევაში **ისწრაფვის, მიისწრაფვის, მიიღრეკის, მიდრეკება (მიიღრეკს)** ზმნები ადგილის სემანტიკის სახელებთან **-კენ-თანდებულის** კონსტრუქციებს ქმნიან.

2. ძირითადი სინტაქსური კონსტრუქცია, რომელსაც **ისწრაფვის მიისწრაფვის, იღრეკის, მიიღრეკის** ზმნები ქმნიან გადატანითი მნიშვნელობით ხმარებისას, **-კენ-თანდებულის** კონსტრუქციაა. ამ კონსტრუქციითა სახელური ნაწილი, ჩვეულებრივ, აბსტრაქტული ან სემანტიკურად მათთან გათანაბრებული სახელებია. გვხვდება კონკრეტული საგნის სახელებიც, თუმცა შესიტყვების ფიგურალური მნიშვნელობა ამ შემთხვევაშიც უკვს არ იწვევს.

ისწრაფვის + -კენ-თანდებულის სახელი

თუ... მე გავიტყე მასთან, იხე ვისწრაფო მიისკენ, ვით მიწის სული და წყლის სული მიფრინავს ცისკენ ღურჯი კლდეებით? (ა. კალანდ.) ყველა საგანი რადაცისაკენ ისწრაფვის (ფილოს. ისტ.).

მიისწრაფვის + -კენ-თანდებულის სახელი

აღამიანის აზროვნება მიისწრაფვის სისტემატურობისაკენ (ფილოს. ისტ.).

იღრეკის + -კენ-თანდებულის სახელი

მიიხე რა არის ეს სისწრაფე, რომლისკენაც ასე იღრეკიან ადამიანები? (პრეს.).
დღეს საქართველო იღრეკის ზეციისკენ (მ. მაჭავ.).

მიიღრეკის + -კენ-თანდებულის სახელი

მიხი მშობთვარე სული ხომ მარად იღრეკის მიიღრეკოდა (პრეს.).

3. **ისწრაფვის** ძველ ქართულში მონაწილეობას იღებდა ინფინიტურ კონსტრუქციებში, რომლებსაც, როგორც ცნობილია, ვარკვეული ტიპის ზმნები ქმნიან მასდარის ვითარებითი ბრუნვის ფორმასთან ერთად. მხვედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როგორიცაა: **ისწრაფვის მსახურებად, ისწრაფა მიახლებად** და მისთ.

თანამედროვე ქართულში ინფინიტური კონსტრუქცია ამ სახით (ზმნა+მასდარის ვითარებითი ბრუნვის ფორმა) არა გვაქვს, მაგრამ იხმარება ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით მისი ფარდი, ეკვივალენტური კონსტრუქცია, რომელსაც ქმნის ერთმანეთთან პიპოტაქსურ დამოკიდებულებაში მყოფი ორი ზმნური ფორმა **გთხოვთ დამინიშნოთ** ტიპისა (შდრ. გთხოვთ, რომ დამინიშნოთ). ამ ტიპის მოდელს ძირითადად მოდალურ ზმნათა თხრობითი კილოს ფორმები ქმნიან მეორე ზმნის კავშირებითი კილოს (ან II თურმეობითის) ფორმებთან ერთად. **გთხოვთ დამინიშნოთ** ტიპის კონსტრუქციას ძველი ქართულის ინფინიტური კონსტრუქციისაგან (ისწრაფვის მსახურებად, დაჯდა წერად) განსხვავებით (მსგავსება-განსხვავების ხაზგასასმელად) სპეციფიკურ ლიტერატურაში ე. წ. ინფინიტურ კონსტრუქციას უწოდებენ¹⁶.

¹⁶ ი. მარტოიძის თქმით, მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში, იქვე, VII, თბ., 1955; შ. ძიძიგური, წინადადების მასდარული კონსტრუქცია, პუშკინის სახ. თბილისის უკ. ინსტიტუტის შრომები, ტ. 19, თბ., 1966; ვ. თოფურია, ქართული ენა და მარალთწერის სოციოტრი საკითხი,

ინდოევროპულ ენათა სინამდვილეში შემუშავებული ტერმინი — ინფინიტიური კონსტრუქცია (прошу назначить тибиса) ქართულისათვის ორსავე შემთხვევაში პირობითია და სამეცნიერო ლიტერატურაში მისი გამოყენება ამ არსებითად განსხვავებულ სინტაქსურ კონსტრუქციებათა ფუნქციურ-სემანტიკური იგივეობით (მსგავსებით) არის გამართლებული. ჩვენც ამ პირობის გათვალისწინებით გამოვიყენებთ მათ.

მოვიყვანთ **ისწრაფვის**, **მისწრაფვის** ზმნებით შედგენილ ვ. წ. ინფინიტიურ კონსტრუქციებათა ნიმუშებს:

ისწრაფვის

ისწრაფვის მთლიანობაში შეიმკვიცნოს ბუნებისა და საზოგადოების კანონები (პრეს.).

მისწრაფვის

ეურნალი ნიადაგ მიისწრაფვის სწორედ ამ კონცეფციისთან ორგანულ კავშირში განიხილოს ჩვენი დროის... საკანძო პრობლემები (პრეს.).

როგორც ითქვა, ვ. წ. ინფინიტიური კონსტრუქცია (**ისწრაფვის** **შეიმკვიცნოს**, **მისწრაფვის** **განიხილოს**) რთული წინადადების შინაარსს ატარებს. **ისწრაფვის** თავისი შემადგენლობით მთავარი წინადადების ფუნქციას ასრულებს, კავშირებითი კილოს (II თურმეობითის) ზნა და მასთან დაკავშირებული წევრები კი — დამოკიდებული წინადადებისა. ენაში **ისწრაფვის** **შეიმკვიცნოს** სინტაქსური კონსტრუქციის შინაარსობრივი ეკვივალენტიც გვხვდება რთული ქვეყარობლი წინადადების სახით. მაგალითად:

მთავრობა ისწრაფვის, რომ საერთაშორისო საკითხები მოლაპარაკების გზით გადაიჭრას (პრეს.).

მოყვანილ მასალაზე დაკვირვება ვუკვს არ იწვევს, რომ **ისწრაფვის**, **მისწრაფვის** ზმნებს ვ. წ. ინფინიტიური კონსტრუქცია ან რთული ქვეყარობლი წინადადება სტორდება მაშინ, როცა იმას, რასაც ვსწრაფვიან, საგნობრივი ფორმა არა აქვს — არსებითი სახელი არ არის: ის ზმნური მოქმედებაა, რომელიც წინადადების იმ წევრის ფუნქციას ასრულებს, რომელიც სხვა შემთხვევაში პირდაპირი დამატება ან კენ-თანდებულიანი სახელი შეიძლება ყოფილიყო. მაგალითად, რომელიმე **ისწრაფვის** **დაიმკვიდროს** შინაარსობრივად იგივეა, რაც: **ისწრაფვის** **დამკვიდრებას** (ეს ძველი ქართულისათვის სავსებით ბუნებრივი სინტაქსური კონსტრუქცია იყო. შდრ.: „ვისწრაფით მონაგებთა შეკრებას“ მ. სწ., 225,8-9) ან **ისწრაფვის** **დამკვიდრებისა**კენ (ეს უკანასკნელი სტილისტიკურად გაუმართლებელი შესიტყვებაა, თუმცა ამგვარი გამოყენების შემთხვევები თანამედროვე სიტყვათხმარებაში მრავლად დასტურდება).

ვ. წ. ინფინიტიურ კონსტრუქციებში **ისწრაფვის**, **მისწრაფვის** ზმნებს მოდალურობის შინაარსობრივი ნიუანსი აქვთ. **ვისწრაფვით** ახლებურად ავაგოთ ინსპექტორის მუშაობა, — ნიშნავს: **ვცდილობთ**, **სურვილი გვაქვს**, **გვინდა ავაგოთ**... (თუმცა — ეს უკვე **ისწრაფვის**, **მისწრაფვის** ზმნათა სემანტიკიდან გამომდინარე — სურვილი და მიზნობა აქტიურია: გარკვეულ საქმიანობასაც ვეწვეთ საიმისოდ, რომ ეს სურვილი განხორციელდეს). შდრ.:

ხელისუფლება ცდილობს, რომ საკითხები შეთანხმების გზით წყდებოდეს (პრეს.).

ცდილობს მოდალური ზნა და მოყვანილ წინადადებაში ისეთსავე სინტაქსურ კონსტრუქციაში მონაწილეობს, როგორშიც **ისწრაფვის**, **მისწრაფვის** ზმნები.

როგორც განხილული მასალა გვიჩვენებს, პირდაპირი მნიშვნელობით ხმარებისას **ისწრაფვის**, **მისწრაფვის**, **მიიღტვის** ზმნები კენ-თანდებულიანი კონსტრუქციებს ქმნიან. ამ კონსტრუქციებში დასახელებულ ზმნებთან ერთად ადგილის სემანტიკისა და მნიშვნელობით მათთან გათანაბრებული სახელები იღებენ მონაწილეობას: **ისწრაფვის**, **მისწრაფვის** არმაზისაკენ; **მიიღტვის** იერუსალიმისაკენ.

ზნათა გადატანითი მნიშვნელობით ხმარებისას ორი ძირითადი სინტაქსური კონსტრუქცია

თბ., 1966, გვ. 92-95; ა. პაპიძე, II კავშირებითის ნაკლის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, IV, თბ., 1981, გვ. 155-163.

ცია გვაქვს: -კენ-თანდებულებიანი (ამ კონსტრუქციაში მონაწილეობას იღებენ აბსტრაქტული და მნიშვნელობით მათთან გათანაბრებული სახელები, იშვიათად – კონკრეტული საგნის სახელებიც) და ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქცია – **ისწრაფვის გააკეთოს ტიპისა** (= გაკეთებას ისწრაფვის). ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქცია შეიძლება მიმოტაკსური დამოკიდებულების წესით იყოს წარმოდგენილი – **ისწრაფვის, რომ გააკეთოს**.

4. **სწრაფვა, ლტოლვა, მისწრაფება, მიდრეკილება**, რომლებიც მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით იხმარებიან, ძირითადად -კენ და -მი(-დმი)-თანდებულებიანი კონსტრუქციებს ქმნიან. ეს კონსტრუქციები ფუნქციურ სინონიმებად გვხვდება ერთსა და იმავე ენობრივ გარემოში. ასე მაგალითად: **სწრაფვა გამარჯვებისაკენ** და **სწრაფვა გამარჯვებისადმი**; **მისწრაფება მშვენიერებისაკენ** და **მისწრაფება მშვენიერებისადმი**; **ლტოლვა თავისუფლებისაკენ** და **ლტოლვა თავისუფლებისადმი**; **მიდრეკილება სიმსუქნისაკენ** და **მიდრეკილება სიმსუქნისადმი**.

სწრაფვა + -კენ-თანდებულებიანი სახელი:
ძიება არ დამთავრებულა, უკეთესობისაკენ **სწრაფვას** ზღვარი არ უნანს (პრეს.).

სწრაფვა + -მი (-დმი)-თანდებულებიანი სახელი:
მიხი პოეტური აზროვნების სტილისათვის ნიშანდობლივია **სწრაფვა** მარადიული ზნეობრივი პრობლემებისადმი (პრეს.).

მისწრაფება + -კენ-თანდებულებიანი სახელი:
აქაც შეინიშნება მისწრაფება სტაბილიზაციისაკენ (პრეს.).

მისწრაფება + -მი(-დმი)-თანდებულებიანი სახელი:
ისინი ყურადღებას უთმობენ გამარჯვებისადმი **სწრაფვას** (გ. ფანჯ.).

ლტოლვა + -კენ-თანდებულებიანი სახელი:
სახელისაკენ ლტოლვა; სიმაღლისაკენ ლტოლვა (პრეს.).

ლტოლვა + მი(-დმი)-თანდებულებიანი სახელი:
ლტოლვა სინათლისა და თავისუფლებისადმი (პრეს.).

მიდრეკილება + -კენ-თანდებულებიანი სახელი:
ამ ახაკში შეიმჩნევა მიდრეკილება სიმსუქნისაკენ (პრეს.).

მიდრეკილება + მი(-დმი)-თანდებულებიანი სახელი:
...მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ სახვითი ხელოვნებისადმი მიდრეკილება (პრეს.).

წარმოდგენილი მასალა სრულად ასახავს იმ ვითარებას, რომელიც **სწრაფვა, ლტოლვა, მისწრაფება, მიდრეკილება** სახელების სინტაქსურ კონსტრუქციითა ვარიანტულ გამოყენებასთან დაკავშირებით შეინიშნება თანამედროვე სიტყვათხმარებაში. საკითხი, რომელიც მსგავს სიტუაციაში ისმის, პარადიგლურ ფორმათა ფუნქციურ მიმართებასა და, შესაბამისად, სალიტერატურო ენაში მათი ადგილის გარკვევას შეეხება. ჩვენც ამით დავიწყეთ. რა მიმართებაა -კენ და -მი(-დმი) თანდებულებს შორის ისტორიულად და რამ განაპირობა მათი სინონიმობაცია?

ა) -კენ < კერძო სახელური წარმოშობის თანდებულება. როგორც ითქვა, ძველ ქართულში კერძო არსებითი სახელის მნიშვნელობითაც იხმარებოდა (= მხარე) და ზმნისართ-თანდებულის ფუნქციითაც (მხარეს), ერთოდა მოქმედებითი¹⁷ და ვითარებითი (მიმართულებითი) ბრუნვის ფორმებს და მიმართულებასა და ადგილს გეინყენებდა. მაგ.: ივლტოდედ **მიად კერძო** (= გაიქცენენ **მიოსკენ, მთაში**).
თანამედროვე ქართულში -კენ თანდებულები „მხოლოდ ნათესაობით ბრუნვასთან იხმარება

¹⁷ მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების საერთო ფუნქციის შესახებ იხ. ი. მნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 226-234.

და მხოლოდ და მხოლოდ მიმართულებას გვიჩვენებს¹⁸.

მასალაზე დაკვირვებით ცხადი ხდება, რომ თავდაპირველი მნიშვნელობის გამო კერძო თანდებული მეტწილად ადგილის სემანტიკის სახელებს იყო მიჯაჭვული.

კენ ამ მხრივ შესულული არ არის, ფორმის გაცვეთის გამო მისი მნიშვნელობა მოდიანად დაბნელებულია და იგი თავისუფლად იხმარება ადამიანის აღმნიშვნელ სახელებთანაც.

ბ) ზემოთ მოხმობილ საილუსტრაციო მასალაში სიკეთისადმი, თავისუფლებისადმი და მისთ. ფორმები -**მი(-დმი)-თანდებულის** ფორმებად იყო კვალიფიცირებული. ერთი და იმავე თანდებულის სხვადასხვა ფორმით წარმოდგენის ფაქტი სპეციალურ ლიტერატურაში არსებულ ვითარებას ემყარება: ტრადიციულად -**დმი** თანდებულად მიჩნეული ფორმა სინამდვილეში მიმართულებითი (ვითარებითი) ბრუნვის -**დ** ნიშნისა და -**მი** თანდებულისაგან შედგება¹⁹.

მკვლევართა აზრით, -**მი** თანდებული მასალობრივად და ფუნქციურად იგივეა, რაც -**მი** ზმნისწინი²⁰. **მი-** ზმნისწინი მიმართულებას გვიჩვენებს, ეგვევ დანიშნულება აქვს -**მი** თანდებულსაც.

მი- თანდებულის ფუნქციით იხმარებოდა ძველ ქართულში მი ელემენტის შემცველი რთული თანდებული **მიმართ.** მაგ.: „ვითარცა სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ვგრეთ სურინ სულსა ჩემსა შენდაში, ღმერთო“ (ფს. 41,2).²¹ -**მი** და **მიმართ** თანდებულთა ფუნქციური იგივეობა მოყვანილი მაგალითის მიხედვით ეჭვს არ იწვევს.

მიმართ „ძვ. ქართულში ერთვის ნანათესაობითარ ვითარებითსა და ვითარებითს, თანამედროვე ქართულში კი მხოლოდ ნათესაობითს. ორივე შემთხვევაში აღნიშნავს მიმართულ ებას.

-**მი** ნანათესაობითარ ვითარებითს (მიმართულებითს) ერთვის: სამშობლოსადმი, მისდაში.

გ) მიმართულებას ძველ ქართულში უთანდებულო მიმართულებითი (ვითარებითი) ბრუნვაც გვიჩვენებდა. ეს მისი ძირითადი და ფართოდ გავრცელებული ფუნქცია იყო ძველ ქართულში. მაგ.: **იელტოდენ მთად!**

ასე რომ, მიმართულების გამოხატვის თვალსაზრისით სინონიმურ რიგში დგება უთანდებულო მიმართულებითი ბრუნვის ფორმა, **კერძო > -კენ** და **მიმართ / -მი** თანდებულებები.

კერძო და **მიმართ** თანდებულთა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით საინტერესო ჩვენებას იძლევა ი. აბულიძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, რომლის მიხედვითაც **კერძო** ზმნისხართანდებული განიშარტება, როგორც: მხარეს; -კენ, «მიმართ». **მიმართ** ტეხილ კავებშია ჩასმული. როგორც ლექსიკონის წინასიტყვაობაშია შენიშნული, ტეხილ კავებში ჩასმულია განსამარტავი სიტყვის სხვა რედაქციაში დადასტურებული ლექსიკური (ალბათ ფუნქციურიც) შესატყვისი. ნიშნულად მოყვანილია ძველი აღქმის რედაქციული ჩვენება:

აღიხილენ თუაღნი შენი ზღუად კერძო და: აღიხილენ თუაღნი ზღუად მიმართ.

ზღუად კერძო და **ზღუად მიმართ** თანდებულის ფორმებს მოცემული კონტექსტის მიხედვით ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ (= ზღვისკენ), ფუნქციური ეკვივალენტები ჩანს **კერძო** და **მიმართ** თანდებულებები.

კიდევ ერთ რედაქციულ ჩვენებას დავიმოწმებთ სანიშნულად. ამჯერად **კერძო-თანდებულის** ფორმისა და მიმართულებითი ბრუნვის ფორმის პარალელური ხმარების დასამტკიცებლად ქართული ოთხთავის მასალის მიხედვით:

რომელნი პურიხტანს იყენენ, იელტოდენ მთად კერძო: დე 21,21 C და: რომელნი პური-

¹⁸ ა. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ.224.
¹⁹ ქველ, ტ. III (იხ. -დმი): ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, ნიმუხ-ს მოამბე, ტ. 1, ტფ., 1937, გვ. 119. გადამოტკდილია: ვ. თოფურია, შრომები, III, თბ., 1979, გვ. 53.
²⁰ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 268.
²¹ მაგალითისთვის იხ. ირ. ე. შანიძე, მიმართ, -მი, მომართ, -მო თანდებულები ძველ ქართულში, თსუ შრ., ტ. 105, თბ., 1965, გვ. 64.

ასტანს იყენენ, ივლიტოდედ მთად: იქვე, DE.

მიმართულების გადმოსაცემად უთანდებულო მიმართულებითი (ვითარებითი) ბრუნვის ფორმისა და მიმართ-თანდებულებიანი ფორმის გამოყენების წესი ქართულში საუკუნეთა მანძილზე მოქმედებდა. შეიძლებოდა მაგალითები მოგვეყვანა არცთუ შორეული წარსულიდანაც:

როს მკვუნარება შემომხვევის, შენდა მოვილტვი განსაქარებლად (ნ. ბარათ). შდრ.: ვისა მივილტოდი, არამედ შენდა მიმართ მ. სწ. 17,9.

აწცა, რა თვალნი ღაჟარდს იხილვენ, მვის ფიქრნი შენდა მოისწრფვიან (ნ. ბარათ).

ხაზგასმულ ფორმათა მნიშვნელობას თანამედროვე ქართულში (ნეიტრალურ სიტყვათხმარებაში) კენ-თანდებულებიანი ნათესაობითი გადმოსაცემს: შენკენ მოვილტვი, შენკენ მოვისწრაფვი, ცისკენ მზირაღს.

-კენ თანდებულის მოხმარების სფეროს გაფართოებამ დაწრდილა სემანტიკა -მი და მიმართ თანდებულებისა, ორმგებობა, შესაძლოა, ზუსტი ფუნქციური შესატყვისები არც არასოდეს ყოფილან კერძო თანდებულისა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სულხან-საბა ორბელიანისათვის მიმართ თანდებულის მნიშვნელობა მისკენ კი არ არის, არამედ მიმართულების ჩვენების თვალსაზრისით „შერბილებული“ მისკენსავით²². თანამედროვე ქართულში ეს მნიშვნელობა კიდევ უფრო „შერბილებულია“. რამდენადაც -მი თანდებული ფუნქციურად მიმართულებითს ბრუნვასთან არის დაკავშირებული, - ამ ბრუნვის თავდაპირველი და ძირითადი ფუნქციიდან გამომდინარე, - უფრო მეტად გამოხატავს მიმართულებას, ვიდრე მიმართ თანდებული; ამ მნიშვნელობით -მი(-დმი) უფრო ახლოს დგას -კენ თანდებულთან, ვიდრე მიმართ თანდებულთან, მაგრამ, რა თქმა უნდა, ისე ახლოსაც არა, რომ -კენ-თანდებულიან სახელებს ჩაენაცვლოს და მეტოქეობა გაუწიოს მას.

-მი და მიმართ თანდებულები ძირითადად სახეულზე (უცხო სიტყვებით, საწესებითა და მიმდებარებით შედგენილი) კონსტრუქციებში იღებენ მონაწილეობას და სახეულების სინტაქსური მაკავშირებელი ფუნქციის ფუნქციას ასრულებენ, შეიძლება ითქვას, ერთი სახელის მეორესთან მიმართულობას გვიჩვენებენ, მიმართულების მნიშვნელობა მიმართულობაშიც ფიგურირებს, მაგრამ გაცილებით უფრო მკრთალად.

ამ თვალსაზრისით ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ მოვიგონებთ -მი თანდებულის გამოყენებას ისეთ შემთხვევებში, როგორცაა საკითხისადმი ინტერესი, საქმისადმი დაშოკიდებულება, ერთი მხრით, და სამშობლოსადმი სიყვარულის ტიპის შესიტყვებები, მეორე მხრით.

თუ პირველ შემთხვევაში (საკითხისადმი ინტერესი) -მი (-დმი) აუცილებელი სინტაქსური მაკავშირებლის ფუნქციას ასრულებს, მეორე შემთხვევაში (სამშობლოსადმი სიყვარული) იგი ერთგვარი აზრობრივი „დამზღვევის“ როლში გამოდის - სახელის ობიექტობის ხაზგასასმელად და მოხმობილი. მოქმედების მიმართულობა ერთი საზანიდან მეორეზე ორსავე შემთხვევაში ივარაუდება: სიყვარული სამშობლოსაკენ არის მიმართული - სამშობლოს მიემართება; ინტერესი საკითხისაკენ არის მიმართული - საკითხს მიემართება.

როგორც უკვე ითქვა, სწრაფვა, მისწრაფება, ლტოლვა, მიდრეკილება უპირატესად ისეთი სიტყვების სინონიმებად იხმარება, როგორცაა სურვილი, მიზანი, სულისკვეთება, ინტერესება, სიყვარული... ეს სიტყვები ცნობიერების სფეროს განეკუთვნებიან და ისეთ მოვლენებს აღსახელებენ, რომელთა არსებობას სხვა საგნებთან აუცილებელი კავშირი განსაზღვრავს - სურვილი რაღაცის დაუფლებას, მიზანი რაღაცის მიღწევას გულისხმობს, ინტერესები - რაღაცის წვდომას, რაღაცის აღმოჩენის სურვილს...

ეს კავშირი სინტაქსურად -კენ თანდებულითაც შეიძლება განხორციელდეს და -მი(-დმი) თანდებულთაც.

ამასთან დაკავშირებით ენაში სამი შემთხვევა გამოიყოფა: ერთი, როცა თანდებულთა გამოყენება გაუცნობიერებლად ხდება. ამ დროს -კენ და -მი(-დმი)-თანდებულიანი შესიტყვებები ერთმანეთის მიმართ აზრობრივი დუბლეტებს წარმოადგენენ. მხედველობაში გვაქვს ასეთი

²² სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.

შემთხვევა: „ძალიან დიდი სიმდიდრისაქენ მისწრაფება არაბუნებრივია“ (ფილოს. ისტ. გვ. 69) და: „პლატონის აზრით, სიმდიდრისადმი მისწრაფება გააღატაკებს ხალხს“ (იქვე, გვ. 54); მეორე, როცა სუბიექტური ფაქტორის მოქმედების შედეგად ენის მომხმარებელი აშკარად ერთ-ერთი მოთგანს (-კენ ან -დმი) თანდებულს) ანიჭებს უპირატესობას; და მესამე, როცა არჩევანი კონტექსტური მონაცემების - სწრაფვა, ღტოლვა, მისწრაფება სიტყვათა სემანტიკური აქტიურობის საფუძველზე კეთდება.

ჩვენი თვის ეს უკანასკნელი შემთხვევა განსაკუთრებით განსეულებია, რადგან სწორედ მასში ირეკლება პარალელიზმის თავიდან აცილების ენობრივი ტენდენცია, დამყარებული იმ განსხვავებულ ფუნქციურ-მინარსობრივ ნიუანსებზე, რომლებიც -კენ და -მი(-დმი) თანდებულთა გამოყენებას ახლავს თანამედროვე სიტყვათხმარებაში. სახელდობრ:

ა) რადგან სწრაფვა, ღტოლვა, მისწრაფება სუბიექტის აქტიური ქმედებაა, მიზანსწრაფული სველაა რისამე მისაღწევად, მოქმედების პროცესულობის წარმოსახინად -კენ-თანდებულებიანი სახელის გამოყენება შესიტყვეების წვერად ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით სახეებით გამართლებული ჩანს: სწრაფვა, ღტოლვა, მისწრაფება ჭეშმარიტებისაქენ, მშვენიერებისაქენ, გამარჯვებისაქენ, მარადიული იდეალებისაქენ, სინათლისაქენ, სიახლისაქენ, უცნობი პორიზონტებისაქენ... მაგალითად:

ეს არის მარადიული სწრაფვა ადამიანისა სიკეთისა და სილამაზისაქენ.

ამ ტიპის კონტექსტებში სწრაფვის (მიზანსწრაფული სველის) სემანტიკაა წინ წამოწული. ბ) შევხედოთ იმავე მოვლენას შედეგის თვალსაზრისით: რის მიღწევას ვარაუდობს კონტექსტულ შემთხვევაში სუბიექტის ქმედება - სწრაფვა, ღტოლვა, მისწრაფება? - ჭეშმარიტების, მშვენიერების, სიახლის, უცნობი პორიზონტების წვდომას, გამარჯვების მოპოვებას, მარადიულ იდეალებთან თანახიარობას...

ამ მნიშვნელობას -მი (-დმი)-თანდებულებიანი კონსტრუქცია შეეფერება. ეს უკანასკნელი ხაზს უსვამს მოქმედების მიბეტს - სწრაფვის, ღტოლვის, მისწრაფების მიზანს (და არა სველას ამ მიზნისაქენ, როგორც ეს -კენ-თანდებულებიანი კონსტრუქციების დროს გვაქვს). მაგ.: სწრაფვა, ღტოლვა, მისწრაფება ჭეშმარიტებისადმი, მშვენიერებისადმი, გამარჯვებისადმი, მარადიული იდეალებისადმი, სიახლისადმი, უცნობი პორიზონტებისადმი...

მა სიმბოლურად უნდა განესახიერებინა ქვეყნის მომავლისადმი სწრაფვა.

-კენ და -მი(-დმი) თანდებულთა ამგვარი ფუნქციური განაწილებით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ ზმნურ (ისწრაფვის/მისწრაფვის, ილტვის/მიილტვის) ფორმებთან, როცა ზმნა სემანტიკურად აქტიურია, -მი(-დმი)-თანდებულებიანი ფორმები იშვიათი გამონაკლისის გარდა არ დასტურდება - ზმნურ კონსტრუქციებში -კენ-თანდებულებიანი ფორმები იღებს მონაწილეობას. შდრ. ამ თვალსაზრისით:

მოკლე წინადადებაში იგი მიისწრაფვის თავიღური პოზიციისაქენ (ქსქს, II) და: შეინიშნება მისი მისწრაფება განაპირა პოზიციებისადმი (იქვე).

სხვა შემთხვევაში სწრაფვა, ღტოლვა, მისწრაფება სახელების სინტაქსურ კონსტრუქციას იმ სიტყვათა სინტაქსური უნარი განსაზღვრავს, რომელთა მნიშვნელობითაც ისინი იხმარებიან (იხ. ზემოთ). ეს სიტყვებია ინტერესი, მიდრეკილება, ტენდენცია, სურვილი, მცდელობა, სიყვარული... ამ უკანასკნელთ ან თავადაც -მი(-დმი)-თანდებულებიანი კონსტრუქციები ახასიათებთ, ან ადვილად იგუებენ მას, როგორც მნიშვნელობის თვალსაზრისით ნეიტრალურ კონსტრუქციას.

მაგალითად:

...ცდილობს ახალგაზრდაში გადავივოს მიისწრაფება აზროვნების მეცნიერული წესისადმი.

(= ახალგაზრდას გაუღვივოს ინტერესი... წესისადმი).

სწრაფვა, ღტოლვა, მისწრაფება - მოქმედების სახელებთან საერთო სურათის მიხედვით -კენ-თანდებულებიანი კონსტრუქციები ჭარბობს, რასაც ამ სიტყვათა სემანტიკური აქტიურობა



განაპირობებს. **-კენ-თანდებულებიან ფორმათა უპირატესობას უჭერს მხარს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც“ – რვატომეულიცა და ერთტომეულიც (იხ. ჩვენთვის საინტერესო სიტყვათა განმარტებები).**

მიუხედავად ამისა, როგორც წარმოდგენილი მასალის მიხედვით ჩანს, თანამედროვე სიტყვათხმარებაში დიდია ამავე დანიშნულებით **-მი(-დმი)-თანდებულებიან კონსტრუქციათა მოხმარებას არეც, იკვეთება გარკვეული ტენდენციაც სინონიმურ კონსტრუქციათა ფუნქციური გარჩევისა. თუკი ამ ტენდენციას -კენ და -მი(-დმი) თანდებულთა ფუნქციების გათვალისწინებით სასურველ მიმართულებას მიეცემთ, ენაში არსებული პარალელური დაუძლეველი აღარ იქნება.**

როგორც უკვე ითქვა, **სწრაფვა, ლტოლვა, მისწრაფება, სიტყვათა მსგავსად მიდრეკილებაც** სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ერთტომეულში ვკითხულობთ: **მიდრეკილება – სწრაფვა, ლტოლვა რამესადმი; რისამე განწყობილება, ხალისი; ნიჭი, უნარი.**

ისეთი მნიშვნელობით ხმარებისას, როგორცაა **ნიჭი, უნარი, სიტყვა მიდრეკილება** შესიტყვებას **-მი(-დმი)-თანდებულებიან** ან, იშვიათად, უთანდებულო ნათესაობითში დახმულ სახელთან ქმნის: მუსიკის/მუსიკისაღმი მიდრეკილება; ხატვის/ხატვისადმი მიდრეკილება (შდრ.: მუსიკის ნიჭი, ხატვის ნიჭი).

სხვა შემთხვევაში **მიდრეკილება -კენ და -მი(-დმი)-თანდებულებიან კონსტრუქციებში** იღებს მონაწილეობას:

ამ ახაკში შეიძწევა მიდრეკილება სიმსუქნისკენ და: თავს იწენს...მარილიანი საჭმლი-სადმი მიდრეკილება (პრეს).

პარალელურ კონსტრუქციათაგან სიტყვათხმარებაში უპირატესობა აშკარად **-მი(-დმი)-თანდებულებიან კონსტრუქციას** ენიჭება. ენაში არსებულ საერთო ვითარებას ასახავს ქველ-ში წარმოდგენილი დეფინიციაც, რომლის მიხედვითაც **მიდრეკილება განიზმარტება, როგორც რაიმესადმი სწრაფვა, ლტოლვა. თუ გაეთვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მიდრეკილება შესაძლებლობაა, სუბიექტში იმთავითვე ნაგარაუდვეი შინაგანი ბუნების ხელსაყრელ პირობებში გამოვლენაა, ამგვარი არწევანი მოულოდნელი არ უნდა იყოს:**

მიუვითეთ ზემეტ თვითდაჯერებულობაზე, სიყოყმზე, ერთპიროვნულად ხკითხების გადაწყვეტისადმი მიდრეკილებაზე (პრეს).

-კენ-თანდებულებიანი სახელების მომრავლება, რაც ბოლო დროს შეინიშნება ენაში, მიდრეკილება სიტყვის სწრაფვა, ლტოლვა, მისწრაფება სახელებთან სინონიმზაციისა და ამის შედეგად ფუძის სემანტიკურად გააქტიურების შედეგი უნდა იყოს.

5. სურვილის, ნდომის, შესაძლებლობის... მნიშვნელობით მისწრაფება სათანადო **ისწრაფვის, მისწრაფვის** ზმნურ ფორმათა მსგავსად მონაწილეობას იღებს ე. წ. ინფინიტურ კონსტრუქციაში. მაგალითად:

ვცდილობთ ხელი შეუწყოთ ადამიანების მისწრაფებას ერთად იყენენ (პრეს).

იშვიათად ამავე მნიშვნელობით **მისწრაფება** შეიძლება უთანდებულო ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაც შეგვხვდეს:

უნაგაროა ადამიანი მაშინ, როცა მას ამოძრავებს ხალხისათვის სახარებლო მოღვაწეობის თვისუფალი მისწრაფება (პრეს).

6. როგორც უკვე ითქვა, სწრაფვა, ლტოლვა, მისწრაფება და მიდრეკილება მრავალი მნიშვნელობის მქონე და ფართო მოხმარების სიტყვებია, რაც მათს სემანტიკურ ცვათასა და ბუნდოვანებას უწყობს ხელს. ზეპირსა თუ წერითს მეტყველებაში მრავლად მოიპოვება ამ სიტყვათა მცდარად გამოყენების შემთხვევები. დარღვევები ძირითადად ორგვარი ხასიათისაა: ზოგჯერ კონტექსტისათვის სიტყვაა ცუდად შერჩეული, ზოგჯერ კი სიტყვისათვის – სინტაქსური გარემო. მაგალითად:

პოეტის სწრაფვა ბედის ხაზღერის გადაღახვისაკენ არ ემსახურება პირადულ მიზნებს

(პრეს).

აჯობებდა: პოეტის მისწრაფება გადაღახოს „ბედის სამძღვარი“...

...ბედის სახლერის გადაღახვის გზით მომეთა და ხმარებისადმი მისწრაფება ბართაშვილმა გადმოგვცა ლექსში „მერანი“ (პრეს).

აჯობებდა: მისწრაფება ბედის სახლერის გადაღახვის გზით დახმარებოდა მომეთა...

პროფესიისადმი მიდრეკილებების გარკვევაში გვეხმარება ანექტური გამოკითხვა (პრეს).

აჯობებდა: პროფესიულ ორიენტაციაში...

III. 1. -კენ-თანდებუდიან ან ე. წ. ინფინიტურ კონსტრუქციას ქმნის ზმნა მოუწოდებს და ამ მოქმედების სახელი მოწოდება. ეს სინტაქსური კონსტრუქცია კარგად ეხამება სიტყვის მნიშვნელობას. ქველ-ის ერთობეულის მიხედვით, მოუწოდებს ასე განიშარტება: რაიმე საქმის შესასრულებლად მოუხმობს (-კენ-თანდებუდიანი ფორმებია მოწოდებული სათანადო რუსული გამოთქმის призвать к порядку ქართულ ეკვივალენტადაც)²³.

მაგალითები:

ჩვენ მოვალენი ვართ ახალგაზრდობას მოუწოდოთ კეთილსინდისიერი შრომისაკენ (პრეს); იგი კვლავ მოგვიწოდებს სიკეთისაკენ, კაცთმოყვარეობისაკენ (პრეს).

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს ე. წ. ინფინიტური კონსტრუქციის გამოყენებისა: ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ მოგიწოდებთ ვიმოქმედოთ ერთობლივად (პრეს); იხ მოუწოდებდა ესწავლათ სიკეთე (პრეს).

სტილისტიკური დანიშნულებით არის გამოყენებული უთანდებულო ვითარებითი ბრუნვის ფორმა -კენ თანდებულის ფუნქციით:

...მისი სიმღერები რომელიც ბრძოლად მოუწოდებს მამაც ჭაბუკებს (თ. ჩხენკ. თარგმ).

საერთო ფონზე ერთგვარ გამონაკლისად ჩანს ამავე დანიშნულებით -თვის-თანდებუდიანი კონსტრუქცია:

ქალმა მას წესრიგისათვის მოუწოდა; ბრძოლისათვის მოგვიწოდებენ.

ჩვეულებრივ, -კენ-თანდებუდიანი კონსტრუქციას ქმნის ზმნა უბიძგებს. ჩვენი მასალები მიხედვით, ასეთი შესიტყვებებია: უბიძგებს უფსკრულისაკენ, საქმიანობისაკენ, სინდისთან გარეგნისაკენ, არაშრომითი შემოსავლისაკენ, განუჭკერტელი შედეგების მომტანი მოქმედებისაკენ, განსჯისაკენ...

გამონაკლისის სახით უბიძგებს ზმნასთან -თვის-თანდებუდიანი კონსტრუქციაც დასტურდება: „ყოველივე ეს მორალურად და ფსიქოლოგიურად ჩამოუყალიბებელ ახალგაზრდას უბიძგებს დანაშაულის ჩადენისათვის“.

ზემოთ საუბარი იყო ისწრაფვის, მისწრაფვის და სწრაფვა, მისწრაფება სიტყვათა სინტაქსური კონსტრუქციების შესახებ. გამონაკლისის სახით მათ გვერდით -თვის თანდებუდიც გვხვდება. მაგალითად:

ასეთი ვითარება, როგორც წესი, ასუსტებს ღირსეულობისათვის სწრაფვას; გამარჯვებისათვის სწრაფვისათვის... (პრეს).

დასახელებულ მაგალითებში -თვის-თანდებუდიანი ფორმებთან შედარებით უპირატესობა ამკარად -კენ-თანდებუდიანი ფორმებს ენიჭება. სხვა შემთხვევაში კი უპირატესობა ე. წ. ინფინიტურ კონსტრუქციას ან სინონიმური მნიშვნელობის მქონე ზმნას ეძლევა:

²³ ქართულ-რუსული ლექსიკონი, ერთობეული, საქ. მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბ., 1983.

ის მიიხსნა ფეხის აბსოლუტური ზნეობრივი სრულყოფისათვის (ფილოს. ისტ.).
აჯობებდა: ის **ისწრაფვის მიადწიოს** აბსოლუტურ ზნეობრივ სრულყოფილებას.

ისინი მუდამ ისწრაფვიან იმისათვის, რომ სრულყოფილ მოღვაწეობის სტილი და მეთოდები.
აჯობებდა: **ცდილობენ სრულყოფ...**

-თვის თანდებული დანიშნულებას გამოხატავს. ძველი ქართულისათვის ეს მნიშვნელობა მიმართულებითი (ვიტარებთი) ბრუნვის თავდაპირველი ფუნქციის - მიმართულებების ჩვენებიდან ჩანს განვითარებული²⁴. ამის მიხედვით, მიმართულებითი ბრუნვის ფორმის, -**კენ** და -**მი(-დმი)** თანდებულებისა და გარკვეული თვალსაზრისით -თვის თანდებულის ერთ ფუნქციურ ღერძზე განლაგება მთლად მოულოდნელი შეიძლება არ იყოს.²⁵ -**კენ/-მი(-დმი)** თანდებულთა ფუნქციით -თვის თანდებულის გამოყენების შემთხვევებს ენაში გამოაკლინის ხასიათი აქვს და ძირითად ფორმებს ის, ცხადია, მეტოქეობას ვერ გაუწევს. ეს არც ხასურველია, რადგან მას მხოლოდ ფუნქციური გაბუნდოვანება და კონსტრუქციითა პარადელიზში შეიძლება მოჰყვეს შედეგად.

კონსტრუქციითა პარადელიზმს ხშირად სიტყვის პოლისემიურობა და, აქედან გამომდინარე, კონკრეტულ შემთხვევებში მისი სემანტიკური ბუნდოვანებაც იწვევს.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს პოლისემიური მნიშვნელობის მქონე სიტყვები - **მიმართავს, მიმართვა, მიმართული**. მათი მნიშვნელობის ცალსახად წარმოჩენა ჭირს ან თითქმის შეუძლებელია სემანტიკური შემავსებლების გარეშე - მნიშვნელობათა შესაბამისად თუ ისინი განსხვავებულ სინტაქსურ კონსტრუქციებს ქნიან. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საერთო ძირის მიუხედავად **მიმართავს, მიმართვა, მიმართული** სიტყვებს ერთმანეთისაგან განსხვავებული შინაარსობრივი ნიუანსები აქვთ, რაც განაპირობებს კიდევ მათ განსხვავებულ სინტაქსურ გარემოცვას. ქვემოთ ჩვენთვის საინტერესო ზოგიერთ მნიშვნელობაზე და მასთან დაკავშირებულ სინტაქსურ კონსტრუქციაზე იქნება საუბარი:

ა) სიტყვა **მიმართული**, როცა მას **მიშვერილის, მიტყეულის** (პირდაპირი თუ გადატანილი) მნიშვნელობა აქვს, -**კენ**-თანდებულიან შესიტყვებაში იღებს მონაწილეობას:

სამხრეთ ამერიკა ფუძით მიმართულია ჩრდილოეთისაკენ, ხოლო წვეროთი - სამხრეთისაკენ; მიმართულია გარე სამყაროსაკენ.

ბ) ვაკვე სიტყვა ასეთი მნიშვნელობითაც იხმარება: **დანიშნული** (რაიმე მიზნის განსახორციელებლად); **გამიზნული**. ამ მნიშვნელობით, ჩვეულებრივ, -**კენ**-თანდებულიანი შესიტყვებები გვხვდება:

ყველა ღონისძიება მიმართული იყო დემოკრატიის განმტკიცებისაკენ.

უარყოფითი მნიშვნელობის მქონე კონტექსტებში -**კენ**-თანდებულიან კონსტრუქციასთან ერთად **წინააღმდეგ** - თანდებულად გამოყენებული ზმინსართით შედგენილი შესიტყვებებიც იხმარება. ამ უკანასკნელთა მოხმარების არე, გამოყენების სიხშირის მიხედვით, სჭარბობს კიდევ -**კენ**-თანდებულიან კონსტრუქციებს:

...ეს ცნებები მათ გათიშულობაზე მეტყველებდა და მისი დაძლევვისაკენ იყო მიმართული (პრეს.).

სტილისტიკურად მოქვეყნებულია ამ დანიშნულებით -**მი(-დმი)**-თანდებულიანი კონსტრუქციის გამოყენება:

...შუილის მკურნალობა მისი გამომწვევი მიზეზისადმი უნდა იყოს მიმართული (პრეს.).

²⁴ თ. შარაქანიძე, მოქმედებითი და ვიტარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის..., წ. 1, თბ., 1956, გვ. 431.

²⁵ ენაში -თვის და -მი(-დმი) თანდებულთა მონაცვლეობის შემთხვევებიც დასტურდება.

მოსალოდნელი იყო: მისი გამოქვეყნების მიზნის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. მიმართული ზემოთ დასახელებული მნიშვნელობით ზოგჯერ -თვის-თანდებულებიან სინტაქსურ კონსტრუქციას ქმნის. მაგალითად:

მათი საქმიანობა მიმართულია მწერლების შემოქმედებითი შემკვიდრების შესწავლისათვის (პრეს.).

უნდა ყოფილიყო: ...საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ უკეთ შეისწავლონ და პრობანდა გაუწიონ... ან: საქმიანობა მიზნად ისახავს... შესწავლას.

ამგვარი სტილისტიკური ჩარევის სურვილს იწვევს ზოგჯერ სინტაქსურად მართებული -კენ-თანდებულებიანი შესიტყვების შემცველი ზოგი კონტექსტიც. მაგალითად:

მისი პოლიტიკა აოხრებული ქვეყნის აღდგენისაკენ იყო მიმართული. აჯობებდა: მისი პოლიტიკა მიზნად ისახავდა აოხრებული ქვეყნის აღდგენას.

-კენ-თანდებულებიანი კონსტრუქციის მნიშვნელობა აქვს შესიტყვებას, რომელსაც სიტყვა მიმართული ქმნის მყოფადის მიმდებარის ვითარებითი ბრუნვის ფორმასთან ერთად. მაგალითად:

სკოლას უყურებდნენ როგორც საშუალებას ბავშვის პარმონიულად გასაცეთარებლად (პრეს.).

გ) მიმართვა (მიმართული), როცა ის რაიმე საქმის შესასრულებლად მოწოდების მნიშვნელობით არის ნახმარი, მიმართვის ობიექტს -მი(-დმი)-თანდებულებიანი ფორმით შეიწყოებს. იშვიათად, სათაურის ტიპის შესიტყვებებში, ამავე ფუნქციით უთანდებულო მიცემითში დახმული სახელიც გვხვდება:

მისი უანასკნელი მიმართვა ახალგაზრდობისადმი (პრეს.); მიმართვა მსოფლოს მწერლებს (პრეს.).

2. დასახელებული -მი(-დმი)-თანდებულებიანი და ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქციების გარდა -კენ-თანდებულებიანი კონსტრუქციის მნიშვნელობით სხვა ენობრივ-სემანტიკური საშუალებებიც გამოიყენება, თუმცა უნდა ითქვას, რომ მათი მოხმარების სფერო ენაში ერთობ შესწავლილია და, ზოგი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ სტილისტიკური დანიშნულებით გამოიყენებულია.

ა) ერთ-ერთ ასეთ სინონიმურ კონსტრუქციას ქმნის ისეთი სიტყვებით შედგენილი კონსტრუქციები, როგორცაა მიმართულებით და მხარეს (როგორც ითქვა, კერძო > კენ, მიმართულებით და მხარეს ურთიერთგანმსახიფრედი მნიშვნელობების მქონე ერთეულებია):

სულ მალე მანქანების კოლონა ომადო-ბოჭორმის მიმართულებით დაიძრა (პრეს.). შდრ.: ყველაზე ადრე იერუსალიმისაკენ დაიძრნენ დასაღვთო ვერობის ქვეყნების გლეხები (შუა საუკ. ისტ.)

ბ) ესწრაფვის, ელტვის - რელატიური ფორმების გამოყენებით კონტექსტში შეიძლება თავიდან ავიცილოთ თანდებულებიანი შესიტყვებები, რომლებსაც აბსოლუტური ისწრაფვის, ელტვის ზნური ფორმები ქმნის:

მიზანი, რასაც ჩვენ მიველტვით, ურყევი არის (თ. ჩხენკ., თარგმ.).

გ) მალდფარდოვნებისა და არქაულობის სტილისტიკურ ფუნქტს ქმნიან ჩვენთვის საინტერესო შემთხვევებში უთანდებულო მიმართულებითი ბრუნვის ფორმები. ის, რაც არცთუ შორეულ წარსულში ლიტერატურული ნორმა იყო, დღეს ტექსტის სტილიზაციისათვის არის მოხმობილი (შდრ.: „ამგვარაა რა ისართ ზეცად აღმართვენ...“ - ნ. ბარათ.). მაგალითად:

სწორედ ზეცად მიისწრაფოდნენ გრივალ ხანძოელის, მის წინაპრთა და მიმდევართა უბრწივადესი ქმნილებანი: ოპიზა, ხანძთა, შატბერდი... (დ. სანიკ.)

კერძო > კენ და მიმართ თანდებულთა ფუნქციური მონაცვლეობის შესახებ ზემოთ იყო საუბარი. ერთი ასეთი მონაცვლეობის ნიმუში სხვა ენობრივ თუ სტილურ საშუალებებთან ერთად სახურველ ფუნქტს ქმნის მკითხველის წინაშე შუა საუკუნეთა ოპიზის გასაცოცხლებლად:

...ასე ვიუზუნე ცაბა უსაზღვრო ს ა ს უ ფ ე კ ე ლ ი ს მიმართ მზირადმა: ნეტარ არს, სულო მშენიერო, შენი მხილველი (თ. ჩხენკ. თარგმ.).

„ცათა უსაზღვრო სასუფელოს მიმართ მზირალს“ გარდასულ დღეთა სურნელი ახლავს. შდრ. ნ. ბარათაშვილის „და ცათა მიმართ მზირალს ტრფოთის...“

ასეთივე სტილისტიკური დატვირთვა აქვს უთანდებულო მოქმედებითის ფორმით გამოყენებულ კითხვით ზმნისართს საით? მაგალითად:

საით მივყავარ ჩემს მოწყენილ ზხას? (გ. ტაბ.).
დრუბლები... კვლავ საით მიდიან დრუბლები (ა. კალანდ.).

დ) და ბოლოს, ზოგიერთი სიტყვის შესახებ, რომელთა გააქტიურება ენაში თავიდან აგვა-ცილებდა სწრაფვა, მისწრაფება სიტყვებით შედგენილ ბევრ დაშტამპულ თანდებულებიან შე-სიტყვებას. მაგალითად:

აღამიანის მიზანი, ამბობს პლატონი, არის სიკეთე (ფილოს. ისტ); ისინი მუდამ ახალსა და ახალს მიზანს ეძიებენ ცხოვრებაში (კ. გამს.).

ჩვენი სტერეოტიპული მეტყველების მიხედვით, ამ წინადადებებს დღეს ალბათ ასეთი სახე ექნებოდა: პლატონის აზრით, აღამიანი სიკეთისაკენ ისწრაფვის; ისინი მუდამ სიახლისაკენ მიისწრაფვიან.

IV. ზემოთქმულის მიხედვით, კენ-თანდებულებიან კონსტრუქციებთან დაკავშირებით ენაში ასეთი ვითარება გვაქვს:

-კენ (წერბო) თანდებული ფუნქციათა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა – მასთან მხოლოდ მიმართულების ჩვენება დაკავშირებული. -კენ-თანდებულებიანი სახელი ზმნური მოქმედების ლოკალიზაციას ახდენს სივრცეში, ის იმ სივრცობრივი ორიენტირის როლს ასრულებს, რომელსაც მიმართება ზმნური მოქმედება. ზმნა, რომელიც სემანტიკურად იგუვებს ამ მნიშვნელობას, ბუნებრივ შემთხვევას შექმნის -კენ-თანდებულებიან სახელთან.

-კენ-თანდებულებიან შესიტყვებას პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით ნახშირი მოძრაობა-გადაადგილების სემანტიკური წრის ზმნედი ქმნიან ნებისმიერ სახელთან ერთად, განურჩევლად იმისა, კონკრეტულ-სავანო-სავანო მნიშვნელობისა იქნება ის, თუ – აბსტრაქტული...

1. როგორც განხილული მასალა გვიჩვენებს, -კენ-თანდებულებიანი კონსტრუქციები მყარია, როცა ზმნა პირდაპირი მნიშვნელობით არის ნახშირი, ე. ი. სივრცეში გადაადგილება ფიზიკურად ხდება და იგი ობიექტურ სინამდვილეში ასევე ფიზიკურად არსებულ საგანს მიმართება. ფიზიკურად არსებულ საგანში ივარაუდება ყველაფერი, რაც გრამატიკულ ლიტერატურაში კონკრეტულ ი საგნის სახელით მოიხსენიება და რასაც სინამდვილეში ნივთიერი, მატერიალური სახე აქვს. მაგ.: გარბის ტყისაკენ, ტალღებს მიაპობს ნაპირისაკენ.

2. ზოგიერთი გამოხატვის გარდა, -კენ-თანდებულებიანი კონსტრუქციები ასევე მყარი და ამ დანიშნულებით გამოხატვებლად ერთადერთი კონსტრუქციებია მაშინაც, როცა ჩვენთვის საინტერესო ზმნედი კონტექსტში გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობით იხმარება. ამ შემთხვევაში ისინი შესიტყვებას აბსტრაქტულ სახელებთან ქმნიან, ე. ი. ისეთი საგნების სახელებთან, რომელთაც ნივთიერი, მატერიალური სახე არა აქვთ. მაგ.: მიუძღვის მწვერვალებსაკენ, ნაბიჯი გადადგა უკეთესობისაკენ.

ამ ტიპის შესიტყვებებში ზმნის მნიშვნელობა, მარილია, მეტაფორულია, მაგრამ თავდაპირველ მნიშვნელობას დაკლებული არ არის – ამიტომ მოძრაობა-გადაადგილების სემანტიკა (თუშუცა უკვე არა ფიზიკური) მასში კვლავაც ხელშეახლება. ეს ქმნის იმის პირობას, რომ ზმნამ, რომელიც სინამდვილეში არც სივრცობრივ გადაადგილებას გამოხატავს და არც რეალურად არსებულ საგანს მიმართება, შეინარჩუნოს მიმართულების გამოხატვის უნარი და თავისი თავდაპირველი სინტაქსური კონსტრუქცია.

3. მოძრაობა-გადაადგილების სემანტიკური წრის ზმნათაგან რამდენიმე განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს ისწრაფვის / მიისწრაფვის, ილტვის/შიილტვის ზმნები და ამ მოქმედების სახელები – სწრაფვა, ღტოლვა, მისწრაფება.

ზმნური ფორმები როგორც პირდაპირი (ამ მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევები ენაში შეზღუდულია), ისე გადატანითი მნიშვნელობით ხმარებისას, სხვა მოძრაობა-გადაადგილე-

ბის ტიპის ზმნათა მსგავსად, -კენ-თანდებულიან შესიტყვებებს ქმნიან. მაგ.: ისწრაფვის არმა-
ხისაკენ, ისწრაფვის ჭეშმარიტებისაკენ...

4. გადატანითი მნიშვნელობით ხმარებისას **ისწრაფვის**, **მიისწრაფვის** და **მისწრაფება** მო-
ნაწილეობას იღებენ ე. წ. ინფინიტურ კონსტრუქციაში: ისწრაფვის გააკეთოს... მისწრაფება
იცხოვროს...

გარკვეულ შემთხვევებში სწორედ ამ კონსტრუქციას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა -კენ-
თანდებულიან შესიტყვებებთან შედარებით.

5. მოქმედების სახელები **სწრაფვა**, **ღტოღვა**, **მისწრაფება**, **მიღრეკილება**, რომლებიც მხო-
ლოდ გადატანითი მნიშვნელობით იხმარებიან, ერთი და იმავე მნიშვნელობით -**კენ** და -**მი**
(-**ღმი**)-თანდებულიან კონსტრუქციებს ქმნიან: სწრაფვა გამარჯვებისაკენ და სწრაფვა გამარ-
ჯვებისადმი; მისწრაფება მშვენიერებისაკენ და მისწრაფება მშვენიერებისადმი; ღტოღვა თა-
ვისუფლებისაკენ და ღტოღვა თავისუფლებისადმი; მიღრეკილება სიმსუქნისაკენ და მიღრე-
კილება სიმსუქნისადმი.

პარალელიზმის თავიდან აცილების მიზნით ენაში შეინიშნება ცდა სინონიმურ კონ-
სტრუქციათა შინაარსობრივი დიფერენციაციისა, კერძოდ: სემანტიკურად აქტიურ კონტექსტს
შეუხამოს მიმართულების ჩვენების თვალსაზრისით მკვეთრი -**კენ** თანდებული (სწრაფვა გა-
მარჯვებისაკენ), ხოლო როცა კონტექსტით აქცენტირებულია არა იმდენად მოქმედების გარ-
კვეული მიმართულებით გაცერცვლება, არამედ მოქმედების გარკვეული დანიშნულებით მიმარ-
თულობა, გამოიყენოს -**მი(-ღმი)** თანდებული, როგორც მიმართულების გამოსატყვის თვალ-
საზრისით უფრო ნეიტრალური (სწრაფვა გამარჯვებისადმი).

მიღრეკილება ვარიანტულ კონსტრუქციათა ამგვარი გარჩევისადმი ემყარება -**კენ** და -**მი**
(-**ღმი**) თანდებულითა ფუნქციურ სხვაობას, რომელიც სულ უფრო ხელშესახები ხდება თანა-
მედროვე სიტყვათხმარებაში.

6. ენაში მოძრაობა-გადაადგილების სემანტიკური წრის ზმნათა უმართებულო სინტაქსურ
თუ სტილისტიკურ გარემოცვაში გამოყენების შემთხვევებიც გვხვდება. ძირითად საკითხებთან
დაკავშირებით ნაშრომში მათ შესახებაც იყო საუბარი, თუმცა ნათქვამი სრულიადაც არ
ამოწურავს ყველა იმ საკითხს, რომელიც ნორმალისზაციის თვალსაზრისით შეიძლება დაიხ-
ვას.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. წინათქმა	5
2. შესავალი	6
3. ზურაბ სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პერიოდები	7
4. კორნელი დანელია, ზურაბ სარჯველაძე, ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემა	14
5. კორნელი დანელია, ზურაბ სარჯველაძე, ქართული ანბანის განვითარების საფეხურები	38
6. ელენე ბაბუნაშვილი, სამი სტილის თეორია ქართულ მწერლობაში	41
7. აკაკი შანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო	51
8. ზურაბ ჭუმბურიძე, სალიტერატურო ენის ხალხურობისათვის	57
9. ივანე გიგინეიშვილი, ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა	87
10. ზურაბ ჭუმბურიძე, ილია და ქართული ენა	96
11. ზურაბ ჭუმბურიძე, მაღლი „დედაენისა“	121
12. ავთანდილ არაბული, ქართული ეროვნული ენა, სალიტერატურო ენა და სახელმწიფო ენა	126
13. ქართველური ენები	135
ქართული ენა	139
ზანური ენა (მეგრული, კოლხური)	142
სვანური ენა	147
14. გიორგი ცოცანიძე, იზაბელა ქობალავა, დიალექტი	151
15. გიორგი ცოცანიძე, დიალექტილოგია	154
16. არნოლდ ჩიქობავა, ქართული ენა, როგორც პოლივალენტოვანი სალიტერატურო ენა	156
17. ვარლამ თოფურია, ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში	160
18. ლეილა გეგუჩაძე, ერთმაგი უარყოფის ფორმათა შესახებ თანამედროვე ქართულში	163
19. ზურაბ ჭუმბურიძე, უარყოფითი ნაწილაკების მართებულად ხმარებისათვის	169
20. ბიძინა ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია	175
21. გუჩა კვარაცხელია, სტილი	207
22. გუჩა კვარაცხელია, სტილიზაცია	210
23. გუჩა კვარაცხელია, სტილისტიკა	212
24. ბიძინა ფოჩხუა, კონტექსტი და მნიშვნელობა	215
25. ბესარიონ ჯორბენაძე, სინონიმთაგან ნაწარმოები ფორმების სემანტიკური დაპირისპირებისათვის ქართულში	221
26. შუქია აფრიდონიძე, ე. წ. „აბსოლუტური სინონიმების“ შესახებ	231
27. ვიოლა კალანდაძე, სინონიმურ სიტყვათა გამოყენებისათვის	239
28. ასმათ პაპიძე, კვლავ სიტყვათა შერჩევისათვის	244
29. თინა ლვინაძე, პარონიმია	248
30. თინა ლვინაძე, ტავტოლოგია	254
31. თამარ ზურაბიშვილი, ცირა კალაძე, მნიშვნელობის თვალსაზრისით შეუფერებელი სიტყვათშეთანხმებანი თანამედროვე ქართული პრესის ენაში	258
32. ვიოლა კალანდაძე, დარღვევები თანდებულთა გამოყენებისას თანამედროვე ქართული პრესის ენაში	288
33. ვიოლა კალანდაძე, კენ- თანდებულებანი შესიტყვებები და მათი ფუნქციურ-სემანტიკური ეკვივალენტები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში	321

27. 629

4

UNIVERSITY OF TORONTO LIBRARY